ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბექა გაჩეჩილაძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ადგილობრივი თვითმმართველობა საქ ართველოში: წარსულის გამოცდილება და თანამედროვეობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზვიად აბაშიძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

1918-1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა, კერძოდ თვითმმართველობის სისტემა ჩამოყალიბდა და განვითარდა იმ პოლიტიკური პარტიების ინიციატივით, რომლებიც წარმართავდნენ დემოკრატიული საქართველოს ცხოვრებას. პარტიულმა და პირონულმა შეხედულებებმა განსაზღვრეს თვითმმართველობის მოდელი, რამაც განაპირობა დემოკრატიული მმართველობის ფორმირება.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კვლავ მმართველი პარტიების ხელში იყო თვითმმართველობის სისტემა, მათი შეხედულებებისა და სურვილისამებრ იცვლებოდა ის, მოხდა მისი უფლებების შეკვეცა და დამორჩილება ცენტრალური ხელისუფლებისათვის, რამაც განაპირობა ის მდგომარეობა, რაც არსებობს ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში დღეს.

Annotation

The internal policy of the Democratic Republic of 1918-1921, in particular the self-governing system was developed by the initiative of political parties guiding the lives of democratic Georgia. Party and personal views have defined a self-governing model that has led to the formation of democratic governance.

After independence, the self-governing system was in the hands of the ruling parties, changing with their opinions and wishes, as it was to cut and subdue the rights of the central government, which led to the situation existing in the local self-governance for nowadays.

Author: Beka Gachechiladze

Title: Self-governance in Georgia: past experience and modernity

სარჩევი

შესავალი ----------5

თავი I- თვითმმართველობის და სახელმწიფოს მოწყობის ისტორიული წანამძღვარი საქართველოში----------16

თავი II- ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები 1921 წლის კონსტიტუციისა და პოს-საბჭოთა ეპოქის კონსტიტუციებში: შედარებითი ანალიზი----28

თავი III- 1918-1921 წლებისა და პოსტ-საბჭოური ეპოქის პოლიტიკური პარტიების პროგრამების როლი ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნის პროცესში: შედარება----------41

თავი IV- 1918-1921 წლისა და თანამედროვე პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციული სტრუქტურა და ადგილობრივი თვითმმართველობა----------55

თავი V- პარტიული პოლიტიკის როლი ადგილობრივი თვითმართველობის რეფორმების პროცესში: სამომავლო პერსპექტივები----------62

დასკვნა----------66

გამოყენებული ლიტერატურა----------70

შესავალი

ადგილობრივი თვითმმართველობა ქვეყნის მოქალაქეთათვის გარკვეული ძალაუფლების გადაცემაა, რომელიც მიმართულია მეტი თავისუფლებისკენ. მისი არსი დემოკრატიულია და აძლევს შესაძლებლობა ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობას თავისი ინტერესებისა და მოთხოვნილებისამებრ გამოიყენოს მინიჭებული უფლება და აწარმოოს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული თუ სხვა სახის საქმიანობა „ცენტრთან“ შეუთანხმებლად. „ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფოში დემოკრატიული წყობილების არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ეს არის ინსტიტუცია, რომლის მეშვეობითაც ამა თუ იმ ტერიტორიული ერთეულის მცხოვრებნი თავად, სახელმწიფოს ხელისუფლების მმარვთველობის ორანოთაგან დამოუკიდებლად, აწესრიგებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს, ცხადია, კანონის ფარგლებში და სახელმწიფო ინტერესების შეულახავად. ეს არის ინსტიტუცია, რომელიც ერთი მხრივ, ადამიანებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ქვეყნის მართვას და საშუალებას აძლევს მათ, დაიცვან თავისი უფლებანი და თავისუფლებანი, ხოლო მეორე მხრივ, აძლევს მართვის გამოცდილებას და ხელს უწყობს მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამუყალიბებას.“ (ხმალაძე, 1997)

საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ (1918-1921წწ.) საშინაო პოლიტიკა ადგილობრივ თვითმმართველობაზე (ერობა) ააგო, რომელიც უნდა გამხდარიყო დემოკრატიული მმართველობის გამოვლინებად, რაც მისცემდა ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობას მეტად ყოფილიყო ჩართული საკუთარი და რეგიონალური საქმეები გადაწყვეტაში. ერობებისთვის ფართო უფლებების მინიჭება იმდროინდელი პოლიტიკური პარტიების შეხედულებებისამებრ ჩამოყალიბდა და მიზნად ისახავდა მოსახლეობის მონაწილეობას პოლიტიკაში, მეტ აქტიურობას ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა სფეროში, რაც მთლიანობაში მოიტანდა საზოგადოებისთვის თავისუფლებას, ეცხოვრათ და შეექმნათ იმგვარი გარესამყარო, როგორიც ეს ადგილობრივ მოქალაქეებს ისურვებდნენ.

ხალხისთვის ძალაუფლების დელეგირება წარმოადგენს დემოკრატიული ღირებულების საფუძველს, რომელსაც შედეგად მოაქვს განვითარება, კეთილდღეობა და თავისუფლება, მისი გარანტორი კი სახელმწიფოში კონსტიტუციაა.

საქართველოში 1991 წელს პირველი რესპუბლიკის მიერ 1918 წლის 26 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე ქვეყანაში აღდგა დამოუკიდებლობა და კვლავ განახლდა 70 წლიანი ცენტრალიზებული მმართველობის შემდეგ ადგილობირვი თვითმმართველობა, როგორც მმართველობის დემოკრატიული, მოქნილი და წარმატებლი მოდელი. 1995 წელს, კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რომელიც მოქმედი პოლიტიკური პარტიების ფართე განხილვის საფუძველზე შედგა, მან მრავალი ცვლილება განიცადა, ზოგი წარმატებული ზოგიც ნაკლებად, რამაც განაპირობა ამ სისტემის არსებული სახის ჩამოყალიბება.

ჩემს ინტერესს წარმოადგენს ამ ორი მოდელის გაანალიზება, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა. გარკვევა თუ რამ განაპირობა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში თვითმმართველობის ფართოდ დამკვიდრება და როგორი იყო პოლიტიკური პარტიების ფაქტორი ამ სისტემის დამკვიდრებისას. ამას გარდა მნიშვნელოვანია მოვახდინოთ შედარება თანამედროვე თვითმმართველობის მოდელთან, გავიგოთ, რამდენად ახლოს არიან ერთმანეთთან ამ მოდელების დამკვიდრების წინაპირობა საქართველოში, ესეიგი როგორი იყო პოლიტიკური ელიტის გავლენა და მნიშვნელობა ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრება-განვითარების საკითხში.

აქტუალურობა. იმ ფაქტორის გამო, რომ თანამედროვე თვითმმართველობა წარმოადგენს 1918-1921 წლების მიღწევების მემკვიდრეს, მის იდეურ გამგრძელებელს, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხისთვის აღმასრულებელი ხელისუფლების გადაცემას, მათ ჩართულობას საკუთარი და ქვეყნის პრობლემების გადაჭრაში. თანამედროვე მოდელიც სწორედ ამ იდეაზეა აგებული და საინტერესოა გავარკვიოთ, რამდენად მოხდა ორივე სისტემის საფუძველში პოლიტიკური პარტიების ნება-სურვილი გათვალისწინება.

საკვლევი მიზანი. მდგომარეობს საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიერ განსაზღვრული ქვეყნის მოწყობის მოდელის გარკვევაში, თუ რა მიმართულებით ხედავდნენ პოლიტიკური გაერთიანებები სახელმწიფოს მართვას, ცენტრალიზებულად თუ დეცენტალიზებულად, უნიტარული თუ ფედერაციული მოწყობით და რამდენად იქონია გავლენა ამ არჩევანმა საქართველოში დღეს არსებულ დეცენტრალიზაციის მოდელზე.

ამოცანა. მდგომარეობს საქართველოში არსებული თვითმმართველობის ტრადიციისა და მისთვის დამახასიათებელი თვისებების გარკვევაში, როგორი იყო მისი არსებობა და ფუნქციონირება წარსულში, რა გამოარჩევდა მას, რითი იყო მნიშვნელოვანი და როგორ არის თანამედროვეობაში თვითმმართველობა წარმოდგენილი.

ადგილობრივი მმართველობის ისტორიის გარკვევა, მიღწეული წარმატებებისა და შეცდომების გაანალიზება მოგვცემს დღევანდელობაში უკეთესი მოდელის შექმნის შესაძლებლობას, სწორედ ეს განაპირობებს კვლევის დაწებას პირველი რესპუბლიკის პერიოდიდან.

1921 წელს მიღებული კონსტიტუცია, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს იმდროინდელი პარტიების მისწრაფებებს. მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ როგორ იყო მოწყობილი მართვის სისტემა პირველ რესპუბლიკაში, რამდენად იყო პოლიტიკური ნება რეგიონებისთვის ძალაუფლების დელეგირების საკითხში, როგორ განვითარდა შემდგომ პერიოდში თვითმმართველობა და რადოზით არის თანამედროვე დემორკატიულ საქართველოში თავისუფლება მინიჭებული თვითმმართველობებისათვის.

საკვლევი კითხვა: თვითთმმართველობის სისტემების ჩამოყალიბება რამდენად განაპირობა, როგორც მაშინდელი, ისე თანამედროვე პოლიტიკური პარტიების უშუალო მცდელობებმა? თემის არსიდან გამომდინარე მთავარია გამოვყოთ ის ძირითადი საკითხები, რომელიც გვანიტერესებს და რომელზეც პასუხის გაცემაც გვსურს.

კითხვის ამგვარი ფორმირება გამომდინარეობს იქიდან, რომ გამოვიკვლიოთ თუ როგორი იყო პოლიტიკური პარტიების გავლენა თვითმმართველობის დანერგვასა და

განვითარებაში, რამდენად მოხდა კონკრეტული პირების ან პოლიტიკური გაერთაინებების შეხედულებების გათავლსიწინება, როგორც პირველი რესპუბლიკის არსებობის დროს, ისე დღეს მოქმედი თვითმმართველობის მოდელის ფუნქციონირებისას. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოგვცემს კონკრეტულ შედეგს, თუ რამ განაპირობა სახელმწიფოს შიდაპოლიტიკის ამ მიმართულებით განვითარება.

ჰიპოთეზა: **"XX საუკუნეში საქართველოში თვითმმართველობის სისტემა ჩამოყალიბდა და განვითარდა პოლიტიკური პარტიების შეხედულებების საფუძველზე"**

ამგვარი ჰიპოთეზის ჩამოყალიბება გამომდინარობს იქიდან , რომ გავარკვიოთ, რამდენად იყო პოლიტიკური პარტიების ნება და შეხედულება დამყარებული თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბებაში, ის დამახასიათებელი მოდელი, რომელიც გამოარჩევდა პირველი რესპუბლიკის თვითმმართველობას, რამდენად იყო ნაკარნახევი პარტიების უშუალო ინიციატივებით. ისევე, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის შემთხვევაში თანამედროვე თვითმმართველობის სისტემა, რამდენად არის წარმოქმნილი და განვითარებული ამჟამინდელი პოლიტიკური პარტიების შეხედულებებით, ესიგი, როგორია პოლიტიკური გაერთიანებების როლი მმრთველობის ამ სისტემის დამკვიდრებაში.

ამხსნელი თეორია. მაქვს გამოყენებული, რომელიც ავითარებს აზრს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არსი მდგომარეობს, ქვეყანაში ძალაუფლების დეცენტრალიზაციაში, პასუხისმგებლობის განაწილებასა და თანასწორობაზე. ადგილობირივი მმართველობა, როგორც დემოკრატიული მართვისთვის აუცილებელი და მოქალაქეთათვის შესაძლებლობების გაჩენის მოდელი, უზრუნველყოფს ჩართულობასა და განვითარებას, როგორც რეგიონის, ისე მთლიანად ქვეყნისთვის. თვითმმართველობა, როგორც დემოკრატიულობის საფუძველი ქმნის განვითარებულ, თანასწორ საზოგადოებას და სივრცეს, სადაც ყველა მოქალაქეს ეძლევა თანასწორი შესაძლებლობები განავითაროს საკუთარი თავი სახელმწიფოს დახმარებით.

დემოკრატიის ღირებულებათა განივითარების თეორია " დამყარებულია პოლიტიკური ავტონომიის, თანასწორობისა და ინტერესების თანაზიარობაზე." (Brettschneider, 2010)

თეორია, რომელსაც მე მიუყვები კვლევისას და რომელიც ძალაუფლების გადანაწილებას გულისხმობს, კარგად ხსნის ფრანგი მეცნიერი ჟან-ბენუა ალბერტინი თავის ნაშრომში „დეცენტრალიზაცია", მისი სიტყვებით, „დეცენტრალიზაცია- ეს არის პოლიტიკა, მიმართული იმგვარი ურთიერთობების შემქნისკენ, ცენტრალურ ხელისუფლებასა და მის ტერიტორიულ ერთეულს შორის, რომელიც ხასიათდება ადგილზე ძალაუფლების მნიშვნელოვანი გადაცემით." (Albertini , 1997)

სწორედ ეს არის რეალური თვითმმართველობა, როდესაც პოლიტიკური ცენტრი გადასცემს გარკვეულ ძალაუფლებას, შესაძლებლობას რეგიონს და უქმნის პირობებს მიიღოს გადაწყვეტილება და აწარმოოს ადგილობრივი საქმები პოლიტიკურ ცენტრთან შეუთანხმებლად, რათქმაუნდა კანონით დადგენილ საზღვრებში. მთავარი მაპროვოცირებელი კი არის ნდობა ამ ორ ერთეულს შორის, რომელსაც პოლიტიკური პარტიები ქმნიან ურთიერთთანამშრობლობის საფუძველზე.

ზემოთ განვითარებულ იდეა ემხრობა რუსი მეცნიერი დუბროვინი, რომელიც ასევე თვლის, რომ თვითმმართველობა ესაა ნდომა და ძალაუფლების გადანაწილება ზემოდან ქვემოთ, ესეიგი პოლიტიკური ცენტრიდან საზოგადოებისკენ, რეგიონული ერთეულებისკენ. „დეცენტრალიზაცია- უფლებამოსილების გადაცემა ზემოდან ქვემოთ, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებელ აღსრულებას დასახული მიზნების, გადაწყვეტილებების მიღებას დამოუკიდებლად ან ხელმძღვანელობას გადაწყვეტილების აღსრულებისას, დამოუკიდებლად ინფორმაციის განაწილებას." (Добрынин , 2010)

მეთოდოლოგია. გამოვიყენოთ თვისებრივი კვლევას, რომელიც დაგვეხმარება, რომ კვლევა მეტად შინაარსობრივი და მრავლის მთქმელი იყოს, რადგან შევისწავლით და გავეცნობით სხვადასხვა ტიპის წყაროებსა და მასალებს, რაც თემას მეტად უფრო სანდოსა და ობიექტურს გახდის. გამოვიყენებთ ლიტერატურას, რომელიც კი არის ადგილობირივი თვითმმართველობის შესახებ და რომლის მეშვეობითაც შევძლებთ კვლევის წარმართვას.

წარსულის კვლევის პარალელურად მიმოვიხილავთ და შედარებას გავაკეთებთ თანამედროვე თვითმმართველობის მოდელთან, რათა კვლევა იყოს კონკრეტული შედეგის მომცემი თანამედროვეობისთვის, კერძოდ, ადგილობრივი მმართველობის გამოცდილების გაანალიზების, დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენის კუთხით. თემას მეტი კომპეტენტურობა და საფუძველი, რომ ჰქონდეს გამოვიყენებ სიღრმისეულ ინტერვიუებს, კონსტიტუციონალისტებთან და თვითმმართველობის მკვლევარებთან, რომ მეტი სანდოობისა და ობიექტურობის მატარებელი იყოს მიღებული კვლევის შედეგი.

ცვლადადები. გამოყოფილი მაქვს მეოცე საუკუნის საქართველო, რომელიც ჰიპოთეზას მეტ კონკრეტულობას მატებს, რათა გასაგები იყოს, რომ ვეხები მხოლოდ წინა საუკუნის საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, რომელიც დამახასიათებელი და უნიკალური იყო და არის მსიფლიოში არსებული სისიტემებიდან, რადგან მორგებული და გათვალისწინებულია ქართველ ხალხზე. დამოკიდებულ ცვლადს წარმოადგენს ის კონკრეტული საკითხი, რომელზეც ვწერ თემას ესეიგი თვითმმართველობის სისტემა, რომელიც პირველ რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა და დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ განახლდა, როგორც იდეური მემკვიდრე. მნიშვნელოვანია მოვახდინოთ თვითმმართველობის სისტემის სწორი შეფასება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოყოფა და მოვახდინოთ შედარება პირველი რესპუბლიკის დროს არსებულ სისტემასა და დღეს მოქმედი მოდელს შორის. შეუამდებარე ცვლადად ავირჩიე თვითმმართველობის ჩასახვა და განვითარება, ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია, რომ გავიგოთ, თუ როგორი მიმართულებით განვითარდა თვითმმართველობა, როგორ ხედავდნენ პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური ლიდერები მისი გავრცელებისა და ფუნქციონირების გზებს, რის შემდეგაც მოვახდენთ თანამედროვე მოდელთან მის შედარებას და გავარკვევთ, რამდენად ახლოს ან შორს არის ეს ორი მოდელი ერთმანეთთან. დამოუკიდებელ ცვლადად გამოვყავი პოლიტიკური პარტიების შეხედულება, როგორი იყო მათი მოსაზრება დამოკიდებულება, ემხრობოდნენ თუ არა ძალაუფლების გადანაწილებას საერთოდ, როგორ მოდელს ანიჭებდნენ უპირატესობას, ცენტრალიზებულს თუ დეცენტრალიზებულს და რამდენად განხორციელდა ეს ხედვები.

ლიტერატურის მიმოხილვა. ისტორიულ წარსულზე საუბრისას საინტერესო იყო ალექსანდრე ბენდინიშვილის ნაშრომის “თვითმმართველობის ორგანოთა ადგილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში”, რომელიც დამეხმარა, რომ ფეოდალიზმის დროს დამკვიდრებული რეალობა გამეცნო, თუ როგორ ხორციელდებოდა ძალაუფლების აღსრულება ცენტრალიზებულ სახელმწიფოში.

XIX საუკუნის 60-იან წლებში განხორციელებულმა მმართველობითმა რეფორმამ შედეგად სოფლის საბჭოები შექმნა, რომელიც იყო საწყისი ადგილზე მმართველობა, გავეცანი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მომცა დიმიტრი შველიძის ნაშრომმა "ადგილობრივი თვითმმართველობა და ქართველი საზოგადოება XIXს-ის დასასრული XXს-ის დასაწყისი". გავეცანი მეფის რუსეთში არსებული პირველი ადგილობრივი მმართველობის მსგავსი ორგანის ფუნქციონირების დეტალებს, თუ როგორ იყო განაწილებული ის მცირე უფლებები, რომლითაც აღჭურვილი იყო სოფლის ყრილობა.

თვითმმართველობის წარსულის გაცნობისას საინტერესო იწყო XX საუკუნის დასაწყისში წარმოდგენილი რეალური მმართველობის ადგილობრივი ფორმის მოდელის განხილვა, რომელიც აღწერდა იმდროს უფლებების გადანაწილებას. ამან განაპირობა რუსი ავტორის, ივანე ბელიონსკის ნაშრომის გამოყენება, “ ერობა და თვითმმართველობა”, რომელიც იდეურად ახლოს იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის თვითმმართველობის მოდელთან, რადგან ორივე მიმართულება ორინეტირებული იყო გადანწილებულ უფლებებისკენ და რეგიონებისთვის მეტი შესაძლებლობების გაჩენისკენ.

ამერიკელ პოლიტოლოგთან, რომელიც ქართული პოლიტიკით არის დაინეტერსებული, სტივენ ჯონსთან შევძელი ინტერვიუს ჩაწერა, რამაც საინტერესო ინფორმაცია მომცა, როგორ იყო დამოუკიდებლობამდე იმპერიულ სივრცეში „სოფლის ყრილობა“ წარმოდგენილი და რა პროცესები მიმდინარეობდა დამოუკდიებლობის მოპოვების შემდეგ თვითმმართველობის კუთხით.

იმ მიზნით, რომ გამეგო, თუ რა ხედვები ჰქონდათ პოლიტიკურ პარტიებს, თუ როგორ ხედავდნენ სახელმწიფოს განვითარებას, სწორად მივიჩნიე გავცნობოდი მათ პოლიტიკურ

პროგრამებს. მიმოვიხილე: სოციალ-დემოკრატიულ, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და ეროვნულ-დემოკრატთა პროგრამებს, რომელმაც მიმიყვანა დასკვნამდე, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პარტია იზიარებდა ფართო თვითმმართველობის იდეასა და მის გაძიერებას მიიჩნევდა პრიორიტეტად საზოგადოებისა და სახელმწიფოს გაძიერებისთვის.

მიმოვიხილე დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები, რომელიც წარმოდგენილია ერთიან კრებულში, "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული". ეს მასალა დამეხმარა გამეგო თუ რა მიმართულებით მუშაობდა პირველი რესპუბლიკის საკაონმდებლო ორგანო ადგილობრივი თვითმმართველობის თემატიკაში. საინტერესო იყო იმ საკანონდებლო აქტების განხილვა და მიმოხილვა, რომელიც გახდა საფუძველი კონსტიტუციის მიღებისა.

საკანონმდებლო აქტების მიმოხილვისა და მათი ძირითადი არსის გაცნობის შემდეგ, რაც თვითმმართველობის იდეის განხორციელებას ეხებოდა მნიშვნელოვნად ჩავთვალე საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის მიმოხილვა, მასში ასახული მუხლების გაცნობა. სწორედ ამიტომ შევეხე იმ მუხლებს, რომლებიც ეხება ადილობრივ თვითმმართველობას და რომელიც განასახიერებდა იმ პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი სურვილების გამოხატულებას, რომელიც არსებობდა დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მრავალი წლის შემდეგ, როდესაც იქმნება სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფო საჭიროა მისი ტერიტორიული მოწყობოს განსაზღვრა. ამ მიმართულებით მსჯელობისას გამოვიყენე მალხაზ მაცაბერიძის სტატია "საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი". ამ თემამ მომცა მიმართულება, რომ ჩემი მსჯელობა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფო მოწყობის სფერო შემესწავლა და კონკრეტული შედეგი მიმეღო.

თემის გარშემო საუბრისას უმნიშვნელოვანესი იყო იმ საკითხის აღნიშვნა, რომელიც უშალოდ განხორციელებულ მუშაობას ეხებოდა, კერძოდ როგორ უნდა ემუშავა თვითმმართველობას, რა ბერკეტი უნდა ჰქონოდა მას რეგიონზე და ცენტრს რა

დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა თვითმმართველობისადმი. ამ საკითხთან დაკავშირებით გავეცანი საინტერესო გაზეთს "ერობა და ქალაქი", რომელიც აღწერდა იმდროს მიმდინარე პროცესებს და სახავდა იმ დამოკიდებულებას, რომელიც უნდა ყოფილიყო ცენრსა და თვითმმართველ ერთეულს შორის.

1921 წელს სამხედრო ჩარევის გზით მოხდა საქართველოში მმართველობის ცვლილება, რომელიც საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელდა, ამ ფაქტს როდესაც შევეხე აუცილებლად მივიჩნიე მიმომეხილა იმ პოლიტიკური გუნდის ხედვები, რომელმაც ძალისმიერი გზით მოახდინა ხელისუფლებაში მოსვლა. "რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის" პოლიტიკური პროგრამის განხილვა საინტერესო იყო იმ კუთხით, რომ იდეურად და სიტყვიერად ეს გაერთიანება მხარს უჭერდა ხალხთა აზრის თავისუფალ გამოხატვას, სიტყვის თავისუფლებას, თვითმმართველობის სისტემას, თუმცა რეალობაში სხვანაირად მიმდინარეობდა პროცესები. საბჭოთა კავშრმა შეცვალა თვითმმართველობის იდეა და ის პარტიულ ორგანიზაციამდე დაიყვანა, რამაც საზოგადოების მეტი კონტროლის შესაძლებლობა მისცა, რითაც დაამახინჯა მმართველობის მოდელი მთლიანობაშ და საზოგადოებაშიც ჩანერგა უნდობლობა და გულგრილობა ამ სისტემის მიმართ.

იმისათვის, რომ გამეგო თუ როგორი იყო თვითმმართველობისადმი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის არსებობის დროს გავეცანი 70 წლის განმავლობაში გამოცემულ ყველა კონსტიტუციას. ამ წყაროების გაცნობამ მომცა შესაძლებოლობა შემეფასებინა ის პოლიტიკური სივრცე, რომელშიც საქართველო მოექცა 70 წლის მანძილზე.

ცენტრალიზებული საბჭოთა სისტემა საბოლოოდ 1991 წელს დაიშალა, რის შემდეგაც საქართველომ შეძლო დამოუკიდებლობის აღდგენა, ამ პროცესებს კი მიუძღვოდა პოლიტიკური ბლოკი "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართაველო". იქიდან გამომდინარე, რომ მოხდა ხელისუფლების ცვლილება საინტერსო იყო თუ როგორი ხედვები გააჩნდა ამ ბლოკს სახელმწიფოს მოწყობისა და მართვის სტილში, სწორედ ამ მიზნით გავეცანი მათ პოლიტიკურ პროგრამას. ბლოკი იდეურად ცდილობდა

სახელმწიფოს დემოკრატიზაციას რაშიც უნდა დახმარებოდა თვითმმართველობა, რომელიც აღასრულდებდა ადგილზე დემოკრატიას. სწორედ ამ მიზნით გამოვიყენე ბლოკის პოლიტიკური პროგრამა, რომ გამეგო მათი ხედვები მომავალი საქართველოსი.

სამხედრო ამბოხისა და კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ე.წ. "ხუნტა"-ს პოლიტურ მიზნად გადაიქცა უზურპირებული ხელისუფლების ლეგიტიმურბა, რაშიც კონსტიტუციის მიღება დაეხმარებოდათ. 1995 წლი აგვისტოში მოხდა პირველი კონსტიტუციის მიღება, რომელმაც ხელისუფლების ვაკუუმი შეავსო სახელმწიფოში. ეს წყარო დამეხმარა გამეგო თუ რა ხედვები არსებობდა წინა საუკუნის 90-იან წლებში, როგორ ხედავდნენ დეცენტრალიზაციას იმდროინდელი პოლიტიკური ჯგუფები.

თვითმმართველობის სისტემაში ცვლილებები დედაქალაქიდან დაიწყო, რომელიც 2006 წლიდან განხორციელდა, როდესაც თბილისის მერს ნიშნავს არა პრეზიდენტი, როგორც ეს 1992 წლიდან იყო, არამედ საკრებულო ირჩევს. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია თანამედროვეობაში თუ, როგორ არის დეცენტრალიზაცია წარმოდგენილი და როგორია მისი განვითარების პერსპექტივები. ინფორმაფია, რომელიც მოვიძიე წარმოდგნელია კრებულს, რომლის ავტორებიც არიან: "ლოსაბერიძე, დავით; კანდელაკი , კონსტანტინე; აბულაძე, მამუკა; კონჯარია, ოთარ", ნაშრომი "ადგილობრივი თვითმმართველობა"-დან. ეს წყარო დამეხმარა გამეგო, როგორ არის გადანაწილებული ძლაუფლება თანამედროვე რეალობაში, რაც შესაძლებლობას მაძლევს მოვახდინო შედარება წარსულთან და გამოვიტანო კონკრეტული დასკვნები.

თემა იწყება ვახტანგ ხმალაძის წიგნიდან "ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში: წარსული, თანამედროვეობა, ტენდენცია", რომელიც ზოგადად მიმოიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპს, რას წარმოადგენს და როგორ უნდა ფუნქციონირებდეს სწორად გამართული თვითმმართველობა დემოკრატიულ სახელმწიფოში. საინტერესოა ეს შეფასება, რადგან კარგად ასახავს ჩემს შეხედულებას თვითმმართველობის მიმართ და აქედან გამომდინარე ჩემი თემისთვის ძალიან კარგი წყარო იყო, რომელიც ამყარებს ჩემს კვლევას სწორი კუთხით და თავიდანვე სახავს იმ ხაზს, რომელსაც მივყვები თემის წერის დროს.

დროებითი კანონი, რომელიც 1995 წელს იქნა მიღებული წარმოადგენდა იმ ვაკუუმის შევსების მცდელობას, რომელიც არსებობდა 90-იან წლებში. ეს წყარო საინტერესო იყო, რადგან გავეცანი თვითმმართველობის იმ თეორიულ ნაწილს, რომელიც ძალაუფლების გადანაწილებასა და ხელისუფლების აღსრულებას ეხებოდა.

თეორიულ ჩარჩოსთის მოიშველია ფრანგი მეცნიერის ალბერტინის ციტატა, რომელიც ძალაუფლების განადანიწლებას ეხება. ამ მასალამ გაამყარა ჩემი თეორია, რომელსაც მიუყვები კვლევისას, ამიტომ ეს წყარო აღმოჩნდა საინტერსო და გამოსადეგი ჩემი მოსაზრების გამყარებისთვის.

თანამედროვეობაში განხორციელებული კვლევები თვითმმართველობაზე გამოსადეგი და მნიშვნელოვანი წყარო გამოდგა ჩემი კვლევისთვის, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“-ის მიერ წარმოებული კვლევა დამეხმარა ამესახა ის მდგომარეობა, რაც იყო 2013 წლისთვის არსებობდა საქართველოში.

მეორე ციტატა, რომელიც თეორიულ ჩარჩოში გამოვიყენე იყო რუსი მეცნიერის დობრინინის, რომელიც ჩემს მიერ ჩამოყალიბებულ მოსაზრებას ამყარებს, რამაცა განაპირობა მისი გამოყენება. ის ეხება ძალაუფლების გადანაწილებას, რაც თვითმმართველობის საფუძველია.

„ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014“ ეს წყარო ჩემთვის ძალიან საინტერესო მიგნება იყო, რადგან კარგად ასახავდა „მოქალაქეთა კავშირის“ მმართველობის ფორმას ადგილობრივ თვითმმართველობების მიმართ. ეს მასალა დამეხმარა გამეგო, როგორ აკონტროლებდა ცენტრი თითქოსდა პლურალისტულ რეგიონებს.

2006 წელს განხორციელებული ცვლილებების და მის საფუძველზე რეგიონალური ერთეულების ცენტრისადმი დაქვემდებარების ფაქტი, რომელიც პარტიულ სტრუქტურად გარდაქიმნდა, ამ თემაზე დამეხმარა „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განვრცობილი კონცეფცია“, საიდანაც მივიღე ინფორმაცია, ძლაუფლების კონცენტრაციის შესახებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“.

ინტერვიუ, რომელიც ჩავწერე 2012 წლის მოწვევის პარლამენტართან, ვახტანგ მახალესთან აღმოჩნდა ძალიან ნაყოფიერი და ინფორმაციის მომცემი, იგი დამეხმარა წარსულისა და რაც მთავარია თანამედროებაში მიმდინარე პროცესების გარკვევაში.

თავი I- თვითმმართველობის და სახელმწიფოს მოწყობის ისტორიული წანამძღვარი საქართველოში

ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია მრავალი კუთხით არის საინტერესო, მისი მმართველობის მოდელი, ძალაუფლების კონცენტრაცია თუ გადანაწილება, ის თუ როგორ იმართებოდა მთლიანობაში ქვეყანა თუ მისი რომელიმე კონკრეტული რეგიონი, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფოს სწორი განვითარებისა და გაძლიერებისთვის.

ქართულმა სახელმწიფომ თავისი არსებობის პერიოდში განვლო განვითარების რამდენიმე ეტაპი, რომლებმაც კონკრეტულ დროს თავისი გადამწყვეტი როლი ითამაშეს ქვეყნის წინსვლასა და სტაბილურობისთვის. ეს პერიოდები გამოძახილი იყო იმდროინდელი სამყაროსი, რომლის განუყოფენი ნაწილიც იყო ქართული სამეფო. ფეოდალურმა ხანამ, რომელმაც თავის თავში სამი ძირითადი ეტაპი გამოყო (ადრე, შუა,გვიანი) შექმნა საქართველოს სახელმწიფო, რომელმაც განიცადა, როგორც აღზევება ისე დაცემა.

ფეოდალური სახელმწიფო მოწყობილი იყო იმგვარად, რომ დამორჩილებოდა ერთ უზენაეს მმართველს, რომელიც განასახიერებდა, როგორც საერო ისე სასულიერო ერთიანობას, ეს იყო მეფე, რომლის მმართველობა მიმართული იყო თვითმპყრობელობისა და ცენტრალიზაციისაკენ.

ქართული ფეოდალური სამეფოს დაყოფა ადმინისტაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომელსაც საფუძვლად ედო პოლიტიკური, ეკონონომიკური, ბუნებრივი ან ეროვნული საკითხი, საერისთავოებად იწოდებოდა, რომლებიც თავის მხრივ მოიცავდნენ უფრო მცირე ტერტორიულ გაერთაინებებს თემებს, რომლებიც ასევე იყოფოდნენ ხევებად, რაც უფრო წვრილი ტერიტორიული ერთეული იყო ფეოდალურ საქართველოში. საერისთავოებს განაგებდნენ მეფისთვის სასურველი და მის მიერ დასმული ერისთავები, თემებისა და ხევების შემთხვევაში არსებობდა მეტი თავისუფლების გამომხატველი

ურთიერთობები, რაც გამოიხატებოდა მკვიდრი მსოახლეობის მიერ მამასახლისების კანდიდატურების წარდგენაში, რომლებიც იკავებდნენ ამ „თანამდებობებს“. ამგვარი დანაწილება მიზნად ისახავდა მმართველობითი სისტემის გაადვილებას და ცენტრალური ხელისუფლების ინტერესების გატარებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც საერთო ჯამში სახელმწიფო მართვის მოდელს ცენტრალიზებულს ხდიდა, რადგან ყველა რეგიონის მმართველი განასახირებედა მეფის ინტერესების დამცველსა და გამომხატველს. “ფეოდალიზმის ხანაში დაუწერელი წეს-ჩვეულებისა და კანონის მიხედვით ფუნქციონირებდნენ თვითმპყრობელი მეფე, მის მიერ დანიშნული ერისთავები და მოურავები, თემის მიერ არჩეული მამასახლისები და მოსამართლეები.” (ბენდიანიშვილი, 2008)

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა უძველესი დროიდან არსებობდა საქართველოში, რომელიც გამომდინარეობდა ბუნებრივი რელიეფის, ეკონომიკის და სამხედრო სფეროს გათვალისწინებით, რომელიც გახდა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძლზე საქართველოს ადმინისტაციული დაყოფის საფუძველი, რომელიც დროთა განმავლობა იცვლებოდა, იზრდებოდა ან მცირდებოდა.

საქართველოს სამეფოში საერისთავოებში ერთიანდებოდა თემები, რომელიც თვითმმართველობის მსგავს გაერთიანებას გავდა, რადგან მისი მმართველი მამასახლისი, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მიერ დგინდებოდა და ამ არჩევანს ადასტურებდა ერისმთავარი. ამგვარი მოდელი მთელს საქართველოში იყო გარცელებული თუმცა მხოლოდ მთიანეთში შემორჩა ის XIX საუკუნემდე, სადაც მოსახლეობა აქტიურად იყო ჩართული თავიანთი პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტაში, რაც საქართველოში ადგილობრივი მმართველობის დიდი გამოცდილების ყველაზე კარგი მაგალითია.

საინტერესო ფაქტს წარმოადგენდა თბილისის მმართველობითი სისტემა არაბთა ბატონობის დასრულებიდან (XI ს-ის 80-იანი წლები) დავით აღმაშენებლის მიერ ქალაქის დაკავებამდე (1122 წ.), რომელიც მდგომარეობდა მოქალაქეთა შორის უხუცესთაგან შემდგარი საბჭოში, რაც კოლექტიური მმართველობის მოდელი იყო, რასაც „ტფილელი

ბერების“ მმართველობა ეწოდა. ფეოდალური ხანისთვის იშვიათი ამგვარი მოვლენა უჩვეულო და საინტერესო იყო, რადგან იმდროინდელი მსოფლიოს ყველა მმართველობითი სტრუქტურა ყალიბდებოდა ცენტრალიზებული მიმართულებით, რაც გამოარჩევდა „ტფილელი ბერები“-ს მიერ ქალაქის კოლეგიალურ მართვას.

ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლა, რომელიც XV საუკუნეში მოხდა განპირობებული იყო რეგიონალური მმართველების სწრაფვით დამოუკიდებლობისკენ, რომელიც სუსუტი ცენტრალური ხელისუფლების არსებობამ გამოიწვია, საქართველოში საერთო ჯამში ვერ შედგა მკაცრად ცენტრალიზებული მონარქიული მმართველობა, რომელიც იქნებოდა ერთიანობის გარატი, სწორედ ამ ცენტრის არარსებულობამ გამოიწვია ერთიანი სამეფოს დასასრული. საქართველოს სამეფო დაიშალა იმერეთის, ქართლისა და კახეთის სამეფოებად და ერთ საათაბაგოდ, რომლებიც თავის მხრივ დაიყვნენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემის მიხედვით, რომლებიც თავის მხრივ არ ემორჩილებოდნენ ახალ შემდგად პოლიტიკურ ცენტრებს (სამეგრელო, გურია, რაჭა, სვანეთი), ამ ფაქტორებმა განსაზღვრეს საქართველოს რეგიონებისა და მთლიანად ქვეყნის შემდგომი განვითარება, მისი პოლიტიკური მოწყობის საკითხი, მმართველობის მოდელი.

ამგვარი ტერიტორიული მოწყობა არსებობდა XVIII საუკუნემდე, ძველი მოდელი ინარჩუნებდა თავის აქტუალურობას მანამ სანამ არ მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილება საქართველოს სამეფოების დამოუკიდებლობაში, კერძოდ რუსეთის იმპერიაში ძალით გაერთიანებამდე, რამაც შეცვალა მთლიანად საქართველოს შემდგომი განვითარება, როგორც სახელმწიფოებრივი ისე ადგილობრივი მმართვლობის საკითხში.

1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა მანიფესტის საფუძველზე, რომელიც მოკლებული იყო კანონიერებას, გააუქმა მის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფო და მოახდინა მისი რუსეთის იმპერიში გაერთიანება, ამგვარი მოქმედება განხორციელდა 1810 წელსაც, როდესაც უკვე ძალისმიერი გზით მოხდა იმერეთის სამეფოს მიერთება იმპერიისათვის, რასაც ნელ-ნელა მოჰყვა მთლიანად ქართული ტერიტორიების მოქცევა რუსეთის სივრცეში. ეს მოვლენები რადიკალური ცვლილებების დასაწყისი

აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ტეროტორიულ-ადმინისტაციული მოწყობისთვის, რომელიც საუკუნეების მანძილზე უცვლელად არსებობდა ქართულ სივრცეში.

იმისათვის, რომ ახალდაპყრობილი ტერიტორიის მართვა ყოფილიყო მოქნილი და მარტივი იმპერიული ხელისუფლებისთვის, განხორციელდა ტერიტორიის ახალი დაყოფა-განაწილება, რაც მიზნად ისახავდა ძალაუფლების კონცენტრირებას და სრულ კონტროლს. ამგვარი მმართველობის მოდელმა იარსება რუსეთის იმპერიის დამხობამდე და საქართველოს დამოუკიდებლობა მოპოვებამდე, 1918 წლის 26 მაისი.

რუსული ადმინისტრაციული დაყოფა საქართველოს ტრიტორიას ყოფდა ორ დიდი გაერთიანებად, გუბერნიად, თბილისისა და ქუთაისის, რომელშიც ერთიანდებოდა შედარებით მცირე ტერიტორიული ერთეულები მაზრები, სულ საერთო ჯამში არსებობდა თბილისის გუბერნიაში 30, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 24 მაზრა, რომლებიც თავის მხრივ იყოფოდა საბოქაულოებად უფრო წვრილ ერთეულებად. ასევე არსებობდა სოხუმისა და ბათუმის ოკრუგები, რომლებიც ცალკე იყო გამოყოფილი გუბერნიებიდან, მათი ტერიტორიული მდებარეობისა და იმპერიაში გაერთიანების დროის მიხედვით. „**თბილისი გუბერნია:** სიღნაღის მაზრა: 1. ბაკურციხის, 2.ქოდალოს, 3. მაჩხაანის, 4. შირაქის. თელავის მაზრა: 5. ყვარლის, 6. წინანდლის, თიანეთის მაზრა: 7. ფშავ-ხევსურეთის, 8. ერწოს, 9. თუშეთ-კახეთის, დუშეთის მაზრა: 10. ბაზალეთის, 11. მცხეთის, 12. ქსნის, 13. ქვეშეთის. გორის მაზრა: 14. ბორჯომის, 15. მეხვრისხევის, 16. სურამის, 17. ხიდისთავის, 18. ცხინვალის. თბილისის მაზრა: 19. სართიჭალის, 20. თბილისის, 21. ყარაიას. ბორჩალოს მაზრა: 22. ბორჩალოს, 23. ეკატერინფელდის, 24. ლორეს, 25. თრიალეთის, ახალქალაქის მაზრა: 26. ბარალეთის, 27. ბოგდანოვკის, ახალციხის მაზრა: 28. ქვაბლიანის, 29. აწყურის, 30. ურაველის. **ქუთაისის გუბერნია:** შორაპნის მაზრა: 31. ყვირილის, 32. საჩხერის, 33. ჭიათურის, 34. ჩხარის, 35. ბელაგორის, ქუთაისის მაზრა: 36. ქუთაისის, 37. ტყიბულის, 38. ბაღდადის, 39. სამტრედიის, 40. ხობის, რაჭის მაზრა: 41. ონის, 42. ამბროლაურის, ლეჩხუმის მაზრა: 43. ალპანის, 44. ცაგერის, 45. სვანეთის, ზუგდიდის მაზრა: 46. ზუგდიდის, 47. წალენჯიხის, 48. რედუტ-კალეს, სენაკის მაზრა: 49. აბაშის, 50. მარტვილის,

51. ნაქალაქევის, ოზურგეთის მაზრა: 52. გურიანთის, 53. ლანჩხუთის, 54. ჩოხატაურის, **ბათუმის ოკრუგი:** 55. ზემო აჭარის, 56. ქვემო აჭარის, 57. გონიოს, 58. კინტრიშის, **სოხუმის ოკრუგი:** 59. გუმისთის, 60. გუდაუთის, 61. კოდორის, 62. სამურზაყანოს“ (ხარაძე, 2003)

XIX საუკუნის 60-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა რუსეთის იმპერიაში, კერძოდ 1861 წელს რუსეთის ტერიტორიაზე გაუქმებულ იქნა ყმობა, რაც ნელ-ნელა დაპყრობილ ტერიოტირებსაც გადაწვდა და 1864 წელს თბილისის გუბერნიაში გამოცხადდა მონობის გაუქმება, რომელიც განხორციელებულ იქნა იმპერატორ ალედსანდრე II-ის მიერ. ეს იყო პირველი გამოხატულება მოსახლეობის გათავისუფლების, რათა შემდეგ ეს მასა გამხდარიყო უფრო ჩართული და აქტიური ქვეყნის საქმეში, რაც მათ სურვილს დააკმაყოფილებდა და იმპერატორის ხელისუფლებას საშიშროებას არ შეუქმნიდა. თუმცა მოქალაქეები უფრო მეტსა და მეტს ითხოვდნენ თავიანთი ინტერესების დაცვის გამო. „1864 წლის „წეს-წყობილებაში“ ნათქვამია, რომ „საერო თვით-მმართველობა“ იმისათვის დაწესდა, რომ ყოველი მაზრა და ყოველი გუბერნია თვითონვე განაგებდეს თავის მცხოვრებლების საერობო საქმეებს“ (ბელოკონსკი , 1905)

თვითმმართველი ორგანოს შექნა, რომელიც 1864 წელის 13 ოქტომბერს შეიქმნა თბილისი გუბერნიაში, ხოლო 1865 წლის აპრილში მეფისნაცვლის მიერ დამტკიცებულ იქნება ეს რეფორმა მთელ საქართველოზე გავრცელდა. ამ საზოგადოებრივი გაერთიანებას „სოფლის ყრილობა“ ეწოდებოდა და რომელიც წარმოადგენდა თვითმპყრობელი იმპერიის სივრცეში ერთ-ერთი პირველი დემოკრატიული ორგანო.

სოფლის მმართველობის მოვალეობაში შედიოდა ადგილობრივი სამეურნეო და ადმინისტრაციული სფეროების გაძღოლა: გზები, მეურნეობა, საერთო ტყით და საძოვრებით სარგებლობა და გადასახადების განაწილება-აკრეფა. სოფლის მმართველობა ფორმალურად სამ შტოდ დაიწყ: 1) მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა გლეხთა ყრილობა, 2) აღმასრულებელ ხელისუფლებას მამასახლისი გასწევდა, 3) მართლმსაჯულებას სოფლის სასამართლო აღასრულებდა. “სოფლის მმართველობა ფორმალურად სამ შტოდ

განაწილდა: მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა გლეხთა ყრილობა, აღმასრულებელ ხელისუფლებას მამასახლისი გასწევდა, მართლმსაჯულებას სოფლის სასამართლოს აღასრულებდა". (შველიძე, 2015)

თბილისი, რომელიც მთელი ამიერკავკასიის ცენტრი იყო გახდა შედარებით თავისუფალი (1841წ.), რომელსაც უკვე განაგებდა არა „პოლიცმაისტერი", რომელიც მეფისნაცვლის უშუალო ხელქვეითი იყო, არამედ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი მმართველობის ჩანასახი, ქალაქის თავისა და ექვსი ხმოსნის შემადგენლობით, რომელიც მართალია არ იყო დამოუკიდებლები თავის ქმედებასა და გადაწყვეტილებაში, მაგრამ მაინც წარმოადგენდა ახალი ტიპის მართვის სტილის. ქალაქის თავს ფორმალურად მოქალაქეები ირჩევდნენ, ხოლო ხმოსნებს ის მოსახლეობა, რომელსაც ჰქონდათ ბინა, სავაჭრო ან სახელოსნოები. მათი უმთავრესი და ძირითადი მოვალეობა გადასახადების აკრეფა იყო, ეს იყო საწყისი ადგილზე მართვის, რომელიც შემდეგ ნელ-ნელა განვითარდა და ჩამოყალიბდა ქალაქის მმართველობად, რასაც მოჰყვა რეგიონებისადმი თვითმმართველობის უფლების მინიჭება, თუმცა არა სრული თავისუფლების ფარგლებში, მაგრამ იმდროინდელ სამყაროში ის იყო იმედისა და განვითარების სხივი.

1866 წელის 11 აგვისტოს დებულებით შემოღებულ იქნება ას კაციანი ხმოსანთა სტრუქტურა, რომელიც ირჩევდა ქალაქის თავს და მის წინაშე პასუხისმგებელ 8 აღმასრულებელ წევრს. თუმცა რელურად ამ რეფორმის ცვლილება 1870 წელს დასრულდა, როდესაც მიღებულ იქნეა დადგენილება თვითმმართველობის არჩევნებში ქონებრივი ცენზის შემოღების შესახებ. ამ ცვლილებამ კიდევ უფრო გააფართოვა ქალაქის მმართველთა უფლებები, ისინი ნომინალურ ფიგურებს უკვე აღარ წარმოადგენდნე, რამაც ეს ორგანო უფრო გააძლიერა და მოხდა ამ მიმართულებით დემოკრატიის კიდევ უფრო გაღრმავება და გაძლიერება, რადგან გადაწყვეტილებას იღებდნენ ქალაქის მაცხოვრებელები, რომელთაც უკეთ იცოდნენ რა სჭირდებოდა ქალაქს და საზოგადოებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქონებრივი ცენზის დადგენამ გარიყა ჩვეულებრივი მოქალაქეები აქტიური პოლიტიკიდან, რადგან არჩევნებში მონაწილეობისთვის საჭირო

გახდა კონკრეტული შემოსავლის ქონა, რაც მოქალაქეს მისცემდა უფლებას აერჩია ან ყოფილიყო არჩეული ქალაქის ხმოსანთა საბჭოში.

1888 წელს თვითმმართველობა მიიღო ქალაქმა ბათუმმაც, ხოლო მანამდე 1882 წელს ფოთს მიენიჭა თვითმმართველობის უფლება. 1894-1899 წლებში თვითმმართველიბა კიდევ ხუთ ქართულ ქალაქს მიენიჭა:, ახალქალაქს, თელავს, სოხუმს, სიღნაღს, ოზურგეთს.

მმართველობის ამგვარი სისტემა რუსეთის იმპერიაში გაგრძელდა მის დამხობამდე, 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ დაამხო მონარქია რუსეთში და ხელისუფლებაში მოიყვანა სოციალისტური შეხედულების მქონე დროებითი მთავრობა, რომელიც ცდილობდა გარდაექმან იმპერია დემოკრატიულობისკენ და მიეცა მისი ქვეშევრდომებისთვის მეტი თავისუფლება.

1917 წლის 25 აპრილს გაუქმებულ იქნა ხმოსანთა სათათბიროში არჩევისთვის დაწესებული ქონებრივი ცენზი, რაც მნიშვნელოვანი იყო ამ ორგანოს გათავისუფლებისთვის და რეალურად საზოგადოებისთვის სამსახურისთვის.

ამავე პერიოდში მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ქალაქებისთვის თვითმმართველობის სტატუსის მინიჭება, ესენი იყვნენ: ხაშური, ჭიათურა, ონი, სამტრედია, შორაპანი, ხონი, მცხეთა, საჩხერე, ზუგდიდი, ოჩამჩირე, გუდაუთა, კასპი. ეს პროცესი გამოხატავდა ცენტრალიზებული ხელისუფლების თანდათანობრივ უარყოფას და დემოკრატიულ საფუძვლებზე გადასვლას, სადაც ყველა მოქალაქის აზრი თუ პოზიცია გათვალისწინებული და მიღებული იქნებოდა.

რუსული მმართველობა საქართველოში დასრულდა 1918 წლის 26 მაის, როდესაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა და ქვეყანა შეუდგა სახელმწიფოს მშენებლობას, დემოკრატიული საფუძვლით, რაც ძალაუფლების დეცენტრალიზაციის იდეით იყო გამოხატული, რომელიც ხორციელდებოდა ერობების მეშვეობით, რომელთა განვითარებაც სოციალ-დემოკრატთა და არა მარტო მათ პრიორიტეტს წარმოადგენდა ქყვენის საშინაო საქმეების მოგვარების საქმეში.

საქართველოს პირველი რესპუბლიკა მმართველობის პოლიტიკური მოდელით დემოკრატიული, ხოლო ტეროტორიული მოწყობის კუთხით უნიტარულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც თავის თავში აერთიანებდა ავტონომიურ ერთეულებსა და ფართო უფლებების მქონე თვითმმართველობებს. „ საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო, მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“. (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი I. 1, 1921 წელი)

სახელმწიფოს უნიტარულ მოდელზე შეჯერება განპირობებული იყო, რამდენიმე საკითხით, რომელიც საქართველოს რეალობაში არსებობდა, კერძოდ ტერიტორიული სიმცირე, რაც ფედერაციული მოწყობის დამკვიდრებისთვის არახელსაყრელი და უადგილო იქნებოდა, სეპარატიზმის რეალური საშიშროება, რომელიც არსებობდა 1918-1921 წლების საქართველოში და რამაც რეალურად იჩინა თავი აფხაზეთისა და შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ტერიტორიულად შემდგომ დროინდელ „სამხრეთ ოსეთს“.

ამ საკითხებმა განსაზღვრეს დეცენტრალიზებული უნიტარიზმის დამკვიდრება, რომელიც ჩამოყალიბდა იმ უნიკალური მოვლენების საფუძველზე, რომელიც არსებობდა იმდროინდელი საქართველის რეალობაში. მიუხედავად განუყოფლობის იდეისა დემოკრატიული მმართველობის ეს მოდელი მაინც ატარებდა დეცენტრალიზაციის საფუძვლებს, კერძოდ ეს გამოიხატებოდა სამი რეგიონის, აფხაზეთის, აჭარისა და ზაქათალის ავტონომიური ოლქების შექმნითა და რაც მთავარია მთელს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებით, რაც ძალაუფლების გადანაწილებისა და ზოგადად სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

ახალმა რესპუბლიკამ უარყო ძველი ადმინისტრაციული დაყოფა და 1919 წლის 30 იანვრის კანონით გააუქმა რუსული საგუბერნიო ტერიტორიული დაყოფა და რესპუბლიკა განაწილებულ იქნეა სამაზრო და სათემო ერთეულებად, რომლებსაც ბუნებრივი თუ

ეთნიკური საფუძველი ჰქონდათ. „საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 30 იანვრის კანონი 1. გაუქმებულ იქნეს რესპუბლიკის გუბერნიებად დაყოფა და საგუბენიო ადმინისტრატიული დაწესებულებანი“ ("საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული", 1990) ახალ დამკვიდრებულ ერთეულებს მიენიჭათ თვითმმართველობის უფლებები, რაც დემოკრატიულობის გამტკიცების საფუძველი უნდა გამხდარიყო, რა იდეასაც ემყარებოდა პირველი რესპუბლიკა მთლიანობაში.

პირველმა რესპუბლიკამ განსაზღვრა, როგორც სამაზრო ისე სათემო მმართველობის ფორმები, რომლებიც კანონის დონეზე იქნებოდნენ თავისუფლები და მოაგვარებდნენ რეგიონალურ საკითხებს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში არსებული სეპარატისტული შეხედულბების გამო თვითმმართველობა წარმოადგენდა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს, რომელზეც სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდა. „ ჩვენი ერობის ორივე საფეხურზე უნდა იყოს დაწესებული ცენტრალური მთავრობის კონტროლი ნაწილობრივათ და კუთვნილებისამებრ ადმინისტრატიულ და ფინანსიურ მხარეებში როგორც კანონიეების ისე მიზან-შეწონილობის მხრივ“. (ერობა და ქალაქი, 1919-1920)

ცენტრალურ ხელისუფლება თვითმმართველობის საქმეებში უხეშად ჩარევის უფლება არ ჰქონდა, მიღებული გადაწყვეტილება უქმდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ესა თუ ის დადგენილება ქვეყნის ერთიანობას უქმნიდა საფრთხეს, სხვა შემთხევაში მხოლოდ სასამართლოს ჰქონდა თვითმმართველობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების უფლება მოსილება. (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი X. 102-103, 1921)

რესპუბლიკა, რომელმაც არასრული სამი წელი იარსება შექმნა სრულიად ახალი მმართველობის მოდელი საქართველოს რეალობისათვის, რომელიც სრულიად ახალი და გამოუცდელი იყო, მაგრამ სირთულეების მიუხედავად თვითმმართველობის მოდელის საფუძვლის შექმნა მაინც მოხერხდა.

სივრცე, სადაც საქართველო მოექცა 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ გაცილებით მკაცრად ცენტრალიზებული და რეპრესირებული იყო ვიდრე იმპერიული რუსეთის მმართველობის სისტემა. ოკუპაციის შედეგ დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მიღწევა დეცენტრალიზაციის მიმართულებით უარყოფილი და მივიწყებულ იქნა, ქვეყანა გარდაიქმნა კვლავ ცენტრალიზებული მმარველობისთვის, რამაც გასტანა მის დამხობამდე (1991წ.). თუმცა არც მის შემდეგ მომხდარა ამ მოდელისგან სრულიად განთავისუფლება, იმდენად სასტიკად და სიღრმისეულად მოხდა ყველა დემოკრატიული ღირებულების განადურება ქართველი მოსახლეობის გონებიდან, რომ დღევანდელობაშიც კი, დამოუკიდებლობის 26-ე წელს ძნელია იმის თქმა საქართველოში არსებობს თუ არა რეალურად დეცენტრალიზებული ძალაფლება.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართვეოს პირველი რესპუბლიკის ოკუპაციის პირველივე დღეებიდანვე დაიწყო არსებული ადმინისტრაციულ-ტრიტორიული მოწყობის გარდაქმნა, 1921 წლის 4 მარტს აფხაზეთის ავტონომიური ოლქი გამოცხადდა სოციალისტურ რესპუბლიკად, რომელიც 1921 წლის 28 დეკემბრის „ განსაკუთრებული ხელშეკრულების“ საფუძველზე შევიდა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, მოგვიანებით 1927 წლის საბჭოთა კონსტიტუციაში მოხსნიებულ იქნა, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკაში ხელშეკრულების საფუძველზე იყო გაერთიანებული. ხოლო 1931 წელის აფხაზეთის საბჭოების 6-ე ყრილობის საფუძველზე აფხაზეთის რესპუბლიკა, როგორც მოკავშირე შევიდა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. ეს ცვლილებებეი აღნიშნული იყო საბჭოთა კავშირის 1936-1977 წლების, ასევე საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის 1937-1978 წლების კონსტიტუციებში. (მაცაბერიძე, 2014)

ავტონომიური რესპუბლიკის მეორე შემთხვევა იყო აჭარა, რომელიც 1921 წლის მარტის ბრძლების შემდეგ საბჭოთა რუსეთს დარჩა, თუმცა მოხდა თურქეთთან დათმობაზე წასვლა, რომელიც 1922 წლის „ყარსისი ხელშეკრულებით“ არის ცნობილი და რამაც განაპირობა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნა 1921 წლის 16 ივლისი, რომელიც

სრულიად ხელოვნურად იქნა გამოყოფილი საქართველოს ტრიტორიიდან, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

მესამე ცვლილება ეხებოდა სამაჩაბლოს ტერიტორიას, რომელზეც ოსური მოსახლეობა აცხადებდა პრეტენზიას და ცდილობდნენ აფხაზეთისა და აჭარის მსგავსად ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსისი მიღებას, თუმცა მხოლოდ ავტონომიური ოლქის სტატუსი „უბოძა“ საბჭოთა ხელისუფლებამ 1922 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე.

70 წლიანი საბჭოთა მმართველობისას არსებობდა ორი ავტონომიური რესპუბლიკა (აფხაზეთი, აჭარა) და ერთი ავტონომიური ოლქი (სამხრეთ ოსეთი). საბჭოთა მმართველობისას ტეროტირა დაყოფილი იყო 69 რაიონად, რომლებიც ქვეყანას უფრო მეტად წვრილ ერთეულებად ყოფდნენ, ვიდრე ეს პირველი რესპუბლიკის დროს არსებული მაზრებისა და თემების შემთხვევაში იყო, რაც გამიზნული იყო სრული და ტოტალური კონტროლისათვის ოკუპანტი ხელისუფლებისთვის. მნიშვნელობიდან და სიდიდიდან გამომდინარე ცალკე ერთეულებად იყო წარმოდგენილი ქალაქები : თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, გორი, ფოთი, ზუგდიდი და ტყვარჩელი, 4488 სოფელი ერთიანდებოდა 942 სასოფლო საბჭოში. (მაცაბერიძე, საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. თემა 8, 2014)

საბჭოთა საქართველოს ტერიორიული მოწყობა შენარჩუნდა მის დაშლამდე (1991წ.). დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანამ განვითარება რთულად დაიწყო, ორი სრულმასშტაბიანი ომი, საოქალაქო ომი, მღელვარება, კანონიერი ხელისუფლების დამხობა, ეკონომიკური სიძნელეები და სხვა ფაქტორები ზეგავლენას ახდენდნენ სახელმწიფოს განვითარებაზე. კანონიერი ხელისუფლების დამხობიდან (1991-1992წლები) 1995 წლამდე, როდესაც მიღებულ იქნა პირველი კონსტიტუცია სუფევდა სრული ქაოსი და უკანონობა, ქვეყნის უმთავრესი კანონის გარეშე წესრიგის აღდგენა რთული იყო, თუმცა არც კონსტიტუციის მიღების შემდეგ გამოსწორდა მდგომარეობა საქართველოში.

ჯერ კიდევ მანამ სანამ ოფიციალურად არსებობდა საბჭოთა კავშირი საქართველოში შესაძლებელი გახდა ეროვნული ხელისუფლების არჩევა კანონიერი გზით (1990წ. 28 ოქტომბერი), რომელმაც მიზნად დაისახა ქვეყნის საბჭოთა კავშირის სივრციდან გაყვანა, რასაც რუსული და საქართველოში მოქმედი სეპარატიული იდეების მატარებელი ხალხისგან კონტრ-რექცია მოყვა. 1990 წლის დეკემბერში სამხრეთ ოსეთის ავტონომირმა ოლქმა თავი რესპუბლიკად გამოაცხადა და საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას შეეცადა, რასაც სამხედრო დაპირისპირე მოჰყვა 1991-1992 წლებში . ამ ეტაპიდან დაიწყო დამოუკიდებელი საქართველოს ახალი რეალობა ტერიტროიული მოწყობის კუთხით.

ტერიტორიული მოწყობის მეორე პრობლემა წამოიჭრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახით, რომელმაც მოისურვა ასევე საქართველოს ერთიანი სივრციდან გასვლა, რამაც კვლავ სამხედო დაპირისპირება გამოიწვია (1992-1993წ.), რამაც ერთიანი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხო სამომავლოდ გადადო. თუმცა ამ ორი რეგიონის გარდა საქართველო დაყოფილია რაიონებად, ოლქებად, რომლებიც აღჭურვილები არიან ადგილობირივი მმართველობის უფლებებით, რაც გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის პირველი თავის 2-ე მუხლის 4-ე ქვეთავი. „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ხელს უწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას“ (საქართველოს კონსტიტუცია თავი I. 4, 1995) და ცალკე 7-ე თავით, რომელიც არეგულირებს თვითმმართველობის უფლება მოვალეობასა.

ამგვარად იყო წარმოდგენილი თვითმმართველობისა და ტერიტორიული მოწყობის ისტორიული წანამძღვარი საქართველოში, რომელიც ხასიათდებოდა უჩვეულო მოვლენებით, სეპარატიული დეცენტრალიზაცით, ცენტრალური ხელისუფლების შექმნის მცდელობით, ნებაყოფლობით ძალაუფლების გადანაწილებით. ამ წანამძღვარით განისაზღვრა საქართველოს სახელმწიფო მოწყობის თანამედროვე მოდელი, რომელიც ემყარება წარსულის გამოცდილებას.

თავი II-ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები 1921 წლის კონსტიტუციისა და პოს-საბჭოთა ეპოქის კონსტიტუციებში: შედარებითი ანალიზი

საქართველოში რესპუბლიკური მმართველობის დამკვიდრების დღიდან (1918წ. 26 მაისი) მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ქვეყნის მოწყობის, მისი ტერიტორიული გადანაწილების მოწესრიგება. ახალი სტრუქტურის შექმნა, რომელიც მორგებული იქნებოდა მმართველობის ახალი, დემოკრატიული მოდელისათვის და რომელიც შესაძლებელს გახდიდა სახელმწიფოს ეფექტურ მართვას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის, ზაქათალის, სოხუმის, ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქებში და შავი ზღვის გუბერნიის ნაწილში. ეს ადმინისტაციული ტერიტორიები საქართველოს ისტორიულ საზღვრებს მოიცავდა და თითქმის სრულებით აერთიანდებდა ქართველებით დასახლებულ რეგიონებს. ამგვარ სახელმწიფო საზღვარზე მოხდა შეთანხმება ყველა პოლიტიკურ პარტიათა შორის და განისაზღვრა ახალი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორია.

ტერიტორიული საზღვრების საკითხის გადაჭრის შემდეგ მეორე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა ქვეყნის მართვის მოდელის განსაზღვრა და შეთანხმება პოლიტიკურ პარტიებს შორის. ქართველი სოციალ-დემოკრატები და მისი ლიდერი, ნოე ჟორდანია, პირველი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში, სადაც უმრავლესობით იყვნენ წარმოდგენილები განიხილავდნენ სახელმწიფოს მოწყობის მოდელებს, კერძოდ პარლამენტურ რესპუბლიკასა და დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელთა შორისაც უპირატესობას უკანასკნელზე აკეთებდნენ, მისი წარმომადგენლობითობის მნიშვნელობიდან გამომდინარე. ნოე ჟორდანია განმარტავდა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ხალხის ინტერესების დამცველი და გამომხატველი იყო, რადგან თავის სტრუქტურაში მოიცავდა ფართო თვითმმართველობას, რაც საზოგადოების ჩართულობას

განაპირობებდა სახელწიფო საქმეებსა და პოლიტიკაში. „დემოკრატიულ რესპუბლიკას საფუძვლად ედება პრინციპი ხალხის პოლიტიკური თვითმმართველობისა. აქ ძალა-უფლება მარტო ცენტრში არ არის მოგროვილი, არამედ განაწილებულია ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ხალხი ირჩევს არა მარტო დეპუტატებს პარლამენტისათვის, არამედ-კანონების აღმსრულებლებსაც, ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს და სხვ. ხალხი პირდაპირ მონაწილეობას იღებს კანონების გამოცემაში. ასე რომ, დამახასიათებელი თვისება დემოკრატიული რესპუბლიკისა ის არის, რომ ხალხი პირდაპირ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს მართვა-გამეობის საქმეში“. (გურული, 2008)

ამ ძირითადი იდეის მიმართულების მოხდა დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის განვითარება, რომელიც, რომ შევაფასოთ დეცენტრალიზებულ უნიტარიზმს წარმოადგენდა, რომელიც მოიცავდა განუყოფლობის (უნიტარიზმი) იდეას და ასევე დეცენტრალიზებულ ძალაუფლებას (ადგილობრივი თვითმმართველობა). სახელმწიფოს მოწყობის ორი იდეის ნაზავი განასახიერებდა საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობის სირთულეს, რაც გამომდინარეობდა რთული გეოგრაფიული და პოლიტიკური გარემოცვაში არსებობით, რაც საშიშროებას ქმნიდა, სახელმწიფო, როგორც საგარეო ისე საშინაო მტრების გააქტიურების კუთხით. თუმცა ამავე დროს ამგვარი მმართველობის მოდელის არჩევა მეტყველებს პოლიტიკური ფიგურებისა და პარტიების ლოგიკურ მსჯელობაზე, რაც სიტუაციის სწორი გაანალიზების საფუძველზე იქნა მიღებული.

დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და სახელმწიფო მართვის დასწყისში მოხდა საქართველოს ტერიტორიის ხელახალი გადანაწილება, გაუქმებულ იქნა იმპერიული რუსეთის მიერ ჩამოყალიბებული ტერიტორიული მოწყობა, გუბერნიული სტრუქტურა სამაზრო და სათემო დაყოფამ ჩაანაცვლა. ასევე ჩამოყალიბდა სამი ავტონომიური ოლქი და მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრდა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა, რომელიც განპირობებული იყო ეკონომიკური, ეთნიკური, ბუნებრივი თუ სხვა საფუძვლების გათვალისწინებით, რასაც უნდა გაემარტივებინა და

განემტკიცა მმართველობის ახალი სისტემა, სადაც მოქალაქეები იქნებოდნენ ჩართულები საკუთარი და ზოგადად სახელმწიფო საქმეების განხილვა-მოგვარებაში.

საქართველოს პირველმა რესპუბლიკამ საკუთარი იდეები მის კონსტიტუციაში ასახა, რომელიც გამოხატავდა იმ მისწრაფებებს, რომელიც არსებობდა იმდროინდელი პოლიტიკურ თუ საზოგადოებივ სივრცეში, ეს მისწრაფება კი იყო ქვეყნის დემოკრატიული, თანაწორობის იდეაზე დამყარებული მართვა, რის ყველზე კარგ განსახორციელებლ მეთოდად ადგილობრივი თვითმმართველობა აღიქმებოდა, პარლანეტრში წარმოდგენილ ყველა პოლიტიკურ პარტიათათვის. ამ ორიენტაციამ განსაზღვრა მისი დამკვიდრება და აქტიური მუშაობა ამ სისტემის გმართულად ფუნქციონირებისთვის.

1921 წლის კონსისტუციის მიხედვით საქართველო ცხადდებოდა განუყოფელ სახელმწიფოდ, რომლის მუდმივ და უცვლელ მმართველობის მოდელსაც დემოკრატია წარმოადგენდა, რაც იყო პოლიტიკური და საზოგადოებრივი მისწრაფების გამოხატულება ეცხოვრათ თანასწორ, გამოხატვის უფლების მქონე ცივილურ სახელმწიფოში. „ საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო. მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.“ (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი I. 1, 1921)

საქართველოს „განუყოფელობა“ სახელმწიფოს უნიტარულ სტილზე მოწყობას გულისხმობდა, რომელშიც შერწყმული იყო ავტონომიური ოლქები და ადგილობრივი თვითმმართველობა, რაც საერთო ჯამში ქვეყანის დეცენტრალიზებულ უნიტარულ ტერიტორიულ მოწყობას გულისხმობდა. ეს იყო მმართველობისა და სახელმწიფოს მოწყობის ის თვალთახედვა, როგორიც არსებობდა პირველ რესპუბლიკაში. პარლამენტში შემავალი ყველა პარტია იზიარებდა ამგვარ ხედვას პოლიტიკური იდეოლოგიის მიუხედავად, მაგალითისთვის, სოციალისტ-ფედერალისტებიც კი თანახმანი იყვნენ

სახელმწიფო მოწყობილიყო უნიტარულ საფუძველზე, რაც რეალობაში ეწინააღმდეგებოდა მათ პოლიტიკურ იდეოლოგიას, რომელიც ფედერალურ მოწყობას გულისხმობდა.

უმთავრესი, რაც იყო პირველი რესპუბლიკის იდეური მიღწერა, რაც აისახა კონსტიტუციაში იყო ის, რომ საქართველო მრავალი საუკუნის შემდეგ შედგა, როგორც ერთიანი განუყოფელი სახელმწიფო, რომელიც იზიარებდა რეგიონალურ მმართველობას, როგორც ქვეყნის ყველა კუთხისა და მოსახლის ინტერესების დამცველ სახელმწიფო მართვის მოდელს. ამგვარი დეცენტრალიზებული სისტემა განაპირობებდა დემოკრატიული ღირებულებების დანერგვასა და მათ განვითარებას, რომელიც იყო მიზანი საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიებისა და არა მარტო მათი.

დემოკრატიული მმართველობის გაუქმება 1921 წლის თებერვალ-მარტის აგრესიის შემდეგ და მისი ტოტალიტარულით ჩანაცვლებამ რათქმაუნდა განაპირობა ქვეყნის მმართველობის სტილში ცვლილება და ასევე მისი ტერიტორიული მოწყობა. სტრუქტურა, რომელიც აგებული იყო პირველი რესპუბლიკის მმართველობისას გაუქმებულ იქნება, ხალხის ინიციატივებზე დამყარებული მმართველობის მოდელი ჩაანაცვლა ცენტრალიზებულმა ინსტიტუტებმა, რომელიც მხოლოდ სიმბოლურად ითვალისწინებდა მოქალაქეების სურვილებს, მისი წარმომადგენლობითი ორგანოები კი სრულიად უფუნქციო იყო. ”ოქტომბრის დიდი რევოლუციის მცნებათა მიმდევარნი საქართველოს მუშები, მშრომელი გლეხკაცობა და წითელი არმია- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, დამფუძნებელი კრებისა და ყველა ცენტრალური და ადგილობრივ ორგანოს სახელმწიფოებრივ ხელისუფლების გაუქმების შემდგომ,- თავის ქვეყნის ტერიტორიაზე ამყარებენ პროლეტარიატის სუვერენიტეტსა და დიქტატურას, გადასცმენე რა ამასთანავე სრულ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას თავიანთ დეპუტატების საბჭოებს როგორც ცენტრში ისე ადგილობრივ.“ (საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი I. 1, 1922)

სახელმწიფოს სტრუქტურას, მის ხედვებსა და მისწრაფებებს კონსტუტუცია ასახავს, რომელიც საზოგადოების ინტერესების გამომხატველია და მათ განასახიერებს. ამგვარად არის გაანალიზებული დემოკრატიულ სამყაროში კონსტიტუცია და მისი მმნიშვნელობა, რაც შეეხება ტოტალიტარული მმართველობის სახელმწიფოებს აქ ეს იდეა უმნიშვნელო და ფიქტიურია. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციები, რომელიც მისი არსებობის პერიოდში ოთხჯერ გამოიცა (1922, 1927, 1937, 1978წ.-ში) დაცლილი იყო ყოველგვარი ძალაუფლებისგან და მხოლოდ სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებდა, რადგან რეალური სახელმწიფო პოლიტიკა რადიკალურად განსხვავებული იყო კონსტიტუციაში აღწერილი იდეებისგან.

1922 წლის კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს სახელმწიფობრივ ხელისუფლებად ითვლებოდა მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობა, რომელიც დგებოდა სამაზრო ყრილობების წარმომადგენლებისგან საქალაქო და სამრეწველო დაბათა საბჭოებისა და ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლებისგან. (საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი V. 17-18, 1922) ამგავრი განაწილება ერთი შეხედვით მთელი ქვეყნის წარმომადგენლობას ქმნიდა საბჭოთა ყრილობაზე, თუმცა რეალურად ეს ფორმალობა იყო და ყველა გადაწყვეტილება ცენტრის მიერ მიიღებოდა.

საბჭოთა სისტემამ შექმნა ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც თვითმმართველობის ანალოგი უნდა ყოფილიყო, თუმცა არა იმ უფლებებითა და შესაძლებლობებით, რომელიც მას პირველი რესპუბლიკის დროს ჰქონდა. მის წარმომადგენლად ინიშნებოდა ცენტრალური ხელისუფლებისთვის საჭირო და მისაღები პირი, რომელიც გაატარებდა ზემდგომი ორგანოების პოლიტიკას, რაც საერთო ჯამში საბჭოთა ხელისუფლებას აძლევდა შესაძლებლობას შესულიყო თითოეულ მაზრაში, რაიონში, უბანში თუ სახლში.

ამგვარი ცენტრალური მმართველობის არსებობის მიუხედავად, კონსტიტუცია, რომელიც ზემოთ, როგორც ავღნიშნე იყო მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი, საბჭოთა მმართველობას წარმოადგენდა, როგორც

საზოგადოებაზე მორგებულსა და მის ინტერესებზე მზრუნველს „სამაზრო საბჭოთა ყრილობა ირჩევს თავის აღმასრულებელ ორგანოს- აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის წევრთა რიცხვიც არ უნდა აღემატებოდეს 13-ს.“, „აღმასრუელებელი კომიტეტი პასუხისმგებელია მის ამომრჩეველ საბჭოთა ყრილობის წინაშე“. (საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი XIII. 67-68, 1922)

ის იდეა, რომ რომელიმე რეგიონს განსაკუთრებული უფლებები, ან გამოთქმული სურვილი გაეტანა უმაღლეს ორგანოში და მიეღო მკვიდრი მოსახლეობის რეალურად სასურველი შესაძლებლობები გამოირიცხებოდა თავიდანვე, რადგან სწორედ ინიციატივებსა და ინდივიდუალიზმს ებრძვის ტოტალიტარული მმართველობა, რომელიც საბჭოთა კავშირიში იყო დამყარებული. „საბჭოთა ხელისუფლების სამაზრო და სათემო ორგანოებს და დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს თავიანთ მოღვაწეობის საგნად აქვთ: ა) საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ყველა დადგენილების ცხოვრებაში გატარება“. (საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი XV 79 (ა), 1922)

1922 წლის კონსტიტუციის იდეური გამგრძელებელი იყო 1927 წლის უმთავრესი კანონი, რომელიც იმეორებდა ყველა ძირითად მიმართულებას, რომელიც უკვე დამყარებული იყო საბჭოთა სამყაროში. პროლეტარიული დიქტატურა, (საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი I (1), 1927), ადგილობრივი მმართველობა, როგორც პროლეტარების ხმა საბჭოთა მმართველობაში და სხვა ასპექტები, რომლებიც ქმნიდნენ ილუზიას საზოგადოების ჩართულობისა და მათზე ზრუნვის შესახებ. (საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი III (55-60), 1927).

საბჭოთა ტოტალიტარულმა მთავრობამ გარდაქმნა საქართველოს მართვის სისტემა და ამ მიზნის საფუძველზე მოხდა ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც ძირითადად ეფუძნებოდა პირველი რესპუბლიკის მიერ განაწილებულ ტერიტორიას, თუმცა მოხდა ასევე ცვლილებების შეტანა, რომელიც ძალაუფლების

გამტკიცების მიზანს ემსახურებოდა. ქვეყანა დაიყო უფრო წვრილ ერთეულებად, რაონებად, ჩამოყალიბდა ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქი. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოქისაგან; აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, აღბულაღის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაღდადის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ბორჩალოს, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზემო-სვანეთის, ზუგდიდის, თბილისის, თელავის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, მახარაძის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, ტყიბულის, ქვემო-სვანეთის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყარსისი, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიის, წალენჯიხის, წალკის, წულუკიძის, ჭიათურის ხაშურის, ხობის, ჯუღელის-რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისისა და ფოთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“. (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) თავი II მუხლი 19, 1937)

სამართლიანობისთვის უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ საქართველოს პირველი ესპუბლიკის დროს ფუნქციონირებადი ადგილობრივი თვითმმართველობაც სისტემურად ცენტრის აღმასრულებელი რგოლი იყო რეგიონში, როგორც ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს იყო, ესეიგი ორივე მოდელი ერთ პრინციპს ემყარებოდა, თუმცა მიზეზი და მიზანი სხვადასხვა ჰქონდათ. დემოკრატიული რესპუბლიკის თვითმმართველობა დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისა და სეპარატული მოძრაობის აღკვეთის გამო ატარებდა ამგვარ პოლიტიკურ ხაზს, რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლება ის საერთოდ არ უშვებდა დეცენტრალიზაციის იდეას და მიუღებლად თვლიდა მას, იმის მიუხედავად, რომ კონსტიტუციებში ეთანხმებოდა ხალხის ჩართულობას სახელმწიფო საქმეების განხილვა-მოგვარებაში. საბჭოთა ხელისფლების მიერ არჩეული ამგვარი დამოკიდებულება ცენტრსა და რეგიონს შორის მიმართული იყო საზოგადოებისა და მთელი სახელმწიფოს ტოტალური დიქტატორული მმართველობის დამყარებისკენ, რომელიც მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებასა და გაზრდაზე იყო ორინეტირებული და

არა საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებისკენ. ეს იყო განსხვავება თითქოს და მსგავს მოდელებს შორის, რაც მნიშვნელოვანი წყალგამყოფი იყო სახელმწიფო მმართველობის საკითხში.

1937 წლის საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის VIII-ე თავი დათმობილია სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებს, რომელიც აღწერს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევის სისტემას (მუხლი 87, 88), უფლება-მოვალეობას (მუხლი 89), მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების მიერ შემქნილი აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებს (მუხლი 102,104).

საბჭოთა საქართველოს 1937 წლის კონსტიტუციის 85-ე მუხლის მიხედვით არსებობდა: სასოფლო, სადაბო, საქალაქო, დიდი საქალაქო და რაიონული საბჭოები, რომელთა დეპუტატებიც მშრომელების მიერ აირჩეოდა ორი წლის ვადით. „მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, დიდი ქალაქების რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოებს ირჩევენ შესაბამისად რაიონის, ქალაქის, დაბის და სოფლის მშრომელები ორი წლის ვადით“. (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) თავი VIII მუხლი 85, 1937)

ამგავრი იყო სისტემა, რომელიც არსებობდა კონსტიტუციის მიხედვით საბჭოთა საქართველოში XX საუკუნის 30-იან წლების ბოლოს და რომელიც შენარჩუნდა 70-იან წლებამდე, როდესაც 1978 წელს მიღებულ იქნა საბჭოთა საქართველოს მეოთხე და ამ სივრცეში უკანასკნელი კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციას არ ჰქონდა რაიმე ისეთი განმასხვავებელი ნიშანი წინა გამოცემებისაგან, ის ისევ იმეორებდა წარსულის გამოცდილებას.

საბჭოთა კავშირისა და ესეიგი საბჭოთა საქართველოს უკანასკნელი კონსტიტუცია 1978 წლელს გამოიცა, რომელიც წინამორბედი უმთავრესი კანონების ძირითად ხაზს მისდევს, რაც სოციალიზმის შენებას გულისხმობდა დიქტატორული მმართველობით, რომელიც იყო საფუძველი კომუნიზმის შენებისთვის. ამგვარი იდეოლოგიით შექმნილი ყველაზე ჰუმანური კონსტიტუციაც კი ვერ იქნებოდა აღწერილი სისტემის რეალობაში

უსისხლოდ განმახორციელებელი, სწორედ ასე იყო 1978 წლის კონსტიტუციის შემთხვევაშიც.

საბჭოთა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციის მიხედვით ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ძირითადი განვითარების ვექტორი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება იყო, რაც გულისხმობს, რომ ამგვარი მმართველობა კონსტიტუციის მიხედვით უკვე არსებობდა, თუმცა საჭიროებდა მის კიდევ უფრო გაფართოებას. ეს ერთგვარი ცინიკური განცხადებაა იმის ფონზე, რაც რეალობაში არსებობდა საბჭოთა მმართველობის განმავლობაში, რომელიც მკაცრი ზენტრალიზებული, დიქტატორული და რეპრესიებზე აგებული ქვეყანა იყო, სადაც მხოლოდ მკაცრად ვერტიკალური მმართველობის მოდელი განიხილებოდა და რეგიონული ორგანოები, კონტროლისა და ზეწოლის მცირე რგოლები იყვნენ ერთიანი ძალისმიერი სახელმწიფო მანქანის შემადგენლობაში. „საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაფართოება: სულ უფრო ფართო მონაწილეობა სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში, სახელმწიფო აპარატის სრულყოფა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამაღლება, სახალხო კონტროლის გაძლიერება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი აზრის მუდამ გათვალისწინება“ (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) თავი I მუხლი 9, 1978)

რეგიონალური მმართველობა, რომელიც უნდა ყოფილიყო მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების გამომხატველი და უმაღლეს სამთავრობო ორგანოებში მათი ინტერესები დამცველი, გადაიქცდა ცენტრალური მთავრობის ორგანოდ, რომელიც თავის უმთავრეს მიზნად ისახავდა საზოგადოების კონტროლს, მათ რეპრესიებსა და სახელმწიფო საქმეებიდან მათ იზოლაციას, რაც საბჭოთა წყობილებას აცლიდა ყველანაირ საფუძველს ყოფილიყო საზოგადოების ინეტერსების დამცველი იდეოლოგია.

ლოგიკური იყო ის პროცესი, რომელიც წარიმართა XX-ე საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც უკვე საზოგადოება აღარ იზიარებდა ხელისუფლების შეხედულებებს

და მრავალწლიანმა რეპრესიებმაც თავისი გამოძახილი ნახეს ქვეყნის ელიტასა და უბრალო მაცხოვრებლებს შორის.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და მის შემადგნლობაში შემავალი რესპუბლიკების გათავისუფლების შემდეგ (1991 წ.), საქართველომაც მსოფლიო პოლიტიკურ არსენაზე აღიდგინა დამოუკიდებლობა და შეუდგა საკუთარი სახელმწიფოს შენებას.

რთული გამოდგა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებისთვის სახელმწიფო მოწყობის საკითხის გადაჭრა, რომელიც კომფლიქტური რეგიონების გამო წარმოიქმნა. 1991 წლიდან 1993 წამდე საქართველოში მუდმივი სამხედრო დაპირისპირე არსებობდა, რომელიც ერთის მხრივ იყო სამოქალაქო ომი და მეორეს მხრივ სეპარატისტული რეგიონების სურვილების წინააღმდეგ, გასულიყვენენ საქართველოს შემადგენლობიდან. ამ მძიმე ვითარებამ გაართულა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი და ეს სფერო ღია თემად დარჩება მანამ სანამ არ აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

მეორე მიმართულება, რომელიც პოლტიკური სისტემის მოწყობას ეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზება იყო, რომელიც ურთულეს მდგომარეობაში არსებობდა დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში. რეალურად ის არ ფუნქციონირება და 1995 წლის საქართველოს პირველ კონსტიტუციაში ის მხოლოდ ფურცელზე იყო ნახსენები, რადგან განადგურებული იყო ეს სისტემა ჯერ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, გამოცლილი ჰქონდა იდეური საფუძველი, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ის ფიზიკურადაც განადგურდა, გაიძარცვა რეგიონები და ცენტრალურ ხელისუფლებას კი იმის ფინანსები არ გააჩნდა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას სრულფასოვნად ემუშავა.

ურთულესი პირობების მიუხედავად 1995 წლის კონსტიტუციის მიხედვით ადგილბრივ თვითმმართველობას მნიშვნელოვანი იდეური საფუძველი ჩაეყარა, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილებას ემყარებოდა და რომელიც ორიენტირი იყო ძალაუფლების გადანაწილებაზე. თუმცა ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს

პოლიტიკური ცენტრი ყოველთვის ცდილობდა რეგიონი თვითმმართველობის მეშვეობით გაეკონტროლირებინა და მის უშუალო ბრძანებებს დამორჩილებოდა.

1995 წლის კონსტიტუციამ ცვლილებები განიცადა ძალაუფლების შეცვლასთან ერთად, რომელიც პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების შეხედულებებს ემყარებოდა, თუმცა ყველა ვინც ცდილობდა შეეცვალა არსებული სისტემა აღნიშნავდა, რომ ყველა ეს ცვლილება მიმართული იყო ამ ორგანოს გაძლიერებისკენ.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანა იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ რთული იყო სახსრებისა და ყურადღების გადატანა რეგიონებსითვის, რადგან პოლიტიკური ცენტრიც კი არ იყო მყარად ორგანიზებული და აღჭურვილი ყველა საჭიროებით. ამ კუთხიდან, რომ შევხედოთ რეგიონებისთვის ძალაუფლების დელეგირების დაგვიანებას, რომელიც განპირობებული იყო სახელმწიფოს სისუსტითა და ეკონომიკური გაჭირვებით, შეიძლება ახსნა მოუძებნოს ამ ერთგვარ ცენტრალიზმს, თუმცა ეს იყო იძულებითი მდგომარეობა და არა იდეური მიმართულება. სახელმწიფოს რეგიონი, რომელიც განვითარებული არაა და არ აქვს საკუთარი შემოსავალი ბუნებრივია დამოკიდებული ხდება ცენტრზე, ხოლო ეკონომიკური დამოკიდებულება პოლიტიკურ დაქვემდებარებას განაპირობებს, რაც ძალაუფლების დელეგირებას უშლის ხელს. ეს ფაქტორი ქმნიდა XX ს-ის 90-იან და XXI-ე საუკუნის დასაწყისის დეცენტრალიზების პრობლემას საქართველოში, რომელიც ნელ-ნელა სახელმწიფოს მოძლიერებასთან ერთად გადაჭრის გზას დაადგა.

ადგილობრივი თვითმმართველობის სფერო სხვადასხვა ეტაპზე განიცდიდა ცვლილებას, მნიშვნელოვანი იყო დედაქალაქის, თბილისის მმართველობის მოდელი, რომელმაც განვლო უშუალოდ პრეზიდენტის დანიშვნის თანამდებობიდან მოსახლეობის არჩევითობამდე, რაც შემდგომ გახდა საფუძველი რეგიონისა და მისი ქალაქების მართვის მოდელის შესაქმნელად. “1992-2005 წლებში მერს ნიშნავდა საქართველოს პრეზიდენტი, შემდეგ (2006 წ.) საკრებულო ირჩევდა. 2010 წლიდან მერი პირდაპირი არჩევითი თანამდებობა გახდა, რითაც თვითმმართველი ქალაქების პოლიტიკურმა მოწყობამ დაიწყო

ქვეყნის რესპუბლიკურ პოლიტიკურ მოწყობასთან შესაბამისობაში მოსვლა.” (ლოსაბერიძე, კანდელაკი , აბულაძე, & კონჯარია, 2016)

თუმცა მთლიანობაში ადგილობრივმა თვითმმართველობა, როგორც ძლაუფლების დელეგირების სისტემამ ცვლილება მხოლოდ 2010 წელს განიცადა, როდესაც გაიზარდა თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა და დაწესდა წარმომადგნელობითი ორგანოების არჩევითობა, რაც საზოგადოების მეტი ჩართულობისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.

თანამედროვე თვითმმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევას წარმოადგენს თვითმმართველობის უფლება-მოსილების გამიჯვნა სახელმწიფოს უფლებამოსილებისგან. კანონის საფუძველზე არის ძალაუფლება დელეგირებული რეგიონებისადმი, რომელიც მიმართულია ქვეყნის მთელი ტერიტორიის განვითარებისა და გაძლიერებისკენ. „ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისაგან. თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებანი. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსაზღვრის ძირითადი პრინციპები და უფლებამოსილებანი დგინდება ორგანული კანონით.“ (საქართველოს კონსტიტუცია თავი VII მუხლი 101 (1), 1995)

განხილული კონსტიტუციების შემდეგ შეიძლება გარკვეული დასკვნის გაკეთება, რომ პირველი რესპუბლიკა თავისი იდეით და მმართველობის მოდელით სწორედ ყველაზე კარგად გამოხატავდა ხალხის ჩართულობის არსს, მათ ჩაუყარეს საართველოში ამ მოდელს საფუძველი და ის დემოკრატიული გზით განვითარდებდა, რომ არა 70 წლიანი ოკუპაცია საბჭთა რუსეთისა და საჭოთა კავშირის მიერ. ტოტალიტარულმა მმართველობამ გაანადგურა იდეურად და ფიზიკურად თვითმმართველობა და ის გარდაქმნა პარტიულ ორგანიზაციად, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირ ბრძანებებს ასრულებდა და არ განასახიერებდა რეგიონალური მმართველობის პრინციპს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა პირებმა თვითმმართველობის საბჭოური მეთოდი გადმოიღეს და რეგიონალური მმართველობა

თავიანთ პარტიულ ორგანიზაციებს დაუკავშირეს, რაც დეცენტრალიზაციის იდეას ეწინაღმდეგებოდა, ეს იყო იმ მახინჯი 70 წლიანი მმართველობის შედეგი, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო.

თავი III- 1918-1921 წლებისა და პოსტ-საბჭოური ეპოქის პოლიტიკური პარტიების პროგრამების როლი ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნის პროცესში: შედარება

საქართველოს პოლიტიკური პარტიები, რომლებიც წარმოიქმნენ XIX ს-ის დასასრულსა და XXს-ის დასაწყისში წარმოადგენდნენ განსხვავებული იდეოლოგიისა და შეხედულებების პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომელებიც ცხარედ დაობდნენ საქართველოს მომავალ ბედზე თავიანთი მრწამსისი საფუძველზე. ეს პარტიები ხედავდნენ მმართველობის მოდელებს იმგვარად, როგორც ეს მათ იდეოლოგიაში განიხილებოდა, თუმცა განსხვავებულობის მიუხედავად საქართველოს დამოუკდიებლობის აღდგენის შემდეგ ყველა პარტია, რომელიც წარმოადგენდა პირველი რესპუბლიკის პოლიტიკურ ელიტას თანხმდებოდნენ მმართველობის საერთო მოდელზე და სახელმწიფოს ზოგად განვითარებაზე, მის მისწრაფებებზე და პოლიტიკურ სივრცეზე.

დემოკრატიული მმართველობა, სახემწიფოში ძალაუფლების გადანაწილება, პოლიტიკური წყობილების ევროპული მოდელი, ეს ის საკითხებია, რომელიც ერთპიროვნულად გახდა კონსესუსის შედეგი, რომელშიც ყველა ის პოლიტიკური პარტია შეთანხმდა, რომელიც იყო პირველი რესპუბლიკის დამაარსებელი. სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სეოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები). ეს ის პარტიები თავიანთ იდეურ საწყისად სხვადასხვა შეხედულებებს განიხილავდნენ და მისწრაფებები განსხვავებული ჰქონდათ, მანამ სანამ საქართველო დამოუკიდებელი გახდებოდა, ამ ფაქტმა გარდატეხა შეიტანა მათ ხედვებში, იდეოლოგიაში და სახელმწიფოებრივ აზროვნებაში.

პირველი რესპუბლიკის მმართველობა გამორჩეული იყო პოლიტიკურ პარტიების შეთანხმებული მუშაობის კუთხით, განსაცვიფრებელია თუ, როგორ ხდებოდა შეჯერება საკითხებში იდეურად ასე განსხვავებული გაერთიანებებს შორის.

ყველა ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა აშკარად გეზი აიღო დემოკრატიისაკენ, თავისუფლებისაკენ, ევროპული განვითარებისაკენ და რაც მთავარია სახელმწიფოში ძალაუფების გადანაწილებისაკენ, რაც მისი განვითარების საფუძველი იყო მათი შეხედულებით.

ეს ხედვები მათ ჩამოაყალიბეს მათი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში, რომელიც ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე შექმნეს და უკვე იმ დროს განიხილავდნენ დემოკრატიას, ხოლო მის აღსასრულებლად ყველაზე კარგ მეთოდად ადგილობრივ თვითმმართველობა ესახებოდათ.

პოლიტიკური პარტიების პროგრამების განხილვას საქართველოში არსებულ ყველაზე ფართო და დიდ გაერთიანებით დავიწყებ, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიით, რომელიც უმრავლესობით იყო წარმოდგენილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოში.

ნოე ჟორდანია მმართველობის ფორმად ყოველთვის დემოკრატიულ წყობას განიხილავდა და თვლიდა, რომ საჭირო იყო ქვეყნის ყველა რეგიონში და ერთეულში ყოფილიყო მცირე და სხვისი წარმომადგენლობითობა, რომელიც გამოხატავდა მკვიდრი მოსახლეობის სინტერესებს, სურვილებსა და მისწრაფებებს. მის მიერ ფორმირებული ხედვები სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში აისახა, როგორც მისი უპირობო იდეური ლიდერის აზრები, რამაც ჩამოაყალიბა პოლიტიკური გაერთიანების საერთო შეხედულებები. „ჟორდანიასთვის და მემგონი 1917 წლამდე ჰქონდათ ეს განვითარებული უკვე ეს აზრი, რომ დემოკრატია არ არსებობს თუ არ არის ორი მხარე, არა მხოლოდ ვთქვათ პარლამენტის უფლებამოსილება მაგრამ თან უნდა იყოს ადგილობრივი უფლებამოსილება, ეს უნდა იყოს ბალანსი ამ ორის სფეროს შორის, ხო და ამიტომ ძალიან ჟორდანია ძალიან უნდოდა ესეიგი ხაზი გაუსვა, რომ არამხოლოდ ვთქვათ დემოკრატია ცენტრში, მაგრამ დემოკრატია ადგილებში, მხარეებში უნდა იყოს“ (ჯონსი, 2016)

ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიდანვე განიხილავდნენ დემოკრატიას, როგორც წარმატებულს მმართველობით მოდელს სახელმწიფოსთვის, რომელიც

შესაძლებლობების მიმცემი სივრცეა მისი მოსახლეობისთვის, რომ იცხოვრონ და განვითარდნენ თავისუფალ გარემოში, სადაც ყველა მოქალაქე თანასწორია უფლებებითა და შესაძლებლობებით. ამ იდეებზე აეგო სოციალ-დემოკრატია და პირველი სამოქმედო გეგმა, რომელიც მისმა იდეურმა ფუძემდებელმა და პოლიტიკურმა ლიდერმა, ნოე ჟორდანიამ ჩამოაყალიბა თბილისის ყრილობაზე 1895წლეს, გამოკვეთა მათი ხედვები, რომელიც დემოკრატიას, თავისუფლებას, დეცენტრალიზაცია ისახავდა მიზნად, როგორც სწორი განვითარების საწყისებს. "თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა, როგორც ხელშემწყობისპირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევად და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა; აქედან" (გურული, "მესამე დასისი"პროგრამა (2) (1892-1893 წლებში), 2008)

სოციალისტ-ფედერალისტები რუსეთის იმპერიის არსებობის დროს განიხილავდნენ უზარმაზარი იმპერიის მოწყობას ფედერაციულ საფუძველზე სადაც საქართველოს ექნებოდა შიდა საქმეების გადაჭრისა და წარმოების შესაძლებლობა. მათი პოლიტიკური შეხედულება იზიარებდა ფართო თვითმმართველობას, ავტონომიურ მმართველობას, რაც დეცენტრალიზაციის განსახორციელებელი საშუალებად ესახებოდათ. " დემოკრატიზაცია ადგილობრივ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებივ დაწესებულებათა; ფართო ადგილობრივი საერობო და სამუნიციპალო (სოფლებს-ქალაქების) თვითმმართველობა; სახელმწიფო მოხელეების არჩევა ნაცვლად დანიშვნისა მთავრობის მიერ. შემოღება ადგილობრივ დაწესებულებებში ადგილობრივ მცხოვრებთა ენებისა; ნაციონალურ უმცირესობის კულტურულ, განმანათლებელ საჭიროებისათვის გადადება საერთო შემოსავლიდან, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, განსაზღვრულ ნაწილისა და ამ თანხის გადაცემა ნაციონალურ უმცირესობის განკარგულებაში." (შველიძე, საქართველოს სოციალის-ფედერალისტთა პარტია, 2008). თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ფედერაციული მოწყობა აღარ იყო მათი იდეალი უკვე დამოუკიდებელი საქართველოსთვის, მისი სიმცირის, სეპარატიზმის საშიშროების გამო. სოციალისტ-ფედერალისტები უკვე უნიტარულ სახემწიფოს არსებობას მიიჩნევდნენ სწორ გზად იმდროინდელი საქართველოსთვის.

იმისთვის, რომ არ იყოს ჩვენი შეხედულება მიკერძოებული, ან ერთი რომელიმე იდეოლოგიის კუთხიდან დანახული და შეფასებული, გავეცნოთ იმ პოლიტიკურ პარტიის პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც ეროვნულ საფუძველზე შეიქნმნა და ემიჯნებოდა სოციალისტურ იდეოლოგიას თავიდანვე. ეს გამყოფი ხაზი რამდენად იყო სახელმწიფოს მმართველობის სფეროში და იყო თუ არა განსხვავება სახელმწიფო მოწყობის საკითხში, იზიარებდნენ თუ არა დეცენტრალიზაციის მოდელს ერივნულ-დემოკრატები, ისევე, როგორც სოციალისტური იდეოლოგიის პოლიტიკური პარტიები.

ეროვნულ-დემოკრატები მმართველობის ფორმად დემორატიულ რესპუბლიკას მიიჩნევდნენ მისაღებად და ისინი, ისევე, როგორც სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები თვლიდნენ, რომ საჭიროა წარმომადგენლობითი ორგანოების არსებობა, როგორც ცენტრალური საკანონმდებლო ორგანოს დასაკომპლექტებლად ისე ადგილზე არსებული მმართველობითი ორგანოების სამართავად, რაც გულისხმობდა თვითმმართველობების გაძლიერებას და მათთვის შესაძლებლობებისა და ძალაუფლების დელეგირებას.

ეროვნულ ნიადაგზე ჩასახული პოლიტიკური გაერთიანება შორს იყო ნაციონალისტური, რადიკალური შეხედულებებისგან, რომელიც იმდროინდელ სამყაროში ხშირი იყო. ქართულმა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ ერთმანეთს შეურწყა ნაციონალური შეხედულებები და თავისუფალი, დემოკრატიული ფასეულობები, რაც ქმნიდა შესაძლებლობას ქართულ სივრცეში არსებულიყო ერთიანი განუყოფელი სახელმწიფოს იდეა, რომელიც შესაძლოა ავტონომიური ერთეულების შემცველიც ყოფილიყო. ადგილობრივი თვითმმართველობა ეროვნულ-დემოკრატებისთვის მისაღები და აუცილებელი მართვის ფორმა იყო სახელმწიფოს გაძლიერებისთვის და მისი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის. ამ შეხედულებებსა და სახელმწიფოს შენების ხედვებს ვიგებთ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პოლიტიკური პროგრამიდა, რომელიც 1917 წელს შეიქმნა, როდესაც საბოლოოდ შეიქმნა და ჩამოყალიბდა პოლიტიკურ გაერთიანებად. „7. აჭარასა და სხვა სამაჰმადიანო საქართველოს, ისე როგორც აფხაზეთსა და საზოგადოთ საქართველოს ყოველ სხვა პროვინციასაც მიეცემა ვრცელი

თვითმმართველობა. სამაჰმადიანო საქართველოს ყოველი ზნე-ჩვეულება და ადათი, ისე როგორც სარწმუნოებაც, მტკიცედ დაცული და ხელუხლებელი იქნება საქართველოს ავტონომიის კონსტიტუციით.“ (საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. პროგრამა (1917 წელი) ა. საქართველოს პოლიტიკური ავტონომია, 2008)

შედარება, რომ მოვახდინოთ ზემოთ აღწერილი პოლიტიკური პარტიების პროგრამების დავინახავთ, რომ იდეოლოგიის მრავალფეროვნების მიუხედავათ ყველა პოლიტიკური გაერთიანება თანხმდებოდა თავისუფლებაზე, დეცენტრალიზაციაზე, ჰორიზონტალურ მმართველობაზე, რომელიც ესახებოდათ საქართელოს განვითარებისთვის სწორ მიმართულებად.

კიდევ ერთი პოლიტიკური ჯგუფი, რომელმაც შეძლო და 1919 წლის საპარლამანეტო არჩევნების შემდეგ მოიპოვა ადგილები საკანონმდებლო ორგანოში იყო სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერები) პარტია, რომელიც სიდიდით არ გამოირჩეოდა და არც დიდი რაოდენობით მიმდევარი ჰყავდა, თუმცა იყო წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში და საინტერსოა მათი შეხედულების გაცნობა თვითმმართველობის საკითხზე.

ესერები მეტ რადიკალიმს იჩენდნენ თავიანთი რევოლუციონერული შეხედულებების გამო და სწრაფ განხორციელებაზე იყვნენ ორიენტირებულები სოციალ-დემოკრატებისგან განსხვავებით, რომელიც ფიქრობდნენ, რომ აჩქარება საჭირო არ იყო, რადგან მეტ ზიანს მოუნატნდა სახელმწიფოს და ხალხს. თუმცა ისინიც, ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილი ყველა პოლიტიკური პარტია ემხრობოდა და მხარს უჭერდა რეგიონებისთვის უფლებების მინიჭებას და ადგილზე საქმის წარმოებას, რომელიც გაადვილებდა მმართველობის სისტემას და მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემდა მონაწილეობა მიეღოთ საკუთარი პრობლემებისა და საკითხების გადაჭრაში. “ 4. მუნიციპალურ და საერობო სამეურნეო კითხვებში პარტია ეცდება ყოველგვარ საზოგადო საჭირო საქმეთა განვითარებას (უფასო საექიმოდახმარება, საერობო-აგრონომიული ორგანიზაცია - კომუნალიზაცია წყლით სარგებლობისა, განათებისა, გზათა და მიმოსვლის

საშვალებითა და სხვა.); პარტია ეცდება მიენიჭოს სამოქალაქო და სასოფლო თემებს უფართესი უფლებები უძრავ ქონებთა ხარჯდადებისა და მათი ძალდატანებულ ჩამოშორების კითხვაში განსაკუთრებით კი მუშათა კლასისი ბინის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.“ (შველიძე, სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერების) პარტია, 2008)

სოციალისტ-რევოლუციონერების ხედვა სხვა პარტიებისგან განსხვავდებოდა რადიკალური და დაჩქარებული ტემპებით, რაც მათი აზრით სწორი და მისაღები იყო, თუმცა ამ განსხვავებულობის მიუხედავად ესერების პარტიაც ერთიანდებოდა იმ იდეაში, რომელიც არსებობდა პირველი რესპუბლიკის არსებობისას და რაც სახელმწიფოში დეცენტრალიზაციის განხორციელებას გულისხმობდა. საერთო ხედვა მომდინარეობდა წარსულის მწარე გამოცდილებიდან და ყველა პოლიტიკური პარტია ხედავდა, რომ ცენტრალიზმი დამღუპველია საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის.

ამგვარად ხედავდნენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოს მოწყობის საკითხს, საზოგადოების როლს ქვეყნის შენების პროცესში, რაც ორიენტირებული იყო დემოკრატიულ მმართველობაზე, სადაც თითოეული პირის აზრი და შეხედულება მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია ყველასთვის.

პოლიტიკური გარემო, რაც 1921 წლის შემდეგ შეიქმნა სრულიად განსხვავებული იყო დემოკრტიული მმართველობისგან თუმცა იდეურად და სიტყვიერად საბჭოთა ტოტალიტარულ ხელისუფლებასაც ჰქონდა ის პრონციპები, რაც ერთი შეხედვით საზოგადოებისთვის სასიკეთო უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს მხოლოდ სიტყვები იყო.
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია განასახიერებდა მშრომელთა ინტერესების დამცველ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც თავის მიზნად ისახავდა ყველა მოქალაქის თანასწორობასა და მათი ინტერესების დაცვას. ამგვარად იყო ახსნილი ზეპირად და ფურცელზე ის ფასეულობები, რომელიც თითქოს და გააჩნდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

ამ პოლიტიკური გაერთაინების პროგრამაში აღწერილია მათი მიზნები, თუ როგორ ხედავდნენ და რას აპირებდნენ ძლაუფლებაში მოსვლის შემდეგ. განვითარებული აზრი, რომელიც მიმართული იყო დოკრატიული ხელისუფლების დამყარებისკენ, რაც უნდა გამხდარიყო საზოგადოების ინტერესების გამომხატველი მმართველობის მოდელი, საბოლოოდ დარჩა მხოლოდ იდეებად, რადგან რეალობა სრულიად განსხვავებული იყო.

სახელმწიფოს მართვა უნდა მომხდარიყო დემოკრატიულად და რაც მთვარია უნდა შემქნილი ადგილორივი მართვის ორგანოები, თვითმმართველობები, რომელებიც უზრუნველყოფდნენ მოსახლეობის ინეტერესების დაცულობასა და სახელმწიფო პოლიტიკის ხალხზე მორგება. თანასწორი საზოგადოების შენება, სადაც ყველა ფენა და მოქალაქე იქნებოდა ერთნაირი პრივილეგიებით აღჭურვილი, რაც გამორიცხავდა სახელმწიფოს რომელიმე კუთხის ან მოსახლეობის გარიყვას ქვეყნის საქმეების წარმოებაში. “ 2. საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და დაფარული საარჩევნო უფლება, როგორც საკანონმდებლო კრების, ისე ყველა ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოების ასარჩევათ, ორივე სქესის სრულ წლოვან (20) მოქალაქეთათვის;. 3. ფართო ადგილობრივი თვითმართველობა; საოლქო თვითმართვთველობა იმ ადგილებში, რომლებიც განსხვავდებიან თავისებურ ყოფა-ცხოვრებით და გვარ-ტომობით;” (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა, 1917)

საბოლოო ჯამში საბჭოთა სისტემამ თვითმმართველობის მოდელი გადააქცია პარტიის რეგიონალურ ორგანოებად, რომლებც განასახიერებდნენ საბჭოთა მმართველობის მცირე მოდელებს რეგიონში. ამ არასწორმა გზამ გამრუდა სახელმწიფოს ხედვა თვითმმართველობაზე და ასევე საზოგადოებაშიც მცდარი შეხედულებები ჩამოაყალიბა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენი შემდგომ პერიოდში.

საბჭოთა კავშრის დაშლისა და ამ სისტემის გარეშე მისი განვითარების საწყისი წლები საქართველოსთვის მძიმე აღმოჩნდა, რაც გამოწვეული იყო ხელოვნურად შექმნილი, არასწორად დაგეგმილი სახელმწიფო მოწყობის პოლიტიკით, რომელიც მიზნად ისახავდა არეულობის შექმნას საქართველოს ტერიტორიაზე.

ზვიად გამსახურდიასა და მისი პოლიტიკური გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე მუდმივი დაძაბული სიტუაცია სუფევდა ქვეყანაში, რაც საბოლოოდ სამხედრო გადატრიალებით და ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობით დასრულდა. პოლიტიკური ბლოკი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღუდგინა ცდილობდა ქვეყანა გარდაექმნა დემოკრატიულ ფასეულობობებზე და შეექმნათ დასავლური ტიპის სახელმწიფო, რომელიც იქნებოდა ადამიანის უფლებებზე და ინტერესებზე აგებული. დემოკრატიის განსახორციელებ საშუალებად სახელმწიფოში, ბლოკი „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“ განიხილავდა ადგილობრივ თვითმმართველობას.

იმის გამო, რომ საბჭოთა მმართველობამ დაამახინდა და სრულიად შეცვალა ადგილზე მმართველობის ფორმა, ის პარტიულ ორგანიზაციების დონემდე დაიყვანა საჭირო იყო ძველი არასწორი მოდელის დემონტაჟი და თვითმმართველობის სრულიად თავიდან შექმნა და განაწილება.

დამოუკიდებელმა საქართველომ საბჭოთა სისტემიდან მემკვიდრეობით მიიღო ტერიტროიული გადანაწილების ფორმა, რომელიც ძირითადადა უცვლელად შენარჩუნდა შემდგომ პერიოდში, ამიტომ დამოუკიდებელი საქართველოს თვითმმართველობა მოეწყო იმ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაწილების საფუძველზე, რომელიც საბჭოთა საქართველოს პირობებშ არსებობდა.

პოლიტიკურმა ბლოკმა “მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო”-მ 1990 წლის 19 ოქტომბრის გაზეთ “კომუნისტში” წარმოადგინა თავისი მოქმედების პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა, სადაც წარმოადგინა მოქმედების გეგმა, თუ როგორ აპირებდნენ საბჭთა სისტემის გარდაქმნას დემოკრატიულ მოდელად. სხვა საკითხებთან ერთად, რომელიც პროგრამაში იყო წარმოდგენილი, ბლოკი თვითმმართველობის თემასაც ეხება და მისი გარდაქმნის აუცილებლობაზე საუბრობდა, როგორც დემოკრატიულობის შექმნისა და გაძლიერების საფუძველი.

“საქართველოს უზენაესმა საბჭომ ამ მიმართულებით უნდა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებანი: 1. საზოგადოებირივი ცხოვრების ყველა სფეროს დეიდეოლოგიაცია; 2. დადგენილება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო

ხელისუფლებათა სრული გამიჯვნის შესახებ; 3. კანონი სასამართლო სისტემის რეფორმის შესახებ; (ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება); 4. კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობის შესახებ; 5. კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმების შესახებ, (მუნიციპალური არჩევნების გზით)'' (საარჩევნო ბლოკის "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა, 1990)

საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფო სტრუქტურის განადგურება და მის საფუძველზე დემოკრატიული, პროგრესული და საზოგადოების ინეტერსებზე დამყარებული სახელმწიფოს მშენებლობა იყო პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდი"-ს მიზანი, თუმცა მისი შესრულება რთული და დროში გაწელილი აღმოჩნდა.

ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის ინიციატორებმა უზურპირებული ძალაუფლების კანონიერების სივრცეში მოქცევის მიზნით რუსეთიდან მოიწვიეს ედუარდ შევარდნაძე, რომელის მეთაურობითაც შეიქმნა პოლიტიკური გაერთიანება „მოქალაქეთა კავშირი", რომელმაც 1995 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა უმრავლესობით, რამაც შესაძლებლობა მისცა ამ გაერთიანებას შეექმნა ახალი კონსტიტუცია და მრავალი კანონი, რასაც უნდა შეექმნა სახელმწიფოში.

პოლიტიკური ბლოკი „მოქალაქეთა კავშირი" 1995 წლის საპარლამენტი არჩევნებში გამარჯვებული გამოვიდა. ამ გაეთიანების მიზანი იყო ქვეყნის სტაბილიზება და პროგრესისკენ სვლა, დემოკრატიული სახელმწიფოს შენება და განვითარება. ეს იდეა რათქმაუნდა მისაღები იყო, თუმცა რეალობაში ყველაფერი გაცილებით რთულად იყო, წარსულის სამხედრო მარცხის, პოლიტიკურ-ეკონომიკური ქაოსისი გამო.

ის იდეები, რომელიც ჰქოდა ამ პოლიტიკურ ბლოკს ასახულია მათ პროგრამაში, რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა", რომელიც ასახავდა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას.

პროგრამაში მრავალი მიმართულებაა განმარტებული სახელმწიფოს შენებისთვის, როგორადაც ესახებოდათ ის იმდროს მოქმედ პოლიტიკურ ლიდერებს, თუმცა საინტერესოა, რომ პროგრამაში ადგილობრივი თვითმმართველობაზე საუბარი არაა, არ

არის გამოყოფილი ამ სისტემის ფაქტორი და მნიშვნელობა დემოკრატიული სახელსმიფოს შენების კუთხით. თვითმმართველობის იდეის მეორეხარისხოვნად წარმოჩინება მეტყველებს, რომ წინასაუკუნის 90-იან წლებში პოლიტიკური ლიდერები თვითმმართველობას არ განიხილავდნენ ფართი უფლებებით აღჭურვილსა და დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც რეგიონის განვითარების ხელშემწყობია.

„მოქალაქეთა კავშირის“ მმართველობის დროს სახელმწიფო მეტად ცენტრალიზებული იყო და ის რეგიონალური ერთეულები სწორედ, რომ პრეზიდენტის ინიციატივით დანიშნული მოხელეები იყვნენ, როგორც მაგალითად იყო რწმუნებული თანამდებობა, ეს კი მეტყველებს ცენტრალიზებულ მმართველობაზე. ასეთი ტიპის სახელმიფო მოწყობა ერთის მხრივ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ იდეები, რადგან გამორიცხვს ადგილზე ინიციატივასა და გადაწყვეტილებების მიღებას, თუმცა მეორეს მხრივ გარკვეულ წილად გასაგებია ამგვარი სისტემა.

ქაოსში მყოფი ქვეყნა, რომელიც სეპარატიზმის რეალობაში ცხოვრობდა ცენტრალიზებული მმართველობის არსებობა მისაღებია პოლიტიკური ლიდერებისთვის, რადგან ძალაუფლება კონცენტრირებულია ერთ მუშტში და ამგვარი სისტემის გამართლება ქვეყნის ლიდერისთვის ადვილად არის შესაძლებელი ქვეყნის საერთო მდგომარეობის ხაზგასმით. თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ავღნიშნოთ, რომ მართალია პოლიტიკურ პროგრამაში არ იყო ასახული თვითმმართველობა, ესეიგი დეცენტრალიზაციის იდეა, ის წარმოდგენილია 1995 წლის კონსტიტუციაში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე და ასევე იმავე წლის 16 სექტემბერს მიღებულ იქნა „დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოს შესახებ“, რომელიც იყო რეგიონალური მმართველობის საფუძველი, რაზეც დაშენდა შემდგომ ადგილობირვი თვითმმართველობა საქართველოში. „სახელმწიფო ადგილობრივი ორგანოები თავის უფლებამოსილებას ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში. სახელმწიფო ადგილობრივი ორგანოების ტერიტორიულ ერთეულებს შეადგენს სოფელი, დაბა, თემი, რაიონული დაქვემდებარების ქალაქი, რაიონი და რესპუბლიკური დაქვემდებარების და

სარესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში. სახემწიფო დებულება ხორციელდება შესაბამისი დებულების საფუძველზე.“ (დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ, 1995)

მთავარი ნაკლი ამ სისტემისა იყოს ის, რომ ექვენდებარებოდა ცენტრს და მისი ინტერესების დამცველი იყო რეგიონში და არა პირიქით, რომ დაეცვა უმცირესობების სურვილები და იდეები ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრში. ის წარმართავდა თავის საქმიანობას სახემწიფო კანონების საფუძველზე, რაც ბუნებრივია თუმცა არ იყო რელური ადგილზე მმართველობა. ამ კუთხით ის აგრძელებდა საბჭოთა კავშირის დროს არსებულ თვითმმართველობის პრინციპს, რომ იყოს პოლიტიკური გუნდის ხელშემწყობი და მისი წარმომადგენლობა რეგიონში, რაც ეწინააღმდეგება რეალურ დეცენტრალიზაცია და დემოკრატიას.

საქართველოს პოლიტიკურმა წყობამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო ტოტალიტარული სახელმწიფოსგან, არასწორი აღქმა დეენტრალიზაციისა და ადგილზე მმართველობის აღსრულებისა იყო მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი, რამაც ვერ განავითარა საქართვეოში თვითმმართველობის სისტემა „მოქალაქეთა კავშირის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს. სიახლეებისა და მუდმივმი სეპარატიზმის შიშმმა განაპირობა სახელმწიფო დეცენტრალიზაციის შიში, რაც პოლიტიკური ცენტრის სისუსტით იყო განპირობებული.
საინტერესოა, რომ 1995 წლის არჩევნების დროს პოლიტიკურ პროგროგრამაში არ იყო ხაზგასმული თვითმმართველობის სისტემის მნიშვნელობა, თუმცა უკვე 2003 წლის არჩევნების დროს ფართოდ იქნა განხილული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი და მიმოხილული იყო მთავარი იდეა, რაც ვერტიკალური მმართველობის დამღუპველობას ეხებოდა. „მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ თვითმმართველობა , როგორც დემოკრატიის დამკვიდრების , სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების და ყველა დონის ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის პეოცესი, ზრდის ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობას, რაც სახელმწიფოს სიძლიერის საფუძველია. თვითმმართველობა, თუ იგი ღიად არის დასმული და წარმართული, ხსნის სოციალურ დააბულობას, ხოლო

რეგიონული ხელისუფლება ხდება პოლიტიკური ინოვაციების ლაბორატორია, რაც სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ჯანსაღ პირობას ქმნის.“ (საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელი, 2003)

2002 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპულ ქარტიას ადგილობრივ თვითმმართველობის შესახებ, რომელიც ავალდებულებდა სახელმწიფოს შეექმნა და ეს ვალდებულება დღესაც მოქმედებს, გამართული დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეულები. ეს ქარტია უნდა ყოფილიყო გარანტორი ამ სისტემის გამართულობის, თუმცა მმართველი გუნდი არ იზარებდა ყოველთვის დეცენტრალიზაციის მოდელს და წინ ძლიერ საპრეზიდენტო მმართველობას აყენებდა, რაც ცენტრალიზმს განაპირობებდა. ამგვარი მოდელი კი მართლებოდა სახელწიფოს აღმშენებლობით, ამასთან დაკავშირებით საინტერესო სტატიაა ამერიკელი პოლიოლოგის სტივენ ჯონსის, რომელიც ხსნის დეცენტრალიზაციის ქართულ მოდელს.

მმართვლობის სტილის ცვლილება, სახელმწიფოს მოწყობის გარდაქმნა და პოლიტიკური ცენტრის გაძლიერება, რამაც შესაძლებლობა გააჩინა საშიშროების გარეშე წარმართულიყო ძალაუფლების გადანაწილება, დაიწყო 2003 წლის შემდეგ, როდესაც საქართველოში განხორციელდა „ვარდების რევოლუცია“, რომელმაც ხელისუფლებაში მოიყვანა ევროპულად მოაზროვნე და პროდსავლურად განწყობილი პოლიტიკური ძალა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

თუმცა საინტერესო არის ის, რომ რევოლუციის გზით მოსული ევროპული იდეალების მატარებელი პოლიტიკური გუნდს არ ჰოქნდა თვითმმართველობაზე რაიმე კონკრეტული იდეა, ის რევოლუციის შემდგომ წლებში იმავე სტადიაზე იყო, როგორზეც „მოქალაქეთა კავშირის“ დროს არსებობდა. ამგვარი მმართველობის ძველი, არაევროპული მოდელის არსებობა ძლიერი ცენტრის შექმნისთვისა და სახელწმიფოს გაერთიანების იდეით იფარებოდა, თუმცა ეს იყო კვლავ საბჭოური გადმონაშთი, რომელიც თვითმმართველ ერთეულს პარტიულ ორგანიზაციად აქცევდა და გათანაბრებული იყო ერთმანეთთან პარტიის რეგიონალური ცენტრი და თვითმმართველი ერთეული.

თვითმმართველობის სტრუქტურაში რეალურად ცვლილებები განხორციელდა 2013 წლიდან, როდესაც ხელისუფლებაში (2012წ.) მოსულმა პოლიტიკურმა კუალიციამ „ქართული ოცნება“ თავისი მმართველობა სწორედ, რომ თვითმმართველობის გაძლიერებით დაიწყო. „მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული თვითმმართველი ერთეულებისათვის რეალური ფინანსური და ადმინისტრაციული ბერკეტების გადაცემითაა შესაძლებელი საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა.“ (საარჩევნო ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება" საარჩევნო პროგრამა, 2012)

მათმა იდეამ, რომ რეგიონის მოსახლეობას უნდა აერჩია საკუთარი გამგებელი თუ მერი, რომ უნდა ყოფილიყო თვითმმართველი ერთეული ფინანსურად დამოუკიდებელი იყო აბსულიტურად რეალისტური გადაწყვეტილება, რაც რეგიონს რეალურად თავისუფალსა და ადგილზე გადაწყვეტილებების მიმღებს ქმნის, რითაც იქმნება და ყალიბდება ნამდვილი თვითმმართველობა. 2013 წელს ჩატარდა პირველი არჩევნები გამგებლებისა, მერებისა და საკრებულოების, რომლითაც შეიძლება ითქვას თვითმმართველობის ისტორია დაიწყო საქართველოში და ამგვარი პროცესების დაწყება იყო სახელმწიფოსთვის პროგრესული და წარმატებული ნაბიჯი, რომელიც მხოლოდ სიკეთის მომტანია.

წარმატებული სტარტი არ აღმოჩნდა დიდი ცვლილებების დასაწყისი, ის კვლევები, რომელიც წარმოებს ასახავს საზოგადოების ნაკლებ ჩართულობას თვითმმართველობაში და მათ უნდობლობას ამ სისტემის მიმართ.

2013 წლის წინა საარჩევნო პერიოდში წარმოებდა კვლევა, რომლის ინიციატორი იყო „საერთაშორისო გამჭირვალეობა-საქართველო“, რომლის მიხედვითაც საზოგადოებაში არ არი სათანადო ცოდნა თვითმმართველობის შესახებ. მაგალითისთვის სახელმწიფოს მხოლოდ 2% თვლიდა, რომ კარგად იცნობს მუნიციპალიტეტის საქმიანობას. კვლევის დროს გამოკითხულთა მხოლოდ 3% თვლის, რომ მუნიციპალიტეტი/ქალაქის მერი/გამგებელი სრულიად აკმაყოფილებს საზოგადოების ინტერესებს. ამგვარი შედეგი

მეტყველებს იმ რთულ ვითარებაზე, რომელიც იყო 2013 წლისთის საქართველოში თვითმმართველობის მიმართულებით. (ჭკადუა, 2014)

მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ სისტემატიურად ტარდება კვლევა, ერთ-ერთი იყო 2016 წელს ჩატარებული „სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ“, რომლებიც იკვლევდნენ „თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობასა და დეცენტრალიზაციის პროცესს“. კვლევის მიხედვით 2013 წლის შემდეგ ცვლილებები მცირეა, სამწუხაროდ არ წარმოებს საგანმანათლებლო შეხვედრები მოსახლეობასთან თვითმმართველობის სისტემის განმარტებისთვის. კვლევის მიხედვით დადებითი რაც შეიძება გამოიყოს ეს არის ფინანსური კუთხე, რომელიც გაზრდილია მუნიციპაუტეტებისთვის, რაც გარკვეულწილად მათ თვითმყოფადობას განაპირობებს, თუმცა სულ ესაა ის დადებითი მხარე რასაც კვლევა აჯამებს. (http://www.isfed.ge/main/1064/geo/, 2016)

თავი IV- 1918-1921 წლისა და თანამედროვე პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციული სტრუქტურა და ადგილობრივი თვითმმართველობა

პარტიული სტრუქტურასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის საქართვლოში გარდამავალი დამოკიდებულება არსებობდა და თანამედროვე სივრცეშიც ის ცვლაებადია. სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულად იყო წარმოდგენილი პარტიული ორგანიზაცია თვითმმართველ ერთეულებში.

დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მმართველი პარტია, სოციალ-დეოკრატია იმდენად იყო საქართველო მთელს ტერიტორიაზე წარმოდგენილი მრავალწლიანი იდეური ბრძოლის გამო, რომ მას არ გასჭირვებია გამარჯვების მოპოვება რეგიონალურ ცენტრებში. ამის მიუხედავად იმდროინდელ საქართველოს პოლიტიკური სურათი მრავალფეროვანი იყო, რადგან არ იყო ერთპარტიული სტრუქტურა, ერობებში არამარტო სოციალ-დემოკრატები არამედ სხვა პარტიებიც იყვნენ წარმოდგენილები და აბალანსებდნენ პოლიტიკურ ძალაუფლებას.

მმართველობის მცირე დროის გათვალისწინებით ის პერიოდი, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი იყო პარტიებს შორის დაპირისპირება სიტყვიერ კამათი არ გამცდარა და ის მხოლოდ თეორიულ ნაწილს ეხებოდა, თუ როგორ ყოფილიყო ძლაუფლება მეტად ოპტიმალურად განადანწილებული სახელმწიფოში.

ოკუპაციისა და ნექსიის შემდგომ საბჭოთა სისტემამ სრულიად მოშალა დეცენტრალიზაცია და მმართველობა მკაცრად ვერტიკალური გახადა, რამაც საზოგადოებაში ცდარი შეხედულებები და შიშები შექმნა ჰორიზონტალური მმართველობისადმი, რაც გამომჟღავნდა დმოუკიდებლობის აღდგენი შემდეგ.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო ქაოსში და ეკონომიკურ პრობლემებში ჩაეფლო, რამაც იდეური მისწრაფებები თვითმმართველობის შესახებ შეასუსტა. მმართველი პარტიების მიერ დეცენტრალიზაცია აღიქმებოდა ქვეყნის დაშლის

წინაპირობად და მთლიანობაში ძალაუფლების დაკარგვის საშიშროებასთან, რაც გაანპირობებდა თვითმმართველობის მიზანმიმართულ შეფერხებას.

თვითმმართველობის ქართული მოდელი მეტად ცენტრალიზებული სისტემა გამოდგა, რომელიც შორს იყო ძალაუფლების თანაზიარობიდან. ამ მოდელისთვის დამახასიათებელი იყო და დღემდე არის უნდობლობა, ხელისუფლების დაკარგვის შიში, რაც მმართველ პოლიტიკურ პარტიებს უბიძგებს ცენტრალიზაციისკენ. ის გამოცდილება, რომელი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თვითმმართველობის სფეროში არსებობს იძლევა უფლებას, რომ შევაფასოთ ეს სისტემა, როგორც ვერტიკალური სისტემა, ჰორიზონტალური მმართველობის მოდელის საფარ ქვეშ. ამგვარი სისტემით ხასიათდებოდა „მოქალაქეთა კავშირის“ პოლიტიკური მიმართულებები, რომელიც ცრუ პლურალიზმზე იყო დამყარებული, რეალობაში კი აშკარა ცენტრალიზაცია ხორციელდებოდა. „თვითმმართველობათა შეზღუდული უფლებებისა და მათთვის მიზერული ფინანსური რესურსების გადაცემის პირობებში, იმ ფონზე, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ შტოს რაიონულ დონეზე სრულად აკონტროლებდა მმართველი პოლიტიკური ძალა, ოპოზიციური პარტიების გარკვეული წარმატება (განსაკუთრებით თითქმის უფუნქციო პირველ - ქალაქების, დაბების, თემებისა და სოფლების დონეზე) ცენტრალური ხელისუფლებისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა, დასავლეთის ქვეყნების თვალში კი ქმნიდა დემოკრატიულობის ანტურაჟს და მმართველი პოლიტიკური ძალის საქმიანობით უკმაყოფილო მოსახლეობისათვის ერთგვარ “ორთქლის გამოშვების” საშუალებას წარმოადგენდა.” (ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014, 2015)

XX-ე საუკუნის 90-იანი წლების პოლიტიკური თეორია აგებული იყო ძლიერი ცენტრის არსებობაზე, რომელიც გადაწყვეტდა ყველა ადგილობრივ თუ რეგიონალურ საკითხებს. ამ სისტემას გაყვა 2003 წლის შემდგომ ხელისუფლებაში მოსული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც კიდევ უფრო მეტად გაამლიერა ცენტრი და მასზე დაქვემდებარებული პოლიტიკური ფიგურები თუ მოდელი.

ცენტრის მიერ რეგიონის დამორჩილების ორი ძირითადი მიმართულება არსებობს, პოლიტიკური და ფინანსური. ეს უკანასკნელი მმართველი პარტიისთვის ხელსაყრელი არგუმენტია, რომ თვითმმართველი ერთეულები მის დაქვემდებარებაში ამყოფოს. რეგიონს თუ არ აქვს საკუთარი შემოსავალი ადგილობრივი წარმოებიდან ან გადასახადებიდან ის ცენტრზე დამოკიდებული ხდება, რადგან იქიდან იღებს ფინანსებს. ეს ბერკეტი მმართველმა ჯგუფმა შეიძლება არასწორად გამოიყენოს და შეუმციროს ან შეუწყვიტოს დაფინანსება, რომლის გამართლებაც ადვილად არის შესაძლებელი ეკონმიკური სიდუხჭირის არგუმენტით. ფინანსური სფეროთი ხშირად ხორციელდებოდა ცენტრის მიერ რეგიონის მართვა და კონტროლი. მეორე მიმართულება, რომელიც პოლიტიკურია გულიხმობს ადგილობრივი საკრებულოების, მერის ან გამგებლის პარტიული ნიშნით არჩევა ან დანიშვნა, რაც ფაქტობრივ კონტროლს გულისხმობს რეგიონალური ცენტრების, ესეიგი მთელი მუნიციპალიტეტის. ეს სისტემა არსებობდა და დღემდე არსებობს, რაც განაპირობებს თვითმმართველობის შეუმდგარობას და ნაკლოვანობას.

ფინანსური და პოლიტიკური კონტროლის კარგ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ საკაშვილის შეხედულება თბილისის მერის არჩევითობის შესახებ, რომელიც ცვლილებების წინააღმდეგ წავიდა ამ თანამდებობასთან დაკავშირებით და განმარტა ის ბერკეტი, რომლითაც მოხდებოდა ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში ქალაქის კონტროლი. „ მე აქ მინდა შეგახსენოთ სააკაშვილის, მაშინდელი პრეზიდენტის სიტყვები, როდესაც მიდიოდა დავა იმაზე, რომ თბილისის მერი ყოფილიყო პირდაპირი არჩევნებით არჩეული, მან თქვა ასეთი სიტყვები, ახლაო თქვენ წარმოიდგინეთო, რომ მერიო, მერად აირჩიესო ოპოზიციის წარმომადგენელიო, ჩვენო ხომ მასო დაფინანსებას არ მივცემთო და ქალაქი დარჩებაო განუვითარებელიო, არ ექნებაო ფულიო ვერაფერს ვერ გააკეთებსო და ეს ქალაქისთვისო იქნება ძალიან ცუდიო, ამიტომ მერის პირდაპირი არჩევნები არ შეიძლებაო“ (ხმალაძე, ინტერვიუ ადგილობრივ თვითმმართველობის თემაზე, 2017)

ამ ერთ ინიციატივაში ჩანს ორივე მიმართულება, რომელიც ხელს უშლიდა და უშლის თვითმმართველობის ჩამოყალიბებას. ფინანსური ბერკეტი, რომლის გამოყენებაც შეუძლია ცენტრს არასასურველ პოლიტიკური გუნდის წინააღმდეგ. ეს ბერჯეტი ანიჭებს უპირატესობას მმართველ პარტიას, ეს კი ძალაუფლებას ვერტიკალურს ხდის სახელმწიფოში. პოლიტიკური იარაღი გულისხმობს საკრებულოების თუ გამგებლების ან მერების პარტიული ნიშნით არჩევას და დანიშვნას, რომელიც იქნება პასუხისმგებელი „დამნიშვნელთან“, ესეიგი მმართველ გუნდთან. პოლიტიკური კონტროლის ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტი იყო რწმუნებულის თანამდებობა, რომელიც მიზანმიმართულად იქნა შექმნილი რეგიონების დე-ფაქტო კონტროლისთვის, რომელიც ინიშნებოდა პრეზიდენტის მიერ, რაც მას მმართველ გუნდთან პასუხიმგებელს, ხოლო რეგიონს ცენტრზე დაქვემდებარებულს ხდიდა, ეს კი ქვეყანაში ძალაუფლებას ცენტრალიზებულს ხდის.

პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებამ საქართველოში 2006 წელს მუნიციპალიტეტების გაერთიანება გამოიწვია, რომელიც გამართლებული იყო უკეთესი მართვის არგუმენტით, თუმცა მას ძალაუფლების განმტკიცების საფუძველი ჰქონდა. გამსხვილებულ მუნიციპალურ ერთეულებში უმრავლესობით მმართველი პარტია იყო წარმოდგენილი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მითითებით მუშაობდა, რაც ისედაც შეზღუდულ თვითმმართველობას ფაქტობრივად ანადგურება. მთელს ქვეყენაში ერთი პარტიის უმრავლესობით წარმოდგენამ მის სტრუქტურაში იქონია ასახვა და ის თვითმმართველი ერთეულების რეგიონალურ ცენტრს შეერწყა და პრაქტიკულად ერთიან სახედ წარმოდგა, რომლებიც იდენტურ საზღვრებსა და გადაწყვეტილებებს მოიცავდნენ. „ჯერ არაფორმალურად, ხოლო შემდეგ საკანონმდებლო დონეზეც ადგილობრივი თვითმმართველობებს შეეზღუდათ მთელი რიგირ უფლებამოსილებანი და დღეისათვის ისინი, ფაქტობრივად, ცენტრალური ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოების ფუნქციოებს ასრულებენ;“ (კანდელაკი, ლოსაბერიძე, მელაშვილი, & შერგელაშვილი, 2012)

აბსოლიტურმა კონტროლმა და ფინანსურმა შესაძლებობებმა, რაც არ გააჩნდა სხვა პოლიტიკურ გუნდს თუ გაერთიანებას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ცენტრსა და რეგიონებში ერთადერთ პარტიულ ძალად წარმოადგინა, რამაც განაპირობა პარტიული

სტრუქტურისა და თვითმმართველი ერთეულების ფაქტობრივი გაიგივება. ყველა მუნიციპალიტეტი დაკომპლექტებული აღმოჩნდა ერთი პარტიიდან, რამაც მდგომარეობა ძალიან დაამძიმა დეცენტრალიზაციის კუთხით სახელმწიფოში. შეიქმნა სიტუაცია, რომელიც ძალიან ჰგავდა ტოტალიტარულს, რომელიც აბსოლიტურ კონტროლს გულისხმობდა, ერთი პოლიტიკური ძალის მიერ, რომელიც იღებდა ყველა გადაწყვტილებას ერთპიროვნულად ცენტრში თუ რეგიონში.

ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი პოლიტიკური გუნდის მიერ შესაძლოა საწყის ეტაპზე წარმატებული იყოს სტაბილიზაციის კუთხით, თუმცა გარკვეულის დროის შემდეგ ის იწვევს განსხვავებული პოზიციისა და აზრისადმი მტრულ დამოკიდებულებას, რაც არღვევს ადამიანის გამოხატვის უფლებას და ეწინააღმდეგება დემოკრატიული მმართველობას, რომლის მთავარი არსი არის პლურალიზმი და მოქალაქეების ჩართულობა სახელმწიფოს მართვაში. პარტიული სტრუქტურისა და ადგილობრივი ცენტრების ფაქტობრივმა გაერთიანებამ ასახა ის პოლიტიკური სისტემა, რომელიც 2012 წლისთვის არსებობდა საქართველოში. თვითმმართველობები პრაქტიკულად ვერ ასრულებდნენ თავიანთ უმთავრეს დანიშნულებას, ყოფილიყვნენ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დამცველნი და გამომხატველნი, ისინი პარტიულ სტრუქტურას უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ადგილობრივ თვითმმართველობას.

ხელისუფლების ცვლილებამ 2012 წელს ძალაუფლებაში მოიყვანა კუალიცია „ქართული ოცნება“, რომელშიც ერთიანდებოდა თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია და რაც პლურალიზმის დამკვიდრების პერსპექტივას ქმნიდა, როგორც ცენტრში ისე რეგიონებში.

იდეები, რომელიც მათ წარმოადგინეს პოლიტიკურ პროგრამაში იმედის მომცემი გახლდათ, რადგან საკუთარ მიზნად ისახავდნენ თვითმმართველობის განვითარებას ფინანსური და პოლიტიკური უფლებების განვრცობის საფუძველზე. ამგვარი ხედვები, რომელიც ღიად იქნა ასახული პროგრამაში შეიძლება ითქვას, რომ იყო პირველი მკაფიო გზავნილი მძლავრი პოლიტიკური გაერთიანების, რომელსაც მართლა შესწევდა ძალა შეეცვალა ძველი არასწორი მოდელი.

კვლევისას ჩაწერილი რესპოდენტი, რომელიც ერთ-ერთი იყო ამ პროგრამის შემდგენელთა შორის და რომელიც 2012 წლის მოწვევის პარლამენტარი გახლდათ, ვახტანგ ხმალაძე, აღნიშნავს, რომ „რესპუბლიკური პარტია“, „ეროვნული ფორუმი“ და სხვა შემავალი პარტიები ცდილობდნენ მიეღწიათ მეტი თავისუფლებისთვის რეგიონებისთვის და ეს გამოიხატებოდა ფინანსური დამოუკიდებლობით, ძირითად შემთხვევაში პარტია „ქართული ოცნება“ ეწინააღმდეგებოდა ამ იდეას. „ საშემოსავლო გადასახადის მთლიანად თუ არა , რაღაცა წილი მაინც პირდაპირ წასულიყო ადგილობრივ ბიუჯეტებში. იყო მცდელობა, რომ სხვა გადასახადებიდანაც წილობრივად მიწეღოთ, რაღაც ნაწილი თვითმმართველობებს ვერ მივაღწიეთ ამას , ეხლა მაშინდელ, წინა პარლამენტში, რომელშიც იყო კუალიციური უმრავლესობა, იმ პარლამენტში ცდილობდნენ აი ამ რეალური თვითმმართველობის ჩამოყალიბებას კუალიციაში შემავალი რამდენიმე ფრაქცია, ეს იყო, ესენი იყვნენ რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, მაგრამ დიდი ნაწილი ამ უმრავლესობისა და მანდ, ნუ ძირითადად იყო ქართული ოცნების ფრაქცია ისინი იყვნენ წინააღმდეგნი, ისევე, როგორც მთავრობა იყო წინააღმდეგი.“ (ხმალაძე, ინტერვიუ ადგილობრივ თვითმმართველობის თემაზე, 2017)

ეს ინფორმაცია, რომელიც მივიღე უშუალოდ სახელმწიფო საქმეებში ჩართული პირისგან, იძლევა შესაძებლობას შევაფასო მმართველი პარტიის დამოკიდებულება ძალაუფლების გადანწილებაზე. ზემოთ აღნიშნულიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 2012 წლიდან პარტია „ქართული ოცნება“ არ იყო მომხრე დეცენტრალიზაციის და ცდილობდა ფინანსური თუ პოლიტიკური ბერკეტებით შეენარჩუნებინა რეგიონების მართვა. ამ ფაქტს ამყარებს ისიც, რომ უახლოეს წარსულში, რამდენიმე თვის წინ, 2017 წლის მაისს-ივნისში განხორციელდა ცვლილება, რამაც 2012 წლის მონაპოვარი უარყო და შვიდ თვითმმართველ ქალაქს ჩამოერთვა ეს სტატუსი. ეს მიღებული ინფორმაცია და ფაქტები მოწმობს, რომ წარსულის გამოცდილების მიუხედავად საქართველოში კვლავ არსებობს ძლაუფლების გადანაწლების პრობლემა, შიში ხელისუფლების დაკარგვისა რისთვისაც კვლავ წარმოებს პოლიტიკური თუ ფინანსური ბერკეტების გამოყენება ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად.

რეალური თვითმმართველობის განვითარება დამყარებული უნდა იყოს ნდობაზე, რეგიონებისთვის შესაძლებლობების მიცემაზე, მათ ფინანსურ დამოუკიდებლობაზე, რაც განაპირობებს მათ პოლიტიკურ თავისუფლებას, რომელიც არა სეპარატიზმს არამედ განვითარებას მოუტანს სახელმწიფოს. დეცენტრალიზაცია არა საშიშროების არამედ კეთილდღეობის მატარებელია.

სამწუხაროდ ფაქტია, რომ საქართველო არაა მზად ფართო თვითმმართველობისთვის და ამის მიზეზი არა საზოგადოებაა, რომელიც შეიძლება ნიჰილისტურად უყურებს ამ სისტემას, არა ამის მიზეზი არის პოლიტიკური, რადგან მმართველ პარტიას არ სურს ძალაუფლების გადანაწილება, ოპოზიციის გაძლიერებისა და ხელისუფლებიდან მისი წასვლის შიშის გამო.

საზოგადოებამ 2012 წლის შემდეგ შეითვისა ის უპირატესობები, რომელიც ახასიათებს თვითმმართველობას და გაუჩნდა ინტერესი და მოთხოვნილება მიეღო მონაწილეობა სახელმწიფო თუ რეგიონალური საკითხების განხილვაში, რაც სრულიად ბუნებრივია განვითარებული საზოგადოებისთვის. თუმცა თვითმმართველობის სისტემის განვითარებას ხელს პოლიტიკური პარტიები უშლიან, რომლებიც კვლავ ძველ, ცენტრალიზებულ სისტემას ემხრობიან, რადგან ახასიათებთ მუდმივი შიში ხელისუფლების დაკარგვის და ამის აღსაკვეთად იყენებენ ზემოთ აღნიშნულ ბერკეტებს, რაც საბოლოოდ აზიანებს დეცენტრალიზაციის საერთო პროცესს, ხოლო პოლიტიკურ გუნდს, რომელიც ამგვარად მართავს სახელმწიფოს საზოგადოების თვალში უკარგავს ყველანაირი ნდობა და პოპულარობა.

თავი V- პარტიული პოლიტიკის როლი ადგილობრივი თვითმართველობის რეფორმების პროცესში: სამომავლო პერსპექტივები

თვითმმართველობის ტრადიცია საქართველოში ზემოთ განხილული ფაქტებისა და არგუმენტების გათვალისწინებით, რომელიც სხვადასხვა დროს განსხვავებულად იყო წარმოდგენილი, გვაძლევს უფლებას, რომ დავასკვნათ, ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში აგებული იყო და არის პარტიულ სტრუქტურაზე.

ცვლილებები, რომელიც ხორციელდებოდა დემოკრატიული რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოში წარმოადგენს ორ განსხვავებულ მოდელს, რომელიც იდეურად ერთმანეთის თანხვედრაშია თუმცა პრაქტიკულ ნაწილში რადიკალურად განსხვავებულია.

დღეს არსებული თვითმმართველობის მოდელი იდეურად დემოკრატიული რესპუბლიკის გამგრძელებელია, რადგან ორივე დეცენტრალიზაციას ემხრობა, თუმცა პრაქტიკაში სამწუხაროდ დღევანდელი მოდელი მეტად ცენტრალიზებულია ვიდრე ეს იყო 1918-1921 წლებში, რაც განპირობებულია ამჟამინდელი ერთპარტიული სისტემით, რომელიც არ არსებობდა პირველი ესპუბლიკის დროს და იყო რეალური პლურალიზმი სახელმწიფოს ცენტრსა თუ რეგიონებში. სამწუხაროდ უნდა ითქვს, რომ დღეს-დღეობით დაკარგულია თანამშრომლობის ტრადიცია პარტიებს შორის, რომელიც წარმატებით ხორციელდებოდა 1918-1921 წლებში. პირველი რესპუბლიკის მონაპოვარი, თვითმმართველობა სამწუხაროდ მხოლოდ იდეური საწყისია თანამედროვე მოდელისთვის და ამით სრულდება კავშირი ორ სისტემას შორის, თანამედროვე მოდელი წარიმართება ერთი პარტიის მიერ და დეცენტრალიზაცია დამოკიდებულია მმართველი გუნდის ხედვებზე ამ სისტემის მიმართ.

პოლიტიკური გარემო, რომელიც თვითმმართველობის რეფორმირებისთვის არის საჭირო, სტაბილური და თანამშრომლობაზე დამყარებული უნდა იყოს, პოლიტიკურ ფიგურებსა

თუ პარტიებს შორის, რაც პასუხისმგებლობის განაწილებასა და ძლაუფლების თანაზიარობას განაპირობებს სახელმწიფოში.

ის გამოცდილება, რომელიც საქართველოში არსებობს თვითმმართველობის სფეროში ძალიამ მცირეა და ამ დროის უდიდესი ნაწილი აღნიშნული სისტემის არასწორ განვითარებაზე მოდის, ესეიგი დეცენტრალიზაციის ნაცვლად საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ძალაუაფლება კონცენტრირებული იყო პოლიტიკურ ცენტრში, რისი მიზეზიც იყო მმართველი პარტიების მხრიდან ხელისუფლების დაკარგვის შიში.

საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში პარტიები ძალიან დიდ როლს თამაშობენ, ისინი ქმნიან სახელმწიფოს განვითარების ვექტორებს, ხშირ შემთხვევაში ერთპიროვნულად, პარტიის ან მისი ლიდერი შეხედულებების საფუძველზე. ამგვარად ხასიათდება დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება, ის საზოგადოებისგან მოწყვეტილია და ახორციელებდა რეფორმებს თუ მიმართულებებს არა მოქალაქეთა სურვილის ან ინტრესისი, არამედ პარტიის ან ლიდერის ხედვების მიდევდით.

ძლიერმა ცენტრალიზებულმა პარტიულმა სისტემამ განაპირობა სახელმწიფოს მმართველობის ვერტიკალური განვითარება, რომელიც ლოგიკური განსახიერება იყო ის ხედვებისა და მართვის სტილისა, რომელიც არსებობდა ხელისუფლებაში მყოფ პარტიაში. სტრუქტურა, რომლითაც იყო დაკომპლექტებული „მოქალაქეთა კავშირი“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ზუსტად ასახვას პოვებდა მთლიანად სახელმწიფოს მართვის სტილში, ამ პარტიებში არსებობდა მკაცრად ვერტიკლაური მოდელი, სადაც გადამწყვეტი იყო ერთი პირი. ეს სტრუქტურა განივრცო ქვეყნის მართვაში, რაც გამოიკვეთა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ძლიერი საპრეზიდენტო მოდელი შემოღებით, რომელიც ზუსტად იმეორებდა იმ პარტიის სტრუქტურას, რომელიც მართავდა საქართველოს.

ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა გახდა საბაბი მომხდარიყო მთელი ქვეყნის კონტროლი, მათ შორის თვითმმართველი ერთეულებისა, რომელიც ფაქტობრივად

ცენტრალური ხელისუფლების მორჩილი და მასზე დამოკიდებული იყო. ის ცვლილებები, რომელიც ხორციელდებოდა ამ სისტემის ფარგლებში კონტროლიდებოდა იმგვარად, რომ არ მომხდარიყო სამართავი ბერკეტების ხელიდან გაშვება, ეს კი კვლავ ვერტიკალურ სტილს უნარჩუნებდა სახელმწიფოს მმართველობის მოდელად.

მცირე სახელმწიფოს პირობებში, რომელიც მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაშია ჩავარდნილი, მმართველი პარტია ცდილობს რაც შეიძლება მეტი კონტროლი დააწესოს ქვეყანაში, რისი გამართლებაც ხორციელდება ზემოთ აღწერილი მდგომარეობით. ეს იყო საბაბი, რომელიც გამოყენებულ იქნა ჯერ წინასაუკუნის 90-იან და შემდგომ 2003 წლის მმართველობისას, რომ ქვეყანას სჭირდება ძლიერი ცენტრი, ძლიერი ლიდერი, ძლიერი პარტია, რომ აღარ განმეორდეს წარსულის მძიმე დრო, თუმცა რეალობაში ეს მხოლოდ საბაბი იყო მმართველი პარტიისთვის მიიღოს სრული ძალაუფლება ქვეყანაზე.

თანამედროვე პოლიტიკური ფონიც სწორედ ამგვარია, კვლავ მიმდინარეობს ძალაუფლების კონცენტრაცია, თუმცა უკვე სხვა პარტიის მიერ. „ქართული ოცნება“, რომელიც 2012 წელს მოვიდა ხელისუფლებაში, კუალიციური გაერთიანება იყო, სადაც ასე თუ ისე ბალანსდებოდა შემავალი პარტიებით აღმასრულებელი ძალაუფლება. 2016 წლის არჩევნების შემდეგ საკონსტიტუციო უმრავლესობით ხელისუფლებაში მოვიდა უკვე პარტია „ქართული ოცნება“, რომელიც კვლავ ვერტიკალური სისტემით ხასიათდება და მიზნად აქვს დასახული აბსოლიტური კონტროლი განახორციელოს ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში.

ის, რომ გადაწყვეტილებები კვლავ ერთი პარტიის მიერ მიიღება და არა საზოგადოების ინტერესების მიხედვით ცხადყოფს, უახლოეს წარსულში განხორციელებული ცვლილება, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შემცირების საკითხში, რაც სამწუხაროდ ცუდი მაგალითია თუ როგორ იყენებს მმართველი პარტია მის ძალაუფლებას მხოლოდ პოლიტიკური პოზიციების გამყარებისთვის და არა საზოგადოების ინეტერსების დაკმაყოფილებისთვის.

ის ვითარება, რომელიც დღეს არსებობს საქართველოში პარტიული პოლიტიკის მიმართულებით არ იძლევა იმედებს, რომ უახლოეს წარსულში განხორციელდება რადიკალური ცვლილება, რაც გარდაქნის ვერტიკალურ სისტემას ჰორიზონტალურისკენ. სამწუხაროდ არამარტო მმართველი პარტია, არამედ ოპოზიციური გაერთიანებებიც იერარქიული ტიპისაა და მითითებები ზემოდან ქვემოთ გაიცემა, რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაში ქვეყენაში ძალაუფლება კვლავ მეტად ვერტიკლაური იქნება ვიდრე ჰორიზონტალური, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ძლიერი თვითმმართველობის ფორმირება სამომავლო პერსპექტივაა მხოლოდ.

თვითმმართველობის სფეროში განხორციელებული ყველა ცვლილება, მიმართული იყო და არის მხოლოდ მმართველი პოლიტიკური გუნდის სასიკეთოდ, რომ რაიმე ბერკეტით მოხდეს ზეგავლენის შესაძლებლობის შენარჩუნება და მისი კონტროლი. თვითმმართველი ერთეულები დიდ როლს თამაშობენ არჩევნების პროცესში და ხშირ შემთხვევაში მართველი პარტია იმარჯვებს იმ ბერკეტების წყალობით, რომელიც აქვს მის გასაკონტროლირებლად, ამიტომ მათ ინტერსში არაა თავისუფლება ჰქონდეს თვითმმართველ ერთეულებს, რადგან სჭირო დროს მათი ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს არჩევნებისას.

პარტიული როლი თვითმმართველობის პროცესსში ძალიან დიდია, შესაძლოა ის ძალიან ფართოდ განვითარდეს ან პირიქით შემცირდეს და შეიკვეცოს მისი უფლებები, სამწუხაროდ ეს პარტიის ხედვებზეა დამოკიდებული თანამედროვეობაში და ამის მაგალითი გვაქვს, რაც ზემოთ ავღნიშნე.

პერსპექტივა, რომელიც შეიძლება არსებობდეს თვითმმართველობისა და ზოგადად ქვეყნის განვითარებისთვის არის მრავალპარტიული პარლამენტი, სადაც მოხდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური მოდელის მქონე პარტიების დაბალანსება, რაც სახელმწიფოშიც განაპირობებს სტაბილურობას და შესაძლო რეფორმირებას თვითმმართველობის მოდელის.

დასკვნა

ქართული თვითმმართველობის სისტემა შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ ნებაზე იყო დამყარებული და დღემდე ამგვარად არის. საზოგადოება ჯერ კიდევ პირველი რესპუბლიკის დროს და შემდეგ, დამოუკიდებლობის აღდგენის პეროდშიც ითხოვდა ფართო უფლებების ქონას რეიონებში, თუმცა პოლიტიკური პარტიები გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ მათ ჩასახვაში, ფორმირებაში თუ რეფორმირებაში. პარტიული შეხედულებები გადამწყვეტი იყო და დღემდე ასეა ამ სისტემსთან მიმართებაში საზოგადოების აქტიური მოთხოვნების თუ შეხედულებების მიუხედავად.

უახლოესი წარსულის გამოცდილება ცხადოფს, რომ ძლიერი პოლიტიკური ცენტრი, ბერკეტების დახარებით აკონტროლებს რეგიონებს, რადგან მმართველი პარტიის წარმომადგენლობა მაღალია თვითმმართველ ერთეულებში და გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება არჩეული საკრებულოებისა და გამგებლების მიერ თუმცა ცენტრის მიერ დადგენილი მიმართულებების მიხედვით.

დღეს მიმდინარე დეცენტრალიზაციის პროცესები იმედის მომცემი ნაკლებად არის იმ შეხედულებების გათვალისწინებით, რაც „ქართული ოცნების“ გუნდში არსებობს. მმართველი პარტია ერთი ხელით ქმნის ძლიერ თვითმმართველობას, ხოლო მეორეთი ანადგურებს მის საწყისს. ამგვარი ქმედებებით ხასიათდება დეცენტრალიზაციის ტრადიცია საქართველოში, მუდმივი ჭიდილი პროგრესსა და წარსულის მახინჯ სისტემას შორის.

დღეს-დღეობით წარმოდგენილი პოლიტიკური გაერთიანებები ღიად უჭერენ მხარს ფართო თვითმმართველობას და მათი პოლიტიკური შეხედულებების ქვაკუთხედს ეს სისტემა შეადგენს, რაც რათქმაუნდა იმედის მომცემია, თუმცა კვლავ წარსულს, რომ მიუბრუნდეთ დავინახავთ, რომ ადრეც ყოფილა ხმამაღალი განცხადებები, თუმცა საქმის კუთხით ბევრი არ განხორციელებულა.

პარტიული პოლიტიკა დამყარებულია რათქაუნდა სრულ გამარჯვებაზე მთელს ქვეყანაში, რომ ხელშუეშლელად განახორციელოს დასახული გეგმები, თუმცა საჭიროა ჯანსაღი და მძლავრი ოპოზიციური ფრთა, რომელიც იქნება მარეგულირებელი მიმდინარე

პროცესების. მმართველ გუნდსა და მისდამი ოპოზიციურად განწობილ, თუმცა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ნაწილს შორის ურთიერთთანამშრომლობა შექმნის განვითარებულ საზოგადოებას. ამ პროცესში თვითმმართველობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და საჭიროა რეგიონალურ ცენტრებში წარმოდგენილი იყოს მმართველი და ოპოზიციური პარტიები, რომლებიც ითანმშრომლებენ და საერთო ძალისხმევით გააძლიერებენ თვითმმართველობის სისტემას.

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამგვარი მდგომარეობა ჯერ არაა წარმოდგენილი, რადგან რეგიონალურ ცენრებში, საკრებულოებში უმრავლესობა არის მმართველი გუნდის მხარეს და ოპოზიციური ფლანგები სუსტი და აქედან გამომდინარე უშედეგოა. კვლავ მიმდინარეობს თვითმმართველი ერთეულების კონტროლი ცენტრის მიერ, რაც არ აძლევს რეგიონს განვითარდეს მისი მოთხოვნებისა და სურვილების მიხედვით.

პარტიული პერსპექტივა რთული შესაფასებელია, რადგან მაინც არის დიდი ცდუნება სრული კონტროლის დამყარების, „ქართული ოცნება“, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში თვითმმართველობის გაძლიერების დიდი გეგმებით და დაიწყო კიდეც მისი განხორციელება, დღეს ის გავს „მოქალაქეთა კავშირსა“ და „ერთიანი ნაცინალური მოძრაობას“, რადგან ახორციელებს მისივე რეფორმირებული სისტემის ნგრევას და კვლავ ცენტრალიზებული სისტემის გაძლიერებას. ეს ფაქტორი ძალიან სამწუხარო ფაქტზე მეტყველებს, რომ ქართული პოლიტიკური გარემო კვლავ არ არის მზად თავისუფალი მმართველობის სტილისთვის და ის ისევ განიცდის ნოსტალგიას წარსულის მახინჯი სისტემისადმი, რომელიც აგებული იყო აბსოლიტურ ძალაუფლებაზე და არა მის თანაზოარობასა და გადანაწილებაზე.

ის როლი, რომელსაც თამაშობდა და დღესაც თამაშობს პოლიტიკური პარტიები თვითმმართველობის ფორმირებისთვის არის ძალიან დიდი. პირველი რესპუბლიკის დროს სოციალ-დემოკრატებისეული ხედვა იყო გადამწყვეტი ამ სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვს, თუმცა პარლამენტში წარმოდგენილ სხვა პოლიტიკური გაერთიანებებიც ძალიან დიდი როლს თამაშობდნენ მის ფორმირებასა და დახვეწაში, რაც იმდროინდელი პარტიების თანამშრომლობაზე და გუნდურობაზე მეტყველებს საერთო

სახელმწიფოებრივი საქმის წარმოებისას, ამით იყო პირველი რესპუბლიკა გამორჩეული თუნდაც არსებობის მცირე დროის მიუხედავად.

საბჭოთა სისტემამ დაამხინჯა, შეცვალა და გადააგვარა თვითმმართველობა და ის ცენტრზალური ხელისუფლების რეგიოალურ სამართავ ერთეულებად წარმოადგინა, რითაც საფუძველშივე გადააგვარა წარმომადგენლობითობის სისტემა, რომელიც თვითმმართველობის საფუძველია. ამ დამახინჯებამ კი შედეგი საზოგადოების შეხედულებებში და წარმოდგენელბში პოვა ასახვა და საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეები უნდობლურად იყვნენ განწყობილები ამ სისტემის მიმართ, რასაც თავის მხრივ მმართველი პარტიის ქმედებებიც განაპირობებდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ყველა მმართველმა პარტიამ („მოქალაქეთა კავშირი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, “ქართული ოცნება“) ერთპიროვნულად მხოლოდ საკუთარი შეხედულებებისამებრ შეიტანა ცვლილებები თვითმმართველობის სისტემაში, რაც განაპირობებდა ამა თუ იმ მმართველი პარტიის აბსოლიტურ კონტროლსა და წარმომადგენლობას თვითმმართველ ერთეულებში, რითაც პრაქტიკაში ნებით თუ უნებლიედ საბჭოთა მმართველობის სისტემა გრძელდებოდა და ასეა სამწუხაროდ ეს მდგომარეობა დღესაც.

პერსპექტივაში თვითმმართველობის განვითარება რთული საქმეა, რადგან საფუძველი ძალიან მახინჯი და ცენტრალიზებულია, რის გამოსწორებასაც სჭირდება დრო, სახსრები და რაცმთავარია საზოგადოების განვითარება. თუმცა თანამედრობეობაში პოლიტიკური პარტიები ხედავენ საზოგადოების განვითარებას და ისინი ხვდებიან, რომ თვითმმართველობის რეალური რეფორმისა და მისი გაძლიერების გარეშე საზოგადოება მისი მხარდამჭერი არ იქნება, ეს კი ის კატალიზატორია, რაც ამ სისტემის განვითარებასა და მეტი უფლებების მინიჭების შესაძლებლობას შექმნის რეგიონალური ცენტრებისთვის. სწორედ საზოგადოება უნდა გახდეს მაპროვოცირებელი, რომელიც გახდის შესაძლებელს შეიქმნას რეალური თვითმმართველობის სისტემა. აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ მოქალაქეებმა უნდა გაითავისონ მათი უფლებები, შესაძლებლობები და ზეგავლენა

მოახდინონ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც წარმართავენ მთლიანობაში ქვეყნის და მათ შორის ადგილობრივი თვითმმმართველობის მუშაობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი I. 1. (1921). p. 37.

2) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი I. 1. (1921 წელი). p. 37.

3) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი X. 102-103. (1921). p. 52.

4) *"საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული".* (1990). თბილისი.

5) Albertini , J. B. (1997). *La déconcentration.*

6) *http://www.isfed.ge/main/1064/geo/*. (2016, ივნისი 16). Retrieved from სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება.

7) Добрынин , Н. М. (2010). *Государственное управление: Теория и практика.* Новосибирск.

8) *ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში 1991-2014.* (2015). თბილისი.

9) ბელოკონსკი , ი. (1905). *"ერობა და თვითმმართველობა".* ტფილისი.

10) ბენდიანიშვილი, ა. (2008). თვითმმართველობის ორგანოთა ადგილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში. In *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გამოცდილება: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი* (p. 4). თბილისი.

11) გურული, ვ. (2008). "მესამე დასისი"პროგრამა (2) (1892-1893 წლებში). In *საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921 კრებული II* (p. 28). თბილისი.

12) გურული, ვ. (2008). საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის სათავეებთან (1918წ.). In *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გამოცდილება* (p. 55). თბილისი.

13) დროებითი დებულება საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ. (1995, სექტემბერი 16). *საქართველოს რესპუბლიკა*, p. 3.

14) ერობა და ქალაქი. (1919-1920). p. 12.

15) კანდელაკი, კ., ლოსაბერიძე, დ., მელაშვილი, ი., & შერგელაშვილი, თ. (2012). *საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის განვრცობილი კონცეფცია.* თბილისი.

16) ლოსაბერიძე, დ., კანდელაკი , კ., აბულაძე, მ., & კონჯარია, ო. (2016). *ადგილობრივი თვითმმართველობა.* თბილისი.

17) მაცაბერიძე, მ. (2014). საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. თემა 8. *საქართველოს პოლიტიკური სისტემა სალექციო კურსი*, p. 10.

18) მაცაბერიძე, მ. (2014). საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. თემა 8. *საქართველოს პოლიტიკური სისტემა სალექციო კურსი*, p. 11.

19) (1917). *რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამა.*

20) საარჩევნო ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება" საარჩევნო პროგრამა. (2012). *ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა და თვითმმართველობა*, p. 15.

21) საარჩევნო ბლოკის "მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო" პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა. (1990, ოქტომბერი 19). *კომუნისტი*, p. 2.

22) საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელი. (2003). *საქართველოს ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" პოლიტიკური პროგრამა.*

23) საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. პროგრამა (1917 წელი) ა. საქართველოს პოლიტიკური ავტონომია. (2008). In ს. პ. 1906-1921. თბილისი.

24) საქართველოს კონსტიტუცია თავი I. 4. (1995). p. 1.

25) საქართველოს კონსტიტუცია თავი VII მუხლი 101 (1). (1995). p. 42.

26) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) თავი I მუხლი 9. (1978). p. 5.

27) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) თავი II მუხლი 19. (1937). pp. 14-15.

28) საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი) თავი VIII მუხლი 85. (1937). p. 38.

29) საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი I. 1. (1922). p. 3.

30) საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი V. 17-18. (1922).

31) საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი XIII. 67-68. (1922). p. 18.

32) საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი XV 79 (ა). (1922). p. 20.

33) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი I (1). (1927). p. 3.

34) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია თავი III (55-60). (1927). pp. 23-25.

35) შველიძე, დ. (2008). საქართველოს სოციალის-ფედერალისტთა პარტია. In *საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921 კრებული II* (p. 10). თბილისი.

36) შველიძე, დ. (2008). სოციალისტ-რევოლუციონერთა (ესერების) პარტია. In *საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921 კრებული II* (p. 25). თბილისი.

37) შველიძე, დ. (2015). *"ადგილობრივი თვითმმართველობა და ქართველი საზოგადოება XIXს-ის დასასრული XXს-ის დასაწყისი"*. თბილისი.

38) ჭკადუა, მ. (2014, მაისი 21). *http://www.transparency.ge/ge/blog/ras-pikroben-mokalakeebi-adgilobrivi-tvitmmartvelobis-organoebis-mushaobaze*. Retrieved from საერთაშორისო გამჭირვალეობა საქართველო.

39) ხარაძე, კ. (2003). *საქართველოს ისტორიული გეოგრაფია.* თბილისი.

40) ხმალაძე, ვ. (1997). *ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში: წარსული, თანამედროვეობა, ტენდენცია.* თბილისი.

41) ხმალაძე, ვ. (2017, 06 30). ინტერვიუ ადგილობრივ თვითმმართველობის თემაზე. (ბ. გაჩეჩილაძე, Interviewer)

42) ხმალაძე, ვ. (2017, 06 30). ინტერვიუ ადგილობრივ თვითმმართველობის თემაზე. (ბ. გაჩეჩილაძე, Interviewer)

43) ჯონსი, ს. (2016, დეკემბერი 03). თვითმმართველობის წარსული გამოცდილება. (ბ. გაჩეჩილაძე, Interviewer)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Beka Gachechiladze

Self-governance in Georgia: past experience and modernity

Faculty of Social and Political Sciences

Thesis is done to gain Master's degree in Political Science

Under the Supervisor: Zviad Abashidze

Associate professor

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ლექსო ლომიძე

რელიგიური ინსტიტუტების ფაქტორი თანამედროვე საქართველოს პარტიულ პოლიტიკაში

პოლიტიკის მეცნიერება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2017

ანოტაცია

პირველ თავში განვიხილე საქართველოს ისტორიული გამოცდილება სეკულარიზმის კუთხით. ისტორიული გამოცდილება საკმაოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერ საკითხში, განსაკუთრებით კი ისეთ სენსიტიურ საკითხზე, როგორიცაა რელიგიური ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს ურთიერთობა. ადამიანები საკუთარი ქვეყნის ისტორიის მაგალითზე შეიცნობენ, რომ სეკულარიზმის დაცვა საშიში, ცუდი არ არის არც ქვეყნისთვის, არც მოქალაქისთვის.პირიქით, აუცილებელია, ვინაიდან რაც უფრო გამიჯნულია რელიგია სახელმწიფო პოლიტიკისგან, მით უფრო სუფთაა იგი და მით უფრო ახლოა ეკლესია თავის პირვანდელ დანიშნულებასთან,კერძოდ, იზრუნოს ადამიანის სულზე. ასეთ კონტექსტში საქართველოს ისტორიის გააზრება საკმაოდ მნიშვნელოვანია. ჰქონდა თუ არა ჩვენს ქვეყანას სეკულარიზმის გამოცდილება? ამ ფაქტის ახსნა დაგვეხმარება, თუ რა მდგომარეობაშია დღევანდელი ქართული საზოგადოება ამ მხრივ, როგორ მოვიდა ქართული საზოგადოება აქამდე? მეორე თავში განვიხილე თუ რატომ თანამშრომლობენ რელიგიური ინსტიტუტები პოლიტიკურ პარტიებთან, რა აიძულებთ ითანამშრომლონ. რელიგიური ინსტიტუცია ერთი შეხედვით არის ის ინსტიტუცია რომელიც უფრო სულიერებით ინტერესდება ვიდრე მიწიერებით, ამის მიუხედავად მათ მაინც ახლოს ურთიერთობა აქვთ პოლტიკასთან, რომელიც „ბინძურ საქმესთან“ არის გაიგივებული რამდენიმე წმინდანის მიერ. მესამე თავში შევეცადე ამეხსნა თუ რატომ ჭირდებათ პოლიტკურ პარტიებს რელიგური ინსტიტუტების დახმარება, რა გზა გაიარა პოლიტკურმა პარტიებმა, როგორც ინსტიტუციამ, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე და როგორ დაკნინდა დროთა განმავლობაში ეს ინსტიტუცია, რამაც მიიყვანა კიდეც პოლიტიკოსები რელიგიურ წარმოამდგენლებთან.

Annotation

In first chapter we discussed secularism and experience throughout the history of Georgia. Historical experience is always important in any topic, especially in sensitive topics,such as relationship between religious iinstitutions and State. Throughout the history of their county, people realize that protecting secularism is neither dangerous, nor bad for the country or its citizens. Contrary, it is necessary, because the more religion is separated from state politics the closer it is with its original mission, to guide human spirit. In this regard, Analyzing history of Georgia is sufficiently important. Does our country have experience in secularism? Answering this question will help us explain where does today's Georgian society stand on this? How did Georgian society come to this point? In second chapter we discussed why religious institutions collaborate with political parties, what makes them work with political parties? Religious institutions, on one hand, are the institution s, which are interested in spiritual life rather than material life. Despite this, they stay involved in politics, which is portrayed as "dirty work" by several saints.In third chapter we tried to explain why political parties require help from religious institutions, what did political parties, as institution, went through since gaining independence and how did they fall into decay during this time, which, as a result,ledpoliticians to religious representatives.

სარჩევი

შესავალი ---------- 4 - 16

თავი 1: საქართველოში სეკულარიზმის ისტორიული გამოცდილება---------- 17 - 26

თავი 2: ეკლესიის თანამშრომლობა პოლიტიკურ პარტიებთან-
---------- 27 - 38

თავი 3: პარტიების პროგრამის ანალიზი, პარტიების ურთიერთმიმართება ეკლესიასთან---------- 39 - 57

თავი 4: დასკვნა---------- 58 - 60

გამოყენებული ლიტერატურა---------- 61- 67

შესავალი

ჩემი საკვლევი თემაა რელიგიური ინსტიტუტების ფაქტორი თანამედროვე საქართველოს პარტიულ პოლიტიკაში. ეს თემა მტკივნეულია, პირველ რიგში, ქართული საზოგადოებისთვის, რადგან საზოგადოება არ შედგება, თუ მისი თითოეული წევრი დაცული არ იქნა რაიმე სახის დისკრიმინაციისგან. ეს პრობლემა აქტუალურია ქართული პოლიტიკური პარტიებისთვისაც, ვინაიდან პოლიტიკური პარტიების დაბალმა რეიტინგმა შეუქმნა წინაპირობა რელიგიურ ინსტიტუტებს, ჩარეულიყვნენ ქართული პოლიტიკური პარტიების საქმიანობასა და მოღვაწეობაში.

ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია. პარტიები ხშირად მიმართავენ რელიგიურ ორგანიზაციებს. ეს შეიძლება აიხსნას ხალხში პარტიების მიმართ ნაკლები ნდობითა და ლეგიტიმურობის არქონით, ამავდროულად, რელიგიური ორგანიზაციების მაღალი ნდობით. ასეთი მიდგომა არღვევს კონსტიტუციას, სადაც უპირატესობა არც ერთ რელიგიას არ ენიჭება(საქ.კონსტიტუცია თავი პირველი, მუხლი მე-9). დღეს-დღეისობით ჩვენ ვხედავთ, რომ პოლიტიკური პარტიები ელექტორატის მოსაზიდავად იყენებენ ამომრჩევლების რელიგიურ სენტიმენტებს.

რელიგიური ინსტიტუების ჩარევა პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში და მათზე რაიმე სახის ზეწოლა არღვევს თანამედროვე სახელმწიფოებრიობის პრინციპებს, რადგან სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანი არის სეკულარიზმი (გაეროს 1981 წელს მიღებული დეკლარაცია რელიგიის და რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობის და დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ). ამ პრინციპს არღვევენ ქართული პარტიები, რადგან მათ ნაკლები ნდობა აქვთ საქართველოს მოსახლეობაში, ხოლო ხელისუფლებაში მოსასვლელად სჭირდებათ მაღალლეგიტიმური ორგანიზაციების მხარდაჭერა. საქართველოში ასეთ ორგანიზაციებად ითვლებიან რელიგიური ინსტიტუტები. როგორც წესი, პარტიები რელიგიურ ინსტიტუტებს ჰპირდებიან უამრავ შეღავათს, იქნება ეს ეკონომიკური თუ პირადი სახის. პარტიები ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ იწყებენ ამ დანაპირების აღსრულებას.

ჩემი საკვლევი თემა აქტუალურია საქართველოსთვის. იგი ეხება როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკას, ასევე ჩვენს საერთაშორისო ასპარეზს. ჩვენი დასავლელი პარტნიორების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა ადამიანთა უფლებების დაცვა,

„განურჩევლად მისი რელიგიური აღმსარებლობისა“ (საქართველოს კონსტიტუცია; მუხლი მე-14). ვფიქრობ, ჩემი საკვლევი თემა ეწინააღმდეგება ჩვენი კონსტიტუციისა და ჩვენი დასავლელი მოკავშირეების მოთხოვნებს.

კვლევა მიზნად ისახავს გამოვიკვლიო, თუ რა დოზით ითვალისწინებენ პოლიტიკური წარმომადგენლები თავიანთი პროგრამების ჩამოყალიბებისას რელიგიური ლიდერების აზრს, გადიან თუ არა მათთან კონსულტაციებს. რა მოტივაცია აქვთ რელიგიური ინსტიტუტების წარმომადგენლებს, დაეხმარონ პარტიებს მათთვის სასურველი პროგრამების ჩამოყალიბებაში.

ჩემი ამოცანები იქნება შევისწავლო, თუ როგორია სახელმწიფოსა და რელიგიური ინსტუტების ურთიერთთანამშრომლობა ისტორიულ კონტექსტში: იკვეთებოდა თუ არა მათი გზები, თუ იკვეთებოდა, რამდენად ხშირად და ამ ურთიერთ თამანამშრომლობით რომელი უფრო მეტ სარგებელს ნახულობდა. ასევე, ამ თემასთან დაკავშირებით შევისწავლი პარტიების პროგრამებს, გავაანალიზებ მათი ლიდერების გამოსვლებს რელიგიურ ინსტიტუციებთან მიმართებაში. განვიხილავ, თუ რამდენად მიმართავს რელიგიურ ინსტიტუტებს ესა თუ ის პარტია.

ამისთვის მე დამჭირდება საკვლევი კითხვები, რომლებიც დამეხმარება ავხსნა და გავაანალიზო ჩემ მიერ არჩეული პრობლემა. საკვლევი კითხვა მექნება ორი:

ა) რა განაპირობებს პოლიტიკური პარტიების მიერ რელიგიური ინსტიტუტებისადმი აპელირებას?

ბ) რატომ სჭირდებათ რელიგიურ ლიდერებს ამა თუ იმ პარტიისთვის მხარდაჭერა?

ცვლადები

დამოუკიდებელი ცვლადი: რელიგიური ინსტიტუტები

დამოკიდებული ცვლადი: პოლიტიკური პარტიები

წინამდებარე ცვლადი: ელექტორატი

შუამდებარე ცვლადი: აპელირება

ჰიპოთეზა: ელექტორატის მოზიდვის ან განმტკიცების მიზნით პოლიტიკური პარტიები აპელირებენ რელიგიურ ინსტიტუტებზე

ამის თქმის საფუძველს მაძლევს ქართულ პოლიტიკაში გავრცელებული „ტრადიცია," რომ ყველა პარტია ვალდებულია, როგორმე მადლობა გადაუხადოს რელიგიურ ინსტიტუტებს, მნიშვნელობა არ აქვს, ამ პარტიას რეიტინგი აქვს თუ არა. ყველა ცდილობს, რევერანსი გაუკეთოს რელიგიურ ინსტიტუტებს. მაგალითისთვის ავიღოთ ბოლო არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობამოპოვებული „ქართული ოცნება", რომელმაც გამარჯვების შემდეგ, ზეიმზე, მიმართა საზოგადოებას და გაახსენა საქართველოში ყველაზე ძლიერი რელიგიური ინსტიტუციის, მართლმადიდებელი ეკლესიის, უმაღლესი წარმომადგენლის, კათალიკოს - პატრიარქის სიტყვები: „2012 წლამდე საქართველო უფსკრულის პირას იყო" (https://www.youtube.com/watch?v=4DEjbMX9ogw), ეს მიგვანიშნებს, ერთი მხრივ, რომ არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ უნდა აწყენინოს რელიგიურ ინსტიტუტებს, არჩევნებში გამარჯვების თუ დამარცხების მიუხედავად, მეორე მხრივ, კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ ყველა პოლიტიკური პარტია თამაშობს რელიგიურ სენტიმენტებზე, ზოგი პარტია ელექტორატის მოსაზიდად და ზოგიც- ელექტორატის გასამყარებლად. ამის კარგი მაგალითია 2004 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილის გამარჯვება, რომელმაც ფიცი დადო გელათის ტაძარში, დავით აღმაშენებლის საფლავზე (http://www.civil.ge/geo/article.php?id=20309). იმ დროს სააკავშვილის რეიტინგი განუსაზღვრელად დიდი იყო ქართულ საზოგადოებაში, თუმცა ის მაინც ირჩევს ეკლესიას ფიცის დასადებად, რაც ირიბად მიგვანიშნებს, რომ ის აპირებდა, რელიგიურ ინსტიტუტებთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა, ამავდროულად, ამ ინსტიტუციებთან პრობლემა არ სურდა. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა პოლიტიკურ პარტიას, მიუხედავად მისი რეიტინგისა, სჭირდება რელიგიურ ინსტიტუტებთან აპელირება, რათა მოიზიდოს ან გაიმყაროს ელექტორატი.

ცვლადები

დამოუკიდებელი ცვლადი: პარტიები

დამოკიდებული ცვლადი: რელიგიური ინსტიტუტები

წინამდებარე ცვლადი: ძალაუფლება

შუამდებარე ცვლადი: დივიდენდები

ჰიპოთეზა: ძალაუფლების განსამტკიცებლად რელიგიური ინსტიტუტები იღებენ გარკვეულ დივიდენდებს პოლიტიკური პარტიებისგან

იმისთვის, რომ სასულიერო ინსტიტუტების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირონ ამა თუ იმ პარტიას არჩევნებში, მათ სჭირდებათ გაკვეული დივიდენდები. როგორც წესი, ეს შეღავათები ვლინდება მიწის გადაცემით, რომელიც სჭირდება ამა თუ იმ რელიგიურ ნაგებობას. ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესიის მფლობელობის ქვეშ არსებული მიწის საერთო ფართობი 36 - ჯერ აღემატება ვატიკანის ტერიტორიას (http://news.ge/ge/news/story/210847-gamokvlevebis-tanakhmad-saqartvelos-eklesiis-kutvnili-mitsis-saerto-fartobi-36-jer-aghemateba-vatikanis-teritorias). ეს ყველაფერი ეკლესიის წარმომადგენლებმა მიიღეს სრულიად უსასყიდლოდ. ამას ემატება ისიც, რომ საქართველო არის მცირემიწიანი ქვეყანა და თუ დავუმატებთ სხვა კონფესიებისთვის გადაცემულ მიწებს, მივიღებთ სავალალო სურათს, რაც ნათლად დაგვანახებს, თუ რა გავლენა აქვს რელიგიურ ინსტიტუტებს პოლიტიკურ პარტიებზე და მათ ამომრჩევლებზე. დივიდენდები არ ვლინდება მარტო მიწების გადაცემისას, დივიდენდებში, ასევე, იგულისხმება ეკონომიკური შეღავათებიც, რომლებითაც რელიგიური ინსტიტუტების წარმომადგენლები სარგებლობენ მხოლოდ. მაგალითად, „IDFI"-ს კვლევის მიხედვით 2014 წელს საპატრიარქოს საკუთრებაში 27 კომპანიაა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით საქმიანობენ; კერძოდ, ესაა წყლის ბიზნესი, სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტები, ჯანდაცვა, განათლება... ამავე კვლევის საფუძველზე, საპატრიარქოს დაფუძნებული აქვს 84 არასამეწარმეო იურიდიული პირი, მათ შორის, 4 უნივერსიტეტი, 5 სასულიერო სემინარია, 25 სკოლა, 8 სოციალური დაწესებულება, 18 საქველმოქმედო და განვითარების ფონდი და 16 კულტურული და სულიერი განვითარების ცენტრი. საპატრიარქოს დაქვემდებარებაშია 90-მდე

საგანმანათლებლო და სოციალური პროფილის დაწესებულება _ სემინარიები, სკოლები და საბავშვო ბაღები, ასევე რამდენიმე ბავშვთა სახლი, რომლებშიც 2 000-ზე მეტი თანამშრომელი და 18 000-მდე მოსწავლე ირიცხება. ამ სკოლების უმრავლესობა საპატრიარქომ დააფუძნა და მათ ამჟამად ეპისკოპოსები ან ეკლესიის მაღალი იერარქიის სხვა სასულიერო წარმომადგენლები მართავენ.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ პოლიტიკურ პარტიებს არჩევნებში რელიგიური ინსტიტუტების დახმარება არცთუ ისე იაფი უჯდებათ, რომელსაც ჩვენ, უბრალო მოქალაქეები და გადასახადის გადამხდელები, ვიხდით ჩვენივე ჯიბით.

კვლევის შეზღუდვა

ნებისმიერი თემის წერისას ჩვენ ვაწყდებით სირთულეებს, რომლებიც ხელს გვიშლის ხოლმე ამ თემის წერისას. ჩემი თემის წერის დროსაც გადავაწყდი ობიექტურ სირთულეებს, რომლებმაც შემაფერხეს. ყველაზე დიდი პრობლემა იყო სასულიერო ინსტიტუტების ჩაკეტილობა ჩემს საკვლევ თემასთან დაკავშირებით. ზოგადად, სასულიერო ინსტიტუტი ჩაკეტილი სივრცეა, იქიდან თავისუფალი ინფორმაცია იშვიათად გამოდის სააშკარაოზე. იმ ინფორმაციების დიდი ნაწილი,

რომლებიც ჩვენამდე აღწევს ხოლმე, ამ სასულიერო ინსტიტუტების წარმომადგენლების მიერვეა გადამოწმებული და გავრცელებული. რელიგიური ინსტიტუტები და მათი წარმომადგენლები უფრო მკაცრნი არიან, როცა საქმე პოლიტიკას და მათ ურთიერთდამოკიდებულებას ეხება. მათგან დამოუკიდებელი ინფორმაციის მოპოვება საკმაოდ რთულია, ან საერთოდ თავს არიდებენ ამ თემაზე საუბარს, ან ზოგადი ფრაზებით საუბრობენ, რაც კვლევისთვის ნაკლებ გამოსაყენებელია.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელმაც შემიშალა ხელი ამ პრობლემის უფრო ღრმად და ძირფესვიანად გამოკვლევისას, არის ამ თემის სენსიტიურობა დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში. ის თემები, რომლებიც ეხება სასულიერო ინსტიტუტებს, ქართულ საზოგადოებაში მტკივნეულად აღიქმება, რადგან ასე თუ ისე ეხება მათ სულიერე გრძნობებს, საჭიროა სიფრთხილე. ეს კი ხელს გვიშლის, გავიგოთ, თუ რამდენად პრობლემატურია საზოგადოებისთვის რელიგიური ინსტიტუტების ჩარევა ქართულ პოლიტიკაში. მოქალაქეები ამ დროს გპასუხობენ არა ობიექტურ აზრს, არამედ გამოდიან თავიანთი რელიგიური გრძნობებიდან გამომდინარე და, ზოგადად, ნებისმიერ საკითხში, სადაც რელიგიური ინსტიტუტების პრობლემა იქნება წამოჭრილი, ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი ამ პრობლემას არ მოისმენს და ყოველგვარი კამათის გარეშე დაუჭერს მხარს ისევ რელიგიურ ინსტიტუტებს და მათ წარმომადგენლებს.

შემდეგი პრობლემა, რომელსაც წავაწყდი ამ თემაზე მუშაობისას, არის სხვა რელიგიების არცოდნა, გარდა ქრისტიანობისა. მკვლევარი ნაკლებად ჩახედულია, მუსლიმურ კონფესიაში, ასევე, ებრაული და სომხური რელიგიების საქმეებში, რაც ხელს მიშლის სრული სურათის წარმოსახვაში და იქიდან სწორი დასკვნების გამოტანაში. შიდა საქმეების მეტ - ნაკლებად ცნობა აუცილებელია, რათა გქონდეს ზუსტი და ობიექტური აზრი, ვინაიდან სხვა კონფესიებთან, გარდა ქრისტიანულისა, ნაკლებად მქონია შეხება, მათ შესახებ თითქმის არაფერი ვიცი, რაც ხელს მიშლის დასკვნებისა და აზრების ჩამოყალიბებაში. თუმცა, რელიგიური ინსტიტუტების სტრუქტურა უმეტესად ერთნაირია ყველა კონფესიაში.

კვლევითი თეორია

ჩემი ამხსნელი თეორია იქნება მარკ იუგერსმეიერის თეორია, რომელიც მან გამოიყენა ნაშრომში: „ახალი ცივი ომი? რელიგიური ნაციონალიზმი უპირისპირდება სეკულარულ სახელმწიფოს“.

მოცემული თეორიის მიხედვით: „თანამედროვეობამ გამოიწვია რელიგიის გავლენის ზრდა საზოგადოებასა და პოლიტიკაში. ხელისუფლებებმა, განსაკუთრებით მესამე სამყაროში, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ თანამედროვე დასავლური პოლიტიკური და ეკონომიკური იდეოლოგიებით, ვერ შეასრულეს პოლიტიკური სამართლიანობისა და ეკონომიკური აყვავების დაპირება. ამან მათი ლეგიტიმურობას ძირი გამოუთხარა; ამას მოჰყვა პოლიტიკური და იდეოლოგიური ვაკუუმი, რომლის შევსებაც რელიგიურმა მოძრაობებმა დაიწყეს“.

(https://books.google.ge/books?id=qBJmeM6DiBAC&pg=PR3&source=gbs_selected_pages&cad=3#v=onepage&q&f=false)
(http://www.culturedialogue.com/resources/library/translations/fox.shtml)

ეს თეორია ნათლად გვიხატავს სურათს, თუ რატომ იზრდება მესამე სამყაროში რელიგიის როლი, სადაც ხშირია შემთხვევები, როცა რელიგიის როლის ზრდა ფუნდამეტალიზმში გადადის. მაგალითად, ავღანეთი ან ირანი, სადაც რელიგია და რელიგიური ინსტიტუციები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. ეს თეორია არ ეხება მარტო მუსულმანურ სამყაროს. იგივე ძალიან კარგად მიუდგება ლათინურ ამერიკას, სადაც კათოლიკური რელიგიური ინსტიტუტის წარმომადგენლები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს პოლიტიკური თუ ყოფითი საკითხების გადაწყვეტისას. ასევე, ეს თეორია მიუდგება ჩვენს ქვეყანას, მის დღევანდელ მდგომარეობას და ხსნის იმ ფაქტორს, თუ რატომ გახდა რელიგია ასეთი პოპულარული, როცა ამისი არანაირი წინაპირობა არ იყო. საქართველომ 70 წელი გაატარა მკაცრად ათეისტურ საბჭოთა კავშირის იმპერიაში. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომ სწრაფად იზრდება რელიგიური ინსტიტუტებისადმი ნდობა საქართველოშიც და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, თუ არ ჩავთვლით ბალტიისპირეთის ქვეყნებს. ისმის კითხვა: რა ფაქტორებმა გამოიწვია ასე სწრაფად რელიგიური ინსტიტუციებისადმი ნდობის ამაღლება?

აქ რამდენიმე ფაქტორი უნდა გამოიყოს. პირველი ის, რომ საბჭოთა კავშირი ებრძოდა რელიგიურ ინსტიტუტებსა და რწმენას, ასევე, მის ყოველგვარ

გამოვლინებას. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და დამარცხდა, ხალხის თვალში მასთან მებრძოლმა ინსტიტუტებმა სწრაფად მოიპოვეს ნდობა, როგორც იმპერიასთან მებრძოლი და გამარჯვებული ინსტიტუცია. მეორე და, ჩემი აზრით, ყველაზე მთავარი ფაქტორი კი არის ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში მოსული ყველა მთავრობა ხალხს ჰპირდებოდა სწრაფ ეკონომიკურ აღმავლობას, სწრაფ განვითარებასა და წინსვლას, რასაც, მათ აზრით, საბჭოთა კავშირი ხელს უშლიდა, მაგრამ ხელისუფლებაში მოსული ყველა პარტია ვერ ან არ ასრულებდა ამ დაპირებებს. უზრუნველად ცხოვრობდნენ თვითონ და მათ გარშემო მყოფი ადამიანები, მაგრამ ხალხის უმეტესობა ისევ გაჭირვებაში ცხოვრობდა. ასე იყო „ მრგვალი მაგიდა - დამოუკიდებელი საქართველოს“ დროსაც, რომელიც ხალხს დაპირდა ეკონომიკურ წინსვლას, მაგრამ რეალურად ხალხმა ამის ნაცვლად მიიღო სამოქალაქო ომი თბილისში, ასევე კონფლიქტები ოსეთსა და აფხაზეთში, რამაც მოსახლეობა მიიყვანა უკიდურეს სიღარიბემდე. ასე მოხდა „მოქალაქეთა კავშირის“ ხელისუფლებაში მოყვანის დროსაც, როცა ქვეყანაში მძვინვარებდა კორუფცია და ხელისუფლების სამივე შტოს ყველა რგოლი კორუმპირებული იყო მაშინ, როცა ხალხი უკიდურესად გაჭირვებული იყო, მაგრამ დაპირება კი სხვა იყო, დაპირება იყო ეკონომიკური წინსვლა და დასავლური ღირებულებების დანერგვა სახელმწიფოში, ასევე, დემოკრატიის დანერგვა სახელმწიფოში. დაპირებები არ შესრულდა, რასაც მოჰყვა ხელისუფლების გადაყენება, ახალი პარტიის არჩევა პარლამენტში და, შესაბამისად, ახალი მთავრობის მოყვანა. „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი წინა მორბედი პარტიებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ დაპირების რაღაც ნაწილი შეასრულა, აღმოფხვრა კორუფცია, ნელ - ნელა ავითარებდა საქართველოს, მაგრამ ამას აკეთებდა პოლიციური რეჟიმისა და შიშის ქვეშ. პოლიციური სისტემა იყო შესული ყველა რგოლში, დაწყებული სასამართლოს უმაღლესი ინსტანციიდან დამთავრებული ადგილობრივი თვითმართველობით. ეს ხალხში აღიქმებოდა არადემოკრტიულობად, რადგან დემოკრატიის მთავარი პრინციპია ხელისუფლების შტოების დანაწილება და მათ შორის შემაკავებელი და გამაწონასწორებელი ბერკეტების არსებობა. „ნაციონალური მოძრაობის“ დროს კი ნათლად ჩანდა აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლება ყველა სხვა სახელმწიფო შტოზე, პარლამენტზეც და სასამათლოზეც, რამაც გამოიწვია მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უკმაყოფილება, ეს აისახა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხდა და გზა დაუთმო ახალ პარტიას- „ქართულ ოცნებას“, რომელიც, მსგავსად წინამორბედებისა, დაპირდა მოსახლეობას ეკონომიკურ წინსვლას, დასავლურ დემოკრატიას. მათ ნაწილი დაპირებებისა შეასრულეს, მაგრამ უფრო დიდ რესურსი იხარჯებოდა და იხარჯება

ვიწრო ჯგუფის ეკონომიკურ გამდიდრებაზე. ამან ხალხის დიდ ნაწილში პარტიული ინსტიტუტებისადმი აპათეა გამოიწვია.

საერთო, რაც ყველა სამთავრობო პარტიას აქვს საქართველოში, არის ის, რომ ყველანი ჰპირდებოდნენ დასავლურ დემოკრატიას, ეკონომიკურ წინსვლასა და ცხოვრების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას, მაგრამ ვერც ერთმა პარტიამ ეს პროგრამა ვერ შეასრულა, რაც მიზეზია ქართულ საზოგადოებაში პარტიული ინსტიტუტებისადმი ასეთი დაბალი ნდობისა. ადამიანი კი ისეთი არსებაა, რომ უნდა ვინმეს ენდოს, სხვაგვარად არ შეუძლია ცხოვრება. პოლიტიკურ სფეროში ქართულ საზოგადოებას მთავრობებმა, პარტიებმა ბევჯერ იმედები გაუცრუეს, ამიტომ საზოგადოების უმეტესობამ გადაწყვიტა ენდოს რელიგიურ ინსტიტუტებს, რომლებიც არა ეკონომიკურ კეთილდღეობაზე არიან ორიენტირებულნი, არამედ სულიერზე, ამიტომ ნებით თუ უნებლიეთ საზოგადოების უდიდესი ნაწილი მიემხრო რელიგიას. აქედან გამომდინარე აქვს რელიგიურ ინსტიტუტებს ასეთი ნდობა საქართველოშიც და, ზოგადად, ეგრეთწოდებულ, მესამე სამყაროს ქვეყნებში.

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ჩემი მეთოდოლოგია იქნება მეორადი წყაროების ანალიზი, კერძოდ, სხვათა სტატიების, ნაშრომებისა თუ წიგნების მიმოხილვა და გაანალიზება. ასევე კვლევისას თვისებრივ მეთოდს - კერძოდ, სიღრმისეულ ინტერვიურებას. ჩემი თემიდან გამომდინარე, გამოვიკითხავ ორ ისეთ პარტიას , რომლებიც ხშირად მიმართავენ ამომრჩევლების მოსაზიდად რელიგიურ ინსტიტუტებს, ორ ისეთ პარტიას,რომლებიც საერთოდ არ მიმართავენ რელიგიურ ინსტიტუტებს და ორ პარტიას, რომლებიც ნაკლებად, მაგრამ მაინც მიმართავენ ხოლმე რელიგიურ ინსტიტუტებს ელექტორატის მოსაზიდად. ეს მომცემს სრულ სურათს, თუ რატომ გადის ან არ გადის კონსულტაციებს ესა თუ ის პარტია რელიგიურ ლიდერებთან, ასევე, ჩემი ამოცანა იქნება, შევისწავლო ჩემი გამოკითხული პარტიების პროგრამები, გავაანალიზო ეს პროგრამები. დამატებით, პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც, ამავე დროს, ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენენ. განცხადებების ანალიზი, რომელიც ეხება რელიგიურ

საკითხებს-ეს დაგვეხმარება გავიგოთ, რამდენად დამოკიდებულნი არიან პარტიები რელიგიურ ინსტიტუტებზე.

ჩემი შერჩევა იქნება არაალბათური, რადგან უნდა გამოვიკითხო როგორც რელიგიური, ასევე ნაკლებად რელიგიური და არარელიგიური პარტიებიც, რაც მომცემს სრულ სურათს, თუ როგორია დამოკიდებულება ამა თუ იმ პარტიებისა რელიგიურ ინსტიტუტებთან, როგორ ქმნიან ეს პარტიები თავიანთ პროგრამებს და რამდენად ითვალისწინებენ რელიგიური წარმომადგენლების აზრს.

ჩემი კვლევის ობიექტიები იქნებიან:

პარტიების წარმომადგენლები; პარტიების პროგრამები; საზოგადოება.

ლიტერატურის მიმოხილვა

თანამედროვე მსოფლიოში იმისთვის, რომ გერქვას შემდგარი სახელმწიფო, ერთ-ერთი ნიშანი არის სეკულარიზმი. დღევანდელ საქართველოში სეკულარიზმი გაგებულია, როგორც „ანტირელიგიურობა“ და ერთგვარად ქართული იდენტობის დაკარგვა. რომ გავიგოთ რა არის სეკულარიზმი, უნდა ჩავუღრმავდეთ ამ ტერმინის წარმოშობას, საიდან მოდის, რას ნიშნავს?

ტერმინი სეკულარიზმი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „სეკულუმ“, რაც „წარმავალ დროს“ ნიშნავს. ლათინურ ენაში ასხვავებდნენ, როგორც წესი, ორ დროს: მარადიულსა და წარმავალ დროს. სწორედ ამ წარმავალ დროებას აღნიშნავს ტერმინი „სეკულუმ“. ეკლესიაში ეს ტერმინი შუა საუკუნეებში შემოვიდა. „სეკულარიზაცია“ კანონიკურ სამართალში აღნიშნავდა სასულიერო პირის საერო სტატუსში დაბრუნებას (გიგა ზედანია: „სეკულარიზაცია თუ დესეკულარიზაცია). საინტერესოა, როგორი ისტორია აქვს „სეკულარაზიაციას“, ეს ტერმინი აქტიურად შემოვიდა საფრანგეთში „დიდი რევოლუციის დროს“. იმ დროს ამ ტერმინით აღწერდნენ ეკლესიებისთვის მიწების ჩამორთმევის პროცესს.

იმისათვის, რომ გავიგოთ საიდან მოდის სეკულარიზმის იდეა, საჭიროა გავიგოთ მისი ისტორიული ასპექტები, როგორ წარმოიშვა ეს იდეა ევროპაში და შემდგომში როგორ გავრცელდა იგი მსოფლიოში და იქცა სახელმწიფო მოწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშნად. სეკულარიზმის დასაწყისად მიიჩნევენ საღვთო რომის იმპერატორის, ჰაინრიხ მე-2-ის, გვირგვინის დადგმას პაპის კურთხევის გარეშე. ეს იმ დროს წარმოუდგენელი რამ იყო, რადგან ნებისმიერი იმპერატორის, მეფის ან ხელისუფალის ძალაუფლება მოდიოდა რომის პაპისგან. ჯერ პაპს მირონი უნდა ეცხო ხელისუფალისთვის და ამის შემდეგ აღიარებდა ხალხი ხელისუფალს, როგორც თავის მმართველს. საღვთო რომის იმპერატორი ჰაინრიხ მე-2 კი დაუპირისპირდა პაპს და ამით დაიწყო სეკულარიზაციის პროცესი ევროპაში, რადგან ეს იყო ერთგვარი გამიჯვნა სახელმწიფო ძალაუფლებასა და სასულიერო ძალაუფლებას შორის (A History of the Church in the Middle Ages by f. Donald logan).
შემდეგი ასეთი დაპირისპირება ხდება ფილიპე მე-4-სა და რომის პაპს შორის, რომელიც გამოიწვია, ეგრეთ წოდებულმა, ასწლიანმა ომმა ევროპაში. ამ დროს რომის პაპი მხარს უჭერდა ინგლისს, ინგლისი და საფრანგეთი ერთი რელიგიის მიმდევრები იყვნენ, ინგლისისთვის პაპის ღია მხარდაჭერამ საფრანგეთში დიდი პროტესტი გამოიწვია. ფილიპე მე-4 ფრანგებს მოუწოდებდა, ებრძოლათ არა სარწმუნოებისთვის, არამედ საკუთარი ქვეყნისთვის და ყოფილიყვნენ საფრანგეთის

პატრიოტები, მსგავსი შინაარსის განცხადებები შუა საუკუნებში არ კეთდებოდა, რადგან მიაჩნდათ, რომ მთავარი იყო არა სამშობლო, არამედ სარწმუნოება და რომ ჯერ დასაცავი იყო სარწმუნოება და არა სამშობლო. ფილიპე მე-4 კი მოუწოდებდა ფრანგ ხალხს, რომ ჯერ დაეცვათ სამშობლო და შემდგომში ეზრუნათ სარწმუნოებაზე. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სეკულარიზმისთვის შუა საუკუნეებში (A History of the Church in the Middle Ages by f. Donald logan).

შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სეკულარიზმისკენ გადაიდგა მაშინ, როცა ევროპაში დაიწყო რეფორმაციის ხანა. კათოლიკე ეკლესიაში მოხდა განხეთქილება და ცალკე გავიდნენ ლუთერანები, ცალკე კალვინისტები. ამას მოჰყვა დიდი სისხლის ღვრა მთელ ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც იმ დროს ბევრი პროტესტანტი ცხოვრობდა. მეფის ტახტზე ასასვლელი ერთ-ერთი კანდიდატიც სწორედ პროტესტანტი ანრი მე-4 ნავარელი იყო. ის ავიდა ტატხზე კიდეც, ოღონდ რელიგია შეიცვალა და პროტესტანტობიდან კათოლიკობაზე გადავიდა. ანრი მე-4-მ გამოსცა ნანტის ედიქტი (1598 წელს), რომელიც თავის დროზე აღიქმებოდა როგორც რევოლუციური, რადგან ამ ედიქტში თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ როგორც კათოლიკეები, ისე პროტესტანტები და არანაირი უპირატესობა არ ენიჭებოდა არც კათოლიკეებს და არც პროტესტანტებს. მთავარი იყო მშვიდობიანად ეცხოვრათ ერთ ქვეყანაში ორი სარწმუნოების აღმსარებელ ადამიანებს. ამ მომენტიდან იწყება გადამწყვეტი ბრძოლა სახელმწიფო პოლიტიკიდან რელიგიის ჩამოშორებისათვის, რომელიც დამთავრდა საფრანგეთის რევოლუციით, შემდგომში მონარქების ჩამოშორებით, რასაც ავტომატურად მოჰყვა ევროპაში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნა. (გიორგი მაისურაძე - სეკულარულობა და მისი კრიზისი თანამედროვე საქართველოში, ბათუმის უნივერსიტეტი, 01.06.2016).

მე-19 საუკუნეში არაერთი დიდი მოსაზროვნე და ფილოსოფოსი შეეხო სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობებს. მაგალითად: ჰეგელი, მარქსი, მაქს ვებერი და სხვები. ჰეგელის აზრით, იმისათვის, რომ ადამიანმა აღასრულოს საკუთარი სარწმუნოებრივი ინტერესები, საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკა და რელიგია გამიჯნული იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო იყენებს რელიგიას როგორც კეთილი, ასევე ბოროტი მიზნებისათვის (ჰეგელი. გონის ფილოსოფია. თბილისი, 1984 წელი, გამომცემლობა „მეცნიერება). კარლ მარქსი ჰეგელზე უფრო მეტად აკრიტიკებდა რელიგიას და სულიერ ინსტიტუტებს. იგი ამბობდა: „ რელიგია ეს არის ოპიუმი ხალხის და მასების დასამორჩილებლად“ (კარლ მარქსი; „ჰეგელის სამართლის ფილოსფიის კრიტიკისათვის; https://burusi.wordpress.com/2013/08/17/marqs/) . ემილ დურკჰაემისთვის რელიგია საზოგადოების მხარდამჭერ მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენდა. იგი ამბობდა: „ადამიანებს უფრო უადვილდებათ სწამდეთ რელიგია და დაკავშირებული ღვთაებრივი (საკრალური) და მასთან ასოცირებული განსაკუთრებული რიტუალები, ვიდრე აღიარონ საზოგადოების ძალაუფლება მათს ცხოვრებაზე“

(ემილ დურქჰაემი; „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“; 1912 წელი; http://www.qwelly.com/group/sociology/forum/topics/iluzia?commentId=6506411%3AComment%3A976167&groupId=6506411%3AGroup%3A886792).

ფროიდის აზრით:

"რელიგიის საბოლოო საფუძველი ადამიანის ინფანტილური უძლურებაა."(http://www.radiotavisupleba.ge/a/blog-giorgi-maisuradze-tsminda-giorgi/26996298.html), ასევე, მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი დიდი მოაზროვნე ნიცშე რელიგიას ბრბოთა საქმედ მიიჩნევდა: „რელიგია ბრბოს საქმეა“ (http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/27316-%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AE-%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/95/) , ხოლო არტურ შოპენჰაურერი ამბობდა, რომ „რელიგია არის ხელოვნების შედევრი ცხოველთა წვრთნაში“.

საბოლოოდ, ისტორიული კონტექსტიდან და მეცნიერების ნააზრევთა საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სეკულარიზმი არ უშლის ხელს მორწმუნეებს იყვნენ რელიგიური რიტუალებით დაკავებულნი, ამავდროულად, იყვნენ სახელმწიფოს მოქალაქეები ისე, რომ ეს ორი ცნება ერთმანეთში არ აურიონ. სეკულარიზმი აუცილებელია თანამერდოვე მსოფლიოში ისევ და ისევ მორწმუნეთათვის, რომ ისინი იყვნენ დაცულები, თავიანთი აღმსარებლობის გამო, ასევე სეკულარიზმი კარგია სულიერი ინსტიტუტებისათვის, რადგან ის ათავისუფლებს რელიგიას ზედმეტი პასუხისმგებლობისგან. მოგებული რჩება სახელმწიფოც, რადგან ის აღარ იღებს ზედმეტ პასუხისმგებლობას, აღარ არის მაკონტროლებელი ფუნქციის მქონე, არამედ არის მარეგულირებელი ორგანო თავის ტერიტორიაზე არსებულ რელიგიურ ინსტიტუტებს შორის.

თავი პირველი

საქართველოში სეკულარიზმის ისტორიული გამოცდილება

ქართულ სახელმწიფოსა და ეკლესიას ურთიერთობის დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ ისტორიის გააზრება და გათვალისწინება საკმაოდ მნიშვნელოვანია ამ თემასთან დაკავშირებით, რადგან ჩვენ თუ გვინდა გავიგოთ რამდენად სეკულარულია დღეს - დღესიობით ქართული სახელმწიფო, ამისთის აუცილებელია გავიგოთ ქონდა თუ არა ქართულ სახელმწიფოებრიობას სეკულარულობის გამოცდილება, თუ ქონდათ რამდენი ხნით ან თუ არ ქონდა საერთოდ, მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში რა იყო ამის პრობლემა? ან რატომ არ ქონდათ?

საქართველოში ქრისტიანობა მეოთხე საუკენეში გამოცხადდა ოფიციალურ რელიგიად, (თუმცა თარიღი ამ დრომდე დაუდგენელია), აქედან მოყოლებული ქრისტიანული რელიგიური ინსტიტუტი და მათი წარმომადგენლები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, საქართველოში. ქრისტიანობა გამოაცხადა მეფე მირიანმა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ იგი თავიდან უარზე იყო ეღიარებინა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად, საქართველოში ამ დროს უკვე მოღვაწეობდნენ ქრისტიანი მრევლი, მათ შორის ყველაზე გამორჩეული იყო წმინდა ნინო, რომელიც არ იყო წარმოშობით ქართველი, იგი დაიბადა ბიზანტიის პროვნიცია კაბადოკიაში, თუმცა შემდგომში ქრისტიანული მოღვაწეობა გააგრძელა ქართლში და მისი დიდი ძალისხმევით მირიან მეფემ საქართველოში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადა, ამის შემდგომ, როგორც ისტორიული წყაროები ამბობენ მირიან მეფე ხშირად მიდიოდა წმინდა ნინოსთან აზრის საკითხავად, რომელიც იყო როგორც პოლიტიკური ასევე რელიგიური სახის (http://samtavro.ge/index.php?m=384) , ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე რომ წმინდა ნინოს ქონდა გარკვეული გავლენა სახელმწიფო მეთაურზე, რაც დაღვევაა სეკულარიზმის პრინციპისა.

შემდგომი მეფეებიც დაახლოებით იგივე პოლიტიკიას ატარებდნენ რელიგიასთან მიმართებაში, სანამ ტახტზე არ ავიდა ვახტან „გორგასალი“, რომელსაც დაპირისპირება მოუვიდა ქართლის მთავარეპისკოპოსთან მიქაილთან. როდესაც ვახტანგ მეფე ინდოეთის ლაშქრობიდან დაბრუნდა, სადაც ის გაყვა ირანის შაჰ პეროზს, ამ დროს ქართლის მთავარეპისკოპოსი საკმაოდ მოძლიერებული და

შეიძლება ითქვას „თავზე გასული“ იყო, მომძლავრებული იყო წარმოუდგენლად. მეფის ჩამოსვლამ მთავარეპისკოპოსის ძალაუფლება ეჭქვეშ დააყენა, რისი დათმობაც ეპისკოპოს არ უნდოდა, ამიტომ მიქაელმა გადაწყვიტა ვახტანგისთვის დაებრალებინა სარწუნოების შეცვლა და ცეცხლთაყვანისმცემლობაზე ანუ მაზდიანობაზე გადასვლა. ეს რელიგია იყო გავრცელებული მეხუთე საუკუნის ირანში, ამიტომ ქართველ მოქალაქეებში მტრის რელიგიაზე გადასვლა შენც მტრად გაქცევდა, სწორედ ეს ჩანაფიქრი ჰქონდა მიქაილს, რომ ხალხი აეჯანყებინა ვახტანგ მეფის წინააღმდეგ. ქართლის მეფემ მთავარეპისკოპოსის ბრალდება საპასუხო ბრალდებით უპასუხა და ეკლესიის ყველაზე დიდი რანგის წარმომადგენელი „ვერცხლისმოყვარეობაში“ დაადანაშაულა, რაც ქრისტიანულ სამყაროში საკმაოდ დიდ ცოდვად მიიჩნიევა. სახელმწიფოს მთავარის და ეკლესიის საჭეთმპყრობელის დაპირისპირება მარტო სიტყვიერი დაპირისპირებით არ შემოიფარგლა, იგი ფიზიკური დაპირისპირებით დასრულდა. როდესაც ვახტანგი მივიდა მთავარეპისკოპოსთან ამ დაპირისპირების დასასრულებლად მშვიდობიანი გზით, ისტორიული წყაროების ცნობით, მიქაილმა მეფეს სახეში ფეხი ჩაარტყა, რის შედეგადაც ქართლის მეფეს ტუჩი გაუსკდა და კბილი ჩამოტყდა. ვახტანგმა იმ მომენტში არაფერი მოიმოქმედა, მაგრამ შემდგომში, როცა ირანთან ურთიერთობა მეტ-ნაკლებად სტაბილური გახდა და ამ მხრიდან საქართველოს დროებით არანაირი საფრთხე ემუქრებოდა, მეფემ შიდა პრობლემების მოსაგვარებლად მოიცალა და ერთ-ერთი პირველი სწორედ საქართველოს სულიერი ლიდერი იყო. იგი გადააყენეს და საბერძნეთში, იმ დროის ბიზანტიაში, ათონის მთაზე გააგზავნეს. ვახტანგმა ამ ადგილზე ბიზანტიის სულიერ ლიდერთან და მეფესთან შეთანხმებით საბერძნეთიდან მოიწვია პეტრე, რომელიც საქართელოში პირველი კათალიკოსი იყო. პირველი სერიოზული დაპირისპირე სასულიერო და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის საქართელოს ისტორიაში იყო ეს ფაქტი. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია კიდევ რამდენიმე კუთხით, რომელიც შიძლება დავინახოთ ამ მოვლენაში. პირველი: როცა მეფე წავიდა ირანის მხარესთან ერთად საბრძოლველად ჰუნების წინააღმდეგ, მაშინ ყველაზე ძლიერი იყო და შემდგომშიც ძალაუფლება მოიპოვა, განუსაზღვრელი, სასულიერო ლიდერმა, ანუ სახელმწიფოში, როგორც მინიმუმ მეორე პირი არის მღვდელმთავარი, ხოლო როცა მეფე არ არის იგია სახელმწიფოს წარმომადგენელიც და რეალურად სასულიერო ლიდერია სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი, რაც უხეში ჩარევაა რელიგიური ინსტიტუტებისა სახელმწიფო პოლიტიკაში. თავის მხრივ, ეს გამორიცხავს რაიმე სახის სეკულარულობაზე საუბარს. ამის შემდეგ, როცა ვახტანგ მეფე ჩამოდის ქართლში, ხედავს რომ მის არ ყოფნაში სახელმწიფო არეულია, იწყებს სიტუაციის დალაგებას, რასაც ერთ-ერთი პირველი ვინც

ეწინააღმდეგება არის სწორედ მიქაილი, რომელსაც ძალაუფლების დათმობა არ სურს. ეს ფატი არის საქართველოს ისტორიაში პირველი დაპირისპირება სასულიერო და საერო ხელისუფლებისა. ვახტანგის ჩამოსვლის პირველ წლებში ჩვენ ვხედავთ რომ დიდ წინააღმდეგობას ვახტანგი ვერ უწევს სასულიერო ხელისუფლებას, იგი მხოლოდ ბრალდებებზე პასუხით შემოიფარგლება, ეს გამოწვეულია იმით რომ მეფეს დასუსტებულია, იმდენი ძალაუფლება არ აქვს ვიდრე მთავარეპისკოპოსს, რაც ნათლად მიუთითებს სასულიერო პირების საკმაო გავლენაზე ქართლში იმ დროს, შემდგომში, როცა მეფე საკმაოდ მოძლიერდა მოგვარდა შიდა პრობლემები, მიადგა მიქაილ მთავარეპისკოპოსსაც. ქართლის მმართველი ვერანაირ ლეგიტიმურ საბაბს ვერ ნახულობდა სასულიერო პირის მოსაცილებლად, ეს საბაბი თვითონ მიქაილმა მიცა, როცა ვახტანგს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ეს ფაქტი ვახტანგმა სათავისოდ გამოიყენა და მთავარეპისკოპოსი გააგზავნა ათონის მონსატერში, ისე რომ არავინ შეწინააღმდეგებია. ამ დროს ვახტანგი იქცევა როგორც დიქტატორი მმართველი, იგი უხეშად ერევა სასულიერო ცხოვრებაში და მისთვის არასასურველ წინამძღოლს იცილებს, ეს ფაქტი გვიჩვენებს რომ, ამ შემთხვევაში, საერო ხელისუფლება უხეშად ერევა სასულიეროში, რაც ასევე სეკულარიზმის პრინციპის უხეში დარღვევაა. ამ ყველაფრის შემდეგ ქართლს ჭირდებოდა სულიერი წინამძღვალი და ვახტანგიმ იგი მონახა საბერძნეთში. პეტრე, რომელიც საქართველოს ისტორიაში შევიდა როგორც პირველი კათალიკოსი. პეტრე მოწვეულ იქნა ვახტანგის და ბიზანტიის კათალიკოსის რჩევით ქართლში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვახტანგს პეტრეზე საკმაოდ დიდი გავლენა ქონდა, ანუ თუ პირველ შემთხვევაში მირიან მეფე უჯერებდა წმინდა ნინოს და სასულიერო ძალაუფლება აღემატებოდა საეროს, ამ შემთხვევაში საერო ხელისუფლება აღემატება სასულიეროს და იგი კარნახობს თუ რა უნდა გააკეთოს და რა არა, თუმცა ორივე შემთხვევაში სეკულარიზმის პრინციპი ირღვევა.

შემდგომ ამისა სასულიერო ინსტიტუტები და საერო ინსტიტუტები ერთად თანამშრომლობენ, რაც გავლენას ახდენს საერო ხელისუფლებაზე და ქართველს ხალხზე. პოლიტიკას სასულიერო პირებთან შეთანხმებით წარმართავენ, ასევე რელიგიური გრძნობებით წარმართავენ საგარეო პოლიტიკას, ამის კარგი მაგალითია ეგრედ წოდებული „ეგრისის სახალხო კრება“ რომელიც გაიმართა 555 წელს, სადაც წყდებოდა დასავლეთ საქართველოს საგარეო კურსი. ეგრისის დიდებულთა ერთი ჯგუფი, რომელსაც აიეტი მეთაურობდა, მოითხოვდა ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას; მეორე — ფარტაზის ჯგუფი, ირანთან კავშირის მოწინააღმდეგე იყო და საჭიროდ თვლიდა იმპერატორ იუსტინიანე პირველისთვის მოეთხოვათ გუბაზის მკვლელთა სასტიკი დასჯა და ეგრისის მეფედ

გუბაზის უმცროსი ძმის წათეს დამტკიცება. ცხარე კამათის შემდეგ მეორე აზრმა გაიმარჯვა და კრებამ აირჩია დიდებულთა დეპუტაცია კონსტანიტინეპოლში გასაგზავნად. იუსტინიანე I იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა ეგრისელთა მოთხოვნა. ვინაიდან ბიზანტია ქრისტინული იყო, ხოლო - ირანი მაზდიანული დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლებმა რელიგიური გავლენების გათვალისწინებით აირჩიეს ბიზანტია და მათთან კარგი ურთიერთობა. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს თუ როგორი გავლენა აქვს მოპოვებული სასულიერო ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოში, და არა მარტო იქ, მცხოვრებ ადამიანებზე, პრაქტიკულად რელიგია და სახელმწიფო პოლიტიკა ერთ რანგად არის აყვანილი და უპირველის დაცვა სახელმწიფოს კი არ უნდა არამედ - რელიგიას.

ამის შემდგომ სასულიერო ხელისუფლების ძალაუფლება საეროზე ნელ-ნელა იზრდება. სასულიერო ხელისუფლების უდიდესი გავლენა ჩანს ადრეულ მეცხრე საუკუნეში, როცა ტაო - კლარჯეებითი მეფე იყო აშოტ კურაპალტი, რომელმაც თავის სასახლეში მოიყვანა „სიძვის დიაცი“ და ამყოფებდა თავისთან ერთად. ეს ფაქტი რომ გაიგო იმ დროს იქ მოღვაწე გრიგოლ ხანძთელმა, რომელიც იყო ტაო - კლარჯეთში ერთ - ერთი გავლენიანი სასულიერო პირი, იგი ეგრევე მივიდა აშოტ კურაპალატთან და სასტიკად მოითხოვა განშორებოდა „სიძვის დიაცს“ და სასახლეში დაებრუნებინა კანონიერი ცოლი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაწყევლიდა და შეაჩვენებდა გრიგოლ ხანძთელი აშოტ კურაპალატს. იცოდა რა აშოტმა გრიგოლ ხანძთელი გავლენა ტაო - კლარჯეთში და ისიც იცოდა რომ წმინდა ბერი გრიგოლი თავის სიტყვას აუცილებლად აასრულებდა უკან დახევა გადაწყვიტა და „სიძვის დიაცი“ ბერს გაატანა, რომელაც ეს ქალი მონაზვნად აღკვეცა, ხოლო აშოტმა დედოფალი სასახლეში დააბრუნა (http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL2.15&d=HASH9c2e0e93f425d262f855b7.10) . საგულისმოა რამდენიმე ფაქტი ამ ეპიზოდში, პირველი ის რომ, სასულიერო ხელისუფალთა წარმომადგენლები, უკვე სახელმწიფო ხელისუფალთ პირად ცხოვრებასაც განაგებენ, არა თუ სახელმწიფო პოლიტიკას, მათ დაუკითხავად ქვეყანაში არანაირი გადაწყვეტილებები არ იქნება მიღებული, მათ შორის პირადი სახისაც. რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ჩარევაა სასულიერო პირების მხრიდან. მეორე ის ფაქტი, რომ გრიგოლ ხანძთელი აშოტს ემუქრება შეჩვენებით, რაც შუა საუკუნეებში აქტიურად ნიშნავდა ძალაუფლების დათმობას და დელეგიტიმიზაციას, გრიგოლს გადამწყვეტი სიტყვა ეთქმოდა იმ დროს ტაო -კლარჯეთში და მისი ერთი უარყოფით ტონში მოხსენიება ნიშნავდა იმას რომ იქ მცხოვრები თემი შენ მხარს არ დაგიჭერდა და განგიდგებოდა. იცოდა რა ეს აშოტმა ამიტომ გადაწყვიტა დათმობაზე

წასულიყო და სიტუაცია აღარ გაემწვავებინა, თან ამ გადაწყვეტილებას ის ფაქტორიც უწყობდა ხელს რომ, თუ დაპირისპირებამდე მივიდოდა საქმე მაშინ აშოტი აუცილებლად დამარცხდებოდა. ყველა ამ ფაქტორიდან გამომდინარე აშოტს მოუწია უკან დახევა და საკუთარი პოზიციის დათმობა. ისევე როგორც წინა შემთხვევებში აქაც დაღვეულია სეკულარიზმის იდეა, ოღონდ ამ შემთხვევაში სასულიერო პირები ფლობენ არნახულ ძალაუფლებას, რომელიც აქამდე არ ქონიათ, ისინი წყვეტენ არამარტო ქართული სახელმწიფოების ბედს არამედ თითოეული ადამიანის ბედს, დაწყებული მეფიდან დამთავრებული „სიძვის დაიცით“.

ეს სიტუაცია შეიცვალა დავით მეოთხე „აღმაშენებლის“ გამეფების შემდეგ. მან მოიწვია მოიწვია რუის - ურბნისის კრება (მოწვევის თარიღი დღემდე დაუდგენელია), სადაც გადაწყდა საეკლეიო საკითხები, ამ კრებაში მონაწილეობდა თვითონ დავით მეფეც და მისი აღმზრდელი გიროგი მწიგნობართუხუცეს - ჭყონდიდელი. დავით აღმაშენებელი, რომელიც არ იყო სასულიერო პირი არამარტო მონაწილეობდა, არამედ ერეოდა ხოლმე ხშირად და თანაც უხეშად, უკვე ეს ფაქტი საკმაოდ მიუღებელია, რადგან სასულიერო კრებაზე მონაწილეობს არა სასულიერო პირი რომელიც წყვეტს მნიშვნელოვან საკითხებს, ეს საკმაოდ უხეში ჩარევაა, მაგრამ დავითი მეოთხე ამას არ დაჯერდა და მისი ჩარევის წყალობით გადააყენეს ლეგიტიმური კათალიკოსი, ასევე რამდენიმე მნიშვნელოვანი მთავარეპისკოპოსი და აგრეთვე დავით აღმაშენებლის ჩარევის წყალობით ამ თანამდებობაზე დაინიშნენ მეფესთან დაახლოებული პირები, რომელიც მეფეს უსიტყვოდ დაემორჩილებოდნენ, კათალიკოსი გახდა დავით აღმაშენებლის მასწავლებელი და აღმზრდელი გიორგი მწიგნობართუხუცესი - ჭყონდიდელი, რომელმაც არამარტო სასულიერო თანამდებოობა შეითავსა, არამედ დავით აღმაშენებლის დამხმარეც იყო, ანუ ჭყონდიდელი ერთდროულად იყო სასულიერო და საერო თანამდებობის მქონე პირი, რომელიც პირადად ემორჩილებოდა მეფეს. ასე რომ, დავით მეფემ ჩამოიშორა ურჩი სასულიერო პირები და მათ ადგილას დანიშნა თავისთვის ყველაზე სასურველი პიროვნებები. ჩამოყალიბდა თეოკრატიულის მსგავსი ქართული სახელმწიფო. მისი თეოკრატიულობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ეკლესიამ იკისრა სახელმწიფოს მმართველობის ზოგიერთი ფუნქციის შესრულება, თავის მხრივ ეკლესიამაც დათმო გარკვეული უფლებები. საერთოდ თეოკრატია განისაზღვრება ასე - „მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც მონარქიული სახელმწიფოს მეთაური წარმოადგენს იმავდროულად მის რელიგიურ მეთაურს“ (http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0patriarc--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL3&d=HASH0521810ff9a47db51542d8.13.3&x=1) . ასეთი პრეცენდენტი რაც

დავით აღმაშენებელმა გააკეთა ქართული ისტორიაში მანამდე არ დაფიქსირებულა, მცდელობა ქონდა ვახტანგ გორგასალს მაგრამ მან სანამ რაიმე სახის მიზეზი არ ნახა ურჩი სასულიერო პირის წინააღმდეგ მანამდე ვერ გადააყენა, ამ შემთხვევაში დავითმა გადაყენაა სრულაიდ ლეგიტიმური კათალიკოს პარტიარქი, ისე რომ არანაირი მიზეზი არ ქონია ამისთვის. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ვახტანგს დაუპირისპირდა ქართლის მღვთელმთავარი, ხოლო დავითს - სრულიად საქართველოს კათოლიკოსი, რომელიც ქრისტიანული სასულიერო რანგის მიედვით გაცილებით უფრო დიდი იერარქიას წარმოადგენს და შესაბამისად გაცილებით უფრო დიდ ძალაუფლება აქვს ვიდრე მღვდელმთავარს, ასე რომ, წესით, დავითს უნდა გასჭირვებოდა კათალიკოსის ჩამოგდება სასულირო თანამდებობიდან, მაგრამ ეს საკითხი უპრობლემოდ და დიდი აჟიოტაჟის გარეშე მოაგვარა. კრებაზე მიღებულ იქნა დავითისთვის ხელსარელი გადაწყვეტილებები, სადაც ეკლესიას რაღაც უფლებები შეეზღუდებოდა, სამაგიეროდ საეროს ეზრდებოდა. ასევე შეიქმნა ახალი თანამდებოდა, რომელიც გულისხმობდა სახელმწიფოს ვაზირის და სასულიერო ლიდერის ერთად ყოფნას, რაც თავის თავის თავში გულისმობს იმ ფაქტს რომ ამიერიდან სასულიერო და საერო ხელისუფლება გადაჯაჭვული უნდა ყოფილიყო, რომლის თავში რეალურად მეფე იქნებოდა. დავით აღმაშენებელი ამ რეფორმებით უხეშად ჩაერია სასულიერო ინსტიტუციაში, გადააყენა კათალიკოსი და მასთან ერთად რამდენიმე სასულიერო პირი, ამით უხეშად დაარღვია სეკულარიზმის პრინციპი და ფაქტობრივად დაიმორჩილა სასულიერო ხელისუფლება. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ამ რეფორმების წყალობით დაიწყო საქართველოს აღორძინების ხანა. დავით აღმაშენებლის დროს კიდევ ერთხელ გადაიკვეთა მისი და სასულიერო პირების ბედი. როცა 1122 წელს დავითმა გადაწყვიტა თბილისის დაბრუნება, მან ალყა შემოარტყა თბილისს, თუმცა თბილისში მყოფმა მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რაზეც მეფე გაბრაზებულა და როცა აიღო ხუთსამდე კაცი ძელზე გაუკრავს (http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/davit_agmashenebeli.html), სადაც უმეტესობა ადგილობრივი ბერი იყო, საქმე იმაშია რომ, როცა არაბები დასუსტდნენ და საქართველოდან საბოლოოდ წავიდნენ(1080 წელს), თბილისის საამირომ არსებობა გააგრძელა და მას მართავდა ადგილობრივი ბერები, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს დავით მეფეს, ამაზე გაბრაზებულ მეფეს მათი უმეტესობა ძელზე გაუსვამს, აქედანაც ჩანს თუ როგორი ხისტი დამოკიდებულება ქონდა დავით აღმაშენებელს სასულიერო წარმომადგენელების მიმართ, ასეთმა დამოკიდებულებამ მოიტანა ის რომ, საერო ხელისუფლება გაბატონდა სასულიეროზე, ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდა საქართველოს აღორძინების ხანაში, დემეტრე მეფის, გიორგი მესამის და თამარის დროს. შემდეგში, როცა, საერო ხელისუფლება ნელ -

ნელა სუსტდებოდა სასულიერო ხელისუფლება ძველ ძლიერებას იკრეფდა. ნელ - ნელა დაიწყო ისევ დაპირისპირება სასულიეროსა და საეროს ხელისუფლებას შორის, ოღონდ ამჯერად სასულიერო ხელისუფლება ამარცხებდა და არა - პირიქით, ამას მოყვა ერთიანი საქართველოს დაშლა სამეფო - სამთავრობოებად, აქ გამოიკვეთა სასულიერო ხელისუფლების დომინირება თითოეულ სამთავროში. აღნიშვნის ღირსია კახთა სამეფო, სადაც შედიოდა: ალავერდის, ბოდბის, რუსთავის (მარტყოფის), სამების, ნინოწმინდის, ჭერემის, ნეკრესის, ხარჭაშნის და სხვა საეპისკოპოსები. ეპისკოპოსებს მეფე ნიშნავდა. კახეთი სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით სადროშოებად იყო დაყოფილი, რომელთაც სათავეში, განსხვავებით საქართველოს სხვა ნაწილებისაგან, ეპისკოპოსები ედგნენ. ეპისკოპოსობა მემკვიდრეობითი თანამდებობა არ იყო, ამიტომ ისინი ყოველმხრივ მეფეზე იყვნენ დამოკიდებული. ზოგჯერ ამა თუ იმ სადროშოს სათავეში მეფის მიერ დანიშნული უფლისწული იდგა. ასე რომ კახეთში ჯარი ემორჩილებოდა ეპისკოპოსებს, ხოლო ეპისკოპოსებს ნიშნავდა მეფე, რაც ცხადყოფს რომ პოლიტიკა და სულიერება გადაჯაჭვული იყო ერთმანეთში. კახეთში შეძლო საერო ხელისუფლებამ დაემორჩილებინათ სასულიერო პირები, განსხვავებით სხვა ქართული სამთავროებისგან სადაც სასულიერო პირები ეურჩებიდნენ საერო წარმომადგენელებს, ხაზგასასმელია ის ფაქტიც რომ, ქართული სამთავროების ქიშპობასთან ერთად, ასევე ერთმანეთს მტრობდნენ სამთავროების საულიერო პირები, ანუ ქართული ეკლესია არ იყო მონოლითური და ერთიანი.

ამის შემდეგ, მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართულ სამთავროებზე ადის მაჰმადიანი ბაგრატიონი და ჩვენ ქრისტიანული ფუნდამეტალიზმის ნაცვლად ვიღებთ მაჰმადიანურ ფუნდამენტალიზმს, თუმცა განსხვავება ისაა რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქრისტიანი რჩება და არ ემორჩილება მმართველს, ისიც უნდა აღინიშნოს რომ, მმართველები ბოლომდე არ ითვალისწინებდნენ მაჰმადიანი სასულიერო პირების რჩევა - დარიგებებს და ითვალისწინებდნენ საქართველოს მოსახლეობის აზრს, ასე რომ, საქარათველოში მაჰმადიანური მმართველობა ისეთი ფუნდამენტალური არ ყოფილა როგორც იმდროინდელ ჩვენს მეზობლებში, სპარსეთში და ოსმალეთში, მაგრამ ქართულ მოსახლეობას უნდოდა ქრისტიანი მმართველი ამიტომ მუდამ ხდებოდა აჯანყება და იყო ბრძოლა მაჰმადიანი მმართველების წინააღმდეგ, რამაც საბოლოოდ მოიტანა შედეგი და მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ტახტზე ადის ქრისტიანი მმართველი თეიუმარზ პირველი, რომლის მმართველობის დროს დალაგდა ურთიერთობები ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. ასე იყო ერეკლე მეორის დროსაც. მართალია ეკლესია, ისევე როგორც სახელმწიფო ერეოდნენ ერთმანეთის პოლიტიკაში, მაგრამ

ისე უხეშად აღარ ერეოდნენ ერთმანეთის საქმეში როგორც ეს იყო, დავით აღმაშენებლის ან გრიგოლ ხანძთელი დროს. ურთიერთობა მეტ - ნაკლებად დალაგდა.

მაგრამ 1801 წელს ქართული სახელმწიფოებრიობა გაუქმდა. მის ადგილას შემოდის მართლმადიდებელი რუსეთი, რომელიც, შეიძლება ითქვას, ფუნდამენტალისტური სახელმწიფო იყო. რადგან, პეტრე პირველიდან მოყოლებული, ალექსანდე მესამემდე ეკლესიის უმაღლეს სასულიერო პირს იმპერატორები ნიშნავდნენ, რაც ასევე დარღვევაა სეკულარიზმის პრინციპისა. სწორედ ასეთი ფუნდამეტალისტური სახელმწიფო შემოდის საქართველოში და ისევე როგორც ყველა სფეროში, სასულიერო სფეროშიც შემოაქვს თავისი იდეები, მაგალითად, სასულიერო წირვა - ლოცვა აღევლინება ქართულ ტაძრებში რუსულად, ბევრი ქართული ტაძრის მოხატულობა გადაღებეს, რადგან მათ არასწორად მიაჩნდათ. რუსები ჩვენში ერთმორწმუნეობის დროშით და სინამდვილეში კი როგორც დამპყრობლები ისე შემოვიდნენ. საქართველო XIX საუკუნის დასაწყისისათვის დაიპყრეს და შესაბამისად, არ მოითმენდნენ დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის არსებობას. კათოლიკოს-პატრიარქობის გაუქმების შემდეგ, ეგზარქოსები, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ, გამოხატავდნენ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების იმ რეაქციულ პოლიტიკას, რაც მათ ჩვენი ქვეყნის მიმართ გააჩნდათ (http://www.ambioni.ge/saxelmwifo-da-eklesia).

შოვინისტურ - ფუნდამენტალისტურ ცარისტული რუსეთის დაშლის შემდეგ საქართველოში მოდის მემარცხენე იდეოლოგიის მენშევიკური პარტია, რომელიც იყო ათეისტური, თუმცა პირველი რესპუბლიკა იყო საქართველოს ისტორიაში პირველი სეკულარული სახელმწიფო, თავის 1921 წლის კონსტიტუციაში ისინი წერენ:

თ ა ვ ი 16.

სახელმწიფო და ეკლესია

მუხლი 142. სახელმწიფო და ეკლესია განცალკევებულნი და დამოკიდებულნი არიან.

მუხლი 143. არც ერთ სარწმუნოებას არა აქვს უპირატესობა.

მუხლი 144. ხარჯის გაღება სახელმწიფოს ხაზინიდან და ადგილობრივ თვითმართველობათა თანხიდან სარწმუნოებრივ საქმეთა საჭიროებისათვის აკრძალულია(https://malkhaznakashidze.files.wordpress.com/2013/10/konstitucia-kart.pdf).

ეს პრინციპი არის აუცილებელი იმისთვის რომ, დღეს შედგე როგორც თანამედროვე სახელმწიფო. ჩვენ ეს პრინციპები ერთი საუკუნით ადრე გვქონდა, რომელსაც ვიცვავდით. სამწუხაროდ ამ კონსტიტუციას ამოქმედება არ ეწერა, რადგან რუსეთმა კიდევ ერთხელ წაგვართვა დამოუკიდებლობა, მაგრამ ამ დოკუმენტში კარგად ჩანს დამფუძნებელი კრების წევრების დამოკიდებულება სეკულარიზმის მიმართ, რომელიც იყო სწორი და გამართლებული.

საბჭოთა რუსეთის ძალით შემოსვლის და დაპყრობის შემდეგ, საქართველოში მყარდება ბოლშევიკური რეჟიმი, რომელიც იყო მკაცრად ათეისტური სახელმწიფო და ადამიანებს რწმენის გამო სჯიდნენ, იყო შემთხვევები როცა ხვრეტდნენ მორწმუნე ადამიანებს, თუმცა რელიგიურ ინსტიტუტები არ გაუუქმებიათ. საქართველოში ისევ იყო ავტოკეფალიური ქრისტიანული ეკლესია, რომელსაც რეალურად არაფერი შეეძლო, ასევე სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც იყო ადგილობრივი სარწმუნოების ინსტიტუტიები, მაგრამ უკიდურესად შეზღუდული. მათ აკონტროლებდათ საბჭოთა უშიშროება და მათი აგენტურა. სტალინმა 1943 წელს შექმნა რელიგიურ საქმეთა საჭო, რომელსაც დაევალა გაეკონტროლებინა რელიგიური პირები, მთლიანად საბჭოთა კავშირში (https://iberiana2.wordpress.com/russia/stalin-and-church/). ეს საბჭო არსებობდა სსრ-ის დაშლამდე და ასრულებდა თავის მოვალეობას. ასე რომ, საბჭოთა რეჟიმმა გარდა იმისა რომ აკრძალა რელიგიური ინსტიტუტები, დაიმორჩილა კიდეც და თუ ვინმე ამ ორგანოს დირექტივებს არ დაემორჩილებოდა, როგორც მინიმუმ დაპატიმრება არ არცდებოდა, როგორც მაქსიმუმ შეიძლება სიცოცხლე წაერთმიათ მორწმუნე ადამიანისთვის, ან რომელიმე სარწმუნოების იერარქიის მქონე პირისთვის.

საბჭოთა რეჟმის დაშლის შემდეგ, მრწმუნე ადამიანს მიეცა თავისუფლება აღმსარებლობისა, ასევე თავისუფლება მიეცა რელიგიურ ინსტიტუტიებს. თუმცა, პირველი პრეზიდენტის და საქართველოს ეკლესიის ურთიერთობა არ ყოფილა ადვილი, ისინი ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ვერ უგებდნენ და ამ ფონზე მუდმივად რთული ურთიერთობა იყო მათ შორის. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სიტუაცია გამოსწორდა შევარდნაძის მმართველობის დროს, როცა 1995 წლის კონსტიტუციაში ხაზი გაესვა საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის განსაკუთერბულ როლს:

მუხლი **9**

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური

მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. (http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68). ამის შემდეგ, ნათლად ჩანს რომ, რელიგიური ინსტიტუტების წარმომადგენელი ერევიან სახელმწიფო პოლიტიკაში, არბევენ სხვა აღმსარებლობის მქონე პირებს, ოღონდ სახელმწიფო ინსტიტუტიებს ასეთ ფაქტებზე არ რეაგირებენ, რაც რეალურ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ რომ ნელ - ნელა სასულიერო ხელისუფლება კვლავ ამყარებს კონტროლს საერო ხელისუფლებაზე, ასევე, უხეშად ერევიან არჩევნების მონაწილეობაზე, ეკლესიებიდან ქადაგებენ რომ თავიანთ სასურველ პოლიტიკურ ფიგურას დაუჭირონ მხარი, რაც უხეში ჩარევაა ადამიანის თავისუფალ არჩევის პრინციპითობაში, ასევე სახელმწიფო პოლიტიკაში, რაც აღვევს სეკულარიზმის მნიშვნელოვან პრინციპს, რომ სახელმწიფო და რელიგია გამიჯნული უნდა იყოს. სამწუხაროდ სეკულარიზმ არ არსებობს დღემდე საქართველოში, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა ჩვენთვის, რადგან თუ გვინდა რომ შევდგეთ ერთხელ და სამუდამოდ ნამდვილი დასავლურ სახელმწიფოდ იქ აუცილებელია იყოს სეკულარიზმი და მისი რეალური დაცვა.

საბოლოოდ, რომ გადავავლოთ საქართველოს ისტორიაში ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას, რომელიც უკვე ჩვიდმეტი საუკუნე გრძელდება, თუ არ ჩავთვლით პირველ რესპუბლიკის სამ წლიან მმართველობას, არასდროს არ ყოფილა ქართული სახელმწიფოებრიობა სეკულარული, იყო მომენტები როცა ეკლესია აკონტროლებდა ან უხეშად ერეოდა სახელმწიფო საქმიანობაში და იყო მომენტები როცა სახელმწიფო ერეოდა სასულიერო ცხოვრებაში და წყვეტდა ვინ რომელ თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყო. ორივე შემთხვევაში სეკულარიზმის პრინციპი ირღვეოდა, ყოველივე აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვისწავლოთ სეკულარულ სახელმწიფოში ცხოვრება. უნდა ვისწავლოთ, რადგან მანამდე ამის გამოცდილება არ გვქონია. სამწლიანი პერიოდი ჩვიდმეტსაუკუნოვან სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობაში საკმაოდ ცოტაა. სეკულარიზმის პრინციპიპების დაღვევა, გამონაკლისების გარდა, იყო სახელმწიფოსა და ქრისტიანულ რელიგიურ ინსტიტუტებს შორის, არადა, ჩემი აზრით, ქრისტე, რომელიც არის ქრისტიანული რელიგიის ღმერთი და რომლის აზრებს უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ამ აღმსარებლობის მქონე ადამიანი, იყო სეკულარიზმის მომხრე, მომხრე იმისა რომ სახელმწიფო და რელიგია ყოფილიყო გამიჯნული, მისი ცნობილი ფრაზა „მიეცით კეისარსა კეისრისა“ სხვა არაფერია თუ არა დღევანდელი სეკულარიზმის ფუნდამეტი, ყველა დამიანმა საკუთარი საქმე უნდა ვაკეთოთ, ყველა ადამიანმა საკუთარ თავზე ვიზრუნოთ და სხვის საქმეში უხეშად კი არა, საერთოდ არ უნდა ჩავერიოთ, მანამ სანამ ის ადამიანი დახმარებას არ გთხოვს. სამწუხაროა როცა ამას არ ითვალისწინებენ სასულიერო პირები და უხეშად ერევიან სახელმწიფო საქმიანობაში და ამით არღვევენ სეკულარიზმს.

თავი მეორე

რელიგიური ინსტიტუტების თანამშრომლობა პოლიტიკურ პარტიებთან

რელიგიურ ინსტიტუტებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი მოეხდინათ რამენაირი გავლენა ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკაზე, ხშირ შემთხვევაში ახერხებდნენ ამას. თანამედროვე მსოფლიოში რელიგია და პოლიტიკა გამიჯნულია ერთმანეთისგან, თუმცა არიან ქვეყნები სადაც რელიგიური ინსტიტუტების წარმომადგენლები ერევიან სახელმწიფო პოლიტიკაში, ესენი არიან: ეგრეთ წოდებული მესამე სამყაროს წევრები ან ფუნდამენტალისტები, სადაც რელიგია სახელმწიფო პოლიტიკის დონეზეა აყვანილი. საბედნიეროდ, საქართველო ფუნდამენტალისტების ქვეყანის რიცხვს ჯერ არ მიეკუთვნება, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა, მიეკუთვნება მესამე სამყაროს წევრთა რიგს, აქედან გამომდინარე, რელიგიური ინსტიტუტები ერევიან სახელმწიფოს შიდა თუ გარე პოლიტიკაში, რაც კარგი არ არის როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე თვითონ რელიგიური ინსტიტუტებისათვის. სასულიერო კონფესიების წარმომადგენლები ლობირებენ მათთვის არასასურველ კანონის არ მიღებას, ამის კარგი მაგალითია 2016 წელს განათლების კომიტეტში შესული იყო ახალი სასწავლო გეგმა, სადაც განიხილებოდა ახალი საგანი „მე და საზოგადოება“, რომლის სწავლებაც მესამე და მეოთხე კლასიდან უნდა დაწყებულიყო, თუმცა რელიგიურ ინსტიტუტებთან დაახლოებულმა ჯგუფებმა პარლამენტში ამ საგნის მიღება ჩაშალეს, რადგან, მათი აზრით, ეს საგანი შეიცავს გარყვნილებას და არ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში, მითუმეთეს ასეთ პატარა ასაკში (http://for.ge/view.php?for_id=44160&cat=3), პარლამენტის წარმომადგენლებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ასეთი ჯგუფების ზეწოლას და ამ საგნის შემოტანა გადადეს მომავლისთვის. ამის მიზეზები იყო, ერთი მხრივ, სასულიერო ინსტიტუტებთან დაახლოებული ჯგუფების სრული მობილიზაცია, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოს წარმომადგენლების არაკომპეტენტურობა ამ საკითხთან დაკავშირებით და სისუტე საჯარო დისკუსიებში (http://liberali.ge/articles/view/20867/me-da-sazogadoeba--ramdenime-mosazreba-realuri-gamotsvevebis-shesakheb).

დღევანდელ რეალობაში, პარტიებს და პოლიტიკურ ლიდერებს არ აქვს დიდი ნდობა, სამაგიეროდ დიდი ლეგიტიმურობა აქვს რელიგიური ინსტიტუტების წარმომადგენლებს, იქნება ეს ადგილობრივი წარმომადგენელი თუ უმაღლესი რანგის სასულიერო პირი, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ამით რელიგიური პირები

საკმაოდ კარგად სარგებლობენ და ცდილობენ არჩევნებზე, სადაც ქვეყნის ბედი წყდება, ზემოქმედება მოახდინონ, ამის კარგი მაგალითია 2012 წლის არჩევნები, როცა რელიგიური ლიდერები ცდილობდნენ სასულიერო შენობა - ნაგებობებიდან ექადაგათ მრევლისთვის თუ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა. ეს ხდებოდა როგორც უმაღლესი სასულიერო პირებისგან, ასევე ადგილობრივი წარმომადგენლებისგან (http://news.ge/ge/news/story/34258-ilia-meoris-mimart-internetshi-mimartva-gavrtselda?fb_comment_id=339113496184821_1792438#fad1a12bad1b7), ადგლიობრივ არჩევნებში ჩარევის ყველაზე კარგი მაგალითია, რაც 2012 წელის ოქტომბერს განვითარდა ხაშურის რაიონში, როცა ადგილობრივი სასულიერო პირები, აგიტაციას ეწოდნენ ერთ - ერთი მაჟორიტარი კანდიდატის სასარგებლოდ, შემდგომ ამისა, გავრცელდა ხმა თიქთოს ეს კანდიდატი აგებდა, სასულიერო პირების ნაწილმა დაიწყო გამოსვლა თავიანთი რჩეული კანდიდატის სასარგებლოდ, შეკრება დაიწყეს მათთვის არასასურველი კანდიდატის სახლთან (https://www.youtube.com/watch?v=ac6KLvWLdW8), საბოლოოდ იმ წელს არჩევნები ხაშურის დიდ ნაწილში ბათილად გამოცხადდა და გამარჯვება დაიმსახურა მამაოებისთვის სასურველმა კანდიდატმა, რომლის მთავარი მიღწევა იმ რაიონში იყო, ეკლესიების აღდგენა და სკოლის დაარსება, რომელიც ეხლა ერთ - ერთი რელიგიური ინსტიტუციის ხელშია (http://www.mediacity.ge/news.php?id=901). როგორც ნათლად ჩანს, რელიგიური ინსტიტუციის წარმომადგენლები ღიად ერევიან ქვეყნის შიგნით მიმდინარე არჩევნებში, მაგრამ ეს ინსტიტუციები მარტო ამით როდის შემოიფაქრგლებიან. დროდადრო გამოდიან პოლიტიკური განცხადებებით, რასაც დიდი ვნებათა ღელვა მოჰყვება ხოლმე პოლიტიკურ სივრცეებში, მაგალითად, მართლმადიდებლური ეკლესიის უმაღლესი საჭეთმპყრობელმა, კათალიკოს - პატრიარქმა 2015 წლის 5 დეკემბერს გამოთქვა სურვილი რომ მას ქონოდა პატიმრების შეწყალების უფლება - "ვფიქრობ, რომ პატრიარქს უნდა ქონდეს უფლება შეიწყალოს პატიმრები და ბრალდებულები. ჩვენ ამაზე ვესაუბრეთ პრემიერ-მინისტრს და იმედი გვაქვს, რომ დააყენებს ამ საკითხს"(http://www.newposts.ge/?l=G&id=93802-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98,%20%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%98), ამის შემდეგ საპატრიარქომაც გაავრცელა ოფიციალური განცხადება "ა.წ. 5 დეკემბერს რუსთაველის თეატრში შედგა სპექტაკლი პატიმარი ქალების მონაწილეობით. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო თეატრის სცენა და დარბაზი მჯავრდებულებს დაეთმო. წარმოდგენაც და შექმნილი გარემოც მეტად ემოციური იყო; მისმა უწმინდესობამ სწორედ ამ ფონზე ბრძანა, რომ კარგი იქნებოდა, პატრიარქსაც ჰქონოდა პატიმრების შეწყალების უფლება.

ეს იყო მათდამი სოლიდარობის, მათი დახმარებისა და თანადგომის სურვილით ნათქვამი აზრი და არა მოთხოვნა საკანონმდებლო დონეზე ამ წინადადების

განხილვისა", - ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში (http://news.ge/ge/news/story/162111-patriarqis-mier-patimrebis-shetsyalebis-initsiativastan-dakavshirebit-saqartvelos-sapatriarqo-ganmartebas-aketebs). ამ განცხადებას პოლიტიკური წარმომადგენლები არა თუ ეწინააღმდეგებოდნენ, არამედ კვერს უკრავდნენ. ამ თემაზე სასჯელ აღსრულების მინისტრმაც კი გააკეთება განცხადება "მეც მიმაჩნია, რომ პატრიარქს უნდა ჰქონდეს ეს უფლება. მასზე ბრძენი ადამიანი ვინ არის, არ ვიცი და მას უნდა ჰქონდეს უფლება, შეიწყალოს პატიმრები," - აცხადებს მინისტრი კახა კახიშვილი (http://rustavi2.ge/ka/news/33444), ეს სურვილი რომ სისრულეში მოსულიყო, ჭირდება კონსტიტუციის შეცვლა, რაც ჩვენისთანა არამდგრადი კონსტიტუციური ქვეყნისთვის, სადაც ქვეყნის უზენაესი კანონი სამთავრობო პარტიის ნება - სურვილზეა დამოკიდებული და ისე ცვლიან როგორც მათ და მათ მთავრობას აწყობს, საკმაოდ სახიფათოა. პატიმრების შეწყალება წმინდად პოლიტიკური ბერკეტია, რომლის ექსკლუზიური ფლობაც მთავრობის ხელშია, ახალი კონსტიტუციით პატიმრების შეწყალება პრეზიდენტსაც და პრემიერ - მინისტრასაც აქვს, მაგრამ არა სხვა ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს, იმ შემთხვევაში თუ ერთ - ერთი სასულიერო ინსტიტუტის წარმომადგენელი მიიღებს ამ უფლებას, ჩვენ გავცდებით კონსტიტუციურ ჩარჩოებს, რადგან კონსტიტუციაში წერია „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რელიგიისა“ (საქართველოს კონსტიტუცია; მუხლი მე-14), ამ შემთხვევაში კი ირღვევა კონსტიტუციის ეს ფუნდამენტური მუხლი, რადგან ამღმოჩნდება, რომ ერთი კონფესია მნიშვნელოვნად აღემატება სხვა საქართველოში არსებულ კონფესიებს. მეორე ასეთი განცხადება საქართველოში ყველაზე სანდო ინსტიტუციის წარმომადგენელმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქმა, გააკეთა "საქართველო არის უძველესი ქვეყანა, უძველესი კულტურით. იქნებ გვეფიქრა ჩვენ იმაზე, ვინ ვიყავით წარსულში, ვინ ვართ დღეს და ხვალ ვინ ვიქნებით. იქნებ გვეფიქრა იმაზე, რომ საქართველო არის უძველესი მონარქია. ღვთის წყალობით, მეფე გვმართავდა. დღეს ხშირია შემთხვევაა მსოფლიოში, როცა მონარქი ეწოდება, მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს. ამას ეწოდება კონსტიტუციური მონარქია და სიმშვიდე შემოაქვს ქვეყანაში. ეს, რა თქმა უნდა, დღეს და ხვალ ვერ მოხდება, მაგრამ ჩვენ უნდა გავაანალიზოთ წარსული, დღევანდელი დღე და მომავალი"(http://www.ambebi.ge/sazogadoeba/205051-ilia-meorem-monarqiis-mnishvnelobaze-iqadaga-qes-ra-thqma-unda-dghes-da-khval-ver-mokhdebaq.html), ამას მყისიერად მოჰყვა მთავრობასა და მმართველ პარტიაში შეფასებები. ყველასგან მოულოდნელად, კათალიკოს - პატრიარქის ეს განცხადება დადებითად იქნა აღქმული. მოულოდნელი იყო იმის გამო, რომ პარტიამ რომელმაც ეს შეფასება

დადებითად მიიღო წარმოადგენს, იდეურად, მემარცხენე პარტიას. მემარცხენეობა და კონსტიტუციური მონარქია შორს დგანან, მაგალითისთვის: პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერებმა გია ვოლსკიმ და მამუკა მდინარაძემ ეს წინადადება შეაფასეს როგორც, „მონარქია არა მხოლოდ ჩვენი ისტორიული წარსულია, არამედ არის ძალიან წარმატებული მაგალითი, რომელიც დასავლეთ ევროპაში არსებობს. ამ ქვეყნებს საკმაოდ წარმატებული განვითარება ახასიათებს როგორც ეკონომიურად, ასევე პოლიტიკურად. ამ თემასთან დაკავშირებით პირადად მე ნამდვილად პოზიტიური დამოკიდებულება მაქვს და არა მხოლოდ ემოციური შინაარსიდან გამომდინარე - ჩემთვის ამ საკითხს მხოლოდ ემოციური საწყისი არა აქვს. ეს არის დაკავშირებული სავსებით პრაგმატულ ხედვასთან. საკონსტიტუციო მონაქიის ახლა ამოქმედება რეალურად არ მეჩვენება, რადგან თვითონ მეფის გვარი, მეფის ოჯახი, სამეფო სახლი ჯერ ისე არ არის ჩამოყალიბებული და მომზადებული, რომ რეალური კანდიდატურა წარმოადგინოს. ალბათ დიდი დრო დაჭირდება, მაგრამ ახლავე თუ პოზიტიური განწყობა დაითესება, ურიგო არ იქნება. გადავხედოთ დიდი ბრიტანეთის, დანიის, შვედეთის, ბელგიის ნორვეგიის და სხვა ქვეყნების მაგალითს, როდესაც ერის და სხვადასხვა ეროვნებების გამაერთიანებელი არის სამეფო ოჯახი" - განაცხადა გია ვოლსკიმ. ბატონმა მამუკა მდინარაძემ თქვა: „პატრიარქის პოზიცია ყოველთვის უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. დღეს შეიძლება კონსტიტუციური მონარქიისთვის, ქვეყნის ასეთი მოწყობისთვის მზად არ ვიყოთ, მაგრამ სამომავლო, შედარებით შორეულ პერსპექტივაში ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა შესაძლოა ეს საკითხი ძალიან სერიოზულად განიხილოს, მით უმეტეს, როდესაც ამას პატრიარქი საკუთარ ქადაგებაში მეორედ ახსენებს. საკონსტიტუციო მონარქიის აღდგენამ შესაძლებელია გარკვეული განსაკუთრებულობა, ინდივიდუალიზმი და ხიბლი შესძინოს ქვეყანას ბევრი თვალსაზრისით"(http://www.ambebi.ge/politika/205054-ras-fiqrobs-qqarthuli-ocnebaq-saqarthveloshi-monarqiis-aghdgenaze.html), ამ თემას ასევე გამოეხმაურა პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც სახელისუფლო უმაღლეს ეშელონს წარმოადგენს, ირაკლი კობახიძე, „პატრიარქს შევხვდით. ვისაუბრეთ ამ განცხადების შინაარსზე, მიზანზე, ჩვენთვის პატრიარქის თითოეულ სიტყვას, თითოეულ მოწოდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სერიოზულად უნდა ვიმსჯელოთ. ყველა მმართველობის სისტემას თავისი უპირატესობები აქვს, მათ შორის კონსტიტუციურ მონარქიას აქვს თავისი სერიოზული უპირატესობა. პატრიარქმაც ბრძანა, რომ კონსტიტუციური მონარქია არის სიმშვიდის შემომტანი მმართველობის სისტემაში, პოლიტიკურ სისტემაში. კონსტიტუციურ მონარქიას თავისი სერიოზული პლუსი აქვს“(http://fortuna.ge/irakli-kobakhidzegrdzelvadian-perspeqtivashi-konstituciuri-

monarqiis-aghdgenis-sakitkhze-sheidzleba-fiqri/), ამ თემას გამოეხმაურენ ასევე მთავრობაში, კერძოდ ვიცე - პრემიერი ალექსანდრე ჯეჯელავა, „ეს ისეთი საკითხია, მოგეხსენებათ, რომელსაც სრული ეროვნული თანხმობა სჭირდება. პირველ რიგში უნდა ვთქვათ, რომ პატრიარქის ინიციატივა, რა თქმა უნდა, საყურადღებოა და მეორე რიგში უნდა ვთქვათ, რომ მთელმა ქართველმა ერმა უნდა მიიღოს ასეთ გადაწყვეტილებაში მონაწილეობა და ჩვენი პოზიცია, როგორც მთავრობის, იქნება სწორედ გამომდინარე ქართველი ხალხის ნებიდან“(http://rustavi2.ge/ka/news/78402). კათალიკოს - პატრიარქის ეს პოზიცია რთულად თუ განსახორციელებადია, მაგრამ აქ მთავარი სხვაა, ხელისუფლების წარმომადგენლები სწრაფი დათანხმება ნიშნავს რომ მთავრობა სრულად ემორჩილება და წინააღმდეგობას ვერ უწევს ხალხში პოპულარულ ინსტიტუტს, რადგან ეშინია ელექტორატის დაკარგვისა, რადგან თუ ისინი მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ წავლენ ეს ამომრჩევლებში უარყოფითად აღიქმევა, შესაბამისად, არსებობს საშიშროება რომ მათი რეიტინგი დაიწევს. ყოველივე აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ პარტიებს და მთავრობასაც კი არ ძალუძს რეალური წინააღმდეგობა გაუწიოს მართლმადიდებლურ რელიგიურ ინსტიტუციას.

ამ თემის მეორე მხარეა რელიგიური ინსტიტუცია, კერძოდ მართლმადიდებლური ეკლესია, და იქიდან წამოსული განცხადებები. ის იდეები რაც კათოლიკოს - პატრიარქმა გააღჟერა რთულად შესასრულებელია, მაგრამ ის მაინც აკეთებს ამ განცხადებებს, ისმის კითხვა რატომ? განა ეკლესიის შიგნით არ იციან რომ ამ იდეებს განხორციელება არ უწერიათ? მაშინ რატომ აკეთებ ამას? მთავარი აქ არის „ძალების თამაში“, ისინი აკეთებენ ამ განცხადებებს რადგან იციან, რომ ვერც ხელისუფლების და ვერც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები წინააღმდეგობის გაწევას ვერ გაბედავენ, იმიტომ რომ, მათ არ აქვთ საკმარისი რეიტინგი და შესაბამისად ძალაუფლება, საქართველოში ყველაზე რეიტინგულ ინსტიტუციას წინააღმდეგობა გაუწიონ, შესაბამისად მათ წინასწარ იციან რომ პატრიარქის ინიციატივას ყველა დაეთანხმება, რაც არ უნდა აბსურდული იდეა იყოს ეს, ეს კი ჩვეულებრივ მოქალაქის თვალში აღიქმევა როგორც ეკლესიისა და სახელმწიფოს დაპირისპირება, სადაც სასულიერო წარმომადგენლება მოახერხეს გამარჯვება, ეს კიდევ უფრო უმყარებს მოქალაქეებს იმ აზრს, რომ ჯობია ეკლესიას ენდო ვიდრე ქართულ პარტიებს, რადგან რეალური ძალაუფლება მათ უფრო აქვთ ვიდრე ხელისუფლების რომელიმე შტოს ან რომელიმე პარტიას.

ხდება ისე ხოლმე, რომ რელიგიური ინსტიტუტების და სახელმწიფოს ჭიდილის დროს მთავრობას გააქვს ის კანონი რაც თვითონ მას უნდა, ასეთი შემთხვევა ცოტაა,

მაგრამ მაინც არსებობს, მაგალითად: 2010 წელს ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო ახალი კონსტიტუცია, სადაც ყველა კონფესია გათანაბრდა და უპირატესობა არცერთ რელიგიურ ინსტიტუციას არ მიენიჭა. ეს ამ მოეწონათ მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს. ამ ფაქტთან დაკავშირებით მოაწყვეს მსვლელობა - აქცია, ქაშვეთის ეკლესიიდან სამების ეკლესიებამდე, იმედით, რომ პარლამენტი და მთავრობა დაინახავდა თუ რამდენი არიან, შეეშინდებოდათ და შეცვლიდენ კანონპროექტს ან როგორც მინიმუმ, უცვლელს დატოვებდა მართლმადიდებლური ეკლესიის სტატუსს კონსტიტუციაში. თუმცა მთავრობამ და პარლამენტმა უკან არ დაიხია და ეს კანონპროექტი მიღებულ იქნა, რასაც, საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა, მოაწერა ხელი, რაც ნიშნავდა იმას, რომ კანონპროექტი ძალაში შევიდა. ამაზე, რა თმა უნდა, მკაცრი შეფასებები ჰქონდა ეკლესიის უმაღლეს პირებს და თავად კათალიკოს - პატრიარქს. „ზოგიერთი ჩვენგანი ჩავარდნილია ამპარტავნებაში. ზოგიერთი ფიქრობს, რომ მისი ნათქვამი სწორია, სხვისი კი არა, ზოგიერთი ასწავლის სხვას, იმ დროს, როდესაც თავისთვის არ უსწავლია. გვახსოვდეს, რომ ჩვენი მფარველი არის წმინდა მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია. ეკლესიას ხშირად ებრძვიან და ამცირებენ. ვინც ეკლესიას დაამცირებს, აუცილებლად დაისჯება. ეკლესია წმინდაა, რადგან არის სხეული "წმინდისა ჩვენისა იესო ქრისტესი," - განაცხადა პატრიარქმა. სხვა სასულიერო პირებმაც შეაფასეს ეს კანონპროექტი მკაცრად. „ქართველი ერი მტერს თუ მოღალატეს ყველაფერს აპატიებს, მაგრამ სარწმუნოებასთან ჭიდილს და კონფლიქტს - არასდროს. ის, რაც ახლა ხდება, ქართველი ერის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდება. ჩვენ, სამღვდელოება მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, სანამ დროა, გონს მოეგონ, საჯაროდ შეინანიონ და ამით საუკუნოვან რისხვას აიცდენენ," (http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2011&art=8116). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფაქტის შემდეგ სააკავშვილის ხელისუფლების და მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობა მეტად დაიძაბა, მანამდე ისინი ერთად კარგად თანაარსებობდნენ. სააკაშვილის ხელისუფლება ბევრ ფულს და სხვა სახის პრივილეგიებს აძლევდა ეკლესიას და მის წარმომადგენლებს, მაგრამ ამ კონსტიტუციით ყველანაირი ურთიერთობა გაფუჭდა იმ დროინდელ მთავრობასა და ეკლესიის ხელმძღვანელებს შორის. ეს ფაქტი აისახა 2012 წლის არჩევნებში, როცა ეკლესიის წარმომადგენლები ამბიონიდან ქადაგებდნენ მთავრობის საწინააღმდეგოდ, რამაც შედეგი გამოიღო.

შემდეგი ასეთი ღია დაპირისპირება მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მოხდა „ანტიდისკრიმინაციულ კანონზე“.პარლამენტმა მიიღო

კანონპროექტი ყოველგვარი ძალადობის აღმოფხვრის შესახებ, სადაც წერია, არ შეიძლება ადამიანზე ძალადობა განხორციელდეს „სექსუალური ორიენტაციის“ ან „გენდერული იდენტობის“ გამო. ეს ტერმინები არ მოეწონა ეკლესიის წარმომადგენლებს და ისევ პარლამენტის დასაშინებლად გამართეს მრავალათასიანი მიტინგი - მსვლელობა რუსთაველიდან სამების ეკლესიამდე. თუმცა, პარლამენტი ამას არ შეუშინდა და ეს კანონი მაინც მიიღო, რასაც მოჰყვა საჯარო კრიტიკა ეკლესიების წარმომადგენლების მიერ, "ეკლესიასთან და ხალხთან დაპირისპირება დღევანდელ ხელისუფლებას არ წაადგება“, ასევე იყო კათალიკოს - პატრიარქის მოწოდება ამ თემასთან დაკავშირებით „ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ამ კანონპროექტში კონსტიტუციაში არარსებული ცნებების "სექსუალური ორიენტაციისა" და "გენდერული იდენტობის" შემოტანა ხალხში დიდ ვნებათაღელვას იწვევს, რადგან ჩვენი მოქალაქეების პიროვნული უფლებები ისედაც თანაბრად დაცულია საქართველოში დღეს არსებული კანონმდებლობით. ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად, ხოლო წარმოდგენილი ფორმით ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს თვლის ის ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად“. ამავე თემაზე შედგა სასულიერო წარმომადგენლებისა და პარლამენტარების შეხვედრა სხდომაზე სადაც იხილებოდა ეს კანონპროექტი, სადაც გაისმა დეკანოზ ისაკაძის პირიდან მუქარის შემცვლელი განცხადებები, „თქვენ როცა მოდიოდით, "ქართულ ოცნებას", უმრავლესობას გეკითხებით, ქალბატონ მანანას, ქალბატონ ეკას, თქვენ სულ ყველა, როცა მოდიოდით, დაპირებებში რომ გეთქვათ, ჩვენ მივიღებთ ამ კანონებს, რომელი ქართველი მოგცემდათ ხმას? მიპასუხეთ! გეკითხებით! ეს არის უზნეობა და ვინც ხელს მოაწერს ამ კანონს, იცოდეთ, რომ უზნეო ადამიანები იქნება სულ ყველა და მეორე, გაუგებარი თანხებით რომ იკვებებიან ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, საიდან მოდის, ეს კარგად ვიცით, ერთი ფული გადაგიხადონ და... წადით სოდომ-გომორში, (ნახეთ) რა ხდება - დღესაც ცეცხლი უკიდია იმ მიწას, რომელსაც სოდომი და გომორი ჰქვია, იმიტომ, რომ თქვენნაირი ხალხის ცოდვების გამო დაიწყო ეს ყველაფერი, ეს ბიბლიაში წერია და ჭკუით იყავით თქვენ ცოტა!"(http://resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=20094).

ანტიდისკრიმაციულ კანონამდე იყო დაპირისპირება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ეგრედ წოდებულ „ID ბარათებზე“ სადაც ეკლესიის პოზიცია იყო „რომ მასზე არის მხეცის ნიშანი, რადგან ამ ბარათებზე არის პირის ყველა მონაცემი, ის ავტომატურად „მხეცის“ ხელში ვარდება“, ამ საკითხთან დაკავშირებით სასულიერო წარმომადგენლებმა აქციაც გამართეს იუსტიციის სამინისტროსთან. ასევე ამ

საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა იუსტიციის მინისტრმაც, ქალბატონმა თეა წულუკიანმა „სამწუხაროდ, ახლა მე მიწევს ამის კეთება. ღიად ვამბობ, ვიმყოფები იმ რთულ მდგომარეობაში, როდესაც უკვე არსებული ფენომენის ფუნქციონირების პირობებში მიწევს იმ სამუშაოს ჩატარება, რაც მანამდე უნდა ჩატარებულიყო. არავინ უარყოფს, რომ ევროკავშირი ჩვენგან მოლაპარაკების გაგრძელების ერთ- ერთ წინაპირობად აყენებს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეებს ID ბარათი უნდა ჰქონდეთ. ამას არავინ აპროტესტებს. მე ვამბობ იმას, რომ როდესაც ასეთი სიახლე შემოგაქვს, და იცი, რომ არის სერიოზული წინააღმდეგობა ამგვარი ფენომენისადმი, ჯერ უნდა ახსნა-განმარტებითი სამუშაო ჩაატარო. სხვათა შორის, პიარკამპანია, რომელიც ბატონმა ვაშაძემ აწარმოა ID ბარათთან დაკავშირებით, იყო აბსოლუტურად ტყუილზე დაფუძნებული. იქ იყო ნათქვამი, რომ ეს ბარათი არის უფრო მეტი, ვიდრე პირადობის მოწმობა. ამ დროს ID ბარათი არ არის უფრო მეტი, ვიდრე პირადობის მოწმობა და არ შეიცავს არანაირ ისეთ ინფორმაციას, რომელიც საშუალებას აძლევს ვიღაცას, კოსმოსში გვაკონტროლოს,”(http://netgazeti.ge/news/21122/). საბოლოოდ, ID ბარათები მაინც იქნა მიღებული მიუხედავად გარკვეული სასულიერო პირების წინააღმდეგობისა.

მართლმადიდბლური რელიგიური ინსტიტუციის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვან კონფესიას საქართველოში წარმოადგენს მუსლიმური თემი. დაახლოებით მოსახლეობის 17 – 20%-ს. მათ იმხელა ძალაუფლება არ აქვთ, რამდენიც მართლმადიდებლურ კონფესიას, რადგან არ წარმოადგენენ მრავალრიცხოვან კონფესიას საქართველოში, ასევე, ისტორიულად საქართველოში წამყვანი რელიგია იყო ქრისტიანობა, მიუხედავად იმისა რომ, ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველოს მართავდნენ მუსლიმი აღმსარებლობის ბაგრატიონი მეფეები, მაშინაც ეს მმართველები სიფრთხილით ეკიდებოდნენ მართლმადიდებლ კონფესიის წარმომადგენლებს. მუსლიმურ სასულიერო წარმომადგენლებს ძალაუფლება გააჩნიათ ადგილობრივ, ლოკალურ, დონეზე, იქ სადაც მუსლიმური კონფესიის წარმომადგენლები პროცენტულად ყველაზე მეტნი არიან, ასეთებს წარმოადგენენ, ბოლნისის რაიონი, მარენულის რაიონი, და გარდაბნის რაიონი. აქ მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები მაჰმადიანი სასულიერო წარმოამდგენლების გარეშე არ წყდება. ყველა მთავრობა ცდილობს ახლო და კარგი ურთიერთობა ქონდეს ისლამური კონფესიის მაღალი წოდების პირებთან, რადგან, მომავალ არჩევნებში ისინი არსებულ მთავრობას დიდ დახმარებას გაუწევენ. ასე იყო დამუკიდებელი საქართველოს ისტრიიდან დღემდე, ნებისმიერი მთავრობის დროს, იქნებოდა შევარდნაძე, სააკაშვილი თუ დღევანდელი მთავრობა. შევარდნაძის დროს, მუსლიმურად დასახლებურ ტერიტორიებზე ხმებს როგორც უნდოდა ისე ითვლიდენ

და რამდენი პროცენტიც უნდოდათ ისე წერდნენ. სააკაშვილმაც დაახლოებით იგივე პროცესი გაატარა ოღონდ უფრო კანონის ფარგლებში, 2004 წლიდან მუსლიმური თემი სამართლექრივი სუბიექტი გახდა, რაც მანამდე არ ყოფილა(https://ge.boell.org/ka/2015/07/07/islamuri-saxelmcipo-da-sakartvelos-muslimuri-temi). აქედან მოყოლებული ეს თემი ყველაფერს კანონიერად აკეთებდა, შესაბამისად თემის თითოეული წევრიც სრულუფლებიან წევრი გახდა საქართველოსი, არჩევნებშიც კანონიერად შეეძლოთ მიეღო, მართალია სულიერი ლიდერის რჩევა - დარიგებით, მაგრამ ეს ყველაფერი იყო კანონის ფარგლებში იყო მოქცეული, რაც არსწორი იყო როგორც შევარდნაძის დროს, ასევე სააკაშვილის დროსაც. სამწუხაროდ იგივე პოლიტიკას ატარებს დღევანდელი მთავრობაც, რადგან, სწორი პოლიტიკის გატარება ავტომატურად ნიშნავს პოლიტიკური პარტიებისთვის ხმების დაკარგვას, რაც მომავალ არჩევნებში შეიძლება ძვირად დაუჯდეთ, ამიტომ არ რისკავს არცერთი მთავრობა და არც ერთი სამთავრობო პარტია გაატაროს სწორი პოლიტიკა რელიგიურ უმცირესობებში და იტოვებენ როგოც „ბეღელად“ არჩევნების წინ(http://netgazeti.ge/news/12310/). ის რომ მუსლიმურ თემში სულიერი ლიდერები ბევრს წყვიტავენ ამის კარგი მაგალითია ბოლო ორი არჩევნების შედარება ბოლნისში, მარნეულისში და გარდაბანის რაიონებში, სადაც კარგად ჩანს ის ფაქტი რომ რასაც რელიგური ლიდერი მოუწოდებს მუსლიმ მრევლს იმას ხაზავს იგივე კონფესიის ამომრჩეველი, მაგალითისთვის: 2012 წელს, როცა ყველაზე დისკრედიტირებული იყო „ნაციონალური მოძრაობა“ მან მარნეულში აიღო 78,91 %, ხოლო „ქართულმა ოცნებამ“-17,42% (http://results2012.cec.gov.ge/olq_22.html), ბოლნისში იმავე წელის არჩევნებში „ნაცინალურმა მოძრაობამ“ აიღო 66,99%, ხოლო „ქართულა ოცნებამ“ – 29,49(http://results2012.cec.gov.ge/olq_23.html), გარდაბანში კი 5-ანი შემოხაზა 55,5%, ხოლო 41 შემოხაზა 41,29% (http://results2012.cec.gov.ge/olq_21.html). 2016 წლის არჩევნებში კი თითქმის 180 გრადუსიანი შემობრუნებაა ამ რაიონებში, ყველგან გაიმარჯვა ქართულმა ოცნება როგორც პარტიებში ასევე მაჟორიტარებში, მაგალითად: მარეულში, ოცნება იღებს 55,28% ხოლო ნაცინალური მოძრაობა 37,55%, ბოლნისში - ოცნება-48%, ნაციონალები- 40%, გარდაბანში - ოცნება-51%, ნაციონალები - 34% (https://on.ge/elections/2016/results). ისმის ლეგიტიმური კითხვა, რამ გამოიწვია ამ რაიონებში პოზიციის ასეთი მკვეთრი შეცვლა, თითქმის ასოთხმოც გრადუსიანი შემობრუნება ერთი არჩევანიდან მეორეზე, თან მაშინ როცა ეს ორი პარტია ურთიერთდაპირისპირებულია. ჩემი აზრით, ამაში დიდი წვლილი, მუსლიმურ სასულიერო პირებს მიუძღვის. მაშინ, როცა, ნაციონალური მოძრაობა იყო სათავეში ამ კონფესიის სასულიერო პირები ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ ქადაგებდნენ, რათა რაც შეიძლება უფრო მეტად ესიამოვნებინათ მთავრობისთვის,

ხოლო როცა შეიცვალა მთავრობა ახალი ხელისუფლების სასარგებლოდ დაიწყეს მოწოდებები.

ქართულ მუსლიმურ თემში თავიანთ სასულიერო პირებზე ასეთი დამოკიდებულება განაპირობებს ქართული ენის სრულფასოვნად არ ცოდნამ. მუსლიმურ თემში ქართული ენა სრულყოფილად არ ისწავლება დღეს, საუბარი აღარ მაქვს საბჭოთა კავშირის დროს, იქ საერთოდ მიგდებული იყო ქართული ენა. შესაბამისად, მუსლიმური აღმსარებლობის წარმომადგენლებს არ აქვთ სრული ინფორმაცია თუ რა პროცესები მიმდინარეობს ქართულ პოლიტიკაში, ვერ უსმენე ქართულ ენაზე საინფორმაციო გადაცემებს, ვერ კითხულობენ გაზეთბს და ასე შემდეგ. ვინც კარგად იცის ქართული ენა არიან სასულიერო პირები, თუმცა რელიგიურ უმცირესობებში მარტო ინსტიტუციის წარმომადგენლებმა აღარ იციან ქართული ენა, ნელ - ნელა ახალგაზრდებიც სწავლობენ ქართულ ენას. ასევე, ამას ემატება ის ავტორიტეტი რომელიც გააჩნიათ ადგილობრივ მოლებს ხალხში. ყველაფერი ეს, განაპირობებს მუსლიმი აღმსარებლობის ამომრჩეველის დამოკიდებულებას თავიანთ რელიგიურ წარმოამდგენლებზე. ამას ასევე განაპირობებს ის იმედგაცრუება რაც პოლიტიკურმა პარტიებმა და მთავრობებმა გამოიწვიეს რელიგიურ უმცირესობებშიც.

საქართველოში კონფესიებს შორისაც არსებობს ურთიერთდაპირისპირება. ეს ყველაფერი გამოწვეულია ძალაუფლების განმტკიცებისა და გავლენის ზონების უფრო გაფართოებისთვის. ძირითადად დაპირისპირებული მხარეები არიან საქართველოში არსებული ორი ყველაზე დიდი კონფესია, ესენია: მართლმადიდებლური ეკლესია და მუსლიმური აღმსარებლობა . ამ ორ სასულიერო ინსტუტუციას შორის შეუთანხმებლობის მთავარი მიზეზი არის სასულიერი შენობა - ნაგებობები, რომელიც ადრე ერთი კონფესიის იყო, ხოლო დროთა განმავლობაში მეორე კონფესიის გახდა. ასეთი დაპირისპირება იყო სოფელ მოხეში, გამომწვევი მიზეზი იყო ძველი მეჩეთესი დემონტაჟის დაწყება და მის ადგილას კულტურის სახლის აშენება. ამ ფაქტმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ადგილობრივ მაჰმადიანურ თემში და გამოხატეს პროტესტი, რაც ასევე არ დარჩა მართლმადიდებელი მრევლის ყურადღების გარეშე, მათ მოაწყვეს კონტრპროტესტი მუსლიმური თემის საწინააღმდეგოდ, ყოველივე ამან გამოიწვია სოფელში დაძაბული სიტუცია და ურთიერთდაპირისპირება(http://sknews.ge/index.php?newsid=4433). ვის აწყობდა ამ ორ თემში დაპირისპირება? ადგილობრივმა ხელისუფლებამ რატომ მაინც და მაინც ძველი რელიგიური შენობა აირჩია კულტურის სახლის ასაშენებლად? შიდა დაპირისპირება რომ მთავრობის გეგმებში არ შედის, მითუმეტეს რელიგიური,

ეს ცხადია. მაგრამ მთავრობა მაინც მიდი პროვოკაციულ ნაბიჯზე რატომ? ჩემი აზრით, აქ ადგილობრივი მართლმადიდებელი სასულიერო პირები უნდა იყვნენ ჩართულნი, რადგან ეს რეგიონი გამოირჩევა რელიგიური უმცირესობების სიჭარბით, აქ მრავლად არიან სომხური ეკლესიის წევრი მოსახლეობა, არიან მუსლიმები და ებრაელებიც, ამიტომ ეკლესიას თავის რეალური ძალის დასანახებლად და იმის საჩვენებლად რომ ადგილობრივი მთავრობა მათ მხარეზეა აწყობს პროვოკაციას, რომელიც არცერთი მხარისთვის და არც საქართველოს იმიჯისთვის არ არის კარგი. მართლმადიდებელ მღვდელთა ნაწილი უფრო შორს მიდის და აცხადებს რომ, „მაჰმადიანი ქართველი მართლა ქართველია? მე არ მჯერა. არ მჯერა იმიტომ, რომ მისი ორიენტაცია სულ სხვა არის. ჩვენი წინაპრები ისლამის წინააღმდეგ იბრძოდნენ, რომლებსაც მახვილით უნდოდათ გაევრცელებინათ საქართველოში მაჰმადიანობა. ჩვენი წინაპრები ამას ებრძოდნენ. და აი ამ, სისხლით მორწყულ მიწაზე აღიმართა დღეს მინარეთი...“(http://www.newposts.ge/?l=G&id=24830). მართალია ეს ერთი დეკანოზის პირადი მოსაზრებაა, მაგრამ ამაზე საპატრიარქოდან ოფიციალური განცხადება არ ყოფილა.

საინტერესოა როგორ იქცევა ხოლმე სახელმწიფო კონფესიებს შორის დაპირისპირების დროს? ხელისფლება ასეთი კონფლიქტების დროს იმ კოფესიის მხარეს იჭერს რომელსაც მეტი მრევლი ჰყავს, ან ამ კონფლიქტს „ყინავს“ როგორც მოიქცნენ იმავე მოხესის დაპირისპირების დროს. იმდროინდელი საქართველოს პრემიერ - მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი, მოხესის ამბების შემდეგ შეხვდა მაჰმადიანურ სასულიერო პირებს და დაპირდა ამ კონფლიქტის შესწავლას, თუმცა დღემდე ეს საკითხი ისევ ღიაა და ეს ტერიტორია ისევ სადავო(http://sknews.ge/index.php?newsid=4435).

რელიგიური ინსტიტუტების ამხელა ძალაუფლება, აისახება არა მხოლოდ ქვეყნის შიდა პოლიტიკაში, არამედ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზეც. ითვლება რომ, დღევანდელი ქართული მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის რბილი ძალის მნიშვნელოვანი დასაყრდენია. ამ პოზიციას აძლიერებენ ის ფაქტები, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ეკლესია და რუსეთის ეკლესია ძირითადად ერთ პოზიციაზე დგანან. არსებობს დაპირისპირება ქართულ ეკლესიასა და მსოფლიოს მართლმადიდებლურ საპატრიარქოს შორის, ასევე დაპირისპირებული მხარეა რუსეთის საპატრიარქო ეკლესიაც. ნაცვლად იმისა ქართულმა მხრაემ საერთაშორისო ასპარეზი გამოიყენოს პლაცდარმად და მსოფლიოს გააგებინოს ის თუ რა ხდება ქართულ ეკლესიებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როგორ ანადგურებს რუსული მხარე ქართულ ხატმწერობას ეკლესიებში, ჩვენ კვერს ვუკრავთ რუსული

მართლმადიდებელი ეკლესიის საერთაშორისო წარმომადგენლებს, ამის მაგალითია 2016 წლის მსოფლიოს მართლმადიდებლური კრება, რომელზეც ჩვენი წარმომადგენლები არ წავიდნენ, ასევე არ წავიდა რუსეთის ეკლესია და რამდენიმე მათთან დაახლოებული ეკლესია (https://www.radiotavisupleba.ge/a/tsiteli-zona/28576521.html). თუმცა არის სასიკეთო ძვრებიც, მაგალითად მართლმადიდებლური სასულიერო პირების შეხვედრა ნატოს შტაბ - ბინაში (http://cdd.ge/608-seminari-saqarthvelo-da-nato-dasrulda.html), საიდანაც სასულიერო პირები კმაყოფილები გამოვიდნენ. როგორც ჩანს, მართლმადიდებლურ ეკლესიაში არიან პროდასავლურად მოაზროვნე სასულიერო პირები, თუმცა უმცირესობაში არიან, ამიტომ ამ საკითხზე ეკლესიას ერთიანი პოზიცია არ აქვთ ჩამოყალიბებული. ეს დამოკიდებულია შიდა ძვრებზე, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით მიმდინარეობს, იმედი ვიქონიოთ, რომ პროდასავლური მღვდლები წარმატებას მიაღწევენ და ეკლესია დაუბრუნდება იმ გზას რომელსაც ქართული სახელმწიფოებრიობა ადგას და რომელსაც თვითონ ეკლესია ედგა ისტორიულად, სანამ რუსული, შოვინიზმით აღსავსე მართლმადიდებლური ეკლესია არ შემოვ ი და ძალით.

ამ თავის შესაჯამებლად, შეიძლება ითქვას, რომ სასულიერო ინსტიტუციას დღევანდელ საქართველოში დიდი ძალაუფლება უპყრია და ამ ძალაუფლების შესანარჩუნებლად ყველაფერს აკეთებენ, პარლამენტარებს აცვლევინებენ კანონებს, რომლებიც თვითონ არ მოეწონებათ, მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავენ შიდა პოლიტიკას და ცდილობენ გადაწვდნენ საგარეო პოლიტიკასაც, აწყობენ აქცია - მსვლელობებს, ძალის დემონსტრირების მიზნით, ყავთ უამრავი ინტერეს ჯგუფი, რომლებიც რელიგიური ინსტიტუციის აზრებს ღიად ახმოვანებენ. ასევე, განსაზღვრავენ არჩევნების შედეგებს. თუმცა არსებობს საკითხები სადაც რელიგიურ ინსტიტუტებსა და სახელმწიფოს შორის ჭიდილი მიმდინარეობს, ეს ნებისმიერ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, ამიტომ უნდა იყოს რელიგიური ინსტიტუტები და სახელმწიფო გამიჯნული, რომ არ მოხდეს ღირებულებების აღრევა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ არის.

თავი მესამე

პარტიების პროგრამის ანალიზი, პარტიების ურთიერთმიმართება

რელიგიური ინსტიტუტების ასე გაძლიერება ჩვენს ქვეყანაში გამოწვეულია, ერთი მხრივ, ამ ინსტიტუტების „სწორი“ პოლიტიკით, რომელსაც ატარებენ ხალხში. მეორე მხრივ პოლიტიკური პარტიების ბრალია საზოგადოებაში მათი დაბალი რეიტინგი და ნდობა(https://sputnik-georgia.com/politics/20170405/235486941/IRI-gamokitxva-mosaxleobis-problemebi.html). ბოლო არჩევნებშიც გამოჩნდა, რომ მართველ პარტიას, რომელმაც საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა, საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 30%-იც არ უჭერს მხარს, რაც სავალალო სურათია. ყოველი საპარლამენტო არჩევნების დროს პარტიების ნდობა ეცემა, ამ სურათს გვიხატავს საქართველოში ჩატარებული ყველა საპარლამენტო არჩევნები. მაგალითად 1990 წლის არჩევნებში ზვიად გამსახურდიას პარტიამ „მრგვალი მაგიდა - დამოუკიდებელი საქართელომ“ 54% აიღო (http://infocenter.gov.ge/elections2016/history.pdf) და მოიპოვა უმრავლესოა, იმასაც თუ გავითვალისწინებთ რომ მეორეზე გასული „კომუნისტური პარტია“ დაიშალა მელევე, რეალური ძალაუფლება „მრგვალ მაგიდას დარჩა“. ამის შემდეგ, საქართველოში მოხდა სამხერდო გადატრიალება. იმდროინდელი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, და მაგის პარტია ჩამოაგდეს. 1992 წელს კი დაინიშნა ახალი საპარლამენტო არჩევნები. ეს არჩევნები შერეული სისტემით გაიმართა. მისი ჩატარების წესი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა არჩევნებისგან. მაჟორიტარული საარჩევო სისტემის საფუძველზე აირჩიეს 75 დეპუტატი (ერთმანდატიანი ოლქებიდან), პროპორციული სისტემით კი (მრავალმანდატიანი ოლქები) 150 დეპუტატი. საარჩევნო ბარიერი 2% იყო. უნდა აღინიშნოს, რომ არათუ საკონსტიტუციო უმრავლესობა, ჩვეულებრივი უმრავლესობაც ვერავინ ვერ მიიღო, ასევე ეს არჩევნები იყო ყველაზე მრავალპარტიული პარლამენტი საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში. შემდეგი არჩევნების ჩატარებას წინ უსწრებდა 1995 წლის 14 აგვისტო, დღე, როცა საქართველომ კონსტიტუცია მიიღო, ამით განისაზღვრა შემდეგი არჩევნების თარიღი, 5 ნოემბერი. კონსტიტუციით განისაზღვრა, არჩევნების ჩატარების წესი, პროპორციულით აირჩეოდა 150 კაცი, ხოლო მაჟორიტარული წესით 85 კაცი. არჩევნებში გაიმარჯვა მოქალაქეთა კავშირმა, რომელმაც აიღო ამომრჩევლების 23,71% და მოიპოვა უმრავლესობა, თუმცა უნდა

აღინიშნოს, რომ თითქმის მილიონი ამომრჩეველი არ მივიდა არჩევნებში რაც იმ დროს საკმაოდ დიდი რიცხვი იყო. შემდეგი არჩევნები ჩატარდა 1999 წლის 31 ოქტომბერს, აქ დამაჯერებლად იმარჯვა „მოქალაქეთა კავშირმა“ და პარლამენტში უმრავლესობა კვლავ მას დარჩა, თუმცა ასევე მილიონამზე ცოტა მეტი ამომრჩეველი არ მივიდა არჩევნებში. შემდეგი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 2003-ი წლის 2 ნოემბერს, რომელიც უამრავი უხეში დარღვევის გამო გაუქმდა, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 2004 წლის 28 მარტს, სადაც დამაჯერებლად გაიმარჯვა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 66%, ასევე, ამ არჩევნებში არ მივიდა მილიონზე ცოტა ნაკლები კაცი. მომდევნო არჩევნები ჩატარდა 2008 წლის 21 მაისს, ნაცინალურამა მოძრაობამ კი გაიმარჯვა, მაგრამ ისე დამაჯერებლად არა როგორც წინა არჩევნებში, მან ამომრჩეველთა 59% მიიღო, თუმცა საკონსტიტუციო უმრავლესო მოიპოვა მაჟორიტარების ხარჯზე. ეს არჩევნები „გამორჩეული“ იყო იმითაც, რომ მოქალაქეების დიდი ნაწილი არ მივიდა არჩევნებში, ადრე თუ ეს ციფრი მილიონ ადამიანი იყო, ან ცოტა მეტი, ან ცოტა ნაკლები, ახლა ეს ციფრი მილიონნახევარზე მეტი იყო, არჩევნებში მისული და არ მისული ადამიანების ციფრი თითქმის თანაბარი იყო, ასეთი რამ 1990 წლიდან მოყოლებული ჯერ არ დაფიქსირებულა აქამდე. ეს გამოწვეული იყო 2007 წლის 7 ნოემბრის გამო, როცა ხელისუფლებამ მშვიდობიანი მომიტინგეები დაარბია, რამაც ქართულ საზოგადოებაში სრული აპათია გამოიწვია მმართველი პარტიის მიმართ, მაგრამ მეორე უბედურება იყო ის რომ ამ დროს ქართველი ამომრჩევლებში ალტერნატიური ვარიანტი არ ჩანდა, ამიტომ იყო სრული გაუკვევლობა, ვისთვის უნდა მიეცა ხმა არ იცოდნენ. რეალური აჩევანის გარეშე დარჩენილი ქართული საზოგადოება არ მივიდა არჩევნებში(http://infocenter.gov.ge/elections2016/history.pdf). შემდეგი არჩევნებში გაიმართა 2012 წლის 1 ოქტომბერს. სადაც, პირველად საქართველოს არჩევნების ისტორიაში მმართველმა პარტიამ წააგო არჩევნებში და გადაინაცვლა ოპოზიციაში, თან ისე რომ ამას არანაირი რევოლუცია ან სამხედრო გადატრიალება არ მოჰყოლია. ამ არჩევნებში გაიმარჯვა ოპოზიციურმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ, რომელიც ამომრჩეველთა მოსახლეობის 55% აიღო, ხოლო იმ დროს მოქმედმა სამთავრობო პარტიამ 40% (http://results2012.cec.gov.ge/), ამომრჩეველის კუთხით წინა არჩევნებთან შედარებით დიდი მატება იყო თითქმის ნახევარმილიონიანი (http://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2012.pdf). მომდევნო არჩევნები გაიმართა 2016 წლის 8 ოქტომბერს, ეს არჩევნების ისტორიული იყო, რადგან ვერცერთმა პარტიამ ვერ აიღი 50%-ზე მეტი, თუმცა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ მაინც მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა ისევ მაჟორიტარების ხარჯზე, გამარჯვებულმა პარტიამ აიღო ამომრჩევლების 48 პროცენტი, ხოლო მეორეზე გასულმა

„ნაციონალურმა მოძრაობა“ ელექტორატის 27 პროცენტი (https://elections.jumpstart.ge/ka/event_type/3/event/45). ასევე ეს არჩევნები გამორჩეული იყო მოსახლეობის დაბალი აქტივობით, ამ არჩევნებმა 2008 წლის არჩევნებსაც „აჯობა“ ამ კუთხით, შესაბამისად ყველაზე დაბალი აქტივობა ისტორიაში დაფიქსირდა 2016 წლის 8 ოქტომებრს გამართულ არჩევნებში, მოსახლეობის 49 პროცენტი არ მივიდა არჩევნებში(http://cesko.ge/res/docs/monacileqalebi.pdf), შესაბამისად ამ არჩევნებში მთავრობაში მოვიდა მთლიანი საქართველოს ყველაზე დაბალპროცენტულად არჩეული ხელისუფლება. საქართველოში ყველა ჩატარებული არჩევნებიდან ჩანს რომ ხალხს პარტიული ინსტიტუტებისადმი ნდობა 90-იანი წლების დასაწყისში ქონდათ, ზვიად გამსახურდიას დროს, ასევე 1992 წლის პოლიტიკურ პარტებსაც გამოუცხადა ნდობა, მაგრამ ეს ნდობა გაქრა, რამაც მიიყვანა რევულუციამდე ხალხი, აქ კიდევ ერთხელ გაუჩნდათ ხალხს ნდობა „ნაციონალური მოძრაობისა“, მაგრამ ამათმაც იმედი გაუცრუეს, შემდგომ ამისა, პატარა იმედი გაუჩნდათ „ქართული ოცნების“ მიმართ, მაგრამ როგორც ბოლო არჩევნებმა გვანახა ეს იმედიც უკვე გაქრა და დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში პარტიებისადმი სრული გულგრილობა შეინიშნება. რამ გამოიწვია ეს? ამაში, ერთადერთი დამნაშავე პარტიები და მათი ლიდერები არიან. თუ რატომ დაკარგა პარტიულმა ინსტიტუტმა საქართველოში ნდობა ამისთვის საკმარისია გავიხსენოთ რას გვპირდებოდა საქართველოს სათავეში მოსული ყველა პარტია და რეალურად რა გააკეთა მან. 1990 წელს ზვიად გამსახურდია და მისი პარტია მოვიდა სათევაში, იგი ხალხს პირდება ეკონომიკის გაჯანსაღებას, საქართველოს დამოუკიდებლობას და ხალხის უკეთესად ცხოვრებას ვიდრე ტოტალიტარულ, ერთპარტიულ სისტემაში. საქართველოს ამომრჩეველი ენდო ზვიადს და მისი პარტიის ამ დანაპირებებს. პარტიამ მთავარი დანაპირები შეასრულა, საქართველომ დამოუკიდებლობა მიიღო, მაგრამ ეს დიდად პარტიის დამსახურება არ იყო, უფრო საგარეო ფაქტორის დამსახურება იყო. პარლამენტის სათავეში მყოფმა პარტიამ, სხვა დანაპირები ვერ შეასრულა, მას ურთიერთობა გაუფუჭდა რუსეთთან, რამაც გამოიწვია, ჩვენი პროდუქციის შეზღუდვა რუსეთის ბაზარზე, რაც იმ დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო იმ დროის ქართველი მოახლეობისთის. დაიძაბა ქვეყნის შიგნით ურთიერთობები ადგილობრივ სეპარატისტულ ორგანიზაციებთან, რამაც ქვეყანა მიიყვანა, ჯერ სამაჩაბლოში, ეგრედ წოდებულ „სამხერთ ოსეთში“ ომი, რის შედეგადაც ეს ტერიტორია დროებით მოწყდა საქართველოს, ამას მოჰყვა აფხაზეთში კონფლიქტი. შესაბამისად, ასეთ არეულ დროს სხვა დანაპირები რაც ზვიად გამსახურდიამ და მისმა პარტიამ მისცა ქართულ მოსახლეობას ვერ შესრულდა, ამ ყველაფერმა გამოიწვია თბილისში სამოქალაქო ომი, რამაც ისედაც გაჭირვებული ქვეყანა უფრო

გაჭირვებაში ჩააგდო. სამოქალაქო ომის შედეგად ზვიად გამახურდია და მისი პარტია დაიშალა, შეწყვიტა არსებობა, რასაც ახალი არჩევნები მოყვა. მოვიდა დროებითი მთავრობა 1992 – 1995 წლებში. პარლამენტში მოსული ყველა პარტია, არადა ეს პარლამენტი საკმაოდ ჭრელი იყო, ჰპირდებოდა ხალხს ეკონომიკური სიდუხჭირის გამოსაწორებდა, არსებული კონფლიქტების მოაგვარებას და აშენებას ნამდვილი ღირსეული დასავლური სახელმწიფოსი. მაგრამ, ამის ნაცვლად, ჩვენ მივიღეთ გაღრმავებული კონფლიქტები, აფხაზეთის დაკარგვა, მთლიან საქართველოში არაფორმალური დაჯგუფებების მმართველობა, მაგალითად, „მხედრიონი“ ან „გვარდია“, ამ ყველაფერს ემატებოდა უკიდურესი გაჭირვება ქვეყანაში. დროებითმა მთავრობამ ერთი რაც კარგი გააკეთა იყო კონსტიტუციის მიღება. ახალ კონსტიტუციას მოყვა ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, პარტიები, ისევე როგორც პრეზიდენტი ხალხს პირდებოდა, არსებული სიტუაციის დასტაბილურებას, გამოჯანსაღებას, როგორც ეკონომიკური ასევე ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებისას. ამ დანაპირების გამო აირჩიეს მოქალაქეებმა პარლამენტარები, რომ მათი ურთიერთობა გაუმჯობესებულიყო, მაგრამ არაფერი შეიცვალა. ქვეყანაში არსებითად სიტუაცია არ შეიცვალა 1999 წლის არჩევნების მერეც, იგივე პარლამენტი და იგივე პრეზიდენტი იყო, სიტუაცია უფრო და უფრო უარესობისკენ მიდიოდა, კორუფცია გაღმავდა, ხალხი უფრო გაღარიბდა. ეს ყველაფერი აუტანელი და გაუსაძლისი იყო, ამომრჩევლებმა 2003 წლის არჩევნებზე უარი უთხრა პარლამენტს, მაგრამ იმ დროინდელმა ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, რაც ქართულმა საზოგადოებამ ვერ მოითმინა და მშვიდობიანი რევოლუციის გზით გადააგდო არსებული ხელისფლება. ქართველ ამომრჩევლებს იმედი მიეცათ, რომ პარტია რომელსაც ისინი უჭერდნენ მხარს, „ნაციონალური მოძრაობა“, შეცვლიდა არსებულ სიტუაციას და მათი ცხოვრება უკეთესობისკენ წავიდოდა. თავად ნაციონალური მოძრაობა ხალხს დაპირდა, კორუფციის აღმოფხვრას, დემოკრატიის დამკვიდრებას და სახელმწიფო ინსტიტუტების რეალურად ამუშავებას და ფუნქციონირებას(http://cesko.ge/res/old/other/0/491.pdf). უნდა ითქვას, ნაციონალურმა მოძრაობამ თავიდან კარგად დაიწყო, აღმოფხრა კორუფცია, გაატარა ქვეყნისთის საჭირო და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რეფორმები, მაგალითად: პოლიციის და განათლების რეფორმა, რამაც ქვეყანა დაამსგავსა სახელმწიფოს, ხალხმა დაიწყო გაჭირვებიდან გამოსვლა, თუმცა ეს ყველაფერი ხდებოდა ერთი სახელმწიფო ინსტიტუციის ხარჯზე, კრემოდ პრეზიდენტის ინსტიტუცია იყო განუზომლად ძლიერი, რამაც საბოლოოდ ქვეყანა ავტორიტარულ მმართველობამდე მიიყვანა. ამას ემატებოდა ქვეყნის ტერიტორიის გადაუჭრელი პრობლემა და ბოლოს ამას დაემატა 2007 წლის 7 ნოემრის მოვლენები,

რომელმაც სიტყვის თავისუფლება მნიშვნელოვან წილად დააყენა საფრთხის ქვეშ, ეს ყველაფერი ხალხმა მოითმინა, მაინც „ნაციონალური მოძრაობის“ ძველი დამსახურებების გამო და ეგონათ ქართველ ამომრჩევლებს რომ ისინი თავიანთ შეცდომაზე ისწავლიან და შეცდომებს გამოასწორებდნენ, ასევე თავიანთ დანაპირებს აღასრულებდნენ. ეს ასე არ მოხდა, „ნაცინალურმა მოძრაობამ“ იგივე პოლიტიკა გააგრძელა, ისევ ავტოკრატიული ნიშნებით მართავდა. ქვეყანაში არსებული უმეტესი მედია საშუალებები მთავრობასთან დაახლოებული პირები ფლობდნენ, რაც სიტყვის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით კითხვებს კიდევ აჩენდა, ეს ყველაფერი საქართველოს მოსახლეობას ყელში ამოუვიდა და როცა გაჩნდა ახალი ალტერნატივა „ქართული ოცნების“ სახით მაშინვე შეცვალეს არსებული პარტიაც და მთავრობაც. „ქართული ოცნება“ ხალხს პირდებოდა ეკონომიკურ აღმასვლას, ქვეყანაში არსებულ ავტორიტარულ მმართველობის დასრულებას, პლურალიზმის დამკვიდრებას ასევე, ნამდვილი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შექმნას, სიტყვის თავისუფლებას(http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf). არჩევნების შემდეგ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია დიდად არ შეიცვალა, არ შეიქმნა რეალური ინსტიტუტები, ქვეყნის მმართველი, რომელსაც მისცეს ხმა ამომრჩეველთა უმეტესობამ, ბიძინა ივანიშვილი, ჩრილდში გადავიდა და იქიდან მართავს ქვეყანას, რასაც ჩრდილოვანი მმართველობა ეწოდება, რაც დამღუპველია ქვეყნისთვის. ასე რომ, რეალური ინსტიტუტები კი არ მივიღეთ არჩევნების შემდეგ, შეიძლება ითქვას უფრო უარესიც, ჩრდილოვანი მმართველობა. ასევე მნიშვნელოვანი დაპირება იყო ეკონომიკური შეღავათები, რომელიც ასევე არ შესრულდა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს იმედი საბოლოოდ გაუცრუვდა და გადაეზარდა სრულ აპათეაში, რაც დაფიქსირდა არჩევნებში, სადაც, ქვეყნის მოსახლების 49% არ მივიდა არჩევნებზე, რაც კატასტროფულად დიდი მაჩვენებელია ჩვენნაირი ქვეყნისთვის. ქვეყანა რომელსაც აგრესორი და ოკუპანტი მეზობელი ყავს, ასევე ჩვენ ვართ ქვეყანა რომელიც ეხლა დგება ფეხზე და მას თითოეული მოქალაქის მიშველება ჭირდება, ამ პირობებში პოლიტიკური აპათეა შეიძლება დაღუპველი აღმოჩნდეს. აპათეა კი გამოიწვია იმ იმედგაცრუებებმა რომელიც ჩვენმა მოქალაქეებმა 1990 წლიდან დღემდე გამოიარეს. ასევე ამ იმედგაცრუებამ გამოიწვია პოლიტიკური პარტიის, როგორც ინსტიტუციის დაკნინება, პოლიტიკური პარტიები კი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეიძლება ითქვას, პოლიტიკაც ქართულ საზოგადოებაში, დღეს - დღეისობით დაკნინებულია.

ვინაიდან ადამიანი ისეთი არსებაა, რომ უნდა ვინმეს ან რამეს ენდოს. ასეთი დასაყდრენი მან ნახა არაპოლიტკური ინსტიტუტები საქართველოში, რელიგიური

ორგანიზაციების სახით, რომლებიც, განსახვავებით პოლიტკური პარტიებისგან არაფერს მატერიალურს არ პირდებიან, ისინი ესაუბრებიან მრევლს სულიერებაზე, იმ ქვეყნიურ ცხონებაზე და ასწავლიან გზებს თუ როგორ ცხონდნენ იმ ქვეყანაში, მაშინ როცა პარტიებმა და მთავრობებმა ხალხს უამრავი დაპირება მისცეს და უმეტესობა მათგანისა არ შეასრულეს. ხალხის თვალში რელიგიური ინატიტუტები სანდომიანი ორგანიზაციები გახდნენ, შესაბამისად, მათი ძალაუფლებაც იზრდებოდა და დღეს ჩვენ გვაქვს სურათი, როცა სახელმწიფო ინსტიტუტებს ჯაბნის არასახელმწიფო ინსტიტუცია. ამის გამო პოლიტიკური პარტიები მიმართავენ რელიგიურ ინსტიტუციებს დასახმარებლად.

თუმცა საქართველოში იყო პერიოდი როცა სახელმწიფო ინსტიტუციას უფრო მაღალი ნდობის რეიტინგი ქონდა ვიდრე რელიგიურ ინსტუციებს. ეს ორი სტრუქტურა ერთი პერიოდი ერთმანეთში დაპირისპირებულებიც კი იყვნენ, მაგალითად ზვიად გამსახურდიას დროს, როცა მისი რეიტინგი 90 პროცენტზე მეტი იყო, იგი გამოდიოდა და აკრიტიკებდა რელიგიურ ინსტიტუტებში მყოფ სასულიერო პირებს. „დღესაც მტერმა პირველ რიგში ჩვენს ეკლესიას დაუმიზნა, შემოგზავნა სამღვდელოების რიგებში მართლმადიდებლობის მტრები, ცხვრის ქურქში გახვეული მგლები, რომელთაც დააკნინეს და თითქმის გაანადგურეს მართლმადიდებლური რწმენა. მტრის სადაზვერვო სამსახურების აგენტების ადგილი ეკლესიაში არ არის. ჩვენი ეკლესია უნდა განიწმინდოს მათგან, რათა ერი არ დაიღუპოს. აუცილებელია ახალი რუის-ურბნისი" (http://news.ge/ge/news/story/28324-zviad-gamsakhurdia-autsilebelia-akhali-ruis-urbnisi). ამის შემდეგ იყო სახელმწიფო გადატრიალება, სამოქალაქო ომი, კონფლიქტები აფხაზეთში და სამაჩაბლოში, რამაც ქვეყანა უკიდურეს გაჭირვებამდე მიიყვანა და რელიგიისთვის ხალხს ნაკლებად ეცალა. პრობლემატური იმ დროს ქვეყანაში ლუკმა - პურის შოვნა იყო. საქართველოში არსებული სიტუცია ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ცოტა დასტაბილურდა, სახელმწიფომ და რელიგიურმა კონფესიებმა დადეს კონკორდატი, რის შემდეგაც სახელმწიფო „აღიარებდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან". ასევე წარსულში გადატანილი ზარალის გამო სახელმწიფო ვალდებული იყო ბიუჯეტიდან გადაეხადა გარკვეული თანხა (https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626). რელიგიური ინსტიტუტების რეალური აღმასვლა იწყება 2004 წლიდან, როცა ქვეყნის სათავეში მოვიდა მიხეილ სააკაშვილი, ხოლო პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა „ნაციონალურმა მოძრაობამ". სააკაშვილმა იგრძნო რელიგიური ინსტიტუტების მზარდი რეიტინგი და გადაწყვიტა მათთან კარგი და თბილი ურთიერთობა ქონოდა. ავიღოთ თუნდაც სააკაშვილის

ფიცი, რომელიც მან დადო გელათის ტაძარში, ეს ირიბად მიგვანიშნებს იმაზე რომ მას არანაირი დაძაბულობა არ უნდა არცერთ რელიგიურ კონფესიასთან, რომელიც საქართველოში არსებობს, მაგრამ, განსაკუთრებით არ უნდა ურთიერთობის გაფუჭება მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელსაც ყველაზე მრავალრიცხოვანი მრევლი ყავს საქართველოში. ამის გამო სააკაშვილს და მის მთავრობას აკრიტიკებდნენ თავის დროზე, მაგალითად სახალხო დამცველი, რომელმაც 2005 წლის დეკელმბერში პარლამენტში წაიკითხა ანგარიში სადაც ეწერა რომ სააკაშვილი და მისი პარტია არღვევდა კონკორდატს და „ანიჭებს უპირატესობას მართლმადიდებლურ ეკლესიას საქართველოში არსებულ სხვა რელიგიურ ჯგუფებთან შედარებით“ (http://liberali.ge/articles/view/12/akhali-saqartvelo-20042008), ასევე პარლამენტმა გაუზარდა დაფინანსება რელიგიურ ინსტიტუტებს, განსაკუთრებით მაშინ როცა ეს სააკაშვილს და ნაცინალურ მოძრაობას უჭირდა, ანუ 2008 წლის შემდეგ, თითმის ორჯერ გაეზარდათ რელიგიურ კონფესიებს დაფინანსება, სახელმწიფო მათ გადაცემდა მიწებს, სიმბოლურ ფასებში, მაშინ როცა გადაცემული მიწების საერთო რაოდენობა ათეულობით მილიონს აჭარბებდა, ყიდულობდნენ ძვირადღირებულ მანქანებს და კომფორტის სხვა ნივთებს, სამინისტროები უგზავნიდნენ საჩუქრებს რელიგიურ ინსტიტუტებს (http://www.transparency.ge/ge/blog/mokle-mimokhilva-sakartvelos-sapatriarkos-dapinansebis-shesakheb). „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2008 წლის არჩევნების პროგარამაში ჩაწერა რომ ისინი გამარჯვების შემთხვევაში ვალდებულებას ღებულობდნენ რელიგიური შენობა - ნაგებობეის რესტავრაციაზე, საკუთარი სახსრებით(http://cesko.ge/res/old/other/0/491.pdf), ეს მაშინ როცა მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი იყო, ასევე საქართველოს ახალი გამოვლილი ქონდა 2008 წლის აგვისტოს ომი. შედეგად ჩვენ მივიღეთ ის რომ ნაცინალურმა მოძრაობამ ხელმეორედ გაიმარჯვა და პარლამენტში მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა, ასევე პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა. არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც პარლამენტი და მთავრობა იგივე პოლიტიკას აგრძელებდნენ რელიგიური ინსტიტუტების მიმართ, ანუ მაქსიმალურად ყველაფერს უთმეობდნენ, მომავალი არჩევნებში დახმარების მიზნით, ამის გამო სააკაშვილს და მის გუნდს რელიგიური ისნტიტუციის მაღალი იერარქიის წარმომადგენელბი საკურთხევლიდან ლოცავდნენ და ხოტბას ასხავდნენ, ამის კარგი მაგალითია ქუთაისი მიტროპოლიტი კალისტარტე (http://www.newposts.ge/?l=G&id=2836-meufe,kalistratem,prezidenti,da,eri,daloca). დროთა განმავლობაში სააკაშვილის, მისი პარლამენტის და კონფესიების ურთიერთობა გაფუჭდა. განსაკუთრებით პრეზიდენტს დაეძაბა ურთიერთობა მართლმადიდებელ ეკელსიასთან და მის

საჭეთმპყრობელ, უწმინდეს და უნეტარეს, ილია მეორესთან. ურთიერთობის დაძაბვა ნათლად გამოჩნდა 2010 წელს, როცა ახალი კონსტიტუცია მიიღო პარლამენტმა. ამ კონსტიტუციით საქართველოში არსებული ყველა კონფესია გათანაბრდა და არცერთ რელიგიურ ინსტიტუცია უპირატესობა არ ენიჭებოდა, ამის გამო მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაიწყო ქუჩაში გამოსვლები, კრიტიკა ხელისფლების მიმართ. კრიტიკას არც ილია მეორე მოერიდა(http://www.foreignpress.ge/faqtebi/1777-saqarthvelos-marthlmadidebeli-eklesiis-patriarqi-saakashvils-omis-gamo-akritikebs.html?lang=ka-GE), ნათელი იყო რომ სააკაშვილს საქართველოში ყველაზე რეიტინგულ ორგანიზაციასთან ურთიერთობა გაუფუჭდა. ამის პარალელურად ოპოზიციურ ველზე გამოჩნდა ახალი მოთამაშე, ბიძინა ივანიშვილის სახით, რომელმაც ჩამოაყალიბა პარტია „ქართული ოცნება“ და რომელმაც 2012 წლის არჩვნებში მონაწილეობის სურვილი დააფიქსირა. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა ესარგებლა ეკლესიასა და მთავრობას შორის გაფუჭებული ურთიერთობით და თავისი პირველი ბრიფინგიდან ერთ თვეში 15 ნომებერს იგი მივიდა საპატრიარქოში და შეხვდა კათალიკოს - პატრიარქს. შეხვედრის შემდგომ ბრიფინგზე ილია მეორემ განაცხადა „ჩვენ მოხარულები ვართ, რომ დღეს საპატრიარქოში მობრძანდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ჩვენ ვისაუბრეთ ბევრ საკითხზე და განსაკუთრებით, საქართველოს მომავალზე, საქართველოს დღევანდელ დღეზე. და ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება“, ასევე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს მოუწოდა რომ ბიძინა ივანიშვილისთვის დაებრუნებინა მოქალაქეობა. ამ შეხვედრით გახარებული იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილიც მან განაცხადა „ეს იყო კიდევ ერთი ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში. მე რამდენჯერმე ვარ შეხვედრილი მის უწმინდესობასთან. ეს იყო ძალიან საინტერესო შეხვედრა. მე მივიღე ბევრი რჩევა, ძალიან ბევრი ბრძნული რჩევები მივიღე მისი უწმინდესობისაგან, რომლებსაც გავითვალისწინებ და დამეხმარება მომავალ მოღვაწეობაში“(http://www.civil.ge/geo/article.php?id=24789). ამ შეხვედრის შემდეგ ნათელი გახდა თუ ვისკენ იხრებოდა ილია მეორის სიმპათიები და მართლმადიდებლური ეკლესია ვის დაუჭერდა მხარს. აქედან მოყოლებული ბევრი ეკლესია სააკაშვილის და მისი პარტიის ცუდად მოიხსენიებდნენ, ხოლო ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ დადებითად. საბოლოოდ ამ ყველაფერმა შედეგი გამოიღო, 2012 წელის ოქტომებრში „ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხდა, „ქართულმა ოცნებამ“ - კი გამარჯვება მოიპოვა. გამარჯვებული პარტიამ არ შეცვალა პოლიტიკას რელიგიურ ინსტიტუებთან მიმართებაში, ანუ ისევ უამრავი შეღავათით სარგებლობენ, სახელმწიფო კვალვ ყოველწლიურად ურიცხავს ბიუჯეტიდან მილიონობით ფულს, რელიგიური ინსტიტუციის წარმომადგენელბს უწესებს

ეკონომიკურ შეღავათებს, ჩუქნიან მანქანებს და კონფორტის სხვა ნივთებს, რაც ბიუჯეტს მძიმედ აწვება კისერზე, ასევე რელიგიური ინსტიტუციას აქვს უფლება მოქალაქე დაიცვას სამხედრო სავალდებულო ჯარიდან, ამის მსგავსი სხვა პატარ-პარატა შეღავათები ბევრია კანონმდებლობაში. ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით რომ, პოლიტიკურ პარტიებს ნდობა ხალხში არ აქვთ, ხოლო რელიგიურ ინსტუტიტებს მყარი მაღალი ნდობა აქვღ, ასეთი დამთბობი პოლიტიკით პარტიები იმედოვნებენ რომ რელიგიური კონფესიები მათ დაუჭერენ მხარს და ამით გამარჯვებას დიდ წილად დაიბევენ. ასეთი პოლიტკა ხორციელდება, იმიტომაც რომ სასულიერო პირმა უქადაგოს საკუთარ მრევლს ამა თუ იმ პარტიის სიკარგე, რაც საარჩევნო ყუთთან ხმის მიცემის დროს აისახება. თუმცა ისტორიის განამვლობაში არ ყოფილა არცერთი ხელისუფალი, იქნებოდა ეს მეფე, პრეზიდენტი თუ პრემიერ - მინისტრი, რომელსაც სასულიერო ინსტიტუციასთან ურთიერთობა არ გაფუჭებოდა. ასეთი პერსპექტივა აქვს, ჩემი აზრით, „ქართული ოცნებისა“ და რელიგიურ ინსტიტუციების ურთიერთობას, იმასაც თუ გავითვალისწინებთ რომ ეს ურთიერთობა ისეთივე მყარი აღარ არის როგორიც იყო 2011 წლიადან 2013 წლამდე, ამ ურთიერთობის გაფუჭება დაიწყო ანტიდისკრიმანაციული კანონის მიღებით, შემდგომ ამას მოჰყვა „აიდი ბარათების“ შემოღება. ურთიერთობის გაფუჭების საფუძვლად უნდა ჩავთვალოთ საქართველოს საგარეო კურსიც. საქართველოს მთავრობას დეკლარილებული აქვს პროდასავლური კურსი, ხოლო რელიგიური ინსტიტუციის უმეტესი წარმომადგენლები უფრო მეტად პრორუსულები არიან ვიდრე პროდასავლურები, ამიტომ ამ საკითხში შეთანხმება საკმაოდ რთულია.

თუ რა დათმობებზე არიან წამსვლელი ქართული პოლიტიკური პარტიები რელიგიურ ინსტიტუტებთან, ამისთვის მარტო მმართველი პარტიების პროგრამების და მათი ლიდერების გამოსვლები არ კმარა, საჭიროა გადავხედოთ უმეტეს ქართულ პოლიტიკურ პარტიებს და მათ პროგრამებს, როგორც საპარლამენტოსას ასევე არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიებისას 2008 წლიდან მოყოლებული. 2008 წლის 21 მაისის არჩევნებში მონაწალეობა მიიღო 12 პარტიულმა სუქიექტმა, აქედან ოთხმა პარტიამ გადალახა 5 პროცენტიანი ბარიერი: „ნაციონალური მოძრაობა“, „გაერთიანებული ოპოზიცია“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ და „ლეიბორისტული პარტია“, აქედან მხოლოდ ორი პოლიტიკური პარტია შევიდა პარლამენტში, გარამჯვებული ნაცინალური მოძრაობა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, სხვა სუბიექტებმა უარი განაცხადეს მანდატებზე(http://cesko.ge/res/old/other/2/2675.pdf). საინტერესო იყო მათი წინა საარჩევნო პროგრამები და მათი დამოკიდებულება რელიგიურ ინსტიტუტებთან. „რესპუბლიკური პარტია“, რომელმაც ვერ გადალახა 5 პროცენტიანი ბარიერი და

აიღო 3,78%(http://cesko.ge/res/old/other/2/2675.pdf), თავის პროგრამის ერთ პუნქტში ნახსენები აქვთ სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა, სადაც წერია, „რესპუბლიკელები რელიგიის საკითხებს განიხილავენ როგორც მკაცრად ინდივიდუალურ კერძო თემებს და ვეწინააღმდეგებით ეკლესიის ღია თუ ფარულ პოლიტიზების ყოველგვარ მცდელობას, მიუხედავად იმისა, ხდება ეს ხელისუფლების თუ რომელიმე ოპოზიციური გაერთიანების მხრიდან. ამასთანავე, გადაუდებელ ამოცანად ვთვლით საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების სრულად ამოქმედებას. ამ მიმართულებით რესპუბლიკური პარტია პირველი რიგის ამოცანად განიხილავს საქართველოს ეკლესიისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის სამართლებრივი და ფინანსური გარანტიების შექმნას. ყოფილი საეკლესიო მიწები, რომელიც დღეს სახელმწიფოს საკუთრებაშია, უნდა დაუბრუნდეს ეკელსიას. დანარჩენი ზარალი უნდა დაიფაროს ფულადი სახით. ასეთი წესით ეკლესია ყოველწლიურად ბიუჯეტიდან მიიღებს ფულად თანხას(ჩვენი ვარაუდით წელიწადში 15-20 მილიონი). ეს იქნება ზარალის ანაზღაურების, არ იქნება ეკლესიის სუბსიდირება და ვერ ჩაითვლება რელიგურ დისკიმინაციად“(http://cesko.ge/res/old/other/0/494.pdf). ეს არის კარგი მაგალითი, თუ როგორ ცდილობს სამ პროცენტიანი პარტია, რომელსაც დამოუკიდებლად არასადროს გადაულახავს საარჩევნო ბარიერი, გამოიყენოს მრევლის რელიგური სენტიმენტები ერთის მხრივ და მეორე მხრივ ლოიალურად განაწყოს მართლმადიდებლური ეკლესია თავიანთი პარტიის მიმართ. ისინი აპირებდნენ მიწების გადაცემას ერთ - ერთი რელიგიური ინსტუტიციისთვის. ისედაც მცირე მიწიან სახელმწიფოში როცა მიწას ისეთი ინსტიტუციას გადაცემ რომელიც ჩვეულებრივი დანიშნულებისთვის არ გამოიყენებს და გამოიყენებს საკუთარი, პირადი, ინტერესებისთვის დამღუპველი პოლუზიმია ქვეყნისთვის, რადგან საქართველოში თითმის ყოველ კილომეტრზე დგას ან იდგა ისტორიულად რელიგიური შენობა ნაგებობები და თუ ამ ინსტიტუციას გადავცემდით მიწებს მაშინ გლეხს არაფერი დარჩებოდა დასამუშავებელი. მიწის გარდა რესპუბლიკური პარტია აპირებდა 15-20 მილიონის გადახდას მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, რასაც არ მივესალმები, მაგრამ ეს წინასაარჩევნო დაპირება თითქმის ყველა პარტია ქონდა და აქვს საკუთარ პროგრამებში, ზოგს უფრო ნაკლები, ზოგს უფრო მეტი, ამიტომ ამ დანაირებით ვერ გააცო და გული ვერ მოილბო რესპუბლიკურმა პარტიამ იმ ინსტიტუციის რომელსაც ეს დაუწერა, შესაბამისად ამ ინსტიტუციამ მხარი არ დაუჭირა ამ პარტიას, რაც აისახა 2009 წლის არჩევნებში. აქ საინტერესოა ერთი დეტალი, რესპუბლიკური პარტია, დღიდან დაარსებიდან დღემდე, ხალხში აღიქმევა

როგორც ანტი-ეკლესიური პარტია, „მასონები“ „სოროსისტები“ და სხვა მსგავსი ეპითეტებით. ეს სიტყვები მართლმადიდებლურ მრევლში „სალანძღავ“ სიტყვებად გამოიყენება, ასეთ დროს პარტია გამოდის და დებს ღიად პრომართლმადიდებლურ პროგრამას, რაც ჩემი აზრით, ემსახურებოდა ერთ მიზანს, პარტიას ჩამოცილებოდა ანტი-მართლმადიდებლური კლიშე, ამით კი უბრალო ამომრჩევლის გული მოეგო. რაც არ გამოუვიდათ და საარჩევნო ბარიერიც ვერ გადალახეს. შემდეგი პარტია რომელმაც გადალახა საარჩევნო ბარიერი და აიღო 8,66% არის „ქრისტაინ-დემოკრატიული მოძრაობა“(http://cesko.ge/res/old/other/2/2675.pdf). სახელიდან გამოდინარე ეს პარტია ვერ იქნებოდა დამოუკიდებელი რელიგიური ინსტიტუტებისგან, განსაკუთრებით მართლმადიდებლური ეკლესიისგან. მათი წინა საარჩევნო პროგრამე შეიძლება ითქვას ქსენოფობიურია, რადგან იგი იწყება ძახილით რომ, „ცვლილებების დროა კონსტიტუციაში და აპირებენ გაატარონ სამი ცვლილება 1) საქართველოში ოფიციალური რელიგია იქნება მართლმადიდებელი ქრისტიანობა, როგორც ქართველი ხალხის ტრადიციულად აღიარებული რელიგია 2) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსთავარი - სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი იქნება ხელშეუვალი; 3) სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი იქნებიან“(http://cesko.ge/res/old/other/0/493.pdf). ეს პარტია უპირველეს საქმედ მიიჩნევდა, გამარჯვების შემთხვევაში, გაეტარებინა ეს სამი კონსტიტუციური ცვლილება, ეს იმ დროს როცა უამრავი დევნილი იყო საქართველოში და რთული ეკონომიკური მდგომარეობა იყო. ისინი მთავარ პრობლემას მიიჩნევდნენ სახელმწიფოსა და რელიგიური ინსტიტუციების ურთიერთობას, თანაც იმ დროს სამივე ეს პუნქტი, რომელიც „ქრისტიან - დემოკრატიულმა“ მოძრაობა უპირველეს ამოცანად დაისახეს, ეწერა კონსტიტუციაში. ჯერ არ იყო გათანაბრებული საქართველოში ყველა კონფესია, ეს მოხდა 2010 წელს მიღებული ახალი კონსტიტუციით. პარტიის გათვლა აქ სხვა იყო, პირველ თავში ამ ცვლილებების ჩაწერით ისინი ცდილობდნენ მორწმუნე ამომრჩევლის გულის მოგებას, ასევე მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლების კეთილგანწყობის მოპოვებას, რაც მეტ - ნაკლებად გამოუვიდათ. ასევე, „ქრისტიან - დემოკრატებს“ განათელების სიტემის რეფორმირებაში ეწერათ, „საჯარო სკოლებში მოხდება ქრისტანული ღირებულებებზე დამყარებული სასწავლო სააღმზრდელო პროგრამის დანერგვა, რაც საპატრიარქოსთან ინტენსიური თანამშრომლობით და კოორდინაციით მიიღწევა“ (http://cesko.ge/res/old/other/0/493.pdf). ასეთი ცვლილებების შემდეგ როგორ აპირებდა ეს პარტია დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ძნელი წარმოსადგენია, ანუ თუ ის სასწავლო რეფორმა გავიდოდა რელიგიურ უმცირესობებს რას უპირებდა? მაგრამ

მთავარი იყო რაც შეიძლება მეტი პოპულისტური განცხადება ჩაეწერათ, რათა მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის გული მოეგოთ, ამ მიზნით პარტიამ საკუთარ დროშაზე დაიხატა ჯვარი, რომელიც სიმბოლოა მთელი ქრისტანული სამყაროსი და მათ შორი მართლმადიდებლობისაც. პარტიას ეს ყველაფერი გამოუვიდა, მან მოიგო როგორც ეკლესიის წარმომადგენელბის გული, ასევე ორწმუნე ამომრჩევლის გულიც და არჩევნებში გადალახა ხუთ პროცენტიანი ბარიერი, არადა პარტია არჩევნებმადე ოთხი თვით ადრე იყო შექმნილი, რაც პარტიისთვის ცოტა დროა.

2008 წლის არჩევნების შემდეგ იყო 2012 წლის არჩევნები. ამ არჩევნებში გამოჩნდა ახალი მოთამაშე, რომელმაც შეძლო და მანამდე დაქსაქსული ოპოზიცია გააერთიანა. გარდა ამისა, მას ქონდა უზარმაზარი ფული, რაც აქამდე მუდმივად პრობლემა იყო ქართული ოპოზიციისთვის, ისინი მუდმივად აპელირებდდნენ სახსრების არ არსებობით, რის გამოც, მათი აზრით აგებდნენ არჩევნებს. მაგრამ ეხლა სიტუაცია შეიცვალა, მოვიდა პიროვნება რომელსაც დიდი ფული ქონდა და მზად იყო ეს ფული პოლიტიკაში დაეხარჯა. იმის გამო, რომ ოპოზიციური პარტიები გაერთიანდნენ საინტერესო წინა საარჩევნო პროგრამები სულ რამდენიმე იყო. ერთი ასეთი იყო, იმ დროს მმართველი პაარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“, პროგრამა. ამ პროგრამაში რელიგიურ ინსტიტუტებზე თითქმის არაფერია ნახსენები, სუულ საუბარია თავიანთ მიღწევებზე, მაშინ როცა ისინი იყვნენ მმართველები, ასევე საუბარია იმ ეკონომიკურ გეგმებზე რომლებსაც ისინი აპირებდნენ გაეკეთებინათ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში(http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/nacionalebis%20programa.pdf). ჩემი აზრით, ასეთი ურთიერთობა მმართველ პატიასა და რელიგიურ ინსტიტუცებს შორის გამოიწვეული იყო, იმისგამ რომ, სახელმწიფო აღარ უსმენდა რელიგიური ინსტიტუტების წარმომადგენლებს. მათ რამდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტი მიიღეს რომელსაც ზოგი რელიგიური ინსტიტუტები მხარს არ უჭერდა, ამას დაემატაის ფაქტიც, რომ ზოგმა რელიგიურმა ინსტიტუციამ ღიად დაუჭირა, იმ დროს მთავარ ოპოზიციურ ძალას მხარი. ამიტომ „ნაციონალური მოძრაობა“ გაბრაძებული იყო ამ ინსტიტუტებზე და გადაწყვიტეს წინასაარჩევნო პროგრამაში მათზე არაფერი ეთქვათ. არადა აქამდე ყველგან ახსენებდნენ, ბევრ რამეში მხარს უჭერდნენ, ეხლა კი უცბად მათზე არაფერს ამბობდნენ. ეს უფრო გაბუტვას გავს ამ ორ ინსტუტიციას შორის. შედეგმაც არ დააყავნო და მმართველმა პარტიამ არჩევნები წააგო.

2012 წელს მთავარი ოპოზიციური ძალა ახლად ჩამოყალიბებული პარტია „ქართული ოცნება“ იყო, ამიტომ მათი წინასაარჩევნო პროგრამა ძალზე საინტერესოა.

„ქართული ოცნების“ წინა საარჩევნო პროგრამა, გარდა იმისა, რომ აკრიტიკებს იმ დროინდელ მთავრობას, თითქმის ყველაფერში, ასევე წარმოდგენილი აქვს გეგმა თუ რის გაკეთებას აპირებს, დამატებით ამისა, ახსენებს ამომრჩევლებს თუ რა გაუკეთებია ბიძინა ივანიშვილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 2012 წლამე, სადაცა დიდი ნაწილი მის მიერ აღდგენილ რამდენიმე ეკლესიას უჭირავს, განსაკუთრებით სამების ეკლესიას. ასევე, ნახსენებია ისიც რომ, ბატონი ბიძინა ივანიშვილი ფულს ახარჯავდა სამღვდელოების წევრებს, იგი პირადად ყიდულობდა სხვადასხვა ნივთებს რელიგიური ინსტიტუციების წარმომადგენლებს, ახარჯავდა მათ ფულს, აკეთებდა უამრავ შესაწირს ეკლესიებისთვის, ასევე ნახსენებია მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი, აქ ნახსენებია „გასაჭირის დროს“ ალბათ გულისმობენ იმ დროს მოქმედი მთავრობას და ხალხის თვალში წარმოაჩენენ როგორც გასაჭირს (http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20pr ograma.pdf).
რელიგიურ სენტიმენტებზე ასეთი თამაში ქართული პოლიტიკისთვის სამწუხაროდ არ ახალია. ყველა დამწყები თუ შემდგარი პარტია ამ გრძნობაზე თამაშობს, „ქართული ოცნებაც“ არაა გამონაკლისი, ისინიც თამაშობენ მორწმუნე ადამიანის გრძნობებზე. მთავარი ისაა, რომ ამის უფლებას თვითონ რელიგიური ინსტიტუტები აძლევენ, ასე იყო ქართული ოცნების შემთხვევაშიც. პარტია „ქართული ოცნების“ დაარსებიდან მალევე მოხდა რელიგიური ინსტიტუტებისა და ამ პარტიის დაახლოება. ეს გამოწვეული იყო კონფესიების ურთიერთობის გაფუჭებით მმართველ პარტიასთან, ამავდროულად, ახალი ალტერნატივის გამოჩენასთან დაკავშირებით. ამით ისარგებლა ბიძინა ივანიშვილმა და მისმა პარტიამ. მას ჭირდებოდა მაღალრეიიტინგული ინსტიტუციის მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფდა მხარდამჭეთა გარჯვეული ჯგუფის მობილიზებას, ეს აუცილებელია ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისთვის, რათა მომავალში უზრუნველყოს არჩევნებში გამარჯვება. „ქართული ოცნების“ და რელიგიური ინსტიტუციის თბილმა დამოკიდებულებამ 2012 წლის არჩევნებში მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო და „ქართულმა ოცნებამ“ გამარჯვება მოიპოვა.

„ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობის“ წინასაარჩევნო პროგრამა, საკმაოდ საინტერესოა. 2008 წლის პროგრამასთან სედარებით, უფრო რაციონალური, მაგრამ მიანც არღვევს სეკულარიზმის პრინციპს დაიხრება ერთი რელიგიური ინსტიტუტის სასარგებლოდ. თუ წინა არჩევნებში პარტია გვთავაზობდა მკვეთრად პრომართლმადიდებლურ კონსტიტუციას, 2012 წლის პროგრამაში უწერიათ რომ „ქრისტიან-დემოკრატები მხარს ვუჭერთ დაბალანსებულ საკონსტიტუციო სისტემას“, ასევე, წინა პროგრამისგან განსხვავებით ამ პროგრამაში უმცირესობის

უფლებებიც გათვალისწინებული აქვთ, ოღონდ ისევ რელიგიური კუთხით და საქართველოში არსებული კონფესიური უმცირესობების წარმომადგენლების გულის მოგების მიზნით, მათ პროგრამაში ვკითხულობთ, „სასწავლო და რელიგიური დაწესებულებების სუბსიდირებას მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტებიდან მოხდება“, ეს გათვლილია არა ხუმცირესობის გულის მოსაგებად, არამედ მათი სულიერი ლიდერებისთვის, რომ მათ მხარი დაეჭირა ამ პარტიისთვის. ქრისტან - დემოკრატები არც ამ პროგრამაში არ ცვლიან სასკოლო რეფორმას და გამარჯვების შემთხვევაში აპირებდნენ „მართლმადიდებლური კულტურის ისტორიის სწავლებას სკოლებში“, ოღონდ არც აქ ჩანს რელიგიური უმცირესობებსი წარმომადგენელ მოსწავლეებს რას უშვებოდნენ? მაგათთვის როგორ უნდა ესწავლებინათ მართლმადიდებლობა(http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/christian_democratic_movement_fullprogram_geo.pdf), ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, პოპულიზმის ელემენტებს შეიცავს, მაგრამ არა იმდენს რამდენსაც წინა საარჩევნო პროგრამა. ეს გამოწვეული უნდა იყოს, პარტიის როგორც ინსტიტუციის გაზრდით, თუმცა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არაინ. თუ „ქრისტიან - დემოკრატება“ 2008 წელს საარჩევნო ბარიერი გადალახეს, 2012 წლის არჩევნებში იგივე ვერ მოახერხეს, რადგან, მოკლდათ მხარდაჭერა სასულიერო ინსტიტუტებისგან, მათი სიმპათია „ქართული ოცნებისკენ“ იყო მიმართული, ასევე იმ დროს ხალხში იყო გავცელებული აზრი, რომ „ქრისტინა - დემოკრატები“ სამთავრობო პარტიის სატელიტები იყვნენ, ამ აზრმა მათ როგორც ამომრჩეველი დააკარგვინა, ასევე დააკარგვინა რელიგიური ინსტიტუტების ნდობაც, რამაც შედეგი გამოიღო და ქრისტან - დემოკრატიულმა მოძრაობამ ბარიერი ვერ გადალახა.

2008 წელს ბარიერი გადალახეს, მაგრამ პარლამენტში არ შევიდა „ლეიბორისტული პარტია“. მათ საკმაოდ საინტერესო პროგრამა დადეს 2008 წლის საარჩევნოდ, შეიძლება ითქვას, თავიანთ ფუნდამენტურ ღირებულებებზე თქვეს უარი ბარიერის გადალახვის გამო. ამ პარტიამ დაივიწყა ის ფაქტი რომ არიან ლეიბორისტები, შესაბამისად მემარცხენეები, ეს პროგრამა კი აპელირებს ეროვნულობაზე, კონსერვატიზმზე, ასევე ლეიბორისტული პარტიის პროგრამა პრომართლმადიდებლურია და შეიცავს შოვინიზმისა და ქსენოფობიის ელემენტებსაც, მაგალითად „სამუდამოდ დასრულდება ეკლესია-მონასტრების ნგრევის, ეროვნული ღირებულებების, ტრადიციებისა და ისტორიული მემკვიდრეობის ხელყოფის არსებული გამანადგურებელი პოლიტიკა, გარდა ამისა, ჩემს ისტორიულ მოვალეობად მიმაჩნია, უპირობოდ აღვასრულო კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას შორის: არ დარჩება არც ერთი თემი, სოფელი, სადაც არ იქნება მოქმედი

ეკლესია, ჩვენი სულიერი ძლიერების საფუძველთა-საფუძველი (http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/leiboristebis%20programa.pdf). ეს რა თქმა უნდა არ არის ევროპოლი ტიპის მემარცხენეობა, ვერსად ვერ ნახავთ ევროპაში მემარცხენე პარტია რომელიც სარწმუნოებით ეროვნულობით აპელირებდეს. ლეიბორისტულ პარტიას ეს ყველაფერი დაჭირდა მორწმუნე ამომრჩევლის გულის მოსაგებად, ასევე შოვინისტურად მოაზროვნე ამომრჩევლის დასარწმუნებლად, რომ ისინიც „მაგარი პატრიოტები არიან". სინამდვილეში ეს ყველაფერი პოპოლიზმია და მეტი არაფერი, ხალხის მოსატყუებლად გადადგმული ნაბიჯი. ამან არ გაჭრა, რადგან იმ დროს ამომრჩეველი პოლარიზებული იყო, არსებობდა ორი ძალა, ან „ნაცინალური მოძრაობა" ან „ქართული ოცნება", სხვა ალტერნატივა არ არსებობდა. ამან მნიშვნელოვნად დააზარალა ლეიბორისტული პარტია, მათ მხარი არც რელიგიურმა ინსტიტუტებმა დაუჭირეს მხარი და არც შოვინისტურად განწყობილმა ამომრჩევლებმა. შედეგად ლეიბორისტული პარტია კიდევ ერთხელ დამარცხდა არჩევნებში.

ბოლო არჩევნები რომელცი საქართველოში ჩატარდა იყო 2016 წლის 8 ოქტომბერს. საკმაოდ საინტერესო არჩევნები იყო, ამ არჩევნებით გამოჩნდა რომ ხალხს ნდობა დაკარგული აქვთ პარტიების მიმართ. სულ მონაწილეობდა 28 პარტია, შესაბამისად პროგრამების კუთხით საკმაოდ საინტერსო იყო. დავიწყოთ მმართველი პარტიით. „ქართულ ოცნებას" 2012 წლის არჩევნებისგან განსხვავებით უკვე ქონდა გამოცდილება, ამიტომ ეს პროგრამა არა ერთი კაცის გაკეთებულ საქმეზე იყო აწყობილი, არამედ იმაზე თუ რა გააკეთეს და რის გაკეთებას აპირებდნენ მომავალში. რელიგიურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის კუთხით კი ამ პროგარამაში მაქსიმალურადაა დაცული საქართველოში არსებული ყველა კონფესიის უფლებები, რადგან ისინი ხელისუფლებაში იყვნენ და ყველა აღმსარებლობის მქონე მოქალაქის მხარდაჭერა ჭირდებოდათ, ასევე როგორც მმართველ პარტია მათ მართებდათ მეტი ტოლერანტობის გამოჩენა აღმსარებლობის კუთხით. თუმცა ამ პროგარმაშიც არის რამდენიმე საკამათო დეტალი რელიგიურ ინსტიტუტებთან მიმართებაში. მაგალითად „ქართულ ოცნებას" პროგრამაში უწერია „უზრუნველყოფილია რწმენის თავისუფლება და რელიგიური მრავალფეროვნება. სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოებაში რელიგიური შემწყნარებლობის სულისკვეთების შემდგომ განვითარებას. რელიგიური თანასწორობის განმტკიცებისა და კონფესიური თვითმყოფადობის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. სახელმწიფო ახორციელებს საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე სახელმწიფო ვალდებულებას ღებულობს სხვა კონფესიების ფინანსური მხარდაჭერისას

(http://41.ge/program). ეს შეიძლება აღქმული იქნას როგორც მათი მოსყიდვის საშუალება, რადგან ვინც ფულს უხდის რელიგიური ინსტიტუციის წარმომადგენლებს,იმათ უჭერენ ისინიც მხარს, ასე იყო სააკაშვილის დროსაც და ასე იყო ახლაც, იმ რეგიონში სადაც სააკაშვილს და მის მთავრობას 80 პროცენტიანი მხარდაჭერა ქონდა უცბად ბოლო არჩევნებში 60 პროცენტი აიღო „ქართულმა ოცნებამ“, ეს ყველაფერი მთავრობის მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური დახმარებების წყალობით მოხდა. გარდა ამისა, პოლიტიკური ლიდერები და პარტიის სახეები ხშირად ჩნდებოდნენ რელიგიურ ლიდერებთან, რომ ხალხის თვალში აღქმულიყვნენ როგორც მათთან დაახლოებული პირები. თუმცა, მართლმადიდებლური ეკლესიიდან მხარდაჭერა ისეთი ძლიერი არ იყო, როგორც 2012 წლის არჩევნებში, ეს გამოწვეული იყო იმ რიგირ კანონებით და გადაწყვეტილებების მიღების გამო. ეს იყო ერთ - ერთი ფაქტორი იმისა რომ ქართულმა ოცნებამ ამომრჩევლების 48 პროცენტი აიღო.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომელიც 2012 წლის არჩევნებში დამარცხდა, ამ არჩევნების წინაც წარადგინა თავიანთი პროგრამა, აქ საუბარია განათელბის რეფორმაზე, ეკონომიკურ რეფორმაზა, სამართლო რეფორმაზე, მაგრამ მსგავსად 2012 წლის წინასაარჩევნო პროგრამისა აქ არაფერი ნახსენები რელიგიურ ინსტიტუტებზე, მათ დამოკიდებულებაზე, თუ რას ფიქრობენ ამ საკითხზე (http://www.ivote.ge/saparlamento-archvenebi-2016/programebi/22449-saarchevno-programa-saparlamento-archevnebi-2016-nacionaluri-modzraoba.html?lang=ka-GE). როგორც ჩანს, ის ურთიერთუთანხმოება რომელიც არსებობდა „ნაციონალურ მოძრაობასა და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის, მათ დამარცხებამდე არ განელებულა და ისევ არსებობს. ასევე, ვინაიდან „ნაციონალური მოძრაობა“ ამ არჩევნების წინ აღარ იყო ხელისუფლებაში და ბიუჯეტზეც ხელი ვეღარ მიუწვდებოდათ რელიგიურ უმცირესობებსაც ვეღა უხდიდნენ ფულს, რომ მათთვის დაეჭირათ მხარი, რამაც გამოიწვია მათი დამარცხება ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიაზე. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ბოლო არჩევნებში ამომრჩევლების 27 პროცენტი მიიღო და კვლავ მეორეზე გავიდა.

ყველასთვის მოულოდნელად 2016 წლის არჩევნებში პარლამენტში შევიდა „ქარატველოს პატრიოტთა ალიანსი“, შესაბამისა, მათი პროგრამაც საინტერესოა, საინტერესოა რას პიდებოდნენ ხალხს, რას ფიქრობდნენ რელიგიურ ინსტიტუტებზე და როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ ამ საკითხზე. მათი პროგრამის კითხვივას თავლში მოგხვდებათ ერთი სვეტი რომელიც მთლიანად ეძღვნება

მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელს, მის უმინდესსა და უნეტარეს, ილია მეორეს, იქვე იგავია მოთხრობილი სატანაზე და ღმერთზე თუ როგორ აუჯანყდა ეშმაკი ღმერთს. ამით პარტიოთა ალიანსი ალეგორიულად ეუბნევა ამომრჩეველს და ამ რელიგიური ინსტიტუციის წარმომადგენლებს, რომ ისინი არასდროს აუჯანყდებიან და სულ დაუჯერენ ილია მეორეს, რადგან მათ თავლში ილია მეორე გაიგივებულია ღმერთთან, ხოლო აჯანყებული და არ დამჯერი ხალხი სატანასთან. ეს საკმაოდ მარტივი და ეფექტური ხერხია ამომრჩევლების გულის მოსაგებად. გარდა ამისა, გაზიარებულია საპატრიარქოს წარმომადგენლების პოზიცია ID- ბარათებზე, რომ ეს ბარათები სატანურია და მსგავსი პოპულისტური აზრები, რომელიც მრევლში დადებით ემოციებს აღძრავს. ასევე, მათ პროგრამაში ნახსენებია სოფელ ჭელაში განვითარებული მოვლენები და აზიზის მეჩეთთან დაკაშირებული სიტუაცია, ორივეგან პარტია მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციას იზიარებს, თან ისე გამოყავს რომ ამ რელიგიური ნაგებობების აშენება აწყობს ქვეყნის მტრებს და ვითომ თავად მუსლიმი მოსახლეობაა წინააღმდეგი ამ შენობების აგებისა. „პატრიოტთა ალიანსი“ ეხება რელიგიური ინსტიტუტების დაფინანსების საკთხსაც, „უნდა დავითვალოთ რამედნი მართლმადიდებელია. ჩვენი აზრით, მართლმადიდებელი სამი მილიონი მაინც არის. ეს სამი მილიონი უნდა გავამრავლოთ 50 ლარზე და აი, დაახლოებით 150 მილიონით ყოველწლიურად უნდა დააფინანსოს მართლმადიდებლური ეკლესია, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია“, მათი აზრით, ეს ქვეყანას მოუტანს უსაფრთხოებას და მშვიდობას (http://www.interpressnews.ge/ge/images/pdfpdf/inashvili_programa.pdf). გარდა ამისა პროგრამა სასვეა, შოვინიზმით და შეიცავს ქსენოოფობიურ ელემენტებსაც. ეს ყველაფერი პარტიას დაჭირდა მორწმუნე ამომრჩევლის მოსაზიდად და „ურა-პატრიოტების“ ხმების მოსაპოვებლად. ამ პარტია ქონდა ტელევიზია, რომელშიც ხშირად გამოდიოდა მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლები და ულტრანაციონალური ჯგუფის წევრები, საიდანაც ქსენოფობიური განცხადებები კეთდებოდა. ეს ყველაფერი დაეხმარა „პარტიოტთა ალიანსს“ გადაელახათ 5 პროცენტიანი ბარიერი და მოხვედრილიყვნენ პარლამენტში.

არასაპარლამნტო ოპოზიციებიდან რამდენიმე პარტიის პროგრამაა საინტერესო. მაგალითად, ლეიბროსიტული პარტია, რომელმაც წინა არჩევნები წააგო, ამიტომ უნდა შეეცვალა პროგრამა, მაგრამ ლეიბორისტულა პარტია ამით დიდად არ შეიწუხარ თავი, თუ მაშინ სააკაშვილს და მის მთავრობას აკრიტკებდა ეხლა ბიძინა ივანიშვილს და მის მტავრობას აკრიტიკებს, პარალელურად უწერია ბევრი პოპულისტური განცხადება. „ლეიბორისტული პარტია“ ეხება რელიგიურ ინსტიტუტებს, განსაკუთრებით მართლმადიდებლურ კონფესიას. მათი აზრით

„ქართული სახელმწიფო დაეფუძნება ეროვნულ-ქრისტიანულ ღირებულებებს“, ასევე, „ქრისტიანული კულტურა, წინაპართა ამაღლებული ტრადიციები, უდიდესი ისტორიული მემკვიდრეობა მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების სულიერი ბაზისი გახდება“, გარდა ამისა, ისინი ეხებიან ეკელსიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას, სადაც საუბარია ეკლესიის დანიშნულებაზე, მათი აზრით. ასევე, სახელმწიფოს ვალდებულებად თვილიან ეკელსიის გაძლიერებას ხელი შეუწყონ (http://www.ivote.ge/saparlamento-archvenebi-2016/programebi/22779-saarchevno-programa-saparlamento-archevnebi-2016-saqarthvelos-leiboristuli-partia.html?lang=ka-GE). ეს ყვალაფერი გათვლილია მორწმუნე ამომრჩევლის გულის მოგებაზე, მაგრამ ამ პარტიას ეს არ გამოდის, რადგან იგი ძალაინ დიდი პოპულისტობის ელემენტებს შეიცავს. ამ არჩევნების ერთ - ერთი მთავარიმოულოდნელობა იყო თავისუფალი დემოკრატების ვერ შესვლა პარლამენტში, ამიტომ მათი პროგრამაც საინტერესოა, იმასაც თუ გავითვალისწინებთ რომ ამ პარტიამ პირველად დადო წინასაარჩევნო პროგრამა. პარტია შეიქმნა 2010 წელს, როცა საპარლამენტო არჩევნები მოვიდა გაერთიანდა ბიძინა ივანიშვილთან, ამიტომ ის პროგრამა რომელიც 2012 წელს დაიდო მთლიანად კვალიციის პროგრამა იყო. 2016 წლის არჩევნებში პირველად ირებდა მონაწილეობას, როგორც დამოუკიდებელი სუქიექტი, ამ მხრივაც საინტერესოა ამ პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა. უნდა ავღნიშნო, რომ პირველი ჯერისთვის ეს პროგრამა საკმაოდ დახვეწილი, მასში არის კრიტიკი მთავრობის მიმართ, ასევე არის გეგმები თუ რას გააკეთებდნენ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, რელიგიურ ინსტიტუტებთან მათი დამოკიდებულება თითქმის არ არის ნახსენები, არც ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებზე აქვთ საუბარი(http://www.ivote.ge/images/doc//final_-_fd_platforma_2016.pdf). ამის მიზეზი, ჩემი აზრით, ამ პარტიაში გამოცდილი ხალხის ყოფნა. პარტია კი ახალია, მაგრამ იქ მომუშავე პოლიტიკოსები სხვადასხვა დროს იყვნენ ხელისუფლების სათავეში, ძირითადად მუსაობდნენ საგარეო სფეროში, როგორც მაგალითად ირაკლი ალასიანია, იგი სააკაშვილის დროს გაეროში საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი იყო, ასევე ქალბატონი ნათია ფანჯიკიძე, რომელიც ივანიშვილის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, ამიტომ მათ იციან დასავლელი მეგობრების მოთხონები, რომ გაწონასწორებული პარტია და გაწონასწორებული პარტიის სამოქმედო გეგმა აუცილებელია, ალბათ, აქედან გამომდინარე გამოიტანეს ასეთი წინა საარჩევნო პროგრამა. მეორე პოლიტიკური პარტია რომელმაც ვერ გადალახა საარჩევნო ბარიერი, მაგრამ იყო პარლამენტში შევიდა 201 წელს „ქართულ ოცნებასთან“ ერთად არის „რესპუბლიკური პარტია. მ პარტიის დამოუკიდებელი პროგრამა რომელიც 2008 წლის არჩევნებში დადეს შეიძლება ითქვას იყო

პრომართლმადიდებლური. ისინი მზად იყვნენ ბიუჯეტიდან გადაეხადათ გარკვეული თანხა ეკელსიისთვის, ასევე მზად იყვნენ მათთვის ტერიტორიებს გადასაცემად, სადაც კი მათი სენობა ანგებობეი იდგა. ამ პროგრამაში რელიგიურ ინსტიტუტებზე თითქმის არაფერი არ არის ნახსნები, მეტიც, ისინი რაღაც დოზით უპირისპირდებიან რელიგიურ ინსტიტუტებს, რადგან მათ ერთ - ერთ პრობლემად მესიანიზმი აქვთ გამოტანილი. ეს საკითხი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია მართლამდიდებლური ეკლესიისა. ამ კონფესიის წარმომადგენლები მუდმივად საუბრობენ ქართველი ერის დანიშნულებაზე, რომ მათი დანიშნულებაა მართლმადიდებლობის გადარჩენაა. ამ ყველაფერს უპირისპირდება რესპუბლიკური პარტია თავიანთი პროგრამით „როგორ გავთავისუფლდეთ მესიანიზმისაგან“(http://www.ivote.ge/saparlamento-archvenebi-2016/programebi/22435-saarchevno-programa-saparlamento-archevnebi-2016-respublikuri-partia.html?lang=ka-GE). რატომ შეიცვალა „რესპუბლიკურმა პარტია“ ასე მკვეთრათ პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით? ჩემი აზრით, ეს გამოწვეული იყო იმ იმედგაცრუებით რომელიც მათ იწვნიეს 2008 წელის არჩევნებში. ამ არჩევნების პროგრამა გათვლილი იყო იმ სტერეოტიპების ჩამორეცხვაზე რომელიც არსებობდა ხალხში რესპუბლიკურ პარტიასთან დაკავშირებით, რომ ისინი არიან „მასონები“, „სოროსისტები“ „ანტიქრისტიანები“ და სხვა მსგავსი კლიშეები, რომელიც უარყოფითად აღიქმევა ქართულ საზოგადოებაში. იმ პროგრამით რომელიც წარადგინეს 2008 წელს ეს არ გამოუვიდათ. ამ არჩვენების წინ გადაწყვიტეს დაეწერათ და გამოეტანათ ის პროგრამა, რასაც რეალურად ფიქრობდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა და „რესპუბლიკურმა პარტია“ სამი პროცენტიც ვერ აიღო 2016 წლის არჩევნებში.

შეჯამებისთვის, შეიძლება ვთქვა, პარტიების ნდობის დაკარგვა ამომრჩევლის თავლაში თავად პარტიების ბარლია. გამარჯვების მიზნით ისინი უამრავ სისულელეს პირდებიან ხალხს, ხოლო შემდეგ ამას როგორ განახორციელებენ აღარ ფიქრობენ. ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ელექტორატის თავლში სრული აპათეა პარტიების მიმართა, ასეთმავე დამოკიდებულებამ პოლიტიკის მიმართა დაღუპა თვითონ პარტიებიც. სამაგიეროდ გაეზარდათ რეიტინგი რელიგურ ინსტიტუტებს და პარტიებს არჩევნებში გამარჯვების გამო უხდედაბთ ამ ინსტიტუტების გულის მოგება და მათთან პოზიციონირება. დღეს - დღეისობით არჩევნებში გაიმარჯვებს ის ვინც უფრო მეტ შეღავათს და სარგებელს დაპირდება ამა თუ იმ რელიგიურ ინსტიტუციას.

დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ვთქვა, რომ პოლიტკური პარტიების და რელიგიური ინსტიტუტების ურთიერთობა დღევანდელ საქართველოში საკმაოდ რთულია. ამ ურთიერთობას მოაქვს ბევრი პრობლემა, რომელიც უშლის საქართველოს ხელს განვითარებაში და დასავლურ ორგანიზაციებში გაწევრიანებაში. რადგან სეკულარიზმი არის ერთ - ერთი პრინციპი სახელმწიფოობრიობის.

ჩვენს ქვეყანაში ეს ორმაგად რთულია, რადგან სეკულარიზმის არანაირი გამოცდილება არ გვქონია მთელი ჩვენი ისტორიის განმავლობაში, დაწყებული ქრისტიანობის მიღების დღიდან დამთავრებული დღემდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ მიდიოდა ჭიდილი რელიგიური წარმომადგენლებსა და სახელმწიფოს შორის. ისტორიულად, უფრო ხშირად რელიგური წარმომადგენლები იმარჯვებდნენ, ეს იყო მაშინ როცა საქართველოს სახელწმიფო საკმაოდ დასუსტებული იყო, მაგალითად გვიან შუა საუკუნეებში, ან მაშინ როცა ჩვენი ქვეყანა სამთავროებად იყო დაქუცმაცებული, ამ დროს ეკლესია ქვეყნის გაერთიანებაზე კი არ ძრუნავდა, არამედ თავიანთი, პირადი მიზნების მოგვარებაზე. თუმცა ხდებოდა ისეც რომ ხელისუფლების წარმომადგენლები იმორჩილებდნენ რელიგიურ ინსტიტუტებს, ამ დროს საქართველო ყველაზე ძლიერი იყო ხოლმე, ამის მაგალითია, ვახტან გორგასლის მართველობის მეორე ნახევარი, ან წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მმართველობა, რომელმაც სრულიად გაწმინდა ეკლესია მისთვის ურჩი სასულიერო პირებისგან. იყო ისეც რომ ეკელსია წყვეტდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. ერეკლე მეორემ რელიგიური კუთხით აირჩია მოკავშირედ რუსეთი იმპერია. ამ ყველაფერს შედეგად მოყვა ის რომ საქართველოში გაბატონდა რუსული შოვინიზმით გაჟღენთილი მართლმადიდებლობა, რომელმაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ამ ინსტიტუციას. მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე სამად სამი წელი იყო როცა ქართული სახელმწიფოებრიობა იყო სეკულარული, ეს იყო პირველი რესპუბლიკის დროს, როცა ამ მხრივ მართლა ევროპული სახელმწიფო ვიყავით, ვჯობნიდით კიდეც ბევრ იმდროინდელ სახელმწიფოსაც. ამას მოყვა უბედურება სახელად საბჭოთა კავშირი. ეს სახელმწიფო საწყის ეტაპზე ხოცავდ რელიგიურ პირებს, შემდეგ შეცვალა პოლიტიკა და მთაილანად დაიმორჩილა, გადააქცია როგორც „კაკებეს“ ერთ - ერთ დანამატ ორგანოდ. ასეთი ისტორიული გამოცდილებით მივიდა საქართველო დამოუკიდებლობამდე. გამოცდილება კი ყველაფერში მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით პოლიტიკაში და ისეთ სენსიტიურ საკითხში როგორიცაა სეკულარიზმი. ჩვენ რომ გვქონოდა სეკულარიზმის დიდხნიანი გამოცდილება არ ვიფიქრებდით რომ სეკულარიზმი ანტირელიგიურია და ის ეწინააღმდეგება ღვთიურ

მოძღვრებას, შესაბამისად არც ისე რთულად წავიდოდა სეკულარიზმი დანერგვა როგორც მიდის ეხლა.

საბჭოთა სისტემის დაშლის შემდეგ რელიგიური ინსტიტუტები საკმაოდ პოპულარულები გახდნენ. ეს განაპირობა ერთის მხირვ იმან რომ ეს ინსტიტუტები დაპირისპირებული იყო სსრ-თან და ხალხის თვალში ისინი მართალ და კარგ ორგანიზაციებად აღქმეოდნენ, რადგან საბჭოეთი იყო „ბოროტების იმპერია". მეორე მხრივ ამ ორგანიზაციების პოპულარობა განაპირობა და ეხლაც განაპირობებს უვიცი პოლიტკოსები, რომლებმაც უამრავჯერ მოატყუეს ხალხი. შესაბამისა, მათ თვალში პოლიტიკურმა პარტიებმა და პოლტიკოსებმა ნდობა დაკარგეს, ეს ნდობის მანდატი დაიმსახურეს რელიგიურმა ორგანიზაციებმა. რელიგიური ინსტიტუტები ამ ნდობით სარგებლობენ და მმართველ პარტიას აკეთებინებენ იმას რაც მათ უნდათ, წინააღმდეგ შეთხვევაში მმართველი პარტია წააგებს არჩევნებს და მათ შეცვლის სხვა პარტია, რომლიც ამ ორგანიზციის დამჯერი იქნება. საქართველოში რელიგიური ორგანიზაციები ბევრ რამეს წყვეტენ, წყვეტენ თუ რომელი კანონი მიიღონ, რომელი არ მიიღონ, თუ მათ არ მოეწონებათ ეს თუ ის კანონი აქციებს მოაწყობენ და მთავრობას დაანახებენ თუ რამდენი არიან, არადა მაღტლა ბევრი არიან. მმართველი პარტია კი ამით, როგორც წესი, შეშინდება ხოლმე და ცვლის ამა თუ იმ კანონს ისე როგორც რელიგიურ ინსტიტუტებს უნდათ. კონფესიების წარმომადგენლები ამ ყველაფერს იყენებენ თავიანთი ძალაუფლების გასამყარებლად ან უფრო განსამტკიცებლად.

პოლიტკურმა პარტიებმა ნდობა თავიანთი არასწორი პოლიტიკის გამო დაკარგეს. ისინი მოქალაქეებს მუდმივად პირდებოდნენ ისეთ ღამეებს რომლებსაც ისინი ვერ შეასრულებდნენ, ატყუებდნენ საკუთარ ამომრჩევლებს. როცა ვინმე მოგატყუებს ბევრჯერ ბუნებრივია მის მიმართ ნდობა გეკარგება, ასე იყო ქართული პოლიტკის შემთხვევაში. ნებისმიერი პარტია პირდებოდნენ ეკონომიკურ წინსვლას, კეთილდღეობას, თუმცა დღემდე ეს ვერცერთმა პარტიამ ვერ შეძლო, ამიტომ ამომრჩევლებს მოუხდა ნდობა სხვა ინსტიტუციის მიმართ გამოეხატა, იმ ინსტიტუციის მიმართ, რომელიც არაფერს გპირდება გარდა სულის ცხონებისა, ოღონდ თუ წესებს დაიცავ. ამან გამოიწვია ის რომ დამოუკიდებლად პარტია აღარ შეეძლო არჩევნებში გამარჯვების მოპოვება, მას დაჭირდა ისეთი ინსტიტუცია რომელსაც მაღალი ნდობა აქვს საზოგადოებაში და რომლის სიტყვასაც ელექტორატის უმეტესობა დაიჯერებდა. ასეთი ინსტიტუცია აღმოჩნდა რელიგიური კონფესიები, რომლებმაც სახელმწიფოს სხვადასხვა სახის შეღავათები მოსთხოვეს. ქვეყანაში ბევრი პარტიაა და ყველამ ერთი - მეორეზე უკეთესი შერავათები დაწესებას დაპირდა რელიგიურ ინსტიტუტებს. ამ ინსტიტუტებს რომელიც მოეწონებათ იმას უჭერენ მხარს, როგორც წესი ის პარტია იმარჯვებს ხოლმე მომავალ არჩევნებში რომლის მხარეზეც არის რელიგიური კონფესიები. ამ დროს ყველას ავიწყდება სეკულარიზმის პრინციპი და სახელმწიფოებრიობა, მთავარია პარტია მოვიდეს

ხელისუფლებაში, ქვეყანას ეშველება. თუმცა ისტორიაში არ არსებობს შემთხვევა სახელწმიფოსა და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის უთანხმოება არ მომხდარიყო. გარკვეული დროის შემდეგ მაინც მოხდება ამ ორ ინსტიტუციას შორის დაპირისპირება, რაც არ უნდა მეტი დაუთმო ის მაინც უფრო მეტს მოინდომებს, საბოლოოდ სახელმწიფოს მაინც მოუწევს რაღაც დათმობებზე უარის თქმა და აქედან იწყება კონფლიქტი. ამიტომ, ყველაფერს ჯობს, სახელწიფმ და რელიგიური ინსტიტუტების შეთანხმდნენ რაღაცებზე, მეტი არც სახელმწიფომ მისცეს და არც რელიგიურმა ინსტიტუციებმა მოითხოვონ შეთანხმების გარდა რამე. ამას ჭირდება ძლიერი სახელმწიფო თავისი ძლიერი ინსტიტუტებით, ძლიერ სახელწიფოს კი ჭირდება ძლიერი პოლიტიკოსები.

გამოყენებული ლიტერატურა

1)https://books.google.ge/books?id=qBJmeM6DiBAC&pg=PR3&source=gbs_selected_pages&cad=3#v=onepage&q&f=false – „ახალი ცივი ომი“

2) http://www.grassroots.ge/doc/NiniOkropiridze.pdf

3) http://www.tabula.ge/ge/story/84309-religia-sajaro-politikashi - „რელიგია საჯარო პოლიტიკაში“

4) https://iliauni.edu.ge/ge/ajax/downloadFile/10300/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%97%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%97%E1%83%A1%E1%83%90_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94.pdf – „მეოცე საუკუნის ანთროპოლოგიური თეორიები მითსა და რელიგიაზე“

5) http://www.ambioni.ge/saxelmwifo-da-eklesia - „სახელმწიფო და ეკლესია“

6) http://www.culturedialogue.com/resources/library/translations/fox.shtml - „ეთნორელიგიური კონფლიქტები მესამე სამყაროში: რელიგიის როგორც კონფლიქტის მიზეზის როლი“

7) https://emcrights.files.wordpress.com/2016/09/e1839ee1839de1839ae18398e183a2e18398e18399e183a3e183a0e18398-e18397e18394e1839de1839ae1839de18392e18398e18398e183a1-e183a1e18390e18394.pdf - „პოლიტიკური თეოლოგიის საეჭვო მემკვიდრეობის რაციონალური მნიშვნელობა“

8) http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution -of-georgia-68) - საქართველოს კონსტიტუცია

9) (https://iberiana2.wordpress.com/russia/stalin-and-church/) – „სტალინი და ეკლესია: ხუთი ფაქტი“

10) https://malkhaznakashidze.files.wordpress.com/2013/10/konstitucia -kart.pdf) - საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია

11) (http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0patriarc--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL3&d=HASH0521810ff9a47db51542d8.13.3&x=1) - საქართველოს წმინდა მეფეები: რუის - ურბნისის კრება"

13) (http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=period&cl=CL2.15&d=HASH9c2e0e93f425d262f855b7.10) – „საქართველოს წმინდა მეფეები"

14) (http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/davit_agmashenebeli.html) – „მეფე დავით აღმაშენებელი"

15) (https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92_I_%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98) – „ვახტანგ პირველი გორგასალი"

16) (http://samtavro.ge/index.php?m=384) – „წმინდა მეფე მირიანი და წმინდა დედოფალი ნანა"

17) (http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/27316-%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AE-%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/95/) – „ფრიდრიხ ნიცშეს გამონათვამები"

18)(http://www.radiotavisupleba.ge/a/blog-giorgi-maisuradze-tsminda-giorgi/26996298.html) – „გიორგი მაისურაძის ბლოგი „წმინდა გიორგი და ზიგმუნდ ფროიდი, ანუ მფარველი მამის ძიებაში""

19) http://www.qwelly.com/group/sociology/forum/topics/iluzia?commentId=6506411%3ACom

ment%3A976167&groupId=6506411%3AGroup%3A886792) – „რელიგიის სოციოლოგიის კლასიკური თეორიები: რელიგია როგორც სოციალური ილუზია“

20) (https://burusi.wordpress.com/2013/08/17/marqs/) – „კარლ მარქსი -ჰეგელის სარათლის ფილოსოფიის კრიტიკა“

21) (გიორგი მაისურაძე - სეკულარულობა და მისი კრიზისი თანამედროვე საქართველოში, ბათუმის უნივერსიტეტი, 01.06.2016)

22) (A History of the Church in the Middle Ages by f. Donald logan) - დონალდ ლოგანის წიგნი „ შუა საუკუნეების ეკლესიის სიტორია“

23) (http://wol.jw.org/ka/wol/d/r20/lp-ge/2003280) – „რა ემართება სულიერ ფასეულობებს“

24) https://www.youtube.com/watch?v=4DEjbMX9ogw — „ქართული ოცნების“ 2016 წლის არჩევნებში გამარჯვების ზეიმი

25) http://www.civil.ge/geo/article.php?id=20309 - სააკაშვილის ახალი სამაგალითო მოდელი

26) http://for.ge/view.php?for_id=44160&cat=3 - აჟიოტაჟი „მე და საზოგადოების“ გარშემო

27)http://liberali.ge/articles/view/20867/me-da-sazogadoeba--ramdenime-mosazreba-realuri-gamotsvevebis-shesakheb - „მე და საზოგადოება“

28)http://news.ge/ge/news/story/34258-ilia-meoris-mimart-internetshi-mimartva-gavrtselda?fb_comment_id=339113496184821_1792438#fad1a12bad1b7 - ილია მეორის მიმართვა

29) https://www.youtube.com/watch?v=ac6KLvWLdW8 - ვითარება ხაშურში

30) http://www.mediacity.ge/news.php?id=901 - ვალერი გელაშვილზე

31)http://www.newposts.ge/?l=G&id=93802-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98,%20%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E

1%83%90%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%98 - პატრიარქი პატიმრების შეწყალების უფლებას ითხოვს

32)http://news.ge/ge/news/story/162111-patriarqis-mier-patimrebis-shetsyalebis-initsiativastan-dakavshirebit-saqartvelos-sapatriarqo-ganmartebas-aketebs - საპატრიარქოს განცხადება

33) http://rustavi2.ge/ka/news/33444 - სასჯელაღსრულების მინისტრის კომენტარი

34) http://www.ambebi.ge/sazogadoeba/205051-ilia-meorem-monarqiis-mnishvnelobaze-iqadaga-qes-ra-thqma-unda-dghes-da-khval-ver-mokhdebaq.html - ილია მეორე მონარქიაზე

35)http://www.ambebi.ge/politika/205054-ras-fiqrobs-qqarthuli-ocnebaq-saqarthveloshi-monarqiis-aghdgenaze.html - „ქართული ოცნება“ მონარქიის აღდგენაზე

36)http://fortuna.ge/irakli-kobakhidzegrdzelvadian-perspeqtivashi-konstituciuri-monarqiis-aghdgenis-sakitkhze-sheidzleba-fiqri/ - პარლამენტის თავჯდომარე მონარქიის აღდგენაზე

37) http://rustavi2.ge/ka/news/78402) - ვიცე პრემიერი საკონსტიტუციო მონარქიაზე

38) http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2011&art=8116) - ქართული პრესის ელექტრონული არქივი

39) http://resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=20094 - ეკლესია „ოცნებას“ დაუპირისპირდა

40) http://netgazeti.ge/news/21122/ - ID ბათები

41) https://ge.boell.org/ka/2015/07/07/islamuri-saxelmcipo-da-sakartvelos-muslimuri-temi - ისლამური სახელმწიფო და საქართველოს მუსლიმური თემი

42) http://netgazeti.ge/news/12310/ - მუსლიმური თემი როგორც „ბეღელი“

43) http://results2012.cec.gov.ge/olq_22.html - მარეწულის არჩევნები 2012 წლელს

44) http://results2012.cec.gov.ge/olq_23.html - 2012 წლის არჩევნების ბოლნისში

45) http://results2012.cec.gov.ge/olq_21.html - 2012 წლის არჩევნები გარდაბანში

46) https://on.ge/elections/2016/results - 2016 წლის არჩევნების შედეგები

47) http://sknews.ge/index.php?newsid=4433 - მოხეში მუსლიმები და ქრისტიანები დაუპირისპირდნენ

48) http://www.newposts.ge/?l=G&id=24830 - დეკანოძ დავით ისაკაძის განცხადება

49) http://sknews.ge/index.php?newsid=4435 - პრმიერი მუსლიმებს მოხის მეჩეთის საკითხის შესწავლას დაპირდა

50) https://www.radiotavisupleba.ge/a/tsiteli-zona/28576521.html - რუსეთის საპატრიარქო, როგორც რბილი ძალა

51) http://cdd.ge/608-seminari-saqarthvelo-da-nato-dasrulda.html - სემინარი "საქართველო და ნატო" დასრულდა

52) https://sputnik-georgia.com/politics/20170405/235486941/IRI-gamokitxva-mosaxleobis-problemebi.html - IRI-ს გამოკითხვა

53) http://infocenter.gov.ge/elections2016/history.pdf - საქართველოს არჩევნების ისტორია

54) http://results2012.cec.gov.ge/ - 2012 წლის არჩევნების შედეგები

55) http://cesko.ge/res/docs/shemajamebeli2012.pd f - 2012 წლის არჩევნების შემაჯამებელი ოქმი

56) https://elections.jumpstart.ge/ka/event_type/3/event/45 - 2016 წლის არჩევნების შედეგები

57) http://cesko.ge/res/docs/monacileqalebi.pdf - 2016 წლის არჩევნების აქტივობა

58) http://cesko.ge/res/old/other/0/491.pdf - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 2008 წლის წინასაარჩევნო პროგრამა

59) http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf – „ქართული ოცნების“ 2012 წლის წინა საარცევნო პროგრამა

60) http://news.ge/ge/news/story/28324-zviad-gamsakhurdia-autsilebelia-akhali-ruis-urbnisi - ზვიად გამსახურდია:“ აუცილებელია ახალი რუის - ურბნისი“

61) https://matsne.gov.ge/ka/document/view/41626 - „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“

62) http://liberali.ge/articles/view/12/akhali-saqartvelo-20042008 - ახალი საქართველო 2004-2008

63)http://www.transparency.ge/ge/blog/mokle-mimokhilva-sakartvelos-sapatriarkos-dapinansebis-shesakheb - მოკლე მიმოხილვა საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების შესახებ

64) http://www.newposts.ge/?l=G&id=2836-meufe,kalistratem,prezidenti,da,eri,daloca - მეუფე კალისტრატემ პრეზიდენტი და ერი დალოცა

65) http://www.foreignpress.ge/faqtebi/1777-saqarthvelos-marthlmadidebeli-eklesiis-patriarqi-saakashvils-omis-gamo-akritikebs.html?lang=ka-GE - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი სააკაშვილს ომის გამო აკრიტიკებს

66) http://www.civil.ge/geo/article.php?id=24789 - ილია მეორე ივანიშვილს შეხვდა

67) http://cesko.ge/res/old/other/2/2675.pdf - 2008 წლის არჩევნების შედეგები

68) http://cesko.ge/res/old/other/0/494.pdf - საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო განაცხადი

69) http://cesko.ge/res/old/other/0/493.pdf - გორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატების საარჩევნო პროგრამა

70) http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/nacionalebis%20programa.pdf – ნაციონალური მოძრაობის 2012 წლის წინასაარჩევნო პროგრამა

71)http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/christian_democratic_movement_fullprogram_geo.pdf - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის 2012 წლის წინასაარჩევნო პროგრამა

72) http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/leiboristebis%20programa.pdf) - ლეიბორისტული პარტიის 2012 წლის წინა საარჩევნო პროგრამა

73) http://41.ge/program - ქართული ოცნების 2016 წლის წინა საარჩევნო პროგრა მა

74) http://www.ivote.ge/saparlamento-archvenebi-2016/programebi/22449-saarchevno-programa-saparlamento-archevnebi-2016-nacionaluri-modzraoba.html?lang=ka-GE) - საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016 (ნაციონალური მოძრაობა)

75) http://www.interpressnews.ge/ge/images/pdfpdf/inashvili_programa.pdf - პარტიოპთა ალიანსის 2016 წლის წინა საარჩევნო პროგრამა

76) http://www.ivote.ge/saparlamento-archvenebi-2016/programebi/22779-saarchevno-programa-saparlamento-archevnebi-2016-saqarthvelos-leiboristuli-partia.html?lang=ka-GE - საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016 (საქართველოს ლეიბორისტული პარტია)

77) http://www.ivote.ge/images/doc//final_-_fd_platforma_2016.pdf - თავისუფალი დემოკრატების პლატფორმა

78) http://www.ivote.ge/saparlamento-archvenebi-2016/programebi/22435-saarchevno-programa-saparlamento-archevnebi-2016-respublikuri-partia.html?lang=ka-GE - საარჩევნო პროგრამა საპარლამენტო არჩევნები 2016 (რესპუბლიკური პარტია)

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქრისტინე ქაფიანიძე

საზოგადოების პოლარიზაცია, როგორც პოპულიზმის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორი: საქართველოს მაგალითი

პოლიტიკურ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: გიორგი მელიქიძე, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი, 2017

საზოგადოების პოლარიზაცია, როგორც პოპულიზმის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორი: საქართველოს მაგალითი

ანოტაცია

ნაშრომის მიზანია საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის კავშირის დადგენა პოპულიზმის ზრდასთან ქართულ პოლიტიკაში. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ რაც უფრო მკვეთრია საზოგადოების სოციალური პოლარიზაცია, მით უფრო იზრდება პოპულიზმის ზეგავლენის ხარისხი.ამ აზრის გასამყარებლად მოყვანილია სხვადასხვა მაგალითი ქართული და უცხოური გამოცდილებიდან. გარდა ამისა, ამ მოსაზრების აქტუალურობას ხაზი გაუსვა, მსოფლიოში განვითარებულმა პოპულისტურმა მოძრაობებმა და ხელისუფლების სათავეში პოპულისტური ლიდერებისა თუ პარტიების მოსვლამ. ნაშრომში დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებული თვისებრივი კვლევის მეთოდებთან ერთად შემთხვევის შესწავლის მეთოდი ოთხი ევროპული ქვეყნის მაგალითზე. ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს არსებული შედეგების შედარება ქართულ რეალობასთან.

ნაშრომის პირველ თავში მიმოხილულია პოპულიზმისა და საზოგადოების პოლარიზაციის შესახებ არსებული თეორიული საკითხები, ასევე ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა მეცნიერი აყალიბებს განსხვავებულ ტიპოლოგიას პოპულიზმისა და საზოგადოების პოლარიზაციის შესახებ, განსხვავებული წყობილებისა და ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის მქონე სახელმწიფოებში.ამ მახასიათებლების გამოყოფა მნიშვნელოვანად აადვილებს ცნებების ოპერაციონალიზაციას. აღნიშნული თავის მთავარი კითხვები შეეხება ორი ცვლადის განსხვავებული განსაზღვრებების, ელემენტებისა და მახასიათებლების წარმოჩენას.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია საქართველოს სხვადასხვა ეტაპებზე არსებული პოპულისტური ლიდერების თანადროული ევროპული დემოკრატიების მაგალითი, წარმატებული პოპულისტური ლიდერებითა და პარტიებით. ამ თავის მთავარი მიგნება იმ მსგავსების წარმოჩენაა, რომელიც არსებობს განსხვავებული პერიოდის საქართველოსა და ევროპაში. ნაშრომის მესამე თავი კი, უშუალოდ

პოპულიზმისა და საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის რიგი ასპექტების საფუძველზე საქართველოს მაგალითის შესწავლას ეძღვნება.

რაც შეეხება მეოთხე თავს, აქ მეორე და მესამე თავზე დაყრდნობით შედარებულია და შეფასებული ქართული პოპულიზმისა და საზოგადოების პოლარიზაციის ურთიერთკავშირის განმასხვავებელი და მსგავსი ასპექტები სხვადასხვა პერიოდის ოთხ უმნიშვნელოვანეს ევროპულ სახელმწიფოსთან. გარდა ამისა, მეოთხე თავშია მოცემული ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების შედეგები. მთავარ მიგნებას წარმოადგენს ის, რომ საზოგადოების მკვეთრი სოციალური პოლარიზაცია შესაძლოა განაპირობებდეს არა სოციალურად კონფლიქტში მყოფი, არამედ პოლიტიკურად დაპირისპირებული ჯგუფების არსებობას, თუმცა სწორედ სოციალური პრობლემატიკაა მთავარი ფაქტორი პოპულიზმის ზრდაში. საბოლოოდ, ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასტურდება ნაშრომის დასაწყისში დასმული ჰიპოთეზა.

საკვანძო სიტყვები: პოპულიზმი, საზოგადოების სოციალური პოლარიზაცია, ლიდერობა, სოციალურად დაუცველი, ელიტა, ხალხი.

The Polarization of the Society as a Causing Factor for Growth of Populism: The Example of Georgia

Annotation

The main purpose of the work is to research the influence of social polarization of society in the growth of populism in Georgian politics. The work emphasizes that the sharper social polarization of the society is, the influence it has in case of rising role of populism. The examples aboutthe Georgian and foreign experience strengthen the hypothesis of the paper.The significance of this assertion is underlined by the worldwide populist movements and the arrival of populist leaders or parties in power. In addition to the qualitative research methods used to

accomplish the purpose set in the work, is the method of the case study that is based on the example of four European countries. The most important task is to compare existing results with Georgian reality.

In the first chapter of the work is reviewed the existing theoretical issues aboutpopulism and social polarization of society, also in this work is reviewed the criteria and typologies about populism and social polarization of society, that is formulated by different scientists in different states and countries with different economic, social and political status. Allocation of these features makes operationalization of the concept much more easier. The main questions of this chapter refer to the different definitions of the two variables, the different elements and the characteristics that is shown in different author's works.

the second chapter of this paper includes, the examples of European democracies, the successful populist leaders and parties recognition in relation of contemporary analysis of Georgia at the different stages of the study. The third chapter of the thesis concern directly researching the example of Georgia. The main finding of this chapter is to represent the similarities that exist in a different period in Georgia and Europe.

As concerning the fourth chapter of this work, there are shown the differences and similarities between the Georgian populism and the polarization of the Georgian society, with the four most important European states in the different periods, based to the second and the third parts of the work.

In addition, there is the review of the results of the in-depth interviews and focus groups. The main finding is that the sharpen social polarization of society may become the main factor of the existene not only socially conflicting, but politically confrontational groups, but the social problem is the main factor in the growth of populism. Finally, because of the result of this research, the hypothesis put in the beginning of the thesis is confirmed.

Words of the Keys: Populism, Social Polarization of Society, Leadership, Social Vulnerable Group, Elite, People.

სარჩევი

შესავალი…….....6-17

I თავი: სამეცნიერო ლიტერატურა

1.1. პოპულიზმის თეორიული ასპექტები.....18

1.2. საზოგადოების პოლარიზაციის თეორიული ასპექტები.....29

II თავი: ევროპული გამოცდილება

2.1. პოლონეთი.....34

2.2.ავსტრია.....

2.3. საფრანგეთი.....

2.4. უნგრეთი.....

III თავი: ქართული გამოცდილება

3.1. პოლიტიკური პოლარიზაციის გავლენა პოპულიზმზე საქართველოში.....39

3.2. პოპულიზმი და საზოგადოების სოციალური პოლარიზაცია საქართველოში.....42

3.3. სოციალურად დაუცველ ფენებზე პოპულიზმის ზეგავლენა საქართველოში.....

3.4. პოლიტიკური პარტიები საარჩევნო პერიოდში და პოპულიზმის გამოყენების ხარისხი.....

დასკვნა.....

გამოყენებული ლიტერატურა 45

შესავალი

თემის იდეა/აქტუალურობა

დემოკრატიული სახელმწიფოს თანმდევ ელემენტად და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად მიიჩნევა პოპულიზმი, თუმცა, იგი როგორც მოვლენა არსებობს განსხვავებული მმართველობის სახელმწიფოებში, შესაბამისად, განსხვავებულია მისი მახასიათებლები და გამოხატვის საშუალებები. მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნის მსგავსად, საქართველოსთვისაც დამახასიათებელია პოპულიზმის არსებობა. ზოგადად პოპულიზმისთვის პრიორიტეტულია ხალხის ნება, რის გამოც დემოკრატიული პროცესების უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედად მიიჩნევა, თუმცა პოპულიზმის უარყოფითი მხარე პოლიტიკაში საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ფართო მასებისადმი აპელირება და რიგი პრობლემების ადვილად გადაჭრის შესახებ რწმენის გაღვივებაა. განსაკუთრებული საფრთხე ამ მხრივ ემუქრება ქვეყანას გარდამავალ პერიოდში, მაშინ, როდესაც დემოკრატიზაციის პროცესში ჯერ კიდევ სუსტია დემოკრატიული ინსტიტუტები და შესაძლოა საზოგადოების უმრავლესობის ინტერესები გამოყენებულ იქნას პიროვნული სარგებელის მიღებისა და ზრდის შესაძლებლობისათვის. ნაშრომში საქართველოში არსებული პოპულიზმი ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობითაა შესწავლილი, ვინაიდან ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველო ევროპული საზოგადოების წევრად მიიჩნევს თავს, აღიარებს მათ ღირებულებებსა და სურს საერთო მომავალი დემოკრატიულ ევროპასთან. ქართული პოპულიზმის ეტაპების და მახასიათებლების სწორად აღსაქმელად, ნაშრომში განხილულია თანადროული პერიოდის სხვადასხვა ევროპული ქვეყანა, კერძოდ კი პოლონეთი, ავსტრია, საფრანგეთი და უნგრეთი, რომელთა ისტორიასა და პოლიტიკაში პოპულისტ ლიდერებს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში მოღვაწე პოპულისტ ლიდერთა თანადროულად. მათი შერჩევა და განხილვა საქართველოს მაგალითის გასაანალიზებლად, გამოიწვია ერთის მხრივ მათმა წევრობამ ევროპულ კავშირში, ვინაიდან საქართველოსათვის სწორედ ეს გზა არის მნიშვნელოვანი, მეორეს მხრივ კი პოლიტიკურ ლიდერთა საერთო ისტორიულ ფონშზე საქმიანობა მათს გადაწყვეტილებებს, პოპულიზმსა და ქმედებებს ამსგავსებს

ერთმანეთს. გამომდინარე პოპულიზმის ბუნებიდან, მისი საფრთხე იზრდება საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს ძლიერი საშუალო კლასი, რომელიც იზრუნებს, რომ დემოკრატიის სუსტი მხარე, გამოავლინოს და აღასრულოს უმრავლესობის ნება, არ გამოიყენონ პირადი და ერთეულების კეთილდღეობისათვის. პოპულიზმის პოლიტიკაში ზრდას ხელს უწყობს ანტაგონისტურად განწყობილი ჯგუფების არსებობა, უთანასწორობა და დაყოფა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით. მკვეთრი დაპირისპირება ჰეტეროგენულ ჯგუფებს შორის საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან პრობლემებზე ხშირად გამხდარა პოპულისტი ლიდერების წარმატების საწინდარი. მკვეთრად დიფერენცირებულ საზოგადოებას პოლარიზებული საზოგადოება შეგვიძლია ვუწოდოთ, როდესაც სხვადასხვა მიზანზე ორიენტირებული ადამიანები, ჯგუფური აზროვნების შედეგად უპირისპირდებიან ერთმანეთს. მაგალითად, კრიზისის პირობებში თუ მთავრობა არ შესთავაზებს საზოგადოების შესაბამის ჯგუფებს პრობლემის გადაწყვეტის მარტივ გზას, გამოჩნდება ალტერნატიული ძალა, რომელიც დააიმედებს მოსახლეობას მათი პრობლემების გადაწყვეტაში. ამ მხრივ აღსანიშნავია 2003 წლის ვარდების რევოლუცია, რომლის ნიადაგიც საზოგადოების სხვადასხვა ნაწილების სოციალური და ეკონომიკური თუ პოლიტიკური პრობლემების ფონზე მზადდებოდა, რომელმაც საზოგადოება ცვლილებების აუცილებლობაში დაარწმუნა და ჩაუსახა იმედი უკეთესი მომავლისა.დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე ჩატარებულ ყველა არჩევნებში ასაკოვანი მოსახლეობის სეგმენტი თითქმის ყველა პარტიისათვის მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს. მათ პენსიებზე აპელირება კი პოპულიზმის გამოვლინების უმაღლეს ხარისხს წარმოადგენს

პოპულიზმის ხარისხისა და ზეგავლენის ზრდას პოლიტიკაში, ხშირად განაპირობებს კრიზისული სიტუაციების პერიოდში წარმოქმნილი სოციალური უკმაყოფილება და რიგ შემთხვევებში, კონკრეტული პრობლემების ირგვლივ გაერთიანებული საზოგადოების სურვილი, არსებული საკითხის მარტივად გადაჭრისა. ამის კარგი მაგალითია, 2015 წლის 13 ივნისის წყალდიდობა ვერეს ხეობაში, რომელმაც მრავალი ოჯახი უძრავ-მოძრავი ქონების გარეშე დატოვა, შესაბამისად კი, ეკონომიკურად დააზიანა. მთავრობამ მრავალი მათგანი დააკმაყოფილა, თუმცა ბევრი კვლავაც დაპირების შესრულების მოლოდინშია.

მსგავსი კრიზისული სიტუაცია და საზოგადოების ან მისი რაღაც ნაწილის გაყოფა ორ ან მეტ დაპირისპირებულ ჯგუფად განაპირობებს საზოგადოების პოლარიზაციას, რომელიც პირდაპირ კავშირშია პოპულიზმის ზრდასთან პოლიტიკურ პროცესში. შეუსრულებელმა დაპირებამ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, განახლებული მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების პროცესუალურ ნაწილში ცხარე კრიტიკა წარმოიშვა იმდროინდელი ოპოზიციური პარტიის მხრიდან. რეალურად გადაუწყვეტელი პრობლემა გახდა მოწინააღმდეგისათვის კარგი სპეკულირების საშუალება. New York Times-ში გამოქვეყნდა სტატია პოლარიზაციის შესახებ ამერიკულ საზოგადოებაში(Cohn,N.,12.06.2014).იგი ამერიკულ საზოგადოებას პოლიტიკური პოლარიზაციის მხრივ ყოფდა კონსერვატიულ და ლიბერალურ ფრთად და შესაბამისად, ასახავდა ამ კლასიფიკაციაზე დაფუძნებული კვლევის შედეგებს, რომელიც მოიცავდა პოლარიზებული საზოგადოებისსოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, კულტურულსა და რელიგიურ მიკუთვნებულობას. საზოგადოების ამ განსხვავებული ჯგუფების შეხედულებები მკვეთრად განსხვავდება ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა ასპექტში.

საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება, რაც იზრდება ადამიანების უფლებები პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტის პროცესში, ეს დემოკრატიის მნიშვნელოვანი ინდიკატორი და შედეგია ისევე, როგორც პოპულიზმია მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა როგორც უმეტესად განიხილავენ, ნეგატიური ასპექტი. დღესდღეობით, პოპულიმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის თავისტკივილად იქცა, განურჩევლად სახელმწიფოებრივი წყობილებისა, მიზეზი კი პოპულიზმისადმი უარყოფითი კონტექსტი გახდა. ბევრისათვის პოპულიზმი ხალხის მმართველობის ბრბოს მმართველობად გადაქცევასთან ასოცირდება. ბევრის შეხედულებით კი პოპულიზმი პოლიტიკური ელიტის მიერ მოსახლეობისათვის პოპულარული იდეების მეშვეობით მხარდაჭერის მოპოვების საშუალებაა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, უმრავლესობის სურვილის აღსრულება, მაშინდელმა ქარიზმატულმა ლიდერმა, ზვიად გამსახურდიამ, ითავა, თუმცა ვერ შეძლო საზოგადოების უმრავლესობის იმედების გამართლება, რამაც სამხედრო ძალების გააქტიურება და საბოლოო ჯამში, მისი ხელისუფლების დამხობა გამოიწვია. შემდგომ პერიოდებშიც, ეს ტენდენცია

გრძელდებოდა. ხალხს გაუცრუვდა იმედები მმართველი ძალების მიმართ, აწუხებდა ერთეულების პრივილეგირებული მდგომარეობა, სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, უთანასწორობა და ღრმა უფსკრული მდიდარ უმცირესობასა და ღარიბ უმრავლესობას შორის. ეს ფაქტორები ხელს უშლიდა მოსახლეობის ჩართულობას დემოკრატიულ პროცესებში, რის გამოც ისინი ქარიზმატულ ლიდერთა პოპულისტური გამოსვლების ზეგავლენის ქვეშ ექცეოდნენ. ფონდ „ღია საზოგადოება-საქათველო“-ს მიერ ჩატარებულ 2011 წლის კვლევას თუ მოვიშველიებთ ადგილობრივ თვითმმართველობებში მოსახლეობის ჩართულობის დონის გასარკვევად, მარტივად დავასკვნით, რომ მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის საკითხებსა და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში საკმაოდ დაბალია: თბილისი -3 %; სოფლები- 10% და ა.შ. მოსახლეობის ნიჰილიზმის მიზეზი, ერთის მხრივ, შესაძლოა ის ღრმა სოციო-ეკონომიკური პრობლემები იყოს, რითიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა იტანჯება და მეორეს მხრივ, ის იმედგაცრუება და უნდობლობა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი არ დაითრგუნა, არამედ სულ უფრო გაძლიერდა. საზოგადოებისათვის პრიორიტეტულ საკითხთა ნუსხაში კვლავ სოციალური და ეკონომიკური პრობლემები და მათგან გამოწვეული უთანასწორობაა, რომლის აღმოფხვრაც მხოლოდ მათივე აქტიური მონაწილეობითაა შესაძლებელი პოლიტიკურ პროცესში, თუმცა მოსახლეობის ჩაურევლობა რიგი მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემისა თუ საკითხის გადაწყვეტის პროცესში, ხელ-ფეხს უხსნის დაინტერესებულ პოლიტიკურ ძალებს განახორციელონ პოლიტიკა, რომელიც ერთეულების კეთილდღეობისაკენ იქნება მიმართული.

ნაშრომის მიზანი:

ნაშრომისმიზანია საზოგადოების სოციალურპოლარიზაციასა და პოპულისტური პოლიტიკის როლის ზრდას შორის ურთიერთკავშირის კვლევა საქართველოს მაგალითზე. მუდმივიდაყოფა „ჩვენ“-ად და „მათ“-ადსაზოგადოების პოლარიზაციის ასახვას წარმოადგენს,რომელიც განპირობებულია საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულიმდგომარეობით. ხშირმა და მკვეთრმა საზოგადოების პოლარიზაციამ, ხელი შეუწყო პოპულისტური

პარტიების რაოდენობის ზრდას არა მხოლოდევროპის მასშტაბით, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიუხედავად სახელმწიფო მმართველობის ფორმისა. აღსანიშნავია, პოლიტიკური და ისტორიული ფონი, რომელიც ხშირ შემთხვევაში განმსაზღვრელი ფაქტორია პოლარიზაციისა და პოპულიზმის მაღალი დონისა, შესაბამისად კი მათი მახასიათებლების ჩამოყალიბებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში.პოპულისტური პარტიები პოლარიზებულ საზოგადოებას სთავაზობენ რიგ პრობლემათა მარტივად გადაწყვეტის გზას, თუმცა უფრო ხშირად ეს გზა გაურკვეველია და პოპულისტი ლიდერებიც არა ხალხის ინტერესებიდან, არამედ საკუთარი სარგებლიდან გამომდინარე მოქმედებენ, თუმცა რომ არა ხალხის ნება და მხარდაჭერა, პოპულისტი ლიდერები მმართველ წრეებში ვერ მოხვდებოდნენ.პოპულისტური პარტიები იდეოლოგიისა და მიზნის მიხედვით შეიძლება მემარჯვენე და მემარცხენე ბლოკში გაერთიანდნენ, ხოლო თითოეულის სიმძლავრე ქვეყანაში ისეთ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორებიცაა მმართველი პარტიების იდეოლოგია და მიზანი, საზოგადოების მნიშვნელოვან პრობლემათა ნუსხა, რომელიც შესაძლოა მკვეთრად განსხვავებული იყოს ქვეყნის ისტორიის, კულტურის, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

ამოცანები:

ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ძირითადი ამოცანებია:

1. პოპულიზმისა და საზოგადოების სოციალურიპოლარიზაციის ურთიერთკავშირის შესწავლა, ევროპული ქვეყნების, კერძოდ კი, პოლონეთის, ავსტრიის, საფრანგეთისა და უნგრეთის გამოცდილების საფუძველზე. შემდგომ კი, შედარებითი ანალიზის მეთოდით საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან შედარება. საქართველოს, ზემოთ აღნიშნულ ქვეყნებთან, აერთიანებს დემოკრატიული, კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნის სურვილი, რომელიც საზოგადოების უმრავლესობის შეხედულებით, ევროპულ კაშირთან შეერთებით თუ მიიღწევა. საქართველოში არსებული პოპულიზმისა და საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის ურთიერთკავშირის შესწავლისა და შედარების განმაპირობებელი ამ ქვეყნების მაგალითთან, არის ერთის მხრივ, მათ მიერ ევროკავშირის წევრობა,

შესაბამისად კი, ევროპული ღირებულებების აღიარება და პატივისცემა, მეორეს მხრივ კი საქართველოს სურვილი ევროპულ კავშირთან ინტეგრაციისა, რაც მათ ევროპულ მომავალს უსვამს ხაზს.

2. პოლიტიკაში პოპულიზმის გამოყენების დონის შესწავლა საქართველოს მაგალითზე. იგი გაიზომება პარტიათა მიერ პოპულისტური და ხალხის უმრავლესობისათვის მისაღები დაპირებების რაოდენობისა და პოპულარობის გაზომვით საზოგადოების უმრავლესობაზე, სოციალური პოლარიზების დონისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

საკვლევი კითხვა:

კვლევის მიზანია საზოგადოების პოლარიზაციისა და პოპულისტური პოლიტიკის ურთიერთკავშირის დადგენა და ანალიზი, აქედან გამომდინარე ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვაა:

1. როგორ ურთიერთკავშირშია სოციალურიდა პოლიტიკური პოლარიზაციაპოპულისტურ პოლიტიკასთან?

ჰიპოთეზა:

რაც შეეხება ჰიპოთეზას, ის გამომდინარეობს ნაშრომის მთავარი საკვლევი შეკითხვიდან და წარმოდგება შემდეგნაირად: რაც უფრო მაღალია საზოგადოების სოციალურიპოლარიზაცია, მით უფრო წარმატებულია პოპულისტური პოლიტიკა.საზოგადოების სოციალურ პოლარიზაციას თან ახლავს პოლიტიკოსებისა და პარტიების მხრიდან კონკრეტულ სამიზნე ჯგუფებზე ორიენტირება, რათა შესაძლებელი გახდეს მხარდაჭერის მაღალი დონის მობილიზება. მხარდაჭერის მოსაპოვებლად, შესაბამისად კი, სასურველი პოზიციების დასაკავებლად, პარტიები და მათი ლიდერები ყურადღებას ამახვილებენ პოლარიზებული უმრავლესობის ინტერესებზე, თავიანთ პროგრამებში ასახავენ მოსახლეობის უმრავლესობისათვის პოპულარულ საკითხებს და ამავდროულად, იძლევიან თითქმის შეუსრულებელ დაპირებებს, რაც პოპულიზმის წარმატებულობისა და პოლიტიკაში დამკვიდრების მთავარი წინაპირობაა.

ჰიპოთეზიდან გამომდინარე იკვეთება ორი მნიშვნელოვანი **ცვლადი:** დამოკიდებული და დამოუკიდებელი.

დამოუკიდებელი ცვლადია: საზოგადოების სოციალურიპოლარიზაცია. საზოგადოების სოციალურად დაყოფა არის ეკონომიკური უთანასწორობის შედეგი, თუმცა თავის მხრივ განაპირობებს საზოგადოების ამ განსხვავებული ჯგუფების მიკუთვნებულობას სხვადასხვა იდეოლოგიისა და პოლიტიკური პარტიისადმი. ეს მიკუთვნებულობა განსაკუთრებითაა გამოკვეთილი წინასაარჩევნო პერიოდში.

სოციალურად განსხვავებული ჯგუფებისათვის წინასაარჩევნო პერიოდში განსხვავებული პრიორიტეტები არსებობს. ისინი, ვისთვისაც უმუშევრობის დაძლევა, სოციალურ პრობლემათა გადაწყვეტაა უმნიშვნელოვანესი, უპირატესობას შესაბამისი იდეოლოგიის, პოლიტიკური პროგრამის თუ დაპირებების მქონე პარტიას ან ლიდერს ანიჭებენ. გამომდინარე ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან, რიგმა პარტიებმა დაკარგეს რომელიმე იდეოლოგიისადმი მიკუთვნებულობის შესაძლებლობა. დღესდღეობით, პარტიათა უდიდესი უმრავლესობა წინასაარჩევნო პერიოდში ეყრდნობა სოციალური და ეკონომიკური პროგრამის წარდგენას, ხოლო იდეოლოგიური მხარე უკანა ფონზე იწევს.

დამოკიდებული ცვლადია: პოპულისტური პოლიტიკა. რაც უფრო მკვეთრია სოციალური დიფერენციაცია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის, მით უფრო მკვეთრია მათი პოლიტიკური მიკუთვნებულობა და შესაბამისად, მაღალია პარტიების მიერ პოპულისტური პოლიტიკის გამოყენების ხარისხი და ასევე, მისი გავლენა საზოგადოებაზე.

თეორიული ჩარჩო

ნაშრომში პოლარიზაციის ფენომენი, უკავშირდება პოპულიზმის ცნებას, ამიტომ მნიშვნელოვანია მათ შორის განსხვავებებისა და მსგავსებების წარმოჩენა სხვადასხვა თეორიული მეთოდოლოგიის მეშვეობით.

პოპულიზმის ცნებას განმარტავს კას მუდე, რომელიც მას მიიჩნევს იდეოლოგიად(Mudde,C.2004). იგი ცნობს საზოგადოებას, როგორც ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ ჰომოგენურ და ანტაგონისტურად განწყობილ ჯგუფებად:

ღარიბი ანუ საწყალი ხალხი კორუმპირებული ელიტის წინააღმდეგ. მისთვის პოლიტიკა ხალხის ნება-სურვილის განხორციელებაა, თუმცა სწორედ ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე ხშირად საზოგადოების უმრავლესობის მიერ არჩეული მცირე ჯგუფები ან კონკრეტული პიროვნებები საზოგადოების ნება-სურვილს თავის სასარგებლოდ იყენებენ. პოლიტიკის განსაზღვრა ხალხის ნება-სურვილის განხორციელების მცდელობად, ეწინააღმდეგება რაციონალური არჩევანის თეორიას, რომლისთვისაც კერძო ინტერესი და მისი დაკმაყოფილებააუმნიშვნელოვანესი. ინდივიდები, რომლებიც მოქმედებენ რაციონალურად, ირჩევენ ალტერნატივას, რომლიდანაც უდიდესი სარგებლის მიღებაა შესაძლებელი. ინდივიდები მოქმედებენ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე(Carling, 1992; Coleman, 1973). შესაბამისად, საზოგადოების ნება ერთიანი ვერ იქნება, რადგან არსებობენ დაპირისპირებული ჯგუფები და ინტერესები, არსებობს პოლარიზებული საზოგადოება, რომლის შიგნითაც ერთეულები განაგებენ პრიორიტეტულ საკითხთა ნუსხას და შესაბამისად, იღებენ გადაწყვეტილებებსაც რაციონალურად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. თუ კონკრეტულად პოლარიზაციაზე ვისაუბრებთ, აღსანიშნავია ის, რომ იგი განხილულია როგორ პოლიტიკური იარაღი, რომლიც მკვეთრად მიჯნავს საზოგადოებას ჯგუფებად, „ჩვენ“ და „ისინი“. ფილიპ კიფერისა და სტეფან ნაკის ნაშრომში აღწერილია თუ როგორ ნეგატიურად მოქმედებს სოციალური პოლარიზაცია განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდაზე (Keefer, P., & Knack. S., 2002).მათი შეხედულებით, უთანასწორობა - ქმნის უფსკრულს, ამცირებს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარების საშუალებას. პოლარიზებულ საზოგადოებებში რთულია პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა. სოციალურიპოლარიზაცია არის შედეგი ეკონომიკური უთანასწორობისა და ამასთანავე, შესაძლოა იმოქმედოს ეკონომიკურ შედეგებზე.მათი შეხედულებით, პოლარიზაციის ზრდა მთავრობის გადაწყვეტილებების სტაბილურობას ამცირებს.

პოლარიზაცია არის სიტუაცია, როდესაც ორი ჯგუფი ერთმანეთს შორის სადემარკაციო ხაზივით აღმართავს ბარიკადებს. კონსენსუსის მიღწევა კი მხოლოდ ამ ჯგუფებს შიგნით არის შესაძლებელი (Palonen. E., 2009. გვ.321).მნიშვნელოვანი საერთო მაჩვენებელი ამ ორ ფენომენს შორის არის დიფერენცირებული და

პოლარიზებული საზოგადოების არსებობა, რომელიც პოლიტიკურ პროცესს მდიდარ უმცირესობებზე დამოკიდებულს ხდის, ამცირებს სტაბილურობას და სოციალურ და ეკონომიკურ დაცულობას, გარდა ამისა განაპირობებს უთანასწორობის ზრდას. ზემოთ აღნიშნული ორი ფენომენის კომპლექსურად განხილვა მომცემს საშუალებას შევისწავლო ექცევიან თუ არა განსაკუთრებით სოციალურად დაბალი ფენები პოპულისტური პოლიტიკის გავლენის ქვეშ და რატომ? პოპულიზმისა და პოლარიზაციის ნაშრომში წარმოდგენილი განმარტებები მოიცავს ერთსა და იმავე დამაკავშირებელ რგოლს, კერძოდ, „ჩვენ"-ად და „მათ"-ად დაყოფას, რომელიც შეესაბამება კლასების თეორიის ხედვას, რომლისთვისაც პოპულიზმი არის გამოხატვის საშუალება სხვადასხვა კლასებისა თუ ფენებისათვის(Bozoki. A.2012).

მეთოდოლოგია

ნაშრომში ჩამოყალიბებული მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალება მისი კვლევაა.პოლიტიკური მეცნიერების კვლევის თვისებრივი მეთოდის გამოყენებით შევეცდები ჩავუღრმავდე კონკრეტულ თემას. იგი საშუალებას მომცემს დავსვა კითხვა რატომ და ვეძებო მიზეზები, რომელსაც ვერ მომცემს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით მონაცემთა ანალიზი. პირველი მეთოდი, რომელიც ნაშრომშია გამოყენებული არის **მეორადი წყაროების ანალიზი,** რომლის საფუძველზეც შევისწავლე სხვადასხვა ლიტერატურა საზოგადოების პოლარიზაციასა და პოპულიზმთან დაკავშირებით არსებული. მეორე მეთოდი არის **შედარებითიანალიზის მეთოდი**, რომლის მეშვეობითაც ნაშრომის მიზნის მისაღწევად დასახული პირველი ამოცანის შესწავლაა შესაძლებელი. შედარებითი ანალიზის მეთოდის მეშვეობით გაევლება ხაზი იმ საკვანძოდ მნიშვნელოვან მსგავსებებსა და განსხვავებებს, რაც დამახასიათებელი იყო სხვადასხვა ეტაპზე და პერიოდში ევროპული და ქართული პოპულიზმისა და პოლარიზაციისათვის. მესამე და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდი არის ე.წ **Case study,**რომლის მეშვეობითაც საქართველოს მაგალითთან ერთად შევისწავლე კიდევ რამდენიმე ევროპული ქვეყნის მაგალითი, რომელიც დამეხმარა ნაშრომში არსებული ჰიპოთეზის გამყარებაში. და ბოლოს, ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა **სიღრმისეული**

ინტერვიუების ჩატარებას, რომელიც ნახევრად სტრუქტურირებული სახისაა და რომელიც საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე უსვამს ხაზს. თვისებრივი კვლევის მეთოდების ხასიათიდან გამომდინარეჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები ვერ გავრცელდება მთელს საზოგადოებაზე, იგი მხოლოდ წარმოაჩენს განსხვავებული ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური სტატუსის მქონდე ადამიანების შეხედულებებს. ინტერვიუები შედგა ექვს სხვადასხვა სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ადამიანთან. მსგავსმა მიდგომამ კარგად წარმოაჩინა პოლარიზაციის მაღალი ხარისხის არსებობასთან ერთად, მოსახლეობის დამოკიდებულება პოლიტიკური დღის წესრიგის მიმართ და ასევე, პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის ხარისხი .

ვინაიდან ნაშრომში ერთი ქვეთავი ეხება სოციალურად დაუცველ ფენებში პოპულიზმის წარმატებულობას, შესაბამისად წარმოდგენილია **ფოკუს-ჯგუფისმეთოდი**, რომლის მეშვეობითაც წარმოდგენილია კონკრეტული ტენდენცია საზოგადოების ამ ფენაში პოპულიზმის გავლენასთან დაკავშირებით. ვინაიდან სოციალურად დაუცველი ფენა უკვე მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს, შესაბამისად, არაალბათური შერჩევა იქნა გამოყენებული. სოციალურად დაუცველი ფენები, ეს ის კატეგორიაა, რომელიც მოკლებულია ყველა იმ პრივილეგიას და საჭიროებას, რომელიც უფლებრივად თანასწორ მდგომარეობაში აყენებს საზოგადოების ყველა წევრს, საშუალებას აძლევს ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკის დღის წესრიგის შემუშავებასა და ფორმირებაში. გარდა ამისა, გამომდინარე სიღრმისეული ინტერვიუებისა, რომელმაც აჩვენა, რომ საშუალო ფენა საქართველოში თითქმის არ არსებობს, განაპირობა კიდევ ერთი ფოკუს-ჯგუფის ჩატარება სტაბილურად მომუშავე და საშუალო შემოსავლის მქონე საზოგადოებასთან, რომელთა აზრიც რიგ შემთხვევებში არ შემოიფარგლება მხოლოდ სოციალური საჭიროებებით და შესაბამისად, ნაკლებად ექცევა პოპულისტური ზეგავლენის ქვეშ. რა თქმა უნდა, ორივე ფოკუს-ჯგუფი მხოლოდ სიღრმისეულად ხსნის რიგი საკითხების შესახებ დასმულ შეკითხვებს და საუბრობს მიზეზებზე, თუ რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა. საშუალო შემოსავლის მქონე, საზოგადოების ამ ნაწილის შეხედულებები, გამომდინარეობს მიღებული განათლებიდან, რომელიც რიგ შემთხვევაში

ზნეობრივი, მორალური და აბსტრაქტულია. აღნიშნული კი, პირდაპირ კავშირშია და ეხმიანება მასლოუს პიროვნული განვითარების პირამიდის მთავარ კონცეფციას.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის ძირითადი საკითხების განხილვამდე, უკვე არსებული ლიტერატურის შეჯამება არის მნიშვნელოვანი, რომელიც მოიცავს ნაკვლევ სივრცეთა მნიშვნელოვან ნაწილს, გამოკვეთს მათ მნიშვნელობას და სახავს მომავალ საკვლევ კითხვებსა თუ აუთვისებელ სივრცეებს. ლიტერატურა, რა თქმა უნდა მრავალფეროვანი და ფართოა, რომელიც ცალკეულად განიხილავს როგორც პოპულიზმს, ისე პოლარიზაციას. არსებული ლიტერატურა მოიცავს თითოეულის მახასიათებლების შესახებ მსჯელობას, სხვადასხვა ქვეყნების შემთხვევების შესწავლას და საშუალებას იძლევა მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის.

ნაშრომისათვის უმნიშვნელოვანიესია იმის გარკვევა, თუ რამდენად შესწავლილია პოპულიზმზე საზოგადოებრივი პოლარიზაციის გავლენა. აუცილებელია დაისვას მთავარი შეკითხვა საზოგადოების პოლარიზაცია განაპირობებს თუ არა პოპულიზმის ზრდას, თუ პირიქით პოპულიზმის ზრდა განაპირობებს საზოგადოების პოლარიზაციას. მნიშვნელოვანი საკითხია ასევე, იმის გარკვევა და შეფასება, საზოგადოების პოლარიზაციას და პოპულიზმის ზრდას, რაიმე დამაკავშირებელი ფაქტორი ხომ არ განაპირობებს, რომელიც უკვე კარგად განხილულია. ასევე, მნიშვნელოვანია დაისვას შეკითხვები თუ რას წარმოადგენს პოლარიზაცია? რა ინდიკატორები ახასიათებს მას? რამდენი ტიპის პოლარიზაცია არსებობს და თუ არსებობს რაიმე ტიპოლოგია, არის თუ არა საზოგადოების სოციალური პოლარიზაცია მათ შორის? თუ არ არის რამ განაპირობა მისი შესწავლისადმი ნაკლები ინტერესი.

პოპულიზმის შესწავლაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ნიდერლანდელ მეცნიერ კას მუდეს, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაშრომებია: „The Populist Zeitgeist"; Radical Right Parties in Europe: What? Who? Why?" და „The Populist Radical Right: A

Pathological Normalcy". პოპულიზმის სწორედ გაგებასა და თანმიმდევრულ გააზრებაში, დამეხმარა ნოამ გიდრონისა და ბარტ ბანიკოვსკის ნაშრომი, რომელშიც პოპულიზმისადმი სხვადასხვა მეცნიერთა განსხვავებული მიდგომაა აღწერილი. გარდა ამისა, დიდი წვლილი მიუძღვის პოპულიზმის საკითხის დამუშავებაში ქანოვანსა და არდიტს, რომელთაც დემოკრატიებში პოპულიზმის როლი და რაობა აქვთ ნაკვლევი. მათი შეხედულებით, პოპულიზმი დემოკრატიული მმართველობის შემადგენელი მნიშვნელოვანი ელემენტია. ქანოვანის მნიშვნელოვანი ნაშრომია: „Taking Politics to the People: Populism as the Ideology ofDemocracy', in: Meny, Yves and Yves Surel"; რაც შეეხება არდიტს, მისი ნაშრომი ქანოვანის კრიტიკას ეძღვნება: Populism as a Spectre of Democracy: A Response to Canovan. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ავტორია ურბინათი, რომლის ნაშრომიც შეეხება დემოკრატიასა და პოპულიზმს, სახელწოდებით: „Democracy and Populism". კიდევ ერთი ავტორია დრეიკი, რომელიც თავის სტატიაში „პოპულიზმის რეკვიემი? ლათინური ამერიკის პოპულიზმის შედარებითი პერსპექტივა",(1982) გამოყოფსსამელემენტს პოპულიზმის განსაზღვრებისას და ცდილობს მათზე დაყრდნობით შეისწავლოს ლათინურ ამერიკაში მიმდინარე მოვლენები. ესენია: პოლიტიკური მობილიზაცია, განმეორებადი რიტორიკა და სიმბოლოები, რომლებიც ხალხს შთააგონებს.(Drake, P. 1982.)

საზოგადოების პოლარიზაციის სხვადასხვა მიზეზებისა თუ შედეგების შესწავლას მიუძღვნა მნიშვნელოვანი კვლევა ფილიპ კიფერმა და სტეფან ნაკმა: Polarization, Politics and Property Rights:Links Between Inequality and Growth". ნაშრომში აღწერილია, თუ როგორ ზემოქმედებს უთანასწორობა ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამერიკული საზოგადოების პოლარიზაციას სწავლობდა კოჰნი: "Polarization is Dividing American Society, Not Just Politics". Social Polarization, Industrialization, and Fiscal Instability: Theory and Evidence"- ეს არის ნაშრომი, რომლის ავტორიცაა ვოო. მისი შეხედულებით, მეტად პოლარიზებულ საზოგადოებაში უფრო მეტი ეკონომიკური რყევებია, რომელიც საზოგადოებას ტანჯავს. პოლარიზაციის პროცესი დაუკავშირა ქალაქებში მიმდინარე პროცესებს კიდევ ერთმა ავტორმა, სასენმა. რაც შეეხება ფრიდმანსა და ვოლფს, მათი შეხედულებით, მზარდი პოლარიზაცია ამცირებს მთავრობის გადაწყვეტილებების სტაბილურობას, რაც ზოგადად

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და შესაბამისად ამისა, სახელმწიფო ეკონომიკაზე ზემოქმედებს, თუმცა ზოგადად, პოლარიზაცია არა მხოლოდ მთავრობის გადაწყვეტილებების სტაბილურობას ამცირებსეკონომიკის დარგში, არამედ ცხოვრებისა და საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში.

თავი I. თეორიული ასპექტები

1. 1. პოპულიზმისთეორიული ასპექტები

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა საზოგადოების პოლარიზაციისა და პოპულიზმის როგორც ცალკეული მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების დადგენას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თითოეულის დეტალურად განსაზღვრა, მათი დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გამოყოფადა განხილვა. თითოეული მოვლენა საკმაოდ მრავალფეროვანია, რის გამოც სხვადასხვა ავტორები სხვადასხვა კუთხით ახასიათებენ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია განსაზღვრავენ. სწორედ ამიტომ, სწორი განსაზღვრების პოვნა ნაშრომის მიზნისაკენ მიმავალი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სანამ უშუალოდ საქართველოში საზოგადოების პოლარიზაციასა და პოპულიზმის კავშირზე ვისაუბრებდე, აუცილებელია უკვე დამუშავებული თეორიების განხილვა პოპულიზმის და საზოგადოების პოლარიზაციის, როგორც ფენომენის შესასწავლად. პოპულიზმზე საუბრისას არსებული სამეცნიერო გამოკვლევები მისი წარმატებულობის მიზეზებს ასახელებენ და ისეთ ფაქტორებზე ამახვილებენ ყურადღებას, როგორებიცაა იდეოლოგიური საფუძვლები, პოლიტიკური პოლარიზაცია, ლიდერობა, ორგანიზაციული პოლიტიკა და რაც ყველაზე მთავარია, დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე მისი გავლენაა. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა კონკრეტული ნაწილი პოპულიზმს კრიზისულ სიტუაციაში წარმოშობილ დისკურსად მიიჩნევს, მათივე უმეტესობა არ თვლის, რომ პოპულიზმის წარმომშობი შესაძლოა იყოს საზოგადოების პოლარიზაცია, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური მიზეზით ან კრიზისით.

საინტერესოა პოპულიზმის, როგორც ტერმინის და როგორც ფენომენის არსი. პოპულიზმი, სამოქალაქო განათლების ლექსიკონის მიხედვით, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ფართო მასებისადმი აპელირება და მათში რთული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების სწრაფად და ადვილად გადაჭრის შესაძლებლობის არსებობის თაობაზე რწმენის გაღვივებაა. პოპულიზმი, უფრო ხშირად ხალხის ნების საკუთარი სარგებლისათვის გამოყენებასთანაც ასოცირდება, რის გამოც მას განსაზღვრავენ დემოკრატიის

შემადგენელ ნაწილად, რომელსაც მოსდევს ადამიანის უფლებების დარღვევა (Masahiro, K. 2013.)

გამომდინარე იქიდან, რომ საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს პოპულიზმს, შესწავლილია მისი გამომწვევი განსხვავებული ასპექტები და ასევე ყველა ის შედეგი, რაც პოპულიზმის როლის ზრდას მოჰყოლია პოლიტიკაში.პოპულიზმის ნაირსახეობის შესახებ მიმოხილვას ემსახურება ნოამ გიდრონისა და ბარტ ბანიკოვსკის ნაშრომი, სადაც საუბარია პოპულიზმის ცნებისა და არსისადმი არსებული სამი დომინანტური მიდგომის შესახებ. პირველია, პოპულიზმის განხილვა, როგორც იდეოლოგიად. მეორეა, პოპულიზმისადმი ხედვა, როგორც პოლიტიკური დისკურსისადმი და ბოლოს, პოპულიზმისადმი მიდგომა, როგორც პოლიტიკური სტრატეგიისადმი. (Gidron,N., Bonikovski, B.)თითოეულ მათგანს თავისი ნიშან-თვისებები და მახასიათებლები გააჩნია, რომელთა კომბინირება ყველაზე ეფექტური გზა იქნება საზოგადოების სოციალური პოლარიზაციის გავლენის გასაზომად პოპულიზმის ზრდაზე პოლიტიკაში.

პოპულიზმის, როგორც იდეოლოგიისადმი დამოკიდებულების ცნება შემოიტანა კას მუდემ(Cas Mudde), რომლის აზრითაც პოპულიზმი ცნობს საზოგადოებას ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ ჰომოგენურ და ანტაგონისტურად განწყობილ ჯგუფებად. ერთ მხარეს არის ღარიბი ანუ საწყალი ხალხი, რომელიც დაპირისპირებაში იმყოფება მეორე მხარესთან, რომელსაც წარმოადგენენ კორუმპირებული ელიტის წარმომადგენლები. იგი მიიჩნევს, რომ პოლიტიკა ხალხის ნება-სურვილის განხორციელებაა, ხოლო პოპულიზმი განსხვავებული იდეოლოგიების ურთიერთკავშირით წარმოიშობა(Mudde, C. 2004. pp.559). აქედან გამომდინარე, კალტვაზერი და მუდე საუბრობენ ჯოვანი სარტორის მიერ შემოტანილ პოპულიზმის მინიმალური განსაზღვრების უპირატესობებზე, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ პოპულიზმი მიჩნეულია არა როგორც სრულ იდეოლოგიად, რომელსაც გააჩნია რიგი ელემენტები და ინდიკატორები, არამედ როგორც შერეულ იდეოლოგიად, რომელიც სრულ იდეოლოგიებზე დაყრდნობითაა შექმნილი(Mudde, C., Kaltwasser, R.C. 2012.). მაგალითად პოპულიზმი თავის სტრუქტურაში შესაძლოა აერთიანებდესსოციალიზმისა და ლიბერალიზმის მნიშვნელოვან ინდიკატორებს, რის გამოც ხშირად განსხვავებულ რეგიონებში

პოპულიზმის განსხვავებული სახეობებს ვაწყდებით. მაგალითად, ლათინური ამერიკისათვის ნაცნობია მემარცხენე პოპულიზმი, მაშინ, როდესაც ევროპაში მემარჯვენე რადიკალური ფრთის პოპულიზმი ჩარბობს.

აღმოსავლეთ ევროპის შესწავლისას, იგი გამოყოფს სამი ტიპის პოპულიზმს, რომელმაც სხვადასხვა პერიოდში იჩინა თავი და რომელთაც უამრავ სხვადასხვა ნიშან-თვისებასთან ერთად განასხვავებსადამიანების მიმართ დამოკიდებულება. პირველი სახეობა პოპულიზმისა არის აგრარული, რომლის მთავარი სამიზნე ჯგუფია გლეხობა, შესაბამისად, აგრარული მოძრაობები ამ ჯგუფის საჭიროებებსა თუ მოთხოვნებზე აპელირებდა. ავტორის აზრით, პოპულიზმის მეორე სახეობაა ეკონომიკური პოპულიზმი, რომელსაც ეკონომიკურ განზომილებაში განიხილავს და მთავარ სამიზნე ჯგუფად ასახელებს ქალაქურ პროლეტარიატს და შესაბამისად, მასზე ფოკუსირდება, ხოლო მესამე სახეობა პოლიტიკური პოპულიზმია, რომელიც არა რომელიმე ერთ ჯგუფზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ მოიცავს საზოგადოების სრულიად განსხვავებულ და დაპირისპირებულ ჯგუფებსაც კი(Mudde. C., 2001).

პოპულიზმი ასევე განსაზღვრავს ორ დაპირისპირებულ მოვლენას: ელიტიზმსა და პლურალიზმს. ელიტიზმი, კას მუდის აზრით, არის პოპულიზმის სარკე: ის იზიარებს მის მსოფლმხედველობას, სურს, რომ პოლიტიკა იყოს მორალური ელიტით გამოხატული, თუმცა ამის ნაცვლად, იგი ეჯახება ამორალურ ხალხს. რაც შეეხება, პლურალიზმს, იგი უარყოფს ჰომოგენურობას, ხედავს საზოგადოებას ჰეტეროგენულ ჯგუფებად და ამასთანავე, აღიარებს ინდივიდების ფუნდამენტურად განსხვავეულ შეხედულებებსა და სურვილებს. მისი შეხედულებით, პოპულისტები უფრო მორალისტები და ნორმატივისტები არიან, ვიდრე პრაგმატისტები. პოპულიზმში არსებობენ მხოლოდ მეგობრები და მტრები. ოპონენტები არიან ის ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული პრიორიტეტები და ფასეულობები, შესაბამისად, კომპრომისზე წასვლა არის წარმოუდგენელი. (Mudde, C. 2004. pp.543)

კას მუდესა და კალტვასერის აზრით, პოპულიზმი ლათინურ ამერიკასა და ევროპაში განსხვავებული მახასიათებლებით გვხვდება. ისინი ლათინური ამერიკისათვის ასახელებენ ისეთ ნიშან-თვისებებს, როგორებიცაა მემარცხენე ფრთის

პარტიებში პოპულიზმის სიჭარბე, ეკონომიური და ინკლუზიური ხასიათი, მაშინ, როდესაც ევროპაში ეს მახასიათებლები შემდეგნაირად იცვლება: მემარცხენეობა-მემარჯვენეობით, ინკლუზიური ხასიათი ექსკლუზიურით და ბოლოს, მნიშვნელოვან ინდიკატორად არა ეკონომიკა, არამედ იდენტობა მიიჩნევა. (Akkerman, A., Mudde, C., Zaslove, A. 2014.)

აღსანიშნავია ისიც, რომ ფილკი ისრაელის მაგალითის შესწავლისას გვთავაზობს სამ კომპონენტს, სადაც მკვეთრად მჟღავნდება პოპულიზმის ინკლუზიური და ექსკლუზიური ხასიათი. ესენია: მატერიალური, სიმბოლური და პოლიტიკური დონე. რეალურად ექსკლუზიურობა და ინკლუზიურობა მიემართება ორ უმნიშვნელოვანეს მოვალენას დემოკრატიისა, რომელსაც გვთავაზობს რობერტ დაჰლი(Dahl.R.A.,1998). ესენია: პოლიტიკური მონაწილეობა და საჯარო შეჯიბრი. პირველი სახე პოპულიზმისა ხასიათდება იმით, რომ სპეციფიურ ჯგუფებს უკრძალავს პოლიტიკურ მონაწილეობას და გარიყულად ამყოფებს საჯარო შეჯიბრისაგან, ხოლო მეორე სახე პოპულიზმისა, რომელიც ინკლუზიური ხასიათისაა, სპეციალურად უწყობს ხელს სხვადასხვა ჯგუფებს, რომ გაზარდონ მონაწილეობა მნიშვნელოვან პროცესებში. იგი ათავისუფლებს არიალს ჯანსაღი შეჯიბრისათვის(Gidron, N.&Banikovski,B. 2013).

კას მუდე სხვადასხვა დროს შექმნილი სტატიებიდან საუბრობს პოპულიზმის მიერ გამოწვეულ განსხვავებულ შედეგზე და ამავდროულად მიზეზებზე, რომელიც შესაძლოა პოპულიზმის ზრდას განაპირობებდეს პოლიტიკაში. მკვეთრად ხაზგასმულია მის ნაშრომებში ლიდერისა და პირდაპირი კომუნიკაციის როლი საზოგადოებასთან, დებატებია პარტიებისა და ლიდერების ურთიერთკავშირსა და გავლენაზე, რომელიც ხშირ შემთხვევაში ლიდერს ხელს უშლის ხალხთან კომუნიკაციაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოპულიზმი სოციალური კრიზისიდან წარმოშობილი ფენომენის სახელსაც ატარებს, რაც აახლოებს მისი დამოკიდებულების გაგებას საზოგადოების პოლარიზაციასთან კონკრეტული კრიზისების პერიოდში. სტატიებში ხაზგასმულია პოპულიზმის შესახებ დებატები ლიბერალურ დემოკრატიებში. ასევე საუბარია ნორმალურ-პათოლოგიურ თეზისზე, რომელიც უარყოფილი იქნა და მის ნაცვლად წარმოდგენილი იქნა ახალი დისკურსი, რომელიც ძირითადი მნიშვნელობის მატარებელი გახდა დასავლურ დემოკრატიებში.

ავტორის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პარტიები, იყენებენ პოპულისტურ რიტორიკას საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით.

დღესდღეობით, გამომდინარე მკვეთრი პოლიტიკური პოლარიზაციიდან პოპულიზმი ასოცირდება, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე რადიკალიზმთან. პოპულიზმი ახალი მემარცხენეების აზრით, მიემართება აქტიურ, თავდაჯერებულ, კარგად განათლებულ და პროგრესულ ხალხს. ბერლუსკონეს და ჰეიდერისაზრით, პოპულიზმი მიემართება იმ ადამიანებს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ.ისინი კანონმორჩილი მოქალაქეები არიან, რომლებიც ჩუმად ადევნებენ თვალყურს მიმდინარე მოვლენებს, თუმცა მათ გულებში ღვივდება ბრაზი, რომელიც უთანასწორობისა და განუკითხაობის დანახვისას ჩნდება. ისინი ხედავენ თუ როგორ იზრდება კრიმინალი და ალიანსები ელიტაში(Gidron, N., Bonikovski, B. 2013).

გელნერისა და იონესკუს თვალსაზრისითპოპულიზმი განხილულია, როგორცდოქტრინა ან მოძრაობა, რომელიც შესაძლოა რთული გასაგები, მაგრამ ადვილად ცვალებადი იყოს. პოპულიზმს ხშირად მიიჩნევენ კონფრონტაციულ, ცვალებად ანუ ქამელეონისებურ, კულტურასა და კონტექსტზე დამოკიდებულ დოქტრინად. (Ionescu,G., Gellner,E. 1969.)მათ მსგავსად, პოლ ტაგარტიც პოპულიზმს ქამელეონისებურად ცვალებადი ხასიათის მქონედ მიიჩნევს(Taggart, P. 2000), რომელიც დამოკიდებულია დროსა და ადგილზე, თუმცა ეყრდნობა ისეთ ფაქტორებს, რომლებიც დამახასიათებელია ლოკალურად, კონკრეტული გარემოსათვის, ანუ რამდენი ქვეყანაც არსებობს, იმდენი ტიპის პოპულიზმი შეიძლება წარმოჩინდეს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით, როგორებიცაა მაგალითად: გარემო-პირობები ქვეყნისა, სადაც პოპულიზმი აღმოცენდება, მოსახლეობის პოლიტიკური კულტურა, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, პარტიების განვითარების დონე და მათი როლი ცხოვრებაში, ლიდერის, როგორც პარტიის წამყვანი ფიგურის როლი. ვინაიდან პოპულიზმი ძირითად პრობლემებზე გამოძახილს წარმოადგენს, საყურადღებოა რიგ ქვეყნებში იდენტობის საკითხი, სიმბოლური და პატრიოტული ელემენტები, რომელიც ხალხის შთამაგონებელ ფაქტორებს წარმოადგენს. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ პოპულიზმი არის კონტექსტზე დამოკიდებული და დაფუძნებული შერეული

იდეოლოგია, რომელსაც არ გააჩნია კონკრეტული მახასიათებლები ყველა რეგიონისა და ქვეყნისათვის ერთად, ისევე როგორც მაგალითად, კონსერვატიზმს.

პოპულიზმზე მსჯელობისას, ბევრი ავტორისაგან განსხვავებით ჯენსენს ფოკუსი პარტიებიდან და იდეოლოგიებიდან გადააქვს სოციალურ მოძრაობებზე. იგი პოპულიზმს განიხილავს არა, როგორც იდეოლოგიდ, არამედ როგორც პოლიტიკურ პროექტად, რომელსაც შეუძლია ყველა გამოწვევის გამკლავება.ჯენსენის ორიენტაცია სოციალურ მოძრაობებზე კიდევ ერთხელ ადასტურებს სოციალური პოლარიზაციის როლის ზრდას პოლიტიკურ პროცესებში. სწორედ პრობლემების ირგვლივ გაერთიანებული ინტერესთა ჯგუფები, სოციალური მოძრაობებით ცდილობენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების დღის წესრიგში მოახვედრონ მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გადაწყვეტასა და რეაგირებას მოითხოვს. მთავარი ფაქტორები, რომელიც ჯენსენისთვის უმნიშვნელოვანესია დახსნის მის დამოკიდებულებას არის: მობილიზაცია და დისკურსი. ჯენსენი განსაზღვრავს პოპულისტურ მობილიზაციას, როგორც გრძელვადიან პოლიტიკურ პროექტად, რომელიც მობილიზებას უწევს მარგინალურ სოციალურ სექტორს, საჯაროდ დასანახად და პოლიტიკური მოქმედებების მოსამზადებლად განაწყობს ხალხს, სანამ ანტი-ელიტის არტიკულირება და ნაციონალისტური რიტორიკა არ აღძრავს ჩვეულებრივ ხალხს საბრძოლველად. ჯენსენის ანალიზიდან ჩანს პოპულიზმისადმი სამივე მიდგომის მნიშვნელობა. (Jensen, Robert S. 2011.)

კაზინმა, პოპულიზმი გააიგივა პოლიტიკური გამოხატვის საშუალებასთან, რომელიც შესაძლოა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს ყველა დაპირისპირებული მხარისათვის, როგორებიცაა ლიბერალები და კონსერვატორები, მემარჯვენეები და მემარცხენეები. მაგალითად, ევროპაში პოსტ სამომარი სიტუაციის დროსაც კი პოპულისტური მოძრაობა საკმაოდ აქტიური იყო. (Kazin, M. 1995.) კაზინივე აყალიბებს ამერიკული პოპულიზმის ოთხ ძირითად ფილტრს, განსაზღვრავს და ახასიათებს მას. ესენია: 1. ამერიკანიზმის ენა: ამერიკის შეერთებული შტატები არის ერთიანი და უნიკალური ხალხების, ერებისაგან შემდგარი. იგი თვითმმართველ რესპუბლიკად წარმოდგება, სადაც ყოველი მოქალაქე თანასწორუფლებიანია. 2. ამერიკელი ხალხი აღიქმება, როგორც პროდუქტიული და მიზანდასახული საზოგადოება. 3. ელიტა წარმოადგენს

მარადიულ ანტითეზას ხალხისა. 4. ამერიკელი პოპულისტი აქტორები იზიარებენ რწმენას, რომ ძლიერი მოძრაობა უნდა მოემზადოს ბრძოლისათვის და არ დატოვოს ველი, სანამ ოპონენტებს, ამ შემთხვევაში კი ელიტას არ დაძლევს და ღირსეულად დაამარცხებს.(Kazin, Michal. 1995.)

რომანო ფროდის შეხედულებით, სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს სურს იყოს მონაწილე დემოკრატიული პროცესებისა, რის გამოც აქტუალური გახდა პოპულიზმი, რომელიც საკმაოდ ახალი ფენომენია ლიბერალური დემოკრატიებისათვის(Gidron, N., Bonikovski, B.). ორი გაბატონებული აზრი არსებობს, ლიბერალურ დემოკრატიულ სისტემებში. პირველის მიხედვით, იქ, სადაც, პოლიტიკური პარტიები ძირითადი აქტორები არიან წარმომადგენლობის პროცესში, პოპულისტური პროპაგანდა და ანტი პარტიული სენტიმენტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. მეორე მოსაზრების თანახმად, პოპულისტები, პოლიტიკურ პარტიებს მიიჩნევენ ლიდერებისა და მხარდამჭერების პირდაპირი კავშირის ნგრევის საშუალებად, რომლებიც ქმნიან ხელოვნურ დანაყოფებს ჰომოგენურ საზოგადოებაში. შესაბამისად, ისინი საკუთარ ინტერესებს აყენებენ საზოგადოების ინტერესებზე მაღლა.მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, პოპულისტები არ ეწინააღმდეგებიან პოლიტიკურ პარტიებს. მიზეზი ამისა შესაძლოა იყოს ლევინსკისა და რობერტსის მიერ შემოტანილი იდეა, რომ პოპულიზმი ვერტიკალური პოლიტიკური საშუალებაა მასების მობილიზების საქმეში, რომელიც ლიდერების მიერ იმართება და რომელიც ცვლის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტებს, თუმცა, პოპულისტების მტკიცებით, ისინი საუბრობენ შევიწროვებული ხალხის სახელით, რომელთაც არა ფასეულობებისა და ცხოვრების გზის შეცვლა, არამედ საკუთარი სტატუსის შეცვლა სურთ პოლიტიკურ პროცესებში.

ურბინათის აზრით, პოპულიზმი არის სტრატეგია, რომელსაც იყენებენიარაღად იმისათვის, რომ უმრავლესობის სურვილი დაკმაყოფილებულ იქნას პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების დროს. (Urbinati, N. 1998)პოპულიზმი არის ინსტრუმენტული იარაღი, რომლის მეშვეობითაც ტრანსლირდება უმრავლესობის ნება/სურვილი პოლიტიკურ გადაწყვეტილებად. ურბინათის მოსაზრებას იზიარებს ქანოვანი, რომელიც ფოკუსირდება ბალანსირების თემაზე. მისთვის დემოკრატია არის იდეოლოგია და პრაქტიკა მოსახლეობის

მონაწილეობის შესახებ(Canovan, M. 2002). კანოვანი, პოპულიზს აღიქვამს, როგორც დემოკრატიის ჩრდილად, მაშინ როდესაც არდიტი გვთავაზობს პოპულიზმის, როგორც დემოკრატიის სპექტრად აღქმას. არდიტის აზრით, პოპულიზმი უნდა გავაიგივოთ სადილზე შემოსწრებულ სტუმართან, რომელიც ბევრს დალევს და დასვამს შეუფერებელ შეკითხვებს, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვან პრობლემებს მალავდეს.(Arditi, B. 2004.)

პანიზა მიიჩნევს, რომ პოპულიზმი, როგორც დისკურსული კონცეფცია მიემართება პოლიტიკის ფორმას უფრო მეტად, ვიდრე პოლიტიკურ აქტორებს, რომლებიც არიან ინდივიდები ან პოლიტიკური პარტიები. (Paniza, F. 2005.)

ის, რაც ყველაზე უკეთაა განსაზღვრული არის ის, თუ რის ან ვის წინააღმდეგაა პოპულიზმი მიმართული. პოპულიზმი არის ბრძოლის ნაწილი, რომელიც მიმდინარეობს ჰეგემონიისა და ძალაუფლებისათვის. ამ თეზისიდან გამომდინარე წარმოიშვა პოპულიზმისადმი, როგორც პოლიტიკური სტრატეგიისადმი მიდგომა, რომელიც შემოაქვს ვეილანდს. მისი ფოკუსი შემოიფარგლება დაკვირვებით ლიდერების მზადყოფნასა და შესაძლებლობაზე, რომლის მიზანიცაა გამოიყენონ ხელისუფლება და ძალაუფლება მასების მობილიზებისათვის.

მადრიდის აზრით, პოპულიზმი ფორმებს პოულობს ეკონომიკური პოლიტიკისაგან და ხშირ შემთხვევაში მასობრივ მობილიზებას უწყობს ხელს. მან კვლევა ლათინური ამერიკის მაგალითზე ჩაატარა და გამოყო მნიშვნელოვანი ფენომენი, რომლის მიხედვითაც ის საზღვრავსპოპულიზმს, როგორც ეკონომიკური რედისტრიბუციისა და ეროვნული რესურსების ნაციონალიზებისთვის ხელშემწყობ საშუალებად(Madrid, R. L. 2008).მსგავსი მოსაზრების ავტორია აკემოღლუც, რომელიც განსაზღვრავს პოპულიზმს, როგორც პოლიტიკური კურსის განხორციელების მტკიცე საშუალებად, რომელიც ხშირ შემთხვევაში აზიანებს უმრავლესობის ეკონომიკურ ინტერესებს(Acemoglu, D., Egorov, G., & Sonin, K., 2011.).

ბარი პოპულიზმს და მის მნიშვნელობას პოლიტიკურ კონტექსტში ხედავს. ბარის არგუმენტი, პოპულიზმის როგორც პოლიტიკური სტრატეგიის მხარდასაჭერად არის საკმაოდ ძლიერი. მისი აზრით, თუ პოპულისტური იდეა ხალხის ნება სურვილის გამოხატვას ემსახურება, პოპულისტური მოძრაობები, რომელთაც ხელმძღვანელობენ ძლიერი ლიდერები არიან ვალდებულები, რომ

წარმოადგინონ საზოგადოების ინტერესები და ხელი შეუშალონ შუალედურ ორგანიზაციებს ამ ინტერესების განადგურებაში. (Barr, R. R., 2009.)ფლიკი ისრაელის მაგალითზე გვთავაზობს პოპულიზმის, როგორც იდეოლოგიის, დისკურსისა და პოლიტიკური სტრატეგიის ერთმანეთთან დაკავშირებას. თუ პოპულისტური პოლიტიკა არის იმ ბარიერებისადმი მიმართული, რასაც „ჩვენ“-ად და „მათ“-ად დაყოფა ჰქვია, მაშინ საინტერესოა თუ ვინ მიეკუთვნება ამ ჯგუფებს. ფლიკი გვთავაზობს მოვიცვათ სპეციფიკური ჯგუფები ამ ბარიერების გათვალისწინებით და ამ მიზნით გამოყოფს სამი სახის დონეს: მატერიალურს, სიმბოლურსა და პოლიტიკურს. (Filc, D. 2010.)

მეცნიერები მზარდ ინტერესს ამჟღავნებენ პოპულიზმისა და დემოკრატიის კავშირის მიმართ. პოპულიზმს ხშირად დემოკრატიის მომწამლავ საშუალებადაც თვლიან. ნაშრომში მოყვანილია ევროკავშირის პრეზიდენტის 2010 წლის განცხადება, რომლის მიხედვითაც პოპულიზმი აღიარებული უდიდეს საფრთხედ ევროპისათვის. ეს გამოსვლა მიემართებოდა ქსენოფობიურ მემარჯვენე ფრთის პარტიებს, რომელთა რიცხვიც განუწყვეტლივ იზრდებოდა ევროკავშირის სახელმწიფოებში. 2017 წლის 23 იანვარს რომის პაპი გამოვიდა სიტყვით, სადაც აღნიშნავდა, რომ პოპულიზმის ზრდამ პოლიტიკაში შესაძლოა განაპირობოს ადოლფ ჰიტლერის მსგავსი ლიდერების გაჩენა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში მათი როლის ზრდა(Lavanga,C.2017). პოპულიზმს ვირუსთანაც აიგივებდნენ, რომელიც მთელს პარტიულ სისტემას ედება და ვრცელდება როგორც ეპიდემია ევროპის მასშტაბით.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აზრი გამოთქვა რობერტსმა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებასა და პარტიულ ორგანიზაციებს ასახელებს პოპულიზმის წყაროებად. მან იკვლია პოპულისტური პარტიები ლათინურ ამერიკაში და დაახასიათა ისინი თავიანთი ფორმითა და ორგანიზაციულობის ხარისხით საუკეთესოებად. იგი პოპულისტურ პოლიტიკას ოთხ ძირითად მიმართულებად ყოფს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ხარისხსა და პარტიული სისტემის ორგანიზაციის ხარისხზე დაყრდნობით: 1. მაღალი პარტიული და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შემთხვევაში საქმე გვაქვს ორგანულ პოპულიზმთან. 2. მაღალი პარტიული და დაბალი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შემთხვევაში საქმე გვაქვს პარტიულ(პარტიზანულ) პოპულიზმთან. 3. მაღალი

სამოქალაქო საზოგადოებისა და სუსტი პარტიული სტრუქტურების შემთხვევაში საქმე გვაქვს მუშათა პოპულიზმთან. 4. დაბალი დონე ორივე ორგანიზაციული სტრუქტურისა, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა, ისე პარტიული ორგანიზაციისა გვაძლევს შედეგად ელექტორალურ პოპულიზმს. (Roberts, K. M. 2006.)

პაპასი ამტკიცებს, რომ პოპულისტური ლიდერობის მეშვეობით შეგვიძლია გავიგოთ პირველ რიგში პოპულიზმის არსი და შემდგომ მისი წარმატების გზა ვიკვლიოთ. ნიდერლანდებისა და პერუს განსხვავებული შემთხვევების შესწავლისას ის ამბობს, რომ პოპულიზმი მიიღება მაშინ, როდესაც პოლიტიკურ მეწარმეს ანუ ლიდერს შეუძლია პოლიტიკის პოლარიზება სეგმენტაციაზე დაფუძნებული ინტერაქციის შექმნის მეშვეობით. (Pappas, T. S. 2012.) ბარი თვლის, რომ მხოლოდ ქარიზმატული ლიდერებით არ შემოიფარგლება პოპულიზმი. მისი აზრით, რაც არ უნდა ასოცირებული იყოს ქარიზმატული ლიდერობა პოპულიზმთან, ის არასოდეს იქნება მისი შემადგენელი ძირითადი ელემენტი. ზოგადად, გონიერი ადამიანი არის ძირითადი საშუალება და მთავარი ღირებულება პოლიტიკაში. (Barr, R. R. 2009.)

კალტვაზერი და მუდი, რომლებიც პოპულიზმის, როგორც იდეოლოგიის მიმართებას ეთანხმებიან, აკრიტიკებენ ლაქლაუს მიდგომას პოპულიზმისადმი, როგორც დისკურსული სტილისადმი. მათი აზრით, ლაკლაუს თეორია პოპულიზმთან დაკავშირებით არის უტილიტარული და აბსტრაქტული. ლაკლაუსათვის, გაყოფა „ჩვენ“-ად და „მათ“-ად დამოკიდებულია სოციალურ კონტექსტზე. კალტვაზერისა და მუდის შეხედულებით, პოპულიზმი არის ძირეულად ამბივალენტური ფენომენი განსხვავებულ დემოკრატიებში. გამოიყოფა ორი მნიშვნელოვანი გამოწვევა დემოკრატიის თეორიაში: დეფინიცია ხალხისა და ზღვარი თვითმმართველობისა. ისინი პოპულიზმის დადებითი მხარით დანახვას ემხრობიან ვინაიდან, ეს ფენომენი ცდილობს ასახოს ხალხის ნება-სურვილი პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. კონსოლიდირებულ დემოკრატიებში, პოპულიზმი არის ის მექანიზმი, რომელსაც საკმაოდ პოზიტიური გავლენა აქვს დემოკრატიულ პროცესებზე(Mudde, C., Kaltwasser, R.C., 2012.).გიდრონისა და ბანიკოვსკის მოსაზრებით პოპულიზმის როლი მაღალია არაკონსოლიდირებულ დემოკრატიებში, სადაც მან შესაძლოა დაანგრიოს

დემოკრატიული ინსტიტუტები. არაკონსოლიდირებულ დემოკრატიებში, მთავრობაში მყოფ პოპულისტებს უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ დემოკრატიულ პროცესებზე (Gidron, N., Bonikovski, B. 2013).

პოპულიზმი, გიდრონის და ბარნიკოვსკის ნაშრომში ასევე ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია პოლიტიკურ პოლარიზაციასთან, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში პარტიულ სისტემას დანგრევით ემუქრება(Gidron, N., Bonikovski, B. 2013). მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლობს პოპულისტური პარტიების იდეოლოგიებს, მათი მიმართულების განმაპირობებელ მიზეზებს, ბევრისათვის პოპულიზმი ლიდერების დონემდე დაიყვანება, ბევრიც დემოკრატიის დადებით ან ნეგატიურ წარმონაქმნად აღიქვამს. მრავალი მეცნიერი პოპულიზმის სათავეს სოციალურ მოძრაობებში ხედავს, რომელიც კრიზისის პერიოდში წარმოიქმნება. აღნიშნული ნაშრომიც ამ იდეის უკეთ წარმოჩინებას ემსახურება.

საბოლოოდ, პოპულიზმის როლის გასაზომად მნიშვნელოვან ინდიკატორთა სიაში შეიძლება აღმოჩნდეს მედიის როლი და გავლენა, ლიდერთა უნარები და მათი გავლენა ანუ პერსონიფიკაციის ხარისხი, პარტიული ურთიერთობები და გავლენის დონე. კას მუდეს შეხედულებით პოპულიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელი ასპექტია ლიდერობა და პირდაპირი კომუნიკაცია ლიდერსა და საზოგადოებას შორის, რის გამოც რიგ ქვეყნებში სადაც პოპულისტური მოძრაობები ან ზოგადად პოპულიზმი ჭარბობს, ლიდერის როლი მკვეთრად გამოკვეთილია პარტიების როლთან შედარებით, რაც განაპირობა პროპაგანდისა და მანიპულაციის მეთოდების გამოყენებამ. ლიდერის პოპულარობისათვის კი მნიშვნელოვანი ქარიზმატულობა და ემოციურობა გახდა, იდეოლოგიური და პოლიტიკური პლატფორმის საწინააღმდეგოდ.

1.2.სოციალური და პოლიტიკური პოლარიზაციის თეორიული ასპექტები

ზოგადად,პოლარიზაცია გულისხმობს სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების პოზიციებში სხვაობის გაზრდას. პოლარიზაცია, შეიძლება გამოვლინდეს როგორც დაპირისპირების ფორმა, სხვადასხვა კლასებს, ფენებს, სოციალურ ჯგუფებსა და პარტიებს შორის. საზოგადოების პოლარიზაციაზე საუბრისას ძირითადად გამოყოფენ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებს, როგორებიცაა მაგალითად, კლასობრივი დაყოფა, სიღარიბე და უთანასწორობა.სოციალურ მეცნიერებათა ლექსიკონის განმარტების მიხედვით, საზოგადოებრივი პოლარიზაცია არის ჯგუფური აზროვნების შედეგი. ჯგუფური აზროვნება კი მხოლოდ საერთო ინტერესიდან ან პრობლემიდან შეიძლება წარმოჩინდეს. პოლარიზაციის გამომწვევი ფაქტორია უფლებრივი, ნორმატიული თუ პრაქტიკული უთანასწორობა ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროსა და ეტაპზე. რაც უფრო მეტად პოლარიზებულია საზოგადოება, მით უფრო მეტად იტანჯება იგი ეკონომიკური რყევებით (Woo, J. 2002.). ამის კარგი მაგალითია, უნგრეთი, სადაც პოლიტიკური მდგომარეობა და სუსტი დემოკრატიის არსებობა განაპირობებდა მთლიანი შიდა პროდუქტის მკვეთრ ვარდნას და შესაბამისად, ეკონომიკურ რყევებს.

ვინაიდან ნაშრომის მიზანი სოციალური პოლარიზაციის პოპულიზმის ზრდაზე ზეგავლენის კვლევაა, აუცილებელია მისი შესწავლა როგორც დამოუკიდებელი ცვლადისა. სხვადასხვა თეორეტიკოსი პოლარიზაციაზე საუბრისას, აბსოლუტურად განსხვავებულ, მაგრამ ერთნაირად მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. მათთვის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორებია: იმიგრაცია, უფლებრივი უთანასწორობა, ეკონომიკური რყევები, სოციალურად დაუკმაყოფილებელი და იდეოლოგიზირებული საზოგადოება. სწორედ აქედან გამომდინარე, პოლარიზაცია ნაშრომში კლასიფიცირდება, როგორც:**ა)სოციალური,** რომელშიც ერთიანდება განსხვავებული ინტერესებისა და სტატუსის მქონე ადამიანთა ჯგუფები. იგი მოიცავს შემდეგ ქვეჯგუფებს: 1. კულტურული; 2. ეთნიკური; 3. გენდერული; 4. ეკონომიკურად განსხვავებული სტატუსის ჯგუფები; 5. განათლების დონის მიხედვით არსებული ჯგუფები; **ბ) პოლიტიკური**, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც იდეოლოგიურ დაყოფას: მემარჯვენეებად და მემარცხენეებად, ასევე ნაკლებად იდეოლოგიზირებულ დაყოფას. ამ შემთხვევაში

საზოგადოების მხარდაჭერა ისეთივე მყარი არ არის, როგორც პირველის შემთხვევაში. იგი შეიძლება ფულადი სარგებლით ან დაპირებით იყოს ნასაზრდოები, რომელიც განუხორციელებელ დაპირებებთან ერთად ქრება. პოლიტიკური და სოციალური პოლარიზაცია უმეტესწილად ერთმანეთზეა დამოკიდებული, შესაბამისად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს მათ შორის.

ინდივიდების უფლებრივ მდგომარეობაზე, თანასწორობასა და დემოკრატიის ხარისხზე, მასმედიის ზეგავლენა/ზემოქმედების ხარისხზე,პოლიტიკურ დღის წესრიგსა და საზოგადოების მობილიზაციაზე ყურადღების გამახვილება საზოგადოების შიგნით პოლიტიკური თუ სოციალური პოლარიზაციის შესწავლაში დაგვეხმარება. ეს ის საკითხებია, რომლებიც ქვეყნის მიმართულებას წყვეტენ როგორც საშინაო, ისე საგარეო კუთხით. მაგალითად, იქნება თუ არა ქვეყანა დემოკრატიული, რა გზას აირჩევს იგი, როგორ ეკონომიკურ პოლიტიკას განახორციელებს საზოგადოების ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში ხარისხის გასაზრდელად და პოლარიზაციის შესამცირებლად. სწორედ ეს კრიტერიუმებია, რომლებიც რიგ შემთხვევაში საზოგადოების პოლიტიკურ კულტურაზე ახდენენ ზეგავლენას და შესაბამისად ამისა, პოპულიზმის ზრდაზე პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებასა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაცია ძირითადად დამოკიდებულია საზოგადოების განსხვავებული ჯგუფების პოლიტიკურ შეხედულებებსა და რწმენებზე, რომელსაც კვლავაც განაპირობებს ესა თუ ის სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემები. პოლიტიკურ პოლარიზაციას პირდაპირპროპორციული კავშირი აქვს პოპულიზმის ზრდასთან, თუმცა ასევე იგი განაპირობებს პოპულიზმის განსხვავებულ ხასიათს სხვადასხვა ქვეყანაში, იმის მიხედვით, თუ როგორი იდეოლოგიის მატარებელი ძალები არიან ხელისუფლების სათავესა და ოპოზიციაში. სარტორის აზრით პოლარიზაცია არის ფრაგმენტაცია ან ჯგუფის ინტერესების სფეროდან გადახვევა განსხვავებული პოლუსების შექმნის მიზნით.(Sartori. G., Sani. G. 1983).ემილია პალონენის შეხედულებით, პოპულიზმის მსგავსად, პოლარიზაციაც პოლიტიკურ იარაღად განიხილება, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკურ დიფერენციაციას. იგი მკვეთრ ზღვარს ავლებს „ჩვენ“-სა და “მათ“ შორის, აიძულებს

საზოგადოებას მიიღოს ეს ზღვარი როგორც მორალური წესრიგი(Palonen.E. 2009). პოლარიზაცია თავისთავად ასოცირდება რომელიმე ჯგუფისადმი მიკუთვნებულობასთან, აქ არ არსებობს რაიმე შუალედური რგოლი, რომელიც „ჩვენ“-სა და „მათ“ შორის განთავსდება. ავტორის აზრით, რაც უფრო პოლარიზებულია საზოგადოება, მით უფრო მეტადაა საჭირო მცირე ადგილის დატოვება განსხვავებულობისათვის.

რაც შეეხება სოციალურ პოლარიზაციას, აქ ყურადღება მახვილდება საზოგადოების განათლების დონეზე, სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებზე და სხვ. განათლების ნაკლებობა ხშირ შემთხვევაში განაპირობებს პოლიტიკურ სისტემაში წარმომადგენლობის ნაკლებობას, რაც პირდაპირ აისახება კონკრეტული ჯგუფების უფლებრივ ურთიერთობებზე. ამის კარგ მაგალითად რჩება, კონკრეტულ სეგმენტზე ორიენტირებული ორგანიზაციები, რომლებიც საკუთარი სამიზნე ჯგუფის ინტერესის და პირადი კეთილდღეობისათვის მიმართავენ პოლიტიკური ბრძოლის განსხვავებულ მეთოდებს და ცდილობენ მოიპოვონ სწორი პოზიციები პოლიტიკურ ძალაუფლებაში.

ფრიდმანისა და ვოლფის მოსაზრებით მზარდი პოლარიზაცია ამცირებს მთავრობის გადაწყვეტილებების სტაბილურობას, რის გამოც ეკონომისტები და ბიზნესმენები მიმართავენ სხვადასხვა გზებს იმისათვის, რომ დაიცვან საკუთარი თავები და ბიზნესები სარისკო მოქმედებებისაგან. ეს კი რა თქმა უნდა, მოქმედებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე. არსებობს სახელმწიფოები, რომლებშიც უთანასწორობამ განაპირობა ეკონომიკური ზრდის შემცირება. სწორედ ამიტომ, ინდივიდის უმნიშვნელოვანესი უფლება იყოს თანასწორი, სტაბილურობის განმაპირობებელი შეიძლება აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში შემცირდება პოლარიზაციის ხარისხიც მეტ-ნაკლებად და შემცირდება პოპულიზმის როლის ზრდა პოლიტიკურ პროცესში. კიდევ ერთი კარგი მაგალითი, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის მკვეთრი პოლარიზაციისა, არის უნგრეთი, სადაც არაკონსოლიდირებული დემოკრატიისა და პოლიტიკური პოლარიზების პირობებში, სწრაფად დაეცა ერთიანი შიდა პროდუქტის მოცულობა. ეკონომიკურმა ცვლილებებმა შესაძლოა წინ წამოწიოს შრომითი და სტრუქტურული საკითხები, მაგალითად, გასამრჯელოს განსხვავება და სხვ(Hamnet, C. 1993). ეს ის ელემენტია,

რომელიც მკვეთრი პოლარიზაციის განმაპირობებელი შეიძლება გახდეს. ამ საკითხის დაუკმაყოფილებლობისა და სწრაფი გადაწყვეტის გარეშე, პრობლემას შესაძლოა პოლიტიკური შედეგები მოჰყვეს მმართველი ძალისათვის. სწორედ აქ ჩნდება პოპულიზმი, რომელიც უშუალოდ ხალხის დამაიმედებელ როლს ასრულებს, თუმცა დღევანდელ პოლიტიკურ გარემოში მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების სასარგებლოდაა მიმართული.

საზოგადოებრივი პოლარიზაციის გამოძახილად და ეფექტად მიიჩნევს პოპულიზმს დჯავად სალეჰი, რომელიც ნაშრომში „სიღარიბე, უთანასწორობა და პოპულისტური პოლიტიკა ირანში“, საუბრობს ამ ორი ფენომენის ზრდის განმაპირობებელ ფაქტორებზე, მათ კავშირზე პოპულისტური ლიდერების მოსვლასა და წარმატებულობასთან დაკავშირებით ირანის პოლიტიკაში. ავტორმა შეისწავლა რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი სიტუაცია ირანში, მისი ეკონომიკა და სოციალური მდგომარეობა. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელ ფაქტორად, პირველ რიგში ნავთობი ითვლება, ამიტომ ნაშრომის დიდი ნაწილი მისი ფასების ზრდა და შემცირების მიზეზ-შედეგობრივი პროცესის კვლევას დაუთმო. თავის ვარაუდს ამყარებს ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით და შემოაქვს ყველა ის სტატისტიკური მონაცემი არგუმენტად, რომელიც იმ პერიოდების განმავლობაში შეინიშნებოდა. საბოლოოდ ასკვნის, რომ პრე და პოსტ რევოლუციური და ომების პერიოდის ირანში, უთანასწორობაზე მეტად სიღარიბე განაპირობებს პოპულისტური პოლიტიკის წარმატებულობას, რომლის შედეგიც 2005 წელს არჩევნებში მაჰმუდ აჰმადინეჯადის გამარჯვება იყო(Salehi, D., 2007.).

გლობალური ქალაქების სოციალურ პოლარიზაციაზე საუბრობს სასენი, თავის ნაშრომში, სადაც ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რამდენად განსხვავებული სახის მატარებელი შეიძლება იყოს ამერიკის დიდ და მულტიკულტურულ ქალაქებში სოციალური პოლარიზაციის ხარისხი და რამდენად შეიძლება არ შეესაბამებოდეს იგივე გლობალურად ქალაქებზე ჩამოყალიბებული ჰიპოთეზა სოციალური პოლარიზაციის შესახებ, მცირე და ერთეროვნულ საზოგადოებას. სასენის მსგავსად, საინტერესო მოსაზრება წამოაყენა კუზნეტმა. მისი შეხედულებით, მომუშავეთა უდიდესი უმრავლესობა ჭკვიანმა ტექნოლოგიებმა ჩაანაცვლა. სამუშაოზე მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილი და საჭირო უნარების მქონე მუშა ხელია დასაქმებული,

რომელთაც საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვთ, მაშინ, როდესაც ნაკლები უნარებისა და გამოცდილების მქონე მომუშავეებმა დაკარგეს სამუშაოები. ამის რეალური შედეგი მზრდადი უთანასწორობა და სოციალური პოლარიზაციაა. ვესლი ამავე ნაშრომში სოციალური პოლარიზაციის მნიშვნელოვან გამომწვევ ფაქტორად არა ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებს, როგორც ეს ბევრ შემთხვევაში ხდება და მათ შორის ამ ნაშრომში, არამედ უსახლკარობას, კრიმინალის ზრდას, სტიგმატიზაციასა და უმუშევრობას, რაც უთანასწორო გარემოს ქმნის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისათვის. უმუშევრობაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ სოციალური პოლარიზაცია განსხვავებულ კულტურებსა და ადგილებში განსხვავებულად გამოიხატება. სოციალური პოლარიზაცია წინაპირობებს ეფუძნება და რთულია მისი წინასწარმეტყველება(Wessel.T.).

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ნაშრომში პოლარიზაცია განხილული იქნება, როგორც პროცესი, რომელიც მიმდინარეობს გარკვეული მიზეზით და კონკრეტული შედეგების მისაღწევად. მიუხედავად საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური პოლარიზაციისა და პოპულიზმის ერთობლივი შესწავლის ნაკლებობისა, არსებობს რიგი ფაქტორები, რომელთა არსებობაც სწორედ მათი პირდაპირი ურთიერთკავშირის დანახვის საშუალებას გვაძლევს. მაგალითისათვის, შეიძლება გამოვიყენოთ ლათინური ამერიკის კვლევები პოპულიზმის ზრდასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია პოპულისტი ლიდერების წარმატებულობაზე სოციალურად და ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის აზროვნებასა და სურვილზე თავიანთი წვლილი შეიტანონ პოლიტიკურ პროცესებში.

II თავი: უცხოური გამოცდილება

ქართული პოპულიზმისა და სოციალური პოლარიზაციის მაგალითის სიღრმისეულად შესასწავლად ნაშრომში გამოყენებულია შემთხვევის შესწავლის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც განხილულია ევროპის ოთხი ქვეყანა, რომელშიც პოპულისტურმა პოლიტიკამ და პოპულისტურმა ლიდერმა განსაკუთრებული კვალი დატოვა და ქვეყანას მისცა მიმართულება კონკრეტული კუთხით განვითარებისათვის. ევროპული გამოცდილების განხილვა მნიშვნელოვანია გამომდინარე მომავლიდან, რომელსაც საქართველო უკავშირებს ევროპას, მის ღირებულებებსა და ფასეულობებს. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ევროპული ოჯახის წევრობა სურს, მნიშვნელოვანია სწორედ ამ ოჯახის წევრების პოპულიზმისა და სოციალური პოლარიზაციის ურთიერთკავშირის შესწავლა და მსგავსება-განსხვავების წარმოჩენა ქართულ მაგალითთან შესაბამისობაში. აღნიშნული ქვეყნები არჩეულია სხვადასხვა ეტაპის წარმატებული პოპულისტი ლიდერისა თუ პარტიის, შესაბამისად კი პოპულისტური პოლიტიკის მაღალი ხარისხის არსებობის მიხედვით.

ევროპული გამოცდილების შესასწავლად გამოყენებულ კრიტერიუმებზეა აგებული ნაშრომის შემდეგი თავი, რომელიც წარმოადგენს ქართული მაგალითის სწორად შესწავლას. საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდიდან დღევანდელ დღემდე, პოპულისტური მოძრაობები აქტუალურობას არ კარგავენ, რის გამოც სწორედ ეს პერიოდი იქნა შესწავლილი.

2.1. პოლონეთი

პოლონეთის ისტორიასა და პოლიტიკაში დიდი კვალი დატოვა სოლიდარობის სავაჭრო კავშირის პოპულისტმა ლიდერმა ლეხ ვალენსამ, რომელიც თავის თავს ხალხოსან ლიდერად ხედავდა. ზოგადად, პოპულისტური მოძრაობის აღმასვლა პოლონეთში 1990 წლიდან დაიწყო, საპრეზიდენტო არჩევნების დროს. გამომდინარე იქიდან, რომ ლეხ ვალენსა თავს ხალხის სამსახურში მყოფად მიიჩნევდა, მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა აბსოლუტურად შეესაბამებოდა პირდაპირიარჩევნების იდეას. იგი, როგორც მთელი ერის წარმომადგენელი,

კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა. მისთვის, ყველა მტერთან ასოცირდებოდა, ვინც კი ლიბერალური ტრანსფორმაციის წინააღმდეგ გამოდიოდა.მას, დემოკრატიული და ევროპული განვითარების გზის არჩევის გამო, ხშირად მოიხსენიებდნენ ნეოლიბერალ პოპულისტ ლიდერად(Weyland. K. 1999). ჯერ კიდევ, 1989 წლის აპრილში სოლიდარობამ მიაღწია შეთანხმებას დამოუკიდებელი პროფკავშირების ლეგალურად აღდგენის შესახებ. გარდა ამისა, ინტენსიურად დაიწყო სხვადასხვა ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემა, რაც სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკის დასასრულს წარმოადგენდა(ჟორჟოლიანი, გ. 2001). ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ხალხოსნური რიტორიკა და ნდობის უმაღლესი ხარისხი, გახდა მიზეზი საბოლოოდ, ლეხ ვალენსას პრეზიდენტად არჩევისა, მიუხედავად იმისა, რომ მის ოპონენტ, ტიმინსკის ხალხის დიდი მხარდაჭერა ჰქონდა და საკმაოდ წარმატებული იყო პოლიტიკაში.

ლეხ ვალენსა, ხშირად დაუფიქრებელი და პირდაპირი ტონით გამოირჩეოდა, როდესაც საქმე მისთვის უმნიშვნელო ან მხოლოდ ინსტრუმენტული მნიშვნელობის მქონე საკითხს, ანუ პარტიებს შეეხებოდა. მას შემდეგ, რაც ახალმა ინსტიტუტებმა და შესაბამისად, პარტიებმა მისი ძალაუფლება შეზღუდეს, იგი აშკარად გამოვიდა ამ ინსტრუმენტების წინააღმდეგ(Lepper. A. 2005). მისთვის, როგორც მემარჯვენე პოპულისტი ლიდერისათვის, უმთავრესი მნიშვნელობის მატარებელი იყო დაპირებები, რომელიც შეეხებოდა რელიგიას, ტრადიციებსა და სოლიდარობას. ტრადიციები იყო ის ერთადერთი, რომლის მეშვეობითაც პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში და განსაკუთრებით პოლონეთში შეიძლება მობილიზება მოგეხდინა როგორც მემარცხენეების, ისე მემარჯვენეების. მას ჰქონდა უდიდესი ქარიზმა, რომელსაც პოპულიზმთან ერთად იყენებდა, როგორც სტრატეგიად, მიმართულს ხალხის გულების დასაპყრობად. მიუხედავად, ლეხ ვალენსასადმი უდიდესი მხარდაჭერისა, არსებობდა სხვადასხვა სოციალური მოძრაობები, რომლებიც უშუალოდ ხალხის სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემატიკაზე იყვნენ ორიენტირებულნი, შესაბამისად კი, პარტიის პოლიტიკურ პროგრამასაც ამ გზით წარმართავდნენ, თუმცა მათ ვერ შეძლეს კონკრეტული მიზნის მიღწევა მაშინ, როდესაც საზოგადოება ხედავდა ლეხ ვალენსას ბრძოლას კომუნიზმის წინააღმდეგ და მაშინ, როდესაც იგივე საზოგადოება რეალურ შედეგს ნახულობდა. მსგავსი

პარტიების პროგრამებში აშკარა იყო პოპულისტური რიტორიკა, რომელიც ამ პარტიებს ათქმევინებდა, რომ ხალხის სახელით მოქმედებდნენ.

კომუნისტური გადმონაშთის მქონე ქვეყანაში, მნიშვნელოვანი სიმბოლური და ისტორიული როლი ჰქონდა სოლიდარობის მოძრაობას და ხალხს, ანუ ნაციას, თუმცა ქვეყნის ახალ რელსებზე დაყენება და გარდაქმნა მოითხოვდა რიგი ცვლილებების განხორციელებას, რომელსაც მოჰყვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემები, რის გამოც სიმბოლოები და ისტორიული მოვლენები მხოლოდ პოპულიზმის იარაღად გადაიქცა.პოლონური პოპულიზმი ეხმიანება ისტორიულ დაყოფას, რომელსაც საზოგადოებაში ღრმად აქვს ფესვები გამდგარი(Wysocka,O.,2009). პოლონეთი, ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოა, სადაც საკმაოდ მკვეთრად იდგა საკითხი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის მეშვეობით ჩამოყალიბებული სოციალური პოლარიზაციის შესახებ, თუმცა ამ პერიოდისათვის, ქვეყნის წინაშე მდგარმა პრობლემებმა სოციალური პრობლემების თემატიკა უკანა პლანზე გადასწია, წინ კი ეროვნულ პათოსზე ჩამოყალიბებული დაპირებები წამოსწია.

შესაძლოა ითქვას, რომ მიუხედავად მაღალი სოციალური და პოლიტიკური პოლარიზაციისა, ამ პერიოდის პოლონეთში, ისევე, როგორც საქართველოში კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აჭარბებს ყველანაირ პრობლემას, შესაბამისად, ლიდერები, რომლებიც ამ მიზნის მისაღწევად იბრძვიან, აშკარა წარმატებითა და ნდობის ხრისხით სარგებლობენ საზოგადოების უმრავლესობაში. დაწყებული პროფკავშირების პრობლემით, და დასრულებული ლიბერალური დემოკრატიისა და კეთილდღეობის სახელმწიფოდ ქცევის სურვილით, ვალენსამ საზოგადოების უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვა, ამას კი თან ერთვოდა ეროვნული სულისკვეთება, რომელიც სრულიად პოლარიზებულ საზოგადოებას ერთ მუშტად კრავდა. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მან გაიმარჯვა არჩევნებში, თუმცა მას შემდეგ რაც კომუნიზმის საფრთხემ ჩაიარა, ეროვნული სუვერენიტეტი საფრთხის წინაშე აღარ იდგა, საზოგადოების სოციალურმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა იჩინა, თავი რაც მიზეზი გახდა შემდგომ არჩევნებში კომუნისტური პარტიის ლიდერთან დამარცხებისა(Skolkay, A. 2000).

2.2. ავსტრია

მნიშვნელოვანი სახელმწიფო, რომელშიც პოპულიზმის საკმაოდ მაღალი ხარისხი არსებობდა ავსტრიაა, რომლის პოლიტიკურ სისტემაში მოღვაწეობდა ერთ-ერთი წარმატებული პოპულისტი ლიდერი, ჰაიდერი. ავსტრიული პოპულიზმი გაცნობიერებულია პოლიტიკური მობილიზაციის საშუალებასთან(Betz, H. G. 2002). 1990-იან წლებში მისმა პარტიამ „თავისუფლება“ მიიღო უდიდესი შესაძლებლობა გამოსულიყო არაეფექტური მთავრობის წინააღმდეგ, ამ გზით გამხდარიყო ქვეყანაში მთავარი კონკურენტუნარიანი პარტია და მოეპოვებინა ხალხის დიდი მასების სიმპათია. პარტიამ შექმნა კლიმატი, რომლისთვისაც პოპულისტური აგიტაცია მხოლოდ და მხოლოდ მისაღები ფორმა გახდა საქმიანობისა. პარტიის უდიდესი გავლენა ასევე დიდ გამოძახილს ჰპოვებდა სხვა პარტიებსა და ლიდერებში. სოციალ-დემოკრატებისთვისაც კი საჭირო გახდა 1996 წელს, რომ კანცლერობის კანდიდატად გამოეყვანათ ტელეგენური მენეჯერი, ვიქტორ კლიმა, რომელიც ჰაიდერის წინააღმდეგ იბრძოლებდა. ჰაიდერის ფენომენის შექმნაში დიდი როლი ითამაშა მედიამ, რომლისთვისაც იგი ტიპიური პოლიტიკოსისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. ჰაიდერმა, თავისი პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობა 5 %-იდან 26%-მდე გაზარდა, 1983-1999 წლებში(Betz, H. G. 2002). პარტია აერთიანებდა ძირითადად, საშუალო კლასის წარმომადგენლებს, მათ შორის დაწყებული ანტი-კლერიკალური ლიბერტარიანელებით, გაგრძელებული აკადემიკოსებითა და დასრულებული პან-გერმანული ნაციონალისტური ჯგუფებით. პარტია „თავისუფლება“-მ 52 ადგილი მოიპოვა ავსტრიის პარლამენტში 1999 წელს სოციალურ დემოკრატებთან ერთად(Albertazzi, D. &Macdonnell, D. 2008).

ჰაიდერმა, როგორც პოპულისტურმა ლიდერმა დიდი როლი ითამაშა ავსტრიულ პოლიტიკაში. მას ჰქონდა დიდი გავლენა და ზემოქმედების უნარი. 1992-1995 წლებში მისმა ლიდერობამ პარტიის ინსტიტუტები შეასუსტა და ყურადღების ცენტრი ლიდერის უნარებსა და მნიშვნელობაზე გადაიტანა(Albertazzi, D. &Macdonnell, D. 2008). მას შემდეგ რაც, მისი პარტია მმართველი კოალიციის წევრი გახდა, არ დაუმალავს ამბიცია გამხდარიყო კანცლერი, გარდა ამისა, მიუხედავად ხშირი დარტყმებისა, რომლის ატანაც პარტიას უწევდა მის გამო, იგი მაინც თანხმდებოდა, ვინაიდან სწორედ მსგავსი პოლიტიკა ინარცუნებდა მათ, როგორც პარტიას პირველ საფეხურზე. პარტია სულ უფრო მეტად ცენტრალიზებული

ხდებოდა, რაც გამოწვეული იყო პარალელურად მიმდინარე ჩვლილებებით, რომელიც განპირობებული იყო ჰაიდერისა და პარტიის სხვა წარმომადგენლების აზრობრივი უთანხმოებით. ჰაიდერის მმართველობის პერიოდში მოქმედებდა პრაგმატული მიმართულების იდეოლოგიური კურსი, რომელიც ყურადღების ცენტრში აქცევდა საშუალო კლასს, რომელსაც არწმუნებდა უსარგებლო და კორუფციული სისტემის არსებობაში. 1997 წლის ახალი პარტიული პროგრამით წარდგა ჰაიდერი, სადაც ყურადღების ცენტრი ქრისტიანულ ევროპასა და იდენტობაზე იყო გადატანილი. მზარდი შიდა პარტიული დაპირისპირების გამო, პარტიამ სულ მალე დაიწყო რეპუტაციისა და სანდოობის დაკარგვა. ამ ფაქტორმა, ჰაიდერს ბიძგი მისცა ეფიქრა ახალი რევოლუციის დაწყებაზე ნაციონალური პარტიის ლიდერების წინააღმდეგ, რომელსაც პასუხად მოჰყვა 2002 წლების ნოემბრის არჩევნები. არჩევნებში წარმატება კონსერვატორებმა მოიპოვეს, ჰაიდერის პარტიის მხარდაჭერის რიცხვი 10%-მდე დაეცა. ჰაიდერისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ პარტიის შიგნით არსებული ჯგუფები, რომელთაც ჰაიდერი და მისი მომხრეები აიძულეს წასულიყვნენ პარტიიდან 2004 წლის 4 აპრილს(Albertazzi, D. &Macdonnell, D. 2008). ეს იყო იდეოლოგიური დაპირისპირება ულტრა-მემარჯვენეებთან. ჰაიდერმა, შემდგომში შექმნა ახალი პარტია, რომლის რიტორიკაც კვლავ ხალხის დიდი მასების სიმპათიას იმსახურებდა. მისი რიტორიკა იმდენად ძლიერი იყო, რომ მცირედი მოქმედებაც კი მიმართული ჰაიდერის წინააღმდეგ აუცილებლად პოვებდა ზეგავლენას მომიჯნავე ქვეყნებში. ჰაიდერის ამ თვისების გამო, ევროკავშირმა მის წინააღმდეგ რიგ ღონისძიებებს მიმართა. ევროკავშირისათვის მემარჯვენე ექსტრემისტული და რადიკალური ძალების მოძლიერება ავსტრიაში, ნიშნავდა მომიჯნავე ტერიტორიებზე ქაოსის გამოწვევასა და მსგავსი პარტიების გაძლიერებას(Betz, H. G. 2002).ჰაიდერის პარტიამ განაგრძო მტკიცე თანამშრომლობა სამთავრობო პარტიასთან. 2005 წლის 23 ოქტომბრის არჩევნები იყო უმნიშვნელოვანესი გამოცდა ორივე პარტიისათვის. ამ არჩევნებისას პარტია თავისუფლებამ შეძლო 15 % მხარდაჭერის მიღება, რაც მკვეთრად აღემატებოდა ჰაიდერის პარტიის მაჩვენებელს(Albertazzi, D. &Macdonnell, D. 2008).

ჰაიდერი იყო ლიდერი, რომელიც ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა. მას საუკეთესოდ შეეძლო საკუთარი თავის წარმოჩენა ხალხის წარმომადგენლად და

გულშემატკივრად. მისი წარმატება იყო პოლიტიკური სტრატეგიის ნაწილი. იგი უბადლოდ ფლობდა ხალხის დარწმუნების ტექნიკას და ბოლო პოზიციებზე მდგომსაც კი შეეძლო ეთქვა ისეთი რამ, რაც ყურადღების ცენტრში მოაქცევდა. პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად ხშირად საუბრობდა იმიგრაციისა და მულტიკულტურალიზმის საკითხებზე. ზოგადად, რადიკალური მემარჯვენეები არ ინტერესდებიან კულტურულად და ეთნიკურად ჰომოგენური საზოგადოების შექმნით, თუმცა ავსტრიისათვის ეს საკითხები არასოდეს კარგავს აქტუალურობას. აღსანიშნავია ასევე, უმუშევრობის მცირე მაჩვენებელი, რომელიც საზოგადოებას უფრო მეტად პოლიტიკურად ყოფს, ვიდრე სოციალურად და ეკონომიკურად. რა თქმა უნდა, აქაც არსებობს უქონელი მასები, საშუალო ფენის წარმომადგენლები და მდიდარი ელიტა, თუმცა პოპულიზმის გავლენა სოციალურ საკითხთა პირდაპირ წრეზე არ გადის.

ჰაიდერისათვის პოპულიზმი დემოკრატიის ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა. მთავარი სლოგანიც რიგი რადიკალური მემარჯვენე პარტიებისა, სწორედ პოპულისტურია, სადაც ძირითად ასპექტს ხალხისათვის ხმის მიცემის უფლების დაბრუნება წარმოადგენს. ავსტრიული დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი გამოცდა კორუფციის აღმოფხვრაა, რომელიც არც ისე მარტივია.

2.3. საფრანგეთი

საფრანგეთი ერთ-ერთი ყველაზე მეტად იდეოლოგიზირებული ქვეყანაა, რომლისთვისაც სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე ნაცნობია უამრავი ბრძოლა დემოკრატიული მმართველობისა და კეთილდღეობისათვის. მასში, ისე როგორც არცერთ ქვეყანაში, არის მეამბოხე სული, რომელიც სახელმწიფოებრივი კეთილდღეობის მოპოვების სურვილითაა განმსჭვალული. ქვეყანას ახსოვს უამრავი მოძრაობა, რომელსაც განსხვავებული საფუძველი ჰქონია, თუმცა მიზანი ერთი. უმეტესად, ამ მოძრაობებს პოპულისტური ლიდერები იყენებენ სამთავრობო

პოზიციების მოპოვებისათვის. ფრანგული პოპულიზმი ბევრისათვის, ხალხისათვის წართმეული ძალაუფლების დაბრუნების დამაიმედებელი პირობაა, ბევრისათვის კი მხოლოდ ლიდერსა და ხალხს შორის არსებული ყველანაირი საზღვარის ნგრევის საშუალება(Mayer, N.2017).

ფრანგული პოპულიზმის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ჟან-მარი ლე პენი, რომელიც საკუთარ წარმომავლობაზე აპელირებით, საზოგადოების უმრავლესობის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. მისი წარმატება ფრანგულ პოლიტიკაში განპირობებულია სწორედ, მისი გამოცდილებით, რომელიც ღარიბ, მოშიმშილე და სიცივეში მყოფ ხალხთან და მათ განწყობებთან აკავშირებდა და ამასთანავე, აახლოებდა. მისი მომხრეთა რიცხვი და სეგმენტი სხვადასხვა საარჩევნო პერიოდში მკვეთრად განსხვავდებოდა, მოიცავდა გლეხებსა და ფერმერებს, დამოუკიდებელ საშუალო კლასს და ასევე მუშათა კლასს, რომელთაც ლურჯსაყელოიანებს უწოდებენ, თუმცა საბოლოო ჯამში, მის მომხრეთა უმრავლესობას წარმოადგენდა გაუნათლებელი ადამიანები, რომელთაც მხოლოდ მარტივი წინადადებებისა და დაპირებების აღქმა შეეძლოთ.მუშათა კლასის მაღალი მხარდაჭერის გამო, იგი მემარცხენე პოპულისტად მიაჩნდათ, თუმცა მისი იდეოლოგიური მიკუთვნებულობა მემარცხენეობისაგან შორს იყო. საფრანგეთში მემარჯვენე ფრთის პოპულიზმის წარმატება და აღმასვლა დაიწყო 1983-84 წლებში, როდესაც პირველად, ლე პენის პარტიამ 16,7% დააგროვა. ეს პირველი დიდი წარმატება იყო პარტიისათვის, რომელიც 1972 წელს იქნა დაარსებული. ამ პერიოდიდან ბრძოლა ძალაუფლებისათვის გახდა უპირატესი მნიშვნელობის. ლე პენის მხარდაჭერა სულ უფრო იზრდებოდა და ეს მხარდაჭერის მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2002 წლის აპრილის საპრეზიდენტო არჩევნებზე, როდესაც მისადმი მხარდაჭერამ 16,9%-ი შეადგინა(Albertazzi, D. &Macdonnell, D. 2008). ელიტის წინააღმდეგ მიმართული კამპანია ფართოდ იქნა გაზიარებული ამომრჩეველთა მიერ, რამაც საერთო წარმატება მოუტანა ლე პენს(Mayer, N.2017).

ლე პენისა და მისი პარტიის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია იმ ფაქტორებზე, რომელზეც ხშირად აპელირებენ, კერძოდ კი, ქსენოფობიაზე, ეთნონაციონალიზმსა და პოლიტიკურ უკმაყოფილებაზე. მის დაპირებებში

ყურადღება მახვილდება ფრანგულ ნაციაზე და მის კულტურულ, ისტორიულ და პოლიტიკურ წარსულზე, იმაზე თუ როგორაა შესაძლებელი ამ ნაციის გამოყვანა ეკონომიკური სიდუხჭირიდან, მის დაპირებებში საუბარია პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობასა და საემიგრაციო პოლიტიკაზე, რომელიც ფრანგული ეთნოსის თუ ნაციის დაცვის მექანიზმი იქნებოდა. მისი და მისი პარტიის შეხედულებით, ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად საჭიროა სხვადასხვა ხალხების განსხვავებულ გარემოში ცხოვრება. ლე პენის პარტიის მთავარი სლოგანი ამ პერიოდში იყო „ფრანგები უპირველეს ყოვლისა“. 1990-იანი წლებიდან, მისი პარტიის ფოკუსი შეიცვალა და კეთილდღეობის მიღწევა გახდა უპირველესი მიზანი(Albertazzi, D. &Macdonnell, D. 2008). მიზნის შეცვლა შესაბამისად, საზოგადოების განწყობების შეცვლამ განაპირობა. საზოგადოებისათვის, რომელიც უმუშევრობის ერთ-ერთი დიდი პროცენტული რაოდენობით გამოირჩეოდა, მატერიალური კეთილდღეობა, უფრო პრიორიტეტული იყო, ვიდრე აბსტრაქტული და მემარჯვენე ტიპის დაპირებების გაცემა. სწორედ ამის გამო, ლე პენი ხშირად შეურაცხავთ მემარცხენე პოპულისტად ღარიბი, უბრალო ხალხის, მუშათა კლასის სწრაფად მობილიზებისა და მისდამი დიდი მხარდაჭერის გამო, თუმცა იგი ულტრანაციონალისტია, პოპულისტური პროგრამით დახუნძლული. ეს არის ლიდერი, რომელიც ხალხისათვის პოპულარული იდეებით გამოდის. მის მთავარ დაპირებათა შორისაა საემიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებაა, რომელიც ხელს შეუშლის არალეგალი და ქვეყნის მტრების მომრავლებას ქვეყნის შიგნით. მსგავსი დაპირება, გამომდინარე მუდმივი დაძაბულობიდან, რომელიც არსებობს საფრანგეთში, დიდი წარმატებით სარგებლობს მოსახლეობის უმრავლესობაში. ლე პენის პრიორიტეტებია რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება და ევროკავშირიდან გამოსვლა, ვინაიდან სწორედ მან ვერ განაპირობა საფრანგეთის ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობა. 1980-იან წლებში არსებული დამოკიდებულება, რომელიც ევროკავშირისადმი მიმხრობას გულისხმობდა, 1990-იან წლებში მკვეთრად იყო მიმართული ევროკავშირის წინააღმდეგ. ევროკავშირის ლანძღვა და იქიდან გამოსვლის დაპირება, სხვა ევროპული პოპულისტური და მემარჯვენე პარტიების მსგავსად მოდური გახდა. ქვეყანაში არსებული მაღალი უმუშევრობის დონისა და დაბალი ხელფასების გამო, მოსახლეობის უკმაყოფილება

სულ უფრო იზრდებოდა. სწორედ ამ ფაქტორმა, განაპირობა მხარდაჭერის მაღალი ხარისხი ლე პენის დაპირებებისადმი. ლე პენის დამოკიდებულება ელიტის წინააღმდეგ, ხშირად გამხდარა მიზეზი მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერისა.

რაც ყველაზე მანიშნებელია, არის ის, რომ მოსახლეობის განწყობები და დამოკიდებულებები ერთგვაროვნად უარყოფითია ფრანგული პოლიტიკის სტაბილურობისადმი და ასევე, ძალიან მცირეა ნდობის ხარისხი. 1978 წლიდან 1997 წლამდე საზოგადოების უნდობლობის ხარისხი 62%-დან 80%-მდე გაიზარდა, თუმცა უკვე 1999 წლიდან ამ რაოდენობამ 57% შეადგინა(Albertazzi, D. &Macdonnell, D. 2008). საზოგადოების მხოლოდ 7 %-ი ინტერესდება და პატივს სცემს პოლიტიკას და პოლიტიკოსებს(Albertazzi, D. &Macdonnell, D. 2008). ამ უნდობლობის მიზეზი გამუდმებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტა პარტიებსა და სხვა ინსტიტუტებს უჭირთ. ამ მიზეზის გამო, ბევრმა სტაბილურმა ამომრჩეველმა შეწყვიტა ხმის მიცემა. გარდა ამისა, ხალხმა გააანალიზა ეკონომიკური პრობლემების სიღრმე საფრანგეთში და აღარ სჯერა მარტივი და პოპულისტური, ყველასათვის პოპულარული გადაწყვეტილების გამოტანის და ალტერნატივის არჩევის, რომელიც მარტივად გადაუჭრით ყველა ეკონომიკურ პრობლემას(Mayer, N.2017).

საბოლოოდ, საზოგადოების სოციალურმა პოლარიზაციამ გამოიწვია მემარჯვენე პოპულისტური პარტიისა და მისი ლიდერის საარჩევნო პროგრამის დატვირთვა მემარცხენე იდეებით. საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემათა მატების მეშვეობით, ყალიბდებოდა სოციალური პოლარიზაცია, რომელიც უშუალოდ განაპირობებდა საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში, საზოგადოების უმრავლესობისათვის პოპულარული იდეების წინ წამოწევას.

2.4. უნგრეთი

უნგრეთის ისტორიისა და პოლიტიკური სისტემისათვის არ არის უცხო პოპულისტური პოლიტიკის და პოპულისტური მოძრაობების არსებობა. ეს ქვეყანა

არის მაგალითი იმისა თუ როგორ შეიძლება იყოს დემოკრატიის თანმდევი მოვლენა, პოპულიზმი, წარმატებული ნებისმიერი მმართველობისა და იდეოლოგიის მქონე სახელმწიფოში. ქვეყანაში პოპულიზმის აღმავლობა რეაქციის ხასიათს ატარებდა იმ გარემო პირობების გავლენით, რომელში არსებობაც უწევდა. პოპულიზმი უნგრეთის კულტურის ნაწილს შეადგენდა დიდი ხნის განმავლობაში, თუმცასხვადასხვა ეტაპებზე წარმოშობილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, რომელსაც ახლდა გამუდმებული სოციალური უკმაყოფილება, შეძლო უნგრეთის პოლიტიკურ სისტემაში პოპულისტური პოლიტიკის გავლენის ზრდა.

კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნის სურვილმა უნგრეთი დემოკრატიულ სახელმწიფოდ აქცია. აქ დემოკრატიის განვითარებას თან ახლდა პოპულიზმის აღმავლობაც, ვინაიდან ხალხისათვის მნიშვნელოვანი და პოპულარული იდეების წინ წამოწევა და განხორციელება, მხარდაჭერის მაღალ დონეს მოითხოვდა. სწორედ ამის გამო, პარტიები ცდილობდნენ ხალხისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე აპელირებით მოეპოვებინათ ამომრჩეველი. 1989-90-იან წლებში, უნგრელებს სურდათ დემოკრატია, რომელიც მოიტანდა ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკას, ხელს შეუწყობდა დემოკრატიული პოლიტიკური საზოგადოების, ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებასა და ბოლოს, ევროპასთან შეერთებას.სისტემურმა ცვლილებებმა განაპირობა ღრმა სოციალური კრიზისები, რომელსაც მკვეთრად პოლარიზებული საზოგადოების არსებობა ერთვოდა. სპონტანური ეკონომიკური ტრანსფორმაციის და კრიზისის მენეჯმენტის კომპლექსური შედეგი იყო ის ნეგატიური ეფექტები, რომელიც გამოიწვია მან საზოგადოებაში: მაღალი უმუშევრობა, ღარიბი უნარ-ჩვევები ან განათლების დონე, ცხოვრების დაბალი ხარისხი, ასაკოვანი ადამიანების რაოდენობა და მდარე, სუსტი ინფრასტრუქტურა. ამ ფაქტორებმა 10-15 %-ი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისა გააძევა ბაზრიდან, უმუშევართა ეს საზოგადოება მსოფლიო ბაზარზე აღარ დაბრუნებულა(Bozaki, A.2012.).

უნგრეთისათვის დემოკრატია კეთილდღეობასთან ასოცირდებოდა და იმდენად უნდოდათ ამ მმართველობის დამყარება, რამდენადაც ხედავდნენ დემოკრატიული ქვეყნების სიმდიდრეს, თუმცა აღმოჩნდა, რომ დემოკრატიას არანაირი ღირებულება არ აქვს საზოგადოებაში, რომელიც მშიერია და

გადარჩენისათვის იბრძვის. უნგრული საზოგადოებისათვის მყარი ეკონომიკური მდგომარეობა და ზოგადად, კეთილდღეობა უპირატესი მნიშვნელობისაა, რის გამოც კიდევ ერთი მკვეთრად ფრაგმენტირებული და პოლარიზებული, ნაკლებ ინტეგრირებული საზოგადოებით ხასიათდება. ამ პერიოდში არსებულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა სიტუაციამ, განაპირობა საზოგადოების მკვეთრი პოლიტიკური პოლარიზაცია მემარჯვენეებად და მემარცხენეებად, რომელთა ღირებულებებიც განსხვავდებოდა პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხებზე. მემარცხენედ ითვლებოდა სოციალისტური პარტია, რომელიც ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას, ადამიანის უფლებებსა და ეკონომიკურად ლიბერალურ თავისუფალ დემოკრატიას უჭერდა მხარს. მეორე მხარეს მემარჯვენეები წარმოადგენდნენ, რომელთა მთავარი ღირებულებები ტრადიციულად მორალურობაში, რელიგიურობასა და ეთნო ნაციონალიზმში მდგომარეობდა. მემარჯვენეებს წარმოადგენდნენ მოდერნიზებული და რადიკალური ნაციონალისტები და ასევე, კონსერვატორები. მათ რიცხვში შედიოდა უნგრეთის დემოკრატიული ფორუმი, ფიდესზი, რადიკალური ნაციონალისტური MIEP, Jobbik და MDF(Palonen. E. 2009).

1998-2002 წლებში კოალიციურმა მთავრობამ ვიქტორ ორბანის მეთაურობით შექმნა შესაძლებლობა კონსოლიდირებული დემოკრატიისა, თუმცა ეს არ გულისხმობდა პოპულიზმისა და მისი განმაპირობებლი პოლარიზაციის შემცირებას. პირიქით, კონსოლიდირება, სულ უფრო მაღალი პოპულისტური პოლიტიკისა და ამასთანავე, მკვეთრი პოლარიზაციის ფონზე ხდებოდა. ქვეყანაში გამუდმებული პრობლემების არსებობამ და მათი გადაწყვეტისათვის ხალხის გამუდმებულმა ბრძოლამ ქვეყანა კონსოლიდირებულ დემოკრატიად აქცია. რეჟიმმა ვერ განახორციელა ის დაპირებები, რომლითაც საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება შეძლო. იგი, ამის გამო განიხილებოდა, როგორც კორუფციული. 1998 წელს ორბანმა იგრძნო, რომ დრო იყო გაეტარებინა რიგი ცვლილებები ძალაუფლებით სტრუქტურებში და შეეცვალა ელიტები. ორბანს სჯეროდა, რომ საუკეთესო გზა იქნებოდა, რომ ორ ძალაუფლების მქონე ოლიგარქიულ სტრუქტურას შეჯიბრების საშუალება მისცემოდა. მან შესაძლებელი გახადა ორგანიზება გაეწია და შეექმნა ეკონომიკური და სოციალური ბაზა ელიტებისათვის. 2004 წელს უნგრეთი

შეუერთდა ევროკავშირს, თუმცა არაკონსოლიდირების ელემენტები 2006 წელს კვლავაც გამოჩნდა, რამაც გამოიწვია ერთიანი შიდა პროდუქტის რაოდენობის ვარდნა(Bozaki, A. 2012).

ვიქტორ ორბანი ფიდესზ-ის ლიდერი და პრემიერ-მინისტრია. მისი პარტია მიიჩნეოდა პირველად, რომელმაც შეძლო ოპოზიციასთან თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება. მისმა მთავრობამ დააბალანსა არსებული პოლიტიკური დაყოფა, თუმცა საზოგადოებაში, კვლავაც რჩებოდნენ ერთის მხრივ, ორბანის მხარდამჭერები და მეორეს მხრივ, ორბანის მოწინააღმდეგეები. 2002 წლის არჩევნებში ორბანმა ვერ შეძლო ძალაუფლების სათავეში მოსვლა. 2002 წელს პრემიერ მინისტრ პეტერ მედგესიმ, რომელმაც თავისი მთავრობის უმნიშვნელოვანეს საკითხთა ნუსხაში შეიტანა საზოგადოების სოციალური პრობლემები, რითაც საზოგადოების მხარდაჭერა მოიპოვა. ორბანმა ამ მარცხის ახსნა პოპულისტური მითოლოგიის მეშვეობით სცადა.

მიუხედავად იმისა, რომ 2002 წელს ორბანმა წააგო არჩევნები, იგი რჩებოდა პარტიის ლიდერად და ცდილობდა თავისი გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას, რომელთა შორისაცაა: სოციალური ინტეგრაციის ახალი კურსის განხორციელება და უნგრული პოლიტიკის პოლარიზაცია. ეს ის მნიშვნელოვანი საკითხები იყო, რომლითაც შეეცდებოდა მმართველობის დაბრუნებას. საბოლოოდ, 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგად, ორბანმა შეძლო კვლავ გაეერთიანებინა პოლიტიკური ცენტრი პოპულიზმის საფუძველზე და 2010 წლის ახალ პარლამენტში მოსვლით, დაებრუნებინა ძალაუფლება.

2010 წლის არჩევნებში ფიდესზმა მიიღო 53%-ი მხარდაჭერა, რომლითაც შეძლო პარლამენტში 2/3-ი ადგილების მიღება(Bozaki, A. 2012). მან მიიღო შესაძლებლობა, რომ შეეცვალა ძირითადი კანონი ხმათა უმრავლესობით, მათ შორის კონსტიტუციაც. ხალხის მხარდაჭერით ორბანმა აიღო ვალდებულებდა ძირეული პოლიტიკური ცვლილებების გატარების. ცენტრალური ადგილობრივი ადმინისტრაციები სულ უფრო პოლარიზებულები გახდნენ, ყველა წამყვანი პოზიცია ორბანის პარტიის წარმომადგენლებსა და მხარდაჭერებს ეკავათ. მან გამოიყენა ახლად მიღებული სამთავრობო პოზიციები, რათა მედია მიესაკუთრებინა და

პროორბანული გაეხადა. მედიის თავისუფლება მკაცრად შეზღუდულია. მიუხედავად მცდელობისა, უნგრეთს 2013 წელსაც კი აქვს მრავალპარტიული დემოკრატია, თუმცა არა შეჯიბრებითი, არამედ არალიბერალური, მისი პოლიტიკური, მედია და სასამართლო სისტემის გამო(Palonen, E. 2009).

საბოლოოდ აღსანიშნავია, რომ უნგრული პოპულიზმისათვის დამახასიათებელია სიმარტივე და მოქნილობა. აქ პოპულიზმის წარმატებულობას, განაპირობებს არა დემოკრატიულობის ზრდა, არამედ საზოგადოების სოციალური უკმაყოფილების ხარისხი, ვინაიდან ავტორიტარული რეჟიმის პირობებშიც კი საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის შესახებ დაპირება აღმოჩნდებოდა უმეტესად, პოპულისტი ლიდერების ან პოპულისტური პოლიტიკის წინ წამოწევის განმაპირობებელი. სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ უნგრულ პოლიტიკაში პოპულიზმის ზრდას საზოგადოების მუდმივი დაუკმაყოფილებლობა, სოციალური პოლარიზაცია და ამასთანავე, კეთილდღეობისაკენ სწრაფვა განაპირობებდა. გარდა ამისა, პოპულიზმის ზრდას განაპირობებდა პოლიტიკური პოლარიზაციაც, რომელიც უფრო მეტად ერთპიროვნული მმართველობისაკენ იყო მიდრეკილი, ვიდრე მრავალპარტიული და შეჯიბრებითი დემოკრატიისაკენ.

ატილა აგჰის აზრით, თუ უქონელი მასების მოთხოვნები მიიღებს მზარდ პოლიტიკური წარმომადგენლობის ფორმას, ამან შეიძლება ეკონომიკური ქაოსი გამოიწვიოს საზოგადოებაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში პოპულისტური დემოკრატიის გამომწვევია. გამომდინარე ქვეყანაში არსებული მერყევი დემოკრატიისა, 1990-იანების ბოლოსაც კი უნგრელი მოსახლეობის უმრავლესობა ეკონომიკურად მარგინალიზებული, თუმცა პოლიტიკურ წარმომადგენლობას მოკლებული იყო(Agh. Attila). რაც შეეხება უნგრეთში არსებულ სოციალურ პოლარიზაციას, სწორედ ეს იყო მიზეზი მის პოლიტიკაში პოპულიზმის შემოსვლისა და შესაბამისად, მისი როლის ზრდისა.

IIIთავი. საქართველოს მაგალითი

3.1.პოლარიზაციის გავლენა პოპულიზმზე საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან დღემდე-ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, პოსტ-საბჭოურმა იმედგაცრუებამ და გაბატონებული იდეოლოგიის შიშმა, მემარცხენე ტიპის პარტიები და მოძრაობები პოლიტიკური არენიდან გააქრო, თუმცა მიუხედავად ამისა, ქვეყანაში პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალი ხარისხი ყოველთვის შეინიშნებოდა. 1990-იანი წლების დასაწყისში არსებულ სიტუაციას მასობრივი ისტერიის ხანას უწოდებს სტივენ კინგი(კინგი.ს.2012). ეს პერიოდი საზოგადოებისათვის ახალი იმედის, ლიბერალური ღირებულებებისა და თავისუფლების მოლოდინს წარმოადგენდა.ამ დროისათვის არსებული 130 პარტიიდან უმრავლესობა მხარს უჭერდა ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობას, საბაზრო ეკონომიკასა და დემოკრატიას(კინგი.ს.2012). საზოგადოება და მათი დამრაზმელები ეროვნული პათოსით იყვნენ გამსჭვალულნი, თუმცა ეს პარტიები იდეოლოგიური საფუძვლებიდან იშვიათად გადადიოდნენ. რაც ყველაზე მთავარია არსებობდა მკვეთრი პოლიტიკური პოლარიზაცია, რომელიც იდეოლოგიურ ანუ შინაარსობრივ განსხვავებებთან ერთად განპირობებული იყო ტექნიკური სახის საკითხებზე შეუთანხმებლობით. პოლიტიკურ სივრცეში დიდი ადგილი ეკავა „შეურიგებელ“, ეროვნული სულის, ემოციურ ახალგაზრდობას, რომელიც დაპირისპირებაში მოდიოდა „ზომიერებთან“, რომელთა აზრითაც, ნაჩქარევი და ემოციური ნაბიჯი, მხოლოდ და მხოლოდ უარყოფით უკუკავშირს გამოიწვევდა(კინგი.ს.2012). საბოლოო ჯამში, საზოგადოება მზად იყო ტოტალიტარული რეჟიმი დემოკრატიულით შეეცვალა. იგი მზად იყო ცვლილებებისათვის. ერთ-ერთი ლიდერი, რომელმაც ხალხის ნება-სურვილზე აპელირებით და პოპულისტური გამოსვლებით მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა მოიპოვა, იყო ზვიად გამსახურდია. მიუხედავად მისი დიდი სურვილისა და ეროვნული სულისკვეთებისა, მისმა მთავრობამ შეძლო მასების დიდი მხარდაჭერის მობილიზება, თუმცა ვერ შეძლო დაპირებების განხორციელება და საზოგადოების იმ პრობლემათა გადაწყვეტა, რომელთა მოგვარებაზე პასუხისმგებლობაც მან საკუთარ თავზე აიღო. ფიქრებისა და დაპირებების განხორციელება, შესაძლოა იმაზე რთული აღმოჩნდეს, ვიდრე თქმა, მიუხედავად

იმისა, რომ უმეტესად ლიდერებს თავადვე სჯერათ იმის, რასაც ჰპირდებიან საზოგადოებას.

საზოგადოების პრობლემებზე პასუხგაუცემლობამ გამოიწვია სხვადასხვა პოლიტიკური, გასამხედროებული ჯგუფების ჩამოყალიბება, რომელთაც გადაწყვიტეს, რომ მმართველი ძალა უმოქმედო იყო. ისინი ქვეყნის წინსვლას და ხალხის პრობლემათა გადაჭრას მარტივ და სწრაფ გადაწყვეტაში ხედავდნენ, თუმცა არათუ კონკრეტულ რეფორმებს ასახელებდნენ, არამედ მხოლოდ მმართველი ძალის შეცვლისკენ მიისწრაფოდნენ, რამაც ახლად აღიარებული სახელმწიფო უწესივრობაში ჩააგდო. ამ ქაოსის ფონზე, ედუარდ შევარდნაძის, ახალი ლიდერის გამოჩენამ, ახალი საწყისი მისცა ქვეყნის ევროპული გზით განვითარების პერსპექტივას. მიუხედავად ამისა, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები კვლავ გადაუწყვეტელი რჩებოდა. პარტიების რიცხვის მატებამ ვერ განაპირობა მათი მუშაობის ხარისხის ამაღლება და შესაბამისად კი, ქვეყნის წინსვლა და საზოგადოების პრობლემათა გადაწყვეტა.

საზოგადოების მაღალმა პოლარიზაციამ, კორუფციული ელიტისა და სიღარიბის ზღვარს მიღმა დარჩენილთა რაოდენობის ზრდამ, პროტესტის უდიდესი გრძნობა გამოიწვია საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებში, რომლებიც არსებული მმართველობის წინააღმდეგ გამოვიდნენ. პოპულისტი ლიდერების პოპულისტური გამოსვლებისა და შესაბამისად, ხალხის მხარდაჭერის მაღალი ხარისხის მეშვეობით, ამ ჯგუფმა 2003 წლის ვარდების რევოლუციის მეშვეობით შეძლო ხელისუფლების სათავეში მოსვლა, გაატარა საზოგადოების უმრავლესობისათვის მტკივნეული რეფორმები და ქვეყნის განვითარებას სწორი გზა მისცა.

ქვეყანაში, საზოგადოება პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით პოლარიზებულია, რაც გამოწვეულია შიშით, უნდობლობითა და სხვადასხვა მიზეზების გამო მოსახლეობის ჩართულობის ნაკლებობით პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში(ISSA. 2011). საქართველოში პოლარიზაციის ხარისხის მიუხედავად, პოლიტიკური პარტიები არა კონკრეტული პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით კლასიფიცირდებიან, როგორც ეს ევროპული დემოკრატიებისთვისაა მეტ-ნაკლებად

დამახასიათებელი, არამედ პოლიტიკური დაპირისპირების მიხედვით. ქართულ საზოგადოებაში პოლიტიკური ძალა არა იდეოლოგიურ მსგავსებასა და მიდრეკილებას უჭირავს, არამედ სოციალურ პრობლემათა გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატივიდან უკეთესის ამორჩევას.ეს კი ძირითადად, საარჩევნო და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის მედიატიზაციამ, პოლიტიკაში მარკეტინგული და პროპაგანდისტული მეთოდების მნიშვნელობის ზრდამ გამოიწვია. ძირითადად, პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურდებიან, რასაც თან ერთვის კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისათვის განკუთვნილი რიგი შეუძლებელი ან რთულად შესასრულებელი დაპირებების კორიანტელი. ეს პირდაპირ ნიშნავს წინასაარჩევნო პერიოდში პოპულიზმის გამოყენებას ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. სხვადასხვა საარჩევნო წლებში, სხვადასხვა პარტიები ყურადღებას ამახვილებდნენ რელიგიასა თუ ტრადიციების უპირატესობაზე, ნაციონალიზმსა და ეროვნულ განწყობებზე, რაც თავისთავად მემარჯვენე ფრთისთვისაა დამახასიათებელი. ქართული მემარცხენე პარტიები უკანასკნელ წლებშიც კი მკვეთრად მემარცხენეები არიან, ორიენტირდებიან სოციალურ პრობლემატიკაზე, პირდებიან ხელფასების, პენსიების და სოციალური პაკეტების გაუმჯობესებას. მიუხედავად, მცირე იდეოლოგიური სხვაობისა, პოლიტიკურ პარტიათა მთავარ საზრუნავად რჩება არა იდეოლოგიით და პოლიტიკური პლატფორმით საზოგადოების დაინტერესება, არამედ სოციალურ პრობლემათა შესახებ საუბარი და მათი გადაჭრის მარტივი ალტერნატივების შეთავაზებით საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში სიმპათიის მოპოვება.

საქართველოში საკმაოდ მაღალია საზოგადოების მიმხრობის ხარისხი კონკრეტული ერთი ან ორი პარტიისადმი.უნგრული მაგალითის მსგავსად, სადაც ორბანის მთავრობის პერიოდში მკვეთრად იყოფოდა საზოგადოება ორბანის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, საქართველოშიც ყველა მთავრობის პერიოდში არსებობდა მთავრობის მომხრე და ასევე, მოწინააღმდეგეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი. ოპოზიციური ძალებისადმი უდიდესი მხარდაჭერის მაგალითია, 2003 წლის ვარდების რევოლუცია, რომელმაც ხალხისთვის არასასურველი მთავრობა, „ხალხოსანი“ პოლიტიკოსებით ჩაანაცვლა.

3.2. სოციალური პოლარიზაციის გავლენა პოპულიზმზე საქართველოში

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მთავარ საფიქრალს სოციალური პრობლემატიკა და მისი გადაჭრა წარმოადგენს. „მსოფლიო განვითარების მაჩვენებლებით“, რომლის მიხედვითაც მსოფლიო ბანკი ხელმძღვანელობს, საქართველოში, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალია ეკონომიკური უთანასწორობის მაჩვენებელი(WDI.2016). სწორედ აქედან არის განპირობებული სოციალური პოლარიზაციის ის დონე, რაც ქვეყანაშია დაფიქსირებული.უკანასკნელმა არჩევნებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში არსებობს ორი ძლიერი პოლიტიკური ძალა, რომელთაც ჰყავთ სტაბილური ამომრჩეველი, ძირითადად, სოციალურად დაბალი სტატუსის მქონე საზოგადოებიდან. ისინი, ვისაც მაღალი სოციალური სტატუსი გააჩნიათ საზოგადოებაში, იმ დონეზე ერთვებიან და მონაწილეობენ პოლიტიკაში, რა დონეზეც მათ სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსს, ანუ მათ ბიზნესსა თუ საქმიანობას ეხება. ასევე, უკანასკნელმა არჩევნებმა აჩვენა, თუ რამდენად ინერტულია საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, ამავე უმრავლესობის პრობლემების მიმართ, რამდენად იმედგაცრუებული, შეშინებული და ამავდროულად, როგორი უნდობლობით აღსავსეა ყველა პარტიის დაპირებების მიმართ. 2015 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის სრული რიცხოვნობაა 3 729 500(საქსტატი.2015). 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით, მხოლოდ 51,63%-მა მიიღო მონაწილეობა, ეს კი შეადგენდა 1 814 276 ადამიანს. საზოგადოების მონაწილეობა ხმის მიცემის პროცესში საკმაოდ დაბალია და იმდენად ხელოვნური, რომ არჩევნებზე მისულ ადამიანებსაც კი აღარ სჯერა, რომ შეუძლია შეცვალოს პოლიტიკური დღის წესრიგი, მმართველობა და ქვეყნის საგარეო თუ საშინაო მიმართულებები. თუმცა, პოლიტიკური და სოციალური პოლარიზაციის მაღალი ხარისხი იმაში გამოიხატება, რომ

საზოგადოებას ერთპიროვნულად არ აურჩევია კონკრეტული პარტია. მიუხედავად, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა სიმრავლისა, ნაციონალური მოძრაობა კვლავაც გამოირჩეოდა სტაბილური ამომრჩევლის საკმაოდ მაღალი მხარდაჭერის ხარისხით.

გარდა ეკონომიკური მდგომარეობისა, საზოგადოება ასევე დაყოფილია განათლების დონის მიხედვით. ეს ორი ელემენტი იწვევსსოციალურადმკვეთრ პოლარიზაციას, შესაბამისად, განაპირობებს საზოგადოებაში თითოეული ჩვენგანის სტატუსს და თავისდაუნებურად მიგვაკუთნებს სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს. განათლების დონე განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკურ აქტიურობასა და სამოქალაქო კულტურის დონეს. ხშირად უთქვამთ, რომ საზოგადოება იღებს იმას, რასაც იგი იმსახურებს და ირჩევს. როგორც შვილი ემსგავსება თავის მშობელს, ასევე პოლიტიკური ძალები ემსგავსებიან იმ საზოგადოებას, რომლის წიაღშიც ისინი განვითარდნენ. ხალხი, რომელიც მუდმივად ესწრაფვის სოციალურ პრობლემათა მარტივი გადაწყვეტის შესახებ ალტერნატივების მოსმენას სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან, იღებენ მარტივ და დასამახსოვრებელ დაპირებას, რომლის განხორციელებაც გადასახადების ან ფასების გაზრდის გარეშე შეუძლებელი იქნება.

1990-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენების დროს, მიუხედავად საზოგადოების რთული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა, ხალხი ეროვნული გრძნობებით იყო შეპყრობილი და გაერთიანებული, რის გამოც სოციალურ პოლარიზაციას თავი არ უჩენია, თუმცა მძაფრი იყო პოლიტიკური პოლარიზაცია. უკვე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების საკითხი უკანა პლანზე გადავიდა და წინ წამოიწია ხალხისათვის პირველადი მნიშვნელობის პრობლემებმა, როგორებიც იყო უმუშევრობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, სიღარიბე როგორც ფიზიკური, ისე სულიერი. ამის გამო სულ უფრო იმატა დაპირისპირებებმა. როგორც ეს უნგრეთში მოხდა, დემოკრატია საზოგადოების უმეტესობისათვის ასოცირდებოდა სიმდიდრესთან, რადგან ხალხი ხედავდა დასავლური დემოკრატიების სიმდიდრეს, ხოლო ვინაიდან საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მისწრაფებამ ვერ შეძლო საზოგადოების გამდიდრება, ამან

სოციალური უკმაყოფილება გაზარდა, რასაც შემდგომში მოჰყვა პროტესტის დიდი ტალღა და მთავრობათა სწრაფი ცვლილება.

ვარდების რევოლუციამ საზოგადოება ეკონომიკურ განვითარებასა და მაღალი სოციალური სტანდარტების ჩამოყალიბებაში დაარწმუნა და ამ მიზნით, სხვადასხვა ამოცანების გატარებას დაპირდა, თუმცა ხელისუფლებაში ყოფნის ერთი წლის თავზე ჩატარებული გამოკითხვის მეშვეობით მტკიცდებოდა, რომ საზოგადოების 99,2% შეშფოთებული იყო საქართველოში არსებული სოციო-ეკონომიკური სიტუაციით. ქვეყანაში არსებულ უმთავრეს პრობლემათა ნუსხაში პირველ ადგილს ანიჭებდნენ უმუშევრობას. მიუხედავად, გაუსაძლისი სიდუხჭირისა, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ, გატარდა მტკივნეული რეფორმები, ელვისებური სისწრაფით, ეს კი რა თქმა უნდა, კორუფციის აღმოფხვრას ემსახურებოდა, თუმცა ამ რეფორმებმა გამოიწვიეს უამრავი მუშახელის განთავისუფლება სამსახურიდან, რამაც საზოგადოების უკმაყოფილება კვლავაც გაზარდა. საბოლოოდ, ამ ყველაფერს საპროტესტო აქციები მოჰყვა, ხელისუფლების შეცვლის ლოზუნგებით. განსაკუთრებულად დიდი პროტესტი საზოგადოებისა მოჰყვა ძალაუფლების გადამეტების შემთხვევებს კონკრეტული თანამდებობების პირთაგან, როდესაც სანდრო გირგვლიანი სასტიკი წამებით მოკლეს. გარდა ამისა, დაფიქსირდა სხვადასხვა შემთხვევებიც, რამაც საბოლოოდ, ხალხის მრისხანება და გრძელვადიანი პროტესტის ტალღა გამოიწვია, რომელიც ხელისოფლებამ ჩაახშო, რითაც თავისი ლეგიტიმურობა დაკარგა. ხალხის მიერ არჩეულმა მთავრობამ, ხალხისავე მიერ მინიჭებული მანდატით, სისხლში ჩაახშო განსხვავებული აზრი. უკვე 2012 წელს საზოგადოებაში დაგროვებული უკმაყოფილების პიკი ციხეში განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია, რამაც დააჩქარა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველობის პრეცენდენტის შეცვლა, ახალი პოლიტიკური ძალით, რომელმაც სწორედ ციხეში განვითარებული მდგომარეობა გამოიყენა ხალხის მხარდაჭერის გასაზრდელად და ძალაუფლების სათავეში მოსასვლელად. ციხის კადრების გამოქვეყნება, დამთრგუნველი, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ სწორი პოპულისტური გათვლა იყო, მმართველი „ბოროტების“ მოსპობისათვის. ახალი პარტია მოდიოდა, ახალი დაპირებებით, ნათელი მომავლის იმედითა და თავისუფლებისა და ადამიანეთა უფლებების დაცვის გარანტიებით, რამაც ქართულ

საზოგადოებაში, სოციალურ და ეკონომიკურ პროგრამასთან ერთად დიდი კმაყოფილება და სიმპათია გამოიწვია, შესაბამისად კი, მხარდაჭერით უზრუნველყო ახალი პარტია, პოპულარული ლიდერით, რომლის დამსახურებებზეც ხალხის წინაშე ყოველი მეორე ადამიანი საუბრობდა.

დღესაც, საზოგადოების უმრავლესობისათვის, რომელსაც შეადგენს ღარიბი და უბრალო ხალხი, მნიშვნელოვანია სხვადასხვა პარტიებისა თუ ლიდერების მიერ,ამომრჩევლის კონკრეტული სეგმენტებისათვის სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და ყურადღების გამახვილება. სწორედ ამიტომ, პოლიტიკურ დღის წესრიგში დგება ისეთ პრობლემათა გადაწყვეტისათვის საჭირო ალტერნატივების ძებნა, როგორიცაა უმუშევრობა, სხვადასხვა სოციალური პრობლემები, დახმარება ომის ვეტერანთათვის, ჯანმრთელობის დაზღვევა და ა.შ. დღესდღეობით, პოლიტიკური დღის წესრიგიდან უკანა პლანზე გადაინაცვლა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებამ, თუმცა თუ ფოკუს-ჯგუფს ჩავუღრმავდებით, შესაძლოა გამოიკვეთოს ფაქტი, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ყურადღებას აქცევს პარტიების მიერ ქვეყნის დაკარგული ტერიტორიების შესახებ ნათქვამსა და დაპირებულს, ვინაიდან მათთვის დღემდე დიდი ტკივილის მომგვრელია არსებული მდგომარეობა, თუმცა უშუალოდ არჩევნების შემდეგ მიცემული დაპირების განხორციელების ეტაპებსა და პროცესს აღარავინ აკონტროლებს. მოსახლეობისათვის პროტესტის გამოთქმის მიზეზი და საბაბი, კვლავაც შეიძლება ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური საკითხები და სოციალური პრობლემატიკის ირგვლივ მიცემული დაპირების განუხორციელებლობა შეიძლება გახდეს.

3.3.ქართული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო დაპირებები და პოპულიზმი:დამოუკიდებლობიდან დღემდე

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ზვიად გამსახურდიამ თავის გარშემო გააერთიანა მომხრე პარტიათა ბლოკები და დაიწყო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, კეთილდღეობისა და ევროპული, დემოკრატიული მომავლისაკენ სწრაფვა. როგორც პოპულისტურ გამოსვლასა და პოპულისტ ლიდერებს შეშვენით, ზვიად გამსახურდიას გამოსვლები ქარიზმატული, ეროვნული სულისკვეთებით სავსე, თუმცა ზედაპირული და ამავდროულად, განსახორციელებლად რთული იყო. ზვიად გამსახურდია მიზნად ისახავდა ეროვნული სუვერენიტეტისა და საზღვრების გაძლიერებას, ინტეგრაციული საკითხების წინ წამოწევითა და ხელის შეწყობით, რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებით, ასევე სხვადასხვა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობითა და გამყარებით. იგი მიზნად ისახავდა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას და მნიშვნელოვანი ორგანიზაციების წევრობას. მის პროგრამაში წარმოდგენილი დაპირებები კარგად შეფუთული, მაგრამ შესასრულებლად რთული და ძირეულ საკითხებზე შეუთანხმებელი დარჩა.

სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურსა და კულტურულ ცვლილებებს რეორგანიზაცია და სასიცოცხლო ძალების შეძენა/ აღდგენა სჭირდებოდა. დღის წესრიგში იდგა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები, რის გამოც სოციალური და ეკონომიკური თემატიკა უკანა პლანზე იწევდა, თუმცა ამავე დროს ხალხის უკმაყოფილების ტალღას აგროვებდა. ზვიად გამსახურდია ხალხის სიმპათიების შეძენას ეროვნულთან და მგზნებარე გამოსვლებთან ერთად, ახერხებდა რელიგიური ტიპის გამოსვლებით, რომელიც საზოგადოებაში მეტი ნდობის საშუალებას იძლეოდა.

უკვე 2003 წლის შემდეგ პოპულიზმის ზრდა საარჩევნო პროცესებში მხოლოდ და მხოლოდ დაპირებებმა კი არ განაპირობა, არამედ მარკეტინგულმა და პროპაგანდისტულმა საშუალებებმა. ყურადღება გადატანილი იყო საარჩევნო კამპანიის ამერიკულ მოდელზე, რომლისთვისაც ლიდერზე, მის თვისებებზე, ოჯახზე, მოღვაწეობაზე, პოლიტიკურ წარსულსა და კომპეტენციებზე აპელირება წარმატების განმაპირობებელი ფაქტორი იყო. მიხეილ სააკაშვილისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის პრიორიტეტულ ნუსხათა სიაში კორუფციის

მოსპობა იყო საჯარო საქმიანობის ნებისმიერ დონეზე. წინასაარჩევნო პროცესში ხშირი იყო პოპულისტური ქმედებები როგორც ლიდერის, ისე პარტიის სხვადასხვა წევრების მხრიდან. მაგალითად, ყველაზე მეტად პოპულისტური ქმედება უბრალო ხალხის გაჭირვებაზე ატირებული პარტიის ლიდერის დაფიქსირება იყო. გარდა ამისა, უმუშევრობის პრობლემით საზოგადოების ინტერესი, თავისთავად განაპირობებდა პოლიტიკურ პარტიათა ამ საკითხით დაინტერესების დონეს. შესაბამისად, ისინი მარტივად იტყოდნენ, რომ აშენდება 100 საავადმყოფო, 100 ქარხანა და დასაქმდება უამრავი ადამიანი, თუმცა ეს დაპირებები მხოლოდ წინასაარჩევნოდ იყო პოპულარული და საზოგადოებას ისიც ხშირად ახსოვს, თუ როგორ გაუხსნიათ საზოგადოებისა და მედიის დასანახად ესა თუ ის ქარხანა, ხოლო შემდეგ საჭირო აღჭურვილობისა თუ რესურსების გამო დაუხურავთ.

რაც შეეხება 2012 წლის მოვლენებს, რის შედეგადაც ახალი პოლიტიკური ძალა მოვიდა ხელისუფლების სათავეში, მათ გამოყვეს თავიანთ პროგრამაში ისეთი მნიშვნელობის საკითხები, როგორებიც სოფლის მეურნეობის წინ წამოწევა იყო, თუმცა მისი დაფინანსების საკითხი კონკრეტული რაოდენობის თანხით უკვე პოპულისტური განაცხადია. გარდა ამისა, ყოველი კამპანიისას, თითოეული პოლიტიკური პარტიისა და ლიდერის მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ხელფასებისა და პენსიების ზრდის დაპირება, რომელსაც ღარიბი მოსახლეობა ყველაზე მეტად აქცევს ყურადღებას. ბოლო დროის უმნიშვნელოვანესი ინიციატივა იყო მთიან სოფლებში ხალხის დარჩენისა და სამეურნეო საქმიანობისათვის წასახალისებელი ბენეფიტები.

გარდა ამისა, ყველა დროისა და ყველა პარტიის პოლიტიკურ პროგრამაში უმნიშვნელოვანეს როლს სოციალური, ეკონომიკური და ჯანდაცვის პროგრამების ახალი ინიციატივებით დატვირთვა წარმოადგენს და შესაბამისად, გაუმჯობესებული პირობების შემოთავაზება. უმნიშვნელოვანესი პროგრამა იყო, ცხოვრება C ვირუსის გარეშე, რომელიც პოპულისტურად ჟღერდა, თუმცა მისი იმპლემენტაცია წარმატებით განხორციელდა.

საბოლოოს უნდა ითქვას, რომ რაც უფრო მეტად იმატა საზოგადოებაში სოციალურმა და პოლიტიკურმა პრობლემებმა, მით უფრო მნიშვნელოვანი გახდა

პოლიტიკური წრეებისათვი საზოგადოებისათვის საინტერესო პრობლემათა შესახებ ალტერნატივების შეთავაზება. საბოლოოდ კი, სწორედ ეს პრობლემები იწვევს დიფერენცირებულ და პოლარიზებულ საზოგადოებას, რომელთა მხარდაჭერის მოსაპოვებლად, პოლიტიკურ ლიდერებსა და პარტიებს უწევთ ბევრჯერ არარეალური და განსახორციელებლად რთული, თუმცა საზოგადოებაში პოპულარული დაპირებებით წარდგენა.

IV თავი: შედეგების ანალიზი

4.1.ქართული და ევროპული გამოცდილების შედარებითი ანალიზი

ნაშრომში, ქართული და ევროპული გამოცდილების შედარება იწყება დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან. ამ პერიოდის გამორჩეული ლიდერები იყვნენ საქართველოში ზვიად გამსახურდია და პოლონეთში, სოლიდარობის ლიდერი, ლეხ ვალენსა. ორივე პოლიტიკოსი გამოირჩეოდა ქარიზმატულობით და საზოგადოების უმრავლესობაში ნდობის უმაღლესი ხარისხით. მათი რიტორიკა ეროვნული პათოსით იყო განმსჭვალული და ორივე შემთხვევაში მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ორივე მათგანი პრივატიზაციის ფენომენს აღიარებდა და დემოკრატიული განვითარებისაკენ მიისწრაფოდა. ამ პერიოდისათვის, ორივე ქვეყანაში მკვეთრად იდგა სახელმწიფო მმართველობის ფორმის, დემოკრატიისა და კეთილდღეობისაკენ სწრაფვის საკითხი. ამ დროის ქარიზმატულ ლიდერთა მთავარი მიმართულება, რელიგიისა და ტრადიციების გამოყენების მეშვეობით მხარდაჭერის მოპოვება იყო. საქართველოში, ისევე, როგორც პოლონეთში, აღნიშნულ პოპულისტ ლიდერთა ხელისუფლებაში მოსვლამდე, აქტიურად იდგა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების საკითხი. ორივე ქვეყანაში, მიუხედავად, ძლიერი ოპოზიციური ძალების არსებობისა, რომლებიც იდეოლოგიურად განსხვავდებოდნენ და პრინციპულ, ძირეულ საკითხებზე ჰქონდათ არჩევნებში სწორედ ამ ორმა ლიდერმა გაიმარჯვა. ამის შემდეგ უშუალოდ დაიწყო მუშაობა რიგ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკური და კულტურული სახის პრობლემებზე. რაც ყველაზე მთავარია, საქართველოში მიმდინარეობდა მუშაობა ახალი კონსტიტუციის პროექტზე, რომელიც განახლდებოდა საბჭოთა 1978 წლის კონსტიტუციის საფუძველზე. ამ პერიოდისათვის, პოლონეთშიც, ლეხ ვალენსა, ძალაუფლების გაფართოებაზე ფიქრობდა და შესაბამისად, მოქმედებდა.

შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი, საქართველოში პოპულიზმის განვითარებისა, შედარებულია ავსტრიასთან, რომელიც ცენტრალური ევროპის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოა. ჰაიდერის პოპულიზმი შესაძლოა შედარებულ იქნას მიხეილ სააკაშვილის პოპულიზმთან, რომლისთვისაც ყოველთვის და ყველა სიტუაციაში შესაძლებელი შეიძლება ყოფილიყო ყურადღების ცენტრში ყოფნა და გარდა ამისა, ჰაიდერის მსგავსად, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა ინსტიტუტებისადმი ნაკლები მნიშვნელობის მინიჭება და ერთპიროვნულად გადაწყვეტილებების მიღება მთავარი პრობლემაა მსგავსი ლიდერებისა, რომელთათვისაც საკუთარი აზრი,

ინსტიტუტებზე მნიშვნელოვანია. ამ პერიოდის საქართველოს და ავსტრიის მთავარი მსგავსება მემარჯვენე, აგრესიული პოპულიზმის არსებობაში მდგომარეობს. მიხეილ სააკაშვილი, ისევე როგორც ჰაიდერი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში დიდი წარმატებით სარგებლობდნენ და საზოგადოების მაღალი მხარდაჭერის მაჩვენებლით, თუმცა მათმა სურვილმა უსაზღვროთ ემართათ და ერთპიროვნულად, გადაეწყვიტათ არამარტო საკუთარი პარტიის, არამედ საზოგადოების ბედი, საპირისპიროდ შემოუტრიალდა ორივე ლიდერს. ძალაუფლებისა და ხელისუფლების გადამეტების სხვადასხვა მაგალითებმა, ორივე ლიდერის დასასრულის დასაწყისი განაპირობა. საბოლოოდ, მათი პოპულარობა სწორედ საზოგადოებამ მოსპო, ისევე როგორც საზოგადოებამ განაპირობა.

4.2. სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების ანალიზი

ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი და რამდენიმე ინტერვიუ. რა თქმა უნდა, კვლევის შედეგები გავრცელებულია მხოლოდ გამოკითხულ მოსახლეობაზე და მას არ აქვს პრეტენზია რეპრეზენტატულობაზე. ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფმა დაადასტურა კონკრეტული პოლიტიკური პარტიებისადმი მიკუთვნებულობის მაღალი ხარისხის არსებობა. შეიძლება გამოითქვას მოსაზრებაც, რომ რაც უფრო მეტად აწუხებს მოსახლეობას სოციალური პრობლემები, მით უფრო მეტად არის დაინტერესებული მისი გადაწყვეტით, შესაბამისად, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა პოლიტიკურ აქტივობებში. ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფში აღმოჩდნენ ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ არჩევნებზე მისვლით გამოხატავენ თავიანთ პოლიტიკურ აქტივობას, არამედ კონკრეტული პარტიების აქტიური წევრობით, საპროტესტო აქციებში მონაწილეობითა და წინასაარჩევნო პერიოდში აგიტაციით.

ფოკუს-ჯგუფი, რომელიც კვლევის ფარგლებში ჩატარდა სოციალურად დაუცველ ადამიანებთან, აშკარად წარმოადგენს ხაზგასმას იდეისა, რომ სოციალურ,

ეკონომიკურ და კულტურულ პრობლემებზე დაყრდნობით წარმოქმნილი მკვეთრი სოციალური პოლარიზაცია, განმაპირობებელი ფაქტორია პოლიტიკაში პოპულიზმის ზეგავლენის ზრდისა. ფოკუს-ჯგუფში მონაწილეთა უმრავლესობისათვის პრიორიტეტულია, სოციალური პრობლემების გარშემო პარტიებისა და ლიდერების ფოკუსირება, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში. პენსიებისა და ხელფასების გაზრდის, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების გაუმჯობესების შესახებ დაპირება მათში უდიდეს სიმპათიას იწვევს და მხარდასაჭერად განაწყობს.

რაც შეეხება მეორე ფოკუს ჯგუფს, იგი ჩატარდა საშუალო შემოსავლების მქონე ადამიანებთან, იმ განსხვავების დასადგენად, რასაც განათლებისა და შემოსავლის დონე ანიჭებს სოციალურად დაუცველ ფენებთან შედარებით. საშუალო შემოსავლების მქონე ადამიანებთან ფოკუს ჯგუფის ჩატარება გამომდინარეობდა იმ იდეიდან, რომლის მიხედვითაც საქართველოში ან არსებობენ მდიდრები და ან არსებობენ ღარიბები. ჩატარებულმა ფოკუს-ჯგუფმა აჩვენა, რომ საშუალო შემოსავლების მქონე ადამიანებიც იცნობენ იმ პრობლემებს, რომელშიც ცხოვრება სოციალურად დაუცველებს უწევთ, ასევე მათაც აწუხებთ სხვადასხვა საკითხები და ექცევან, ასევე რიგი ჯანდაცვის თუ სოციალური პროგრამების მოქმედების არეალში. ამ ჯგუფში შემავალი ადამიანები საუბრობენ არა მხოლოდ სოციალურ პრობლემებზე, ხელფასების და პენსიების ზრდაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებზე. ორივე ფოკუს-ჯგუფში მონაწილე ადამიანები თვლიან, რომ საზოგადოებაში არსებობს როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური პოლარიზაცია, რომელსაც პოლიტიკური ლიდერები და პარტიები, პოლიტიკური თანამდებობების დასაკავებლად იყენებენ. ზოგადად, სწორედ არსებული სიტუაცია განაპირობებს საზოგადოების პოლარიზებას სხვადსხვა ჯგუფებად. წინასაარჩევნო პერიოდში კი ეს ადამიანები,

გარდა ფოკუს-ჯგუფებისა, ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები, რომელიც სოციალურად დაუცველი ფენებისაგან განსხვავებით საშუალო და მაღალი ფენის წარმომადგენლებთან ჩავატარე. აღსანიშნავია ის, რომ ეკონომიკური სტატუსი ამა თუ იმ ადამიანისა შესაძლოა სრულებით არ ასახავდეს მის ადეკვატურობას, რიგ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. აღსანიშნავია

ისიც, რომ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ბევრად უფრო გახსნილები იყვნენ და მზაფდყოფნაში, ეპასუხათ ნებისმიერი კითხვისათვის. რაც შეეხება სიღრმისეულ ინტერვიუებს, მიუხედავად ანონიმურობის შეთანხმებისა, რამდენიმე მათგანმა თავი აარიდა სრულებით უწყინარ შეკითხვებზე პასუხს, გარდა ამისა, ხშირად იყო პასუხი, რომ რეალობა შორსაა, როგორც არსებული კითხვარისაგან, ისე ყველასთვის ნაცნობი რეალობისაგან. სიღრმისეული ინტერვიუს მონაწილეები ისევე ნაკლებაად არიან პოლიტიკურად აქტიურები, რაშიც არჩევნებში მონაწილეობაც კი გამოირიცხება, როგორც სოციალურად დაუცველები აქტიურნი. რაც შეეხება, შეკითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის შეკავება შესაძლოა მათი დაინტერესებით იყოს გამოხატული კონკრეტული საკითხის მიმართ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების მდიდარი ფენებს უფრო მეტი აქვთ დასაკარგი, ვიდრე უბრალოდ მოსახლეობას, რომელიც გულღიად ისაუბრებს ნებისმიერ პრობლემაზე, განსხვავებით მდიდარი ადამიანისაგან, რომელიც იმ დონეზე ერთვება პოლიტიკურ პროცესში, რა დონეზეც ეს მის საქმიანობას სჭირდება და იმ დონეზე, იჭერს ურთიერთკავშირს მთავრობასთან, რა დონეზეც იგი მისგან ელის რაიმე ტიპის შეღავათსა თუ წახალისებას.

დასკვნა

საბოლოოდ, დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას ის, რომ კვლევამ საინტერესო შედეგები დააფიქსირა. ნაშრომის საწყის ეტაპზე დასახელებული ჰიპოთეზა, რომ რაც უფრო მეტია საზოგადოების სოციალური პოლარიზაცია მით უფრო იზრდება პოპულიზმის როლი პოლიტიკაში, უმეტესწილად მართლდება, თუმცა შეუძლებელია სოციალური პოლარიზაციის განხილვა ცალკე აღებულ სოციალურ მოვლენად ანუ ფენომენად, რომელმაც შესაძლოა დამოუკიდებლად განაპირობოს რაიმე ტიპის პოპულიზმის ზრდა. სოციალურ პოლარიზაციას, საწყის ეტაპზე იწვევს განსხვავებული ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური სიტუაცია.

ნაშრომის თეორიული ნაწილისა და ევროპული გამოცდილების შესწავლით, ნაშრომისათვის ჩამოყალიბდა სწორი და თანმიმდევრული ბაზა, რომლის მეშვეობითაც შევისწავლე საქართველოში არსებული პოპულიზმის ფენომენის კავშირი საზოგადოების სოციალურ პოლარიზაციასთან. კვლევის პრაქტიკულმა ნაწილმა აჩვენა საზოგადოების შემადგენელი კონკრეტული ჯგუფისა და ადამიანების დამოკიდებულებები, განწყობები ნაშრომისათვის საინტერესო კითხვებსა და საკითხებზე.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში აღნიშნული ვარაუდი, რომ საზოგადოების სოციალური პოლარიზაცია ზრდის პოპულიზმის როლს, გამართლებულია, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ თავად სოციალურ პოლარიზაციას წინმსწრებ ცვლადად შესაძლოა უამრავი სახის პრობლემა ან საკითხი განაპირობებდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Albertazzi, D. & McDonnell, D.(2008). "*Twenty-First Century Populism: The Spectre of Western European Democracy"*.Palgrave Macmillan.

2. Agh. Attila.,"The Socio-Economic Crisis and Social Polarization in Hungary: The Paradoxes of the European Integration Process", in Sonja Schüler (ed.) *Politische Kultur in (Südost-) Europa*, Munich: Verlag Otto Sagner, pp. 59-85
3. Acemoglu, Daron, Georgy Egorov and Konstantin Sonin. 2011.'A Political Theory ofPopulism,'*NBER Working Papers 17306*, National Bureau of Economic Research, Inc.
4. Akkerman, A., Mudde, C., Zaslove, A. (2014). How Populist are People? Measuring Populist Attitudes in Voters. pg.1326.
5. Arditi, Benjamin. 2004. Populism as a Spectre of Democracy: A Response to Canovan. *PoliticalStudies.* Vol. *52,* pp. 135–143.
6. Barr, Robert R. 2009. 'Populists, Outsiders and Anti-Establishment Politics', *Party Politics*, Vol.15 (1), pp. 29–48.
7. Betz, H. G.(2002). "Exclusionary Populism in Austria, Italy and Switzerland". Akademie fur intematkonale politik des renner instituts.
8. Canovan, Margaret. 2002. 'Taking Politics to the People: Populism as the Ideology ofDemocracy', in: Meny, Yves and Yves Surel (eds.), *Democracies and the Populist Challenge.*New York: Palgrave, pp. 25-44.
9. Cohn.N.(2014. 12 June)."Polarization is Dividing American Society, Not Just Politics". *New Your Times.web-page: http://www.nytimes.com/2014/06/12/upshot/polarization-is-dividing-american-society-not-just-politics.html?_r=0 (last seen: 29.11.2016).*
10. Dahl, R. A. (1998). "*On Democracy".* New Haven:Yale University Press.
11. Drake, P. (1982). Conclusion: Recuiem for Populism? *In Latin American Populism in Comparative Perspective.* ed. M. L. Conniff. Albuquerque. University of The New Mexico
12. Filc, Dani. 2010. *The Political Right in Israel: Different Faces of Jewish Populism.* London:Routledge
13. Gidron,N., Bonikovski, B., "Varieties of Populism: Literature Review and Research Agenda". Harvard University. Weatherhead Centre for International Affairs. No.13-0004
14. Hamnet, C., (1994). Social Polarisation in Global Cities: Theory and Evidence. Urban Studies. Vol. 31. No. 3. pp. 401-424. web-page: http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.836.1230&rep=rep1&type=pdf (Last seen: 27 January, 2017).
15. Ionescu, G., Gellner, E. (1969). Populism: It meanings and National Characteristics. New York: Macmillan.

16. Jansen, Robert S. (2011). 'Populist Mobilization: A New Theoretical Approach to Populism'.*Sociological Theory*, *29*(2), pp. 75–96.
17. Kazin, Michal. 1995. *The Populist Persuasion: An American History*. Ithaca: Cornell UniversityPress.
18. Keefer, P., & Knack, S., (2002). "*Polarization, politics and property rights: Links between inequality and growth."*Netherlands.Klwer academic publisher. pg: 127-154.
19. Lavanga, C. (2017). Pope warns That Rising Populism Could Produce a New Hitler. *NBC News.* web-page: http://www.nbcnews.com/news/europe/pope-warns-rising-populism-could-produce-new-hilter-n710681 (Last seen: 27 January.2017)
20. Madrid, R. L. 2008. 'The rise of ethnopopulism in Latin America'. *World Politics*, Vol. *60*(3),pp. 475–508.
21. Masahiro, K. (2013). Populism as Rhetorical Politics in Britain and Japan: 'Devil take the hindmost'.UniversityofRitsumeikan.pg.121.(Last seen: 06.01.2017).veb-page:http://www.ritsumei.ac.jp/acd/cg/law/lex/rlr30/kobori.pdf
22. Mudde, C., Kaltwasser, R.C., (2012). Exclusionary vs Inclusionary Populism: Comparing Contemporary Europe and Latin America
23. Mudde,C. (2004). The Populist Zeitgeist. Government and Opposition LTD
24. Mudde,C.(2001). "In the Name of Peasantry, the Proletariat and the People: Populism in Eastern Europe". East European Politics &Societies.Uploaded on 24/12/2014
25. Panizza, Francisco. 2005. *Populism and the Mirror of Democracy*. London: Verso.
26. Pappas, Takis S. 2012. 'Populism Emergent: A framework for analyzing its contexts, mechanics,and outcomes'. *EUI Working Papers*, RSCAS 2012/01.
27. Palonen. E. (2009). "Political Polarisation and Populism in Contemporary Hungary". *Parliamentary Affairs.* Vol. 62., No., 2.,Pg. 318-334
28. Roberts, Kenneth M. 2006. 'Populism, Political Conflict, and Grass-Roots Organization in LatinAmerica'. *Comparative Politics*, Vol. 38 (2), pp. 127-148
29. Roberts, Kenneth. 2010. 'Latin America's Populist Revival', *SAIS Review.* Vol. 27 (1), pp. 3-15.
30. Lepper, A. (2005). "*Czas Barbarzy?"ców*: Depo
31. Salehi, Djavad., (2007). *Poverty, Inequality, and Populist Politics In Iran.* Department of Economics. Virginia Tech.

32. Sartori. G, Sani.G,(1983). "*Polarization, Fragmentation and Competition in Western Democracy".* Wester European Party Systems. pg:307-340
33. Taggart, Paul. 1995. 'New populist parties in Western Europe'. *West European Politics,* Vol. 18(1), pp. 34–51.
34. Taggart, Paul. 2000. *Populism.* Buckingham: Open University Press.
35. Urbinati, Nadia. 1998. 'Democracy and Populism'. *Constellations*, Vol. *5*(1), pp. 110–124.
36. Woo, J., (2002). Social Polarization, Industrialization, and Fiscal Instability: Theory and Evidence. Economic Department, Kellstadt Business School, DePaul University, 1 East Jackson Boulevard, Chicago, IL, 60604. USA. Elsevier. Web-page: http://fac.comtech.depaul.edu/jwoo1/research/woo2.pdf (Last seen: 27 January, 2017).
37. Wessel.T. ( ) "*Inequality and social polarization – explanatory frameworks".*Dep.of Sociology and Human Geography. University of Oslo. P.O.Box 1096 Blindern, 0317 Oslo, Norway
38. Weyland, K. (1999). "Neoliberal Populism in Latin America and Eastern Europe." *Comparative Politics*31, no. 4, pg: 379-401
39. Wysocka, O., (2009). "Populism in Poland: Iv/visible Exclusion". *IWM Junior Visiting Fellows Conferences.* Freeman., Vienna., Vol: 26. web-page: http://www.iwm.at/publications/5-junior-visiting-fellows-conferences/vol-xxvi/populism-in-poland/ (Last seen: July. 11. 2017)
40. WDI(2016)"GINI Index(World Bank Estimate)."web-page: http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=world-development-indicators (Last seen:13 July, 2017)

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

Kristine Kapianidze

Polarization of Society as a Causing Factor for Growth of the Populism: The Example of Georgia

The Master of Work is Implemented for Obtaining the Master's Degree of Political Sciences

The Course Instructors: Associated Professor Salome Dundua

Doctor of the Political Sciences Giorgi Melikidze

Tbilisi, 2017

დანართი 1

კითხვარი:

ინტერვიუს მიზანია საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური პოლარიზაციის კავშირის დადგენა პოპულიზმის ზრდასთან ქართულ პოლიტიკაში.

1. **დემოგრაფიული შეკითხვები**

   ა) სახელი, ასაკი, პროფესია, საცხოვრებელი...

   ბ) ოჯახის თვიური შემოსავალი: 1. 0-500; 2. 501-1000; 3. 1001-1500; 4. 1501-2000; 5. 2001- ზევით.

   გ) გთხოვთ გვესაუბროთ მიღებული განათლების შესახებ.

   დ) გთხოვთ გვითხრათ თქვენი ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

2. **ქცევითი შეკითხვები**

   ა) ხართ თუ არა პოლიტიკურად აქტიური? რაში გამოიხატება თქვენი პოლიტიკურად აქტიურობა?

   ბ) ყოფილხართ თუ არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი?

   გ) ხართ თუ არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის სტაბილური ამომრჩეველი?

   დ) ხმის მიცემის დროს რას უფრო მეტად ითვალისწინებთ პარტიის იდეოლოგიას თუ ლიდერების მიმართ დამოკიდებულებას?

   ე) ეცნობით თუ არა პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებს?

   ვ) რა ტიპის დაპირებას ანიჭებთ უპირატესობას გადაწყვეტილების მიღებისას?

   ზ) მონაწილეობთ თუ არა პოლიტიკაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებში?

   თ) რას მოიცავს თქვენი ჩართულობა?

   ი) რომელი ინფორმაციის საშუალებას ანიჭებთ უპირატესობას/რომელს ენდობით? (ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, გაზეთები)

   კ) რა ელემენტს/ელემენტებს გამოყოფდით საარჩევნო კამპანიისას, რომელიც თქვენთვის უპირატესი მნიშვნელობისაა და რომელიც გიბიძგებთ სწორედ კონკრეტულ პიროვნებას მისცეთ ხმა?

   ლ) თქვენს გარშემო ამომრჩევლები გადაწყვეტილების მიღებისას რას აქცევენ უდიდეს ყურადღებას?(პროგრამა, პარტიული პლატფორმა და იდეოლოგია, ლიდერები, გამოსვლების მიმზიდველობა).

3. **განწყობითი შეკითხვები**

ა) ალბათ ხშირად გაგიგონიათ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებიდან სიტყვა პოპულიზმი(ან პოპულისტური). რასთან ასოცირდება ეს სიტყვა თქვენთვის?

ბ) რომელი პოპულისტური ლიდერია თქვენთვის ცნობილი და კონკრეტულად, რის გამო მიიჩნევთ პოპულისტ ლიდერად?

გ) ალბათ ხშირად გაგიგიათ, რომ საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა ჯგუფებად... ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას? (თუ კი განვაგრძო ქვემოთ მოცემული შეკითხვები და თუ არა, მაშინ გადავიდე „ზ“ შეკითხვეზე).

დ) რა კონკრეტული ინდიკატორების მიხედვით დაყოფდით საზოგადოებას?

ე) არსებობს თუ არა რაიმე სახის დაპირისპირება თქვენს მიერ დაყოფილ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის? რა ტიპისაა ეს დაპირისპირება?

ვ) თქვენი აზრით, პოლიტიკური ლიდერები და პარტიები თავიანთ წინასაარჩევნო პროგრამებში რამდენად ითვალისწინებენ ამ დაყოფას?

ზ) თქვენი აზრით, რაზე მახვილდება ყურადღება წინასაარჩევნო პერიოდში პარტიებისა და პოლიტ.ლიდერების მხრიდან?

თ) რა იწვევს ამ ტიპის პრობლემებზე/საკითხებზე ყურადღების გამახვილებას?

ი) თქვენი აზრით, რამდენად იდეოლოგიზირებულია საზოგადოება?

კ) გსმენიათ თუ არა იდეოლოგიური დაპირისპირების საფუძველზე დაწყებული კონფლიქტის შესახებ? იქნებ გაიხსენოთ, კონკრეტული ფაქტი?

ლ) თქვენი აზრით, საქართველოში მსგავს დაპირისპირებას პოლიტიკური ლიდერები და პარტიები იყენებენ თუ არა საკუთარი პოლიტიკური მიზნებისა და წარმატებისათვის?

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თორნიკე მეშველიანი

საარჩევნო სისტემა, როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიის ხარისხის განმსაზღვრელი ფაქტორი საქართველოში

პოლიტიკის მეცნიერება

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე

სრული პროფესორი

თანახელმძღვანელი: გიორგი მელიქიძე

მოწვეული ლექტორი

თბილისი

2017წ

სარჩევი

ანოტაცია 3
Abstract 4
შესავალი 6
თემის აქტუალობა: 9
კვლევის მიზანია, ...12
კვლევის ამოცანაა, ...12
საკვლევი კითხვა, ...13
ჰიპოთეზა: 13
ცვლადები 15
ოპერაციონალიზაცია 16
თეორიული ჩარჩო 24
ლიტერატურის მიმოხილვა 26
თავი I - პროცენტები და მანდატების რაოდენობა 30
1.1 საქართველოს მაგალითები 30
1.2 ლიტვის მაგალითები 39
1.3 - უკრაინის არჩევნები 42
1.4. - რუსეთის არჩევნები 46
საქართველოს, ლიტვის, უკრაინისა და რუსეთის საარჩევნო სისტემების შედარებითი ანალიზი 47
თავი II - თეორიული დაშვებები 51
2.1. საქართველოს მაგალითები 51
2.2. ლიტვის მაგალითები 54
2.3. - უკრაინის მაგალითები 55
2.4 - რუსეთის მაგალითი 56
თავი III - საქართველოში პროპორციული სისტემის პერსპექტივები 57
დასკვნა და რეკომენდაციები 62

ანოტაცია

საქართველოს პარლამენტს უკვე დაწყებული აქვს საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მსჯელობა,რომლის შესახებაც არ არსებობს ერთი ჩამოყალიბებული პოზიცია. საარჩევნო სისტემის თემა,ქართული არჩევნების რეფრენად იქცა,ვინაიდან ყოველი არჩევნების წინ ოპოზიცია ხელისუფლებას საარჩევნო სისტემას უწუნებს და მისით მანიპულირების შესაძლებლობაზე მიანიშნებს.

ქართულ საარჩევნო სისტემაში პრობლემური საკითხია ე.წ „ხმის წონის“ პრობლემა,რაც გულისხმობს რომ სხვადასხვა ოლქებს,რომელთა მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად განსხვავებულია და მაინც ორივეს თანაბარი რაოდენობის,თითო-თითო დეპუტატი ჰყავს საქართველოს პარლამენტში.ასევე ის ფაქტი,რომ თითქოს მაჟორიტარული სისტემა,დეპუტატებსა და მოქალაქეებს შორის მჭიდრო კავშირს უნდა აყალიბებდეს,საქართველოში პირიქით,გაუცხოვება და დისტანცირება ხდება მათ შორის,ზოგჯერ კი მაჟორიტარებს ფეოდალებსაც ადარებენ.

საარჩევნო სისტემებით მანიპულირება შეიძლება დავარქვათ იმას , რომ ხშირად პოლიტიკური პარტიები , რომლებიც იღებენ ხალხის გარკვეულ მხარდაჭერას, საკანონმდებლო ორგანოში, მიღებული პროცენტებისგან განსხვავებული რაოდენობის დეპუტატი შეჰყავთ, როგორც წესი, ხელისუფლებას მიღებულ პროცენტებზე მეტი დეპუტატი, ხოლო ოპოზიციას, ნაკლები, რაც შემდგომ იწვევს ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა, ხელისუფლების მხრიდან ანგარიშვალდებულების ნაკლებობა, არაკონკურენტული პოლიტიკური ველი და არამყარი მრავალპარტიული სისტემა, რაც თავის მხრივ საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის წარმომადგენლობითი დემოკრატიის განხორციელებას.

კვლევის მიზანია,გავიგოთ,რომელი საარჩევნო სისტემა იქნება ოპტიმალური, საქართველოში წარმომადგენლობითი დემოკრატიის უზრუნველყოფისთვის.

ასევე საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო სისტემების შედარება, თუ როგორ განსაზღვრავენ ისინი საკანონმდებლო ორგანოების ფორმირებას.
კვლევის ფარგლებში, გაანალიზებულია საქართველოს, ლიტვის, უკრაინისა და რუსეთის ,სხვადსხვა დონის არჩევნების შედეგები. გაზომილია სხვაობა, პარტიების მიერ მიღებულ ხმათა პროცენტულ რაოდენობასა და მიღებულ მანდატებს შორის. ასევე, განხილულია, თეორიული დაშვებები, თუ როგორი შედეგი იქნებოდა პროპორციული სისტემის, სხვადასხვა მოდელებით არჩევნების ჩატარების შემთხვევაში და რა გავლენა ექნებოდა, ამ შედეგებს, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ხარისხზე.

Abstract

The Parliament of Georgia has already begun to discuss electoral system reform, which does not have one established position. The issue of electoral system has become a referendum for the Georgian elections, because before every election the opposition does not like the electoral system of the government and indicates the possibility of manipulating it.

In the Georgian electoral system is the problem's issue which so-called "election of weight".The problem that implies that different districts, whose population is sharply different, still have two equal members, each one has a deputy in the Parliament of Georgia. The fact that majoritarian system should connect people and deputies, isn't true for Georgia. On the contrary, it separates them and make distance between them. Georgians sometimes even call their deputies feudal lords.

The manipulation of electoral systems can be traced to the fact that often political parties who receive certain support from the people, They receive differing from the percentages number of deputies in the legislative structure. As a rule, the government has more deputies than the percentage received, and the opposition received less, which cause further problems such as the lack of accountability by the government, the non-competitive political field and the unstable multi-party system, which in turn ultimately threatens the implementation of representative democracy.

The goal of the survey is to find out which electoral system is optimal for ensuring representational democracy in Georgia.

As well as comparison of electoral systems of Georgia and various countries on how to shape their legislative formation.

Within the scope of the survey, it is analyzed the results of elections of different levels of Georgia, Lithuania, Ukraine and Russia. Also there are calculated the difference of between the percentage of votes received by the parties and the mandates. Also, is discussed the theoretical assumptions about what kind of the outcome would be in the proportional system, in the case of different models of elections, and what impact it would have on the quality of representative democracy.

შესავალი

თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია, წარმოუდგენელია არჩევნების გარეშე, რომელზე დამოკიდებულია ხმის მიცემისას მოქალაქეთათვის თანასწორობის პრინციპის დაცვაზე, ერთი ადამიანი, ერთი ხმა, არჩევნების ფორმაზე, ესაა პირდაპირი წესით თუ გაშუალებული, ამომრჩეველთა კოლეგიის სახით , როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია , გადასანაწილებელი მანდატების ფორმაზე და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ „საარჩევნო სისტემა ფართო გაგებით სახელმწიფოს არჩევითი (წარმომადგენლობითი) ორგანოს ფორმირების წესია“ (საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი) არჩევნების მნიშვნელობაზე ბევრი ავტორი საუბრობს, მათ შორის , მეოცე საუკუნის გამოჩენილი ფრანგი სოციოლოგი მორის დიუვერჟე, რომელიც ამტკიცებდა რომ საარჩევნო სისტემა განსაზღვრავს პოლიტიკური სისტემის ხასიათს და მაჟორიტარული სისტემა აყალიბებს ორპარტიულ სისტემას. ეს შეხედულება ცნობილია როგორც დიუვერჟეს კანონი. (Brian Underwood . 2012) საარჩევნო ინჟინერიამ შეიძლება ჩამოაყალიბოს ,როგორც პოლიტიკური სისტემის ფორმა, ისე პარტიული სისტემა და ასევე იყოს წარმომადგენლობითი დემოკრატიის განმსაზღვრელი, ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი. (კვაშილავა,ბ. ; კონსტიტუციური წყობისა და საარჩევნო სისტემის გავლენა პოლიტიკური პარტიების განვითარებაზე პოსტსოციალისტური ევროპის დემოკრატიებში)

არჩევნების მნიშვნელობაზე ისიც მიუთთებს რომ მასზე სოლიდური თანხები იხარჯება და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, მხოლოდ ცესკოსთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 29 032 926 ლარი გამოიყო, ამას გარდა დიდია თვითონ პოლიტიკური სუბიექტების,

პატრიებისა თუ ბლოკების ხარჯვითი წილიც, რომელიც რამდენიმე ათეული მილიონს აღწევს ხოლმე. გარდა ამისა, უცხოური სადამკვირვებლო მისიების ჩართულობისთვის გაწეული ხარჯები, მითუმეტეს გარდამავალი დემოკრატიის მქონე ქვენებში, უცხოური სადამკვირვებლო მისების წილი მნიშვნელოვანია, მათ შორის საქართველოში ყველა მნიშვნელოვან არჩევნებს ესწრებოდნენ გაეროს საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის წარმოადგენლები , ასევე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, რომ არაფერი ვთქვათ IRI_ის, NDI_ის, USAID_ის მრავალლრიცხოვან წარმომადგენლებზე. ამასთანავე ვენეციის კომისია , შუალედურ ანგარიშებს აქვეყნებს, საარჩევნო სისტემის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციისთვის. ეს მიუთითებს, რომ საარჩევნო სისტემა და დემოკრატია მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და გარკვეულწილად ორმხრივ რეაქციას იწვევს, გაუმართავი საარჩევნო სისტემა უარყოფითად მოქმედებს დემოკრატიის ხარისხზე და პირიქით, დემოკრატიის უარყოფითი ხარისხი, საარჩევნო სისტემით მანიპულირებას იწვევს.

არჩევნები არა მხოლოდ უბრალოდ მექანიზმია პოლიტიკური ძალაუფლების გადანაწილების გზაზე, არამედ ის მნიშვნელოვანწილად სისტემის სტაბილურობას უზრუნველყოფს. არჩევნებს ხშირად ე.წ. ორთქლის გამოშვებასაც ადარებენ, როდესაც ხდება საზოგადოებაში დაგროვილი უკმაყოფილების საარჩევნო ბიულეტენის მეშვეობით გამოხატვა.

არჩევნების მეშვეობით,საზოგადოებრივი განწყობების სამართლიანად განაწილება,მინიმუმამდე ამცირებს სისტემის გადახურების საფრთხეს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს, რევოლუციური სცენარების განვითარების შესაძლებლობას.

არჩევნების ჩატარების მოდელზეა დამოკიდებული თუ როგორ მუშაობს დემოკრატია, როგორ ყალიბდება პარტიული სისტემა და როგორია პოარიზების დონე პოლიტიკურ პროცესებში. არჩევნების ჩატარების და მანდატების გადანაწილების წესი განსაზღვრავს, კომუნიკაციის იმ მოდელებს, რის შესაბამისადაც მოქმედებენ პარტიები ერთმანეთთან

მიმართებით. თუ საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფს მრავალპარტიულ წარმომადგენლობითობას, როდესაც რამდენიმე პარტიას უწევს ერთმანეთთან კომუნიკაცია, მთავრობის ჩამოსაყალიბებლად , ამ შემთხვევაში რიტორიკა შერბილებულია და კომპრომისზე ორიენტირებული, ხოლო თუ არჩევნების შედეგად ერთი პოლიტიკური პარტია აყალიბებს უმრავლესობას და მითუმეტეს საკონსტიტუციიო უმრავლესობას, ამ შემთხვევაში რიტორიკა კონფრონტაციულია და ამის თანმდევი მოვლენაა უკვე,საზოგადოებაში პოლარიზება და დაპირისპირების საფრთხე,რაც ხშირად სავალალო შედეგების მომტანია.

თემის აქტუალობა:

საქართველოს პარლამენტს უკვე დაწყებული აქვს საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მსჯელობა,რომლის შესახებაც არ არსებობს ერთი ჩამოყალიბებული პოზიცია. საარჩევნო სისტემის თემა,ქართული არჩევნების რეფრენად იქცა,ვინაიდან ყოველი არჩევნების წინ ოპოზიცია ხელისუფლებას საარჩევნო სისტემას უწუნებს და მისით მანიპულირების შესაძლებლობაზე მიანიშნებს. 2017 წლის დასაწყისიდანვე ისევ ერთ-ერთი აქტუალური საკითხია საარჩევნო რეფორმა, არჩევნების ჩატარების წესი, მანდატების გადანაწილების ფორმა, პარტიების მიერ საარჩევნო ბლოკების შექმნის საკითხი და ა.შ., ახლადშექმნილი საკონსტიტუციო კომისიის მსჯელოსბის საგანია.

მოქმედი მმართველი პარტიის ,ქართული ოცნების მიერ საკონსტიტუციო კომისიაში ინიცირებულ საარჩევნო სისიტემის მოწყობილ მოდელს, არც ერთი პოლიტიკური სუბიექტი და უჭერს მხარს. მეტიც, შემოთავაზებულ საარჩევნო მოდელზე, რომელიც ითვალისწინებს ე.წ. გადაუნაწილებელი ხმების პირველ ადგილზე გასული პოლიტიკური სუბიექტის კალატაში მოთავსებას, იმ ფონზე როდესაც პარალელურ რეჟიმში, საარჩევნო ბარიერი რჩება 5 % და ასევე იკრძალება არჩევნებამდე პოლიტიკური ბლოკების შექმნა, უკვე კრიტიკული დასკვნა არის ვენეციის კომისიის მხრიდან, რომელიც აღნიშნავს, რომ იმ პირობებში როდესაც, ნარჩუნდება საკმაოდ მარალი, ხუთ პროცენტიანი ბარიერი, ბარიერ გადაულახავი პარტიების გადაუნაწლებელი ხმები , გადაეცემა გამარჯვებულ სუბიექტს და უქმდება პოლიტიკური ბლოკების შექმნის შესაძლებლობა, ეს სამი მექანიზმი ერთად, ზღუდავს სამართლიანი წარმომადგენლობითობის და საარჩევნო თანასწორობის პრინციპებს, ნათქვამია ვენეციის კომისიის მიერ. (netgazeti.ge ; დათო ქოქიშვილი 2017წ)

ვენეციის კომისია, საარჩევნო რეფორმირების გზაზე, პროპორციულ სისტემაზე გადასვლას, წარმომადგენლობითი დემოკრატიის დონის გასაზრდელად დადებითად აფასებს, თუმცა ზემოთ ხსენებული სამი მექანიზმის კომბინაციის ნაცვლად, იძლევა რეკომენდაციას, რომ

- გადაუნაწილებელი ხმები და მანდატები, პროპორციულად გადანაწილდეს ბარიერგადალახულ პარტიებზე
- გამარჯვებულ პარტიას დაუწესდეს ე.წ. ბონუსის ზედა ზღვარი
- ან ბარიერმა დაიწოს 2-3 პროცენტამდე.

საქართველოში ჯერ კიდევ მოქმედ, საარჩევნო სისტემაში პრობლემური საკითხია ე.წ „ხმის წონის“ პრობლემა,რაც გულისხმობს რომ სხვადასხვა ოლქებს,რომელთა მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად განსხვავებულია და მაინც ორივეს თანაბარი რაოდენობის,თითო-თითო დეპუტატი ჰყავს საქართველოს პარლამენტში. ბოლო არჩევნებზე ეს საკითხი მეტ-ნაკლებად დარეგულირდა, თუმცა დარჩა გეოგრაფიულად განსხვავებული თავისებურებების მქონე რაიონები გააერთიანეს და ერთ ოლქად მოაქციეს.ასევე ის ფაქტი,რომ თითქოს მაჟორიტარული სისტემა,დეპუტატებსა და მოქალაქეებს შორის მჭიდრო კავშირს უნდა აყალიბებდეს,საქართველოში პირიქით,გაუცხოვება და დისტანცირება ხდება მათ შორის,ზოგჯერ კი მაჟორიტარებს ფეოდალებსაც ადარებენ.

მაჟორიტარული სისტემის მთავარი ნაკლი არის და ეს ბოლო 2016 წლის არჩევნებმაც ცხადჰყო,რომ პარტიები იღებენ იმაზე განხვავებული რაოდენობის მანდატებს, ვიდრე მათი პროპორციულად დაგროვებული პროცენტებია. ამ თემით დაინტერესება გამოიწვია იმან, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებიც რომ ვნახოთ, 48% მხარდაჭრის მქონე პარტიამ,როგორც ოპონენტები უყენებენ ბრალდებას, საარჩევნო სისტემის ხარჯზე მოიპოვა 77%_იანი წარმომადგენლობითობა პარლამენტში, ამიტომ ჩემი მიზანია გამოვარკვიო, თუ რამ უზრუნველყო ის რომ ასეთი შედეგი დამდგარიყო და იყო თუ არა ეს მხოლოდ საარჩევნო სისტემის შედეგი, თუ მასზე სხვა ფაქტორებიც მოქმედებდა?

2015 წლის ზაფხულის დასაწყისში,მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა ი.ღარიბაშვილმა განაცხადა,რომ „საპარლამენტო არჩევნების მოქმედი საარჩევნო სისტემა ბოლომდე არ შეესაბამებოდა სამართლიანი და თანასწორი არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებს“

და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის მაჟორიტარობისთვის საჭირო ბარიერი 50% გახდება,ხოლო მცირე ოლქები,ერთ ოლქად გაერთიანდებიან,ამასთანავე,2020 წლის საპარლამენტო არჩევნები მთლიანად პროპორციული წესით ჩატარდება. ამ ცვლილებებს პროგრესული უწოდა ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ_ში მაჟორიტარული სისტემა მოქმედებს) ყოფილმა სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში,რიჩარდ ნორლანდმა,რომელმაც განაცხადა რომ: „მიღწეულია გარკვეული პროგრესი საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, გადაიდგა ნაბიჯი, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს საარჩევნო სისტემის სრულყოფილებას და შემდგომ პროგრესს გამოიწვევს, ამით ასევე იქნება

პროპორციული წარმომადგენლობა უზრუნველყოფილი“, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნე, საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის ეს ცვლილებები ძალაში შესული და ასევე მის მიზანშეწონილობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ვენეციის კომისია.

არ არსებობს ერთი შეთანხმებული პოზიცია,თუ რომელი საარჩევნო სისტემა იქნება ოპტიმალური,ქართული რეალობისათვის და რომელი სისტემა უზრუნველყოფს ხალხის არჩევანის მაქსიმალურ ასახვას,წარმომადგენლობით ორგანოებში,თან ისე რომ არ გამოიწვიოს კრიზისული სიტუაციები,რასაც პოლიტიკური სისტემის არასტაბილურობა და შეიძლება გადატრიალებაც კი მოჰყვეს.

საარჩევნო სისტემის ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებისთვის,განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში,რომელთაც არ აქვთ საარჩევნო სისტემის საკუთარ ქვეყანაში ფორმირების ტრადიცია და უწევთ მზა მოდელების გადმოღება და დანერგვა.

საარჩევნო სისტემით წარმოშობილი პრობლემები განხილული იქნება საქართველოს მაგალითზე, ასევე განვიხილავ ლიტვის,უკრაინისა და რუსეთის მაგალითებს, მეტი თვალსაჩინოებისთვის. ამ რესპუბლიკების მოდელებთან შედარების საბაბი იყო ის რომ ყველა ორივე საბჭოთა გამოცდილების ქვეყანაა,თუმცა დროის სხვადასხვა ხანგრძლივობით. ასევე ის ფაქტორი,რომ ყველას თითქმის იდენტური,შერეული საარჩევნო სისტემა და პოლიტიკური მოწყობა გააჩნია.

კვლევის მიზანია, საქართველოში, საარჩევნო სისტემის მოდელების გავლენის დადგენა, წარმომადგენლობითი დემოკრატიის ხარისხზე.

კვლევის ამოცანაა, საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების განხილვა, შედეგების გაზომვა და სხვადასხვა საარჩევნო სისტემის მოდელთან შედარებითი ანალიზი, თანდართული მაგალითებით

საკვლევი კითხვა, შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: უზრუნველყოფს თუ არა პროპორციული საარჩევნო სისტემა , წარმომადგენლობითი დემოკრატიის მაღალ დონეს?

ჰიპოთეზა: რაც მეტია პროპორციული სისტემით გადასანაწილებელი მანდატების რაოდენობა, მით მეტია წარმომადგენლობითი დემოკრატიის დონე.

კვლევის პროცესში **მეთოდოლოგია**დ გამოყენებული იქნება ტრიანგულაცია,რათა თავიდან ავიცილოთ ტენდენციურობა,რომელლიც ერთი მეთოდის გამოყენებას შეიძლება თან ახლდეს და ასევე უფრო მრავალმხრივი ინფორმაციის მისაღებად. ტრიანგულაციის არსი მდგომარეობს შემდეგში, რომ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ინფორმაცია, გავზომოთ ცვლადები ან დავადგინოთ ჰიპოთეზის რეალობასთან შესაბამისობა ან პირიქით, ორი ან მეტი სხვადასხვა კვლევის მეთოდის გამოყენებით.

კერძოდ, მეორად მონაცემთა ანალიზი,სადაც ასახულია სახელმწიფოს ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემები, სტატისტიკები და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევები, რომლებიც შეიძლება განსხვავებული მიზნისთვის იყო ჩატარებული, თუმცა ამ კვლევის საგნის შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია.

მეორად მონაცემთა ანალიზი,ის მეთოდია ,რომელსაც ბევრი ცნობილი მკვლევარი და თეორეტიკოსი მიმართავდა და დღესაც მიმართავს. აღსანიშნავია რომ მეორად მონაცემტა ანალიზს აწარმოებდა მაქს ვებერი, რომელიც „ადრეული პროტესტანტული ეკლესიების ოფიციალურ იდეოლოგიებსა და სხვა ისტორიულ დოკუმენტაციებს იკვლევდა“ (ნაჩმიასი & ნაჩმიასი 2009) , ასევე იყო ემილ დიურკჰეიმი, რომელიც სუიციდის ოფიციალურ სტატისტიკას სწავლობდა, კათოლიკებით და პროტესტანტებით დასახლებულ მხარეებში.

მეორად მონაცემთა ანალიზის სამი ძირითადი უპირატესობა შეგვიძლია გამოყოთ:

კონცეპტუალურ-არსებითი, რადგან გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება კვლევისას მეორადი მონაცემები იყოს ერთადერთი ხელმისაწვდომი მასალა და ამავდროულად,

როგორც ჰერბერტ ჰაიმანი მიუთითებს, „მეორადი წყაროების გამოყენებით, შეგვიძია ისტორიული კონტექსტის უკეთ გაგება.“ (ნაჩმიასი & ნაჩმიასი 2009)

ჩემ კვლევაშიც, უმთავრესი როლი აქვს ოფიციალურ ინფორმაციას , რომელსაც აქვეყნებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რადგან პროპორციის თუ დისპროპორციის გაზომვა, ამ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს.

მეთოდოლოგიური უპირატესობა, იმით გამოიხატება, რომ კვლევის აღმოჩენების სანდოობის ხარისხი უფრო მაღალია, თუ ის სხვადასხვა კვლევაში განმეორდება. (ნაჩმიასი & ნაჩმიასი 2009)

ის ასევე, იძლევა სხვადასხვა მონაცემთა შედარების საშუალება, სხვა მკვლევრის მიერ მიღებული ინფორმაციის საფუძველზეც. ისევე როგორც ეს ჩემს კვლევაში, როდესაც ვიყენებ რამდენიმე ადგილობრივი თუ საერთაშორისო მკვლევრის მიერ დამუშავებულ, მონაცემებს.

ეკონომიკური უპირატესობა, კვლევის მეთოდების სიიაფეა, ვინაიდან რამდენიმე ათასი ინტერვიუს ჩატარება, დიდი ფინანსურ შესაძლებლობებს მოითხოვს, განსაკუთრებით, სტუდენტებისა და პროფესურისათვის.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, გამოყენებულია პირისპირ ინტერვიუს მეთოდი, პოლიტიკის მეცნიერების ექსპერტებთან, პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან, ყოფილ მაღალი თანამდებობის მქონე პირებთან და ა.შ., რაც იძლევა საშუალებას, მეტი ინფორმაცია მივიღოთ, უშუალოდ იმ პირებისგან , რომლებიც ცხოვრობენ კონკრეტულ მოცემულობაში, მოღვაწეობენ იმ რეალობაში, რომელზეც კვლევა ხორციელდება და უშუალოდ არიან ის პირები, რომელთაც ეხებათ საარჩევნო სისტემის ეფექტი და ისინი არიან, ასე ვთქვათ ის ინსტრუმენტები, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ წარმომადგენლობითობის დონე.

კვლევის პროცესში პირისპირ, სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარებულია, საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის დამფუძნებელთან, 2008 წლის მოწვევის საქართველოს

პარლამენტში, უმცირესობის ლიდერთან, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან, გიორგი თარგამაძესთან. პოლიტიკური მოძრაობა, „ახალი საქართველოს“ ლიდერთან, იუსტიციის მინისტრის ყოფილ მოადგილესთან, გიორგი ვაშაძესთან. პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერთან და ე.წ. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარესთან, მამუკა კაციტაძესთან. რესპუბლიკური პარტიის ყოფილ ლიდერთან და ასევე პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილთან.

ცვლადები: დამოუკიდებელი ცვლადია პროპორციული საარჩევნო სისტემა, ხოლო დამოკიდებული ცვლადია წარმომადგენლობითი დემოკრატიის დონე.

ოპერაციონალიზაცია

ოპერაციონალიზაცია რომ განვახორციელოთ, საჭიროა განვსაზღვროთ შემდეგი საკვანძო ცნებები: წარმომადგენლობითი დემოკრატია და პროპორციული საარჩევნო სისტემა, ასევე მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა , ვინაიდან მასთან შედარებისას ვზომავთ ჰიპოთეზის სისწორეს.

თავის მხრივ, აუცილებელია აღვნიშნოთ, თუ როგორ გავზომავთ და რა ინდიკატორს გამოვიყენებთ, როდესაც გადანაწილებული მანდატების პროპორციულობას დავადგენთ.

განვსაზღვროთ რა არის საარჩევნო სისტემა, „ეს არის სადეპუტატო მანდატების გადანაწილების ხერხი,კანდიდატებს შორის ამომარჩეველთა ხმის მიცემის შედეგების მიხედვით“. მისი მეშვეობით ფორმირდება.მაგალითად,ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას *საკრებულო,*ხოლო საპარლამენტო არჩევნებისას *პარლამენტი.* საარჩევნო სისტემის ორი ძირითადი ტიპი არსებობს და მათი გარკვეული თვისებების შერევის შედეგად ,შეიქმნა შერეული საარჩევნო სისტემა. საარჩევნო სისტემები მუდმივი დავის საგანია ხოლმე და მის შესახებ არ არსებობს ერთი ჩამოყალიბებული პოზიცია,თუ რომელია ყველაზე ოპტიმალური. საარჩევნო სისტემა დიდ როლს თამაშობს პარტიული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზეც და მიიჩნევა რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა უფრო უწყობს ხელს

მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას,რაც შედარებით მცირებიუჯეტიანი პარტიებისათვის იძლევა არეალს,რომ ამომრჩეველთა კონკრეტული ჯგუფის მხარდაჭერის მეშვეობით,მოიპოვონ ადგილი წარმომადგენლობით ორგანოში,რაც თავის მხრივ ფინანსურ სტაბილურობას და საჯარო ტრიბუნის არსებობას განაპირობებს,ხოლო მაჟორიტარული სისტემა მიიჩნევა ერთპარტიული ან მაქსიმუმ ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელ და „ნოყიერ ნიადაგად“, ამ დროს კი მცირე რესურსის მქონე პარტიების შანსები მინიმუმამდე მცირდება და იქმნება სურათი როცა ორ მძლავრ პარტიას უწევს საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესის დაცვა.

წარმომადგენლობითი დემოკრატიის შესახებ საუბარს ვხდებით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში – “დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება საქართველოში” , ასამბლეა იძლევა რეკომენდაციას, რომ დაინტერესებული მხარეები, ხელისუფლების, ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის ჩათვლით, განიხილონ

მაჟორიტარული სისტემის ნაცვლად, რეგიონალურ პროპორციული სისტემის , რომელიც დაფუძნებული იქნება ღია სიებზე. ოპტიმალურ მოცემულობად კი ითვლება როდესაც მიღებულ პროცენტებსა და მანდატებს შორის სხვაობა, საარჩევნო ბარიერის ოდენობის ფარგლებშია, საქართველოს შემთხვევაში კი ეს 5%_ის ფარგლებში ჩაითვლება ოპტიმალურად. (სრული პროპორციულობა შეუძლებელია,ვინაიდან ე.წ. დაკარგული ხმებით, მანდატები საპარლამენტო მანდატებზე ნაწილდება. ავტ.)

ბრიტანელი სოციოლოგის, ენტონი გიდენსის განმარტებით, არის როდესაც „გადაწყვეტილებებს, რომელიც ადამიანთა ცხოვრებაზე გავლენას ახდენს, იღებს არა საზოგადოების ყველა წევრი, არამედ სპეციალურად ამ მიზნისათვის არჩეული წარმომადგენლები, რომლებიც აირჩევიან თავისუფალ არჩევნებში, სადაც ამომრჩევლებს მინიმუმ ორ პარტიას შორის უწევს არჩევანის გაკეთება და მათი მიღებული ხმები და წარმომადგენლობა ერთმანეთის პროპორციულია“

პოლიტოლოგი,სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ლ. დაიმონდის განსაზღვრების მიხედვით წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში უზრუნველყოფილია, „მასების თანასწორი პოლიტიკური მონაწილეობის მაღალი დონე,რეგულარულსა და კანონიერ არჩევნებში,როდესაც არც ერთი სოციალური ჯგუფი არაა მოკლებული ასეთი მონაწილეობის უფლებას“.

ამერიკის შეერთებული შტატების მეოთხე პრეზიდენტსა და პოლიტიკურ თეორეტიკოსს, ჯეიმზ მედისონის განმარტებით, წარმომადგენლობითი დემოკრატიაა, როდესაც „საზოგადოების მრავალგვარი და განსხვავებული ინტერესის მქონე ჯგუფის ხმა დაცული იქნება“,ამის გარეშე ის წესრიგის ან სტაბილურობის მიღწევას შეუძლებლად თვლიდა. ის ასევე მნიშვნელოვნად თვლიდა პლურალიზმსა და კონკურენციას პარტიებს შორის და არა

პარტიების შიგნით,რადგან პარტიას განიხილავდა იდენტური შეხედულებების ირგვლივ გაერთიანებული ადამიანების ერთობად.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის თეორია,რომელიც ყველაზე ძველი საარჩევნო თეორიაა, გულისხმობს სისტემას,რომელიც უმრავლესობის პრონციპზე დაფუძნებულია (ფრ. Majorite _ უმრავლესობა).გამარჯვებულად ის კანდიდატები ითვლებიან,რომლებიც დააგროვებენ ხმათა დადგენილ უმრავლესობას,ხოლო დანარჩენი უმცირესობა წარმომადგენლის გარეშე რჩება. მაჟორიტარული სისტემა ხშირად გამოიყენება ერთმანდატიან ოლქებში საქართველოში ძირითადად გამოიყენება **აბსოლუტური მაჟორიტარული** სისტემა,ანუ კანდიდატის გამარჯვებისათვის აუცილებელია,რომ მან მიიღოს არჩევნებზე მისული ამომარჩევლების ხმების 50% +1 ხმა. ასეთი სისტემის პირობებში,ხშირად ვერც ერთი კანდიდატი ვერ აგროვებს გამარჯვებისათვის საჭირო ხმათა დადგენილ რაოდენობას და დგება მეორე ტურის აუცილებლობა,სადაც საუკეთესო შედეგის მქონდე,მხოლოდ ორი კანდიდატი მონაწილეობს. მეორე ტურში კი შეიძლება გაიმარჯვოს იმ კანდიდატმა,რომელსაც პირველ ტურში ხმათა ნაკლები რაოდენობა ჰქონდა.

როგორც წესი,მეორე ტურში მონაწილე ამომრჩევლთა რაოდენობაც მცირდება და შეიძლება პირველ ტურში პირველ ადგილზე გასული კანდიდატი,მეორე ტურში დამარცხდეს.

პროპორციული საარჩევნო სისტემის თეორია გვთავაზობს მოდელს როდესაც წარმომადგენლობით ორგანოში,დეპუტატთა მანდატები ნაწილდება ყოველი პარტიის მიერ მიღებული ხმების პროპორციულად.როგორც წესი ამ სისტემის დროს არსებობს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც აუცილებელია მანდატის მოსაპოვებლად,თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც როდესაც არანაირი ბარიერი არაა დაწესებული (საქართველოს 1992 წლის არჩევნები. ავტ.) მაგალითად,თუ ოლქში გადასანაწილებელია 10 მანდატი და X პარტიამ მიიღო 50%,ის მიიღებს ხუთ მანდატს,Y პარტიამ მიიღო 30%, ის მიიღებს 3 მანდატს და ა.შ. პროპორციული საარჩევნო სისტემა,მაჟორიტარული სისტემისაგან

განსხვავებით გამოიყენება მრავალმანდატიან ოლქებში. პროპორციული საარჩევნო სისტემის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს, წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობაში,პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის მეტ-ნაკლები დაცვა,ასევე ის ხელს უწყობს მოქალაქეთა პოლიტიკურ აქტიურობას და ასევე მცირე რესურსების მქონე პარტიების წარმომადგენლობას არჩევით ორგანოებში. პროპორციული სისტემის ნაკლოვანებად ითვლება,რომ მაჟორიტარულისაგან განსხვავებით მთავრობის ფორმირება რთულდება და ხშირია კრიზისული სიტუაციები.ასევე,ითვლება რომ დეპუტატი ანგარიშვალდებულია არა იმდენად ამომრჩევლის წინაშე,არამედ პარტიის წინაშე,რომელმაც მას საარჩევნო სიაში რიგითობის
ნომერი მიანიჭა. ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი და უარყოფითი მხარეები არაა ჭეშმარიტება

და სწორედ მისი რელევანტურობაა ყველაზე ხშირად განსჯის საგანი. კვლევის ბოლოს, შედეგების გასაზომად, მოპოვებულ მონაცემებს დავამუშავებთ და შევადარებთ ზემოთაღნიშნული წარმომადგენლობითი დემოკრატიის მკვლევრების შეხედულებებს და ასევე გავზომავთ, თუ როგორ ხდება ემპირიულად, მიღებულ პროცენტებსა და მანდატებს შორის პროპორციულობა, როდესაც გავზომავთ მათ შორის სხვაობას და შევადარებთ საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

მაგალითად განვიხილოთ ,2010 წლის 30 მაისს თბილისის საკრებულოს არჩევნები,25 წევრის არჩევა მოხდა მაჟორიტარული და 25 წევრის პროპორციული პრინციპით, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო 52.5 %, თუმცა საკრებულოს 50 დეპუტატიდან,39_ის გაყვანა მოახერხა,მაჟორიტარული სისტემის ხარჯზე,რაც დეპუტატების 78%_ს შეადგენს,ხოლო პროცენტულად მეორე ადგილზე გასულ პოლიტიკურ გაერთიანება: “გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანებას”,რომელმაც პროპორციულ არჩევნებში ხმათა 11,94% მიიღო,გაიყვანა 3 დეპუტატი,რაც საკრებულოს წევრების 6%_ია,ანუ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატების რაოდენობა,მიღებული ხმების პროცენტულ რაოდენობას 32%_ით აღემატება. (იხილეთ ცხრილი #1)

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
ნაციონალური მოძრაობა	52,5%	50	39	32 %
ქრისტიან-დემოკრატები	11,94%	50	3	-6%

2010 წლის 30 მაისის თბილისის საკრებულოს არჩევნები

ევროსაპჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაგალითად ამ არჩევნებში დარღვეული იყო წარმომადგენლობითობის სტანდარტი, ვინაიდან საქართველოში საარჩევნო ბარიერი კვალიფიციური სუბიექტობისთვის არის 3%, ხოლო მანდატების მოსაპოვებლად 5%, ანუ ცდომილება დასაშვები იყო, რომ ყოფილიყო 5%_ის ფარგლებში, თუმცა დავინახეთ რომ ის 32%_ია და დაახლოებით 5-6_ჯერ აღემატება სტანდარტს.

მონაცემთა გაზომვის დროს, ევროსაპჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციაზე დაყრდნობით, გამოვიყენებ წარმომადგენლობითი დემოკრატიის გასაზომად სამ კრიტერიუმს:

- წარმომადგენლობითი დემოკრატია
- ნაკლებად წარმომადგენლობითი დემოკრატია
- არაწარმომადგენლობითი დემოკრატია

წარმომადგენლობით დემოკრატიად ჩაითვლება, თუ მიღებულ ხმათა პროცენტულ რაოდენობასა და მანდატებს შორის სხვაობა იქნება 1-7% ის ფარგლებში. თუ სხვაობა იქნება 8-15 % ის ფარგლებში, ის ჩაითვლება ნაკლებად წარმომადგენლობით

დემოკრატიად, ხოლო თუ სხვაობა ხმათა პროცენტულ რაოდენობასა და გადასანაწილებელ მანდატებს შორის იქნება 16%_ზე მეტი ის ჩაითვლება არაწარმომადგენლობით დემოკრატიად.

მონაცემების აღწერა, რომელიც საჭიროა ჰიპოთეზის ჭეშმარიტობის დასადგენად, ასევე ახსნა, თუ როგორ მოხდა ამ მონაცემების შეგროვება:

დიუვერჟეს ფორმულას თუ მივუბრუნდებით და მის აზრს გავითვალისწინებთ, ის ამბობს ასეთ რამეს, რომ , იმისათვის რათა დავადგინოთ თუ რა ეფექტის მოხდენა შეუძლია საარჩევნო სისტემას, ამისათვის ჩვენ უნდა დავაკვირდეთ მინიმუმ 4 არჩევნებს და მასზე დაკვირვებით განსაზღვროთ, საარჩევნო სისტემის ზემოქმედების კანონზომიერება და ლოგიკა. (Duverger, 1972)

1990 წლიდან დღემდე საქართველოში ჩატარდა 28 არჩევნები (მათ შორის, 6 საპრეზიდენტო, 9 საპარლამენტო, 8 აჭარის უმაღლესი საბჭოს და 5 ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები),რაც საკმარისი რაოდენობაა იმისა,რომ დავადგინოთ გარკვეული ტენდენცია,რომელსაც სხვადასხვა საარჩევნო სისტემის ფუნქციონირება იწვევდა და იწვევს. განხილულია 1992 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან,რომელშიც ყველაზე პროპორციულად გადანაწილდა მანდატები. ასევე 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების თავისებურებები და ასე შემდეგ, სხვადასხვა ეროვნული დონის არჩევნები. ასევე განხულილია სხვადასსხვა წლებში,სხვადასხვა სისტემით ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები. ასევე განხილულია ლიტვის 2008 და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, უკრაინის, რუსეთის და ა.შ შერეული საარჩევნო სისტემის ქვეყნები.

თეორიული ჩარჩო

წარმომადგენლობითი დემოკრატიის ერთ-ერთი თვალსაჩინო თეორეტიკოსია, ჯეიმს მედისონი, რომელიც წარმომადგენლბით დემოკრატიას განსაზღვრავს როგორც ადამიანების ერთობას, რომლებიც დროდადრო იკრიბებიან იმისთვის, რომ აირჩიონ წარმომადგენლები, თავიანთი მმართველობის ამოცანების შესასრულებლად. ჯ. მედისონი დაბეჯითებით მოითხოვდა , რომ წარმომადგენლები არჩეული ყოფილიყვნენ მოსახლეობის დიდი ნაწილის და არა ვიწრო ჯგუფების მიერ, როდესაც ყველა ჯგუფს ეყოლებოდა თავისი ინტერესის გამომხატველი, ხოლო თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ხელისულება იქნება ვიწრო ჯგუფების ინტერესის დამცველი და არა საერთო კეთილდღეობის.

ამერიკელი პოლიტოლოგი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის მკვლევარი, ლარი დაიმონდი, წარმომადგენლობით დემოკრატიაზე საუბრისას გამოყოფს მისთვის დამახასიათებელ სამ ასპექტს:

1. რეგულარულ არჩევნებში მასების თანასწორი მონაწილეობის უფლება, როდესაც არც ერთი ინტერესთა ჯგუფი, არაა მოკლებული ასეთი მონაწილეობის უფლებას.
2. ღირსეული და არა ძალადობრივი კონკურენცია , ნებისმიერი თანამდებობის დასაკავებლად, სხვადასხვა სახელისუფლებო ინსტიტუციაში

3. პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლების მაღალი დონე, რაც პოლიტიკური კონკურენციისა და მონაწილეობის მთლიანობის გარანტია.

ლ. დაიმონდი გვთავაზობს დემოკრატიის ორი გზით განსაზღვრებას, დემოკრატიის „ვიწრო“ და „ფართო“ გაგებას, სწორედ „ვიწრო დემოკრატიის“ ფარგლებში ლ. დაიმონდი მოიაზრებს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს.

წარმომადგენლობითი დემკრატიის თემას ეხმიანება , ვიქტორიანული ეპოქის ინგლისელი მოაზროვნის, ლორდი ემერიხ ედვარდ დალბერგ ექტონის შეხედულება,რომელიც რომელიც მან აღწერა თავის ნაშრომში the history of Freedom, დემოკრატიის საზომად უმცირესობების უფლებების დაცვის ხარისხს თვლიდა,ის ამბობდა რომ უმრავლესობას ყოველთვის შესწევს იმის ძალა რომ უმცირესობის ძალადობა დაძლიოს,ხოლო უმცირესობას არ შეუძლია უმრავლესობის დიქტატს წინ აღუდგეს.

ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურად გამოყენებული იქნება, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველოს" მხადაჭერით 2003 წელს გამოშვებული წიგნი, „არჩევნები და საზოგადოება“,რომლის ავტორიცაა მალხაზ მაცაბერიძე,სადაც დეტალურადაა აღწერილი პროპორციული და მაჟორიტარული სისტემების არსი და ასევე მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.ასევე საუბარია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე,განსაკუთრებით საინტერესოა პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილება საარჩევნო გარემოსა და სისტემის კუთხით.

ინტერნეტ გამოცემა earlhamsociologypages.uk_ზე გამოქვეყნებულია სტატია, სახელწოდებით **Representative Democracy and Elections,** რომლეშიც ავტორი მიმოიხილავს დიდი ბრიტანეთი სხვადასხვა დონეზე ჩატარებულ არჩევნებეს და ადარებს მათ ერთმანეთს. შედარებითი ანალიზის საფუძველზე, სტატიის ავტორი, დაასკვნის რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, რომელიც ბრიტანეთში მოქმედებს, ერთგავარად საფრთხის შემცველია წარმომადგენლობითი დემოკრატიისთვის, რადგან თუ შევხედავთ 2005 წლის არჩევნებს, ლეიბორისტულმა პარტიამ მიიღო ხმათა 35, ხოლო „სავარძლების“ 55%, ავტორი ამ გადახრის შემცირების რეკომენდაციით გამოდის.

Millersville University_ის მკვლევარი, დევიდ რიშერი, თავის სტატიაში „წარმომადგენლობითი დემოკრატია და ხალხის ნება“ სვამს კითხვას, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატია, უზრუნველყოფს თუ არა ხალხის ხმის სათანადოდ გაგონებას, მათ ჩართულობას პროცესებში. რიშერი ამბობს, რომ თუ პირდაპირი დემოკრატია არასტაბილურია,წარმომადგენლობით დემოკრატიაში არსებობს ჩართულობის განხორციელების პრობლემა.

CYBERLAND UNIVERSITY OF NORTH AMERICA_ის რექტორი და პოლიტიკური მეცნიერებების მკვლევარი ალმონ რელოი ვეი, თავის სტატიაში „ამერიკული მმართველობის სისტემა“ , აყალიბებს და ავითარებს შემდეგ აზრს, რომ არაწარმომადგენლობითი დემოკრატია, არ ნიშნავს აპრიორი ცუდს, და მას მოჰყავს ბრიტანეთისა და ამერიკის არჩევნების მაგალითები. ის ამბობს, რომ მმართველობა შეიძლება იყოს კონსტიტუციური და დემოკრატიიული, თუმცა არ იყოს წარმომადგენლობითი.

www.boundless.com_ზე გამოქვეყნებულია სტატია, არჩევნები, როგორც

წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფუნქციონირების მექანიზმი, მეჩვიდმეტე საუკუნიდან დღემდე. სტატიას რეფრენად გასდევს მოსაზრება, რომ არჩევნების მთვარი მოვალეობაა, ნათლად აღწეროს და ასახოს ამომრჩევლის განწყობები, რათა თითოეული ხმა იყოს დაცული და წარმომადგენლობის პრინციპს საფრთზე არ შეექმნას.

ასევე გამოყენებული იქნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ გვერდზე განთავსებული მასალა არჩევნების შესახებ,შედეგებზე,კანდიდატთა რაოდენობაზე და რაც საშუალებას მოგვცემს ოფიციალური სტატისტიკა გამოვიყენოთ, რათა საარჩევნო ხმათა პროცენტულ რაოდენობასა და გადანაწილებულ მანდატებს შორის არსებული დისპროპორცია თუ პროპორცია დავინახოთ.

კვლევაში გამოყენებული იქნება საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა,სადაც საუბარია პარლამენტის ნდობის ხარისხზე,რაც დაგვეხმარება გავიგოთ,როგორ იცვლება საზოგადოების განწყობა არჩევნებიდან 2წელიწადში.

ასევე გამოყენებული იქნება , ენდრიუ ჰეივუდის წიგნს „პოლიტიკა“,რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიის განსაზღვრებებისა და თეორიების გააზრებისათვის და ასევე პარტიული სისტემების გააზრების კუთხით. ავტორი ამ წიგნში, საუბრობს საარჩევნო გარემოზე, როგორც დემოკრატიის, ფუნქციონირებადი დემოკრატიის მუშაობისთვის აუცილებელ ფაქტორზე.

ასევე გამოყენებული იქნება ინფორმაციულად დატვირთული სალექციო კურსი „შედარებითი პარტიული პოლიტიკა“,რომელიც იმ თავისებურებებს გვაჩვენებს,რომელიც პარტიულ სტრუქტურას ახასიათებს,სხვადასხვა საარჩევნო სისტემის პირობებში.წიგნში, ერთ-ერთი თავის ავტორი, პიტერ მეიერი საუბრობს, რომ წარმომადგენლობვითი დემოკრატიის ფუნქციონირების დროს, ძლიერდება ეგრედწოდებული გამმიჯნავი ხაზები და მოსახლეობას არჩევანის

გაკეთების უფრო მეტი საშუალება აქვს და უფრო მეტადაა დარწმუნებული, თუ რომელი პოლიტიკური ჯგუფი დგას მის გემოვნებასთან ძალიან ახლოს.

პარტიები და მთავრობა: მმართველობის თავისებურებები წარმომადგენლობით დემოკრატიებში, ამ სათაურით სტატიას აქვეყნებს პოლიტიკის მკვლევარი ჰანს კემანი, რომელიც მკვეთრ ხაზს ავლებს წარმომადგენლობითობის ხარისხსა და ეკონომიკური განვითარების ან თუნდაც კორუფციის დონესთან. ის ამბობს რომ: "სათანადოდ წარმომადგენლობითი მთავრობა ეკონომიკური ზრდის, პოლიტიკური განვითარებისა და კოლექტიური კეთილდღეობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. პირიქით კი, ეკონომიკური წარუმატებლობის, ელიტური პრივილეგიებისა და სოციალური უსამართლობის წყაროა"

კვლევის პროცესსში, გამოყენებულია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტოროის ბაკურ კვაშილავას სადოქტორო ნაშრომი, „კონსტიტუციური წყობისა და საარჩევნო სისტემის გავლენა პოლიტიკური პარტიების განვითარებაზე პოსტსოციალისტური ევროპის დემოკრატიებში", სადაც ავტორი კარგად აღწერს, პოსტსოციალურ დემოკრატიებში, საარჩევნო სისტემების თავისებურებებსა და პარტიული სისტემების განვითარების ტენდენციებს, სხვადასხვა კოეფიციენტის გამოყენებით.

საქართველოში პროპორციული სარჩევნო სისტემის უპირატესობებზე საუბრობს ყოფილი პოლიტიკოსი და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მკვლევარი, გიორგი თარგამაძე. ის ყურადღებას ამახვილებს, რომ პროპორციული სისტემის უნარია, ხელს შეუწყოს მრავალპარტიული,კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნას,სადაც კონტინენტური ევროპის მსგავსად,რამდენიმე ძლიერი პარტია იქნება წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოებში.

ჯოზეფ ზიმერმანი, თავის ნაშრომში „ალტერნატიული საარჩევნო სისტემები წარმომადგენლობითი დემოკრატიისთვის" განიხილავ საარჩევნო სისტემების ხასიათს და ამბობს რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემისთვის დამახასიათებბელია, რომ ის უფრო ხშირად ფავორიტ, დომინანტურ ჯგუფებს განიხილავს მეტი ყურადღებით და

ხშირად ისეთ ჯგუფებს, რომლებიც შეიძლება უმცირესობა იყვნენ, არ აქცევს დიდ ყურადღებას, ამის გამო კი ისინი რჩებიან წარმომადგენლობების გარეშე. ზიმერმანი, მაჟორიტარულ სისტემას მარტივს, „კი“ და „არას“ სისტემას უწოდებს.

თავი I - პროცენტები და მანდატების რაოდენობა

1.1 საქართველოს მაგალითები _ საქართველოში არჩევნების უმეტესობა,შერეული საარჩევნო სისტემით ტარდებოდა,ნაწილი დეპუტატებისა ირჩეოდა პროპორციული,ხოლო ნაწილი მაჟორიტარული წესით.ხშირად საარჩევნო შედეგები,მანდატების უსამართლოდ განაწილების შთაბეჭდილებას ტოვებდა,რაც გამოწვეული იყო იმით,რომ მაგალითად სახელისუფლებო სუბიექტის წარმომადგენლობით ორგანოში მანდატების რაოდენობა,მკვეთრად (10-30%_ით) აღემატებოდა პროპორციულად მიღებული ხმების პროცენტულ რაოდენობას. მაგალითად,რომ განვიხილოთ,1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები,როდესაც 235 დეპუტატიდან 150 ირჩეოდა პროპორციული,ხოლო 85 მაჟორიტარული სისტემით, სახელისუფლებო პარტიამ,მოქალაქეთა კავშირმა პროპორციულ ნაწილში მიიღო ხმათა 42.07% რაც 85 მანდატს უდრიდა,ხოლო მაჟორიტარული წესით გაიყვანა 46 დეპუტატი,რის შედეგადაც პარლამენტართა 56 %_ს შეადგენდნენ მოქალაქეთა კავშირის დეპუტატები,რაც პროპორციულად მიღებულ ხმათა რაოდენობას 14%_ით აღემატება.

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
მოქალაქეთა კავშირი	42.07%	235 მანდატი	85 პროპორციულად; 46 მაჟორიტარი; ჯამში 131 მანდატი	14 %

1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში, სახელისუფლებო პარტიის მიერ მაჟორიტარული ოლქების მოგებათა რაოდენობა, საკმაოდ აჭარბებს მეორე ან მესამე ადგილზე გასული ოპოზიციური პარტიბის მიერ მოგებული ოლქების რაოდენობას, რაზეც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიც მეტყველებს.



მაჟორიტარული მანდატების განაწილება 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში

არჩევნებზე მიღებულ ხმებისა და მანდატებს შორის დისბალანსი კიდევ უფრო აშკარად ჩანს 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო შედეგებში. ამ არჩევნებში, 75 დეპუტატი ირჩეოდა პროპორციული სიით და ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქებიდან. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ–გამარჯვებული საქართველოსათვის ,რომელმაც პროპორციული წესით მიიღო ხმათა 59.18% ანუ 48 მანდატი,მაჟორიტარული არჩევნების წესით გაიყვანა 71 დეპუტატი, ჯამში 119 დეპუტატი,რაც პარლამენტართა 79% შეადგენდა,ხოლო სხვაობა მიღებულ მანდატებსა და ხმათა პროცენტულ რაოდენობას შორის 20% იყო,ამავდროულად კი გაერთიანებულმა ოპოზიციამ, რომელმაც პროპორციულად ხმათა 17.73% და 15

მანდატი მიიღო,ხოლო მაჟორიტარული წესით 2 მანდატი მოიპოვა, პარლამენტართა 11%_ს წარმოადგენდნენ,ანუ მათი წარმომადგენლობითობა 6 %_ით შემცირდა,როცა ხელისუფლების 20% გაიზარდა,ანუ სალდომ 26 % შეადგინა.

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
ნაციონალური მოძრაობა	59.18%	150	48 პროპორციული; 71 მაჟორიტარული; სულ 119 მანდატი	20 %
გაერთიანებული ოპოზიცია	17.73%	150	15 პროპორციული 2მაჟორიტარული სულ 17 მანდატი	-6 %

2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნები

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, პარტიების მიერ მიღებულ პროცენტებსა და მანდატებს შორის დისბალანსის გამომწვევი მიზეზი იყო ის რომ მაჟორიტარული ოლქების უმეტესობაში, გამარჯვება მოიპოვა მაშინდელმა სახელისუფლებო პარტიამ, ნაციონალურმა მოძრაობამ.



ცხრილი - მაჟორიტარული მანდატების განაწილება 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში

საპარლამენტო არჩევნებს,მანდატებსა და ხმათა პროცენტულ რაოდენობას შორის დისბალანსით არ ჩამოუვარდება და პირიქით აღემატება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.მაგალითად 2010 წლის 30 მაისს თბილისის საკრებულოს არჩევნებზე 25 წევრის არჩევა მოხდა მაჟორიტარული და 25 წევრის პროპორციული პრინციპით, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო 52.5 %, თუმცა საკრებულოს 50 დეპუტატიდან,39_ის გაყვანა მოახერხა,მაჟორიტარული სისტემის ხარჯზე,რაც დეპუტატების 78%_ს შეადგენს,ხოლო პროცენტულად მეორე ადგილზე გასულ პოლიტიკურ გაერთიანება: "გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანებას",რომელმაც პროპორციულ არჩევნებში ხმათა 11,94% მიიღო,გაიყვანა 3 დეპუტატი, რაც საკრებულოს წევრების 6%_ია,ანუ ნაციონალური მოძრაობის დეპუტატების რაოდენობა,მიღებული ხმების პროცენტულ რაოდენობას 32%_ით აღემატება.

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
ნაციონალური მოძრაობა	52,5%	50	39	32 %
ქრისტიან-დემოკრატები	11,94%	50	3	-6%

ცხრილი # 3. 2010 წლის 30 მაისს თბილისის საკრებულოს არჩევნები

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, თბილისსში, სრული უმრავლესობა 25 მაჟორიტარული ოლქისა, მოიპოვა ნაციონალურმა მოძრაობამ, ხოლო 32%_იან დისბალანსსში, ამ წესით მოპოვებული მანდატების წილი, კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.



2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, როდესაც საქართველოს ისტორიაში პირველად, ხელისუფლება შეიცვალა არჩევნების გზით, გაიმარჯვა ოპოზიციურმა პარტიამ, თუმცა ეს არჩევნები ერთგავარად რევოლუციური ხასიათის იყო.

შედეგად, ქართულმა ოცნებამ მოიპოვა ხმათა 54,9% და საერთო ჯამში მოიპოვა 85 სადეპუტატო მანდატი. ნაციონალურმა მოძრაობამ კი 40,4% და 65 სადეპუტატო მანდატი. ჩამოყალიბდა შემდეგი სურათი, რომ ქართულმა ოცნებამ რომელმაც პროპორციული ხმების 54.9% მოიპოვა, დააკომპლექტა წარმომადგენლობითი ორგანოს 57%_მდე, ანუ სხვაობამ მხოლოდ 2% შეადგინა და ასევე ნაციონალლურმა მოძრაობა, რომელმაც მოიპოვა 40.4% დააკომპლექტა წარმომადგენლობითი ორგანოს 43% და სხვაობამ ამ შემთხვევაშიც მინიმალური, 3% შეადგინა.

რა გახდა იმის მიზეზი, რომ სხვა არჩევნებისგან განსხვავებით, რომელიც ჩატარდა შერეული საარჩევნო სისტემით, ამ შემთხვევაში მიღებულ მანდატებსა და პროცენტებს შორის სხვაობა, მინიმალურ დონეზე იყო. ამის მიზეზი შეიძლება ვეძებოთ იმაში, რომ 2012 წლის არჩევნებზე, მაღალი იყო სახელისუფლებო გუნდის მიმართ ნეგატივი და შედეგად ბევრ ოლქში, ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსისა და სხვა ბერკეტების გამოყენებამაც , ვერ შეძლო სხვა რეალობა დამდგარიყო, შედეგად კი ოპოზიციურმა პოლიტიკურმა სუბექტმა, კოალიცია ქართული ოცნების სახით, მოახერხა რომ ხელისუფლებაზე მეტი საარჩევნო ოლქში მოეგოთ მისგან წარდგენილ კანდიდატებს და თითქმის თანაბრად გაეყოთ მაჟორიტარული ოლქები.



2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე,თბილისის მასშტაბით კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ აიღო ხმათა 47%,ხოლო 50 დეპუტატიან საკრებულოში,სადაც 25-25 ადგილი ნაწილდებოდა პროპორციული და მაჟორიტარული წესით,მოიპოვა 37 მანდატი, დეპუტატების 74%_ს შეადგენს,ანუ შედეგად პოლიტიკური პარტიის მიერ წარმომადგენლობით ორგანოში გაყვანილი წევრების რაოდენობა 27%_ით აღემატებოდა მის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობას.

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
კოალიცია „ქართული ოცნება“	47%	*50*	37 მანდატი	27%

ცხრილი #4. 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიც, თბილისის მაგალითზეც კარგად დავინახავთ, რომ დისბალანსის მიზეზი იყო ის რომ მაჟორიტარული ოლქების უმეტსობა, 25_დან 24 ოლქი მოიგო სახელისუფლებო პოლიტიკურმა სუბიექტმა, ხოლო ერთი ოლქი მოიგო, დამოუკიდებელმა კანდიდატმა, ალექსანდრე ელისაშვილმა.



1995 წლის საპრლამენტო არჩევნებზე,, რომელიც გამოირჩეოდა, ე.წ. დაკარგული ხმების მაღალი პროცენტობით, როდესაც ბარიერს მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ მიღებულმა ხმებმა ჯამში 60%_ს გადააჭარბა. ამ არჩევნებში, პოლიტიკურმა გაერთიანებამ, მოქალქეთა კავშირმა ხმათა მხოლოდ 23,71% მიიღო, ხოლო ეროვნულ დემოკრტიულმა პარტიამ 7.95%. სულ ჯამში პარლამენტში შევიდა 3 პოლიტიკური სუბიექტი. ზემოთ არნიშნული ე.წ. დაკარგული ხმების მეშვეობით, მოქალაქეთა კავშირმა, მოიპოვა პროპორციული სისტემით 90 სადეპუტატო მანდატი, ხოლო მაჟორიტარული წესით, 17 მანდატი, რაც ჯამში 107 მანდატია. ამის შედეგად, მოქალაქეთა კავშირმა 23.71%_იანი მხარდაჭერით დააკომპლექტა პარლამენტის შემადგენლობის 46%, ხოლო მიღებულ პროცენტებსა და მანდატებს შორის სხვაობამ შეადგინა 22%. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც მიიღო ხმათა 8%_მდე, დააკომპლექტა წარმომადგენლობითო ორგანოს, 14%, 34 დეპუტატით.

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
მოქალაქეთა კავშირი	23,71%	235	107	22%
ეროვნულ დემოკრატიული პარტია	7,95%	235	34	6%

1995 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, მსგავსად სხვა არჩევნებისა, მიღებული პროცენტებისა და მანდატების დისბალანსით გამოირჩეოდა. მმართველმა გუნდმა, ქართულმა ოცნებამ მიიღო ხმათა 48,68% , ხოლო დააკომპლექტა 116 დეპუტატი, რაც საერთო წარმომადგენლობის 77%_ია, ანუ 28%_ით მეტი, ვიდრე მის მიერ მიღებული ხმათა პროცენტული რაოდენობაა. ნაციონალურმა მოძრაობამ კი, რომელმაც მიიღო 27.11%, მოიპოვა 27 მანდატი, რაც წარმომადგენლობითი ორგანოს 18%_ია, შედეგად კი მან მოიპოვა, მიღებულ ხმათა პროცენტულ რაოდენობაზე 9%_ით ნაკლები სადეპუტატო მანდატი.

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
ქართული ოცნება	48,68%	150	116	28%
ეროვნულ დემოკრატიული პარტია	27,11%	150	27	-9%

2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები

2016 წლის არჩევნებში, დისბალანსის მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო ორი რა, ერთი ის რომ ე.წ. გადაუნაწილებელი პროცენტები იყო საკმაოდ მაღალი, 20% და მეორე ის რომ სახელისუფლებო გუნდმა მოიპოვა 73_დან 71 მანდატი, რამაც შესაბამისად გაზარდა მათი წარმომადგენლობითობა საქართველოს პარლამენტში.



1.2 ლიტვის მაგალითები _საქართველოს მსგავსად,შერეული საარჩევნო სისტემა აქვს ლიტვას,რომელიც ასევე იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში,დღეს კი ევროკავშირისა და ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის (NATO) წევრია. ლიტვის ერთპალატიანი,141 დეპუტატისგან შემდგარი პარლამენტი,სეიმი კომპლექტდება 71 ერთმანდატიანი ოლქებიდან არჩეული მაჟორიტარებით და 70 პროპორციული სიით. აღსანიშნავია რომ ლიტვის ერთმანდატიანი ოლქების ამომარჩევლებს შორის სხვაობა,ადრე 20% იყო,ხოლო ახლა უკვე 10%_მდეა შემცირებული,რაც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება,ხოლო საქართველოში ზოგიერთი ერთმანდატიანი ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობა,33_ჯერ ნაკლებია სხვა ერთმანდატიან ოლქზე,რაც შედეგად მცირერიცხოვანი ოლქის ამომრჩევლის ხმას 33_ჯერ „ამძიმებს“, მრავალრიცხოვანი ოლქის ამომრჩეველთან შედარებით.

2012 წლის ლიტვის საპარლამეტო არჩევნებში ყველაზე მეტი, 38 მანდატი მოიპოვა ლიტვის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (LSDP),რომელმაც მიიღო ხმათა 18,4%. 38 მანდატიდან 15 მანდატი მოპოვა პროპორციული,ხოლო დანარჩენი 23 მაჟორიტარული პრინციპით. რომ დავამუშაოთ ეს მონაცემები ვნახავთ რომ 18,4%_ს მქონე პარტიამ დააკომპლექტა სეიმის შემადგენლობის 27%,ანუ ლიტვის შემთხვევაში,მიღებული მანდატები 9%_ით აღემატება პროცენტულად მიღებულ ხმათა რაოდენობას.

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
სოციალ დემოკრატიული პარტია (LSDP)	18,4%	141	38 მანდატი	9%

2012 წლის ლიტვის საპარლამენტო არჩევნები

ლიტვის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, სოციალ–დემოკრატიულმა პარტიამ, მოიპოვა 23 მაჟორიტარული მანდატი,71_დან, ხოლო მაგალითად ქრისტიან–დემოკრატებმა 20 მაჟორიტარული მანდატი. ამ არცევნების მაგალითზეც, მირებულ მანდატებსა და პროცენტებს შორის საშუალო, 9%_იანი სხვაობა, იმან განაპირობა, რომ მაჟორიტარული მანდატები, გადანაწილდა სხვადაასხვა პოლიტიკურ სუბიექტზე და არ მოხდა მისი მხოლოდ ერთი პოლიტიკური სუბიექტის ფარგლებში კონცენტრაცია. აღსანიშნავია, რომ ლიტვის ლეიბორისტულმა პარტიამ, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა პროცენტული რაოდენობით, მაჟორიტართა რაოდენობით დაიკავა მესამე ადგილი.



ლიტვის 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში,სადაც ასევე 141 მანდატი ნაწილდებოდა, გაიმარჯვეს ლიტვის ქრისტიან-დემოკრატებმა (Homeland union _ Lithuanian Chrictian Democrats), რომლებმაც 19.72%_იანი მხარდაჭერა მიიღეს და პროპორციული სიით გაიყვანეს 18 დეპუტატი,ხოლო მაჟორიტარული პრინციპით 27 დეპუტატი,ანუ ჯამში,მათ სეიმში დაიკავეს 45 ადგილი. მონაცემების პროცენტული დამუშავების შედეგად ვნახავთ ,რომ ქრისტიან-დემოკრატებმა სეიმის დეპუტატების 32% დააკომპლექტეს,რაც 12%_ით აღემატებოდა მათ მიერ მიღებულ ხმათა პროცენტულ რაოდენობას.

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
Homeland union _ Lithuanian Chrictian Democrats))	19.72%	141	45 მანდატი	12%

ლიტვის 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები

2008 წლის ლიტვის საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე ნათლად დავინახავთ, რომ მაჟორიტარული სისტემის გამო, პარტია რომელიც პროპორციულად იკავებს მეოთხე ადგილს, საბოლოოდ მანდატებით იკავებს მეორე ადგილს. მაგალითად სოციალ დემოკრატიულმა პარტია, რომელმაც მოიპოვა ხმათა 11%, თუმცა მოიგო 15 მაჟორიტარული ოლქი, დააკომპლექტა 25 დეპუტატიანი წარმომადგენლობა, ანუ 18%, შვიდი პროცენტით მეტი,ვიდრე მის მიერ მიღებული ხმათა რაოდენობაა, თუმცა ლიტვის ამ არჩევნების შემთხვევაშიც, წარმომადგენლობითობის პრინციპი საშუალოზე კარგადაა დაცული, რაც ასევე უკავშირდება იმას, რომ მაჟორიტარული მანდატები, სხვადასხვა პოლიტიკურმა სუბიექტმა გაინაწილა.



1.3 - უკრაინის არჩევნები

უკრაინის საარჩევნო სისტემის ცვლილებას, დიდი დაპირისპირება მოჰყვა, თუმცა 2012 წლის არჩევნები მაინც შერეული საარჩევნო სისტემით ჩატარდა და 450 დეპუტატისგან შემდგარი რადას ნახევარი პროპორციული სიებით, ხოლო მეორე ნახევარი მაჟორიტარი

დეპუტატებით დაკომპლექტდა. ამ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ვიქტორ იანუკოვიჩის რეგიონების პარტიამ. მიუხედავად იმისა რომ რეგიონების პარტიამ არჩევნებში სულ რაღაც 5%_ით მეტი ხმა. 30.22% მოაგროვა, ვიდრე მეორე ადგილოსანმა ბატკივშინამ, 25,37%, საბოლოოდ რეგიონების პარტიამ 188 სადეპუტატო მანდატი მოიპოვა, მაჟორიტარული ოლქების უმრავლესობის მოგების ხარჯზე, ხოლო იულია იმოშენკოს ბატკივშინამ 104 მანდატი.

2012 წლის უკრაინის საპარლამენტო არჩევნების გამარჯვებულმა, რეგიონების პარტიამ მიიღო ხმათა 30% და საპარლამენტო წარმომადგენლობის 42%, 188 დეპუტატის სახით, ანუ 12%_ით მეტი, ვიდრე მის მიერ მიღებული ხმათა პროცენტული რაოდენობაა. მეორე ადგილზე გასულმა ბატკივშინამ, რომელიც 5%_ით ჩამორჩა პირველ ადგილოსან პარტიას, მიიღო საპარლამენტო წარმომადგენლობის 23%, რაც 2%_ით ნაკლებია, მის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობაზე.

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
რეგიონების პარტია	30,22%	450	188	12%
ბატკივშინა	25,37%	450	104	-2%

2012 წლის უკრაინის საპარლამენტო არჩევნები

სხვაობა რომ უფრო მაღალი პროცენტებით არაა გამოხატული, ამის მიზეზი ისიცაა რომ ოპოზიციამ და დამოუკიდებელმა კანდიდატებმა მოახერხეს ჯამში 110 მაჟორიტარული ოლქის მოგება, ანუ თითქმის ნახევარი.



უკრაინაში, ცნობილი მოვლენების შემდეგნ დაინიშნა 2014 წელს რიგგარეშე არჩევნები და ძალიან საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა. პეტრო პოროშენკოს ბლოკმა, რომელმაც მოიპოვა ხმათა 21.8% და გავიდა მეორე ადგილზე, მაჟორიტარული სისტემის მეშვეობით, საბოლოო ჯამში დაიკავა 132 სადეპუტატო მანდატი, რაც 50 მანდატით მეტია, პროპორციული სისტემით პირველ ადგილზე გასულ Popular Front_ის მიერ მიღებულ მანდატებზე, ანუ მან მოიპოვა 29%_იანი წარმომადგენლობითობა, 7%_ით მეტი, მის მიერ მიღებულ ხმათა პროცენტულ რაოდენობაზე. Popular Front_მა, 82 დეპუტატით, დააკომპლექტა პარლამენტის 18%, ანუ 4%_ით ნაკლები, ვიდრე მის მიერ მიღებული პროცენტები იყო.

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
Poroshenko's Block	21.8%	450	132	7%
Popular Front	22,1%	450	82	-4%

2014 წლის უკრაინის საპარლამენტო არჩევნები

უკრაინის 2014 წლის არჩევნების მაგალითზეც კარგად ჩანს, რომ მიღებული სხვაობის საშუალოზე დაბალი სიდიდე, განაპირობა იმან, რომ მაჟორიტარული ოლქების საკმაოდ დიდი წილი, მოიგეს ოპოზიციისა და დამოუკიდებელმა კანდიდატებმა, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაობა უფრო მაღალი იქნებოდა.



1.4. - რუსეთის არჩევნები

განვიხილოთ, რუსეთის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ჩატარდა შერეული საარჩევნო სისტემით და 450 დეპუტატიანი დუმა, დაკომპლექტდა თანაბრად გაყოფილი პროცპორციულად და მაჟორიტარულად არჩეული დეპუტატებით, 5%_იანი საარჩევნო ბარიერის პირობებში. საპარლამენტო მანდატი, პროპორციული სისტემით,მოიპოვა მხოლოდ ოთხმა პოლიტიკურმა სუბიექტმა და თითო-თითო მანდატი სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა , მაჟორიტარული წესით.

რუსეთის მმართველმა პარტიამ, „ერთიანმა რუსეთმა“, მოიპოვა ხმათა 54,2%, ხოლო საბოლოო ჯამში 343 საპარლამენტო მანდატი, საკანონმდებლო წარმომადგენლობის76%, ანუ სხვაობა მიღებულ ხმებსა და მანდატებს შორის 22%. კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა, მიიღო 13,34% და 42 მანდატი, საპარლამენტო წარმომადგენლობის 9% ,სხვაობამ კი -4% შეადგინა.

პარტიის სახელწოდება	ხმათა პროცენტული რაოდენობა	გასანაწილებელი მანდატების რაოდენობა	მიღებული მანდატების რაოდენობა	პროცენტული სხვაობა
ერთიანი რუსეთი	54,2%	450	343	22%
კომუნისტური პარტია	25,37%	450	42	-4%

2016 წლის რუსეთის საპარლამენტო არჩევნები

2016 წელს, რუსეთის საპარლამენტო არჩევნებზეც, დისბალანსის გამომწვევი მიზეზი იყო, მაჟორიტარული მანდატების განაწილება, რომელის 90%_ზე მეტიც მოიპოვა მმართველმა პარტიამ, 225 მაჟორიტარი დეპუტატიდან , 203 დეპუტატი.



საქართველოს, ლიტვის, უკრაინისა და რუსეთის საარჩევნო სისტემების შედარებითი ანალიზი საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის ლიტვის არჩევნების განხილული მაგალითები აჩვენებს,რომ სახელისუფლებო ან დომინანტური პარტია,რომელიც ადმინისტრაციული, ფინანსური და სხვა რესურსების მეტად გამოყენების უპირატესობით სარგებლობს ხოლმე,ზოგჯერ ოფიციალურად,ზოგჯერ კი არაოფიციალურად,ვინაიდან მაგალითად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაკეთებული პროექტიც კონკრეტული პოლიტიკური პარტიის დამსახურებად ასოცირდება მოქალაქეებში,შერეული საარჩევნო სისტემის ფარგლებში ახერხებს,მაჟორიტარი დეპუტატების ხარჯზე პარლამენტსა თუ ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლობით ორგანოებში მოიპოვოს იმაზე მეტი სადეპუტატო მანდატი ვიდრე მის მიერ მოპოვებული

ხმათა პროცენტული რაოდენობაა. ამაზე საუბრობს,სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი,გიორგი თარგამაძე,რომელიც აღნიშნავს რომ: „საპარლამენტო არჩევნების დროს,პოლიტიკური სუბიექტების მიერ მიღებული პროცენტული მაჩვენებელი,ხშირ შემთხვევაში მკვეთრად განსხვავდება წარმომადგენლობის იმ ხარისხისაგან,რითაც ესა თუ ის პარტია,განსაკუთრებით მმართველი პარტია არის ხოლმე წარმოდგენილი პარლამენტში ან საკრებულოში.“

ამ შემთხვევაში,კარგად ჩანს მაჟორიტარული სისტემის ის ნაკლოვანება,რასაც „დაკარგულ ხმებს“ უწოდებენ ხოლმე,ვინაიდან ადგილობრივ თუ რეგიონალურ საკანონმდებლო ორგანოებში 27%_იანი ან 31%_იანი სხვაობით არჩეული დეპუტატები,შეგვიძლია ჩავთვალოთ რომ არ ვიცთ ვისი წარმომადგენლები არიან.ამას ემატება ისიც რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით,მაჟორიტარ დეპუტატად შეიძლება აირჩეს კანდიდატი,რომელსაც 30%იანი მხარდაჭერა აქვს,ხოლო მის მოწინააღმდეგეებს მასზე ნაკლები ,ხოლო ლიტვის კანონმდებლობის მიხედვით მაჟორიტარ დეპუტატად შეიძლება აირჩეს 40%_იანი მხარდაჭერის მქონე კანდიდატი. ამით ჩვენ შეგვიძლია ის თეზისიც გავაქარწყლოთ,რომელიც გულისხმობს რომ მაჟორიტარები კარგად უზრუნველყოფენ იყვნენ კონკრეტული რეგიონის სრულფასოვანი წარმომადგენელი და ინტერესის დამცველი,წარმოადგენლობით ორგანოში,რადგან ითვლება რომ მათ აქვთ მჭიდრო კავშირი ამ რეგიონის ამომრჩევლებთან. ვინაიდან საქართველოში 30,ხოლო ლიტვაში 40%_იც საკმარისია მაჟორიტარად ასარჩევად,ეს ქმნის აბსოლუტურად შესაძლებელს,რომ მაგალითად X რეგიონის 30-40% ამომრჩევლების მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი წარმოადგენდეს ამ რეგიონის ამომარჩევლების 100% _ს,რაც ლოგიკური ეჭვის საფუძველს იძლევა,რომ ეს კანდიდატი არც თუ ისე მაღალი ლეგიტიმურობის მქონე იქნება,ხოლო დეპუტატის არალეგიტიმურობა,მთლიანად წარმომადგენლობითი ორგანოს დელეგიტიმაციას იწვევს. აღწერილ ფაქტორებთან დაკავშირებული რისკები თითქმის იდენტურია როგორც საქართველოში,ასევე ლიტვაში,თუმცა არის განსხვავებაც,კერძოდ ლიტვის პარლამენტი (სეიმი), ხასიათდება მრავალფეროვნებით,რაც გამოიხატება იმაში,რომ პარლამენტი

შედგება ხოლმე 5_დან 7_მდე პოლიტიკური პარტიისაგან,რაც თავისთავად გარდაუვალს ხდის პარტიებს შორის თანამშრომლობას,ვინაიდან ვერც ერთი პარტია სრულ უმრავლესობას მარტო ვერ აკომპლექტებს ხოლმე,ამიტომ ის 9 თუ 12%_იანი „დანამატი“ დეპუტატებისა,დიდად ვერ ამახინჯებს მოსახლეობის არჩევანისა და განწყობის ანარეკლს.თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს,რომ მოქმედი სახით მაჟორიტარული სისტემა,მაინც რისკად რჩება ლიტვის სეიმის დაკომპლექტებისას და თუ ის დღეს არ ქმნის გარკვეული უსამართლობის განცდას, შეძლება პრობლემა ნებისმიერი მოამავალი არჩევნების დროს გამოვლინდეს. საქართველოში კი ის ნამდვილად ქმნის უსამართლობის განცდას და ამისათვის მაგალითად თუნდაც 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგიც გამოდგება,როცა მოქალაქეთა კავშირმა,უმრავლესობისათვის საჭირო დეპუტატების სავარძლები,სწორედ მაჟორიტარებით შეავსო.

„ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ ყოველკვარტალური გამოკითხვის ფარგლებში,მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობას იკვლევდა.გამოკითხვის პირველ რაუნდში მონაწილეობდა 58 მაჟორიტარი დეპუტატი,ხოლო მერე რაუნდში 53 მაჟორიტარი დეპუტატი. თვითონ მაჟორიტარებიც,საკუთარი საქმიანობის არაეფექტურობასა და ამომრჩევლებთან ხშირი კომუნიკაციის ნაკლებობას რამდენიმე ფაქტორით ხსნიან,მათ შორის მაჟორიტარები უკმაყოფილო არიან პარლამენტის სასესიო და საკომიტეტო მუშაობის წინასწარ დაუგეგმავი სამუშაო განრიგით,რაც არ იძლევა რეგიონებში გასვლისათვის დროის დაგეგმვის საშუალებას. ასევე, მაჟორიტარები ასახელებდნენ დიდი რაოდენობით განსახილველ კანონპროექტებს და ა.შ.

საინტერესოა გადავხედოთ,საკანონმდებლო ორგანოების,ამ შემთხვევაში პარლამენტების ნდობის ხარისხს საქართველოსა და ლიტვაში. მაგალითად,საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ 2015 წელს,საპარლამენტო არჩევნებიდან ორი წლის შემდეგ ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს,რომ ყველაზე მეტად პარლამენტის ნდობის ხარისხი დაეცა 19 % _ით და 49 % შეადგინა, რაც საკმაოდ მაღლი დელეგიტიმაციის მაჩვენებელია.ამის

მიზეზები კი საარჩევნო სისტემაშიც უნდა ვეძებოთ და დავაკვირდეთ უკვე ნახსენებ,არათანაზომიერად და არაპროპორციულად გადანაწილებულ მანდატებს.

ლიტვის რესპუბლიკაში,საკანონმდებლო ორგანოს (სეიმის) ნდობის ხარისხი კი კატასტროფულად დაბალია.მაგალითად 2009 წელს,ევრობარომეტრის მიერ შემოდგომაზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა რომ სეიმს გამოკითხულთა მხოლოდ და მხოლოდ 7% ენდობოდა,რაც იმავე წლის გაზაფხულზე ჩატარებული კვლევისას დაფიქსირებულ მაჩვენებლს,3%_ით ჩამოუვარდებოდა. ნდობის დაბალი მაჩვენებლის,ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი შეიძლება იყოს ის რომ,მოქალაქეებს საკუთარი ინტერესების გამტარებელი პოლიტიკოსები არ ეგულებათ საკანონმდებლო ორგანოში. (EUROBAROMETER. (2009) *NATIONAL REPORT EXECUTIVE SUMMARY LITHUANIA*)

თავი II - თეორიული დაშვებები

2.1. საქართველოს მაგალითები

როგორი იქნებოდა პარტიული ნომენკლატურა საქართველოში, სხვადასხვა არჩევნებზე, მაგალითად ბარიერი რომ ნაცვლად 7%_ისა 5% , ან 3% ან 2% ყოფილიყო?

რამდენ პარტიული პარლამენტი გვეყოლებოდა და შეძლებდა თუ არა ეს მრავალპარტიულლი სისტემის ჩამოყალიბებას.

განვიხილოთ 1999 წლის , საპარლამენტო არჩევნები, როდესაც საარჩევნო ბარიერი 7% იყო. იმ შემთხვევაში თუ შერეულ სისტემაში, საარჩევნო ბარიერი იქნებოდა 5%, პარტიათა რაოდენობა პარლამენტში იგივე ანუ ოთხი პარტია დარჩებოდა, ვიანიდან ამ არჩევნებზე მეხუთე ადგილზე გასულმა პარტიამ მიიღო 4.45% და სხვა დანარჩენებმა ლოგიკურად, უფრო ნაკლები.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ბარიერი რომ ყოფილიყო 2 %, 3% ან თუნდაც 4%, პარლამენტში მოხვდებოდა ნაცვლად 4 პარტიისა 6 პარტია, დამატებით ორი პარტია იქნებოდა „ეროვნულ დემოკრატიული ალიანსი“ და „სახალხო პარტია - დიდგორი“. ეს შედეგები კი თავის მხრივ უზრუნველყოფდა იმას, რომ მოქალქეთა კავშირი, პროპორციული სისტემით მიიღებდა 85 დეპუტატის ნაცვლად, 68 დეპუტატს (+-1) , რაც საბოლოო ჯამში მათ მიცემდათ 115 კაციან წარმომადგენლობითობას, ნაცვლად 132 დეპუტატისა. საბოლოო ჯამში, მოქალქეთა კავშირი დააკომპლექტებდა 49% დეპუტატებისას ნაცვლად, 56%_ისა, რაც მიღებულ პროცენტებსა და მანატებს შორის სხვაობას 14%_დან 7%_მდე შეამცირებდა, რაც იმ დროინდელი საარჩევნო ბარიერის ფარგლებშია.

მეტი თვალსაჩინოებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, მოქალქეთა კავშირმა მაჟორიტარული ოლქების მხოლოდ 55% მოიგო, (იხ. ცხრილი #7) რამაც ასევე განაპირობა 14%_იანი სხვაობა და 4%_ზე ნაკლები საარჩევნო ბარიერის შემთხვევაში განაპირობებდა 7%_იან სხვაობას. ხოლო თუ მაჟორიტარული ოლქების უმრავლესობას ან ყველა ოლქს მოიგებდა (როგორც ეს 2016 წლის არჩევნებზე ქართულმა ოცნებამ მოახერხა), ამ შემთხვევაში მანდატებსა

და პროცენტებს შორის სხვაობა გაცილებით მაღალი, 20-23%_ის ფარგლებში იქნებოდა.

იმ შემთხვევაში, თუ 1999 წლის არჩევნები ჩატარდებოდა მთლიანად პროპორცული სისტემით, 41.75%_იანი მარდაჭერის მქონე, მოქალაქეთა კავშირი მიიღებდა დაახლოებით 107 კაციან წარმომადგენლობითობას 235 კაციან პარლამენტში, რაც 45.5% წილია წარმომადგენლობის და ამ შემთხვევაში სხვაობა მანდატებსა და პროცენტებს შორის სულ რაღაც 4% იქნებოდა.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში თუ საარჩევნო ბარიერი იქნებოდა 4%, პარტიატა რაოდენობა პარლამენტში იგიგე დარცებოდა, ხოლო თუ ის იქნებოდა 3 ან 2 %, ამ შემთხვევაში, საპარლამენტო მანდატებს მოიპოვებდნენ რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლებიც და პარლამენტი ოთხის ნაცვლად, ხუთი პოლიტიკური სუბიექტისაგან დაკომპლექტდებოდა, (ბოიკოტის გამო,რამდენიმე პოლიტიკურმა სუბიექტმა, საპარლამენტო მუშაობაზე უარი განაცხადა. ავტორი) ხოლო ნაციონალური მოძრაობა 119 მანდატის ნაცვლად, მოიპოვებდა 115 მანდატს, რაც პარლამენტართა 76% იქნებოდა, ხოლო სხვაობა 20_დან 17%_მდე შემცირდებოდა.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნები რომ ჩატარებულიყო პროპორციული სისტემით და საარჩევნო ბარიერი ყოფილიყო 3%, ამ შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობა მიიღებდა 91 სადეპუტატო მანდატს, რაც მანდატების 60% , ხოლო სხვაობა მანდატებსა და პროცენტებს შორის მინიმალური 0.8% იქნებოდა. რაც შეეხება დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ბარიერს გადალახავდნენ, გაერთიანებული ოპოზიცია ნაცვლად 17 მანდატისა, მიიღებდა 29_ს და დააკომპლექტებდა პარლამენტართა 19%_ს, სხვაობა პროცენტებსა და მანდატებს შორის იქნებოდა დაახლოებით 1%. ქრისტიან–დემოკრატიული მოძრაობა მიიღებდა 13 სადეპუტატო მანდატს და დააკომპლექტებდა პარლამენტართა ზუსტად იმდენივე პროცენტს, რამდენ პროცენტიანი მხარდაჭერაც მიიღო არჩევნებზე, ანუ 8.6%.

2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, თბილისსში, რომ ჩატარებულიყო მთლიანად პროპორციული სისტემით და საარჩევნო ბარიერი ყოფილიყო, თუნდაც მოქმედი 4%, ე.წ. გადაუნაწილებელი მანდატები იქნებოდა მხოლოდ 1 ან 2 მანდატი, ხოლო ნაციონალური მოძრაობა მოიპოვებდა 27 მანდატს, რაც საკრებულოს შემადგენლობის 54% იქნებოდა, ანუ 1,5%_ით მეტი, მის მიერ მიღებულ ხმათა პროცენტულ რაოდენობაზე. ალიანსი საქართველოსთვის მოიპოვებდა 9 სადეპუტატო მანდატს და დააკომპლექტებდა საკრებულოს 18%_ს, ანუ ზუსტად იმდენს, რამდენი პროცენტიც მიიღო არჩევნებზე. შედეგად, წარმომადგენლობითობის პრინციპი,იდეალურად იქნებოდა დაცული.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნები რომ ჩატარებულიყო 3-4%_იანი ბარიერის პირობებში, პარლამენტში პარტიათა რაოდენობა უცვლელი დარჩებოდა, ხოლო 2%_იანი ბარიერის პირობებში, პარლამენტი სამი პოლიტიკური სუბიექტისაგან დაკომპლექტდებოდა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობაც, შეძლებდა პარლამენტში შესვლას, ხოლო საპარლამენტო მანდატები ასე გადანაწილდებოდა. ქართული ოცნება 43 დეპუტატი, ნაციონალური მოძრაობა 32, ხოლო ქრისტიან-დემოკრატებს 2 დეპუტატი. შედეგად , ქართული ოცნება დააკომპლექტებდა წარმომადგენლობითი ორგანოს 56%_ს, რაც 1%_ით მეტი იქნებოდა მიერ მიღებულ ხმათა პროცენტულ რაოდენობაზე. ამ სისტემით არჩევნების ჩატარების შემთხვევაში კი, თითქმის ისეთი შედეგი დაფიქსირდებოდა, როგორიც დაფიქსირდა რეალურად როგორი სისტემითაც ჩატარდა არჩევნები და რა შედეგიც დადგა. ასევე იქნებოდა ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაშიც, ის 2012 წლის არჩევნებზე,თეორიული დაშვებითაც მიიღებდა თითქმის იმდენ სადეპუტატო მანდატს, რამდენიც მიიღო რეალურად ჩატარებულ არჩევნებში.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომ ჩატარებულიყო პროპორციული წესით და საარჩევნო ბარიერი ყოფილიყო იგივე,რაც მოქმედია, ანუ 4%, შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდებოდა: ქართული ოცნება, ნაცვლად 37 მანდატისა, მიიღებდა 24 მანდატს, რაც იქნებოდა წარმომადგენლობითი ორგანოს 48%, ხოლო სხვაობა მიღებულ პროცენტებსა და მანდატებს შორის

მინიმალური, 2% იქნებოდა. უნდა აღინიშნოს , რომ 2014 წლის არჩევნებზე , ე.წ. გადაუნაწილებელი პროცენტების რაოდენობა , დაახლოებით 3% იყო, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფდა პროპორციულობის დაცვას, იმ შემთხვევაში თუ არჩევნები შერეულის ნაცვლად, პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა.

2016 წლის არჩევნები რომ შერეული სისტემით და 3%_იანი საარჩევნო ბარიერით ჩატარებულიყო, ამ შემთხვევაში პარლამენტში ნაცვლად 3 პარტიისა, იქნებოდა 7 პარტია, ხოლო ქართული ოცნება ამ შემთხვევაში მიიღებდა, დაახლოებით 38 დეპუტატს პარტული სიით და პლუს 71 მაჟორიტარი,ანუ 109 დეპუტატი ანუ წარმომადგენლობის 72%. სხვაობა კი დაიწევდა 5%_ით, თუმცა ისევ მაღალ ნიშნულზე დარჩებოდა და 23% იქნებოდა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, თუ კი ჩატარდებოდა მთლიანად პროპორციული სისტემით და საარჩევნო ბარიერი იქნებოდა 3%, ამ შემთხვევაში ქართული ოცნება მიიღებდა დაახლოებით 76 სადეპუტატო მანდატს, რაც წარმომადგენლობითი ორგანოს 50% იქნებოდა, ხოლო სხვაობა მინიმალური 1-2 %. ნაციონალური მოძრაობა კი მიიღებდა 42-43 მანდატს, რაც წარმოადგენლობის 28%_ია. ამ არჩევნების მაგალითიც აჩვენებს, რომ პროპორციული სისტემის შემთხვევაში, მეტად იქნებოდა წარმომადგენლობითობის პრინციპი დაცული, ვიდრე შერეული სისტემის შემთხვევაში.

2.2. ლიტვის მაგალითები

ლიტვაში 2012 წლის არჩევნები რომ მთლიანად, პროპორციული სისტემით ჩატარებულიყო და საარჩევნო ბარიერი ნაცვლად 5%_ისა ყოფილიყო 3%, მივიღებდით შემდეგი სახის სურათს. პარლამენტში ნაცვლად 7 პარტიისა იქნებოდა 8 პარტია. სოციალ–დემოკრატიული პარტია, რომელმაც მოიპოვა 38 მანდატი, მიიღებდა 29 მანდატს, რაც პარლამენტის 20%_იანი წარმომადგენლობითობა იქნებოდა, ანუ ფაქტობრივად მიღებული პროცენტების იდენტური რაოდენობის მანდატები ექნებოდათ, სხვაობა მაქსიმუმ 1%_ის ფარგლებში იქნებოდა. ლიტვის ლეიბორისტულ პარტიას კი, რომელსაც

პროცენტულად პირველ ადგილზე გავიდა, ხოლო მაჟორიტარული მანდატებსი დათმობის გამო, საბოლოოდ მესამე ადგილოსანი პარტია გახდა, მთლიანად პროპორციული სისტემის შემთხვევაში, ეყოლებოდა 31 დეპუტატი, რაც წარმომადგენლობითი ორგანოს 22% იქნებოდა და კუთვნილ პირველ ადგილსაც დაიკავებდა.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნები ლიტვაში, რომ ჩატარებულიყო მთლიანად პროპორციული საარჩევნო სისტემით და საარჩევნო ბარიერი ყოფილიყო 3%, ამ შემთხვევაში პარლამენტართა რაოდენობა იქნებოდა ნაცვლად შვიდისა, 11 პოლიტიკური სუბიექტი. შედეგად, ე.წ. გადაუნაწილებელი პროცენტები შემცირდებოდა, ამას დაემატებდა მანდატების პროპორციული განაწილება და შედეგად მივიღებდით, რომ ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, მიიღებდა დაახლოებით 29 მანდატს, რაც წარმომადგენლობითი ორგანოს 21%_მდე იქნებოდა, შედეგად სხვაობა მანდატებსა და პროცენტებს შორის მინიმალური, 1% იქნებოდა.

2.3. - უკრაინის მაგალითები

2012 წელს, რომ არჩევნები უკრაინაში, მთლიანად პროპორციული სისტემით რომ ჩატარებულიყო, რეგიონების პარტია მიიღებდა დაახლოებით 144 სადეპუტატო მანდატს, ანუ წარმომადგენლობითო ორგანოს 32%_ს დააკომპლექტებდა, სხვაობა 2%. ხოლო ბატკივშინა, რომელმაც 5%_ით ნაკლები ხმა მიიღო,თუმცა 19%_ით ნაკლები მანდატები ერგო წილად, ამ შემთხვევაში მოიპოვებდა 122 მანდატს, ანუ პარლამენტის 27%_ს დააკომპლექტებდა, რაც შეინარჩუნებდა იმ პროცენტულ სხვაობას, რაც პირველ და მეორე ადგილზე გასულ პარტიებს შორის იყო.

უკრაინის პარლამენტის, 2014 წლის არჩევნები, მთლიანად პროპორციული სისტემით რომ ჩატარებულიყო და საარჩევნო ბარიერი ყოფილიყო 3%, ე.წ. გადაუნაწილებელი პროცენტები, იქნებოდა მაინც მაღალი, 19%. პოპულარული

ფრონტი მიიღებდა 118 სადეპუტატო მანდატს , ანუ წარმომადგენლობის 26%_ს, 4% სხვაობით, ხოლო პეტრო პოროშენკოს ბლოკი მიიღებდა 116 მანდატს, ანუ წარმომადგენლობითი ორგანოს 25%_ს, სხვაობა 3% და შედეგად პოლიტიკური ძალთა ბალანსი სხვაგვარი იქნებოდა, ვინადან პოროშენკოს ბლოკს არ ექნებოდა არა თუ უპირატესობა, არამედ ის მეორე ადგილოსანი პარტია იქნებოდა.

2.4 - რუსეთის მაგალითი

2016 წელს, რუსეთში, საპარლამენტო არჩევნები რომ ჩატარებულიყო პროპორციული სისტემით და ბარიერი ყოფილიყო 3%, პარლამენტში მაინც 4 პარტია შევიდოდა, თუმცა ძალთა ბალანსი შეიცვლებოდა. მაგალითად, „ერთიანი რუსეთი“ მიიღებდა 270 სადეპუტატო მანდატს, ანუ 60%_ს საპარლამენტო წარმომადგენლობითობის, სხვაობა კი იქნებოდა ნორმის ფარგლებში 6%.

თავი III - საქართველოში პროპორციული სისტემის პერსპექტივები

საქართველოს ისტორიაში,პირველი არჩევნები ჩატარდა 1919 წლის მარტში და ეს არჩევნები იყო პირველი,როდესაც საქართველოში ხელისუფლების წყარო სახალხო მხარდაჭერა გახდა. აღსანიშნავია რომ პირველივე არჩევნები,მთლიანად პროპორციული პრინციპით ჩატარდა და ის პოლიტიკურ მოწყობა შეიძლება შეფასდეს აღმოსავლეთ ევროპის,ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ სისტემად.მაშინდელი საკანონმდებლო ორგანოს 130 მანდატი შემდეგნაიარად გადანაწილდა: ქართული ოცნება,

1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია - 102 მანდატი
2. საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტია - 9 მანდატი
3. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 8 მანდატი
4. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 6 მანდატი
5. „დაშნაკცუთიუნ“ ე.წ. დაშნაკები - 3 მანდატი
6. საქართველოს ეროვნული პრატია - 2 მანდატი

პირველი პარლამენტის შემადგენლობა აჩვენებს რომ წარმომადგენლობითობა დაცულია და პარლამენტის ტრიბუნა სხვადასხვა პარტიის წევრებისთვის ხელმისაწვდომი იყო.ამით ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ,რომ არა საბჭოთა ოკუპაცია და ერთპარტიული დიქტატურა,საქართველოს მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის ტრადიცია ჩამოუყალიბდებოდა.

რიგითობით, 1919 წლის არჩევნების შემდეგი,1992 წლის არჩევნებიც გამოირჩეოდა მრავალპარტიულობით,როცა საარჩევნო ბარიერი არ არსებობდა და მანდატები ყველაზე პროპორციულად გადანაწილდა. ვიდრე ქვეყანა შერეულ საარჩევნო სისტემაზე გადავიდოდა,მას ჰქონდა წარმომადგენლობითი დემოკრატიისათვის აუცილებელი ჩანასახი,პარლამენტის მრავალპარტიულობა,თუმცა ამ ჩანასახის განვითარება,დღემდე ვერ მოხერხდა. ნიდერლანდების ინსტიტუტი, მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (NIMD) წარმომადგენელი,სამხრეთ კავკასიაში,ლევან ცუცქირიძე 2008 წელს დაწერილ სტატიაში საუბრობდა რომ: „დიუვერჟეს კანონად“ ცნობილი თეორიის მიხედვით,პროპორციული საარჩევნო სისტემის ხანგრძლივად არსებობის

შემთხვევაში,ქვეყანაში მრავალპარტიული სისტემა ყალიბდება",ხოლო საქართველოში სტაბილური საარჩევნო სისტემისა და კულტურის ფორმირებისთვის,აუცილებლად მიიჩნევს ამ სისტემის ხანგრძლივად ფუნქციონირებას,რასაც მისი აზრით,ხელს უშლის ხშირად ცვალებადი საარჩევნო კანონმდებლობა.

საქართველოში პროპორციული სარჩევნო სისტემის უპირატესობების ჩამონათვალს შეიძლება მიემატოს,რომ ის ხელს შეუწყობს მრავალპარტიული,კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნას,სადაც კონტინენტური ევროპის მსგავსად,რამდენიმე ძლიერი პარტია იქნება წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოებში. ინტერვიუს დროს სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი თარგამაძე ყურადღებას შემდეგ ნიუანსებზე ამახვილებდა:

ხელაღებით მაჟორიტარული სისტემის გაუქმება, რა თქმა უნდა ,არ შეიძლება,თუმცა პოლიტიკური კულტურისა და კონკურენციის ზრდისათვის მნიშვნელოვან და უპირატეს პრიორიტეტს წარმოადგენს პოლიტიკური პარტიების კვალიფიციურობის, ანგარიშვალდებულობის ზრდა,რაც ამ შემთხვევაში აუცილებლად მოითხოვს პროპორციულ საარჩევნო სისტემას,რაც მმართველი პოლიტიკური გუნდის მხრიდან,საარჩევნო სისტემით მანიპულირებას მინიმუმამდე დაიყვანს.

მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლა არ იქნება უცხო მოვლენა ქართველი ამომრჩევლისთვის,გაზრდის პოლიტიკური პარტიების პასუხისმგებლობის დონეს,მოახდენს მათი რესურსების კონსოლიდირებას,გააძლიერებს პარტიების რეგიონალურ ორგანიზაციებს,არ მოხდება პოლიტიკურ რესურსების დაქსაქსვა.

დღეს,რეგიონებში მაჟორიტარული სისტემის ფუნქციონირების გამო პოლიტიკური პარტია ასოცირებულია კონკრეტულ მაჟორიტართან,რაც თავის მხრივ იწვევს იმას,რომ პარტიები უფრო დიდ ყურადღებას უთმობენ კანდიდატის პერსონალურ თვისებებზე ხაზგასმას,ვიდრე პარტიის პოლიტიკურ

იდეოლოგიას,რაც არაჯანსაღ ტრადიციად ყალიბდება,ვინაიდან პარტიები ეჩვევიან იდეოლოგიით მანიპულირებას და არჩევნებიდან არჩევნებამდე ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიურ ნარატივებსაც გვთავაზობენ,ეს კი ამომრჩევლებში დაბნეულობას იწვევს. ეს პრობლემა პროპორციული სისტემის პირობებში მოიხსნება,როდესაც პოლიტიკური ანგარიშვალდებულება არა მაჟორიტარი დეპუტატისა და მისი ბიუროს ბიუროკრატებზე გადავა,არამედ ის დაეკისრება პოლიტიკური პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს,რაც თავის მხრივ გაზრდის პოლიტიკური პარტიის კვალიფიციურობის დონეს და გააძლიერებს მას,არ იქნება ე.წ. „თავკომბალა“ პარტიები,რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ დედაქალაქიდან მიღებული დირექტივებით ხელმძღვანელობენ.

საუბარი როდესაც მიდის იმაზე,რომ მაჟორიტარული სისტემა არაა ხელაღებით გასაუქმებელი,პირველ რიგში თავს გვახსენებს ორპალატიანი პარლამენტის საკითხი,რომლის საქართველოში ფუნქციონირების პერსპექტივებზე,გასხვავაებული მოსაზრებები არსებობს.ნაწილი კონსტიტუციონალისტებისა ამბობს რომ კონსტიტუციაში ჩაწერილი „შესაბამისი პირობები“ მაინც და მაინც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას არ გულისხმობს,ხოლო ნაწილი კი ტერიტორიულ მთლიანობას განიხილავს,როგორც უმთავრეს წინაპირობას,ორპალატიანი პარლამენტის შესამქმნელად. მთავარი ამ შემთხვევაში არაა თუ რა პირობებში იქნება საქართველოში ორპალატიანი პარლამენტი,მთავრია რომ ის გამოიწვევს წარმომადგენლობითობის გაზრდას,მცირე რესურსის პარტიების გაძლიერებას, მრავალპარტიულობის ჩამოყალიბებას, მინიმუმამდე დაიყვანს მცირე მაგრამ,მხარდაჭერის მქონე პარტიების მიერ ორგანიზებული ქუჩის აქციების რისკს,რომელიც შეიძლება დესტაბილიზაციაში გადაიზარდოს,გაზრდის კანონმდებლობის ეფექტურობის დონეს,ვინაიდან კანონპროექტს დასამტკიდებლად მეტი ინსტანციის გავლა მოუწევს,ვიდრე ერთპალატიანობის შემთხვევაში. ორპალატიანი პარლამენტი ასევე ამოავსებს იმ სიცარიელეს,რომელსაც მაჟორიტარული სისტემის გაუქმება გამოიწვევს,ვინაიდან ერთი პალატა იქნება მთლიანად პროპორციული და მეორე მთლიანად მაჟორიტარული. სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის,გიორგი

თარგამაძის აზრით, „უმჯობესი იქნება თუ ზედა და ქვედა პალატის არჩევნები სხვადასხვა დროს ჩატარდება,რადგან ეს როტაცია პარტიებს მუდმივად ფორმაში ყოფნისაკენ უბიძგებს და ასევე ის ბიუროკრატიის სტაბილურობის გარანტი იქნება.“ თავის მხრივ,პარლამენტის არჩევნების სხვადასხვა დროს ჩატარება,გამოიწვევს იმ ეფექტს,რასაც პოლიტიკის მეცნიერებებში „ორთქლის გამოშვების“ ეფექტი ჰქვია,რომ არ მოხდეს პოლიტიკური სისტემის გადახურება.

პარტია ახალი მემარჯვენეების მოქმედი თავმჯდომარე და ე.წ. ხმის დამთვლელი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, მამუკა კაციტაძეც ეთანხმება, წარმომადგენლობითი დემოკრატიის განხორციელებისათვის ორპალატიანი პარლამენტის იდეას და ამბობს რომ ამ შემთხვევაში, წარმომადგენლობითობის პრინციპი იდეალურად იქნება დაცული, ვინაიდან, ის განსაზღვრავს ორი ტიპის წარმომადგენლობითობას. პირველია პარტიული წარმომადგენლობითობა და ამის განსასაზღვრად მოაქვს მრავალპარტიული წარმომადგენლობითი ორგანოს მაგალითი და მეორეა რეგიონული წარმომადგენლობითობა, როდესაც ყველა რეგიონი წარმოდგენილია შესაბამისი, კონკრეტული მაჟორიტარის სახით. მისი აზრით, უნიტარული ტიპის მოწყობის ქვეყანაშც კი,ისეთში როგორიც საქართველოა, შესაძლებალია ორპალატიანი პარლამენტის ჩამოყალიბება. მამუკა კაციტაძის აზრით, საქართველს შემთხვევაში, იმ პირობებში როდესაც ერთპალატიანი პარლამენტი გვაქვს, ან უნდა გაიზარდოს პროპორციული წესით ასარჩევთა რაოდენობა,ან უნდა გადავიდეთ პროპორციული წესით არჩევნებზე, ან და ჩამოყალიბდეს ზემოთ ხსენებული ორპალატიანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს წარმომადგენლობით დემოკრატიას, წინაა ღმდეგ შემთხვევაში, ამ სისტემის პირობებში, კაციტაძის თქმით „ძაღლის თავი დამარხულია, მაჟორიტარულ მანდატებში“ რითაც ხელისუფლებები კარგად ითბობენ ხოლმე ხელს.

პარტია ახალი საქართველოს ლიდერი და იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილე, გიორგი ვაშაძის აზრით, წარმომადგენლობითი დემოკრატიის

განხორციელებას პროპორციული საარჩევნო სისტემისა და მითუმეტეს შერეული საარჩევნო სისტემის პირობებში, საფრთხეს უქმნის მაღალი ბარიერი და მისგან გამოწვეული ეგრედწოდებული გადაუნაწილებელი ხმები, რომელსაც მისი თქმით, იღებენ ისეთი პარტიები, ვისთვისაც ამ მოქალაქეებს, ხმა არ მიუცით. გიორგი ვაშაძე ,ასევე ყურადღებას ამახვილებდა საარჩევნო სისტემის გავლენაზე, ხელისუფლებისა და ზოგადად პარტიების ანგარიშვალდებულებაზე, ვინაიდან, მისი აზრით „თუ სახელისუფლებო პარტიამ იცის,რომ ის 30%_იანი მხარდაჭერითაც კი აკომპლექტებს უმრავლესობას, მაჟორიტარული სისტემის ხარჯზე, რა თქმა უნდა ის ნაკლებად მოუსმენს საზოგადოების პოლიტიკურ პულსაციას“ . ვაშაძე ასევე ხედავს პრობლემას, საარჩევნო სისტემის გაუმართაობაში, როდესაც შერეული საარჩევნო სისტემა, ძალიან აფერხებს მრავალპარტიული დემოკრატიის ჩამოყალიბებას, რადგან მცირე პარტიებმა, ფაქტობრივად თავიდანვე იციან რომ არათანაბარი სასტარტო პირობებით მიდიან არჩევნებზე და ფაქტობრივად „შვიდით ნულიდან უწევთ თამაშის დაწყება“, ეს კი ასევე, თავის მხრივ აფერხებს დემოკრატიას ქვემოდან ზემოთ და ხელს უწყობს ინიციატივების ზემოდან ქვემოთ ფორმირებას, აღნიშნავს ვაშაძე.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის პროცესსში , სხვადასხვა დონის არჩევნების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ საარჩევნო სისტემა, გასაზღვრავდა, თუ როგორ ჩამოყალიბდებოდა ეროვნული თუ ადგილობრივი დონის საკანონმდებლო ორგანო. ხშირად, შერეული საარჩევნო სისტემა, უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ პარტიების მიღებულ მანდატებსა და მიღებულ ხმათა პროცენტულ რაოდენობას შორის , დისბალანსი დაფიქსირებულიყო, იყო შემთხვევები, როდესაც ეს დისბალანსი 30%_ზე მეტიც იყო.

კვლევის ერთ-ერთი მიგნება იყო, რომ შერეული საარჩევნო სისტემის პირობებშიც კი, არის შანსი წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპი იყოს დაცული, იმ შემთხვევაში, თუ სამი პირობა ერთდროულად იმუშავებს:

1. ე.წ. გადაუნაწილებელი პროცენტების რაოდენობა 7%_ზე დაბალია და „დაკარგული ხმების“ წილი მინიმალურია
2. მაჟორიტარული მანდატების გადანაწილება, პირველ ადგილოსან და დანარჩენ პარტიებს შორის დაახლოებით 55/45 _ზე მიმართებითაა.
3. ე.წ. გადაუნაწილებელ მანდატებს, პროპორციულად გაიყოფენ , საარჩევნო ბარიერ გადალახული პარტიები

წინააღმდეგ შემთხვევაში, დისბალანსი ფაქტობრივად გამორიცხულია.

კვლევის პროცესში,ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნება იყო ის რომ, პროპორციული საარჩევნო სისტემა,ხელს შეუწყობს, ძლიერი მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბებას, ვინაიდან მცირე რესურსის მქონე პარტიებსაც მიეცემათ საშუალება თავისი პოლიტიკური ნიშა დაიკავონ და საჯარო ტრიბუნიდან საკუთარი პოზიცია გაახმოვანონ და დაიცვან საკუთარი ამომრჩევლის ინტერესები. თუმცა აღსანიშნავია ისიც რომ არ იქნება გამართლებული უბარიერო პროპორციული სისტემა,ან ძალიან დაბალი (1%) ბარიერით, ვინაიდან ეს ხმების ძალიან დაყოფას გამოიწვევს და ამით ძალიან მცირე მხარდაჭერის მქონე პარტიებს,“პოლიტიკური ვაჭრობისათვის“ მძლავრი ბერკეტები მიეცემათ.

ერთ-ერთი მიგნება იყო ის,რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა ხელს

შეუწყობს პარტიების რეგიონალური ოფისების გაძლიერებას,იმ მარტივი მიზეზის გამო,რომ თუ კი დღეს,რეგიონში მოსახლეობასთან ანგარიშვალდებული კონკრეტული მაჟორიტარი დეპუტატია,რომელიც ხშირად არც ხვდება თავის ამომრჩევლებს და მასთან კომუნიკაცია ბარიერებთანაა დაკავშირებული, პროპორციულის შემთხვევაში რეგიონის ამომარჩეველთან ანგარიშვალდებული იქნება პარტია,რომელსაც თავის მხრივ ეყოლება რეგიონალურ ოფისში წარმოამდგენლები და მოსახლეობას მათთან მოუწევთ კომუნიკაცია,არ იქნება პერსონიფიცირებული ანგარიშვალდებულება და ასევე შემცირდება ნეპოტიზმის შემთხვევებიც.

კვლევის პროცესში, განხილული არჩევნების შედეგებიდან მხოლოდ 9%_ის შედეგები მოხვდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის ჩარჩოში, 36,5% ნახევრად წარმომადგენლობითის ჩარჩოში, ხოლო 54,5% არაწარმომადგენლობითი დემოკრატიის ჩარჩოში. თეორიული დაშვებებით ჩატარებულ არჩევნებში კი, სადაც ბარიერი 3% იქნებოდა და სისტემა მთლიანად პროპორციული, განხილული არჩევნების 100%, მოექცეოდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის ჩარჩოში, 0_დან 7%_მდე სხვაობით.

ჰიპოთეზა ნაწილობრივ გამართლდა. ლარი დაიმონდისა და ჯეიმზ მედისონის წარმომადგენლობითი დემოკრატიის განსაზღვრების მიხედვით თუ ვიხელმძღვანელებთ,ვნახავთ რომ პროპორციული სისტემის პირობებში „არც ერთი სოციალური ჯგუფი არ იქნება მოკლებული თანასწორი პოლიტიკური მონაწილეობის უფლებას“ და უმცირესობა დაცული იქნება უმრავლესობის დიქტატისაგან, რასაც ჯ. მედისონი შიშობდა, შეიძლება გამონაკლის შემთხვევებში დაცული იყოს შერეული საარჩევნო სისტემის პირობებშიც, თუმცა მთლიანად პროპორციული სისტემის პირობებში, სადაც ბარიერი 3-5%_ის ფარგლებშია და გადაუნაწილებელი მანდატები, ნაწილდება პროპორციულად, ფაქტობრივად გარანტირებულია ზემოთაღნიშნული პრინციპის განხორციელება, ხოლო შერეულ სისტემაში, წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრიცნიპის დაცვა, გამონაკლის შემთხვევებს წარმოადგენს.

სად არის გამოსავალი? წარმომადგენლობითი დემოკრატიის უზრუნველსაყოფად, პარტიების მხრიდან მოსახლეობისადმი ანგარიშვალდებულების გასაზრდელად, ძლიერი მრავალპარტიული დემოკრაიის ჩამოსაყალიბებლად, სასურველია არჩევნები ტარდებოდეს პროპორციული სასურველი იქნება, არჩევნები ტარდებოდეს პროპორციული საარჩევნო სისტემით, სადაც ბარიერი იქნება 3%, რაც მინიმუმამდე დაიყვანს, ე.წ. დაკარგული ხმების დონეს, თავის მხრივ კი ის უნდა გადანაწილდეს ბარიერგადალახულ პარტიებზე პროპორციულად.

იმ შემთხვევაში, თუ მაჟორიტარული სისტემა მაინც დარჩება, ამ შეთხვევაში რომ მივაღწიოთ წარმომადგენლობით დემოკრატიას, მაჟორიტარული მანდატების კონცენტრირება არ უნდა მოხდეს ერთი კონკრეტული პარტიის ფარგლებშ,არამედ ის უნდა გადანაწილდეს სხვადსხვა სუბიექტზე, ეს კი პოლიტიკური კულტურის სფეროა, მისი განხორციელება კი ქმნის წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპის განხორციელების საფრთხეს,ამიტომ სჯობს რომ ასეთი რისკები, სისტემამ დააზღვიოს.

მიუხედავად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მთელი რიგი ნაკლოვანებებისა,ის იმ შემთხვევაში თუ გამართული სახით ფუნქციონირებს,მაინც უზრუნველყოფს რეგიონის სპეციფიური პრობლემების წინ წამოწევას საკანონმდებლო ორგანოში,ამიტომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის,მთლიანად პროპორციულით ჩანაცვლების შემთხვევაში,რჩება პრობლემური სივრცე რომელსაც ამოვსება სჭირდება,ხოლო ამისათვის გამოსავალი არის ორპალატიანი პარლამენტის შექმნა,რომლიის შესახებაც საქართველოს კონსტიტუციაში არის დათქმა,რომ უნდა შეიქმნას სენატი და რესპუბლიკის საბჭო,საქართველოს მთელ ტერიტორიაზე,შესაბამისი პირობების შექმნის შემდეგ. თავის მხრივ,ორპალატიანი პარლამენტის ზედა და ქვედა პალატის არჩევნები უნდა ტარდებოდეს სხვადასხვა დროს,რათა ერთი მხრივ,მოქალაქეებს მიეცეთ პოლიტიკური განწყობის ყოველ ორ წელიწადში დაფიქსირების საშუალება,რაც პარლამენტართა როტაციის შედეგად,

დესტაბილიზაციის ნაკლებ შანსს დატოვებს.დესტაბილიზაციის ნაკლები შანსი იქნება აგრეთვე,იმ შემთხვევაში თუ მეტ-ნაკლებად ყველა ჯგუფის ინტერესის დამცველ პარტიებს მიეცემათ საპარლამენტო ტრიბუნა,რაც ქუჩის აქციების შანსს მინიმუმადე დაიყვანს.

ბიბლიოგრაფია:

1. თოფურია, გ. (2011, 6 7). *საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმა, განმარტებები*
2. მაჭავარიანი, ქ. *2016 წლის არჩევნების შემდეგ საქართველო პროპორციულ სისტემაზე გადავა*
3. მაცაბერიძე, მ. (2003). არჩევნები და საზოგადოება. თბილისი:მეცნიერება.
4. მაცაბერიძე,მ. (2006) *ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
5. საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 4. პუნქტი 1.
6. საქსტატის ოფიციალური ვებგვერდი. 2017.01.10.
7. *საქართველო - არჩევნების ისტორია 1990-2010*
8. ყურაშვილი,კ.;ჩოკორაია,კ.;ბუჩუკური,ა. (2011) *ბიკამერალიზმის დილემები* . კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის მეცხრე გამოშვება
9. ცენტრალური საარჩევნო კომისია.(2010 წ). *2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს და ქ. თბილისის მერის არჩევნები*
10. მეიერი, პ ; *გამმიჯნავი ხაზები*
11. ცუცქირიძე,ლ. (02.04.2008) *საქართველოს პოლიტიკური სისტემის ფორმირების პრობლემები*
12. ქოქიშვილი,დ. (08.06.2017) *ვენეციის კომისია დასკვნის პროექტში მანდატების გადანაწილების "ოცნების" ვარიანტს აკრიტიკებს* http://netgazeti.ge/news/199897/
13. ინტერვიუ - გიორგი თარგამაძე
14. ინტერვიუ - გიორგი ვაშაძე
15. ინტერვიუ - მამუკა კაციტაძე
16. ინტერვიუ - დავით უსუფაშვილი
17. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებ გვერდი www.cesko.ge

1. Alvarez-Rivera, M. *Presidentian and Parliamentary Elections in Lithuania,Part I*; Last *update: May 25, 2014*

2. Center for Civic Education. *What Was James Madison's Legacy to American Constitutionalism and Citizenship?.*

3. FRANKFORT - NACHIMIAS,C ; NACHIMIAS D. (1996). *RESEARCH METHODS IN THE SOCIAL SCIENCES.* ST. MARTIN'S PRESS.

4. King, C. (2000). *Electoral Systems*

5. Mullen, M . *Georgia needs a Parliament Composed of Regions*

6. OSCE/ODIHR Election Assessment Mission Report; *REPUBLIC OF LITHUANIA PARLIAMENTARY ELECTIONS 14 October 2012 ;* Warsaw. (01.03.2013)

7. Satin. *Is "democracy" what the world needs now?* (September 2008)

8. UN; ***The Universal Declaration of Human Rights*** ; Article 21 ; 10/12/1948

9. Risser, D. *Is representative democracy (a system of regularly elected representatives) adequate for giving voice to the will of the people?*

10. Keman, H. *PARTIES IN GOVERNMENT: INCUMBENCY AND REPRESENTATION IN PARLIAMENTARY DEMOCRACIES*

11. Zimmerman, J. Alternative voting systems for representative democracy

12. Underwood, B . *Duverger's Law: Why American Third Parties Are Hopeless Fantasies*

13. Tucker, J. *2012 Ukrainian Parliamentary Elections: Post-Election Report* . 5 november 2012 http://themonkeycage.org/2012/11/2012-ukrainian-parliamentary-elections-post-election-report/

14. Shevel, O. *The parliamentary elections in Ukraine, October 2014*

15. Freitag, M & Steffen, I. *Referendums and Initiatives: Supplementing or Undermining Representative Democracy?*

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Meshveliani Tornike

Electoral system as a decisive factor in the functioning of representative democracy in Georgia

Political Science

The work is done to gain Master's degree in Political Science

Head: Malkhaz Matsaberidze - Full Professor
Co-lead: Giorgi Melikidze - Invited lecturer

Tbilisi 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიკა მუკბანიანი

პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა: საქართველოს პარტიული სისტემის თვისებრივი ანალიზი 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში

პოლიტიკის მეცნიერება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:
მალხაზ მაცაბერიძე
პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი:
გიორგი მელიქიძე
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

თბილისი
2017

ანოტაცია

პარტიებს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავიათ პოლიტიკურ პროცესებში. მათი გარდაქმნა და ტრანსფორმაცია წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. იცვლებოდა სისტემურად, შინაარსობრივად, თვისებრივად, თუმცა თავის როლს და მნიშვნელობას არ კარგავდა. პარტიები, როგორც მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოებში, ასევე საქართველოშიც, არიან პოლიტიკური პროცესის მთავარი შემქმნელები. იდეოლოგია და პარტია წლების განმავლობაში იყო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, თუმცა თანამედროვე პარტიულ სისტემებს თუ გადავხედავთ, უმეტეს შემთხვევაში, აშკარად შეინიშნება მათ შორის გაუცხოება. პარტიების ყოვლისმომცველობა და ნაკლებიდეოლოგიურობა სულ უფრო შესამჩნევი ხდება. ყოვლისმომცველ პარტიებს არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი აქვთ, რადგან ისინი უპირატესობას ანიჭებენ ამომრჩეველთა პრიორიტეტებს და არა იდეოლოგიას, შესაბამისად, ცვლილებებზე გაცილებით უკეთ რეაგირებენ, ვიდრე იდეოლოგიურ ჩარჩოში მოქცეული პარტიები.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ნაკლებიდეოლოგიურობასა და ყოვლისმომცველობას შორის ურთიერთკავშირის შესწავლა და გაანალიზება. ყოვლისმომცველობაზე, როგორც ცნებაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვით, მისი მახასიათებლებისა და თვისებების შესწავლით, ასევე სიღრმისეული ინტერვიუებით პარტიების წევრებთან, ექსპერტებთან, ნაშრომი შეეცდება მოკრძალებული წვლილი შეიტანოს პარტიული სისტემების კვლევაში.

კვლევის ფარგლებში მოცემულია პარტიების წარმომადგენელთა და ექსპერტთა მოსაზრებები საქართველოში პოლიტიკური პარტიების თაობაზე, მათ იდეოლოგიურობასა და ყოვლისმომცველობაზე.

როგორც კვლევისას გამოიკვეთა ქართულ პოლიტიკურ პარტიებში, განსაკუთრებით კი სახელისუფლებო პარტიებში, გვხვდება ყოვლისმომცველი ხასიათი. ყოვლისმომცველი პარტია უმთავრესად წარმოდგენილია იმ პირობებში, როდესაც გამარჯვებული პარტია არის დომინანტი. მას შეუძლია მიიტაცოს სხვადასხვა პოლიტიკური ინტერესი და მოახდინოს მათი ერთობლივად წარმოდგენა. ყოველივე ეს კი ყოვლისმომცველ პარტიებს საშუალებას აძლევს

მიიერთონ და შთანთქან სხვადასხვა პარტია, ხოლო თავად დომინანტის როლში აღმოჩნდნენ პოლიტიკურ სივრცეში.

საქართველოში პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შეინიშნება. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში პარტიები გამოირჩეოდნენ ყოვლისმომცველი ხასიათით და იდეოლოგიის როლი იყო შემცირებული.

საქართველოში პარტია თავისი იდეოლოგიისა და პრინციპების გაწირვით იღებს ყოვლისმომცველ ხასიათს, რომლის მთავარი მიზანი მრავალრიცხოვანი ამომრჩევლის მოზიდვა და დომინანტობაა.

Annotation

The parties have one of the key areas in political processes. Their reorganization and transformation have been going for years. It was changing systematically, in content, qualitatively, though it did not lose its role and importance. The parties, as in the most states of the world, as in Georgia, are the main creators of political process. Ideology and the party have been in close association with each other for years, though if we look at modern party systems, in most cases; obviously, there will be alienation between them. Catch-all and less ideology of the parties are becoming more noticeable. Catch-all parties have the biggest chance of winning in the elections, because they prefer the priorities to voters and not ideology, accordingly, they respond better to changes, than the parties in the ideological framework.

Purpose of the given Master's thesis is studying and analyzing of interrelation between catch-all and less ideology. About catch-all, as a notion according to review of the existing literatura sources, by studying of its characteristics and properties, also by depth interviews with parties' members, experts, the thesis would try to make estimable contribution in party systems research.

Within the research, there are given opinions of parties' representatives and experts about political parties in Georgia, about their ideology and catch-all.

As revealed in research, in Georgian political parties, especially, in government parties we see catch-all character. Catch–all party is mainly presented in those conditions, when the winning party is a dominant. It can capture the various political interests and to make their presentation together. All of these allow the catch-all parties to join and absorb different parties, and to become dominants themselves in political space.

Cath-all policy of the parties in Georgia is noted in the last few decades. The research showed, that the parties were distinguished by their catch-all character in Georgian parliamentary elections of 2012 and 2016 years and their ideology role was reduced.

In Georgia the party by dooming of its ideology and principles gets catch-all character, the main purpose of which is to attract numerous voters and dominance.

შინაარსი

შესავალი 7

თავი I თეორიული საფუძვლები 9

1.1 თეორიული ჩარჩო 9

1.2 ლიტერატურის მიმოხილვა 12

თავი II კვლევის მეთოდები 21

2.1 მეთოდოლოგია 21

2.2 ოპერაციონალიზაცია 22

თავი III საქართველოს და შვედეთის გამოცდილება 27

3.1 შვედეთი 27

3.2 საქართველო 33

თავი IV კვლევის შედეგები 43

4.1 ქართული ოცნება 47

4.2 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 51

4.3 რესპუბლიკური პარტია 56

4.4 დემოკრატიული მოძრაობა 61

4.5 ლეიბორისტული პარტია 69

4.6 ექსპერტთა შეფასებები 76

დასკვნები და რეკომენდაციები 87

გამოყენებული ლიტერატურა 90

დანართი 1. სადისკუსიო გეგმა 94

დანართი 2. სატიტულო ფურცელი 98

შესავალი

პოლიტიკის მეცნიერებაში პარტიების შესწავლას მოწინავე ადგილი უკავია. მათი შესწავლა მნიშვნელოვანია თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პირობებში, რადგან სწორედ პარტია და მისი პოლიტიკა განსაზღვრავს დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქიონირების სტანდარტებს. პარტიები, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ჯერ კიდევ უძველეს სახელმწიფოებში არსებობდა. ისინი „დიდი ხნის განმავლობაში ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩართულ დაპირისპირებულ ჯგუფებს“ წარმოადგენდნენ (Daalder, In Gunther, Diamond, 2001, pp.40- 51). მაგრამ დღევანდელი სახით, მხოლოდ ახალ დროში გაჩნდა. მათ პროტოტიპებად ვიგები და ტორები შეიძლება მივიჩნიოთ XVII-XVIII საუკუნეების ინგლისის პარლამენტში; ისინი სამეფო ძალაუფლების შეზღუდვის საკითხის მიმართ სხვადასხვა შეხედულების მქონე ჯგუფებს წარმოადგენდნენ. საკუთრივ, პარტიები ამ სიტყვის ვიწრო განმარტებას თუ ვიხმართ, მხოლოდ საკონსტიტუციო მთავრობისა და ჭეშმარიტი არჩევნების შემოღების შემდეგ გაჩნდა (Sartori, 1976).

პარტიების განვითარების ეტაპების ტიპოლოგია ასეთია:

- ელიტური პარტიები (მე-19 საუკუნე);
- მასობრივი პარტიები (1880-1960);
- ყოვლისმომცველი პარტიები (1945 წლის შემდეგ) (Klima, 1998).

პირველი წარმოადგენს პროდუქტს მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი ურთიერთობებისა (Weber, 1946), როდესაც ფეოდალური საზოგადოება თანდათან გზას უთმობს ინდუსტრიულ საზოგადოებას. მეორე - მასობრივი პარტიები (Duverger, 1954) შეესაბამება სამრეწველო საზოგადოებას, რომელმაც მოიპოვა საყოველთაო ხმის უფლება. მესამე - ყოვლისმომცველი პარტიები (Kirchheimer, 1966), რომლებიც იქმნებიან სამრეწველო საზოგადოებიდან პოსტ-ინდუსტრიულში გადასვლისას. ზემოაღნიშნული პარტიების ტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათი დამოკიდებულებით საზოგადოებისა და სახელმწიფოსადმი.

პარტიების თანამედროვე ტიპოლოგია (Duverger, 1963) ეფუძნება ნიუმანის ნაშრომს (Neuman, 1956), რომლის საკუთარი ტრანსფორმაცია შემოგვთავაზა კირჩაიმერმა. მისი მოსაზრებით, ყოვლისმომცველ პარტიებად გარდაქმნის პოტენციალი აქვს მასობრივ პარტიებს და არა საკადრო და იდეოლოგიურ პარტიებს (Kirchheimer, 1966).

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო სფეროში პარტიულ სისტემებს დიდ ყურადღებას უთმობენ, პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკის კვლევა და შესწავლა ჩრდილში მოექცა. კირჩაიმერის თანახმად, ყოვლისმომცველი პარტიები უკიდურესად ოპორტუნისტული ამომრჩევლის მაძიებელი პარტიებია, ლიდერზე ცენტრირებული, ინტერეს ჯგუფებთან დაკავშირებული ან ყველა ზემოთ დასახელებული მახასიათებლის მატარებელი. ყოვლისმომცველი პარტიები, დღევანდელი პარტიების ზოგადი სახელია (Wolinetz, 2002, pp. 136-165).

აღნიშნული ნაშრომი მიზნად ისახავს სწორედ ყოვლისმომცველი პოლიტიკის შესწავლას 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე, რაც თანამედროვე საქართველოში არსებული პარტიული სისტემების კვლევის საფუძველზეა შესაძლებელი. საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების გამო.

მოცემულ კვლევაში გააზრებული იქნება პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკის თავისებურებები. პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკის შესახებ მწირია ინფორმაცია, მისი კვლევა კი დაგვეხმარება, საქართველოში 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე, საკითხის შესწავლასა და გაანალიზებაში.

ეს თემა, პირველ რიგში, იმ ადამიანებისთვის არის აქტუალური და მნიშვნელოვანი, ვისაც პარტიების თანამედროვე სისტემა აინტერესებს. ამ თემის შესწავლა სწორედ მას შემდეგ გადავწყვიტე, როდესაც გავეცანი კირჩაიმერის, კლიმას, კროუველის, ნიუმანის, დიუვერჟეს და სხვ. ნაშრომებს. მათი მოსაზრებების გავლენით შეიქმნა ნაშრომი, რომელსაც წარმოგიდგენთ და ვიმედოვნებ, რომ მცირედ წვლილს შევიტან პარტიების ყოვლისმომცველობის შესწავლის საკითხში.

თავი I თეორიული საფუძვლები

1.1 თეორიული ჩარჩო

გერმანელ-ამერიკელი მეცნიერი ო. კირჩაიმერი, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია თავისი ხშირად ციტირებული ნაშრომით პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა - ტერმინით, რომელმაც ფართო აღიარება მოიპოვა პოლიტიკის მეცნიერებაში. ყოვლისმომცველობა მიუთითებს იმაზე, რომ მხარეები მსხვერპლად წირავენ თავიანთ ძველ იდეოლოგიებს და ძირითად ელექტორატს - ამომრჩევლებს, რათა მაქსიმალურად მიმზიდველი გახადონ თავიანთი საარჩევნო მიმართვა. ყოვლისმომცველი პარტია მობილიზაციას უკეთებს ამომრჩეველთა პოლიტიკურ პრიორიტეტებს და არა იდეოლოგიას.

კირჩაიმერმა ხაზი გაუსვა პროფესიონალიზმისა და პერსონალიზაციის ზრდას პოლიტიკურ პარტიებში, რის გამოც პოლიტიკური პარტიის ორგანიზაციები ხდებოდნენ ნამდვილი წინასაარჩევნო კამპანიის მანქანები. სახელმწიფო თავისი მოქმედებებით ცდილობს ლეგიტიმაციის მოპოვებას თავის პარტიისათვის პარლამენტში და ეს პოლიტიკური პარტიები უფრო და უფრო დამოკიდებულნი ხდებიან სახელმწიფოზე მათი რესურსისთვის. ამასთანავე, ოტო კირჩაიმერი ყურადღებას ამახვილებს ახალი ტიპის პარტიაზე, რომელიც მიიტაცებს სხვადასხვა პოლიტიკურ ინტერესებს და მოახდენს მათ ერთობლივად წარმოდგენას თანამედროვე დემოკრატიებისთვის. ყოველივე ეს კი იძლევა ყოვლისმომცველობის შექმნის საშუალებას.

პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკის შესწავლა ოტო კირჩაიმერის სახელთანაა დაკავშირებული. კირჩაიმერის პოლიტიკური თეორიის მიხედვით, სოციალურ-ეკონომიკურ განმარტებათა ფარგლებში, პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა წარმოადგენს ფართო სპექტრის თეორიას პოლიტიკური პარტიების ფუნქციონალური გარდაქმნის შესახებ ორგანიზაციულ, იდეოლოგიურ და საარჩევნო დონეზე. პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკის თეზისი წარმოადგენს მხოლოდ პატარა, მაგრამ ზოგადი პოლიტიკური თეორიის მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც საჭიროებს დამუშავებას. აღნიშნული მოიცავს

უფრო მეტად განზოგადებულ პოლიტიკურ თეორიას შემდეგი საკითხების შესახებ:

- საპარლამენტო დემოკრატიის ეროზია;
- სახელმწიფო პარტიის ქარტიის შესაბამისი ჩამოყალიბება, სადაც პარტიები თავისით გამოეყოფიან სოციალურ ფონდებს და ერთიანდებიან სახელმწიფოსთან;
- სახელმწიფოს მიერ თავიანთი სოციალური წარმოშობიდან და სათანადო რესურსებიდან გამოყოფა, მხარეთა პროფესიონალიზმი და მათი პროფესიონალიზმის საარჩევნო გასაჩივრება;
- წინამდებარე საბოლოოდ წინ უძღვის ვრცელ დეპოლიტიზაციას.

კირჩაიმერმა განსაზღვრა ოთხი ურთიერთდაკავშირებული სფერო, რომლითაც მას სურდა ეჩვენებინა ცვლილებების ანალიზი პოლიტიკური პარტიების როლისა და ხასიათის შესაბამისად. პარლამენტის ძალაუფლებისა და პრესტიჟის დასუსტების შემდეგ კირჩაიმერი მიუთითებს პარტიზანული დე-იდეოლოგიზაციის პროცესს და ქარტიის სამმხრივი ძალის განვითარებას, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ პარტიებს, სახელმწიფოს და გავლენიან ინტერესთა ჯგუფებს. პარტიებმა დაიწყეს საზოგადოებიდან სახელმწიფო აპარატებში გადანაცვლება, რომლის შედეგადაც შემცირდა განსხვავებული სოციალური კლასების პოლიტიკური აქტივიზაცია. ამასთანავე, შეიცვალა პარტიის წევრების როლი, რომლის შედეგადაც გაჩნდა განსხვავებული შეხედულებები პარტიის ლიდერებსა და წევრებს შორის. პარტიების მასობრივმა ტრანსფორმაციამ შეამცირა მათი წარმომადგენლობითი ფუნქცია. კირჩაიმერი ყურადღებას ამახვილებს რიგითი მოქალაქეების პოლიტიკური პროცესებიდან ჩამოშორების ზრდაზე - მოქალაქეებმა დაკარგეს კონტროლი პოლიტიკურ ორგანიზაციებზე და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა დაკარგეს კონტროლი თავიანთ მომხრეებზე.

მაღალი დონის ინტერპარტიული თანამშრომლობის კომენტირებისას, კირჩაიმერი ეხება ტორგერსენის (Torgersen) ნაშრომებს, რომ ილუსტრირება მოახდინოს ევროპულ პარტიებში როგორ დასტაბილურდა მათი პოლიტიკური დამოკიდებულება, პარტიებს შორის კონსენსუსის დახმარებით (Kirchheimer, 1966,

p.188). შვედმა და ნორვეგიელმა სოციალ-დემოკრატებმა პოლიტიკური კონკურენცია მინიმუმამდე დაიყვანეს თავიანთი პოლიტიკური პროგრამების შემცირების ხარჯზე. ყველა პოლიტიკური ლიდერი მჭიდროდ თანამშრომლობს ერთმანეთთან, ამის გამო ოპოზიციისთვის ძალიან მცირე ადგილი რჩება და ამ პოლიტიკური თანამშრომლობის შედეგად მოქალაქეების მონაწილეობა მცირდება.

ცენტრალური ევროპის რეგიონში ჩეხეთი წარმოადგენს განსაკუთრებულ შემთხვევას, სადაც პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის გვერდით კონკრეტული ფაქტორებიც აღესრულება, რომელმაც მოახდინა ზეგავლენა პარტიების ფორმირებასა და ჩამოყალიბებაში, ჯერ კიდევ ადრეულ სტადიაში. 21-ე საუკუნეში, ზოგადად თანხმდებიან იმაზე, რომ ჩეხეთის რესპუბლიკას აქვს სტანდარტული და სტაბილური პარტიული სისტემა, რომელიც თანაბარია დასავლეთის დემოკრატიული პრინციპებისა და რომელსაც შურით უყურებენ ზოგიერთ პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში. ხუთი ძირითადი პარტია იყო წარმოდგენილი ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატაში: არსებობს ერთი დიდი პარტია - სამოქალაქო დემოკრატიული პარტია (ODS) და ერთი დიდი მემარცხენე პარტია - ჩეხეთის სოციალურ - დემოკრატიული პარტია (CSSD), და მათ შორის არის ერთი პატარა ქრისტიანულ - დემოკრატიული პარტია (KDU-CSL) და მცირე და ლიბერალური ეკოლოგიურად ორიენტირებული პარტიები. გარდა ამისა, არსებობს ასევე კომუნისტური პარტია (KSCM). თუმცა, ფასადურად პოტენციალურად სტაბილურად გამოიყურება ჩეხეთის პოლიტიკური სტრუქტურა და ბევრს ლაპარაკობენ მის მაღალ დემოკრატიულ ღირებულებებზე, არსებული მდგომარეობა მაინც საგანგაშოა. სულ უფრო და უფრო იკვეთება ჩეხეთის პოლიტიკური პარტიების იერარქიულად ორგანიზებული სტრუქტურები, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც „პატარა ჯარები“. გარკვეულ შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, მათი ავტორიტარული თვისებებიდან გამომდინარე, ისინი მოქმედებენ როგორც კორუფციის „რვაფეხები“, რომელიც ძირავს საზოგადოებრივი წესრიგის ყველა მხარეს. განსაკუთრებით ასეთი საფრთხის ქვეშ იმყოფება სახელმწიფო, რომლის

პოლიტიკური კულტურა, სოციალური კავშირები, ერთობა, სოლიდარობა მთავრდება სუსტი ინსტიტუციონალური ძალაუფლების დაყოფით (Klima, 1998).

კირჩაიმერი წუხდა, რომ დემოკრატია საფრთხის ქვეშ იდგა, იმის გამო, რომ შემცირდა პარლამენტსა თუ სახელმწიფოში იდეოლოგიებზე დამყარებულ პარტიათა რიცხვი, რადგან ისინი ყოვლისმომცველობით დაინტერესდნენ, რამაც გამოიწვია ხალხის აპათია და პოლიტიკიდან დაშორება. ამრიგად, ყოვლისმომცველი პარტიები ყურადღებას ამახვილებენ არა იდეოლოგიაზე, არამედ ამომრჩეველთა პოლიტიკურ პრიორიტეტებზე.

1.2 ლიტერატურის მიმოხილვა

ყოვლისმომცველი პოლიტიკის მიმოხილვისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოტო კირჩაიმერის პოლიტიკური თეორია. გერმანელ-ამერიკელი მეცნიერის ო. კირჩაიმერის (1905-1965) პარტიების ყოვლისმომცველობის კონცეფცია იყო ნაწილი მისი უფრო მრავლისმომცველი თეორიის - პარტიების ტრანსფორმაციისა, რომელიც მოიცავს ოთხ ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულ პოლიტიკურ პროცესს. ამასთან, კონცეფცია რჩება დავის თემად, რომელმაც გააცოცხლა უამრავი დოკუმენტი, რომელთა შესწავლასაც წლების მანძილზე არაერთი მეცნიერი ცდილობდა.

კირჩაიმერის ნაშრომები, როგორც 1954 წლებში, ისე 1954 წლიდან 1966 წლამდე არაერთხელ იყო მოდიფიცირებული და გადამუშავებული. მისი ყველაზე მეტად გადამუშავებული ფორმა - ყოვლისმომცველი თეზისი აქამდეც მხოლოდ რეზიუმეა უფრო ფართო თეორიისა, რომელიც ბრუნავს ოთხი კონცერნის ირგვლივ. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ის ასახელებს პარლამენტის დემოკრატიის ეროზიასა და პოლიტიკური ოპოზიციის გაქრობას. კირჩაიმერი განსაკუთრებით შეშფოთებული იყო ოპოზიციური პრინციპულობის გაუჩინარებით, არა მხოლოდ ფაშიტურ და სოციალისტურ სახელმწიფოებში, არამედ იმ ქვეყნებშიც, სადაც დემოკრატია კარგა ხნის დამკვიდრებული იყო. მეორე ძირითად პრობლემად იგი მიიჩნევდა ე.წ. „სახელმწიფო პარტიული კარტელის“ ჩამოყალიბებას, რომელიც მან ჯერ კიდევ 1954 წელს იწინასწარმეტყველა. მესამე პრობლემა დაკავშირებულია დემოკრატიასთან

(Kircheimer, 1954). იგი ითვალისწინებდა პარტიული ორგანიზაციების პროფესიონალიზმსა და პერსონალიზაციას. ოტო კირჩაიმერი ჯერ კიდევ 1950-იან წლებში გამოთქვამდა უარყოფით დამოკიდებულებას ამ „პერსონალიზაციური პოლიტიკის“ მიმართ, რომელიც პოლიტიკას ზედმეტ ტვირთად გადააქცევდა. ოპოზიციის გაქრობას, კარტელიზაციას და პროფესიონალიზაციას მივყავართ მეოთხე დამოკიდებულებასთან, რაც იწვევს დეპოლიტიზაციას, პოლიტიკურ აპათიასა და ხელისუფლების კლასიკურ დაყოფას (Krouwel, 2003, p. 24).

კირჩაიმერი მიუთითებს, რომ ყოვლისმომცველ პარტიებს არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი აქვთ, ვინაიდან გაცილებით ეფექტურად მუშაობენ პოლიტიკური კომუნიკაციის კუთხით, უკეთესად ქმნიან პარტიის იმიჯს და უკეთესად რეაგირებენ მიმდინარე ცვლილებებზე (Kircheimer, 1966, pp. 177-200).

დე გაულის (De Gaulle) თანახმად, კირჩაიმერი ამტკიცებს, რომ მომენტალურად პოპულარულმა ლიდერებმა შესაძლოა გამოიყენონ თავისი პოპულარობა არსებული პოლიტიკური სისტემის დასამარცხებლად და ჩაანაცვლონ ისინი ფსევდო ლეგიტიმური ავტორიტარული ხელისუფლების მომხრეებით, რომლებიც იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში, რაც შესაძლოა ემსახურებოდეს მათ ინდივიდუალურ პოლიტიკურ მისწრაფებებს (Kirchheimer, 1963, p. 2).

„ყოვლისმომცველი პარტიების“ ორი სახესხვაობა გამოიყოფა: კარტელური და კლიენტელისტური პარტიები. ორივე მათგანი „ყოვლისმომცველი პარტიების“ არასტანდარტული მუტაციის შედეგია. კლიენტელისტური პარტიები შემდეგ პირობებში ჩამოყალიბდა:

- ფორმირება 1989 წლიდან;
- დემოკრატიზაციის პროცესთან თანაარსებობა;
- მასობრივი პრივატიზაცია;
- ნაკლებად განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება;
- ახლადშექმნილი პარტიების სიმრავლე;

ყოვლისმომცველი პარტიები გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით:

- კლიენტელიზმისა და კორუფციის მაღალი დონით;

- პარტიებსა და ბიზნესს შორის კლიენტელისტური კავშირით;
- მნიშვნელოვნად შესუსტებული იდეოლოგიური ბაზისით;
- პარტიის ლიდერების განსაკუთრებული როლით;
- პარტიის რიგითი წევრების როლის შესუსტებით;
- პარტიულ ინტერესებზე ნაკლები ფოკუსირებით;

ამგვარი პარტია ორიენტირებულია სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე (Klima, 2013).

ა. კროუველი (A. Krouwel) თავის ნაშრომში „ოტო კირჩაიმერი და ყოვლისმომცველი პარტია“ - განიხილავს ყოვლისმომცველი პოლიტიკის თავისებურებებს. მისი მოსაზრებით, ოპოზიციის გაქრობა, კარტელიზაცია და პოლიტიკის პროფესიონალიზაცია საზოგადოებას აპირისპირებს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც იწვევს პოლიტიკისადმი ცინიზმსა და აპათიას (Krouwel, 2003, p. 23).

კირჩაიმერი სხვადასხვა ნაშრომში, 1950-1960 წლებში, აანალიზებდა, რომ სოციალური თუ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიების მხრიდან მოხდა საზოგადოებასთან ურთიერთობის შესუსტება, გადგომა და მიუთითებდა შესაძლო სახელმწიფო-პარტიული კარტელის შექმნას, რომელიც შედეგი იქნებოდა ამ პროცესების.

მ. კლიმას (Klima, p. 1) მოსაზრებით, თუკი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური პარამეტრები საზოგადოებაში უნდა შეიცვალოს, მაშინ უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიებისა და მისი შინაგანი სტრუქტურის რეორგანიზაციაც და განახლებაც. ადაპტაცია ძირითადი წინაპირობაა ევოლუციის. ამ კონტექსრში პოლიტიკური მეცნიერება შეისწავლის პოლიტიკური პარტიების განვითარების ეტაპებს, რომლის ტიპოლოგია ასეთია: ელიტური პარტიები (მე-19-ე საუკუნე); მასობრივი პარტიები (1880-1960); ყოვლისმომცველი პარტიები (1945 წლის შემდეგ) (Klima, p. 1).

ელიტური პარტიები (Weber, 1946) წარმოადგენენ ადრეული ეტაპის პოლიტიკურ პარტიებს და პროდუქტს მე-19-ე საუკუნის საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, როდესაც ფეოდალური საზოგადოება თანდათან გზას უთმობს ინდუსტრიულ საზოგადოებას. მასობრივ პარტიებს (Duverger, 1954) შეესაბამება

სამრეწველო საზოგადოება, რომელმაც მოიპოვა საყოველთაო ხმის უფლება. და ბოლოს, ყოვლისმომცველი პარტიები (Kirchheimer, 1966), რომლების იქმნებიან სამრეწველო საზოგადოებიდან პოსტინდუსტიულში გადასვლისას. ეს სხვადასხვა ტიპები პარტიებისა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათი დამოკიდებულებით საზოგადოებისადმი და სახელმწიფოსადმი.

კროუველი თავის ნაშრომში საუბრობს, რომ ოპოზიციის გაქრობა და კარტელიზაცია იწვევს საზოგადოების მხრიდან ცინიზმსა და აპათიას. ხოლო კლიმა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ თუკი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პარამეტრები უნდა შეიცვალოს, მაშინ უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიების განახლებაც.

პარტიების თანამედროვე ტიპოლოგია (Duverger, 1963) ეფუძნება ნიუმანის ნაშრომს (Neuman, 1956), რომლის თანახმად თანამედროვე პარტიების გავლენა და ფუნქციები განსაკუთრებით გაიზარდა (Neuman, 1956, p. 404). დიუვერჟეს განმარტებით საკადრო და მასობრივ პარტიებს შორის განსხვავებას წარმოადგენს ელიტაზე (საკადრო პარტიების შემთხვევაში) ან მასობრივ წევრებზე (მასობრივი პარტიების შემთხვევაში) ორიენტირება (Ware, 1987). ნიუმანისა და დიუვერჟეს მოსაზრებას შორის არსობრივი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ დიუვერჟე კონცენტრირებას ახდენს პარტიის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, ხოლო ნიუმანი პარტიის ფუნქციებზე აკეთებს აქცენტს. ნიუმანის ტიპოლოგიის საკუთარი ტრანსფორმაცია შემოგვთავაზა კირჩაიმერმა, რომლის მიხედვითაც, ყოვლისმომცველ პარტიებად გარდაქმნის პოტენციალი აქვს მასობრივ პატიებს (და არა საკადრო და იდეოლოგიურ პარტიებს) Kircheimer, 1966)).

კირჩაიმერის მოსაზრების თანახმად, ყოვლისმომცველი პარტიები უკიდურესად ოპორტუნისტული ამომრჩევლის მაძიებელი პარტიებია, ლიდერზე ცენტრირებული, ინტერეს ჯგუფებთან დაკავშირებული ან ყველა ზემოთ დასახელებული მახასიათებლის მატარებელი. ყოვლისმომცველი პარტიები დღევანდელი პარტიების ზოგადი სახელია (Wolinetz, 2002, pp. 136-165).

ადრეული პერიოდის საარჩევნო კამპანიებში პოლიტიკური პარტიები დომინირებდნენ. თანამედროვე პირობებში კი გაჩნდნენ ახალი აქტორები. ბოლო პერიოდში გავრცელებული მოსაზრებით, ახალმა დემოკრატიებმა უფრო

ადვილად მოახერხეს თანამედროვე საარჩევნო კამპანიის მახასიათებლების ათვისება, ვიდრე განვითარებულმა დემოკრატიებმა, რადგან ახალმა დემოკრატიებმა დაჩქარებული ტემპით, ზერელედ გაიარეს განვითარების პროცესი (Gunther, Diamandouros, Puhle, 1995).

ყოვლისმომცველი პარტიები უმთავრესად წარმოდგენილია იმ პირობებში, როდესაც გამარჯვებული პარტია არის დომინანტი (Roper, 1995, p. 521). ყოვლისმომცველი პარტიების ჩამოყალიბებას განაპირობებს ორი გამოკვეთილი პირობა:

- პარტია წევრების მისაღებად არის ღია (და არა შეზღუდული);
- პარტიებს შორის კონკურენცია მიმდინარეობს ეროვნულ დონეზე (და არა რეგიონულ დონეზე) (Duverger, 1962).

ყოვლისმომცველი პარტია არ იზღუდება წევრების მიღებისას რაიმე პრინციპული კრიტერიუმით და ცდილობს მოწინააღმდეგეებს წევრების მრავალრიცხოვნობით გაუწიოს კონკურენცია. საქართველოს პარტიული სისტემა სწორედ წევრების მოზიდვაზეა ორიენტირებული და ამ მხრივ შეზღუდვებს არ ცნობს.

პარსონსი გვთავაზობს (Parsons, 1964, pp. 339-357) დაპირისპირებისა და თანამშრომლობის თეორიას, რომელზე დაყრდნობითაც შეიქმნა „ტერიტორიულ-ფუნქციონალური“ განზომილება (Lipset, Rokkan, 1967). სწორედ აღნიშნული განზომილება განიხილება ყოვლისმომცველი პარტიების ჩამოყალიბების მომდევნო წინაპირობად. აღნიშნული პირობის თანახმად, მასობრივი პარტიები, რომლებიც წარმატებით გარდაიქმნებიან ყოვლისმომცველ პარტიებად საარჩევნო კამპანიას აწარმოებენ ეროვნულ დონეზე და წევრებს იძენენ ქვეყნის მასშტაბით. ამის საწინააღმდეგოდ საკადრო პარტიები წარმატებულად საქმიანობენ ქვეყნის მხოლოდ ერთ კონკრეტულ რეგიონში.

საქართველოში პარტიის წევრობა დამოკიდებულია უფრო მეტად ლიდერის ან ლიდერთა ჯგუფის მისწრაფებებზე და შეხედულებებზე, ვიდრე იდეოლოგიაზე. ლიდერის გამოკვეთა წინა პლანზე დამახასიათებელია არა მხოლოდ ქართული პოლიტიკისთვის, არამედ დემოკრატიული სახელმწიფოებისთვისაც. ამ ფენომენს განიხილავენ „ამერიკანიზაციის“ ერთ-ერთ მახასიათებლადაც. იდეოლოგიის

გაუფერულების მიზეზი შეიძლება იყოს თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი აპათია, ზოგადად პოლიტიკური პროცესების მიმართ. ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პარტიები ხშირად თავს არიდებენ მკვეთრად განსაზღვრული იდეოლოგიის გამოკვეთას, რითაც ცდილობენ რაც შეიძლება ბევრი ამომრჩეველი მიიზიდონ. ყოველივე ეს კი ემსგავსება კირჩაიმერის ყოვლისმომცველი პარტიების პოლიტიკას (catch-all party).

ნაშრომი - პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც წარმოდგენილია 1966 წელს, ერთ-ერთი იყო, რომელიც მუდმივად განიცდიდა ცვლილებას 12 წლის განმავლობაში. არსებითი ცვლილებები იყო შესული ამ ხელნაწერში, რაც მიუთითებს, რომ კირჩაიმერი ჯერ კიდევ გააზრების მომენტში იყო და დიდწილად საჭიროა განმეორებითი ფორმულირება პარტიების ყოვლისმომცველობისა. ყველაზე მნიშველოვანი ცვლილებები განხორციელდა იმ მონაკვეთში, რომელიც აღწერს ომის შემდგომი პარტიების ყოვლისმომცველობას და სადაც კირჩაიმერი აკონკრეტებს ფაქტებს, რამაც ზემოქმედება მოახდინა პარტიების ყოვლისმომცველობის განვითარებაზე სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში (185-188 გვ. იყო მთლიანად შეცვლილი (A. Krouwel, 2003, p. 27)). კირჩაიმერის მიერ გერმანულ ენაზე გამოქვეყნებული იგივე სტატია ასევე იყო მაგალითი მრავალრიცხოვანი გადახედვებისა თუ პერეფორმულირებისა (Kirchheimer 1964, Kirchheimer 1965). გერმანული ვერსია ინგლისურ ვერსიაზე ერთი წლით ადრე გამოქვეყნდა. ეს ვერსიები განსხვავდება რამდენიმე წერტილში (Krouwel, 2003, p. 28). მისმა ორაზროვნებამ და არასიზუსტემ ამ დასკვნებსა თუ ეფექტურ არასრულ ვერსიებში გამოიწვია დაბნეულობა - შემდგომ ანალიზსა და მის იდეებში. იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ ლაბირინთიდან გამოსვლა და დაწყებულიყო რეკონსტრუქცია კროუველი არა მხოლოდ კირჩაიმერის მიერ გამოქვეყნებულ ნამუშევრებს გაეცნო, არამედ მის პირად არქივს - გამოუქვეყნებელ ნაშრომებსა და ლექციებს. ის აგრეთვე გაეცნო იმ ბმულებსა და წყაროებს, რომელიც კირჩაიმერს თავდაპირველ ნამუშევრებში ჰქონდა გამოყენებული. მაგალითად, თუ გვინდა გავეცნოთ იმას, როგორ ცდილობდა კირჩაიმერი ეჩვენებინა პარტიული ორგანიზაციების განვითარების დონე, შეგვიძლია გადავხედოთ ლომარის (Lohmar) და პიზორნოს (Pizzorno) ნამუშევრებს, რომელიც

კირჩაიმერს მოჰყავს დამადასტურებელ არგუმენტად (Kirchheimer, 1966, p.190). ეს თავის მხრივ საშუალებას იძლევა ვარაუდისა, რომ კირჩაიმერმა შეაფასა პარტიული წევრების როლის დაქვეითება როგორც მრავალმხრივი პროცესი, მათ შორის პარტიული წევრების რაოდენობაც. ამასთან ერთად პარტიის შემოსავლებისთვის შემცირდა მნიშვნელობა წევრების რაოდენობის კუთხით (Lohmar, 1969, pp.35–7). ასევე, წევრების რაოდენობა აღარ არის შუამდგომი პარტიის ლიდერებსა და ელექტორატს შორის და ხელმძღვანელების არჩევის დროს (Lohmar, 1969, p.43). მმართველი ჯგუფი ფუძნდება მათი ტექნიკური და მენეჯმენტური თვისებებით და არა იდეოლოგიური ორიენტაციით ან კლასიკური წარმოშობით (Lohmar, 1969, pp.117–24; Pizzorno, 1964, pp.212–17).

დიუვერჟეს (Duverger) მითითებით, კირჩაიმერი აცხადებს, რომ მოქალაქეები ხშირად გამოირიცხებიან პოლიტიკური ცხოვრებიდან. სწორედ პარტიების ყოვლისმომცველობა თავაზობს უფრო და უფრო ნაკლებ შესაძლებლობას წევრობის საქმიანობისათვის.

ყოვლისმომცველი პარტიული ორგანიზაციები ხდებიან პროფესიული და კაპიტალის მომპოვებლები და ძირითადად დამოკიდებულნი არიან სახელმწიფო სუბსიდიებზე და იმ ინტერესთა ჯგუფებზე ვინც ხელს შეუწყობთ მათ შემოსავალს, აგრეთვე დამოუკიდებელ მედიაზე, რომელიც საშუალებაა მასობრივი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში (Kirchheimer, 1966, pp.190–94). რაც შეეხება ყოვლისმომცველობის იდეოლოგიას, კირჩაიმერი უყურებს როგორც საარჩევნო სტრატეგიას. „მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი პარტიები“ - აღნიშნა მან ერთ-ერთ ლექციაზე - „საკმარისია იმისთვის, რომ იყოს უმრავლესობა, მათ არ შეიძლება ჰქონდეთ უნიკალური იდეოლოგიური პროგრამა“ (Kirchheimer, 1962, p.1).

ინგლისური და ამერიკული მხარეთა სისტემები მარგინალური ამომრჩევლებისთვის იბრძვიან. ასებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ხმას მხოლოდ ერთ პარტიას აძლევენ, მაგრამ იმისთვის რომ მიიღონ მცურავი ხმები, პარტიებიდან ერთ-ერთი მათგანი ცდილობს, დაიყვანოს მინიმუმამდე განსხვავება გვერდით მდგომისაგან (Kirchheimer 1962, p.3). იმისათვის, რომ კირჩაიმერმა განამტკიცოს თავისი თეზისი იდეოლოგიურ დონეზე, იგი ეხება დაუნსის (Downs)

დემოკრატიული ეკონომიკის თეორიას და მოჰყავს არგუმენტი იმაზე, რომ პოლიტიკური პარტიების მთავარი მიზანია შემდგომ არჩევნებში გამარჯვება. შედეგად პარტია თავის პოლიტიკას ორგანიზებას ისე უკეთებს, რომ სარგებელი უფრო მეტი ჰქონდეს, ვიდრე ზარალი თავისი პოლიტიკით (Kirchheimer 1966, p.195).

ყოვლისმომცველი პარტია მობილიზაციას უკეთებს ამომრჩეველთა პოლიტიკურ პრიორიტეტებს და არა იდეოლოგიას. ეს მრავალფუნქციური ინტერპრეტირებული იდეოლოგიები წარმოადგენენ პროდუქტს ამომრჩეველთა ბაზარზე, შემოიფარგლებიან რა მხოლოდ იმით, რომ ამომრჩევლები არ მისცემენ ხმას, თუკი ყველა მხარე ხაზს გაუსვამს სრულიად იდენტურ პროგრამას. ამ მხრივ, მხარეები ერთმანეთის კონკურენციას ახდენენ პირადი საქმეებით (კანდიდატების), ტრადიციებისადმი დამოკიდებულებითა და სხვა „ირაციონალური“ საშუალებებით .

მაღალი დონის ინტერპარტიული თანამშრომლობის კომენტირებისას, კირჩაიმერი ეხება ტორგერსენის (Torgersen) ნაშრომებს, რომ ილუსტრირება მოახდინოს ევროპულ პარტიებში როგორ დასტაბილურდა მათი პოლიტიკური დამოკიდებულება, პარტიებს შორის კონსენსუსის დახმარებით (Kirchheimer, 1966, p.188). შვედმა და ნორვეგიელმა სოციალ-დემოკრატებმა პოლიტიკური კონკურენცია მინიმუმამდე დაიყვანეს თავიანთი პოლიტიკური პროგრამების შემცირების ხარჯზე. ყველა პოლიტიკური ლიდერი მჭიდროდ თანამშრომლობს ერთმანეთთან, ამის გამო ოპოზიციისთვის ძალიან მცირე ადგილი რჩება და ამ პოლიტიკური თანამშრომლობის შედეგად მოქალაქეების მონაწილეობა მცირდება. რაც შეეხება როკანის (Rokkan) და ვალენის (Valen) ნაშრომებს, კირჩაიმერი დამატებით იყენებს იმის მტკიცებულებად, თუ როგორ შემცირდა პოლიტიკური კონკურენცია (Kirchheimer, 1966, p.188), ხოლო ითვალისწინებს რა ლიპსეტს (Lipset), იგი ამტკიცებს, რომ სიმდიდრის ზრდას და დასავლეთის სამრეწველო დემოკრატიების აღმავლობას მოჰყვა ახალი საშუალო ფენის წარმოქმნა (Kirchheimer, 1966, pp.191–2).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოვლისმომცველი პოლიტიკა პარტიებს საშუალებას აძლევს ელექტორატის დიდი

ნაწილის გული მოიგოს, ე.ი. მოიპოვოს უმრავლესობა, მაგრამ ასეთ უმრავლესობას არ შეიძლება ჰქონდეს უნიკალური იდეოლოგიური (ან მკვეთრად განსაზღვრული) იდეოლოგიური პროგრამა. სწორედ პარტიების ყოვლისმომცველობა იწვევს პარლამენტიდან ოპოზიციის გამოდევნას და ხალხის პოლიტიკიდან ჩამოშორებას, რის გამოც მოქალაქეთა აპათია და ზერელე დამოკიდებულება იზრდება ზოგადად პოლიტიკისადმი.

თავი II კვლევის მეთოდები

2.1 მეთოდოლოგია

მიზნის მისაღწევად გამოვიყენებ თვისებრივი კვლევის მეთოდს, რადგან იგი მიზნად ისახავს არა შესასწავლი ფენომენის რაოდენობრივი გავრცელების სურათის დადგენას, არამედ მის სიღრმისეულ შესწავლას. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ აღნიშნული მეთოდის საშუალებით მივიღებთ კითხვაზე პასუხს განაპირობებს თუ არა პარტიების ნაკლებიდეოლოგიურობა მათ ყოვლისმომცველ ხასიათს? რაც დაგვეხმარება მიზეზების გამორკვევასა და არსებული საკითხის ახსნისთვის.

თვისებრივი მეთოდის გამოყენება საშუალებას მოგვცემს პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა შევისწავლოთ სიღრმისეულად, გამოვავლინოთ მისი თავისებურებები და გავითავისოთ მისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. კვლევის დროს ჩავატარებ სიღრმისეულ ინტერვიუს იმ პარტიების წარმომადგენლებთან, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტში. გავარკვევ პარტიათა გაერთიანების შედეგად მოხდა თუ არა ცალკეულ პარტიებში იდეოლოგიის შესუსტება; იყვნენ თუ არა პარლამენტში წარმოდგენილნი პარტიები, რომლებიც ხასიათდებოდნენ ყოვლისმომცველობით.

კვლევის მიზანია იდეოლოგიასა და ყოვლისმომცველობას შორის ურთიერთგავშირის გარკვევა და გაანალიზება. შესაბამისად, ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვაა

განაპირობებს თუ არა პარტიების ნაკლებიდეოლოგიურობა მათ ყოვლისმომცველ ხასიათს?

ჰიპოთეზა არის ვარაუდი და მის გამართლებას/არ გამართლებას კვლევის შედეგი აჩვენებს. ნაშრომის ჰიპოთეზა ჩამოვაყალიბე შემდეგმნაირად: **რაც უფრო ნაკლებიდეოლოგიურია პარტია, მით უფრო იზრდება მისი ყოვლისმომცველი ხასიათი.**

კვლევაში გამოიყოფა: დამოუკიდებელი ცვლადი - **ნაკლებიდეოლოგიური პარტია,** დამოკიდებული ცვლადი - **ყოვლისმომცველი ხასიათი.**

კვლევის დროს ჩავატარებ სიღრმისეულ ინტერვიუს იმ პარტიების წარმომადგენლებთან, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტში, ასევე არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან. ყოველივე ეს კი საშუალებას მოგვცემს მრავალმხრივ დავინახოთ პარტიების ყოვლისმომცველობის ხასიათი.

2.2 ოპერაციონალიზაცია

ჰიპოთეზის შემოწმების პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპია ოპერაციონალიზაცია, რაც გულისხმობს აბსტრაქტული ცნებების უფრო კონკრეტულ და დაკვირვებად ცნებებად ქცევას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ზოგადი ცნებების დაკონკრეტება და ახსნა იმისა, თუ რა გზით იქნება ნაშრომში წარმოდგენილი ამ ცნებების გაზომვა. იმის დასასაბუთებლად, რომ რაც უფრო ნაკლებიდეოლოგიურია პარტია, მით უფრო იზრდება მისი ყოვლისმომცველი ხასიათი, გვჭირდება შემდეგი საკვანძო ცნებების ოპერაციონალური დეფინიციები: იდეოლოგია, ყოვლისმომცველობა. იმისათვის, რომ მოხდეს ცნებების დაკონკრეტება და გაზომვა, გავეცანი შემდეგ ნაშრომებს: ო. კირჩაიმერი - პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც ეხება პარტიების ყოვლისმომცველი ხასიათის შესწავლას და გააზრებას; კროუველის ოტო კირჩაიმერი და ყოვლისმომცველი პარტია; ასევე კლიმას, ტორგენსენის, დიუვერჟეს, ნიუმანის, ლიპჰარტის ნაშრომებს. ცნობილი ავტორების გამოცდილება კი დაგვეხმარება, როგორც იდეოლოგიის, ისე ყოვლისმომცველობის გაზომვის პროცესში.

იდეოლოგიის და ყოვლისმომცველობის დაკონკრეტებისთვის დაგვეხმარება კირჩაიმერის ნაშრომი „პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა“. კირჩაიმერის მიხედვით, ყოვლისმომცველ პარტიებად გარდაქმნის პოტენციალი აქვთ მასობრივ პარტიებს და არა საკადრო ან იდეოლოგიურ პარტიებს (Kirchheimer, 1966). ყოვლისმომცველი პარტია უმთავრესად წარმოდგენილია იმ პირობებში, როდესაც გამარჯვებული პარტია არის დომინანტი. ასევე მნიშვნელოვანია ნიუმანის პარტიების თანამედროვე ტიპოლოგია, სადაც ავტორი პარტიის ფუნქციაზე აკეთებს აქცენტს. დაუნსის კონცეფცია „მრავალპარტიული პოლიტიკა“

არსებითად ეკვივალენტურია კირჩაიმერის კონცეფციის, ორივე ავტორი აღნიშნავს და მიუთითებს იმაზე, რომ მხარეები მსხვერპლად წირავენ თავიანთ ძველ იდეოლოგიებს და ძირითად ელექტორატს - ამომრჩეველს, რათა მაქსიმალურად მიმზიდველი გახადონ თავიანთი საარჩევნო მიმართვა. ე.ი. პარტიების იდეოლოგიები, ფქტიურად, იქცევიან ერთ დიდ საარჩევნო სიტყვად, რაც დამახასიათებელია პარტიების ყოვლისმომცველობისთვის - რომელიც მობილიზაციას უკეთებს ამომრჩეველთა პოლიტიკურ პრიორიტეტებს და არა იდეოლოგიას. ეს მრავალფუნქციური ინტერპრეტირებული იდეოლოგიები წარმოადგენენ პროდუქტს ამომრჩეველთა ბაზარზე.

კირჩაიმერის განგაში თანამედროვე დემოკრატიისადმი იმან გამოიწვია, რომ ის ხედავდა თუ როგორ ქრებოდა პრინციპული ოპოზიცია პარლამენტსა და საზოგადოებაში და როგორ მცირდებოდა სახელმწიფოს მარტივი მართვის პოლიტიკა. ანუ, კირჩაიმერის აზრით, დემოკრატია საფრთხის ქვეშ იდგა, რადგან პარტიებს, რომელთაც ოდესღაც ჰქონდათ თავიანთი იდეოლოგია და ამოცანები, დღეისათვის გაქრობა ემუქრებოდათ, ამის მიზეზად კი ის ასახელებს პარტიების ყოვლისმომცველობას, ე.ი. როცა ერთ პარტიას შეუძლია შეიერთოს რამდენიმე პარტია და სწორედ ამ დროს ხდება იდეოლოგიების დაახლოება, რომელთა საბოლოო ბედი ერთ იდეოლოგიად ჩამოყალიბებაა. მრავლისმომცველობის „არაიდეოლოგიურობა“ კი იწვევს საზოგადოებასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობის გაწყვეტას. სწორედ ამას გულისხმობდა კირჩაიმერი, როცა წუხდა იმაზე, რომ ოპოზიციის გაქრობა, კარტელიზაცია და პოლიტიკის პროფესიონალიზაცია საზოგადოებას აპირისპირებს სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც საბოლოოდ პოლიტიკისადმი ცინიზმსა და აპათიას იწვევს.

დემოკრატიის სიძლიერე სწორედ მის მრავალპარტიულ სისტემაშია. ძლიერ სახელმწიფოში არსებული პარტიების იდეოლოგიური მიდგომა ხალხში გარკვეულ სიმპათიასა და კეთილგანწყობას იწვევს, რაზეც მიუთითებს ამომრჩეველთა აქტიურობა არჩევნების პერიოდში.

სახელმწიფოში, როდესაც ძლიერი იდეოლოგიის მატარებელი პარტიები არსებობენ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან თავიანთი იდეოლოგიით, მაშინ დიდია შანსი სახელმწიფომ მიიღოს მრავალპარტიული პარლამენტი, რაც

დემოკრატიის მაღალი მაჩვენებელი იქნება. იდეოლოგიის შესუსტებამ ან საბოლოოდ გაქრობამ კი შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს დემოკრატია.

ბოლო პერიოდის მსოფლიოში შეიმჩნეოდა პარტიათა ყოვლისმომცველობა, რაზეც კირჩაიმერი წუხდა, რადგან მიუთითებდა შესაძლო სახელმწიფო - პარტიული კარტელის შექმნაზე, რომელიც შედეგი იქნებოდა ამ პროცესების.

ოპოზიციის პრინციპულობის გაქრობა გამოიწვია იდეოლოგიების უკანა პლანზე გადასვლამ, ანუ პარტიებს მტკიცე მიზნები და ამოცანები აღარ ამოძრავებდათ და მათ თანდათანობით პრინციპულობაც გაუქრათ, რამაც გამოიწვია პარტიათა დეიდეოლოგიზაცია. მაგალითად, შვედმა და ნორვეგიელმა სოციალ-დემოკრატებმა პოლიტიკური კონკურენცია მინიმუმამდე დაიყვანეს თავიანთი პოლიტიკური პროგრამების შემცირების ხარჯზე. ყოველივე ამას კი გააჩნდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე პარტიებს შორის ზედმეტი კონფლიქტები და აზრთა სხვადასხვაობა მინიმუმამდე დავიდა და უფრო მარტივი გახდა ამა თუ იმ საკითხზე კონსენსუსის მიღწევა, თუმცა როდესაც ყველა პოლიტიკურმა ლიდერმა მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყეს ერთმანეთთან, უკვე ოპოზიციის ადგილი ძალიან მცირე დარჩა.

კირჩაიმერი მიუთითებს, რომ ყოვლისმომცველ პარტიებს არჩევნებში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვთ, ვინაიდან ისინი ეფექტურად მუშაობენ კომუნიკაციის კუთხით, უკეთესად ქმნიან პარტიის იმიჯს და უკეთესად რეაგირებენ მიმდინარე ცვლილებებზე.

ერთის მხრივ, კირჩაიმერი წუხდა, რომ დემოკრატია საფრთხის ქვეშ იდგა, იმის გამო, რომ შემცირდა პარლამენტსა თუ სახელმწიფოში იდეოლოგიებზე დამყარებულ პარტიათა რიცხვი, რადგან ისინი ყოვლისმცველობით დაინტერესდნენ, რამაც გამოიწვია ხალხის აპათია და პოლიტიკიდან დაშორება. მეორე მხრივ, თავად კირჩაიმერი აღნიშნავს, რომ ყოვლისმომცველ პარტიებს არჩვენებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი აქვთ. ზემოაღნიშნულიდან გამოდის, რომ ხალხისთვის იდეოლოგიას არ ჰქონია გადამწყვეტი მნიშვნელობა და ისინი კომუნიკაციასა და იმიჯზე რეაგირებენ.

კირჩაიმერმა შეაფასა პარტიული წევრების როლის დაქვეითება, როგორც მრავალმხრივი პროცესი. მმართველი ჯგუფი ფუძნდება მათი ტექნიკური და მენეჯმენტური თვისებებით და არა იდეოლოგიური ორიენტაციით ან კლასიკური წარმოშობით. გარდა ამისა, დიუვერჟეს მითითებით, კირჩაიმერი აცხადებს, რომ მოქალაქეები ხშირად გამოირიცხებიან პოლიტიკური ცხოვრებიდან და პარტიების ყოვლისმომცველობა თავაზობს უფრო და უფრო ნაკლებ შესაძლებლობას წევრობის საქმიანობისათვის. ყოვლისმომცველი პარტიული ორგანიზაციები თანდათან ხდებიან პროფესიული და კაპიტალის მომპოვებლები და ძირითადად დამოკიდებულნი არიან სახელმწიფო სუბსიდიებზე, იმ ინტერესთა ჯგუფებზე, ვინც ხელს შეუწყობთ მათ შემოსავალს, აგრეთვე დამოუკიდებელ მედიაზე, რომელიც საშუალებაა მასობრივი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში.

ყოვლისმომცველობის იდეოლოგიას კირჩაიმერი უყურებს როგორც საარჩევნო სტრატეგიას. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი პარტიები საკმარისია იმისთვის, რომ იყოს უმრავლესობა, მათ არ შეიძლება ჰქონდეთ უნიკალური იდეოლოგიური პროგრამა. პროპორციული წარმომადგენლობის ერთ-ერთ პარტიას შეუძლია იგნორირება თავისი პროგრამის და ხაზი გაუსვას მხოლოდ იმ პუნქტს, რომელიც არის უნიკალური. ინგლისური და ამერიკული მხარეთა სისტემები იბრძვიან მარგინალური ამომრჩევლებისთვის. არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ხმას მხოლოდ ერთ პარტიას აძლევენ, მაგრამ იმისათვის, რომ მიიღონ მცურავი ხმები ერთ-ერთი მათგანი ცდილობს დაიყვანოს მინიმუმამდე განსხვავება გვერდით მდგომისგან. კირჩაიმერმა, რომ განამტკიცოს თავისი თეზისი იდეოლოგიურ დონეზე, იგი ეხება დაუნსის „დემოკრატიული ეკონომიკის თეორიას“ და მოჰყავს არგუმენტი იმაზე, რომ პოლიტიკური პარტიების მთავარი მიზანია შემდგომ არჩევნებში გამარჯვება. შედეგად პარტია თავის პოლიტიკას ორგანიზაციას ისე უკეთებს, რომ სარგებელი უფრო მეტი ჰქონდეს, ვიდრე ზარალი თავისი პოლიტიკით. ე.ი. ყოვლისმომცველი პარტიები თავიანთი მიზნების მისაღწევად მზად არიან გაწირონ იდეოლოგია.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ 2012 და 2016 წლების საქართველოს საპარლამენტო არჩევნები იყო თუ არა ყოვლისმომცველი პოლიტიკური ხასიათის მატარებელი, ამისათვის ამ არჩევნებში მონაწილე ძირითადი პარტიული

სუბიექტების წარმომადგენლებთან ჩაიწერება სიღრმისეული ინტერვიუები, მოხდება მათი იდეოლოგიის და საარჩევნო პროგრამების შესწავლა და გააზრება. კირჩაიმერი ინდიკატორებად, რომელთა მეშვეობითაც ზომავს ყოვლისმომცველობას ასახელებს:

- ✓ პარტიის რიგითი წევრების როლის შემცირებას (Kirchheimer, 1966, p. 190);
- ✓ პრინციპული ოპოზიციის გაქრობას პარლამენტსა და საზოგადოებაში;
- ✓ ყოვლისმომცველი პარტია მობილიზაციას უკეთებს ამომრჩეველთა პოლიტიკურ პრიორიტეტებს და არა იდეოლოგიას (Krouwel, 2003, p. 23, p. 29).

ნაშრომში ყოვლისმომცველობის გასაზომად გამოყენებულია შემდეგი ინდიკატორები:

- პარტიის რიგითი წევრების როლის შემცირება
- ყოვლისმომცველობა, როგორც პარტიების გაერთიანების შედეგი
- ოპოზიციის როლის შემცირება პარლამენტში
- ყურადღების გამახვილება არა იდეოლოგიაზე, არამედ ამომრჩეველთა პრიორიტეტებზე

ნაშრომში ნაკლებიდეოლოგიურობა გაზომილია შემდეგი ინდიკატორებით:

- იდეოლოგიური ჩარჩოს მინიმუმამდე შემცირება
- პოლიტიკური კონკურენციის მინიმუმამდე დაყვანა პოლიტიკური პროგრამების შემცირების ხარჯზე
- ორიენტირება მრავალრიცხოვან ამომრჩეველზე

ზემოაღნიშნული თითოეული ინდიკატორის საშუალებით და მათი ურთიერთკავშირით გაირკვევა განაპირობებს თუ არა პარტიის ნაკლებიდეოლოგიურობა მის ყოვლისმომცველ ხასიათს.

თავი III საქართველოს და შვედეთის გამოცდილება

ტერმინი პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც აღიარებული იქნა პოლიტოლოგებისა და პოლიტიკური დამკვირვებლების მხრიდან, ეკუთვნის გერმანელ-ამერიკელ მეცნიერს ოტო კირჩაიმერს, რომელიც წუხდა პარტიების ტრანსფორმაციის გამო. იგი წერდა, რომ შვედმა სოციალ-დემოკრატებმა პოლიტიკური კონკურენცია მინიმუმამდე დაიყვანეს თავიანთი პროგრამების შემცირების ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ დღევანდელი საქართველოს სახელისუფლებო პარტია სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისაა. ცნობილი მეცნიერი ალენი „მესამე მოდელის“ ქვეყნებს შორის განიხილავს შვედეთს, რომელიც თავის დროზე ამ გზას დაადგა. მესამე გზა ფაქტიურად ალტერნატივა არის როგორც სახელმწიფო სოციალიზმის, ისე თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმის. საქართველოს პოლიტიკური ვითარება, ამ ეტაპზე, მესამე გზის მოდელისკენ უფრო იხრება, თუ როგორი იქნება ეს მოდელი ამას მომავალი აჩვენებს. შვედეთის მაგალითი საშუალებას მოგვცემს, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რადგან შვედეთის პოლიტიკური სისტემა კონსტიტუციური მონარქიაა, ხოლო დღევანდელ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მკვეთრად გამოიკვეთა სწრაფვა კონსტიტუციური მონარქიისაკენ; შვედეთს, წარსულში, ჰქონდა კონფლიქტი რუსეთთან,რომელსაც ტერიტორიულად ესაზღვრება. საქართველოსაც აქვს საზღვარი რუსეთთან და ყველაზე დიდ პრობლემად ქვეყანაში სწორედ რუსეთთან კონფლიქტი რჩება.

3.1 შვედეთი

შვედეთის პოლიტიკური სისტემა კონსტიტუციური მონარქიაა. მთავრობის მეთაური პრემიერ-მინისტრია, საკანონმდებლო ორგანო ერთპალატიანია და საპარლამენტო არჩევნები ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. საქართველოში ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობაა, ხოლო მთავრობის მეთაური, ისევე როგორც შვედეთში, პრემიერ-მინისტრია, აქაც საკანონმდებლო ორგანო ერთპალატიანია და საპარლამენტო არჩევნები ოთხ წელიწადში ერთხელ

იმართება. ტერიტორიულად შვედეთს ევროპის არა ერთი ქვეყანა ესაზღვრება, აღმოსავლეთით მას რუსეთი საზღვრავს, საქართველოსაც ესაზღვრება რუსეთი რომელსაც მისი ტერიტორიების 20% ოკუპირებული აქვს. წარსულში შვედეთსაც ჰქონდა კონფლიქტი რუსეთთან, მაგრამ ჩრდილოეთის ომის შემდეგ შვედეთმა 1809 წელს თავისი აღმოსავლური ტერიტორიები დათმო. 1921 წელს ხმის საყოველთაო უფლების კანონი იქნა მიღებული და ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატები მოვიდნენ. როგორც პირველი, ისე მეორე მსოფლიო ომის დროს შვედეთმა შეძლო ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, იმის მიუხედავად, რომ მსოფლიო ომის დროს ჩრდილოეთის სხვა ქვეყნები ვერ აცდნენ ფაშისტურ აგრესიას. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა იმ იმედით იკვებებოდა, რომ მშვიდობიანობის პერიოდში ქვეყანამ თავი უნდა შეიკავოს ყოველგვარი სამხედრო ალიანსში გაწევრიანებისაგან, რათა ომიანობის დროს თავი აარიდოს სხვა სახელმწიფოთა აგრესიას. თუმცა, მოგვიანებით, როდესაც ქვეყანა მოძლიერდა შვედეთის სამხედრო სტრუქტურები მჭიდრო კონტაქტში შევიდნენ ნატოსთან.

საქართველომ შვედეთთან შედარებით მეტად მძიმე პოლიტიკური გზა განვლო. რუსეთის 70 წლიანი რეჟიმის შემდეგ, ქვეყანა ცდილობს ამოვიდეს პრობლემებიდან. საქართველოს აქვს ძალიან ბევრი რესურსი, რომ შეძლოს განვითარებული ქვეყნების რიგს შეუერთდეს. ქვეყნის ბუნებრივი რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა და სწორად წარმართული ეკონომიკა პოლიტიკურად ძლიერ სახელმწიფოდ აქცევს ქვეყანას.

შვედეთმა, სწორედ, თავისი ინფრასტრუქტურით, ტურიზმით, ჰიდროენერგიითა და ბუნებრივი რესურსებით მოახერხა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება. მე-20-ე საუკუნეში ნეიტრალიტეტის შენარჩუნებით კი, შვედეთმა შეძლო მოსახლეობის დონის ამაღლება, რამაც იგი გააძლიერა და ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად აქცია მსოფლიოში.

შვედეთმა თავისი არსებობის მანძილზე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის არა ერთი რეფორმა გაატარა, ამასთან ერთად, წლების განმავლობაში ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს და მხოლოდ ქვეყნის აღმშენებლობის შემდეგ - 1995 წელს გახდა ევროკავშირის წევრი. შვედეთის მაგალითი გასათვალისწინებელია ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა,

რადგან მას ბევრი საერთო აქვს შვედეთთან, მარტო ისიც საკმარისია, რომ ორივე ქვეყანას უზარმაზარი იმპერია რუსეთი ესაზღვრება, ამასთან ერთად, გეოგრაფიული და ბუნებრივი პირობებიც გასათვალისწინებელია.

საქართველოში პოლიტიკური პროცესები, დამოუკიდებლობის შემდეგ სწრაფად იცვლებოდა. თითქმის, ყველა მმართველი ძალა ხელისუფლებაში რევოლუციის გზით მოდიოდა. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ქართული ოცნების მოსვლა, მმართველ ძალად სახელმწიფო სათავეში. ხალხის ზეწოლით დაინიშნა ახალი საპარლამენტო არჩევნები და სწორედ არჩევნების გზით მოხდა ნაციონალური მოძრაობის ჩანაცვლება ქართული ოცნებით. ეს არის ქართული სახელმწიფოს პირველი მონაპოვარი, როცა ხელისუფლება შეიცვალა არჩევნების გზით.

ცივი ომის დროს ორი ეკონომიკური მოდელი იყო: კაპიტალიზმი და ტოტალური კომუნიზმი. შვედეთმა „მესამე გზის“ მოდელი შექმნა. ამ გზას თანასწორობა და ეკონომიკური განვითარება უნდა შეეთვისებინა. საქართველოს, სამწუხაროდ, არჩევანის უფლება არ ჰქონდა - მან მეტად მძიმე გზა განვლო, ტოტალიტარულ კომუნიზმს ებრძოდა 70 წელი და ბოლოს შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება. ქვეყანას სჭირდება ეკონომიკური განვითარება, სოციალური პრობლემების მოგვარება, ამიტომ აუცილებელია ქვეყნის პარტიული სისტემის ამ კუთხით მუშაობა. შვედეთის ხელისუფლებაში ყოვლისმომცველი პარტიაა, საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მმართველ ძალად, ყოველთვის, ყოვლისმომცველი პარტიები მოდიან. თუმცა, შვედეთთან შედარებით, საქართველოში პარტიათა სისტემა დაუხვეწავია, ქართულ მოსახლეობას სჭირდება პოლიტიკური განათლება, რათა ელექტორატმა არჩევნებზე ხმა მისცეს არა ლიდერს, არამედ პარტიას - რომელსაც ექნება იდეოლოგია, საკუთარი პრინციპები და შეეძლება ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარება.

2010 წლისთვის შვედეთში პირველად საპარლამენტო არჩევნებში ზედიზედ მეორედ მემარჯვენე ალიანსმა გაიმარჯვა. ერთმანეთს ორი კოალიცია, ალიანსი და ე.წ. წითელ-მწვანეების კოალიცია დაუპირისპირდა. სოციალ-დემოკრატებმა,

ქვეყნის ყველაზე დიდმა პარტიამ, წითელ-მწვანეთა კოალიციის ბურჯმა, 1920 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი შედეგი აჩვენა.

ალიანსი მემარჯვენე ცენტრისტულ პარტიებს აერთიანებს: ზომიერ პარტიას, ლიბერალი ხალხის პარტიას, ცენტრის პარტიას და ქრისტიან-დემოკრატებს.

წითელ-მწვანეთა კოალიციაში სოციალ-დემოკრატები, მწვანეთა პარტია და მემარცხენე პარტია (ყოფილი კომუნისტები) არის გაერთიანებული.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, გერმანელ-ამერიკელი მეცნიერის ო. კირჩაიმერის შეხედულებები ე.წ. სახელმწიფო კარტელის შექმნის შესახებ, რომელიც მან გაცილებით ადრე იწინასწარმეტყველა. კირჩაიმერის განგაში თანამედროვე დემოკრატიისადმი იმან გამოიწვია, რომ ის ხედავდა თუ როგორ ქრებოდა პრინციპული ოპოზიცია პარლამეტსა და საზოგადოებაში და როგორ მცირდებოდა სახელმწიფოს მართვის პოლიტიკა. ანუ, მისი აზრით, დემოკრატია საფრთხის ქვეშ იდგა, რადგან პარტიებს, რომელთაც ოდესღაც ჰქონდათ თავიანთი იდეოლოგია და ამოცანები, დღეისათვის გაქრობა ემუქრებოდათ. ამის მიზეზად კირჩაიმერი ასახელებს პარტიების ყოვლისმომცველობას ე.ი. როცა ერთ პარტიას შეუძლია შეიერთოს რამდენიმე პარტია და სწორედ ამ დროს ხდება იდეოლოგიების დაახლოება, რომელთა საბოლოო ბედი ერთ იდეოლოგიად ჩამოყალიბებაა. დემოკრატიის სიძლიერე კი მის მრავალპარტიულ სისტემაშია.

შვედეთში ბოლო ათწლეულების განმავლობაში სწორედ ასეთი ყოვლისმომცველი პარტიები გვევლინებიან პარლამენტში. მართალია, შვედეთის ხელისუფლებაში მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიის პარტიები ერთმანეთს ენაცვლებიან დემოკრატიული არჩევნების გზით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ისინი არიან ე.წ. კოალიციური ალიანსები - რომლებიც რამდენიმე პარტიისგან შედგებიან და არა ერთი რომელიმე კონკრეტული პარტია, რომელსაც თავისი იდეოლოგიური ჩარჩო გააჩნია. ამის მიხედვით, ყოვლისმომცველი პარტიებია დღევანდელი შვედეთის ალიანსი, რომელიც მემარჯვენე ცენტრისტულ პარტიებს აერთიანებს და ე.წ. წითელ-მწვანეების კოალიცია. პირველში ოთხი პარტია გაერთიანებული, მეორეში - სამი პარტია. რა თქმა უნდა, ამ პარტიებმა კონსენსუსის დახმარებით მოახერხეს ერთმანეთში სიტუაციის დასტაბილიზება. კირჩაიმერი აღნიშნავს, რომ შვედმა და ნორვეგიელმა სოციალ-დემოკრატებმა

პოლიტიკური კონკურენცია მინიმუმამდე დაიყვანეს თავიანთი პოლიტიკური პროგრამების შემცირების ხარჯზე. პოლიტიკური კონფლიქტი მხოლოდ მაშინ იყო აშკარა, როდესაც ეს აღმოჩნდებოდა აუცილებელი - ხაზი გასმოდა თავისებურებებს ელექტორატის მხრიდან. ყველა პოლიტიკური ლიდერის მჭიდრო თანამშრომლობის გამო ოპოზიციური პარტიების ადგილი ძალიან მცირე დარჩა ქვეყანასა თუ პარლამენტში.

2009 წლიდან 2010 წლამდე ჰოლანდიანში, ბელგიაში, დიდ ბრიტანეთში, ჩეხეთსა და უნგრეთში ხელისუფლების სათავეში მემარჯვენე პარტიები მოვიდნენ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ სოციალიზმის რენესანსის მოლოდინი არ გამართლდა. ცხადი გახდა, რომ საზოგადოებისთვის სამსახურისა და იმიგრაციის პრობლემა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სოციალური თანასწორობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ცივი ომის დროს, მსოფლიოში ორი ეკონომიკური მოდელი იყო გავრცელებული: კაპიტალიზმი და ტოტალიტარული კომუნიზმი. ბიპოლარულ მსოფლიოში შვედეთმა „მესამე გზის“ მოდელი შექმნა. ამ გზას თანასწორობა და ეკონომიკური განვითარება უნდა შეეთვისებინა. თუმცა, შვედეთის ეკონომიკამ დიდხანს ვერ გაუძლო კეთილდღეობის სახელმწიფოს ტვირთის ზიდვას. 90-იანი წლებიდან დღემდე შვედეთი ვერ ახერხებს რეფორმაციას და გლობალური კონკურენცია მის ეკონომიკას საფრთხეს უქმნის. თითქოს ამ სახელმწიფომ შეძლო თითოელი მოქალაქისთვის კომფორტის შექმნა. რეალურად კი, შვედეთისა და დანარჩენი განვითარებული მსოფლიოს ერთ სულ მოსახლეზე მშპ - ს შორის განსხვავება დიდია.

შვედეთის სამუშაო ბაზარზე მცირე დაკვირვებაც საკმარისია ეკონომიკური პრობლემის აღმოსაჩენად. შვედეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა პროფესიულ კავშირში გაერთიანებული მუშახელის რაოდენობით, რაც სამუშაო ბაზარს მოუქნელს ხდის. შვედეთის ეკონომიკას დიდ პრობლემას უქმნის იმიგრაცია და დემოგრაფიული მდგომარეობა. იმიგრაციის ერთ-ერთი უმთავრესი ხელშემწყობი სოციალიზმია. მიგრანტები მოსახლეობის 20%-ს აღწევენ. მათი უმრავლესობა უმუშევარია, რადგან, სოციალური დახმარება მათთვის საკმარისია. ამიტომ ისინი ფართო სოციალური პროგრამების მომხენი არიან და სოციალ-დემოკრატებს

აძლევენ ხმას. იმიგრანტთა დიდი რაოდენობა და სამუშაო ადგილების ნაკლებობა ანტიმიგრაციული პარტიის გამარჯვების მიზეზი გახდა. შვედეთის დემოკრატები პირველად მოხვდნენ პარლამეტში.

შვედეთს მსგავსი პრობლემები 90-იან წლებშიც აწუხებდა. მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ლიბერალ-კონსერვატორმა კარლ ბილდტმა პირველად შემოიღო სასკოლო ვაუჩერები, მოახდინა ტელეკომუნიკაციების და ენერგო სექტორის პრივატიზაცია, ჯანდაცვის სისტემა კერძო სექტორზე გადაიყვანა, შეამცირა ბიუჯეტის ხარჯვა. ბილდტმა საპენსიო რეფორმაც გაატარა, რომელიც შეცვალა დაგროვებითი სისტემის ტიპის მოდელით.

შვედური სისტემის კრახს მემარცხენე სოციალ-დემოკრატებიც აღიარებენ. სოციალ-დემოკრატმა პრემიერ-მინისტრამ გორან პენსონმა გააგრძელა ბილდტის რეფორმები.

შვედეთის მემარჯვენე მთავრობები ტრადიციულად უფრო ახლოს არიან დასავლეთთან და ევროკავშირთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლისთვის შვედეთი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი არ იყო, ის მაინც მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი გახლდათ. სტოკჰოლმი ცდილობდა ნეიტრალური ყოფილიყო, თუმცა საუბრები ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი იყო.

შვედეთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა ჩრდილოეთის თანამშრომლობის მოძრაობაში. მასთან ერთად ამ ორგანიზაციაში ფინეთი, ნორვეგია, ირლანდია და ბალტიის ქვეყნები შედიან. რუსეთის სამხედრო ძლიერების ზრდის გათვალისწინებით, შვედეთი და მთლიანად ჩრდილოეთის თანამშრომლობის ორგანიზაცია მნიშვნელოვანია. კარლ ბილდტი ხშირად საუბრობს რუსეთის აგრესიაზე. მან რუსეთ-საქართველოს ომი სუდეტის კრიზისს შეადარა.

ლიბერალ-კონსერვატორების მმართველობიდან მოყოლებული გაიზარდა შვედეთის გლობალური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლი. სოციალ-დემოკრატების დროს იგი ამ რეიტინგში მეხუთე ადგილზე იყო. 2010 წლისთვის შვეიცარიის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა. 1995 წელს შვედეთის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი სამოცი იყო, 2010 წლისთვის კი ის 72-ს გაუტოლდა.

2010 წლის არჩევნებში შვედეთის მემარჯვენე ალიანსის გამარჯვება ნათლად აჩვენებს იმას, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა ევროპის მოქალაქეების იდეოლოგიაც შეცვალა. ტრადიციულად სოციალიზმისკენ მიდრეკილი ქვეყნებიც კი ეკონომიკის გადასარჩენად მემარჯვენე რეფორმების აუცილებლობას ხვდებიან.

3.2 საქართველო

პირველი მთავრობა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ შეიქმნა, კოალიციური იყო. ოთხივე პარტიას მიზნად დასახული ჰქონდა ქვეყანაში სოციალური და ეროვნული საკითხების მოგვარება. თუმცა, ამ კუთხით მათი შეხედულებები მკვეთრად განსხვავდებოდნენ. საქართველოს მთავრობაში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები იყვნენ. ეს იყო საწყისი ეტაპი საქართველოს რესპუბლიკისა, რომელიც დაადგა მრავალპარტიულ დემოკრატიულ პრინციპებს და ქვეყნის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას ხედავდა მის ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებში. სწორედ იქედან მოყოლებული დღემდე ეს პრობლემები რჩება ქართული დემოკრატიული პოლიტიკური სივრცის მთავარ ამოცანად.

დემოკრატია არის მმართველობის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია არჩევნებზე, ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით მმართვის განხორციელებაზე. საქართველოში პირველი არჩევნები ჯერ კიდევ 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა. შემდგომ იყოს 70 წლიანი რეჟიმი, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა დააკარგვინა.

1990 წლის 11-13 მარტს თბილისში, ფილარმონიაში, დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია, რომლზეც მიწვეული იყო იმ დროის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართული ყველა არაფორმალური გაერთიანება.

კონფერენციაზე გამოიკვეთა ორი განსხვავებული პოზიცია:

- პარტიათა ერთ ნაწილს აუცილებლად მიაჩნდა საბჭოთა კავშირის კანონებით არჩევნების ჩატარება. არჩევნების მოგება და ამ გზით მოპოვებული ხელისუფლების გამოყენება საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან კანონიერი, ლეგიტიმური გასვლისათვის. ამ გზას მაშინ

„ლიტვის გზას“ უწოდებდნენ, რამდენადაც ლიტვამ 1990 წლის 11 მარტს სწორედ ასე დაიწყო სსრკ-დან გასვლა.

- სხვა ძალები არჩევნების გზით, პოლიტიკურ განვითარებას შეუძლებლად თვლიდნენ და მოითხოვდნენ საბჭოთა არმიის გაყვანას საქართველოდან. მათი ლოზუნგი იყო „ჯერ - თავისუფლება, შემდეგ - დამოუკიდებლობა“.

პოზიციათა შეუთანხმებლობის გამო ზვიად გამსახურდიამ და მისმა მომხრეებმა დატოვეს კონფერენცია. კონფერენციაზე დარჩენილ ძალებს გამსახურდიამ უწოდა „ანტიეროვნული მოძრაობა“.

1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა პირველი თანამედროვე არჩევნები, რომელიც მრავალპარტიული იყო. ეროვნული ძალების ზეწოლით მას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს“ არჩევნები, ნაცვლად „საქართველოს სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა“. არჩევნები შერეული, სიმეტრიული საარჩევნო სისტემით ჩატარდა.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებზე კენჭს იყრიდა 14 პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. არჩევნებში გაიმარჯვა პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“, რომელიც ბლოკად გაფორმდა 1990 წლის მაისის ბოლოს. ბლოკში შევიდა შვიდი დამოუკიდებელი პარტია და ორგანიზაცია: საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება, მთლიანად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, საქართველოს ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი, საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, საქართველოს ეროვნულ ქრისტიანული პარტია.

კირჩაიმერის კრიტერიუმით, რომელიც მან გამოთქვა პარტიების ყოვლისმომცველობაზე, აშკარად ჩანს, რომ ბლოკი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ თავისი დამახასიათებელი ნიშნით - ერთ ბლოკში გაერთიანებული იყო შვიდი პარტია, ყოვლისმომცველ პარტიას წარმოადგენდა.

1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული სისტემით პარლამენტში მანდატები მხოლოდ ორმა პარტიამ მოიპოვა მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო და საქართველოს კომუნისტური პარტია. ზვიად გამსახურდიას

ხელისუფლების მნიშვნელოვანი ელემენტი ქარიზმა იყო. მოსახლეობამ ხმა მისცა მის ამ თვისებას და იგი 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გახდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ბლოკი მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს მთავარი პოლიტიკური მიზანი იყო ჯერ დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარება, შემდეგ კი ამ რეფერენდუმზე დაყრდნობით დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაციის მიღება. 1991 წლის 9 აპრილს უმაღლესი საბჭოს სესიამ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო.

მრგვალმა მაგიდამ შეასრულა გადამწყვეტი როლი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში. იყო მმართველი ძალა 1990-1991 წლებში. გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ კი ფაქტობრივად დაიშალა. გამსახურდია რევოლუციის ტალღაზე მოვიდა ხელუსუფლებაში და შეუდგა საბჭოთა სტრუქტურების ნგრევას. მან ქვეყანა დამოუკიდებლობამდე მიიყვანა, თუმცა სამწუხაროდ ვერ შეძლო ახალი სახელმწიფოს აშენება რიგი მიზეზების გამო. ქვეყანას აკლდა პარტიული გამოცდილება, დამოუკიდებლობა ახალი აღდგენილი იყო, პარტიებს შორის კი დაპირისპირება და უთანხმოება სუფევდა. ჭრელი ოპოზიცია ზვიად გამსახურდიას მიმართ მტრული განწყობით გამოირჩეოდა.

გამსახურდიას რადიკალიზმმა რევოლუციური კრიზისი გამოიწვია. ე.წ. ქაოტური შუალედური მმართველობის შემდეგ 1992 წლის 11ოქტომბერს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები. არჩევნები შერეული სისტემით გაიმართა. საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდა პარლამენტის თავმჯდომარის - სახელმწიფო მეთაურის არჩევნები, რომლის შედეგად საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ ედუარდ შევარდნაძე იქნა არჩეული. მეორე მოწვევის პარლამენტის შემადგენლობა მრავალფეოვანი და მრავალპარტიული იყო. ბარიერი 24-მა პარტიამ გადალახა. 1992 წლის 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი 2% იყო.

1993 წელს ჩამოყალიბდა მოქალაქეთა კავშირი, პარტიების თბილისის მოქალაქეები, ერთობა და კეთილდღეობა და მწვანეების გაერთიანებით. მისი თავმჯდომარე 1993-1995 წლებში იყო ედუარდ შევარდნაძე. 1995 წელს საქართველოს კონსტიტუციამ აკრძალა პრეზიდენტის მიერ პარტიული

თანამდებობის დაკავება. მიუხედავად ამისა, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი კვლავ ასოცირდება შევარდნაძესთან. მის შემდეგ პარტიაში ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო ზურაბ ჟვანია - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. 2001 წლიდან პარტიამ დაშლა დაიწყო. რეფორმატორთა ნაწილი ზურაბ ჟვანიას მეთაურობით, სასამართლოს წესით მოითხოვდნენ, რომ სახელწოდება „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ მათ გამოეყენებინათ, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს. მაშინ ჟვანიამ დააარსა პარტია „თავისუფალი დემოკრატები“, რომელიც 2004 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შეუერთდა ნაციონალურ მოძრაობას.

1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში 53 პარტია მონაწილეობდა. ბარიერი გადალახეს: 1.საქართველოს მოქალაქეთა კავშირი; 2.ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; 3.აღორძინების კავშირი - რომელიც დაარსდა 1992 წელს სახელწოდებით „საქართველოს აღორძინების აჭარის კავშირი“. 1999 წლის არჩევნებისთვის აღორძინების კავშირმა შექმნა დიდი კოალიცია - რამდენიმე ოპოზიციურ პარტიასთან ერთად. ვარდების რევოლუციის შემდეგ აღორძინების რეიტინგი დაეცა, ხოლო 2004 წლის მაისში აჭარაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ პარტია დაიშალა.

1999 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 45-მა პარტიამ. 7%-იანი ბარიერი გადალახეს: 1.საქართველოს მოქალაქეთა კავშირი; 2.ბლოკი საქართველოს აღორძინება და 3.მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს.

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (სმკ) იყო მემარცხენე-ცენტრისტული მიმართულების პარტია. იგი 1993-2003 წლებში წარმოადგენდა ყველაზე გავლენიან ბლოკს - პარტიას. მას ჰქონდა კავშირები გერმანიისა და დანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან, დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულ პარტიასთან, აზერბაიჯანის „ახალ აზერბაიჯანთან“, ჩართო საქართველო TRACECA-სა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საერთაშორისო პროექტებში, სარგებლობდა დამკვირვებლის სტატუსით სოციალისტურ ინტერნაციონალში. მიუხედავად თავისი გარკვეული მიღწევებისა, მოქალაქეთა კავშირმა ვერ შეძლო არსებობის შენარჩუნება, როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა იგი მაშინვე დაიშალა.

ბლოკი მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო, საქართველოს მოქალაქეთა კავშირი (სმკ) და საქართველოს აღორძინების აჭარის კავშირი შეადგენდნენ პარტიათა გაერთიანებებს. კირჩაიმერის კრიტერიუმების მიხედვით, ეს პარტიები იყვნენ ყოვლისმომცველი პარტიები. ასეთი პარტიები კი საფრთხეს უქმნიან დემოკრატიას, რადგან პარტიებს, რომელთაც ჰქონდათ ერთ დროს თავიანთი იდეოლოგია და ამოცანები გაქრობა ემუქრებოდათ. ამის მიზეზად კი კირჩაიმერი სწორედ ყოვლისმომცველობას ასახელებს ე.ი. როცა ერთ პარტიას შეუძლია შეიერთოს რამდენიმე პარტია და სწორედ ამ დროს ხდება იდეოლოგიების დაახლოება.

ზემოაღნიშნული სამივე პარტია იყო შემდგარი რამდენიმე პარტიათა გაერთიანების შედეგად, რაც იმის ნიშანია, რომ ამ მახასიათებლით ისინი იყვნენ ყოვლისმომცველი პარტიები. ამასვე ადასტურებს ინტერვიუში რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე - ხელისუფლებაში მოსული ყველა პარტია ცდილობს ყოვლისმომცველი პარტიის როლი მოირგოს, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა, რადგან იგი პოპულიზმში გადადის. მათ არ აქვთ იდეოლოგია და შესაბამისად, არც პარტიული პრინციპები. პოპულიზმი და თამაში მოსახლეობის ემოციებზე არის ყოვლისმომცველი პარტიების საარცევნო იდეოლოგია. სავარაუდოდ, ყოვლისმომცველ და ნაკლებიდეოლოგიურ პარტიებს საქართველოში მომავალი არ აქვთ. ამას აჩვენებს ახლო წარსულის გამოცდილება. მრგვალი მაგიდა, მოქალაქათა კავშირი, აღორძინება ხელისუფლების დაკარგვისთანავე დაიშალნენ და გაქრნენ. ერთადერთი და გამონაკლისია ნაციონალური მოძრაობა, თუმცა ამ ეტაპზე მასაც დიდი პრობლემები აქვს.

2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში (გაუქმებული) მონაწილეობდა 18 პარტია. 7%-იანი ბარიერი გადალახა ექვსმა პოლიტიკურმა ძალამ. არჩევნების შედეგები ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა გაყალბებულად ჩათვალა, რის გამოც გაიმართა საპროტესტო გამოსვლები და მოხდა ე.წ. „ვარდების რევოლუცია“.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში დაინიშნა ახალი საპარლამენტო არჩევნები. 2004 წლის 18 მარტის (ხელახალი) საპარლამენტო არჩევნებში 17

პარტია მონაწილეობდა. 7%-იანი ბარიერი გადალახა: 1.ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები; 2.მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლები.

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 2002 წელს შექმნა ბლოკი კონსერვატორებთან და რესპუბლიკელებთან ერთად. ბლოკი გახდა ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ორგანიზატორი. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი რომან გოცირიძე ინტერვიუში აღნიშნავს, რომ პარტია დაფუძნებულია 2003 წელს, რომელშიც შედიოდა რამდენიმე პარტია, ეს იყო დიდი გაერთიანება, რომელმაც შეძლო შევარდნაძის კორუმპირებული რეჟიმის დამარცხება და რომელმაც შემდგომ, უკვე ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლიანი პერიოდის განმავლობაში, საქართველოში შექმნა, ფაქტობრივად, თანამედროვე სახელმწიფო. პარტია არის ლიბერალური ორიენტაციის. მისი მთავარი პრინციპია საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე ინტერვიუში ამბობს, რომ ის რაც ნაციონალებმა გააკეთეს ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო ლიბერალიზმის, როგორც ღირებულების დისკრედიტაცია და დღეს ლიბერალურის ხსენებაზე ადამიანებს აქვთ უარყოფითი განწყობილება.

2004 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბლოკმა „ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატები“ მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა. იმავე წელს ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობა შეწყვიტეს კონსერვატორებმა და რესპუბლიკელებმა. ამას ხელი არ შეუშლია ნაციონალური მოძრაობისათვის, რომ 2005 წლის შუალედური არჩევნებიც მოეგო. მომდევნო წლებში ნაციონალური მოძრაობა თანმინდევრობით დატოვეს მისმა წევრებმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც ჩამოაყალიბა მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის, ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც შექმნა დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო, ზურაბ ნოღაიდელმა - სამართლიანი საქართველოსთვის და ირაკლი ალასანიამ, რომელმაც ჩამოაყალიბა პარტია ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები.

ზემოაღნიშნული მიგვანიშნებს იმაზე თუ როგორ ცდილობდა ერთი პარტია რამდენიმე პარტიის ჩაყლაპვას და მათი იდეოლოგიის ერთ პრინციპად

ჩამოყალიბებას, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ თავისი არსებობითა და სახელმწიფოს თავისებური მმართველობის მეთოდებით, თვისდაუნებურად, ხელი შეუწყო ახალ-ახალი პარტიების ჩამოყალიბებას. მიუხედავად ასეთი პატარ-პატარა პარტიების არსებობისა, ქვეყანაში არსებული ტოტალიტარული რეჟიმის გამო, ნაციონალური მოძრაობის გარდა სხვა პარტიებს თითქმის არსებობის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. ისინი ფორმალურად არსებობდნენ როგორც მოქმედი პარტიები, მაგრამ არც გამოცდილება და არც ფინანსური რესურსები არ აძლევდათ საშუალებას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მიეღოთ.

პოლიტიკური პარტია, ეს არის ორგანიზაცია, რომლის არსებობისათვის მნიშვნელოვანია სიცოცხლისუნარიანობა, ხელმძღვანელობა, ხანგრძლივი დროისთვის გამიზნული ქმედებები, რომელსაც რეგულარული და მრავალმხრივი კავშირები აქვს ნაციონალურ დონეზე, მტკიცე ნება ხელისუფლების მოპოვებისა და მისი აღსრულებისა, ან თავად ან სხვებთან ერთად, და არა უბრალოდ ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენის სურვილი, არჩევნების გზით ან სხვა ფორმით სახალხო მხარდაჭერის მოპოვებაზე ზრუნვა (სულამანიძე, 2016, გვ.10).

მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა დაივიწყა პოლიტიკური ორგანიზაციის მნიშვნელობა და ტოტალიტარული რეჟიმის მეშვეობით შეძლეს ხალხის დაშინება და შანტაჟი. შედეგად 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ გაიმარჯვა და ისევ შეძლო უმრავლესობით ხელისუფლებაში დარჩენა. არჩევნებში მონაწილე 12 პარტიიდან 5%-იანი ბარიერი გადალახეს: 1.ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსთვის; 2.გაერთიანებული ოპოზიცია 3.გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები; 4.შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია.

ექსპერტი მამუკა არეშიძე ინტერვიუში საუბრობს ამ ე.წ. პერსონალიების პარტიების შესახებ. ამომრჩეველი მოითხოვს კარგ ცხოვრებას და დანარჩენი პოლიტიკური სეგმენტი სთავაზობს პერსონალიებს. პოლიტიკურმა სეგმენტმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ამომრჩეველი ექცია ისეთ მასად, რომელიც რეაგირებს პერსონალიებზე.

2008 წლის არჩევნების შემდეგ სააკაშვილის რეჟიმი გაუსაძლისი შეიქმნა ქართველი ხალხის დიდი ნაწილისთვის, მისი პოლიტიკა კი მიუღებელი, რამაც ხალხი ქუჩაში გამოიყვანა. სწორედ ამ დროს იქმნება საქართველოში კიდევ ერთი დიდი გაერთიანება ქართული ოცნება, რომელიც ჩამოყალიბდა 2011 წელს. კოალიცია შეიქმნა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკის წინააღმდეგ. მასში გაერთიანდა 6 პოლიტიკური პარტია: 1.ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"; 2.ირაკლი ალასანია - „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები"; 3.დავით უსუფაშვილი - „საქართველოს რესპუბლიკური პარტია"; 4.კახა შარტავა - ეროვნული ფორუმი; 5.კონსერვატორები - ზვიად ძიძიგური; 6.მრეწველები - ზურაბ ტყემალაძე.

ქართული ოცნების წარმომადგენელი გიორგი ვოლსკი ინტერვიუში საუბრობს - რომ პარტიის შექმნა გარკვეულმა გარემოებებმა განაპირობა, უფრო სწორად დააჩქარა... მიხეილ სააკაშვილმა საკმაოდ გეგმაზომიერად დაიწყო ხელისუფლების მთლიანად ხელში აღება. იგი საფრთხის შემქმნელი გახდა როგორც დემოკრატიული ფასეულობებისთვის, ასევე ნებისმიერი სხვისთვის ვინც „სინგაპურიზაციის" გზაზე გადაეღობებოდა... ხალხს ორგანიზატორი არავინ ჰყავდა, რომ ამის წინააღმდეგ გამოსულიყო... ამიტომ პარტიის შექმნის აუცილებლობა გამოიწვია შექმნილმა ვითარებამ... შემდეგ იყო ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა საპროგრამო სიტყვით პარტიის ყრილობაზე, 2011 წლის დეკემბერში, ფილარმონიაში.

ქართველმა ხალხმა შეძლო სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა სამართლიანი არჩევნების გზით. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში 16 პარტია მონაწილეობდა. 5%-იანი ბარიერი გადალახა ორმა საარჩევნო სუბიექტმა: 1."ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" და 2."ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს". მერვე მოწვევის პარლამენტში "ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება" აერთიანებდა ექვს პოლიტიკურ გაერთიანებას. ქართული ოცნება თავისი მახასიათებლებით ყოვლისმომცველ პარტიათა რიგს მიეკუთვნება.

ექსპერტი მამუკა არეშიძე ინტერვიუში ამბობს, რომ ხელისუფლებაში მყოფი ყველა პარტია თითქმის ყოვლისმომცველია, ყველაფერს ცდილობენ, რომ მოერგონ, უფრო სწორად რეაგირებენ იმ გამოწვევებზე, რომლებიც საზოგადოებაში ჩნდება კონკრეტულ ისტორიულ მომენტში... ქართული ოცნება კლასიკური მაგალითია ყოვლისმომცველობის - ყველაფერზეა მოდებული.

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე - ხელისუფლებაში მოსული ყველა პარტია ცდილობდა ყოვლისმომცველი პარტიის როლი მოერგო. ყოვლისმომცველი პარტიები ნაკლებად ორიენტირებულნი არიან იდეოლოგიაზე, უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან მიმდინარე პროცესში რეაგირებაზე, ოღონდ ხელისუფლებაში მოვიდნენ და წინასაარჩევნოდ ყველა ტიპის დაპირებებს იძლევიან. დღეს ხელისუფლებაში მყოფ ქართულ ოცნებას არ აქვს გამოკვეთილი იდეოლოგია - ეს არის პრობლემა, ეს არის მანიპულირების საშუალება ამომრჩეველზე.

ქართული ოცნების წარმომადგენელი გიორგი ვოლსკი კი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ დღეს იდეოლოგიების შეჯახების დრო არ არის და ყოვლივე ამას იმით ამტკიცებს, რომ ისეთ ქვეყანაშიც კი როგორიც საფრანგეთია, სადაც ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობაა გაიმარჯვა ადამიანმა, რომელმაც თქვა, რომ ახლა იდეოლოგიების დაპირისპირებისა და შეჯახებების დრო არ არის და უნდა ვიმოქმედოთ, პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ.

მეცხრე მოწვევის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც 2016 წლის 8 ოქტომბერს გაიმართა ისევ ქართული ოცნების გამარჯვებით დამთავრდა. 5%-იანი ბარიერი არჩევნებში მონაწილე 25 პარტიიდან მხოლოდ სამმა სუბიექტმა გადალახა: 1.ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო; 2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; 3.დავით თარხან-მოურავი ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია.

აღსანიშნავია, რომ სამივე პარტიამ, რომელმაც მეცხრე მოწვევის პარლამენტში ადგილები მოიპოვა გაერთიანებული ალიანსებია. რესპუბლიკელი ხათუნა სამნიძე ამბობს, რომ ყოვლისმომცველობა ხელისუფლებაში მოსული ყველა პარტიისთვის არის დამახასიათებელი, ამის გარეშე მათ მმართველობაში მოსვლის არანაირი შანსი არ აქვთ. ქართულმა ოცნებამ დაასუსტა ყველა პარტნიორი

პარტია, იმიტომ რომ სინამდვილეში მისი მიზანი ერთპარტიულობა იყო. თუმცა ალიანსში შემავალ ყველა პარტიას იმედი ჰქონდა, რომ მრავალპარტიული კოალიცია მათ მიიყვანდათ მრავალპარტიულობამდე პარლამენტში. სწორედ ეს იყო მიზანი რის გამოც რესპუბლიკური პარტია იტანდა სირთულეებს და თვლიდა, რომ გამოცდილება მოუტანდათ ერთიან მუშაობას, მაგრამ შედეგად 2016 წლის არჩევნებზე ქართულმა ოცნებამ იგივე სცენარი დადგა, რაც 2012 წელს. მტრის ხატისგან შექმნა „საფრთხობელა“, რამაც ამომრჩეველზე იმოქმედა და ხმებიც მიიტაცა.

ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი გიორგი გუგავა ამბობს, რომ ქვეყანაში, ჯერ კიდევ, პოლიტიკური კულტურა არ არის დახვეწილი ისე, რომ იდეოლოგიური პრიზმის მიხედვით ხდებოდეს მხარდაჭერა პარტიების მიმართ...

რესპუბლიკელი ხათუნა სამნიძე პარტიებსაც ადანაშაულებს იმის გამო, რომ არ ხდება მათი მხრიდან საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობა და ინფორმაციის მიწოდება. თუმცა ამაში დამნაშავე ხელისუფლებაა, რომელიც სპეცსამსახურების ზეწოლით ცდილობს ბიზნესზე ზეგავლენას. ეს უკანასკნელი კი ყოველთვის მხარს სახელისუფლებო პარტიებს უჭერენ, რადგან მათ თვითგადარჩენის ინსტიქტი ამოძრავებთ... სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ პარტიებს მწირი დაფინანსება აქვთ, რის გამოც ვერ ხერხდება გადაადგილება რეგიონში და მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება.

მწირ დაფინანსებაზე საუბრობს ლეიბორისტი გუგავაც - მთავარი პოლიტიკური ძალა ყოველთვის ცდილობს პარტიებამდე არ მივიდეს დაფინანსება, ასეთ პირობებში ძნელია ისაუბრო პარტიის წარმატებაზე და მომავალზე.

საქართველო დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე ებრძვის სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, რომელიც მეტად რთული მოსაგვარებელი შეიქმნა ქართული სახელმწიფოსთვის. ეს საკითხი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვისაც საკმაოდ აქტუალურია, თუმცა საქართველოსაგან განსხვავებით განვითარებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში ეს პრობლემა დროგამოშვებით იჩენს ხოლმე თავს, ამიტომაც არის რომ მათ ხელისუფლებაში ხან მემარჯვენე, ხანაც მემარცხენე ძალები ენაცვლებიან ერთმანეთს.

თავი IV კვლევის შედეგები

კვლევა ჩავატარე პარტიების ყოვლისმომცველ პოლიტიკაზე, რისთვისაც შერჩეულ იქნა რამდენიმე პარტია და ჩავწერე ინტერვიუები მათ წარმომადგენლებთან. ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევაში გამოყენებულია ქართველი პოლიტოლოგების შეხედულებები ყოვლისმომცველობაზე და მათი ინტერვიუები 2012 და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.

რესპუბლიკური პარტიიდან ინტერვიუ ჩაწერილია ხათუნა სამნიძესთან; ქართული ოცნების პარტიიდან გია ვოლსკისთან; ლეიბორისტული პარტიიდან გიორგი გუგავასთან; ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთან რომან გოცირიძესთან; ნინო ბურჯანაძე - დემოკრატებიდან ბესო დანელიასთან; ასევე ინტერვიუ ჩაწერილია ექსპერტებთან: კორნელი კაკაჩიასთან, რამაზ საყვარელიძესთან, მამუკა არეშიძესთან.

ნაშრომის დამუშავების პროცესში დიდია ინტერვიუების როლი, რადგან ყველა რესპონდენტი საკმაოდ წონადი და ცნობილი ფიგურაა საზოგადოებაში, რომლებიც უკვე წლებია პოლიტიკურ სივრცეში მოღვაწეობენ. ნაშრომი პოლიტიკასა და მის პარტიულ სტრუქტურას ეხება, ამიტომ სწორედ ის რესპონდენტები იქნა შერჩეული, რომლებიც ამ სფეროში გამოცდილებიც არიან და უშუალოდ მონაწილენიც.

გამოკითხული რესპონდენტებიდან ყველა ერთხმად აღიარებს იმას, რომ ბოლო პერიოდში, საქართველოში თითქმის ყველა პარტია, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა ყოვლისმომცველი იყო თავისი ხასიათით, ცდილობდნენ ყველაფერს მორგებოდნენ და რეაგირებდნენ იმ გამოწვევებზე, რომელიც საზოგადოებაში ჩნდებოდა კონკრეტულ ისტორიულ მომენტში. ერთ პარტიაში გაერთიანებულ რამდენიმე პარტიას, რომელსაც თავისი იდეოლოგია ქონდა და ჰყავდა ლიდერები, ერთად მუშაობის შემდეგ ეს განსხვავებები, კონსენსუსის მიღწევის ხარჯზე, საბოლოოდ, თითქმის უქრებათ. საქართველოში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, თითქმის ყველა სახელისუფლებო პარტია ყოვლისმომცველი იყო. მაგალითად, მრგვალი მაგიდა, მოქალაქეთა კავშირი, აღორძინება, ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება, ყველა ეს პარტია შედგებოდა

რამდენიმე პარტიის ან ჯგუფების ნაერთისაგან, ამ ნიშნით ისინი ყოვლისმომცველ ხასიათს ავლენენ.

პარტიები ისე იცვლებიან, ფერს იცვლიან, სამოსს იცვლიან, შინაარს იცვლიან, საბოლოო ჯამში ძნელი გასარკვევია ვის როგორი იდეოლოგია აქვს ე. ი. ხშირ შემთხვევაში პარტიებსა და იდეოლოგიებს შორის განსხვავება არ არის. პოლიტიკური პარტია არის დინამიური ორგანიზაცია, რომელიც რეაგირებს ახალ სიტუაციებზე. ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის სერიოზული დეფიციტია. ამის მიზეზად რესპონდენტების ნაწილი იმ მცირე დროს ასახელებს, რომელიც თავისუფალი ცხოვრების მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი პოლიტიკური კულტურის ამაღლებისათვის.

იდეოლოგიური ჩარჩო, დღეისათვის თითქმის არ არსებობს. ყოვლისმომცველი პარტია არ შეიძლება იყოს იდეოლოგიური, რადგან მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, სწორედ ნაკლებიდეოლოგიურობაა. იდეოლოგია საკმაოდ შესუსტებულია და ხშირად ძნელი გასარვევია, თუ როგორი იდეოლოგიის მქონეა ესა თუ ის პარტია. საქართველოში ნაციონალიზმი ყოველთვის ლიდერულ მდგომარეობაშია, ამიტომ ეს ტენდენცია, ეროვნული მოძრაობის ფორმატში იქნება თუ ნაციონალისტური მოძრაობის ფორმატში, ეს იდეოლოგიური „კრიშა“ აქტიურად მუშაობს. იდეოლოგიაზე თავად ამომრჩეველი არ რეაგირებს ე. ი. არ არის მგრძნობიარე, იმიტომ, რომ დღეს ამის პირობები არ არსებობს, რადგან ყოველდღიურობა გაცილებით მეტ პრობლემას წარმოშობს. სამწუხაროდ, ყველა ხელისუფლებას ემართება ერთი და იგივე, საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრი და დროებითობის განცდა. ასეთ პირობებში ძნელია ამომრჩეველმა იდეოლოგიის მიხედვით აირჩიოს ხელისუფლება. ეს მიუთითებს არა მარტო ელექტორატის დაბალ პოლიტიკურ დონეზე, არამედ იმაზეც, რომ პარტიების მხრიდან არ ხდება, ან ვერ ხერხდება მოსახლეობის მუდმივი ინფორმირება და პროგრამების მიწოდება. ფინანსები და ტელევიზია ძირითადად მმართველ პარტიათა ხელშია, ამიტომ სახელისუფლებო პარტია თავისი შესაძლებლობებით ყოველთვის ჩაგრავდა ოპოზიციას. ელექტორატის ძირითადი ნაწილი რეაგირებს პერსონალიებზე, კონკრეტულ პიროვნებებზე. ამომრჩეველი თხოულობს კარგ ცხოვრებას და დანარჩენი პოლიტიკური სეგმენტი თავაზობს

პერსონალიებს. პარტიების ბევრ დასახელებაში ფიგურირებს პოლიტიკური ლიდერის გვარი და როცა ლიდერს აქვს უდიდესი გავლენა, მაშინ როგორც რიგითი წევრის როლი, ასევე იდეოლოგიის როლიც ნაკლებად მოქმედია. თუმცა, აღსანიშნავია ის, რომ პარტიების მცირე ნაწილისთვის რიგითი წევრის როლი ჯერ კიდევ, გარკვეული კუთხით, მნიშვნელოვანია, რადგან მათ მწირი დაფინანსება აქვთ და სწორედ რიგითი წევრები ეხმარებიან არჩევნების დროს. ეს პრობლემა არ აქვთ ხელისუფლებაში მყოფ სახელისუფლებო პარტიებს და შესაბამისად, იქ პარტიის რიგითი წევრის როლი მინიმუმამდეა დაყვანილი.

პარტია ნაციონალური მოძრაობა ლიბერალური ორიენტაციისაა, რომელიც აცხადებს, რომ მტკიცედ იცავს თავის იდეოლოგიას, თუმცა, არჩევნების დროს ელექტორატს სოციალურ ინიციატივებსაც თავაზობდნენ, ამასთან ერთად, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლებაში ყოფნის დროს გააკეთა, იყო ლიბერალიზმის, როგორც ღირებულების დისკრედიტაცია. პარტია შედგებოდა რამდენიმე პოლიტიკური პარტიისაგან, იდეოლოგიას მარტივად იცვლიდა სიტუაციების მიხედვით, ამიტომ ამ მახასიათებლებით იგი ყოვლისმომცველი პარტიაა, თუმცა რიგითი წევრის როლი ამ პარტიაში საკმაოდ გამოკვეთილი იყო, ალბათ ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი რამაც ნაციონალურ მოძრაობას არსებობა, ჯერ-ჯერობით შეუნარჩუნა, თუმცა ბოლო პერიოდში რამდენიმე პარტიად მაინც ჩაიშალა.

ყოვლისმომცველობის გარეშე, საქართველოში, ხელისუფლებაში მოსვლა შეუძლებელი გახდა, თუმცა ყველა ასეთი პარტია მმართველობის დაკარგვის შემდეგ პოლიტიკური არენიდან გაქრა, მაგალითად, მრგვალი მაგიდა, მოქალაქეთა კავშირი, აღორძინება, ხოლო რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას იგი ჯერ-ჯერობით ინარჩუნებს არსებობას, თუმცა ბოლო პერიოდში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩაიშალა რამდენიმე პარტიად.

ყოვლისმომცველი პარტიაა ქართული ოცნება, რომელმაც ექვსი პოლიტიკური პარტია გააერთიანა და რომლის იდეოლოგიის საფუძველი გახდა ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატიული პრინციპების განვითარება და რაც მთავარია სოციალური თემები, თუმცა მკაფიოდ ჩანს მათი მიდრეკილება, რომ ხელი შეუწყონ ბიზნესს რამდენადაც შეეძლებათ. წმინდა სოციალ-დემოკრატია

ბიზნესის დამცველი, თითქმის, არასოდეს არ არის. პარტია პრეტენზიას აცხადებს სოციალ- დემოკრატიაზე, ხოლო საქმით, იგი უფრო ცენტრისტული პარტიაა, რომელსაც აქვს ტენდენცია იმისა, რომ სოციალური იდეები განახორციელოს და ამავე დროს ხელი შეუწყოს ბიზნესსაც, აღსანიშნავია ისიც, რომ პარტიაში არც რიგითი წევრის ფუნქციას აქვს დიდი მნიშვნელობა.

საქართველოში, ამჟამად, ძნელია იმოქმედოს რომელიმე პარტიამ წმინდა მემარცხენე ან მემარჯვენე ორიენტაციით - ცენტრიზმი, თითქმის, ბუნებრივი მიდრეკილება გახდა. ასეთმა პარტიულმა სისტემამ, შესაძლებელია, გამოიწვიოს პრინციპული ოპოზიციის გაქრობა პარლამენტსა და საზოგადოებაში, თუმცა აქ საუბარია ისეთ პრინციპულ ოპოზიციაზე, რომელიც კულუარებში არ ახდენს გარიგებას მმართველ პარტიასთან და არა ისეთ ოპოზიციაზე, რომელიც ჩათვლის, რომ ოპოზიციონერობა ყოველთვის მომგებიანია.

ნაშრომში ყოვლისმომცველობის შესწავლა განაპირობა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, რომელიც საქართველოსაც შეეხო და უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. მიზანი იყო, რომ ამ ნაშრომს ეჩვენებინა, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, განსაკუთრებით კი 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში რამდენად გამოვლინდა პარტიების ყოვლისმომცველი ხასიათი. აღსანიშნავია, რომ ყველა რესპონდენტი მიუთითებს სწორედ ამ ყოვლისმომცველობის ხასიათზე, რომელსაც გამოვლინების თავისებური ნიშნები ახასიათებს. რა თქმა უნდა, ანალიზის საფუძველზე, დასკვნა ერთია, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პარტიების ყოვლისმომცველი ხასიათი გამოვლინდა. ერთმა პარტიამ შეძლო რამდენიმე პარტიის შეერთება, საერთო ინტერესების პოვნა, იდეოლოგიების დაახლოების ხარჯზე კონსესუსის მიღწევა და რიგითი წევრის როლის უკიდურესობამდე შესუსტება, რაც იწვევს პრინციპული ოპოზიციის, იმ პრინციპული ოპოზიციის გაქრობას პარლამენტსა და საზოგადოებაში, რომელიც კულუარებში არ შეეცდება გარიგება მოახდინოს მმართველ პარტიასთან.

4.1 ქართული ოცნება

ქართულ ოცნებაში მიიჩნევენ, რომ პარტიის შექმნა გარკვეულმა გარემოებებმა განაპირობა, უფრო სწორად დააჩქარა... მიხეილ სააკაშვილმა საკმაოდ გეგმაზომიერად დაიწყო ხელისუფლების მთლიანად ხელში აღება. იგი საფრთხის შემცველი გახდა, როგორც დემოკრატიული ფასეულობებისთვის, ასევე ნებისმიერი სხვისთვის ვინც „სინგაპურიზაციის“ გზაზე გადაეღობებოდა. პარტიათა გაერთიანების შექმნა მოიტანა ამ შექმნილმა ვითარებამ. ადრეც იყო ამის მცდელობა, ჯერ შეიქმნა რვიანი, მერე ექვსიანი... გარდა ამისა ზოგიერთი პარტიის მხრიდან მერკანტელური დაინტერესება გამოჩნდა, რომელიც უფრო თავის პარტიულ ნიშანზე - პარტიის გადარჩენაზე, თავის პიროვნებაზე ფიქრობდა, ვიდრე გარკვეული დემოკრატიული, მძლავრი კონგლომერატის ჩამოყალიბებაზე. ბიძინა ივანიშვილმა შექმნა საზოგადოებრივი მოძრაობა, შემდეგ ინტენსიური კონსულტაციები იყო უამრავ პიროვნებებთან, ექსპერტებთან, პარტიის ლიდერებთან, პარტიის ცალკეულ წარმომადგენლებთან, რამაც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება განაპირობა. ამ საქმეში უამრავი ხალხი იყო ჩართული და გარკვეულწილად გამოიკვეთა პარტიის მთავარი, რამდენიმე მიმართულება - რაც პარტიის იდეოლოგიას და შემდგომ პარტიის ჩამოყალიბებას უნდა დადებოდა საფუძვლად. ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებების დაცვა, დემოკრატიული პრინციპების განვითარება და რაც მთავარია სოციალური თემები. პარტიაში მიიჩნევენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ შეძლო დაეთრგუნა ისეთი პარტიული და ორგანიზაციული აქტივობები, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ხალხს ორგანიზატორი არავინ ჰყავდა, რომ ამის წინააღმდეგ გამოსულიყო... პარტიის შექმნის ეს ეტაპი იყო გადარჩენის, ალბათ, სახელმწიფოსა და ხალხის გადარჩენის ოპერაცია, უფრო სწორად ძალისხმევა.

გიორგი ვოლსკი აღნიშნავს, რომ პარტიაში ქართული ოცნების სახელით ბევრი სხვა მოკავშირე პარტია გაერთიანდა, რომელთაც ისტორია ჰქონდათ, მაგრამ პერსპექტივა არანაირი. არსებობს რამდენიმე ძალიან მძიმე პრობლემა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების დღიდან ახასიათებს. ამ ჩარჩოს ვერც ქართული ოცნება გასცდება, რასაც ჰქვია სოციალ-დემოკრატიული

აღმშენებლობის პრინციპები. მართალია, მემარჯვენე შეხედულებებიც რაღაც კუთხით რეალური არის, მაგრამ ევროპის ბევრ განვითარებულ ქვეყნებში სწორედ სოციალ-დემოკრატიული თემაა წინ წამოწეული. პარტიაში ფიქრობენ, რომ არჩევნების დროს ამომრჩეველი პარტიის იდეოლოგიას აბსოლუტურად არ აქცევს ყურადღებას, იმიტომ, რომ დღეს ამის პირობები არ არსებობს. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საფრანგეთში, სადაც ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობაა, გაიმარჯვა ადამიანმა, რომელმაც თქვა, რომ ახლა იდეოლოგიების დაპირისპირებებისა და შეჯახების დრო არ არის და უნდა ვიმოქმედოთ, პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ. მნიშვნელოვანწილად ეს ახასიათებს არა მარტო ევროპულ, არამედ ამერიკულ დემოკრატიასაც, რომელიც გარკვეულწილად განსხვავდება ამ დემოკრატიისაგან. ხალხი ყურადღებას არ აქცევს იდეოლოგიას, რადგან ყოველდღიურობა გაცილებით მეტ პრობლემას წარმოშობს.

გიორგი ვოლსკი ფიქრობს, რომ მრავალრიცხოვანი ამომრჩევლის მობილიზებაზე პარტია უნდა იყოს ორიენტირებული არა მარტო არჩევნების დროს, არამედ არჩევნების შემდეგაც... ვოლსკის აზრით, მომავალი იდეოლოგიისკენ იხრება... პრაგმატული, პრაქტიკული დამოკიდებულება ვითარებასთან გამოიხატება უფრო მეტად საქმეში, ვიდრე კონკრეტული პიროვნებების იდეოლოგიაში.

რესპონდენტის აზრით, პარტიის რიგითი წევრის როლი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში შემცირებულია. ეს არ გამომდინარეობს იქედან, რომ ინტელექტუალური რესურსი აკლია რომელიმე პარტიას. არსებობს თვითონ საკადრო რესურსის ნაკლებობა. რიგითი წევრის სურვილი, რომ გახდეს ამა თუ იმ პარტიის წევრი უნდა გამომდინარეობდეს იდეოლოგიიდან, როდესაც ეს იდეოლოგიური პარტიები ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ, რასაკვირველია, რიგითი წევრის როლიც იწევს. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საქართველოში რესპუბლიკური პარტია, პრაქტიკულად, ალბათ, ერთადერთია, რომელიც რაღაც გარკვეული იდეოლოგიის გარშემო ავითარებს, აერთიანებს თავის წევრებს... რაც შეეხება ლეიბორისტულ პარტიას, ის იდეოლოგიის კი არა, უფრო პოპულიზმის გარშემო არის გაერთიანებული. ხშირ შემთხვევაში პარტიაში

პარტიის ლიდერზეა ყველაფერი აგებული, იდეოლოგიაც, მომავალიც, პერსპექტივაც და მერკანტელიზმიც. რესპუბლიკური პარტია ერთადერთია, რომელსაც საკუთარი პრინციპები, ხედვები გააჩნია და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად არაპოპულარულია რაღაც საკითხებთან დაკავშირებით დამოკიდებულება, მაინც არ იცვლიან, მტკიცედ დგანან თავიანთ პოზიციაზე... ეს სადღაც სერიოზული საფრთხეა პარტიისთვის. საზოგადოებაში ხშირად ჩნდება განცდა, რომ ეს პარტია არ არის, არამედ გარკვეული სექტაა, რომელიც არ გადის ფარგლებიდან, არავითარი პრაგმატული მოსაზრებებიდან ან რეალობიდან გამომდინარე.

გიორგი ვოლსკი აღნიშნავს, რომ სოციალური თემა მთავარია ადამიანთა ცხოვრებაში. რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, ქართული ფორუმი, ეროვნული ფორუმი, ყველა ვინც შევიდა ქართულ ოცნებაში იმ აზრზე გადაეწყო, რომ მთავარი ამოცანა, სწორედ სოციალ-დემოკრატიული პრინციპების განხორციელება იყო.

რესპონდენტის აზრით, პარტიული ფილოსოფია არ არსებობს და ვერც იარსებებს, იმიტომ რომ, ჭეშმარიტება სხვა არის და სხვა ფასეულობებზე ყალიბდება. საქართველოში იდეოლოგიურ პარტიას მომავალი არ აქვს.

გიორგი ვოლსკი ფიქრობს, რომ ქართულ ოცნებაში ბევრი საკითხი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ წყდება, ბევრი სტრატეგიული გეგმა ისე სწრაფად ვერ ვითარდება როგორც ფიქრობდნენ. მოთხოვნა არის მოთხოვნილების ის ნაწილი, რომლის სარეალიზაციოდ ადამიანს რესურსი გააჩნია. არსებობს საზოგადოების მოთხოვნილება და არსებობს რეალური მოთხოვნა და მოწოდება არის მნიშვნელოვანწილად ნაკლები იმასთან შედარებით, რაც არის მოთხოვნილება. ვიწროპარტიულმა იდეოლოგიამ შეიძლება ვერ გადაწყვიტოს ის პრობლემები, რაც საზოგადოებაში არის.

რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ყოვლისმომცველობა არის წარმატების წინაპირობა, თუკი პარტიის წარმატებაზე არის საუბარი, ანუ იქ იქნებიან ადამიანები, რომელთაც პრაგმატული დამოკიდებულება აქვთ საკითხებისადმი და რაც უფრო ყოვლისმომცველია, რაც უფრო იდეოლოგიურ ჩარჩოში ჩაუკეტავია პოლიტიკური ჯგუფი, უფრო წარმატებულია. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში არავითარ

შემთხვევაში ასეთი მიდგომა არ გამოდგება. ორი მთავარი მოთხოვნა არსებობს განვითარება და განვითარება შეუძლებელია სტაბილურობის გარეშე, სტაბილურობა შეუძლებელია თითოეული ადამიანის მძიმე მდგომარეობის პირობებში. ყველაფერი მაინც სოციალური თემებიდან იწყება. სტაბილურობა მარტო შიდა და გარეშე გამოწვევებით არ უნდა განისაზღვრებოდეს. მთავარია შიგნით გვქონდეს სტაბილურობა და ეძებო მოკავშირეები, რომლებიც გარეშე გამოწვევებს მოგიგვარებენ, რითაც მიდიხარ განვითარებამდე. სტაბილურობა არის შიდა და გარე ფაქტორების მოგვარების ერთობლიობა. ევროკავშირისკენ მისწრაფება, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაღრმავება ეს არის გადარჩენის ერთადერთი გზა. რასაკვირველია, რუსეთთან ურთიერთობები უნდა დალაგდეს საქართველოს ინტერესების ხარჯზე. რეალობა ეს არის, სტაბილურობა განვითარებისთვის. ქართულ ოცნებაში ფიქრობენ, რომ ნაკლებიდეოლოგიურ პარტიებს გაცილებით მეტი მომავალი აქვთ თუკი, ინტელექტუალურ რესურსს გაუკეთებენ მობილიზებას და მრავალმხრივები იქნებიან. მრავალფეროვნება ყოველთვის მოუგებს ცალმხრივობას. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ როცა პოლიტიკაში არის ადამიანი, უნდა ახსოვდეს, რომ არ უნდა დაწვას ხიდები, ანუ იყოს მრავალფეროვანი, ეცადოს თავისი პრინციპების გატარებას, მაგრამ არ დაიჩემოს არაფერი... იმსჯელოს შედეგების მიხედვით... რესპონდენტი მიიჩნევს, რომ თუ შედეგი არ მოუტანა და პროცენტი არ აეწია არჩევნებში პარტიას, რაც არ უნდა იამაყოს პრინციპებით, ეს ვერაფერს მოუტანს სასარგებლოს... მაშინ სხვა რასურსი უნდა ჰქონდეს პარტიას... ქართულ ოცნებაში ფიქრობენ, რომ არასოდეს არ უნდა დაივიწყონ, რომ ადამიანები მაინც ადამიანები არიან თავიანთი წოდებით, სიხარულითა თუ პრობლემებით, რომელიც ყოველდღიურობას განაპირობებს. ეს არის ნებისმიერი პოლიტიკური გუნდის წარმატების საწინდარი.

4.2 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ნაციონალური მოძრაობა - საარჩევნო ბლოკი, რომელშიც შედიოდა რამდენიმე პარტია, 2003 წელს დაფუძნდა. რომან გოცირიძე აღნიშნავს, რომ ეს იყო დიდი გაერთიანება, რომელმაც შეძლო შევარდნაძის კორუმპირებული რეჟიმის დამარცხება და რომელმაც შემდგომ, უკვე ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წლიანი პერიოდის განმავლობაში, საქართველოში შექმნა, ფაქტობრივად, თანამედროვე სახელმწიფო... პარტია ლიბერალური ორიენტაციისაა. მისი მთავარი პრინციპებია ნატოსთან ურთიერთობების გაღრმავება, საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და ის მიღწევები, რომელიც საქართველოს ამ მიმართულებით გააჩნია, თუნდაც ის, რაც ვიზალიბერალიზაციით დამთავრდა ევროკავშირში, ამასაც კი იმ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი, როდესაც ნაციონალური მოძრაობა სახელისუფლებო პარტია იყო. მთავარი იდეოლოგიაა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე წარმოდგენილი ეკონომიკური სისტემა, სადაც მთავრობას უნდა ჰქონდეს მინიმალური როლი. პარტიაში მიიჩნევენ, რომ არ უნდა იზღუდებოდეს ბიზნესი ან ადამიანი სახელმწიფოს მიერ და უნდა არსებობდეს მინიმალური რეგულირება, ანუ დერეგულირების პროცესი იყო ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი ნაციონალური მოძრაობის ეკონომიკური პოლიტიკისა, როდესაც გაუქმდა საბაჟო გადასახადები, დამყარდა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, შემცირდა გადასახადები, ეს იყო ულტრა-ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც შექმნა მსოფლიოში ქართულ ექსპერიმენტად წოდებული ეკონომიკური რეალობა. რესპონდენტის აზრით, საქართველო, რომელიც იყო ჩამორჩენილი ქვეყანა, გახდა ნომერ პირველი რეფორმატორი 2007 წელს.

რომან გოცირიძე ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია დაბალი გადასახადები, სახელმწიფოს ჩამოცილება ეკონომიკიდან, ანუ სახელმწიფო საკუთრების გაიყიდვა, ტოტალური პრივატიზაცია, როცა სახელმწიფო ბიზნესში, ფაქტობრივად, არ ერევა. ოთხი-ხუთი ობიექტია, რომელიც არ გაყიდულა. ეს არის სომხეთისკენ მიმავალი გაზსადენი, ენგურის ჰიდროელექტრო სადგური, რადგან იგი ნახევრად საქართველოს ტერიტორიაზეა, ნახევრად ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ამიტომ პოლიტიკური მოსაზრებით, მისი გაყიდვა

შეუძლებელია, რკინიგზა. დანარჩენი კი ყველაფერი გაიყიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაციონალების მთავარი იდეაა სახელმწიფოს ნაკლები ჩარევა ეკონომიკაში.

ნაციონალურ მოძრაობაში მიიჩნევენ, რომ პარტიას აქვს თავისი იდეოლოგიური ჩარჩო და ეს მთავარი იდეოლოგიური ჩარჩო არის განმსაზღვრელი რომლიდანაც ნაციონალური პარტია არ გამოდის. 2016 წლის არჩევნებში პარტიის მთავარი მოქმედების ლოზუნგი იყო მეტი ფული ბიზნესს და ნაკლები ბიუროკრატიას. იდეოლოგიური ჩარჩო ნაციონალური მოძრაობისათვის მნიშვნელოვანია, თუნდაც იგივე, პენსიების ზრდა, დახმარების ზრდა და ა. შ.

რომან გოცირიძის თქმით, არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობის მთავარი მიზანი იყო: 1.გადასახადების შემცირება; 2.ბიუროკრატიაზე გაწეული ხარჯების შემცირება; 3.ზედმეტ რეგულაციებზე უარის თქმა; 4.ბიზნესისა და ინვესტიციების დაცვა. ამის შემდეგ მოხდებოდა კონკრეტული შეთავაზება, თუ რომელი გადასახადები უნდა ყოფილიყო შემცირებული და ა. შ.

რესპონდენტი ფიქრობს, რომ საარჩევნო დაპირებებით და განსაკუთრებით ფუჭი დაპირებებით მოსახლეობას ვერ მოატყუებ, თუმცა გააჩნია დაპირებები ვისგან მოდის. პარტიაში აღნიშნავენ, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ადამიანი, რომელსაც შვიდი მილიარდი აქვს პირადი ქონება. იგი პირდებოდა ხალხს, რომ ყველა ბანკის წინაშე დავალიანების მქონე ადამიანებს ე. წ. იპოთეკარებს გადაუხდიდა სესხებს და ა. შ. თავად ამ პიროვნების ფაქტორიდან გამომდინარე ხალხმა დაიჯერა ცრუ დაპირებები... რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მთლიანობაში მოსახლეობა არ აქცევს ყურადღებას იდეოლოგიურ ჩარჩოს და ძირითადად მაინც ხმას აძლევენ ლიდერებს და არა პროგრამებს... თუმცა არსებობენ პარტიები, სისტემა შექმნილი პარტიები, რომლებიც იცავენ თავიანთ იდეოლოგიურ სიწმინდეს. სისტემა შექმნილი პარტიები არ არიან ერთი სეზონის პარტიები და არსებობენ მრავალი წლის განმავლობაში. ასეთი პარტიები აუცილებელი ხდება სხვა პარტიებისთვის და ყოფილა შემთხვევა, რომ მსგავს პარტიებს მისცეს ადგილი პარლამენტში, ბლოკის, ანუ მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ მათი ელექტორატული ბაზა არის დაბალი, ბლოკს ისინი აძლიერებენ თავიანთი იდეოლოგიითა და ინტელექტუალური რესურსით. ნაციონალურ მოძრაობაში აღნიშნავენ, რომ იდეოლოგიური ტრადიციების მქონე პარტიები დაინთქმებიან

ხოლმე პოლიტიკური სცენიდან და ამ მრავალწახნაგოვან სისტემაში თავიანთ ადგილს პოულობენ. რესპონდენტის აზრით, 25 წლის განმავლობაში საქართველოში არჩევნებს იგებდა არა პარტიები, არამედ პიროვნებები, ამიტომაც არის ქვეყანაში სუსტი პოლიტიკური კულტურა და დაბალი ხარისხი დემოკრატიის და როგორც წესი, ხელისუფლების დამარცხების შემდეგ, პერსონალიებზე ორიენტირებული ასეთი პარტიები გაქრებიან ხოლმე... ისე როგორც გაქრა მრგვალი მაგიდა, გაქრა მოქალაქეთა კავშირი. რესპონდენტის მოსაზრებით, ერთადერთი ძალა ეს არის ნაციონალური მოძრაობა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ჩამოცილდა ხელისუფლებას ის დღემდე არის მთავარი ოპოზიციური პარტია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოხდა საქართველოში პოლიტიკური დემოკრატიისკენ კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა, როცა დამარცხებული პარტია არ გამქრალა პოლიტიკური არენიდან, როდესაც პარტია დამარცხდა არჩევნების გზით და არა რევოლუციებით და გადატრიალებებით. ეს იყო გამონაკლისი, როდესაც მმართველმა პარტიამ არჩევნებში დამარცხების გზით ხელისუფლება ოპოზიციას გადასცა.

ნაციონალურ მოძრაობაში ფიქრობენ, რომ მრავალრიცხოვანი ამომრჩეველი ნიშნავს არჩევნებში გამარჯვების მთავარ საწინდარს. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა ერთგულია თავისი იდეოლოგიის, ისინი ამომრჩეველს თავაზობენ სოციალურ ინიციატივებსაც, მაგალითად 50 ლარით პენსიის გაზრდა. რესპონდენტის აზრით, ქვეყანაში არის უზარმაზარი ჩინოვნიკური აპარატი, რომელიც რეალურად, ფუჭად ფლანგავს რესურსებს, იმის მაგივრად, რომ იგი წავიდეს ქვეყნისთვის სასარგებლო პროექტებში, ან თუნდაც მოხმარდეს გაჭირვებული ადამიანების ცხოვრების შემსუბუქებას... ამ შემთხვევაში ნაციონალური მოძრაობა ამბობს, რომ მეტი ხარჯები ჯანდაცვაზე, პენსიების გაზრდაზე და ა. შ. რესპონდენტი ამბობს, რომ მართალია, პარტია ამ დროს გადის იდეოლოგიური ჩარჩოდან, მაგრამ მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება ნაციონალური მოძრაობის ამოცანაა.

რომან გოცირიძე მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნოდ პროგრამა ზღუდავს იდეოლოგიას, რადგან არის რაღაც ჩარჩოები, რომლის გადაცდომაც უკვე პარტიას

უკარგავს სახეს... თუმცა არჩევნები ყოველთვის და ყველა ქვეყანაში მოიცავს პოპულიზმის ელემენტებს.

რესპონდენტის აზრით, წმიდა სახით იდეოლოგიური ჩარჩოს შენარჩუნებას ვერც ერთი პარტია ვერ ახერხებს. ეს არის უფრო მეტად საარჩევნო სპეციფიკიდან გამომდინარე, როდესაც ხდება, როგორც წესი, დაპირებების გაზვიადება. ეს დამახასიათებელია ყველა პარტიისათვის, თუმცა არიან ისეთი პარტიები, რომლებიც უფრო მეტად ინარჩუნებენ იდეოლოგიურ საფუძვლებს.

ნაციონალურ მოძრაობაში აღნიშნავენ, რომ საქართველოში არსებობს სახელისუფლებო პარტიის ძალიან მახინჯი ფორმა. ადამიანებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან სახელმწიფო სამსახურში ეშინიათ სამსახურის დაკარგვის და ამიტომ იძულებულნი არიან მუდამ მხარი დაუჭირონ მმართველ პარტიას, ეს არის შიშის ფაქტორი.

ამომრჩეველთა უმრავლესობა არ არის პარტიის წევრი, ოფიციალურად წევრთა რაოდენობა ძალიან მცირეა მთელ ამომრჩეველთან შედარებით.

რესპონდენტი ფიქრობს, რომ ყოვლისმომცველი პარტიები, როგორც ყოველთვის, არის სახელისუფლებო პარტია, რომელიც შთანთქავს ყველა სხვა პარტიას და ძირითადად ეს არის მათი მიმზიდველობა. პარტიის ლიდერებს ან მოისყიდიან ან გარიგებას სთავაზობენ. რესპონდენტს ერთ-ერთ მაგალითად მოყავს ალასანიას პარტიის ბედი, როდესაც არჩევნების შემდეგ, ფაქტიურად, მეორე დღიდანვე პარტია დაიშალა, ვინაიდან მათი წევრები გახდნენ მინისტრები, ელჩები და სხვა მაღალი თანამდებობის პირები... ნაციონალურ მოძრაობაში აღნიშნავენ, რომ სახელისუფლებო პარტია, როგორც წესი, შეისრუტავს ხოლმე ოპოზიციურ სპექტრს და ეს განსაკუთრებით 2016 წლის არჩევნებში გამოვლინდა. რეალურად ქვეყანაში დარჩა ორი პარტია, რომელთაც ბარიერი გადალახეს - ქართული ოცნება და ნაციონალური მოძრაობა. მმართველი პარტიის ქცევაზე არის დამოკიდებული ბევრი რამ და არა ხელისუფლების ქცევაზე. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქართულმა ოცნებამ მოახერხა შემოეკრიბა კოალიციის სახით ბევრი პარტია და როდესაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ისევ მოვიდა ხელისუფლებაში, ფაქტობრივად გაანადგურა ოპოზიციური სპექტრი. ქვეყანაში არსებობს სერიოზული საფრთხე იმისა, რომ პრინციპული ოპოზიცია

შეიძლება გაქრეს პარლამენტსა და საზოგადოებაში. ქართული ოცნება არის პარტია, რომელსაც აქვს სახელისუფლებო რესურსი. პარტიაში ფიქრობენ, რომ ქვეყანა არის ღარიბი, ამიტომ სახელისუფლებო პარტია თავისი შესაძლებლობებით ყოველთვის ჩაგრავდა ოპოზიციას. რესპონდენტის აზრით, დღეს ხელისუფლება ებრძვის ნაციონალურ მოძრაობას და ცდილობს მის განადგურებას.

გოცირიძე მიიჩნევს, რომ სახელისუფლებო პარტია ამომრჩეველთა მობილიზაციას ახდენს ფულით, ადმინისტრაციული რესურსით, საარჩევნო გაყალბებებით და კრიმინალების გამოყენებით. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ქურდული სამყარო, რომელიც ქვეყანაში დღემდე ვერ ბედავს შემოსვლას - ნაციონალური პარტიის მიერ გატარებული ანტიკორუფციული და ანტიკრიმინალური მოქმედებების გამო - ფიქრობს, რომ ამ ხელისუფლების ხელში ყოფნა უკეთესია და ისინი პირდაპირ ეხმარებიან მათ. ამას ემატება ოლიგარქის სახელი, რომელიც აძლევს უზარმაზარ უპირატესობას დღევანდელ სახელისუფლებო პარტიას.

რესპონდენტის აზრით, ყოვლისმომცველი პარტია არ შეიძლება იყოს იდეოლოგიური, ყოვლისმომცველი პარტიის ერთ-ერთი ნიშანია ნაკლებიდეოლოგიურობა. ქართული ოცნება (იყო ყოველ შემთხვევაში, როდესაც შეიქმნა) ყოვლისმომცველი პარტია, სადაც შევიდნენ რესპუბლიკელები, მემარჯვენე ორიენტაციის პარტიები, სადაც იყვნენ სოციალ-დემოკრატები, იყვნენ აბსოლუტურად არაიდეოლოგიური ადამიანები მაჟორიტარების სახით, მრეწველები, რომლებიც ბიზნესზე ორიენტირებულნი იყვნენ და იყვნენ ნაციონალური ორიენტაციის პარტიები, ანუ ეს იყო სრული ეკლექტიკა, სადაც არავითარი ცენტრალური ღერძი არ არსებობდა. ნაციონალურ მოძრაობაში მიიჩნევენ, რომ ქართული ოცნების პარტიის წარმატება განაპირობა არა მარტო ნაკლებიდეოლოგიურობამ, არამედ ერთი მხრივ ხელისუფლების შეცდომებმა და მეორე მხრივ, ფინანსურმა რესურსებმა.

პარტიაში მიიჩნევენ, რომ საქართველოში დღეს ხმას აძლევენ ლიდერს, რომელიც არის განმსაზღვრელი ფაქტორი. ამასთან, იგი უნდა იყოს აუცილებლად ქარიზმატული. ჩვეულებრივი ადამიანი ქართველის თვალში არ აღიქმება

ლიდერად ე.ი. ან ენერგიული უნდა იყოს, ან დიდ ფულს უნდა ფლობდეს, ან მსოფლიო დონის პოლიტიკოსი უნდა იყოს, როგორც ედუარდ შევარდნაძე. რესპონდენტის თქმით, მსოფლიო დონე ნიშნავს, როცა შენ შეგიძლია დიდი რეფორმები გაატარო. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე იყო ასეთი პიროვნება, მან ქვეყანა საშინელ ჭაობში ჩააგდო. ხალხი მიყვება განსაკუთრებულ ლიდერებს, როგორიც იყო თუნდაც ქარიზმატული ზვიად გამსახურდია, ენერგიული მიხეილ სააკაშვილი, ან თუნდაც ბიძინა ივანიშვილი, რომლის ქარიზმაც ფულია.

რომან გოცირიძე ფიქრობს, რომ მთლიანობაში ქვეყანაში უნდა იყოს ელექტორატი ორიენტირებული პარტიის პროგრამაზე და საქმეზე და არა პოლიტიკურ ლიდერზე.

4.3 რესპუბლიკური პარტია

რესპუბლიკური პარტია, ჯერ კიდევ, კომუნისტური ხელისუფლების დროს 1978 წელს შეიქმნა და მთავარი იდეა დამოუკიდებლობის მოპოვება იყო. ხათუნა სამნიძის თქმით, პარტიის ძირითადი ღირებულება გახდა ადამიანი, ადამიანის უფლებები, პლურალიზმი, საკუთრების უფლება და ყველა ის მთავარი ღირებულება, რაც ლიბერალურ პარტიას უნდა ჰქონოდა.

რესპუბლიკური პარტის მსოფლიო ლიბერალური გაერთიანების ოფიციალური წევრი 2006 წელს გახდა. იგი არის ლიბერალური ღირებულებების, ლიბერალური იდეოლოგიის მქონე პარტია და ამ კუთხით პრინციპულებიც არიან, ე.ი. იდეოლოგია და პარტიის პრინციპები არასოდეს არ ყოფილა მეორე ხარისხოვანი - რესპონდენტის აზრით, რაც კარგია საქართველოსთვის, კარგი არის რესპუბლიკური პარტიისთვისაც, რაც კარგია რესპუბლიკური პარტიისთვის, კარგია საქართველოსთვისაც.

ხათუნა სამნიძე მიიჩნევს, რომ ჩვენი ტიპის საზოგადოებაში არც ერთი ხელისუფლება არ ცდილობს იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის და საზოგადოების ინტერესებს უპასუხოს. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ, ყველა ხელისუფლებას ემართება ერთი და იგივე - საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრი და დროებითობის განცდა. ასეთ პირობებში ძნელია ამომრჩეველმა იდეოლოგიის მიხედვით აირჩიოს ხელისუფლება. ხშირ

შემთხვევაში საქართველოში ისეთი არჩევნებია, როცა მოსახლეობა ვიღაცის წინააღმდეგ აძლევს ხმას.

რესპონდენტი მიიჩნევს, რომ რესპუბლიკური პარტიისათვის მნიშვნელოვანია მრავალპარტიულობა პარლამენტში თვითმმართველობის დონეზე. რასაც, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ მიაღწიეს ქვეყანაში. პარტიაში ფიქრობენ, რომ როგორი მრავალფეროვანიც არის ქვეყანა, ისეთი მრავალფეროვანი უნდა იყოს პარლამენტი და მრავალპარტიული.

რესპონდენტი როგორც აღნიშნავს, ბევრმა კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე ახლოს პროგრამები, რომლებიც ასახავს პარტიის იდეოლოგიას, რესპუბლიკური პარტია პირველ ადგილზეა. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ამომრჩევლისთვის სხვა თემაა. რესპონდენტის თქმით, იმასთან შედარებით, რაც ადრე იყო, შეიცვალა ვითარება და საპარლამენტო არჩევნებზე დიდი ყურადღება იყო დათმობილი პროგრამებზე, რასაც ამას ვერ ვიტყვით ათი წლის წინანდელ არჩევნებზე.

პარტიაში ფიქრობენ, რომ იდეოლოგია არ ზღუდავს წინასაარჩევნო პროგრამას. იდეოლოგია არ ნიშნავს ყველაზე აქტუალურ საჯაროობას უპასუხოს პარტიამ. რესპუბლიკური პარტიისთვის სიცოცხლის უფლება ერთ-ერთი მთავარი ფასეულობაა. ამიტომ, როდესაც სამუშაო პირობებში დაიღუპნენ მუშები და ქვეყანაში არ არსებობს შესაბამისი შრომის კოდექსი და ხელისუფლება საერთოდ არ ზრუნავს შრომის ისეთი გარემო იყოს შექმნილი, რომ დაცული იყოს ადამიანი, ბუნებრივია, პარტიამ ეს გააპროტესტა, მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიურად ეს საკითხი სოციალურ პრობლემას ეხება. რესპონდენტი თვლის, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ, ამ შემთხვევაში პირველ ადგილზე ადამიანი დააყენა, რომელსაც აქვს სიცოცხლის უფლება, რადგან რესპუბლიკური პარტია ლიბერალური პარტიაა, მას სხვაგვარად მოქცევის უფლება არც ჰქონდა.

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ იდეოლოგიური პარტიაა ლეიბორისტული პარტია, რომელსაც აქვს მემარცხენე იდეოლოგია და ჰყავს მისი ძირითადი ამომრჩეველი.

ხათუნა სამნიძის აზრით, ხელისუფლებაში მოსულ პარტიას, როგორც წესი, წინასაარჩევნოდ უძლიერდება პოპულისტური რიტორიკა და ხშირად საერთოდ აცდენილია საკუთარ იდეოლოგიას. პარტიაში თვლიან, რომ დღეს

ხელისუფლებაში მყოფ ქართულ ოცნებას არ აქვს გამოკვეთილი იდეოლოგია და ეს არის პრობლემა, ეს არის მანიპულირების საშუალება ამომრჩეველზე. პარტიას უნდა ჰქონდეს იდეოლოგია, პრინციპები, ხედვა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს მოსახლეობას.

პარტიაში ფიქრობენ, რომ საქართველოს მოსახლეობა, არჩევნების შემდეგ, ყოველთვის მოტყუებული რჩება. ეს იმიტომ ხდება, რომ ერთია დაპირებები და მათი საქმიანობა კი აბსოლუტურად განსხვავებული მისგან. ახლადშექმნილი პარტიებისთვის ადვილია დაპირებების მიცემა. პირველი შემთხვევაა, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ ხელისუფლების დაკარგვის შემდეგ რომ შეინარჩუნა პარტია, თორემ მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო, მოქალაქეთა კავშირი, აღორძინება - ყველა პარტია გაქრა ხელისუფლების დაკარგვის შემდეგ. რესპონდენტი თვლის, რომ იდეოლოგიას, რაც არ უნდა უცრუებდეს ამომრჩეველს იმედებს, დიდი მნიშვნელობა აქვს. მოლოდინი უნდა იყოს სწორი, თუ დაპირებებს აკეთებს პარტია მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ამ იდეოლოგიის, ამ შეხედულებების პარტია ამას გააკეთებს ამ გზით და არ იქნება ორიენტირებული პოპულიზმზე.

რესპონდენტის აზრით, დღეს მსოფლიოში ისეთი ტენდენციაა, რომ წევრობაზე აგებული პარტიები კარგავენ აქტუალობას. ადრე წევრების რაოდენობას დიდი მნიშვნელობა ქონდა. ახლა ეს ტენდენცია შეიცვალა. პარტიები ორიენტირებულნი არიან მხარდამჭერებზე, მოსახლეობაზე, რა თქმა უნდა, პარტიის წევრებზე, აქტიურ წევრებზე. რესპუბლიკურ პარტიას ჰყავს პარტიის წევრები, რომელთა მანდატიც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი პარტიულად არ აქტიურობენ, მხოლოდ არჩევნებზე აქტიურობენ. რესპონდენტი ამბობს, რომ პარტიას ჰყავს უამრავი მხარდამჭერი, რომელიც იზიარებს მის იდეოლოგიას. ამომრჩეველი, პარტიის წევრი და მხარდამჭერი ძალიან მგრძნობიარეა, ამიტომ პარტიებს სჭიდებათ მუდმივად ფორმაში ყოფნა და მუდმივად შეხმიანება საკუთარ მხარდამჭერებთან. პარტიაში ფიქრობენ, რომ ოდნავ გადახვევა პრინციპებიდან იწვევს მხარდამჭერების დაკარგვას, ამიტომ მნიშვნელოვანია იდეოლოგიის ერთგულება და პრინციპი.

ხათუნა სამნიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მოსული ყველა პარტია ცდილობდა ყოვლისმომცველი პარტიის როლის მორგებას, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა, რადგან იგი პოპულიზმში გადადის, რაც სამწუხაროდ, დღევანდელი რეალობაა.

რესპონდენტი ფიქრობს, რომ ყოვლისმომცველი პარტიები ნაკლებად ორიენტირებულნი არიან იდეოლოგიაზე. ისინი უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან მიმდინარე პროცესში რეაგირებაზე, ოღონდ ხელისუფლებაში მოვიდნენ და წინასაარჩევნოდ ყველა ტიპის დაპირებას იძლევიან.

პარტიაში აღნიშნავენ, რომ 2012 წელს სხვა ტიპის რეალობა იყო, ომი იყო ფაქტიურად, იყო ერთი რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური პარტიები, სადაც იდეოლოგია უკანა პლანზე იქნა გადაწეული. რესპონდენტის აზრით, 2012 წელს იდეოლოგიას ყველაზე ნაკლები დატვირთვა ჰქონდა. ძირითადად იყო ძალისა და ერთიანობის ჩვენების აუცილებლობა, ამან იმუშავა და ექვსი პარტიის გაერთიანებამ შედეგი გამოიღო. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ როგორც კი ეს მიზანმიღწეული იქნა ექვს პარტიას ძალიან გაუჭირდა ერთად მუშაობა გამოუცდელობისა და იდეოლოგიათა სიჭრელის გამო.

რესპუბლიკურ პარტიაში მიიჩნევენ, რომ ეს დიდი გაერთიანება ერთი მიზნისთვის იყო შექმნილი - რეჟიმის შეცვლა და მან ვერ მოახერხა რეალური ორიენტაცია უფრო სხვა მიზანზე, რომ ქვეყნის მშენებლობაზე ეზრუნათ, ვერ მოახერხა მოლაპარაკებები, არც ერთი შეთანხმება არ არსებობს ამ ექვს პარტიას შორის კოალიციური რასაც ქვია. რესპონდენტის აზრით, შედეგად მიღებულ იქნა ერთპარტიული მმართველობა, ძირითადმა პარტიამ დაასუსტა ყველა პარტნიორი პარტია, იმიტომ რომ, სინამდვილეში, მისი მიზანი ერთპარტიულობა იყო. თუმცა, ყველა პარტიას იმედი ჰქონდა, რომ მრავალპარტიული კოალიცია მათ მიიყვანდათ მრავალპარტიულობამდე პარლამენტში. რესპონდენტი ამბობს, რომ სწორედ ეს იყო მიზანი, რის გამოც რესპუბლიკური პარტია იტანდა სირთულეებს და თვლიდა რომ გამოცდილება მოუტანდათ ერთიან მუშაობას, მაგრამ შედეგად 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქართულმა ოცნებამ მსგავსი სცენარი დადგა რაც 2012 წელს, რეპეტიცია გავლილმა შეძლო მტრის ხატზე აეგო ისევ არჩევნები. მტრის ხატით შექმნა საფრთხობელა, რამაც ამომრჩეველზე იმოქმედა და ხმები

მიიტაცა. ამას დამატებული საშინელი საარჩევნო კოდექსი, რომელიც საშუალებას აძლევს, რომ აბსოლუტური ძალაუფლება ჰქონდეს. რესპონდენტის აზრით, ყოვლისმომცველი პარტიის პრეტენზია აქვს ქართულ ოცნებას, ამიტომ გაურკვეველია რა იდეოლოგიის მატარებელი არის. პარტიის თავმჯდომარე მემარჯვენეა, თავად პარტია კი პრეტენზიას აცხადებს სოციალ-დემოკრატიაზე და უნდათ ევროპული სოციალ-დემოკრატების ნაწილი იყვნენ. ეს არის ჩვეულებრივი ხელისუფლებასთან შეზრდილი ჯგუფი, რომელსაც არ აქვს იდეოლოგია.

რესპონდენტი თვლის, რომ ნაკლებიდეოლოგიურია პარტია, რომელსაც ორიენტირი აქვს მოსახლეობის 80% მიიზიდოს. მისი აზრით, რესპუბლიკური პარტია არის პრინციპული პარტია. ისინი ოპოზიციაშიც და ხელისუფლებაშიც ყოველთვის ინარჩუნებდნენ თავიანთ პრინციპებს და ასეა უკვე 39 წელი. რამდენად არის დღეს ისეთი ვითარება, რომ ასეთი პარტიები გაძლიერდნენ და ხელისუფლებაში მოვიდნენ ამას დრო გვიჩვენებს. ამისათვის ბევრი მუშაობაა საჭირო. რესპონდენტი ამბობს, რომ ეს არ არის მხოლოდ საზოგადოების პრობლემა, კომუნიკაციის კუთხით პარტიებსაც აქვთ მინუსი, მაგრამ, როგორც წესი, პარტიები დაფინანსებაზე არიან დამოკიდებულნი. ეს დაფინანსებები მწირია, ხოლო დონორების პოვნა ძნელია, რადგან ბიზნესს ეშინია სპეცსამსახურების... რაც არ უნდა იდეოლოგია ჰქონდეს პარტიას, ბიზნესზე, თავისუფალ გარემოზე არ აქვს მნიშვნელობა, ბიზნესი მაინც მხარს სახელისუფლებო პარტიას დაუჭერს, იმიტომ რომ მათ თვითგადარჩენის ინსტიქტი აქვთ. სხვა შემთხვევაში მათზე ზეწოლა იწყება. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, პარტიებს უჭირთ, რომ სრულფასოვნად იყვნენ კომუნიკაციაში საკუთარ ამომრჩეველთან

რესპონდენტის აზრით, ყოვლისმომცველი პარტია ამომრჩეველთა მობილიზაციის დროს უპირატესობას ანიჭებს პოპულიზმს. მისი თქმით, ამის მაგალითად, შეიძლება ჩაითვალოს, ქართული ოცნების მიერ აგორებული კამპანია რესპუბლიკური პარტიის მიმართ ერთსქესიანთა ქორწინების თაობაზე. პოპულიზმი და თამაში მოსახლეობის ემოციებზე არის ყოვლისმომცველ პარტიაზე პრეტენზიების მქონე პარტიების დამახასიათებელი ნიშანი. რესპონდენტის აზრით, ყველამ კარგად იცის, რომ ადამიანებზე ეს მოქმედებს, რაც

უფრო მეტად ითამაშებენ პოპულიზმზე და ემოციებზე, მით უფრო მეტ ადამიანს შეაშინებენ, როგორც ეს გააკეთა ქართულმა ოცნებამ 2016 წელს... ამის შემდეგ კი რასაც აკეთებენ ხელისუფლებაში კარგად ჩანს. პარტიაში თვლიან, რომ მოსახლეობა იმედგაცრუებული რჩება, იმიტომ რომ ისევ და ისევ არარაციონალურ არჩევანს აკეთებს.

ხათუნა სამნიძე თვლის, რომ ყოვლისმომცველ და ნაკლებიდეოლოგიურ პარტიებს საქართველოში მომავალი არ აქვთ, ამის მაგალითად ისიც საკმარისია, რომ აღარ არსებობს მრგვალი მაგიდა, მოქალაქეთა კავშირი, აღორძინება, ნაციონალურ მოძრაობას კი დიდი პრობლემები აქვს. პარტიაში აღნიშნავენ, რომ ეს უკანასკნელი ამბობს ლიბერალური ღირებულების ვარო, მაგრამ რაც ნაციონალურმა მოძრაობამ გააკეთა ხელისუფლებაში ყოფნის დროს, იყო ლიბერალიზმის, როგორც ღირებულების დისკრედიტაცია და დღეს ლიბერალურის ხსენებაზე ადამიანებს აქვთ უარყოფითი განწყობილება. რესპონდენტის აზრით, ასეთი პარტიები იდეოლოგიის დისკრედიტაციას ახდენენ და როგორც წესი პრობლემები ექმნებათ. მათ საქართველოში მომავალი არ აქვთ.

4.4 დემოკრატიული მოძრაობა

ნინო ბურჯანაძემ, რომელიც ორჯერ იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და ორჯერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, 2008 წლის 23 ნოემბერს დააფუძნა პარტია ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა. რესპონდენტი მიიჩნევს, რომ პარტიის შექმნის საფუძველი იყო ნინო ბურჯანაძის ავტორიტეტი და მისი პოლიტიკური გამოცდილება, რომელთან ერთადაც პარტია იბრძვის ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.

ბესო დანელია აღნიშნავს, რომ დემოკრატიული მოძრაობა უფრო არის მემარჯვენე-ცენტრისტული პოლიტიკური ძალა. რესპონდენტის თქმით, ნაციონალური მოძრაობის დროს, სამწუხაროდ, პარტიას იარლიყად მიაკერეს „რუსეთუმეს“ სახელი, ვინაიდან წმინდა კლასიკური პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მისი წევრები თვლიდნენ, რომ აუცილებელი იყო მოლაპარაკება როგორც

დასავლეთთან ისე აღმოსავლეთთანაც, სამხრეთთანაც და ყველა იმ ქვეყანასთან, რომელთანაც საუბარი საქართველოს ტერიტორიულ ინტერესებს წაადგება, კონკრეტულად ამ შემთხვევაში რუსეთთან საუბარი იყო. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ვინაიდან რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს და ქვეყნის ტერიტორიაზე სამი სამხედრო ბაზა ჰყავდა განლაგებული, ნინო ბურჯანაძე ჩასული იყო მოსკოვში ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა მოლაპარაკებები დაწყებულიყო რუსეთთან. რესპონდენტის აზრით, სწორედ, ამის გამო სააკაშვილის ხელისუფლებამ თითქმის მოღალატეებად შერაცხა პარტიაც და მისი ხელმძღვანელიც... რესპონდენტის თქმით, მილიონები დაიხარჯა იმ საუბრებისთვის, რითაც სკანდალი ააგორა ნაციონალურმა მოძრაობამ ნინო ბურჯანაძისა და მისი პარტიის წინააღმდეგ.

ბესო დანელია აღნიშნავს, რომ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, თავისი პოლიტიკური წარსულიდან გამომდინარე, ძალიან კარგი კონტაქტები აქვს როგორც დასავლეთში ისე აღმოსავლეთში, ასევე რუსეთშიც უმაღლეს პოლიტიკურ წრეებთან. მას, როგორც ევროპასა და ამერიკაში, ისე მსოფლიოს ცივილიზირებულ სამყაროში, ყველგან მეგობრები ჰყავს.

რესპონდენტის აზრით, საუბრები იმაზე, რომ დემოკრატიული მოძრაობა რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ინტერესების გამტარებელი არის სამარცხვინო და ბინძური სიცრუეა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ გამოიყენა პარტიის წინააღმდეგ. ქვეყანას, რომელსაც საკუთარი სუვერენიტეტი, საკუთარი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა აქვს გადასარჩენი და პირველ ადგილზე ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს არ აყენებს და აყენებს თუნდაც სუპერ სახელმწიფოების ინტერესებს, როგორიცაა ამერიკა ან რუსეთი, ის ქვეყანა განწირულია იმისათვის, რომ ყოველთვის ვასალური პოლიტიკის მსხვერპლი გახდეს. კარგია სტრატეგიული პარტნიორობა, თანამშრომლობა ისეთ ძლიერ ქვეყნებთან როგორ ქვეყნებთანაც დღეს საქართველო თანამშრომლობს, მაგრამ დემოკრატიულ მოძრაობას მიაჩნია, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მოგვარების აუცილებელი პირობაა რუსეთთან ფართო მასშტაბიანი მოლაპარაკებების დაწყება. ეს არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს საქართველოს ევროპულ განვითარებას. დღემდე ვერ მოხერხდა უბლოკო

სტატუსის დარეგისტრირება, რაც ნიშნავს, რომ საქართველომ უარი უნდა განაცხადოს ნებისმიერ სამხედრო ბლოკში გაწევრიანებაზე. რესპონდენტი ამბობს, რომ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ეს ნეიტრალიტეტს შეადარა, რაც უვიცობაა, ვინაიდან ნეიტრალიტეტი არ ნიშნავს მხოლოდ ბლოკებში გაწევრიანებას, ნეიტრალიტეტს სჭირდება ძალიან დიდი ქვეყნების გარანტიები. ნეიტრალიტეტის ქვეყანა არის შვეიცარია. რესპონდენტის თქმით, საქართველო, რომელიც დღეს არის ქცეული რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირების პოლიგონად და რომელსაც ტერიტორიის უზარმაზარი ნაწილი 20% დაკარგული აქვს, უნდა გამოცხადდეს უბლოკო სტატუსის ქვეყნად, რაც ნიშნავს, რომ საქართველო არცერთ პოლიტიკურ ბლოკში არ გაწევრიანდება. უარი განაცხადოს, როგორც ნატოში, ასევე ნებისმიერ სხვა ბლოკში გაწევრიანებაზე, რაც იქნება ქვეყნის მშვიდობის გარანტი. იარაღის ჟღარუნი და ის, რომ რუსეთს ჰყავდა ჟანგიანი ტანკები 2008 წელს ქვეყანას ძვირი დაუჯდა. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, საქართველო, ფაქტიურად, მარტო დარჩა სუპერ სახელმწიფოს წინააღმდეგ და დამხმარე არავინ აღმოჩნდა. პარტია მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ქვეყანა აღარ იქცეს, პოლიტიკური ნაბიჯებიდან გამომდინარე, სამხედრო დაპირისპირების პოლიგონად. 2008 წლის ომმა ბევრი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. რესპონდენტის აზრით, პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს დემოკრატიული მოძრაობა, მიმართული არის ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. სააკაშვილის რეჟიმის დროს დემოკრატიულ მოძრაობას ჰყავდა უპრეცედენტო რაოდენობა, ცივილიზირებულ სამყაროში, პოლიტიკური პატიმრებისა (49 პოლიტიკური პატიმარი), რომელიც მთელი მსოფლიოს მიერ იქნა აღიარებული.

რესპონდენტი მიიჩნევს, რომ სამწუხაროა, მაგრამ საქართველოში არ არის პოლიტიკური კულტურის ის დონე, რომ ქართველმა ამომრჩეველმა არჩევანი გააკეთოს პარტიებზე იდეოლოგიის კუთხით.

დემოკრატიულ მოძრაობას აქვს თავისი საარჩევნო პროგრამა როგორც საპრეზიდენტო, ასევე საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებზე. პარტიაში აღნიშნავენ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე დემოკრატიულმა მოძრაობამ, უარი განაცხადა, იმის გამო, რომ ოპოზიციური

ხმები არ გაყოფილიყო და თავიდან ბოლომდე თანადგომა გამოუცხადეს ქართულ ოცნებას, რათა თავიდან მოეცილებინათ ის რეჟიმი, რომელიც, რესპონდენტის თქმით, უკვე ავტორიტარულ რეჟიმად იყო ქცეული. ამის გამო, პარტიამ უარი თქვა საკუთარ ინტერესებზე და გარკვეულ ინტერესებზე ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, ის რეალობა რაც დადგა მომავალში და ჩამოყალიბდა ასახავს მხოლოდ იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება ჩამოყალიბდნენ ერთ პოლიტიკურ ძალად.

რესპონდენტის აზრით, ქართულ ოცნებაში არ იყო არავითარი იდეური თანხვედრა. მასში წარმოდგენილი იყო აბსოლუტურად განსხვავებული იდეოლოგიის პარტიები სოციალ-დემოკრატები, მემარცხენეები, მემარჯვენეები, ცენტრისტები და კალინისტები ერთ ბლოკში იყვნენ გაერთიანებული და მათ მხარი დაუჭირა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ. აქ იდეოლოგიაზე ლაპარაკი ზედმეტია, ამიტომ არ არსებობს, ჯერ-ჯერობით, საქართველოში ის პოლიტიკური კულტურა, რომელიც იდეოლოგიური ნიშნით აარჩევს და მხარს დაუჭერს ამა თუ იმ პარტიას.

დემოკრატიულ მოძრაობაში მიიჩნევენ, რომ არჩევნების დროს ამომრჩეველი, სამწუხაროდ, არ აქცევს ყურადღებას პარტიის იდეოლოგიას. ამომრჩეველი რეალურად არჩევანს აკეთებს რამდენიმე მომენტიდან გამომდინარე, თუ იმ დროისთვის ადამიანი არის სახელმწიფო მოხელე მას იძულებულს ხდიან, რომ არჩევანი მმართველი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ გააკეთოს. რესპონდენტი ამბობს, რომ ეს პრაქტიკა ადრეც იყო, მაგრამ სააკაშვილის დროს განსაკუთრებით დამკვიდრდა, რადგან ნაციონალების დროს ხმის მიცემის მომენტი ამომრჩეველს ტელეფონით უნდა გადაეღო და ეჩვენებინა, რომ ხმა ნამდვილად ნაციონალებს მისცა. სხვა შემთხვევაში დაკარგავდნენ სამსახურს და შემოსავალს, რითაც ოჯახს არჩენდნენ. ამ პრაქტიკას აგრძელებს ქართული ოცნებაც. პოლიცია, სამართალდამცავი ორგანოები, ჯარი თავიდან ბოლომდე, მთელი ადიმინისტრაციული რესურსი ჩართულია იმაში, რომ ამომრჩეველმა ხმა საკუთარი ნების წინააღმდეგ გააკეთოს... პარტიაში თვლიან, რომ პოლიტიკური კულტურის არ არსებობა გამოწვეულია იმით, რომ ადამიანებს, როგორც ნახირს

ისე მიერეკებიან არჩევნებზე, თავზე ადგანან და გამგებლები თუ დეპუტატები უმოწმებენ ტელეფონით გადაღებულ კადრებს თუ ვის მისცეს მათ ხმა...

საქართველოში არის ისეთი პარტიები სადაც იდეოლოგია დაცულია. რესპონდენტი ამბობს, რომ დემოკრატიული მოძრაობა ამის მაგალითია, რომლისთვისაც მიუღებელია ლიბერტალიანური იდეები, რომლითაც გამოირჩევა რესპუბლიკური პარტია და ნაციონალური მოძრაობა. დემოკრატიულ მოძრაობაში აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ამახვილებენ იდეოლოგიაზე, ეროვნულ იდეოლოგიაზე და მის დაცვაზე. მათთვის მიუღებელია ერთსქესიანთა ქორწინება, კონკრეტული ლიბერალური იდეები.

რესპონდენტის აზრით, იდეოლოგია ზღუდავს წინასაარჩევნო პროგრამას და აქცევს მას ჩარჩოში. სპეციალისტთა ჯგუფი მუშაობს პარტიის იდეოლოგიაზე. პარტიის რიგითი წევრები არიან ის ადამიანები და ის ძალა, რომელიც პარტიას ასულდგმულებს. პარტიაში აღნიშნავენ, რომ დემოკრატიულ მოძრაობას ჰყავს 56 000 რეგისტრირებული წევრი. მნიშვნელოვანია საწევრო შენატანები 50 თეთრი, ან ერთი ლარი, მართალია ეს თანხა მინიმალურია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, მითუმეტეს, როდესაც პარტიას არ აქვს ისეთი დაფინანსება როგორიც გააჩნიათ სახელისუფლებო პარტიებს. ყველა პარტია მის წევრებზე დგას და ამიტომ, უმნიშვნელოვანესია წევრების როლი. პარტიის წევრები განაპირობებენ პარტიის ძალას, პარტიის წევრები განაპირობებენ პარტიის არჩევნებისათვის სამზადისის პროცესს და იმას, თუ როგორ იქნება წარმოდგენილი პარტია ამა თუ იმ არჩევნებში. პარტიის წევრები არიან უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი პარტიისა, ვინაიდან მხოლოდ ლიდერები, მხოლოდ პოლიტიკური პარტიის საბჭო პარტიის წევრების გარეშე იქნებოდა მხოლოდ სათათბირო ორგანო. სწორედ პარტიის წევრების მიერ უნდა მოხდეს იმ გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველყოფა, რომელიც პოლიტიკურ საბჭოზე იქნება მიღებული. პარტიის სტრუქტურა არის უმნიშვნელოვანესი ორგანიზმი. პარტიას მთელი ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს დიდ ქალაქებსა თუ რაიონულ ცენტრებში აქვს გახსნილი ოფისები, სადაც იდეოლოგიური მუშაობა და სამზადისი მიმდინარეობს.

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ყველა პარტიის მიზანია ხელისუფლებაში მოსვლა. პარტია, რომელიც იტყვის, რომ ჩემი მიზანი ხელისუფლებაში მოსვლა არ არისო, ის პოლიტიკური პარტია არ არის. შესაბამისად, წევრების როლი არის განუსაზღვრელად დიდი.

ბესო დანელიას აზრით, საქართველოში არსებობენ ყოვლისმომცველი პარტიები, რომლებიც ყოველი არჩევნების წინ, გამომდინარე იქედან, თუ როგორი პოლიტიკური მოცემულობა არის იმ მომენტში და თუ რა გამორჩენა შეიძლება ნახოს პარტიამ, იცვლიან პოზიციებს, ღალატობენ პრინციპებს და ყოველთვის სხვადასხვა იდეოლოგიით გამოდიან ამომრჩევლის წინაშე.

ძალიან მნიშვნელოვანია პარტიის პოლიტიკური ცხოვრების პროცესი, მისი განვითარების პროცესი. რესპონდენტის თქმით, ის პარტია, რომელიც დღეს ერთს ამბობს, ხოლო ხვალ კი თავისივე ნათქვამის წინააღმდეგ გამოვა, ნიშნავს იმას, რომ ასეთი პარტია საკუთარი პრინციპების, პოლიტიკური იდეების ერთგული არ არის.

დემოკრატიულ მოძრაობაში მიიჩნევენ, რომ ყოვლისმომცველი პარტიებია, რომლებიც დღეს ლიბერალური იდეებით გამოდიან, ხვალ ეროვნული იდეებით, ზეგ ცენტრისტები არიან, მასზეგ თუ დაფინანსებას დაპირდებიან მემარცხენე ან მემარჯვენე იდეებით გამოვლენ... ასეთი პარტიებით სავსეა საქართველო... ქვეყანაში 300-მდე პოლიტიკური პარტიაა. 2012-2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა ქართულმა ოცნებამ, რომელშიც გაერთიანებული იყო ექვსი პოლიტიკური ძალა და გასაკვირი ის არის, რომ ექვსივე პარტია, აბსოლუტურად, განსხვავებული იდეოლოგიური მიმართულების არის.

პარტია მუშაობს ამომრჩეველზე. რესპონდენტის აზრით, დღეს, დედაქალაქში რომ გააჩერონ 50 კაცი და ჰკითხონ რა არის მემარჯვენე ან მემარცხენე პოლიტიკური იდეოლოგია - იქედან 49 კითხვას ვერ უპასუხებს... რეალურად, ქართველი ამომრჩეველი, ქვეყანაში არსებული სოციალური ფონიდან, სიდუხჭირიდან გამომდინარე, რომელშიც ის იმყოფება, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ დაპირებებს, რომლებსაც პარტიები იძლევიან ფინანსური კუთხით, პენსიების კუთხით, სოციალური დაპირებების კუთხით. ამიტომ, პარტიებს შორის არსებული იდეოლოგიური სხვაობა ამომრჩეველს არ აინტერესებს.

რესპონდენტის თქმით, ქართული ოცნების დაპირებები ადამიანების დიდმა ნაწილმა სერიოზულად მიიღო... ბიძინა ივანიშვილი სესხებს დაგვიფარავსო ხალხმა ეს დაიჯერა, დაიჯერა, რომ პენსიებს გაორმაგებდა ივანიშვილი და ამიტომ ამომრჩეველმა ხმა ქართულ ოცნებას მისცა... საუბარი მხოლოდ და მხოლოდ იქედან გამომდინარეობს, თუ ვინ მოახერხებს ადამიანებისთვის ცხოვრების ოდნავ მაინც გაუმჯობესებას, კონკრეტული სოციალური კუთხით. პარტიაში მიიჩნევენ, რომ ამომრჩეველთა 90%, რომელიც აჩევნებზე არჩევანს აკეთებს, საერთოდ არ აქვს წაკითხული პარტიის პოლიტიკური პროგრამა. ეს არაერთმა კვლევამ დაადასტურა და ეს არის კატასტროფა. ადამიანები მიდიან და არჩევანს აკეთებენ იმ პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ, რომლის პოლიტიკური პროგრამა წაკითხულიც კი არ აქვთ... რესპონდენტი ამბობს, რომ პროგრამას, რომელსაც სთავაზობენ პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ 25% არ ასრულებენ... ადამიანები იმედგაცრუებულები რჩებიან ... რეალურად, რაც ყურს ეამება და რასაც ამომრჩეველი ჩათვლის, რომ მათ მოკლევადიან პერსპექტივაში რაიმე სარგებელს მოუტანთ, არჩევანიც ამის მიხედვით ხდება. ყოვლისმომცველი პარტიები ამით სარგებლობენ და აკეთებენ მობილიზაციას სწორედ აქედან გამომდინარე.

რესპონდენტის აზრით, საქართველოში მხოლოდ ორ პარტიას, ორ პოლიტიკურ ძალას - ნაციონალურ მოძრაობას და ქართულ ოცნებას გააჩნია ფინანსური რესურსი და შესაძლებლობები იმისა, რომ სწრაფად მოახდინონ მობილიზება. წინასაარჩევნოდ ადამიანებს ორი-სამი თვის განმავლობაში უხდიან ხელფასს და ასაქმებენ მათ. პარტიების უმრავლესობა მათი მხარდამჭერების, ენთუზიაზისტების, პარტიის წევრების საშუალებით ცდილობს საარჩევნო კამპანიის ჩატარებას. სწორედ ფინანსებშია საქმე და იმაში, თუ რა რესურსი გააჩნია პოლიტიკურ ძალას.

პარტიაში აღნიშნავენ, რომ ადამიანს შეიძლება განსხვავებული პოლიტიკური ხედვა გააჩნდეს, განსხვავებული პოლიტიკური ძალისთვის ჰქონდეს გადაწყვეტილი ხმის მიცემა, მაგრამ შეხედულება შეიცვალოს კონკრეტული თანხის გამო, რაც საბოლოოდ ძალიან მძიმედ აისახება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე და ეს არის კატასტროფა.

რესპონდენტი აზრით, საფრთხე იმისა, რომ პრინციპული ოპოზიცია შესაძლებელია გაქრეს პარლამენტსა თუ საზოგადოებაში არსებობს, რადგან ხელისუფლება, რომელმაც მოახერხა ორ პოლუსად, ორ პოლიტიკურ ძალად დაეყო საქართველო და ეს ორი პოლუსი ყოფილიყო ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება და სხვა არავინ; ხელისუფლება რომელიც ებრძვის არასაპარლამენტო ოპოზიციას; ხელისუფლება, რომელიც იღებს კონსტიტუციას, რომელსაც სახელისუფლებო პარტიის გარდა, ქვეყანაში არც ერთი პოლიტიკური პარტია არ ეთანხმება - ეს ხომ კატასტროფული მდგომარეობაა. რესპონდენტის თქმით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ დაფინანსება შეუწყვიტოს პოლიტიკურ პარტიებს, მიიღოს უსახური კანონები და ბარიერის გაზრდის ხარჯზე, კონკრეტული მანიპულაციების ხარჯზე, მხოლოდ სახელისუფლებო პარტიას გააჩნდეს უზარმაზარი დაფინანსება, რათა მოწმინდოს და გაანადგუროს პოლიტიკური არენიდან პარტიები... დემოკრატიულ მოძრაობაში მიიჩნევენ, რომ ამის მაგალითია ალასანიას პარტია, რომელიც ფაქტიურად დაიშალა და რესპუბლიკური პარტია, რომელიც ფაქტიურად დაიშალა.

დემოკრატიულ მოძრაობაში მიიჩნევენ, რომ 2016 წლის შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური ველი ფაქტიურად დაანგრია... რესპონდენტის თქმით, ვერც სააკაშვილის რეჟიმმა და ტერორმა, ხალხის დაჭერამ ვერ დაშალა დემოკრატიული მოძრაობა და ვერც ქართული ოცნება შეძლებს ამას.

როგორც პარტიაში აღნიშნავენ, დღეს საქართველოში ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ ყველანაირი, რეალური, ოპოზიციური პოლიტიკური აზრი მოკლას და საუბარი იმაზე, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესის განვითარებას ხელშეწყობა აქვს არის დიდი აბსურდი. ისეთი პარტია, რომელიც თვითონ იღებდა გადაწყვეტილებებს და თვითონვე სვამდა კითხვებს იყო მხოლოდ კომუნისტური პარტია... აი ეს არის ძალიან მძიმე...

რესპონდენტი ამბობს, რომ სამწუხაროდ, დღეს საქართველოში, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გამორიცხულია შეიქმნას პარტია, მხოლოდ იდეოლოგიური თანხმობის შედეგად შეკრებილ ადამიანთა ჯგუფის მიერ და ასეთმა პარტიამ ადგილი დაიმკვიდროს, რა თქმა უნდა, თუ არ იქნება სატელიტი, ისევე როგორც დღეს პარტია ევროპული საქართველოა, რომელიც კონკრეტულად

ნაციონალური მოძრაობის ერთი ნაწილისაგან შემდგარი, ბიძინა ივანიშვილთან და ქართულ ოცნებასთან გარიგებული პოლიტიკური ძალაა და ხელოვნურ ოპოზიციას ქმნის.

ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას სჭირდება ტელეეთერი, რათა პარტიამ თავისი სათქმელი მიიტანოს ხალხამდე. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ერთადერთი გადაცემა იყო თავისუფალი ტრიბუნა, საზოგადოებრივ მაუწყებელზე, სადაც ერთი საათი გააჩნდა ყველა პოლიტიკურ სუბიექტს - ამ შემთხვევაში იგულისხმევა ის პოლიტიკური სუბიექტები ვინც გადალახეს 3%-იანი ბარიერი და ეს იყო პარტიების უმეტესობა, რომლებიც გამოდიოდნენ და ერთი საათის განმავლობაში მიმართავდნენ მოსახლეობას და აცნობდნენ საკუთარ იდეოლოგიას და საკუთარ პლატფორმას, ეს გადაცემაც კი დახურეს. რესპონდენტის თქმით, ყველა ეთერი დახურულია, გარდა ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების სახელისუფლებო არხებისა. დემოკრატიულ მოძრაობაში თვლიან, რომ ფინანსური რესურსების გარეშე, ქართულ პოლიტიკაში ძნელია ახალმა პოლიტიკურმა ძალამ მხოლოდ საკუთარი იდეოლოგიით დაიმკვიდროს თავი.

4.5 ლეიბორისტული პარტია

პარტია ჩამოყალიბდა 1995 წელს, მისი დამფუძნებელი და ლიდერი არის შალვა ნათელაშვილი. პარტიას ჰქონდა წარმატებებიც და წარუმატებლობებიც, მაგრამ, როგორც რესპონდენტი აღნიშნავს, ძირითადად პარტია იყო რეჟიმების მსხვერპლი, არჩევნების გაყალბების მსხვერპლი, თუმცა ერთ-ერთი, პარტიაა, რომელმაც შეინარჩუნა საკუთარი იდეოლოგია, საკუთარი სახე. არ ყოფილა არასდროს არცერთ სახელისუფლებო ბლოკში და არც ოპოზიციურად „მონათლულ“ ბლოკში. პარტია ცდილობს მემარცხენე ცენტრისტული იდეების განხორციელებას, რაც დაკავშირებულია ძირითადად სოციალურ გარანტიებთან, ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარშესაძლებლობებს ყველა მოქალაქისთვის; და ეს ძირითადი საკითხები დაკავშირებული არის განათლებასთან - მის ხელმისაწვდომობასთან, დაკავშირებული არის ჯანდაცვასთან - მის ხელმისაწვდომობასთან, დაკავშირებული არის შრომით უფლებებთან, მათ შორის უსაფრთხო შრომით

გარემოსთან, სამართლიანი ანაზღაურება დაკავშირებული არის ასევე იმ ძირითად სოციალურ გარანტიებთან, რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანს შეექმნას ღირსეული საცხოვრებელი პირობები, რათა მისი ღირსება არ იქნას შელახული; და ამავე დროს იდეოლოგია მიმართულია, რომ მაქსიმალურად შეიზღუდოს მონოპოლიები, ოლიგოპოლიები, ოლიგარქიული მიმართულების სტილი, რაც სამწუხაროდ დამყარებულია დღეს ქვეყანაში და რომელიც არის თანამედროვე მონათმფლობელობის ნაირსახეობა.

გიორგი გუგავას აზრით, პარტიის საქმიანობა იდეოლოგიური ჩარჩოებიდან გამოდის. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არიც ოკუპაციის საკითხი და სხვა პოლიტიკური საკითხები, მაგრამ მთავარი ამოსავალი, მამოძრავებელი ღერძი, ძრავა, ის იდეოლოგიური საკითხებია, რაც ზემოთ აღინიშნა და რაც ქვეყანაში ძალიან მძიმედ დგას.

პარტიაში მიიჩნევენ, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის იქამდე მისული, რომ ამომრჩეველმა იდეოლოგიას მიაქციოს ყურადღება. 25 წელი დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის მცირე დროა, ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მყარი იდეოლოგიური საფუძვლები ჩამოყალიბდეს და არჩევნები ამ აზროვნების მხრივ წარიმართოს.

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საქართველოში მოვლენები განვითარდა საკმაოდ მძიმედ... მოხდა სამოქალაქო დაპირისპირება, დამხობილ იქნა კანონიერი ხელისუფლება... შემდეგ ყოფილმა საბჭოთა, კომუნისტურმა ნომენკლატურამ იმძლავრა, რომელიც ჩაერთო ქვეყნის ქონების მიტაცებაში. ბუნებრივია, ამ პროცესში ყოველთვის იჩაგრებოდა მოქალაქეები. შემდეგ ოკუპაციის პერიოდმა წამოიწია წინ და არის ომი, მერე რევოლუციები. შემდეგ ოლიგარქია აღქმული იქნა სოციალურად შეჭირვებული ადამიანების იმედად. თითქოს ოლიგარქია შექმნიდა ისეთ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა მოქალაქეთა სოციალურ გარანტიებს. შედეგი აღმოჩნდა საპირისპირო, რადგან ბუნებრივია, რომ ამ კლასის წარმომადგენლები ასეთ სისტემას ვერ შექმნიდნენ, მათ სისტემა მოარგეს საკუთარ ინტერესებს.

ლეიბორისტულ პარტიაში თვლიან, რომ კულტურა არ არის დახვეწილი ქვეყანაში ისე, რომ იდეოლოგიური პრიზმის მიხედვით ხდებოდეს მხარდაჭერა

პარტიების მიმართ. ევროპა არც 20, არც 25 და არც 30 წელიწადში არ მისულა იმ პარადიგმებამდე, რა პოლიტიკური პარადიგმებიც დღეს იქ მოქმედებს პოლიტიკურ გარემოსა და სიტუაციაში. გამომდინარე აქედან, დრო და განათლება ყველაფერს სჭირდება.

გიორგი გუგავა ამბობს, რომ მრავალრიცხოვანი ამომრჩევლის მობილიზებისთვის ლეიბორისტული პარტია ტრადიციულ ხერხებს მიმართავს, ეს შეიძლება იყოს სატელევიზიო მიმართვა, აქტიურობა, თოქ-შოუებში მონაწილეობა, პრობლემების წამოწევა, აქციები, წინასაარჩევნო მასალის დარიგება, კარ და კარ პროგრამები, სოფელ-სოფელ სიარული... ის კლასიკური მეთოდები, რომლებიც გამოიყენება არჩევნების დროს. ხელისშემშლელი ფაქტორებიც ბევრი არსებობს, რადგან ეს დაკავშირებული არის დიდ ფინანსურ შესაძლებლობებთან. აუცილებელია ოფისები, ფართობი, ინფრასტრუქტურა, მოხალისეები, რომელთა პოვნა ძნელია, მაგრამ მოხალისეებიც რომ იყოს, მინიმალური გადაადგილების, კომუნიკაციის, კვების საშუალება უნდა არსებობდეს, ხოლო როდესაც შეზღუდულია ეს ყოველივე, მაშინ მიზნის განხორციელება ძნელია.

რესპონდენტის თქმით, მრავალრიცხოვანი ამომრჩევლის მობილიზებისთვის გადამწყვეტი შეიძლება იყოს ფინანსები, როდესაც გიპირისპირდება მილიარდელ, მილიონერთა პარტიები, პოლიტიკური ჯგუფები თუ ფინანსურ-ეკონომიკური ჯგუფები. პარტიაში მიიჩნევენ, რომ დემოკრატიული, სამართლიანი პოლიტიკური და საარჩევნო სისტემის ერთ-ერთი მთავარი ამოსავალი წერტილი ის არის, რომ თანაბარი პირობები იყოს, ეს თანაბარი პირობები დიდი ხანია უზრუნველყოფილი არ არის, არც შევარდნაძის პერიოდში იყო ეს, არც სააკაშვილის დროს და დღეს მითუმეტეს. დღეისათვის ტოტალური დისბალანსია სამართლიანობასა და თანაბრობის პრინციპს შორის.

რესპონდენტი თვლის, რომ კლასიკური გაგებით, ფაქტიურად არ არსებობს იდეოლოგიის მატარებელი პარტია, ლეიბორისტული პარტიის გარდა. პოლიტიკური კლასიც და ამომრჩეველიც ერთად იზრდება. ბუნებრივია, არის სტაბილური ფენა, რომელიც იდეოლოგიის ნიშნით იღებს გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედებს მრავალ ფაქტორთა ერთობლიობა:

იდეოლოგია, ლიდერის ქარიზმა, კონკრეტული პოლიტიკური გარემო და კონკრეტული პოლიტიკური ამოცანა, სოციალურ-ეკონომიკური გარემო.

პარტიაში აღნიშნავენ, რომ ამერიკაში ვინც მხარს უჭერს რესპუბლიკელებს ან დემოკრატებს, ის ითვლება პარტიის წევრად. იყო სისტემა, როცა აღრიცხვა ხდებოდა პარტიის წევრების, ზოგი აქტიური იყო, ზოგი პასიური, ეს ცვალებადია. განსაკუთრებული როლი ენიჭება პარტიის წევრს, როდესაც არის თვითმმართველობის არჩევნები, რადგან მთლიანად არიან ჩართულნი ამ პროცესში.

ლეიბორისტულ პარტიაში ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს პარტიის ყრილობა, დელეგატები რომლებსაც ირჩევენ პარტიის წევრები, შემდეგ მოდის პოლიტიკური საბჭო, ეროვნულ-პოლიტიკური საბჭო, ეროვნულ-პოლიტიკურ საბჭოში ყრილობის მიერ არჩეული და მანდატმიცემული პიროვნებები არიან არჩეული. ასევე არის სამდივნო, რომელიც ყოველდღიურ ოპერატიულ გადაწყვეტილებებს იღებს. ასევე არსებობს თავმჯდომარე, რომელსაც თავისი ექსკლუზიური უფლებები გააჩნია. ყრილობა ოთხ წელიწადში ერთხელ იკრიბება და იღებს, მაგალითად, ისეთ გადაწყვეტილებებს როგორიცაა: იდეოლოგიური და სტრატეგიული საკითხები, ბლოკებში გაერთიანება/არ გაერთიანების საკითხი. რესპონდენტი ამბობს, რომ ყოველდღე ან ყოველ კვირას ყრილობის ჩატარების ფუფუნება პარტიას არ აქვს, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხებზე ტარდება კონფერენცია, რეგიონული კონფერენციები ან პოლიტსაბჭო იკრიბება გაფართოებული შემადგენლობით.

რესპონდენტის აზრით, ლეიბორისტული პარტიის გარდა, გარკვეული იდეოლოგიური ხაზის მატარებელი შეიძლება იყოს რესპუბლიკური პარტია. რესპუბლიკური პარტია არის ნეოლიბერალური ღირებულებების გამტარებელი და ამაზე დგას ყოველთვის, არც მალავენ, არც ფარავენ, ყოველთვის ამ იდეოლოგიის სამსახურში არიან და ცდილობენ მის პროპაგანდას, მისი პრინციპების დაცვას. მათი იდეოლოგიური ხაზი ლეიბორისტებისთვის მიუღებელია, მაგრამ პატივისცემას გამოხატავენ.

პარტიაში თვლიან, რომ იდეოლოგია წინასაარჩევნო პროგრამის საფუძველი უნდა იყოს. წინასაარჩევნო პროგრამა ამავე დროს უნდა პასუხობდეს გამოწვევებს,

უნდა შეეძლოს პოლიტიკური ამოცანების გადაჭრა, მაგრამ ჩარჩო იდეოლოგია უნდა იყოს.

რესპონდენტი თვლის, რომ ყოვლისმომცველი ხასიათის პარტიები, რომ არსებობდეს პრაქტიკაში, არსებული პრობლემები გადაჭრილი იქნებოდა.

პარტიაში აღნიშნავენ, რომ მემარცხენეს და მემარჯვენეს შორის განსხვავებები არის ძალიან მცირე. არის საერთო საკითხები, რომელსაც მემარცხენეობა და მემარჯვენეობა არ სჭირდება და პოლიტიკური ამოცანაა, რომ თუ აწუხებს საზოგადოებას და ის არის თანამედროვე გამოწვევა, მაშინ უნდა გადაწყდეს. რესპონდენტი ამბობს, რომ ყოვლისმომცველი პარტია ბუნებაში არ წარმოშობილა, შეიძლება დაარქვა, შეიძლება ყველაფერი ჩაწერო, მაგრამ იყოს ერთმანეთთან შეუთავსებელი. როდესაც პარტია ამბობს, რომ ჩვენი იდეოლოგიური ხაზი არის სოციალური გარანტიების გაძლიერება ქვეყანაში, მისი რეალიზება უნდა მოხდეს, უნდა გაიზარდოს შემოსავალი. მეორე მხარე არის ულტრალიბერალური ან მემარჯვენე იდეოლოგია, რომელიც გვეუბნება რაც შეიძლება ცოტა გადასახადი და მეტი თავისუფლება ეკონომიკურ აგენტებს. „ოცნება“ არის ისეთი, რომელიც ორივეს გაკეთებას პირდება საზოგადოებას. როდესაც ასეთი იდეოლოგიური სიმახინჯეები წარმოიქმნებიან ის იძლევა ატროტირებულ პოლიტიკურ გარემოს.

რესპონდენტის აზრით, საქართველოში წინასაარჩევნოდ ყველა ხდება მემარცხენე, ხოლო ხელისუფლებაში როდესაც მოდიან ულტრამემარჯვენე, ულტრალიბერალურ გადაწყვეტილებებს იღებენ.

გიორგი გუგავა თვლის, რომ ასეთი მახინჯი პოლიტიკური სისტემა, რაც დღეს ქვეყანას გააჩნია, დაღუპავს და ამაშია დიდი უბედურება. რესპონდენტი ამობს, რომ ქვეყნის 90% სოციალურად შეჭირვებულია, ხოლო 10%, რომელიც ძალიან მდიდარია ახორციელებს საკუთარ პოლიტიკას, ექსპლუატაციას, დამონებას, რეალურად თანამედროვე მონობის ნაირსახეობა გვაქვს დღეს. ამიტომ ვერ ვითარდება ქვეყანაში წვრილი და საშუალო ბიზნესი. დიდი აგენტები მონოპოლიები არიან და ხელისუფლებაში არიან მთლიანად მოსული. რესპონდენტი ამობს, რომ თუ შევარდნაძის, სააკაშვილის დროს პოლიტიკურ ძალებს ეფარებოდნენ, ინტეგრირებულნი იყვნენ და ასე ახორციელებდნენ თავიანთ ამოცანებს, ახლა პირდაპირ ხელისუფლებაში, პარლამენტში,

მთავრობაში არიან. მთავრობის შემადგენლობიდან 12 მილიონერია, შესაბამისად, ბიზნესინტერესები გააჩნიათ. პარლამენტში 40 მილიონერი აღმოაჩინეს, საკრებულოში 16 თუ 17 და ა.შ.

რესპონდენტი მიიჩნევს, რომ რადიკალურად განსხვავებული იყო 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნები. 2012 წელს ამოცანა იყო, რომ მოვიდა კეთილი მესია, რომელმაც უნდა სძლიოს ბოროტს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში იდეოლოგიამ ნაკლებად იმუშავა. დაახლოებით ასეთი ნარატივი იყო შექმნილი - გადარჩენა/არ გადარჩენის საკითხი და ამის ირგვლივ მოხდა საზოგადოების პოლარიზება და შედეგიც შესაბამისი იყო.

პარტიაში აღნიშნავენ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მრავალპოლუსიანი პოლიტიკური ცენტრები არსებობდა, მაგრამ მმართველმა პარტიამ, შეთანხმებით დიდ პოლიტიკურ ჯგუფთან, ყოფილ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციული რესურსი ისე გამოიყენა, რომ ასეთი შედეგები მიეღოთ საბოლოო ჯამში. რესპონდენტი ამბობს, რომ ოლიგარქიული მმართველობის სტილისთვის დამახასიათებელია ხელოვნურად შექმნას პოლუსები, მტრის ხატი და ებრძოლოს მას, მოახდინოს პოლარიზება, შეეცადოს გააქროს სხვა პოლიტიკური აქტორები მოედნიდან.

რესპონდენტის აზრით, პრინციპული ოპოზიციის გაქრობის საფრთხე ყოველთვის არსებობს, მაგრამ პარტია და სხვა ინსტიტუციებიც საზოგადოების ნაწილია, მისი ნაყოფია. კონკრეტული პოლიტიკური პარტია იმ დაკვეთის შემსრულებელია, რაც საზოგადოებაში არსებობს. თუ საზოგადოებაში გაქრება ასეთი პრინციპები, ბუნებრივია, გაქრება პარტიაშიც. ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორია საკმაოდ მცირე ხანს მოიცავს, ისეთ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში გვიწევს ცხოვრება ბევრი გარე ფაქტორი ზემოქმედებს და ამიტომ ბევრი ქარიშხალი, ბევრი ტექტონიკური ძვრა განიცადა პოლიტიკურმა სისტემამ, შესაბამისად, ჩამოყალიბება უჭირს, მაგრამ ზოგადად მაინც ყალიბდება. თითოეული ეს მოვლენა არის გამოცდილება პოლიტიკური პარტიებისთვის, პიროვნებისთვის და საერთოდ საზოგადოებისთვის. თუ გამოცდილებას დაემატება განათლებული, ახალი თაობის შემოსვლა და მათი მთავარი

ღირებულებები პრინციპები იქნება და არა პირადი მერკანტელური მიზნები, ბუნებრივია ეს დაიხვეწება.

რესპონდენტი მიიჩნევს, რომ არსებობენ პარტიები, რომლებიც ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებენ, ასეთი პარტიები არიან შიდა თავში დაპირისპირებული იდეების მატარებელი, რომელთაც ერთი ხაზი არ აქვთ. ამის ნათელ მაგალითად რესპონდენტს მოყავს მმართველი პარტია, რომელმაც ერთის მხრივ შეიძლება შემოგვთავაზონ ულტრამემარცხენე იდეა და მეორეს მხრივ, მიიღონ სხვაგვარი გადაწყვეტილება. პარტიაში მიიჩნევენ, რომ ყოვლისმომცველობა და ზეიდეები ძირითადად დამახასიათებელი არის ან თაღლითისათვის ან რომელსაც სურს დიქტატურისკენ წაიყვანოს ქვეყანა.

ლეიბორისტულ პარტიაში მიიჩნევენ, რომ ყოვლისმომცველი ხასიათის პარტიებს ძირითადად გააჩნიათ ფინანსური რესურსი, რაც ბოლო წლების დომინანტი გახდა ამომრჩეველთა მიმართებაში. რესპონდენტის თქმით, ბუნებრივია, ფული, მატერიალური რესურსი სჭირდება არჩევნებს, მაგრამ თუ მთავარი აქტორი იქნება ფული, იქ ვიღებთ ისეთ ხელისუფალს, ისეთ მმართველობას, სადაც დომინირებს ოლიგარქები, ანუ სიმდიდრის ეკონომიკური ბერკეტების მფლობელი, რომელსაც სჭირდება პოლიტიკური ძალა, რომ დაიცვას საკუთარი ქონება და გააგრძელოს ამ მმართველობით სვლა. პარტიაში თვლიან, რომ ეს სიმახინჯე თუ აღმოფხვრილი არ იქნება, სახელმწიფოს შენარჩუნება რთული იქნება. ყოველივე ეს კი რამდენად მომხიბვლელია ამომრჩევლისთვის, მის კულტურაზე, განათლებაზეა დამოკიდებული. როდესაც ხმას აძლევ არა პრინციპებიდან და არსებული პრობლემებიდან გამომდინარე და არა იმის მიხედვით, თუ ვინ გამოხატავს შენ კლასობრივ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ ინტერესებს, არამედ სხვა ნიშნით, მაშინ იღებ აღრევას და ამიტომაც არის არასტაბილური, მყიფე პოლიტიკური გარემო. რესპონდენტის აზრით, საქართველო არა მარტო ვიზალიბერალიზაციით და გეოგრაფიულად, არამედ მენტალურად, კულტურულად და განათლების თვალსაზრისით უნდა დავუახლოვდეს დასავლურ ცივილიზაციას; ეს გულისხმობს იმასაც, რომ პოლიტიკურ ძალებს ხმას აძლევენ თავიანთი წარსულის, თავიანთი

იდეოლოგიური ხაზის და კონკრეტული პოლიტიკური მოცემულობის შესაბამისად.

4.6 ექსპერტთა შეფასებები

კორნელი კაკაჩიას აზრით, საქართველოში პარტიული სისტემები, ფაქტიურად, არ არსებობს, რადგან ჯერ-ჯერობით ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი, მყარი სისტემა, რომელიც გახდებოდა მდგრადი. ბევრ პოლიტიკურ პარტიას არ აქვს ბმა სოციალურ ჯგუფებთან, ინტერესთა ჯგუფებთან და შესაბამისად, ხშირად გაუგებარია ვის წარმოადგენენ ისინი და რა მიზნებს ემსახურებიან. რესპონდენტის თქმით, ყოველივე ეს ხელს უშლის დემოკრატიის კონსოლიდაციას და ქვეყნის სტაბილურობას.

კაკაჩია მიიჩნევს, რომ საქართველოში პარტიები არ ცდილობენ იმოქმედონ იდეოლოგიურ ჩარჩოებში წინასაარჩევნო პროგრამის მომზადებისას, რადგან იციან, რომ იდეოლოგია ბევრს არ ნიშნავს პოლიტიკური ასპარეზობისთვის. პარტიებმა ხშირად თავადაც არ იციან თუ რას ნიშნავს მათი იდეოლოგია და მათ ხშირად აქვთ სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებები იმ იდეოლოგიასთან, რომელიც თავად აირჩიეს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ არ არიან ჩამოყალიბებულნი. ამომრჩეველსაც დიდად არ იზიდავს მათი იდეოლოგიები და მათთვის გაუგებარია რას ნიშნავს ის. რესპონდენტის აზრით, რეალურად, საქართველოში იდეოლოგიების როლი ძალიან მცირეა.

რესპონდენტის აზრით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს პარტიები ცდილობენ მრავალრიცხოვანი ელექტორატის მობილიზებას, რასაც გარკვეულწილად შეცდომად მიიჩნევს. პარტიები რეალურად კარგავენ კომპასს, ანუ ისინი ვერ ეძებენ ვინ არიან მათი ამომრჩევლები, განსაკუთრებით ეს უჭირთ ლიბერალური ტიპის პარტიებს. რესპონდენტი თვლის, რომ გამმიჯნავი ხაზების არ არსებობა ხელს უშლის სტაბილური პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას.

რესპონდენტის აზრით, იდეოლოგიას საქართველოში ისეთივე სტატუსი აქვს როგორც პარტიის ვებ გვერდს, სინამდვილეში ზუსტად არავიან იცის რისთვის სჭირდებათ ის. წინასაარჩევნო კამპანიაში იდეოლოგია არ გამოიყენება, რადგან მოთხოვნაც არ არის საზოგადოების მხრიდან. პარტიების დიდმა ნაწილმა

ზუსტად არ იცის როგორ იმუშაონ საკუთარი პარტიის აქტივთან და როგორ დაასაქმონ ისინი. ზოგადად, როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე საქართველოში პარტიებს წესდებაში, ფაქტიურად, ყველაფერი აქვთ გაწერილი. ქართულ რეალობაში პარტიის წევრები აქტიური ხდებიან მხოლოდ არჩევნების დროს. ნაცნობობით, ნათესაობით იკრიბება პარტიებში წევრები და არა იდეოლოგიური და პროგრამული თავსებადობის მიხედვით.

კორნელი კაკაჩია აღნიშნავს, რომ საქართველოში პარტიების უმრავლესობა ყოვლისმომცველი ხასიათის არის. ქართულ პოლიტიკაში იყო რამდენიმე პოლიტიკური პარტია, როგორც მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე სოციალურ და პოლიტიკურ ჯგუფს და ინტერესებს. ის არ იყო ლიბერალების, მედასავლეთეების, არამედ მასში იყო კონსერვატიული ნაწილიც, ზომიერი ნაციონალისტებიც, გამსახურდიას მომხრეებიც, ანუ კონგლომერატი შეიქმნა.

რესპონდენტი თვლის, რომ პარტიებსა და საზოგადოებას შორის ხიდჩატეხილობის პრობლემა არსებობს და ის მდგომარეობს იმაში, რომ პარტიებს არ ესმით რა უნდათ ამომრჩევლებს და ამომრჩეველი ვერ პოულობს პოლიტიკურ პარტიას, რომელიც მასთან ახლოს არის. რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში რა სოციალური გამოკვლევებიც ჩატარდა ყველაში ჩანს, რომ არსებობს მოთხოვნა მესამე ტიპის პარტიაზე, რომელიც არ იქნება ასოცირებული არც ნაციონალურ მოძრაობასთან და არც ქართულ ოცნებასთან.

კორნელი კაკაჩია მიიჩნევს, რომ ქართული ოცნებისთვის იდეოლოგია დღემდე მეორეხარისხოვანია, მათთვის, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, მთავარი იყო ერთი მტრის წინააღმდეგ გამოსვლა. ფაქტიურად, ქართული ოცნების ამომრჩეველი იყო ნაციონალური მოძრაობით განაწყენებული ყოფილი ნომენკლატურა, კონსერვატიული, რელიგიური ჯგუფები. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნება იყო საკმაოდ ეკლექტური. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც ქართულ ოცნებაში გვხვდება სოციალისტები, კონსერვატორები და სხვა.

რესპონდენტი მიიჩნევს, რომ საქართველოში იდეოლოგიას ნამდვილად არ აქვს იმდენი მნიშვნელობა, რამდენიც დემონიზებას და საერთო მტრის ხატის შექმნას.

საქართველოში, რაც უფრო იდეოლოგიურია პარტია, მით უფრო უჭირს ამომრჩევლის მოზიდვა. იდეოლოგია დღეისათვის არის გაურკვეველი და მნიშვნელობა ენიჭება სხვა მომენტებს, მაგალითად, ფინანსებს, ლიდერს, დაპირებებს.

რესპოდენტის აზრით, პარტიებს არ მიაქვთ სათქმელი მოსახლეობამდე, მაგრამ არც თავად მოსახლეობა აქცევს ყურადღებას პარტიების იდეოლოგიურ ორიენტაციას ან თუნდაც პრინციპებს. ეს კი დაბალი პოლიტიკური დონის მაჩვენებელია. ერთი მხრივ, ეს არის სპეკულანტური პოლიტიკური კულტურის შედეგი, მეორე მხრივ კი თავად პოლიტიკური პარტიები ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. კაკაჩია თვლის, რომ ცხოვრებაში არსებობს გამყოფი ხაზი და ეს ხაზი რომ ნახო საჭიროა გაბედულება. გაბედულება კი ნიშნავს, რომ თავიდანვე პარტია კონფრონტაციაში უნდა შევიდეს და განაცხადოს, რომ ის არის მაგალითად, მემარცხენე და მხარს არ უჭერს, ვთქვათ, ეკლესიას, ან ვთქვათ პარტია არის ღარიბების მხარეს და რას თავაზობს ამომრჩეველს პრობლემების მოსაგვარებლად, ეს მკვეთრად უნდა განსაზღვროს. სამწუხაროა, მაგრამ პოლიტიკური პარტიების დონეც დაბალია, რადგან მან არ იცის ვინ არის მისი ამომრჩეველი და არც აინტერესებს. რესპოდენტის აზრით, პარტიებს არ აქვთ იმის პოტენციალი, რომ მოიზიდონ ინტელექტუალური წრეები, რადგან, მაგალითად უნივერსიტეტის პროფესორებისთვის მათ შესათავაზებელი არაფერი არ აქვთ.

კაკაჩიას თქმით, ქართულმა ოცნებამ, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა ახალი ელიტის ინტეგრაცია, რაც არ გაჭირვებია ნაციონალურ მოძრაობას.

რესპოდენტი თვლის, რომ ოპოზიციის გაქრობაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან იგი ქართული პოლიტიკური კულტურის ნაწილიც არის. ქართველი ამომრჩეველი დიდი ხნის განმავლობაში ვერ იტანს ერთ დომინანტ ძალას ან პიროვნებას, ამიტომ საზოგადოება ყოველთვის ქმნის ბალანსს და იგი ოპოზიციური ძალებისადმი მხარდაჭერას მაშინ იწყებს, თუ პოლიტიკური პარტია შეერწყა ხელისუფლებას, ისე როგორც ეს მოხდა ნაციონალების შემთხვევაში.

კორნელი კაკაჩიას აზრით, იდეოლოგიაზე მოთხოვნა თვით ევროპაშიც ნაკლებია, ამიტომ კლასიკური პოლიტიკური იდეოლოგიები დღეს კრიზისს განიცდიან. ქართველი პოლიტიკოსები თვლიან, რომ ამომრჩეველს არ

აინტერესებს პოლიტიკა. ეს ასე არ არის. ქართველი ამომრჩეველი ჩვეულებრივი ამომრჩეველია, ისეთივე როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ პარტიებმა არ იციან ის საკითხები, რომელიც საზოგადოებას აწუხებს. კაკაჩიას თქმით, პრობლემა იმაშია, რომ მათ არ შეუძლიათ ხალხს რაიმე შეთავაზონ და არც იციან როგორ შეთავაზონ, ანუ პოლიტიკაში როგორ გადაიყვანონ, იმიტომ რომ თავად არ არიან ჩამოყალიბებულნი.

მამუკა არეშიძის აზრით, პარტიები, როგორც წესი, კონკრეტული სახელის, ლიდერის გარშემო იქმნება. რესპონდენტი თვლის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის დეფიციტია და თავისუფალი ცხოვრების 25 წელი არ არის ის დრო, რომელიც პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისთვის საკმარისი იქნებოდა. არსებობს პოლიტიკური ცხოვრების გარკვეული ფორმატი, რომელშიც „იხარშებიან“ სხვადასხვა პარტიები, უფრო სწორად, სხვადასხვა პერსონალიები, რომლებიც ან ინარჩუნებენ ტრადიციულ პარტიას, როგორიც არის რესპუბლიკური პარტია, ან გადადიან პარტიიდან პარტიაში და იცვლიან სახეს.

არეშიძის თქმით, იდეოლოგიური ჩარჩო, ევროპული სტანდარტის გაგებით არ არსებობს. ევროპაშიც დაირღვა ეს სტანდარტი, რაც საფრანგეთის არჩევნებმა კარგად აჩვენა. საქართველოში იდეოლოგიური ჩარჩო, იმ გაგებით, როგორიც არის ევროპაში ძალიან ფერმკრთალად არის გამოხატული, მაგრამ ბუნებრივია არსებობს რეგიონისთვის დამახასიათებელი იდეოლოგიური ჩარჩო, მაგალითად, „რუსეთი ჩვენი მტერია“, ან მეორე “რუსეთთან უნდა ვიამხანაგოთ“, არის კიდევ სხვა ნაციონალური შეფერილობის - „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“.

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საფრანგეთში ნაციონალისტური პარტია საკმაოდ სერიოზულ დივიდენტებს იღებს. ლე პენის გარკვეული წარმატება, იმ ლიბერალური საერთო იდეოლოგიური ჩარჩოს ნგრევას მოწმობს, რაც არის ევროპაში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, პოლონეთში კულტურული ნაციონალიზმი ყოველთვის არის ლიდერულ მდგომარეობაში, ეს ტენდენცია საქართველოშიც საკმაოდ სერიოზულად არის და ეს ეროვნული მოძრაობის ფორმატში იქნება თუ ნაციონალისტური მოძრაობის ფორმატში, იდეოლოგიური „კრიშა“ გარკვეულწილად საქართველოში აქტიურად მუშაობს.

მამუკა არეშიძის აზრით, საქართველოში ელექტორატის ძალიან მცირე ნაწილია, რომელიც რეაგირებს პარტიის იდეოლოგიაზე და პროგრამაზე. მიუხედავად მძიმე სოციალური მდგომარეობისა, ისეთი რადიკალურად მემარცხენე პარტია, როგორიც არის ლეიბორისტული პარტია, მაინც ვერ იღებს არჩევნებში ხმების საკმარის რაოდენობას. ელექტორატის ძირითადი ნაწილი რეაგირებს პერსონალიებზე, კონკრეტულ პიროვნებებზე. ხშირად გვესმის რესპუბლიკური პარტია, მაგრამ სხვა შემთვევებში ახსენებენ ბიძინა ივანიშვილს, მიხეილ სააკაშვილს და არა ქართულ ოცნებას, ნაციონალურ მოძრაობას. ასევე იყო „ზვიადისტები“ და ა.შ. ე.ი. პერსონალიებზე რეაგირება უფრო მაღალი ხარისხის არის.

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამომრჩეველი მოითხოვს კარგად ცხოვრებას, პოლიტიკური სეგმენტი კი სთავაზობს პერსონალიებს. პოლიტიკურმა სეგმენტმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ამომრჩეველი ისეთ მასად ექცია, რომელიც რეაგირებს პერსონალიებზე და ფინანსურ ინექციებზე. მაგალითად, 2016 წლის არჩევნები იყო ფინანსური ინექციების არჩევნები და არა ადმინისტრაციული, არა იდეოლოგიის და პოლიტიკური კრედოს და პოლიტიკური მიდგომის არჩევნები.

მამუკა არეშიძე ფიქრობს, რომ პარტიების ერთი ნაწილი ორიენტირებულია მრავალრიცხოვანი ამომრჩევლის მობილიზებაზე, ანუ ისეთ პარტიებზეა საუბარი, რომლებიც გამარჯვებაზე არიან ორიენტირებული; არიან პარტიები, რომლებიც წარმატებაზე არიან ორიენტირებული, ე.ი. შედარებით გამონაკლის სეგმენტებზე არიან ორიენტიებული; და არიან პარტიები, რომლებიც მონაწილეობენ მონაწილეობისთვის, გამოცდილების მისაღებად.

რესპონდენტი ამბობს, რომ თითქმის ყველა პარტია არის ყოვლისმომცველი, ყველაფერს ცდილობენ, რომ მოედონ, ისინი რეაგირებენ იმ გამოწვევებზე, რომლებიც საზოგადოებაში ჩნდება კონკრეტულ ისტორიულ მომენტში. მაგალითად, ლეიბორისტებს შეუძლიათ უცებ გახდნენ ნაციონალისტები.

მამუკა არეშიძის თქმით, ქართული ოცნება კლასიკური მაგალითია ყოვლისმომცველობისა, ხოლო ნაციონალური მოძრაობა, ამ თვალსაზრისით, უფრო ნაკლებად, მაგრამ ისიც ყველა სეგმენტში ცდილობს იყოს ძალიან აქტიური. ეს ბუნებრივიც არის და არ არის დაბალი პოლიტიკური კულტურის

დამახასიათებელი. ჩნდება გამოწვევები და არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპაში, მათ შორის ძველ ევროპაშიც, როდესაც კლასიკური იდეოლოგიის პარტიები, როგორებიც არიან მემარცხენეები ან მემარჯვენეები, ზომიერი ცენტრისტი მემარცხენეები, ცენტრისტი მემარჯვენეები, იძულებულები არიან იდენტიფიკაციასა და ნაციონალურ საკითხებზე მოახდინონ რეაგირება.

რესპონდენტის აზრით, ყოვლისმომცველ ხასიათს განაპირობებს ის, რომ პოლიტიკური პარტიების დიდ უმრავლესობას არ შეუძლია კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა, რომელიც ხშირად დამოკიდებული არ არის მხოლოდ ამ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლა არ მოსვლის საკითხზე. ეს არის გეოპოლიტიკური საკითხი, მაგალითად, ეროვნული მთლიანობის აღდგენა არ არის მარტო საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივა.

მამუკა არეშიძე თვლის, რომ 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების დროს გამოვლინდა პარტიების მხრიდან ყოვლისმომცველი ხასიათი. პირველ შემთხვევაში, ეს მაინც იყო საზოგადოების, ელექტორატის რეაგირება იმ მძიმე პირობებზე, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა, აქედან გამომდინარე, ბევრს არ ჩაუხედავს ქართული ოცნების პროგრამაში. უბრალოდ ფიქრობდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილი ქართულ ოცნებასთან ერთად შეცვლიდა იმ რთულ ვითარებას, რომელიც არსებობდა ქვეყანაში. რესპონდენტის თქმით, პირველ შემთხვევაში, ყოვლისმომცველობა იყო, მაგრამ საზოგადოების რეაგირება ამ ყოვლისმომცველობაზე არ ხდებოდა, რეაგირება კონკრეტულ თემაზე ხდებოდა. მეორე შემთხვევაში, 2016 წლის საპარლამანტო არჩევნებზე დომინანტი იყო ადმინისტრაციული ფინანსური საკითხი. ფინანსური საკითხის თვალსაზრისით, ნაციონალური მოძრაობის აქტიურობა ჩამოუვარდებოდა ქართული ოცნების აქტიურობას.

მამუკა არეშიძის აზრით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნების გამარჯვების მიზეზი იყო ის, რომ ნაციონალური მოძრაობიდან ფინანსურად ის ხალხი აქტიურობდა, რომელსაც დანაშაული ქონდა ჩადენილი. არჩევნებში ხმა მიცემულ იქნა ნაციონალების წინააღმდეგ და გამოვიდა ქართული ოცნების სასარგებლოდ.

პარტიებს პოლიტიკა იდეოლოგიური აქვთ, მაგრამ ამომრჩეველი ინტუიტურად ხვდება, რომ ხშირ შემთხვევაში ეს არის დეკორაცია და ამიტომაც არის, რომ ამომრჩეველი სხვა ფაქტორებზე რეაგირებს, მაგალითად: ფინანსურ საკითხებზე, პერსონალიებზე. ამომრჩეველი წლების განმავლობაში მიეჩვია, რომ გამარჯვებაზე ორიენტირებული პარტიები თავაზობენ ყოვლისმომცველ პროგრამას, მაგრამ შესრულების ხარისხი ძალიან დაბალია.

არეშიძე აღნიშნავს, რომ ევროპის რიგი ქვეყნებისაგან, მაგალითად, საფრანგეთისგან დიდად არ განსხვავდება მდგომარეობა საქართველოში. ოპოზიცია ხშირ შემთხვევაში პირობითია, იმიტომ, რომ კულუარული მოლაპარაკებების თემა არავის გაუუქმებია. საფრანგეთში და იტალიაშიც ძლიერია სიტუაცია ამ თვალსაზრისით. დემონსტრირება ტრიბუნასთან ერთი მიდგომის და კულუარებში მეორე მიდგომის, ეს არის ტრადიცია დღევანდელი ევროპული პოლიტიკის. პრინციპული ოპოზიცია არსებობს, არ გაქრება, იმიტომ, რომ ოპოზიციონერობა ყოველთვის მომგებიანია. პარლამენტის გარეთ, საზოგადოებაშიც არსებობს კონსტრუქციული ოპოზიცია. არსებობენ ადამიანები, რომლებიც კულუარულ გარიგებებში არ მონაწილეობენ, ეს ბევრად უფრო პროდუქტიული ოპოზიცია არის და რადგან ასეთი არსებობს საზოგადოებაში, ზოგადად პოლიტიკური ოპოზიციის გაქრობას საფრთხე არ ემუქრება.

რესპონდენტი თვლის, რომ ყოვლისმომცველი პარტია წინასაარჩევნო პროცესში ამომრჩეველთა მობილიზაციისათვის იყენებს მოწინააღმდეგის დისკრედიტაციას მისაღები ფორმებით, ფინანსურ რესურს, პერსონალიების შერჩევას და მომხიბლავ დაპირებებს. მართალია, საქართველოში პერსონალიების რესურსი არც ისე დიდია, ე.წ. „მოლაპარაკე თავების“, მაგრამ, რაც არის იმათთვისაც მიმდინარეობს აქტიური ბრძოლა არჩევნების წინ. ასეთი მეთოდოლოგია არსებობს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

მამუკა არეშიძის თქმით, პატრიის რიგითი წევრის როლი არ შემცირებულა, მაგრამ გააჩნია რომელ პარტიაზეა საუბარი. ნაციონალურ მოძრაობაში პარტიის რიგითი წევრების აქტიურობამ ბევრი რამ განაპირობა არჩევნების დროს, განხეთქილების დროს და ა.შ. ძალიან სერიოზული პრეტენზიები დაუყენეს პარტიის რიგითმა წევრებმა ხელმძღვანელებს და ბევრ რამეში მიაღწიეს თავისას.

რაც შეეხება ქართულ ოცნებას, აქ სხვა მდგომარეობაა. ქართულ ოცნებაში პარტიის ელიტა ძალიან სერიოზულად განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკას და პარტიის რიგითი წევრების აზრი მეორადია. ყოველივე ეს კი პარტიის ყრილობაზე ძალიან კარგად ჩანს, როდესაც ყრილობა მთავრდება ნახევარ საათში.

რესპონდენტის აზრით, საერთო ჯამში, პარტიის რიგითი წევრის როლი ძალიან შეიზღუდა. მისი აზრი ათიდან რვა შემთხვევაში არავის აინტერესებს. თუმცა, არჩევნების წინ ეს პროცენტი იცვლება.

არეშიძის თქმით, დეკლარირებულ იდეოლოგიას, ზოგ შემთხვევაში, ცვლის წინასაარჩევნო პროგრამა, იმიტომ, რომ წინასაარჩევნო პროგრამაში გათვალისწინებულია უახლესი გამოწვევები.

რესპონდენტის აზრით, პარტიები ფერს იცვლიან, სამოსს იცვლიან, შინაარსს იცვლიან, რის გამოც, საბოლოო ჯამში რთული გასარკვევია ვის როგორი იდეოლოგია აქვს. არეშიძის თქმით, განსაკუთრებულად იდეოლოგიური ჩანს ნინო ბურჯანაძის პარტია, მაგრამ მისი იდეოლოგიურობაც ერთგვარად გარკვეული დეკორაციაა, იმიტომ რომ პერსონალია ერთი რჩება.

არეშიძის თქმით, პოლიტიკური კულტურის სერიოზული დეფიციტია ქვეყანაში. ტრადიციის ჩამოყალიბებას წლები სჭირდება. რესპონდენტის აზრით, ტრადიციის არარსებობამ და თანამედროვე გამოწვევების ვერ აღქმამ განაპირობა თავის დროზე პირველი რესპუბლიკის პირობებში სოციალ-დემოკრატების კრახი.

რესპონდენტი თვლის, რომ ახალ გარემოებებზე, ახალ გამოწვევებზე რეაგირება უნდა მოახდინოს პარტიამ, რადგან პოლიტიკური პარტია არის დინამიური ორგანიზაცია, რომელიც რეაგირებს ახალ სიტუაციებზე. ერთ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა რეაგირებას აგვიანებს გამოწვევებზე, მეორე შემთხვევაში, თავიანთ არაპროფესიონალიზმს ფუთავენ იმით, რომ ვითომ არაფერი არ ხდება. მამუკა არეშიძე აღნიშნავს, რომ ქართული პოლიტიკური პარტიების გადამწყვეტი უმრავლესობა არ არის დინამიკაში, არ არის ადეკვატური იმ პროცესების მიმართ, რაც მის გარშემო ხდება.

რამაზ საყვარელიძის აზრით, იდეოლოგიური კრიზი, როგორიცაა მემარჯვენეობა, მემარცხენეობა და ა. შ. საკმაოდ შესუსტებულია არა მარტო

საქართველოში, არამედ მთლიანად მსოფლიოში და შესაბამისად, დღეს ცოტა ძნელი გასარკვევია ხოლმე როგორი იდეოლოგიის მქონეა ესა თუ ის პარტია.

საყვარელიძე თვლის, რომ ქართულ რეალობაში, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, წინა პლანზე წამოიწია იმან, რაც ისტორიულად ყოველთვის იყო საქართველოსთვის განუხორციელებელი, ყოველთვის აქ იგულისხმება მეფის რუსეთისა და შემდეგ საბჭოთა რუსეთის გავლენის ქვეშ ყოფნა, ესაა პატრიოტული თემა. პატრიოტული თემაა და ამიტომ პირველ პოლიტიკურ ჯგუფებს, რომლებიც მოდიოდნენ საქართველოს ხელისუფლებაში, ყოველთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები ჰქონდათ წინა პლანზე წამოწეული და სწორედ ეს განმათავისუფლებლობა იყო ერთ-ერთი ქვაკუთხედი ქართული პოლიტიკური იდეოლოგიის.

რესპონდენტის აზრით, ბევრ ქვეყანაში, ამომრჩეველი იდეოლოგიის მიმართ მგრძნობიარე არ არის. ამან გააჩინა აუცილებლობა ისეთი, მაგალითად, თოქ-შოუებისა, რითაც ამომრჩეველს ყურადღება უნდა მიექცია იმისათვის, თუ რა პოზიციას იკავებს ესა თუ ის ლიდერი და აირჩიონ თუ არა იგი მისი პოზიციის გამო და არა გარე ძალების ან სხვა პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დეტალების გამო. საყვარელიძე აღნიშნავს, რომ იდეოლოგიის თემა ასე პირდაპირ არ მოქმედებს, მაგრამ მეტ-ნაკლებად მოქმედებს უდაოდ, რაც დაადასტურა ამერიკის არჩევნებმა, კერძოდ, იდეოლოგიური ელემენტი შემოვიდა ტრამპთან, ეს იყო ორიენტაცია კონსერვატიულ იდეებზე და ამომრჩეველმა, შეიძლება ითქვას, ეს ორიენტაცია აიტაცა, იმდენად, რომ ამ თვალსაზრისით იდეოლოგიამ იმუშავა, მაშინ როცა წლების განმავლობაში იდეოლოგიის მიმართ დიდად მგრძნობიარე ამერიკელი ამომრჩეველიც კი არ იყო.

რამაზ საყვარელიძის თქმით, საქართველოში, ისევე როგორც სხვაგან, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, პარტიები მრავალრიცხოვანი ელექტორატის მობილიზებაზე არიან ორიენტირებული და ცდილობენ რაც შეიძლება ბევრი მიმდევარი გაიჩინონ, იმდენად ბევრი მხარდამჭერი გაიჩინონ, რომ ხშირად ძნელია იმის თქმა, რომელ სეგმენტზე გადის ესა თუ ის პარტია და მოსახლეობის რა საჭიროებისთვის იბრძვის.

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საქართველოში არსებობენ ისეთი პარტიები, რომლებიც წინასაარჩევნოდ პროგრამებს ამზადებენ საკუთარი იდეოლოგიიდან გამომდინარე, მაგალითად რესპუბლიკელები ძალიან ბეჯითად მუშაობენ ხოლმე პროგრამაზე. ასევე იყო ადრე მემარჯვენების ლიდერი დავით გამყრელიძე, რომელიც ჩიოდა იმას, თუ რამდენი შრომა ჩადო პროგრამის მომზადებაში და სულ ტყუილად, რადგან არავის არ აინტერესებდა ეს პროგრამა. ასეთი ჩივილი თავისთავად მეტყველებს იმაზე, არის თუ არა იდეოლოგიაზე ორიენტირებული პარტია, ჩვენს პირობებში წარმატებული.

რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ იდეოლოგია ზღუდავს წინასაარჩევნო პროგრამას, რადგან მას ასეთი ფუნქცია აქვს, ამიტომ ხშირად იდეოლოგიას ორიენტაცია არ აქვს ხოლმე მკაფიო. ამ მხრივ, თვალსაჩინოა დღევანდელი მმართველი პარტიის პოზიცია. ის აცხადებს, რომ წარმოადგენს ცენტრისტულ პარტიას. რესპონდენტის თქმით, ცენტრისტი საერთოდ ისეთი იდეოლოგიაა, რომელიც საშუალებას იძლევა ყველა იდეოლოგია შეითვისოს. ქართული ოცნება ცდილობს იყოს სოციალურ ღირებულებებზე ორიენტირებული, ეს ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ასევე მკაფიო არის მათი მიდრეკილება იმისკენ, რომ ხელი შეუწყონ ბიზნესს რამდენადაც შეეძლებათ. წმინდა სოციალ-დემოკრატია ასეთი ბიზნესის დამცველი იშვიათად არის ხოლმე და საქმით ეს პარტია ასეთ მიმართულებას არ ამჟღავნებს. იგი უფრო ცენტრისტული პარტიაა, რომელსაც აქვს ტენდენცია იმისა, რომ სოციალური იდეები განახორციელოს და ამავე დროს ხელი შეუწყოს ბიზნესსაც. საქართველოში, ამჟამად ძნელია იმოქმედოს რომელიმე პარტიამ წმინდა მემარცხენე ან მემარჯვენე ორიენტაციით და ამით წარმატებას მიაღწიოს. ამ ეტაპზე საჭიროა ყველაფერი ერთად, ეს ეტაპია ქვეყანაში და ამიტომ ცენტრიზმი ბუნებრივი მიდრეკილებაა.

საყვარელიძე ამბობს, რომ მკაფიოდ გამოვლენილი იდეოლოგია არცერთ პარტიაში არ ჩანს. გამონაკლისია ლეიბორისტული პარტია, რომელსაც მკაფიოდ გამოვლენილი იდეოლოგია აქვს და მისი ლოზუნგია დავურიგოთ იმ ხალხს სიმდიდრე ვისაც წაართვეს. ამრიგად, ლეიბორიზმის იდეები ამ პარტიას მკაფიოდ გამოხატული აქვს.

საყვარელიძის აზრით, პარტია, რომელიც ამბობს, რომ ის შეამცირებს გადასახადებს, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო გადასახადებს და ეცდება, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს ეს გადასახადები, ეს არის მემარცხენე ტიპის რიტორიკა; მეორე მხრივ, იგივე პარტია ამბობს, ბიზნესს უნდა შეეწყოს ხელი და მეწარმეს უნდა შეექმნას სამუშაო პირობები, იმიტომ რომ, ბიზნესს ხელი თუ არ შეეწყო სამუშაო ადგილები არსაიდან არ მოვა და საქართველოს ცენტრალური პრობლემაც ხომ სწორედ უმუშევრობაა.

რესპონდენტის აზრით, პარტიის რიგითი წევრის როლი ყოველთვის შემცირებული იყო. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ბევრ დასახელებაში დევს პოლიტიკური ლიდერის გვარი და სახელი, აქედან გამომდინარე უზარმაზარი გავლენა აქვს ლიდერს და როცა ლიდერს აქვს უდიდესი გავლენა, მაშინ არც რიგით წევრს და არც იდეოლოგიას არ ექნება გავლენა. ქართულ პოლიტიკაში არ არის სეგმენტებზე მუშაობა, ყველა ორიეტირებული არის მაქსიმალურ რაოდენობაზე. რესპუბლიკურ პარტიას აქვს მკაფიო პოლიტიკური ჩარჩო, მაგრამ არ გამორიცხავს იმას, რომ მასების მობილიზებაზე იყოს ორიენტირებული.

რამაზ საყვარელიძე აღნიშნავს, რომ ყოვლისმომცველ პარტიებს, რომლებიც კონკრეტულ ჭრილში არ ექცევიან, მეტი მომავალი აქვთ მსოფლიო პოლიტიკაში, ვიდრე მკაფიოდ გამოკვეთილ იდეოლოგიურ პარტიებს, იმიტომ რომ იდეოლოგია ზღუდავს მოქმედებას და იდეოლოგიურ ჭრილში თუ არ არის მოქცეული პარტია მოქმედების უფრო მეტი თავისუფლება აქვს.

დასკვნები და რეკომენდაციები

სამაგისტრო ნაშრომის საკითხით დაინტერესების მიზეზი იყო ის, რომ პარტიების ყოვლისმომცველობა საქართველოში შეუსწავლელია. ბოლო რამდენიმე წელია ქართული პოლიტიკური სპექტრი ისე აქტიურადაა ჩართული ყოვლისმომცველ პოლიტიკაში, რომ ვერც კი მიხვდნენ რა პროცესების მონაწილენი გახდნენ. რესპონდენტთა უმრავლესობისთვის უცნობი იყო პარტიების ყოვლისმომცველობის ცნება. თეორიული თვალსაზრისით, საკითხი უცხო და უცნობი აღმოჩნდა ყველა რესპონდენტისათვის, მაგრამ პრაქტიკაში მას დიდი ხანია ახორციელებენ პოლიტიკური პარტიები.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ჰიპოთეზა, რომელიც ამ ნაშრომს საფუძვლად დაედო, გამართლდა - რაც უფრო ნაკლებიდეოლოგიურია პარტია, მით უფრო იზრდება მისი ყოვლისმომცველი ხასიათი. პარტიების ყოვლისმომცველობის შესახებ შესწავლილმა ლიტერატურამ და ყველა ჩაწერილმა ინტერვიუმ აჩვენა, რომ პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს, როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე საქართველოშიც. ყოვლისმომცველობა ძლიერი დინების პოლიტიკურ პროცესად იქცა, რომელიც ჯერ-ჯერობით ლიდერობს ქართულ პარტიულ პოლიტიკაში.

ყოვლისმომცველი პარტიებისთვის მთავარია მოიპოვონ უმრავლესობა, თუმცა მათ არ შეიძლება ჰქონდეთ უნიკალური იდეოლოგიური პროგრამა. ასეთი პარტიები შედგებიან რამდენიმე პოლიტიკური პარტიისაგან, რომელნიც ერთ დროს იდეოლოგიაზე იყვნენ დაფუძნებულნი. იდეოლოგიათა სიჭრელე ყოვლისმომცველ პარტიებს იდეოლოგიურად ქაოსურ მდგომარეობაში აყენებს. ლიდერებს შორის კონსენსუსის მიღწევამ, პოლიტიკური განსხვავებების მინიმუმამდე დაყვანამ საბოლოოდ წარმოქმნა ყოვლისმომცველი პარტია, რომელსაც იდეოლოგია არ აქვს. ასეთ პარტიებს საკუთარი იდეოლოგია და პრინციპები ეტაპობრივად მას შემდეგ უვითარდებათ, როდესაც ხელისუფლებაში მოდიან უმრავლესობით.

დემოკრატია და პარტიული კულტურა ქვეყანაში მაშინ იქნება განვითარებული, როდესაც სახელმწიფოს ეყოლება რამდენიმე ისეთი ძლიერი

პოლიტიკური პარტია, რომელთაც ჩამოყალიბებული ექნებათ იდეოლოგიაც და საკუთარი პრინციპებიც, არა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, არამედ დაარსების დღიდანვე.

პარტია, რომელსაც არ აქვს მიზანი, ამოცანა, იდეა, პრინციპები, რაც იდეოლოგიის საფუძველია, ყოველთვის განწირულია, რადგან უმიზნო, უამოცანო, იდეოლოგიის გარეშე მყოფ პარტიას, რომელსაც მხოლოდ ფურცელზე უწერია საკუთარი იდეა და მზადაა ფინანსებში გადაცვალოს იგი, გაქრობა ემუქრება პოლიტიკური სივრციდან.

რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ხელისუფლებაში მოსვლა ყველა პარტიის მიზანია. თუმცა, აღსანიშნავის ის, რომ ეს მოსვლა არ უნდა ანადგურებდეს პარტიის პრინციპებსა და იდეოლოგიას, ხელისუფლებაში ყოფნა ასეთი პარტიისთვის გამანადგურებელია, რაც საბოლოოდ უარყოფითად მოქმედებს მის იმიჯზე და ეჭვქვეშ აყენებს პარტიის არსებობას.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული ყველა პარტია ყოვლისმომცველი იყო თავისი ხასიათით. არც ერთ მათგანს არ ჰქონდა მყარი იდეოლოგია და პრინციპები, თითოეული მათგანი რამდენიმე პარტიისგან შედგებოდა, ხოლო ხელისუფლების დაკარგვის შემდეგ პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრნენ ან/და დაიშალნენ. ყოვლისმომცველობის დროს ხშირად პარტიაში იქმნება პოლიტიკური ქაოსი, ხოლო იდეოლოგიათა შეჯახება ქმნის პოლიტიკურ კრიზისს, რაც ძირითადად პარტიის პოლიტიკური სივრციდან გაქრობით მთავრდება.

პარტიას, რომელსაც არ აქვს მყარი იდეოლოგიური საფუძველი, ამოცანები, იდეები და მისწრაფებები, ძნელია უწოდო დემოკრატიული პრინციპების მქონე პოლიტიკური პარტია. სწორედ ეს აკლია დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, მათში არ არის დემოკრატიული მუხტი ისეთი ძლიერი, რომ შეძლონ დამოუკიდებლად არსებობა და ხელისუფლებისთვის ბრძოლა. ყოველივე ეს კი არის დემოკრატიული სისუსტის ბრალი და ამასთან ერთად, პარტიებში პოლიტიკური კულტურა სუსტადაა განვითარებული. რაც საბოლოოდ მძიმედ აისახება ქართულ პოლიტიკურ პარტიულ სისტემაში.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში დაინერგოს ისეთი მრავალპარტიული სისტემა, რომელსაც ექნება მყარი იდეოლოგიური საფუძველი; პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იზრუნონ თავიანთი პოლიტიკური კულტურის ამაღლებაზე; პარტიამ თავის იმიჯზე ისე უნდა იმუშაოს, რომ ამომრჩევლებამდე მიიტანოს თავისი სათქმელი; პარტიამ ინდივიდუალურად უნდა იბრძოლოს თავისი პრინციპების განხორციელებაზე და არ უნდა გაცვალოს იდეოლოგია და პრინციპები თანხაზე და თანამდებობაზე.

დროთა განმავლობაში, ყველა მხარის ძალისხმევით, შესაძლებელი გახდება მძლავრი იდეოლოგიური პარტიების ჩამოყალიბება, რაც საბოლოოდ მიგვიყვანს მრავალპარტიულ პარლამენტამდე. ეს იმ შემთხვევაში თუკი იდეოლოგიური პარტიები შეძლებენ თავიანთი პოზიციების შენარჩუნებას საქართველოში, რადგან ნებისმიერი იდეოლოგიის მქონე პარტიის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი უნდა იყოს მრავალპარტიული დემოკრატიული პარლამენტის ჩამოყალიბება ქვეყანაში.

რაც შეეხება ყოვლისმომცველ პარტიებს მათ თუკი სურთ, რომ სახელმწიფო სისტემაში შეინარჩუნონ პოზიცია და მომავალშიც შეძლონ არსებობა, მაშინ უნდა მოხდეს მათი დახვეწა და განათლება, როგორც პოლიტიკური, ისე საზოგადოებასთან, ამომრჩეველთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი
2) კაკაჩია, კ. (2013). *სოციალური ქსელების როლი ქართულ პარტიულ პოლიტიკაში.* თბილისი: მერიდიანი
3) სილაგაძე, ი. (2017). გამმიჯნავი ხაზების პრობლემა საქართველოს პარტიულ პოლიტიკაში: მიზეზები და შედეგები. თბილისი: *საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი*
4) სულამანიძე, რ. (2016). *პოლიტიკური პარტიების და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთმიმართება.* თბილისი: სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი
5) სქოლტბახი, ა. პ., & ნოდია, გ. (2006). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი.* თბილისი
6) ჯონსი, ს. (2012). *საქართველოს პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი
7) Allen, C. S. (2009). 'Social Democracy and the 'Catch-All Party Thesis' in Germany and Sweden'. *SAGE*
8) Andeweg, R (2000). "Consociational Democracy," *Annual Review of Political Science*
9) Blyth, M. & Katz, R.S (2005). 'From Catch-all Politics to Cartelisation: The Political Economy of the Cartel Party'. *West European Politics vol. 28, no. 1,* pp. 33-60
10) Daalder, H. (1996). 'The Netherlands: Still a Consociational Democracy?' Reihe Politikwissenschaft / Political Science Series No. 33
11) Daalder, H. (2001). 'Political Parties and Democracy'. Baltimore, Maryland: Richard Gunther, Larry Diamond, the Johns Hopkins University Press, pp.40- 51
12) Deschouwer, K. (2003). Political Parties in Multi-Layered Systems. *European Urban and Regional Studies*
13) Detterbeck, K. (2012). *Multi-Level Party Politics in Western Europe.* Publisher: Palgrave Macmillan

14) Downs, A. (1957). An Economic Theory of Democracy. *New York: Harper & Row*

15) Duverger, M. (1964). 'Political Parties'. London

16) Hadley, C. & Morass, M. (1989). 'Federalism and Party-interaction in West Germany, Switzerland and Austria'. Publius 19 (4): 81-97

17) Heinz, D. & Hornig, E. (2012). 'Catch-all Politics under Stress – Non-territorially Defined Parties and the Quest for Symmetry and Compromise in Territorial Reforms'. Central Europian Journal of Public Policy – vol. 6 - №1

18) Huckfeldt, R. & Sprague, J.(1992). "Political Parties and Electoral Mobilization: Political Structure, Social Structures and the Party Canvass". *APSR*

19) Kitschelt, H. (1995). *The Radical Right in Western Europe: A Comparative Analysis*. Ann Arbor: University of Michigan Press

20) Kirchheimer, O. (1966). 'The Transformation of Western European Party Systems', in Joseph Lapalombara and Myron Weiner(eds) *Political Parties and Political Development*, pp. 177–200. Princeton, NJ: Princeton University Press

21) Klima, M. THE CLIENTELISTIC PARTY: A Modified Version of a Catch-all Party in the Czech Republic?

22) Krouwel, A. (2003). Otto Kirchheimer and Catch-All Party. *West European Politics*

23) Krouwel, A. (2010). 'Party Transformation in West and Eastern Europe'. London: SSEES UCL

24) Lawson, K. (1980). Political Parties and Linkages: a Comparative Perspective. New Haven and London: Yale University Press

25) Lipset, S. & Rokkan, S. (1967). Party systems and voter alignments: Cross-national perspectives. *Toronto: The Free Press*

26) Lohmar, U. (1969). 'Innerparteiliche Demokratie'. pp.117–24

27) Lustick, I. S. (2012). 'Lijphart, Lakatos, and Consociationalism'. *Cambridge University Press*

28) Lutz, G. (1998). 'The Interaction of National and Regional Electoral Systems and Their Influence on Representation in Switzerland'. ECPR

29) Lijphart, A. (1999). *Patterns of Democracy. Government Forms and Performance in Thirty-six Countries.* New Haven & London, Yale University Press

30) Mair, P. (1984). "Party Politics in Contemporary Europe: A Challenge to Party?" West European Politics

31) Mahon, R. (2000). 'Swedish Social Democracy: Death of a Model?' Studies in Political Economy.

32) Parsons, T. (1964). Social Sructure and Personality. *Free Press of Glencoe*

33) Pizzorno, A. (1964). 'Individualistic Mobilization'. pp. 212–17

34) Roper, S. D. (1995). 'The Romanian party system and the catch-all party phenomenon'. *East European Quarterly*

35) Sartori, G. (1976). 'Parties and Party Systems: A Framework for Analysis'. *New York: Cambridge Univ. Press*

36) Von Vorys, K. (1975). *Democracy without Consensus.* Princeton: Princeton University Press

37) Ware, A. (1996). *Political parties and party systems.* Oxford University Press

38) Weber, M. (2014). 'Politics as a Vocation'. New York: Oxford University Press

39) Wiliams, M. H. (2006). 'Kirchheimer Revisited: Party Polarization, Party Convergence, or Party Decline in the 2005 German Elections?' Chicago, Illinois: Council for European Studies

40) Wolinetz, S. (2002). 'Beyond the Catch-All Party: Approaches to the Study of Parties and Party Organization in Contemporary Democracies'. *New York: Oxford University Press*

41) https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwigs4mB2YXVAhXCVhQKHaUaBjUQFggkMAA&url=http%3A%2F%2Fcesko.ge%2F&usg=AFQjCNEYdxTyInmPDj_T9sjGWCNh1VxcOg
მოძიების თარიღი 7 ივნისი, 2017

42) http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/1990_clidan_2016_clamde_politikuri_zalebis_carmomadgenloba_sakartvelos_sakanonmdeblo_organoshi.pdf მოძიების თარიღი 7 ივნისი, 2017

43) https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=1&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwjDyNHa2IXVAhWBOxQKHccsDkoQFgglMAA&url=http%3

A%2F%2Fwww.parliament.ge%2F&usg=AFQjCNEzOv35B3X8kfzKS3IKqOl7OjYjrg მოძიების თარიღი 10 ივნისი, 2017

44) https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=10&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwjn2Pnv14XVAhVGbhQKHdHdAMUQFghZMAk&url=http%3A%2F%2Fwww.riksdagen.se%2Fen%2F&usg=AFQjCNFvPfMf0PHpByhtGwLNppdQx3DMiA

მოძიების თარიღი 10 ივნისი, 2017

ინტერვიუები:

ლეიბორისტული პარტია - გიორგი გუგავა (10.05.17)

ქართული ოცნება - გიორგი ვოლსკი (16.05.17)

ნაციონალური მოძრაობა - რომან გოცირიძე (20.05.17)

რესპუბლიკური პარტია - ხათუნა სამნიძე (22.05.17)

დემოკრატიული მოძრაობა - ბესო დანელია (22.05.17)

ექსპერტი - მამუკა არეშიძე (07.05.17)

ექსპერტი - რამაზ საყვარელიძე (11.06.17)

ექსპერტი - კორნელი კაკაჩია (05.07.17)

სადისკუსიო გეგმა

სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან

ბლოკი I: გაცნობითი ხასიათის

1. გთხოვთ, გვესაუბროთ თქვენი პატრიის შესახებ. (როდის დაფუძნდა პარტია; იდეოლოგია; წინასაარჩევნო პროგრამები - 2012 და 2016 წწ.).

ბლოკი II: წინასაარჩევნო პროცესი

1. რამდენად ცდილობთ იმოქმედოთ იდეოლოგიურ ჩარჩოში წინასაარჩევნო პროგრამის მომზადებისას?
2. თქვენი აზრით, თავად ამომრჩეველი რამდენად ითვალისწინებს პარტიის პოლიტიკურ იდეოლოგიას და წინასაარჩევნო პროგრამას გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
3. წინასაარჩევნო კამპანიის დროს რამდენად ორიენტირებული ხართ მრავალრიცხოვანი ელექტორატის მობილიზებაზე?
    - თუ კი, რა ზომებს მიმართავთ ამისთვის?

ბლოკი III: იდეოლოგიზაცია

1. როგორ შეაფასებდით საარჩევნო კამპანიის პროცესში იდეოლოგიის როლს?
2. რამდენად შემცირდა პარტიის რიგითი წევრის როლი?
3. რამდენად არის დაცული პოლიტიკურ პარტიებში იდეოლოგიური საფუძვლები?
    - თუ კი, გვესაუბრეთ მათ შესახებ;
    - თუ არა, გვითხარით რითია ეს განპირობებული?
4. ზღუდავს თუ არა იდეოლოგია წინასაარჩევნო პროგრამას?

ბლოკი IV: ყოვლისმომცველი ხასიათი

1. თქვენი აზრით, არსებობენ თუ არა საქართველოში ყოვლისმომცველი ხასიათის პარტიები?
    - თუ კი, გვესაუბრეთ მათ თავისებურებებზე;

2. რა განაპირობებს პარტიების ყოვლისმომცველ ხასიათს?
3. 2012 და 2016 წლების წინასაარჩევნო პროცესში რამდენად გამოვლინდა პოლიტიკური პარტიების მხრიდან ყოვლისმომცველი ხასიათი?
4. მრავალრიცხოვან ელექტორატზე ორიენტირებული პარტიები რამდენად გამოირჩევიან ნაკლებიდეოლოგიური პოლიტიკით?
5. პარტიის ნაკლებიდეოლოგიურობა რამდენად განსაზღვრავს პარტიის ყოვლისმომცველ ხასიათს?
6. რამდენად არსებობს საფრთხე, რომ პრინციპული ოპოზიცია გაქრეს პარლამენტსა და საზოგადოებაში?
7. რას ანიჭებს უპირატესობას ამომრჩეველთა მობილიზაციისთვის ყოვლისმომცველი პარტია?

დასკნითი ბლოკი

1. დასკვნის სახით, გთხოვთ გვესაუბროთ, საქართველოში ნაკლებიდეოლოგიური და ყოვლისმომცველი ხასიათის პოლიტიკური პარტიების პერსპექტივებზე.

სადისკუსიო გეგმა (ექსპერტებისთვის)

ბლოკი I: გაცნობითი ხასიათის

1. გთხოვთ, გვესაუბროთ პარტიული სისტემების შესახებ

ბლოკი II: წინასაარჩევნო პროცესი

1. თქვენი აზრით, რამდენად ცდილობენ პარტიები იმოქმედონ იდეოლოგიურ ჩარჩოში წინასაარჩევნო პროგრამის მომზადებისას?
2. თქვენი აზრით, თავად ამომრჩეველი რამდენად ითვალისწინებს პარტიის პოლიტიკურ იდეოლოგიას და წინასაარჩევნო პროგრამას გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
3. წინასაარჩევნო კამპანიის დროს რამდენად ორიენტირებული არიან პარტიები მრავალრიცხოვანი ელექტორატის მობილიზებაზე?
    - თუ კი, რა ზომებს მიმართავენ ამისთვის?

ბლოკი III: იდეოლოგია

1. როგორ შეაფასებდით საარჩევნო კამპანიის პროცესში იდეოლოგიის როლს?
2. რამდენად შემცირდა პარტიის რიგითი წევრის როლი?
3. რამდენად არის დაცული პოლიტიკურ პარტიებში იდეოლოგიური საფუძვლები?
    - თუ კი, გვესაუბრეთ მათ შესახებ;
    - თუ არა, გვითხარით რითია ეს განპირობებული?
4. ზღუდავს თუ არა იდეოლოგია წინასაარჩევნო პროგრამას?

ბლოკი IV: ყოვლისმომცველი ხასიათი

1. თქვენი აზრით, არსებობენ თუ არა საქართველოში ყოვლისმომცველი ხასიათის პარტიები?
    - თუ კი, გვესაუბრეთ მათ თავისებურებებზე;
2. რა განაპირობებს პარტიების ყოვლისმომცველ ხასიათს?

3. 2012 და 2016 წლების წინასაარჩევნო პროცესში რამდენად გამოვლინდა პოლიტიკური პარტიების მხრიდან ყოვლისმომცველი ხასიათი?
4. მრავალრიცხოვან ელექტორატზე ორიენტირებული პარტიები რამდენად გამოირჩევიან ნაკლებიდეოლოგიური პოლიტიკით?
5. პარტიის ნაკლებიდეოლოგიურობა რამდენად განსაზღვრავს პარტიის ყოვლისმომცველ ხასიათს?
6. რამდენად არსებობს საფრთხე, რომ პრინციპული ოპოზიცია გაქრეს პარლამენტსა და საზოგადოებაში?

დასკნითი ბლოკი

1. დასკვნის სახით, გთხოვთ გვესაუბროთ, საქართველოში ნაკლებიდეოლოგიური და ყოვლისმომცველი ხასიათის პოლიტიკური პარტიების პერსპექტივებზე.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lika Mukbaniani

Catch-all policy of the parties: qualitative analysis of party system of Georgia in parliamentary elections of 2012 and 2016

Political Science

The Master's Thesis is drawn up to obtain Master's Degree in Political Science

Head of Master's Thesis: Malkhaz Matsaberidze

Professor, Doctor of Political Science

Co-head of Master's Thesis: Giorgi Melikidze

Doctor of Political Science

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

ქეთევან ნადირაძე

გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხები თანამედროვე საქართველოში (2012-2016) წ

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

კურსის ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2017 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი.....5

შესავალი 7

პირველი თავი: გარემოსდაცვითი პრობლემები და გამოწვევები.....26

1.1 გარემოსდაცვითი საკითხების ზოგადი მიმოხილვა.....26

1.2 საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა.....28

1.3 საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია.....31

1.4 საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმა.....32

1.5 ორჰუსის კონვენცია.....34

1.6 რიოს დეკლარაცია.....36

მეორე თავი: ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები და გარემოსდაცვითი საკითხები.....37

2.1 ეკონომიკური ინვესტიციები (2012-2016) წლებში.....37

2.2 მთლიანი შიდა პროდუქტი (2012-2016) წლებში.....40

2.3 ეკონომიკური ინსტრუმენტები.....43

2.4 გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმები (2012-2016) წლებში.....45

მესამე თავი: მოლდოვას გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები.....49

3.1 მოლდოვას გარემოსდაცვითი საკითხები.....49

3.2 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება.....51

3.3 სტრატეგიული გარემოსდაცვითი დაგეგმვა.....52

3.4 მდგრადი და ეკონომიკური განვითარება.....52

3.5 მწვანე ეკონომიკა.....53

3.6 გარემოსდაცვითი გამოწვევები.....55

3.7 ეკონომიკური ინსტრუმენტები.....55

3.8 გარემოსდაცვითი სტრატეგია.....57

3.9 ეკონომიკის სექტორი.....58

3.10 საქართველოს და მოლდოვის გარემოსდაცვითი საკითხების და ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება.....63

მეოთხე თავი: რუმინეთის გარემოსდაცვითი პოლიტიკა.....65

4.1 რუმინეთის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები.....65

4.2 გარემოსდაცვითი მენეჯმენტი.....67

4.3 ევროკავშირის პროგრამა.....67

4.4 განხორციელებული პროექტები.....69

4.5 გარემოსდაცვითი პრობლემები.....70

4.6 არასამთავრობო ორგანიზაციები.....72

4.7 გარემოსდაცვითი მოძრაობები.....74

4.8 ეკონომიკის სექტორი.....75

4.9 საქართველოს და რუმინეთის გარემოსდაცვითი საკითხების და ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება.....79

მეხუთე თავი: ქართული პოლიტიკური პარტიების პროგრამების შეფასება გარემოსდაცვითი კუთხით.....82

5.1პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“.....82

5.2 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.....84

5.3 „ნინო ბურჯანაძე- დემოკრატიული მოძრაობა“.....86

5.4 „უსუფაშვილი- რესპუბლიკელები“.....87

5.5 „ზვიადის გზა-უფლის სახელით“.....89

დასკვნა.....91

გამოყენებული ლიტერატურა.....93

დანართი.....96

აბსტრაქტი

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია გარემოს დაცვის ძირითადი საკითხები და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები საქართველოში. ნაშრომის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, თუ როგორი სახის ურთიერთკავშირი არსებობს გარემოს დაცვის საკითხებსა და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს შორის. ნაშრომში საუბარია გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითად გამოწვევებსა და პერსპექტივებზე. ასევე განხილულია ეკონომიკური განვითარების ორი ძირითადი მაჩვენებელი: მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ინვესტიციები.

ნაშრომი დაყოფილია ხუთ ძირითად ნაწილად: პირველი თავი მოიცავს საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითად გამოწვევებსა და პერსპექტივებს. განხილულია მნიშვნელოვანი დოკუმენტები: რიოს დეკლარაცია, ორჰუსის კონვენცია, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება და საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია. მეორე თავში განხილულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები და მათი კავშირი გარემოს დაცვის ძირითად საკითხებთან. მესამე თავში განხილულია მოლდოვას გარემოსდაცვითი საკითხები და ამ საკითხების კავშირი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებთან. მიმოხილულია მოლდოვას გარემოსდაცვითი პოლიტიკის გამოწვევები და პრიორიტეტები. განხილულია ისეთი ძირითადი გარემოსდაცვითი საკითხები როგორიცაა: მწვანე ეკონომიკა, მდგრადი განვითარება და ეკონომიკური ინსტრუმენტები. ასევე შედარებულია საქართველოს და მოლდოვის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები. მეოთხე თავში განხილულია რუმინეთის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი საკითხები და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელები. ასევე მიმოხილულია ქვეყნაში არსებული გარემოსდაცვითი მოძრაობები და მათი მიზნები. მეხუთე თავში განხილულია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პროგრამები გარემოსდაცვითი კუთხით.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია გარემოსდაცვითი საკითხების და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების ურთიერთკავშირი.

Abstract

This paper deals with the main issues of environmental protection and economic development indicators in Georgia. The main idea of the work is to find out what kind of interaction exists between environmental issues and economic development indicators. The paper deals with the main challenges and perspectives of environmental policy. Two main points of economic development are also considered: Gross Domestic Product and Economic Investments.

The work is divided into five main parts: The first chapter includes the main challenges and perspectives of Georgia's environmental policy. The important documents are discussed: Rio Declaration, Aarhus Convention, Georgia-EU Association Agreement and Georgia's Security Concept. The second chapter discusses the economic development indicators of Georgia and their connection with the main issues of environmental protection. The third chapter deals with Moldova's environmental issues and the linkage of these issues with the country's economic development indicators. The challenges and priorities of Moldova's environmental policy are reviewed. The main environmental issues discussed are: green economy, sustainable development and economic instruments. The main challenges of Georgia and Moldova's environmental policy are also comparable. The fourth chapter deals with the main issues of Romania's environmental policy and economic development indicators. Environmental movements and their goals in the country are also reviewed. The fifth chapter discusses the political parties in the 2016 Parliamentary Elections in environmental terms.

The final part of the work is summarized in the context of environmental issues and economic development indicators.

შესავალი

დღესდღეობით გარემოს დაცვის საკითხები მთელ მსოფლიოში აქტუალურია, მათ შორის საქართველოში. გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან და ჯანმრთელობასთან. სწორედ ეროვნულ მთავრობას, ქვეყანაში მოღვაწე პოლიტიკურ პარტიებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს ეკისრებათ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა, რათა სტრატეგიულად წარმართონ პროცესები გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებთან. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების ზრდა იწვევს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების აქტუალიზაციას. სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები ეკონომიკურ სფეროსთან ერთად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოს დაცვასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე. თუმცა ჩემს თემაში მე განვიხილავ ეკონომიკურ ფაქტორებს. ვინაიდან ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები ევროპული ქვეყნების (რუმინეთი, მოლდოვა) მაგალითის საფუძველზე მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითად ასპექტებთან. შესაბამისად დავადგენ თუ როგორი სახის ურთიერთკავშირი არსებობს გარემოსდაცვით საკითხებსა და ეკონომიკურ განვითარების მაჩვენებლებს შორის. საქართველოს ვადარებ მოლდოვასა და რუმინეთს, ვინაიდან საქართველოს, მოლდოვასა და რუმინეთს გააჩნიათ მსგავსი პროცენტული ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები. რუმინეთსა და მოლდოვაში 2012 წლიდან აქტიურად დაიწყო სტრატეგიული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება, ისევე როგორც საქართველოში. შესაბამისად ადვილად დავუკავშირებ ერთმანეთს გარემოსდაცვით საკითხებს და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს. 2014 წელს, როგორც რუმინეთში, ასევე მოლდოვაში აქტიურად დაიწყო ევროკავშირის დირექტივების

იმპლემენტაცია გარემოსდაცვით და ეკონომიკურ სტრუქტურებში. ასევე საქართველოში აქტიურად დაიწყო ევროდირექტივების იმპლემენტაცია როგორც გარემოსდაცვით, ასევე ეკონომიკურ სტრუქტურებში. საქართველოს და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ევროკავშირის დირექტივების სრულ იმპლემენტაციას. სტრატეგიული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება ასევე ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მოლდოვას და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულებაც ითვალისწინებს ევროდირექტივების იმპლემენტაციას როგორც გარემოსდაცვით, ასევე ეკონომიკურ სტრუქტურებში. შესაბამისად ერთმანეთს ვადარებ საქართველოს და მოლდოვას გარემოსდაცვით საკითხებს და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს.

მოგეხსენებათ, საქართველო 90-იან წლებში არშემდგარ სახელმწიფოდ მოიხსენიებოდა და შესაბამისად ქვეყანაში არ იყო ჩამოყალიბებული მდგრადი გარემოსდაცვითი პოლიტიკა. არც ეკონომიკური ინვესტიციების და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა შეინიშნებოდა. სწორედ ამიტომ ჩემს ნაშრომში განვიხილავ თანამედროვე საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითად პერსპექტივებსა და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს. მიმოხლივას ვიწყებ 2012 წლის პერიოდიდან, იმიტომ რომ 2012 წლიდან საქართველოს პოლიტიკა აშკარად იწყებს დაახლოებას ევროკავშირის პოლიტიკასთან და ქვეყნაში მკვიდრდება ევროპული სტანდარტები. მოგეხსენებათ 2014 წელს დაიდო ასოცირების ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური კურსი ორიენტირებულია ევროპისკენ და ევროკავშირში ინტეგრაცია გახლავთ ქართული პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამოწვევა. სწორედ ამიტომ გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხობის ევროპული სტანდარტების დანერგვა ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა ჩვენი ქვეყნისათვის. თანამედროვე საქართველოში გარემოს დაცვის საკითხები საკმაოდ მწვავედ დგას და ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა ეკოლოგიური კუთხით. ხშირად ხელისუფლება ე.წ მწვანე ტერიტორიებს იყენებს ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით. მოგეხსენებათ,

საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად ეფუძნება ბუნებრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას და ქვეყანაში ყურადღება ექცევა სხვადასხვა ეკონომიკური ინვესტიციების განხორციელებას, შედეგად კი ზარალდება ქვეყანა და საფრთხე ექმნება ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და ჯანსაღ გარემოს. საქართველოს ხელისუფლება შეძლებისდაგვარად ცდილობს ოპტიმალურად აითვისოს ის ბუნებრივი რესურსები, რითაც მდიდარია ქვეყანა და მიიღოს რაც შეიძლება მაღალი ეკონომიკური სარგებელი. ეკონომიკური სარგებლის გაზრდა იწვევს გარემოსდაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების წინ წამოწევას და ქვეყანაში იზრდება ეკოლოგიური და ჯანსაღი გარემოს დეგრადაციის საფრთხე.

აღნიშნული თემა ავირჩიე, იმიტომ რომ გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხები გახლავთ მნიშვნელოვანი სფეროები პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებთან ერთად. სწორედ ამიტომ მაინტერესებს ქართული პოლიტიკური პარტიების, ეროვნული ხელისუფლების წევრების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დამოკიდებულება გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ. რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული პირებისათვის ეკოლოგიური უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი საკითხები და რამდენად უკავშირდება გარემოს დაცვა ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ თემატიკასთნ დაკავშირებით არ მოიპოვება ძალიან ბევრი მასალა და შესაბამისად არ არის ჩატარებული ბევრი კვლევა. საკმაოდ მწირი რაოდენობით გვხვდება გზამკვლევები გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური საკითხების შესახებ. სწორედ ამ მიზეზების გამო, მსურს გამოვიკვლიო გარემოსდაცვითი საკითხების და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების ურთიერთკავშირის მიზეზები და ასევე ვაჩვენო პოლიტიკური პარტიების, ეროვნული მთავრობის წევრების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების დამოკიდებულება და განწყობა აღნიშნული საკვლევი თემის შესახებ.

რაც შეეხება სიახლეს, რაც გახლავთ ჩემს კვლევაში. მოგეხსენებათ, უკვე ჩატარდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები და სიახლე არის ამ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური

პარტიების დამოკიდებულების შესწავლა გარემოსდაცვითი საკითხების და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების მიმართ. ნაშრომი აჩვენებს იმას, თუ როგორ უკავშირდება გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს.

კვლევის მიზანი

აღნიშნული კვლევის მიზანია ურთიერთკავშირის დადგენა ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებსა და გარემოსდაცვით საკითხებს შორის.

კვლევის ამოცანები:

1. ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების მიმოხილვა და დაკავშირება გარემოსდაცვით საკითხებთან.

2. საქართველოს და მოლდოვას გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი ასპექტების შედარება.

3. რუმინეთის გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმოხილვა

4. საჯარო სექტორის წარმომადგენლების დამოკიდებულების ჩვენება ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების და გარემოსდაცვითი საკითხების ურთიერთკავშირის მიმართ.

5. პოლიტიკური პარტიების პროგრამების მიხედვით გარემოსდაცვითი საკითხების შეფასება.

საკვლევი კითხვა- რამდენად იწვევს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება გარემოსდაცვითი საკითხების აქტუალიზაციას?

ჰიპოთეზა- რაც უფრო იზრდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, მით უფრო აქტუალური ხდება გარემოსდაცვითი პრობლემები.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელლებში იგულისხმება: ეკონომიკური ინვესტიციები და მთლიანი შიდა პროდუქტი.

ჰიპოთეზა გამოიკვეთა საკვლევი კითხვიდან. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებთან. შესაბამისად ჰიპოთეზაც ამ ფორმით ჩამოვაყალიბე. ეკონომიკური განვითარება იწვევს გარემოსდაცვით და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებს. ეს ნათლად ჩანს განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე, სადაც ეკონომიკური განვითარება არის მნიშვნელოვანი, ვიდრე გარემოს დაცვა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების მოგვარება. მაგალითად, აფრიკის და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ვინაიდან ეს ქვეყნები მსოფლიოს განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების რეიტინგში შედიან. შესაბამისად ამ სახელმწიფოებში მთავრობა ეკონომიკურ განვითარებას უფრო აქცევს ყურადღებას, ვიდრე გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების მოგვარებას. საქართველოს მაგალითზეც ეროვნული მთავრობა ზრუნავს ეკონომიკური ინვესტიციების მიღებაზე და მთავრობისათვის პრიორიტეტულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. სწორედ ეკონომიკური განვითარება იწვევს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს როგორიცაა: გარემოს დაბინძურება, ეკოლოგიური უსაფრთხოების პირობების გაუარესება, ე.წ მწვანე ტერიტორიების განადგურება და სხვა.

დამოუკიდებელი ცვლადი: ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები.

დამოკიდებული ცვლადი: გარემოსდაცვითი საკითხები.

კვლევის მეთოდოლოგია

ჩემს სამაგისტრო ნაშრომში ვიკვლევ საჯარო სექტორის წარმომადგენლების, ქართული პოლიტიკურ პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების წევრების დამოკიდებულებას გარემოსდაცვითი და ეკონომიკური საკითხების ურთიერთკავშირის მიმართ. ერთმანეთს ვუკავშირებ ეკონომიკურ განვითარების მაჩვენებლებს და გარემოსდაცვით საკითხებს. ნაშრომში ვიყენებ შემდეგ კვლევის მეთოდებს:

- თვისებრივი კვლევის მეთოდი- შედარებითი ანალიზი. ერთმანეთს ვადარებ საქართველოს და მოლდოვას გარემოსდაცვით საკითხებს და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს, საქართველოს და რუმინეთის გარემოსდაცვით საკითხებს და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს. ასევე ვიკვლევ გარემოსდაცვის საკითხების და ეკონომიკური განვითარების ურთიერთკავშირის მიზეზებს.

- თვისებრივი კვლევის მეთოდი-მეორადი წყაროების ანალიზი. ჩემს თემაში ვიყენებ როგორც ინგლისურენოვან, ასევე ქართულენოვან წყაროებს. ვიყენებ სხვადასხვა თეორიებს გარემოსდაცვითი და ეკონომიკური განვითარების საკითხების შესახებ. ასევე ვიყენებ მოხსენებებს, სტრატეგიულ დოკუმენტებს, ანგარიშებს და სხვა.

- თვისებრივი კვლევის მეთოდი -სიღრმისეული ინტერვიუ. აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით ინტერვიუები ჩავატარე გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, რომლებიც საკმაოდ კარგად ერკვევიან გარემოსდაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებში. გამოვიკითე ახალგაზრდული გაერთიანების წარმომადგენელი. მათი პასუხების მეშვეობით შედარებით ადვილად დავუკავშირე გარემოსდაცვით საკითხებს ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები.

თეორიული ჩარჩო

თეოდორ პანაიოტუ გახლავთ ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში, ჰარვარდის უნივერსიტეტში გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების პროგრამის მიმართულების ხელმძღვანელი და ეკონომიკის სრული პროფესორი. ავტორი თავის ნაშრომში "ეკონომიკური ზრდა და გარემო" საუბრობს ეკონომიკური ზრდისა და გარემოსდაცვითი საკითხების ურთიერთკავშირის შესახებ. პროფესორი ერთმანეთს უკავშირებს სტაბილურ ეკონომიკურ შემოსავალს და გარემოს ხარისხს. ასევე ხედავს კავშირს ეკონომიკური ზრდის მაღალ სტანდარტებსა და გარემოს დაცვის ხარისხის მაღალ სტანდარტებს შორის. ნაშრომის მიხედვით იკვეთება აზრი, რომ ეკონომიკური აქტივობის ზრდა, წარმოება და მოხმარება წარმოშვებს დიდი რაოდენობით ნარჩენების პროდუქტებს. ბუნებრივი რესურსების მოპოვება, ნარჩენების მოგროვება და დამაბინძურებლების კონცენტრაცია იწვევს გარემოს ხარისხის დეგრადაციას და ადამიანის კეთილდღეობის შემცირებას. აღნიშნული ნაშრომის მიზანია: ეკონომიკური ზრდისა და გარემოში ემპირიული ურთიერთობების შესწავლა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სტრუქტურული ცვლილებების როლს, ტექნოლოგიურ ცვლილებებს და ეკონომიკურ გარემოსდაცვით პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური მიზნების და გარემოსდაცვითი მიზნების ერთმანეთთან თანხვედრას და კოჰაბიტაციას. ნაშრომი პასუხს სცემს ხუთ მთავარ შეკითხვას. [1]

1. რა კავშირი არსებობს ეკონომიკურ შემოსავლებსა და გარემოს დეგრადაციას შორის.
2. როგორ უკავშირდება მოსახლეობის ზრდა, შემოსავლების გადანაწილება და საერთაშორისო ვაჭრობა გარემოსდაცვით პოლიტიკას.
3. როგორია სტატისტიკის მიხედვით ურთიერთობა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკასა და გარემოს შორის.

[1] (Panayotou, 2003) – "Economic Growth And The Evvironment". https://www.unece.org/fileadmin/DAM/ead/sem/sem2003/papers/panayotou.pdf ნანახია: 2017 წლის 5 მარტს.

4. რა არის ეკოლოგიური ზღვრების შედეგები და როგორ უკავშირდება ეს შედეგები გარემოს დეგრადაციას და ეკონომიკურ ზრდას.

5. რა არის გარემოსდაცვითი პოლიტიკის როლი, როგორც ეკონომიკური შემოსავლის და გარემოს ურთიერთობების ფორმის ახსნა თუ უფრო მდგრადი შედეგების უზრუნველყოფა.

ავტორი თვლის, რომ სტრუქტურული ცვლილება, რომელიც თან ახლავს ეკონომიკურ ზრდას, გავლენას ახდენს გარემოს ეკოლოგიურ ხარისხზე და იწვევს დაბინძურების მასშტაბების ზრდას. გარემოს დაბინძურებას პირველ რიგში იწვევს ეკონომიკური შემოსავლების რიცხვის ზრდა. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ დაბინძურების უზარმაზარი მასშტაბები საჭიროა მკაცრი გარემოსადაცვითი რეგულაციების შემოღება. [2]

ავტორი აღნიშნავს, რომ 1970 წლიდან ინდუსტრიულ ქვეყნებში დაიწყო გარემოსდაცვითი რეგულაციების გამკაცრება და შედეგად წარმოიშვა "სამრეწველო გადატრიალების ეფექტი", შედეგად ქვეყნებმა ქიმიური ნივთიერებების წარმოებაზე დააწესეს მაღალი კვოტა. ავტორი ასევე საერთაშორისო ვაჭრობას უკავშირებს ინდუსტრიულ ქვეყნებში ეკონომიკურ შემოსავლებსა და გარემოსდაცვით ფაქტორებს. საერთაშორისო ვაჭრობის გავლენა ზრდის ქვეყნის შიგნით პროდუქციის წარმოების მოხმარებას. ავტორი არგუმენტად ასახელებს ე.წ კუზნეცის მრუდს, რომელიც გულისხმობს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის და გარემოს მახასიათებელ დეგრადაციას შორის კავშირის დადგენას. ქვეყნებს გარემოსდაცვითი პრობლემების აღმოფხვრა შეუძლიათ ეკონომიკური ზრდის ხაზგასმით და შესაბამისად შეზღუდული რესურსების წარმოებით.

ავტორი თვლის, რომ დაბალშემოსავლიან ქვეყნებშიც კი შესაძლებელია თავიდან ავირიდოთ გარემოს დაბინძურება და დეგრადაცია. ამისათვის საჭიროა სწორად გამოიყენონ ქვეყნებმა ბუნებრივი რესურსები. მნიშვნელოვანია სტრუქტურული

[2] (Panayotou, 2003) – "Economic Growth And The Evvironment". https://www.unece.org/fileadmin/DAM/ead/sem/sem2003/papers/panayotou.pdf ნანახია: 2017 წლის 5 მარტს.

ცვლილებების განხორციელება ტექნოლოგიური და სისტემური კუთხით. ასევე გარემოსდაცვითი პოლიტიკის მექანიზმების განახლება და სწორად გამოყენება. რაც შეეხება განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს აქ საბაზრო ეკონომიკა ხშირად იწვევს გარემოს დეგრადაციას მავნე სუბსიდიების მეშვეობით, როგორიცაა: ენერგეტიკა და ტრანსპორტი. [3]

ნაშრომის მიხედვით ზეწოლა გარემოზე კვლავ გაგრძელდება ათწლეულების მანძილზე, რადგან მძიმე მრეწველობა და ეკონომიკური პროცესები კიდევ უფროდაუფრო ვითარდება. მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური თანამშრომლობის მეთოდის დამყარება, რომელიც ხელს შეუწყობს სუფთა ტექნოლოგიური მოწყობილობების დანერგვას და შესაბამისად ნაკლებად იქნება გამოყენებული წარმოების საზიანო ნიმუშები.

ავტორი გვთავაზობს კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელიც უნდა გატარდეს, რათა შემცირდეს გარემოს დაბინძურების ხარისხი და შესბამისად თავიდან იქნას არიდებული გარემოს დეგრადაციის გამომწვევი მიზეზები.

- მივიღოთ ე.წ ეკონომიკური ინსტრუმენტების ეფექტიანი ნაზავი, როგორიცაა გადასახადები, გარემოდაცვითი და სოციალური ხარჯების შიდა დაყოფა და მოხმარების წარმოების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა.
- ბაზრისა და პოლიტიკის წარუმატებელი ნაბიჯების გამოსწორება.
- რესურსების გამოყენების ეფექტურობის გაუმჯობესება.
- ცვლილებების განხორციელება ეკონომიკური ზრდის შინაარსით, რომელიც მოიცავს რეგულირების ხარჯებს.
- განათლების დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს სამრეწველო და კოლექტიური პასუხისმგებლობას. ასევე ხელს შეუწყობს გარემოს მდგარად განვითარებას.

[3] (Panayotou, 2003) –" Economic Growth And The Evvironment". https://www.unece.org/fileadmin/DAM/ead/sem/sem2003/papers/panayotou.pdf ნანახია:2017 წლის 5 მარტს.

- დემოკრატიისა და მოქალაქეთა უფლებების გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს აქტიური გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებას და ეს გამოიწვევს წარმოების და მოხმარების ნიმუშების შეცვლას. [4]

ლიტერატურის მიმოხილვა

ჩემს ნაშრომში ვიყენებ როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან წყაროებს. განსაკუთრებით გამოვყოფ რამოდენიმე მასალას, რომელიც დამეხმარა ჩემი თემის ძირითადი მიზნისა და ამოცანების ჩამოყალიბებაში.

- რობერტ ბრულის ნაშრომი "Politics and the environment". აღნიშნულ ნაშრომში საუბარია აშშ-ში არსებულ გარემოსდაცვით მოძრაობებზე,არასამთავრობო ორგანიზაციებზე, მწვანე მოძრაობებზე და სხვა. ნაშრომში მკაფიოდ იკვეთება ის აზრი, რომ კაპიტალისტური ეკონომიკის ფორმების განვითარება წინ წამოსწევს ქვეყანაში არსებულ გარემოსდაცვით და ეკოლოგიურ საკითხებს. ნაშრომში ყურადღება მახვილდება მწვანე კუთხით მომუშავე პარტიების, მწვანე კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდული გაერთიანებების არსებობაზე. ავტორის აზრით მწვანე კუთხით მომუშავე პარტიებს შეუძლიათ ეფექტურად გადაჭრან გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები. ჩემი აზრით, ავტორი ხედავს მკაფიო კავშირს ეკონომიკურ განვითარებას და გარემოსდაცვით საკითხებს შორის. ნაშრომის აზრი მდგომარეობს იმაში რომ, კაპიტალიზმის ეკონომიკური ფორმების განვითარება წარმოქმნის გარემოსდაცვით და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებს. ეს პროცესი ძირითადად დამახასიათებელია განვითარებადი სახელმწიფოებისათვის. ჩემი

[4] (Panayotou, 2003) – "Economic Growth And The Evvironment". https://www.unece.org/fileadmin/DAM/ead/sem/sem2003/papers/panayotou.pdf ნანახია: 2017 წლის 5 მარტს.

აზრით ნაშრომში სწორი მიგნება გახლავთ გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლის გამოყოფა და მათი მნიშვნელობის ხაზგასმა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტისას. ავტორი ერთმანეთს უკავშირებს ეკონომიკური კაპიტალიზმის ფორმებს და გარემოსდაცვით და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებს. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური აღმშენებლობა თავისთავად საფრთხეს უქმნის გარემოს და წარმოშვებს დამატებით პრობლემებს. ბრულის აზრით ეკონომიკური კაპიტალიზმი უსწორმასწორო ფორმებით ხასიათდება და შესაბამისად ეკონომიკური პროცესების დაჩქარება აზარალებს გარემოს და საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. ავტორი პოლიტიკური პარტიების დიდ როლსაც უსვამს ხაზს გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტის დროს. სწორედ პოლიტიკურ პარტიებს, ეროვნული მთავრობის წარმომადგენლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ახალგაზრდულ გაერთიანებებს შეუძლიათ იზრუნონ გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრაზე. ასევე გასცენ კონკრეტული რეკომენდაციები, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები, რათა ეფექტურად გადაჭრან გარემოსდაცვითი კუთხით არსებული პრობლემები.[5]

- ფრანკ იოსის, მარტინ ქუასის და იოჰანეს შილერის ნაშრომი: "Environmental problems and economic development in an endogenous fertility model". აღნიშნულ ნაშრომში ავტორები საუბრობენ ეკონომიკური განვითარების შესახებ და ეკონომიკური განვითარების მიზეზად ასახელებენ მოსახლეობის რაოდენობის ზრდას. ნაშრომის ძირითადი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკური განვითარება იწვევს გლობალურ პრობლემებს და ზიანს აყენებს ეკოლოგიურ გარემოს. ჩემი აზრით ნაშრომში კარგად არის ახსნილი ეკონომიკური განვითარების არსი. კერძოდ ეკონომიკური განვითარება ახსნილია ორი ძირითადი ინდიკატორის მეშვეობით. ესენია ფიზიკური კაპიტალი და დემოგრაფიულ-ეკონომიკური სისტემა. ნაშრომში

[5] (Brulle, 2010) "Politics and The Environment ".
http://www.pages.drexel.edu/~brullerj/Environmental%20Politics%20Chapter.pdf ნანახია: 2017 წლის 6 მარტს

კარგად არის გამოკვეთილი გარემოსდაცვის და ეკონომიკური საკითხების გადაჯაჭვულობა. ეს ორი სფერო ერთმანეთთან ურთიერთკავშირში იმყოფება. ავტორები სწორედ დემოგრაფიული მდგომარეობის და ფიზიკური კაპიტალის დახმარებით ზომავენ ეკონომიკურ განვითარების შედეგად წარმოქმნილ გარემოსდაცვით და ეკოლოგიური უსაფრთხოების ხასიათის პრობლემებს. ჩემი აზრით ავტორებს საკმაოდ სიღრმისეულად აქვთ განხილული გარემოსდაცვითი საკითხების და ეკონომიკური პროცესების ურთიერთკავშირი და მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული ორივე მათგანი კონკრეტული იდნიკატორების მეშვეობით. ნაშრომის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოსახლეობის რაოდენობის ზრდა თავისთავად იწვევს ეკონომიკური პროცესების დაჩქარებას და შედეგად ზარალდება გარემო. ეკონომიკური პროცესები და დემოგრაფიული ზრდა ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია. დემოგრაფიული პროცესის ზრდის თანმდევი მოვლენა გახლავთ ეკონომიკური პროცესების დაჩქარება და შესაბამისად დამატებითი ეკოლოგიური პრობლემების წარმოშვება. აღნიშნული ნაშრომი, ჩემი აზრით სიღრმისეულად უკავშირებს ერთმანეთს ეკონომიკური პროცესების განვითარებას, მოსახლეობის რაოდენობის ზრდას და გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების კუთხით არსებულ პრობლემებს. ნაშრომში ჩანს ღრმა კავშირი ეკონომიკური პროცესების განვითარებასა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების წარმოშვებას შორის. [6]

- ნაშრომი "გარემოს დაცვა და ეკონომიკური კეთილდღეობა"- ავტორი რობერტ სტავინსი. ნაშრომში საუბარია ინ კონკრეტულ მექანიზმებზე, რომელიც უნდა განახორციელოს მთავრობამ რათა მოაგვაროს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები. ავტორი საუბრობს ძირითად პრობლემაზე ეს გახლავთ გარემოს დაბინძურება, რაც გამოწვეულია გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარების უუნარობით. ავტორი მიიჩნევს, რომ მთავრობამ უნდა გადადგას

[6] (Jost, Quass, Schiller, 2006) "Environmental problems and economic development in an endogenous fertility model". http://www.uni-heidelberg.de/md/awi/forschung/dp428.pdf ნანახია: 2017 წლის 7 მარტს.

კონკრეტული ნაბიჯები რათა მოაგვაროს გარემოს დაცვის პრობლემები. კერძოდ შემოიღოს ჯარიმები დაბინძურებაზე და თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით შემცირდეს გარემოს დაბუნძურების მაჩვენებელი. ასევე ავტორი საუბრობს ქარხნების კონტროლზე. მათ მიერ გამოყოფილი დაბინძურებული ჰაერი უნდა იყოს კონტროლზე აყვანილი და შესაბამისი ჯარიმა უნდა იყოს დაწესებული. ეკონომიკური აღმავლობის დროს შენდება რაც შეიძლება მეტი ქარხნები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებს. [7]

- ნაშრომი მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა", რომელიც გამოცემულია ჰაინრივ ბიოლის ფონდის კავკასიის რეგიონული ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით პროექტის "პოლიტიკური განათლების გამწვანება საქართველოში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ " ფარგლებში. ნაშრომში განხილულია მწვანე პოლიტიკის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია მე-20 საუკუნეში, ასევე სიღმისეულად არის განხილული მწავნე პოლიტიკის ისტორიული საფუძვლები. ნაშრომში საუბარია გლობალური მწვანე პოლიტიკის, მწვანე ფილოსოფიის, ჰოლიზმის და მწვანეთა დაჯგუფებების მოძრაობების შესახებ. მკვეთრად არის გამოხატული აღნიშნული დაჯგუფებების პოზიციები და კონკრეტული ხედვები მწვანე პოლიტიკის შესახებ. განხილულია მათი იდეოლოგიური ხედვები მემარჯვენე და მემარცხენე პოზიციების მიხედვით. ასევე საუბარია სოციალური ეკოლოგიის შესახებ. განხილულია ეკოსოციალიზმის, ეკოფემინიზმის, ეკოფაშიზმის ხედვები. აღნიშნულ ნაშრომში საუბარია იმ ძირითად ფაქტორებზე რაც საფრთხეს უქმნის ჯანსაღ გარემოს და წარმოქმნის ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებს. კერძოდ საუბარია სიღარიბეზე, კაპიტალისტური ეკონომიკის ფორმების განვითარებაზე და დემოგრაფიულ - ეკონომიკურ სისტემაზე. [8]

[7] (Stavins, 2003) “Environmental Protection and Economic Well-being”. http://www.rff.org/files/sharepoint/WorkImages/Download/RFF-DP-03-48.pdf ნანახია: 2017 წლის 10 მარტს.
[8] (მწვანე ალტერნატივა, 2013) „ მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“

- ნაშრომი „გარემოსდაცვითი საკითხები პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამაში“, სადაც განხილულია საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები და მათი პროგრამები გარემოსდაცვის და მდგრადი განვითარების კუთხით. აღნიშნული ნაშრომი გამოცემულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „პოლიტიკური დებატები მდგრად განვითარებაზე -არჩევნები 2012“ ფარგლებში. ნაშრომში ასახულია ის ძირითადი პრიორიტეტები და გამოწვევები, რომელიც ეხება საქართველოს გარემოს დაცვასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. ჩემი აზრით, აღნიშნულ ნაშრომში კარგად არის განხილული საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება და განწყობა გარემოსდაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების მიმართ. კარგად არის ყურადღება გამახვილებული გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხების კუთხით. ნაშრომში დეტალურად გახლავთ განხილული საქართველოში არსებული გამოწვევები გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების შესახებ. ნაშრომში არის წარმოდგენილი და განხილული 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები, მიზნები, ამოცანები, ძირითადი პრიორიტეტები გარემოსდაცვისა და ეკოლოგიური განვითარების საკითხების კუთხით. ნაშრომში ჩანს, რომ პოლიტიკური პარტიები ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევენ გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხებს. ჩემი აზრით, ავტორებს მკაფიო ხედვა აქვთ წარმოდგენილი საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ. თუმცა უნდა ავღნიშნოთ ნაშრომის ნაკლიც, კერძოდ ნაშრომში პოლიტიკური პარტიები ზედაპირულად განიხილავენ თავიანთ სტრატეგიულ მიზნებსა და გამოწვევებს. ნაშრომში არ არის კონკრეტულად ჩამოთვლილი ის პრობლემები რაც მწვავედ დგას ჩვენს ქვეყანაში. პოლიტიკური პარტიების მხრიდან გარემოს დაცვითი და მდგრადი განვითარების საკითხების მიმოხილვა არის მოკლე და ზედაპირული, არ ჩანს ის

---

http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf ნანახია: 2017 წლის 10 მარტს.

კონკრეტული მექანიზმები, რომელთა მეშვეობით მოგვარდება გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხები. აღნიშნული ნაშრომი გახლავთ ერთგვარი შეჯამება 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების განწყობების და დამოკიდებულებების გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური საკითხების მიმართ. [9]

კვლევის ლიმიტი

კვლევის პროცესში განსაკუთრებით გამომადგა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემული გზამკვლევები და მოხსენებები გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების შესახებ, თუმცა უნდა ავღნიშნო ის პრობლემა, რაც შემხვდა კვლევის პროცესში. კერძოდ არ მქონდა წვდომა გარემოსდაცვის სამინისტროს ბევრ წარმომადგენელთან. მხოლოდ ორი წარმოამდგენელის გამოკითხვა მოვახერხე. მათგან შევეცადე მიმეღო მაქსიმალური ინფორმაცია გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების შესახებ. ძირითადად შემოვიფარგლე გარემოსდაცვის სამინისტროს ეგიდით გამოცემული მოხსენებებით და რეკომენდაციებით. ასევე პრობლემა გახლდათ ის, რომ ვერ მოვიძიე ზუსტი ინფორმაცია იმ კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, რასაც ახორციელებს გარემოს დაცვის სამინისტრო იმისათვის რომ უზრუნველყოს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების მოგვარება.

[9](მწვანე ალტერნატივა, 2012) წიგნი „გარემოსდაცვითი საკითხები პოლიტიკურ პარტიებში“. ნანახია: 2017 წლის 15 მარტს.

ოპერაციონალიზაცია

ჩემი ნაშრომის ჰიპოთეზა გახლავთ: რაც უფრო იზრდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, მით უფრო აქტუალური ხდება გარემოსდაცვითი საკითხები. აქედან დამოუკიდებელი ცვლადია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები, დამოკიდებული ცვლადია გარემოსდაცვითი საკითხები. ჩემი ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს, თუ რამდენად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების აქტუალიზაციას. არსებული თემის ირგვლივ გავეცანი რამოდენიმე სტატიას და თეორიას. ოპერაციონალიზაციის პროცესში გამომადგა ფრანკ იოსის, მარტინ ქუასის და იოჰანეს შილერის ნაშრომი: "გარემოსდაცვითი პრობლემები და ეკონომიკური განვითარება". ავტორები ეკონომიკურ განვითარებას ხსნიან მოსახლეობის რაოდენობის ზრდით. სწორედ მოსახლეობის ზრდა იწვევს გლობალურ პრობლემებს და ზიანს აყენებს ეკოლოგიურ გარემოს. ავტორები ეკონომიკურ განვითარებას სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ზომავენ ფიზიკური კაპიტალით და დემოგრაფიულ-ეკონომიკური სისტემის მიხედვით. ეს ორი ინდიკატორი მკვეთრად უწყობს ხელს გარემოსდაცვითი პრობლემების წარმოქმნას. ფიზიკურ კაპიტალში იგულისხმება მოსახლეობის, როგორც დემოგრაფიული ასევე, ეკონომიკური ზრდა. ანუ მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე ადამიანის მიერ ტექნოლოგიების მზარდი და ხშირი გამოყენება. ხოლო დემოგრაფიული ზრდა თავისთავად გულისხმობს მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრად გაზრდას. მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდება ადამიანი მიერ მოთხოვნადი რესურსების რაოდენობა და შესაბამისად იზრდება გარემოსდაცვითი ხასიათის პრობლემების რაოდენობა. გარემოსდაცვა და ეკონომიკური განვითარება მკევთრად არის გადაჯაჭვული ერთმანეთთან. გლობალურმა კაპიტალიზმმა განაპირობა ეკონომიკური პროცესების ზრდა, რამაც გამოიწვია გარემოს დაბინძურება და მძიმე ეკოლოგიური პრობლემები. ავტორები დემოგრაფიულ მდგომარეობის და ფიზიკური კაპიტალის მდგომარეობის დახმარებით

ზომავენ ეკონომიკურ განვითარებას და ეკონომიკური განვითარების შედეგად წარმოქმნილ გარემოდაცვით და ეკოლოგიური ხასიათის პრობლემებს. [10]

ეკონომიკური განვითარების გასაზომად ვიყენებ ქვეყნის განვითარების დონეს, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტს, გაეროს მიერ შემოღებული ჰუმანური განვითარების ინდექსს, ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის მოცულობას, ეკონომიკური თავისუფლების განვითარების ინდექსს და სხვა ინდიკატორებს. ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების შედეგების გათვალისწინებით ნათელი წარმოდგენა იქმნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის შესახებ. საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით იმყოფება 22-ე პოზიციაზე მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის. Heritage Foundation-ი ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგს ყოველწლიურად ოთხი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით ადგენს. ეს კრიტერიუმებია: კანონის დაცვა (საკუთრების უფლების დაცვა და კორუფციის დონე), ბაზრის ღიაობის დონე (ვაჭრობის თავისუფლება, ინვესტიციები, ფინანსებთან წვდომა), სახელმწიფოს მონაწილეობა (საგადასახადო რეჟიმი და სახელმწიფო ხარჯები) და ეკონომიკის რეგულირების ეფექტურობა (ბიზნესის დაწყების სიმარტივე, შრომით რესურსებთან წვდომა და მონეტარული პოლიტიკის მდგრადობა).[11]

შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად, ქვეყნებს ქულები ენიჭებათ. 80 და მეტი ქულა "თავისუფალი" ეკონომიკის მქონე ქვეყანაზე მიუთითებს. 70-დან 79,9-მდე ქულა "მეტწილად თავისუფალი" ეკონომიკის მქონე ქვეყნის მანიშნებელია, 60-დან 69,9 ქულამდე მიღების შემთხვევაში ქვეყანა "ზომიერად თავისუფალია". 60-ზე დაბალი ქულა "ძირითადად არათავისუფალი" ქვეყნის სტატუსზე მეტყველებს, ხოლო თუ ქულების

[10] (Jost, Quass, Schiller, 2006) "Environmental problems and economic development in an endogenous fertility model". http://www.pages.drexel.edu/~brullerj/Environmental%20Politics%20Chapter.pdf ნანახია: 2017 წლის 7 მარტს

[11] საქართველო 2016 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში- https://idfi.ge/ge/georgia-2016-economic-freedom-index ნანახია: 2017 წლის 20 მარტს.

რაოდენობა 50-ს ჩამოსცდა, მაშინ საქმე "დახურული" ეკონომიკის მქონე ქვეყანასთან გვაქვს.[12]

2017 წელს საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი 73 ქულით შეფასდა. ქვეყნის ერთიანი მაჩვენებელი კი, გასულ წელთან შედარებით, 0,4 პუნქტით არის გაზრდილი, რაც კორუფციის დაბალმა დონემ, მონეტარულ თავისუფლებისა და სამთავრობო ხარჯების მენეჯმენტმა განაპირობა. ამ მაჩვენებელმა კი, თავის მხრივ, შრომის თავისუფლების კუთხით არსებული მნიშვნელოვანი უკუსვლა გადაწონა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყანა გახლავთ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით ქვეყანას რეიტინგში საკმაოდ კარგი პოზიც ია უკავია. [13]

ასევე გამომადგა რობერტ ბრულის ნაშრომი „პოლიტიკა და გარემო“. ავტორი საუბრობს ეკონომიკური განვითარების და გარემოსდაცვითი საკითხების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ავტორი განიხილავს აშშ-ის გარემოსდაცვით პოლიტიკას, საუბრობს მწვანე პოლიტიკის შესახებ და ამბობს, რომ კაპიტალიზმის განვითარება თავისი ეკონომიკური ფორმებით განაპირობებს გარემოსდაცვითი საკითხების უკანა პლანზე გადაწევას. ავტორი გარემოსდაცვით პრობლემატიკას ზომავს შემდეგი ინდიკატორების მიხედვით: ღრმა ეკოლოგიური პრობლემები, ჯანსაღი გარემოს შექმნა, გარემოსდაცვითი პოლიტიკის რეფორმა და სამართლებრივი ნორმები გარემოსდაცვით საკითხებში. ავტორი იყენებს ნაციონალური და რეგიონული გარემოსდაცვითი ორგანიზაციების სტატისტიკურ მონაცემებს, რომელშიც ასახულია გარემოსდაცვითი რეფორმები,გარემოს დაცვა და ალტერნატიული საშუალებები. ავტორი აშშ-ის მაგალითზე განიხილავს ქვეყნის მწვანე მიმართულებით მომუშავე პარტიებს და სხვადასხვა მოძრაობებს, რომელთა მთავარი ამოცანაა ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრა და მთლიანად აღმოფხვრა. ავტორი ლიბერალური

[12] საქართველო 2016 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში- https://idfi.ge/ge/georgia-2016-economic-freedom-index ნანახია: 2017 წლის 20 მარტს.
[13] საქართველო 2016 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში- https://idfi.ge/ge/georgia-2016-economic-freedom-index ნანახია: 2017 წლის 20 მარტს.

გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარების გზას მიიჩნევს ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად და თვლის, რომ ეკოლოგიური მოდერნიზაცია უნდა მოხდეს გლობალური ეკონომიკური პროცესების განვითარების პარალელურად. შესაძლებელია მწვანე მოძრაობების გაძლიერების გზით აღმოიფხვრას გარემოსდაცვითი პრობლემები და ეკონომიკურმა განვითარებამ ნაკლები ზიანი მიაყენოს გარემოს. ბრული თვლის, რომ უზარმაზარი ეკონომიკური ინვესტიციები და მსხვილი ეკონომიკური ღონისძიებების გატარება ზრდის ეკონომიკური განვითარების დონეს, მაგრამ უდიდეს ზარალს აყენებს ქვეყნის გარემოსდაცვით პოლიტიკა და ეკოლოგიური უსაფრთხოების დეგრადაციას განაპირობებს. ბრული საუბრობს ეკონომიკური მოდერნიზაციის შესახებ და თვლის, რომ ეკონომიკური რეფორმები უნდა გატარდეს იმ დოზით, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და შევინარჩუნოთ ჯანსაღი ეკოლოგიურად სუფთა გარემო. გარემოსდამცველი ორგანიზაციები გმობენ უკონტროლო ეკონომიკური ღონისძიებების ჩატარებას და აქტიურად შეახსენებენ ქვეყნების მთავრობის წარმომადგენლებს გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების მნიშვნელობას. [14]

კვლევის პროცესში განსაკუთრებულად მეხმარება მეორადი წყაროების ანალიზი. სხვადასხვა ავტორების სტატიები და თეორიები გარემოსდაცვითი საკითხების კუთხით ნათლად მიქმნის წარმოდგენას გარემოსდაცვის, ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მიერ გამოცემული ნაშრომები, რომლებიც მწვანე პოლიტიკას და გარემოსდაცვას ეხება მნიშვნელოვნად მეხმარება გამოვკვეთო გარემოსდაცვითი საკითხების ძირითადი პრობლემები. ესენია: გარემოს ეკოლოგიური დაბინძურება, ბუნებრივი რესურსების არარაციონალურად გამოყენება, მწვანე ტერიტორების უკანონო გაჩეხვა და სხვა. სწორედ ამ პრობლემებს იწვევს ეკონომიკური განვითარება სუსტ ქვეყნებში. ეკონომიკური ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება და ჩართვა ქვეყნის განსავითარებლად პარალელურად გარემოს დაცვის მწვავე პრობლემებს წარმოშობს.

[14] (Brulle, 2010) "Politics and The Environment ". http://www.pages.drexel.edu/~brullerj/Environmental%20Politics%20Chapter.pdf ნანახია: 2017 წლის 10 მარტს.

პირველი თავი

გარემოსდაცვითი პრობლემები და გამოწვევები

1.1გარემოსდაცვითი საკითხების ზოგადი მიმოხილვა

გარემოს დაცვისა და განვითარების კომისიის ანგარიშში გარემოსდაცვითი პრობლემატიკის და უსაფრთხოების კავშირი პირველად 1987 წელს გამოიკვეთა: „კაცობრიობას ორი ძირითადი საფრთხე ემუქრება. პირველი ეს არის ატომური იარაღის გამოყენება–იმედს ვიტოვებთ, რომ მომავალში ეს პერსპექტივა აღარ იარსებებს და მეორე საფრთხე, მსოფლიოს გარემოს დეგრადაცია და ეს არ არის მომავლის პერსპექტივა, ეს ფაქტია დღეს“. [15]

გაეროს 42–ე გენერალურმა ასამბლეამ ოფიციალურად შემოიტანა უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად, მსოფლიოში არსებული გლობალური საფრთხეებიდან, რომელიც მნიშვნელოვნად ემუქრება საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის გარემოს დეგრადაცია და მისი თანამდევი პრობლემები.[16]

2004 წელს, გაერთიანებული ერების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში „უფრო უსაფრთხო მსოფლიო ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა“ ხაზი გაესვა იმას, რომ აუცილებელია პრობლემათა გადაჭრისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება. მსოფლიო ჯერ კიდევ არ არის მზად შეხედოს გარემოს განვითარების პრობლემებს ინტეგრირებულად და თანმიმდევრულად. სიღარიბესთან, გადამდებ დაავადებებსა და გარემოს დეგრადაციასთან ბრძოლა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. მაგალითად უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე დაახლოებით 2–მა მილიარდმა ადამიანმა განიცადა ბუნებრივი კატასტროფების ზეგავლენა, ხოლო ამ ბუნებრივი კატასტროფების

---

[15] (მწვანე ალტერნატივა, 2013) „მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“- http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf ნანახია: 2017 წლის 25 მარტს.

[16](მწვანე ალტერნატივა, 2013) „ მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“- http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf ნანახია: 2017 წლის 25 მარტს.

შედეგად წარმოშობილმა ეკონომიკურმა ზარალმა გადააჭარბა წინა ოთხი ათეული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.[17]

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ბევრ ქვეყანაში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგში კვლავაც პრობლემატურია. დღევანდელი თვალსაზრისით, გარემოსდაცვითი უსაფრთხოება განსაზღვრავს ქვეყნის და საზოგადოების უნარს გადაიტანოს ან წინ აღუდგეს გარემოსდაცვითი რესურსების სიმწირეს, შეუქცევად გარემოსდაცვით ცვლილებებს ან ბუნებრივი რესურსების გამო წარმოშობილ დაძაბულობასა და კონფლიქტებს. გარემოს დეგრადაციამ და ბუნებრივი რესურსების და ეკოსისტემების არარაციონალურმა მოხმარებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას თემებსა და ერებს. ხოლო კონკურენცია სწრაფად ამოწურვად რესურსებზე, როგორიცაა ტყეები, მტკნარი წყალი, ნაყოფიერი ნიადაგები, კლიმატის ცვლილების ზეგავლენა და ადამიანთა მიგრაცია საფრთხეს უქმნის სტაბილურობასა და მშვიდობას. ტრანს–სასაზღვრო დაბინძურება ან გარემოსდაცვითი ავარიები და კატასტროფები ხშირად უარყოფითად მოქმედებს მეზობელ სახელმწიფოებზე. თუმცა, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას წამოჭრილმა პრობლემებმა ასევე შეიძლება გააერთიანოს ადამიანები და თემები, რათა ერთობლივად გამოასწორონ ბუნებრივი რესურსების მართვა. შესაბამისად, თანამშრომლობა გარემოს დაცვის კუთხით შეიძლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდეს კონფლიქტების პრევენციასა და ერებსა და თემებს შორის მშვიდობის დამყარებაში. [18]

---

[17] (მწვანე ალტერნატივა, 2013)“ მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“- http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf ნანახია: 2017 წლის 25 მარტს.

[18] (მწვანე ალტერნატივა, 2013) „მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“ – http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf ნანახია: 2017 წლის 25 მარტს.

1.2 საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა

გარემოსდაცვითი პოლიტიკა გულისხმობს გარკვეულ ვალდებულებას კანონების, წესების და პოლიტიკის სხვა მექანიზმების წინაშე გარემოსდაცვით და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს საკითხები ზოგადად მოიცავს: ჰაერისა და წყლის დაბინძურებას, მყარი ნარჩენების მართვას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ეკოსისტემების მართვას, ბუნებრივი რესურსების დაცვას და მაქსიმალურ ათვისებას. [19]

საქართველოში გარემოსდაცვითი დაგეგმვის სისტემის დანერგვის მცდელობა ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოდან იწყება. გაცნობიერებულ იქნა რა გარემოსდაცვითი პრობლემების კომპლექსური ხასიათი, ასევე ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვისა თუ სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებებში გარემოსდაცვითი საკითხების ასახვის საჭიროება, 1996 წელს მიღებულ იქნა ჩარჩო კანონი "გარემოს დაცვის შესახებ ", ეს კანონი ითვალისწინებს ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგიის მომზადებას და ამ პროცესში წამყვან როლს გარემოს დაცვის სამინისტროს აკისრებს. გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირება საქართველოში მრავალი საერთაშორისო ვალდებულებით ხდება. იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს მიახლოება განვითარებულ საერთაშორისო საზოგადოებასთან , საქართველოს მთავრობა ცდილობს დანერგოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული გარემოსდაცვითი მიდგომები და რეგულაციები. [20]

საქართველო-ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ მიზნებს ისახავს. სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2006 წლის ნოემბერში ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის მიერ. ევროკავშირსა

---

[19](მწვანე ალტერნატივა, 2013) „მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“ http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf ნანახია: 2017 წლის 25 მარტს.

[20] (მწვანე ალტერნატივა, 2013) „ მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“ http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf ნანახია: 2017 წლის 25 მარტს.

და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ასოცირებულ შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გარემოს დაცვის სფერო. ხელშეკრულება ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს გარემოს დაცვის სფეროში, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს არამარტო ადამიანისა და ეკოსისტემებისათვის შესაბამისი გარემო პირობების უზრუნველყოფას, არამედ გარემოსდაცვითი მმართველობისა და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების გაუმჯობესებას. [21]

ევროპის რეკონსტუქციის და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში ხორციელდება ბევრი პროექტი, რომელიც მიმართულია გარემოსდაცვითი პრობლემების აღმოსაფხვრელად. იგულისხმება სხვადასხვა სახის სანიტარული ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრას. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო), გაეროს ადამიანის განვითარების პროგრამამ და გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ 2003 წელს დააარსეს გარემო და უსაფრთხოების ინიციატივა (ENVSEC) სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში 2004 წლიდან ამოქმედდა ENVSEC პროგრამა. [22]

2005 წლიდან დაიწყო ქალაქ თბილისის განაშენიანების პროექტი. დაიწყო მრავალი სამშენებლო პროექტი, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკოლოგიას და წინ წამოსწია გარემოსდაცვითი პრობლემები. საქართველო, როგორც სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყანა ისწრაფვის მოიზიდოს რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური ინვესტიცია, შედეგად კი ეროვნული მთავრობა თვალს ხუჭავს ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებზე. მწვავედ დგას ისეთები პრობლემები როგორიცაა: ჰაერის დაბინძურება, ხეების მოჭრა. სახელმწიფომ ე.წ „სასუნთქი ტერიტორიები“ გამოიყენა ეკონომიკური მიზნებისათვის. კერძოდ სასტუმროების, გასართობი და სხვა კომერციული დაწესებულებების ასაშენებლად.

[21](მწვანე ალტერნატივა, 2013) „ მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“ http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf ნანახია: 2017 წლის 25 მარტს.

[22](მწვანე ალტერნატივა, 2013) „მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“ http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf ნანახია: 2017 წლის 25 მარტს.

სწრაფი ეკონომიკური განვითარება წინ წამოსწევს გარემოსდაცვით საკითხებს, როგორც პოლიტიკურ პარტიებში, ასევე ზოგადად ქვეყანაში აქტიურად ჩნდება ეკოლოგიური პრობლემები.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მხარდაჭერით(UNECE) 2016 წელს გამოიცა "გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შეფასების მესამე მიმოხილვის" დოკუმენტი. დოკუმენტში შეფასებულია საქართველოს გარემოსდაცვითი მმართველობის სფეროში არსებული მდგომარეობა, გაანალიზებულია გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შეფასების მეორე მიმოხილვის (2010წ) რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელებული საქმიანობა, განხილულია 2010 დან 2015 წლამდე მიღწეული პროგრესი და მომზადებულია რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის ქვეყანაში გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების კუთხით. აღნიშნული დოკუმენტი განიხილა და მოიწონა UNECE-ის გარემოსდაცვითმა კომიტეტმა, ხოლო დოკუმენტი საზოგადოებას წარედგინა 2016 წლის ივნისში. [23]

საქართველოს მთავრობის კოორდინაციით და შესაბამისი სამთავრობო უწყებების ჩართულობით გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესში განისაზღვრა პრიორიტეტული მიზნები და ქვემიზნები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდება ეროვნული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით დაიწყო პროგრამების განხორციელება:

- მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში "მწვანე პრაქტიკის" წახალისება
- მწვანე ბიზნესის, რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ხელშესაწყობად კერძო სექტორის წარმომადგენლების გადამზადება

[23] საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის ანგარიში- http://www.moe.gov.ge/res/docs/913210.pdf ნანახია: 2017 წლის 27 მარტს.

- სუფთა ტრანსპორტისა და მწვანე ქალაქების განვითარებისათვის ქ. ბათუმში მდგრადი, ინტეგრირებული ტრანსპორტის სისტემის დანერგვა.
- ნარჩენების მართვის სფეროში ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების და უნარჩენო წარმოების ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა.[24]

გარემოს დაცვის სამინისტრომ განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან თანამშრომლობით დაიწყო მუშაობა დოკუმენტზე "გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის" -საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2018-2022). სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს "განათლება მდგრადი განვითარებისათვის" პრინციპების დანერგვის ხელშეწყობისათვის ძირითად საჭიროებებსა და მიმართულებებს. [25]

1.3 საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია ეროვნული ინტერესების განუყოფელ ნაწილად განიხილავს „საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია მოსახლეობის და გარემოს უსაფრთხოების დაცვა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირების, გარემოს დაბინძურების, ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი კრიზისების პრევენციის გზით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი,

[24] საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის ანგარიში - http://www.moe.gov.ge/res/docs/913210.pdf ნანახია: 2017 წლის 27 მარტს.
[25] საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის ანგარიში- http://www.moe.gov.ge/res/docs/913210.pdf ნანახია: 2017 წლის 27 მარტს.

მიწისძვრა, ასევე სამრეწველო ავარიების პრევენციას და სხვა. ამასთან, დოკუმენტი მართებულად აღნიშნავს, რომ გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან. საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელებისას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიურ უსაფრთხოებას. დოკუმენტში სწორედაა გამოკვეთილი, რომ არსებულ გარემოსდაცვით პრობლემებს- ბუნებრივი პროცესებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ კრიზისებს შეუძლია საფრთხე შეუქმნას საქართველოს ბუნებრივ გარემოს, ბიომრავალფეროვნებას და მისი მოქალაქეების კეთილდღეობას. [26]

1.4 საქართველო ევროკავშირის სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი გახლავთ გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

- საქართველოს ეროვნული გარემოს დაცვის 2012-2016 წლების სამოქმედო გეგმის სრული იმპლემენტაცია.
- მომზადების დაწყება ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებისა და იმპლემენტაციისათვის. კომპეტენტური უწყებების განსაზღვრა ისეთ სფეროებში როგორიცაა- გარემოზე ზემოქმედების შეფასება, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, ნარჩენების პოლიტიკა, ბიომრავალფეროვნება, ბუნებრივი რესურსების მართვა გარემოსდაცვის საერთო საინფორმაციო სისტემის ფარგლებში, სხვადასხვა სამინისტროებისათვის გარემოსდაცვითი მონაცემების შეგროვების

[26] (მაკფარლეინი, 2012) „საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“- http://css.ge/files/Papers/0812pp_macfarlane_georgian.pdf ნანახია: 2017 წლის 30 მარტს.

თანმიმდევრული მეთოდის განვითარება და საზოგადოებისათვის გარემოსდაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

- საქართველოს ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და 2012-2020 წლების სამოქმედო გეგმის მიღება და განხორციელება.
- ორჰუსისა და როტერდამის კონვენციების სრული იმპლემენტაცია და გეგმის შემუშავება .

სამოქმედო გეგმის თანახმად მხარეები თანამშრომლებენ ტრანსპორტისა და ენერგიის საკითხებში. აქცენტი გაკეთებულია კასპიის ზღვისა და შავი ზღვის რესურსებზე და მათ რაციონალურ გამოყენებაზე. საუბარია სოფლის მეუნეობის გავითარებაზე, საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარზე გატანასა და საირიგაციო სისტემების გაყვანაზე. სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ არ გამოკვეთილი გარემოს დაცვის და მდგრადი განვითარების საკითხები. საუბარია მწვანე ტერიტორიების სანტარიის აუცილებლობაზე და ასევე ეკოლოგურ უსაფრთხოებაზე. საქართველო ვალდებულია შეასრულოს ევროკავშირის მიერ დაკისრებული ვალდებულებები. [27]

2016 წლის 18 ოქტომბერს ბრიუსელში ჩატარდა გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველი მინისტერიალი. მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც ასახულია მომდევნო ორი წლის მანძილზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და ევროკავშირის მიერ ერთობლივად განხორციელებული ქმედებები, ევროინტეგრაციის კუთხით ძირითადი პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები. 2016 წლის ოქტომბერში ევროკომისიამ წარმოადგინა ახალი ინიციატივა ლურჯი ეკონომიკის განვითარებისა და მხარდაჭერის ორწლიანი მექანიზმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რომელიც ამოქმედდება 2017 წლის სექტემრიდან. მექანიზმის მთავარი მიზანია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების შესაძლებლობების

[27] საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი- http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategia-da-samoqmedo-gegma/saqartvelo-evrokavshiris-asocirebis-dgis-wesrigi.pdf ნანახია: 2017 წლის 30 მარტს.

გაძლიერებაში დახმარება. ასევე შავი ზღვის ქვეყნების წარმომადგენლებისგან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ითანამშრომლებს ევროკომისიასთან შავ ზღვაში ჩასატარებელი კვლევების მიმართულებით.[28]

1.5 ორჰუსის კონვენცია

1998 წლის 25 ივნისს დანიის ქალაქ ორჰუსში ხელი მოეწერა კონვენციას „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ".

2000 წლის 11 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება. ორჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით კონვენციებს შორის გახლავთ ახალი ტიპის კონვენცია, რომელიც აყალიბებს ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. გარდა ამისა, კონვენცია მიზნად ისახავს გარემოსდაცვის პროცესში გააძლიეროს საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლი და ჩართულობა. [29]

ორჰუსის კონვენცია ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოების მონაწილეობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა. ასევე კონვენცია მიზნად ისახავს გარემოსდაცვის საკითხებში მთავრობათა ანგარიშების და გამჭირვალობის დონის ზრდის ხელშეწყობას.

---

[28] საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის ანგარიში- http://www.moe.gov.ge/res/docs/913210.pdf ნანახია: 2017 წლის 27 მარტს.

[29] (მწვანე ალტერნატივა, 2014) „ორჰუსის კონვენციის განხორციელება საქართველოში“- http://greenalt.org/wp-content/uploads/2014/04/Aarhus_Convention_alternative_report_GEO_2014_FINAL.pdf ნანახია: 2017 წლის 30 მარტს.

საქართველო, როგორც ორჰუსის კონვენციის წევრი სახელმწიფო, ვალდებულია უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და გამჭირვალე სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის აქტიურად გავრცელებასა და დაინტერესებული მხარის მიერ, ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მის ეფექტურად მიწოდებას.

აღსანიშნავია, რომ ორჰუსის კონვენცია ადგენს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მინიმალურ სტანდარტებს. კონვენციის წევრი სახელმწიფოები არ არიან შეზღუდულნი დაადგინონ ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უფრო ფართო ხელმისაწვდომობის მექანიზმები.

ორჰუსის ცენტრი საქართველოში" დაარსდა 2005 წელს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მისიის საქართველოში და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით. 2009 წლის 1 ივნისიდან ცენტრი ფუნქციონირებას აგრძელებს როგორც ეუთო-ს პროექტი "გარემო და უსაფრთხოების ინიციატივის" ფარგლებში.

- ცენტრი ხელს უწყობს გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობას მუდმივად განახლებადი ვებ –გვერდისა და გარემოსდაცვითი ბიბლიოთეკის საშუალებით და სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების ორგანიზებით;
- მონიტორინგს უწევს საზოგადოების მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და პერიოდულად აწვდის რეკომენდაციებს გარემოს დაცვის სამინისტროს ამ პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით;
- ამუშავებს სხვადასხვა სახის განმარტებითი შინაარსის მქონე გზამკვლევებს ფართო საზოგადოების მიერ ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებისა და მათი შესრულებისთვის საჭირო არსებული მექანიზმების ახსნის მიზნით.

- უზრუნველყოფს დაინტერესებულ საზოგადოებას გარემოსდაცვითი საკითხების ირგვლივ იურიდიული და სხვა სახის კონსულტაციებით.[30]

1.6 რიოს დეკლარაცია

1992 წელს ბრაზილიაში, რიო დე ჟანეიროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით შედგა საერთაშორისო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს 178 ქვეყნის მთავრობათა, არასამთავრობო და საერაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები შეხვედრაზე მიღებული იქნა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: ერთი - „რიოს დეკლარაცია გაეროსა და განვითარებისათვის“ და მეორე - „ტყეების მდგრადი მართვის პრინციპების შესახებ“. ამ ორი დეკლარაციის საფუძველზე შეიქმნა მოქმედებათა გეგმა, რომელიც მიმართულია გარემოზე ადამიანის გავლენის შესამცირებლად გლობალურ, ეროვნულ და ლოკალურ დონეზე. ის უნდა განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ქვეყნების მთავრობების და სხვა ძირითადი ჯგუფების მიერ. ამ დოკუმენტს ეწოდა „განაწესი 21 საუკუნისათვის“. სწორედ ამ დოკუმენტით დაედო საფუძველი მსოფლიო განვითარების ახალ მიმართულებას, რომელსაც მდგრადი განვითარება ეწოდება.

საქართველო გახლავთ ერთ–ერთი მონაწილე ქვეყანა და ვალდებულია რიოს დეკლარაციის პრინციპები გაითვალისწინოს, როგორც გაეროს წევრმა ქევყანამ. [31]

---

[30](მწვანე ალტერნატივა, 2014) „ორჰუსის კონვენციის განხორციელება საქართველოში“- http://greenalt.org/wp-content/uploads/2014/04/Aarhus_Convention_alternative_report_GEO_2014_FINAL.pdf ნანახია: 2017 წლის 30 მარტს.

[31](მწვანე ალტერნატივა, 2012) „ საზოგადოების მონაწილეობა ტყის მართვაში“ - http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Forest_Guide.pdf ნანახია: 2017 წლის 30 მარტს.

მეორე თავი

ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები და გარემოსდაცვითი საკითხები

2.1 ეკონომიკური ინვესტიციები (2012-2016) წლები

2012 წლის მეორე კვარტლიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა და წლის ბოლოს, 2011 წლის მონაცემთან შედარებით, 252 მილიონი აშშ დოლარით ნაკლები შეადგინა. ბოლო წლების სტაბილური გაუმჯობესების შემდეგ, ეს კლება სერიოზული შეშფოთების საგანია ეკონომიკური პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის. ვინაიდან საქართველოს შიდა კაპიტალის ბაზარი კვლავ განუვითარებელია, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დაფინანსების გარე წყაროებზე და კერძოდ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისთვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება, რომელთა განხორციელებაც მხოლოდ ადგილობრივი საბანკო სექტორის დაფინანსებით შეუძლებელი იქნებოდა.[32]

[32] (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013) „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2012 წლის მიმოხილვა“ https://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf ნანახია: 2017 წლის 2 აპრილს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2003-2012)

33

[33] (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013) „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2012 წლის მიმოხილვა“ https://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf ნანახია: 2017 წლის 2 აპრილს.



[34]

ყველა ინვესტიცია, მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მომავალზე ორიენტირებული აქტივობაა, რომელიც ემყარება მომავალი მოგების მოლოდინს და ამ მოგების მიღების რწმენას. ამიტომ, რომელიმე ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირებაზე გადაწყვეტილება თითქმის ყოველთვის გულისხმობს ამ კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური მომავლის შეფასებას. მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა ორი მთავარი რისკის არსებობას ნიშნავს, რომლებიც ინვესტორმა ინვესტიციის ეკონომიკური ეფექტის ანალიზის დროს უნდა გაითვალისწინოს. ეს ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის შემთხვევაში. პირველი რისკი შიდა არასტაბილურობას ან კონფლიქტს უკავშირდება, რამაც, შესაძლოა,

[34] (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013) „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2012 წლის მიმოხილვა“ https://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf ნანახია: 20127 წლის 2 აპრილს.

საქმიანობის მომგებიანობა შეამციროს იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი ტიპის რისკი არსებობს, ვინაიდან შეიძლება საფრთხე შეექმნას გაყიდვებსა და ექსპორტს, შეჩერდეს წარმოება, ანდა დაზიანდეს რესურსები. მეორე რისკი არის ის, რომ პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, შესაძლოა, ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე იმოქმედოს, რაც შეამცირებს როგორც ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირებული აქტივების ღირებულებას, ასევე ნებისმიერ მოსალოდნელ მოგებას ინვესტიციაზე. [35]

2.2 მთლიანი შიდა პროდუქტი (2012-2016) წლები

საქართველოს და მთლიანად რეგიონის ეკონომიკური პერსპექტივა ხელსაყრელი რჩება და გლობალური ფინანსური კრიზისიდან ნელი გამოსვლის პროცესს შეესაბამება. 2012 წელს საქართველოში მაკროეკონომიკური ცვლილებები პოზიტიური იყო და ინფლაცია შემცირდა. აღინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის შენელება და ინვესტიციების შემცირება პოსტ-საარჩევნო გაურკვევლობის გამო. შესაბამისად, ახალი მთავრობის წინაშე ადგილობრივი კერძო დაფინანსების წყაროების მობილიზების გამოწვევა დგას, ვინაიდან საგარეო რესურსები შეზღუდულია. ამ გაურკვევლობის შემსუბუქების მიზნით, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სარეზერვო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლითაც ქვეყნისთვის 400 მილიონი აშშ დოლარი იქნება ხელმისაწვდომი, თუ თანხების საჭიროება მოულოდნელად შეიქმნა. მთავარ მაკროეკონომიკურ გამოწვევად კვლავ მუდმივად მაღალი მიმდინარე ანგარიშის და ფისკალური დეფიციტი რჩება. რამდენიმე საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტმა მთავრობას ურჩია ფისკალური კონსოლიდაციის და სტრუქტურული რეფორმების განხორციელება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და ამით ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევისთვის. ფისკალური კონსოლიდაციის პროცესი დაწყებულია: 2012

[35](ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013) „ საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2012 წლის მიმოხილვა“- https://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf ნანახია: 2017 წლის 2 აპრილს.

წლის ბოლოსთვის კონსოლიდირებული ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ს 2.9% შეადგინა, ხოლო 2013 წელს ამ დეფიციტის 2.8%-მდე შემცირება იყო დაგეგმილი.[36]

იმ სექტორების თვალსაზრისით, რომლებიც მშპ-ის ზრდას უწყობენ ხელს, საქართველოს მშპის სტრუქტურა, წინა წელთან შედარებით, პრაქტიკულად არ შეცვლილა. მშპ-ის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი (მთლიანი მშპ-ის 17%) ისევ ვაჭრობამ შეიტანა, რომელსაც მრეწველობის სექტორი მოსდევდა. ნომინალურ გამოსახულებაში, ყველაზე დიდი ზრდა ფინანსური შუამავლობის (18.1%), მშენებლობის (16%) და მრეწველობის (13.1%) სექტორებში აღინიშნა. სოფლის მეურნეობა უმსხვილესი დამსაქმებელია, მაგრამ მისი წილი კვლავ მცირეა - მშპ-ის 8%. სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია სოფლის მოსახლეობის შემოსავლების 45%-ს შეადგენს, სოფლად დასაქმებულთა 73% კი სოფლის მეურნეობას საკუთარი მოხმარებისთვის მისდევს. ამ სექტორის დაბალი პროდუქტიულობა სოფლის მეურნეობის სავაჭრო დეფიციტის გაღრმავებაში გამოიხატა. სოფლის მეურნეობის სექტორში არსებულ ძირითად პრობლემებს შორის არის ინვესტიციების დაბალი დონე, რაც ძალიან დანაწევრებული მიწებით არის გამოწვეული. ასევე პრობლემაა ტრანსპორტირების მაღალი ხარჯები, ბაზრებთან დამაკავშირებელი გზების გაუმართავი ქსელი და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა.[37]

---

[36] (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013) „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2012 წლის მიმოხილვა“ https://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf ნანახია: 2017 წლის 2 აპრილს.

[37] (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013) „საქართელოს ეკონომიკის პერსპეტივა 2012 წლის მიმოხილვა“ https://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf ნანახია: 2017 წლის 2 აპრილს.

მთლიანი შიდა პროდუქტი სექტორულ ჭრილში



[38]

გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე, 2016 წელს საქართველოში 2.7 % -იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. ეკონომიკის ზრდის მთავარი წარმმართველი ფაქტორი გახლდათ ეკონომიკური ინვესტიციები. საქართველო გამოირჩევა საინვესტიციო მიმზიდველობის მხრივ რეგიონში. შესაბამისად, ბოლო სამი წლის განმავლობაში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა, რომლის მოცულობამ 2016 წელს, წინასწარი მონაცემებით, 1 645 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 5 %-ით აღემატება 2015 წლის დაზუსტებულ მონაცემებს. 2016 წელს ეკონომიკურმა ზრდამ

[38] (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013) „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2012 წლის მიმოხილვა“- https://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf ნანახია: 2017 წლის 2 აპრილს.

2.7 % შეადგინა. საქართველოს ეკონომიკური ზრდის პოტენციური დონე საკმაოდ მაღალია და დაახლოებით 5 %-ს შეადგენს. [39]

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაანგარიშებები

[40]

2.3 ეკონომიკური ინსტრუმენტები

მოწინავე ქვეყნებში, მათ შორის ევროგაერთიანების ქვეყნებში, გარემოს დაცვის სფეროში გამოიყენება ე.წ. ეკონომიკური ინსტრუმენტები. ამ ინსტრუმენტებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია გადასახადები გარემოში მავნე ნივთიერებების გაფრქვევაზე, საქონელზე ან ნედლეულზე, რომლებიც იწვევენ გარემოს დაბინძურებას. ასეთი გადასახადები, წარმოების, მომსახურების და პროდუქტების ფასებზე ზემოქმედების გზით, ეკონომიკურ სტიმულს აძლევენ მწარმოებლებს და მომხმარებლებს, შეამცირონ გარემოს დაბინძურება.

---

[39] (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016) „ეკონომიკური მიმოხილვა“ http://www.economy.ge/uploads/publications/economy_8484723758fdf66e4c9332.50742461.pdf ნანახია:2017 წლის 5 აპრილს.

[40] (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016) „ეკონომიკური მიმოხილვა“ http://www.economy.ge/uploads/publications/economy_8484723758fdf66e4c9332.50742461.pdf ნანახია: 2017 წლის 5 აპრილს.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება:

- სტაციონარული წყაროებიდან ემისიების შემცირების მასტიმულირებელი ეკონომიკური ინსტრუმენტები - გადასახადები საწარმოო ობიექტებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევებზე. ეს გადასახადები სტიმულს აძლევს მეწარმე სუბიექტებს, გამოიყენონ ისეთი ტექნოლოგიები, მათ შორის, ჰაერის გამწმენდი ფილტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ამ ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების და შესაბამისად,გადასახადი თანხის ოდენობის შემცირებას.

- საწვავის ხარისხთან დაკავშირებული ეკონომიკური ინსტრუმენტები – გადასახადები დიფერენცირებულია საავტომობილო და სხვა სახის საწვავში მავნე ნივთიერებების შემცველობის მიხედვით. მაგალითად, საწვავზე, რომელშიც გოგირდის შემცველობა მაღალია, უფრო მეტი გადასახადი ვრცელდება.

- ეკონომიკური ინსტრუმენტები სატრანსპორტო საშუალებებზე – გადასახადები ავტომობილზე საწვავის მოხმარების ეფექტურობის მიხედვით. არაეფექტური საავტომობილო საშუალებები უფრო მაღალი ტარიფით იბეგრება.[41]

[41] (ეკონიმიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013) „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2012 წლის მიმოხილვა“- https://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf ნანახია: 2017 წლის 2 აპრილს.

2.4 გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმები (2012-2016) წლებში

2012 წელს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელდა რიგი რეფორმები და საკანონმდებლო ცვლილებები. გამოვლინდა 7 საწარმო, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე აწარმოებდნენ ეკონიმიკურ საქმიანობას. ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა სექტორული გზამკვლევები შემდეგი საქმიანობისათვის:

- ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა;
- ნავთობტერმინალების და ნავთობსაცავების განთავსება;
- ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა;
- ასფალტის წარმოება;
- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა;
- ნარჩენების განთავსება.

ასევე ცვლილებები შეეხო სატყეო სექტორს. ეკონომიკური ინვესტიციების შემოდინების შედეგად მასობრივად ნადგურდებოდა მწვანე ტერიტორიები. ამ ადგილებზე კი შენდებოდა სხვდასხვა კომერციული დაწესებულებები: სასტუმროები, მაღაზიები და სხვა. შეიქმნა გარემოს ზედამხედველობის ორგანო, რომელიც მონიტორინგს უწევდა მწვანე ტერიტორიებს. [42]

2015 წლის ნოემბერში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიას (UNECE) შორის ხელი

[42] გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (2012-2013)წლის ანგარიში- http://moe.gov.ge/res/images/file-manager/wliuri-angarishi/2012-2013wlis-angarishi.pdf ნანახია: 2017 წლის 5 აპრილს.

მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს “საქართველოში ეროვნული პოლიტიკური დიალოგის ” პროცესის გაგრძელების თაობაზე. მემორანდუმის მიხედვით, 2016-2018 წლებში UNECE-ის ტექნიკური და ფინანსური დახმარებით, გაგრძელდება მუშაობა წყლის რესურსების მართვის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაზე.

ავტოტრანსპორტიდან გარემოს დაბინძურების შემცირების მიზნით, სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა უწყებათშორისი კომისია, რომელმაც მოამზადა 2013-2016 წლების სახელმწიფო პროგრამის პროექტი, რომელიც სხვა ასპექტებთან ერთად მიზნად ისახავს:

- ✓ ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხობრივი ნორმების ეტაპობრივი გამკაცრებასა და საწვავის ხარისხის რეგულარული კონტროლის დაწესებას;
- ✓ კომპიუტერული მოდელირების გზით, თბილისის ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შეფასებას, ავტოტრანსპორტით გადატვირთული უბნების გამოვლენსა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ეკოქიმიური მდგომარეობის შესწავლას;
- ✓ ტრანსპორტით გადატვირთულ დედაქალაქის უბნებში მცხოვრები, დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას. [43]

მთლიანი შიდა პროდუქტის და ეკონომიკური ინვესტიციების ზრდამ უფრო აქტუალური გახადა გარემოსდაცვითი პრობლემები. 2016 წელს ეკონომიკური ინვესტიციების შემოდინების და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ხარჯზე გაიზარდა ქვეყანაში ავტომობილების რაოდენობა, რამაც გამოიწვია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით შექმნილი უწყებათშორისი კომისიის მიერ შემუშვდა "თბილისის ატმოსფერული ჰაერის

[43] გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (2012-2013)წლის ანგარიში- http://moe.gov.ge/res/images/file-manager/wliuri-angarishi/2012-2013wlis-angarishi.pdf ნანახია: 2017 წლის 5 აპრილს.

დაბინძურების შემცირების ხელშემწყობის ღონისძიებების შესახებ" სახელმწიფო პროგრამის პროექტი. პროგრამა მოიცავს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებისკენ მიმართულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა:

- ავტოპარკის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება,
- ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების ხელშეწყობა.
- საავტომობილო საწვავის ხარისხის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია.
- ქალაქის გამწვანება.
- ჰაერის ხარისხის და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი.
- საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება.[44]

2016 წელს მოიმატა კომერციული დაწესებულებების მშენებლობების რაოდენობამ და სწორედ ამის გამო გარემოს დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის და შეფასების სისტემის გაუმჯობესებას. ასევე სამინისტრომ განახორციელა მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევის სახელმწიფო აღრიცხვა. ეკონომიკური ინვესტიციების შემოდინების შედეგად საფრთხე შეექმენა მიწის რესურსებს და სასარგებლო წიაღისეულს. 2016 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდამ შეადგინა 5%. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის და მშენებლობის სექტორებში. [45]

ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის შექმნისა და დანერგვის მიზნით შემუშავდა ნარჩენების მართვის ეროვნული (15 წლიანი) სტრატეგიის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია ნარჩენების მართვის ძირითადი პრიორიტეტები და

[44] საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის ანგარიში- http://www.moe.gov.ge/res/docs/913210.pdf ნანახია: 2017 წლის 5 აპრილს.
[45] საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის ანგარიში- http://www.moe.gov.ge/res/docs/913210.pdf ნანახია: 2017 წლის 5 აპრილს.

მიმართულებები, მათ შორის ქვეყანაში გასატარებელი ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირების, აღდგენისა და განთავსების ღონისძიებები. მომზადდა ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი, სადაც გაწერილია მომდევნო 5 წელიწადში განსახორციელებელი ღონისძიებები, განხორციელების ვადები ,დაფინანსების წყაროები და სხვა. ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა წარედგინა საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად. სამინისტროს ჩართულობით, შემუშავდა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის განხორციელების 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმა.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით, შემუშავდა „წყლის რესურსების მართვის შესახებ "კანონპროექტი, რომელიც დაფუძნებულია წყლის რესურსების სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებსა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ თანამედროვე მოთხოვნებზე.

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა სანაპირო წყლების ხარისხის მართვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და მომზადდა რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებების განხორცილებისთვის.[46]

[46] საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის ანგარიში- http://www.moe.gov.ge/res/docs/913210.pdf ნანახია: 2017 წლის 5 აპრილს.

მესამე თავი

მოლდოვას გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები

3.1 მოლდოვას გარემოსდაცვითი საკითხები

გარემოს დაცვა არის გლობალური მნიშვნელობის საკითხი, რომელიც უნდა გახდეს ეროვნული პრიორიტეტი, რადგან პირდაპირ ეხება მოსახლეობის ცხოვრების პირობებსა და ჯანმრთელობას. იგი მოიცავს ეკონომიკურ ინტერესებს, ისევე როგორც, საზოგადოების მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს. სუფთა გარემოს არსებობა უდავოდ ხელს უწყობს მოლდოვას რესპუბლიკის კონსტიტუციის ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას: სიცოცხლის უფლებას, ფიზიკური და მორალური ჯანმრთელობის უფლებას. ეს გულისხმობს მდგრადი განვითარების თვალსაზრისით გარემოს (ჰაერი, წყალი, ნიადაგი, ფლორისა და ფაუნის) ძირითადი კომპონენტების ხარისხის შენარჩუნებას. მოლდოვაში უკანასკნელ წლებში განვითარებული ცვლილებების შედეგად, ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურაში, ასევე არსებული საკანონმდებლო ბაზის პირობებში აუცილებელი გახდა გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება. რომელიც მოიცავს შემდეგ ძირითად ამოცანებს:

- საველე სფეროში ძირითადი პრინციპების და პრიორიტეტების გათვალისწინება, გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და ქვეყნის მდგრადი განვითარება;
- მოლდოვის რესპუბლიკის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების სინქრონიზაცია და პოლიტიკის ჩარჩოების განხორციელება ევროინტეგრაციის გზით;

- ინსტიტუციონალური რეფორმის გატარება და გარემოსდაცვით სფეროში გარემოსდაცვითი და საკანონმდებლო ბაზის განხორციელების შესაძლებლობების განვითარება ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების სფეროში. [47]

გარემოსდაცვითი პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობა ბოლო წლების განმავლობაში აღნიშნეს როგორც ეროვნულმა ექსპერტებმა, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ექსპერტებმა, რომლებიც მოლდოვის რესპუბლიკაში სხვადასხვა გარემოსდაცვითი მისიებს ახორციელებდნენ. რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მოლდოვას მრავალი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემა აქვს.

- მყარი ნარჩენების არასაკმარისი მართვა იწვევს ნიადაგის, ჰაერს და წყლის დაბინძურებას;
- ტყეების არარაციონალური მართვა იწვევს ნიადაგის დეგრადაციას და ბიომრავალფეროვნების დანაკარგებს;
- დაბინძურებული საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა.
- ნარჩენებისა და მავნეების უკანონო შენახვა;
- სამრეწველო საქმიანობა და დიდი რაოდენობით ძველი მანქანები.
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება.[48]

[47] (Government Decision, 2014) " Republic of Moldova" http://apps.unep.org/redirect.php?file=/publications/pmtdocuments/-Environmental_Strategy_for_the_years_2014-2023-2014Moldova_EnvironmentalStrategy_2014-202.pdf ნანახია: 2017 წლის 15 აპრილს.
[48](Govermnet Decision, 2014)"Republic of Moldova" http://apps.unep.org/redirect.php?file=/publications/pmtdocuments/-Environmental_Strategy_for_the_years_2014-2023-2014Moldova_EnvironmentalStrategy_2014-202.pdf ნანახია: 2017 წლის 15 აპრილს.

3.2 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება

"გარემო" ასე ეწოდება ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა ევროკავშირსა და მოლდოვას შორის. შეთანხმების თანახმად, მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობის კონკრეტული ვალდებულებები და საქმიანობა განისაზღვრება გარემოს დაცვის სფეროში და მოლდოვას დაეკისრა გარკვეული დავალებების შესრულება:

- კანონმდებლობის, ნორმებისა და სტანდარტების ევროპულ დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანა, ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარება და ახალი საჭირო სტრუქტურების შექმნა;
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და შესაბამისობის განსახორციელებლად ეროვნული გარემოსდაცვითი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს დაგეგმილ ინსტიტუციონალურ რეფორმებს, დადგენილ ვადაში;
- წყლის, ჰაერის, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და შემარბილებელი საკითხების დარგობრივი სტრატეგიის შემუშავება;
- ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე გარემოსდაცვითი ორგანოების კომპეტენციის მკაცრი და მკაფიო გამიჯვნა;
- სხვა სექტორულ პოლიტიკაში გარემოს ინტეგრირება, მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და ეკო-ინოვაციების ხელშეწყობა.[49]

[49] Implementation of the European Neighbourhood Policy in the Republic of Moldova
Progress in 2014 and recommendations for actions- http://eeas.europa.eu/archives/docs/enp/pdf/2015/repulic-of-moldova-enp-report-2015_en.pdf ნანახია: 2017 წლის 15 აპრილს.

3.3 სტრატეგიული გარემოსდაცვითი დაგეგმვა

გარემოსდაცვითი პოლიტიკის პირველი დოკუმენტი იყო გარემოს დაცვის კონცეფცია (1995), რომელიც მოიცავდა გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და მექანიზმებს საბაზრო ეკონომიკაში გადასვლის დროს. მოგვიანებით შემუშავდა და დამტკიცდა ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო პროგრამა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტი მოძველებულია და არ შეესაბამება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს და ევროინტეგრაციის თანამედროვე ტენდენციებს. შემდეგ შემუშავდა ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა (1996), რომელიც განხორციელდა[50]ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამის დებულებების შესაბამისად.[51]

3.4 მდგრადი და ეკონომიკური განვითარება

მდგრადი განვითარება განისაზღვრება, როგორც საზოგადოების განვითარების გზა, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე თაობის საჭიროებებს მომავალი თაობების ცხოვრების დონისა და ხარისხის დაცვისა დასაცავად. ამდენად, თითოეულმა თაობამ უნდა განახორციელოს საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილება, მაგრამ მომავალი თაობების გავლენის გარეშე.

ჯერჯერობით, მოლდოვის ეკონომიკური განვითარება ეფუძნება სუბსიდირებული წიაღისეული საწვავის ექსპლუატაციას, რომელიც შემოიფარგლება ელექტროენერგიის, ბუნებრივი მემკვიდრეობის არაეფექტიანი და არაორდინალური გამოყენების,

[50] Republic of Moldova Government Decision, 2014) - "on the approval of the Environmental Strategy for the years 2014-2023 and of the Action Plan for its implementation"- http://apps.unep.org/redirect.php?file=/publications/pmtdocuments/-Environmental_Strategy_for_the_years_2014-2023-2014Moldova_EnvironmentalStrategy_2014-202.pdf ნანახია: 2017 წლის 15 აპრილს.

[51] (Republic of Moldova Government Decision, 2014)- "on the approval of the Environmental Strategy for the years 2014-2023 and of the Action Plan for its implementation" - http://apps.unep.org/redirect.php?file=/publications/pmtdocuments/-Environmental_Strategy_for_the_years_2014-2023-2014Moldova_EnvironmentalStrategy_2014-202.pdf ნანახია: 2017 წლის 15 აპრილს.

განსაკუთრებით წყლისა და გარემომცველი გარემოებების უგულებელყოფისთვის. ამიტომ ქვეყნის ყველაზე დიდი გამოწვევა არის გარემოსდაცვითი მდგრადობის ინტეგრირება ეკონომიკური ზრდის კონტექსტში.

- ფინანსური ვალები - გრძელვადიანი უცხოური და საშინაო სესხები
- სოციალური დავალიანება - უგულვებელყოფილია ინვესტიციები
- დემოგრაფიული ვალები - უკონტროლო მოსახლეობის ზრდა
- ეკოლოგიური დავალიანება - ბუნებრივი რესურსების და ნიადაგის, წყლის და ჰაერის დაბინძურების შემცირება.[52]

3.5 მწვანე ეკონომიკა

აშკარაა მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის ერთმანეთში არევის მომენტი. "მწვანე ეკონომიკის" ცნება არ ცვლის მდგრად განვითარებას; თუმცა მდგრადობისა და მწვანე ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება სულ უფრო მეტად აღიარებულია. ეს გულისხმობს რესურსების ეფექტურობას და სოციალურ ჩართულობას. ამ კონტექსტში გაზრდილი შემოსავლები და დასაქმება გავლენას ახდენს სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებზე, რომლებიც ამცირებენ გარემოს დაბინძურებას და ენერგორესურსებს. მწვანე ეკონომიკის გადასვლის მნიშვნელოვანი საერთაშორისო მომენტი იყო რიო დე ჟანეიროში 2012 წელს. გაიმართა მდგრადი განვითარების კონფერენცია, სადაც "მწვანე ეკონომიკა" მდგრადი განვითარების და სიღარიბის აღმოფხვრის საუკეთესო საშუალებად განიხილეს. UNEP-ის 2011 გამოცემა "მწვანე ეკონომიკისკენ: მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის გზა" აღნიშნავს, რომ "ძირითადი ეკონომიკური სექტორის გლობალური მშპ-ს 2% -იანი განაწილება ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკისა და რესურსების ეფექტურობის გადასვლას. ამ ძირითად სექტორებს შორის არის სოფლის

[52] Moldova Country Report 2016- https://www.bti-project.org/fileadmin/files/BTI/Downloads/Reports/2016/pdf/BTI_2016_Moldova.pdf ნანახია: 2017 წლის 15 აპრილს.

მეურნეობა, მეთევზეობა, ტყე, წყალი, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ნარჩენები, შენობები, ტურიზმი და მრეწველობა. ეს ხელს შეუწყობს დაფინანსების გაზრდის შესაძლებლობებს, გარდამავალი სტიმულირებისა და ფინანსური სექტორის როლის გაზრდას.[53]

მოლდოვას რესპუბლიკა აქტიურად მონაწილეობდა მდგრადი განვითარების "რიო +20" -ის გაეროს კონფერენციის მუშაობაში და, შესაბამისად, აღიარებული იქნა მდგრადი განვითარების პრინციპების მნიშვნელობა ეროვნული ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ყველა სექტორში. საზოგადოების პრინციპები, რომლებიც წარმოიქმნება გარემოსდაცვითი სტრატეგიის შემუშავებაზე, მიზნად ისახავს გრძელვადიანი რაციონალური ბალანსის აღდგენას და ეკონომიკურ განვითარებასა და ბუნებრივი გარემოს შორის საზოგადოებისათვის გასაგებ და მისაღები ფორმების შექმნას. მოლდოვაში საზოგადოების წარმომადგენლების მზარდი რაოდენობა დარწმუნებულია, რომ გარემოს დაცვისა და ეკონომიკური განვითარების საკითხები უნდა მოგვარდეს მთელ თანამედროვე საზოგადოებასა და მომავალ თაობებს შორის. "მწვანე ეკონომიკის განვითარების" კონცეფცია გულისხმობს განვითარების მოდელს, რომელიც ეკოლოგიურ დაცვას ეკონომიკურ ტვირთად მიიჩნევს, რომელიც გარემოს დაცვის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევა. [54]

[53](State of The Country Report, 2015) "Republic of Moldova "- http://www.fes-moldova.org/media/publications/2015/State_of_the_Country_Report_EN.pdf ნანახია: 2017 წლის 15 აპრილს.
[54](State Of The Counrty Report, 2015) " Republic of Moldova "- http://www.fes-moldova.org/media/publications/2015/State_of_the_Country_Report_EN.pdf ნანახია: 2017 წლის 15 აპრილს.

3.6 გარემოსდაცვითი გამოწვევები

მოლდოვას გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრიორიტეტები აისახება რამდენიმე სტრატეგიულ და დარგობრივი დაგეგმვის დოკუმენტში. მათგან მნიშვნელოვანია 2005 წლის სამოქმედო გეგმა მოლდოვასა და ევროკავშირს შორის. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- ეროვნული სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოების დაახლოება.
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა ევროკავშირთან შეთანხმებით.
- ბუნებრივი და დეგრადაციის პრევენცია და შემცირება
- ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება.
- გარემოსდაცვითი ხარისხის შენარჩუნება
- წყლის რესურსების დაცვა.
- ნარჩენების მართვის სქემის გაუმჯობესება.
- ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია.
- ეფექტური მონიტორინგის სისტემის განვითარება.
- მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.
- გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით.
- ტყის დაცვა და ტყის ფონდის გაფართოება.[55]

3.7 ეკონომიკური ინსტრუმენტები

გარემოსდაცვითი ეკონომიკური ინსტრუმენტები შეიცავს გადასახადებს ბუნებრივი რესურსების დაბინძურების ბრალდებით. ასევე ითვალისწინებს ჯარიმების დაწესებას

[55] (State of The Country Report, 2015) "Republic of Moldova "- http://www.fes-moldova.org/media/publications/2015/State_of_the_Country_Report_EN.pdf ნანახია: 2017 წლის 15 აპრილს.

არსებული კანონმდებლობის შეუსრულებლობის და გარემოსთვის ზიანის მიყენების გამო. გარემოსდაცვითი გადასახადები და დაბინძურების საფასური სისტემა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ გადასახდელების ზომა უმნიშვნელოა და არ გამოითვლება დაბინძურების პროცესში გარემოსდაცვითი ზიანის აღდგენის ხარჯებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ეს გადასახადები არ ქმნის წახალისებას სტიქიურ ნივთიერებებზე, რათა მიიღონ ზომები დაბინძურების შემცირების მიზნით, რათა მათ მიაღწიონ გადასახადებს, რომლებიც გაცილებით დაბალია, ვიდრე დაბინძურების შემცირების ღონისძიებების პოტენციური ხარჯები. ეკოლოგიური გადასახადებისა და გადასახადების არსებული სისტემის როლი ძალიან მცირეა გარემოსდაცვითი საქმიანობის დაფინანსების საჭიროებებთან და გამოწვევებთან შედარებით.[56]

გარემოსდაცვითი ზემოქმედების ღონისძიებებთან დაკავშირებული მარეგულირებელი სისტემის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი პრობლემები:

- გარემოსდაცვითი ზემოქმედების მქონე საქმიანობის მარეგულირებელი ჩარჩოს არაეფექტურობა (მაგალითად, ეკოლოგიური ექსპერტიზისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა არ აკმაყოფილებს ევროკავშირის სტანდარტებს; არ არის შესრულებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების მექანიზმი, ავტორიზაციის სისტემა არ ითვალისწინებს გარემოს დაბინძურების კონტროლის ინტეგრირებულ მიდგომას, განახლებული ემისიისა და დამუხტვის სტანდარტების დამტკიცებას, თვითმმართველობის მონიტორინგის მოთხოვნებს არ შედის ავტორიზაციის ან განხორციელებული საწარმოების მიერ);
- გარემოსდაცვითი გადასახადები და დაბინძურების საფასური სისტემა არაეფექტური და განუვითარებელია, გადასახადები ძალიან მცირეა, ვიდრე გარემოს დაცვა;

[56] (Republic of Moldova Government Decision, 2014) – "on the approval of the Environmental Strategy for the years 2014-2023 and of the Action Plan for its implementation"- http://apps.unep.org/redirect.php?file=/publications/pmtdocuments/-Environmental_Strategy_for_the_years_2014-2023-2014Moldova_EnvironmentalStrategy_2014-202.pdf ნანახია: 2017 წლის 20 აპრილს.

- არ არსებობს ეკონომიკური მექანიზმები და მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობენ დამაბინძურებლების სტიმულირებას, რათა განახორციელონ ქმედებები დაბინძურების შემცირების მიზნით;
- გარემოსდაცვითი კონტროლის სისტემა, ჯარიმები და გარემოზე მიყენებული ზარალის აღდგენა არ არის ეფექტური, გადასახადები ძალიან მცირეა.

გარემოს დაცვის სფეროში ფისკალური და ეკონომიკური ინსტრუმენტების ეფექტურობის ამაღლება და გაზრდა მნიშვნელოვანი ნაბიჯია. გარემოსდაცვითი დაბინძურების გადასახდელის სისტემის შეზღუდული როლის გათვალისწინებით, ეკოლოგიური ფონდების შემოსავლების გენერირების თვალსაზრისით აუცილებელია სისტემის სრულფასოვანი რეფორმის განხორციელება, რომელიც მოიცავს:

- გარემოსდაცვითი გადასახადებისა და დაბინძურების ბრალდების მიმოხილვა.
- მოლდოვის რესპუბლიკაში გარემოსდაცვითი მექანიზმის შექმნა და განხორციელება გარემოს ემისიების რაოდენობის შემცირების გზით.[57]

3.8 გარემოსდაცვითი სტრატეგია

გარემოსდაცვითი სტრატეგია არის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც უნდა განხორციელდეს 2014-2023 წლებში. სტრატეგიის განხორციელების ღონისძიებები კლასიფიცირებულია სამ ეტაპად:

- პირველი ეტაპი მოიცავს 2014-2016 წლებში მოლდოვას რესპუბლიკაში გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მართვის მექანიზმებისა და

[57](Republic of Moldova Government Decision, 2014) – "on the approval of the Environmental Strategy for the years 2014-2023 and of the Action Plan for its implementation" http://apps.unep.org/redirect.php?file=/publications/pmtdocuments/-Environmental_Strategy_for_the_years_2014-2023-2014Moldova_EnvironmentalStrategy_2014-202.pdf ნანახია: 2017 წლის 20 აპრილს.

ინსტიტუციონალური სტრუქტურების გამოყენებას და ახალ პოლიტიკურ დამტკიცებას და საკანონმდებლო / მარეგულირებელი ჩარჩოს, რომელიც მორგებულია ევროკავშირის დირექტივებზე;

- მეორე ეტაპი მოიცავს 2017-2020 წლების პერიოდს, რომლის დროსაც აუცილებელია მომსახურების ხარისხისა და ცხოვრების სტანდარტის გასაუმჯობესებლად ინფრასტრუქტურის მშენებლობა-განვითარება (წყალმომარაგება და სანიტარია, ნარჩენების მართვა, ცალკე შეგროვება, გადამუშავება, განადგურება და განკარგვის ინფრასტრუქტურა), ისე, რომ გარემოსდაცვითი მომსახურების ხარისხი არ შეუშლის ხელს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- მესამე ეტაპი ეხება 2020 წლის შემდეგ პერიოდს, როდესაც სტრატეგიის განხორციელების შედეგები უკეთეს გარემოში გახდება ცნობილი.[58]

3.9 ეკონომიკის სექტორი

ეროვნული ეკონომიკის სექტორში მწვანე ეკონომიკის პრინციპების გამოყენების გამო, დასაქმების დონე 10% - 20% -ით გაიზარდა, შედარებით არსებულ მდგომარეობასთან შედარებით. შემდეგ სფეროებში: სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მრეწველობა და სატყეო მეურნეობა. ამ პრინციპების გამოყენება ხელს უწყობს მომსახურებისა და პროდუქტების გაუმჯობესებას, გაზრდილი კონკურენტუნარიანობასა და ექსპორტს და, შესაბამისად, მშპ და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას. გარდა ამისა, მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების მიღწევას, რაც მოიცავს გაზრდას. შესაძლოა, გაორმაგდეს ინდუსტრიის,

[58] Republic of Moldova Government Decision, 2014) – "on the approval of the Environmental Strategy for the years 2014-2023 and of the Action Plan for its implementation" http://apps.unep.org/redirect.php?file=/publications/pmtdocuments/-Environmental_Strategy_for_the_years_2014-2023-2014Moldova_EnvironmentalStrategy_2014-202.pdf ნანახია: 2017 წლის 20 აპრილს.

სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის წილი მშპ-ში და საექსპორტო-იმპორტის ბალანსში პოზიტიური ცვლილებების შეტანა მოხდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მოლოდინების მიუხედავად, შედარებით მაღალი წლების შედარებით მაღალი მაჩვენებლების მიუხედავად, მოლდოვურმა ეკონომიკამ 2014 წელს 4.6% -იანი შთამბეჭდავი ზრდა მოიტანა. ზრდა ძირითადად საწარმოო სექტორის პოზიტიურ განვითარებაზე მოდის, ხოლო მომსახურების და სამშენებლო სექტორები საკმაოდ სუსტი იყო. სასოფლო-სამეურნეო სექტორმა გააკვირვა ეკონომიკური დამკვირვებლები , რადგან ის 8.2% -ით გაიზარდა, რაც 2013 წელს 38% -იანი აღდგენის ზრდის შემდეგ მოხდა. [59]

[60]

[59] (Republic of Moldova Government Decision, 2014)- "on the approval of the Environmental Strategy for the years 2014-2023 and of the Action Plan for its implementation" http://apps.unep.org/redirect.php?file=/publications/pmtdocuments/-Environmental_Strategy_for_the_years_2014-2023-2014Moldova_EnvironmentalStrategy_2014-202.pdf ნანახია: 2017 წლის 25 აპრილს.

[60] (Republic of Moldova Government Decision, 2014)- "on the approval of the Environmental Strategy for the years 2014-2023 and of the Action Plan for its implementation" http://apps.unep.org/redirect.php?file=/publications/pmtdocuments/-Environmental_Strategy_for_the_years_2014-2023-2014Moldova_EnvironmentalStrategy_2014-202.pdf ნანახია: 2017 წლის 25 აპრილს.

უნდა ითქვას, რომ ამჟამად მოლდოვას რესპუბლიკა არ გააჩნია საჭირო რესურსები კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ღონისძიებების დასაფინანსებლად. ამის გათვალისწინებით, მოლდოვის რესპუბლიკამ უნდა გადადგას გარკვეული ნაბიჯები. სახელმწიფომ შეიძლება განახორციელოს გარკვეული ღონისძიებები, რომლებიც მნიშვნელოვან ფინანსურ ძალისხმევას მოითხოვს. ამასთანავე, უცხოელი დონორების თანხები აბსოლუტურად აუცილებელია გარკვეული სერიოზული პროგრამების განხორციელებისათვის, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურული ობიექტების აშენება არის მნიშვნელოვანი.

ფისკალური საბიუჯეტო მექანიზმები ასევე უნდა შეფასდეს გარემოსდაცვითი ცვლილებებისთვის უკეთესი ადაპტაციის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ეკოლოგიურად მავნე პროდუქტები შეიძლება უფრო მკაცრად დაიბეგროს. დაგროვილი თანხები შეიძლება შემდგომში მიმართული იყოს კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ფონდში. მეორეს მხრივ, გარკვეული სახის ხარჯები, როგორიცაა სოფლის მეურნეობის სუბსიდიები, მაგალითად, უნდა გაკეთდეს კლიმატის რისკის გათვალისწინებით.[61]

[61] (Republic of Moldova Government Decision, 2014)- "on the approval of the Environmental Strategy for the years 2014-2023 and of the Action Plan for its implementation"- http://apps.unep.org/redirect.php?file=/publications/pmtdocuments/-Environmental_Strategy_for_the_years_2014-2023-2014Moldova_EnvironmentalStrategy_2014-202.pdf ნანახია: 2017 წლის 25 აპრილს.

62

ეკონომიკური ინვესტიციების აქტიურობის ამსახველი დიაგრამა



63

მოლდოვის მთლიანი შიდა პროდუქტი სექტორების მიხედვით



[64]

[63] Republic of Moldova Report 2015- - http://www.fes-moldova.org/media/publications/2015/State_of_the_Country_Report_EN.pdf ნანახია: 2017 წლის 25 აპრილს.
[64] Republic of Moldova Report 2015- http://www.fes-moldova.org/media/publications/2015/State_of_the_Country_Report_EN.pdf ნანახია: 2017 წლის 25 აპრილს.

3.10 საქართველოს და მოლდოვის გარემოსდაცვითი საკითხების და ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება.

2012 წლიდან როგორც საქართველოში, ისე მოლდოვაში აღინიშნებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა წინა წლებთან შედარებით. საქართველოში 2012 წლიდან აქტიურად დაიწყო ევროკავშირის პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს ევროკავშირის დირექტივების იმპელემენტაციას საქართველოს საჯარო სექტორებში. 2012 წლიდან გარემოს დაცვის სამინისტრომ განახორციელა რამოდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა. ეკონომიკური ინვესტიციების შემოდინების შედეგად სამინისტრომ დაიწყო მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება. ამ პერიოდში ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდამ გამოიწვის გარემოსდაცვითი საკითხების აქტუალიზაცია და შესაბამისად გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გარემოს დაცვის სექტორში. რაც შეეხება მოლდოვას, ქვეყანაში 2012 წლიდან დაფიქსირდა როგორც ეკონომიკური ინვესტიციების, ასევე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა. მოლდოვაში დაიწყო სტრატეგიული გარემოდაცვითი ღონისძიებების განხორციელება, რაც გულისხმობდა გარემოს დაცვის სფეროში რეფორმების გატარეაბს და ევორკავშირის სტანდარტებთან მიახლოებას. 2012-2014 წლებში მოლდოვაში ჩამოყალიბდა სტრატეგიული გარემოსდაცვითი გეგმა და მოხდა მისი იმპლემენტაცია გარემოს დაცვის სამინისტროს უწყებებში. საქართველოში 2016 წელს კვლავ მოიმატა მთლიანმა შიდა პროდუქტმა, ასევე გაფორმდა მნიშვნელოვანი ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან. 2016 წელს მოიმატა კომერციული დაწესებულებების მშენებლობების რაოდენობამ და სწორედ ამის გამო გარემოს დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის და შეფასების სისტემის გაუმჯობესებას. ასევე სამინისტრომ განახორციელა მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევის სახელმწიფო აღრიცხვა. ეკონომიკური ინვესტიციების შემოდინების შედეგად საფრთხე შეექმენა მიწის რესურსებს და სასარგებლო წიაღისეულს.

მთლიანი შიდა პროდუქტის და ეკონომიკური ინვესტიციების ზრდამ უფრო აქტუალური გახადა გარემოსდაცვითი პრობლემები. 2016 წელს ეკონომიკური ინვესტიციების

შემოდინების და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ხარჯზე გაიზარდა ქვეყანაში ავტომობილების რაოდენობა, რამაც გამოიწვია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით შექმნილი უწყებათშორისი კომისიის მიერ შემუშვდა "თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობის ღონისძიებების შესახებ" სახელმწიფო პროგრამის პროექტი. რაც შეეხება მოლდოვას, აქ 2016 წელს გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული რაოდენობა 2014 წელთან შედარებით. 2016 წელს გარემოსდაცვითი სტრატეგიის მეორე ეტაპის ჩამოყალიბება დაიწყო.

მეოთხე თავი

რუმინეთის გარემოსდაცვითი პოლიტიკა

4.1 რუმინეთის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები

რუმინეთის გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო დაარსდა მთავრობის გადაწყვეტილებით 2003 წელს. გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეფორმების დროს, რამდენიმე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მაგალითზე რუმინეთში შექმნეს გარემოსდაცვითი ინსტიტუტები, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო გარემოს დაცვის ორგანოების ტექნიკური მხარდაჭერა. რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანება გახლდათ მთელი საზოგადოებისათვის მთავარი სტრატეგიული მიზანი. ამ მიზნით გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს რეორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

აღნიშნული სააგენტო გახლავთ რუმინეთის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაქვემდებარებაში. სააგენტო მიზნად ისახავს იმუშაოს იმისთვის, რომ უზრუნველყოს ჯანსაღი გარემო, რუმინეთის ეკონომიკური განვითარებისა და მისი სოციალური პროგრესის შესაბამისად. სააგენტოს მისიაა დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის უკეთესი გარემოს უზრუნველყოფა ჰაერის , ნიადაგის და წყლის ხარისხის უწყვეტი გაძლიერების გზით. სააგენტოს მნიშვნელოვანი ამოცანები გახლავთ:

- სტრატეგიული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება
- გარემო ფაქტორების მონიტორინგი
- გარემოს მდგომარეობის შესახებ ანგარიშის შედგენა

- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის და პოლიტიკის განხორციელება ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.[65]
- ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსთვის პრიორიტეტული მონაცემების მიწოდება
- მუდმივი კავშირის შენარჩუნება ევროპის ქიმიურ სააგენტოსთან.

სააგენტოს პასუხისმგებლობები:

- კანონმდებლობის, სექტორის სტრატეგიებისა და პოლიტიკის დასაბუთებისათვის ტექნიკურ მხარდაჭერას მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველზე.
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელება
- გარემოსდაცვითი სტრატეგიებისა და პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.
- გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების სამინისტროს მანდატის შესაბამისად გარე და შიდა ურთიერთობების წარმომადგენლობა.
- გარემოზე ზეგავლენის მქონე საქმიანობის ნებართვა და სამართებლივი დებულებების დაცვა.
- სექტორის სამოქმედო გეგმებისა და ეროვნული გარემოს დაცვის სამოქმედო გეგმის შემუშავების კოორდინაცია.[66]

[65] (THE NATIONAL ENVIRONMENTAL PROTECTION AGENCY, 2010) - http://epanet.pbe.eea.europa.eu/european_epas/countries/ro ნანახია: 2017 წლის 1 მაისს.
[66] (The National Environment Protecion Agency, 2010)- http://epanet.pbe.eea.europa.eu/european_epas/countries/ro ნანახია: 2017 წლის 1 მაისს.

4.2 გარემოსდაცვითი მენეჯმენტი

გარემოსდაცვითი მენეჯმენტი გახლავთ ერთ-ერთი პრიორიტეტი რუმინეთის მთავრობისათვის ევროკავშირში გაწევრიანების თვალსაზრისით. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სამრეწველო განვითარებამ რუმინეთს მემკვიდრეობად დაუტოვა გარემოსდაცვითი გამოწვევები უზრუნველყოს საიმედო და სუფთა წყალმომარაგება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე კომერციული მიზნებისათვის, ჰაერის დაბინძურების კონტროლი, სათბური ემისიების შემცირება, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების მართვა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, შიდა და კომერციულ საკითხებზე ენერგეტიკის საიმედო მიწოდების უზრუნველყოფა. [67]

4.3 ევროკავშირის პროგრამა

ევროკავშირის პროგრამის პროექტი მიზნად ისახავს რუმინეთის შესაძლებლობების გაზრდას და შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს და საერთაშორისო კონვენციებს. მოსალოდნელი შედეგები: ხელი შეეწყოს კორდინაციის პოლიტიკის განვითარებას და ეროვნული დონის ინფორმირებულობის ამაღლება. ასევე ევროკავშირის პროგრამის მიხედვით მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებს შორის მდგრადი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების უფლება. ევროკავშირის პროგრამის პროექტი ასევე მოიცავს გარემოსდაცვითი კონსერვაციის, ენერგოეფექტურობის და გარემოსდაცვითი სიტუაციების შეფასებას გაეროს სამი ძირითადი კონვენციის შესაბამისად. ასევე გულისხმობს არასამთავრობო ოგრანიზაციების და სათემო გაერთიანებების მხარდასაჭერად მცირე გრანტების პროგრამის მეშვეობით მდგრადი საარსებო საშუალებების ხელშეწყობას. [68]

---

[67] (European Environment Agency , 2015) "Romania" https://www.eea.europa.eu/soer-2015/countries/romania ნანახია: 2017 წლის 5 მაისს.

[68] The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 5 მაისს.

როგორც ევროკავშირის წევრი, რუმინეთი ვალდებულია გააგრძელოს გარემოს დაცვითი რეფორმების განხორციელება და ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად გაატაროს ეროვნულ დონეზე . ძირითადი ეროვნული სამიზნე და რუმინეთის 2020 წლის ამოცანის ნაწილი გახლავთ გარემოს გაუმჯობესება და ცხოვრების დონის ამაღლება, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყოს რესურსების ეფექტურობა. მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია (2013-2020-2030) აღიარებს ინოვაციურ ტექნოლოგიებსს, როგორც საკვანძო ინსტრუმენტს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. რუმინეთის პრეზიდენტმა 2015 წლის სექტემბერში გაეროს სხდომაზე განაცხადა, რომ მთავრობა გეგმავს ეროვნული სტრატეგიის განახლებას გაეროს სამიტზე მიღებული მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად. სტრატეგია ხაზს უსვამს ამ სექტორში ინფრასტრუქტურის დანერგვის შესაძლებლობების ნაკლებობას ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით, დიდწილად ეს გამოწვეულია არასაკმარისი ინვესტიციების გამო. 2014-2020 წლების პროგრამული პერიოდისთვის ევროკავშირის ფონდები სავარაუდოდ ვიზუალურ ხასიათს ატარებს. ეს ფონდები დაკავშირებულია ეროვნული გარემოსდაცვითი გეგმების მიზნებთან და განხორციელების მაჩვენებელთან. [69]

ევროკომისიამ 2015 წლის ივლისში 9.5 მილიარდი ევრო დაამტკიცა, რათა განხორციელებულიყო ეს პროგრამა. გარემოსდაცვითი პროექტების დაფინანსების ხარჯები გამოიყო გაერთიანების ფონდიდან. დაახლოებით 2.9 მილიარდი ევრო გამოიყოფა წყლის, მყარი ნარჩენების და ჰაერის ხარისხის კონტროლის ქვე-სექტორებზე. [70]

რუმინეთმა ევროკავშირის სამივე დირექტივის თვალსაზრისით გარემოს დაცვით სფეროში გაუსვა ხაზი ისეთ პრობლემებს როგორიცაა: მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელზე დიდი რაოდენობით დაგროვება და ჰაერის დამაბინძურებელი კონცენტრაციების დიდი მაჩვენებელი. აღნიშნული პრობლემები ეროვნული გარემოს დაცვის უდიდეს გამოწვევად რჩება. სამივე ქვეთავში ინტეგრირებული და გაუმჯობესებული სისტემების დანერგვის

[69] The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA- http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 5 მაისს.
[70] The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA- http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 5 მაისს.

მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე დანადგარების, პროდუქტებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების მოთხოვნა გაიზარდა. მომავალი ინვესტიციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ევროკავშირის რეგლამენტის შეუსრულებლობის საფრთხე. ურბანულ ადგილებში, ჰაერის დამაბინძურებლების დონე, უფრო მაღალია, ვიდრე არსებული ნორმების მიხედვით დაშვებული მაქსიმალური კონცენტრაცია. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის დასახლებებში დაბინძურების ძირითადი წყაროა ტრანსპორტი,, მიმდებარე ზონებში დაბინძურების წყაროებია მუნიციპალური თბოელექტროსადგურები, მეტალურგიული და ფოლადის ქარხნები, ცემენტის ქარხნები, ნაგავსაყრელები და სხვა. [71]

4.4 განხორციელებული პროექტები

რუმინეთის ხელისუფლებამ გარკვეული ძალისხმევა განახორციელა ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს პროცესი დაიწყო დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების დაწყების გზით, რათა ხელი შეეწყოს "ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების გეგმების" შემუშავებას. ნარჩენების მართვის საქვეუწყებო სექტორის წინაშე ქვეყანაში დგას უდიდესი გარემოსდაცვითი გამოწვევები. მისი შესრულება კრიტიკულად დაბალია ევროკავშირის მაჩვენებელთან შედარებით. 211/2011 წლებში მიღებული ევროკავშირის "ნარჩენების ჩარჩო დირექტივის" თანახმად, რუმინეთი 2020 წლისთვის საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის 50% -იანი წილის და გადამუშავების მაჩვენებელს მიაღწევს. თუმცა, ნარჩენების მართვის სექტორში ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების ნაკლებობის გამო, პროგრესი ნელია. 2016 წლის მაისში ევროკავშირმა რუმინეთს სთხოვა ახალი გეგმების შემუშავება, რათა თავიდან აეცილებინათ ნარჩენების წარმოქმნა და ემართათ ნარჩენები ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველზე.[72]

[71] The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA- http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 10 მაისს.
[72] The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA- http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 10 მაისს.

გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წელს ევროკავშირის ხელშეწყობით 31 პროექტი დაფინანსდა, სულ დამყარდა 68 კონტრაქტი. ინტეგრირებული მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვის სისტემების პროექტებს აქვთ შემდეგი კომპონენტები: ტექნიკური დახმარება, საქონლის მიწოდება, ნაგავსაყრელების, გადაცემის სადგურების, დახარისხების სადგურების, კომპოსტირებისა დიაგნოსტირების სადგურების მშენებლობა. [73]

4.5 გარემოსდაცვითი პრობლემები

ისტორიულად, რუმინეთში **წყლის სექტორი** დიდწილად უგულვებელყოფილია სუსტი ეკონომიკური პირობების გამო. თუმცა, ბოლო წლებში სექტორი განვითარდა ევროკავშირისა წევრი ქვეყნების და სხვა ქვეყნების ინვესტიციების შემოდინებით. დიდი ურბანული აგლომერაციები, ენერგეტიკული წარმოება, ასევე ნავთობქიმიური, სამთო და მეტალურგიული მრეწველობა წარმოადგენს დაბინძურების ძირითად წყაროს. რუმინეთის მთავრობამ მიიღო ევროკავშირის მხრიდან ზეწოლა და მოთხოვნა გააუმჯობესოს წყლის პოლიტიკა წყლის ხარისხის, რაოდენობისა და ხელმისაწვდომობის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი უგულებელყოფის პერიოდი ნიშნავს, რომ ვერ აკმაყოფილებს წყლის ჩარჩო დირექტივის მიზნებს. სექტორში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა საჭირო, განსაკუთრებით კი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა და გაფართოების თვალსაზრისით. წყლის ხარისხის, სანიტარიისა და განაწილების ყველა ძალისხმევა გაუმჯობესდა ევროკავშირის წესების და კანონმდებლობის შესაბამისად. [74]

ჰაერის ხარისხის მონიტორინგი-რუმინეთის საჰაერო ხარისხის მონიტორინგის ეროვნული სისტემა, რომელიც მოიცავს 142 ფიქსირებულ ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურს და განლაგებულია 13 ობიექტში და მოიცავს 250 000 მოსახლეს. მონიტორინგის

[73] The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA- http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 10 მაისს.
[74] EU Environmental Implementation Review: Highlits 2017- http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/factsheet_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 10 მაისს.

სადგურებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით შედეგები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდება. არსებული მონიტორინგის სისტემის განახლება და გაფართოება აუცილებელია, რათა ჰაერის დამაბინძურებლების უფრო ზუსტი სურათის მივიღოთ ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში, რის შედეგადაც შეიძლება განხორციელდეს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მონიტორინგი. [75]

ნაგავსაყრელების დახურვა და მშენებლობა - მრავალრიცხოვანი სახელმწიფოები განაგრძობენ საზოგადოებრივი ტენდერების ორგანიზებას რამდენიმე ნაგავსაყრელის დახურვისა და გამწვანების მიზნით. ასევე არსებობს შესაძლებლობა დიდი რაოდენობით ეკოლოგიური ნაგავსაყრელების ასაშენენებლად. [76]

დახარისხება, გადატანა და სატრანსპორტო სადგურების მშენებლობა - ბევრმა ქვეყანამ მიიღო ევროკავშირის დაფინანსება ინტეგრირებული ნარჩენების მართვის სისტემებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს დახარისხების, გადაცემის ან მონიტორინგის სადგურების მშენებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ რუმინეთი ევროკავშირის ეკო ინოვაციის რეიტინგში მე -18 ადგილზეა, 87 ქულით . რუმინეთის ეკო-ინოვაციის შედეგების შედეგები აჩვენებს, რომ საჭიროა მატერიალური, წყლის და ენერგორესურსების მაღალი გამოყენება, მაგრამ დაბალი რესურსის პროდუქტიულად მოხმარება. რუმინეთში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება არის გარემოსდაცვითი პოლიტიკის პრიორიტეტი, რომელიც მთავრობის სამოქმედო გეგმებში უკვე ინტეგრირებულია. ამ გეგმებში შედის ახალი ინიციატივები, როგორიცაა: მდგრადი პროდუქტის დიზაინი, ღია მონაცემების გამოყენება გარემოსდაცვითი მიზნებისათვის და ახალი IT გადაწყვეტილებები, თანდათან დაიხვეწა და მოხდა მათი კონსოლიდაცია. თუმცა კერძო საწარმოების დიდი წილი ჯერ

[75] EU Environmental Implementation Review: Highlits 2017- http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/factsheet_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 10 მაისს.
[76] EU Environmental Implementation Review: Highlits 2017 - http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/factsheet_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 10 მაისს.

კიდევ არ არის საკმარისად გაუმჯობესებული მათი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის პრაქტიკისა და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესაბამისად. [77]

რუმინეთის გარემოს დაცვის სამინისტროში შეტანილია წრიული ეკონომიკა, როგორც პრიორიტეტი 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში და გეგმავს პირველი საპილოტე აქციის დაწყებას "ეკო-მეწარმეობის" მხარდასაჭერად. კიდევ ერთი დადებითი სიგნალი არის უწყებათაშორისი კონკურენტუნარიანობის კომიტეტის ინიციატივა, რომელსაც შეუძლია გააკონტროლოს და შეაფასოს კონკურენტუნარიანობის პრიორიტეტულ სექტორებში საზოგადოებრივი ინვესტიციების განხორციელების დონე და კონკრეტული სპეციალიზაციის დარგები, რომლებიც მოიცავს ენერგეტიკასა, გარემოს დაცვასა და ბიოლოგიურ ეკონომიკას. [78]

4.6 არასამთავრობო ორგანიზაციები

რუმინეთში გარემოსდაცვითი ორგანიზაციები შედარებით ახალგაზრდა თაობის არიან. ასეთი სახის ორგანიზაციები დაარსდა 1990 წლიდან. დაგეგმილი ღონისძიებების საშუალებით რუმინეთში არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ თავიანთი უნარების და კომპეტენტურობის მიხედვით გაამლიერონ მათი პოზიცია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის შესახებ. საერთო მიზანს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციის შესაძლებლობების განვითარებას საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით, მწვანე ველის ასოციაციის მეშვეობით უფრო ეფექტური გარემოდაცვითი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის კუთხით. კონკრეტული მიზანი გახლავთ მეწარმეობის, ბიზნეს სექტორის, ადგილობრივი საჯარო დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და

[77] EU Environmental Implementation Review: Highlits 2017 - http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/factsheet_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 10 მაისს.
[78] EU Environmental Implementation Review: Highlits 2017- http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/factsheet_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 10 მაისს.

დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობა ბუნების დაცვის სფეროში ტრენინგების და ინფორმაციის გაცვლის გზით.[79]

რუმინეთის არასამთავრობო სექტორი საკმაოდ დინამიურად ფუნქციონირებს, არასამთავრობო ორგანიზაციების 87% დარეგისტრირებულია და ფუნქციონირებს ქალაქებში. რუმინეთში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა ბოლო 10 წლის განმავლობაში მიიღეს დაფინანსება შემოწირულობების ფონდიდან. გაზრდილი დაფინანსება მოდის საწევრო გადასახადებიდან. არასამთავრობო ორგანიზაციების 2/3-ის ფინანსური რესურსები დაბალია, რაც ზღუდავს მათ ქმედუნარიანობას. არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა (90%) მუშაობს მოხალისეებთან ერთად. თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობას არ აქვს კონკრეტული სტრატეგიები მოხალისეების გაწვრთნასა და მომზადებაში. მოხალისეობა ახალგაზრდებში განსაკუთრებით პოპულარულია. რუმინეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა ჩართულია სოციალური, ჯანდაცვისა და განათლების სამსახურების, აგრეთვე საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში, როგორიცაა: ახალგაზრდობა და კულტურა. გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ რუმინეთის მდგრადი განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში. 1990 წლიდან გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობა მუდმივად იზრდება. ეს გახლავთ სექტორი, რომელშიც ყველა მეტი მოხალისეა გაერთიანებული. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული გამოკითხვებმა არასამთავრობო სექტორის საჯარო იმიჯის ზრდის თაობაზე აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებში ნდობის ამჟამინდელი დონე კვლავ დაბალია. [80]

---

[79] (Romania 2010)Non-govermental sector - http://www.fdsc.ro/library/Brosura%20_engleza_final.pdf ნანახია: 2017 წლის 20 მაისს.

[80] (Romania, 2010) "Non-govermental sector" - http://www.fdsc.ro/library/Brosura%20_engleza_final.pdf ნანახია: 2017 წლის 20 მაისს.

4.7 გარემოსდაცვითი მოძრაობები

რუმინეთში გარემოსდაცვითი მოძრაობები წარმოადგენენ არაკომერციული სექტორის ყველაზე დინამიურ და თანმიმდევრულ ნაწილს საქმიანობისა და კოალიციის შექმნის თვალსაზრისით. 1990 წლიდან გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები მუდმივად ხელს უწყობდნენ ქსელს, ხოლო ზოგიერთმა მიაღწია ორგანიზაციული განვითარების გამორჩეულ დონეს. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ოთხი ეროვნული კონფერენცია ჩატარდა. ეს კონფერენციები გაიმართა დეკლარაციების მიღების შემდეგ. რუმინეთის არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა ფოკუსირებულია გარემოსდაცვით განათლებასა და მომზადებაზე (88%), გარემოსდაცვითი საველე სამუშაოების (65%), ბუნების კონსერვაცია, დაბინძურების პრევენცია და გარემოსდაცვითი ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება (52%). ისინი ნაკლებად არიან გარემოსდაცვითი კანონმდებლობისა და ლობირების ზეგავლენის ქვეშ. რეგიონული ოფისი ხელს შეუწყობს იმ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის ქსელის გაძლიერებას და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. ეროვნულ დონეზე კოოპერაციული პროექტები უნდა განხორციელდეს და დაფინანსდეს საკანონმდებლო ღონისძიებებისა მიღების მიხედვით. რუმინეთის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები გაცილებით ნაკლებად არიან დასახლებულ ჯგუფებზე ორიენტერებულები. ნახევარზე მეტი (65%) არა უმეტეს 50 აქტიური წევრისაა, ხოლო ძალიან ცოტაა 3000-ზე მეტი წევრი. . არასამთავრობო ორგანიზაცია ზოგადად ახალგაზრდებისგან შედგება, თუმცა მოიცავს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან დაკომპლექტებულ რამდენიმე ჯგუფს. რუმინეთის არასამთავრობო ორგანიზაციების 66% პროცენტი მოქმედებს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. [81]

არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა შედარებით კარგია. 22 პროცენტი თანამშრომლობს ადგილობრივ დონეზე ერთობლივ პროექტებზე და 38

[81] (Romania, 2010) "Non-Govermental Sector " - http://www.fdsc.ro/library/Brosura%20_engleza_final.pdf ნანახია: 2017 წლის 20 მაისს.

პროცენტი თანამშრომლობს ეროვნულ დონეზე ინფორმაციის გაცვლაზე. თუმცა, ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ძალიან დაინტერესებულია რუმინულ ჯგუფებთან და საზღვარგარეთიდან არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის დიალოგისა და თანამშრომლობის ნაკლებობაა. მხოლოდ ერთი მესამედი თანამშრომლობს ეროვნულ მთავრობასთან. ბოლო დრომდე, მხოლოდ ახალგაზრდობის სამინისტრომ დააფინანსა არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტები. რუმინეთის არასამთავრობო ორგანიზაციების 50% იშვიათად თანამშრომლობს ადგილობრივ სამთავრობო უწყებებთან. ადგილობრივმა ოფისმა ხელი უნდა შეუწყოს არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტებს, რომლებიც ახორციელებენ ადგილობრივ და ეროვნულ მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობას. ასევე უნდა გააგრძელოს საზოგადოების მონაწილეობა საკანონმდებლო საკითხებში. [82]

4.8 ეკონომიკის სექტორი

2012 წელს რუმინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენდა 171.7 მილიარდ დოლარს. 2012 წლიდან 2014 წლამდე მთლიანი შიდა პროდუქტი შემცირდა , ხოლო 2016 წელს კვლავ გაიზარდა. 2016 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 4.8 % -ით. მთლიანი შიდა პროდუქტი 2016 წელს რუმინეთში შეადგენდა 186.69 მილიარდ ამერიკულ დოლარს. რუმინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის 0.3 %-ს. [83]

[82] (Romania, 2010) " Non-Govermental Sector" - http://www.fdsc.ro/library/Brosura%20_engleza_final.pdf ნანახია: 2017 წლის 20 მაისს.

[83] EU Environmental Implementation Review: Highlits 2017 http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/factsheet_ro_en.pdf ნანახია:2017 წლის 20 მაისს.



[84]

85

[84] The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA- http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 20 მაისს.
[85] The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf ნანახია:2017 წლის 20 მაისს.

ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, რუმინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპები საკმაოდ გაიზარდა. 2015 წლის პირველ ნახევარში რუმინეთის ეკონომიკა გაიზარდა 3.8 %-ით. ხოლო 2016 წელს 4 %-ით გაიზარდა. პარადოქსია, მაგრამ რუმინეთი ევროკავშირის ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა გახლავთ. რუმინეთი წარმატებით მიიწევს ეკონომიკის კუთხით წინ და 2016 წელსაც დაფიქსირდა როგორც ეკონომიკური ინვესტიციების, ასევე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა. [86]



87

[86] The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf ნანახია:2017 წლის 20 მაისს.
[87] The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 20 მაისს.

უნდა აღინიშნოს, რომქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კლიმატურ პირობებზე. უკიდურესი ამინდის პირობებში რუმინეთის ეკონომიკა ძალიან დაუცველია. ნაკლებად განვითარებული სარწყავი სისტემის ფონზე, ისევე როგორც წყლისა და ტყის რესურსების ნაკლებობა, მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანა ცუდად არის მომზადებული კლიმატის ცვლილებისთვის. გრძელვადიან პერსპექტივაში, კლიმატის ცვლილების ინტენსიფიკაცია სერიოზულად იმოქმედებს ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე. ამავე დროს, კვლავ გრძელდება ენერგო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოკლევადიანი რისკები. რეგიონის პოლიტიკური სიტუაციის გაუარესება უკვე რეალური საფრთხეა ქვეყანაში სტაბილური ენერგიის მიწოდებაზე.[88]

ასევე მნიშვნელოვანია გამოვყოთ წრიული ეკონომიკის არსებობა. რუმინეთის გარემოს დაცვის სამინისტროში შეტანილია წრიული ეკონომიკა, როგორც პრიორიტეტი 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმაში და გეგმავს პირველი საპილოტე აქციის დაწყებას "ეკო-მეწარმეობის" მხარდასაჭერად. კიდევ ერთი დადებითი სიგნალი არის უწყებათაშორისი კონკურენტუნარიანობის კომიტეტის ინიციატივა, რომელსაც შეუძლია გააკონტროლოს და შეაფასოს კონკურენტუნარიანობის პრიორიტეტულ სექტორებში საზოგადოებრივი ინვესტიციების განხორციელების დონე და კონკრეტული სპეციალიზაციის დარგები, რომლებიც მოიცავს ენერგეტიკასა, გარემოს დაცვას. [89]

[88] The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA- http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf ნანახია:2017 წლის 20 მაისს.
[89] EU Environmental Implementation Review: Highlits 2017 http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/factsheet_ro_en.pdf ნანახია: 2017 წლის 20 მაისს.

4.9 საქართველოს და რუმინეთის გარემოსდაცვითი საკითხების და ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება

2012 წლიდან საქართველოში და რუმინეთში შეინიშნება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა. 2012 წელს საქართველოში მაკროეკონომიკური ცვლილებები პოზიტიური იყო და ინფლაცია შემცირდა. მცირე პროცენტული რაოდენობით აღინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის შენელება და ინვესტიციების შემცირება. რაც შეეხება რუმინეთს, 2012 წელს ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა წინა წლებთან შედარებით.

2016 წელს საქართველოში 2.7 % -იანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა. ეკონომიკის ზრდის მთავარი წარმმართველი ფაქტორი გახლდათ ეკონომიკური ინვესტიციები. იგივე მდგომარეობა გახლდათ რუმინეთში, სადაც რეკორდული ტემპით მოიტამა ეკონომიკური ინვესტიციების შემოდინებამ. ევროკომისიის მოხსენებაში რუმინეთის ეკონომიკური ინვესიტიციების ზრდა შეფასდა, როგორც სწრაფი ტემპით მატებადი და 2016 წელს რუმინეთის ეკონომიკური ინვესიტიციების პროცენტული მაჩვენებელი რეკორდული გახლდათ. რაც შეეხება საქართველოს, საქართველო გამოირჩევა საინვესტიციო მიმზიდველობის მხრივ რეგიონში. შესაბამისად, ბოლო სამი წლის განმავლობაში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა, რომლის მოცულობამ 2016 წელს, წინასწარი მონაცემებით, 1 645 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2016 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდამ შეადგინა 5 %. მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის და მშენებლობის სექტორებში.

რაც შეეხება გარემოსდაცვით საკითხებს, რუმინეთში 2012 წლიდან აქტიურად დაიწყო სტრატეგიული გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელება ევროკავშირის დავალებით. როგორც ევროკავშირის წევრმა სახელმწიფომ 2012 წლიდან რუმინეთმა დაიწყო რეფორმების განხორციელება გარემოსდაცვით სფეროში, რაც ევროკავშირის დირექტივების იმპელემენტაციით ხორციელდებოდა. უკვე 2016 წლიდან რუმინეთის ხელისუფლებამ შეიმუშავა სტრატეგეგიული მოქმედების გეგმა რომელიც მოიცავს პერიოდს 2016 დან 2020 წლამდე. გეგმაში გაწერილია გარემოსდაცვითი მექანიზმები,

რომელიც უნდა დაინერგოს 2020 წლამდე. ასევე შემუშავდა მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია (2013-2020-2030), რომელიც აღიარებს ინოვაციურ ტექნოლოგიებს, როგორც საკვანძო ინსტრუმენტს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. რუმინეთთან შედარებით საქართველოში აქტიური გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება 2016 წლიდან დაიწყო. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით საქართველოს ევალება სტრატეგიული გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარება. 2015-2016 წლებში გარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა უწყებათშორისი კომისიები, რომლებიც შეიმუშავებდნენ სტრატეგიულ გარემოსდაცვით ღონისძიებებს.

მეხუთე თავი

ქართული პოლიტიკური პარტიების პროგრამების შეფასება გარემოსდაცვითი კუთხით

5.1 პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

პროგრამაში მკაფიოდ არის გამოკვეთიილი გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მიმართულება. პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" ნამდვილად პრიორიტეტულად მიიჩნევს გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებს. პარტიის პროგრამაში აშკარად არის გამოკვეთილი ის ძირითადი გამოწვევები და პრობლემები, რაც აწუხებს საქართველოს გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების კუთხით. პარტიისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე მიდგომები და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებლად. ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პარტია მიესალმება გამჭირვალე პროცედურებზე დაფუძნებულ გარემოს შეფასების სისტემის ჩამოყალიბებას, რომელსაც დაექვემდებარება რისკებზე დამყარებული საქმიანობები. ასევე მნიშვნელოვანია ის იდეაც, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსახლეობის ჩართვას და მათ დიდ როლს გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების მოგვარებაში.[90]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი გახლავთ სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისა და მოპოვების საკითხები. მოგეხსენებათ, საქართველო მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით და ქვეყანაში ბევრი მნიშვნელოვანი საბადოა განლაგებული. პარტიის პროგრამაში კარგად არის გამოკვეთილი ტყის, როგორც ბუნებრივი რესურსის უდიდესი მნიშვნელობა. ტყის მდგრადი მართვა, ტყეების მოვლისა და დაცვისათვის ეფექტური

[90] საარჩევნო პროგრამა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები „ქართული ოცნება“ - http://41.ge/program ნანახია: 2017 წლის 5 ივნისს.

მექანიზმების გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანია დაცული ტერიტორიების გაფართოება და ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება. მოგეხსენებათ გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებობს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, რომლის მთავარი მიზანი გახლავთ დაცული ტერიტორიების, ნაკრძალების და ბუნებრივი საცავების დაცვა და მოვლა, ასევე ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა.[91]

კიდევ ერთი პუნქტი, რაც პროგრამაში ნათლად არის ჩამოყალიბებული გახლავთ გამწვანების გეგმა, რომელიც გულისხმობს ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში მწვანე ზოლების შექმნას, ხე-მცენარეებიის ნერგების დანერგვას და ასევე ტყეების აღდგენასა და განაშენიანებას. ასევე მნიშვნელოვანი პუნქტი გახლავთ ატმოსფერული ჰაერის და წყლის მონიტორინგის და შეფასების სისტემის შექმნა აღნიშნული სისტემის მეშვეობით განხორციელდება ჰაერისა და წყლის ხარისხის კონტროლი. პარტიისთვის მნიშვნელოვანია გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული ეკოლოგიური დანაკარგების კომპენსაციის მიზნით, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება. ასევე პროგრამაში გამახვილებულია ყურადღება გარემოსდაცვითი განათლების დანერგვის აუცილებლობაზე. საუბარია გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი საკითხების შესწავლას და ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებში. [92]

როგორც, ჩანს პოლიტიკური პარტია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხს მიიჩნევს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროდ და პარტიის პროგრამაში კარგად არის გამოკვეთილი ის ძირითადი მექანიზმები, რომელიც უნდა განხორციელდეს გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების მოსაგვარებლად. პროგრამაში მკაფიოდ არის

[91] საარჩევნო პროგრამა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები „ქართული ოცნება“ - http://41.ge/program ნანახია: 2017 წლის 5 ივნისს.
[92] საარჩევნო პროგრამა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები „ქართული ოცნება“ http://41.ge/program ნანახია: 2017 წლის 5 ივნისს.

აღწერილი ის ძირითადი გამოწვევები და პერსპექტივები, რომელიც ასახავს საქართველოს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების მდგომარეობას. [93]

ჩემი აზრით, პარტია ხედავს იმ ძირითად პრობლემებს, რაც აწუხებს საქართველოს და თავის პროგრამაში დეტალურად აღწერს იმ მექანიზმებს და ტექნოლოგიებს რაც აუცილებელია გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების მოსაგვარებლად. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პარტიას სხვა პარტიებთან შედარებით უფრო მკაფიოდ და ნათლად ქონდა ყურადღება გამახვილებული გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებზე. პროგრამაში გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულება შედგებოდა 15 ძირითადი პუნქტისაგან და მკაფიოდ იყო თითოეული მათგანის მნიშვნელობა და პრიორიტეტულობა გამოხატული.[94]

5.2 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

პარტიის პროგრამაში საუბარია ეკოლოგიურ გამოწვევებზე, რომელიც მომავალი თაობების ჯანმრთელობაზე ზრუნვის შემადგენელი ნაწილია. გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულება სულ შედგება 4 პუნქტისაგან. როგორც ჩანს პოლიტიკური პარტია გარემოს დაცვას და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებს არ მოიაზრებს ისეთ პრიორიტეტულ სფეროებად როგორიცაა ეკონომიკა და სოციალური სფერო. პარტიის პროგრამაში საუბარია საქართველოს ბიომარავლფეროვნების დაცვის და შენარჩუნების მნიშვნელობაზე, ასევე ყურადღება გამახვილებულია ეკოსისტემების მდგრადობის შენარჩუნებაზე. პროგრამა ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებაზე, სადაც მოთხოვნილი გახლავთ ევროკავშირის

[93] საარჩევნო პროგრამა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები „ქართული ოცნება“ - http://41.ge/program ნანახია: 2017 წლის 5 ივნისს.

[94] საარჩევნო პროგრამა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები „ქართული ოცნება“- http://41.ge/program ნანახია: 2017 წლის 5 ივნისს.

სტანდარტების მიხედვით გარემოსდაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოებისათვის ძირითადი მექანიზმების განხორციელება. ასევე პარტიის პროგრამაში გამოკვეთილია დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა და საუბარია 2020 წლისათვის მათი რაოდენობის გაზრდის მნიშვნელობაზე. [95]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი გახლავთ, მსხვილ ქალაქებში სრულფასოვანი კანალიზაციის სისტემის ჩამოყალიბება და ამ პროცესში უცხოელი ინვესტორების ჩართვა. პარტიისათვის მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და უცხოელი პარტნიორების დახმარება. ბოლო პუნქტი გახლავთ საქართველოს ბუნების შესახებ ინფორმაციული ბაზის შექმნა. საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის პროგრამაში არ არის დასახელებული გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები და პრობლემები. პარტიის პროგრამაში ზოგადად არის საუბარი გარემოს დაცვაზე და არ არის კონკრეტულად ჩამოთვლილი ის ძირითადი მექანიზმები, რაც უნდა განორციელდეს გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემების მოსაგვარებლად. პროგრამაში საერთოდ არ არის საუბარი ჰაერისა და წყლის ხარისხის კონტროლზე, გამჭირვალე მმართველობაზე, გარემოსდაცვითი კუთხით ცნობიერების ამაღლებასა და სხვა ბევრ მიმართულებაზე. შედარებისათვის პოლიტიკური პარტიის ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" პროგრამა შედგებოდა 15 პუნქტისაგან, ხოლო "ნაციონალური მოძრაობის" 4 პუნქტისაგან. [96]

---

[95] ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროგრამა 2016- http://partiebi.ge/new/?m=42&party1=2&party2=&party3=&theme=28 ნანახია: 2017 წლის 7 ივნისს.
[96] ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროგრამა 2016 - http://partiebi.ge/new/?m=42&party1=2&party2=&party3=&theme=28 ნანახია: 2017 წლის 7 ივნისს.

5.3 ნინო ბურჯანაძე -დემოკრატიული მოძრაობა

პარტიის პროგრამაში ცალკე მიმართულებად არის გამოყოფილი გარემოს დაცვა და საუბარია გარემოსდაცვითი საქმიანობის სფეროზე და მასში შემავალი ჰაერდაცვითი საქმიანობის სექტორის მდგრადი განვითარების მნიშვნელობაზე. ასევე ყურადღება გამახვილებულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მნიშვნელობაზე ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხო ბუნებრივი გარემოსათვის. პროგრამა შედგება 8 ძირითადი პუქტისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის პროგრამაში მკაფიოდ არის ყურადღება გამახვილებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მნიშვნელობაზე და საუბარია ასევე ჰაერის დაბინძურების სადამკვირებლო ქსელის გაფართოებასა და გადაიარაღებაზე თამამედროვე ხელსაწყოების გამოყენებით. ასევე საუბარია ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე და დაბინძურების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე როგორიცაა: ტექნიკური დათვალიერება, ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმიზაცია, საწვავის ხარისხის კონტროლის სისტემის უზრუნველყოფა.[97]

ასევე მნიშვნელოვნად არის ყურადღება გამახვილებული თამამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობაზე. მოძველებული ხელსაწყო-დანადგარების შეცვლაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხელსაწყოებით. პროგრამაში ცალკე მიმართულებად არის გამოყოფილი წყლის რესურსების ადმინისტრაციული მართვის პრინციპი. რომელიც უზრუნველყოფს წყლის რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და კომპლექსურად მართვას, სხვადასხვა სექტორების წყალმოსარგებლეების შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის წყლით უზრუნველყოფას და კონფლიქტების თავიდან აცილებას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას. წყლის რესურსების მართვის პრინციპი გულისხმობს :

- მოსახლეობისთვის სუფთა წყლით მიწოდებას.

[97] ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა 2016- http://partiebi.ge/new/?m=42&party1=8&party2=&party3=&theme=28 ნანახია: 2017 წლის 8 ივნისს.

- საკანალიზაციო/სანიტარიის სისტემების შექმნას ადგილობრივ დონეზე
- წყლის ობიექტების დაცვითი ღონისძიებების გატარებას
- წყლის, როგორც რესურსის შენარჩუნებას.

ასევე პროგრამაში ხაზგასმულია „წყლის შესახებ" ახალი კანონის პროექტის შემუშავება და მიღება, რომელიც გულისხმობს წყლის რესურსების დაცვას, რაციონალურ გამოყენებას, კანონმდებლობის სისტემის ფორმირებას, სისტემატიზებული სამართლებრივი საფუძვლის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში წყლის დაცვისა და გამოყენების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებას.[98]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ პარტია თავის პროგრამაში მკვეთრად გამოყოფს წყლის ხარისხის მნიშვნელობას და ასევე აუცილებლად მიიჩნევს კანონმდებლობის შემუშავებას წყლის რესურსების ადმინისტრაციული მართვის შესახებ. თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ პარტიის პროგრამაში არ არის საუბარი არც ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე და არც გარემოს დაცვის ძირითად გამოწვევებსა მიმართულებებზე მაგალითად როგორიცაა: სასარგებლო წიაღისეულის დაცვა , დაცული ტერიტორიების გაფართოება და მდგრადი ეკოსისტემების ჩამოყალიბება.

5.4 უსუფაშვილი-რესპუბლიკელები

პარტიის პროგრამაში არ არის ცალკე მიმართულებად გამოყოფილი გარემოს დაცვა და ეკოლოგიური უსაფრთხოება. არ არის მკაფიოდ გამოყოფილი გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების ძირითადი გამოწვევები და პრიორიტეტები.

[98] ნინო ბურჯანაძე დემოკრატიული მოძრაობა 2016- http://partiebi.ge/new/?m=42&party1=8&party2=&party3=&theme=28 ნანახია: 2017 წლის 8 ივნისს.

პროგრამაში ვკითხულობთ: "ჩვენი პოლიტიკის ფოკუსში გარემოს დაცვითი საკითხების მოქცევა მიზნად ისახავს დაასაბუთოს რომ გარემოს დეგრადაცია ეკონომიკურად წამგებიანია და პირიქით, გარემოს დაცვას მაღალი ეკონომიკური შედეგიანობა ახასიათებს. გარემოზე მიყენებული ზარალის და მისი სოციალური და კულტურული შედეგების აღმოფხვრა უფრო ძვირია, ვიდრე ეკონომიკის და რესურსების გამოყენების ურთიერთმიმართებაში მდგრადობის მიდგომის ჩართვა (რაც, ერთჯერადად და ხანმოკლე პერსპექტივაში, მეტ ინვესტირებას ითხოვს, მაგრამ ხანგრძლივვადიან პერსპექტივაშია მომგებიანი). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მაღალმთიან რეგიონებში დაცული ტერიტორიების განვითარება და მათ ირგვლივ ეკონომიკური აქტივობების გაშლა. უკვე არსებული პრაქტიკით ჩანს, სადაც დაცული ტერიტორიები შეიქმნა, ადგილობრივი თემი ეკონომიკურ აქტივობას იოლად ითვისებს, იქმნება გესთჰაუზები, იწყება აგროპროდუქციის წარმოება, ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურა ვითარდება, იქმნება თვითმყოფადი და მდგრადი სათემო ეკონომიკური ინფრასტრუქტურა. დაცული ტერიტორიები ასევე აუცილებელია წყლის რესურსების შენარჩუნებისთვის. აღმოსავლეთ საქართველო, უპირველესად თბილისი, ჯამში საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 1,5 მლნ ადამიანი, დამოკიდებულია ფშავ-ხევსურეთის მდინარეებიდან მიღებულ წყალზე. ამ წყალს საფრთხე შეექმნება თუკი აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტყეების დეგრადაცია გაგრძელდება. მათი აღდგენა გაცილებით ძვირი და ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე შენარჩუნება".[99]

პარტიის პროგრამაში ხაზგასმით არის აღნიშნული მთების ტყეების დეგრადაციაზე, რაც ხელს შეუშვლის წყლის რესურსების შენარჩუნებას. პროგრამის მიხედვით აუცილებელია დაცული ტერიტორიების შექმნა, რათა შენარჩუნდეს წყლის რესურსების ბალანსი. პარტია თვლის რომ, უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების არარაციონალური ექსპლუატაცია. მათი აზრით, არ არსებობს არანაირი პოლიტიკის ხედვა, თუ როგორი სტანდარტით შეიძლება გარემოში ჩარევა და რა მოთხოვნები არსებობს

[99] უსუფაშვილი-რესპუბლიკელები 2016- http://partiebi.ge/new/?m=42&party1=10&party2=&party3=&theme=28 ნანახია: 2017 წლის 9 ივნისს.

გარემოზე მიყენებული ზარალისთვის ინვესტორის მიმართ. პროგრამაში მითითებულია, რომ საჭიროა ყველა კომპონენტის თანაფარდობის ანალიზი და მოკლე, საშუალო და ხანგრძლივ ვადიანი ეკონომიკური მოგების პარამეტრების მიხედვით გარემოს დაცვითი სტრატეგიის შემუშავება.[100]

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პარტიის პროგრამაში გამოკვეთილია ურბანული სივრცეების პრობლემები. მათი აზრით, განსაკუთრებით მწვავედ დგას ურბანული სივრცეების ეკოლოგიის პრობლემები. ამ მხრივ ყურადღების ცენტრშია სამშენებლო სექტორი და ქალაქგანვითარების პოლიტიკა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და საჯარო სივრცის მოწყობის საკითხები.[101]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ პარტიას აქვს გარკვეული ხედვები და პესპექტივები გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების შესახებ. პარტიისათვის პრიორიტეტულია წყლის რესურსების შენარჩუნება და დაცული ტერიტორიების შექმნა. თუმცა პარტიის პროგრამაში არ არის ასახული ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები როგორიცაა: გარემოს დაცვითი შეფასების ერთიანი სისტემის შექმნა, გარემოს დაცვითი განათლების და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნა და სხვა.

5.5 ზვიადის გზა - უფლის სახელით

პარტიის პროგრამა გახლავთ საკმაოდ მცირე მოცულობის. მასში არ არის გამოყოფილი გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მიმართულება. პარტიის პროგრამაში

[100] უსუფაშვილი-რესპუბლიკელები 2016 - http://partiebi.ge/new/?m=42&party1=10&party2=&party3=&theme=28 ნანახია: 2017 წლის 9 ივნისს.
[101] უსუფაშვილი-რესპუბლიკელები 2016- http://partiebi.ge/new/?m=42&party1=10&party2=&party3=&theme=28 ნანახია: 2017 წლის 9 ივნისს.

მოკლედ არის ყურადღება გამახვილებული გარემოს დაცვის და ეკოლოგიური უსაფთხოების საკითხების ძირითად გამოწვევებსა და პრიორიტეტებზე.[102]

პროგრამის მიხედვით, ქვეყნის ნორმალური განვითარების გარანტი გახლავთ, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო. პარტიისათვის ერთ-ერთი მთავარია და მნიშვნელოვანი ამოცანაა მცირე ჰესების შექმნა და მათი განვითარების ხელშეწყობისათვის სპეციალური გარემოს შექმნა. მნიშვნელოვანია რეგიონული მასშტაბით ხელმისაწვდომი ენერგიების დამოუკიდებელი წყაროების დამკვიდრება. პარტია მიიჩნევს, რომ ეკოლოგიური საკითხების მოგვარების პარალელურად, თავის დადებით როლს ითამაშებს ტყის მასივების დაცვა და განვითარება. ტყეების განვითარება და გაშენება ხელს შეუწყობს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებას.[103]

ჩემი აზრით, პარტიის პროგრამაში საკმაოდ მცირე რაოდენობით არის გადმოცემული გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხების ძირითადი გამოწვევები და პრიორიტეტები. პროგრამაში არ არის გამოკვეთილი მიმართულებები, რის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს კონკრეტული მექანიზმები, რათა მოგავრდეს გარემოსდაცვითი პრობლემები. ასევე პარტია არ გვთავაზობს იმ ძირითად პრობლემებს, რაც მწვავედ დგას ქვეყანაში. პარტიის პროგრამაში გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნაწილი ძირითადად შემოიფარგლება ჰესების მშენებლობითა და ტყეების განვითარებით. პროგრამაში არ არის გამახვილებული ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა: ჰაერის ხარისხის კონტროლი, წყლის ხარისხის მონიტორინგი, გარემოსდაცვითი განათლების და ცნობიერების ამაღლება, ქალაქის, უბნების, რაიონების გამწვანება და სხვა.

---

[102] ზვიადის გზა- უფლის სახელით 2016- http://partiebi.ge/new/?m=42&party1=11&party2=&party3=&theme=28 ნანახია: 2017 წლის 10 ივნისს.

[103] ზვიადის გზა-უფლის სახელით 2016 - http://partiebi.ge/new/?m=42&party1=11&party2=&party3=&theme=28 ნანახია: 2017 წლის 10 ივნისს.

დასკვნა

კვლევა მიზნად ისახავდა დაედგინა ურთიერთკავშირი გარემოსდაცვით საკითხებსა და ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს შორის. განხორციელებული კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ რაც უფრო იზრდება ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები ქვეყანაში, მით უფრო აქტუალური ხდება გარემოსდაცვითი პრობლემები. მთლიანი შიდა პროდუქტის და ეკონომიკური ინვესიტიციების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა იწვევს გარემოსდაცვითი საკითხების აქტუალიზაციას. 2012 წლიდან 2016 წლის ჩათვლით საქართველოს გარემოსდაცვით პოლიტიკაში განხორციელდა ბევრი რეფორმა და მოხდა ევროკავშირის სტანდარტების მიხედვით გარემოსდაცვითი ღონისძიებების იმპლემენტაცია გარემოს დაცვის სამინისტროს სტრუქტურებში. 2012-2016 წლებში გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის და ეკონომიკური ინვესიტიცების პროცენტული მაჩვენებელი. სიღრმისეული ინტერვიუებიდან დადასტურდა, რომ რაც უფრო იზრდება ინვესიტიციების და მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული მაჩვენებელი, მით უფრო ხდება გარემოსდაცვითი საკითების აქტუალიზაცია. სამინისტროს წარმომადგენლების აზრით, ეკონომიკური ინვესტიციების შემოდინებამ ჩვენს ქვეყანაში წინ წამოსწია და უფრო აქტუალური გახადა გარემოსდაცვითი საკითხების ძირითადი გამოწვევები და პრიორიტეტები. დაინერგა თანამედროვე გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები, რომლის მეშვეობითაც გატარდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნას, ასევე დაიწერა სტრატეგიული გარემოსდაცვითი დოკუმენტები, რომლებიც ითვალისწინებს 2020 წლამდე განსახორციელებელ ცვლილებებს, დაიგეგმა გრძელვადიანი პროექტების და ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება 2017-2020 წლებისათვის.

ახალგაზრდული გაერთიანების წარმომადგენლების აზრით, დღესდღეობით საქართველოში მწვავედ დგას გარემოსდაცვითი პრობლემები. ქვეყანაში ეკონომიკური ინვესიტიცების შემოდინება აქტუალურს ხდის გარემოსდაცვით საკითხებს.

ასევე კვლევის შედეგებიდან დადასტურდა, რომ მოლდოვა და საქართველო მსგავსს მდგომარეობაში იმყოფებიან. მოლდოვაში 2012 წლიდან გაიზარდა ეკონომიკური ინვესტიციების და მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი. ქვეყანაში 2012 -2016 წლებში დაიწყო სტრატეგიული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით და გულისხმობს ევროკავშირის გარემოსდაცვითი სტანდარტების იმპლემენტაციას მოლდოვას გარემოსდაცვით პოლიტიკაში. განსაკუთრებით 2016 წელს მოლდოვაში დაიწყო სტრატეგიული გარემოსდაცვითი პოლიტიკის გატარების მეორე ეტაპი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევროკავშირის სტანდარტებთან. რაც შეეხება რუმინეთს, 2016 წელს ქვეყანაში მოიმატა მთლიანმა შიდა პროდუქტმა და გაიზარდა ეკონომიკური ინვესიტიციები, როგორც საქართველოში. ეკონომიკური ინვესიტიციების და მთლიანი შიდა პროდუქტის გაზრდის შედეგად აქტუალური გახდა გარემოსდაცვითი საკითხები. რუმინეთსა და საქართველოში შემუშავდა გარემოსდაცვითი სტრატეგია 2017-2020, რომელიც გულისხმობს გარემოსდაცვითი მექანიზმების განხორციელებას და სტრატეგიული გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებას.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების პროგრამებს, გაირკვა რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ გარემოსდაცვით საკითხებს მოიაზრებდა მნიშვნელოვან სფეროდ და პარტიის პროგრამაში ასახული იყო გარემოსდაცვითი პრობლემები და პრიორიტეტები. ასევე პარტიის პროგრამაში „ნინო-ბურჯანაძე დემოკრატიული მოძრაობა“, მკვეთრად იყო გამოკვეთილი გარემოსდაცვითი საკითხების ძირითადი პრიორიტეტები. 2016 წელს ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდამ გამოიწვია გარემოსდაცვითი საკითხების აქტუალიზაცია, რაც აისახა პოლიტიკური პარტიების პროგრამებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

(მწვანე ალტერნატივა, 2013) „ მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“.

http://greenalt.org/wp content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf

საქართველო 2016 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში

https://idfi.ge/ge/georgia-2016-economic-freedom-index

საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის ანგარიში

http://www.moe.gov.ge/res/docs/913210.pdf

(მაკფარლეინი, 2012) „საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“

http://css.ge/files/Papers/0812pp_macfarlane_georgian.pdf

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი

http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategia-da-samoqmedo-gegma/saqartvelo-evrokavshiris-asocirebis-dgis-wesrigi.pdf

(მწვანე ალტერნატივა, 2014) „ორჰუსის კონვენციის განხორციელება საქართველოში“

http://greenalt.org/wp-content/uploads/2014/04/Aarhus_Convention_alternative_report_GEO_2014_FINAL.pdf

(მწვანე ალტერნატივა, 2012) „ საზოგადოების მონაწილეობა ტყის მართვაში“

http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Forest_Guide.pdf

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო

https://ge.boell.org/ka

(ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2013) „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა 2012 წლის მიმოხილვა“

https://www.osgf.ge/files/2013/publikaciebi%202013/Report_GEO_WEB.pdf

(საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016) „ეკონომიკური მიმოხილვა“

http://www.economy.ge/uploads/publications/economy_8484723758fdf66e4c9332.50742461.pdf

გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (2012-2013)წლის ანგარიში

http://moe.gov.ge/res/images/file-manager/wliuri-angarishi/2012-2013wlis-angarishi.pdf

საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2015 წლის ანგარიში

http://www.moe.gov.ge/res/docs/913210.pdf

საარჩევნო პროგრამა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები „ქართული ოცნება“

http://41.ge/program

ნინო ბურჯანაძე დემოკრატიული მოძრაობა 2016

http://partiebi.ge/new/?m=42&party1=8&party2=&party3=&theme=28

უსუფაშვილი-რესპუბლიკელები 2016

http://partiebi.ge/new/?m=42&party1=10&party2=&party3=&theme=28

ზვიადის გზა- უფლის სახელით 2016

http://partiebi.ge/new/?m=42&party1=11&party2=&party3=&theme=28

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროგრამა 2016

http://partiebi.ge/new/?m=42&party1=2&party2=&party3=&theme=28

(Government Decision, 2014) " Republic of Moldova"

http://apps.unep.org/redirect.php?file=/publications/pmtdocuments/-Environmental_Strategy_for_the_years_2014-2023-2014Moldova_EnvironmentalStrategy_2014-202.pdf

Implementation of the European Neighbourhood Policy in the Republic of Moldova

Progress in 2014 and recommendations for actions

http://eeas.europa.eu/archives/docs/enp/pdf/2015/repulic-of-moldova-enp-report-2015_en.pdf

Moldova Country Report 2016

https://www.bti-project.org/fileadmin/files/BTI/Downloads/Reports/2016/pdf/BTI_2016_Moldova.pdf

(State of The Country Report, 2015) "Republic of Moldova"

http://www.fes-moldova.org/media/publications/2015/State_of_the_Country_Report_EN.pdf

(THE NATIONAL ENVIRONMENTAL PROTECTION AGENCY, 2010)

http://epanet.pbe.eea.europa.eu/european_epas/countries/ro

The EU Environmental Implementation Review Country Report – ROMANIA

http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/report_ro_en.pdf

EU Environmental Implementation Review: Highlits 2017

http://ec.europa.eu/environment/eir/pdf/factsheet_ro_en.pdf

(Romania 2010)Non-govermental sector

http://www.fdsc.ro/library/Brosura%20_engleza_final.pdf

(European Environment Agency , 2015) "Romania"

https://www.eea.europa.eu/soer-2015/countries/romania

(Panayotou, 2003) – "Economic Growth And The Evvironment".

https://www.unece.org/fileadmin/DAM/ead/sem/sem2003/papers/panayotou.pdf

(Brulle, 2010) "Politics and The Environment ".

http://www.pages.drexel.edu/~brullerj/Environmental%20Politics%20Chapter.pdf

(Stavins, 2003) "Environmental Protection and Economic Well-being".

http://www.rff.org/files/sharepoint/WorkImages/Download/RFF-DP-03-48.pdf

(Jost, Quass, Schiller, 2006) "Environmental problems and economic development in an endogenous fertility model".

http://www.pages.drexel.edu/~brullerj/Environmental%20Politics%20Chapter.pdf

დანართი

ინტერვიუს გზამკვლევი:

კითხვარი: I

1. როგორ ფიქრობთ რა ძირითადი პრობლემები აწუხებს საქართველოს გარემოსდაცვითი კუთხით?

2. რომელი პრობლემაა ყველაზე აქტუალური თქვენი აზრით?

3. რა ძირითად ღონისძიებებს ახორციელებს გარემოს დაცვის სამინისტრო აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად?

4. რა პროექტები განხორციელდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით?

5. თქვენი აზრით, რამდენად იწვევს ეკონომიკური ინვესტიციების ზრდა გარემოსდაცვითი საკითხების აქტუალიზაციას?

6. რა ძირითადი პრობლემები წარმოიშვება საქართველოში გარემოსდაცვითი კუთხით როდესაც ქვეყანაში შემოედინება სხვადასხვა ეკონომიკური ინვესტიციები?

7. როგორ ფიქრობთ რამდენად უწყობს ხელს სამინისტრო გარემოსდაცვითი განათლების დანერგვას და ცნობიერების ამაღლებას ახალგაზრდებში?

8. რომელი რეფორმები განხორციელდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში?

9. თქვენი აზრით რომელი რეფორმა იყო ყველაზე წარმატებული და შედეგის მომტანი?

10. როგორ და რა ფორმით ტარდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი ღონისძიებები?

კითხვარი II

1. როგორ ფიქრობთ რა ძირითადი პრობლემები აწუხებს საქართველოს გარემოსდაცვითი კუთხით?

2. რომელი პრობლემაა ყველაზე აქტუალური თქვენი აზრით?

3. თქვენი აზრით, რა ძირითად ღონისძიებებს ახორციელებს გარემოს დაცვის სამინისტრო აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად?

4. რა პროექტები განხორციელდა გარემოსდაცვის კუთხით ევროკავშირის მხარდაჭერით?

5. გვიამბეთ თქვენი ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ გეგმებსა და მიზნებზე.

6. როგორ ახორციელებს სტუდენტური გაერთიანება „მწვანე მუშტი“ სტრატეგიულ გარემოსდაცვითი ღონისძიებებს?

7. თქვენი აზრით, რამდენად იწვევს ეკონომიკური ინვესტიციების ზრდა გარემოსდაცვითი საკითხების აქტუალიზაციას?

8. რა ძირითადი პრობლემები წარმოიშვება საქართველოში გარემოსდაცვითი კუთხით, როდესაც იზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი?

9. როგორ ფიქრობთ რამდენად უწყობს ხელს გარემოს დაცვის სამინისტრო გარემოსდაცვითი განათლების დანერგვას და ცნობიერების ამაღლებას ახალგაზრდებში?

10. თქვენი აზრით რომელი რეფორმა იყო ყველაზე წარმატებული და შედეგის მომტანი გარემოს დაცვის სფეროში?

11. თქვენი აზრით, როგორ და რა ფორმით ტარდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი ღონისძიებები საქართველოში?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

Political Science

Ketevan Nadiradze

Economic and Environmental protection issues in the modern Georgia (2012-2016)

Master thesis is prepared to obtain master degree in Political Science

Course supervisor: Professor: Salome Dundua

Tbilisi 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარიამ ჩიკვილაძე

ქალთა კვოტირების საკითხი საქართველოში 1990 წლიდან 2016 წლამდე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:
გიორგი მელიქიძე
პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის
მოწვეული ლექტორი

თბილისი
2017

ანოტაცია

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. საზოგადოება კვლავ ცხოვრობს სტერეოტიპულ გარემოში, სადაც, უმრავლეს შემთხვევაში, ქალის მიმართ ოჯახში ძალადობა გამართლებული ქმედებაა; მაღალია ადრეულ ასაკში ქორწინების რიცხვი, ქალები წარმოადგენენ უმცირესობას გადაწყვეტილების მიღების დონეზე და ხშირია გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით უფლებადარღვევის შემთხვევები.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში ქალმა წარმატებას მიაღწია განათლების, სამართლის, ეკონომიკის, სპორტისა თუ ხელოვნების სფეროებში, პოლიტიკურ არენაზე ქალები მაინც ცოტანი არიან.

საქართველოს კანონმდებლობით გენდერული თანასწორობა უზრუნველყოფილია - მამაკაცები და ქალები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, რაც კონსტიტუციასა და სხვა კანონებშია არეკლილი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ქალთა კვოტირების საკითხის წარმოჩენა და ძირითადი მახასიათებლების ანალიზი 90-იანი წლებიდან 2016 წლამდე. ასევე აქცენტი კეთდება განვითარებულ ქვეყნების ისტორიულ გამოცდილებაზე, თუ როგორ იქნა მიღებული და დამკვიდრებული კვოტები. სწორედ ამ კვოტირების სისტემის დამსახურებაა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა.

მთავარი საკვლევი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: რა ფაქტორები განაპირობებენ ბარიერის შექმნას ქალთათვის პოლიტიკური კარიერული ზრდისთვის და კვოტირებათა სისტემის დამკვიდრების შემთხვევაში გაიზრდება თუ არა ქალთა ჩართულობა სახელმწიფო მმართველ ორგანოებში.

საქართველოში პოლიტიკური სპექტრის არც ერთი წარმომადგენელი მისაღებად არ თვლის კვოტირების პრონციპს, როგორც გენდერული დისბალანსის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებას. კვოტირების მოწინააღმდეგეთა მთავარი არგუმენტი არაპროფესიონალი კადრების შედინების საშიშროებაა. პროფესიონალებს მოძებნა და წახალისება სჭირდებათ, ამ ყველაფერს კი პოლიტიკური ნება და ძალაუფლების გადანაწილების რეალური სურვილი.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომში შევეხებით ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო ბაზა გენდერული თანასწორობის შესახებ, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის საერთაშორისო სტანდარტი; კვოტები, როგორც ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გასაზრდელად. ასევე ვაანალიზებთ გენდერული კვოტირების დადებითი მხარეები - მისაღები თუ მიუღებელი ფორმა პოლიტიკაში ქალების როლის გაზრდისთვის და სიძნელეებს თანამედროვე ეტაპზე.

Annotation

Achievement of gender equity is still one of the serious challenges in Georgia with respect to human rights. Society still lives in environment of stereotypes, where domestic violence against women is mostly justified; number of early marriage is high, women are minority at a level of decision-making and violation of gender identity and sexual orientation is frequent.

Notwithstanding, women achieved a success in many countries in the fields of education, law, economics, sport or art, there are less women in political arena.

Under the law of Georgia, gender equity is secured – men and women enjoy the equal rights, which are reflected in constitution and the other laws.

This paper aims to demonstrate the subject matter of women quotation and analysis of major specification since the 90s until 2016. As well, historical experience of developed countries is emphasized how the quotes have been adopted and inculcated. Exactly this quotation system has done its great service to a sound growth of women quotes in some countries.

The major research question is as follows: what kind of factors condition the creation of barrier for women in political career growth and whether involvement of women in governmental authorities is increased in the event of inculcation of quotation system.

None of political spectrum in Georgia considers the principle of quotation as acceptable, as one of the remedies for overcoming gender misbalance. The main argument of opponents is that there is a danger of unprofessional staff. Professionals should be searched and encouraged, and all of this need political will and real wish of power redistribution.

Hence the objectives of study, the paper reviews such issues as: international and national legislative base about gender equity, international standard for participation of women in politics; growth of women's political quotes. We also analyze positive sides of gender quotation – acceptable or unacceptable form for growing the women's role in politics and at contemporary stages of grievances.

სარჩევი

შესავალი 1

თავი I. თეორული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა 6

1.1 საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო ბაზა 12

1.2. საერთაშორისო სტანდარტი 13

თავი III ქალთა მონაწილეობა თანამედროვე სოციალურ - პოლიტიკურ პროცესებში 17

3.1. სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა საკითხში 20

3.2. ქალთა მონაწილეობა თანამედროვე სოციალურ-პოლიტკურ პროცესებში 21

3.3.ქალთა მოძრაობა - ქალთა პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი ფაქტორია 22

3.4. საერთაშორისო ფორუმები - ქალთა მოძრაობის ერთობლივი პროგრამის გამომუშავების მნიშვნელოვანი ფაქტორი 23

3.5. ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში 24

3.6. კვოტები ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გასაზრდელად 31

3.7 გენდერული კვოტირების დადებითი მხარეები და სიძნელეები 35

თავი IV გენდერული კვოტირება – მისაღები თუ მიუღებელი ფორმა პოლიტიკაში ქალების როლის გაზრდისთვის 37

V თავი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის შედეგები 45

5.1 ქალთა კვოტირების აუცილებლობა საქართველოში 45

5.2 გენდერული კვოტირების საკანონმდებლო რეგულირება 45

5.3 საქართველოში ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის შემაფერხებელი ფაქტორები 48

5.4 პოლიტიკური პარტიები და კვოტირების სისტემა 51

VI თავი საქართველოს საარჩევნო გარემოში ქალთა ჩართულობა და ეკონომიკური განვითარების დონე 53

დასკვნები და რეკომენდაციები 64

გამოყენებული ლიტერატურა: 67

დანართი 70

შესავალი

კვლევის აქტუალობა:

დღევანდელობას თუ გადავხედავთ მარტივად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს განვითარებულმა ქვეყნებმა თანდათან ეტაპობრივად აღიარეს, რომ რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყანა, მასში უფრო მეტად არის გათვალისწინებული სქესთა თანასწორუფლებიანობა და თანაბარი ჩართულობა. უნდა ითქვას, რომ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის ხელისშემშლელი არაერთი ფაქტორი არსებობს, აქედან უნდა გამოვყოთ პირველ რიგში, რათქმა უნდა, სოციალურ-ეკონომიკური, შემდგომ იდეოლოგიური და ბოლოს, კულტურული ფაქტორები, სწორედ ეს ასპექტები გვხვდება ხშირად ამა თუ იმ ქვეყანაში ქალის როლის განმსაზღვრელი და მათი ჩართულობის შემაფერხებელიც კი. თუმცა ბოლო ათწლეულების მანძილზე გაიხარდა ქალის ინტერესები, სწორედ მათი პოლიტიკაში გააქტიურებისთვის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს წარმოადგენს კვოტირების სისტემა.

დემოკრატიული ქვეყნის განვითარებისთვის გენდერული თანასწორობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. სხვადასხვა მკვლევარი, მეცნიერი თუ პოლი-ტოლოგი კვოტირების საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ. ზოგადად, მთელი ქვეყნის მასშტაბით საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა არსებობს.

აღნიშნულ კვლევაში წარმოდგენილია ქალთა კვოტირების საკითხის ძირითადი მახასიათებლები 90-იანი წლებიდან 2016 წლამდე. ასევე აქცენტი კეთდება განვითარებული ქვეყნების ისტორიულ გამოცდილებაზე, თუ როგორ იქნა მიღებული და დამკვიდრებული კვოტები. სწორედ ამ კვოტირების სისტემის დამსახურებაა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა.

ასევე შევეხებით ზოგადა გენდერის პრობლემატიკას საქარტველოში, რაც ჩვენი აზრით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამედროვე ეტაპზე აქლთა აქტივობის და ჩართულობის გააზრებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ გენდერი ეხება როლებს და ვალდებულებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მიდგომებს, ქცევებს და ფასეულობებს, რომელსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს მიაწერს. "გენდერი" შესაბამისად ნიშნავს გაცნობიერებულ განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაშინ, როცა "სქესი" ბიოლოგიურ განსხვავებას აღნიშნავს მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს შორის. გენდერის როლი საკმაოდ განსხვავებულია სხვა კულტურებში და შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს.

გენდერი საყოველთაოდ აღიარებული ტერმინია, რომელსაც მამაკაცისა და ქალის ცნების კლასიფიკაციისათვის იყენებენ. როგორც უნივერსალური კატეგორია, პრაქტიკულად ყველა კულტურაში გენდერი სოციალური ცხოვრების ერთგვარ ცენტრალურ მაორგანიზებელ პრინციპად გვევლინება[1]. გენდერი ეხება არა მხოლოდ უბრალოდ ქალებს ან მამაკაცებს, არამედ ასევე ურთიერთობას მათ შორის.

პოლიტიკის სფეროში გენდერის ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის და სტრუქტურების შექმნის პროცესში გამოცდილებას, ცოდნას და ქალთა და მამაკაცთა ინტერესებს, ამ პოლიტიკის განხორციელებასა (ეროვნული და საერთაშორისო ოპერაციების გათვალისწინებით) და შედეგების შეფასებას აერთიანებს.

გენდერის დიფერენციაციის არსებობა უდაოა, მაგრამ სადაოა გენდერზე დაფუძნებულ ძალაუფლებისა და რესურსების განაწილების შეფასების და კრიტერიუმების სამართლიანობა. გენდერი ეხება როლებს და ვალდებულებებს, პიროვნულ მახასიათებლებს, მიდგომებს, ქცევებს და ფასეულობებს, რომელსაც საზოგადოება ქალებსა და მამაკაცებს მიაწერს. "გენდერი" შესაბამისად ნიშნავს გაცნობიერებულ განსხვავებას ქალებსა და მამაკაცებს შორის, მაშინ, როცა "სქესი"

[1] გენდერი და საზოგადოება: საქართველო http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00--- (გადამოწმებული, 01.06.2017)

ბიოლოგიურ განსხვავებას აღნიშნავს მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს შორის.

გენდერული თანასწორობა განისაზღვრება როგორც ადამიანის სოციალური განვითარების ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც ინდივიდის უფლებები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები არ არის სქესით განპირობებული. გენდერული თანასწორობა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება, ქვეყნის განვითარებისა და პიროვნების კეთილდღეობის აუცილებელი პირობა. აგრეთვე მნიშვნელოვანი ტერმინია „ქალთა დისკრიმინაცია“, რაც ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისსა და შეზღუდვას სქესობრივი ნიშნით, რომელიც გამიზნულია შეასუსტოს და გამორიცხოს ქალთა მიერ, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა დარგში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარება, სარგებლობა ან განხორციელება.

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანია განისაზღვროს საქართველოში ქალთა პოლიტიკური აქტივობის მახასიათებლების დადგენა და ამავე საკითხში სოციალური ფონით წარმოქმნილი პრობლემები. ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კვოტირების საკითხის განსაზღვრას, მომხრეებისა და მოწინააღმდეგების მოსაზრებების წარმოდგენით.

ამოცანები:

საქართველოში ქალთა კვოტირების საკითხის ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორების კვლევა. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი გენდერისა და კვოტირების საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი ქალთა უფლებების მიმართ. ამ თემით დაინტერესებულ მკვლევართა შეხედულებების გაანალიზება.

საკვლევი კითხვა:

რა ფაქტორები განაპირობებენ ბარიერის შექმნას ქალთათვის პოლიტიკური კარიერული ზრდისთვის და კვოტირებათა სისტემის დამკვიდრების შემთხვევაში გაიზრდება თუ არა ქალთა ჩართულობა სახელმწიფო მმართველ ორგანოებში?

ჰიპოთეზა:

მდგომარეობს ვარაუდში, რომ, რაც უფრო დაბალია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, მით უფრო ნაკლებად არიან ქალები წარმოდგენილნი პოლიტიკაში.

ჰიპოთეზიდან გამოდინარე იკვეთება ორი მნიშვნელოვანი ცვლადი: დამოუკიდებელი და დამოკიდებული. დამოუკიდებელ ცვლადად ამ შემთხვევაში გვევლინება: ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, ხოლო რაც შეეხება დამოკიდებულს, იგი ქალთა პოლიტიკაში ჩართულობას განეკუთვნება.

დამოუკიდებელი ცვლადი: ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, უარყოფითი სოციალური განწყობა, არსებული კულტურა და ტრადიციები.

დამოკიდებული ცვლადი: ქალთა მცირე როლი ქართულ პოლიტიკაში.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები - სიღრმისეული ინტერვიუები. ყველაზე მეტად საჭირო და საინტერესო კვლევისათვის იყო კვოტირების სისტემის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ჩატარებულიყო ინტერვიუები და მოპოვებული ყოფილიყო უშუალოდ მათგან ინფორმაცია. გამოყენებულია ასევე ექსპერტთა და პოლიტიკოსთა მოსაზრებები, რომელთა გაანალიზებაც დაგვეხმარება თემა უფრო მეტად სიღრმისეულად შევისწავლოთ და გავეცნოთ სახელმწიფო პოლიტიკას აღნიშნულ საკითხზე.

ამხსნელი თეორია: კვლევა ეყრდნობა კრისტიან ველზელის და ემი ალექსანდრეს თეორიას, რომელთა მიხედვითაც, პოლიტიკის სფეროში დასაქმების და შემდგომ კარიერული განვითარებისათვის ქალთათვის დაბრკოლებებს ქმნის: სოციალური განწყობა, კულტურა და ტრადიციები (Amy C. Alexander, Christian Welzel 2003).

იმისათვის, რომ განისაზღვროს ქალთა კვოტირების პრობლემა საქართველოში, აუცილებელია, თავდაპირველად, განვიხილოთ თავად კვოტის ცნება, კვოტირების სახეობები მისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები, ხოლო შემდგომ საქართველოს გამოცდილების განსაზღვრა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მაგალითზე. ასევე განვიხილავთ და საქართველოს მაგალითს შევადარებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილებასაც.

ცნობილია, რომ ქალები შეადგენენ მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტს და მიუხედავად ამისა, უკიდურესად მწირად არიან წარმოდგენილნი სამთავრობო ორგანოებში, სახელმწიფო ორგანოებში გადაწყვეტილების მიმღებთ შორის და კერძო პოლიტიკაში. ქალები ღარიბი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ და სამყაროში სადაც მამაკაცები დომინირებენ ნათლად არის გამოკვეთილი საზოგადოების მასკულინური ხასიათი[2].

ტრადიციულ საზოგადოებებში, რომელთაც მნიშვნელოვანწილად საქართველოც მიეკუთვნება, საზოგადოებრივი ცხოვრება მამაკაცის კუთვნილ სამოქმედო ასპარეზად აღიქმება, კერძო კი - ქალის სფეროდ. თანასწორობის საკითხები, გენდერული მოვალეობები და უფლებები განსხვავებულია ამ ორ სფეროში. ნაშრომი გენდერულ პრობლემებს განიხილავს საჯარო სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში ქალმა წარმატებას მიაღწია განათლების, სამართლის, ეკონომიკის, სპორტისა თუ ხელოვნების სფეროებში, თავდაცვის სისტემაში ქალები მაინც ცოტანი არიან.

[2] გენდერი და საზოგადოება http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00 (გადამოწმებული 12.04.2017)

თავი I. თეორული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა

კონკრეტული საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად მკვლევარისათვის აუცილებელია კვლევის პირველადი და მეორადი ინფორმაცია. თავის მხრივ, პირველადი მონაცემები შესაძლებელია მივიღოთ, როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდებით. პირველადი მონაცემები ეფუძნება თვისებრივი კვლევის ელემენტებს, ინტერვუს მეთოდს. კვლევის მეორადი მონაცემები ეფუძნება საკვლევ სფეროში არსებული ღია წყაროებისა და დოკუმენტების ანალიზს, მეცნიერული გამოკვლევებს და პუბლიკაციებს.

თვისებრივი კვლევა არასტრუქტურირებული საძიებო კვლევის მეთოდია, რომელიც დაფუძნებულია შერჩევის მცირე მოცულობაზე. იგი კვლევის პრობლემის უკეთ გაგების საშუალებას იძლევა. რაოდენობრივი კვლევა გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას რაოდენობრივი ფორმით, რომელშიც გამოიყენება სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

პირველადი მონაცემების შეგროვების ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული მეთოდია რესპოდენთა გამოკითხვა. ჩვენ გვჭირდება მონაცემები თავდაცვის სისტემაში ადამიანების ცოდნის, მათი შეხედულებების, ქცევის შესახებ, ამისათვის, ყველაზე საუკეთესო საშუალებაა უშუალოდ თითოეული რესპოდენტისათვის საინტერესო კითხვების დასმა.

იმისათვის, რომ განისაზღვროს ქალთა კვოტირების პრობლემა საქართველოში, აუცილებელია, თავდაპირველად, განვიხილოთ თავად კვოტის ცნება, კვოტირების სახეობები მისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები, ხოლო შემდგომ საქართველოს გამოცდილების განსაზღვრა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მაგალითზე. ასევე განვიხილავთ და საქართველოს მაგალითს შევადარებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილებასაც.

ცნობილია, რომ ქალები შეადგენენ მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტს და მიუხედავად ამისა, უკიდურესად მწირად არიან წარმოდგენილნი სამთავრობო ორგანოებში, სახელმწიფო ორგანოებში გადაწყვეტილების მიმღებთ შორის და კერძო პოლიტიკაში. ქალები ღარიბი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ და სამყაროში სადაც მამაკაცები დომინირებენ ნათლად არის გამოკვეთილი საზოგადოების მასკულინური ხასიათი[3].

ტრადიციულ საზოგადოებებში, რომელთაც მნიშვნელოვანწილად საქართველოც მიეკუთვნება, საზოგადოებრივი ცხოვრება მამაკაცის კუთვნილ სამოქმედო ასპარეზად აღიქმება, კერძო კი - ქალის სფეროდ. თანასწორობის საკითხები, გენდერული მოვალეობები და უფლებები განსხვავებულია ამ ორ სფეროში. ნაშრომი გენდერულ პრობლემებს განიხილავს საჯარო სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში ქალმა წარმატებას მიაღწია განათლების, სამართლის, ეკონომიკის, სპორტისა თუ ხელოვნების სფეროებში, თავდაცვის სისტემაში ქალები მაინც ცოტანი არიან.

სახელმწიფო პოლიტიკასა და კანონმდებლობას კვლევა ადამიანის უფლბათა საერთაშორისო სტანდარტების, შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების განმარტებებისა და შრომით ურთიერთობებთან დაკავშირბეული აკადემიური /თეორიული ლიტერატურის გამოყენებით ვაანალიზებთ. ნაშრომში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები და პუბლიკაციები არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. კვლევა მოიცავს ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვას, რომელიც გულისხმობს არსებული ძირითადი მარეგულირებელი აქტებისა და სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზს ეროვნულ საკანონმდებლო ბაზას მისი ეფექტურობისა და საკმარისობის საფუძველზე.

ლიტერატურათა უმრავლესობიდან ვიგებთ, რომ სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებენ ქალის უფლებამოსილებისა და მათი როლის გაზრდაზე ზემოქმედებას, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა შემდეგი ფაქტორები:

---

[3] გენდერი და საზოგადოება http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00 (გადამოწმებული 12.04.2017)

1) სოციალურ-ეკონომიკური განვითარება;

2) სქესთა შორის თანასწორობის დამოკიდებულების გაზრდა, რომ გარდაქმნას ეკონომიკური განვითარების კულტურულ პროცესში ადამიანის განვითარება;

3) ისტორიული მემკვიდრეობა საზოგადოების კულტურული და პოლიტიკური ტრადიციებიდან გამომდინარე;

4) ინსტიტუციური ფაქტორები.[4]

საქართველოს მაგალითზე კვლევა, ძირითადად, მეტ-ნაკლებად, ოთხივე თეორიას მოერგო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გამოიკვეთა. დღესდღეისობით ბევრ ოჯახში, ქალებს ოჯახის მარჩენალის ფუნქცია აკისრიათ. ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ ქალებს გარკვეული სახის ძალა შესძინა, თუმცა ეს ახალი სიტუაცია ტრადიციულ გენდერულ როლებს ვერ ცვლის და ქალების ძირითად საქმიანობად პარალელურად კვლავ რჩება ოჯახზე ზრუნვა - საოჯახო საქმეები, ბავშვების მოვლა და ა. შ. იმ ქალების უმრავლესობა, რომლებიც ოფიციალურ სექტორში არიან დასაქმებული, მუშაობენ სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანდაცვისა და მსუბუქი წარმოების დარგებში დაბალანაზღაურებად სამუშაოზე. შრომის ბაზარზე არსებულ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ გენდერულ სეგრეგაციას ნათელს ხდის ქალების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე ეკონომიკის ნაკლებად შემოსავლიან დარგებში.

თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას გამოყოფს სხვადასხვა ფაქტორს, რომელთაც ცენტრალური როლი ეკისრებათ ქალთა კვოტირების საკითხში; ესენია:

1) ქალთა განათლების ხარისხის განსაზღვრა, ანუ მათი წიგნიერების დონე;

2) ქალთა სოციალური აქტივობა, ანუ როგორ არის ქალი ჩართული სამოქალაქო პროცესებში;

---

[4] Amy C.Alexander,Christian Welzel;"Empovering Women:Four Theories on Four Different Aspects of Gender Equality"

3) ქალების წარმომადგენლობა მენეჯერულ პოზიციებზე, მათი ადმინისტრაციული და მმართველობითი პოზიციონირება;

4) მეოთხე და ყველაზე მნშვნელოვანი ასპექტი - ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა.[5]

აღნიშნული პრობლემატიკა საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებისა და ანალიზის საგანი გახდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ეს პერიოდი კი დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნებთან. ამ პროცესების გენდერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შესწავლა და განზოგადება საშუალებას იძლევა, შემუშავებული იქნეს ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალის რესოციალიზაციას, საზოგადოებაში მისი როლისა და სტატუსის ამაღლებას და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიების ჩამოყალიბებას. ჩვენ შევეცადეთ შეგვეჯერებინა ამ საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

თამარ კიკნაძე, ნათელა დონაძე გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი თბ. 2006 - სახელმძღვანელო განიხილავს: გენდერი და მისი არსი; ქალის როლი თანამედროვე საზოგადოებაში; ქალთა მონაწილეობა თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში - გენდერული კვლევის აქტუალური პრობლემა; გენდერული თანასწორობის პრობლემები საქართველოში; საერთაშორისო საკანონმდებლო აქტები და ეროვნული მექანიზმები

ქალების ისტორიული და თანამედროვე სოციალური მდგომარეობის ანალიზი სხვადასხვა ქვეყანაში ასაბუთებს, რომ ქალების პრობლემები ინტერნაციონალური ხასიათისაა და გამოიხატება ყოველი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების დონით და რომ ამ პრობლემების რეალიზაცია მოითხოვს არა მხოლოდ ყოველმხრივ ახალ მიდგომას ქალის მიმართ, არამედ სახელმწიფოს და კანონების მხარდაჭერასაც.

[5] Inglehart & Norris 2003 Inglehart & Welzel 2005 Welzel 2003

დღეს გენდერული ურთიერთობები განიხილება როგორც მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (მართვის, პოლიტიკურ, ოჯახის და სხვ.) არსებული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი. აღნიშნული პრობლემატიკა საქართველოში განსაკუთრებული ყურადღებისა და ანალიზის საგანი გახდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. ეს პერიოდი კი დაკავშირებულია მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნებთან. თ. კიკნაძის და ნ. დონაძის ნაშრომი „გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი“ (თბ.2006) საშუალებას გვაძლევს პროცესების გენდერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შეწავლას და განზოგადებას. შემუშავებულია ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს ქალის რესოციალიზაციას, საზოგადოებაში მისი როლისა და სტატუსის ამაღლებას და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიების ჩამოყალიბებას. ნაშრომში ყოველივე ზემოთქმულის შესახებ შეჯერებული და გადმოცემული არსებული სამეცნიერო ლიტერატურა დაგვეხმარა გენდერის პოლიტიკური და სოციალური ასპექტების შესწავლაში.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ საქართველოში გენდერული დისბალანსის და კვოტირების პრობლემის ძირითადი მახასიათებლები, უპირველესად, მნიშვნელოვანია კვოტირების ცნების განსაზღვრა, რომელსაც ყველაზე ნათლად გვთავაზობს დრუდ დალერუპი, (Drude Dahlerup, 2009),იგი ასევე ხაზე უსვამს გენდერული კვოტის მახასიათებლებს, რომელიც წარმოაგდენს კანონით განსაზღვრულ ნორმას პოლიტიკურ ინსტიტუციებში - საკანომდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში - ქალთა მონაწილეობის გასააქტიურებლად. იგი ეფექტური საშუალებაა გენდერული თანასწორობის მისაღწევად. მთელს მსოფლიოში ქალთა 30 პროცენტიანი წარმომადგენლობა ითვლება ე.წ. „კრიტიკულ მასად“, რომელიც საშუალებას აძლევს ქალებს, როგორც ინტერესთა ჯგუფს, სახელმწიფო პოლიტიკაზე საგრძნობი გავლენა მოახდინონ. გაეროს 1990 წლის ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების რეკომენდაციის თანახმად - 30 პროცენტიანი კვოტირება განიხილება. კვოტირების სისტემა დროებითი, იძულებითი, ხელოვნური ღონისძიებაა, მაგრამ, რადგანაც ქალთა ჩართვა სახელმწიფოს მმართველ

სტრუქტურებში მრავალ ბარიერთანაა დაკავშირებული, კვოტირება, როგორც იძულებითი ზომა, ამ ბარიერების გადალახვას ემსახურება. კვოტის მთავარი იდეაა, რომ არ მოხდეს ქალთა იზოლაცია პოლიტიკური პროცესებისგან.

ქალის როლის გაძლიერების ტენდენციას აყალიბებს კრისტიან ველზელი და ემი ალექსანდრე, (Amy C. Alexander, Christian Welzel 2003), რომლებიც ნაშრომში აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებენ ქალის უფლებამოსილებისა და მათი როლის გაზრდაზე ზემოქმედებას, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა შემდეგი ფაქტორები; 1) სოციალურ-ეკონომიკური განვითარება; 2) სქესთა შორის თანასწორობის დამოკიდებულების გაზრდა, რომ გარდაქმნას ეკონომიკური განვითარების კულტურულ პროცესში ადამიანის განვითარება; 3) ისტორიული მემკვიდრეობა საზოგადოების კულტურული და პოლიტიკური ტრადიციებიდან გამომდინარე; 4) ინსტიტუციური ფაქტორები.

პოლიტიკურ პროცესებში ბალანსის მისაღწევად კვოტების მნიშვნელობას ხაზს უსვამს ასევე დალერუპი (Drude Dahlerup, 1998). გენდერული კვოტა ეფექტური მექანიზმია პოლიტიკურ ინსტიტუტებში გენდერული ბალანსის სწრაფად მისაღწევად. არსებობს კოტების სამი მთავარი ტიპი, რომელიც დღეს გამოიყენება 1) დაკავებული ადგილები; 2) კანონიერი კანდიდატების კვოტა; 3) პოლიტიკური პარტიების კვოტები. პირველი არეგულირებს ასარჩევ ქალთა რაოდენობას, დანარჩენი ორი კი განსაზღვრავს ქალი კანდიდატების ადგილების მინიმუმს. საარჩევნო კვოტას შეუძლია გამუდმებით იქონიოს გავლენა პოლიტიკურ შედეგებზე, ვინაიდან ქალ ლიდერთა არჩევის მოთხოვნა ცვლის ამომრჩეველთა დამოკიდებულებას და მათ მიერ ქალი ლიდერების აღქმას. ამის ნათელ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ყირგიზეთის 2005 წლის საპარლამენტო არჩევნები, სადაც არცერთი ქალი არ არჩეულა,თუმცა სამი წლის შემდეგ, როცა შემოიღეს კვოტირების სისტემა და ახალი საარჩევნო კოდექსი (2007წელს), ქალთა წარმომადგენლობამ პარლამენტში 26.6%-ს მიაღწია.

1.1 საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს კანონმდებლობით გენდერული თანასწორობა უზრუნველყო-ფილია _ მამაკაცები და ქალები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, რაც კონსტიტუციასა და სხვა კანონებშია აღბეჭდილი.

საქართველოს რატიფიციერებული აქვს საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას:

“ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია”,

“სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი”,

“ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია” და სხვ.

„თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია“ (20014 წლის 29 აპრილის N 544 ბრძანება)-საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგია მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში ამ მიმართულებით არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობას, კერძოდ, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზა-ციისათვის სათანადო პირობების შექმნას, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციასა და აღმოფხვრას, და გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინა-აღმდეგ ბრძოლას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანაში შესაძლებლობების თანასწორობა ჯერ კიდევ საკმაოდ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს.

1.2. საერთაშორისო სტანდარტი

საერთაშორისო დოკუმენტები ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს სხვადასხვა ინსტიტუტების საშუალებით ქმნიან. გაეროს ფარგლებში ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც კრძალავენ დისკრიმინაციას და ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეას მოიცავენ, არის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ,საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ,კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ[6].

ILO-მიდგომები შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია გაეროს სპეციალი-ზებული ორგანიზაციაა, რომელიც ექსპლიციტიურად შრომით ურთიერთობებს არეგულირებს და ქმნის სტანდარტს, რომელთანაც ჰარმონიზება სახელმწიფოს მიერ საერთაშორისოდ ნაკისრი ვალდებულებაა.

ILO-ს კონვენცია 111 დასაქმების შესახებ და მისი თანამდევი რეკომენდაცია NO.111 1958 წელს იქნა მიღებული, რათა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის ეფექტური აღსრულება მომხდარიყო[7]. კონვენცია კერძო და საჯარო სექტორს ერთნაირად ეხება და კრძალავს პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას შრომისა და დასაქმების სფეროში. კონვენციის პირველი მუხლი აყალიბებს დისკრიმინაციის ცნებას და ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობს: ყოველგვარ განსხვავებას, დაუშვებლობას, ან უპირატესობას სქესის ნიშნით, რომელიც იწვევს შრომისა და დასაქმების სფეროში შესაძლებლობების ან მოპყრობის თანასწორობის დარღვევას.

CEDAW გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონკრეტულად არ არეგულირებს შრომით სამართლებრივ ურთიერთობებში სელექციისა და გასაუბრების ეტაპს. თუმცა, კონვენციის მე-11 მუხლი წევრ სახელმწიფოებს ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის გარანტიების შექმნას ავალდებულებს. კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა

---

[6] გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში თბილისი 2014 გვ.25

[7] http://sapari.ge/wp-content/uploads/2016/05/genderdisrciminacia-shromit-urtiertobebshi.pdf

სამუშაოზე აყვანისას დამსაქმებლის მიერ კანდიდატებს შორის შერჩევის ერთნაირი კრიტერიუმების გამოყენება, რასაც თან ახლავს დაწინაურების თანაბარი შესაძლებლობების შექმნა.

წლების მანძილზე, ბევრი რამ გაკეთდა ქალთა დაცვისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით მთელ მსოფლიოში. გამყარდა და უფრო სრულყოფილი გახდა გაეროს ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობასა და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საქართველომ აიღო ვალდებულება, შეასრულოს საერთაშორისო სამართ-ლებრივი დოკუმენტებით (პეკინის სამოქმედო პლატფორმა, გაეროს კონვენცია ,,ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", და სხვ.) გათვალისწინებული მოთხოვნები, რამაც გარკვეული პოზიტიური ზეგავლენა იქონია საქართველოში ქალთა როლის გაძლიერებაზე, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში, ისე მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების მოგვარების პროცესებში მათ ჩართვაზე.

თავი II კვლევის მეთოდები

უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში ჩამოყალიბებული მიზნის მიღწევის უმთავრესი საშუალება მისი კვლევაა. პოლიტიკური მეცნიერების კვლევის თვისებრივი მეთოდის გამოყენებით შევეცდები ჩავუღრმავდე კონკრეტულ თემას. იგი საშუალებას მომცემს დავსვა კითხვა რატომ და ვეძებო მიზეზები, რომელსაც ვერ მომცემს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებით მონაცემთა ანალიზი. ვაპირებ სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებას, რომელიც იქნება ნახევრად სტრუქტურირებული და რომელიც დამეხმარება გავიგო საქართველოში ქალთა კვოტირების პრობლემასთან დაკავშირებით სხვადასხვა ექსპერტების და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების მოსაზრებები. კვლევის მეთოდად გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც გამოიყოფა კვლევის თემის კონკრეტული ასპექტები. საკითხი აქტუალობიდან გამომდინარე წარმოადგენს რთულ პროცესს, მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას და საჭიროებს თეორიულ-მეთოდოლოგიურ შესწავლას.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენებთ თვისებრივი კვლევის მეთოდებს - სიღრმისეულ ინტერვიუებს, აღნიშნული მეთოდის გამოყენებით ჩვენ გვეძლევა საშუალება სიღრმისეულად შევისწავლოთ ჩვენთვის საინტერესო საკვლევი კითხვა. სწორედ, ეს შესწავლა ხდება ბუნებრივ პირობებში და არა ხელოვნურად შექმნილ გარემოში. აქედან გამომდინარე, შედეგები იქნება ობიექტური და ყოველგვარი ხელოვნური ჩარევისგან თავისუფალი. თვისებრივი მეთოდების საშუალებით ცვენ შეგვიძლია უფრო მეტი და ასევე ზუსტი ინფორმაცია მივიღოთ საკვლევი ობიექტისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდის უპირატესობაა უფრო დეტალურად, ზუსტი ინფორმაციის მეშვეობით ახსნას ობექტმა საკუთარი მოსაზრება თუ შეხედულება, დაასაბუთონ რატომ ფიქრობენ ასე, გამოთქვან პოზიცია და საკუთარი დამოკიდებულება საკვლევი საკითხის მიმართ.

თვისებრივი მეთოდის ერთ-ერთი ტექნიკაა სიღრმისეული ინტერვიუ, ის ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული საშუალებაა (ზურაბიშვილი, 2006). აღნიშნული მეთოდის მიზანია რესპოდენტებისგან დეტალური, თანმიმდევრული და ღრმა ინფორმაციის მიმღებას, რომელიც საბოლოო ჯამში დაგვეხმარება ღირებული დასკვნების გაკეთებაში.

სიღრმისეული ინტერვიუ ტარდება წინასწარ შესწავლილი განსახილველი თემის შესახებ შედგენილი სავარაუდო კითხვებისა და მათი თანმიმდევრობის წერილობითი მონახაზის საფუძველზე. ინტერვიუერი ცოტას ლაპარაკობს ინტერვიუს დროს, ხოლო რესპოდენტს ეძლევა სასუალება სრულად გადმოსცეს მოსაზრება და ინფორმაცია. კვლევაში სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით ინფორმაცია მოპოვებული იქნება, როგორც გენდერის საკითხზე მომუშავე ექსპერტებისგან ასევე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისგან.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამყენებული იქნება დესკრიფციული-აღწერილობითი და ანალიტიკური, შედარებით სამართლებრივი, ისტორიული მეთოდები, ასევე ფორმალურ-ლოგიკური მეთოდი.

კონკრეტული საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია კვლევის პირველადი და მეორადი ინფორმაცია. პირველადი მონაცემები შესაძლებელია მივიღოთ, როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდებით. პირველადი მონაცემები ეფუძნება თვისებრივი კვლევის ელემენტებს, ინტერვუს მეთოდს. კვლევის მეორადი მონაცემები ეფუძნება საკვლევ სფეროში არსებული ღია წყაროებისა და დოკუმენტების ანალიზს, მეცნიერული გამოკვლევებს და პუბლიკაციებს.

კვლევის მიზანია განისაზღვროს საქართველოში ქალთა პოლიტიკური აქტივობის მახასიათებლების დადგენა და ამავე საკითხში სოციალური ფონით წარმოქმნილი პრობლემები. ასევე მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა კვოტირების საკითხის განსაზღვრას, მომხრეებისა და მოწინააღმდეგების მოსაზრებების წარმოდგენით.

თავი III ქალთა მონაწილეობა თანამედროვე სოციალურ - პოლიტიკურ პროცესებში

*კონვენციის **"ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ"** (Convention on the Elimination of all Forms of Discrimination against Women – CEDAW) თანახმად:*

"ქალის დისკრიმინაცია ნიშნავს

სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას,

გამიჯვნას ან შეზღუდვას, რომლის მიზანია

ქალის მიერ, მისი ოჯახური მდგომარეობის

მიუხედავად, მამაკაცისა და ქალის

თანასწორუფლებიანობის საფუძველზე

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი

თავისუფლებების აღიარების, გამოყენების

ან განხორციელების შესუსტება,

ან მთლიანად უარყოფა პოლიტიკურ,

ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ,

სამოქალაქო თუ ნებისმიერ სხვა სფეროში."[8].

დღესდღეობით, მიუხედავად ამ მიმართულებით მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესისა, პლანეტის უდიდეს ნაწილში გენდერული უთანასწორობის შემაშფოთებელი პრაქტიკებია გავრცელებული: ექვსმილიარდიან პლანეტაზე, სადაც

[8] გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები 2015, თბილისი http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2015/convention%20on%20elimination%20of%20violence%20recommendqations%20(1).pdf?vs=1641

მოსახლეობის ნახევარზე მეტს ქალები წარმოადგენენ, მიწის მესაკუთრე ქალთა რაოდენობა მხოლოდ 1%-ია.

ქალები მარგინალიზებულნი არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისითაც: ნომინალურია ქალთა წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და კერძო სექტორში. მართალია, პროცენტულად ასეთ ორგანიზაციებში დასაქმებულ ქალთა რიცხვი დიდია, მაგრამ მათი უმრავლესობა დაბალ თანამდებობრივ საფეხურზეა წარმოდგენილი, მაშინ როცა გადაწყვეტილების მიმღები პოზიციების უმრავლესობა მამაკაცებს ეკუთვნით (მაგ. საჯარო სამსახურში მაღალ თანამდებობებზე წარმოდგენილია 2318 მამაკაცი და 298 ქალი).

მიუხედავად, ევროპის ქვეყნების საზოგადოებისა და კანონებს შორის არსებული განსხვავებისა, ქალები ყველგან განიცდიან სიტყვიერ, ემოციონალურ, ფიზიკურ ძალადობას. ძალადობას შედეგად მოჰყვება ტკივილები, ნერვიული დარღვევები, ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება, სამსახურის დაკარგვა და სხვა მრავალი.

საუკუნეების მანძილზე დარღვეული თანასწორობის აღდგენას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა სტრატეგიებით ებრძვიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მთავრობებისა და საზოგადოებების დიდმა ნაწილმა გააცნობიერა, თუ როგორი მასშტაბური და დამანგრეველია უთანასწორობის შედეგები. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნები ხშირად მიმართავენ კვოტირების სისტემას. ამ სისტემის მომხრენი ამტკიცებენ, რომ კვოტირება იმ ბარიების კომპენსირებას ახდენს, რომლებსაც ქალები საზოგადოებრივ ცხოვრებაში წინსვლისას ხვდებიან; რომ კვოტირება სხვა არაფერია, თუ არა სოციალური სამართლიანობის აღდგენის მცდელობა, სამართლებრივად დეკლარირებული თანასწორობის დე ფაქტო უზრუნველყოფა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანალიტიკოსებმა 134 ქვეყანაში სქესთა თანასწორობის რეიტინგი გამოაქვეყნეს. რეიტინგში საქართველო, 88-ე ადგილზე აღმოჩნდა. რეიტინგის შედგენისას ექსპერტებმა შეადარეს ქალებისა და მამაკაცების

შესაძლებლობები ოთხი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით. კერძოდ, მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, თანამდებობრივი წინსვლა, განათლების ხელმისაწვდომობა და ჯანმრთლობის მდგომარეობა. რეიტინგი 2005 წლიდან ყოველწლიურად ქვეყნდება და მას მეორე წელია ისლანდია უდგას სათავეში. მეორე და მესამე ადგილს კი ფინეთი და ნორვეგია იყოფენ. პირველ ათეულში ასევე შევიდნენ შვედეთი, ახალი ზელანდია, ირლანდია, დანია, ლესოტო, ფილიპინები და შვეიცარია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რეიტინგში 9 პოსტსაბჭოთა ქვეყანა უსწრებს:

ლატვია – 18, მოლდოვა – 34, ლიტვა – 35, ყაზახეთი – 41, ესტონეთი – 47, ყირგიზეთი – 51, უკრაინა – 63, სომხეთი – 84, რუსეთი – 85[9].

გენდერული ძალადობის შედეგად მსოფლიოში ყოველწლიურად უფრო მეტი ქალი იღუპება, ვიდრე კიბოს, მალარიისა და ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად ერთად აღებული; იგივე ინფანტიციდის შედეგად კი 100 მილიონზე მეტი გოგონაა გამქრალი; აზიისა და წყნარი ოკეანის გაეროს ეროვნული ეკონომიკისა და სოციალური კომისიის (ESCAP) მონაცემებით, აღნიშნული რეგიონი დაახლოებით 47 მილიარდ აშშ დოლარს კარგავს ყოველწლიურად შრომით ბაზარზე ფემინური მონაწილეობის სიმწირის გამო. სანამ საერთაშორისო ორგანიზაციები გენდერული უთანასწორობის შედეგებს ითვლიან, გენდერული დისკრიმინაციის პრაქტიკები მსოფლიოს უდიდეს ნაწილში პანდემიური რჩება.

90-იანი წლების დასაწყისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მსოფლიო ბანკმა პირველად გააცნობიერეს მსოფლიოს უდიდესი და აქამდე აუთვისებელი ეკონომიკური რესურსის არსებობა, რომელსაც ქალები წარმოადგენენ. დღეს ეს ინსტიტუციები, ისევე როგორც ეკონომიკის წამყვანი ექსპერტები, მიიჩნევენ, რომ განვითარებადი ქვეყნების ყველაზე დიდი სიმდიდრე არა ოქროს ან ნავთობის საბადოებია, არამედ ქალები, რომლებსაც არასდროს ჰქონდათ შესაძლებლობა თავი დაემკვიდრებინათ შრომით ბაზარზე და ამით წვლილი შეეტანათ საკუთარი

[9]გენდერული თანასწორობა – საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა ნარგიზა არჯევანიძე http://css.ge/files/Papers/Nargiza_Arjevanidze,_Gender_Equality_-_legislation,_August_2012_Geo.pdf

ოჯახების შემოსავლის გაზრდასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. რეალურად, ეს ქალები პლანეტის მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენენ და სამომავლოდ გლობალური სიღარიბის დაძლევის ყველაზე რეალურ პერსპექტივად გვევლინებიან. 90-იან წლებში ლოურენს სამერსმა, ცნობილმა ამერიკელმა ეკონომიკის ექსპერტმა და ამჟამად ბარაკ ობამას ადმინისტრაციასთან არსებული ეროვნული ეკონომიკის საბჭოს დირექტორმა, განვითარებად ქვეყნებში ქალებში ინვესტიციას ყველაზე მაღალი ამონაგების მქონე ინვესტიცია უწოდა; კოალიცია HUNGER-მა კი ქალები აფრიკაში შიმშილის დაძლევის გასაღებად შერაცხა.

რა გზებსა და საშუალებებს მიმართავენ ქალები საზოგადოებაში თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად?

3.1. სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა საკითხში

ქალები თანამედროვე საზოგადოებაში თავისუფალი და საუკეთესო ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ მოხდება მათი რეალური ემანსიპაცია, თუ ისინი აქტიურად ჩაებმებიან ახალ ცხოვრებაში, ეზიარებიან და გაითავისებენ ახალ ღირებულებებს, ამ ამოცანის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა საკითხში.

სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა საკითხში კონკრეტულ-ისტორიული ხასიათი აქვს. ის დამოკიდებულია პოლიტიკური რეჟიმის ხასიათზე, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში დემოკრატიის დონეზე, სახელმწიფო პოლიტიკის სუბიექტების, უპირველეს ყოვლისა კი, პოლიტიკური ელიტის, მიერ ქალთა საკითხის არსის გაგებასა და მათ პოზიციაზე.

ქალების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემდეგ ტიპებს განასხვავებენ: პატრიარქალური სახელმწიფო პოლიტიკა – ეს არის პოლიტიკა, რომელიც მამაკაცსა და ქალს შორის ფუნქციების განსაზღვრული განაწილების კონცეფციას ეფუძნება.

ქალის ბუნებრივ სოციალურ ფუნქციად და დანიშნულებად (მოწოდებად) დედობა, საშინაო მეურნეობის გაძღოლა და ბავშვების აღზრდა ითვლება.

პატერნალისტური პოლიტიკა ქალთა საკითხში - ეს არის ქალის მიმართ სახელმწიფოს მეურვეობისა და პროტექციონიზმის პოლიტიკა, რომლის საფუძველს წარმოადგენს:

ქალების სოციალური დაცვის სისტემის ორგანიზაცია – შეღავათების, დახმარებების, შვებულებების, ქალის შრომის გამოყენების შეზღუდვისა და ა.შ. სახით;

3.2. ქალთა მონაწილეობა თანამედროვე სოციალურ-პოლიტკურ პროცესებში

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გააქტიურდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჰუმანიზაციის პროცესი. რეალური თანასწორობის პრობლემა კაცობრიობის განვითარების გლობალურ პრობლემათა რიგს მიეკუთვნა. მსოფლიო თანამეგობრობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უფლებათა იურიდიულმა თანასწორობამ, რომლისთვისაც ამდენი ძალა და ენერგია იქნა დახარჯული, მოლოდინი ვერ გაამართლა. თანასწორობა კანონით ფაქტობრივ თანასწორობას როდი ნიშნავს.

საზოგადოებრივმა პრაქტიკამ სოციალური თანამშრომლობის სფეროში ცხადყო, რომ იურიდიული უფლებებისა და თავისუფლებების მთელი კომპლექსის არსებობის პირობებშიც კი მოსახლეობის გარკვეულ ფენებს, სოციალური ან ფიზიოლოგიური მიზეზების გამო, არა აქვთ არსებობისა და მოქმედების თანაბარი შესაძლებლობანი, რის გამოც ისინი სახელმწიფოს მხრიდან სპეციალურ სამართლებრივ დაცვას საჭიროებენ და, შესაძლოა, წარმოადგენენ სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელ სუბიექტებს. ეკონომისტები, პოლიტოლოგები, კულტუროლოგები, პრაქტიკულად ცოდნის ყველა ჰუმანიტარული მიმართულების წარმომადგენლები ცდილობენ მოხაზონ ამ ადამიანური თანაცხოვრების შესაძლო პარამეტრები და ტენდენციები, რომელსაც ახალი ტიპის პოლიტიკური კულტურის შექმნასა და პატრიარქატიდან დაბალანსებულ ბიარქატიზმამდე მივყავართ.

3.3.ქალთა მოძრაობა - ქალთა პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი ფაქტორია

ქალები სულ უფრო ფართოდ ებმევიან შრომით საქმიანობაში და მომუშავეთა 40%-ს შეადგენენ. მათი მიერ იქმნება მატერიალური და სულიერი ღირებულებების 1/3. ქალთა ჩაბმამ ცხოვრების ყველა სფეროში გაამწვავა ბევრი პრობლემა, რომელიც საზოგადოებაში მათ მდგომარეობასთან, საკუთარი უფლებების დასაცავად ქალების გააქტიურებასთან არის დაკავშირებული. ბევრ განვითარებულ ქვეყანაში, სადაც ქალთა და მამაკაცთა საერთო განათლებასა და პროფესიონალურ მომზადებაში სხვაობა დიდი არ არის, ეკონომიკური გარდაქმნის ზოგიერთ სექტორში მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა და არასტაბილური დასაქმების ტენდენცია ქალთა შორის. მთელ მსოფლიოში შეინიშნება დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში. ქალები ოფიციალურად მამაკაცებზე 25-40%-ით ნაკლებს იღებენ. მაგ. გერმანიაში სხვაობა შრომის ანაზღაურებაში შეადგენს 38%-ს, საფრანგეთში – 28%-ს. დიდი ბრიტანეთში 40%-ს, აშშ-ში 40%-ს[10].

ხშირად ქალები, რომლებსაც სპეციალური განათლება აქვთ ვერ შოულობენ სამსახურს სპეციალობის მიხედვით. გარდა ამისა, ქალები შეზღუდულნი არიან ცოდნისა და ჩვევების მიღებაში, რამაც მათი პროფესიონალიზმის ზრდა უნდა უზრუნველყოს. ბევრი სასწავლო პროგრამა ისევე მხოლოდ მამაკაცების ინტერესებზეა ორიენტირებული. ასეთი მიდგომა აღრმავებს უთანასწორობას, აძლიერებას დისკრიმინაციულ ტენდენციებს და აკნინებს მოსახლეობის ქალთა ნაწილის თვითშეგნებას. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი განაპირობებს ქალთა მოძრაობის გააქტიურებას.

სხვადასხვა ქვეყნის ქალები სხვადასხვა ფორმით გამოდიან უმუშევრობის, ინფლაციის, შეიარაღების, მზარდი სახელმწიფო ხარჯების, გენდერული უთანასწორობის და სხვ. წინააღმდეგ და იბრძვიან თანაბარი უფლებებისა და

---

[10] გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1

შესაძლებლობებისათვის, პროფესიონალური მომზადებისა და შემდგომი ზრდისათვის[11].

3.4. საერთაშორისო ფორუმები - ქალთა მოძრაობის ერთობლივი პროგრამის გამომუშავების მნიშვნელოვანი ფაქტორი

ქალთა მასობრივი დემოკრატიული მოძრაობა საერთო დემოკრატიული მოძრაობის შემადგენელი ნაწილია. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წელს დაარსდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია. ქალთა მოძრაობის ისტორიაში ეს იყო პირველი მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაცია. იგი გამოხატავდა მთელი პლანეტის ქალების სასიცოცხლო ინტერესებს: გამოდიოდა ქალთა ემანსიპაციის, თანასწორუფლებიანობის, განიარაღების, მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისულებისა და დემოკრატიის მოთხოვნით. 1967 წელს გაეროს გენერალური ასამლეის მიერ მიღებული დეკლარაცია ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ სწორედ მისი საქმიანობის შედეგი იყო ისეთ ქალთა საერთაშორისო ორაგნიზაციებთან ერთად, როგორებიცაა ქალთა საერთაშორისო საბჭო, იურიდიული პროფესიების ქალთა საერთაშორისო ფედერაცია, ქალთა საერთაშორისო ალიანსი და სხვ[12].

ქალთა მოძრაობის განვითარებასა და განმტკიცებაში უდიდესი როლი ითამაშეს მსოფლიო კონფერენციებმა, რომლებიც ქალთა მდგომარეობას ეძღვნებოდა.

პირველმა კონფერენციამ, რომელიც მეხიკოში ჩატარდა (1975 წ.) მიიღო მოქმედების გეგმა, რომლის საფუძველზეც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა ქალთა საერთაშორისო ათწლეული (1975-1985). ათწლეულის რეალიზაციის მსვლელობისას 1979 წელს გაეროს გენერალურმა ასამლეამ მიიღო კონვენცია ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ.

---

[11]T. kiknaZe n. donaZe. "genderi – socialuri da politikuri swavlebani". Tbilisi 2006.

[12] გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1

მეორე მსოფლიო კონფერენცია შედგა კოპენჰაგენში 1980 წელს. მან მიიღო მოქმედების პროგრამა ქალთა ათწლეულის მეორე ნახევრისათვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯანდაცვის, განათლების და დასაქმების პრობლემებს.

1985 წელს ნაირობიში შედგა მესამე მსოფლიო კონფერენცია, რომელიც ქალთა ათწლეულში ჩატარებულ მუშაობისა და მისი შედეგების განხილვას მიეძღვნა.

მეოთხე მსოფლიო კონფერენცია (პეკინი 1995 წ.), ისევე როგორც წინა კონფერენციები, ჩატარდა თანასწორობის, მშვიდობის, განვითარების დევიზით. დღის წესრიგში ჩართულ იქნა ძალადობის პრობლემაც. კონფერენციამ განსაზღვრა ქალთა მოძრაობის განვითარების პრესპექტივები შემდგომ წლებში, მიიღო "მოქმედების პლატფორმა", რომელშიც აისახა საკვანძო პრობლემები, სტრატეგიული მიზნები და მსოფლიოში ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები.

3.5. ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში

მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში ქალმა წარმატებას მიაღწია განათლების, სამართლის, ეკონომიკის, სპორტისა თუ ხელოვნების სფეროებში, პოლიტიკურ არენაზე ქალები მაინც ცოტანი არიან. მართალია, მეოცე საუკუნის ბოლოსათვის ქვეყნების 95%-ში ქალებს მოპოვებული ჰქონდათ საარჩევნო უფლებები, 2000 წლისათვის მსოფლიო მასშტაბით ქალი ლიდერი ჰყავდა პარტიების მხოლოდ 11%-ს, ხოლო პარლამენტარი ქალები მსოფლიო პარლამენტართა რიცხვის 11,4%-ს შეადგენდნენ. 2002 წლის არჩევნების შედეგად ქალთა რიცხვმა საკრებულოებში მხოლოდ 11,9% შეადგინა. 2009 წლისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის

საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა რიცხვმა უმნიშვნელოდ მოიმატა და საშუალოდ 16,3% შეადგინა[13].

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს ქალისა და მამაკაცის პარტნიორობა. პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობა და მონაწილეობა პოლიტიკის სუბიექტობის ფუნდამენტალური მახასიათებელია, ხოლო მისი დეფიციტი კი — სოციალური მოწყვლადობის პირველადი პროდუქტი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ქალთა როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, სამწუხაროდ, ქალთა მონაწილეობა ქართულ პოლიტიკაში კვლავაც დაბალი რჩება. საქართველომ მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით 134-ე ადგილიდან 106-ე ადგილზე გადაინაცვლა[14] . საქართველოს დღევანდელი მთავრობის 20 წევრიდან მხოლოდ სამია ქალი, პარლამენტის 150 დეპუტატიდან კი 17 ქალია (საკანონმდებლო ორგანოს წევრთა 11%). რაც შეეხება 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს, მდგომარეობა 2010 წელთან შედარებით, ფაქტობრივად, არ შეცვლილა და ქალთა წარმომადგენლობა 11.6%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებლები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყანა შორს დგას თანამედროვე დემოკრატიის იმ მოდელისგან, რომლის მიხედვითაც, არ არსებობს დემოკრატია გენდერული თანასწორობის გარეშე.

გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში ჩატარებული კვლევაში წარმოდგენილია საზოგადოებრივი დამოკიდებულებები ქალების პოლიტიკაში ჩართვასთან მიმართებაში. საზოგადოების დამოკიდებულებები და შეხედულებები ამა თუ იმ სფეროსთან ან საკითხთან დაკავშირებით დიდწილად განპირობებულია იმით, თუ რამდენად აქტიური შეხება აქვთ საზოგადოების წევრებს ამ სფეროსთან.. შესაბამისად, საინტერესო იყო იმის

---

[13] თასწლეულის განვითრების მიზნების განხორციელების ანგარიში საქართველოში http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off

[14] ბაგრატია თ., (2013) საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი გენდერულ ჭრილში Netherlands Institute for Multiparty Democracy

გაგება, თუ რამდენად დაინტერესებული იყვნენ კვლევის მონაწილეები პოლიტიკით და რამდენად აქტიურები იყვნენ სამოქალაქო თუ პოლიტიკური აქტივობის კუთხით. ზოგადად, კვლევაში მონაწილეების საკმაოდ დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ ძალიან დაინტერესებულია ან დაინტერესებულია პოლიტიკით (42%). სხვაობა არ შეიმჩნევა ქალების და მამაკაცების პოლიტიკისადმი ინტერესის თვალსაზრისით - მცირედით უფრო მეტი კაცი გამოხატავს პოლიტიკით დაინტერესებას ვიდრე ქალი (43% - კაცი და 41%- ქალი)11 . (იხილეთ ცხრილი N1)

ცხრილი N1

პოლიტიკით დაინტერესება

	სულ	ქალი	კაცი
ძალიან ვარ დაინტერესებული	6%	5%	6%
ვარ დაინტერესებული	36%	35%	37%
არ ვარ დაინტერესებული	34%	35%	34%
სრულიად არ ვარ დაინტერესებული	23%	24%	22%
არ ვიცი/უარი პასუხზე	1%	1%	1%
სულ	100%	100%	100%

რაც შეეხება გამოკითხულთა სამოქალაქო თუ პოლიტიკურ აქტივობას, შეიძლება ითქვას, რომ აქტივობის დონე საკმაოდ დაბალია. შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ისეთი აქტივობების შემთხვევაში, როგორებიცაა პოლიტიკური გადაცემების ყურება/სმენა რეგულარულად (53%) და პოლიტიკური საკითხების არაფორმალურ გარემოში რეგულარულად განხილვა (34%). აღსანიშნავია, რომ ჩამონათვალში არსებული ყველა სახის სამოქალაქო აქტივობის შემთხვევაში უფრო მეტი კაცი აქტიურობს, თუმცა სხვაობა აქტიურ მამაკაცებსა და ქალებს შორის უმნიშვნელოა[15]. (იხილეთ ცხრილი N2)

[15] საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში. კვლევის ანგარიში 2013, გვ.48

ცხრილი N2[16]

სამოქალაქო-პოლიტიკური აქტივობები

	სულ	ქალი	კაცი
არც ერთი	37%	38%	35%
მიგიმართავთ თუ არა პირადად ან წერილობით პოლიტიკოსისათვის, ადგილობრივი, რეგიონული ან ეროვნული მთავრობის წარმომადგენლისათვის	3%	3%	3%
მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა პოლიტიკურ ან საგანმანათლებლო საკითხებზე გამართულ შეხვედრებში	5%	4%	7%
ხართ თუ არა ადგილობრივი ორგანიზაციის კომიტეტის ლიდერი ან წევრი (რელიგიური, სოციალური, განათლების, კულტურის ან პოლიტიკურ სფეროში)	1%	1%	2%
მიგიმართავთ თუ არა წერილობით გაზეთის/ჟურნალის რედაქტორისადმი ან გამოგიხატავთ თუ არა საკუთარი აზრი ტელევიზიაში/რადიოში	0%	1%	0%
გამოსულხართ თუ არა სიტყვით ჯგუფის წინაშე	5%	3%	6%
დაგისვამთ თუ არა შეკითხვა საჯარო შეხვედრაზე	4%	3%	5%
გიჩივლიათ თუ არა რომელიმე კომპანისათვის, ორგანიზაციისათვის	0%	0%	0%
შეგიტანიათ თუ არა თქვენი საქმიანობით რაიმე წვლილი ადგილობრივ ან ეროვნულ ორგანიზაციაში (რელიგიურ, სოციალურ, განათლების, კულტურის სფეროში	3%	3%	3%
ესწრებით თუ არა რეგულარულად საქმიან შეხვედრებს	3%	2%	4%
გაგიწევიათ თუ არა ორგანიზება რაიმე ტიპის შეხვედრის / თავშეყრისათვის (ძველი მეგობრების, ნათესავების, საერთო ინტერესების მქონე ადამიანების და ა.შ.)	5%	4%	6%
დასწრებიხართ თუ არა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებულ მიტინგს მშვიდობიან დემონსტრაციას	8%	6%	10%
მოგიწერიათ თუ არა ხელი პეტიციაზე	4%	3%	5%
გამოგითქვამთ მოსაზრება და ჩართულხართ ონლაინ დებატებში (მაგალითად, ფორუმში, ფეისბუქზე, ბლოგზე)	2%	2%	2%
რეგულარულად (კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად) უყურებდით/უსმენდით პოლიტიკურ გადაცემებს (საინფორმაციო გამოშვება, ანალიტიკური გადაცემა, პოლიტიკური თოქ-შოუ)	53%	53%	54%
რეგულარულად (კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად) იხილავდით პოლიტიკურ საკითხებს არაფორმალურ გარემოში მეგობრებთან და ნაცნობებთან	34%	34%	35%

[16] საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში. კვლევის ანგარიში, 2013, გვ.48

კაცი და ქალი პოლიტიკაში - შედარებითი ანალიზი

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიტიკა უფრო მეტად მამაკაცთა საქმიანობის სფეროდ განიხილება. ქართული საზოგადოების აზრით, ქალის ადგილი პოლიტიკაში კონკრეტული, ლიმიტირებული ნიშით უნდა შემოიფარგლოს. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ზოგადად კაცს უფრო შეეფერება პოლიტიკური საქმიანობა ვიდრე ქალს (66%), ხოლო 61% მიიჩნევს, რომ კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან. (იხილეთ ცხრილი N3)

ცხრილი N3[17]

მამაკაცები და ქალები პოლიტიკაში %

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	არ ვიცი/ უარი პასუხზე
კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან	4%	31%	52%	9%	4%
კაცს უფრო შეეფერება პოლიტიკური საქმიანობა ვიდრე ქალს	3%	28%	54%	12%	3%

მონაცემების გენდერის ჭრილში განხილვა აჩვენებს, რომ უფრო მეტი კაცი მიიჩნევს, რომ კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან და რომ, ზოგადად, პოლიტიკა უფრო მეტად კაცებისთვის შესაფერისი სფეროა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია მამაკაცებთან შედარებით მცირე პროპორციით, მაგრამ მაინც, ქალების უმრავლესობაც იზიარებს მოსაზრებას, რომ კაცი უკეთესი პოლიტიკური ლიდერია (56%) და პოლიტიკა კაცის საქმიანობის სფეროა (56%). (იხილეთ ცხრილი N4)

[17] საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში.კვლევის ანგარიში. 2013, გვ.49

ცხრილი N4[18]

ქალები და მამაკაცები პოლიტიკაშიიგენდერულ ჭრილში %

	კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან		კაცს უფრო შეეფერება პოლიტიკური საქმიანობა ვიდრე ქალს	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სრულიად არ ვეთანხმები	4%	3%	4%	3%
არ ვეთანხმები	36%	25%	35%	19%
ვეთანხმები	49%	56%	48%	61%
სრულიად ვეთანხმები	7%	13%	8%	16%
არ ვიცი/ უარი პასუხზე	5%	4%	5%	1%

საინტერესოა იმ მიზეზების ანალიზი, რომელიც განაპირობებს ქალის პოლიტიკაში ჩართულობის მიმართ მსგავს დამოკიდებულებას. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამოდენიმე ფაქტორი, რომელიც განაპირობებს კაცის უპირატესად აღქმას პოლიტიკის სფეროში და შესაბამისად, ქალისთვის პოლიტიკის ნაკლებად შეთავსებადობას. ეს ფაქტორებია:

1. ქალის განსხვავებული ბუნება - ქალის, როგორც სუსტი არსების აღქმა მამაკაცთან შედარებით

2. ქალის ოჯახში დაკავებულობა

3. პოლიტიკური საქმიანობის სპეციფიკა

4. ოჯახის წევრების (მეუღლის) ნეგატიური დამოკიდებულება

5. ამომრჩეველთა მხრიდან ქალის მხარდაჭერის უფრო დაბალი ალბათობა

2013 წელს საქართველოს საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, თუკი პარტიების მიერ წარმოდგენილ სიაში კანდიდატთა ყოველ ათეულში განსხვავებული სქესი, სულ მცირე, 30%-ით მაინც იქნება წარმოდგენილი, აღნიშნული პარტია 30%-ით მეტ დაფინანსებას მიიღებს. წამახალისებელი ნორმის მიუხედავად, საქართველოში 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგებმა კიდევ

[18] საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში. კვლევის ანგარიში. 2013, გვ.48

ერთხელ ცხადყო, რომ არჩევნებზე ქალთა წარმომადგენლობის ზრდის ხელშეწყობისთვის გათვალისწინებულმა ფინანსური წახალისების ნორმამ ვერ გაამართლა. აღმოჩნდა, რომ ნებაყოფლობითი კვოტირების სისტემა პარტიებისთვის მხოლოდ ფინანსური დანამატის მიღების საშუალებად დარჩა. გენდერული კვოტა მსოფლიოში აპრობირებული მეთოდი და ქალების პოლიტიკაში მონაწილეობის ყველაზე ეფექტური მექანიზმია. გენდერული კვოტა საქართველოში დღეს ბევრი მოქმედი პოლიტიკოსი მამაკაცისთვის აღიქმება, როგორც მათი პოლიტიკიდან განდევნისა და გაძევების ინსტრუმენტი, თუმცა, მამაკაცებს უჭირთ იმის გაანალიზება, რომ პოლიტიკაში ქალთა რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა თითოეული კაცი პოლიტიკოსის დონემდე კი არ დადის, არამედ ის მოსახლეობის 54%-ის ინტერესების ასახვის შესაძლებლობას უკავშირდება. 2014 წელს, NDI-ის დაკვეთით, "კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა" (CRRC) საქართველოს მასშტაბით განახორციელა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას შეეხებოდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 64% ფიქრობს, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობა არ არსებობს, ხოლო გამოკითხულთა 68%-მა კი პარლამენტში სავალდებულო კვოტირების შემოღებას დაუჭირა მხარი[19].

აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მზადაა, უფრო მეტი ქალი იხილოს პოლიტიკაში. სწორედ აღნიშნული პრობლემის დასაძლევად, თანასწორი შესაძლებლობების მიღწევის ერთადერთ, უალტერნატივო საშუალებად, პოლიტიკური პარტიებისთვის სავალდებულო კვოტირების შემოღება მიგვაჩნია, რაც პოლიტიკურ პარტიებს იძულებულს გახდის, საარჩევნო სიების 30% ქალებით დააკომპლექტონ.

[19] 2014 წლის ოქტომბრის, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები თემაზე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_October%202014_Gender%20poll_Public%20GEO_Final_0.pdf (გადამოწმებულია 13.06.2017)

არსებულ პოლიტიკურ სისტემებში ბევრი დაბრკოლებაა ქალთა პოლიტიკაში წინსვლისათვის, კერძოდ:

• პოლიტიკური ცხოვრება და სახელმწიფო სტრუქტურები მასკულინური მოდელისაა;

• პოლიტიკურ არენაზე მამაკაცები დომინირებენ, ისინი განსაზღვრავენ პოლიტიკური თამაშის წესებს და პოლიტიკოსის შეფასების სტანდარტებს;

• პოლიტიკა დაფუძნებულია "გამარჯვება-დამარცხებისა" და შეჯიბრისა და კონფრონტაცის მოდელზე და არა ურთიერთპატივისცემაზე, თანამშრომლობასა და კონსენსუსის მიღწევაზე;

• კანდიდატ ქალებს პარტიების მხრიდან ნაკლები მხარდაჭერა აქვთ, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა.

3.6. კვოტები ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გასაზრდელად

რადგან პოლიტიკაში ქალთა რიცხვი ნელა იზრდება, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალები მოითხოვენ ეფექტური მეთოდების გამოყენებას პოლიტიკაში გენდერული ბალანსის მისაღწევად. კვოტა ერთ-ერთი ასეთი ეფექტური მექანიზმია, რომელიც საშუალებას იძლევა ნახტომისებურად გავზარდოთ პოლიტიკოს ქალთა რაოდენობა. ამიტომ გენდერული თანასწორობის ბევრი მომხრე კვოტებს იმედით უყურებს. ამავე დროს კვოტების სისტემა ბადებს ბევრ სერიოზულ კითხვას და, ხშირად, ძალიან სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება. რა არის კვოტების განხორციელების საუკეთესო გზა? რა არგუმენტები არსებობს კვოტების დასაცავად და მის საწინააღმდეგოდ[20]?

[20] ლ. ხომერიკი. "გენდერი და პოლიტიკა", თბ., 2006, 13

კვოტირების ეფექტური და წარმატებული ნიმუშია შიდა პარტიული კვოტები. ასეთი კვოტები გამოიყენება ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკაში ყველაზე მაღალია. (2006 წლის მონაცემებით შვედეთის პარლამენტში ქალები შეადგენდენ 40%-ს, ნორვეგიაში 38%-ს, ფინეთსა და დანიაში 34%-ს). უნგრეთის სოციალისტურ პარტიას დაწესებული აქვს 20% კვოტა ქალებისათვის. ლიტვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს დაწესებული კვოტა - მინიმუმ 1/3 ორივე სქესისათვის[21].

სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტების საქმიანობის გამოცდილება ადასტურებს, რომ პარლამენტში ქალთა პროცენტულ რაოდენობას გავლენა აქვს საკანონმდებლო პროცესზე. როდესაც პოლიტიკის განსაზღვრის და ფორმირების პროცესში ქალები არიან ჩართულნი, ეს პირდაპირ აისახება იმ საკითხების გააქტიურებაზე, რასაც შესაბამისი გამოცდილების არქონის გამო მამაკაცები პრიორიტეტად არ/ვერ აქცევენ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკის ფორმირების პროცესში ინფორმირებული მონაწილეობა და განსხვავებული პერსპექტივებისა და გამოცდილებების სინთეზი, რასაც საბოლოოდ სწორედ შინაარსზე აქვს გავლენა. ასე მაგალითად, პარლამენტში ქალთა 20%-იანი წარმომადგენლობისას კანონმდებლები სერიოზულად იწყებენ იმ კანონპროექტებზე მუშაობას, რომლებიც ბავშვთა ინტერესებს ეხება; 30%-იანი წარმომადგენლობის შემთხვევაში, განიხილება და მიიღება ის კანონები და სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ქალთა ინტერესებიდან გამომდინარეობს; ხოლო 40-50%-იანი წარმომადგენლობის დროს მიიღება მაღალი პასუხისმგებლობის ისეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სახის გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას.

ქართულ კონტექსტში გვჭირდება სისტემა, სადაც ქალს ექნება შანსი, დაწინაურდეს და პოლიტიკაში ქალების წარმომადგენლობა უფრო მრავალფეროვანი გახადოს. დღეისათვის არსებული სისტემური ბარიერები მხოლოდ ერთეული ქალებისთვის ხდის შესაძლებელს პოლიტიკაში მოხვედრას. ამის შედეგი ხშირად

[21] კვოტირების სისტემა თბილისი, 2014 http://www.ysg.ge/upload/file/kvotirebis_sistema.pdf

ისაა, რომ პოლიტიკაში მოხვედრილი ქალები აღარ ახდენენ იდენტიფიცირებას ქალებთან, როგორც ჯგუფთან. ქალი წარმომადგენლების მიერ ქალების ინტერესების დაცვა კვოტირების გამოწვევას წარმოადგენს, თუმცა ამ გამოწვევის პასუხი სწორედ სისტემის ცვლილებაა - სისტემამ უნდა შეუწყოს ხელი მეტი ქალის მოსვლას, და ამავდროულად, სისტემამ უნდა წაახალისოს ის ქალები, რომლებსაც ცვლილების მოხდენა სურთ. ასეთი ქალების გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ყოფნა გააუმჯობესებს წარმოდგენებს ლიდერი ქალის შესახებ, მეტი ქალისთვის გახდება სამაგალითო და ეტაპობრივად, ქალების წარმომადგენლობის გასაუმჯობესებლად კვოტირების საჭიროება მოიხსნება კიდეც[22].

ზემოთხსენებული სისტემური ბარიერების დასაძლევად ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა ინიციატივა შეიმუშავა, რომელიც გენდერული კვოტების საკანონმდებლო დონეზე ინიცირებას ისახავს მიზნად. ინიციატივა არჩევნებში მონაწილე პარტიებისთვის/საარჩევნო ბლოკებისთის 50%–იანი გენდერული კვოტის დაწესებას გულისხმობს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ 150 საპარლამენტო მანდატი თანაბრად გაიყოფა ქალებზე და კაცებზე: 50%–იანი კვოტა არ ნიშნავს 75 ქალს პარლამენტში. საქართველოს პარლამენტი პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 დეპუტატისგან შედგება. სავალდებულო კვოტა კი მხოლოდ პროპორციულ სიაზე ვრცელდება. შესაბამისად 50%–იანი კვოტა უდრის დაახლოებით 38 დეპუტატ ქალს 150 წევრიანი პარლამენტიდან.

მოსახლეობას სურს, იხილოს მეტი ქალი პოლიტიკაში

როდესაც კვოტირებაზე, როგორც ინსტრუმენტზე ვმსჯელობთ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოქალაქეებში იზრდება მოთხოვნა, იხილონ ქალების უკეთესი წარმომადგენლობა პოლიტიკაში. მაგალითად: NDI–ის 2014 წლის შემოდგომაზე

[22] გენდერული კვოტა უკეთესი პოლიტიკისთვის 22. Apr. 2015 ავტორი თეონა ყუფუნია http://www.feminism-boell.org/ka/2015/04/22/genderuli-kvota-uketesi-politikistvis

ჩატარებული კვლევის ფარგლებში დაისვა კითხვა პარლამენტში არსებული გენდერული გადანაწილების შესახებ და აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის ნა ხევარზე მეტისთვის (56%) 17 ქალი პარლამენტარი ძალიან ცოტაა (კვლევის მომენტისთვის პარლამენტში 17 ქალი იყო).



საზოგადოებრივი აზრის კვლევა, 2014. Creator: NDI. All rights reserved.

უფრო მეტიც, მოსახლეობის ნახევარზე მეტს სურს, მეტი ქალი იხილოს პოლიტიკაში და ფიქრობს, რომ პარლამენტში ქალი დეპუტატების რიცხვის გაზრდა დადებითად იმოქმედებს ქვეყნის განვითარებაზე. NDI–ის კვლევის მიხედვით, სავალდებულო გენდერული კვოტის იდეამ საზოგადოების დიდ ნაწილში მხარდაჭრა ჰპოვა - საქართველოს მოსახლეობის 68% მხარს უჭერს გენდერულ კვოტას. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია იმ რესპონდენტებს შორის, ვინც აცხადებს, რომ მონაწილეობას მიიღებს მომავალ არჩევნებში – მათი რაოდენობა 72%–ს შეადგენს.

3.7 გენდერული კვოტირების დადებითი მხარეები და სიძნელეები

კვოტების წარმატებულ სისტემას მოსდევს პარტიების მიერ აქტიური პოლიტიკის წარმოება კვალიფიციური კანდიდატი ქალების მოსაზიდად;

კვოტების განხორციელებას პარტიისათვის შემდეგი დადებითი მხარეები აქვს:

• პარტიას ემატება ახალი რესურსი, იზრდება პარტიაში აქტიური წევრი ქალების რიცხვი;

• პარტია უკეთ მუშაობს ამომრჩეველ ქალებთან, შესაბამისად იზრება პარტიის მხარდამჭერ ქალთა რიცხვი.

კვოტების შემოღებას თან სდევს სიძნელეები:

-კვოტების შემოღება იმისთვისაა საჭირო რომ ქალები გააძლიეროს, მაგრამ თუ ქალები უკვე გარკვეულ ძალას არ ფლობენ, კვოტების შემოღებას ვერ მიაღწევენ, რადგან, როგორც წესი, კვოტების დაწესება გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისაკენ მიმართული პოლიტიკის განხორციელება საქართველოში

სახელმწიფო დონეზე ეფექტური გენდერული პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ გენდერული თანასწორობის მიღწევის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, აგრეთვე, ამ სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კოორდინირებას.

1994 წელს საქართველო მიუერთდა “ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კონვენციას”. 1995 წელს კი, პეკინში გამართულ ქალთა IV მსოფლიო კონფერენციაზე შეუერთდა იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც შეთანხმდნენ, შეემუშავებინათ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა

პეკინის პლატფორმის ცხოვრებაში გასატარებლად. დღემდე ამ მიმართულებით საქართველოს მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

საქართველოში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეროვნული ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბების შემდგომი ეტაპი ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო. მუშაობა ორი მიმართულებით წარიმართა: ადგილობრივი ქალთა ორგანიზაციების კოალიციის ერთმა ჯგუფმა მთავრობას წარუდგინა ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კომისიის შექმნას, ხოლო გაეროს განვითარების პროგრამის ახალამოქმედებულმა პროექტმა „გენდერი და პოლიტიკა“ მიზნად დაისახა პარლამენტის სპიკერთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩამოყალიბება. ორივე მიმართულებით გაწეული დიდი ძალისხმევის შედეგად, საქართველოში პირველად მივიღეთ ისეთი მდგომარეობა, როცა გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე სტრუქტურა არსებობს ხელისუფლების როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო შტოში.

2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო სახელმწიფო გენდერული კონცეფცია. პარლამენტის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში გენდერული თანასწორობა რეალურ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამგვარად, გენდერული თანასწორობა უკვე აღიარეს, როგორც ათასწლეულის განვითარების გამოწვევების (MDGS) გასაღები. გენდერული თანასწორობა არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს, ეს აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ შევქმნათ უკეთესი მომავალი, დავძლიოთ გლობალური სიღარიბე, დავამარცხოთ ექსტრემიზმი და მივაღწიოთ ეკონომიკურ ზრდას, მშვიდობასა და კეთილდღეობას მთელს მსოფლიოში. თუკი ჩვენი საზოგადოების მიერ ამ ურთიერთკავშირების გაცნობიერება მოხდება, საქართველოში გენდერული თანასწორობის გულშემატკივართა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება.

თავი IV გენდერული კვოტირება – მისაღები თუ მიუღებელი ფორმა პოლიტიკაში ქალების როლის გაზრდისთვის

მივადექით იმ თემას, რომელიც ბოლო პერიოდის, აქტიური განსჯისა და განხილვის საგანია – გენდერული კვოტირება. "კვოტა" ლათინური სიტყვაა და ის რისამე დასაშვებ რაოდენობას, მიღებულ ნორმას ნიშნავს. ეს არის ნორმა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში, დავუშვათ, რელიგიური, ეთნიკური, ლინგვისტური უმცირესობებისათვის დაწესებულ შეღავათს გულისხმობს, რათა პარლამენტში მათი წარმომადგენლებიც მოხვდნენ და უმცირესობათა ინტერესებზე ყურადღების გამახვილება შეძლონ. იმავე პრინციპს ეფუძნება ქალთა კვოტები – მრავალ ქვეყანაში კვოტების მეშვეობით არის გარანტირებული პარლამენტში, მთავრობასა თუ პარტიულ სიაში ქალთა გარკვეული რაოდენობის მოხვედრა.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ ქალთა უფლებები, მამაკაცებთან ერთად, თანაბარ პირობებში, სრულფასოვნად ჩაერთონ ქვეყნის პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში, წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას. ეს უფლებები აღიარებულია საერთაშორისო და რეგიონული სამართლის ისეთი ინსტრუმენტებით, როგორიცაა "ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია", "საერთაშორისო შეთანხმება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ", "კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", "გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1325 ქალები მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის" და ა.შ.

გასული წლის ზაფხულში თამარ დეკანოსიძე თავის კოლეგა ბაია პატარაიასთან ერთად ჟენევაში, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის სესიაზე იმყოფებოდა. სესიას საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. როგორც თამარ დეკანოსიძე ამბობს, სწორედ ამ სესიაზე მიმართეს კომიტეტის წევრებმა ხელისუფლების წარმომადგენლებს რეკომენდაციით, რომლის მიხედვითაც, პირველი – სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რომ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა უსწრაფესად აღმოიფხვრას, და მეორე – იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საგანგაშოდ დაბალია,

სახელმწიფომ უნდა იზრუნოს სავალდებულო კვოტების შემოღებაზე, რათა ეს პრობლემა გადაიჭრას.

რატომ მაინცდამაინც სავალდებულო გენდერული კვოტები, მაშინ როდესაც სხვა გზებიც არსებობს პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისა? როგორც გამოცდილებამ აჩვენა, ე.წ. წამახალისებელი ფაქტორები ამ პრობლემის მოსაგვარებლად არ მოქმედებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს სავალდებულო გენდერული კვოტირების იურიდიული მექანიზმი. საქართველოს ორგანული კანონი "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" აწესებს მხოლოდ ნებაყოფლობით, ფინანსურ წამახალისებელ ნორმას, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო სუბიექტი, რომელიც იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, მიიღებს 30%-ის ოდენობით დანამატს, თუკი მის მიერ წარდგენილ სიაში კანდიდატთა ყოველ ათეულში ერთიმეორისგან განსხვავებული სქესი იქნება წარმოდგენილი, სულ მცირე, 30%-ით. როგორც არაერთმა საპარლამენტო თუ ადგილობრივმა არჩევნებმა გამოავლინა, აღნიშნული ნორმა არასაკმარისია გენდერული ბალანსის მნიშვნელოვნად გასაუმჯობესებლად. სწორედ ამიტომ მოითხოვენ ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისიდან ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები საარჩევნო კოდექსში ცვლილებასა და გენდერული კვოტირების შემოღებას.

გენდერული კვოტა პოლიტიკურ ინსტიტუციებში ქალთა მონაწილეობის გასაძლიერებლად კანონით განსაზღვრული ნორმაა და უმეტეს შემთხვევაში მოიაზრება როგორც დროებითი ზომა, რომელიც გენდერულ თანასწორობასა და წარმომადგენ-ლობითი დემოკრატიის გაძლიერებას ემსახურება. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემაა, ქალთა უფლებადამცველები ფიქრობენ, რომ სავალდებულო გენდერული კვოტირების შემთხვევაში პროპორციული საარჩევნო სისტემა ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის კუთხით საუკეთესო შედეგს აჩვენებს. რაც შეეხება პროცენტულ მაჩვენებელს, გენდერული კვოტირების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები თანხმდებიან, რომ პარტიულ სიაში ყოველი მეორე წარმომადგენელი ქალი უნდა იყოს, ანუ 50% განსხვავებული სქესისა. ამ გათვლებით, თუკი საარჩევნო კოდექსში

მოთხოვნილი ცვლილებები შევა, მომდევნო მოწვევის პარლამენტში 150 პარლამენტარიდან 38 ქალი უნდა იყოს: "ის კანონპროექტი, რომელიც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ჯგუფმა შეიმუშავა, გულისხმობს ცვლილების შეტანას პროპორციულ საარჩევნო სისტემაში. 150 პარლამენტარიდან, დღესდღეობით, პროპორციული წესით 77 დეპუტატია არჩეული. და როდესაც პარტიები წარადგენენ საარჩევნო სიას, სწორედ ეს სია უნდა იყოს დაკომპლექტებული განსხვავებული სქესის წარმომადგენლებით, რაც გამოიწვევს, იმას, რომ 77 დეპუტატიდან 38 მაინც ქალი იქნება".[23]

აღსანიშნავია, რომ ქალები დღეს მრავლად არიან პოლიტიკურ პარტიებში წარმოდგენილები, მაგრამ ისინი ძირითადად რუტინულ, ე.წ. "შავ" სამუშაოს ასრულებენ. არჩევნების დროს პარტიები მათ კანდიდატურებს არ განიხილავენ და არ წამოაყენებენ – ქალები ან საერთოდ არ შეჰყავთ პარტიულ სიებში, ან შეჰყავთ, მაგრამ არა ე.წ."გამსვლელ" ადგილებზე. "თანაპარტიელებისა და საკუთარი ოჯახების მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობის გამო, პოლიტიკური წინსვლა გაცილებით უფრო რთულად მისაღწევია ქალებისათვის, ვიდრე კაცებისთვის.

ისინი იმაზეც თანხმდებიან, რომ დღეს საზოგადოება ქალს ისევ და ისევ ტრადიციულ, ოჯახურ გარემოში მოიაზრებს და არა პოლიტიკაში. "საქართველოში მიაჩნიათ, რომ პოლიტიკა "ბინძური" საქმეა და, შესაბამისად, იქ ქალის ადგილი არ არის – და მისი საქმე მხოლოდ ოჯახი და შვილებია. ჩვენს ქვეყანაში დღემდე თვლიან, რომ თუ ქალი მუშაობს, ის შედარებით უმნიშვნელო, უპრეტენზიო და დაბალანაზღაურებადი საქმით უნდა დაკავდეს". მათი აზრით, ესეც არის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, რომ საარჩევნო პროცესში სრულფასოვნად ჩართულობისათვის ქალებს არ გააჩნიათ პოლიტიკური თუ ეკონომიკური კაპიტალი. გარდა ამისა, კიდევ ერთი არგუმენტი, რომელსაც გენდერული კვოტირების მოწინააღმდეგეები იშველიებენ დისკუსიებში, არის ის, რომ, მათი თქმით, ქალები ადვილად მართვადები არიან და გადაწყვეტილებებს მათ მაგივრად კაცები მიიღებენ. აი, რას ამბობს ამ საკითხზე თამარ დეკანოსიძე: "ეს მოსაზრება იმთავითვე ძალიან

[23] [23] მარიტა ჭანიშვილი ქალები პოლიტიკაში. კვოტით თუ მის გარეშე http://forbes.ge/news/706/qalebi-politikaSi

დისკრიმინაციულია. რატომ და ვის უნდა ეგონოს, რომ ქალი უფრო ადვილად მართვადია, ვიდრე კაცი? რომელიმე გამოკვლევა ადასტურებს ამას? კი, ადამიანი შეიძლება იყოს ვინმესგან მართვადი, მაგრამ ის შეიძლება იყოს როგორც ქალი, ისე კაცი. არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ ქალის მართვა უფრო მარტივად შეიძლება, ვიდრე კაცის[24]".

თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ კვოტირების შემოღების მოწინააღმდეგეებს სხვა, უფრო მყარი არგუმენტებიც აქვთ. მაგალითად, ისინი მიიჩნევენ, რომ კვოტირება ეწინააღმდეგება თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს, და ამ შემთხვევაში, კაცებთან შედარებით, ქალებს ენიჭებათ უპირატესობა. გარდა ამისა, ისმის მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ კვოტირება არადემოკრატიული პროცესია და ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს უფლება, თავად გადაწყვიტოს, ვის აირჩევს. ისინი ამბობენ იმასაც, რომ კვოტირების შემოღების შემდეგ პოლიტიკოსებს აირჩევენ მათი სქესის და არა კვალიფიკაციის გამო, რის შედეგადაც უფრო კვალიფიციურ კანდიდატებს შეიძლება პარლამენტში მოხვედრის შანსი არ მიეცეთ. ბევრ ქალს არ სურს, მხოლოდ იმიტომ აირჩიონ, რომ ქალია.

სწორედ ამ აზრს იზიარებს "საქართველოს რეფორმების ასოციაციის" თანადამფუძნებელი ელენე ხოშტარია და მიიჩნევს, რომ გენდერული კვოტირების შემოღება ნიშნავს იმას, რომ ქალებს თავად არ შესწევთ უნარი, დაიკავონ ღირსეული პოზიციები ამა თუ იმ საფეხურზე და ამისთვის ხელოვნურად შექმნილი, განსაკუთრებული პირობები სჭირდებათ: "მგონია, რომ მივიღებთ არა უფრო მეტ მართლაც ღირსეულ ქალს პარლამენტში ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში, არამედ ვიღაცის ნათესავებსა და ახლობლებს, რომლებიც ბუნებრივად არ გამოირჩევიან იმ თვისებებით, რომ დაიკავონ შესაბამისი ადგილი სხვადასხვა თანამდებობაზე. ჩემთვის, პიროვნულად, როგორც ქალისთვის, შეურაცხმყოფელი იქნება იმის ცოდნა, რომ მე კვოტით უნდა დავიკავო ესა თუ ის პოზიცია და არა თავისუფალი კონკურენციის პირობებში".

---

[24] მარიტა ჭანიშვილი ქალები პოლიტიკაში. კვოტით თუ მის გარეშე
http://forbes.ge/news/706/qalebi-politikaSi

მიმოვიხილოთ რამდენიმე განვითარებული ქვეყნის გამოცდილება კვოტების გამოყენების სფეროში[25]:

ნორვეგია

ნორვეგია შიდაპარტიული კვოტების გამოყენების პიონერია. მემარცხენე სოციალისტურ პარტიას (SV) 1975 წლიდან აქვს შემოღებული 40% კვოტა ორივე სქესისათვის. ასევე ახორციელებს სიაში სხვადასხვა სქესის კანდიდატთა მონაცვლეობის წესს (ზიპპინგ სყსტემ). 40% კვოტა ორივე სქესისათვის ასევე დაწესებული აქვს ნორვეგიის ლეიბორისტული პარტიას 1983 წლიდან, ცენტრისტულ პარტიას 1989 წლიდან, ქრისტანულ სახალხო პარტიას 1993 წლიდან.

გერმანია

გერმანიში კვოტები არც კონსტიტუციითა განსაზღვრული და არც საარჩევნო კანონით. მაგრამ პოლიტიკური პარტიები იყენებენ შიდაპარტიულ კვოტებს საარჩევნო სიის ფორმირებისას. მაგალითად, დემოკრატიული სოციალიზმის პარტია იყენებს 50% კვოტას პარტიულ სიებში. ალიანსი 90/მწვანეებიც 1986 წლიდან იყენებენ ასევე 50%-იან კვოტას. ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიაში 1996 წლიდან დაწესდა, რომ სიაში მინიმუმ ყოველი მესამე კანდიდატი ქალი უნდა იყოს. სოციალ-დემოკრატიული პარტიამ კვოტების სისტემა შემოიღო 1988 წლიდან. 1990 წლისათვის მიზანი იყო 25% ქალი კანდიდატის ჩართვა სიებში, 1994 წლისათვის 33%-ს, და 1998 წლისათვის კი უკვე 40%- ისა. 40%-იანი გენდერული კოვტა მოითხოვს ასევე, სიის ისე აგებას, რომ სიის ბოლო ადგილებზე მხოლოდ ერთი სქესი არ მოხვდეს, რისთვისაც სიაში მინიმუმ ყოველი მეხუთე მაინც იყოს განსხვავებული სქესის, ვიდრე წინა ოთხეული.

რაკიღა 80-იანი წლებიდან თითქმის ყველა პარტიამ დაუჭირა მხარი საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელებას, ბუნდესტაგში ქალთა რიცხვი გაიზარდა 10%-დან (1983 წ.) 20%-მდე (1990 წ.), 1997 წ. გახდა 26,6%, 2005 წლისათვის კი 31,8%-ს მიაღწია.

[25] ლელა ხომერიკი გენდერი და პოლიტიკა თბ. 2006 გვ.14

დიდი ბრიტანეთი

ბრიტანეთში დიდი ხნის მანძილზე ქალები მხარს უჭერდნენ კონსერვატიულ პარტიას და ითვლებოდნენ კონსერვატორთა "საიდუმლო იარაღად". 1990 წლებში კონსერვატიული პარტია მივიდა დასკვნამდე, რომ ქალთა მდგომარეობაში მომხდარი რადიკალური ცვლილებების შემდეგ, მას ერთხელ და სამუდამოდ არ ჰქონდა გარანტირებული ქალი ამომრჩევლების მხარდაჭერა. პარტიამ დაიწყო ქალების მიმართ პოზიტიური დეკლარაციების და საქმიანობის განხორციელება. 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარტიის თავმჯდომარემ ნ. ფაულერმა მოუწოდა თავის პარტიას წარედგინათ არა ნაკლებ 100 ქალი კანდიდატისა, პარლამენტის შემდგომი არჩევნებისათვის. მართალია, ეს მიზანი ბოლომდე ვერ იქნა მიღწეული, მაგრამ 1997 წლის არჩევნებზე კონსერვატორებმა წარადგინეს 67 კანდიდატი ქალი[26].

ლიბერალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს წესი, რომ ყოველ საარჩევნო ოლქში კანდიდატთა ჩამონათვალში არც ერთი სქესი არ უნდა იყოს ერთ მესამედზე ნაკლები. ასევე, პარტიამ გამოიყენა საარჩევნო სიაში სხვადასხვა სქესის კანდიდატთა მონაცვლეობის პრინციპი ევროპის პარლამენტის არჩევნებზე 1999 წელს. ლეიბორისტული პარტიისათვის, რომელიც 18 წლის განმავლობაში (1979-დან 1997 წლამდე)[27] ოპოზიციაში იყო, ქალთა დაწინაურება პარტიაში ამომრჩეველთა შორის მხარდაჭერის გაზრდის ერთ-ერთი გზა აღმოჩნდა. გენდერული დემოკრატიის გაფართოება იყო ნაწილი პარტიის ზოგადი მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციისა, რამაც ხელი შეუწყო ლეიბორისტების გამარჯვებას. პარტიამ შეიცვალა თავისი "მამაკაცური" იმიჯი და 80-იანი წლების ბოლოს შეიმუშავა გენდერული კვოტირების პროგრამა. დაწესდა 40%-იანი გენდერული კვოტა პარტიის ყველა არჩევითი ორგანოსათვის და დაისახა გეგმა საპარლამენტო ფრაქციაში ქალთა რიცხვს მიეღწია 50%-თვის. ეს ბოლო დებულების შესრულებას ბევრი სიძნელე ახლდა, რადგანაც ბრიტანეთში მოქმედებს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა, ერთმანდატიან ოლქებიდან აირჩევა თითო დეპუტატი.

---

[26] ლელა ხომერიკი გენდერი და პოლიტიკა თბ. 2006 გვ.15

ლეიბორისტულმა პარტიამ 1992 წელს გადაწყვიტა გათავისუფლებული, ვაკანტური ადგილების 50%-ზე მხოლოდ ქალების დაესახელებინა. მაგრამ ეს გადაწყვეტილება გასაჩივრდა და 1996 წელს სასამართლომ ის გააუქმა, როგორც მამაკაცებისათვის დისკრიმინაციული და 1975 წელს მიღებული "სქესების დისკრიმინაციის აქტთან" შეუთავსებელი. შოტლანდიის პარლამენტისა და უელსის ეროვნული ანსამბლეის 1999 წლის არჩევნებისათვის ლეიბორისტულმა პარტიამ გამოიყენა მეზობელი საარჩევნო ოლქების დაწყვილების სისტემა. თითოეულ წყვილისათვის ამ ორი ოლქის პარტიის წევრები იკრიბებოდნენ და ერთად ირჩევდნენ ერთ ქალსა და ერთ მამაკაც კანდიდატს. პარტიის თითოეულ წევრს ჰქონდა ორი ხმა ერთი ქალი კანდიდატის ასარჩევად და ერთიც მამაკაცი კანდიდატისათვის[28].

2001 წელს პარლამენტმა მიიღო სქესთა დისკრიმინაციის (საარჩევნო კანდიდატების) აქტი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს პოლიტიკურ პარტიას განახორციელოს პოზიტიური ქმედებები (პოსიტივე აცტიონ) ქალ კანდიდატთა სასარგებლოდ, ისე რომ არ დაარღვიოს შრომის კანონმდებლობა.

საფრანგეთი

საფრანგეთში გენდერული კვოტების აუცილებლობა კონსტიტუციით არის განსაზღვრული. 1999 წელს კონსტიტუციაში შევიდა დამეტება, რომლის მიხედვითაც "კანონმდებლობა მხარს უჭერს ქალისა და კაცისათვის საარჩევნო მანდატთა თანაბარ მისაწვდომობას" და პოლიტიკურს პარტიებს აკისრებს თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას. ამ შესწორებას "პარიტეტული რეფორმა" ეწოდა. 200 წელს ახალი საარჩევნო კანონით განისაზღვრა, რომ პარიტეტული რეფორმა 50%-50% შეეხება ყველა დონის პროპორციულ არჩევნებს: მუნიციპალურ არჩევნებს ქალაქებისათვის, სადაც 3 500 მეტი მცხოვრებია;

- სენატის არჩევნებს, პროპორციულად არჩეული სენატორთა მანდატებისათვის;
- რეგიონულ არჩევნებს;
- ევროპის პარლამენტის არჩევნებს;

[28] ლელა ხომერიკი გენდერი და პოლიტიკა თბ. 2006 გვ.16

• პარიზის საბჭოს არჩევნებს;

• პარიზის, ლიონისა და მარსელის რაიონის საბჭოების არჩევნებს.

ეს რეფორმა მოითხოვს ასევე პარტიების მიერ დასახელებულ კანდიდატთა შორის გენდერული ბალანსის დაცვას საფრანგეთის პარლამენტის არჩევნებისას, რომელიც ორტურიანი მაჟორიტარული სისტემით ტარდება. 2000 წლის საარჩევნო კანონმა დააწესა ფინანსური დასჯა იმ პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც არ დაიცავდნენ დასახელებულ კანდიდატთა შორის გენდერულ ბალანსს. საფრანგეთში სახელმწიფო ფინანსირებას პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, 1999 წელს სახელმწიფო დოტაციამ შეადგინა პოლიტიკური სუბიექტების მთელი შემოსავლის 51 პროცენტი. სახელმწიფოსაგან მიღებული ფინანსები მცირდება, თუ პარიტეტიდან გადახრა გაცდება 2%-ს. ამგვარად, პარტია, რომელიც დაასახელებს 49% ქალ კადიდატს და 51% მამაკაცს არ დაჯარიმდება, მაგრამ მეტი განსხვავების შემთხვევაში დაჯარიმდება, შემდეგი წესით: თუ პარტიის მიერ წარდგენილი ქალი და მამაკაცი კანდიდატების რიცხვი 2%-ზე მეტად განსხვავდება, მაშინ სახელმწიფო დახმარება მცირდება ამ განსხვავების ნახევრით[29].

მაგალითად, თუ პარტიიმ წარადგინა 60% მამაკაცი კანდიდატი, ხოლო 40% ქალი, განსხვავება 20%-ის ტოლი იქნება და მაშინ პარტიას სახელმწიფო დახმარება შეუმცირდება 10%-ით. მუნიციპალურ დონეზე კი, სადაც არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება, კვოტები კიდევ უფრო ეფექტურად ტარდება: საარჩევნო ადმინისტრაცია უბრალოდ არ გაატარებს რეგისტრაციაში ისეთი პარტიის სიას, რომელიც პარიტეტის მოთხოვნას არ შეესაბამება.

პოლიტიკური პარტიებიდან საფრანგეთის სოციალისტურ პარტიას 1990 წლიდან ჰქონდა 50% კვოტა საარჩევნო სიებისათვის.

[29] ლელა ხომერიკი გენდერი და პოლიტიკა თბ. 2006 გვ.16

V თავი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის შედეგები

5.1 ქალთა კვოტირების აუცილებლობა საქართველოში

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ასპექტი: ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, გენდერული კვოტირების საკანონმდებლო რეგულირების მისაღებად მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება, საქართველოს სახელმწიფოს მიდგომა ქალთა პოლიტიკური გააქტიურების კუთხით. ექსპერტ-მკვლევართა და პოლიტიკოსთა შეხედულებები განხილულ საკითხებზე.

5.2 გენდერული კვოტირების საკანონმდებლო რეგულირება

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კვოტირების მომხრეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე დარეგულირებული სახით მივიღოთ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ჩამოყალიბებული სტრუქტურა. სწორედ ამ მოთხოვნის მომხრეების თაოსნობით 2017 წლის მაისის თვეში დაიწყო ხელმოწერების შეგროვება. აღნიშნული ინიციატივა ქალთა საინფორმაციო ცენტრისა და გენდერული თანასწორობის ქსელის ხელშეწყობით წამოიწყო.

გენდერული თანასწორობის ქსელის კოორდინატორი მაია კუპრავა-შერვაშიძე მიიჩნევს, რომ აუცილებელია პოლიტიკურმა პარტიამ დაიცვას მოთხოვნა - ყოველი მეორე განსხვავებული სქესი. უკვე არჩეული დეპუტატი თუ დატოვებს თავის მანდატს სხვადასხვა მიზეზის გამო, თავისივე სქესის მომდევნო კანდიდატმა უნდა ჩაანაცვლოს იგი, ეს შეეხება როგორც საპარლამენტო, ისევე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. მისი თქმით 30000 ამომრჩევლის ხელმოწერით უნდა შევიდეს კანონპროექტი. პარლამენტმა მიიღო რეგლამენტი, მისცა მათ 45 დღე, სწორედ ამ 45 დღის ვადაში უნდა ჩააბარონ მათ 30000 ამომრჩევლის

დადასტურებული ხელმოწერა, რომელიც საკმაოდ რთული შესაგროვებელია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ გზას მეორედ გადიან, 2008 წელს განახორციელეს მსგავსი ინიციატივა, მაგრამ დააგვიანდათ შემდეგი პარმალენტისთვის ამ კანონპროექტის გაცოცხლება. მისი თქმით ინიციატივის მომხრე ყველა წევრი მიიჩნევს, რომ თუ დღევანდელი პარლამენტი არ მიიღებს ამ გამოწვევას დაელოდებიან ისეთ პარლამენტს, რომლისთვისაც მისაღები იქნება აღნიშნული მოწოდება. (მ.კუპრავა-შერვაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 10 ივნისი, 2017წ).

აღნიშნულ თემაზე „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი ელენე რუსეცკი თვლის, რომ პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კამპანიაში მონაწილე გათვითცნობიერებულად აწერს ხელს და სწორედ ამიტომ, მომხრეთა საკმაოდ დიდი ჯგუფია წარმოდგენილი. თუმცა სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ხელმოსაწერ დოკუმენტში იწერება ისეთი მონაცემები, რომელიც ამ ადამიანებს ხშირ შემთხვევაში აფრთხობს, მისი თქმით სამწუხაროდ, ეს პარლამენტის დადგენილებაა, მის რეგულაციას აკეთებს პარლამენტი, რომელზეც არ არის მითითებული აღნიშნული კანონპროექტი, ამიტომ ადამიანებს უჩნდებათ უნდობლობის განცდა, არ არის კონკრეტულად ჩამოყალიბებული დეტალები და ასევე არ არის დაფარული პირადი ნომერი. საღად მოაზროვნე პოლიტიკურმა პარტიამ თავად უნდა დააწესოს შიდა პარტიული კვოტები და თვითონ თქვას, რომ ის არის ასე ვთქვათ, დემოკრატიული ღირებულების მომხრე, შიდა პარტიული დემოკრატიის წამახალისებელი და თავად უზრუნველყოს რომ მის სიაში იყოს წარმოდგენილი რაც შეიძლება მეტი ქალი მინიმუმ 30%-ისა. (ე. რუსეცკი, პირადი კომუნიკაცია, 11 ივნისი, 2017წ).

ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძის შეფასებით ქალთა კვოტირების პრობლემა საქართველოში ნამდვილად არსებობს, თუმცა, თავად კვოტირების თემა წარმოადგენს საკუთარ თავში ჩამოუყალიბებელ სისტემას, ხელმოწერებს, რომლის შეგროვებაც დაიწყეს, საერთოდ არ წარმოადგენს ისეთ, ასე ვთქვათ, ხალხისთვის ადვილად გასაგებ ენაზე დაწერილ დოკუმენტს. ქალთა ჩართულობა მმართველ სტრუქტურებში მრავალ ბარიერთან არის დაკავშირებული, კი მართალია, რომ კვოტირება, როგორც იძულებითი და დროებითი ზომა, ამ ბრიერების გადალახვას

ემსახურება. საქართველოში ამ მხრივ საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაა, რადგან 2003 წელს საქართველოს პარლამენტში კვოტირების სისტემის დანერგვის ინიციატივამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. რაც შეეხება პარტიებს, ამ მხრივაც არ არის გენდერული ბალანსი დაცული. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული წახალისებები შემოიღეს, როგორიცაა 10%-ით დაფინანსების გაზრდა იმ პარტიებისთვის რომელიც დაიცავდა გენდერულ ბალანსს, ქალები ისევ მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. კვოტირების სისტემის მომხრე თავად ექსპერტი არ არის, რადგან მიაჩნია, რომ საქართველოში არის ისეთი სოციალურ-პოლიტიკური გარემო, რომელიც ვერ უზრუნველყოფს კვოტირების სისტემის ღირებული სახით ჩამოყალიბებას, ასევე უნდა ითქვას, რომ არ არის ჩამოყალიბებული პოლიტიკური კულტურა მოსახლეობაში, რაც ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული. (ხ.ლაგაზიძე, პირადი კომუნიკაცია, 11 ივნისი, 2017წ).

პროფესიით იურისტი და კვოტირების სისტემის მომხრე, ბაია პატარაია ამბობს, ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ქალთა ის რაოდენობა, რომელიც გვყავს პარლამენტში, არ არის კრიტიკული მასა. მისი თქმით, კრიტიკულ მასად ითვლება დაახლოებით 30% მაინც, განსხვავებული სქესი, არ აქვს მნიშვნელობა ეს ქალი იქნება თუ კაცი პარლამენტში, რომ მას ჰქონდეს გარკვეული ძალაუფლება. აქედან პირველ რიგში სიკეთე არის ის, რომ პარლამენტში იყოს მრავალფეროვნება, უნდა იყოს პარლამენტში წარმოდგენილი სხვადასხვა ჯგუფები, იქნება ეს შეზღუდული შესაძლებლობების, ეთნიკური უმცირესობების და ა.შ. ეს ყველაფერი მისი აზრით იმიტომაა საჭირო, რომ პარლამენტმა ინიცირება გაუკეთოს ისეთ კანონპროექტებს, გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რაც აისახება ჩვენს მოქალაქეებზე, ვისაც უამრავი პრობლემა აქვთ, აუცილებელია, რომ მათ შორის ქალების საჭიროებები იყოს ასახული და გათვალისწინებული პოლიტიკის დონეზე. პარტიების უმრავლესობა ხვდება, რომ პრობლემა რეალურია, კვოტირების სისტემის მიღებით უფრო შემცირდება პარლამენტართა შანსი, ვინაიდან, თუ ქალები შევლენ პარლამენტში, ბუნებრივია, ისინი დაიკავებენ კაცების ადგილს, რადგან ქალების შესვლით პარლამენტს ცალკე ადგილები არ ემატება, ამ შემთხვევაში კონკურენციაც იმატებს. პირადი ინტერესის გამო, წმინდად, ბევრი პარლამენტარი კვოტირების სისტემის

გამოყენებისას ხედავს პირად საფრთხეს. აცნობიერებს, რომ თავად მოუწევს ადგილის დათმობა და ამიტომ არ სურს მსგავსი ტიპის კანონპროექტს დაუჭიროს მხარი. (ბ.პატარაია, პირადი კომუნიკაცია, 14 ივნისი, 2017წ).

5.3 საქართველოში ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის შემაფერხებელი ფაქტორები

ქალთა პოლიტიკაში ჩართულობას უმეტეს შემთხვევაში აფერხებს მათი სოციალურ-ეკონომიკური ფონი. სწორედ სოციალური ფონის გამოსწორებისა და გაუმჯობესების შემთხვევაში გაძლიერდებიან როგორც ქალები, ისე კაცები და მიეცემათ მათ შესაძლებლობა საკუთარი სიტყვა თქვან პოლიტიკურ არენაზე.

პოლიტიკოსი ელენე ხოშტარიას აზრით სოციალური ფონის გაუმჯობესება აძლიერებს ადამიანებს, მათ შორის რასაკვირველია ქალებსაც, ქმნის ახალ შესაძლებლობებს, მათ შორის განათლების შესაძლებლობასაც, რაც აღნიშნული პრობლემის რაღაც ნაწილს ხსნის. მეორე მიზეზი მისი თქმით არის მენტალური, მაგალითად, ქალი პოლიტიკოსების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება რაც არის, შეუძლია მათ დაანახონ მოსახლეობას როგორი კარგი დედები არიან, თან იმუშაონ და წარმატებასაც მიაღწიონ. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერაც, რომლებიც ქალთა საკითხებზე მუშაობენ. მათ ძალიან დიდი და კარგი საქმე გააკეთეს, რომ დღეს ქალთა საკითხები პოლიტიკურ დღის წესრიგში დგას.

ქალს ყოველთვის აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება, იგი ქალების დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგია, მაგალითად დღეს ბევრმა ქალმა არ იცის საკუთარი უფლებები, მაგალითად სამსახურის უფლება აქვს თუ არა კონკრეტულ ადამიანს. იგი, თავად იყო ჩართული ქალთა უფლებებზე და საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობაში, თუმცა არსებობს

ძალიან ბევრი რთული, პრობლემური საკითხი, იქნება ეს სოციალურ-ეკონომიკური, განათლების თუ სხვა საკითხები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ელენე ხოშტარია მიიჩნევს, რომ პარმალენტი იქნება ეს, ბიზნესი თუ სხვა სფერო ქალთა მონაწილეობა ყველგან უნდა გაიზარდოს, თავად კვოტირების მომხრე არ არის, მისთვის მთავარი კრიტერიუმი კვალიფიკაციაა. დღეს არიან პარლამენტში ქალები, რომლებიც არა თუ ქალთა საკითხებზე არ მუშაობენ, პირიქით, ჰომოფობები არიან. თავისთავად გენდერული ნიშანი არ ნიშნავს იმას, რომ ის იქნება კვალიფიციური და ქალთა საკითხი იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა, მათზე ღირსეულად იმუშავებს. მას არ ჰგონია, რომ კვოტირება ღირსეულად გადაჭრის არსებულ პრობლემას, სწორედ იდეოლოგიურად არის მისთვის მიუღებელი. მისი თქმით, თავად როგორც ქალისთვის მიუღებელიც კია კვოტების არსებობა, იგი მიიჩნევს, რომ სადმე უნდა მოხვდე საკუთარი კვალიფიკაციის და არა სქესის გამო. თუმცა აპირებს დიალოგის გაგრძელებას ორგანიზაციებთან, რომლებიც კვოტირებას ლობირებენ და თუ დაინახა, რომ ამას რაიმე რეალური შედეგის მოტანა შეუძლია, შეიძლება შეიცვალოს კიდეც აზრი. ზოგადად ანტიდისკრიმინაციული კანონიც კი არ მუშაობს, მისი თქმით, როგორ შეიძლება კანონმა იმუშაოს, როდესაც მთავრობის სხდომაზე ხუმრობენ ხოლმე ქალების საკითხზე. თავად სწორედ ასე ხედავს თავს პოლიტიკში, რომ მაგალითად პარლამენტში ვერავინ გაბედოს ქალების პრობლემებზე ხუმრობა. სწორედ საკუთარი გადაწყვეტილებით და ქალთა როლის გაძლიერებისთვის მან გადაწყვიტა პარტია „ევროპული საქართველოდან“ მერობის კანდიდატად წარსდგეს. (ე.ხოშტარია, პირადი კომუნიკაცია, 15 ივნისი, 2017წ).

ქალთა პოლიტიკური ჩართულობის შემაფერხებელ ფაქტორებად მაია კუპრავა-შერვაშიძე ძირითადად სოციალურ ფონს და მოსახლეობის პოლიტიკურ გაუნათლებლობას მიიჩნევს. მისი თქმით, ვცხოვრობთ არასტაბილურ ქვეყანაში, სადაც არ არის მიზანშეწონილი სოციალური დახმარება, მისი აზრით ეს გახლავთ ქვეყნის დაღუპვა, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური პროგრამა ასე თუ ისე სტაბილურია, ის მოსახლეობას ღირსებას აკარგვინებს. ქალთა პოლიტიკური გააქტიურება 2008-2017 წლებში არ გაუმჯობესებულა, უნდა ითქვას, რომ 2002 წელს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო ამ საკითხთან დაკავშირებით. სანამ

საქართველოს პარლამენტი აღიქმება დასაქმების ადგილად, მანამდე ექნება ჩვენს ქვეყანას ეს პრობლემა. მოახლეობისთვის არ არის ცნობილი რა რუტინას გადის საქართველოს პარლამენტი თავიდან ბოლომდე, სწორედ ამ დროს არის ძალიან მნიშვნელოვანი აღნიშნულ რუტინაში ჩაბმულნი იყვნენ ქალები, ქალთა ის რაოდენობა, რომლებიც ცვლილებებზე რეაგირებენ და არა ის უმცირესობა, რომელიც დღეს გვყავს პარლამენტში. 16% არასდროს არაფერს ცვლის, ისინი არ არიან ქალთა უფლებებზე მომუშავე ადამიანები, ისინი ამ საკითხს თითქოს გაურბიან კიდეც, ამიტომ სანამ იქ არ იქნება წარმოდგენილი რეალური ძალა ქალის სახით, მანამდე ეს პრობლემა იარსებებს.

მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ მედიის როლს ქალთა პოლიტიკური გააქტიურების საკითხში. მედიის ინფორმაციით საზოგადოება ადრეც და ახლაც ამბობს, რომ ქალი და კაცი თანაბრად იყვნენ პოლიტიკაში წარმოდგენილნი. თუმცა, სწორედ ქალია უფრო მეტად ქალთა უფლებების გამტანი და დამცავი, ვიდრე კაცი. ბოლო პერიოდია, რაც ქალების დიდი ნაწილი ჩაერთო საზოგადოებრივ აქტიურობაში და სწორედ ბევრი ინიციატივა იქნა მათ მიერ წამოწყებული. საგანგაშო მდგომარეობაა ნამდვილად, თუმცა რეგიონებში კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა, მაგალითად ახალციხეში ადგილობრივ არჩევნებში მერობის კანდიდატი ქალი იყო, არჩევნებამდე 6 დღით ადრე ეთერში ჰქონდა დისკუსია, ხოლო მეორე დღეს კანდიდატურა მოხსნა, მისი თქმით შესაძლოა აქ იყო რაიმე ზეწოლის მსგავსი, სწორედ მიაჩნია მას, რომ კანდიდატიც და ამომრჩეველიც აუცილებლად დაცული უნდა იყოს დაცული. (მ.კუპრავა-შერვაშიძე, პირადი კომუნიკაცია, 10 ივნისი, 2017წ).

რეგიონების მაგალითზე ელენე რუსეცკი აღნიშნავს, რომ ახმეტის რაიონში საკრებულოს თავმჯდომარე არის ქალი, რაც ძალიან კარგია, იგი უფრო სწრაფად იგებს პრობლემას, იწყებს სამოქმედო გეგმაზე მუშაობას და უფრო მარტივად იწყება პრობლემის მოგვარების საკითხის გადაწყვეტა.

ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს უნდობლობა, თუ 2008 წელს უფრო მარტივად უყურებდა მოსახლეობა აღნიშნულ ინიციატივას, დღეს უფრო ეჭვის თვალით უყურებენ. არა მხოლოდ კვოტირებაზე, ნებისმიერ ინიციატივაზე

უარყოფითად არიან განწყობილნი. ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის წინააღმდეგ არ გამოდიან, თუმცა საერთოდ პოლიტიკას და პარლამენტს ებრძვიან, რაც ძირითადად მძიმე სოციალური ფონიდან არის გამომდინარე. (ე. რუსეცკი, პირადი კომუნიკაცია, 11 ივნისი, 2017წ).

აუცილებელია ხალხში მოტივაციის გაზრდა, პოლიტიკურმა პარტიებმა უფრო ღიად და გამჭირვალედ უნდა წარმოაჩინონ საკუთარი პროგრამა და სამუშაო გეგმა. ქალთა მეტი აქტიურობისთვის არა მარტო ქალების მოხალისეებად მუშაობაა მისაღები, არჩევნების დროს, როდესაც ელემენტალური გადაადგილების საშუალებაც არ აქვთ დაფინანსებული, არამედ თავად პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანება. თითოეულმა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა გახსნას საკუთარი კარი და გამოააშკარაოს თუ რას აკეთებს, როგორ წარმართავს ქალთა გააქტიურების მექანიზმს და რა იდეოლოგიის მატარებელი იქნება სამომავლოდ.

5.4 პოლიტიკური პარტიები და კვოტირების სისტემა

ყოფილი სახალხო დამცველი, ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი და ამჟამინდელი პარტია „მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველოს“ წევრი, გიორგი ტუღუში მიიჩნევს, რომ წინა წლებში ძალიან მძიმე სიტუაცია იყო კვოტირების საკითხთან დაკავშირებით, ხოლო ახლა შედარებით მეტი აქცენტი კეთდება აღნიშნულ თემაზე. თავად ერთგვარი ხელოვნული მეთოდების მომხრე არასდროს ყოფილა, მათ ჰყავთ სიაში წარმოდგენილი ქალები, ერთ-ერთი როგორც უკვე ზემოთ არვნიშნეთ მერობის კანდიდატადაც იქნა დასახელებული. იგი თვლის, რომ ქალებმა საკუთარი თავი თავად გამოავლინეს, მიიჩნევს, რომ თუ შექმნი პირობებს, რომ ქალმა დ კაცმა თავი გამოიჩინოს, მაშინ ეს უფრო დიდ შედეგს მოიტანს. (გ.ტუღუში, პირადი კომუნიკაცია, 27 მაისი, 2017წ).

ქართული ოცნების წევრი და წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატი ცოტნე ზურაბიანი მიიჩნევს, რომ ქალთა აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა

პოლიტიკურ პროცესებში ქვეყნის დემოკრატიულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია. მისი თქმით ხშირად იმართება შეხვედრები ქალთა პოლიტიკური გააქტიურების კუთხით, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს პოლიტიკურ ველზე ქალთა წარმომადგენლობას. კვოტირების სისტემას რაც შეეხება, მისი აზრით, აღნიშნული სისტემა ვერ მოერგება ქართულ პოლიტიკურ სივრცეს და რეალობას, მოსახლეობა, რომელიც მრავალი წელია პოლიტიკური ტრანსფორმაციის გზაზე დგას, არ არის იმდენად პოლიტიკურად განათლებული, რომ ადვილად მიიღოს ყოფიერებაში ის. (ც.ზურაბიანი, პირადი კომუნიკაცია, 20 ივნისი, 2017წ).

VI თავი საქართველოს საარჩევნო გარემოში ქალთა ჩართულობა და ეკონომიკური განვითარების დონე

იმისათვის, რომ მოვახდინოთ თემის კონკრეტიზაცია თუ რა გზით მივდივართ კვლევისკენ, რას ვიკვლევთ და რა მეთოდებით ვიკვლევთ, აუცილებელია შევარჩიოთ კონკრეტული ინდიკატორები რითიც საბოლოოდ გავზომავთ იმას, თუ რას ვამტკიცებთ. ზოგადად, კვლევის პროცესი აღწერს და წარმოადგენს რეალური დაკვირვებების შედარებას თეორიულ წარმოდგენებთან, ეს ერთგვარი თეორიის შემოწმების, მისი სანდოობის შეფასებაა.

პირველ რიგში ქალთა კვოტირების პრობლემასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გამოვყავით ეკონომიკური განვითარების დონე და ქალთა ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში.

ეკონომიკური დემოკრატიის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განმტკიცების გზაზე ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად განვიხილავთ ქართული სახელმწიფოს სისუსტეს, მთლიანად ქვეყნისა და მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს.

ტერმინი "ეკონომიკური განვითარება" ხშირად როგორც ეკონომიკურ ლიტერატურაში, ისე პრაქტიკაში გაიგივებულია ტერმინთან – "ეკონომიკური ზრდა". ეს გამოწვეულია იმით, რომ წარსულში ჩვენთან ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ცვლილებები ძლიერ ნელა, თითქმის შეუმჩნევლად მიმდინარეობდა და ამიტომ, ძირითადი აქცენტი ეკონომიკური ზრდის თემატიკაზე იყო გადატანილი. იგივე დამოკიდებულება იყო საზღვარგარეთაც, ვიდრე განვითარებული ქვეყნები პოსტკომუნისტური განვითარების სტადიაში არ შევიდნენ. ჩვენთან ეკონომიკური განვითარების პრობლემების კვლევას დღესაც ნაკლები ყურადღება ეთმობა. ამ შემთხვევაში ჩვენ ეკონომიკური განვითარების დონე შესაძლოა გავზომოთ უმუშევრობით. აქვე აუცილებელია განვიხილოთ მთლიანი შიდა პროდუქტის ზოგადი სტატისტიკა და სახელფასო მინიმუმის დონე.

მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლოდროინდელი კვლევები. უკანასკნელი 6 წლის მანძილზე 2010 წლიდან 2016 წლის ჩათვლით მშპ 20743.4 ლარიდან 33921.6 ლარამდე გაიზარდა, ხოლო რაც შეეხება 2004 წლიდან 2015 წლის ჩათვლით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 156.6 ლარიდან 900.4 ლარამდე გაიზარდა.

ქალთა რეპრეზენტაცია და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოაგენს განვსაზღვროთ ქალთა ჩართულობა, ხოლო შემდგომ ქალთა ჩართულობის დონე გავზომოთ სხვადასხვა პარტიებში ქალების წარმომადგენლობით.

2016 წლის სექტემბრის მონაცემებით საქართველოს პარლამენტში 12%, ხოლო მინისტრების 10.5% არის ქალი. დემოკრატიულ სისტემაში, სადაც საკითხები ხმის მიცემისა და უმრავლესობის პრინციპით წყდება, ქალთა მონაწილეობის ეს მაჩვენებელი მცირე და უძლური მექანიზმია რაიმე სახის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოსახდენად. სწორედ ამ მიზეზით, მნიშველოვანია ქალთა რაოდენობრივი წარმომადგენლობისა და მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკაში, რის საშუალებასაც პარტიული სიები უნდა იძლეოდეს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში პარტიები მონაწილეობენ როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სიებით. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულია ოცდაათამდე პოლიტიკური პარტია და ბლოკი. დარეგისტრირებულ მაჟორიტარულ სიებში (სულ 835 კანდიდატი) კანდიდატების მხოლოდ 16.4% არის – ქალი.

პროპორციულ სიებში ქალთა წარმომადგენლობა 10%-დან 40%-მდე მერყეობს, რაც მაღალი მაჩვენებელია მაჟორიტრულ სიებთან შედარებით. პროპორციულ სიებში პარტიას აქვს საშუალება რაოდენობრივად უფრო მეტი კანდიდატი წარადგინოს – მინიმუმ 100, მაქსიმუმ- 200. სადაც იზრდება კანდიდატების რაოდენობა, იზრდება ქალთა წარმომადგენლობა და პირიქით, სადაც მანდატების რაოდენობა ნაკლებია – იკლებს ქალთა რაოდენობრივი მაჩვენებელი. მოცემული გენდერული თანაფარდობის ასახსნელად, მნიშვნელოვანია მანდატების შინაარსობრივი ასპექტის გათვალისწინება. მაჟორიტარულ სიებში, სადაც ქალთა წარმომადგენლობა

საგრძნობლად დაბალია, ყურადღება ექცევა არა იმდენად პარტიას, რამდენადაც კანდიდატს. შეიძლება ითქვას, რომ მაჟორიტარული არჩევანი პერსონიფიცრებულია და ამომრჩევლები ხმას აძლევენ უშუალოდ პიროვნებას. შესაბამისად, პარტიები წარადგენენ იმ კანდიდატებს, რომელთაც გააჩნიათ მაღალი ეკონომიკური მდგომარეობა, დიდი სოციალური ან კულტურული კაპიტალი, რაც განაპირობებს საზოგადოებრივი ნდობის მოპვებას და პარტიისთვის შეიძლება წარმოადგენდეს დამატებით სარგებელს. პროპორციულ სიებში კი, სადაც ქალთა წარმომადგენლობა მაჟორიტარულთან შედარებით მაღალია, ამომრჩეველი ირჩევს პარტიას და კანდიდატის პიროვნულ მონაცემებს ნაკლები ყურადღება ექცევა. შეიძლება ითქვას, პროპორციულ სიებში ისევ ქალთა უხილავობასთან გვაქვს საქმე.

2016 წელი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ სრულად გამოქვეყნდა 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგები. მონაცემები, რომელიც მოსახლეობის აღწერის შედეგად შეგროვდა, მნიშვნელოვან ინფორმაციას ატარებს ქალთა მდგომარეობის შესახებ.

2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით:

1. საქართველოს მოსახლეობის 52%-ზე მეტი ქალია
2. ემიგრანტთა 54.6% ქალია
3. ქალის საშუალო თვიური ხელფასი 617.9, კაცის- 980.0.

ციფრები მხოლოდ რეგისტრირებული შემთხვევების შესახებ მოგვითხრობს, სადაც აისახება ქალთა პრობლემების სიმწვავე და მათი გადაჭრის აუცილებლობა. ამ ფონზე, მნიშვნელოვანია, საქართველოს მოსახლეობის ისეთ მრავალრიცხოვან ჯგუფს, როგორებიც არიან ქალები, ყავდეთ შესაბამისი რაოდენობის წარმომადგენლები გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფო უწყებებში, მათ შორის პარლამენტსა და ადგილობრივ თვითმმართველობაში.

მნიშვნელოვანია ყოფილი და ამჟამინდელი სახელისუფლებო პარტიების სიების მიმოხილვა (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება). პარტიების

მაჟორიტარული და პროპორციული სიების გენდერული შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიუყურება:

1.ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარულ სიაში 70 მაჟორიტარობის კანდიდატია. წარმოდგენილ სიაში 65 კაცია, ხოლო 5 ქალი. შესაბამისი პროცენტული თანაფარდობა – 92.86% /7.14%.

2.ქართული ოცნების მაჟოორიტარულ სიაში სულ 21 მაჟორიტარობის კანდიდატია, რომელთაგან 18 კაცია, ხოლო 4 ქალი, შესაბამისი პროცენტული თანაფარდობით – 86% / 14%.

2013 წელს კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც პარტიებს საბაზისო დაფინანსებაზე ექნებოდათ საბიუჯეტო დანამატი დაფინანსების 30%, თუ მათ პარტიულ სიებში იქნებოდა ერთმანეთისგან განსხვავებული სქესის წარმომადგენელი ანუ ყველა ათეულში 30% მაინც უნდა ყოფილიყო ქალი. მიუხედვად ამ წამახალისებელი საკანონმდებლო ნაბიჯისა, რომელსაც სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია და ნებაყოფლობითია, პარტიები თითქმის არ გამოხატავენ ინტერესს ამ ინიციატივის მიმართ.

პროპორციულ სიებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ წარდგენილია 200 ადამიანისგან შემდგარი პარტიული სია, სადაც 150 კაცი, ხოლო 50 ქალია, შესაბამისი პროცენტული თანაფარდობა – 75%/25%.

ქართული ოცნების პროპორციულ სიაში წარმოდგენილია 155 კანდიდატი, როემლთაგან 137 კაცია, ხოლო 18 ქალი, შესაბამისი პროცენტული თანაფარდობით – 88.4%/11.6%.

წარმოდგენილი მონაცემებიდან მარტივად იკითხება ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ ისევე როგორც პარლამენტში, მთავრობასა და პარტიულ (როგორც მაჟორიტარულ, ისე პროპორციულ) სიებში ქალთა წარმომადგენლობა მკვეთრად ჩამორჩება კაცებისას. ამის მიზეზად კი შესაძლოა მივიჩნიოთ რიგი იმ დაბრკოლებებისა, რაც ქალთა ყოველდღიურ ცხოვრებაში იჩენს თავს სიღარიბის, ჯანდაცვის საკითხების, ძალადობისა თუ ფემიციდის სახით და არ აძლევს მათ

ხელსაყრელ პირობებს იყვნენ საჯარო სივრცეში და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

საარჩევნო პროგრამები, სატელევიზიო დებატები, სოციალური ქსელები მთელ სივრცეს საგარეო თავდაცვის საკითხების, ბიზენესისთვის ხელის შეწყობის განხილვას უთმობს, მაშინ, როცა ქალთა ოჯახური ძალადობისგან დაცვის, ქალთა შრომითი უფლებებისა და ეკონომიკური გაძლიერების, ბავშვთა სიღარიბის საკითხები ჯერ კიდევ უხილავი თემაა იმ პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც ამომრჩევლის რეპრეზენტაციისთვის იბრძვიან.

რთული სათქმელია, ქალთა მცირე რაოდენობრივი წარმომადგენლობა და პოლიტიკურ პარტიებში დაბალი მონაწილეობა არის მიზეზი ქალთა სიღარიბის და მასთან დაკავშირებული პრობლემების თუ პირიქით, თუმცა ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ქალთა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებები მაინც მიიღება (არმიღებაც მიღებაა) და მასში მხოლოდ 10%-მდე ქალი მონაწილეობს, პოლიტიკური წარმომადგენლობისა და რეპრეზენტაციის საკითხს ეჭვქვეშ აყენებს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილ პარტიულ სიებსა და მაჟორიტარ კანდიდატების ანალიზის შედეგად შემდეგი გენდერული სურათი გამოიკვეთა: საერთო ჯამში პროპორციულ სიებში 729, ხოლო მაჟორიტარ კანდიდატებს შორის 59 ქალი კანდიდატი იყო რეგისტრირებული, მათი საერთო რაოდენობა ამ არჩევნებზე მონაწილე კანდიდატების 28.74%-ს შეადგენდა.

ქალთა რაოდენობის დინამიკა საქართველოს პარლამენტში 1995 წლიდან 2012 წლამდე მკვეთრად მერყეობდა. კოალიციაში შემავალი პარტიების მიხედვით, ყველაზე მეტი ქალი ქართულ ოცნებას ჰყავს, კონსერვატიული პარტია და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ არც ერთი ქალით არ არის პარლამენტში წარმოდგენილი. ნაციონალური მოძრაობა 6 ქალით არის წარმოდგენილი (1 მაჟორიტარი, 5 პროპორციული სიით არჩეული დეპუტატი) ეს მაჩვენებლი ამ პარტიისათვის მნიშვნელოვან პროგრესად უნდა მოვიაზროთ, რადგან პარტიას 2008 წელს 119 მანდატი გააჩნდა, ხოლო ამჟამად 65 მანდატი ანუ 45%-ით ნაკლები

მანდატი აქვს, ქალთა რაოდენობა კი უცვლელი დარჩა. რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, 59 მაჟორიტარი კანდიდატი ქალიდან გამარჯვება 7 კანდიდატმა მოიპოვა, რაც მაჟორიტარული მანდატების 9.5%-ს შეადგენს. მთლიანობაში წადგენილი მაჟორიტარი ქალი კანდიდატებიდან გამარჯვება 11%-მა მოიპოვა, ანუ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილი ქალი კანდიდატების 89% (2008 - 98.3%) არჩევნებში დამარცხდა. 2008 წელს დაახლოებით იგივე რაოდენობის 57 ქალი იყო წარდგენილი მაჟორიტარული სისტემით. ქალებმა უფრო მეტ წარმატებას პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით მიაღწიეს, მათ პროპორციული მანდატების 15% (10.6%-2008) ხოლო მაჟორიტარული მანდატების 9% მოიპოვეს. საინტერესოა, რომ 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებზე წარდგენილი ქალი კანდიდატების 40%-მა მოიპოვა გამარჯვება, რაც ეროვნული და ადგილობრივი დონის არჩევნებში ქალთა გამარჯვების განსხვავებული შესაძლებლობების კარგი მაგალითია.[30]

საარჩევნო პარტიების პროგრამების ანალიზის მოკლედ მიმოხილვა შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტების ხაზგასმის საშუალებას იძლევა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პროგრამა დეკლარირებს, რომ ხელს შეუწყობს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას, თუმცა ბუნდოვანია მისი მომავალი ქმედებები და პარტია ორ წარსულ მიღწევაზე აპელირებს - ცვლილებებზე „პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში და პარლამენტში არსებულ გენდერულ საბჭოზე, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ინიციატივად არის წარმოჩენილი.

„ქართული ოცნება“ ქალთა მონაწილეობის ზრდას შიდაპარტიული და ზოგადპოლიტიკური მიმართულებებით აპირებს. პროგრამის მიხედვით - პარტია მოკლევადიან პერსპექტივაში გადავა სასურველ მოდელზე, რომელიც საპირისპიროა მოდელისა – პარტიული აქტივისტი ქალები და გადაწყვეტილების მიმღები კაცები,

[30] http://www.nimd.ge/2012_Genderi.pdf

რაც პრინციპში პარტიაში ქალთა დაწინაურების ახალ მექანიზმებს უნდა მოიაზრებდეს. [31]

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ქალთა პარტიაში დაწინაურებისათვის აუცილებლად მიიჩნევს სახელმწიფოს ჩარევით პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერას - ქალებისათვის საარჩევნო პროცესში სააგიტაციო მასალის მომზადებასა, დაბეჭდვასა და გავრცელებაში. ლეიბორისტული პარტია ქალებს შეუქცევადი პოლიტიკა გატარებას პირდება ოჯახური ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ასევე პოლიტიკაში მათ დაწინაურებას შეუწყობს ხელს.მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილულ პარტიებს გარკვეული აქცენტები აქვთ გაკეთებული ქალთა და გენდერულ საკითხებზე, არც ერთი პარტიის პროგრამაში არ ჩანს მწყობრი ქმედებების სისტემა, რომელიც ქალ ამომრჩეველს პარტიისკენ „მიიზიდავდა“ და დაარწმუნებდა ქალ ამომრჩეველს, რომ პარტიის მხარდაჭერა მისი პოლიტიკური უფლებების დაცვას განაპირობებდა.

1995 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ქალთა წარმომადგენლობა თითქმის არ შეინიშნებოდა, 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც, იმავე წლის შემოდგომაზე, 5 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები.

მასში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა იმ პარტიასა და პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენდა 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისთვის. არჩევნები ტარდებოდა პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით. პარლამენტის 235 მანდატიდან 150 მანდატი მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდებოდა პარტიებზე, 85 დეპუტატი კი აირჩეოდა საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულებიდან.

უნდა ითქვას რომ, პოლიტიკური პარტიები კვლავ რჩებიან უმთავრეს ინსტრუმენტად ქალთა პოლიტიკაში დაწინაურებისათვის, რაც ნათლად დაგვანახა 2012 წლის არჩევნებმა, როგორც ზემოთ უკვე აღვიშნეთ. პოლიტიკური პარტიის

[31] http://partiebi.ge/new/

მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია ქალისათვის, მაგრამ პარტიები სათანადო ძალისხმევას არ იჩენენ ქალების ხელშეწყობისათვის.

ქალები საქართველოს პარლამენტში ისტორიული ექსკურსი

- 1992 წ. – 6.22 %
- 1995 წ. – 6.64 %
- 1999 წ. – 7.17 %
- 2004 წ. – 9.33 %
- 2008 წ. – 6.00 %
- 2012 წ. – 12.00 %

საქართველო მსოფლიოში 2016 წლის მონაცემებით:

საპარლამენტთაშორისო კავშირის მონაცემებით - 119/193

გლობალური გენდერული ინდექსის (GIG)მიხედვით:

- პოლიტიკაში - 114/144
- პარლამენტში - 114/144
- მინისტრის პოზიციაზე - 80/144

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე სუბიექტების
გენდერული ანალიზი

- ქალთა რაოდენობა ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილ პროპორციულ სიაში - 37 %
- ქალთა რაოდენობა ყველა საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატებში - 17.52%.

აქედან:

- პოლიტიკური პარტიების/ბლოკების მიერ წარდგენილი - 17.69 %
- დამოუკიდებელი მაჟორიტარი ქალი კანდიდატები - 15.09 %

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო 2016

- პროპორციულ სიაში - 11.61 % (18/155)
- მაჟორიტარ კანდიდატებში - 7 % (5/72)



ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2016

- პროპორციულ სიაში - 25.13 % (50/199)
- მაჟორიტარ კანდიდატებში - 7 % (5/73)



თავისუფალი დემოკრატები 2016

პროპორციულ სიაში - 33.00 % (66/200)

მაჟორიტარ კანდიდატებში - 13 % (8/64)



დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც „დემოკრატიის მცველებმა“, ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი შიდა დემოკრატია, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ლეგიტიმაცია და სერიოზულად უნდა დაიწყონ იმ ზომების ძიება, რაც ქალთა მონაწილეობას პარტიულ და საჯარო სფეროში წაახალისებს. პოლიტიკური პარტიები მიჩნეულნი არიან, როგორც დემოკრატიის „მცველები“. მათ აქვთ განსაკუთრებული როლი, რომ წარმოადგინონ მოქალაქეთა - როგორც ქალის, ასევე მამაკაცის ინტერესები. პოლიტიკურ პარტიებს აქვთ ხელმისაწვდომობა სახელმწიფო დაფინანასებასა და რესურსებზე, გადასახადების გადამხედლთა ფულზე, რათა შესაბამისად შეასრულონ ეს უკანასკნელი ფუნქცია. მოქალაქეებსა და გადასახადების გადამხდელებს კი თავის მხრივ აინტერესებთ როგორ ფუნქციონირებენ პარტიები შიდა დონეზე და იცავენ თუ არა ისინი დემოკრატიულ პრინციპებს.

პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გააცნობიერონ თავიანთი როლი და პასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის წახალისების კუთხით, როგორც თავიანთ შიდა სტრუქტურებში, ასევე არჩევით ორგანოებში. მათ უნდა გააძლიერონ შიდა დემოკრატია, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულობა, ლეგიტიმაცია და დაიწყონ იმ ზომების მიღება, რაც ქალთა მონაწილეობას წაახალისებს. შიდა პარტიულმა რეგულაციებმა უნდა უზრუნველყოს ქალთა სრულფასოვანი ჩართულობა პარტიულ ცხოვრებაში. ქალების მიერ პარტიის სტრუქტურასა და რესურსებზე სრულყოფილი და თანასწორი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მიღებული უნდა იქნას ისეთი სპეციალური ზომები, როგორიცაა პარტიაში მოხალისეობრივი პარტიული ქვოტების შემოღება, კანდიდატების შესარჩევი კომისიის გენდერულად დაბალანსება, გენდერულად

ნეიტრალური შესარჩევი კრიტერიუმების დაწესება, პარტიული რესურსების ქალი კანდიდატებისაკენ მიმართვა და სპეციალური ტრეინინგ პროგრამები. მოხალისეობრივი ქვოტები არ არის იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე, მაგრამ მათი ინკორპორირება შიდა პარტიულ კანონმდებლობაში, უზრუნველყოფს პოლიტიკაში ქალთა წარმომადგენლობის დონის გაზრდასა და ეფექტიანობის გაძლიერებას. სწორედ ამიტომ, ეს გამოცდიელბა მხედველობაში უნდა მიიღონ საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა. შიდა პარტიული მენეჯმენტი და კონკრეტულად გადაწყვეტილების მიღების პროცედურა რესურსების განაწილების საკითხზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პარტიაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობასა და ქალის, როგორც კანდიდატის ჩამოყალიბებაზე. ამიტომ, პარტიული პოლიტიკა უფრო ღრმა ანალიზს საჭიროებს პარტიული რესურსების ქალებსა და მამაკაცებს შორის არათანაბრად განაწილებისას. პარტიაში ქალთა ორგანიზაციების არსებობა/დაარსება ერთ-ერთი საშუალებაა, რომ ერთის მხრივ პარტიის შიგნით გენდერული თანასწორობის თემატიკის მეტი პოპულარიზაცია მოხდეს და მეორეს მხრივ, პარტიაში გენდერული ბალანსის დამყარებას ხელი შეუწყოს. ასეთ ჯგუფებს შეუძლიათ თავიანთი მუშაობით უზრუნველყონ ქალთა მონაწილეობის გაზრდა ქალებისათვის საერთო პრობლემებზე სადისკუსიო პლატფორმის შექმნით. რისკი იმისა რომ აღნიშნულმა ჯგუფმა ქალთა ინტერესების საწინააღმდეგოდ დაიწყოს ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ მოხდება მათი მარგინალიზაცია. ამ რისკის პრევენცია აუცილებელია.

ყველა პოლიტიკურმა აქტორმა - მედიამ, სამოქალაქო საზოგადოებამ და საქართველოში მოქმედმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა არჩევით თანამდებობზე გენდერული თანასწორობის დაცვის მნიშვნელობაზე საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. სამოქალაქო საზოგადოებამ და პოლიტიკურმა პარტიებმა უწყვეტი დახმარება უნდა მიიღონ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის უზრუნველყოფად. აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს საპარლამენტო არჩევნების დაკვირვებას, ქალი კანდიდატებისათვის საჭირო ტრენინგ პროგრამების შემუშავებას და მედიის წარმომადგენლების მომზადებას გენდერულად სენსიტიური

გაშუქების კუთხით, არის პოზიტიური შედეგის მომტანი და ფინანსურად უნდა იქნეს მხარდაჭერილი.

ქალები თანამედროვე საზოგადოებაში თავისუფალი და საუკეთესო ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ ისინი აქტიურად ჩაებმებიან ახალ ცხოვრებაში, ეზიარებიან და გაითავისებენ ახალ ღირებულებებს, თუ მოხდება მათი რეალური ემანსიპაცია. ამ ამოცანის გადასაჭრელად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკას ქალთა საკითხში. აღსანიშნავია, რომ ხშირად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები, მათ შორის საკანონმდებლო, ძირითადად შრომით საქმიანობას და სოციალურ სფეროებს ეხება. ისინი ქალების საზოგადოებრივი სტატუსისა და გავლენის ამაღლებას არ ითვალისწინებს. სახელმწიფო პოლიტიკად მიჩნეულია სახელისუფლო ინსტიტუტების და საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემის საქმიანობა. მისი მიზანია სოციალური ყოფიერების სხვადასხვა სფეროს ოპტიმალური მართვა. იგი გულისხმობს კონკრეტული სოციოკულტურული ისტორიული ამოცანების დროულ გადაჭრას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ათასწლეულის განვითრების მიზნების განხორციელების ანგარიში საქართველოში http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off
2. ბაგრატია თ. - ,,საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი გენდერულ ჭრილში" თბილისი, 2013
3. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები 2015, თბილისი http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2015/convention%20on%20elimination%20of%20violence%20recommendqations%20(1).pdf?vs=1641
4. გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში თბ 2014 http://sapari.ge/wp-content/uploads/2016/05/genderdisrciminacia-shromit-urtiertobebshi.pdf
5. გენდერი და საზოგადოება: საქართველო http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00--- (გადამოწმებული, 01.06.2017)
6. გენდერული თანასწორობა – საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის მიმოხილვა ნარგიზა არჯევანიძე http://css.ge/files/Papers/Nargiza_Arjevanidze,_Gender_Equality_-_legislation,_August_2012_Geo.pdf
7. გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1
8. გენდერი და საზოგადოება http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00 (გადამოწმებული 01.05.2017)
9. ზურაბიშვილი, თ. (2006). თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევებში. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

10. კიკნაძე თ. დონაძე ნ. "გენდერი – სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი". თბილისი 2006.

11. კვოტირების სისტემა თბილისი, 2014 http://www.ysg.ge/upload/file/kvotirebis_sistema.pdf

12. მოდებაძე ს. - ,,გენდერული კვოტა, მდგრადი განვითარების მიზნები და მეტი ქალი პარლამენტში," 28სექტემბერი , 2015

13. მერკვილაძე ი. - ,,გენდერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი," თბილისი, ,,კავკასიური სახლი,'' 2003

14. პატარაია ბ. - ,,ქალები პოლიტიკაში:კვოტებით თუ მის გარეშე?'' 04.02.2015 https://ge.boell.org (გადამოწმებულია, 05.06.2015)

15. პატარაია ბ. - ,,კვოტები-ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესების ეფექტური მეთოდი'',ბაია პატარაია, 15.12.2014 http://liberali.ge/(გადამოწმებულია, 05.06.2015)

16. ყუფუნია თ. - ,,გენდერული კვოტა უკეთესი პოლიტიკისთვის" 3ttp://www.feminism-boell.org/ka/2015/04/22/genderuli-kvota-uketesi-politikistvis 22 აპრილი, 2015 (გადამოწმებულია, 04.06.2015)

17. ჭანიშვილი მ. - ,,ქალები პოლიტიკაში. კვოტით თუ მის გარეშე? http://forbes.ge/news/706/qalebi-politikaSi (გადამოწმებულია, 04.06.2015)

18. ხომერიკი ლ. - ,,გენდერი და პოლიტიკა," თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006

19. Amy C. Alexander & Welzel, C. 2003. `Empowering Women: Four Theories Tested on Four Different Aspects of Gender Equality.

20. Dahlerup, D. 1998. `Using Quotas to Increase Women's Political Representation. In Women in Parliament: Beyond the Numbers. Inter-Parliamentary Union.

21. Dahlerup, D. & Freidanvall, L 2003. `Quotas as a 'Fast Track' to Equal Representation of Women. International Feminist Journal of Politics.

22. Darcy, R., S. Welch & J. Clark. 1994. Women, Elections and Representation. Lincoln: University of Nebraska Press.

23. Inglehart, R. & Norris, P. 2003. Rising Tide: Gender Equality and Cultural Change Around the World. Cambridge: Cambridge University Press.

24. Inglehart, R., Norris, P. & Welzel, C. 2002. `Gender Equality and Democracy. Comparative Sociology 1: 321-345.

25. Inglehart, R. & Welzel, C. 2005. Modernization, Cultural Change and Democracy: The Human Development Sequence. Cambridge: Cambridge University Press.

26. Norris, P. 1993. `Conclusions: Comparing Legislative Recruitment.In Gender and Party Politics, eds. J. Lovenduski & P. Norris. London: Sage.

27. Norris, P. 1996. `Legislative Recruitment. In, Comparing Democracies: Elections and Voting in Global Perspective, eds. L. Leduc, R.G. Niemi, & P. Norris. Thousand Oaks: Sage.

28. Norris, P. & Inglehart R. 2001. `Women and Democracy: Cultural Obstacles to Equal

29. Representation.Journal of Democracy 12: 126-140.

30. Norris, P. & Lovenduski, J., Eds, 1993. Gender and Party Politics. London: Sage.

31. Welzel, C. 2003. `Effective Democracy, Mass Culture, and the Quality of Elites: The Human Development Perspective.International Journal of Comparative Sociology 43: 269-98.

32. Welzel, C., Inglehart, R. & Klingemann, H.D. 2003. `The Theory of Human Development: ACross-Cultural Analysis. European Journal of Political Research 42: 341-80.

დანართი

სიღრმისეული ინტერვიუს სადისკუსიო გეგმა

კითხვები

ბლოკი I

1. რას ნიშნავს კვოტა, კვოტირების სისტემა თქვენი განმარტებით ?
2. ზოგადად რას ფიქრობთ საქართველოში ქალთა კვოტირების საკითხთან დაკავშირებით ?
3. რა შეიძლება აფერხებდეს ქალების წარმომადგენლობას პოლიტიკაში? რა მიზეზები შეიძლება დასახელდეს?
4. რესურსები, როგორ არის შესაძლებელი ვიხილოთ მეტი ქალი პოლიტიკაში?

ბლოკი II

5. რა დროს უთმობთ წინასაარჩევნო კამპანიის დროს გენდერის როლის განხილვას?
6. როგორ ფიქრობთ დღევანდელ პოლიტიკურ რეალობაში არსებობს თუ არა ქალისადმი ხელისშემშლელი გარემოებები, თუ არსებობს იქნებ განმარტოთ?
7. რას ნიშნავს კვოტა, კვოტირების სისტემა თქვენი განმარტებით ?
8. უჭერთ თუ არა მხარს დაწესდეს კვოტები ქალი დეპუტატებისთვის?
9. თქვენი აზრით გაზრდის თუ არა კვოტირების სისტემა ქალთა ჩართულობას და გააქტიურებას პოლიტიკაში?
10. რითია განპირობებული ქალთა ნაკლები წარმომადგენლობა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში?
11. კვოტირებათა სისტემა არის თუ არა რომელიმე სქესის კანდიდატისადმი დისკრიმინაციული?

ინტერვიუები ჩაწერილია პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და ასევე ექსპერტებთან.

„ქართული ოცნება“ - ცოტნე ზურაბიანი (20.06.2017)

„მოძრაობა თავისუფლებისთვის-ევროპული საქართველო“ - ელენე ხოშტარია (15.06.2017);

„მოძრაობა თავისუფლებისთვის-ევროპული საქართველო“ - გიორგი ტუღუში (27.05.2017);

ქალთა მოძრაობის აქტივისტი და უფლებადამცველი - ბაია პატარაია (14.06.2017);

ქალთა საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი - ელენე რუსეცკი (11.06.2017);

გენდერული თანასწორობის ქსელის კოორდინატორი - მაია კუპრავა-შერვაშიძე (10.06.2017)

ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში - ხათუნა ლაგაზიძე (11.06.2017).

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Chikviladze

Women Quotation in Georgia within 1990 – 2016

Faculty of Social and Political Science

The Master's Thesis is drawn up to obtain Master's Degree in Political Science

Supervisor: Giorgi Melikidze

Invited Lecturer of the

Department of Political Science

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ბეჟანი სურგულაძე

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი 2008, 2012-2016 წლების პარტიათა პროგრამებში

ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები: თამარ ქარაია

ლია თეთრაძე

თბილისი, 2017

ანოტაცია

ნაშრომი მცდელობაა დაადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი 2008, 2012-2016 წლების საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა პროგრამებში, რამდენად გამოკვეთილია პოლიტიკური პარტიების მთავარ საარჩევნო პროგრამებში ეს მეტად უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც ჩვენი სახელმწიფოსათვის რჩება ჯერ კიდევ მოუგვარებელ ერთერთ პრიორიტეტულ პრობლემად.

კვლევა ჩატარდა როგორც თეორიული მიმართულებით ისე პრაქტიკული კითხვარების საშუალებით, ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები დადასტურდა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების მეშვეობით. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, როგორიცაა სიღრმისეული ინტერვიუ და მეცნიერულ პრაქტიკაში არსებული კვლევების ანალიზი. ინტერვიუები ჩაიწერა ხელისუფლებაში მყოფი პარტიისა და მთავარი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. ჩვენს მიერ ჩატარებული და შესწავლილი კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა გარკვეული ფაქტორები, რაც პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ძალიან სპეციფიურად და განსხვავებულად არის ასახული, რაც გულისხმობს იმას რომ პოლიტიკური პარტიები სხვადასხვანაირად განიხილავენ ტერიტორიული მთლიანობის საკითხს და უმრავლეს შემთხვევაში ამ საკითხს მეტად გაუაზრებლად უყურბენ. ზოგი პარტიის პროგრამაში საერთოდ ვერ შეხვდები ამ საკითხზე მონაცემებს. მმართველი პარტიის და ძირითადი ოპოზიციური პარტიების შემთხვევაშიც არ გვაქვს ბოლომდე ჩამოყალიბებული რეალური სამოქმედო დეტალური გეგმები და საკითხი მათ პროგრამებშიც შედარებით ნაწილობრივ და ზერელედ არის ასახული.

კვლევაში გამოიყოფა: დამოუკიდებელი ცვლადი - პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ტერიტორიული მთლიანობის ხედვის განსხვავებულობა და ხარისხი, დამოკიდებული ცვლადი - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა პოლიტიკური პარტიების პროგრამების მიხედვით და შუალედური ცვლადი - პოლიტიკური პარტიის წევრების დამოკიდებულება პოლიტიკური პარტიების პროგრამებში შეტანილი ძირითადი საპროგრამო საკითხების მიმართ. კვლევაში დადასტურებულია ჰიპოთეზა, რომ საქართველოს პოლიტიკური პარტიები ბოლო პერიოდის 2008, 2012, 2016 წლების საარჩევნო პროგრამებში გარკვეულ ადგილს უთმობენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს და ცდილობენ დაასაბუთონ ამ საკითხის პრიორიტეტულობა.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, პოლიტიკური პარტიების პროგრამები, ტერიტორიული მთლიანობის გადაჭრის გზები და პერსპექტივები.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი 2008, 2012-2016 წლების პარტიათა პროგრამებში

სარჩევი

სარჩევი

შესავალი

ნაწილი I

თავი I: კვლევის დიზაინი.....

1.1 კვლევის საგანი და საკითხის აქტუალურობა.....

1.2 საკვლევი მიზნები და ამოცანები.....

ნაწილი II

თავი II: ლიტერატურის მიმოხილვა.....

ნაწილი III

თავი III: კვლევის შედეგები

3.1 პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხედვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართ .....

3.2 პოლიტიკური პარტია ქართული ოცნების ხედვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართ.....

3.3 საქართველოს სხვა პოლიტიკური პარტიების ხედვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართ.....

3.4 აფხაზური პოლიტიკური პარტიების ხედვა კონფლიქტის დარეგულირებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართ.....

3.5 საქართველოს მეცნიერებაში არსებული ხედვები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართ.....

3.6. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები.....

თავი IV: მონაცემების ანალიზი

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

დანართი

შესავალი

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხების და არსებული პოლიტიკური პარტიების ხედვა მის მოგვარებასთან დაკავშირებით და საერთოდ კონფლიქტების მართვასა და დარეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა ყოველთვის აქტუალური იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან სახეზე გვაქვს მოუგვარებელი კონფლიქტები და ამასთან ღიად რჩება საქართველოს ტერიტორიული მთლინობის საკითხი. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში, კავკასიაში გაჩნდა ეთნიკური დაპირისპირების მრავალი კერა. მათ შორისაა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, რომელიც დღემდე მოუგვარებელი და გაყინული კონფლიქტებია. კონფლიქტები და ლოკალური ომები, ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, დამახასიათებელ ნიშნად იქცა პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სიტუაციისა. სახელმწიფოთა უმრავლესობა, ძირითადად პატარა და საშუალო ქვეყნები, გარკვევით უჭერენ მხარს და ითვალისწინებენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მათ შორის ერთა თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. მაგრამ როგორც კი, პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელმწიფო წარმონაქმნებმა, ეროვნულმა უმცირესობებმა დაიწყეს ამ პრინციპების სათავისოდ გამოყენება, გაჩნდა დიდი პრობლემა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სახით. საერთაშორისო თანამეგობრობამ თავის დროზე, მისი თავიდან აცილების თვალსაზრისით სამწუხაროდ, შესაბამისი ყურადღება არ მიაქცია. ამიტომ ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, დღეს მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების პრობლემა არ გახლავთ, არამედ დემოკრატიული და განვითარებული სახელმწიფოების პრობლემაცაა. ჩვენი სახელმწიფოსთვის ამ შემთხვევაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტები არის გაყინულ ფაზაში, რომელიც მოითხოვს ისეთ გადაწყვეტას, რომელიც მისაღები უნდა იყოს, როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისა და ოსებისათვისაც. საქართველოს განდგომილი რეგიონები და

მასთან ერთად სხვა მისი მსგავსი სუბიექტები უმრავლეს შემთხვევაში აპელირებენ საერთაშორისო სამართლის ისეთი პრინციპით, როგორიცაა ერთათვითგამორკვევის უფლება. სამწუხაროა, რომ საერთაშორისო დოკუმენტებში კონკრეტაულად არ არის განსაზღვრული, რომელ ხალხს აქვს უფლება ისარგებლოს თვითგამორკვევის უფლებით და რომელს - არა. ეს, თავის მხრივ, ქმნის ხელსაყრელ სიტუაციას, რომ აფხაზებმა და ოსებმა აღნიშნული გაურკვევლობა თავის სასიკეთოდ გამოიყენონ და მოითხოვონ საერთაშორისო აღიარება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეწინააღმდეგება თა-ნამედროვე საერთაშორისო სისტემის უმნიშვნელოვანეს პრინციპს, როგორიც გახლავთ ტერიტორიული მთლიანობა.

ცნობილია, რომ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა კონფლიქტის გასაღვივებლად და დასაწყებად, მერე გასაყინად და, რაც ყველაზე მთავარია, მისი მოგვარების ყველანაირ მცდელობას „ვეტო“ დაადო. 2008 წლის აგვისტოში კიდევ მერამდენედ მოახერხა ომის პროვოცირება, განახორციელა სამხედრო ინტერვენცია და სცნო აფხაზეთის ე.წ. „დამოუკიდებლობა“. რამაც კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა ჩიხში შეიყვანა და სხვა რეალობის წინაშე დაგვაყენა. თავის მხრივ კი, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება კიდევ უფრო გაართულა. როგორც ცნობილია 1994 წლიდან მიმდინარეობს კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული შეხვედრები, მოლაპარაკებები ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე. თვით ევროკავშირის საბჭომ, 2008 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ევროკავშირის ისტორიის მანძილზე, პირველად საჭიროდ ჩათვალა ჩართულიყო შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარებაში და ჰაიდი ტალიავინის (შვეიცარიელი დიპლომატი) ხელმძღვანელობით შექმნა „საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია“, როგორც კონფლიქტის შემდგომი პერიოდის პოლიტიკური და დიპლომატიური მოწესრიგების მექანიზმი, მიუხედავად ამისა ამან, პრობლემა

ვერ მოაგვარა და კონფლიქტის დარეგულირების პროცესმა პროგრესი ვერ განიცადა, სამწუხაროდ, ეს ტენდენცია გრძელდება დღემდე.

დღეისათვის და მომავალშიც მსოფლიოსთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწ-ვევად ეთნოკონფლიქტები დარჩება, ამიტომ საერთაშორისო თანამეგობრობას იმაზე მეტად გააქტიურება და ჩართულობა მართებს აღნიშნული პრობ-ლემების ხელშეწყობისა და მოგვარებისათვის, ვიდრე აქამდე. საჭიროა, ჩვენი მხრიდან მოვძებნოთ კონსესუსის და არსებული რეალობიდან გამომდინარე, პოლიტიკური და კონფლიქტური პროცესების მართვისა და შეთანხმების მიღწევის რეალური ბერკეტები, რაც ორივე მხარისთვის იქნება მისაღები. თუ გვინდა მოვაგვაროთ კონფლიქტი, მაშინ აუცილებელია ორმხრივად შეცდომების აღიარება და დათმობა, რაც შექმნის პირობებს მომმე ერების თანაცხოვრების, წინსვლისა და განვითარებისათვის. საქართველო ვალდებულია აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს შესთავაზოს ურთიერთთანაცხოვრების ის მოდელი, რომელიც მისაღები იქნება ორივე მხარისათვის, მაგრამ აფხაზებიც და ოსებიც ვალდებულნი არიან თავიანთი მზაობა, კონსტრუქციული მიდგომა და კონსესუსის კულტურა წარმოაჩინონ და კონფლიქტის დარეგულირებას რეალურად შეუწყონ ხელი, რადგან ეს მათ სასიცოცხლო ინტერესებშიც უპირობოდ შედის. ასეთი ორმხრივი მზაობისა და მიდგომის შემთხვევაში საერთაშორისო თანამეგობრობაც აქტიურად ჩა-ერთვება სწორად შერჩეული მოდელის განხორციელებაში, ამ მიდგომას, რუსეთმაც უნდა დაუჭიროს მხარი, რადგან ის ოფიციალურად აცხადებს, რომ ზრუნავს აფხაზეთზე და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე აფხაზებზე და ოსებზე. სხვა შემთხვევაში უფრო თვალსაჩინო იქნება და კიდევ ერთხელ დადასტურება იმისა, რომ რუსეთი ხელიდან არ უშვებს მის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთს და მისი „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ ცნობა უბრალო ფიქციაა.

აღნიშნულ ნაშრომში შემდეგი საკითხებია მიმოხილული: პირველ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის დიზაინი, კვლევის საგანი და საკითხის

აქტუალურობა, აგრეთვე კვლევის მიზნები და ამოცანები, ცვლადები და ინდიკატორები. ამასთანავე ნაშრომში განხილულია კვლევის ჰიპოთეზა, საკვლევი კითხვები. გარდა ამისა, წარმოდგენილია თეორიული ჩარჩო და კვლევის მეთოდოლოგია. მეორე ნაწილში საუბარია აღნიშნული თემის გარშემო არსებულ ლიტერატურაზე, აღწერილია მოტივაციის თეორიები და მასთან დაკავშირებული საკითხები; მესამე ნაწილში კი წარმოდგენილია ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევა განხორციელდა მოქმედი მმართველი პოლიტიკური პარტიებისა და ძირითადი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების პროგრამებისა და მათი წარმომადგენელების გამოკითხვის საფუძველზე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა დადგენილიყო რა ადგილი და როლი უჭირავს პოლიტიკური პარტიების პროგრამებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს და რამდენად სწორად განსაზღვრავენ ისინი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობებს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში არსებული რეალობის გათვალისწინებით, რამდენად რეალურია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები.

ნაწილი I

თავი I :კვლევის დიზაინი

1.1 კვლევის საგანი და საკითხის აქტუალურობა

თემის კვლევის საგანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი პოლიტიკური პარტიების პროგრამების მიხედვით, ხოლო თემის აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და ეთნოპოლიტიკური პროცესების მზარდი მნიშვნელობით. მსოფლიოში დღეს, პოლიტიკური თუ სამეცნიერო თვალსაზრისით, ერთ-ერთყველაზე მწვავე და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რეგიონული თუ ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირება და ამ საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანია

საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და მათი ხედვა კონფლიქტის დარეგულირების საქმეში. კონფლიქტები და მათი გამომწვევი მიზეზები, საერთაშორისო დონეზე, ყოველთვის განსაკუთრებული კვლევის საგანს წარმოადგენდა. თანამედროვე მკვლევართა ინტერესი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების კვლევისადმი ამიტომაც ერთობ გაორმაგებულია.

1.2.საკვლევი მიზნები და ამოცანები

საქართველოში აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით ნაკლებადაა შესაძლებელი ხელშესახები კვლევისა თუ ანალიზის მოძებნა, შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი საკითხებისადმი ჩვენი ინტერესი გამოიწვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით არსებულმა წინააღმდეგობრივმა პრობლემებმა. შესაბამისად ჩვენი კველვის საგანია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამებში 2008, 2012, 2016 წლების არჩევნებზე. საკითხის უკეთ გააზრებისათვის მიზნად დავისახეთ წინ წამოგვეწია: 1. პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხედვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით; 2. პოლიტიკური პარტია ქართული ოცნების ხედვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით; 3. საქართველოს სხვა პოლიტიკური პარტიების ხედვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით; 4. აფხაზური პოლიტიკური პარტიების ხედვა კონფლიქტის დარეგულირებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით; 5. საქართველოს მეცნიერებაში არსებული ხედვები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით; დასკვნით 6.

ქვეთავში კი წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები.

ანალიზისათვის საჭირო საკვლევი კითხვა შემდეგში მდგომარეობს:

2008,2012-2016 წლების პარტიათა პროგრამებში ასახული სტრატეგია არის თუ არა კონფლიქტების მოგვარების რეალური საფუძველი?

ამდენად ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით პოლიტიკური პარტიების პროგრამების შესწავლა ანალიზი, წინა პლანზე წამოვწიოთ ამ საკითხის გარშემო არსებული პრობლემების ძირითადი მიზეზები და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემაფერხებელი მოვლენები. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარეობს ნაშრომის ძირითადი ამოცანებიც: საქართველოს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესის ანალიზი; ამ საკითხის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით შესრულებული პოლიტიკური ღონის-ძიებების შეფასება.

მოცემული ნაშრომის კვლევითი ღირებულება მოიაზრებს საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო პრაქტიკის გამდიდრებას. კვლევაში გამოყენებულია განსხვავებული მეთოდები და მიდგომები.ონტოლოგიური თვალსაზირით კვლევის მიდგომა პრაგმატულია, გულისხმობს, როგორც ერთი, ისე მრავალი რეალობის არსებობას. კვლევაში გამოყენებულია წერის ობიექტური სტილი. იგი ახდენს არსებული პოზიციებისა და შეხედულებების შეგროვებას, ინტერპრეტაციას და ინტეგრირებას. საკვლევი მეთოდოლოგია პლურალისტულია და არ არის შეზღუდული და იგი მიმდინარეობს პოლიტიკურ კონტექტში. ნაშრომში გამოყენებულია ლიტერატურის მიმოხილვის, ანალიზის, ლოგიკური და სინთეზის მეთოდები.

თავი II: ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონის საკითხი დღემდე განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პერიოდის, როგორც ქართულ, აფხაზურ, ოსურ ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში. ჩვენი თემის სახელმძღვანელო ლიტერატურას შეადგენს საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები მაგრამ გარდა ამისა ჩვენ მოვიძიეთ და განვიხილეთ ისეთი ლიტერატურა რომელიც კარგად ასახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისა და შემდგომ პერიოდში არსებულ მდგომარეობას.

1991 წელს გამოქვეყნდა პროფ. ჯ.გამახარიასნაშრომი„ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან“. ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა საკმაოდ მდიდარი გახლავთ. საყურადღებოა, რომ ავტორს შესწავლილი აქვს აფხაზეთის ცენტრალური არქივის დოკუმენტები, საინტერესოდ აქვს გაშუქებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა ისტორიის პრობლემატური საკითხები [14].

1993 წელს მოსკოვში გამოიცა რუსი მეცნიერის ს. ჩერვონაიას წიგნი „აფხაზეთი _ 1992, პოსტკომუნისტური ვანდეა საქართველოში“ წიგნი ეძღვნება ქართულ-აფხაზურ ეთნოპოლიტიკურ პრობლემას, ავტორი მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიის კვალდაკვალ, იკვლევს კონფლიქტის გაჩენის მიზეზებს, გამოთქვამს თავის არაორდინალურ მოსაზრებას მისი სათავეებისა და არსის შესახებ.

1994 წელს გამოქვეყნდა პროფ. თ. მიბჩუანის ნაშრომი: „აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე“. მასში ძირითადად განხილულია: რა იყო აფხაზეთის ომის გამომწვევი მიზეზი; უშუალოდ აფხაზეთის ომში მომხდარი არაადამიანური სისასტიკის მაგალითები; ჩრდილო კავკასიელთა სამარცხვინო მისია აფხაზეთის ომში და ა.შ.

1995 წელს გამოქვეყნდა პროფ. ლ. მარშანიას ნაშრომი „აფხაზეთის ტრა-გედია“. მასში წამოჭრილია არაერთი საჭირბოროტო საკითხი, გაშუქებულია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში არსებული პრობლემები და გამოთქმულია მოსაზრებები ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენის გზებთან დაკავშირებით.

1995 წელს გამოიცა დ. სტურუას ნაშრომი: „სეპარატისტული მოძრაობა აფხაზეთში ჩვენი ასწლეულის სამოციან და სამოცდაათიან წლებში“, რომელშიც საინტერესოდაა გაშუქებული ნიკიტა ხრუშჩოვის ზეწოლის ფაქტები აფხაზი საბჭოთა თანამდებობის პირის მიმართ, რომელიც ეხებოდა აფხაზეთის რსფსრ-ში შესვლის მოთხოვნასთან დაკავშირებით მოხსენების დაწერას.

1996 წელს გამოიცა ლ. თოიძის ნაშრომი: „აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხისათვის“ , სადაც განხილულია აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებული სადაო საკითხები.

1996 წელს მკვლევარების ე. ბატიაშვილისა და ო. გოგიაშვილის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში „სახელმწიფო მმართველობა: „ფედერალიზმი“ თუ „უნიტარიზმი?“ არის მსჯელობა საქართველოში ფედერალიზმისა და უნიტარიზმის პრობლემებზე.

1996 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ე. ხოშტარია-ბროსეს ნაშრომი: „ისტორია და თანამედროვეობა. აფხაზეთის პრობლემა კონფლიქტოლოგიურ ასპექტში“, სადაც განხილულია ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა და კონფლიქტის მიმდინარეობის საინტერესო საკითხები.

1997 წელს ერთ-ერთმა პირველმა, ვინც საქართველოში ფედერალიზმის პრობლემას მეცნიერული გამოკვლევა მიუძღვნა, იყო ჯანრი კაშია, სახელწოდებით „თავისუფლება და ფედერალიზმი“, სადაც ავტორი შეეცადა

დაესაბუთებინა, რომ ისტორიულად საქართველო ფედერალიზმის პრინცი-პებზე აგებული ქვეყანა იყო.

1997 წელს გამოიცა ჯ. გამახარიასა და ბ. გოგიას ნაშრომი: „აფხაზეთი საქართველოს ისტორიული მხარე“, სადაც დასაბუთებულია, რომ აფხაზეთი ისტორიულად საქართველოს შემადგენელი მხარეა.

1997 წელს მოსკოვში გამოქვეყნდა პროფ. გ. ლეჟავას ნაშრომი: „სა-ქართველოსა და რუსეთს შორის. აფხაზურ-ქართული კონფლიქტის თანამედროვე ფაქტორები (XIX-XX სს.)“ გ. ლეჟავას ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია „მცირე ერების“ დამწერლობის რეფორმაზე. მასში გამოაშკა-რავებულია რეფორმის არსი და აფხაზ ისტორიკოსთა ცრუ ბრალდება ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის მცდელობის შესახებ.

1998 წელს გამოქვეყნდა ა. მენთეშაშვილის ნაშრომი: „თანამედროვე სეპარატიზმი საქართველოში ისტორიულ ფონზე“, ნაშრომში განხილულია საქართველოს რეალობაში არსებული თანამედროვე სეპარატიზმის ბუნება.

1999 წელს გამოქვეყნდა კრებული: „აფხაზეთის ლაბირინთი“, კრებულის ავტორები არიან: ვ. ყოლბაია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია და თ. ჭახრაკია. ნაშრომი ქრონოლოგიური სიზუსტით და მიუკერძოებლად ასახავს ბოლო ათწლეულებში, 1992-1993 წლებსა და შემდგომ პერიოდში აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს.

1999 წელს რუსულ ენაზე თბილისში გამოიცა გაეროს განვითარების პროგრამის მიერ საქართველოში დოკუმენტების კრებული: „კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები აფხაზეთში, საქართველო“, რომელიც მიღებულია 1992-1999 წლებში. ის ძალიან საინტერესო მასალებს შეიცავს კონფლიქტის დარეგულირების გზებთან დაკავშირებით.

1999 წელს რუსულ ენაზე თბილისში გამოიცა გაეროს გენერალური მდივნის „მოხსენებების კრებული აფხაზეთში, საქართველო არსებული მდგომარეობის შესახებ 1992-1999 წლებში“, სადაც გადმოცემულია 1992-1999 წლებში აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობისა და კონფლიქტის დარეგულირების პროცესთან დაკავშირებული საინტერესო საკითხები.

2000 წელს საქართველოს ტერიტორიული მოწყობას და აფხაზეთს ნაშრომი მიუძღვნა მკვლევარმა გ. ხუბუამ, რომელსაც მიაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის ყველაზე მისაღებია ქვეყნის ფედერალური მოწყობა. ავტორი აღნიშნავს, რომ „ფედერაციული მართვის სისტემა არის ერთადერთი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრებას ერთიან საქართველოს სახელმწიფოში“.

2000 წელს გამოქვეყნდა კრებული: „აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფ-ლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 1989-1999 წწ.“ ნაწილი I, აღნიშნული კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორია ვახტანგ ყოლბაია. მასში თავმოყრილი იურიდიული დოკუმენტები ცხადად ასახავს იმ ვითარებას, რომელშიაც საქართველო იმ პერიოდში იმყოფებოდა.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობის თემაზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული პროფესორ თ. გვანცელაძეს. მისი გადმოცემით სის-ტემატურად მიმდინარეობდა შეხვედრები აფხაზურ და ქართულ არასამთავ-რობო ორგანიზაციებს შორის... სადაც წინ იყო წამოწეული ფედერალიზაციის საკითხი. ამ შეხვედრების შესახებ გამოსულია ცხრატომიანი მასალები _ „ქართულ აფხაზური კონფლიქტის ასპექტები“.

2002 წელს გამოქვეყნდა კრებული: „რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ

(1989-2001, პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული“, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორია თამაზ დიასამიძე. კრებულში მკაფიოდ არის ასახული, თუ რა სიტუაცია იყო შექმნილი აფხაზეთში, როგორც პოლიტიკური, ასევე კრიმინალური თვალსაზრისით.

2002 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა დავით ჩიტაიას წიგნი: „აფხაზური სეპარატიზმი. ისტორია და თანამედროვეობა“, სადაც შესწავლილი და გაანალიზებულია აფხაზური სეპარატიზმისათვის დამახასიათებელი ძირითადი საკითხები.

2003 წელს გამოქვეყნდა წიგნი თამაზ ნადარეიშვილის, დავით ჩიტაიასა და პაატა დავითაიას ავტორობით: „სეპარატიზმის პრობლემა საქართველოში“ სადაც განხილული და გაანალიზებულია სეპარატიზმის პრობლემა საქართველოში და ამ კუთხით წინა პლანზე წამოწეულია განსაკუთრებით აფხაზეთში განვითარებული მოვლენები, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

2003 წ. გამოიცა მკვლევარ ი. გელენავას მონოგრაფია: ,,აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან“, სადაც წარმოჩენილია პოლიტიკური ცხოვრების გავლენა აფხაზეთში კულტურულ ცხოვრებაზე, ასევე ნაჩვენებია აფხაზური დამწერლობის განვითარების ეტაპები, ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

2003 წელს გამოქვეყნდა ვლადიმერ ზარიძის ნაშრომი: „აფხაზეთი ტაბუდადებული ისტორიის საკითხები“, ნაშრომი ეხება საქართველოს ისტორიის, კერძოდ აფხაზეთის აქტუალურ პრობლემას. ავტორი გვთავაზობს ბევრ საყურადღებო მოსაზრებას, რიგ საჭირბოროტო საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც მეცნიერული თვალსაზრისით იმსახურებს ყურადღებას.

2004 წელს გამოქვეყნდა მკვლევარ გ. გასვიანის ნაშრომი: „აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში“, ნაშრომში თავმოყრილი და განხილულია ქართულ–აფხაზური ურთიერთობების პრობლემათა მთელი სპექტრი. ამასთან აღსანიშნავია ნაშრომის მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა.

2004 წელს გამოქვეყნდა მკვლევარ ჯემალ გამახარიას ნაშრომი: „ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში(1990-1993წწ)“, სადაც ნაჩვენებია ზვიად გამსახურდიას გონივრული პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებაში და ის კომპრომისული ნაბიჯები, რომელიც გადაიდგა აფხაზეთში არსებული კრიზისული ვითარების განსამუხტად.

2005 წელს გამოქვეყნდა მკვლევარების გ. გასვიანისა და თ. გასვიანის წიგნი: „აფხაზეთის ომი“, ნაშრომში ძირითადად შესწავლილი და გაანალიზებულია ქართულ-აფხაზური ომის დასაწყისი მიმდინარეობა და ომის პერიოდში განვითარებული მძიმე ვითარება და ომისგან გამოწვეული შედეგები.

2005 წელს გამოქვეყნდა მკვლევარ ჯ. ანჩაბაძის ნაშრომი: „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიიდან“. ჯ. ანჩაბაძე მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენა უნდა მოხერხდეს მხოლოდ მშვიდობიანი გზით, გულწრფელი დიალოგით, სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების ჩართვით, ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობით და არა სამხედრო გზით.

2005 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა დ. ჩიტაიას წიგნი: „სეპარატიზმის პრობლემა ცენტრალურ კავკასიაში“, საარქივო დოკუმენტებისა და სხვა მასალების გამოყენებით ავტორი აანალიზებს ქართველი და აფხაზი ხალხის ურთიერთობებს. ხაზს უსვამს ბოლშევიკური რუსეთის ვერაგულ პოლიტიკას რომლის მიზანიც იყო დაეპირისპირებინა ორი მოძმე ხალხი და თვლის, რომ

სწორედ რუსული პოლიტიკის ძალისხმევით მოხდა აფხაზური სეპარატიზმის გააქტიურება.

2007 წელს გამოქვეყნდა პროფ. ზ. პაპასქირის ნაშრომი: „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი II. 1917- 1993“, მასში შესწავლილი და გაშუქებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები აფხაზეთში 1917 წლიდან 1993 წლის სექტემბრამდე. ნაშრომში ძირითადი ყურადღება გადატანილია ე.წ. „სადავო საკითხებზე“.

2007 წელს გამოქვეყნდა ჯ. გამახარიას რედაქტორობით სხვადასხვა ავტორთა ერთობლივი ნაშრომი: „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (აფხაზეთი) უძველესი დროიდან დღემდე“, სადაც ჩვენთვის საინტერესო ნაშრომებია მკვლევარების ი. გელენავას „„აფხაზეთი 1881 წლიდან 1917 წლის თებერვლამდე“ და დ. ჯოჯუას. „აფხაზეთი საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში 1938-1990წწ; „აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში 1990-1992წწ“. და „აფხაზეთი 1992-2007 წლებში“, ნარკვევები გამოცემულია რუსულ და ინგლისურ ენებზეც. ნარკვევების გამოქვეყნება წინ გადადგმული ნაბიჯია ქართულ–აფხაზური ურთიერთობების კვლევის საქმეში.

2007 წელს გამოქვეყნდა მკვლევარ დაზმირ ჯოჯუას ნაშრომი: „აფხაზეთი 1938–2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები“. ავტორის განსაკუთრებული კვლევის ინტერესს შეადგენს აფხაზეთის კრიზისის გენეზისი და მისი გადაზრდა ომში, 1992-1993 წწ. რუსეთ-საქართველოს ომის ძირითადი პერიპეტიები, პოსტკონფლიქტური აფხაზეთის განვითარების ტენდენციები, აფხაზეთის კრიზისის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული განზომილება.

2008 წელს თბილისში გამოქვეყნდა კრებული „2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები საქართველოში: საარჩევნო პროგრამები“ ,

პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის რედაქტორობით სადაც წარმოდგენილია 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისა და 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე თორმეტივე საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო პროგრამები. ეს დოკუმენტები მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის საქართველოსთვის მნიშვნელოვან საარჩევნო წელს პოლიტიკური სპექტრის ხედვებსა და პრიორიტეტებს.

2009 წელს გამოქვეყნდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის მიერ ავტორთა კოლექტივის ვ. ყოლბაიას, ი. ხაინდრავას, ნ. სარჯველაძის, ე. ჩომახიძის, ა. გეგეშიძის საერთო ნაშრომი „სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიები: საფრთხის მოლოდინი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონტექსტში“, ამ კრებულის ხუთ თავში განხილულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წინა ისტორია, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ანალიზი ახალი რეალობის კონტექსტში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

2009 წელს თბილისში გამოიცა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრის ნაპო მესხიას მემუარული ხასიათის წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ , ავტორი მკითხველს საშუალებას აძლევს ღრმად ჩაიხედოს აფხაზეთის ტრაგედიასთან დაკავშირებულ ნიუანსებში და გახდეს მისი თანამონაწილე.

2010 წელს იანვარში თბილისში გამოქვეყნდა „საქართველოს მთავრობის სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ჩართულობა თანამშრომლობის გზით“, რომელშიც საქართველოს მთავრობა შეეცადა შეემუშავებინა შერიგების ეფექტური მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემდა ქართველ, აფხაზ და ოს ხალხს ეთანამშრომლათ და განესაზღვრათ საერთო მიდგომები საკუთარი წარსულისა და ისტორიის მიმართ,

განსაკუთრებით იმ კონფლიქტის მიმართ, რომელიც განვითარდა ბოლო წლების განმავლობაში.

2011 წელს გამოქვეყნდა პროფ. გ. ანჩაბაძის ნაშრომი: „ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საკითხები. II ნაწილი“, ნაშრომში შესწავლილი და გაშუქებულია ქართულ-აფხაზური ურთიერთობების არაერთი პრობლემური საკითხი და შეტანილია ასევე ავტორის მიერ გამოქვეყნებული ინტერვიუები.

2011 წელს გამოქვეყნდა პოლიტოლოგ ნ. ჩიტაძის სქელტანიანი ნაშრომი: „გეოპოლიტიკა“, რომლის X თავში განხილულია ჩვენთვის საინტერესო საკითხი: საქართველოში არსებული ოკუპირებული რეგიონები და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები.

2011 წელს თბილისში გამოქვეყნდაშ. მალაშხიას წიგნი: „კონფლიქტების ანატომია“, სადაც ავტორი საინტერესო ჭრილში განიხილავს კონფლიქტების ბუნებას, წარმოშობის მიზეზებს და მთლიანობაში კონფლიქტებისთვის დამახასიათებელ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს [68].

2011 წელს პროექტის „სამოქალაქო საზოგადოება და კონფლიქტის ტრანსფორმაცია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდებოდა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველო“-ს ფინანსური მხარდაჭერით, ასოციაციამ „სამართალი და თავისუფლება“ ჩაატარა კვლევა: „სამოქალაქო დიპლომატია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში“. პროექტის ფარგლებში გამოცემულ ნაშრომში მოცემულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესს. ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის კვლევას თან ახლავს რეკომენდაციები, რომელიც ეფუძნება კვლევის შედეგებსა და ძირითად მიგნებებს.

2011 წელს თბილისში გამოიცა ჟურნალისტ რ. გელანტიას წერილებისა და ნარკვევების კრებული: „აფხაზეთი, საქართველო პოსტკონფლიქტური ლაბირინთი“, კრებულში შესულია ის შრომები, რომლებიც წლების

განმავლობაში იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში. მასში ავტორი ცდილობს დაინტერესებულ მკითხველს გააცნოს კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საკითხებზე ქართული საზოგადოების წიაღში შემუშავებული სამშვიდობო გზავნილები.

2012 წელს თბილისში გამოიცა გ. გორაძის მონოგრაფია: „ფედერალიზმის პერსპექტივები საქართველოში“, სადაც ავტორი მიიჩნევს, რომ საქართველოს ფედერალიზაცია, არ არის გამოსავალი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით.

2012 წელს გამოქვეყნდა მკვლევარ ს. ალექსაიას ნაშრომი: „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტების ანატომია“, ავტორის მიერ განხილულია არაერთი ურთულესი პრობლემა, როგორიცაა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების წარმოშობის წანამძღვრები, მათი გამომწვევი მიზეზები უძველესი დროიდან დღემდე.

2012 წელს გამოქვეყნდა კახაბერ ფიფიას წიგნი: „აფხაზური სახელმწიფოებრიობა“ - მითი თუ ისტორიული რეალობა? ნაშრომში შესაბამის წყაროთა ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ აფხაზ მკვლევართა „თეორიის“ „აფხაზური სახელმწიფოს“ არსებობის შესახებ არავითარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია ერთიანი ქართული პოლიტიკური სახელმწიფოებრივი სივრცის ნაწილია.

2014 წელს გამოქვეყნდა პროფესორ მ. მაცაბერიძის წიგნი, საქართველოს პოლიტიკური სისტემა, სალექციო კურსი (თემა 6, საქართველოს ტერიტორიული მოწყობა. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი,

სადაც ავტორი ეხება უნიტარიზმისა და ფედერალიზმის პრობლემებს და მიიჩნევს, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიული მოწყობა ფედერალიზმისაკენ უნდა გადაიხაროს.

2014 წელს თბილისში გამოქვეყნდა პროფესორების ჯ. გახოკიძისა და ს. მიდელაშვილის მონოგრაფია: „ჰონკონგი, ჩინეთი 1997“, სადაც საქართველოს ფედერალიზაციის იდეის მხარდაჭერაა მოცემული და საერთაშორისო სამართალში კონფლიქტის დარეგულირების მშვიდობიანი გადაწყვეტის პრეცედენტი და ჰონკონგის დედასახელმწიფოში დაბრუნების ფაქტია ნაჩვენები.

2014 წელს თბილისში გამოიცა ბორის კვარაცხელიას წიგნი: „რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ (აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“) და საერთაშორისო თანამეგობრობა“, სადაც თვალსაჩინოდაა ნაჩვენები რუსეთის მზაკვრული პოლიტიკა და ჩანაფიქრი საქართველოს წინააღმდეგ და ამასთან გაშუქებულია საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა საქართველოს მხარდაჭერისა და დაცვის თვალსაზრისით.

2016 წელს დაიბეჭდა მკვლევარ ი. კვესელავას წიგნი: „საქართველოს ის-ტორიის ქრონიკები III, ტერიტორიული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ასპექტები“, სადაც შესწავლილი და განხილულია ჩვენთვის საინტერესო საკითხები: „საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა და აფხაზეთი“ და „აფხაზეთი _ თანამედროვე საერთაშორისო და ქართულ პოლიტიკაში“.

ჩვენთვის საინტერსო მასალებია დაცული აგრეთვე: გ. ნოდიას, ი. ანჩაბაძის ნაშრომში: „ქართველები და აფხაზები: გზა შერიგებისკენ“; ვ. ყოლბაიას, ნ. სარჯველაძის, ა. გეგეშიძის და სხვ. „საერთაშორისო მონაწილეობა ქართულ-

აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში“ ; ვ. ყოლბაიას, ა. გეგეშიძის, ი. ხაინდრავას „აფხაზეთი: დეიზოლაცია არაღიარების კონტექსტში; ჯ.გახოკიძის, ძიებანი რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობებისა და კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით (ომი თუ მშვიდობა); ვ. გურგენიძის, ნ. წერეთლის, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტების მართვასა და მოწესრიგებაში, ეკატერინე გუჩუას, აფხაზეთის სახელმწიფოს სამართლებრივი ჩამოყალიბება და განვითარება; ბ. კოპიტერესის, გ. ნოდიას და ი. ანჩაბაძის რედაქციით „ქართველები და აფხაზები - გზა შერიგებისკენ“; ა. გუშერის „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, როგორც გეოპოლიტიკური არასტაბილურობის წყარო სამხრეთ კავკასიის ზონაში“ ; ა. კრილოვის „პოსტსაბჭოთა აფხაზეთი“; მ. ვოლხონსკი, ვ. ზახაროვი, ნ. სილაევის, „კონფლიქტები აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. დოკუმენტები 1989-2006 წწ.; აფხაზეთის თეთრი წიგნი, დოკუმენტები და მასალები მოწმობენ 1992-1993; ს. ლაკობას „საქართველოს ასწლიანი ომი აფხაზეთის წინააღმდეგ“; გ. ლეჟავს „აფხაზურ-ქართული კონფლიქტის ეთნოპოლიტიკური ფაქტორების ძირითადი ეტაპები“; ქ. ციხელაშვილის, სტატია „დასავლური პარადიგმის ფარგლებში აფხაზეთის „იზოლაცია/დეიზოლაციის“ საკითხი“; ნ. აკაბას, და ი. ხინთიბას „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაცია“ და ა. შ.

ჩვენთვის საინტერსო ინფორმაციაა დაცული ასევე პერიოდულ პრესაში ასევე მნიშვნელოვანი მასალაა გაბნეული სხვადასხვა ინტერნეტ ვებ - საიტებზე: http://ugsra.org/ofitsialnaya-statistika.php ;http://apsnyteka.org/ ; http://presidentofabkhazia.org/ ; http://www.km-ra.org/index.php/en/; http://parlamentra.org/; http://meca.gov.ge/; http://abkhazia.gov.ge/ .

ნაწილი III

თავი III: კვლევის შედეგები

3.1 პოლიტიკური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხედვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართ

3.2 პოლიტიკური პარტია ქართული ოცნების ხედვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართ

3.4 აფხაზური პოლიტიკური პარტიების ხედვა კონფლიქტის დარეგულირებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართ

აფხაზური ეთნოკრატიისა და პოლიტიკური კონიუნქტურის ჩამოყალიბების ყოველი ეტაპი წინასწარ იყო დაგეგმილი და მათ იმპერიული ცენტრიდან ინსპირირებულ აფხაზურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა: 1957, 1967, 1977-1978, და 1988-1989 წლებში, რაც მთლიანობაში წარმოადგენს აფხაზური სეპარატიზმის ჩამოყალიბება-განვითარებისეტაპობრივ ქრონოლოგიას. აფხაზური ეთნოკრატია, საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობაში ჩამოყალიბებული პროაფხაზური ლობის მხარდაჭერით, იწყებს მიზანმიმართულ მოძრაობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, მიუხედავად ქრონოლოგიური და გარკვეული თვალსაზრისით პოლიტიკურთემატური განსხვავებისა, ყველა ეს პუტჩი

მიმართული იყო საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გამოსვლისაკენ. მაგრამ ამასთან აფხაზურ პოლიტიკურ წრეებში იყო საქართველოსთან ურთიერთთანაცხოვრების მოწყობაზეც საუბარი, კერძოდ:აფხაზების თავდაპირველი 1992 წლის აგვისტომდე არსებული წინა-დადება საქართველოსა და აფხაზეთის პოლიტიკური ურთიერთთანაცხოვ-რების შესახებ, პროექტის სახით იურისტ ტარას შამბას ეკუთვნის. ეს იყო პირველი აფხაზური მხარის პროექტი, სადაც მოცემული იყო აფხაზეთისა და საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური თანასწორობის საკითხი საქართვე-ლოს რესპუბლიკის საზღვრებში.ამ წინადადების თანახმად, ორივე მხარე იქნებოდა სუვერენული სახელმწიფო, საერთაშორისო და საგარეო-ეკო-ნომიკურ ურთიერთობების თანასწორი მონაწილე. ისინი შეძლებდნენ და-მოუკიდებლად დაედოთ ხელშეკრულებები და შეთანხმებები სხვა სახელმწი-ფოებთან, რომელიც მიმართული არ იქნებოდა სხვის წინააღმდეგ და ზიანს არ მიაყენებდა სხვა ქვეყნებს. აფხაზეთის რესპუბლიკა თავისი სურვილით უნდა შეერთებოდა საქართველოს რესპუბლიკას. აფაზეთის რესპუბლიკას უნდა ჰქონოდა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება თავის ტერიტორიაზე გარდა იმ სამთავრობო უფლებამოსილებებისა, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისად გადატანილი იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციაში. მაგრამ ომის შემდგომ პერიოდში აფხაზური პოზიცია, რადიკალურად შეიცვალა რაზეც აფხაზი ავტორივ. ჩირიკბა წერს: „ომის შემდგომ პერიოდში აფხაზეთი იქცა სრულყოფილ სახელმწიფოდ თავისი ყველანაირი სახელმწიფო ატრიბუტებით, სტრუქტურებით და ინსტიტუტებით, დემოკრატიული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებით, სტაბილური პოლიტიკური სისტემით და სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკით“ [82. 19]. დასახელებული არგუმენტების უმეტესობა რეალობისგან ძალიან შორსაა. სახელმწიფო ატრიბუტები სტრუქტურები და ინსტიტუტები ნამდვილად არსებობს, ეს ფაქტია, მაგრამ დემოკრატიული

პროცესები, არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები, ბოლომდე სტაბილური პოლიტიკური სისტემა და სიცოცხლის უნარიანი ეკონომიკა აფხაზეთში ამ ეტაპზე ნაკლებად რეალურია და ასეთი განცხადებები მხოლოდ თავის მოტყუებაა.

ცნობისათვის ძალიან საინტერესოა, როგორი იყო აფხაზეთის რადიკალური პოლიტიკური ფრთის პოზიცია აფხაზეთის სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებით: აფხაზეთი _ სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოა. მას აქვს საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი, დროშა, ჰიმნი და სხვა ეროვნული სიმბოლოები, ასევე ჰყავს გამოცდილი ჯარი რომელიც მზად არის დაიცვას ქვეყნა და მისი საზღვრები. აფხაზები _ ერთადერთი მკვიდრი მოსახლეობაა აფხაზეთში. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურად უმცირესობაში იყვნენ გადაყვანილი საკუთარ მიწაზე, აფხაზეთში მეფის რუსეთის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკის შედეგად, ხოლო მოგვიანებით_ სტალინისა და ბერიას მოსახლეობის მასობრივი გადაადგილების პოლიტიკის გამო, ისინი არ უნდა განიხილებოდნენ, როგორც უმცირესობა და მათ უფლებას თვითგამორკვევის შესახებ პატივი უნდა ვცეთ. თვით საბჭოთა დროს, აფხაზეთი იყო სახელმწიფო. აფხაზეთს, როგორც სახელმწიფოს აქვს უფლება თავისუფლად განსაზღვროს საკუთარი ბედი, და მისი დამოუკიდებლობა არ უნდა იქნას გაგებული, როგორც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. საქართველოს ომი აფხაზეთის წინააღმდეგ მიმართული იყო აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის და აფხაზი ხალხის გასანადგურებლად. ამ ომში გამარჯვებამ, რომელიც იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი საქართველოს კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, აფხაზეთმა დაიმსახურა ლეგიტიმური უფლება თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისა. იგი მზად არის, კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს საქართველოსთან აფხაზეთის დამოუკიდებლობის მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის

საფუძველზე. საქართველომ უნდა აღიაროს, რომ აფხაზეთის გამოყოფა ფაქტია, და მან არ უნდა შეუქმნას სირთულეები მშვიდობიანი გადასვლის გზაზე აფხაზეთის დამოუკიდებლობას. მან უნდა აუნაზღაუროს აფხაზეთს მისი სამხედრო აგრესიის დროს მიყენებული ყველა ზარალი. მაშინაც კი, თუ აფხაზეთის სახელმწიფო არ იქნება აღიარებული საერთაშორისო თანამეგობ-რობისა და გარკვეული მთავრობების მიერ, აფხაზეთი როგორც და-მოუკიდებელი რესპუბლიკა მაინც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. აფხაზეთი მზად არის დაიცვას აფხაზი პატრიოტების ძვირადღირებული სისხლით მიღწეული თავისი დამოუკიდებლობა, ყველა არსებული საშუალებით [83. 409].

აფხაზეთის ოფიციალური პოზიცია იყო შემდეგი: აფხაზეთი _ სუ-ვერენული დემოკრატიული სახელმწიფოა, ის საერთაშორისო სამართლის სუბიექტია. მას აქვს საკუთარი კონსტიტუცია, პარლამენტი, დროშა, ჰიმნი და სხვა ეროვნული სიმბოლოები, ასევე, ჰყავს არმია. ამ ეტაპზე აფხაზეთი და საქართველო არ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან არანაირი სამართ-ლებრივი დოკუმენტით და ფაქტიურად დამოუკიდებელნი არიან ერთ-მანეთისაგან.

საქართველომ უარი უნდა თქვას თავის აგრესიულ პოლიტიკაზე აფხაზეთში, და მან აფხაზეთს უნდა გადაუხადოს კომპენსაცია ყველა იმ ზარალის გამო, რომელიც გამოიწვია მისმა სამხედრო აგრესიამ აფხაზეთში. აფხაზეთი ოფიციალური მხარის პოზიციით მზადა იყო საქართველოსთან ჩამოეყალიბებინა ფედერაციული კავშირი საქართველოსა და აფხაზეთის პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე საერთო სახელმწიფო სტრუქტურის ფარგლებში. აფხაზეთი არ აპირებდა,განეხილა მისი შიდა პოლიტიკური სტატუსი, მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ისედაც უკვე განსაზღვრული იყო აფხაზეთის ახალი კონსტიტუციით. აფხაზური ოფიციალური მხარე თანახმა იყოგანეხილა მხოლოდ ინტეგრაციის ფორმები,

პირობები და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები საქართველოსთან ფედერალური კავშირის ფარგლებში. აფხაზეთს უნდა ჰქონოდა სრული შიდა სუვერენიტეტი და ყოფილიყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მას უნდა ჰყოლოდა საკუთარი პარლამენტი, მთავრობა, კონსტიტუცია, ჯარი და პოლიცია, ჰქონოდა დროშა, ჰიმნი და სხვა სახელმწიფო სიმბოლიკა, საკუთარი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსები, იფუნქციონირებდა საკონსტიტუციო სასამართლო, დამოუკიდებელი საგადასახადო და კულტურული პოლიტიკა. ამ უფლებამოსილებათა გარეთ, აფხაზეთი მზად იყო დელეგირება მოეხდინა საერთო სახელისუფლებო ორგანოებთან, ისეთ სახელმწიფო უფლებამოსილებებზე, როგორიცაა საგარეო პოლიტიკა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები, სასაზღვრო კონტროლი და საბაჟო სამსახურები, საერთაშორისო სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელები, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების დაცვა და ა.შ. კომპეტენციები დაყოფილი უნდა ყოფილიყო ორ შემდეგ კატეგორიად: საქართველოსა და აფხაზეთის საერთო იურისდიქციის ქვეშ მყოფი კომპეტენციები და მხოლოდ ექსკლუზიურად აფხაზეთის იურისდიქციის ქვეშ მყოფი კომპეტენციები [83. 409]. ასეთი პოზიცია გააჩნდა აფხაზურ ოფიციალურ მხარეს მაგრამ მის რეალიზებას ყველაზე მეტად რუსეთი შეუშლიდა ხელს. ქართული მხარე თანახმაც, რომ ყოფილიყო ამ პროექტის რეალიზაციის, მას არაფრით დაუშვებდა კონფლიქტის მოუგვარებლობით დაინტერესებული რუსეთის ფედერაცია. ასე, რომ აფხაზები ზემოთ დასახელებული მოდელის განუხორციელებლობას ქართულ მხარეს ვერ გადააბრალებენ.

აფხაზურ საზოგადოებაში ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ არსებული პოზიციებიდან შეიძლება უმთავრესი მიმართულების გამოყოფა და ესაა: „აფხაზეთი თავისი სახელმწიფოებრიობის 1200 წელს ითვლის. მრავალი ასეული წლის განმავლობაში ის იყო დამოუკიდებელი სამეფო ან სამთავრო.

აფხაზეთი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1810 წელს საქართველოსგან დამოუკიდებლად. 1918 წელს აფხაზეთი გახდა მთიელთა რესპუბლიკის ნაწილი, სანამ საქართველო გამოაცხადებდა თავის დამოუკიდებლობას. გასულ საუკუნეში საქართველო სამჯერ წარმოადგენდა მთავარ საფრთხეს აფხაზეთის არსებობისათვის.1918-1921 წლებში აფხაზეთი ოკუპირებული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ. ამასთან დაპატიმრებულ იქნა აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოკლულ იქნა გლეხობა, გადაიწვა სოფლები. აფხაზეთში ინერგებოდა ქართული ენა და მიმდინარეობდა ქართველი კოლონისტების ჩასახლება. საბჭოთა რეჟიმის დროს აფხაზეთი იძულებული იყო გაერთიანებულიყო საქართველოსთან 1921 წელს, მაგრამ ის რჩებოდა მოკავშირე რესპუბლიკად 1931 წლამდე. ამავე წლიდან ის აფხაზი ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ შეყვანილ იქნა საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში ქართველი ბოლშევიკის სტალინის მიერ. ბერიასა და სტალინის დროიდან აფხაზეთის ინტელიგენციის დიდი ნაწილი ფიზიკურად განადგურდა, აფხაზური ტოპონიმები შეიცვალა ქართულით, შეწყდა აფხაზური რადიოს ტრანსლაცია, აიკრძალა აფხაზურ ენაზე სწავლება და ათიათასობით ქართველი კოლონისტები იქნა ჩასახლებული აფხაზეთში, იმისათვის, რომ შეეცვალათ მისი დემოგრაფიული შემადგენლობა. 1992 წელს საქართველო გაფრთხილების გარეშე დაესხა თავს აფხაზეთს და მოკლა ათასობით აფხაზი და სხვა არაქართული ეროვნების წარმომადგენელი, გამიზნულად დაწვა აფხაზეთის სახელმწიფო არქივი, ენის, ლიტერატურის და ისტორიის ინსტიტუტი, გაძარცვა მუზეუმი და სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრები, გაანადგურა აფხაზეთის ინტელიგენციის წარმომადგენლების ძეგლები. საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო ოფიციალური პირები ღიად ემუქრებოდნენ აფხაზ ერს გენოციდით, აფხაზებმა თავისუფლებისათვის გადაიხადეს თავისი ათასო-

ბით პატრიოტის სიცოცხლით და მათ დაიმსახურეს თვითონ განსაზღვრონ თავისუფლად თავისი საკუთარი ბედი [83. 409].

მიუხედავად ზემოთ მოტანილი აფხაზური საზოგადოების მსგავსი პოზიციისა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით აფხაზი ავტორი ვ. ჩირიკბა წერდა: „...სამოკავშირეო სახელმწიფო, რომელშიც შევლენ საქართველო და აფხაზეთი როგორც პოლიტიკურად თანაბარ უფლებიანი რესპუბლიკები საერთო სახელმწიფოს ჩარჩოებში ეს იქნება ყველაზე აზრიანი ალტერნატივა ჩიხში შესული პოლიტიკური პროცესის მოსაგვარებლად...“ [83. 410]. მხარეების განსხვავებული პოზიციებიდან გამომდინარე და რუსეთის „ხელშეწყობით“ პოლიტიკური პროცესები სხვანაირად განვითარდა და კონფლიქტის დარეგულირების პროცესი დროთა განმავლობაში უარეს გამოუვალ ჩიხში აღმოჩნდა.

იმდროს, როცა ქართული მხარე მუდმივად აცხადებდა, რომ აპირებდა აფხაზური მხარისათვის შეეთავაზებინა საქართველოს მთავრობის ახალი სამშვიდობო გეგმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით, მოულოდნელად, 2006 წლისმაისში აფხაზურმა მხარემ, კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესებულ მხარეებს შესთავაზა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების მათ მიერ შემუშავებული წინადადებები. წინადადებები გაფორმდა დოკუმენტში, სახელწოდებით „მომავლის გასაღები“ ამ ინიციატივით აფხაზურმა მხარემ გარკვეული უპირატესობაც კი მოიპოვა დოკუმენტში, საქართველოსთვის მიუღებელი პოზიციების გარდა (მაგალითად, საქართველოს ინიციატივით აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების წინადადება), არის რამდენიმე საკითხი, რაზეც შეიძლება ყურადღების გამახვილება. მაგალითად, დოკუმენტი, პრაქტიკულად, არ ლაპარაკობს რუსეთის როლზე. სამაგიეროდ, რამდენჯერმეა აღნიშნული, რომ აფხაზურ მხარეს სურს დაიწყოს აფხაზეთის ინტეგრაცია შავი

ზღვისპირეთისა და ევროპულ სივრცეში. აშკარაა, რომ ამით აფხაზებს სურთ რუსეთისგან დისტანცირება და შავიზღვისპირეთისა და ევროპისაკენ თავიანთი პერსპექტივების განსაზღვრა. შავი ზღვის აუზის ქვეყნების ევროპული ორიენტაციისა და ინტეგრაციის ფონზე აფხაზეთი სრულიად გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა და მან უნდა გააკეთოს არჩევანი – ნეოიმპერიალისტური რუსეთი თუ დემოკრატიული ევროპა? „მომავლის გასაღების“ ანალიზით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთის ინტერესები ევროპასთან ინტეგრაციას გულისხმობს [178].

2008 წელს, გერმანიამ საფუძველი ჩაუყარა სამეტაპიან გეგმას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების მიზნით. გეგმა შემუშავდა გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ფარგლებში. პირველი ეტაპი მოიცავდა ნდობის აღდგენას კონფლიქტის მხარეებს შორის, რომლის შედეგიც უნდა ყოფილიყო მათ მიერ ძალის გამოუყენებლობის შეთანხმებაზე ხელის მოწერა და იძულებით გადაადგილებული ქართული მოსახ-ლეობის/ლტოლვილების აფხაზეთში დასაბრუნებლად პროცესის დაწყება. მეორე ეტაპი ითვალისწინებდა დონორი სახელმწიფოების მიერ დაფინან-სებულ აღდგენით სამუშაოებს. მესამე ეტაპამდე აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხზე მუშაობა დაგეგმილი არ ყოფილა. აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტმა, სერგეი ბაღაფშმა, ეს გეგმა უარყო და ქართულ მხარესთან საუბრის დასაწყებად საკუთარი პირობები წამოაყენა: „ჩვენ ვუთხარით გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ დოკუმენტისთვის ორი პუნქტი დაემატებინა: პირველ რიგში, საქართველომ აფხაზეთის ზემო კოდორის ხეობიდან საკუთარი სამხედრო ძალები უნდა გაიყვანოს. მეორე, მან ხელი უნდა მოაწეროს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ არ განაახლებს სამხედრო ოპერაციებს.“[179. 402] .

2008 წელსე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე განხორციელებული საო-მარი მოქმედებების შემდეგ, რომელშიცსაქართველოსა და რუსეთის ჯარები

მონაწილეობდნენ, აზრი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ბუნებისა და მასში მონაწილე მხარეების შესახებ გაიყო. ქართველების დიდი ნაწილი ამკონფლიქტს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციად აღიქ-ვამს. ბევრი აფხაზი მიიჩნევს, რომ ეს არის ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, სადაც რუსეთია ფხაზეთის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, უსა-ფრთხოების გარანტიებს უზრუნველყოფს. ორივე მხარეზე რესპონდენტების ნაწილს მიაჩნია, რომ კონფლიქტი უფრო რთული და მრავალ დონიანია. კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს მყოფი საზოგადოებები ერთმანეთისაგან ფიზიკურად არიან იზოლირებული, ამავდროულად ისინი სხვადასხვა მი-მართულებებით მოძრაობენ: აფხაზები_რუსეთის, ხოლო საქართველო_დასავლეთისაკენ. მშვიდობის დამკვიდრების საქმეს მნიშვნელოვნად აბრკოლებს პოლარიზაციის ზრდის, დაძაბულობისა და პოზიციების გამკაცრებისაკენ მიმართული ტენდენცია[180].

აფხაზი ავტორი ე. ეშბა ამერიკელ პოლიტოლოგს პოლ გობლს იშველიებს და აცხადებს, რომ საქართველოს სსრ საზღვრებში დაბრუნების მცდელობას 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ პრაქტიკულად შანსი არა აქვს. მოცემულ სიტუაციაში კონფლიქტის საბოლოო დასარეგულირებლად საჭიროა მხოლოდ საქართველომ ცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა [181. 210].

ამდენად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების შესახებ აფხა-ზური მხარის ხედვამ დროთა განმავლობაში განიცადა გარკვეული ტრანსფორ-მაცია. ისინი თუ თავიდან ერთიან ფედერალურ სახელმწიფოს ფარგლებში თანასწორუფლებიანობის პრინციპით ყოფნაზე თანახმა იყვნენ და გააჩნდათ უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკუთარი გეგმა, რაზეც ქართული მხარე არც თავიდან და არც მერე მოლაპარაკებების არცერთ ეტაპზე არ დათანხმადა, 2008 წლის 26 აგვისტოს შემდგომ რაც რუსეთის ფედერაციამ აღიარა აფხაზეთის დე იურე დამოუკიდებლობა, ისინი კატეგორიული წინააღმდეგი არიან ართუ

ფედერაციის არამედ თვით კონფედერაციულ ურთიერთობის დამყარებაზე საქართველოსათან. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ჩვენ თავის დროზე ხელიდან გაუშვით შანსი აფხაზებთან ერთად აგვეშენებინა ფედერაციული სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობიანი კომპრომისული გზით გადაწყვეტილიყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტი. დღეს კი ამ კონფლიქტის გადაწყვეტის ჩიხში შესვლასთან დაკავშირებით ვფიქრობთ უახლოეს მომავალში რაიმე მნიშვნელოვანი ძვრები არ მოხდება ამ კუთხით.

3.5 საქართველოს მეცნიერებაში არსებული ხედვები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართ

საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი დღემდე ითვლება პოლიტიკოსებში, მეცნიერებსა და საზოგადოების სხვა სფეროების წარმომადგენლებში საკამათო და სადაო საკითხად. ერთი ნაწილი მხარს უჭერდა და უჭერს ფედერაციას, მეორე ნაწილი კი ემხრობოდა და ემხრობა ქვეყნის უნიტარულ მოწყობას. ორივე მხარე თავისი არგუმენტებით დღემდე ცდილობს თავისი პოზიციის უპირატესობა დაასაბუთოს, მიუხედავად ამისა ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩება ჩვენი ქვეყნისათვის.

ჯერ კიდევ 1990 წელს, რესპუბლიკურ-ფედერალურმა პარტიამ გაახ-მოვანა საქართველოს ფედერალური მოწყობის იდეა, რომელიც ითვალის-წინებდა საქართველოს ისტორიული რეგიონების ფედერაციის სუბიექტებად გადაქცევას და, შესაბამისად მათთვის განსაკუთრებული თვითმმართველობის მინიჭებას. დისკუსიებში წინ იყო წამოწეული სახელმწიფო მოწყობის ეთნოტერიტორიული და ისტორიულ-ტერიტორიული პრინციპები [90. 64-65].

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, მისი გზა ფედერალურ მოწყობამდე მიდიოდა...ზ. გამსახურდიას ხელისუფლებაში ფიქრობდნენ, ქვეყნის ფედერაციულ მოწყობაზე, როდესაც ორი სუბიექტი: საქართველო და აფხაზეთი, შექმნიდნენ საქართველო-აფხაზეთის ფედერაციულ რესპუბლიკას, თუმცა სახელმწიფო გადატრიალებამ ეს პროცესი შეაჩერა და გადატრიალების შემდეგ ახალი ხელისუფლების უნიტარულმა ხედვამ ქვეყანა ქართულ-აფხაზურ ომამდე მიიყვანა [90. 65].

არადა პროფესორ გ. ანჩაბაძის აზრით შესაძლებელი იყო ,,ჩვენი პრობ-ლემები... აფხაზებთან და ოსებთან ჩვენ თვითონვე... მოგვეგვარებინა დია-ლოგის გზით, რაც სავსებით შესაძლებელი იყო. 1980-იან წლებში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები არ იყო ისე დაძაბული, რომ ვერ მოგვეხერხებინა სისხლიანი კონფლიქტების თავიდან აცილება რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებითაც“[90. 232].

ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ნამდვილად შესაძლებელი იყო სწორად დაგეგმილი პოლიტიკის საშუალებით, რომელსაც თავიდან კი ქონდა ადგილი, მაგრამ მომდევნო პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენების ფონზე ეს შეუძლებელი გახდა.

ვიზიარებთ ასევე მოსაზრებას, რომ საუკეთესო ვარიანტი იყო მრავალ-სუბიექტიანი, საქართველოს ისტორიული მხარეების მომცველი ფედერაციის შექმნა, როდესაც ფედერაცია მოეწყობოდა არა ეთნიკური ნიშნით, როგორც ეს ეთნოფედერაციის შემთხვევაში ხდება, არამედ ისტორიულ-ტერიტორიული პრინციპით. კომპაქტურად დასახლებული არამკვიდრი ეთნიკური უმცირესობები, რომლებიც სინამდვილეში, მეზობელი ერების დიასპორებს წარმოადგენდნენ, უნდა დასჯერებოდნენ მხოლოდ კულტურულ ავტონომიას. მითუმეტეს, ამგვარი დიასპორები არ იყვნენ სახელმწიფოს შემქმნელი ერები და ამიტომაც მათი სპეციფიკური უფლებები სრულიადაც არ გულისხმობდა ქვეყნის განვითარების პოლიტიკის განსაზღვრის უფლებასაც. ერთადერთი

გამონაკლისი იყო აფხაზეთი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ისტორიულ მხარესაც წარმოადგენდა და ეთნიკურ ავტონომიასაც. თუ ვინმეს ჰქონდა უფლება პრეტენზია ჰქონოდა სახელმწიფოებრიობასთან, ეს იყო აფხაზეთი. ამიტომ ქართულ-აფხაზური თანამშრომლობის დამკვიდრების გზაზე უმნიშვნელოვანესი იყო გამსახურდია-არძინბას შეთანხმება, რომელიც გზას უხსნიდა საქართველო-აფხაზეთის ფედერაციული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას [90. 65-66]. სამწუხაროდ მოვლენები სულ სხვანაირად განვითარდა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირების დაწყების შემდეგ საქართველოს არალეგიტიმური ხელისუფლება შეეცადა „მშვიდობიანად მოეგვარებინა“ კონფლიქტი. ამ მიზნით 1992 წლის 15 აგვისტოს სოხუმში ჩავიდნენ პრემიერ-მინისტრი თ. სიგუა და ჯ. იოსელიანი. აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა ,,(ზ. ლაბახუას წინადადების საფუძველზე), რომ ,,აფხაზურ და ქართულ 200–200“ კაციან სამხედრო შენაერთს ფსოუდან ენგურამდე მოეგვარებინა და დაეცვა საკომუნიკაციო მაგისტრალები, თუმცა დოკუმენტს ხელი არ მოეწერა იმ მიზეზით თუ საბაბით, რომ აფხაზურ მხარეს ამისათვის გარკვეული დრო სჭირდებოდა (ს. ბაღაფშის თქმით). როგორც შემდეგ აღმოჩნდა, აფხაზთა მხარე დროის გაყვანას ცდილობდა. საფიქრებელია, რომ არძინბას საქმე უნდა შეეთანხმებინა მოსკოვთან“ [42 163].

ე. შევარდნაძის მმართველობის წლებში რუსეთის დახმარებით ღიად დაისვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი. პრობლემის მოგ-ვარებაში ჩაერთვნენ ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოლიტიკური კლასის წარმომადგენლები[90. 67]. მაგრამ რეალური ხელშესახები გადაწყვეტილება ამასთან დაკავშირებით არ ყოფილა მიღებული.

ჯერ კიდევ 1995 წელს, ორშაბათის ტრადიციულ რადიო-ინტერვიუში ე. შევარდნაძემ განაცხადა, რომ: „დგება გადამწყვეტი დღეები საქართველოში

კონფლიქტების დარეგულირების თვალსაზრისით. კონფლიქტთა გადაწყვეტის ერთადერთი საშუალება საქართველოს ფედერალიზაცია _ სწორედ მომავალი „საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა“ გახდება ქართულ-ოსური და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების გარანტია“ [182]. მითუმეტეს მაშინ და მოგვიანებით რუსეთის მაღალ პოლიტიკურ წრეებში მხარს უჭერდნენ საქართველოს ფედერალიზაციის იდეას, მართალია ეს შეიძლება მაშინდელი გადასახედიდან საფრთხის შემცვლელად გამოიყურებოდა მაგრამ ვთვლით, რომ საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონოდა მცდელობებ ამ მიმართულებით სიარულის და თუ გამოჩნდებოდა, რომ ეს იყო უარესი მაშინ მიეღო შესაბამისი ზომები.

1997 წლის თებერვალში, კონსერვატულმა პარტიამ, „მცხეთური მანიფესტის“ სახელით შექმნილ დოკუმენტში გამოაცხადა, რომ ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობის მოწესრიგების მთავარი ფაქტორი საქართველოს ფედერალური მოწყობა იყო, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა მართვის ეფექტიანი სტრუქტურების შექმნის, ეკონომიკური რეფორმების წარმართვის და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი. „მცხეთური მანიფესტის“ ავტორები ფიქრობდნენ, რომ ქვეყნის ფედერალიზაცია მოაწესრიგებდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის გადაჭრას და გააძლიერებდა ქართული სახელმწიფოს პოზიციებს კავკასიის რეგიონში და მთლიანად საერთაშორისო არენაზე [90. 67-68]. ეს წინადადება ვფიქრობთ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო რეალურად პრობლემების გადაჭრის გზაზე. მაგრამ სამწუხაროდ ქართული საზოგადოება ერთიანი არასოდეს არ არის ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს.

საქართველოს პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება დაკავშირებული იყო ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერესთან. ამ პოზიციას მთლიანად იზიარებდა საქართველოს ყოფილი

ელჩი რუსეთში, ვაჟა ლორთქიფანიძე... აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებაში სერიოზულად ფიქრობდენენ ქვეყნის ფედერალური მოწყობის შესაძლებლობაზე [90. 68]. მაგრამ ფაქტია, რომ ამ მიმართულებით სამწუხაროდ არ გადადგმულა პრაქტიკული ნაბიჯები, რათა გვქონოდა ხელსაყრელი შედეგები.

ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური აზრი, საქართველოს სახელმწიფო მოწყობასთან დაკავშირებით, ორად იყო გაყოფილი. ერთმა ნაწილმა ქვეყნის მოწყობის ფედერალიზაციას დაუჭირა მხარი -პრაგმატულად განწყობილი ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ქვეყანაში დაშლის პროცესი იყო დაწყებული და ასეთ ვითარებაში ხსნის გზა ფედერაციაზე გადიოდა, რომელიც იქნებოდა სეპარატიზმის გამანეიტრალებელი პოლიტიკური საშუალება ანუ სხვადასხვა ეთნოსების თანაარსებობის ყველაზე მისაღები ფორმა. აღნიშნულ მოსაზრებას მომხრეები ჰყავდა როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში, თუმცა არსებობდნენ ისეთებიც, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ფედერალიზმის იდეას და მის მომხრეებს სამშობლოს მოღალატეებს უწოდებდნენ. ისინი ვერ იცნობიერებდნენ, რომ საქართველო, სომხეთისა და აზერბაიჯანის მსგავსად არ წარმოადგენდა მონოლითურ სახელმწიფოს. ქვეყნის მოსახლეობის 30 პროცენტზე მეტი არაქართული იყო. არსებობდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემაც, მითუმეტეს ეთნიკურ აფხაზს სხვა სამშობლო არ გააჩნდა და ამიტომ უმართებულო არ იყო მხარი დაგვეჭირა ქართულ-აფხაზური ერთიანი სახელმწიფოს იდეისათვის [90. 69]. აუცილებელი იყო ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და უნდა დათანხმებოდა საქართველო ქართულ-აფხაზური ერთიანი სახელმწიფოს შექმნას.

საქართველოს ფედერალიზაციას მხარს არ უჭერდა მერაბ კოსტავას საზოგადოება. ის კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდა იმ პოლიტიკოსების მიმართ ვინც საქართველოს ხსნას და მის ბედნიერ მომავალს ფედე-

რალიზაციას უკავშირებდა. ფედერალიზმის იდეოლოგიის მოწინააღმდეგეთა ფრონტის სათავეში მდგომი ნ. ნათაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ოპტიმალურ ფორმად კვლავ „იერარქიული უნიტარიზმის“ პრინციპებზე აგებულ ტერიტორიულ-პოლიტიკურ ერთეულს მიიჩნევდა [90. 70]. ასეთმა პოზიციამ მიგვიყვანა აფხაზეთის საერთოდ გაუცხოებამდე და დღეისათვის უკვე მისი ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრების პერსპექტივა ეჭვქვეშ დგას.

პროფესორი ნ. ნათაძე შიშობდა, რომ საქართველოს ფედერაციის სუ-ბიექტებად აფხაზეთის, აჭარის და სხვა მხარეების მოაზრების შემთხვევაში ფედერაციის ერთ-ერთ წევრს შეეძლო უარი ეთქვა ფედერაციაში ყოფნაზე, თუმცა ისმებოდა კითხვა, რატომ იყო ეს საშიში, თუ ყველაფერი მოლაპა-რაკებით და კანონით დარეგულირდებოდა და გამოყენებულ იქნებოდა აფხაზებთან ნებაყოფილობითი შერიგების საშუალებად, მითუმეტეს, მოვ-ლენების ასეთ განვითარებას რუსეთში და დასავლეთშიც მხარს უჭერდნენ. ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ საქართველო იმყოფებოდა თავისი ადგილის დამკვიდრებისათვის ბრძოლის პროცესში და ეროვნულ სახელმწიფოდ ორგანიზების გზაზე მყოფი ქვეყნისთვის მისაღები იყო ფედერალიზაციის მოდელი... [90. 56]. ამ კონტექსტში საინტერესოდაა მიჩნეული ნ. ნათაძის წინადადება, თუ დაფიქსირდებოდა სახელწოდება „რესპუბლიკა აფხაზეთი“, მაშინ აუცილებელი იყო აფხაზეთის სახელწოდება შემდეგნაირად მიგვეღო: _ აფხაზურ-ქართული, ან ქართულ-აფხაზური რესპუბლიკა აფხაზეთი. ნ. ნათაძე ახსენებდა ასევე ტერმინს: აფხაზეთის ფედერალური რესპუბლიკა _ საქართველოს შემადგენლობაში [183. 6]; [184. 29,31].

აფხაზური პრობლემის გადაწყვეტის საკითხში არავითარ დათმობაზე არ მიდიოდნენ პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების ზოგიერთი წარმო-მადგენლები. განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდა თბილისში მყოფი, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელი თ. ნადარეიშვილი, რომ-

ლისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზეთის საკითხში ევრო-დასავლური მიდგომის ერთ-ერთი გამხმოვანებლის დიტერ ბოდენის მიერ შედგენილ პროექტში დაფიქსირებული ფრაზა „სუვერენული აფხაზეთი, _ სუვერენული საქართველოს შემადგენელი ნაწილი“. თ. ნადარეიშვილი ღიად აცხადებდა, რომ აფხაზეთი მხოლოდ იარაღით უნდა დაებრუნებინათ [185. 28].

არსებობს მოსაზრება, რომ არ უნდა იყოს სადავო, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში იყო მომენტები, როდესაც აფხაზური პოლიტიკური მოძრაობის ლიდერები თანახმა იყვნენ მხარი დაეჭირათ ქართულ-აფხაზური ერთიანი ფედერაციისთვის [90. 72]. ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა კონფლიქტის დარეგულირების აფხაზური მხარის ხედვაზე საიდანაც დასტურდება, რომ აფხაზები მართლა თანახმა იყვნენ მხარი დაეჭირათ ქართულ-აფხაზური ერთიანი ფედერაციისთვის, უბრალოდ ისინი ამ პროცესს უყურებდნენგანსხვავებულად.

საქართველოს პოლიტიკური მოწყობის ფედერალურ მოდელს შეეხო მკვლევარი ლ. მასურაშვილი, რომლის შეხედულებით: - საქართველოს ფედერალური მოწყობა გამოიწვევდა მის ტერიტორიულ დანაწევრებასა და დაქუცმაცებას [186].

ქვეყნის ფედერაციული მოწყობის იდეას მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს თავმჯდომარე ია ბაგრატიონ-მუხრანელი და სხვები [90. 77]. სამწუხაროდ ერთიანი პოზიცია დღემდე არ არსებობს მთელ რიგ აუცილებელ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება პრობლემების მოგვარების გზაზე.

ე. შევარდნაძის ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარება სადისკუსიოდ საერთაშორისო არენაზე გაიტანა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები მაინც ვერ მოაწესრიგა.

2004 წლის ზაფხულში, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ შემუშავებული, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სამუშაო პროექტი მთლიანად უნიტარული მოწყობის პრინციპებს ეფუძნებოდა. ის აფიქსირებდა ფედერალიზმს და მათ შორის, ასიმეტრიული ფედერალიზმის უარყოფით მხარეებს გაუმართლებლად მიიჩნევდა... პროექტი მხარს უჭერდა დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს ისეთ მოდელს, რომელშიც მეტი უფლებამოსილება და ფუნქციური დატვირთვა ექნებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს [90. 64,105].

კონცეფცია „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“ 2004 წელს შემუშავდა ქართველ ექსპერტთა ჯგუფის (ი. ხაინდრავა, პ. ზაქარეიშვილი, არ. გეგეშიძე, კ. კუბლაშვილი) მონაწილეობით და სუვერენიტეტის ორად გაყოფას, ანუ ორსუბიექტიანი სახელშეკრულებო ფედერაციის იდეას უჭერდა მხარს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პოლიტიკოსებისა და მეცნიერების ერთი ჯგუფი (დ. ბერძენიშვილი, პ. ზაქარეიშვილი, ზ. ერქვანია, თ. ხიდაშელი, გ. ხუბუა, გ. სიხარულიძე და სხვ.)პირდაპირ უკავშირებს ტერიტორიული პრობლემის მოგვარებას ასი-მეტრიულ ფედერაციას _ ანუ აფხაზეთის რესპუბლიკის მაღალ ავტონომიურ სტატუსს. მათი აზრით, ფედერალიზმიერთადერთი ოპტიმალური მოდელია აფხაზური პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით.

2005 წლის თებერვალში თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიისინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები“. მისი მონაწილეები მოითხოვდნენ ერთიანი, განუყოფელი, უნიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას და დამღუპველს უწოდებდნენ იმ გზას, რომელიც მოცემული იყო პროექტში „აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ“. დ. მუსხელიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ა. ბენდიანიშვილი, რ. თოფჩიშვილი, ბ. სავანელი და სხვები ერთხმად აღიარებდნენ, რომ

საქართველოს გადაარჩენდა მხოლოდ უნიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, თუმცა პასუხგაუცემელი რჩებოდა კითხვები, როგორ უნდა მომხდარიყო ეს, რა რეალური მექანიზმები არსებობდა საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღსადგენად და აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ურთულესი პრობლემის გადასაწყვეტად [90. 110].

2005 წლის დასაწყისისათვის საქართველოს პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების მეორე ნაწილში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად ქვეყნის ფედერალური მოწყობა მოიაზრებოდა. პროფესორ გ. ანჩაბაძის აზრით საქართველოს თავისი ისტორიული განვითარებით, ფედერალიზმი შეესაბამებოდა და თუ თანამედროვე საქართველოში დამკვიდრდებოდა ფედერალიზმი, თვითმმართველობა რეალურად განმტკიცდებოდა, რაც სახელმწიფოს ერთიანობას უფრო გაამყარებდა, ვიდრე საბჭოური მენტალიტეტის გადმონაშთი _ უნიტარიზმი [187. 26].

2005 წლის იანვრის ბოლოს გაზეთ „24 საათში“, გამოქვეყნდა პროფესორ დ. შველიძის სტატია „უნიტარიზმი თუ ფედერალიზმი“, სადაც ავტორი ფედერალისტებზე ამბობს, რომ ისინი საერთოდ არ განიხილავდნენ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემას, რაც მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ფედერალური სისტემა მათ საქართველოსთვის მიუღებლად მიაჩნდათ [188. 31]. მკვლევარ დ. შველიძეს საქართველოს უნიტარულობა არ მიაჩნია, მარადიულ ერთადერთ დოგმად და ის ფიქრობს, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების აუცილებლობა დღის წესრიგში სვამდა ფედერალიზმის პრინციპებზე ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის საჭიროებას, რომელიც შეიძლებოდა ორი გზით განხორციელებეულიყო _ ნებაყოფილობით ან იძულებით. პირველ შემთხვევაში ფედერაციის სუბიექტებს თვითონ, დამოუკიდებლად უნდა გადაეწყვიტათ საკუთარი სახელმწიფოს მოწყობის ფორმა. მეორე შემთხვევაში, გარეშე სახელმწიფოებს სუსტი სახელმწიფოსთვის თავისი ნება უნდა მოეხვიათ. ავტორს მიაჩნია, რომ

ქართულ სახელმწიფოს თვითონ უნდა ეპოვა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ორი ერის თანაცხოვრების გზები, ხოლო ნებაყოფილობითი ფედერალიზაციის საკითხის დაყენება დღის წესრიგში შესაძლებელი გახდებოდა რამდენიმე წინაპირობის განხორციელების შემთხვევაში: დევნილთა უპირობო დაბრუნება აფხაზეთში; სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია; რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან და სხვა კომპონენტების გათვალისწინება, რომელთა მიზანი იყო რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის ნეიტრალიზაციის უზრუნველყოფა, აფხაზურ-ქართული ურთიერთობების მოგვარება _ გადაწყვეტის საკითხში. დ. შველიძის სტატიას ეხმაურება პროფესორი ი. კვესელავა და სრულიად მართებულად აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით, რომ ცხადია, აღნიშნული არცერთი პუნქტი არ განხორციელდებოდა და საერთოდ, ქართულ-აფხაზური დიალოგის დასაწყებად ულტიმატუმული მოთხოვნების წამოყენება გაუმართლებელი ჩანდა. ქართველი პოლიტიკოსები და, სამწუხაროდ, მეცნიერებიც ვერ აცნობიერებდნენ, რომ ამ გზით ვერ მოგვარდებოდა ურთიერთობები საქართველოში მცხოვრებ ორ მკვიდრ ერს შორის, მითუმეტეს აფხაზებს რუსეთის ყველანაირი მხარდაჭერა ჰქონდათ გარანტირებული, ხოლო საქართველოს სუსტი ხელისუფლება დასავლური ილუზიებით იკვებებოდა და ამიტომაც პრობლემის გადაწყვეტის რეალური გზები არ ჩანდა [90. 82].

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში, ფედერალიზმის თემის გააქტიურებამ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში აღშფოთება გამოიწვია. 2005 წლის იანვარში ჩამოყალიბდა მოძრაობა „უნიტარული საქართველო“- მოქალაქეთა არაპარტიული დროებითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომ-ლის ერთადერთი მიზანი იყო არ დაეშვა საქართველოს ფედერალიზაცია, რა სახისაც არ უნდა ყოფილიყო იგი [90.74].

ომის წინ აფხაზები თვითონ ითხოვდნენ ფედერაციულ სტატუსს საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ სამხედრო გადატრიალებამ ეს პროცესი შეაჩერა, თუმცა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შესაძლებელი იყო ორი _ საქართველოსა და აფხაზეთის სუბიექტების არსებობით, სადაც იქნებოდნენ სხვა ფედერალური სუბიექტებიც, მაგრამ ყველაზე მაღალი დონის ფედერალური სუბიექტები მაინც აფხაზეთი და საქართველო იყო. ამ პოზიციას იზიარებდნენ პროფრსორები: თ. ჩილაჩავა, ლ. გაბისონია, მ. ღვინჯილია. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მსოფლიო პროცესები საქართველოსთვის სასიკეთოდ განვითარდებოდა და აფხაზი პოლიტიკოსებისათვის ეს ყოველივე მისაღები იქნებოდა [90. 109].

ქართულმა მხარემ 2006 წლის ივნისში აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების გეგმის ძირითადი პრინციპები წარმოადგინა. ქართული სამშვიდობო გეგმა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ხუთი ძირითადი პრინციპისგანშედგება. ესპრინციპებია:1.კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოგვარება ემყარება საქართველოს სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ ფარგლებში. ქართული მხარე მზადარის, დაიწყოს კონსულტაციები (ფედერალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით) აფხაზეთისთვის ფართო საშინაო სუვერენიტეტის მინიჭების შესახებ. საქართველოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია აფხაზების, როგორც საქართველოს ავტოქთონი ხალხის, კულტურა, ენა და ისტორიული მემკვიდრეობა. მისი უზრუნველყოფის ერთ-ერთი გარანტია კი საქართველოს ხელისუფლების ყველა შტოში, აფხაზეთის ღირსეული წარმომადგენლობა იქნება; 2.კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების ფუძემდებლური პრინციპია დაპირისპირების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა აფხაზეთში უპირობო, ორგანიზებული და

ღირსეული დაბრუნება, განურჩევლად მათი ეროვნული წარმომავლობისა. ამაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ქართველმა და აფხაზმა სამართალდამცავებმა. საერთაშორისო მონიტორინგის ქმედითი მექანიზმების გამოყენებით, უპირობოდ უნდა აღდგეს გამოდევნილი მოსახლეობის ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიც არის უსაფრთხო ცხოვრება, თავისუფალი გადაადგილება, მშობლიურ ენაზე განათლებისმიღება, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ა.შ. შესამუშავებელია აფხაზეთში უძრავი ქონების აღწერის, საკუთრების უფლების ერთობლივად განსაზღვრის, მათი დაცვისა და პრივატიზების პროცესის უზრუნველყოფის მექანიზმები; 3. საქართველოს ხელისუფლება გამოხატავს მზადყოფნას, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები ცეცხლის განუახლებლობისა და კონფლიქტის მშვიდობიანი, პოლიტიკური გზით მოგვარების თაობაზე. ქართული მხარე ხელს შეუწყობს ქართველი და აფხაზი ხალხის თვალსაჩინო წარმომადგენლების სამოქალაქო დიალოგს, სხვადასხვა სოციალურ და პროფესიულ ჯგუფებს შორის კონტაქტების გამყარებას და გაღრმავებას; 4.ქართული მხარე მიესალმება საერთაშორისო ორგანიზაციების და რეგიონული გაერთიანებების მონაწილეობას კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში. ქართული მხარე მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას აფხაზეთის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერისთვის. ქართული მხარე, ასევე, განიხილავს აფხაზეთში ეკონომიკური განვითარებისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნის შესაძლებლობას. ამასთან, ქართული მხარე მზად არის, დაიწყოს კონსულტაციები ევროპის რეგიონულ ინსტიტუტებსა და პროექტებში, მათშორის, ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივა შიდა შავი ზღვის აუზის თანამშრომლობის პროცესებში აფხაზეთის ჩართვის მიზნით;5.კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების პროცესი უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, ერთიანი სამოქმედო გეგმის საფუძველზე და უწყვეტ რეჟიმში.

კონფლიქტის მოგვარების ქართულ გეგმასა და აფხაზურ „მომავლის გასაღებს“ შორის არსებითი სხვაობა იყო ის, რომ აფხაზები თავისი წინადადებების განხორციელებას გვთავაზობდნენ ნაბიჯ-ნაბიჯ, ხოლო მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ყველაფერს ერთიან პაკეტში სთავაზობდა მათ.სააკაშვილის ხელისუფლებამ თავში გამოიტანა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ყველაფერი მას დაუკავშირა.

კონფლიქტის დარეგულირების ამ მოთხოვნით დაწყებას შედეგი დღემდე არ მოუტანია და მშვიდობიან პროცესს ამუხრუჭებს. ქართული მხარე ყოველ-თვის პირობად აყენებდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და დევნილების დაბრუნებას, მაგრამ... არც ტერიტორიული მთლიანობა აღგვიდ-გენია და არც დევნილები დაგვიბრუნებია. საქართველომ არსებითად უნდაშეცვალოს პოზიციების პრიორიტეტულობა. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აფხაზი ხალხის ინტერესების შესწავლა და, შეძლებისდაგვარად, დაკმაყოფილება. ნებისმიერი ანალიზით დასტურდება, რომ აფხაზეთის საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია მისი უსაფრთხოე-ბა. საქართველომ უნდა შეძლოს, გადალახოს დამარცხებულის კომპლექსი და შეუქმნას აფხაზეთის მოსახლეობას (რომლებიც, მათი განწყობის მიუხედავად, უკლებლივ ყველა, საქართველოს მოქალაქეები არიან) უსაფრთხოების იმაზე მეტი გარანტიები, ვიდრე ამის გაკეთება შეუძლია რუსეთს. ქართული მხარის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯი უნდა იყოს შეთანხმება ომისგანუახლებლობის შესახებ. შეიძლება შეთანხმებას ისეთი ფორმულირება მოვუძებნოთ, რომ ორივე მხარისთვის მისაღები იყოს. მეორენაბიჯი – უნდა დაიწყოს მოქმედებები აფხაზეთისათვის ეკონომიკური სანქციების მოხსნის მიმართულებით. არსებულ სანქციებს საპირისპირო შედეგები მოაქვს. რუსეთმა ეკონომიკური სანქციების პირობებში რკინიგზა აამუშავა ადლერი-სოხუმის მიმართულებით; თავისუფლად გააქვს აფხაზეთიდან სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ეკონომიკური სანქციების არსებული ფორმა ხელსაძლევს

მხოლოდ რუსეთს, რომელიც ვითომდა ჰუმანური მოსაზრებებით მაინც დაარღვევს შეთანხმებულ პირობებს. შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს ღონისძიებების გატარება აფხაზეთის სამოქალაქო ინსტიტუტების ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით. ეს ნაბიჯები აუცილებლად გამოიწვევს ახალ დინამიკას, რისი შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდება მომდევნო ნაბიჯების დაგეგმვა და რეალიზება. ერთ-ერთ მომდევნო ნაბიჯად შეიძლება შეთავაზებულ იქნას კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების შესაძლო ფორმატების განხილვა [178] სამწუხაროდ კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირებასთან დაკავშირებით ზემოთ დასახელებულქართული მხარის გეგმას რაიმე ხელშესახები შედეგებიარ მოჰყოლია, რადგან მასში ფორმულირებული საკითხები აფხაზური მხარისთვის მიუღებელია.

მკვლევარ ნ. ჩიტაძეს (ექსპერტი კავკასიის საკითხებში) მიაჩნია, რომ სადღეისოდ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით პრაქტიკულად შეუძლებელია მხარეთა მიერ აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე რადიკალურად განსხვავებული შეხედულებებისა და პირველ რიგში რუსეთის მარიონეტულ რეჟიმზე ზეწოლის გამო [65.497]. გარდა ამისა, მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესს ართულებს აფხაზური მხარის უარი, განაახლოს საქართველოსთან მოლაპარაკებები იმ დრომდე, სანამ საქართველო აფხაზეთთან ხელს არ მოაწერს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებას]. გრძელვადიან პერსპექტივაში მოლაპარაკებათა განახლების შემთხვევაში, აუცილებელია რომ ქართულმა მხარემ წამოაყენოს კონკრეტული წინადადე-ბები აფხაზური მხარის წინაშე, რათა შესაძლებელი იყოს ურთიერთკომპ-რომისული ვარიანტების გამონახვა, რათა მიღწეულ იქნას აფხაზეთის ფართო ავტონომია ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში [65. 498] ნ. ჩიტაძის აზრით, უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს, რომ მოლაპარაკებათა განახლების შემთხვევაში, უნდა დაისვას საკითხი ლტოლვილთა უპირობო დაბრუნებისა

აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე [65. 502]. მკვლევარ ნ. ჩიტაძის მოსაზრებები საინტერესო დებულებებს შეიცავს პრობლემის კონსტრუქციულად მოგვარების ხელშეწყობის თვალსაზრისით, მაგრამ აქ არის რიგი საკითხები, რომელიც შეიძლება გადაიხედოს დამხარეებს შორის მოლაპარაკების პროცესში ორმხრივი კონსესუსის საგანი გახდეს.

2013 წლის აპრილში ცნობილმა „უნიტარისტებმა“: ნ. ნათაძემ, პ. კოღუა-შვილმა, მ. გიორგაძემ, თ. ჩხეიძემ და თ. დიხამინჯიამ კვლავ დააფიქსირეს თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება პარლამენტში შესულ კანონ-პროექტზე ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის შესახებ. ისინი მოითხოვდნენ არ მიეღოთ პარლამენტში შესული კანონპროექტი, როგორც უმეცრული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული. სხვა მოსაზრება ჰქონდათ ქვეყ-ნის ფედერაციის იდეის მომხრეებს. მთლიანობაში სხვადასხვა ჯგუფების დიამეტრალურად განსხვავებულმა პოზიციებმა ის შედეგი გამოიწვია, რომ საქართველო არც უნიტარულია და არც ფედერალური. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხი კვლავ გააქტიურდა 2014 წლის თვით-მმართველობის არჩევნების პერიოდში. მოძრაობა „უნიტარული საქართვე-ლოს“ მომხრეები ფედერალიზმის ალტერნატივად ლიბერალური დემოკ-რატიის პრინციპებზე დამყარებულ, დეცენტრალიზებულ და უნიტარულ საქართველოს მიიჩნევდნენ, რაც მათი აზრით, ყველაზე უკეთ უზრუნველ-ყოფდა აფხაზეთის ფართო ავტონომიას და მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ადგილობრივ თვითმმართველობას. ქართველ კონსერვატორთა ერთ-ერთ ლიდერს კ. კუკავას მიაჩნდა, რომ არც აფხაზეთი უნდა ყოფილიყო ფედერა-ლიზაციის სუბიექტი და მისთვისაც უფრო მისაღები ჩანდა დეცენტრა-ლიზებული უნიტარული სახელმწიფოს კონცეფცია [90. 123].

ყველაზე შორს წავიდა ექსპერტი კავკასიის საკითხებში მ. არეშიძე, რომლის შეხედულებით აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის ამაღლება ერთადერთი რესურსია, რომელსაც აფხაზური ეთნოფონდის შენარჩუნება,

გაუცხოებულ ქართველებსა და აფხაზებს შორის ყინულის ლღობა და მათი შერიგება შეუძლია. მ. არეშიძე ასევე აღნიშნავდა, რომ სიტუაცია ჩიხშია შესული. დღევანდელი მდგომარეობით, აფხაზეთი დაკარგულია, მაგრამ გარდა ამისა, რომ დაკარგულია, არც სიტუაციის შეცვლის პერსპექტივა არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის მხრიდან აღიარებულია ტერიტორიების ოკუპაცია და რუსეთი ამ თვალსაზრისით, გარკვეულ დისკომფორტს განიცდის, ის მხოლოდ დისკომფორტით შემოიფარგლება და მორჩა. უფრო მეტიც, მ. არეშიძემ განაცხადა, რომ რადგან ვხედავ ჩიხურ სიტუაციას და მისი გამოსწორების უპერსპექტივობას, მიმაჩნია, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება საინტერესო პროცესის დასაწყისი უნდა იყოს. აუცილებელია პროცესის შექმნა იმისათვის კი, რომ ეს ასე მოხდეს და აფხაზები მოუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, საჭიროა სამართლებრივი სტატუსის მაქიმალურად მაღლა აწევა. ამ სიტუაციაში, ჯერ ერთი, ახალი სტიმული მიეცემათ დასავლეთის პარტნიორებს, უპირველესად გაეროს, მეორე მხრივ, კი ის რუსეთს მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს. პროფესორი ი. კვესელავა ამ საკითხთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ საერთაშორისო საზოგადოება, ცხადია, მიესალმებოდა ამ გადაწყვეტილებას. მითუმეტეს, ეს იდეა მსოფლიოს წამყავნი ქვეყნებიდან მომდინარეობდა, რომელიც რუსეთს გარკვეულწილად ჩიხურ სიტუაციაში აყენებდა, რადგანაც გაერთიანებული ქართულ-აფხაზური სახელმწიფო ნაკლებად იქნებოდა დამოკიდებული რუსეთზე და არც ცალსახად მიებმებოდა დასავლურ დიდ სახელმწიფოებს [90. 119]. აქ საუბარია იმაზე, რომ თავიდან საუბარი უნდა ყოფილიყო აფხაზეთის არა იურიდიულ აღიარებაზე, არამედ პოლიტიკურ ცნობაზე და მიგვიყვანდა თუ არა ეს საბოლოოდ ფედერაცია-კონფედერაციამდე, დროის საკითხი უნდა ყოფილიყო. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში თავისი წილი შეცდომა თუ დანაშაული ორივე მხარემ დაუშვა. ეს ქართველებმაც უნდა ვაღიაროთ და აფხაზებმაც.

საქართველოს ფედერალიზაციას უჭერენ მხარს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები ჯემალ გახოკიძე და სოფო მიდელაშვილი მონოგრაფიაში „ჰონკონგი, ჩინეთი 1997“[81]. ავტორებმა წინა პლანზე წამოწიეს საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობების მოგვარების ხელშეწყობისათვის ჩინეთ-ჰონკონგის გამოცდილების შესწავლა და შემდეგ მისი დანერგვა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, რაც ჩვენი აზრით მისაღები უნდა გახდეს ქართულ-რუსული დიპლომატიისათვის და მხარდაჭერა უნდა პოვოს თვით აფხაზეთის პოლიტიკურ ელიტაში. მაგრამ ამაზე კონკრეტულ გამოხმაურებას რომელიმე მხრიდან ჯერ არ ვიცნობთ.

საქართველოს ფედერალიზების პრობლემამ, ქართულ საზოგადოებაში, კვლავ გააქტიურა აფხაზეთის თემა. პოლიტიკოსთა და მეცნიერთა ერთ ჯგუფს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოგვარების უნიკალურ გზად ქვეყნის ფედერალიზაცია მიაჩნია. პროფესორ ი. კვესელავას აბსოლუტურად ვეთანხმებით, რომ საქართველომ ორი არჩევანიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. აქ სახალხო დიპლომატია პრობლემას ვერ გადაწყვეტს...სამწუხაროდ საქართველო დიდხანს ვერ არკვევდა, ტერიტორიული მოწყობის როგორი ფორმა უნდა ჰქონოდა ან მმართველობის რა ფორმით სურდა ცხოვრება? თუმცა მეცნიერი თვლის, რომ ახალი ხელისუფლება ცდილობს ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები გადადგას და საკონსტიტუციო ცვლილებები განახორციელოს.

არსებობს მართებული მოსაზრება, რომ რადგანაც ქართული ფედერა-ლიზმის ისტორია და პრაქტიკა საუკუნეებს ითვლის, საჭიროა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმის კონსტიტუციურად დაკანონება და შემდეგ პრაქტიკულად ამუშავება, თუმცა ეს შეუძლებელი იქნება ქვეყნის ტრადიციული განვითარების გეზის, ეთნიკურ უმცირესობათა

უფლებების და, რაც მთავარია, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაჭრის გარეშე [90. 96].

პროფესორ ი. კვესელავას აზრით საქართველომ დეფაქტო უნდა ცნოს აფხაზეთის სოხუმის მთავრობა, რომლის ლეგიტიმურობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს ანუ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოწესრიგება, პირველ ეტაპზე, სოხუმის ხელისუფლებასთან დიალოგის გამართვით უნდა დავიწყოთ. მეცნიერი ქვემოთ განმარტავს, რომ მის მიერ აღიარების ზემოთგანხილული თეორიით, აღიარება ატარებს მხოლოდ დეკლარირების ხასიათს და, შესაბამისად, ადვილდება ახალ სახელმწიფოსთან ურთიერთობაც [122. 12]. რადგან თანამედროვე რეალური პოლიტიკა გვიბიძგებს ახლებურად შევხედოთ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს. უნდა აღვადგინოთ დიალოგი აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასათან, თავი უნდა დავანებოთ „აგრესიულ დიპლომატიის“ გამოვლინებას და „აგრესიული სამშვიდობო პოლიტიკის“ განხორციელებას [90. 142].

იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის იდენტობას დღეს სადავოდ არავინ მიიჩნევს, დღის წესრიგში უნდა დადგეს საქართველოსა და აფხაზეთის ხელისუფლებების დიალოგის დაწყების საკითხი... ცხადია, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს პრაგმატული პოლიტიკური ხედვა ჩამოაყალიბოს აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით და მხარს უჭერს აფხაზეთისათვის ევროპული მოდელის ავტონომიის იდეას და საქართველოს სახელმწიფოს გზა ევროპისაკენ თავისთავად გულისხმობს ევროპული კონტექსტის კონსტიტუციას [90. 143-144].

ახალმა ხელისუფლებამ რუსეთთან კავშირების აღდგენა ეკონომიკითა და ვაჭრობით, კულტურითა და ადამიანთა შორის კონტაქტებით დაიწყო. მაგრამ აშკარაა, რომ ეს პოლიტიკურ საკითხებს ვერ მოაგვარებს. გვესმის საჭირო და აუცილებელია რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, მაგრამ ეს ერთი მხრივ, შეუძლებელია რადგან

რუსეთს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული და რომელმაც აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და მეორე მხრივ კი, მოგვწონს თუ არა ეს, სწორედ რუსეთთან მოგვიწევს მოლაპარაკების წარმოება, რადგან პირდაპირი ურთიერთობის დამყარების გარეშე საჭირო შედეგს ვერ მივაღწევთ. ჩვენი სახელმწიფო ამ სიტუაციაში დაინტერესებული მხარეა და ჩვენი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი, ამიტომსაჭიროა რუსეთთან მოლაპარაკება.

ფაქტია, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლად აღიარებაში კატალიზატორის როლი სწორედ ყოფილი, საა-კაშვილის ხელისუფლების გაუთვლელმა არასწორმა პოლიტიკამ შეასრულა,რამაც2008 წლის აგვისტოში ჯერ კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი დაგვაკარგვინა, შემდეგ კი ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შეზღუდული საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსის შემდგომ განმტკიცებას. სამწუხაროდ იმ მდგომარეობამდე დავედით, რომ წინა შევარდნაძე-სააკაშვილის ხელისუფლებების უხეში შეცდომების წყალობით საქართველოს ტერიტორიული პრობლემების მოგვარების პროცესი ფაქტიურად უიმედოდ გაიყინა.

საქართველოს ეროვნულ ინტერესებში შედის, დასავლური კურსი რაც დღეს დავას ნამდვილად არ იწვევს, მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელი რეალობიდან საეჭვოა, საქართველოს მთლიანობა დასავლეთის სახელმწიფოთა ძალისხმევით ან საერთაშორისო ორგანიზაციების შეშფოთების გამოხატვით აღდგეს. ამ პრობლემის დაწყებიდან გვესმის დასავლეთის მხოლოდ მხარდამჭერი განცხადებები საქართველოს მიმართ. ისინი მართალია გვიდასტურებენ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას, გაეროსა თუ ეუთოში ღებულობენ საქართვე-ლოსთვის სასარგებლო რეზოლუციებს, აკრიტიკებენ და მოუწოდებენ რუ-სეთის ფედერაციას პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და

საზღვრების ურღვევობას, მოითხოვენ კრემლისაგან ხელი აიღოს აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ გამდგარი რეგიონების აღიარებაზე და დახმარება-წაქეზებაზე. მოგვიწოდებენ მხარეებს დიალოგის აღდგენის აუცი-ლებლობისაკენ, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოების ამგვარი ძალისხმევის მიუხედავად არაფერი არ იცვლება ჩვენდა სასარგებლოდ. პირიქით დროში – სიტუაცია უფრო ნეგატიური ხდება საქართველოსთვის. რუსეთი სულ უფრო მეტ დახმარებას უწევს აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს, ღრმავდება მათი რეალური ინტეგრაცია, რუსეთის ფედერაციაში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი სიამოვნებით იღებენ რუსულ ფინანსურ დახმარებას. მართალია მნიშვნელოვანია მათთვის ნიკარაგუა-ვენესუელას და წყნარი ოკეანის ჯუჯა კუნძულოვანი ნაურუს მხრიდან მიღებული აღიარება, მაგრამ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მოსკოვის მხარდაჭერა. პუტინის რუსეთი ხომ მსოფლიო ჰეგემონობაზე აცხადებს პრეტენზიას. აშკარაა რომ რუსეთის წინააღმდეგ არა თუ ევროკავშირი და ნატო, არამედ თვითამერიკის შეერთებული შტატებიც ვერაფერს ახერხებს. ძალიან სამწუხაროა, რომ ევროკავშირის სახელმწიფოებისა და აშშ-ის მიერ კოსოვოს აღიარების ფაქტმა, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის იდეა კვლავ წინა პლანზე გადმოწია და რუსეთმა ბალკანეთის გეოპოლიტიკაში განცდილი მარცხის გამო საქართველოზე იძია შური. მართალია ბრიუსელი და ვაშინგტონი ვერ ხედავენ საერთოს–კოსოვოსა და აფხაზეთ_ „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია, რომ კოსოვოს აღიარებამ უბიძგა პუტინს ეს ნაბიჯი გადაედგა და აღიარა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა. დასავლეთის წყალობით რაც მოხერხდა ნამდვილად არის ის, რომ ამ ეტაპზე შეჩერებულია ჩვენგან განმდგარი რეგიონების შემდგომი სხვა ქვეყნების მხრიდან დიპლომატიური აღიარება.

საინტერესოა ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის 2017 წლის მაისში მიღებული კანონი. აშშ-ს ახალმა პრეზიდენტმა საქართველოს

ტერიტორიულ მთლიანობას დაუჭირა მხარი. ეს ტრამპმა იმ საბიუჯეტო კანონის ხელმოწერით დაადასტურა, სადაც საქართველოს ცალკე თავი ეთმობა. „საქართველოს ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია“ – ასეა დასათაურებული ეს თავი. 2017 წლის ამერიკის ბიუჯეტის კანონში საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ ჩანაწერი პირველად გაკეთდა. ჩანაწერის მიხედვით, აშშ არ დაეხმარება იმ ქვეყნებს, რომლებიც ოკუპირებული აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. დღეს აფხაზეთი და ცხინვალი აღიარებული ჰყავს რუსეთის გარდა სამ ქვეყანას: ნიკარაგუას, ვენესუელასა და ნაურუს [189].

ვფიქრობთ ამერიკის პრეზიდენტის ეს ნაბიჯი დიდი მნიშვნელოვანი აქციაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად და ეს ქმედება კიდევ ერთხელ მკაფიო გამოვლინებაა ამერიკის მხრიდან ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობისა.

3.6. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები

აფხაზეთის ირგვლივ არსებული მწარე რეალობა არის არა იმდენად ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, არამედ რუსეთ-საქართველოს ხანგრძლივიომის ერთ-ერთი გამოვლინება და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი. ცხადია, რომ რუსეთის ფაქტორის არსებობა, უკიდურესად აძნელებს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას, მაგრამ, რა თქმა უნდა, მიუხედავად ამისა, ეს ფაქტორი არ უნდა იყოს სასოწარკვეთისა და ხელების ჩამოშვების საბაბი. აქ მთავარია ის, _ რაოდენ რთული და ხანგრძლივიც არ უნდა იყოს პრობლემის გადაწყვეტა, საქართველოს ძალისხმევა ამ მიმართულებით უნდა იყოს მუდმივი, მიზანმიმართული, დაუღალავი, და, რაც მთავარია, კონცეპტუალურად სწორად დალაგებული.

აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების მიზნით ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობს 1993 წლის ნოემბრიდან გაერო-ს ეგიდით, ეუთო-ს მონაწილეობითა და რუსეთის „შუამავლობით“. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის „სამშვიდობო“ მისიამ აფხაზეთში, რომელსაც რუსეთი ახორციელებდა, უზრუნველყო მხოლოდ კონფლიქტის სამხედრო ფაზის შეწყვეტა და ძალის გამოუყენებლობის რეჟიმის შენარჩუნება. კონფლიქტის მოწესრიგების სახელშეკრულებო ბაზის ძირითადი მოთხოვნები კი _პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა, ლტოლვილთა დაბრუნება და უსაფრთხოება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დე ფაქტო აღდგენა - 1993 წ. სექტემბრის მდგომარეობით ბლოკირებულია და ფაქტობრივად გაყინულია.

კრიტიკული სოციალური თეორიის მიხედვით, ძალიან მნიშვნელოვანია დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგი. ამ თეორიის მიხედვით კონფლიქტი ვერ აიხსნება მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური ზედა-ფენის ანალიზის საფუძველზე. საჭიროა დაპირისპირებული მხარეები დავარ-წმუნოთ, რომ შეხედულებათა განსხვავება, არამსგავსება პრობლემა არ არის და შეიძლება მათი შეთანხმებაერთმანეთთან [78. 202].

კონფლიქტების მთავარი მიზეზი, საზოგადოებაში დაგროვილიწინააღმ-დეგობებია, რომელიც განსაკუთრებით XX საუკუნის ბოლო ოცწლეულ-შიადაგროვილი. შესაბამისად, კონფლიქტები ხორციელდება შემდეგითანმიმდევრობით: 1. წინააღმდეგობათა აღმოცენება; 2. დაპირისპირების განვითარება; 3. წინააღმდეგობათა გადალახვა. თუ ეს ვერ ხერხდება, მაშინ სახეზე გვაქვსკონფლიქტის შემდეგი საფეხურები: 4. წინააღდეგობათა უკიდურესი გამწვავება; 5. წინააღმდეგობათა გამოვლენა კრიზისის სახით. მეცნიერთა შორის დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ეთნიკურკონფლიქტებს. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ეთნოტერიტორიულიავტონომიები კონფლიქტების გაჩენის მიზეზია.

კონფლიქტის მიზეზი შეიძლებაგახდეს თვითნებურად დადგენილი საზღვრები. კონფლიქტთა გახანგრძლივებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობსუმცირესობის საკითხი. მრავალი მეცნიერი ყველაზე პრობლემურად მიიჩნევსპოლიეთნიკურ საზოგადოებაში მიმდინარე კონფლიქტებს. თანამედროვემსოფლიოში კი უმეტესად სწორედ ასეთი კონფლიქტები არის სახეზე. ,,ცნობილია, რომ 99 ქვეყანას ჰყავს 291 ეთნიკური უმცირესობა „რისკის ფაქტორით“ [190. 65]. უმცირესობისათვის კი იდენტურობის დაცვა არსებობისტოლფასია. ბოლო დროს მსოფლიო გლობალიზაციამ, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ინტეგრაციამ, მხოლოდ უმცირესობათა იდენტურობას როდი შეუქმნა საფრთხე. ეს საფრთხე სხვა შედარებით პატარა სახელმწიფოებსაც დაემუქრა. რამაცკიდევ უფრო მეტად ,,კონფლიქტური გახადა მსოფლიოს ფონი“ [78. 204].

ეთნიკური კონფლიქტები შეიძლება იყოს გამოწვეული ისტორიული ანკულტურული განსხვავებულობით. აგრეთვე, პოლიტიკური მიზეზითაც. მაგალითად, როდესაც ჩამოყალიბდასაბჭოთა კავშირი მოსკოვმა რესპუბ-ლიკებშიმიზანმიმართულად ჩამოაყალიბა ავტონომიური ოლქები, განსა-კუთრებითსაზღვრისპირა რაიონებში და გაავლო საზღვრები, რომლებიც იმპერიის მიერაშკარად ჩადებული „ნაღმები“ გახლდათ. მისი პირდაპირი გამოძახილია აფხაზეთისდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტები. ეს კონფლიქტები შერეული ტიპისკონფლიქტებს უნდა მივაკუთვნოთ. ისინი არიან ძირითადად პოლიტიკურიხასიათისა, რომელიც ინსპირირებულია მესამე ძალის – რუსეთის სახელმწიფოსმიერ. თუმცა გარკვეულწილად, ეთ-ნიკური ხასიათისაც გახლავთ [78. 205].

აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტებთან დაკავშირე-ბითთავისი მოსაზრება გამოთქვა მეცნიერმა რევაზ ჯორბენაძემ: „კონფლიქტი-დანმშვიდობიანი, თანამშრომლობის გზით გამოსვლა ჩვენი ქვეყნისათვის დღეისათვისყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან საქართველო ორ დიდი –

მართლმადიდებლურ-სლავურ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის მდებარეობს. კონფლიქტების არსებობაცივილიზაციათა გამმიჯნავ ზონებშია მოსალოდნელი. შესაძლოა, აფხაზ-ქართველთა, ოს-ქართველთა, პანკისის ხეობაში დაძაბულობა და სხვა პოტენციურიკონფლიქტები, სწორედ საწყისი ეტაპია ცივილიზაციათა დაჯახებისა. ამ ომს რუსეთ-ჩეჩნეთის ხანგრძლივი საბრძოლო დაპირისპირებაც აძლიერებს. მნიშვნელოვანია, რომელი ცივილი-ზაციის ნაწილი იყო, მაგ., დასავლეთი, რომელიც იცავს თავისსაზღვრებს NATO-ს სამშვიდობო ეგიდით, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია, რომევროპისათვის ჩვენ ყოველთვის პერიფერია ვიქნებით. ამგვარ პოლიტიკურ სივრცეშიმოხვედრით იდენტიფიკაცია მომავალზე ორიენტაციით უნდა გაკეთდეს, სადაცგათვალისწინებული იქნება გარკვეული ბალანსი და ყოველი დავა საშინაო, საერთაშორისო მშვიდობიანი გზით გადაიჭრება“ [191. 5-6].

აფხაზეთის კონფლიქტი პოლიტიკურკონფლიქტსაც მიეკუთვნება. პოლიტიკური კონფლიქტის კვლევისასაუცილებელია გათვალისწინებულ იქნას კვლევის პროცესის ეტაპები, რომელიცგვაძლევს საშუალებას თანმიმ-დევრულად შევასრულოთ გამოყოფილი საკითხებისშესწავლა, რათა მივიღოთ რეალური შედეგები ესენია: 1. პრობლემის განსაზღვრა; 2. ლიტერატურის მიმოხილვა; 3. ჰიპოთეზების ჩამოყალიბება; 4. საკვლევი პროექტის დამუშავება ექსპერიმენტი, გამოკითხვა; 5. კვლევის ჩატარება; 6. შედეგების ინტერპტრე-ტაცია.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში კონფლიქტების მოგვარების შემდეგი გზებიარსებობს: 1. კონფლიქტის მართვა – კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე ცდილობსკონფლიქტი ნაკლებად აგრესიული გახადოს. ამისათვის კონფლიქტშიმონაწილე მხარეები იწყებენ მოლაპარაკებას; კონფლიქტის ზონაში ათავსებენსამშვიდობო ჯარებს და სხვ. აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში კი რუსული ჯარი იყო ჩაყენებული,

რომელთაცცალმხრივად აფხაზებისმხარე ეჭირათ და ხელს უშლიდნენ მოლაპარაკების დაწყებას. ამიტომაც კონფლიქტის მოგვარების ეს გზაჩვენთვის არ აღმოჩნდა ეფექტური. 2. „კონფლიქტის მართვა კონსტრუქციულად“ და „დისპუტის კოლაბორაციულიგადაჭრა“ – ეს მეთოდები ხშირად გამოიყენება საერთაშორისოშეთანხმებებისას და გულისხმობს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორისალტერნატიული გადაწყვეტილებების შემუშავებას, რომელსაც შემდეგ მოჰყვება მათ შორის ხელშეკრულებების გაფორმება. ოღონდ აუცილებელი პირობაა, რომ ეს ხელშეკრულება კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარემ უნდაშეასრულოს.

საქართველოს ხელისუფალთამცდელობა,კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით, რომელსაცმხარს უჭერდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, ყოველთვის იშლებოდა. ამან კი აღნიშნული კონფლიქტი ჩიხშიშეიყვანა. 3. კონფლიქტში მონაწილე მხარეების ლიდერების შეხვედრა – მათზე ბევრირამაა დამოკიდებული. აუცილებელია, მათ შორის უშუალო და პირდაპირიკავშირის დამყარება, რაც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისსაწინდარი გახდება. მაგრამ საქართველოში არსებული აფხაზეთისა და ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების შემთხვევაში, კონფლიქტში მონაწილემხარეების ლიდერებს შორის პირდაპირი დიალოგი, ფაქტობრივად, ჩაშალარუსეთის სახელმწიფომ და ის, თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდანგამომდინარე, ამ დიალოგის შემდეგში მოხდენასაც უშლის ხელს. 4. კონფლიქტის რეგულაცია – ის ძირითადად სამი მიმართულებითხორციელდება – კონფლიქტის მართვა, კონფლიქტის პრევენცია დაკონფლიქტის გადაჭრა. კონფლიქტის რეგულაციის დროს მიზანი არისკონფლიქტის დაძაბულობის შედარებითი განმუხტვა და მისი მოლაპარაკებისრეჟიმში გადაყვანა. კონფლიქტის რეგულაცია ორ დონეზე მიმდინარეობს – ძალისმიერი გზით რომელიც ნაკლებად ეფექტურია და თანამშრომლობისგზით, რომელიც ურთიერთინტერესების გათვალისწინებაზეა დაფუძნებული. ამ დროს შეიძლება გამოყენებული იქნას

მესამე, ნეიტრალური ძალაც, რომელიც დაინტერესებულია კონფლიქტის მშვიდობიანი, დიალოგის გზითგადაჭრით. კონფლიქტის რეგულაციის დროს საჭიროა მკვეთრადგამოიკვეთოს დავის საგანი. შემდეგ გაიმართოს მათ შორის მოლაპარაკებაშუამავლის, ან არბიტრაჟის მეშვეობით. შუამავლის შემთხვევაში, კონფლიქტშიმონაწილე მხარეები პროცესის მართვას ანდობენ სხვას, თუმცა შედეგსუშუალოდ აკონტროლებენ. არბიტრაჟის შემთხვევაში კი, შედეგს და პროცესს მთლიანად ანდობენ სასამართლოს. კონფლიქტების რეგულაციის მრავალიმეთოდი არსებობს. ის დამოკიდებულია იმაზე, თუ ესკალაციის რომელსაფეხურზე იმყოფება კონფლიქტი. შესაბამისად, ადგენენ მიდგომის გზებს დაშედეგის საალბათო ხარისხს. თუ კონფლიქტი ღია დაპირისპირებაშიაგადაზრდილი, მისი რეგულაცია ძნელად ხორციელდება. აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტების შემთხვევაში, ვერ ხერხდება მათირეგულაცია არც შუამავლის და არც არბიტრაჟის საშუალებით. ამკონფლიქტების რეგულაცია რომ არ ხდება, ამაშიც ბრალი მიუძღვის რუსეთისსახელმწიფოს, რადგან აქ მის მიერ მართვადი ქაოსის შექმნა უნარჩუნებსკავკასიაზე კონტროლს. 5. მოლაპარაკება – ის საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება წარიმართოს ხუთეტაპად: I. კონფლიქტში მონაწილე მხარეთა მიერ მათი პოზიციების დაფიქსირება; II. მხარეთა მოთხოვნების გარკვევა; III. კონფლიქტის გადაჭრის ალტერნატიული წინადადებების წამოყენება; IV. სადავო საკითხებზე შეთანხმების მიღწევა; V. მიღწეული შეთანხმების აუცილებლად შესრულება; არსებობს ჰორიზონტალური და ვერტიკალური მოლაპარაკებები. ჰორიზონტალური მოლაპარაკება მიმდინარეობს კონფლიქტისთანაბარუფლებიან მხარეებს შორის. ვერტიკალური კი არის ისეთიმოლაპარაკება, როდესაც კონფლიქტში მონაწილე ეთნოპოლიტიკურილიდერები ესაუბრებიან კონფლიქტში მონაწილე თავის მხარეს. 6. კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები – კონფლიქტების გადაჭრის შემდეგისტრატეგიები არსებობს: I. კონფლიქტიდან განრიდება; II.

ურთიერთკომპრომისი; III. კონფლიქტურ სიტუაციასთან შეგუება; IV. კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის თანამშრომლობის დამყარება; V. კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაწყვეტა, რაც, აგრეთვე, კონკურენციის სახელით არის ცნობილი [78. 213-215].

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მიდგომები და მოსაზრებები. რომელთა შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, მაგრამ უნდა ითქვას გადაჭრით, რომ ამ კონფლიქტის მოსაგვარებლად ქართულ მხარეს დღემდეარ შეუმუშავებია მაღალკვალიფიციური ქმედუნარიანი სტრატეგიული გეგმა, რომლის გარეშეც პრაქტიკულად წარმოუდგენელია პრობლემის ადგილიდან დაძვრაც კი. სპონტანური გადაწყვეტილებებით და გაუაზრებელი ნაბიჯებით ეს პრობლემა არასოდეს მოგვარდება.

კონფლიქტის ცხელ ფაზაში შესვლისთანავე დაიწყო მოლაპარაკებები ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია, რომ რამე ხელშესახები 24 წლის მანძილზე პრობლემის მოგვარების გზაზე რეალურად არ გვაქვს. არცერთი მხარე თავის პოზიციას არ თმობს. ამასთან როგორც დავინახეთ მიდგომები პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით დროის განმავლობაში სხვადასხვა იყო და იცვლებოდა ეტაპობრივად. დროის გასვლამ უფრო ჩიხში შეიყვანაქართულ-აფხაზური კონფლიქტი და უიმედო უპერსპექტივო ფაზაშიადღესდღეობით მოქცეული პოლიტიკური დარეგულირების პროცესი.

ამდენად,კვლავ ღიად რჩება უმნიშვნელოვანესი საკითხი: როგორ ხედავს საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის მომავალი მოწყობის მოდელს, რა მექანიზმით იქნება უზრუნველყოფილი აფხაზეთის სუვერენიტეტი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და, საერთოდ, რა ხარისხის სუვერენიტეტზეა საუბარი. აღნიშნულ საკითხებზე ცენტრალური ხელი-სუფლების მხრიდან დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი პოზიცია.

ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად (რომელიც 1995 წ. საქართველოს კონსტიტუციაშიც აისახა), ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის მოდელის განსაზღვრას ხელს უშლის მოუგვარებელი კონფლიქტები. კონფლიქტის გადაწყვეტის გასაღები ქართული და აფხაზური მხარეების შეთანხმებაშია. ასეთი შეთანხმება კი ვერ შედგება, სანამ ცენტრალური ხელისუფლება არ ჩამოყალიბდება, თუ რას სთავაზობს ის განკერძოების მომხრე საზოგადოებას.

აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ძირითადი მიმართულებების თაობაზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზოგადი ხედვა წარმოდგენილია დოკუმენტში „უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები თბილისსა და სოხუმს შორის“. მას უფრო ხშირად„ბოდენის დოკუმენტს“ უწოდებენ. მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, „ბოდენის დოკუმენტთან“პრინციპული ხასიათის პრეტენზიები აქვთ, როგორც აფხაზურ, ასევე ქართულ მხარესაც. აფხაზურ მხარეს აშინებს საქართველოს სახელმწიფოში რეინტეგრირება, ხოლო ქართულ მხარეს – აფხაზეთის სუვერენული სტატუსის დაფიქსირება. „ბოდენის დოკუმენტის“ფუძემდებლური პრინციპების კონკრეტული, სამართლებრივად და პოლიტიკურად გამართული, დემოკრატიული მექანიზმებითა და გარანტიებით შევსების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილებების შემუშავება. ოღონდ, ეს უნდა გააკეთონ უშუალოდ მხარეებმა, რადგან ვერც გაერო და ვერც ეუთო მათგან დამოუკიდებლად ვერ განსაზღვრავს, სუვერენიტეტის კონკრეტულად რა ხარისხი შეიძლება შეესაბამებოდეს ორივე მხარის ინტერესებს. ვფიქრობთ, რომ ქართულმა მხარემ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, რეგიონალიზმისა და ფედერალიზმის პრინციპების შერწყმის საფუძველზე, აფხაზეთს და მის მოსახლეობას უნდა შესთავაზოს საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის სპეციფიკური მოდელი, რომელიც შესაძლებლობას შექმნის, ანგარიში გაეწიოს

მხარეების ისტორიულად და სამართლებრივად ჩამოყალიბებულ გამორჩეულობას, საქართველოს სხვა რეგიონების კულტურული, პოლიტიკური, ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებების ფონზე. დეტალურად უნდა იყოს განხილული საქართველოს სახელმწიფოში მათი განსაკუთრებული პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი, აქედან გამომდინარე ყველა უფლება და ვალდებულება. განისაზღვროს განსაკუთრებულ უფლებამოსილებათა კონკრეტული ნუსხა, დამატებითი გარანტიები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს აფხაზი ხალხის დაცვისა და განვითარების პირობები, მათ შორის – პოლიტიკურ, ფინანსურ, დემოგრა-ფიულ და სხვა სფეროებში. უნდა დადგენდეს მხარეთა ვალდებულებები: უპირველეს ყოვლისა, კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუსტი აღრიცხვა და მათი ნებაყოფლობითი დაბრუნება საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში; პარალელურად ეკონომიკური დახმარების აქტიური განხორციელება, დაბრუნებულ პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სიტუაციის სტაბილიზაცია.

ის, თუ რა როლი ითამაშა XIX საუკუნის რუსეთის კოლონიურმა პოლი-ტიკამ ქართულ-აფხაზურ გაუცხოებაში, ამაზე ზემოთ გარკვევით ვისაუბრეთ მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ისტორიული თუ სოციოლოგიური ინტერესის სფერო უფროა, ვიდრე თანამედროვე შერიგების პოლიტიკის მშენებლობის საკითხი. წარსულის ქექვა ამ სიტუაციაში შერიგებისთვის ხელშემწყობი ფაქტორი სულაც ვერ იქნება, რადგანაც აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თუ იმდროინდელი აფხაზი არისტოკრატიის ნაწილი მთლიანად იყო დაკავშირებული ქართულსამყაროსთან კლასობრივი თუ სხვადასხვა თვალსაზრისით, იგივეს ვერ ვიტყვით ამ მხარის სხვა ადგილობრივებზე. როგორც ცნობილია ეს ეთნიკურად ჭრელი რეგიონი იყო სადაც აფხაზური და ქართული წარმომავლობის ხალხთა საცხოვრებელი ადგილის საზღვარი მუდმივად იცვლებოდა, შესაბამისად, ამათუ იმ ოჯახის

აფხაზობა ან მეგრელობა უფრო კონკრეტული გარემოებების შედეგს წარმოადგენდა, ვიდრე წმინდა ეთნიკური წარმომავლობა, ამიტომაც ფაქტია, რომ ორი ეროვნული იდენტობა ჩამოყალიბდა. მეგრულმა მოსახლეობამ თავი თუ სრულიად მოიაზრა ერთიან ქართული ეროვნულ ფარგლებში, აფხაზობა კი განსხვავებული ეროვნული იდეის საფუძველი გახდა. საბჭოთა პერიოდში, ქართველთა და აფხაზთა ეთნოსების–აწ უკვე თანამედროვე ეთნიკური ერების–პოლიტიკური იდეალები რადიკალურად დასცილდა ერთმანეთს. დარჩა ყოფისა და ტრადიციის მსგავსება, მაგრამ ეს სულაც არ აღმოჩნდა საკმარისი პოლიტიკური ერთობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯანელიძე 2007: თ. ჯანელიძე, აფხაზეთის კონფლიქტი და რუსეთი და-
2. სავლეთის პოლიტიკურ კვლევებში, თბილისი, 2007.
3. გელაშვილი 1994: ნ. გელაშვილი, „ზუსტი შეფასების ძიებაში“, ლიტე-
4. რატურული საქართველო, 1, 1994.
5. იმედაშვილი 1993: კ. იმედაშვილი, „გავთავისუფლდეთ შიშისგან“, თბი-
6. ლისი, 38, 1993.
7. საქართველოს გენერალური პროკურატურისა და აფხაზეთის ავტონომიური
8. რესპუბლიკის პროკურატურის დასკვნა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში,
9. ქართველი მოსახლეობის გენოციდის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე
10. დადგენილ გარემოებათა შესახებ (1992-1999 წწ.)
11. http://www.c-r.org/downloads/Georgian-Abkhaz_PPP_Geo.pdf
12. Citizenship and Nationhood. Harvard University Press. Cambridge, Mass, 1990
13. დავით ლაცუზბაია, ვახტანგ ყოლბაია, რაფიელ გელანტია, თეიმურაზ ჭახრაკია. აფხაზეთის ლაბირინთი,გვ.124 – თბილისი, "არხატი", 1999
14. პაპასქირი ზ., ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვეთი II, თბ., 2007;
15. ჯოჯუა დ., აფხაზეთი 1938–2006 წლებში: რეგიონალური ისტორიული პროცესის ასპექტები. თბ., 2007;
16. გურგენიძე ვ., წერეთლი ნ., „საერთაშორისო ორგანიზაციების როლი კონფლიქტების მართვასა და მოწესრიგებაში“,თბ., 2012;
17. http://www.econpolicyfact.ge/ka/election/1/party/ertiani-natsionaluri-modzraoba/platform/makroekonomikuri-sakitkhebi
18. კვესელავა ი., აფხაზეთი - თანამედროვე საერთაშორისო და ქართულ პოლიტიკაში, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, თბ., 2016;
19. გაზ, ,,აითაირა“, საზოგადოებრივ პოლიტიკური მოძრაობის ,,ვოზროჟდენია“ პერიოდული ორგანო. სოხ. 2015. (რუსულ ენაზე);
20. http://partiebi.ge/new/index.php?m=41&parties_id=1
21. http://partiebi.ge/new/index.php?m=41&parties_id=2
22. გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში. ავტორი: კახაბერ კაციტაძე. გამომცემლობა (გამომცემლობა მერიდიანი 2001წ)
23. საქართველოს ეროვული უსაფრთხოების კონცეფცია. დოკუმენტი N264. 2003 წ.
24. კაკიტელაშვილი, ქეთევან. ისტორიის რეკონსტრუქცია აფხაზურ და ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. თბილისი. 2015. გვ 98.

25. აკობია ეკა, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია: სალექციო კურსი სოც. მეცნ. მაგისტრატურისათვის / ეკა აკობია ; [მთ. რედ.: მარინე ჩიტაშვილი, ენობრ. რედ.: ლია კაჭარავა] - თბ. : სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 - 100გვ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

ირმა შავაძე

მარკეტინგული ტექნოლოგიების გავლენა არჩევნების შედეგებზე (2012 საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე)

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების

მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე, ლია თეთრაძე

თბილისი 2017 წელი

სარჩევი

1. შესავალი 5
კვლევის მიზანი: 8
კვლევის ამოცანა: 9
საკვლევი კითხვა: 9
ჰიპოთეზა: 9
დამოუკიდებელი ცვლადი 10
დამოკიდებული ცვლადი 10
კვლევის მეთოდები: 10
2. თეორიული ჩარჩო 10
3. ოპერაციონალიზაცია 16
4. ლიტერატურული მიმოხილვა 26
4.1. ზოგადი მარკეტინგის მნიშვნელობა და მიზანი 27
4.2. პოლიტიკური მარკეტინგის არსი და მიზანი 29
4.3. პოლიტიკური მარკეტინგის წარმოება/რეკლამა 31
4.4. პოლიტიკური რეკლამის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს 32
4.5. პოლიტიკური მარკეტინგი და PR-ი 32
5. მედიამონიტორინგის შედეგები 2012 წლის არჩევნებში 33
6. დასკვნა 43
7. გამოყენებული ლიტერატურა 45

ანოტაცია

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია მარკეტინგული ტექნოლოგიების (სატელევიზიო რეკლამა და სოციალური ქსელები) როლი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, კვლევის მთავარი მიზანია გავიგოთ რა გავლენას ახდენს არჩევნებში სატელევიზიო რეკლამები და სოციალური ქსელის გამოყენება. რა ტექნოლოგიებს იყენებდენ 2012 წლის არჩევნებში, რამდენად წარმატებული აღმოჩნდა თითეული პარტის მიერ წარმოებული კამპანია მათი გამარჯვებისთვის. რამდენ დროს უთმობენ სატელევიზიო რეკლამებს, რამდენად რაციონალურად იყენებენ სოციალურ ქსელებს სარჩევნო მიზნებისთვის. თვლიან თუ არა რომ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე სქართველოში ორივე მარკეტინგული ტექნოლოგია პარტის განვითარებაზე და ცნობადობაზე.

აგრეთვე წარმოდგენილია სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნების მაგალითი, რა ტექნოლოგიებს იყენებს და როგორ. მაგალითად ამერიკის შერთებული შტატები და ნორვეგია, რომლებსაც ყველაზე კარგად ააქვთ განვითარებული როგორც სოციალური ქსელებით კომუნიკაცია ასევე რეკლამა.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია როგორც პარტიების წარმომადგენლების შეფასება, ასევე ექსპერტის აზრიც, თუ როგორ აწარმოებენ სარჩევნო კამპანიას და რა შედეგებამდე მიდიან საბოლო ჯამში.

Abstract

On this master project has studied the role of marketing technologies (TV advertising and social networks) in 2012 parliamentary elections.

The main goal of this study was to the understanding of the TV ads and social networks are used usually in the parliamentary elections. The main question of this study was: what marketing technologies were the use by the politicians in the 2012 parliamentary elections? How successful was each marketing technologies for each campaign? which was created by the campaign for their election? How much time do they spend on television ads? How much they use of social networks? Do they think that both marketing technologies have an effect on the modern world development and awareness of the parties?

It is important to evaluate what the situation is in Georgia in this regard is unclear for this time. It is important to evoluated marketing role on the parties success in the election in Georgia.

As well as on the study is presented that Georgia is compared with different developed countries, how the technology is used example in the United States and in Norway. which those countries have the most well developed social networking as well as advertising communication, during the elections.

In the part of the conclusion in this master thesis has presented the assessment of the members of the politicians as to how they conduct the election campaign and what are the consequences of the campaign.

1. შესავალი

პოლიტიკური მარკეტინგის შესწავლა მიმდინარეობს მრავალი მკვლევრისა თუ პოლიტიკოსის მიერ მსოფლიოს მაშტაბით (Lilleker & Lees-Marshment, 2005). მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოში მდგრადი პოლიტიკის, ჩამოყალიბების მნიშვნელოვან არსს წარმოადგენს პოლიტიკური მარკეტინგი (Scammell, 1999). მკვლევართა აზრით, პოლიტიკური მარკეტინგი არის გლობალური ფენომენი, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიოს ყველა კუთხის პოლიტიკური პარტიების, როგორც რაოდენობრივ ასევე მის თვისებრივ განვითარებას (Wring, 1997). ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს 2002 წელს გამართული კონფერენცია დიდ ბრიტანეთში, სადაც მოეწყო განხილვა პოლიტიკური მარკეტინგის მნიშვნელობაზე თანამედროვე პოლიტიკაში, სადაც პოლიტიკოსები თუ მკვლევრები ერთხმად შეჯერდნენ იმ აზრზე, რომ პოლიტიკური მარკეტინგული ტექნოლოგიები არის პარტიების გაძლიერების მთავარი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკის მდგრად ჩამოყალიბებას (Lilleker & Lees-Marshment, 2005).

პოლიტიკოსებს და ამომრჩევლებს შორის ურთიერთობის მთავარ გზას განაპირობებს, მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენება პარტიების მიერ (Lock & Harris, 1996). პოლიტიკური მარკეტინგული ტექნოლოგიების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს: ბაზრის კვლევა, პროდუქტის შექმნა და მთავარ რესურსთან, ამომრჩეველთან კომუნიკაცია. პოლიტიკა, როგორც ასეთი ბიზნესს არ წარმოადგენს, ის უნდა ემსახურებოდეს არა მოგების მიღებას არამედ უფრო მნიშვნელოვან გათვლას, აწარმოოს სახელმწიფოში პოლიტიკური პარტიების განვითარება, რაც პირდაპირ კავშირში უნდა იყოს სახელმწიფოს მდგრად განვითარებასთან (Weingast, 1995).

პოლიტიკური მარკეტინგი, ისევე როგორც ზოგადი მარკეტინგი, ხელმძღვანელობს შემდეგი მოტივით: იყოს ორიენტირებული პროდუქციის ხარისხზე, ხაზი გაუსვას და იზრუნოს მის მზარდ გაყიდვაზე (პოლიტიკური მარკეტინგის შემთხვევაში ეს ეხება პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიის შეთავაზებას ამომრჩეველზე) და ბოლოს *მარკეტინგზე ორიენტირებული მარკეტინგი,* რაც უშუალოდ ეხება ამომრჩევლების

მოთხოვნებსა და ითვალისწინებს მათ აზრს პროდუქციის შექმნისას (Bowler & Farrell, 1992).

პოლიტიკური პარტიების მარკეტინგული კვლევა იწყება საზოგადოების პრიორიტეტების განსაზღვრით და ამომრჩევლის მოთხოვნების გათვალისწინებით. შემდეგ ეტაპზე, პოლიტიკური პარტიები ითვალისწინებენ რა საზოგადოების მოთხოვნებს, ქმნიან იმ პროდუქტს, რომელიც შეძლებს ამომრჩევლის მოთხოვნების სრულად ასახვას. ის არ ცდილობს საზოგადოების აზრის შეცვლას და აწვდის იმ პროდუქტს რაც საზოგადოებას სურს (O'Cass, 2001). პოლიტიკური პარტიები არ არიან ორიენტირებული იდეოლოგიებზე, პირიქით ისინი ქმნიან და აყალიბებენ იმ პროდუქციას, რაც ხალხს ანუ ამომრჩეველს უნდა (Butler & Collins, 1994).

პოლიტიკური პარტიების მთავარ იდეოლოგიას თავდაპირველად ბაზრის კვლევა წარმოადგენს, სადაც ძირითად კითხვებს წარმოადგენს ის თუ როგორია ამომრჩევლის ქცევა? რა ტიპის მოთხოვნები აქვს ამომრჩეველს? რას ელოდება კონკრეტული პოლიტიკური პარტიისაგან ამომრჩეველი? (Strom, 1990) და ა.შ.

შემდეგ ეტაპზე კონკრეტულ მონაცემებზე დაყრდნობით პარტია ქმნის პროდუქტს, რასაც ითხოვს ამომრჩეველთა უმრავლესობა და შესაბამისად პარტიას ეცვლება ქცევა და იმიჯი საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა შეიძლება პოლიტიკური პარტიის შეცვლაც კი გამოიწვიოს.(Strom, 1990).

პოლიტიკური პარტიებისთვის მთავარი მიზანი უნდა იყოს მაქსიმალურად უზრუნველყოს ამომრჩეველისათვის დაპირების შესრულება, რათა არ გამოიწვიოს ამომრჩეველთა უკმაყოფილება და ნდობის დაკარგვა, რაც უშუალოდ მოქმედებს პარტიის იმიჯზე.

კომუნიკაცია უშუალოდ პროდუქციის მიწოდების მთავარი ხერხია საზოგადოებისათვის. კომუნიკაციის დროს პარტიები უმეტესად საუბრობენ პროდუქციის დადებით მხარეებზე და ამით ხაზს უსვავენ პარტიის უპირატესობას, საზოგადოებაზე პროდუქტის შეთავაზების და გაცნობის საშუალებას წარმოადგენს მარკეტინგული ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს იდეის კარგად შეფუთვას

და ამომრჩეველზე იმ ფორმით მიწოდებას, რომელიც მისთვის მარტივად აღსაქმელი და ყურადღების მიმქცევი იქნება. (Strom, 1990).

საქართველოში ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, პოლიტიკური მარკეტინგი ასრულებს მნიშვნელოვან და ხანდახან გადამწყვეტ როლსაც, პოლიტიკური კამპანიის წარმატებაში (Scammell, 2016).

საქართველოში პოლიტიკური პარტიები იცავენ ზოგად პოლიტიკურ მარკეტინგულ წესებს და როგორც ზემოთ ავღნიშნე პირველ ეტაპზე იკვლევენ ბაზარს, აქვთ შეხვედრები ამომრჩევლებთან, აწვდიან ინფორმაციას კონკრეტული პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიის შესახებ, საუბრობენ მათი პოლიტიკური პარტიის პრიორიტეტებზე. იყენებენ სხვადასხვა მარკეტინგულ ტექნოლოგიებს ინფორმაციის მიწოდებისთვის, მაგალითად როგორიც არის ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, ბანერები, სოციალური ქსელები, ბუკლეტები სადაც სრულად არის ჩამოყალიბებული მათი იდეები, იდეების განხორციელების მნიშვნელობა, როგორც ქვეყნის ასევე ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, მისი მნიშვნელობით და შედეგებით ყველაზე აქტიურ არჩევნებად ითვლება ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით 2012 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის 60.8%-მა. 2012 წლის არჩევნები ასევე ყველაზე სამართლიან არჩევნებად განიხილება, როგორც ქვეყნის ასევე საერთაშორისო დონეზე (OSCE, 2012 წლის 1 ოქტომბერი, საქართველოს საპარლამენტო არჩევნები). 2012 წლის წინა საარჩევნო პროცესები მნიშვნელოვნად იცვლებოდა წინასწარი ეგზიტპოლის შედეგების მიხედვით, მაშინ როდესაც წლის დასაწყისში პოპულარობდა ნაციოლალური მოძრაობა და ყველას უსწრებდა ხმათა რაოდენობით დროთა განმავლობაში ეს შედეგები იცვლებოდა იმის მიხედვით თუ რამდენად აქტიურობდა სახვადასხვა პოლიტიკური პარტია, მათ შორის ახალი პოლიტიკური ძალა კოალიცია „ქართული ოცნება“. არჩევნების მიმდინარე „ამინდის“ შეცვლა მოხდა სექტემბერში, როდესაც ციხის კადრები გახდა საჯარო, სადაც პატიმრებს საშინლად ეპყრობოდენ ზედამხედველიები, როგორც ფიზიკურად ასევე მორალურადაც, ამ კადრებში კი

ყველაზე საშინელი „ცოცხის ეპიზოდები“ გასაჯაროება იყო. ციხის კადრები გახდა გადამწყვეტი რადიკალურად შეცვლილიყო არჩევნების შედეგები. ამან კი ყველაზე ცუდი შედეგი მოქმედი სახელისუფლებლო პარტიის “ერთიან ნაციოლაურ მოძრაობის” თვის გამოიღო.

ციხის კადრების შემდეგ საზოგადოების დიდი ნაწილისგან აგრესია და უნდობლობა იგრძნობოდა, მიუხედავად ამისა ნაციონალურ მოძრაობას არ შეუწყვეტია ამომრჩეველთან კომუნიკაცია და მუდმივად ცდილობდენ დაერწმუნებინათ საზოგადოება, რომ ეს იყო „ქართული ოცნების“ მიერ მოწყობილი ამბავი, რომელიც რეალობას არ შესაბამებოდა, ცდილობდენ საზოგადოების ყურადღება გადაეტანათ ცხრა წლის განმავლობაში მათ მიერ შექმნილ და შეცვლილ საქართველოზე, რითაც ცდილობდნენ გადაეფარათ ყველა ის ფაქტი, რაც „ციხის ეპიზოდებს“ უკავშირდებოდა. მუდმივად ქონდათ შეხვედრები სხვადასხვა რეგიონში ამომრჩევლებთან, იყენებდენ მარკეტინგული ტექნოლოგიების სხვადასხვა ხერხებს, სატელევიზიო რეკლამებს და მუდმივად ცდილობდნენ სოციალური ქსელების საშუალებით ამომრჩეველს დაკავშირებოდნენ.

მარკეტინგულმა ტექნოლოგიებმა საქართველოს 2012 წლის არჩევნებში მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი ითამაშა.

პოლიტიკური მარკეტინგი ის იარაღია, რომელიც ემსახურება პოლიტიკური პარტიის, როგორც დაცემას წარუმატებლობის შემთხვევაში ასევე მწვერვალზე ასვლას, მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში.

კვლევის მიზანი: მარკეტინგული კომუნიკაციების თეორიული პრინციპების, მოდელებისა და კომუნიკაციის საშუალებით ინტეგრაციის დონეების შესწავლა და მათი პრაქტიკული გამოყენება ქართულ პოლიტიკაში, შევისწავლო მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენება (სატელევიზიო რეკლამა და სოციალური ქსელები), რამდენად უწყობს ხელს პოლიტიკური პარტიებს წარმატების მიღწევაში, რამდენად უმარტივებს ამომრჩეველთან ურთიერთობის დამყარებაში, არის თუ არა ეს მათვის როგორც დროის ეკონომიის საშუალება, ასევე ფინანსური დანაზოგის ხერხი. რა

გავლენას ახდენს, ან როგორ მოქმედებს აღნიშნული საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით მიწოდებული ინფორმაცია ამომრჩევლის განწყობაზე.

ინფორმაცია ამომრჩევლის განწყობაზე და საბოლოდ გადაწყვეტილების მიღებაზე, რასაც გამოვიკვლევ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე.

კვლევის ამოცანა: მარკეტინგული კომუნიკაციის განვითარების ტენდენცია და თავისებურებები ქართულ რეალობაში. ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენაც არის თუ არა მარკეტინგული ტექნოლოგიები (სატელევიზიო რეკლამა და სოციალური ქსელი) პოლიტიკური პარტიებისათვის ხელსაყრელი შედეგის მომტანი. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რა გავლენა იქონია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე სხვადასხვა მარკეტინგულმა ტექნოლოგიებმა „სატელევიზიო რეკლამამ და სოციალურმა ქსელებმა“ ამომრჩეველზე.

საკვლევი კითხვა: რამდენად წარმატებული იყო ამომრჩეველთა მობილიზაციის თვალსაზირით მათ მიერ გამოყენებული სატელევიზიო რეკლამა და სოციალური ქსელები 2012 წელს?

რამდენად ემყარებოდა პარტიების საკომუნიკაციო და სარეკლამო სტრატეგია ელექტორალურ კვლევებს?

რამდენად განაპირობებს მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენება პოლიტიკური პარტიების პარლამენტში მოხვედრას?

ჰიპოთეზა: რაც უფრო მეტად იყენებენ პოლიტიკური პარტიები მარკეტინგულ ტექნოლოგიებს მით უფრო მეტად იზრდება მათი პარლამენტში მოხვედრის შანსი.

ჰიპოთეზა გამოიკვეთა კვლევის ამოცანების და საკვლევი კითხვის საფუძველზე, რაც გვაძლევს ვარაუდს რომ რაც უფრო მეტად იყენებენ ესა თუ ის პოლიტიკური პარტია მარკეტინგულ ტექნოლოგიებს „რეკლამას“ მით უფრო უმარტივდება ამომრჩეველთან ურთიერთობა, რის საფუძველზეც ხდება აზრების და იდოლოგიების შეთავაზება მარტივი ფორმით მოსახლეობისათვის, რაც ხელს უწყობს პარტიას უფრო სწრაფად, იაფად და ხარისხიან შედეგს მიაღწიოს.

აქედან გამომდინარე ჰიპოთეზიდან იკვეთება ორი მნიშვნელოვანი ცვლადი დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები, რომლებიც ერთმანეთთან ჯაჭვურ კავშირშია როდესაც,

დამოუკიდებელი ცვლადი არის მარკეტინგული ტექნოლოგიები

დამოკიდებული ცვლადი კი იქნება არჩევნებში მიღებული ხმათა რაოდენობა.

კვლევის მეთოდები: კვლევის მეთოდლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს ზოგადი მარკეტინგის საფუძვლები, მარკეტინგული კომუნიკაცის საშუალებების განვითარება, ქართულ პოლიტიკაში, როგორ აფასებენ პარტიები როგორც მათ მიერ გამოყენებულ სარეკლამო და სოციალური ქსელებით აქტიურობას ასევე ოპონენტების მხრიდან. როგორ შეაფასებენ პოლიტიკური პარტიების მიერ მარკეტინგული ხერხების გამოყენების ეფექტურობას. ამისათვის მე ვიყენებ თვისებრივი კვლევის მეთოდს- სიღრმისეულ ინტერვიუს. სიღრმისეულ ინტერვიუს ვატარებ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან და ექსპერტებთან რომლებმაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოახერხეს პარლამენტში შესვლა.

შევადარებ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის (კოალიცია ქართული ოცნების პარტიას და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას) აქტივობას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში სატელევიზიო რეკლამებს ცესკოს მონაცემების საფუძველზე.
სატელევიზიო რეკლამების გამოყენების სიხშირე იქნება წარმოდგენილი დიაგრამების სახით ცეესკოს მონაცემების საფუძველზე, რამდენად მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური პარტიებისთვის 2012 წლის არჩევნებში სატელევიზიო რეკლამა.

2. თეორიული ჩარჩო

მარკეტინგი ინგლისური სიტყვაა (Market) და ქართულად ბაზარს ნიშნავს, იგი მოიცავს ბაზარზე საქონლისა და მისი მოთხოვნის შესწავლას. დიდი ხნის განმავლობაში მეწარმეთა საზრუნავს, მხოლოდ პროდუქციის წარმოება წარმოადგენდა, თუმცაღა შემდეგ ბაზარზე კონკურენციის ზრდამ განაპირობა მარკეტინგის განვითარება, რაც

მოიცავდა პროდუქციის მყიდველთა მოთხოვნილების ცოდნასა და პროდუქტზე ორიენტირებული მყიდველის შესწავლას (Matsaberidze M. 2003).

თანამედროვე სამყაროში პოლიტიკური მარკეტინგის გამოყენება მნიშვნელოვნად ეხმარება პოლიტიკურ პარტიებსა და ამომრჩევლებს კომუნიკაციის მარტივად დამყარებაში.

NDI (ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი)20 წელზე მეტია აკვირდება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ქცევას წინა სარჩევნო პერიოდში, რამდენად ხშირად ცდილობენ ამომრჩეველთან კონტაქტს, როგორ აქვთ მათი სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბებული და ემთხვევა თუ არა მათი და საზოგადოების შეხედულებები და მოთხოვნები ერთმანეთს.

მარკეტინგული ხერხების მიხედვით მომუშავე პარტიებს აქვთ საშუალება, რომ ეფექტურად შეძლონ მუშაობა, როგორც პარტიის განვითარებაზე ასევე საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე.

დემოკრატიას სჭირდება ძლიერი და მდგრადი პოლიტიკური პარტიები, რომელიც მუდმივად იქნება საზოგადოებასთან კონტაქტში და რომელიც აჩვენებს მათ შესაძლებლობას და უნარს როგორ შეიძლება მართონ სახელმწიფო, რა შეიძლება შესთავაზონ საზოგადოებას იმისთვის, რომ სანდო და ხალხის დასაყრდენ ძალად მიიჩნეოდეს პარტია.
საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო იქმნება საზოგადოებისთვის და მათ საკეთილდღეოდ, და არა კონკრეტულად რომელიმე პარტიისთვის.
ამიტომ განვითარებადი ქვეყნები ცდილობენ მაქსიმალურად განავითარონ ქვეყანაში თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები, რის დახმარებითაც მნიშვნელოვნად მარტივდება როგორც პარტიების მოქმედების გეგმების მეტად დამუშავება და მორგება იმ საზოგადოებაზე, რომელმაც უნდა აირჩიოს.

Leslie McCrea Leslie ორიენტირებულია ელექტრონული მარკეტინგის კამპანიების და სტრატეგიების B2B და B2C დანერგვით, მისი მთავარი მიზანია თანამედროვე მსოფლიომ მიზნის მიღწევისთვის და მარტივი კომუნიკაცის საშუალებად

საზოგადოებასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის დანერგოს მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ორიენტირებულია ხარისხზე დროის ეკონომიაზე, ხარჯების დაზოგვაზე და რაც მთავარია შედეგზე, რის მიღწევასაც მარტივად შეძლებს, როგორც პოლიტიკური პარტიები, სხვადასხვა ბიზნეს თუ საჯარო სტრუქტურები.

ამის ნათელ მაგალითად ლესლი იყენებს 2016 წლის ამერიკის არჩევნებს, რომელშიც დაწვრილებით განიხილავს თითეულ მარკეტინგულ ტექნოლოგიას და მისი ხერხების გავლენას არჩევნების დროს. როგორც ლესლი წერს ტრამპის კამპანია ყურადღების ცენტრში ყავდა და დიდ ძალისხმევას ხარჯავდა მედიაზე. ივნისში და მარტის თვეში ტრამპმა 1,006 მილიარდი დოლარის ღირებულების მედიამონიტორინგის საშუალებით შეძლო სამაუწყებლო, ბეჭდური და ინტერნეტ-საშუალებებიდან ***630 000-ზე მეტი ამბავი გაევრცელებინა.*** მის ვებ-გვერდზე განთავსებულია სექცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნა ბოლო სტატიების "ახალი ამბები", ისევე როგორც "მედია" tab მთავარ მენიუში.

ტრამპი წინა სარჩევნო პერიოდში განსაკუთრებულად აქტიურად ცდილობდა ამომრჩეველზე ეჩვენებინა ყველა აქტივობა, რომელიც მის ირგვლივ ხდებოდა, და რომლის დახმარებითაც ამომრჩეველთან მუდმივ კონტაქტში იყო და ხელს უწყობდა მისი მუდმივი აქტურობით ემოციური კავშირი დაემყარებინა ამომრჩეველთან. ამის ნათელი მაგალითი იყო, მისი ყოველდღიური ყოფნა Facebook- ზე და Twitter- ზე. სადაც საშუალება ეძლეოდა საკუთარი აზრი დაეფიქსირებინა სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებზე. ტრამპს სოციალური ქსელების გამოყენება მნიშვნელოვნად დაეხმარა პოპულარულობაში და იმდენად პოპულარული გახდა მისი მუდმივი აქტიურობა Facebook-ზე და Twitter-ზე, რომ ამერიკის სხვადასხვა არხების მიმართ მოსახლეობისგან ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. (*Leslie McCrea Leslie 2016).*

2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში, 2016 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებით, საქართველოში, ძირითადად ყურადღება პოლიტიკური პარტიების მხრიდან გამახვილებული იყო მედია საშუალებებზე ანუ პოლიტიკური პარტიებმა ძირითადი აქცენტი გაამახვილეს სატელევიზიო რეკლამებზე, მაგრამ 2012 წელსაც გარკვეულ წილად სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა მიმართეს

სოციალურ ქსელის მარკეტინგს განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენეს Facebook გვერდი, რომლის საშუალებითაც ავრცელებდნენ ყოველდღიურ მონაცემებს.

მას შემდეგ, რაც პოლიტიკური სტრატეგები მიხვდნენ სოციალური მედიის უმნიშვნელოვანეს როლს, ობამას საპრეზიდენტო კამპანიაში 2012 წელს, მათ აღარ შეუძლიათ უგულებელყონ უახლესი სარეკლამო ტექნოლოგიები ჰიპერ-გათვლილი შესაძლებლობების გამოყენებით, რომლებიც გაამწვავებენ ხარისხის მონაცემებს. ქვემოთ მოყვანილია სქემა, რომელიც ცხადყოფს, თუ როგორი შეცვლილა პოლიტიკური კამპანიების მედია ტექნოლოგიები ბოლო სამი წლის არჩევნებში ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გრაფიკი ნათლად ასახავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რეკლამის დანახარჯი 11.7 მილიარდი დოლარი იყო, რომელიც ყველა დროის რეკორდი მოხსნა, რაც იმის მაუწყებელია რომ 2016 წელს აშშ რეკორდული მაჩვენებლის ფულადი თანხები დაიხარჯა მარკეტინგულ ტექნოლოგიებში. ციფრულ რეკლამის დანახარჯმა კი 1 მილიარდი დოლარი შეადგინა. მიუხედავად ამისა, სამაუწყებლო ტელევიზია კვლავ დომინირებს და პირველ ადგილი უჭირავს პოლიტიკურ მარკეტინგის ტექნოლოგიებში აშშ-ში.

მარკეტინგული ტექნოლოგიების შესწავლამ ცხადყო, რომ *„სწორი პიროვნების, სწორ გზავნილს, შესაფერის მომენტში შეუძლია გააკეთოს რეალური განსხვავება იმაში, თუ რას ფიქრობს ხალხი და რას აკეთებს. იგივე ეხება პოლიტიკურ კამპანიებს“.*

ათწლეულების წინ, სანამ პროგრამული ტექნოლოგია გაჩნდებოდა, პოლიტიკური პარტიები რეკლამირების საშუალებებად იყენებდნენ და რეკლამებს ათავსებდნენ ბეჭდური მედიაში, სატელევიზიო, რადიო და ონლაინ რეკლამებში. მაგრამ ძალიან ზოგადი სახით, ეს შეტყობინებები ხშირად დაკავშირებული იყო უზარმაზარ ფულის უაზრო ხარჯვასთან.

ინფორმაციის ამომრჩეველთან მიწოდება ხდება შეფუთული მზა მასალის სახით, რომელიც ერთ ძლიერ მყარ არგუმენტს ეყრდნობა, ამ დროს კამპანიის მენეჯერებს ანუ პოლიტიკურ პარტიებს შეიძლება ჰქონდეთ ჰიპერ-სამიზნე კონკრეტული

აუდიტორიისთვის, რომელიც იზიარებს კანდიდატის ინტერესებსა და მოსაზრებებს და გამოაქვეყნებს შეტყობინებას, რომელიც ეხმიანება თითოეულ ამომრჩეველს და მოქმედებისაკენ მოუწოდებს.

ხოლო საქართველოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები კარგი მაგალითია იმის დასამტკიცებლად თუ რამდენად დიდი ყურადღება ექცევა პარტიების მხრიდან მარკეტინგული ტექნოლოგიების მნიშვნელობას პარტიების წარმატების მოპოვებაში.
2012 წლის არჩევნები საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ პოლიტიკური მარკეტინგის ხერხების გამოყენების მაღალი მაჩვენებელი იყო.
მარკეტინგული ტექნოლოგიების, უფრო მეტი სიხშირით გამოყენების ფაქტი იკვეთებოდა, როგორც სატელევიზიო რეკლამებში, ასაევე ჟურნლან-გაზეთებში, ბანერები, სოციალური ქსელებით ინფორმაციის გავრცელება და მოსახლეობასთან მუდმივი შეხვედრები პოლიტიკური პარტიების მხრიდან. თითქმის მთელი მოსახლეობა ჩართული იყო სარჩევნო კამპანიაში და ცდილობდენ დაემტკიცებინათ საკუთარი უპირატესობა.
იმის მიუხედავად, რომ ორი მთავარი პოლიტიკური ძალა იბრძოდა, ყველა საშუალებით, როგორიც არის შავი PR აგრეთვე ანტი რეკლამა და მუდმივი ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ, ამასთან ერთად პოლიტიკური პარტიები იყენებდენ მარკეტინგულ ტექნოლოგიებს მაქსიმალურად, რომ ეჩვენებინათ პარტიის უპირატესობები და იდეოლოგიის განვითარების მნიშვნელობა ქვეყნისა და მოსახლეობის სასარგებლოდ.

მარკეტინგის ცნების უამრავი განმარტება არსებობს ამერიკელი სპეციალისტები ფილიპ კოტლერი და ლევი, კი მარკეტინგს შემდეგნაირად განმარტავენ. მარკეტინგი არის ჩვენი საქმიანობის და მიზნების მიღწევის საშუალება, რომელიც მიმართულია გაცვლის გზით მომხმარებელთა საჭიროებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ. ხშირად მარკეტინგს აიგივებენ გასაღებასთან აგერეთვე რეკლამასთან. ეს ერთი შეხედვით შესაძლებელია ასეც ჩანდეს, რადგან ადამიანებს ყოველდღიურად უწევს შეხება რეკლამასთან (Kotler & Levy, 1969).

მარკეტინგული ტექნოლოგიები პოლიტიკაში მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკური პარტის წარმატებებისთვის ასევე განვითარებისთვის. მარკეტინგული ტექნოლოგიები არ არის მხოლოდ რეკლამის გაკეთების საშუალება, არამედ ამომრჩეველსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის კომუნიკაციის საშაუალებაა, რომლის დახმარებითაც პოლიტიკურ პარტიებს საშუალება ეძლევათ მაქსიმალურად კარგად გააცნონ საკუთარი პარტია მოსახლეობას, გააცნონ მათი იდეოლოგია და მიზნები, აწარმოონ შეხვედრები და ამის საშუალებით გაამარტივონ კომუნიკაცია საზოგადოებასა და პოლიტიკურ ლიდერებს შორის.

ჩემს კვლევაში მნიშვნელოვანია ვიკვლიო 2012 წლის არჩევნებში მარკეტინგული ხერხების გავლენა და მისი მიღწევები. თუ რაში იყო ახალი პოლიტიკური ძალის გამარჯვების საიდუმლო, მარკეტინგული საშუალებების თვალსაზრისით, რამდენად იყო დამოკიდებული პოლიტიკური პარტიების წარმატება, მარკეტინგული ტექნოლოგიების სწორად გათვლაზე და რამ განაპირობა მოქმედი ხელისუფლების წარუმატებლობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

მნიშვნელოვანია იმის კვლევაც რამდენად თვლიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები წარმატების საშუალებად მარკეტინგულ ტექნოლოგიებს. მაშინ როდესაც სხვა განვითარებულ ქვეყნებში არჩევნებში ერთ-ერთ მთავარ საშუალებად გამარჯვებისთვის ითვლება მარკეტინგული საშუალებების გამოყენება და იმაზე ზრუნვა თუ, როგორ მოახერხონ მარტივი გზით ამომრჩევლებისთვის თავისი სათქმელის მიტანა. მაგალითად, როგორც ამერიკაში ხდება მაქსიმალურად ცდილობენ საზოგადოებას წარუდგინონ პოლიტიკური ლიდერი და წამოწიონ წინა პლანზე მისი დადებითი მხარეები იზრუნონ იმიჯზე და საზოგადოების თვალში მოაპოვებინონ კეთილგანწყობა, რა თქმა უნდა ყველა ქვეყანაში განსხვავდება მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენების ტექნიკა, მათ შორის საქართველოშიც. საქართველოს შემთხვევაში ძირითადად ხდება, პოლიტიკური ლიდერის PR-ზე მუშაობა და მისი პიროვნული ხასიათის დადებითი მხარეების გაცნობა ამომრჩეველზე, მსგავსი მიდგომა არის ამერიკის შერთებულ შტატებში.

3. ოპერაციონალიზაცია

ჩემი ნაშრომის ჰიპოთეზას წარმოადგენს: რაც უფრო მეტად იყენებენ პოლიტიკური პარტიები მარკეტინგულ ტექნოლოგიებს მით უფრო მეტად იზრდება მისი პარლამენტში მოხვედრის შანსი. აქედან გამომდინარე დამოუკიდებელი მარკეტინგული ტექნოლოგიებია, ხოლო დამოკიდებული ცვლადი პარლამენტში მოხვედრა. ჩემი მიზანია ვიკვლიო, რამდენად ხდება პოლიტიკური პარტიების მიერ მარკეტინგული ხერხების გამოყენების სიხშირე და რამდენად თვლიან პოლიტიკური პარტიები წარმატების საწინდრად მარკეტინგული ხერხების გამოყენების შედეგად.

როგორც 1960-1967 წლებში კარტიმ და კოტლერმა დაახასიათეს მარკეტინგი, „გადაწყვეტილების მიღების საქმიანობა“, რომელიც უშუალო კავშირში იყო მომხმარებელზე, ხოლო სამიზნეს წარმოადგენდა ბაზარი, რომლის კვლევაც წარმოადგენდა ოპტიმალურ გადაწყვეტილების საშუალებას (Vargo & Lusch, 2004).

აგრეთვე, როგორც ზევით ავღნიშნე ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიკვლიო პოლიტიკური მარკეტინგის მნიშვნელობა და მისი ზეგავლენა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში. შესაბამისად, ძალზედ მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ყოველი ასპექტი და მისი დამახასიათებელი ნიშანთვისებები. მარკეტინგული მეთოდების გამოყენება პოლიტიკაში სხვადასხვაგვარია, შესაბამისად იგი განხილულია და განსაზღვრულია სხვადასხვანაირად მეცნიერების მიერ. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია ზუსტად არჩეულ იქნას პოლიტიკური მარკეტინგის, განმარტება ასევე მისი მნიშვნელობა და ზეგავლენა პოლიტიკურ პროცესებზე.

პოლიტიკური მარკეტინგის განმარტება, ხშირ შემთხვევაში არის „პოტენციურ ამომრჩეველთა განწყობის ბაზარი“, პოლიტიკური მარკეტინგისთვის მნიშვნელოვანი იარაღია ხალხი ანუ ამომრჩეველი და მათი დამოკიდებულება თითეული პარტიისადმი.

როგორც ვთქვით პოლიტიკურმა მარკეტინგულმა ხერხებმა, შეიძლება პოლიტიკური პარტიაზე იმოქმედოს როგორც უარყოფითად ისე დადებითად. მაგალითად, „როდესაც ფინეთის მემარჯვენე პარტიებმა დაინახეს, რომ ინგრევა მათი მხარდაჭერის საფუძველი, ერთადერთი ტაქტიკა, რომელიც შეიძლება აემოქმედებინათ მხარდაჭერის დასაბრუნებლად იყო პარტიის სათავეში მარიუ მატიკაინენ-კალსტრომის ჩაყენება,

სათხილამურო სპორტში ყოფილი ოლიმპიელი მოთხილამურისა. ეს მაგალითია იმისა, რომ პარტია ცდილობს შექმნას პოზიტიური ბრენდული ასოციაციები ცნობილ ადამიანთან მყარი ურთიერთობის დამყარებით“ და შეინარჩუნოს ამომრჩეველთა კეთილგანწყობა, პარტია ყველა ხერხს იყენებს მოცემულ შემთხვევაში, რადგან გადაარჩინოს პარტია და მოიპოვოს გამარჯვება (Matsaberidze 2010 გვ 36).

იგივე მეთოდით გამარჯვება სცადეს დიდ ბრიტანეთში ახალმა ლეიბორისტებმა და აშშ-ში ახალმა დემოკრატებმა, რომელთა მიზანიც იყო მათი დისტანცირება პოლიტიკური პარტიის ისტორიისაგან, ამან გარკვეულწილად წარმატება მოუტანა ზემოთ მოყვანილ ორივე ქვეყნის პოლიტიკურ პარტიას (Matsaberidze 2010. გ.ვ. 36). რაც იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკური მარკეტინგის ხერხები სხვადასხვა პარტიის მიერ არის სხვადასხვაგვარი და ის პარტიის წარმატებაზე სხვადასხვა გვარად აისახება.

პოლიტიკური მარკეტინგის მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს მისი სეგმენტაცია, როგორც დარენ ჯ. ლილეკერი გვთავაზობს, სეგმენტაციის სტრატეგია ესაა სტრატეგია, რომლის დროსაც ამომრჩევლებს ყოფენ ჯგუფებად და მიაკუთვნებენ სოციალურ-დემოგრაფიულ კრიტერიუმებს ან პოლიტიკურ კუთვნილებას. სეგმენტაცია პოლიტიკური მარკეტინგის ერთერთ თეორიად ითვლება. სეგმეტაცია პოლიტიკურ პარტიებს აძლევს ბაზრის კვლევის საშუალებას, არცერთი ამომრჩეველი არ არის იდენტური, ყველა მათგანი განსხვავდება ცხოვრების სტილით, განათლებით, სოციალური სტატუსით და ა.შ შესაბამისად სეგმენტაციის მიზანი პოლიტიკური მარკეტინგის საშუალებაა, პოლიტიკური პარტიები სეგმენტაციის საშუალებით ბაზრის კვლევას აწარმოებენ რის შედეგადაც იციან რა ტიპის რეკლამირებაა საჭირო ამომრჩეელთა უმრავლესობის დადებითი განწყობის შესაქმნელად.

ლიტერატურული მიმოხილვის დროს განვიხილეთ ერთერთი ავტორი ვებსტერი (Webster 1992 გ.ვ.1), 1990-იან წლებში ამტკიცებდა, რომ ისტორიული მარკეტინგის მართვის ფუნქცია, რომელიც ეფუძნება მაკროეკონომიკურ მაქსიმიზაციის უნდა იყოს კრიტიკულად შესწავლილი მარკეტინგის შესაბამისობის ორი მახასიათებელი: თეორია და პრაქტიკა. თეორიული ცოდნა პოლიტიკურ პარტიებს ეხმარებათ შექმნან გეგმა პოლიტიკური მარკეტინგისა, რომელიც დასაბამს მიცემს პოლიტიკური პარტიის

წარმატებას და პრაქტიკული ცოდნა რაც უშუალოდ ეხება ამომრჩეველთა კვლევასა და მათი აზრის გათვალისწინებას არჩევნების პერიოდში.

მეოცე საუკუნის მიწურულს ასევე დაი და მონტგომერიმ (Day and Montgomery 1999, გ.ვ. 3) შემოგვთავაზეს, რომ მარკეტინგის ძალა არის მარკეტინგის გაგებაში, როგორც ინოვაციური და ადაპტური ძალა ბაზარზე კვლევის დროს, თითოეულ მათგანს მიაჩნდა რომ პოლიტიკური მარკეტინგის გაგების შემთხვევაში პარტიას აქვს გამარჯვების მაღალი შანსი.

პოლიტიკური მარკეტინგის ერთ-ერთი გადამწყვეტ და მნიშვნლოვან ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს მედია და მისი როლი პოლიტიკური პროცესების დროს. პოლიტიკური რეკლამა, ესაა სატელევიზიო რგოლები, პლაკატები, ფურცლები და ა.შ, ამგვარად რეკლამას პოლიტიკური პროცესების დროს ექსპერტები განმარტავენ, როგორც ბაზრის კონკურენციის ინსტრუმენტს, რომლის ძირითადი ამოცანებია, გარკვეული პოლიტიკური ძალების პოლიტიკური პლატფორმის არსის გადმოცემა ლაკონურად და ემოციური ხაზით დატვირთული და რაც მთავარია ორიგინალურად გადმოსცეს მისაწვდომი ემოციები, ადვილად დასამახსოვრებელი ტექსტებით რადგან გასაგები და ადვილად აღსაქმელი იყოს ამომრჩევლებისათვის.

ლიტერატურული მიმოხილვისას განვიხილე გარემოებები, რაც მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიებისთვის, რომ მიიღოს ამომრჩეველთა უმრავლესობის კეთილგანწყობა, მხარდაჭერა. ამომრჩეველთა ლოიალურობისთვის, რათა მიიღოს კონკურენტული უპირატესობა, მსგავსი ქცევა მარკეტინგის სრულიად ახალ ასპექტს წარმოადგენს, რომელიც პოლიტიკაში საბაზრო ეკონომიკამ შემოიტანა. პოლიტიკური პარტიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ასეთ დროს პროდუქციის *შემუშავება* და მისი *სრულყოფა*, პოლიტიკური პარტიის ქცევას საფუძვლად უდევს ლიდერული ქცევის სტრატეგია და პარტიის, როგორც ბრენდის იმიჯის შექმნა. როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითიდან ვნახეთ ფინეთის მაგალითზე პოლიტიკური პარტიისთვის ბრენდის იმიჯი გადამწყვეტია და იგი ასრულებს კომპეტენტური პარტიის შესაქმნელად უდიდეს როლს.

შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კამპანიის ჩასატარებლად და პარტიების შიდა სტრუქტურულ ჩამოყალიბებისას პოლიტიკური მარკეტინგის გამოჩენა უკავშირდება ამომრჩეველთა, როგორც ზრდას, ასევე მის კეთილგანწყობას, პოლიტიკური მარკეტინგი იყენებს მარკეტინგული საშუალებებს პოლიტიკური სტრატეგიების შესამუშავებლად, პოლიტიკურ კონტექსტში ძნელია განისაზღვროს ბაზრის კვლევის როლი, რადგანაც სტრატეგიის შემუშავების უმრავლესობა არაა საჯარო პროცესი.

მარკეტინგმა პოლიტიკაში ბოლო ასწლეულის განმავლობაში უდიდესი როლი ითამაშა განსაკუთრებული წინსვლა კი მოხდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ყოველწლიურად ახალი შესაძლებლობები იქმნება მარკეტინგული განვითარების მეთოდებისა და მიდგომების პოლიტიკური პარტიების მიერ. ის პოლიტიკაში გადამწყვეტი და მეტად მნიშვნელოვანი საკითხი გახდა, ესაა უწყვეტი ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების პროცესი პოლიტიკური პროცესების დროს. პოლიტიკური პროცესების ცვალებადობა ტემპი ალბათ ყველაზე მაღალია ამ სფეროში და წარმატების მისაღწევად უწყვეტი ინოვაციური განვითარებაა საჭირო მიმდინარე მოვლენების დროს.

თითეული ინდიკატორი გამოიყენება პოლიტიკური მარკეტინგის მიერ პოლიტიკური პროცესების დროს. პოლიტიკური პარტიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია პროდუქციის შემუშავება და მისი სრულყოფა, წარმოდგენილი ინდიკატორების შემუშავებითა და კვლევის საფუძველზე.

მარკეტინგი აგრეთვე დაყოფილია საფეხურებად, რომლის განსაზღვრებაც და ჩამოყალიბება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მარკეტინგული ხერხების წარმატებაში:

- „ყველაზე მთავარი და საინტერესო საკითხია რა იყო მარკეტინგის წარმოშობის მიზეზი. მისი მთავარი ფუნქცია და ამოცანა არის ბაზარზე საქონელსა და მომსახურებაზე არსებული მოთხოვნიას და გასაღების შესწავლა. მისი წარმოშობის მთავარი მიზეზი კი თანამედროვე ბაზარზე კონკურენციამ გამოიწვია.
- მარკეტინგის პრობლემები: მარკეტინგში ნებისმიერი პრობლემა ნიშნავს რომ სიტუაცია გაურკვეველი და დილემის წინაშეა ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს პრობლემის გადაჭრა.

❖ არსებობს ორგვარი მიდგომა მარკეტინგისადმი, მათ შორის ერთი არის ფილოსოფიური: ავტორთა ერთი ჯგუფისთვის დამახასიათებელია მარკეტინგის გაფართოებული გაგება. ისინი მარკეტინგში ხედავენ არა იმდენად ტექნოლოგიას, რამდენადაც ფილოსოფიას.

❖ მარკეტინგის ამოცანები შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას გულისხმობს;

- ✓ ბაზრის კომპლექსური შესწავლა
- ✓ პოტენციური და დამოუკიდებელი მოთხოვნის გამოვლენა
- ✓ ზომების მაქსიმალური მიღება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად
- ✓ წარმოების მართვისა და ორგანიზების სრულყოფის ზომების შემუშავება

❖ მარკეტინგი აერთიანებს პასიურ და აქტიურ მიზნებს:

- ✓ პასიური-ბაზრის, მოთხოვნის ყოველმხრივი შესწავლა, მასზე წარმოების ორიენტირება, გამოშვებული პროდუქცის ადრესულობა:
- ✓ აქტიური ზემოქმედება არსებულ მოთხოვნაზე და მყიდველთა პრიორიტეტებზე.“ (მ.მაცაბერიძე. 2003 წ თბილისი გვ #7)

როგორც ზევით ავღნიშნე პოლიტიკური მარკეტინგი არა მარტო ბიზნესის სფეროში არის წარმატებული და საჭირო, არამედ პოლიტიკური კარიერის წარმატებასა და განვითარებაში, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, როგორც პარტიულ ასევე პიროვნულ წარმატებაზე და იმისთვის, რომ პარტიასა და ამომრჩეველს შორის კომუნიკაცია შედგეს საჭიროა გამოყენებული იქნას თანამედროვე ტექნოლოგიები ამისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში განვითარებული ხერხებით ვიხელმძღვანელოთ.

რაც იმაში გვეხმარება, რომ ქვეყანამ მოახერხოს ჯანსაღი და წარმატებული პოლიტიკური ისტორის შექმნა.

იმის მიუხედავად რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვან წარმატებულ პოლიტიკურ სვლად შეიძლება ჩაითვალოს ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია თვითონ პოლიტიკური პარტიების თვალით დანახული მათი წარმატების და წარუმატებლობის მიზეზის გამოკვლევა, რაშიც ჩვენს დახმარებას შეძლებენ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები და მსოფლიოს გამოცდილების

მაგალითებთან შედარება და მათი წარმატების საიდუმლოს აღმოჩენა, რომელიც უკვე ბევრი ქვეყნის ისტორიას უდევს საფუძვლად.

პოლიტიკური კომუნიკაციები ახალ ფაზაში შევიდა, რომელიც გულისხმობს ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას. ინტერნეტი და ციფრული მედია პარტიებს სთავაზობს პირდაპირ არხს ამომრჩეველთათვის. ნორვეგია საინტერესო შემთხვევაა, როგორც ინტერნეტის წვდომისა და მისი გამოყენების მხრივ, რომელიც ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში. იმისთვის, რომ ნორვეგიაში კარგად იმუშაოს სოციალურმა ქსელებმა ამისთვის საჭიროა ვებ-კამპანია ძალიან კარგი და აქტიური იყოს.

განსხვავებები ამომრჩევლებში ინტერნეტის ინფორმაციის გამოყენების მხრივ, დაკავშირებულია ინფორმაციის მიზნებთან და მათ ციფრულ განაწილებასთან. განაწილება გულისხმობს არა თანაბარ ინფორმაციებს, რომელიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიის წვდომასთან და მისი გამოყენების ცოდნასთან. ინტერნეტთან წვდომა საკმაოდ თანაფარდობაშია სოციალურ სტატუსთან - კარგად გავრცელებული და ხელმისაწვდომია (Norris 2001, Selwyn 2005, van Dijk 2005).

Norris-ის (2001) მიხედვით, ინტერნეტში განსხვავებები ასახავს ინფორმაციული ტექნოლოგიების განსხვავებათა სხვა ფორმებს. ეს თეორიები გვთავაზობს, რომ ინოვაციების ვერ ათვისება, ხშირად დაბალი გამოცდილების მაჩვენებლია ახალ ტექნოლოგიებში.

Shah, Kwak da Holbert-ის (2001) მიხედვით, კარგი განათლების მქონე ხალხი იყენებს ინტერნეტს უფრო ინსტრუმენტული გზებით, ვიდრე დაბალი განათების მქონენი. დაბალი განათლების მქონე სეგმენტი ინტერნეტს იყენებს უფრო მეტად გასართობი მიზნებით. მოსახლეობის მაღალი სოციოეკონომიკური სტატუსის სეგმენტი ცდილობს მიიღოს ხელმისაწვდომი ინფორმაცია სწრაფი მაჩვენებლით, ვიდრე დაბალი სტატუსის მქონე სეგმენტი. ამიტომ, როდესაც ინტერნეტის ხელმისაწვდომობა შემცირდება საზოგადოებაში, სიცარიელე ამ სეგმენტთა ცოდნას შორის უფრო გაიზრდება, ვიდრე შემცირდება.

ინტერნეტი უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ნორვეგიის საარჩევნო კამპანიებში. ყველა პარტია რეკლამირებულია ვებ-გვერდებზე და ისინი იყენებენ ინტერნეტს, რათა თვალი ადევნონ სიახლეებს, ასევე მათ ოპონენტებს. ასევე, ინტერნეტი არის მნიშვნელოვანი წყარო პატარა, თუმცა არა ნაკლებად არსებითი ელექტორატის ნაწილისა. არხების უმეტესობის კომუნიკაცია მიჩნეულია მეტად მნიშვნელოვნად, კამპანიის სტრატეგებისა და ამომრჩევლების მიერ. ეჭვგარეშეა ის ფაქტიც, რომ ტელევიზია ისევ მიიჩნევა ყველაზე მნიშვნელოვან კომუნიკაცის საშუალებად ამომრჩეველსა და პარტიებს შორის, თუმცა დღეს-დღეობით არანაკლები პოპულარობით სარგებლობს სოციალური ქსელები, რომელიც მიიჩნევა კომუნიკაციის ახალ არხად ამომრჩეველთა მოგებისათვის.

პარტიის სტრატეგები მიიჩნევენ ინტერეტს, როგორც კომუნიკაციის არხს, რომლის მიხედვითაც, ინტერნეტი ინფორმაციის წყაროა. შედარებიტ მცირე ნაწილი ელექტორატისა იყენებს და მიიჩნევს ინტერნეტს, როგორც მნიშვნელოვან წყაროს კამპანიაში. აგრეთვე, არსებობს შესამჩნევი განსხვავებები ასაკსა და სოციოეკონომიკურ სტატუსს შორის.

სოციალური ქსელის განვითარება მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიების კომუნიკაცის გამარტივებისათვის, მაშინ როდესაც ამომრჩეველთან ეძლევა საშუალება, როგორც ტექსტური შეტყობინების გაგზავნის, ასევე ვიდეო რგოლებით მიზნებისა და იდების გაცნობა.

როგორც ზევით ავღნიშნე 2012 წლის არჩევნები იყო ორი პოლიტიკური ძალის შერკინება ერთმანეთის წინაღმდეგ. იმის და მიუხედავად რომ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები აქტიურად იყვნენ პოლიტიკურ პროცესებში ჩართული ციხის კადრების შემდეგ თითქოს და მხოლოდ პარტიების პოლარიზაცია.

რაც შეხება მათ მიერ შერჩეულ პროგრამას წინასარჩევნოდ რამდენად იყო ამომრჩევლის ინტერესებიდან გამომდინარე და რამდენად ცდილობდენ ყველა ადამიანის ინტერესის დაცვას ეს სრულად ჩამოყალიბებული ქონდათ მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენებით.

❖ „შეისწავლოს პოლიტიკური ბაზრის კონიუნქტურა თავისი სარჩევნო ოლქის ფარგლებში.“ **(მ.მაცაბერიძე 2003, პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები 146 გვ)**

2012 წლის არჩევნების დროს ტარდებოდა სხვადასხვა გამოკითხვები საზოგადოებაში რა აწუხებდათ, რას ითხოვდენ ხელისუფლებისგან და რა ვერ შეძლო



გაე

კეთებინა მოქმედმა ხელისუფლება, ან რაში ხედავდენ გამოსავალს.

(NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში 2012 წელი თებერვალი ივნისი გვ 30)

❖ „გამოავლინოს პრობლემები, რომლებიც მოსახლეობის განსაკუთრებულ ინტერეს იწვევს“. **(მ.მაცაბერიძე 2003, პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები 146 გვ)**

2012 წლის არჩევნებში ყველა პოლიტიკური პარტია ყურადღებას ამახვილებდა იმ სოციალურ პრობლემებზე, რომელიც ყველაზე მეტად მოსახლეობას აწუხებდა და რომელიც ყველაზე მგრძნობიარე თემა იყო. მაგალითად: ჯანდაცვა, უმუშევრობა, პენსია, განათლება, სოფლის მეურნეობა და ტერიტორიული მთლიანობა. ყველა ეს პრობლემა კარგად ქონდათ შესწავლილი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას და

სარჩევნო პროგრამაში მასიმალურად ცდილობდენ მათი მოგვარების გზები ეჩვენებინათ ამომრჩევლისთვის.



(NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში 2012 წელი თებერვალი ივნისი გვ 16)

- „განსაზღვროს სხვადასხვა სოციალური ინტერესების თანაფარდობა წინასარჩევნო სტრატეგისაა და ტაქტიკის შესამუშავებლად.“**(მ.მაცაბერიძე 2003, პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები 146 გვ)**

ორი პოლიტიკური ლიდერის წინასარჩევნო სამოქმედო გეგმა აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ ზუსტად ქონდათ ჩამოყალიბებული მოსახლეობისთვის შესათავაზებელი პრობლემების მოგვარების სამოქმედო გეგმა, რისი საშუალებითაც ცდილობდენ მოსახლეობის ნდობის მოპოვებას.



პოლიტიკური პარტიების სამოქმედო გეგმა შესაძლებელია დავყოთ ორ ნაწილად ***დარწმუნების*** და ***მანიპულაციის*** პოლიტიკად.

აშკარად იკვეთება პოლიტიკური პარტიების მხრიდან მუდმივი შეხვედრების და საკუთარი იდეოლოგის გაცნობის დროს მათი გულწრფელობის დამტკიცება და ემოციური კონტაქტის დამყარება ამომრჩევლებთან, რის საფუძველზეც ცდილობენ მოიპოვონ მათი მხარდაჭერა.

მათი პროგრამების საშუალებით კი მანიპულირების მოხდენა, მაშინ როდესაც ნაციონალური მოძრაობის მთავარი სამოქმედო გეგმა განათლება, სოფლის მეურნეობა და ჯანდაცვა იყო, ხოლო ქართული ოცნების ფინანსური უზრუნველყოფა და სამართლიანობის აღდგენაზე იყო საპარლამენტო პროგრამა აგებული.

4. ლიტერატურული მიმოხილვა

პოლიტიკური მარკეტინგის შესახებ, მნიშვნელოვნად იზრდება ინტერესი მკვლევარ-პოლიტიკოსების მიერ. ბიზნესში მარკეტინგის გამოყენება გულისხმობს, როგორც სლოგანს პროდუქტის გასაყიდად, ასევე ინფორმაციასაც პროდუქტი შესახებ, ხოლო პოლიტიკაში, მარკეტინგს შეუძლია განსაზღვროს, პოლიტიკური პარტიის ორგანიზაციული განვითარება და ისიც კი თუ ვინ უნდა აირჩიოს ამომრჩეველმა (Lees-Marshment, 2009).

პოლიტიკური მარკეტინგის სამშობლოდ ამერიკის შეერთებული შტატები მიიჩნევა, თუმცა მეცნიერების განსხვავებული აზრი არსებობს იმის თაობაზე თუ როდის შეიქმნა ეს ფართომაშტაბიანი გამოყენებითი დისციპლინა. 1936 წელს რუზველტის, თუ 1952 წელს ეიზენჰაუერის დროს?. **(მ.მაცაბერიძე პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები 2003 წ)**

პოლიტიკური მარკეტინგის ძლიერი ზემოქმედება აღნიშვნა აგრეთვე 1980-იან წლებში დიდი ბრიტანეთის სამეფოში, როგორც პოლიტიკურ ვითარებაზე ასევე კერძო პოლიტიკოსებზე, რომლებიც ისტორიულ პიროვნებებად მოგვევლინენ. მაგ. მარგარეტ ტეტჩერი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პოლიტიკოს ქალად არის მიჩნეული, მას „რკინის ლედი“ უწოდა პოლიტიკოსებმა და ამომრჩევლებმა, რომელთა თვალში ის იმ დროის ყველაზე ძლიერ პოლიტიკოსად მიიჩნეოდა. მარკეტინგული ტექნოლოგიები მარგარეტ ჰილდა ტეტჩერის, როგორც პოლიტიკურ ასევე მის იმიჯზეც მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი აღმოჩნდა. ტეტჩერმა პოლიტიკაში მოსვლისთანავე სრულიად შეიცვალა ჩაცმის სტილი, ხმის ტემბრი, ვარცხნილობა, სიარულის მანერა და საუბრის მანერა. მისი ყოველი გამოსვლა ამომრჩეველთან ზუსტად განსაზღვრული იყო და რათქმაუნდა კონკრეტულ მიზნებთან იყო დაკავშირებული. ზუსტად იცოდა რა ინფორმაციის მიწოდება იყო საჭირო მოსახლეობისთვის და რა შედეგამდე მიიყვანდა მისი ყველა მიმართვა საზოგადოებისადმი. (Scammell, 2016). მარკეტინგულმა ტექნოლოგიებმა არამარტო ლიდერის სახე მისცა, არამედ მებრძოლი ქალის იმიჯიც შეუქმნა მიუხედავად მისი ბევრი ქალური სისუსტისა. მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ

მარკეტინგის სწორად გათვლა, ხელს უწყობს და ქმნის კომპანიისა თუ ზოგადად პიროვნების წარმატებას.

სარჩევნო კამპანიისადმი მარკეტინგული მიდგომა

„სარჩევნო მარკეტინგი არის ტექნიკური ხერხების ერთობლიობა, რომლებიც იმისთვის გამოიყენება, რომ:

- კონკრეტული კანდიდატი გაიყვანონ პოტენციურ ელექტორატზე;
- კანდიდატი ცნობილი გახადონ ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობისთვის;
- ხაზი გაუსვას სხვაობას კანდიდატსა და მის კონკურენტებს შორის;
- მინიმალური სახსრების გამოყენებით მოიპოვოს სარჩევნო კამპანიის დროს ხმების აუცილებელი რაოდენობა.“ **(მ.მაცაბერიძე 2003, პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები 146 გვ)**

4.1. ზოგადი მარკეტინგის მნიშვნელობა და მიზანი

მარკეტინგი ინგლისური სიტყვაა (Market) და ქართულად ბაზარს ნიშნავს, იგი მოიცავს ბაზარზე საქონლისა და მისი მოთხოვნის შესწავლას. დიდი ხნის განმავლობაში მეწარმეთა საზრუნავს, მხოლოდ პროდუქციის წარმოება წარმოადგენდა, თუმცაღა შემდეგ ბაზარზე კონკურენციის ზრდამ განაპირობა მარკეტინგის განვითარება, რაც მოიცავდა მყიდველთა მოთხოვნილების ცოდნასა და პროდუქტზე ორიენტირებული მყიდველის შესწავლას (Matsaberidze M. 2003).

მარკეტინგი ერთის მხრივ გულისხმობს, ბაზრის კვლევას მომხმარებლის მოთხოვნების შესახებ და პროდუქციის პოპულარიზაციაზე, ხოლო მეორეს მხრივ იგი აქტიურ ზემოქმედებას ახდენს არსებულ ბაზარზე, რომელიც გულისხმობს პროდუქციის რეკლამირებას და უზრუნველყოფს პროდუქციის თავისთავად გაყიდვას.

მარკეტინგის უამრავი განმარტება არსებობს, ფ. კოტლერის კლასიკური განმარტების თანახმად კი მარკეტინგი არის „ადამიანის მოღვაწეობის სახეობა, რომელიც მიმართულია საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისკენ, გაცვლის საშუალებით“.

მარკეტინგი თანამედროვე გაგებით სამი ასპექტის ერთობლიობას წარმოადგენს

- ბიზნესის იდეოლოგია,
- მართველობის ფუნქცია,
- კომუნიკაციური ტექნოლოგიები,

მარკეტინგი რთული მრავალასპექტიანი სტრუქტურაა, რომელიც აერთიანებს ბიზნესის, ფილოსოფიასა და პრაქტიკას. მარკეტინგი იყენებს ბაზრის მოთხოვნილებების შესწავლის მექანიზმს, ამ მოთხოვნილებებთან პროდუქციის ადაფტაციის ტექნოლოგიებს და მომხმარებელთა ქცევაზე ზემოქმედებას (Matsaberidze 2003).

მარკეტინგმა ბოლო ორასი წლის განმავლობაში უდიდესი პროგრესი განიცადა, განსაკუთრებული წინსვლა კი მოხდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ყოველწლიურად ახალი შესაძლებლობები იქმნება მარკეტინგული განვითარების მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებაში. მარკეტინგი თანამედროვე ცხოვრებაში გადამწყვეტი და მეტად მნიშვნელოვანი საკითხი გახდა, ესაა უწყვეტი ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების პროცესი. თანამედროვე ცვლილებების ტემპი ალბათ ყველაზე მაღალია ამ სფეროში და წარმატების მისაღწევად უწყვეტი ინოვაციური განვითარებაა საჭირო.

1950-იანი წლებიდან ჩვეულებრივმა ფუნქციურმა სკოლებმა, დაიწყეს ფორმირება მარკეტინგული მენეჯმენტის სკოლების სახით. ამგვარი მარკეტინგული სკოლები ორიენტირებულულები იყვნენ დიზაინურ-მარკეტინგზე, რათა ემართათ მარკეტინგული ფუნქციები და ფოკუსირებული ყოფილიყვნენ მომხმარებლებზე (Vargo & Lusch, 2004).

1960-1967 წლებში კარტიმ და კოტლერმა დაახასიათეს მარკეტინგი, როგორც „გადაწყვეტილების მიღების საქმიანობა“, რომელიც უშუალო კავშირში იყო მომხმარებელზე, ხოლო სამიზნეს წარმოადგენდა ბაზარი რომლის კვლევაც წარმოადგენდა ოპტიმალურ გადაწყვეტილების საშუალებას (Vargo & Lusch, 2004).

1980-იანი წლების დასაწყისში მარკეტინგის განვითარება ორიენტირებული ხდება მარკეტინგის ხარისხის მართვაზე, ბაზარზე ორიენტაციაზე, პროდუქციის მიწოდება

ჯაჭვური სისტემით, რესურსის სწორად მართვაზე და ქსელებზე. ბევრი მეცნიერი ამ დროისთვის მიიჩნევდა, რომ მარკეტინგის მიმართულებით ამგვარი აზრი გაუგებარი იყო, შემდგომ კი ეს აღმოჩნდა საფუძვლიანი მახასიათებელი მარკეტინგის განვითარებისა.

1990-იან წლებში ვებსტერი (Webster 1992 p.1) ამტკიცებდა, რომ ისტორიული მარკეტინგის მართვის ფუნქცია, რომელიც ეფუძნება მაკროეკონომიკურ მაქსიმიზაციის პარადიგმს უნდა იყოს კრიტიკულად შესწავლილი მარკეტინგის შესაბამისობის ორი მახასიათებელი: თეორია და პრაქტიკა. მეოცე საუკუნის მიწურულს დეიმ და მონტგომერიმ (Day and Montgomery 1999, p. 3) შემოგვთავაზეს, რომ მარკეტინგის ძალა არის მარკეტინგის გაგებაში, როგორც ინოვაციური ძალა ბაზარზე კვლევის დროს.

4.2. პოლიტიკური მარკეტინგის არსი და მიზანი

პოლიტიკური მარკეტინგი უკავშირდება მარკეტინგული საშუალებების გამოყენებას პოლიტიკური სტრატეგიების შესამუშავებლად, კამპანიის ჩასატარებლად და პარტიების შიდა სტრუქტურულ ჩამოყალიბებას. პოლიტიკური მარკეტინგის გამოჩენა უკავშირდება მომხმარებელთა ზრდას და ამომრჩეველთა კეთილგანწყობას, როგორც განვითარებად ისე განვითარებულ ქვეყნებში. პოლიტიკურ კონტექსტში ძნელია განისაზღვროს ბაზრის კვლევის როლი, რადგანაც სტრატეგიის შემუშავების უმრავლესობა არაა საჯარო პროცესი. ბაზრის კვლევებს ძირითადად იყენებენ საქონლის გაყიდვისა და მიწოდებისათვის.

პოლიტიკური პარტიები სულ უფრო მეტად იყენებენ გაყიდვების დახვეწილ ხერხებს. შედეგად უპირატესობა ენიჭება იმ პილიტიკურ პარტიებს, რომლებიც აგრძელებენ იმ მიმართულებით სვლას, რასაც საბაზრო ორიენტაცია ქვია. ეს პარტიები საშუალებას აძლევენ ბაზარს მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური პროდუქციის ზოგიერთი ელემენტის შემუშავებაში, მსგავსი შეხედულება ისევ და ისევ ორიენტირებულია ბაზარზე ანუ მომხმარებელზე. მარკეტინგული მიდგომა ეკონომიკაში გულისხმობს მართვას, თავისი ბრენდისა და მისი პროდუქტების გარკვეული ნაკრების მიწოდებას.

პოლიტიკური მარკეტინგის გამოყენებას განაპირობებს ორი ფაქტორი. პირველი ესაა პოლიტიკური ლოიალურობის დეფიციტის ტენდენცია და ამომრჩევლის გაზრდა, ხოლო მეორე კონკურენტული უნარის შენარჩუნება არჩევნების განმავლობაში. პარტიებს გააჩნიათ რიგი სტრატეგიული გეგმებისა რათა შეინარჩუნონ კონკურენტული უნარი ბაზარზე, როგორც არჩევნების განმავლობაში ასევე სხვა დროს.

ლიზ-მარშტენტი გვთავაზობს შემუშავებულ მოდელს პოლიტიკური პარტიების შედარებითი ანალიზის საფუძველზე და წარმოგვიდგენს მარკეტინგის პროცესს პარტიებისთვის, რომლებიც ორიენტირებული არიან პროდუქტის გაყიდვაზე და ბაზარზე. მისი განმარტებით პოლიტიკური პარტიებისათვის წარმატების საწინდარია სრული გეგმის დასახვა, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ✓ ბაზრის კვლევა
- ✓ პროდუქციის შემუშავება
- ✓ პროდუქციის სრულყოფა
- ✓ პროდუქტის დანერგვა
- ✓ კომუნიკაცია
- ✓ კამპანიის ჩატარება
- ✓ პროდუქციის მიწოდება
- ✓ არჩევნები

პოლიტიკური პარტიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია პროდუქციის *შემუშავება* და მისი სრულყოფა, ამომრჩეველთა ლოიალურობისთვის, რათა მიიღოს კონკურენტული უპირატესობა, მსგავსი ქცევა მარკეტინგის სრულიად ახალ ასპექტს წარმოადგენს, რომელიც პოლიტიკაში საბაზრო ეკონომიკამ შემოიტანა. პოლიტიკური პარტიის ქცევას საფუძვლად უდევს ლიდერული ქცევის სტრატეგია და პარტიის, როგორც ბრენდის იმიჯის შექმნა. პოლიტიკური პარტიისთვის ბრენდის იმიჯი გადამწყვეტია და იგი ასრულებს კომპეტენტური პარტიის შესაქმნელად უდიდეს როლს.

1960 წელი პოლიტიკური მარკეტინგის განვითარების ახალ ეტაპად მიიჩნევა აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების განმავლობაში, როდესაც ორივე პრეზიდენტი ჯ. კენედი და რ. ნიქსონი იყენებდნენ პროფესიონალ კონსულტანტთა რჩევებს და მათ შორის შედგა მსოფლიოში პირველი დებატები.

4.3. პოლიტიკური მარკეტინგის წარმოება/რეკლამა

პოლიტიკური რეკლამა ამა თუ იმ ფორმით გახდა განუყოფელი ნაწილი პოლიტიკური მარკეტინგისა, რაც მიზნად ისახავდა პოლიტიკური მხარდაჭერების მხარდაჭერის მოპოვებას, პოლიტიკური პარტიებისათვის. 1952 წელს გამოსული ეიზენჰაუერის მიერ წარმოებულმა რეკლამამ დიდი პოპულარობა მოიპოვა ამერიკის მოსახლეობაში, იმ დროიდან განსაკუთრებით ამერიკაში, პოლიტიკური რეკლამა გახდა მთავარი საშუალება პოლიტიკური პარტიებისთვის. 70-იან წლებში აშშ-ში პოლიტიკური რეკლამა მიაკუთვნეს ხარჯებს ცალკე მუხლად და მაშინ მასზედ დაიხარჯა 12 მილიონი დოლარი, 2002 წლის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე კი აშშ-ში პოლიტიკურ რეკლამაზე დახარჯული ფულადი ნაწილი იყო 700 მილიონი დოლარი.

პოლიტიკური რეკლამა საქართველოში კი განიმარტება, როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალება, სადაც გადის ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას ან პირიქით. პოლიტიკური რეკლამის მიზანს წარმოადგენს გაამარტივოს რთული პოლიტიკური რეკლამები და გასაგები ენით მიაწოდოს ამომრჩეველს. საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სატელევიზიო რეკლამას პოლიტიკური პარტიებისთვის, ვინაიდან და რადგანაც ინფორმაციის მიღების მთავარი საშუალება საზოგადოებისთვის არის ტელევიზია.

პოლიტიკური რეკლამა არსებობს, როგორც ფასიანი ასევე უფასო, როგორც საქართველოში ისე სხვადასხვა ქვეყანაში და ცალკ-ცალკე აქვთ, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები.

პოლიტიკური კანდიდატები საზოგადოდ იყენებენ რეკლამის სამ ტიპს: პროპაგანდულს, შედარებითს და ნეგატიურს. მის შესაქმნელად კი გამოიყენება მასმედიის ყველა საშუალება. აშშ-ში ყველაზე მეტად გავრცელებულია ფასიანი რეკლამა ტელევიზიის საშუალებით. საქართველოში გამოიყენება სამივე ტიპის(პროპაგანდულს, შედარებითს და ნეგატიურს), რეკლამა, რაც ფიქსირდება ასევე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიერ.

4.4. პოლიტიკური რეკლამის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს

- ✓ ხელი შეუწყოს/შეუშალოს ამომრჩეველს არჩევანის გაკეთებაში
- ✓ აჩვენოს საარჩევნო პოლიტიკური პარტია ან მისი საარჩევნო ნომერი
- ✓ გამიზნული იყოს წინასაარჩევნო კამპანიისკენ

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაფასებლად მიზანშეწონილია, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვადასხვა სახელმწიფოების გამოცდილების შედარება საქართველოს მაგალითზე, რაც ხელს უწყობს არჩევნების სამართლიანი გზებით ჩატარებას.

4.5. პოლიტიკური მარკეტინგი და PR-ი

პოლიტიკური მარკეტინგი და PR-ი შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთს ავსებენ. მაგალითად, PR-კამპანიის ჩატარების წინ აუცილებელია საზოგადოებასა და ორგანიზაციას შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების შესწავლა, ანუ უნდა ჩატარდეს მარკეტინგის მსგავსი კვლევები. მარკეტინგული კომუნიკაციები გულისხმობს PR-ისა და რეკლამის ჩართვას მარკეტინგის პროცესის ყველა სტადიის დროს.

- ✓ რეკლამა საშუალებას იძლევა გავრცელდეს კონტროლირებული, ფასიანი ინფორმაცია
- ✓ მარკეტინგული ღონისძიებები ხელს უწყობს გაყიდვების სტიმულირებას
- ✓ PR ქმნის დადებით რეპუტაციას პროდუქტზე და კომპანიაზე/ორგანიზაციაზე მთლიანად.

პიარს აქვს მართველობითი ფუნქცია პოლიტიკაში, პიარის საშუალებით შესაძლებელია მცდარი/ჭეშმარიტი შთაბეჭდილების შექმნა საზოგადოებაზე არსებული ანდა მოგონილი რეალობის საშუალებით. პიარი რა თქმა უნდა დიდ ზეგავლენას ახდენს ამომრჩეველთა აზრზე, პოლიტიკოსების მიმართ. პოლიტიკური პარტიების მთავარ მიზანს PR კამპანიის დროს წარმოადგენს საზოგადოებაში მოიპოვონ სანდოობა, პროფესიული ეთიკის დაცვა, პროფესიონალიზმი და ა.შ პოლიტიკურ პარტიები საქართველოში იყენებენ PR-ს, მარკეტინგთან ერთად, რომელიც მათ მარკეტინგულ ბაზარზე კონკურენტულს ხდის და აძლევს საშუალებას მოიპოვონ ამომრჩეველთა დადებითი დამოკიდებულება პარტიის მიმართ.

5. მედიამონიტორინგის შედეგები 2012 წლის არჩევნებში

2012 წლის 11 მაისიდან 30 ნოემბრის ჩათვლით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC) განახორციელა რამდენიმე სატელევიზიო არხის საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი, რომელიც დაყოფილი იყო ოთხ ეტაპად: 11 მაისი – 5 სექტემბერი, 6 სექტემბერი – 1 ოქტომბერი, 2 – 21 ოქტომბერი, 22 ოქტომბერი – 30 ნოემბერი. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია შემდეგი სატელევიზიო არხების მონიტორინგის შედეგები: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, კავკასია, მეცხრე არხი, რეალ ტვ.


რუსთავი 2-ზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო:
პირდაპირი-ირიბი საუბარი (%) (11 მაისი - 5 სექტემბერი)
პრეზიდენტი (11:43:11) 73 27
კოალიცია ქართული ოცნება (9:21:53) 41 59
მთავრობა (8:13:40) 44 56
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (5:12:17) 61 39
ქრისტ.-დემოკრატიული მოძრაობა (4:06:57) 62 38
ახალი მემარჯვენეები (2:46:47) 69 31
ლეიბორისტული პარტია (1:26:28) 65 35
პარლამენტი (59:02) 56
ადგილობრივი თვითმმართველობა (55:46) 72
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (55:07) 65
სია (33:29)
ადგილობრივი არასამთავრობოები (19:12)
დემოკრატიული მოძრაობა (18:19)
ცესკო (18:04)
თავისუფალი საქართველო (16:34)
საერთაშორისო ორგანიზაციები (16:01)
სახელმწიფო აუდიტის სამსახური (10:28)
პირდაპირი
ირიბი


პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო
(სულ 10 სთ 41 წთ) (2 - 21 ოქტომბერი)
კოალიცია ქართული ოცნება 59%
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 19%
პრეზიდენტი 4%
მთავრობა 4%
ცესკო 3%
პარლამენტი 3%
დამკვირვებლები 2%
ადგილობრივი არასამთავრობოები 2%
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა 1%
სხვა პარტიები 1%
სხვა 2%


იმედზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ჟურნალისტის
ტონის მიხედვით (%) (6 სექტემბერი - 1 ოქტომბერი)
კოალიცია ქართული ოცნება (1:26:50) 46 52
პრეზიდენტი (48:11) 63 36
მთავრობა (44:18) 29 69
ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (31:40) 20 80
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (30:25) 25 74
ლეიბორისტული პარტია (9:07) 84
ახალი მემარჯვენეები (8:02) 96
დამკვირვებლები (7:38) 100
ცესკო (4:29) 100
საერთაშორისო ორგანიზაციები (4:07) 100
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (2:57)
ადგილობრივი თვითმმართველობა (1:36)
თავისუფალი საქართველო (1:27)
ადგილობრივი არასამთავრობოები (1:03)
დადებითი
ნეიტრალური
უარყოფითი

მაესტროზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: პირდაპირი-ირიბი საუბარი (%) (6 სექტემბერი - 1 ოქტომბერი)



კავკასიაზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (%) (6 სექტემბერი - 1 ოქტომბერი)





(ცეესკო 2012 წლის მედიამონიტორინგის შედეგები, გვ 6;13;11;15;16)

დიაგრამაზე მოცემული რიცხობრივი მაჩვენებლები მიგვანიშნებს ფაქტზე, რომ სხვადასხვა სატელევიზიო არხები გამოირჩევიან პარტიული „ფავორიტების“ გამოვლენაში.

აგრეთვე მნიშვნელოვანია სოციალური ქსელით პარტიების მიერ კომუნიკაცის დამყარება ამომრჩეველთან, რამდენად ეფექტურია და რა შედეგები შეიძლება მოუტანოს პარტიას განვითარებისთვის და წარმატებისთვის. მნიშვნელოვანია 2012 წლის შედეგები. რა მოლოდინი ქონდათ პარტიებს სოციალური ქსელების საშუალებით კომუნიკაცის დამყარების შედეგად. „2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მიმდინარე კამპანიაზე დაკვირვებისას არ იყო მოლოდინი, რომ სოციალურ მედიაში მიმდინარე კამპანია გადამწყვეტ როლს შეასრულებდა რომელიმე პოლიტიკური პარტის არჩევნებში გამარჯვებაში. **(სოციალური ქსელის როლი ქართულ პარტიულ პოლიტიკაში, კ.კაკაჩია თ.პატარაია, თბილისი 2013წ გვ.11)** თუმცა ეს არ ნიშნავს იმას რომ პარტიები არ მიმართავდენ აღნიშნულ ტექნოლოგიებს. ამ დროისთვის არ ითვლებოდა ისეთ საშუალებად როგორც შემდეგ არჩევნებში მაგალიათად 2016 წლის არჩევნებში მნიშვნელოვნად აქტიურობდენ პარტიები როგორც სატელევიზიო რეკლამით აგრეთვე სოციალური ქსელებით.

ინტერნეტი და სოციალური ქსელები ნებისმიერ დროს ნებისმიერ ადგილას საშუალებას აძლევს როგორც პარტიას ინფორმაცის გავრცელებაში ასევე ამომრჩეველს მიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია და ლოგიკურად განსაზღვროს სხვადასხვა პოლიტიკური პარტის იდეოლოგია, შესაძლებლობები და რაც მთავარია სანდოობა რომლის მიხედვით შეძლებს არჩევანის გაკეთებას. როგორც **(IDFI)** კვლევის მიხედვით აკვირდებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერის თუ პარტის ვებ გვერდი რამდენად ხშირად აზიარებდა ინფორმაციას, შემდგომ რამდენი ადამიანი ნახულობდა იწონებდა მათ სიახლებს ან აზიარებდნენ მათ გვერდზე ან რამდენად ხდებოდა კომენტარების გაკეთება. როგორც მკვლევარები ამბობენ მათთვის ყველაზე საინტერესო სწორედ კომენტარები აღმოჩნდა, რადგან იდებოდა ძალიან ბევრი კომენტარი და კომენტარების საშუალებით ხდებოდა დიალოგი. ამომრჩევლებთან კომუნიკაციაში ლიდერებიც ერთვებოდნენ, რაც ამომრჩეველს უმარტივებს საკუთარი აზრის გამოხატვას და ასევე იმ პასუხის მიღებაში რაც აინტერესებს პარტიისაგან.

იმის მიუხედავად, რომ სოციალური ქსელებით კონტაქტის დროს არ არის დაცული არანაირი აგრესის, დაცინვის ან შეურაცყოფის არიდება თუმცა მაინც რჩება იმ მნიშვნელოვან საშუალებად რომელიც ამარტივებს კომუნიკაციას, ზოგავს დროს, ენერგიას და ფულს. **(ელექტრონული ჩართულობა საქართველოში - კვლევის პირველადი შედეგები,** (IDFI) **11 ოქტომბერი 2012)**

მნიშვნელოვანია, როგორ აფასებენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები მარკეტინგული ტექნოლოგიების განვითარებას (სატელევიზიო რეკლამა და სოციალური ქსელების), ეხმარებათ თუ არა მათ აღნიშნული ტქნოლოგიები ამომრჩეველთან კომუნიკაციაში, უმარტივებს თუ არა ინფორმაცის გავრცელებას, რამდენად არის მათი დროის და ფინანსური ეკონომის საშუალება და რაც მთავარია ეხმარება თუ არა მანდატების მოპოვებაში.

ამის გასარკვევად ინტერვიუ ჩავწერე სამ პოლიტიკური პარტის წარმომადგენელთან ესენია: კოალიცია ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და თავისუფალი დემოკრატები.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში აქტიურად მონაწილეობდნენ და როგორც პარტის წევრები ამბობენ, რომ მნიშვნელოვანი როლო შეასრულა როგორც სატელევიზიო რეკლამამ ასევე სოციალურმა ქსელებმა. ნაციონალური მოძრაობის წევრის სალომე

სიგუას აზრით იმის მიუხედავად, რომ ის არ მუშაობდი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში, თუმცა აღნიშნავს, რომ პარტიას კონსულტაციას უწევდნენ ამერიკელი კონსულტანტები, მარკეტინგისა და პიარის მიმართულებით, მათთან კონსულტაციების შედეგად იგეგმებოდა თუ რა შეიძლება შეგვეთავაზებინა ჩვენი ამომრჩევლისათვის. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი ეფუძვნებოდა კვლევების შედეგებს, რასაც NDI და IRI აკეთებდა ხოლმე. თუმცა არა მარტო NDI-სა და IRI-ის კვლევების მიხედვით ვმსჯელობდით, არამედ ჩვენ ვქირაობდით სოციალურ სააგენტოებს, რომლთა მთავარი მიზანი იყო გაეგო რა აწუხებდათ საზოგადოებას, რათა ამისა შესაბამისად ემოქმედა პარტიას.

მსგავსი შეხედულება აქვს კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლ ბატონ **ზურაბ ბიგვავასაც.** მისი აზრით იმისთვის, რომ გამოვიყენოთ სხვადასხვა მარკეტინგული ტექნოლოგიები (სატელევიზიო რეკლამა ან სოციალური ქსელები) ინფორმაცის გავრცელებისათვის, თავდაპირველად საჭიროა ბაზრის კვლევა. როგორც ის აღნიშნავს „მე არ ვარ მარკეტოლოგი მე ვარ ფსიქოლოგი და მე ვსწავლობ ადამიანების განწყობებს, ეს არის საარჩევნო ტექნოლოგიები და პიარ ტექნოლოგიები. მე ვფიქრობ, რომ ეს არის საარჩევნო ტექნოლოგია რომელიც გუსლისხმობს ადამიანის შესწავლას, ადამიანის პროგნოზირებას და ადამიანის ქცევის პროექტირებას''.

ხოლო თავისუფალი დემოკრატების ინგა სამხარაძის(პრეს სამსახურისა და პიარის ხელმძღვანელი) აზრით, 2012 წლის არჩევნებში არ იყო მარკეტინგული ტექნოლოგიების სატელევიზიო რეკლამის ან სოციალური ქსელების გავლენა. ეს იყო ციხის კადრების გავლენა, რამაც სრულად შეცვალა ძალიან ბევრი ამომრჩევლის არჩევანი, და მიგვიყვანა იმ შედეგამდე რასაც მთავრობის შეცვლა ქვია.

სალომე სიგუას აზრით კი იმის მიუხედავად, რომ მუდმივად ცდილობდნენ აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულები, როგორც სარეკლამო რგოლებით ასევე სოციალური ქსელებით, მაინც ვერ შეძლელს ბოლომდე გაეცნოთ ამომრჩევლისათვის რისი შეთავაზება შეძლოთ, რა შეიძლება გაკეთებულიყო ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ. მისი აზრით რაღაც ისე ვერ გააკეთეს როგორც საჭირო იყო. როგორც ბატონი ზურაბ ბიგვავა ამბობს რთულია განსაზღვრო ყველა იმ ამომრჩევლის აზრი და მოლოდინი რომელიც არჩევნებში ღებულობს მონაწილებს, მისი აზრით შესაძლებელია სარეკლამო

რგოლებმა და სოციალური ქსელით გავრცელებულმა ინფორმაციამ, როგორც დადებითი შედეგი მოუტანოს პარტიას ასევე უარყოფითიც. ამიტომ დაზუსტებით ვერ ვიტყვით, ჩვენ მიერ გაკეთებული სხვადასხვა აქტივობები ზუსტად იმ შედეგზე გაგვიყვანს რაც არის ჩაფიქრებული თუ არა. თუმცა ქალბატონი ინგა სამხარაძის აზრი მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებებისაგან, მისი აზრით თანამედროვე სამყაროში ზუსტად, სატელევიზიო რეკლამა და სოციალური ქსელები კიდევ უფრო აქტუალური გახდა. რასაც დღეს ყველა პოლიტიკური პარტია ნაყოფიერად იყენებს.

თუმცა არსებობს ჩვენი საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი რომლის მთავარი ინფორმაცის წყაროს წარმოადგენს სატელევიზიო რეკლამები და უშუალოდ პარტიების შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაციები, რა თქმა უნდა ძალიან რთულია ყველა რეგიონში შეხვედრების დაგეგმვა და ყველა ადამიანისათვის საკუთარი იდეოლოგიის გაცნობა. ამიტომ რა თქმა უნდა მინშვნელოვანია კომუნიკაცის დამყარება სხვადასხვა ამომრჩეველთა სეგმენტი მათვის საინტერესო საშუალებებით, ეს იქნება რეკლამა თუ სოციალური ქსელები. ინგა სამხარაძის (თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელი) აზით კი მალე მოხმარებიდან გაქრება სატელევიზიო რეკლამები და მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი მოიხმარს სოციალური ქსელებს ინფორმაცის მიღების საშუალებად.

როგოც, სალომე სიგუა ამბობს „საზოგადოების მხრიდან არის მოთხოვნა რაღაც ახალზე რაღაც ინოვაციურზე მართალია უნდა ვთქვათ ის რომ ქართულ საზოგადოებას ძალიან უჭირს რაღაც ახალის მიღება და ბოლომდე გათავისება მაგრამ, როცა შენ აწვდი რაღაც ახალს საზოგაოდებას ინტერესი მაინც ჩნდება“ და ცდილობს მოერგოს ახალ სისტემას და სიახლეებს რასაც სთავაზობს დრო. საპირისპირო მოსაზრება აქვს ბატონ ზურაბ ბიგვავას მისი აზრით საქართველოში იყო სატელევიზიო რეკლამების და თოქშოუების პოპულარობა და იქნება მუდმივად რადგან მისი ჩანაცვლება ძალიან რთულია იმ ტექნოლოგიებით რომლის გამოყენების საშუალება არ აქვს ყველა სტატუსის ადამიანს. თუმც ამ ყველაფრისდა მიუხედავად, როგორც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია ქართული ოცნებაც და თავისუფალი დემოკრატებიც მნიშვნელოვნად აქტიურობენ სოციალური ქსელებით, როგორც გვანცა სიგუა ამბობს „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობა თამამად შემიძლია ვთქვა რომ პოლიტიკური პარტიების ოფიციალურ გვერდებს შორის, ყველაზე აქტიური არის ამ მიმართულებით.“

თუმცა აქაც უნდა იყოს ინფორმაცის მიწოდების ფორმები, რადგან მუდმივი აქტიურობით შესაძლებელია მომაბეზრებელი გახდე და დაგბლოკოს ამომრჩეველმა, ინფორმაცია უნდა იყოს სერიოზულიც, სახალისოც და საინტერესოც, ამასთანე ერთად რა თქმა უნდა მოკლე და მარტივად აღსაქმელი. ის ფაქტიც შეიძლება მინშვნელოვანი იყოს ამომრჩევლისთვის, რომ კითხვებზე პასუხი რომელიც მას შესაძლოა ჰქონდეს, უშუალოდ პარტიის იმ წევრისგან მიიღოს რომელთანაც კითხვა ააქვს, რაც ხშირ შემთხვევაში ამომრჩევლის კეთილ განწყობას განსაზღვრავს. რა თქმა უნდა გადამწყვეტი მნიშვნელობის არის როგორც ზევით ავღნიშნე პარტის წევრების შეხვედრა ამომრჩეველთან. მათი პრობლემების გაზიარება და პრობლემების მოგვარების დაპირების მიცემა, რასაც შესაძლებელია ამომრჩევლმა იმდენად დიდი მნიშვნელობა მიანიჭოს, რომ საბლოო გადაწყვეტილებამდე მიიყვანოს.

რაც შეხება ექსპერტის სოსო გალუმაშვილის აზრის “შემიძლია არა მარტო 2012 წლის არჩევნებიში არამედ ჩვენთან ზოგადად არჩევნებში მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენების კულტურა ძალიან მაღალია და პრინციპში ასევე შემიძლია ავღნიშნო, რომ თითქმის არ ჩამორჩება რიგ განვითარებულ ქვეყნებში გამოყენებულ ტექნოლოგიებს, მიუხედავად იმისა რომ ჩვენ შორის ძალიან ბევრი სხვაობაა, იგივე ეკონომიკური თვალსაზრისით და ბევრ საკითხში ჩვენ ჩამოვრჩებით ეგრეთ წოდებულ განვითარებულ დასავლეთს. ეს არის ის სფერო ამ შემთხვევაში არჩევნების მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენება, სადაც ჩვენ ვართ ძალიან წინ წასული, აქედან გამომდინარე შემიძლია გითხრათ რომ ბევრი ტექნოლოგია და მეთოდოლოგია არჩევნების წარმართვის ჩვენთანაც არის გამოყენებული და ხშირ შემთხვევაში აქ გამოყენებული ტექნოლოგიები მერე ვრცელდება სხვა მიმართულებითაც იგივე აზერბაიჯანში, სომხეთში უკრაინაში და ა.შ. ჩვენ პირველები ვართ სადაც თანამედროვე მარკეტინგული ტექნოლოგიების ადაპტირება ხდება ეგრეთ წოდებულ ყოფილ საჭოთა სივრცისათვის’’.

საქართველოში აგრეთვე მუდმივად ატარებენ კვლევებს იმისათვის, რომ შეისწავლონ ელექტორატის განწყობა. მუდმივად მუშაობენ ამომრჩევლის მოთხოვნების შესაბამისად. იდეოლოგით დაწყებული სარეკლამო კამპანით დამთავრებული. მუდმივად მიდის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე, რომელიც საზოგადოების უმეტეს ნაწილს აწუხებს და რისი მოგვარებითაც შესაძლებელია ამომრჩევლის ნდობის მოპოვება. დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რაიმე განსაზღვრული ტაქტიკა და სტრატეგია მართალი გითხრათ არ ქონიათ, იმიტომ რომ მათთვისაც ძალიან ახალი იყო ეს. მაგრამ უკვე შემდგომ არჩევნებში როგორიც არის 2014 წლის თვითმართველობის არჩევნები, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები, სოციალური ქსელების ხიბლი, სოციალურ ქსელებში სარეკლამო კამპანიებისა და სარაკლამო სტრატეგიის განხორციელების კუთხით პარტიებმა ძალიან ბევრი რამ ისწავლეს შეითვისეს და გამოიყენეს კიდევაც. თუ შევაჯამებთ რეალურად შემიძლია გითხრათ, რომ სატელევიზო სარეკლამო კამპანიები უფრო იყო კრეატიული და კონკრეტული მესიჯ ბოქსებით შევსებული, რასაც ვერ ვიტყვით სოციალური მედიის კუთხით სარეკლამო კამპანიებზე, ეს რაც შეეხება 2012 წლის არჩევნებს. შემდგომ წლებში კი უკვე ნათლად გამოიკვეთა, რომ პარტიებს უკვე ათვისებული აქვთ ეს ინსტრუმენტი როგორიც არის სოციალურ ქსელებში რეკლამა და მარკეტინგული კამპანიები. თუმცა იმის ინდიკატორები თუ რომელმა სარეკლამო კამპანიამ ან სოციალურმა აქტიურობამ შეიძლება მოუტანოს პარტიას წარმატება რთული განსასაზღვრია.

მთავარი თემაა მაინც პარტიის კონკრეტული ღირებულებები, ღირებულებითი წინადადებები ან ძირითადი პარტიის ბრენდ კოდია. სწორად მივიდეს სამიზნე აუდოტრიამდე და პარტიებსა და მის ამომრჩეველს შორის დამყარდეს ორ მხრივი კომუნიკაცია, რომელიც საშუალებას მისცემს შემდეგ, ამომრჩეველს თავის სასურველ პარტიას მისცეს ხმა. ეს არის პროცესი რასაც მოიცავს პარტიული წინა საარჩევნო კომუნიკაციები. რა საკვირველი არც სატელევიზო ეთერი და არც სხვა საშუალებები რომელიც გამოიყენება წინა საარჩევნო ბრძოლაში ვერ აძლევს საშუალებას პარტიას სრულად გადასცეს და გადმოსცეს თავისი ეგრეთ წოდებული ღირებულებითი

წინადადება, მთავარი მესიჯ ბოქსის მთავარი ბირთვი. აქედან გამომდინარე ცდილობს იმ ტექნოლოგიების გამოყენებით რომელიც ააქვს საკუთრებაში, სოციალური ქსელები იგივე ფეისბუქ ლაივები და ა.შ. პარტიის წევრებსა და ლიდერებს უფრო მეტი საშუალება აქვთ, რომ უფრო დიდი ხნით დაამყარონ ამომრჩეველთან კავშირი. ერთად ერთი რაც ვთქვათ სოციალურ ქსელბის ტექნოლოგიებს ამ თვლასაზრისით არ ემართებათ ეს არის პირდაპირი შეხვედრები, მაგრამ მინუსი ამ პირდაპირი შეხვედრებისა არის ის რომ ეს შეხვედრები რაღაც კონკრეტულ ლოკალურ ადგილებში ტარდაბე, სადაც აუცილებელია როგორც ლიდერების ასევე ამომრჩეველთა დიდი რაოდენობის ყოფნა, რომ შემდგომ ის იდეები მოწოდებები გავრცელდეს ამომრჩევლებზე. სოციალური ქსელების ფუნქციები და ტექნოლოგიები რომელიც გამოყენებული სოციალურ ქსელებში აძლევს საშუალებას პარტიებს და მათ ლიდერებს, განუსაზღვრელად დიდი ტერიტორიაზე მოხდეს მათი კომუნიცირება ამომრჩეველთან, აქედან გამომდინარე, უფრო ღრმად საფუძვლიანად დაწვრილებით და დეტალურად მოუყვეს თავის შესახებ ამომრჩეველს. ალბათ მოგეხსენებათ რომ დღევანდელი პიარი საზოგაოდოებასთან ურთიერთობის ერთ ერთი ძირითადი მახასიათებელი არის ეგრეთ წოდებული რაღაცა ამბის მოყოლა, ამის საშუალება, იგივე თოქშოუებში მონაწილეობის დროს შეზღუდულია სატელევიზო ეთერის ფორმატისა და დროის სიმცირის გამო. სოციალური ქსელებიდან და სოციალურ ქსელებში ეს შეზღუდვა უკვე მოხსნილია და ნებისმიერ ამომრჩეველს, პოტენციურ ამომრჩეველს ააქვს საშუალება უფრო დიდი ხნის განმავლობაში მოუსმინოს თავის პოტენციურად სასურველ პარტიის ლიდერს. აქედან გამომდინარე შემიძლია გავაკეთო ასეთი რეზიუმე, რომ კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი თემაა რომელიც უნდა ვთქვათ სხვა მარკეტინგული კომუნიკაციის საშუალებებს და მატარებლებს არ ააქვთ, ეს არის უკუკავშირის საშუალება, როდესაც შენ გამოდიხარ ტელევიზორში შენ არ შეგიძლი ვთქვათ პირდაპირ ეთერში თუ სპეციალურად არ ჩართო ტელეკომპანიამ შენთან ამომრჩეველი ან კონკრეტულად მაყურებელი, არ გაქვს საშუალება რაღაც კითხვებს გასცე პასუხი. სოციალურ ქსელების საშუალებით კი შესაძლებელია პირდაპი ეთერში მიიღო უკუკავშირი. ამომრჩევლისგან უპასუხო მათ კითხვებს, ანუ დაამყავრო ორ მხრივი კავშირი. ამცირებს უპასუხო კითხვებს და კმაყოფილების დონეს ზრდის ამომრჩევლებში. რატომ არის დღეს ასე

მნიშვნელოვანი მარკეტინგული ტექნოლოგიები. მაშინ როდესაც პარტია მხოლოდ ფურცელზე ფორმდებოდა და არსებობდა სადღაც ბუნებაში თავისთვის ქაღალდზე პარტია და მის შესახებ არავინ იცოდა და ვერც ვერასოდეს გაიგებს, ხოლო ეს რომ ასე არ იყოს კომუნიკაციის როლი, პიარის როლი და საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი არის ყველაზე მნიშვნელოვანი და კიდევ ერთხელ ვამბობ სტრატეგილი ფუნქცია. რას ვგულისხმობ როდესაც ვამბობ სტრატეგიულ ფუნქციას, ორგანიზაციის ამ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიის შემთხვევაში მისი არსებობა ან არ არსებობოა დამოკიდებულია მარკეტინგულ კომუნიკაციებზე. ასეთი მაღალი ხარისიხის სტრატეგიული ფუნქცია უკავია კომუნიკაციებს. აქედან გამომდინარე, რომ შევაჯამოთ რა საკვირველია წარმატებაზეც კი არა კონკრეტულად მის ცნობადობაზეც კი ვერ მოახდენს გავლენას თუ მას კომუნიკაცია არ ააქვს. გავიდა ის დრო როდესაც სადღაც ვიღაცა თავისთვის იჯდა ჩრდილში და ქაღალდზე ჩამოყალიბებული პარტიით ცდილობდა არჩევნებში რაღაცის მიღწევას. დღევანდელი დღე სწორედ იმით არის გამორჩეული ამ კომუნიკაციების თვალსაზრისით, რომ მაღალი დონის, აქ აღარ არის საშუალო დონეზე ლაპარაკი. მაღალი დონის სწორად დაგეგმილი, სწორად ჩამოყალიბებული, სწორად განხორციელებული ინტეგრირებული მარკეტინგული კამპანიების გარეშე წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

6. დასკვნა

ჩემი კვლევის მიზანი იყო გამეგო რა გავლენას ახდენდა პოლიტიკური პარტიაზე მარკეტინგული ტექნოლოგიები (სატელევიზიო რეკლამა და სოციალური ქსელები) 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მაგალითზე.

იმის მიუხედავად რომ სამწუხაროდ ვერ მოვახერხე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტის წევრებთან ინტერვუს ჩაწერა, მაინც მნიშვნელოვანი ინფორმაცია მივიღე იმის შესახებ თუ როგორ იხვეწება საქართველოში სხვადასხვა ტექნოლოგიები, რამდენად მიშვნელოვანი ხდება პარტისთვის ესა თუ ის სოციალური აქტივობა და რამდენად უმარტივებს მუშაობას სხვადასხვა ტექნოლოგიების დანერგვა. თავდაპირველად საქართველოში ისევე როგორც სხვა ქვეყნებში მნიშვნელოვანი

ადგილი ეჭირა სატელევიზიო რეკლამას პოლიტიკური კამპანიის წარმოებაში. მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მუდმივი ინფორმაცის მიწოდება მოსახელობისათივს. საზოგადოება მუდმივად ჩართულია იმ პროცესებში რასაც პოლიტიკური კამპანიის წარმოება ქვია. შემდგომ არანაკლები პოპულარობა მოიპოვა სოციალურმა ქსელებმა, რომლის დახმარებითაც არა მარტო პარტის წევრებს შეუძლიათ ინფორმაცის გაზიარება და მიწოდება არამედ ამომრჩეველსაც საშუალება ეძლევა უშუალოდ ჩაერთოს, ამ პროცესში როგორც კითხვების სახით ასევე აზრის დაფიქსირებით სხვადასხვა საკითხებზე.

როგორც, სალომე სიგუა ამბობს იმისთვის, რომ ამომრჩევლის ყურადღება მიიქციო საჭიროა თავდაპირველად კვლევების ჩატარება იმისთვის თუ რა აწუხებს ამომრჩეველს და რისი შეთავაზება შეუძლია პარტიას, როგორ მიაწოდოს პრობლემის მოგვარების გზა ლოგიკურ ჩარჩოების დაცვით, რომ ამომრჩევლის დაბნევა და უნდობლობა კი არ გამოიწვიოს არამედ პირიქით. მუდმივად უნდა იყოს მასთან კონტაქტში მოისმინოს პრობლემა და შეეცადოს ნდობის მოპოვებას. როგორც სოსო გალუმაშვილმა თქვა საქართველოში კომუნიკაცის პრობლემა დღეს აღარ არის და იმდენად კარგად არის განვითარებული, რომ განვითარებულ ქვეყნებს ვუტოლდებით. ძალიან კარგად აითვისა თითეულმა პარტიამ ამომრჩევლის განწყობა, პრობლემა და რაც მთავარია მნიშვნელოვნად ხვეწავენ მათი ნდობის მოპოვების ხერხებსაც.

აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია დასკვნა გამოვიტანოთ, რომ საქართველოში იმის მიუხედავად რომ დიდი ისტორია არ აქვს მარკეტინგული ტექნოლოგიების დანერგვას მნიშვნელოვანი საფეხურები გაიარა რაც მნიშვნელოვანია არა მარტო პოლიტიკური განვითარებისთვის და კომუნიკაცის გამარტივებისთვის არამედ სტრუქტურისთვის, რომელსაც სჭირდება ბევრი მომხმარებელი იმისთვის რომ გაყიდოს მომსახურბა.

7. გამოყენებული ლიტერატურა

7.1. Bowler, S., & Farrell, D. M. (1992). *Electoral strategies and political marketing*: Springer.

7.2. Butler, P., & Collins, N. (1994). Political marketing: Structure and process. *European Journal of marketing, 28*(1), 19-34.

7.3. Lees-Marshment, J. (2009). *Political marketing: Principles and applications*: Routledge.

7.4. Lilleker, D. G., & Lees-Marshment, J. (2005). *Political marketing: A comparative perspective*: Manchester University Press.

7.5. Lock, A., & Harris, P. (1996). Political marketing-vive la difference! *European Journal of marketing, 30*(10/11), 14-24.

7.6. O'Cass, A. (2001). Political marketing-An investigation of the political marketing concept and political market orientation in Australian politics. *European Journal of marketing, 35*(9/10), 1003-1025.

7.7. Scammell, M. (1999). Political marketing: Lessons for political science. *Political studies, 47*(4), 718-739.

7.8. Scammell, M. (2016). *Designer politics: How elections are won*: Springer.

7.9. Strom, K. (1990). A behavioral theory of competitive political parties. *American journal of political science*, 565-598.

7.10. Vargo, S. L., & Lusch, R. F. (2004). Evolving to a new dominant logic for marketing. *Journal of marketing, 68*(1), 1-17.

7.11. Weingast, B. R. (1995). The economic role of political institutions: Market-preserving federalism and economic development. *Journal of Law, Economics, & Organization*, 1-31.

7.12. Wring, D. (1997). Reconciling marketing with political science: theories of political marketing. *Journal of Marketing Management, 13*(7), 651-663.

7.13. http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_DG_Report_Political_Advertisement_GEO.pdf

7.14. http://old.ucss.ge/publication/Politikuri%20Marketingis%20Safidzvlebi%2001.pdf

7.15. http://old.ucss.ge/publication/Politikuri%20Marketingis%20Safidzvlebi%2002.pdf

7.16. https://tsulearn.files.wordpress.com/2015/01/e1839ee1839de1839ae18398e183a2e18398e18399e183a3e183a0e18398-e1839be18390e183a0e18399e18394e183a2e18398e1839ce18392e18398-e18393e18390.pdf

7.17. https://www.google.ge/?gws_rd=ssl#q=%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98

7.18. https://www.google.ge/?gws_rd=ssl#q=%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98

7.19. http://old.ucss.ge/publication/Politikuri%20Marketingis%20Safidzvlebi%2001.pdf

7.20. https://lunarpages.com/the-impact-of-information-technology-on-politics/

7.21. http://www.nimd.ge/2012_Genderi.pdf

7.22. http://www.econpolicyfact.ge/ka/election/1/party/ertiani-natsionaluri-modzraoba

7.23. http://www.ivote.ge/images/doc/pdfs/ocnebis%20saarchevno%20programa.pdf (გვ2)

7.24. გ. არმსტრონგი, ფ. კოტლერი, მარკეტინგის საფუძვლები, მე-7 გამოცემა, თბილისი, 2007, გვ. 414

7.25. **სოციალური ქსელის როლი ქართულ პარტიულ პოლიტიკაში, კ.კაკაჩია თ.პატარაია, თბილისი 2013წ გვ.11**

7.26. (ელექტრონული ჩართულობა საქართველოში - კვლევის პირველადი შედეგები, (IDFI) **11 ოქტომბერი 2012 https://idfi.ge/ge/the-primary-results-of-the-research-e-participation-in-georgia**

დანართი #1

პოლიტიკურ პარტიებთან ინტერვიუს კითხვარი

1. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში რა მარკეტინგულ ტექნოლოგიებს (სატელევიზიო რეკლამა, სოციალური ქსელები) იყენებდით?
2. რამდენად წარმატებული აღმოჩნდა თქვენს მიერ გამოყენებული სატელევიზიო რეკლამა და სოციალური ქსელები?
3. როგორ ფიქრობთ რა გავლენა იქონია მარკეტინგულმა ტექნოლოგიებმა ელექტორატულ განწყობაზე?
4. და რამდენად მიაღწიეთ შედეგს, რომელიც იყო გამიზნული სარჩევნო კამპანის დაწყებამდე?
5. როგორ ფიქტრობთ რომელი მარკეტინგული ტექნოლოგია (სატელევიზიო რეკლამა, სოციალური ქსელები) არის საქართველოში აქტიური და პროდუქტიული?
6. თქვენი აზრით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე რამდენად იმოქმედა სარეკლამო და სოციალური ქსელების აქტუალობამ?
7. იყენებთ თუ არა სოციალურ ქსელებს ამომრჩეველთან კომუნიკაცის საშუალებად?
8. თქვენი აზრით რამდენად უწყობს ხელს სოციალური ქსელები პარტიებს და ამომრჩევლებს შორის ურთიერთობაში?
9. და ბოლოს თუ შეიძლება შეფასების სახით, არის თუ არა პოლიტიკური პარტის წარმატების საწინდარი მარკეტინგული ტექნოლოგიები?

დანართი #2

ექსპერტებთან ინტერვიუს კითხვარი

1. როგორ შეაფასებთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს, მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით? (სატელევიზიო რეკლამა და სოციალური ქსელები?
2. თქვენი აზრით რამდენად ემყარებოდა პარტიების საკომუნიკაციო და სარეკლამო სტრატეგია ელექტორალურ კვლევებს?
3. რამდენად წარმატებულია ამომრჩეველთა მობილიზაციის თვალსაზირით მათ მიერ გამოყენებული სატელევიზიო რეკლამა და სოციალური ქსელები 2012 წელს ?
4. თქვენი აზრით რომელი პოლიტიკური პარტია იყენებს ყველაზე რაციონალურად არჩევნებში სოციალურ ქსელებს და სატელევიზიო რეკლამას?
5. როგორ ფიქრობთ რომელი მარკეტინგული ტექნოლოგია არის საქართველოში ყველაზე გამოყენებადი და პროდუქტიული?
6. თქვენი აზრით რამდენად უწყობს ხელს სოციალური ქსელები პარტიებს და ამომრჩევლებს ურთიერთობაში?
7. ბოლოს თუ შეიძლება შეფასების სახით, არის თუ არა პოლიტიკური პარტიის წარმატების საწინდარი სატელევიზიო რეკლამა და სოციალური ქსელები?
8. თქვენი აზრით არჩევნებისადმი მარკეტინგული მიდგომის და ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე, რამდენად შესაძლებელია არჩევნებში წარმატების მიღწევა?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU)

Faculty of Social and Political Sciences

Direction of Policy Science

Irma Shavadze

The marketing technologies role on the election (considered on the example of 2012 parliamentary election)

Master's thesis is done to gain Master's degree in the Policy Science

Supervisors: Malkhaz Matsaberidze, Lia Tetradze

Tbilisi 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

თეა ტაბეშაძე

“ცნობილი სახეები” 2012-2016 წლების საარჩევნო კამპანიაში

პოლიტიკის მეცნიერება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები:

მალხაზ მაცაბერიძე პროფესორი

ირინე ჭუმბურიძე დოქტორანტი

თბილისი

2017

ანოტაცია

არჩევნებში გამარჯვება წინასაარჩევნოდ თანამედროვე მარკეტინგული მეთოდების გამოყენებაზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი მეთოდია კამპანიაში "ცნობილი სახეების" გამოყენება, ანუ ამ უკანასკნელთა მხრიდან რომელიმე პარტიის ან კანდიდატის მიმართ მხარდაჭერის გამოხატვა საჯაროდ. „ცნობილი სახე" საარჩევნო კამპანიაშ გამოიყენება, როგორც PR ტექნოლოგია, რომელიც პარტიას ცნობადობის ამაღლებასა და ნდობის მოპოვებაში ეხმარება. „პიარის" არსი ხომ გარკვეული სუბიექტისადმი საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებაა (დენის ლ. უილკოქსი, გლენ ტ. კამერონი 2011), ის საზოგადოებასა და ორგანიზაციას შორის ჰარმონიული და კეთილსასურველი ურთიერთობის ჩამოყალიბებას ემსახურება. ეს კი განსაკუთრებით ესაჭიროებათ პოლიტიკურ ასპარეზზე ახლადგამოჩენილ პარტიებს.

ნაშრომი სწორედ ახალი პარტიების მხრიდან, ნდობისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით, საარჩევნო კამპანიაში "ცნობილი სახეების" გამოყენების საკითხს მოიცავს. კერძოდ, კვლევაში ძირითადი აქცენტი გამახვილებულია 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ახალ პარტიებზე. აღნიშნული წლები საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დასამახსოვრებელია იმით, რომ ის ეკუთვნის ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და სხვადასხვა საერთაშორისო თანამგეობრობაში ინტეგრაციისკენ სწრაფვის ეპოქას, რა დროსაც დემოკრატიულად ჩატარებულ არჩევნებში "ცნობილი სახეები" არამხოლოდ ვინმეს ან რაიმეს მხარდასაჭერად გამოიყენებოდნენ, არამედ ისინი საკუთარი პოლიტიკური პარტიისა და საკუთარი კანდიდატურის გამარჯვებისთვის ბრძოლით იყვნენ დაკავებულნი.

ნაშრომი ემსახურება დაადგინოს, რატომ იყენებენ ახალი პოლიტიკური პარტიები წინასაარჩევნოდ "ცნობილ სახეებს" და რამდენად ზემოქმედებს ეს მეთოდი ამომრჩეველზე.

T. Tabeshadze

The Celebrities in the Election Campaign of 2012-2016

Annotation

The victory in the election depends on using modern marketing methods in pre-election period. One of the methods is to use celebrities in the campaign, which means to express support towards any party or candidate in public. The celebrities help parties to increase their awareness and to gain the trust, to say it in modern language, celebrities are used to PR parties. The main idea of PR is to obtain friendliness for a certain subject in society. PR is to establish a harmonious and positive relationship between society and organization. This is especially needed for newly formed parties in the political arena.

The thesis deals with the use of celebrities in election campaigns to increase trust and awareness of new parties. In particular, the thesis is focused on new parties participating in 2012 and 2016 parliamentary elections. These years in Georgian political life are remembered by the fact that it belongs to the epoch of the country's democratic development and the integration of various international co-operatives, while democratic elections, celebrities used not only to support anyone or anything, but they were involved in fighting for their political party and their own candidacy.

The thesis serves to determine why new political parties use celebrities for pre-election period and how this method affects voters.

შინაარსი

შესავალი 6

თავი I. „ცნობილი სახეები“ ახალი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიაში 2012-2016 წლებში: კვლევის სიახლე, მიზნები და ამოცანები 9

კვლევის აქტუალობა 9

კვლევის სიახლე, მიზნები და ამოცანები 10

ჰიპოთეზა 12

თეორიული ჩარჩო 12

ლიტერატურის მიმოხილვა 15

კვლევის მეთოდი 19

თავი II. საარჩევნო კამპანია, როგორც პოლიტიკური მარკეტინგი 21

§ 2.1 საარჩევნო კამპანია: 21

§2.2 უცხოეთის გამოცდილება 24

§ 2.3 წარუმატებელი მსახიობობიდან წარმატებულ პრეზიდენტობამდე: რონალდ რეიგანი პოლიტიკაში 29

§ 2.4 მსახიობისა და სპორტსმენის არნოლდ შვარცენეგერის კაპიტალი პოლიტიკაში 33

თავი III. „ცნობილი სახეები“ პოლიტიკაში: საქართველოს გამოცდილება 37

§3.1 „ცნობილი სახეები“ საარჩევნო კამპანიაში 37

§3.2 ცნობილი სახეების როლი ახალი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიაში 2012-2016 წლებში 39

§3.3 წინასაარჩევნო მხარდაჭერა „ჯილდოს“ სანაცვლოდ?! 52

§3.4 პარტიების ინსტიტუციონალიზაციისა და ელექტორატის ცნობიერების დონე საქართველოში 54

§3.5 „ცნობილი სახეები“ საარჩევნო კამპანიაში დამოუკიდებელი საქართველოს გზაზე 57

დასკვნა..... 61

გამოყენებული ლიტერატურა 64

დანართები 70

შესავალი

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას საარჩევნო კამპანიებში "ცნობილი სახეების" ჩართულობის უამრავი ფაქტი ახსოვს. ეს მეთოდი ძირითადად გამოიყენებოდა ახალი პოლიტიკური პარტიების მხრიდან, რომელთა მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ცნობადობისა და ნდობის მაჩვენებელი საზოგადოების თვალში ნულის ტოლია.

როცა ვამბობთ "ცნობილ სახეს", ვგულისხმობთ პროფესიით არაპოლიტიკოს ადამიანს, რომელმაც სახელი სხვა სფეროში მოიხვეჭა, იქნება ეს სპორტი, ხელოვნება თუ ბიზნესი და დააგროვა კაპიტალი. მას ამ კაპიტალის სხვა დარგში კონვერტირება და ძალაუფლების მოპოვება შეუძლია (Agyepong, 2016).

ისიც უნდა ითქვას, რომ "ცნობილი სახეები" ხშირად რეკლამირებისთვის გამოიყენებიან, ე.ი. ესა თუ ის პროდუქტი მათი საშუალებით „გაყიდვადი" ხდება. სწორედ ამაშია "ცნობილი სახის" უპირატესობა, რის გამოც მათ პოლიტიკური პარტიები სააარჩევნო კამპანიაში უხმობენ. როგორც „ტრანსფერის" თეორიაშია განმარტებული, ცნობილი ადამიანების გამხმოვანებლის როლში გამოსვლა გამოიყენება კონკრეტული პროდუქტის ან მომსახურების მიმართ საზოგადოების ყურადღების მიპყრობისა და პროდუქტზე "ცნობილი სახის" პოპულარობის გადატანის მიზნით (დენის ლ. უილკოქსი, გლენ ტ. კამერონი, 2011, გვ.228).

კამპანიაში "ცნობილი სახის" ჩართულობა შეიძლება გამოიხატოს კონრეტულ პარტიაში გაწევრიანებით, ან მის მიმართ მხარდამჭერი განცხადების გაკეთებით საჯაროდ. თუმცა, საქართველოში ბოლო ორი წლის საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ "ცნობილი სახეები" პარტიის დამფუძნებლებადაც გვევლინებიან. მაგ: 2012 წელს პოლიტიკაში მოვიდა ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი, 2016 წელს კი _ მსოფლიო ბანი და საქველმოქმედო ფონდ „იავნანას" დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე. ხსენებული პიროვნებები პარტიის მოკლე დროში გაპიარების შეუდარებელ ტექნოლოგიას წარმოადგენდნენ, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ პოლიტიკური პარტიის სახელწოდება სწორედ მათივე მაიდენტიფიცირებელი ნიშნებით იწყებოდა _ კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება"; „პაატა ბურჭულაძე-მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის". ლიდერთა სახელები გამოკვეთილი

იყო კიდევ ერთ პოლიტიკურ გაერთიანებაში _ „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“.

საპარლამენტო არჩევნებს “ცნობილი სახეების” გარეშე არც გასულ წლებში ჩაუვლია. სხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების საარჩევნო აქტივობის შესახებ მსოფლიოს მასშტაბითაც არაერთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია. დღევანდელი ამერიკის პრეზიდენტი ყოფილი ბიზნესმენი დონალდ ტრამპია, თუმცა, გაცილებით საინტერესო იყო მისი საარჩევნო კამპანია, რომელშიც ტრამპის კონკურენტს ჰილარი კლინტონს მხარდაჭერა მეგა-ვარსკვლავების დიდმა რაოდენობამ გამოუცხადა. მაშასადამე, საკითხი საერთაშორისო დონეზეც აქტუალურია, თუმცა პრობლემაა პოლიტიკური არაპროფესიონალიზმი, რომელიც “ცნობილ სახეებს” ახასიათებთ. არაკვალიფიციურობა კი ნებისმიერი სახელმწიფოსთვის დამღუპველია, მითუმეტეს თუ საქმე განვითარებად ქვეყანას ეხება. პრობლემაა სუსტი პარტიული ინსტიტუციონალიზაციაც, როცა პარტია პოლიტიკური ცხოვრების საწყის ეტაპზე რეიტინგის მოპოვებას არა საკუთარი რესურსით, არამედ აბსოლუტურად განსხვავებული პროფესიის ადამიანის დახმარებით ცდილობს. ის ფაქტი, რომ ზვიად გამსახურდიას ეპოქიდან მოყოლებული დღემდე ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება, მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოში მუდმივად არსებობდა ნდობის პრობლემა ახალ პარტიებთან მიმართებაში და არამხოლოდ.

საარჩევნო კამპანიაში პარტიების პროგრამა და აქტივობა ძირითადად ერთმანეთის მსგავსია, “ცნობილი სახის” გამოყენებით კი პარტია განსხვავებული ხდება (ჭუმბურიძე, 2016, გვ. 3). გარდა ამისა, დიდი შანსია ამომრჩეველი არჩევნებზე მისთვის საყვარელი მომღერლისა თუ სპორტსმენის ხათრით წავიდეს, ვიდრე უცნობი ან ნაცნობი პოლიტიკოსის გამო. ქართველ ამომრჩეველთა პასიურობას არჩევნებზე ადასტურებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოველწლიური მონაცემები. გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ 2012 წელი, როდესაც მოსახლეობამ „ნაციონალური მოძრაობის“ 9 წლიანი მმართველობის დასრულების მიზნით 2 ოქტომბერს სრული მობილიზება მოახდინა, მაშინ არჩევნებში მონაწილეობა 2 215 661 ამომრჩეველმა მიიღო.

კვლევის მიზანია დაადგინოს “ცნობილი სახეების” როლი ახალი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიაში, 2012-2016 წლებში. კერძოდ დაადგინოს, რაში ეხმარებიან “ცნობილი სახეები” ახალ პოლიტიკურ პარტიებს? შესაბამისად, ჩვენი ამოცანაა, ახალი პარტიების საარჩევნო გარემოს შესწავლა აღნიშნულ წლებში: გამოიყენეს თუ არა და რა რაოდენობით “ცნობილი სახეები?” რაში გამოიხატა ამ უკანასკნელთა ჩართულობა საარჩევნო კამპანიაში და რა შესძინა პარტიას მათმა მხარდაჭერამ?

საკვლევი საგანი 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ახალი პარტიებია, კერძოდ: 2012 წელს _ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“; 2016 წელს _ „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“. აღნიშნული ახალი პარტიები არსებული სპექტრიდან გამორჩეული იყვნენ იმით, რომ ისინი “ცნობილმა სახეებმა” დააფუძნეს და გახდნენ კვალიფიციური სუბიექტები, სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით მოხვდნენ ისინი ჩვენი დაკვირვების ქვეშ. რაც შეეხება საკვლევ ობიექტს, ესენია _ აღნიშნულ წლებში საარჩევნო კამპანიებში მონაწილე ცნობილი სახეები, ხსენებული პარტიების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და ამომრჩევლები.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით, სიღრმისეული ინტერვიუს გზით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რაკურსით კვლევა ჯერ არ ჩატარებულა საქართველოში. მისი მნიშვნელობა კი მდგომარეობს შემდეგში _ ის მოიცავს საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის უახლეს ნაწილს. ნაშრომზე მუშაობისას, ლიტერატურის მოსაძიებლად და კონტენტ-ანალიზისთვის ძირითადად გამოიყენებოდა ინტერნეტი, კერძოდ მაგისტრანტის კუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

თავი I. „ცნობილი სახეები“ ახალი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიაში 2012-2016 წლებში: კვლევის სიახლე, მიზნები და ამოცანები

კვლევის აქტუალობა

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოში თითქმის არცერთი არჩევნები ჩატარებულა „ცნობილი სახეების“ ჩართულობის გარეშე. ქართულ საარჩევნო კამპანიას ახსოვს პოპულარული მომღერლები, მსახიობები, სპორტსმენები, ბიზნესმენები და ა.შ. ეს მცირე ჩამონათვალია იმ პროფესიის ადამინებისა, რომელთაც საკუთარი კარიერული კულმინაციის ეტაპზე, განსხვავებულ სფეროში, პოლიტიკაში „წასვლა“ გადაწყვიტეს. ისინი გამოდიოდნენ მხარდამჭერების როლში, ან აფუძნებდნენ საკუთარ პოლიტიკურ პარტიებს.

„ცნობილი სახის“ საარჩევნო კამპანიაში ჩართვის ბოლო შემთხვევა საქართველოში უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებშიც დაფიქსირდა. 2016 წელს დეპუტატის მანდატის მოპოვების სურვილი ჰქონდა მსოფლიო ბანსა და საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ დამფუძნებელს პაატა ბურჭულაძეს, რომელმაც არჩევნებში მონაწილეობა საკუთარი პარტიის სახელით მიიღო. საკუთარი პარტია დააფუძნა და 2012 წლის არჩევნებში კენჭი იყარა ბიზნესმენმა და ქველმოქმედის სახელით ცნობილმა ბიძინა ივანიშვილმაც, რომლის საპარლამენტო სიაც ათობით ცნობილი არაპოლიტიკოსი სახით იყო დაკომპლექტებული. მაშასადამე, ახალი პარტიები მიმზიდველები „ცნობილი სახეების“ დახმარებით ხდებიან და არა საკუთარი რესურსით. რომ არა აღნიშნული პოპულარული ადამიანები, მოკლე დროში პარტიას ცნობადობისა და საზოგადოებაში ნდობის მოპოვება გაუჭირდებოდა.

საკითხი აქტუალურია მსოფლიოს მასშტაბითაც. დასავლური ღირებულებების მფარველ ქვეყნაში _ ამერიკის შეერთებულ შტატებში 2016 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ ერთ-ერთი კანდიდატის ჰილარი კლინტონის მხარდასაჭერად მსოფლიო დონის ვარსკვლავები _ მადონა, მორგან ფრიმენი, მერილ სტრიპი, ელტონ ჯონი და სხვანი სოციალური ქსელით თუ საჯარო გამოსვლებით კლინტონის მიმართ

სიმპათიას, ხოლო ამ უკანასკნელის ძლიერი კონკურენტის დონალდ ტრამპის მიმართ ანტიპათიურ შეხედულებებს აფიქსირებდნენ. მართალია კლინტონმა გამარჯვება ვერ მოიპოვა, თუმცა პრეზიდენტი ყველასთვის ცნობილი ბიზნესმენი დონალდ ტრამპი გახდა.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მისი არსებობიდან მეორე საპარლამენტო არჩევნებში, 2016 წელს „ცნობილი სახეების“ გაცილებით მცირე რაოდენობა გამოიყენა, ვიდრე პირველ ჯერზე. მიზეზი მარტივია, უხეშად ჟღერს, თუმცა ფაქტია, რომ პარტიას აღარ სჭირდებოდნენ ისინი, ვინაიდან ცნობადობა უკვე გააჩნდა.

აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ინტერესს ახალი პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ, კერძოდ 2012-2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში. აღნიშნული წლები ქვეყნის უახლესი ისტორიიდანაა და დიდი მნიშვნელობის მატარებელია. მაგ: ამ პერიოდში ქვეყანამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომლის პირობების გათვალისწინებთაც გაატარა უამრავი რეფორმა და ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლასაც მიაღწია. ამ ფონზე კი საინტერესოა იმის ცოდნა, ქვეყანაში რამდენად იყო განვითარებული პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაცია, კერძოდ, ახალი პოლიტიკური სუბიექტები ნულოვანი საფეხურიდან რეიტინგის აწევის მიზნით დახმარებისთვის „ცნობილ სახეებს“ მიმართავდნენ თუ ამას საკუთარი რესურებით ახერხებდნენ.

კვლევის სიახლე, მიზნები და ამოცანები

კვლევის სიახლე: „ცნობილი სახეების“ 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნებში ჩართულობა, ახალი პოლიტიკური პარტიების მხარდასაჭერად _ ამ საკითხზე კვლევა თამმად უნდა ითქვას, რომ ჯერ არ ჩატარებულა. მაშასადამე, აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს სიახლეს პოლიტიკის მეცნიერებისთვის, უფრო კონკრეტულად, ის გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, როგორ იწყებდნენ ახალი პარტიები პოლიტიკურ მოღვაწეობას, რაში ეხმარებოდნენ მათ „ცნობილი სახეები“ და

რამდენად ახდენდნენ გავლენას ელექტორატზე არჩევანის გაკეთების საკითხში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგადად, ცნობილი ადამინების საარჩევნო კამპანიებში მონაწილეობის შესახებ კვლევები თითზე ჩამოსათვლელია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მსოფლიოს მასშტაბითაც.

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მიზანია დაადგინოს „ცნობილი სახეების“ როლი ახალი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიაში, 2012-2016 წლებში. კერძოდ, დაადგინოს, რაში ეხმარებიან ისინი ახალ პოლიტიკურ პარტიებს?

თუ გადავხედავთ საქართველოს საარჩევნო პერიოდების ისტორიას, მივხვდებით, რომ „ცნობილი სახეების“ წინასაარჩევნო ჩართულობა „არადაძველებადი“ მეთოდია. სწორედ აქედან გამომდინარე, საინტერესოა გავიგოთ, რამდენად უზრუნველყოფენ ისინი პარტიებისათვის რეიტინგის ამაღლებას, მათდამი საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობის მოპოვებასა და არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების დიდი რაოდენობით მობილიზებას?

იმისთვის, რომ ზემოთ დასახელებულ კითხვებს ვუპასუხოთ, პირველ რიგში ჩვენი ამოცანაა ახალი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო გარემოს შესწავლა: გამოიყენეს თუ არა და რა რაოდენობით „ცნობილი სახე“ და რაში გამოიხატა ამ უკანასკნელთა ჩართულობა საარჩევნო კამპანიაში; ასევე, როგორ აისახა მათი ჩართულობა წინასაარჩევნოდ ჩატარებულ სარეიტინგო კვლევებზე.

საკვლევი კითხვა: რამდენად ახდენს გავლენას, საარჩევნო კამპანიაში „ცნობილი სახეების“ რომელიმე ახალი პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ ჩართულობა ამომრჩეველზე? _ ამ კითხვაზე პასუხის უკან გაცილებით დიდი ინფორმაცია დგას. საზოგადოება „ჭრელია“ და შესაბამისად, ყველა „ცნობილი სახის“ გავლენის ქვეშ ვერ მოექცევა. თუმცა, აქ განსაკუთრებით საინტერესოა მათგან უმეტესობა წარმოადგენს თუ არა ახალი პოლიტიკური პარტიებისთვის სამიზნე ჯგუფს, ანუ აუდიტორიას, რომელზეც ყველაზე მარტივად ახდენს ზეგავლენას „ცნობილი სახე“. ასეთ შემთხვევაში, ჩენ შეგვიძლია პასუხი მივიღოთ ელექტორატის ინტელექტუალურ მდგომარეობაზე.

ჰიპოთეზა

საარჩევნო კამპანიაში, რომელიმე ახალი პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად, „ცნობილი სახეების“ ჩართვა, პარტიის რეიტინგის ამაღლებას უწყობს ხელს.

ახალ პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნიათ ცნობადობა და რეიტინგი, შესაბამისად მათ წინაშე მთავარი გამოწვევა პარტიისთვის „პიარის“ გაწევაა, რისთვისაც საქართველოში და არამხოლოდ აქ, ფართოდ აპრობირებული და წარმატებული მეთოდი „ცნობილი სახის“ გამოყენებაა.

ცვლადები: დამოუკიდებელი ცვლადი _ „ცნობილი სახეები“; დამოკიდებული ცვლადი _ ახალი პოლიტიკური პარტიების რეიტინგის ამაღლება.

კვლევა სწორედ ამ ორ ცვლადს შორის კავშირის დადგენას ემსახურება.

თეორიული ჩარჩო

„ცნობილი სახის“ კაპიტალისა და პოლიტიკოსებთან შედარებით მათი უპირატესობების შესახებ საუბარია ფილოსოფიის დოქტორის ლაურენსია ეგიპონგის (AGYEPONG, 2016) ნაშრომში, რომელიც პოპულარული ადამიანების კაპიტალს იკვლევდა განას საარჩევნო კამპანიაში 2008 და 2012 წლებში. აღნიშნულ კვლევაში გამოყენებული მრავალი თეორიებიდან ჩვენს ნაშრომთან ახლოს დგას პიერ ბორდიუს (Pierre Bourdieu) თეორია, რომელიც გვეხმარება გავიგოთ ცნობილი ადამიანების ხარისხობრივი ღირებულებები. ბორდიუ ამბობს რომ კაპიტალი განსაზღვრავს რესურს, რომელიც აძლევს ადამიანს ძალაუფლებას და სარგებელს განსაზღვრულ საზოგადოებაში, კაპიტალის მთავარი აზრი კი არის ის, რომ „ის არ არსებობს და არ ფუნქციონირებს რომელიმე კონკრეტულ დარგთან ურთიერთობის გარეშე“. ამ სიტყვებით ბორდიუ მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოებრივი სივრცეები დაყოფილია მრავალფეროვან დარგებად, თითოეულ მათგანში კი სხვადასხვა აქტორებს შორის პოზიციის მოსაპოვებლად მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს. ბორდიუს მიხედვით რამდენიმე სახის კაპიტალი გამოიყოფა, რომელთაგან მნიშვნელოვანია ორი, ეკონომიკური და კულტურული:

1) ეკონომიკური კაპიტალი _ ესაა სწრაფი და პირდაპირი კონვერტირება ფულში, რისი ინსტიტუციონალიზებაც შეიძლება მოხდეს საკუთრების უფლებების ფორმის სახით.

2) კულტურული კაპიტალი _ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ინსტიტუციონალურ სახელმწიფოში.

ამაზე დაყრდნობით ბორდიუ 3 განსხვავებულ დაკვირვებას აწარმოებს კაპიტალზე და მის მოქმედებაზე ჯგუფებთან მიმართებაში (Agyepong, 2016, გვ. 30-31):

1) კაპიტალის დონე, რომელსაც ფლობს აქტორი, განსაზღვრავს ძალაუფლების და პოზიციის ოდენობას აქტორის მიერ ამა თუ იმ დარგში.

2) კაპიტალი შეიძლება დაგროვილი იყოს აქტორის მიერ რაღაც დარგში სხვადასხვა საშუალებით და სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კაპიტალის დაგროვებისას ზოგიერთს უფრო მეტი კაპიტალი აქვს, ვიდრე სხვას და ამის შედეგი შეიძლება იყოს ის, რომ აქტორი უფრო მეტი კაპიტალით ფლობს მეტ ძალაუფლებას და დომინანტობას სხვებზე, ვისაც ნაკლები კაპიტალი აქვს ამავე დარგში.

3) კაპიტალი შეიძლება კონვერტირდეს ერთი დარგიდან მეორეში „ცნობილი სახის“ გამოყენებით. რა გავლენა აქვს „ცნობილი სახის“ კაპიტალს პოლიტიკურ კომუნიკაციაზე და მარკეტინგზე, როდესაც „ცნობილი სახის“ კაპიტალი პოლიტიკურ დარგში ჩნდება.

სწორედ მესამე პუნქტია ჩვენთვის საინტერესო. ბორდიუს დაკვირვებით გამოიკვეთა აზრი, რომ ცნობილ ადამიანს ახასიათებს ცნობადობა, ისინი არიან გამოჩენილი ადამიანები და აქვთ ელიტარული სტატუსი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში. ხოლო, იმისთვის, რომ ცნობილმა ადამიანმა გავლენა და ძალაუფლების დინამიზირება მოახდინოს ჯგუფში, ეს უკანასკნელი უნდა გახდეს ცნობილი, ანუ ცნობადობა ცნობილი ადამიანიდან მათზეც გადავიდეს. (Agyepong, 2016

იმისთვის, რომ ჯგუფები „ცნობილი სახეების“ მსგავსად ცნობილი გახდეს, ბორდიუ მედიის ჩართულობის აუცილებლობაზე საუბრობს. მისი თქმით, მედიის ყურადღება კონცენტრირებული გახდება პიროვნებაზე, რომელიც ატარებს პოპულარული ადამიანის სტატუსს, ამის შედეგი კი არის ის, რომ „ცნობილი სახე“

ხდება ღირებული რესურსი სოციალურ ჯგუფში ძალაუფლებისთვის ბრძოლისთვის. ბორდიუ ბევრ დროს უთმობს მედიის როლზე საუბარს, საბოლოოდ კი ამბობს, რომ ჯგუფისთვის ცნობადობადობის მოპოვება თავისთავად არ ხდება და ეს „მედიატიზაცია“ დამოკიდებული (Agyepong, 2016, გვ. 32).

დარენ ჯ.ლილეკერის მიხედვით, “მედიატიზაციის თეორიის თანახმად, სწორედ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები აყალიბებენ პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესებს და დისკურსს, ასევე იმ საზოგადოებას, რომელშიც ეს კომუნიკაცია ხდება“ (მაცაბერიძე, 2015, გვ.7). ლილეკერი აღნიშნავს, რომ მედია აქცენტს აკეთებს პოლიტიკოსების ინდივიდუალობასა და მათ იმიჯზე და საუბრობს, რომ ახალი ამბების დაგეგმვაზე ისეთი ადამიანები ახდენენ გავლენას, რომლებიც პოლიტიკასთან დაკავშირებულნი არ არიან. „ითვლება, რომ პოლიტიკური მოღვაწეები იძულებულნი არიან გამოვიდნენ პოლიტიკის სამყაროდან, უნდა შეიქმნან იმიჯი, განავითარონ თავიანთი ინდივიდუალურობის ემოციური და ესთეტიკური მხარეები და ხელი შეუწყონ იმას, რომ მათ აღიქვამდნენ, როგორც ხალხიდან გამოსულ ადამიანებს“. იქვე მოცემულია, რომ ასეთ ხერხებს წარმატებით იყენებდნენ აშშ-ს პრეზიდენტი ბილ კლინტონი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი...

ლილეკერი პოლიტიკაში შოუ-ბიზნესიდან მოსულ ადამიანებზეც საუბრობს, რომლის მაგალითებად ასახელებს, ამერიკელ მსახიობებს კლინტ ისტვუდს, რონალდ რეიგანსა და არნოლდ შვარცნეგერს. „იმის წყალობით, რომ ვარსკვლავების რიცხვი პოლიტიკაში იზრდება, ზოგის აზრით, პოლიტიკა გადაიქცევა მასმედიაში გასაშუქებლად ხელსაყრელ და სარგებლის მომტან მოქმედებად. ეს პროცესი კანონზომიერია საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების წყალობით და იმ სირთულეების გამო, რასაც პოლიტიკოსები აწყდებიან მაშინ, როდესაც თავიანთ კომუნიკაციას მიმართავენ ცინიკურ და დაუინტერესებელ საზოგადოებისკენ“ (მაცაბერიძე, 2015, გვ.10).

ბორდიუ იმასაც ამბობს, რომ ცნობილი ადამიანი ხდება წყარო სოციალური პრესტიჟისა და ეს კაპიტალი გამოიყენება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის, რაც დამოკიდებულია „ცნობილი სახის“ მოხერხებულობაზე და კაპიტალის ფორმაზე, თუ

როგორ მოახერხებს ის სოციალური ჯგუფისთვის ცნობადობის „გადადებას“. აქედან გამომდინარე, გარჯვეული ჯგუფისთვის ცნობადობის მოტანა შეიძლება აიხსნას, როგორც სოციალური და კულტურული ცვლილებები, რომელიც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის „ცნობილი სახეების“ ხარჯზე მიმდინარეობს (Agyepong, 2016, გვ. 32).

ამ თეორიული ჩარჩოდან შეიძლება ითქვას, რომ ის რაც სელებრითებს ხდის მიმზიდველს პოლიტიკოსებისთვის, საარჩევნო კამპანიაში მხარდაჭერის მიზნით გამოსაყენებლად, დაფუძნებულია კაპიტალზე, რომელიც ცნობილ ადამიანში დევს (Agyepong, 2016).

ლიტერატურის მიმოხილვა

საინტერესოა რას ფიქრობენ სხვა ავტორები „ცნობილი სახეების“ პოლიტიკაში ჩართვასთან დაკავშირებით, ვის მიერ ხდება აღნიშნული საკითხის დღის წესრიგში დაყენება და რა მოტივით. ქვემოთ გთავაზობთ მოპოვებული ლიტერატურული ნაშრომებიდან ყველაზე საიტერესო და როგორც მსგავს, ისე განსხვავებულ მოსაზრებებს. ამ მხრივ მიმოვიხილავ არამხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა განვითარებადი ქვეყნის მაგალითზე აგებული თეორიებს.

„ცნობილი სახეების“ უპირატესობებისა და საარჩევნო კამპანიაში მათი როლის შესახებ რამდენიმე საინტერესო თეორიას მივაგენით ლაურენსია ეგიპონგის ნაშრომში (2016), სანტერესოა თავად ეგიპონგის მოსაზრებებიც. ის პოლიტიკურ სფეროში „ცნობილი სახის“ კაპიტალის 2 ფორმას გამოყოფს:

1) პოლიტიკოსები, რომლებმაც შეიძინეს პოპულარობა, მათი მაღალი ხილვადობის გამო, მედიის დახმარებით. ასეთმა მრავალმა ხილვადობამ შეიძლება მიიყვანოს ისინი „ცნობილი სახისთვის“ დამახასიათებელი კაპიტალის დაგროვებამდე, რომელიც შეიძლება გამოიყენოს იმისთვის, რომ შეცვალოს ძალაუფლების დინამიურობა პოლიტიკურ სფეროში (ტონი ბლერი, ბარაკ ობამა).

2) სელებრითები სხვა სფეროებიდან, როგორიცაა შოუბიზნესი, რომლებიც თავიანთი მაღალი ხილვადობის გამო აგროვებენ კაპიტალს და შემდეგ ამ კაპიტალს გადაანაცვლებენ პოლიტიკურ სფეროში მხარდაჭერის და პროპაგანდის სახით (არნოლდ შვარცნეგერი, რონალდ რეიგანი, ბონო, ჯორჯ კლუნი)

ეგიპონგი (Agyepong, 2016) საკუთარ ნაშრომში აქცენტს მეორე პუნქტზე, ანუ შოუბიზნესის სამყაროზე აკეთებს. მისთვის საინტერესოა მოვლენები, როდესაც შოუბიზნესის წარმომადგენლები თავიანთ კაპიტალს გადაანაცვლებენ პოლიტიკის სფეროში, რისი გამოხატულებაცაა პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების მხარდაჭერა საარჩევნო კამპანიების დროს. უხეშად რომ ვთქვათ, „ცნობილი სახის“ კაპიტალი ვაჭრობის საგანი ხდება პოლიტიკურ პარტიებსა და „ცნობილ სახეებს“ შორის. ამას ამტკიცებს ეგიპონგის თეორია, რომლის თანახმად, „ცნობილ სახეებს“ უხდიან თანხას მხარდაჭერის გამოსავლენად, თუმცა ამ მოსაზრებას თავად სელებრითები უარყოფენ. ის ასკვნის, რომ სელებრითებს მოაქვთ აღელვება, იწონებენ რომელიმე კანდიდატს ან პარტიას, რაც კამპანიის მარკეტინგული სტარტეგიის ნაწილია.

ეგიპონგის (Agyepong, 2016) ინტერესის საგანს განას საარჩევნო კამპანია წარმოადგენდა, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ განაში შედარებით ნაკლები ამომრჩეველი ბოლომდე იზიარებს პარტიის იდელოგიას, ბევრი კი პოლიტიკურ პარტიას ხმას აძლევს ოჯახის, რელიგიისა და ეთნიკური ნიშნით, ან ხდება იმგვარად რომ სოციალურ სუბიექტებსა და პოლიტიკურ საკითხებს შორის კომუნიკაცია არის ინტერპერსონალური ანუ შიდა პიროვნული, ან შუამავლური. ელექტორატის ამგვარ აზროვნებას ადგილი აქვს საქართველოშიც. ვფიქრობ, იდეოლოგიის უგულებელყოფა დაბალი ცნობიერების მქონე საზოგადოებაზე მიუთითებს, მათთვის ბევრად მნიშვნელოვანია არჩევნებში ნათესავის ან მეგობრის გამარჯვება, თუნდაც ამ უკანასკნელებს არ ჰქონდეთ სათანადო განათლება და არც სწორად გათვლილი საარჩევნო პროგრამა. ასეთი წესები უფრო კარგად მოქმედებს ქვეყანაში, რომლის მასშტაბიც მცირეა და რომელიც განვითარების ეტაპზე იმყოფება. საქართველო განას

მსგავსად ახალბედა დემოკრატიული ქვეყანაა, ამიტომ უხერხულობას არ შექმნის თუ თუ აღნიშნულ საკითხზე თეორიებს განას კონტექსტში განვიხილავთ.

დუნკომბეს თანახმად, როდესაც ცნობილი ადამიანი მხარს უჭერს პოლიტიკურ პარტიას ან კანდიდატს, მედიის, საზოგადოებისა და საჯარო მოხელეების ყურადღების ცენტრში ექცევა. „ცნობილი სახეები“ აძლიერებენ პოლიტიური კანდიდატების პოლიტიკურ კამპანიას, შესაბამისად პოლიტიკური პარტიები, კანდიდატები აქტიურად ეძებენ მსგავსი ცნობილი ადამიანების მხარდაჭერას (Duncombe, 2007).

რისთვის სჭირდებათ ერთმანეთი პოლიტიკოსს და „ცნობილ სახეს“, ამის შესახებ თავისებურ განმარტებას იძლევა სმილი (Smillie, 2004). ის თავის თეორიაში საუბრობს ცნობილი ადამიანებისა და პოლიტიკოსების ნაკლოვანებებზე და უპირატესობებეზე, რომლებიც ერთმანეთს სთავაზობენ იმას, რის ნაკლებობასაც განიცდიან. ამ თეორიის თანახმად, როდესაც არჩეულ აქტორებს აქვთ სანდოობა, უმეტესად მოწონებას არ იმსახურებენ საზოგადოების მხრიდან. ხოლო, თუ „ცნობილ სახეს“ გააჩნია ხალხის მოწონება და ჰყავს თაყვანისმცემლები, უმეტესად არ აქვს პატივისცემა და სანდოობა. ამიტომ, პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა მათ აძლევთ პირად თავდაჯერებულობას და პატივისცემას, კანდიდატის შემთხვევაში კი ხდება სხვაგვარად, ის იღებს ფულს და მედიის ყურადღებას სწორედ ცნობილი სახის მხარდაჭერით.

აბსტრაქტული სახის კაპიტალის განხორციელება _ ასე ხედავს კრიკენი (Krieken, 2012) „ცნობილ სახეს“. ამ ფრაზაში კლიკენი გულისხმობს ყურადღებას, მისი დასკვნით, „ცნობილი სახე“ ყურადღების აკუმულაციის და განაწილების საკითხს წარმოადგენს.

ჰანთერის (Hunter, 2009) თანახმად კი „ცნობილი სახის“ კაპიტალი განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენად იცნობს მას საზოგადოება, რამდენად კეთილგანწყობილია მის მიმართ, როგორია მათი პიროვნულობა და რეპუტაცია, საზოგადოების ცოდნა მათ ყოფილ ცხოვრებაზე.

ავტორების უმრავლესობა თანხმდება ერთ რამეზე, რომ არჩევნებში გამარჯვების მისაღწევად ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი, წინასაარჩევნო კამპანიაში საზოგადოების თვალში სანდო და გავლენიანი პირის ჩართვაა. პოლიტიკური პარტიის

სათავეში გავლენიანი, კარგი რეპუტაციის მქონე პერსონის არსებობაზე და ზოგადად ლიდერის როლზე საუბრობს ნაშრომში ”საარჩევნო კამპანია: თეორიები, მეთოდები, ტექნოლოგიები, პრაქტიკა” ავტორი მალხაზ მაცაბერიძეც (2014, გვ.10). ავტორი ცნობილი სახეების ცნებას, პირდაპირ არ იყენებს თუმცა მის მიერ გამოყენებულ ფრაზაში _ ”საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი”, შეგვიძლია სწორედ აღნიშნული ფენომენი ვიგულისხმოთ. „პოლიტიკურ კამპანიას სათავეში უნდა ჩაუდგეს არა რაღაც უსახო ორგანიზაცია, არამედ საყოველთაოდ აღიარებული ლიდერი, რომლის სახეშიც ხდება მხარდაჭერის პერსონიფიკაცია. ლიდერი წარმოადგენს მოძრაობის მიზნების, კამპანიის მიზნების გამოხატულებას და თვალსაჩინო მატარებელს“, წერს მაცაბერიძე.

ალვარო პინტო სქოლტბახისა და გია ნოდიას რედაქტირებით შექმნილ ნაშრომში (2006) ”საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი”, მე-2 თავის მე-6 პარაგრაფში საუბარია პოპულარულ ადამიანებზე და მათ ჩართულობაზე საარჩევნო კამპანიაში. იქ „ცნობილი სახეების“ შესახებ არსებული მოსაზრება ახლოს დგას ჩვენი კვლევის ჰიპოთეზასთან. ნაშრომში ვკითხულობთ არაფორმალურ ავტორიტეტულ ლიდერებზე, რომელთა კეთილგანწყობის მოპოვებას პარტიები, ამომრჩევლების მოზიდვის მიზნით, ცდილობენ, ასევე პარტიები „ცნობილ სახეებს“ დეპუტატობის კანდიდატობას სთავაზობენ, სანაცვლოდ კი ორგანიზაციის იმიჯის ზრდას ელიან. თავად ეს ხერხი კი ავტორების მიერ საარჩევნო კამპანიის დახვეწილ მეთოდაა მოხსენიებული. როგორც ეს ნაშრომში წერია. როცა „ცნობილ სახეებზე“ ვსაუბრობთ, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ადამიანები, რომელთაც ცნობადობა პატიოსანი შრომით და არაკანონიერი ქმედებით მოიპოვეს. რაღა თქმა უნდა არსებობენ ცუდი წარსულის მქონე ცნობილი სახეებიც, რომელთაც ცნობადობა უკანონო საქმიანობით მოიპოვეს, ან საკუთარი შრომით მოპოვებული პოპულარობის შემდგომ სკანდალში გაეხვნენ. მათ შეგვიძლია კრიმინალებიც ვუწოდოთ. თუმცა, როცა ვსაუბრობთ ახალ პარტიაზე, რომელსაც განსაკუთრებულად ესაჭიროება ხალხის ნდობა და ცნობადობა, აუცილებლად უნდა გამოვრიცხოთ კრიმინალები, როგორც „ცნობილი სახეები“. თუმცა აღნიშნულ ნაშრომშია ნათქვამი, პოლიტიკური პარტიები წარმომადგენლები არ უარყოფენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ამომრჩეველთა მოსაზიდად მსგავსი ავტორიტეტების გავლენას იყენებენ.

დენის ლ. უილკოქსისა და გლენ ტ. კამერონის ავტორობით შექმნილ სახელმძღვანელოში „საზოგადოებასთან ურთიერთობა: სტრატეგია და ტაქტიკა“ იმ უარყოფით მხარეებზეა ყურადღება გამახვილებული, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს „ცნობილი სახეების გამოყენება“ (2011, გვ.228). საუბარია 4 პრობლემაზე:

1) ცნობილ ადამიანთა მიერ პროდუქტების ისე ხშირად მოწონება, რომ ზოგჯერ საზოგადოებას ავიწყდება კიდეც ვინ რომელი პროდუქტი მოიწონა;

2) „ცნობილი სახის“ გაუფასურება მისი ხშირი გამოყენებით;

3) ცნობილი ადამიანი, რომელიც ამა თუ იმ პროდუქტს საჯაროდ იწონებს, რაღაც ქმედებით ცუდ სამსახურს უწევს პროდუქტს ან მომსახურებას, ამის მაგალითია კალათბურთის ვარსკვალი კობ ბრაიანტი, რომელიც 2003 წელს სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულეს. ზოგჯერ, ცნობილი ადამიანები უძლებენ რთულ ორაზროვან მდგომარეობას და მას შედარებით უვნებელნი აღწევენ თავს. მაგალითად, მაიკლ ჯორდანი პროდუქტების წარმოდგენასა და პოპულარიზაციას და ადიულტერსა და აზარტულ თამაშებში მხილების და მისი, როგორც ბეისბოლის უმაღლესი ლიგის მოთამაშის, წარუმატებლობის შემდეგაც აგრძელებს.

4) როცა ცნობილი ადამიანი გადაწყვეტს, საკუთარი აზრი გამოთქვას საჭირბოროტო საზოგადოებრივ თემაზე ან გამოხატოს მოწონება პოლიტიკური კანდიდატებისადმი. ასეთი ქმედება იწვევს ცნობილი ადამიანის გაუფასურებას, რადგან აფრთხობს მომხმარებლის იმ ნაწილს, რომელიც არ იზიარებს მის შეხედულებებს.

კვლევის მეთოდი

კვლევა ჩატარებულია თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის უპირატესობა ნათელია, ის იძლევა საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შესაძლებლობას. მისი ერთ-ერთი მნიშნელოვანი ტექნიკაა ინტერვიუ, რომელზეცაა აგებული ჩვენი კვლევა. თვისებრივი მეთოდის ერთ-ერთი ტექნიკაა სიღრმისეული ინტერვიუ, რომლის საშუალებითაც ხდება რესპონდენტისგან დეტალური და ამომწურავი ინფორმაციის მიღება საკვლევ საკითხზე. ამის შემდეგ კი შესაძლებელი

ხდება გარკვეული კანონზომიერების შექმნა და მათი განზოგადება. რობერტ ვაისი (Robert S. Weiss, 1994) სიღრმისეულ ინტერვიუზე საუბრისას, ხაზს უსვამს მის თანამშრომლობით ხასიათს ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის, რომლის მიზანიც ახალი ინფორმაციის წარმოებაა საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

სიღრმისეული ინტერვიუ კონკრეტული თემის შესახებ შედგენილი კითხვების საშუალებით ტარდება, ინტერვიუს დადებითი მახასიათებელი ისიცაა, რომ ინტერვიუერს იმ კითხვის დასმაც შეუძლია, რომელიც მას კითხვა-პასუხის რეჟიმში დაუგეგმავად, თუმცა ლოგიკურად გაუჩნდება.

ინტერვიუ აღნიშნული საკითხის გასაანალიზებლად და საკვლევ კითხვაზე პასუხის მისაღებად ყველაზე კარგი საშუალებაა. სამიზნე ჯგუფის შემადგენლობაში არიან: პოლიტიკოსები, ექსპერტები, ცნობილი სახეები და ამომრჩევლები, საიდანაც პოლიტიკოსებისა და ცნობილი სახეების შემთხვევაში „თოვლის გუნდას“ პრინციპით ვიხელმძღვანელე, ხოლო დანარჩენების შემთხვევაში მიზნობრივი შერჩევით.

გარდა ამისა, აღნიშნული კვლევა მოიცავს შინაარსობრივ ანუ კონტენტ ანალიზსაც. ჩვენ დაგვჭირდა ინტერნეტსააგენტოებში, როგორც საქართველოში, ასევე „ცნობილი სახეების“ წინასაარჩევნო ჩართულობასთან დაკავშრებით გავრცელებული ინფორმაციების ანალიზი. სწორედ ამ გზით შევისწავლეთ საქართველოში 2012-2016 წლების საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემო. კერძოდ: დავადგინეთ რაოდენობა იმ „ცნობილი სახეებისა“, რომლებიც ჩართული იყვნენ სხვადასხვა ახალი პარტიების მხარდასაჭერად საარჩევნო კამპანიაში. გარდა ამისა, შევისწავლეთ წინასაარჩევნოდ ახალი პარტიების სარეიტინგო მაჩვენებლები.

თავი II. საარჩევნო კამპანია, როგორც პოლიტიკური მარკეტინგი

§ 2.1 საარჩევნო კამპანია:

არჩევნებში გამარჯვებისთვის პარტიას ან კანდიდატს პირველ რიგში ესაჭიროება მაღალი რეიტინგი და ნდობა ელექტორატის მხრიდან. სწორედ გამარჯვებისთვის საჭირო ამ და სხვა კრიტერიუმების დაკმაყოფილებას ემსახურება საარჩევნო კამპანია, თუმცა ზოგჯერ კამპანიის მიზანი შესაძლოა სულაც არ იყოს გამარჯვება, „ზოგჯერ კანდიდატს სურს ცნობილი გახდეს, ზოგჯერ მიზანს წარმოადგენს რომელიმე კანდიდატის ბლოკირება, რითაც ხელი შეეწყობა მოკავშირე კანდიდატს და ა.შ.“ ვკითხულობთ „საარჩევნო კამპანია: თეორიები, მეთოდები, ტექნოლოგიები, პრაქტიკა“-ში (მაცაბერიძე, 2014, გვ. 28). ამავე ნაშრომში, ცნება „საარჩევნო კამპანია“ რამდენიმე მნიშვნელობითაა გამოყენებული, მათგან საინტერესოა შემდეგი განმარტება (გვ.14):

- საარჩევნო კამპანია ესაა კანდიდატების ან პარტიების, ან თუნდაც მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების მხრიდან პროპაგანდისტული ღონისძიებების ჩატარება. კამპანია მოიცავს ერთანეთის მეტოქე კანიდატების ან პარტიების ღონისძებებს, ასევე კანიდატის და ელექტორატის ურთიერთობის პროცესს. ამ მნიშნელობით, საარჩევნო კამპანიის ცნებას წინასაარჩევნო კამპანიის ცნებასთან აიგივებენ.

საარჩევნო კამპანიის მთავრი მოქმედი პერსონაჟები არიან პარტია ან კანდიდატი, რომელთაც იდეალურობის შემთხვევაში უნდა გააჩნდეთ კარგი სასტარტო რეიტინგი, რაც ნიშნავს იმას, რომ კამპანიის დაწყებამდე ამომრჩევლები უნდა ცნობდნენ კანდიდატს, რომელიც პოპულარობით სარგებლობს მათ თვალში (გვ.37). ცნობადობის ფაქტორის მნიშვნელობაზე ირინე ჭუმბურიძეც საურობს საკუთარ ნაშრომში: „არჩევნებში წარმატების მოსაპოვებლად აუცილებელია, პოლიტიკოსი ცნობილი იყოს ელექტორატისთვის, რათა მოიპოვოს მხარდაჭერა და მიაღწიოს სასურველ შედეგს“ (ჭუმბურიძე, 2016, გვ. 5).

საარჩევნო კამპანია რომელიმე პარტიის თუ კანდიდატის მიმართ საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებას ემსახურება. ამ მიზნის მიღწევა თანამედროვე მსოფლიოში მარკეტინგული მეთოდების გამოყენებით ხდება. მარკეტინგი, როგორც ყიდვა-გაყიდვის

პროცესი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლადაც გამოიყენება. ამ პროცესში კანდიდატი აღიქმება, როგორც პროდუქტი, არჩევნები როგორც ბაზარი, ამომრჩეველი კი _ მყიდველი. ეს უკანასკნელი არჩევანს იმ „პროდუქტზე“ შეაჩერებს, რომელიც მასზე შთაბეჭდილებას მოახდენს (მაცაბერიძე, 2003). ამ შედეგის მისაღწევად კი საჭიროა „პროდუქტის“ სათანადო იმიჯი, რომლის შექმნაშიც მონაწილეობას „იმიჯმეიქერები“ იღებენ.

მართალია იმიჯის შეძენა შეიძლება, თუმცა მისი შექმნისას მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება _ როგორია ამომრჩევლისთვის სასურველი კანდიდატი? _ კარგი ოჯახი, უბრალოება და მისაწვდომობა იმიჯის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილებია. გარდა ამისა, აუცილებელია ხშირი გამოჩენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, განსაკუთრებით ტელევიზიაში, რადგან ტელევიზია რადიოსგან განსხვავებით არამხოლოდ კანდიდატის მესიჯების შინაარსის მოსმენისა და მისი მეტყველების შეფასების, არამედ ვიზუალური მხარის _ ქცევის, გარეგნობის, ჩაცმის სტილის შეფასების საშუალებასაც იძლევა. ასევე, კანდიდატების სატელევიო დებატებში მონაწილეობა მაყურებელისთვის ნათელს ხდის კონკურენტების ძლიერ და სუსტ მხარეებს ერთმანეთთან მიმართებაში. აქვე, უნდა ითქვას, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, წინასაარჩევნო პროპაგანდისთვის საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო რგოლები გადაიცემა. საარჩევნო სუბიექტს იმიჯის ფორმირებაში სწორედ რეკლამა ეხმარება, მითუმეტეს თუ საუბარი ბაზარზე ახლადგამოტანილ პროდუქტს ეხება. რეკლამის სახეს წარმოადგენს არამხოლოდ სატელევიზიო რგოლები, არამედ პლაკატები, ტრანსპარანტები, ბილბორდები, საინფორმაციო ბუკლეტები. ასევე აუდიტორიაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით გამოიყენება წინასაარჩევნო კრებები, კამპანია „კარიდან კართან“ და სხვა. ზოგჯერ იმგვარადაც ხდება, რომ პარტიები თუ კანდიდატები საკუთარი იმიჯის ამაღლებას მოწინააღმდეგის დისკრედიტაციის გზით ცდილობენ, ასეთ მეთოდს შავი „პიარის“ სახელწოდებით მოიხსენიებენ (გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ ოფისი, 2006).

იქიდან გამომდინარე, რომ რეკლამა საზოგადოებისთვის კანდიდატის ან პარტიის გაცნობას ისახავს მიზნად, „ცნობილი სახეების“ საარჩევნო კამპანიაში

გამოყენება რეკლამის ერთ-ერთ სახედ შეგვიძლია განვიხილოთ. მძაფრი კონკურენციის პირობებში, საარჩევნო სუბიექტებს სწორედ პოპულარული სახეების დახმარებით ეზრდებათ სანდოობა და ისინი ხდებიან გამორჩეულები. ამ მიზნით საარჩევნო სია ხშირად არის დაკომპლექტებული ცნობილი მომღერლებით, სპორტსმენებით, მსახიობებით.. ასევე, ისინი საჯაროდ აფიქსირებენ საკუთარ არჩევანს (ჭუმბურიძე, 2016, გვ. 6).

წლებთან ერთად საარჩევნო კამპანიები სულ უფრო დახვეწილი ხდება. ზემოთ ბევრი ვისაუბრეთ კამპანიის თანამედროვე მეთოდებზე, მაგ: მედიის როლზე, განსაკუთრებით აღვნიშნეთ ტელევიზიის მნიშვნელობა; ასევე ხაზი გავუსვით საზოგადოების ინტერესებზე მორგებას, რაშიც იგულისხმება საზოგადოებრივი აზრის კვლევა და იმიჯმეიკერების არსებობას. ეს სამი კრიტერიუმი საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზებაზე მიუთითებს, ამ მიღწევის ერთ-ერთ განმაპირობებლად დარენ ლილეკერს კამპანიის ამერიკანიზაცია მიაჩნია (მაცაბერიძე, 2015, გვ17).

ამერიკანიზაცია და პროფესიონალიზაცია ერთმანეთის სინონიმებადაც მოიაზრება. ამერიკანიზაცია თავისთავად გულისხმობს ამერიკული საარჩევნო ტექნოლოგიების გადატანას სხვა ქვეყნების საარჩევნო კამპანიაში, ეს მოვლენა მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედში დაიწყო და ის აიხსნება, როგორც ერთი კონკრეტული ქვეყნის შიგნით მიმდინარე გარდაქმნებით, ასევე გლობალიზაციის პროცესებით. ამერიკა დემოკრატიულად უმაღლეს საფეხურზე მყოფი სახელმწიფოა და შესაბამისად ის მიბაძვის საგანი ახალი დემოკრატიებისთვის ხდება. გიორგი მელიქიძე სტატიაში „საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაცია საქართველოში“ (2016) აღნიშნავს, რომ ასეთ ქვეყნებში პოლიტიკური პარტიები სუსტი ორგანიზაციით ხასიათდებიან, გარდა ამისა მყიფეა პარტიების იდეოლოგიური საფუძვლები, რამაც კამპანიის ტრანსფორმაციის დაჩქარებას შეუწყო ხელი, მათ შორის საქართველოშიც.

საქართველოში ამერიკული მეთოდებით კამპანიის ჩატარება 1990-იანი წლების პირველი ნახევრიდან დაიწყო, ეს იყო პერიოდი, საქართველოს ახალი მოპოვებული ჰქონდა დამოუკიდებლობა, გამოუცდელ პოლიტიკურ პარტიებს არ ჰქონდათ სტაბილურობის განცდა, დამოკიდებულები იყვნენ თავიანთ ლიდერზე, არ

გამოხატავდნენ საზოგადოების ინტერესებს, რასაც პარტიები სუსტ რეპრეზენტატულობამდე მიჰყავდა. პოლიტიკური კამპანიის მოდერნიზაციის მეორე ეტაპად, იგივე გარადამავლ პერიოდად 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან 2003 წლამდე პერიოდი მოიაზრება. ამერიკანიზაციის პროცესები კი განსაკუთრებით გააქტიურდა „ვარდების რევოლუციის“ პერიოდიდან. ამ პერიოდში „რუსთავი 2-მა“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კამპანიის ამერიკანიზაციის კუთხით. 2003-2012 წლები კი პოლიტიკური ტრანსფორმაციის ერად მოიხსენიება (მელიქიძე, გ. 2016).

§2.2 უცხოეთის გამოცდილება

მას შემდეგ რაც ამერიკანიზაციის პროცესზე ვისაუბრეთ, უპრიანი იქნება უცხოეთის გამოცდილების მაგალითი სწორედ ამერიკის ანუ საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზაციის სამშობლოდან მოვიყვანოთ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ბოლო არჩევნები 2016 წლის 8 ნოემბერს გაიმართა და მოულოდნელი შედეგებით დასრულდა, თუმცა ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ, რადგან შედგებთან შედარებით გაცილებით საინტერესო იყო საარჩევნო კამპანია. გასულ წელს, თეთრი სახლისკენ მიმავალი 5 თვიანი გზა ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი იყო აქამდე არსებულ საარჩევნო აქტივობებს შორის.

ამერიკის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები განსაკუთრებით დასამახსოვრებელი ორმა, ყველაზე რეიტინგულმა კანდიდატმა გახადა. ისინი გამოირჩეოდნენ, როგორც თავიანთი პერსონით, ასევე არჩევნებში მოქმედების სტილით. აშშ-ს პრეზიდენტის 58-ე არჩევნებში ბრძოლა „დემოკრატების პარტიიდან“ გადაწყვიტა ამერიკის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა იურისტმა, ამერიკის ყოფილა პირველმა ლედიმ, ყოფილმა სენატორმა და სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა, ასევე „რესპუბლიკური პარტიიდან“ ბიზნესმენმა დონდალდ ტრამპმა. ეს უკანასკნელი გამოირჩეოდა ხისტი განცხადებებით ყველას მიმართ, ვინც კი მისთვის მისაღები არ იყო, რაღა თქმა უნდა კრიტიკა და დებატები განსაკუთრებიოთ ცხარე იყო ხსენებულ ორ ძლიერ კანდიდატს შორის. ისინი საპრეზიდენტო კამპანიის მარათონში ამომრჩეველთა მხრიდან

განსაკუთრებულ ყურადღებას და ნდობას იმსახურებდნენ, ამას ადასტურებს წინასაარჩევნო კვლევები:

- ამერიკული The New York Times-ის, 2016 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ტრამპისა და კლინტონის რეიტინგები ასე გამოიყურებოდა: კლინტონი _ 46, 4% ამომრჩეველი, ტრამპი _ 40,3 % ამომრჩეველი.[1]

- Rasmussen Reports-ის ანალოგიურმა გამოკითხვამ აგვისტოს შუა რიცხვებში აჩვენა, რომ დონალდ ტრამპი ჰილარი კლინტონს 2%-ით ჩამორჩებოდა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ აშშ-ის პრეზიდენტობის „რესპუბლიკელი“ კანდიდატი დონალდ ტრამპი 2%-ით უსწრებს „დემოკრატ“ ოპონენტ ჰილარი კლინტონს. „რესპუბლიკელ“ კანდიდატს მხარს უჭერს რესპონდენტთა 43%, ხოლო „დემოკრატ“ კანდიდატს — გამოკითხულთა 41%[2]

„ვირებსა“ და „სპილოებს“ შორის ბრძოლა - ასე უწოდებდნენ ამერიკელები გასული წლის არჩევნებს, რომელშიც დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს გულისხმობდნენ.[3] საზოგადოებაში მსგავსი ეპითეტები ამ ორი პარტიის კანდიდატების პიროვნული ხასიათისა და პოლიტიკური შეხედულბებებიდან გამომდინარე ჩნდებოდა. კლინტონი აქცენტს მწვავე საშინაო პრობლემებზე აკეთებდა, როგორიცაა ხელფასების გაზრდის საჭიროება, მშრომელთათვის ავადმყოფობის გამო გაცდენილი დღეების ხელფასის ანაზღაურება, უნივერსალური სკოალმდელი განათლება, გარემოს დაცვა და სხვა. მაგრამ მისგან განსხვავებით, ტრამპის პლატფორმა იყო ავანწიურისტული ხასიათის: ის მოიცავდა აშშ-ჩინეთის ხელშეკრულებების გადახედვას, ეწინააღმდეგება ისეთ მნიშვნელოვან სავაჭრო ხელშეკრულებებს, როგორებიცაა NAFTA და ტრანსწყნაროკეანური პარტნიორობა, საიმიგრაციო კანონმდებლობის გაძლიერება — მათ შორის, კედლის აშენება აშშ-მექსიკის საზღვარზე, ვეტერანებზე ზრუნვის პროგრამის რეფორმა, 2010 წელს განხორციელებული ჯანდაცვის

[1] https://sputnik-georgia.com/reviews/20161026/233622704/aSS-saprezidento-arCevnebi-TariRi-reitingebi-mxardamWerebi.html (ნანახია 18.06.2017)
[2] https://sputnik-georgia.com/world/20161007/233413826/gamokitkhva-trampi-klintons-uswrebs.html (ნანახია 18.06.2017)
[3] http://www.presa.ge/new/?m=votes&AID=41118 (ნანახია 18.06.2017)

რეფორმის გაუქმება და ჩანაცვლება, გადასახადების შემცირება. 2015 წლის ნოემბრის პარიზის ტერაქტების შემდეგ, ტრამპი გამოვიდა მოწოდებით დროებით აეკრძალათ მუსლიმთა იმიგრაცია აშშ-ში, მოგვიანებით კი განმარტა, რომ ეს აკრძალვა ძირითადად უნდა შეეხოს იმ ქვეყნებს, რომელთაც აშკარა ტერორიზმის ისტორია აქვთ, მანამ, სანამ პოტენციურ ტერორისტთა გამოვლენის სიტუაცია არ გაუმჯობესდება. მისი საარჩევნო კამპანიის დროს რუსეთის მიმართ დამოკიდებულება ლიალური იყო, თუმცა მაისში საქართველოსთან დაკავშირებით გამოცემული და მის მიერ ხელმოწერილი აქტი, რომლის მიხედვით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორიებად მიიჩნევა, რუსეთის მიმართ ტრამპის მხრიდან პოლიტიკის შეცვლის ერთ-ერთი გამოვლინებაა.[4]

ამერიკული საარჩევნო მოდელი რა თქმა უნდა გულისხმობს მედიის აქტიურ ჩართულობას კამპანიაში. მაგ: მედიასაშუალებებმა გაავრცელეს ვიდეოჩანაწერები, რომელშიც ტრამპი ტრაბახობს, რომ ქალები მას ინტიმურ ადგილებზე ხელის მოკიდების ნებას აძლევენ, რადგან ის ვარსკვლავია. 2005 წელს ჩაწერილი ვიდეო „ვაშინგტონ პოსტმა“ გაავრცელა, რაც უარყოფითად აისახა ტრამპის მხარდამჭერებზე, პარტიის ბევრმა გამოჩენილმა წევრმა მას კანდიდატურის მოხსნაც ურჩია.[5] გარდა ამისა, CNN-მა საკუთარ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთი დონალდ ტრამპის წინააღმდეგ კომპრომატებს ფლობს. ტელეკომპანიის ცნობით, კომპრომატები მოსკოვმა ჰაკერული თავდასხმების შედეგად მოიპოვა და სწორედ ამაზეა საუბარი დაზვერვის ანგარიშის გასაიდუმლოებულ ნაწილში, რომელიც მხოლოდ მოქმედ და არჩეულ პრეზიდენტებს და 8 სენატორს გააცნეს. CNN-ის წყაროს ცნობით, რუსეთის სპეცსამსახურებმა დონალდ ტრამპზე კომპრომატი მისი მოსკოვში 5 დღიანი ვიზიტისას მოიპოვეს, მათ შორის, სექსუალური ხასიათის ჩანაწერები.[6]

---

[4] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93_%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%98 (ნანახია 18.06.2017)

[5] https://sputnik-georgia.com/world/20161009/233448872/archevnebamde-erti-tvit-adre-ashsh-shi-trampis-shecvla-udat.html (ნანახია 18.06.2017)

[6] http://accent.com.ge/ge/news/details/27932-CNN-%E2%80%9E%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98- (ნანახია 18.06.2017)

ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ მოქმედებდა ის ფაქტორი, რომ მის წინააღმდეგ პირადი სერვერიდან გაგზავნილი იმეილების საქმის გამოძიება მიმდინარეობდა, კერძოდ არსებობდა ვარაუდი, რომ კლინტონი სახელმწიფო საიდუმლოებას გასცემდა.[7] ასევე, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის ტანაშემწემ როჯერ სტოუნმა დაწერა წიგნი, სადაც აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის პირად ცხოვრებაზე ჰყვება _ ამის შესახებ The New York Post წერს. წიგნს ჰქვია „The Clintons' War On Women" („კლინტონების ომი ქალების წინააღმდეგ"). როგორც სტოუნი ჰყვება, ჰილარი კლინტონი ყოველთვის უკმაყოფილო იყო ქმრის ღალატით, ამასთანავე ბილი წლებბის განმავლობაში სცემდა ჰილარის. წიგნის ავტორის თქმით, ყოფილი პრეზიდენტის ცოლი მას ბლაგვი საგნებით სცემდა და სახეს ისე კაწრავდა, რომ ბილს სისხლი სდიოდა.[8]

განსხვავებული შეხედულებების ამ ორი კანდიდატის დაპირისპირება განსაკუთრებით თვალსაჩინო და მწვავე იყო სატელევზიო დებატებში. გასული წლის სექტემბერში პირველი ტელედებატებისას, რომელიც 90 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა, დებატების დაწყებიდან მალევე კლინტონმა და ტრამპმა ერთმანეთის დადანაშაულება დაიწყეს. ჰილარი კლინტონმა თქვა, რომ დონალდ ტრამპი ვლადიმერ პუტინის მიმართ დადებითად არის განწყობილი, აშშ-ის სახელმწიფო დაწესებულებებსა და დემოკრატიულ პარტიაზე განხორციელებული კიბერთავდასხმების უკან კი სწორედ რუსეთი დგას. ტრამპმა თავის მხრივ განაცხადა, რომ მმართველი ხელისუფლება ექსტრემსიტებთან ბრძოლაში საინფორმაციო ომს აგებს. ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ ნატო-მ ტერორიზმთან და დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან" ბრძოლაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, ჰილარი კლინტონმა კი განაცხადა, რომ ტრამპს ამ მიმართულებით არანაირი გეგმა არ გააჩნია. ტელეკომპანია CNN-ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, დებატების გამარჯვებულად ჰილარი კლინტონს ამომრჩევლის 62% მიიჩნევს, ტრამპს კი 27%.[9]

[7] http://netgazeti.ge/news/151126/ (ნანახია 18.06.2017)
[8] http://premiumi.ge/?p=4194 (ნანახია 18.06.2017)
[9] http://www.interpressnews.ge/ge/msoflio/399091-niu-iorkshi-hilari-klintonis-da-donald-trampis-pirveli-pirdapiri-debatebi-gaimartha.html?ar=A (ნანახია 18.06.2017)

მეორედ ისინი ერთმანეთს 9 ოქტომბერს დაუპირისპირდნენ, მწვავე დებატების საგანი იყო ტრამპის ვიდეო, სადაც ის ქალებზე ხელის ფათურის შესახებ საუბრობს მათი სურვილის მიუხედავად. ამის გამო კლინტონმა მას უღირსი უწოდა, ასევე კლინტონმა ბრალი დასდო ტრამპს, რომ რუსეთი მის სასარგებლოდ ცდილობდა არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენას. ტრამპმა კი საპასუხოდ ისაუბრა კლინტონის მიერ სახელმწიფო მდივნის პოსტზე ყოფნისას სახლში ელექტრონული ფოსტის სერვერის დაყენებას და კლინტონს დაემუქრა, რომ როცა პრეზიდენტი გახდებოდა მას ციხეში ჩასვამდა.[10]

გასული წლის საპრეზიდენტო არჩევნები ხმაურიანი იყო არა მხოლოდ ტელედებატებით, არამედ ამერიკული შოუბიზნესის ვარსკვლავების აქტიურობით. ორად გაყოფილი შოუბიზნესის წარმომადგენელთა ნაწილი მხარს ტრამპს უჭერდა, ნაწილი კი კლინტონს.[11]

- ტრამპის ქომაგთა შემადგენლობაში იყვნენ _ სილვესტერ სტალონე, ჩაკ ნორისი, მაიკ ტაისონი, ჩარლი შინი, კიდ როკი.
- კლინტონი „ცნობილი სახეების“ უხვი მხარდაჭერით გამოირჩეოდა _ მაიკლ დუგლასი, კვენტინ ტარანტინო, სტივენ სპილბერგი, ჯორჯ ლუკასი, ჯეკ ნიკოლსონი, რობერტ დე ნირო, მერილ სტრიპი, მორგან ფრიმენი, ჯორჯ და ამალია კლუნები, ჯესიკა ბილი, ბრაიან კრანსტონი, ემი შუმერი, დრიუ ბერიმორი, ოლივია უაილდი, რიზუიზერსპუნი, ჯემი ფოქსი; მომღერლები _ ელტონ ჯონი, ჯენიფერ ლოპესი, მადონა, ადელი, შერი, ჯეიზი, ბიონსე, ჯასტინ ტიმბერლეიკი, ლედი გაგა, კეტი პერი, დემი ლოვატო; წამყვანი _ ელენ დეჯენერესი.[12]

ცნობილი მხარდამჭერები ძირითადად სოციალურ ქსელში აქტიურობდნენ, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, მომღერლები, მსახიობები ჰილარი კლინტონს სოციალურ მედიაში ჰეშთეგით #WithHer აქტიურად უჭერდნენ მხარს. თუმცა არსებობდა გამონაკლისებიც. მაგ: მსახიობმა ჟან-კლოდ ვან დამმა ტრამპის

[10] https://www.radiotavisupleba.ge/a/klintonisa-da-trampis-debatebi/28042668.html (ნანახია 18.06.2017)

[11] https://sputnik-georgia.com/reviews/20161026/233622704/aSS-saprezidento-arCevnebi-TariRi-reitingebi-mxardamWerebi.html (ნანახია 18.06.2017)

[12] http://1tv.ge/ge/news/view/140846.html (ნანახია 18.06.2017)

მხარდასაჭერად განაცხადა: „ბიჭმა ხუთი-ექვსი მილიარდი ინვესტიცია ჩადო თავის ქვეყანაში და სურს ინტერესები დაიცვას“,[13] სტივ უანდერმა კი კლინტონის მხარადსაჭერად თქვა, რომ : „ტრამპისთვის ხმის მიცემა იგივეა, რაც მე ავტომობილის მართვა მთხოვოთ“.[14]

ამ ფონზე ამერიკის რიგით 45-ე პრეზიდენტის ადგილი ტრამპმა მოიპოვა. ის კიდევ ერთი პრეზიდენტია ამერიკის ისტორიაში, რომელსაც ჯერ კიდევ გაპრეზიდენტებამდე, ხალხისთვის „ცნობილი სახე“ იყო. მან 1971 წელს მამამისის, ფრედ ტრამპისგან მემკვიდრეობით მიიღო უძრავი ქონება და სამშენებლო კომპანია, რომელსაც მოგვიანებით სახელი შეუცვალა და The Trump Organization დაარქვა. 1996-2015 წლებში ფლობდა სილამაზის კონკურს Miss USA-ს. 2000 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა რეფორმების პარტიიდან სცადა, თუმცა ხმის მიცემის დაწყებამდე კანდიდატურა მოხსნა. 2004-2015 წლებში, ტელეარხ NBC-ზე მიჰყავდა რეალითი სატელევიზიო სერიალი The Apprentice. 2016 წელს, „Forbes“-ის მილიონერთა სიაში ტრამპი მსოფლიო მასშტაბით 324-ე ადგილს იკავებს, აშშ-ში კი 156-ე პოზიციას. დონალდ ტრამპი ჰოლდინგური The Trump Organization-ის თავმჯდომარე და პრეზიდენტია, რომელიც შექმნილია ტრამპის უძრავი ქონებისა და სხვადასხვა ბიზნეს-ინტერესებისათვის. საკუთარი მოღვაწეობის მანძილზე, ტრამპს მსოფლიოს მასშტაბით აშენებული აქვს საოფისე კოშკები, სასტუმროები, სამორინეები, გოლფის მოედნები და ბრენდირებული სხვადასხვა ობიექტები.[15]

§ 2.3 წარუმატებელი მსახიობობიდან წარმატებულ პრეზიდენტობამდე: რონალდ რეიგანი პოლიტიკაში

ამერიკის ისტორიას ბიზნეს სექტორიდან მოსული პრეზიდენტის გარდა კინოინდუსტრიიდან „გადმობარგებული“ პრეზიდენტიც ახოვს. 1981-89 წლებში, ქვეყანას ყოფილი მსახიობი რონალდ რეიგანი მართავდა. რეიგანი მსოფლიოში

[13] https://sputnik-georgia.com/reviews/20161026/233622704/aSS-saprezidento-arCevnebi-TariRi-reitingebi-mxardamWerebi.html (ნანახია 18.06.2017)
[14] http://1tv.ge/ge/news/view/140834.html (ნანახია 18.06.2017)
[15] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93_%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%98 (ნანახია 18.06.2017)

პირველი მსახიობი იყო, ვინც ქვეყნის პრეზიდენტი გახდა და ვინც ამერიკის ისტორიაში პოლიტიკაში მოვიდა.

რეიგანმა ოცი წლის განმავლობაში 53 ფილმში ითამაშა. მაგრამ ამის მიუხედავად, მან „ვარსკვლავის“ სტატუსი მაინც ვერ მოიპოვა, მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმები პოპულარობით არ სარგებლობდა, რაც გახდა ერთ-ერთი ფაქტორი მისი რეალური პროფესიიდან „წასვლის“ და შესაძლებლობებეის სხვა სფეროში მოსინჯვის. რეიგანს საზოგადოება ლიბერალის სახელით იცნობდა, რამაც დიდი როლი ითამაშა 1947 წელს, კინომსახიობთა გილდიის პრეზიდენტად მისი არჩევის საკითხში. ხალხს მიაჩნდა, რომ მსგავსი აზროვნების ადამიანი თავისი კოლეგების-კინომსახიობების ინტერესებს ყველაზე კარგად დაიცავდა. რეიგანმა, როგორც გილდიის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, ანტიკომუნისტ კოლეგებთან ერთად მჭიდრო კავშირი დაემყარებინა თეატრალური სცენის მუშაკთა საერთაშორისო ალიანსთან სტუდიის პროფკავშირების კონფერენციის წინააღმდეგ, სულ მალე კი პროფკავშირების კონფერენციამ, რომელსაც კომუნისტურ საქმიანობაში ედებოდა ბრალი, არსებობა დაასრულა. ამ მიღწევას რეიგანი საკუთარ თავს სიამაყით უკავშირებდა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პერიოდიდან უკვე იგრძნობოდა რეიგანის სახელოვნებო საქმინობიდან პოლიტიკაში გადახრა. მისი პოზიციები დროთა განმავლობაში ლიბერელურიდან კონსერვატიულისკენ იხრებოდა (ჭუმბურიძე, 2016).

რეიგანი 1954 წლიდან, რვა წლის განმავლობაში მუშაობდა სატელევიზიო გადაცემა “ჯენერალ ელექტრიკის თეატრის” წამყვანად და მის მოგზაურ პროპაგანდისტად, რომლის ფარგლებშიც მოიარა 38 შტატი და 135 ქალაქი, სადაც კორპორაციის ქარხნები მდებარეობდა და სიტყვით გამოდიოდა ქარხნების მუშებისა და თანამშრომლების წინაშე. ამ გამოსვლებში გაჩნდა პოლიტიკური ხასიათის შეფასებები, რაც იყო კიდევ ერთი მანიშნებელი მისი „პოლიტიკური გარდაქმნისა“ (ჭუმბურიძე, 2016).

1962 წელს რეიგანმა თავი უარი თქვა დემოკრატობაზე და თავი რესპუბლიკელად გამოაცხადა, მაშინ კალიფორნიის შტატში გუბერნატორის პოსტეზე მისი კანდდიატურის წამოყენების საკითხს განიხილავდნენ, თუმცა თავად რეიგანმა უარი

თქვა იმ მიზეზით, რომ მისი მიზანი არ იყო თანამდებობაზე ყოფნა, არამედ ღირსეული პოლიტიკოსების მხარდაჭერა სურდა (ჭუმბურიძე, 2016).

რეიგანზე, როგორც პოლიტიკოსზე მოთხოვნა კონსერვატორების მხრიდან, 1964 წლის 27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნებში გოლდუოტერის კანდიდატურის მხარდასაჭერად წარმოთქმული სიტყვების შემდეგ გაჩნდა. სიტყვების, რომელიც აშშ-ში „სფიჩის“ სახელითაა ცნობილი. ის მემარჯვენეთა უპირატესობებზე საუბრობდა და ამბობდა, რომ ქვეყანამ პიროვნების თავისუფლებასა და გაფართოებულ მმართველობას შორის უნდა გააკეთოს არჩევანი. ამ განცხადების ფონზე გოლდუოტერი დამარცხდა, თუმცა რესპუბლიკური პარტიის ბიუჯეტი 8 მილიონი დოლარით გამდიდრდა (ჭუმბურიძე, 2016).

1966 წელს გადაწყდა, რომ კალიფორნიის გუბერნატორის პოსტზე რეიგანის კანდიდატურა დაეყენებინათ. რეიგანის მხარდასაჭერად მიმდიანრეობდა რეკლამირება და გამოიყენებოდა გამარჯვებისთვის საჭირო დამხმარე საშუალებები. ასევე, მიმდინარეობდა მუშაობა რეიგანის ახალი იმიჯის შექმნაზე „მოქალაქე-პოლიტიკოსი“, რაც უზრუნველყოფდა რიგითი ამომრჩევლების სიმპათიის მოპოვებას, ვინაიდან რეიგანი არ იყო ზედმეტად დაახლოებული პოლიტიკოსების სამყაროსთან, რომელიც ნაკლები ნდობით სარგებლობდა საზოგადოებაში. მისი ლოზუნგი იყო “შემოქმედებითი საზოგადოება”, რომელიც უპირისპირდებოდა პრეზიდენტ ჯონსონის ცნობილ ლოზუნგს “დიდებული საზოგადოება”. რეიგანმა წარსული გამოცდილებებიდან გამომდინარე, ულტრაკონსერვატიული განცხადებებისგან თავი შეიკავა, თუმცა მისი მოწინააღმდეგე მას ხმებს უვრცელებდა, რომ უკიდურეს მემარჯვენედ რჩებოდა. ამის მიუხედავად, კალიფორნიელებისთვის რეიგანი სასურველ კანდიდატად რჩებოდა. (ჭუმბურიძე, 2016).

რეიგანის გამონათქვამები ხშირად გამაოგნებელი იყო, მაგალითად განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მისი შეფასება სოციალურად დაუცველ ფენასთან დაკავშირებით, როდესაც მან ასეთ დამიანებს “მოწყალების მთხოვნელი უსახური მასა” უწოდა. ამ სიტყვებით ის იგებდა კალიფორნიის მოსახლეობის საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ფენის გულს. „იმიჯმეიკერები“ მას პოზიციების

შერბილებისკენ მოუწოდებდნენ, თუმცა ის აქტიურ ანტიკომუნისტად და საერთაშორისო პრობლემების გადაჭრისათვის რადიკალური ზომების მიღების პროპაგანდისტად რჩებოდა და საზოგადოებას მოუწოდებდა ჩრდილოეთ ვიეტნამისთვის ომი გამოეცხადებინათ და გამარჯვება იმგავარი უპირატესობით მოეპოვებინათ, რომ შუადღისას სადილად შინ დაბრუნებულიყვნენ. ასეთი გამოსვლები ამერიკელებს საკუთარი თავის რწმენას უძლიერებდა. შეიძება ითქვას, რომ ასეთმა ხისტმა კამპანიამ გაამართლა და 1966 წლის 8 ნოემბერს რეიგანმა დამაჯერებლად გაიმარჯვა არჩევნებში. მას მძიმე პირობები მოუწია გუბერნატორობა, ვინიდან სახეზე იყო გაძარცვული ხაზინა, თუმცა რეიგანი სათანადოდ გაუმკლავდა არსებულ კრიზის და ხალხის ნდობაც დაიმსახურა, რამაც გუბერნატორის პოსტზე მისი მეორე ვადით დარჩენა უზრუნველყო 1970 წელს. მეორე ვადით არჩევამდე მას პრეტენზია ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობაზე, თუმცა უშედეგოდ, მაშონ პოსტი ნიქსონმა დაიკავა (ჭუმბურიძე, 2016).

რეიგანს ფარ-ხმალი არ დაუყრია, მან 1979 წლის 13 ნოემბერს პრეზიდენტობისთვის ბრძოლის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე დასახელდა ბუში, რომელსაც მხარს უჭერდა რესპუბლიკური პარტიის გამოჩენილ მოღვაწეთა უმრავლესობა. რეიგანი 1980 წლის 17 ივლისს აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატად დაასახელეს, მან 69 წლის ასაკში გამარჯვება მოიპოვა დემოკრატიული პარტიის კანდიდატზე – ჯ. კარტერზე. იგი აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ხნიერი პიროვნება იყო, ვინც პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა. რეიგანის მაშინდელ წარმატებას აფასებენ, როგორც ჯიმ კარტერის უარყოფას (ჭუმბურიძე, 2016).

პრეზიდენტის რანგში რეიგანმა ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივები წამოაყენა. მისი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც რეიგანომიკას უწოდებდნენ გულისხმობდა ბიზნესის რეგულაციის შემცირებას, ინფლაციის კონტროლს, სამთავრობო ხარჯების შემცირებას და გადასახადების შემცირებით ეკონომიკის ზრდის სტიმულირებას. მას შემდეგ, რაც თავდაცვის ძალების გაძლიერებამ დიდი დეფიციტი გამოიწვია, მან მაინც არ განაცხადა უარი კურსის შეცვლაზე. პროფკავშირებთან დაპირისპირებისას ის მკაცრ პოლიტიკას

ატარებდა. 1983 წელს მან გრენადაში სამხედრო შეჭრის ბრძანება გასცა. აგრეთვე რეიგანმა საბჭოთა კავშირს საჯაროდ უწოდა „ბოროტების იმპერია“, უარი თქვა დაძაბულობის შენელების პოლიტიკაზე, აშშ-ის სამხედრო პოტენციალი გააძლიერა და მსოფლიოს გარშემო ანტიკომუნისტურ მოძრაობებს დაუჭირა მხარი. 1984 წლის არჩევნებში მან უპრეცედენტოდ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. მისი მეორე ვადა ძირითადად საგარეო მოვლენებით აღინიშნა: ცივი ომის დასრულებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი, ლიბიის დაბომბვა და ირან-კონტრას სკანდალის გახმაურება. რეიგანის პოლიტიკის შედეგად ნავთობის ფასი სამჯერ დაეცა, რამაც სსრკ-ს ეკონომიკა ძალიან დააზარალა. მან საბჭოთა კავშირის ლიდერ მიხეილ გორბაჩოვთან მოლაპარაკებების სერია გამართა, რომლის კულმინაციაც საშუალო და მოკლე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმება და ორივე ქვეყნის ბირთვული არსენალის შემცირება იყო. 1986 წელს რეიგანმა საგადასახადო კოდექსი სრულიად განაახლა, რის შედეგადაც მილიონობით მცირე შემოსავლის მქონე ადამიანი გადასახადისგან გათავისუფლდა. რეიგანმა პრეზიდენტის თანამდებობა 1989 წელს დატოვა. 1994 წელს მას ალცჰაიმერის დაავადების დიაგნოზი დაუსვეს. იგი 2004 წელს, 93 წლის ასაკში, გარდაიცვალა. რეიგანი აშშ-ის ერთ-ერთ წარმატებულ პრეზიდენტად მიიჩნევა.[16]

§ 2.4 მსახიობისა და სპორტსმენის არნოლდ შვარცენეგერის კაპიტალი პოლიტიკაში

რეიგანის გარდა კალიფორნიის გუბერნატორის პოსტს კიდევ ერთი მსახიობი იკავებდა. შტატის რიგით 38-ე გუბერნატორი, 2003-2011 წლებში, ავსტრიული წარმოშობის ამერიკელი კულტურისტი, მსახიობი და ბიზნესმენი არნოლდ ალოის შვარცენეგერი იყო. მან 2003 წლის 17 ნოემბერს გრეი დეივისი ჩაანაცვლა, წარმოადგენდა რესპუბლიკურ პარტიას. სანამ პოლიტიკაში გადაინაცვლებდა, სახელი

[16] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98 (ნანახია 18.06.2017)

გაითქვა ფილმებით: „ბარბაროსი კონანი“, „ტერმინატორი“, „მტაცებელი“ (Predator) და „ტერმინატორი-2: განკითხვის დღე“.[17]

თუმცა, ის არ ყოფილა მხოლოდ წარმატებული მსახიობი, არამედ მან აისრულა ოცნება გამხდარიყო კულტურისტი და 1967 წელს პირველი ადგილი აიღო შეჯიბრზე „მისტერ მსოფლიო“, მომავალში კიდევ უფრო დიდი ჯილდოები დაიმსახურა. 1968 წელს მან ჩააბარა ვისკონის უნივერსიტეტში და განათლების წარმატებულად დასრულების შემდეგ, გადაწყვიტა შეჯიბრზე შეგროვილი ფული კომპანიაში ჩაედო, რომელიც კულტურისტებისთვის ტანსაცმელს დაამზადებდა. 1990 წელს აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ბრძანებით შვარცენეგერი დანიშნეს ფიზკულტურის და სპორტის კონსულტანტად.[18]

შვარცენეგერი რეიგანისგან განსხვავებით „შემდგარი“ მსახიობი იყო და ის ნამდვილად ფლობდა „ცნობილი სახისთვის“ დამახასიათებელ კაპიტალს. სწორედ ეს კაპიტალი დაეხმარა მას გამარჯვებაში. შვარცენეგერს, საზოგადოება ძლიერი და მხსნელი მამაკაცის სახელით იცნობდა, უფრო სწორად ასეთი იყო მისი ყველა როლი ფილმებში. თუმცა, ფაქტია, რომ კინოსამყაროს პერსონაჟი-„ტერმინატორი“ შვარცენეგერის რეალური ცხოვრების ნაწილად იქცა. იქიდან გამომდინარე, რომ ის პოლიტიკაში მოსვლამდე უკვე სარგებლობდა დიდი პოპულარობით, მის წინაშე აღარ იდგა საზოგადოების თვალში ცნობადობის მოპოვების საჭიროება და შესაბამისად არც „პიარ-ტექნოლოგიების“ გამოყენება დასჭირვებია. გარდა ამისა, დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა კალიფორნიის შტატში და შესაბამისად კარგად იცნობდა მათ პრობლემებს. ამ რეპუტაციის ფონზე, როგორც კი მან კალიფორნიის შტატში გუბერნატორობისთვის ბრძოლაში მონაწილეობის შესახებ განცხადება გააკეთა, მაშინვე იქცა წინასაარჩევნო მარათონის ერთ-ერთ ფავორიტად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ

[17] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%93%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98 (ნანახია 18.06.2017)

[18] http://sportx.ge/portfolio/bicycle-movie/ (ნანახია 18.06.2017)

არნოლდმა ჯერ კიდევ პოლიტიკაში მოსვლამდე დაიწყო პიარული სვლები. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ შვარცენეგერის „დამცინავი“ საქველმოქმედო ნაბიჯი - მან კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორის გრეი დევისის გაწვევისათვის კომიტეტს გადასცა 50 ათასი დოლარის ღირებულების ჩეკი. ეს იყო წინასწარ გათვლილი სვლა, რომ თუ დევისი გადაყენებული იქნებოდა დაკავებული პოსტიდან, მაშინ მსახიობისთვის თავისუფალი იქნებოდა გუბერნატორის ნანატრი სავარძელი. იმ დროინდელმა გუბერნატორ-დემოკრატის მოწინააღმდეგეებმა თავისი გაიტანეს და მისი გაწვევისათვის რეფერენდუმი ჩაატარეს. ამომრჩეველს ბიულეტინში ორ შეკითხვაზე უნდა გაეცა პასუხი: 1) თვლით თუ არა, რომ დევისი უნდა იქნეს გაწვეული? 2) ვინ უნდა გახდეს შტატის გუბერნატორი? _ არჩევანი შვერცენეგერზე გაკეთდა, მან ამომრჩეველთა ხმების 51% მოიპოვა. ამომრჩეველთა გულის მოგების მიზეზი შვარცენეგერის ის განცხადებაც გახდა, რომლის მიხედვით მან საზოგადოებას აღუთქვა, საარჩევნო კამპანიას საკუთარი ჯიბიდან გადახდილი თანხებით ჩაატარებდა. ის აკრიტიკებდა პოლიტიკოსებს და რაც მალამოდ ხვდებოდა გულზე ელექტორატს, იქიდან გამომდინარე რომ პოლიტიკა და პოლიტიკოსები კორუმპირებულობასთან ასოცირდებოდა (ჭუმბურიძე, 2016).

შვარცენეგერს ბრალს სდებდნენ პოლიტიკოსისთვის შეუფერებლ იმიჯში და მიზეზად მის ეროტიკულ წარსულს ასახელებდნენ. გუბერნატორის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, შვარცენეგერს ექვსმა ქალმა ბრალი დასდო სექსუალურ ძალადობაში, ამის გამო მას ბოდიშის მოხდაც მოუწია. მსგავსი ბრალდებები ერთადერთი საშუალება იყო არნოლდის რეიტინგის დასაწევად, ვინაიდან მას არ გააჩნდა პოლიტიკური წარსული, შესაბამისად ბრალს ვერ დასდებდნენ, როგორც წარუმატებელ პოლიტიკოსს, მაგრამ მას აღმოუჩინეს წარსული ცოდვები. თუმცა, ბრალდებებს მის რეპუტაციაზე ცუდი გავლენა არ მოუხდენია, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მან ორი ვადით შეინარჩუნა გუბერნატორის პოსტი, თუმცა რეიგანისგან განსხვავებით მას პრეტენზია მისი წარმოშობიდან გამომდინარე ვერ ექნებოდა, რადგან მაერიკის კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ აშშ-ში დაბადებულ პირს შეუძლია ქვეყნის უმაღლესი პირის სტატუსის მოპოვებისთვის ბრძოლა (ჭუმბურიძე, 2016).

შვარცენეგერს პოლიტიკური საქმიანობის კუთხით, პოპულარულობის მოპოვებაში დაეხმარა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეების კლასგარეშე დროის ორგანიზაციას. შტატებმა ამ ინიციატივას გამოუყო 455 მილიონი დოლარი, სპორტული პროგრამისათვის, რომელშიც ათეულობით ათასი მოზარდი ჩაერთო, ძირითადად კი ნაკლებადშემოსავლიანი ოჯახებიდან (ჭუმბურიძე, 2016).

არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ცნობილ სახეს“ პოპულარობა უდავოდ ეხმარება ახალი პროფესიული მოღვაწეობის დაწყებაში. ცნობადობა, საზოგადოების სიყვარული, წარმატებული კარიერა _ ის ფაქტორებია, რომელთა გამოც პოპულარულ ადამიანებს თუნდაც რადიკალურად განსხვავებულ სფეროში საქმიანობის ნულიდან დაწყება არ უწევთ, ვინაიდან ის, რის მოპოვებაზეც ადამიანები ნებისმიერი საქმიანობის პირველ ეტაპზე მუშაობენ, მათ უკვე გააჩნიათ. მართალია, ყველაფრის ნულიდან დაწყება არ უწევთ, თუმცა საფეხური, რომლიდანაც ახალი პროფესიული მოღვაწეობის „სტარტს“ იღებენ, პირდაპირპროპორციულია მისი ადრინდელი საქმიანობის ხარისხისა. მაგ: რეიგანის სამსახიობო კარიერა არც ისეთი ხარისხის იყო, როგორც შვარცნეგერის, შესაბამისად მათ პოლიტიკაში გადანაცვლებისას, არსებული გამოწვევებისთვის თავის გართმევის საკითხში ერთნაირი ძალისხმევა არ დასჭირვებიათ. რაც შეეხება, აშშ-ში 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს, დასამახსოვრებელი სწორედ პოპოულარული ადამიანების ჩართულობის გამო გახდა, აქ კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ასეთი ადამიანების მთავარი შტრიხები, რომ მათ შეუძლიათ გასხვავებულობა და ორიგინალურობა შესძინონ იმ საქმეს, რასაც ისინი „ხელს მოკიდებენ“.

თავი III. „ცნობილი სახეები“ პოლიტიკაში: საქართველოს გამოცდილება

§3.1 „ცნობილი სახეები“ საარჩევნო კამპანიაში

ნებისმიერ სიახლეს, მისი დანერგვის საწყის ეტაპზე საზოგადოება ეჭვის თვალით უყურებს. იმისთვის, რომ აუდიტორიამ ის მიიღოს, საჭიროა სიახლის შემქმნელმა მათგან ნდობის მოპოვება სცადოს. სწორედ ნდობაა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენისას ახალ პარტიას არ გააჩნია და თუ არ ექნება სანდოობა არჩევნებში გამარჯვება გაუჭირდება. რაც შეეხება საშუალებას, თავად პარტიაზეა დამოკიდებული მიზნის მისაღწევად მოქმედების რა გზას აირჩევს, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში გზამ ამომრჩევლის გულთან ახლოს უნდა გაიაროს, რადგან ელექტორატის კეთილგანწყობისა და ნების გარეშე ბრძოლას აზრი არ აქვს.

არჩევნები არის ერთგვარი ყიდვა-გაყიდვის პროცესი, სადაც ელექტორატი სასურველ კანდიდატს პროდუქტის სახით, საკუთარი ხმის მიცემის სანაცვლოდ ყიდულობს. არჩევანს კი ისინი შეაჩერებენ მასზე, ვის მიმართაც მეტი ნდობით იქნებიან განმსჭვალულნი. სწორედ ამომრჩეველთა დარწუნებას ემსახურება საარჩევნო კამპანია, რომელშიც დარწმუნების ერთ-ერთ მეთოდად „ცნობილი სახეები“ გამოიყენებიან. ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ეს მეთოდი არის მარკეტინგული სვლა, რომელიც გამოიყენება ახალი პოლიტიკური პარტიის გასაპიარებლად */ეს არის წმინდად მარკეტინგის ნაწილი“. გია ნოდია, ექსპერტი/.* ისინი ფლობენ საზოგადოების ნდობას და აქვთ რეპუტაცია, თავიანთი პროფესიული ცხოვრებიდან გამომდინარე, მაგ: მსოფლიო ჩემპიონი, რომელმაც საქართველო ასახელა, გაცილებით დიდ ნდობას და სიყვარულს იმსახურებს, ვიდრე ახალბედა ან გამოცდილი პოლიტიკოსი */“დარწმუნების ერთ-ერთი ყველაზე კარგი ხერხია წინასაარჩევნოდ ეს ადამიანები, იმიტომ რომ, მათ მიმართ უკვე დადებითი დამოკიდებულებაა და ამის ფონზე წამოსული ინფორმაცია სანდოდ აღიქმება“. გუგული მაღრაძე, პოლიტიკოსი/.*

გავრცელებული კლიშეა, რომ პოლიტიკა „ბინძური“ საქმიანობაა, შესაბამისად საზოგადოების თვლაში ბევრად მიმზიდველები არიან ადამიანები, რომელთაც ამ სფეროსთან შეხება არ ჰქონიათ და მათ საზოგადოება აბსოლუტურად სხვა რაკურსით

იცნობს. 1. /*“ბინძური ხალხი ქმნის ბინძურ პოლიტიკას, და როცა შემოდის „ცნობილი სახე“ პოლიტიკაში, მას შემოაქვს დადებითი განწყობები.“ რამაზ საყვარელიძე, ექსპერტი/* 2. /*“პოპულარობა, რეპუტაცია გააჩნია „ცნობილ სახეს“. ახალი სახე შედის პოლიტიკურ კორპორაციაში, პოლიტიკური კორპორაცია იღებს დივიდენდებს, მაგრამ ეს აისახება უარყოფითად იმ კონკრეტულ ადამიანზე, ის კარგავს თავის რეპუტაციას. შემდგომ რეაბილიტაციას საჭიროებენ, რომ ნეგატიური გავლენებისგან გათავისუფლდნენ პოლიტიკიდან წამოსვლის შემდეგ.“ ვალერიან გორგილაძე, ექსპერტი/*

უცნობი არავისთვისაა, რომ პოპულარული ადამიანები ხშირ შემთხვევაში გამოიყენებიან რეკლამირებისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ესა თუ ის პროდუქტი მათი საშუალებით გაყიდვადი ხდება. სწორედ ეს არის უპირატესობა, რის გამოც პოლიტიკური პარტიები სააარჩევნო კამპანიაში მათ უხმობენ. როცა, ისინი ახალი პოლიტიკური პარტიის გვერდით დგანან პარტიის მიმართ საზოგადოების ინტერესი იზრდება, რაც განაპირობებს პოლიტიკური რეიტინგის ზრდას, შედეგად კი არაა გამორიცხული პარტიამ გამარჯვება მოიპოვოს. ექსპერტები და პოლიტიკოსები ცალსახად აცხადებენ იმას, რომ „ცნობილი სახეების“ მთავარი ძალა მათ ცნობადობაშია, რომელიც არის „გადამდები“ ხასიათის და მაშინ, როცა დამსახურებული სპორტსმენი თუ ხელოვანი ადამიანი რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერად გვევლინება, ეს ფაქტი გავლენას ახდენს მათი ე.წ. „ფანების“ დარწმუნებზე ამავე პარტიის სასარგებლოდ. *1. /“პოპულარული პირები პარტიის პოპულარობისთვის გამოიყენებიან, ეს არის მარკეტინგული სვლა. ნდობას და ცნობადობას სძენს პარტიას.“ რამაზ საყვარელიძე, ექსპერტი/* *2. /„მათი მთავარი რესურსი არის ცნობადობა. პარტიაში მიიტანს ყურადღებას, ნდობის გარკვეულ კაპიტალსაც. ცნობადობა და პოპულარობა არის უპირატესობა პოლიტიკოსებთან მიმართებაში, „ბინძურ“ სფეროში „სისუფთავის“ შემოტანა პარტიაში“. გია ნოდია, ექსპერტი/*

ე.წ. ცნობილი სახის უპირატესობას პოლიტიკოსებთან მიმართებაში ისიც ადასტურებს, რომ ახალი პოლიტიკური პარტიების სახელწოდებები ძირითად შემთხვევებში პერსონის მაიდენტიფიცირებებლი ნიშნებით იწყება, მაგ: კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“, „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო

ხალხისთვის“, „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“. რა თქმა უნდა ეს პარტიის კიდევ უფრო მცირე დროში „გაპიარებას“ ისახავს მიზნად /*“პარტიის დასახელებას ეწერება ლიდერის გვარი, ანუ ცნობილი სახით მუშაობს პარტია და ეს არის „პიარ-სვლა“. რამაზ საყვარელიძე/.*

§3.2 ცნობილი სახეების როლი ახალი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიაში 2012-2016 წლებში

2012 წლის 21 თებერვალს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: რესპუბლიკური პარტია, ეროვნული ფორუმი, ჩვენი საქართველო თავისუფალი დემოკრატები, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო , კონსერვატორული პარტია და მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს. 6 სუბიექტისგან შემდგარმა გაერთიანებამ შეძლო არამხოლოდ დაწესებული ბარიერის გადალახვა, არამედ გახდა გამარჯვებული ძალა. აქედან ახალი პარტია მხოლოდ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ იყო, დანარჩენი 5 პარტია წლების განმავლობაში მოღვაწეობდა და ცალ-ცალკე თუ ერთად ებრძოდა მიხელ საკაშვილის რეჟიმს, თუმცა უშედეგოდ. ხელისუფლების წინააღმდეგ პარტიები წლების წინაც გაერთიანდნენ, ჯერ იყო „რვიანი“, შემდეგ „ექვსიანი“. ირაკლი ალასანია („ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები“), დავით უსუფაშვილი („საქართველოს რესპუბლიკური პარტია“), კახა შარტავა („ეროვნული ფორუმი“), ზვიად ძიძიგური („კონსერვატიული პარტია“), ზურაბ ტყემალაძე („მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“) არიან ადამიანები, რომლებიც ქართულ პოლიტიკას და რეალობას კარგად იცნობდნენ, მუდმივად ოპონირების პროცესში იყვენენ, მაგრამ გამარჯვებას მას შემდეგ მიაღწიეს, რაც გაერთიანებას სათავეში ყველასთვის „ცნობილი“ და ნდობით აღჭურვილი სახე, ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბიძინა ივანიშვილი ჩაუდგა /*“ბიძინა ივანიშვილი იყო „ცნობილი“ ადამიანი, რომელიც არა ვიღაცამ მოიყვანა არამედ თავად გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა და ძალაუფლების მოპოვება. შემოიკრიბა ხალხი, რომელსაც დამოუკიდებლად*

არაფრის მიღწევის გამოცდილება არ ჰქონდათ და ასევე ადამიანები, რომლებიც პოლიტიკაში არ ყოფილა და „ცნობილები“ იყვნენ.“ გია ნოდია, ექსპერტი/.

აქ ხაზგასასმელია ისიც, რომ ივანიშვილი არა უბრალოდ გაერთიანების მხარდამჭერის როლში, არამედ მის ლიდერად მოგვევლინა. მსგავსი პერსონის გარეშე კოალიცია „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში გამარჯვება აუხდენელ ოცნებად დარჩებოდა /*“ცნობილი სახის“ ჩართვის გარეშე პარტია ვერ მიაღწევს დადებით შედეგს. ცნობადობის გარეშე ვერ მიიღწევა ვერაფერი“. რამაზ საყვარელიძე, ექსპერტი/.* ივანიშვილის პერსონის გავლენიდან გამომდინარე, მისი სახელი და გვარი კოალიციის დასახელებაში იქნა გამოყოფილი _ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“, რაც „პიარ-მენეჯერების“ კიდევ ერთი სტრატეგიული გათვლა იყო პარტიის პოპულარიზაციისთვის /*„ბიძინას შემთხვევაში მნიშვნელობა ჰქონდა რეპუტაციას _ აფინანსებს, აშენებს, ჩამოყალიბდა ხატი რომ ის ეხმარება გაჭირვებულებს, აშენებდა საავადმყოფოებს.“ ვალერიან გორგილაძე, ექსპერტი/.*

კოალიციის PR კამპანია თავიდან ბოლომდე აგებული იყო „ცნობილი სახეების“ ჩართულობაზე, თუ არ ჩავთვლით 2012 წელს გავრცელებულ „ციხის კადრებს“, რომელმაც წყალი პოლიტიკური გაერთიანების წისქვილაზე დაასხა. საზარელმა კადრებმა მმართველი პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ უნდობლობა, კოალიციის მიმართ კი რეიტინგის ზრდა გამოიწვია. მაშინ, ყველას გასაკვირად, ახალი გაერთიანება გახდა უკონკურენტო ძალა. მაშასადამე, კოალიციას გამარჯვებაში 2 ფაქტორი დაეხმარა, რეჟიმს დამატებული ბიძინა ივანიშვილის ფიგურა /*“ეს იყო 2 მთავარი ფაქტორი _ წინახელისუფლების ქმედებები, რომელმაც აავსო ხალხის მოთმინების ფიალა და ხალხი მზად იყო ცვლილებებისთვის, მაგრამ არ იყო სუბიექტური ფაქტორი, რომელიც შემდგომში გამოჩნდა ივანიშვილის სახით“. გ.მაღრაძე, პოლიტიკოსი/.* თუმცა, მხოლოდ ფიგურა ვერ მოახერხებდა არჩევნებში გამარჯვებას, რომ არა სწორი საარჩევნო პროგრამა და იმ დროინდელი გამოწვევების შესაბამისი დაპირებები /*“ივანიშვილმა სწორი სვლები გააკეთა და ამიტომ გაიმარჯვა, გაითვალა დასავლეთთან ურთიერთობა, გაითვალა ის, რა იყო მიუღებელი საზოგადოებისთვის. მიუღებელი იყო ძალადობა, აღდგება სამართლიანობა.“ რამაზ საყვარელიძე, ექსპერტი/.*

გარდა ამისა, „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება“ საზოგადოებისთვის დასამახსოვრებელი გახდა მისი საარჩევნო სიით თუ სიის მიღმა მყოფი მხარდამჭერებით, რომელთაც ფაქტია, რომ ელექტორატის კეთილგაწნყობა მოიპოვეს. მის მხარდამჭერებს შორის აღმოჩნდენ ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები, თავად პარტიაში კი შემოიკრიბა როგორც გამოცდილი პოლიტიკოსები, ასევე პროფესორ-მეცნიერები და სხვა სფეროებში მოღვაწე წარმატებული ადამიანები, რომელთა მიმართაც ხალხს ნდობა და სიყვარული გააჩნდა. ამ კუთხით, აქტიურად გამოიყენებოდნენ შოუ-ბიზნესის პოპულარული სახეები. მაგალითად: ივანიშვილს მხარს უჭერდა მისი შვილი, მომღერალი ბერა ივანიშვილი.[19] მოსახლეობასთან გამართული თითქმის ყველა შეხვედრა ბერას კონცერტით სრულდებოდა. უნდა ითქვას, რომ ბერა განსაკუთრებული პოპულარობით ახალგაზრდა თაობაში სარგებლობდა და მან პარტიას გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის მხარდაჭერა მოუტანა. „პიარ-მენეჯერებმა“ იმაზეც იზრუნეს, რომ კოალიციას სხვა კატეგორიის ჯგუფის კეთილგანწყობაც მოეპოვებინა. გაერთიანებას მხარდაჭერა გამოუცხადა მთელი საქართველოსთვის საყვარელმა სახემ, მსახიობმა გივი ბერიკაშვილმა და მისმა შვილმა მანანა ბერიკაშვილმა, ასევე მსახიობებმა კახი კავსაძემ, ჯემალ ღაღანიძემ, ქეთი დოლიძემ, გურანდა გაბუნიამ, ოთარ მეღვინეთუხუცესმა, სოსო ჯაჭვლიანმა, მომღერალმა ნინელი ჭანკვეტაძემ და სხვებმა. ისინი მოსახლეობას კოალიციის მხარდამჭერთა სახელით ხვდებოდნენ.[20] ხელოვანების გარდა საარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩაერთვენენ მსოფლიო მასშტაბით აღიარებული სპორტსმენებიც. მათგან ყველაზე აქტიური ფეხბურთელი კახა კალაძე იყო. კალაძემ კამპანიის მსვლელობისას სოციალურ ქსელში, მომღერალ ვალერი მელაძესთან ერთად ბათუმში გადაღებული ფოტოც გაავრცელა, რომელშიც ორივე მათგანს „ქართული ოცნების“ ლოგოიანი მაისურები ეცვა, ფოტოზე წარწერა კი ასეთი იყო: „ვალერი მელაძე ქართველი ხალხის გვერდით“.[21]

---

[19] http://reportiori.ge/old/aww.ge/sputnik-georgia.com?menuid=66&id=6719 (ნანახია 20.062017)
[20] http://www.myvideo.ge/v/1808903 (ნანახია 20.062017)
[21] http://www.ambebi.ge/politika/58404-valeri-meladze-qqarthuli-ocnebisq-mkhardamtceria.html?add=1%3Fq%3D%2Fpolitika%2F58404-valeri-meladze-qqarthuli-ocnebisq-mkhardamtceria.html%3Fadd%3D1%3Fq%3D%2Fpolitika%2F58404-valeri-meladze-qqarthuli-ocnebisq-

აქ უკვე ისმის კითხვა, რამდენად დაეხმარა კოალიციას ამ რაოდენობით „ცნობილი სახის“ მხარდაჭერა წინასაარჩევნოდ? _ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გვჭირდება პარტიების რეიტინგებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევევების შედეგების ნახვა. ჩვენ შევისწავლეთ 2012 წლის წინასაარჩევნო გარემო, რაც ცხადყოფს კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ კონკურენტუნარიანობას. სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ წინასაარჩევნოდ ჩატარებულმა კვლევევებმა აჩვენა, რომ კოალიცია რეიტინგებში მინიმუმ მეორე ადგილს იკავებდა, ყოველი მომდევნო კვლევა კი მისი რეიტინგის ზრდას ადასტურებდა. იყო შემეთხვევებიც, როდესაც პოლიტიკურმა გაერთიანებამ მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაჩრდილა და პირველი ადგილი დაიკავა.[22]

✓ 2012 წელს წინასაარჩევნო კვლევები ჩაატარა ამერიკულმა ორგანიზაციამ ეროვნულ-დემოკრატიულმა მოძრაობამ (NDI). კვლევა თავდაპირველად თებერვალში ჩატარდა, რომლის პოლიტიკურმა რეიტინგებმა აჩვენა ორი პოლიტიკური ძალის დომინანტობა. ლიდერობდა „ნაციონალური მოძრაობა“ 47%-ით, შემდეგ მოდიოდა „ქართული ოცნება“ 10%-ით. მესამე ადგილზე მყოფი „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ (3%) ვერ ლახავდა საარჩევნო 5%-იან ზღვარს. NDI-ის მორიგი კვლევა ივნისში ჩატარდა, შედეგები ასეთი იყო: „ნაციონალური მოძრაობა“ 36%, „ქართული ოცნება“ 18%, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ 3%. სექტემბერში გამოქვეყნდა NDI-ს მესამე კვლევა, რომლის მიხედვით კვლავ ლიდერობდა „ნაციონალურ მოძრაობა“ (37%), მეორე ადგილზე იყო „ქართული ოცნება“ (12%), მესამეზე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ (3%).

✓ 2012 წელს წინასაარჩევნოდ კვლევა ჩაატარა კიდევ ერთმა ამერიკულმა ორგანიზაციამ _ საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა (IRI), რომლის შედეგებიც მაისში გახდა ცნობილი. ნაციონალური მოძრაობა 45%, „ქართული ოცნება“

---

mkhardamtceria.html%3Fadd%3D1%3Fq%3D%2Fpolitika%2F58404-valeri-meladze-qqarthuli-ocnebisq-mkhardamtceria.html%3Fadd%3D1 (ნანახია 20.06.2017)

[22] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D_%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_(2012)#.E1.83.A8.E1.83.94.E1.83.93.E1.83.94.E1.83.92.E1.83.94.E1.83.91.E1.83.98 (ნანახია 20.06.2017)

15% და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ 9%. IRI-ის მეორე კვლევამ ივნისში აჩვენა, რომ ნაციონალური მოძრაობა 43%-ით ლიდერობდა, მას მოყვებოდა „ქართული ოცნება“ 24%-ით და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ 7%-ით.

✓ არ უნდა გამოგვრჩეს, 2012 წლის ივლისში გამოქვეყნებული საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის, Penn Schoen Berland-ის კვლევის შედეგები. Penn Schoen Berland-მა კვლევა ჩაატარა ორგანიზაციის „European Platform for Democracy in Gerogia“ დაკვეთით, რომლის შედეგებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მანამდე გამოქვეყნდებული სხვა კვლევების შედეგებისგან: „ქართული ოცნება“ 42% და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 41%. ამ შემთხვევაში უნდობლობა აღნიშნულ კველვას მმართველმა პარტიამ გამოუცხადა

✓ აგვისტოში საკუთარი კვლევა გამოაქვეყნა Greenberg Quinlan Rosner-მა, რომელმაც კვლევა „ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთით ჩაატარა. კვლევის მიხედვით „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი შეადგენდა 46%-ს, ხოლო „ქართული ოცნებისა“ - 24%-ს. შემდეგ მოდიოდნენ „ქრისტიან-დემოკრატები“ (5%) და „ახალი მემარჯვენეები“ (3%). ოპოზიციის უმრავლესობამ კვლევის შედეგს უნდობლობა გამოუცხადა.

✓ არჩევნებამდე უკანასკნელი კვლევა, გლდანის ციხის სკანდალის შემდგომ გერმანულმა კომპანია „forsa“-მ ჩაატარა. კვლევის მიხედვით პირველი სამეული ასეთი იყო: „ქართული ოცნება (49%), „ნაციონალური მოძრაობა“ (43%) და „ქრისტიან-დემოკრატები“ (6%).

რეიტინგებთან შედარებით, მოლოდინს გადააჭარბა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა. კოალიციამ არათუ გადალახა დაწესებული 5 %-იანი ბარიერი, არამედ ის დიდი უპირატესობით გახდა გამარჯვებული ძალა. შედეგები იყო ასეთი:

❖ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2 215 661 ამომრჩეველმა. პარლამენტში მანდატების მოპოვებისათვის აუცილებელი 5% ბარიერი მხოლოდ ორმა ძალამ გადალახა. ქართული ოცნება _ 54,07%, ნაციონალური მოძრაობა _ 39,68%. პირველ ადგილზე გასულმა კოალიციამ 44 მანდატი პარტიული სიით და 41 მაჟორიტარული მანდატი მიიღო: მოიგო ყველა ოლქი თბილისში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთასა და შიდა ქართლში, ასევე მოიგო კახეთისა და იმერეთის ოლქების უმრავლესობა. მეორე ადგილზე გასულმა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 33 მანდატი მოიპოვა

პროპორციული წესით და მოიგო ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელოს ოლქების უმეტესობა. „ბიძინა ივანიშვილი-ქართულმა ოცნებამ“ ჯამში 85 მანდატი მიიღო, რაც საკმარისი აღმოჩნდა მთავრობის ფორმირებისთვის, მაგრამ არა კონსტიტუციური ცვლილებისთვის.[23]

მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის შემთხვევაში „ცნობილი სახის“ ფაქტორმა გაამართლა, ვერ ვიტყვით, რომ ყველა შემთხვევაში შედეგი იგივეა. ამ მეთოდის გამოყენების წარუმატებელი მაგალითია „პაატა ბურჭულაძე_სახელმწიფო ხალხისთვის“. ახალი პოლიტიკური პლატფორმის დამფუძნებელი და ლიდერი მსოფლიო ბანი და ქველმოქმედი პაატა ბურჭულაძე იყო. მან პარტია 2016 წელს დააარსა, თავდაპირველად ირგვლივ ახალგაზრდა გამოუცდელი პოლიტიკოსები შემოიკრიბა და ამით საზოგადოებას აჩვენა, რომ პოლიტიკაში „სუფთა“ რესურსით მოდიოდა /*“პოლიტიკური „ქალწულობის კომპლექსია“, რომ პოლიტიკურად გაუსვრელი ხალხი უნდა გყავდეს, ერთგავრი სიწმინდის და უმანკოების იმიჯი მოაქვთ.“ გია ნოდია, ექსპერტი*/. „ცნობილი სახეებიდან“ კი მის მხარდამჭერებს შორის იყვნენ ჟურნალისტები მერაბ მეტრეველი და ლაშა დვალიშვილი, ცნობილი პლასტიკური ქირურგის გუგა კუზანოვის მეუღლე ნინო კუზანოვი.[24] უნდა აღინიშნოს, რომ ბურჭულაძის პარტიას თავდაპირველად ჰქონდა რეიტინგი, ეს სწორედ მისი ფაქტორიდან გამომდინარეობდა. ის იყო საქველმოქმედო ფონდ “იავნანას“ დამფუძნებელი, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ბინის გადაცემაზე ზრუნავდა. ის სპეციალურად გაჭირვებული ადამიანებისთვის მღეროდა, კონცერტზე შესულ თანხას კი მთლიანად უსახლ-კაროებს უნაწილებდა. ამ ყველაფრის ფონზე, მისთვის საკმარისი აღმოჩნდა პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით განცხადების გაკეთება, რომ მას უკვე ჰქონოდა პოლიტიკური რეიტინგი სხვა პარტიებთან შედარებით *1. /“ამ შედეგის მიღწევაში დაგვეხმარა პაატა ბურჭულაძის*

[23] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D_%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_(2012)#.E1.83.A8.E1.83.94.E1.83.93.E1.83.94.E1.83.92.E1.83.94.E1.83.91.E1.83.98 (ნანახია 20.06.2017)

[24] http://www.ambebi.ge/politika/165301-vin-arian-paata-burtculadzis-gundis-akhali-sakheebi.html (ნანახია 20.062017)

პიროვნული ნდობის რეიტინგი საზოგადოებაში, მისი ცნობადობა.“ ნიკა მაჭუტაძე, პოლიტიკოსი/. 2. /„ბურჭულაძეს, პიროვნული რეიტინგი იყო მთავარი, რომელიც მან გაანიავა, მეტი კაპიტალი მაგ პარტიას არ ჰქონია. მას ჰქონდა ნდობა და ეს იყო კარგი სასტარტო პირობები.“ მერაბ მეტრეველი, ჟურნალისტი/.

✓ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ბოლო კვლევა ივნისის მდგომარეობას ასახავს. შედეგების მიხედვით, ,,ქართულ ოცნებას” 19 % ჰქონდა, 14 % „ნაციონალური მოძრაობას, მესამე ადგილს პაატა ბურჭულაძის პარტია _4% -ით იკავებდა, რომელსაც "პატრიოტთა ალიანსი" 3%-ით მოსდევდა. ამომრჩეველთა 38 %-მა არ იცოდა ხმას ვის მისცემდა.[25]

✓ „რუსთავი 2“-მა სოციოლოგიური კვლევის ჩატარება საერთაშორისო ორგანიზაცია GFK-ს დაუკვეთა. GFK-ს პირველი კვლევა ივნისის მონაცემებს ასახავს. ამ კვლევის მიხედვით, 5%-იან საარჩევნო ბარიერს ოთხი პარტია ლახავდა: „ქართული ოცნება“ – 22.4%, „ნაციონალური მოძრაობა“ – 21.7%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ – 7.8%, „თავისუფალი დემოკრატები“ – 6.2%. ბარიერს ვერ ძლევდნენ „ლეიბორისტული პარტია“ – 2.8%, „პატრიოტთა ალიანსი“ – 2.2%, ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ – 1.6%, „რესპუბლიკური პარტია“ – 0.6%.[26]

როგორც ვხედავთ, ივნისის კვლევაში ბურჭულაძის პოლიტიკური პლატფორმა რეიტინგით მესამე ადგილს იკავებდა ისეთი გიგანტი პარტიების შემდეგ, როგორიცაა „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“, უკან კი ჩამოიტოვა ისეთი პარტიები, როგორიცაა „რესპუბლიკელები, „თავისუფალი დემოკრატები“ და ა.შ. ეს არის კიდევ ერთი დადასტურება მისი ფიგურის გავლენისა.

წინასაარჩევნოდ ასეთი რეიტინგის მიუხედავად ბურჭულაძემ გამარჯვება ვერ მოიპოვა, სად დაუშვა შეცდომა? _ ამ კითხვაზე ექსპერტებს რამდენიმე პასუხი აქვთ. თუმცა უმთავრესია არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, 18 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ბურჭულაძე გაერთიანდა ბლოკში „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილ წევრებთან _ „გირჩთან და „ახალ

[25] http://factcheck.ge/article/qhvela-gamokithkhva-erthad-partiebis-tsinasaarchevno-reitingebi/ (ნანახია 07.07.2017)

[26] http://factcheck.ge/article/qhvela-gamokithkhva-erthad-partiebis-tsinasaarchevno-reitingebi/ (ნანახია 07.07.2017)

საქართველოსთან“, ასევე „ახალ მემარჯვენეებთან“. გაერთიანებას ეწოდა „პაატა ბურჭულაძე-მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ და მისი ლიდერი თავად ბურჭულაძე გახდა. ამ ნაბიჯით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მომღერლის მნიშნელოვანი როლი და უპირატესობა ბლოკში გაწევრიანებულ გამოცდილ პოლიტიკოსებთან მიმართებაში.[27] თუმცა, აქ უკვე საკმარისი აღარ აღმოჩნდა ბურჭულაძის ფიგურა და მისი გავლენა, ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრების შესახებ საზოგადოებაში გავრცელებულმა ნეგატიურმა შეხედულებებმა გადაფარა. შეიქმნა მოსაზრება, რომ ის პოლიტიკურ გარიგებაში იმყოფებოდა ყოფილ ექსპრეზიდენტთან. სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც პარტია არაერთმა წევრმა დატოვა, მათ შორის იყო საზოგადოებისთვის „ცნობილი სახე“, ჟურნალისტი მერაბ მეტრეველი, რომელიც ბლოკს ჯერ კიდევ არჩევნებამდე გაემიჯნა. /*“ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, განსაკუთრებით მაჟორიტარებად ისეთი დამიანები შეარჩია, რომლებიც ჩემთვის მიუღებელი იყო, გაერთიანდა ყოფილ ნაციონალებთან. მისი ხიბლი იქნებოდა, რომ ნეიტრალური ძალა გამოჩენილიყო „ნაცებსა“ და „ოცნებას“ შორის.“ მერაბ მეტრეველი, ჟურნალისტი*/. აზრს იმის შესახებ, რომ ბურჭულაძის ბლოკი „ნაციონალური მოძრაობის“ „სატელიტი“ პარტია იყო, კიდევ უფრო ამყარებდა, წინასაარჩევნოდ გავრცელებული ფარული სატელეფონო ჩანაწერები,[28] რომელშიც მსოფლიო ბანი, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწობილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას ესაუბრებოდა. ეს უკანასკნელი კი საქართველოს ექსპრეზიდენტის მეგობარი და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებული პირია /*”ბურჭულაძის განცხადებები ბუნდოვანს ტოვებდა იმას სად იდგა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ის აკრიტიკებდა ივანიშვილის შექმნილ ხელისუფლებას და არ აკრიტიკებდა სააკაშვილის დროინდელ ხელისუფლებას.“ რამაზ საყვარელიძე,ექსპერტი*/.

[27] http://www.interpressnews.ge/ge/paata-burtculadze-sakhelmtsifo-khalkhisthvis/393104-paata-burtculadzis-partia-da-vashadze-jafaridze-kacitadzis-bloki-gaerthianda.html?ar=A (ნანახია 20.062017)

[28] http://www.newposts.ge/?l=G&id=119017-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90,%20%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%AD%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94,%20%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98 (ნანახია 20.06.2017)

ბურჭულაძის მიერ ბლოკის შექმნის შემდეგ, მისი რეიტინგები წინასაარჩევნოდ ჩატარებულ კვლევებში ვარდნას განიცდიდა /*„ბურჭულაძე არ იყო თანმიმდევრული, უცებ რომ გაუჭირდა მოიწვია „გირჩი“, შემდეგ გაუშვა, ანუ დატოვა შთაბეჭდილება ადამიანისა, რომელმაც არ იცის რა უნდა, ბოლო ორ თვეში დაკარგა რეიტინგი.“ გია ნოდია, ექსპერტი*/.

✓ GFK-ის მეორე კვლევის საველე სამუშაოები აგვისტოში ჩატარდა. აგვისტოს მონაცემებით, გაიზარდა როგორც „ქართული ოცნების“ (25.8%), ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ (25.5%) რეიტინგი. შემცირდა „სახელმწიფო ხალხისთვის“ მხარდამჭერთა რაოდენობა 6.9%-მდე. ბოლო კვლევა კი GFK-მ შაბათს გამოაქვეყნა. კვლევის მიხედვით, მკვეთრად იკლო პაატა ბურჭულაძის პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობამ. შედეგები ასე გადანაწილდა: „ნაციონალურ მოძრაობას“ 26% უჭერს მხარს, „ქართულ ოცნებას“ – 25.4%, „ლეიბორისტებს“ – 3.8%, „თავისუფალ დემოკრატებს“ – 3.6%, „სახელმწიფო ხალხისთვის“ – 2.6%, „დემოკრატიულ მოძრაობასა“ და „პატრიოტთა ალიანსს“ – 1.5-1.5%, ხოლო „რესპუბლიკურ პარტიას“ – 0.7%.[29]

✓ JPM-მ სოციოლოგიური კვლევები ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით მოამზადა. საველე სამუშაოები ქართულმა კომპანიამ GORBI-მ ჩაატარა. გამოკითხვა ორჯერ, ჯერ – აგვისტოში, ხოლო შემდგომ სექტემბერში ჩატარდა. აგვისტოში „ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველთა 32% უჭერდა მხარს, „ნაციონალურ მოძრაობას“ კი – 16%. 4-4% ჰქონდათ „თავისუფალ დემოკრატებსა“ და „ლეიბორისტულ პარტიას“, 3% – მოძრაობას „სახელმწიფო ხალხისთვის“, ხოლო 2% – „პატრიოტთა ალიანსს“. პასუხზე უარი განაცხადა ან არჩევანში ჩამოყალიბებული არ იყო ამომრჩეველთა 34%. მეორე საველე კვლევა 16-24 სექტემბერს ჩატარდა. ამ დროს „გირჩი“ ჯერ კიდევ ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ წევრი იყო. სექტემბრის კვლევის თანახმად, „ქართულ ოცნებას“ 32.7% ემხრობოდა, „ნაციონალურ მოძრაობას“ – 12.8%. ბარიერს ვერ ლახავენ „თავისუფალი დემოკრატები“ – 3%, „ლეიბორისტული პარტია“ – 2.9%, „პატრიოტთა ალიანსი“ – 2.2%,

[29] http://factcheck.ge/article/qhvela-gamokithkhva-erthad-partiebis-tsinasaarchevno-reitingebi/ (ნანახია 07.07.2017)

„სახელმწიფო ხალხისთვის“ – 2.1%. არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, პასუხზე უარი თქვა ან გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული 41.3%-ს.[30]

ბურჭულაძემ არათუ ვერ მოიპოვა არჩევნებში გამარჯვება, არამედ მან ვერ შეძლო 5 %-იანი ბარიერის გადალახვაც კი, თუმცა ის გახდა კვალიფიციური სუბიექტი, მან მიიღო 3, 45 %, შესაბამისად იღებს სახელმწიფო დაფინანსებას.[31] ასეთ შედეგებს ექსპერტები ბურჭულაძის პოლიტიკური დილეტანტიზმითაც ხსნიან. ის იყო ოპერის პროფესიონალი მომღერალი, თუმცა სრულიად უნიჭო აღმოჩნდა პოლიტიკაში და ეს აისახა კიდეც არჩევნების შედეგებზე /*“განათლების არ არსებობა, მით უფრო პოლიტიკური საკითხები არის ერთ-ერთი ურთულესი დარგი, ამდენად დილეტანტიზმთან ერთად ნულოვანი მზაობა ამ ტიპის საქმიანობისა. მას ეამაყებოდა რომ მონათლა კანონიერი ქურდის შვილი, რომ მარიხუანა აფთიაქებში უნდა იყიდებოდეს, ამ ყველაფერის შედეგია ის, რაც მოხდა.“ ვალერიან გორგილაძე, ექსპერტი*/.

ბურჭულაძის პარტიაში რომ შიდაორგანიზაციული პრობლემები არსებობდა, ამას მისი გუნდის დღემდე მოქმედი ახალგაზრდა პოლიტიკოსიც აღიარებს და გარკვეულწილად საუბრობს პარტიაში გუნდის შეკრების ნეგატიურ გამოცდილებაზე. თუმცა, არჩევნებში დამარცხების ძირითად მიზეზად ხელისუფლების მხრიდან რეპრესიულ პოლიტიკას ასახელებს. ნიკა მაჭუტაძეს მიაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ ნეგატიურ ინფორმაციებს ავრცელებდა ბურჭულაძის წინააღმდეგ /*“ხელისშემშლელი ფაქტორი გახდა უამრავი რამ, მათ შორის უპირველესად ეს არის, სახელმწიფო მანქანასთან დაპირისპირება, რომელიც გულისხმობდა რეპრესიულ პოლიტიკას და ცილისმწამებლურ რეპრესიულ პოლიტიკას ამ ორგანიზაციის მიმართ. ამასთან ერთად იყო შიდაორგანიზაციული პრობლემები, რომლებმაც შეუძლებელი გახადა წარმატების მიღწევა..დატოვა გამოცდილება ნეგატიური იმის შესახებ თუ როგორ უნდა შეკრიბო გუნდი და როგორ არ უნდა შეკრიბო გუნდი.“ ნიკა მაჭუტაძე, პოლიტიკოსი*/.

---

[30] http://factcheck.ge/article/qhvela-gamokithkhva-erthad-partiebis-tsinasaarchevno-reitingebi/ (ნანახია 07.07.2017)

[31] http://netgazeti.ge/news/147052/ (ნანახია 07.06.2017)

დამარცხების შემდეგ ბურჭულაძემ მალევე დატოვა პარტია და საქართველო და ის კვლავ საკუთარ პროფესიულ საქმიანობას დაუბრუნდა. მან დატოვა პარტია, რომელიც დღემდე მის სახელთან ასოცირდება, თუმცა როგორც პარტიის წევრმა ნიკა მაჭუტაძემ ინტერვიუში განაცხადა, ბურჭულაძე პოლიტიკაში აღარასოდეს აღარ დაბრუნდება, ვინაიდან მან გაიგო თუ სად უნდა შეჩერებულიყო.

ცნობილი ადამიანები საარჩევნო კამპანიაში ბოლო საპარლამენტო არჩევნებში, ახალი პარტიებიდან მხოლოდ პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ პლატფორმას არ გამოუყენებია. მოგეხსენებათ, გასულ საპარლამენტო არჩევნებში ახალი პარტიებიდან ზღვარი გადალხა და საპარლამენტო მანდატის მოპოვება შეძლო პოლიტიკურმა სუბიექტმა სახელწოდებით „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“. მართალია, „პატრიოტთა ალიანსი“ 2012 წელს დაარსდა, თუმცა 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებში პირველად მიიღო მონაწილეობა. პარტიას სათავეში ჩაუდგა ჟურნალისტი ირმა ინაშვილი,[32] რომლის სახელიც 2012 წელს ციხის ფარული კადრების მოპოვებას უკავშირდება. მის მხარდამჭერებს შორის იყვნენ ქართული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, კერძოდ „ქუჩის ბიჭები“, ასევე ყოფილი ფეხბურთელი მანუჩარ მაჩაიძე.

პატრიოტების სიაში „ცნობილი სახეებიდან“ მოხვდნენ ჟურნალისტი და მწერალი ლალი მოროშკინა, მომღერალი ზურაბ ხაჩიძე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი კონსტანტინე გამსახურდია.

წინასაარჩევნო კვლევებში დიდი სარეიტინგო ქულებით არ გამოირჩეოდა „პატრიოტთა ალიანსი“, თუმცა ძირითად შემთხვევებში ის იღებდა 5 %-ს.

✓ ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) კვლევის საველე სამუშაოები 17 ნოემბრიდან 7 დეკემბრის პერიოდში ჩაატარა და ქვეყნის მასშტაბით 1881 ადამიანი გამოკითხა. NDI-ის ინფორმაციით, საპარლამენტო არჩევნები ხვალ რომ ჩატარდეს, გამოკითხული ამომრჩეველის 60%-ს არ აქვს გადაწყვეტილი ვის მისცემს ხმას, 35% კი

[32] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98 (წანახია 20.062017)

ამისთვის მზად არის და საკუთარი ხმის ადრესატიც შერჩეული ჰყავთ. ამ ადამიანების მესამედი (30%) ამბობს, რომ მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მმართველი კოალიცია "ქართული ოცნებაა", 25%-სთვის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", თავისუფალი დემოკრატების მოსაზრებებს 12%-ი იზიარებს, ექვს-ექვს პროცენტს ინაწილებენ ლეიბორისტული პარტია და გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა, ხოლო საქართველოს პატრიოტთა ალიანსის თანამოაზრე, ვისაც მყარი გადაწყვეტილება აქვს მიღებული – 5 პროცეტია.[33]

✓ "საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის" (IRI) კვლევის შედეგები 2015 წლის 25 მარტს გახდა ცნობილი, მაშინ პარტიების რეიტინგში კოალიცია ,,ქართული ოცნება" ხმათა 36 %-ით ლიდერობდა, მას "ნაციონალური მოძრაობა" მოსდევდა 14 %-ით. მესამე ადგილს 10 %-ით "თავისუფალი დემოკრატები" იკავებდნენ. "ლეიბორისტები" -6%, "დემოკრატიული მოძრაობა" - 5%, "საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"- 5%.[34]

პარტიას თავიდანვე გაჟღერებული ჰქონდა რუსეთის მიმართ რბილი ტონი და მასთან ურთიერთობების დათბობის სურვილი. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში მოსახლეობის უმრავლესობა დასავლეთისკენ ისწრაფვის, „პატრიოტთა ალიანსის" წინასაარჩევნო სარეიტინგო ქულები პირადპირპროპორციული აღმოჩნდა მსგავსი ორიენტაციის ადამიანების რიცხოვნობასთან. აღნიშნულმა გაერთიანებამ არჩევნებში, 8 ოქტომბერს არჩევნებამდე ჩატარებული კვლევების შედეგები გაამართლა და 5 %-იანი ბარიერი გადალახა.

❖ ცესკოს მონაცემებით, პარლამენტის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 513 884-ს შეადგენდა, პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობამ 1 825 054 შეადგინა. არჩევნების საბოლოო შედეგების მიხედვით საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული მანდატების ჯამური რაოდენობა ასეთია:

- №41 - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" - 115; 76, 7%
- №5 - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" - 27; 18%

[33] http://dlmn.info/ge/ndi-is-politikuri-reitingi-vin-ibrzolebs-xmebis-60-procentistvis/ (ნანახია 20.06.2017)
[34] http://1tv.ge/ge/news/view/92049.html (ნანახია 20.06.2017)

- №8 - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია” - 6; 4%
- №19 - „თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო” - 1; 0,7%
- №42 - საინიციატივო ჯგუფი (დამოუკიდებელი კანდიდატი) - 1. 0,7%

„პატრიოტთა ალიანსის“ ასეთი შედეგი ირმა ინაშვილის ფიგურამ განაპირობა. /“ *თუკი პერსონალურ ფაქტორებზე გვაქ საუბარი, პერსონალურმა რეიტინგმა რომელმა შეძლო პატრიოტების გადმოყვანა აქეთ, ეს არ არის არც თარხან მოურავი, არც სხვა წევრი, ეს არის რა თქმა უნდა ირმა ინაშვილი“. ვალერიან გორგილაძე, ექსპერტი/.* პრორუსული ორიენტაციის პარტიად ნინო ბურჯანაძის პარტიასაც ვიცნობთ, თუმცა ის არაერთი მცდელობის მიუხედავად, როგორც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი პარლამენტში ვერ მოხვდა. რა ჰქონდა განსაკუთრებული ირმა ინაშვილს? _ გარდა იმისა, რომ მას საზოგადოება ეკრანიდან იცნობდა, როგორც ჟურნალისტს, გამორჩეული იყო ხმამაღალი განცხადებებით, აკრიტიკებდა თურქეთს და დასავლეთს, ახასიათებდა პოპულისტური განცხადებები და იყო პარტია, რომელიც მუდმივ რეჟიმში „ნაციონალურ მოძრაობას“ აკრიტიკებდა და მათი ყოფილი მაღალჩინოსნების დასჯას მოითხოვდა, შესაბამისად მისი წინასაარჩევნო დაპირება იყო სამართლიანობის აღდგენა. რითაც ფაქტობრივად მოახერხა იმ ადამიანების მიმხრობა, ვინც გარკვეულწილად „განაწყენებული“ იყო 9 წლიანი მმართველობის შემოქმედებზე /*„თავიანთი ქმედებებით შეიქმნეს იმიჯი, მაგალითად ნაცების მოწინააღმდეგეების სახელით გაიცნო საზოგადოებამ“. გია ნოდია, ექსპერტი/*

მაშასადამე, ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ ცნობილ სახეს შეუძლია პარტიას გამარჯვება მოუტანოს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სწორი სამოქმედო გეგმა, რომელიც უპირველეს ყოვლისა გულისხმობს, აუდიტორიის მოთხოვნების ცოდნას. ეს მოახერხა ბიძინა ივანიშვილმა და ასევე, ირმა ინაშილმაც მისი მცირე აუდიტორიის გათვალისიწინებით, რაც შეეხება პაატა ბურჭულაძეს, ის პოლიტიკაში მოგვევლინა, როგორც „ფუტლიარი“.

§3.3 წინასაარჩევნო მხარდაჭერა „ჯილდოს“ სანაცვლოდ?!

კვლევამ დაადასტურა ის, რომ „ცნობილ სახეებს“ ახალი პოლიტიკური პარტიებისთვის მოაქვთ ნდობა და რეიტინგი, თუმცა ისმის კითხვა: რას იღებენ სანაცვლოდ ეს ადამიანები? _ პასუხის მისაღებად საკმარისია გადავხედოთ საარჩევნო სიას და არჩევნების შემდგომ პერიოდს.

2012 წელს კოალიციის საარჩევნო სია სწორედ „ცნობილი სახეების“ არსებობით გახდა დასამახსოვრებელი. 200 კანდიდატისგან შემდგარი სიის რიგით პირველი ნომერი ყოფილი ფეხბურთელი კახა კალაძე იყო, რომელიც კოალიციაში „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ წარმოადგენდა, 44-ე ნომრად, ასევე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სახელით წარდგენილი კინორეჟისორი ერეკლე ტრიპოლსკი. მას 51 ნომრად „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წარდგინებით მოსდევდა მთარგმნელი ზაზა ჭილაძე, რომელიც ცნობილი იყო არამხოლოდ მის მიერ თარგმნილი ნაწარმოებებით, არამედ ქართველი კლასიკოსი მწერლისა და პოეტის ოთარ ჭილაძის შვილის სტატუსითაც. 54 ნომრად მოგვევლინა თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი პაატა ბარათაშვილი, უპარტიო ნიშნით, შემდეგ ადგილს ისევ უპარტიოდ წარდგენილი, ფოტოგრაფი იური მეჩითოვი იკავებდა. კანდიდატთა შორის 57 ნომერი „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრ უკვე ყოფილ მოჭიდავეს, ოლიმპიურ ჩემპიონს ლერი ხაბელოვს ეკუთვნოდა. კანდიდატთა პროფესიულის სპექტრი საკმაოდ ფართო იყო, მე-60 ნომრად „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატებიდან“ ექიმი თამაზ შიოშვილი მოგვევლინა. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მხრიდან 67-ე ნომერი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი თენგიზ ხუბულური იყო. ამავე პარტიის სახელით 75-ე ნომრად წარდგენილ იქნა მსახიობი და რეჟისორი მანანა ბერიკაშვილი. კვლავ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სახელით 77-ე ნომრად ძიუდოისტი შოთა ხაბარელი დაფიქსირდა, 81 ნომრად _ მსახიობი და რეჟისორი ზაზა პაპუაშვილი, 83-ე ნომრად _ ყოფილი ფეხბურთელი და მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა, 85-ე _ დრამის რეჟისორი გიორგი ქავთარაძე, 87-ე _ ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური, 93-ე _

თავისუფალი სტილით მოჭიდავე, ჩემპიონი ელდარ კურტანიძე, 95-ე _ მსახიობი იოსებ ჯაჭვლიანი, 105-ე _ რეჟისორი ალექსანდრე ქანთარია, 107-ე _ ქორეოგრაფი და მოცეკავე ვლადიმერ აჩბა, 117-ე _ მომღერალი თეიმურაზ ჭკუასელი.[35]

ახალ პოლიტიკურ პარტიების მენეჯმენტს ჯერ კიდევ კამპანიის დაწყებამდე აქვს განსაზღვრული, რომელი „ცნობილი სახე“ სურს იხილოს მის საარჩევნო სიაში, რის შემდეგაც მიმართავენ ამ ადამიანებს. კვლევამ ცხადყო, რომ „ცნობილი სახეები“ ძირითადად გარკვეული შეთავაზებების სანაცვლოდ უცხადებენ პარტიებს მხარდაჭერას, ისინი პოლიტიკაში მოდიან მეტი ძალაუფლების მისაღებად, ან უბრალოდ პროფესიის შესასცვლელად, თუმცა „ახალი პროფესია“ უნდათ თუ არ უნდათ მაინც ძალაუფლებას უკავშირდება *1. /“ცნობილები“ სანაცვლოდ იღებენ იმას, რომ: პროფესიის შეცვლა, ლტოლვა ძალაუფლებისკენ, რაციონალური მოტივი, რომელიც დაგროვილ ცოდნას უკავშირდება და ამ ცოდნის განხორციელება შეიძლება პოლიტიკის მეშვეობით, ზოგს ამბიცია უნდა, ზოგს სტატუსი სჭირდება, რა თქმა უნდა ყველაფერი რაღაცის სანაცვლოდ კეთდება“. ვალერიან გორგილაძე, ექსპერტი/ 2. /“ცნობილი სახის“ შემთვევაში არსებობს მერკანტილური მხარე, ფინანსური ინტერესები, ელემენტარული პატივმოყვარეობა. თვლიან რომ დეპუტატობით მეტს მიაღწევენ“. გია ნოდია, ექსპერტი/.*

ძირითად შემთხვევებში, არჩევნების დასრულების შემდეგ ასეთ სახეებს ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა თანამდებობებზე, მაგ: 2012 წლიდან 5 წლის განმავლობაში ენერგეტიკის მინისტრის პოსტს კახი კალაძე იკავებდა, პოსტის დატოვების მიზეზი კი ახალი თანამდებობისთვის, დედაქალაქის მერობისთვის ბრძოლა გახდა. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევები მაგ: ნინელი ჭანკვეტაძე, ქეთი დოლიძე, კახი კავსაძე და ა.შ. მათ არჩევნების დასრულების შემდეგ კვლავ თავიანთ პროფესიულ სფეროში ვხედავთ.

არჩევნებში „პაატა ბურჭულაძე-მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ დამარცხების მიზეზით, „ცნობილ სახეებს“ არ მიეცათ თანამდებობაზე ყოფნის

[35] http://cesko.ge/res/old/other/11/11134.pdf (წანახია 20.06.2017)

უფლება. თუმცა, უშალოდ ერთ-ერთ მათგანთან, ჟურნალისტ მერაბ მეტრეველთან საუბრისას, გავარკვიეთ რომ პარტიაში მისვლისას თავიდანვე შეთანხმებული იყო, რომ ის სიაში გამსვლელ ადგილზე მოხვდებოდა /„დავთანხმდი იმიტომ, რომ ყელში იყო ჟურნალისტობა, დგება მომენტი როცა გინდა რაღაც ახალი აკეთო, გუნდიც კარგი იყო ერთი შეხედვით, თუმცა შიგნით სიტუაცია სხვაგვარი დამხვდა. *სანაცვლო შეთავაზება იყოს ის, რომ სიაში გამსვლელ ადგილზე უნდა ვყოფილიყავი". მერაბ მეტრეველი, ჟურნალისტი*/.

მაჟორიტარი-დეპუტატობის კანდიდატებად „ცნობილი სახეებიდან" ჟურნალისტი ლალი მოროშკინა და მომღერალი ზურა ხაჩიძე წარდგენილი ყავდა „პატრიოტთა ალიანსსაც", თუმცა არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე პოლიტიკური სტატუსი ვერც მათ შეიძინეს.

§3.4 პარტიების ინსტიტუციონალიზაციისა და ელექტორატის ცნობიერების დონე საქართველოში

როგორც კვლევამ დაგვიდასტურა, „ცნობილი" სახის" ფაქტორი წინასაარჩევნოდ აპრობირებული და წარმატებული მეთოდია, ვინაიდან ის ქართველი ელექტორატის უმრავლეობაზე ახდენს გავლენას. ამომრჩეველი, რომელიც პოლიტიკურ არჩევანს კამპანიაში ჩართული მსახიობის ან ფეხბურთელის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური სუბიექტის სასარგებლოდ აკეთებს, ექსპერტების მხრიდან შეფასებულია, როგორც არარაციონალურად, პროვინციალურად მოაზროვნე, დაბალი ცნობიერების მქონე ადამიანი. კვლევა ცხადყოფს, რომ ასეთი ამომრჩეველი არ არის პოლიტიკურად განათლებული და ის მარტივად ექცევა სხვადასხვა წინასაარჩევნო მანიპულაციების ქვეშ, მსგავსი მოწყვლადი მასა კი ქვეყნის უმეტეს ნაწილს შეადგენს *1. /"ელექტორატი _ ნაკლებადგანათლებული, ნაკლებად რაციონალურად უყურებს პოლიტიკას, რასაც იყენებენ პარტიები". გია ნოდია, ექსპერტი/. 2. /"არარაციონალური, გაჭირვებული, გაბრაზებული, გაუნათლებელი ან განათლების დაბალი ცენზის მქონე, ანალიზის უნარის არ მქონე, დასკვნების გაკეთების შესაძლებლობების არ მქონე ამომრჩეველზე*

ახდენს გავლენას „ცნობილი სახე“. ვალერიან გორგილაძე, ექსპერტი/. 3. /“ცნობილი სახე ჩემზე გავლენას არ ახდენს, ჩემთვის საყვარელი ცნობილი სახეც რომ იყოს. იმიტომ რომ ჩემთვის მთავარია რამდენად კომპეტენტურია. ჩემს ირგვლივ ადამიანებზე გავლენას ახდენს არაპოლიტიკოსი ცნობილი სახეები, ესაა საშუალო და დაბალი ფენა, გაუნათლებლობა.“ ნუგზარ მჭედლიშვილი, ელექტორატი, 56 წლის/.

ინტერვიუში გამოკითხული ელექტორატი არ ადასტურებს, რომ ხმა „ცნობილი სახის“ გამო მისცეს ამა თუ იმ პარტიას, თუმცა კითხვაზე ახდენს თუ არა მათ ირგვლივ მყოფ ადამიანებზე არჩევანის გაკეთების საკითხში „ცნობილი სახის“ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა, დადებით პასუხს იძლევიან.

ამომრჩეველთა პოლიტიკურ გაუნათლებლობა ურთიერთკავშირშია ქვეყანაში არსებულ სუსტ პარტიულ ინსტიტუციონალიზაციასთან. გამოკითხული ექსპერტები ცალსახად აფიქსირებენ აზრ, რომ საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური კულტურა და სუსტია პარტიული ინსტიტუციონალიზაცია. პარტიებს ხშირ შემთხვევებში არ აქვთ ზუსტი იდეოლოგიური მიმართულება განსაზღვრული, გარდა ამისა ისინი ამომრჩევლებს ერთმანეთისგან განსხვავებულს არაფერს სთავაზობენ და მათი პროგრამები ტრივიალური შინაარსისაა. სწორედ ასეთი გარემო ჰქმნის კამპანიაში სხვა სფეროდან რესურსის მოძიების აუცილებლობას. პოლიტიკოსებმა, რომელთა გვერდითაც წინასაარჩევნოდ არაერთი „ცნობილი სახე“ ვიხილეთ, სიღრმისეული ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ მათ გარეშე იმ რაოდენობის ხმებს ვერ მოიპოვებდნენ, რაც არჩევნების დღეს მოიპოვეს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის აღიარებითი განცხადება პოლიტიკოსების მხრიდან *1. /“პოლიტიკური პარტიები ვერ შეიქმნა, ნამდვილი რეალური სოციალური ინტერესების გამომხატავი, ბიზნესის ინტერესებშია და ყურადღების მიპყრობას ცდილობენ მარკეტინგული ნაწილით. ეს მიანიშნებს პარტიების სუსტ ინსტიტუციონალიზაციაზე“. გია ნოდია, ექსპერტი/ 2. /“პარტიები საქართველოში თავისი ინსტიტუციური გაგებით, თავისი იდეური კორპუსის გაგებით, თეორიული კორპუსის გაგებით, თავიანთი სტრუქტურული გაგებით, პრაგმატული ნაწილით, იდეური ნაწილით, ეს პარტიები არ არსებობს.“ ნიკა მაჭუტაძე, პოლიტიკოსი/. 3. /“სუსტ პარტიულ ინსტიტუციონალიზაციაზე, არავინ დავობს, რომ ქართული პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სისტემა ჯერ-*

ჯერობით არ არის ისეთი ჩამოყალიბებული რომ ე.ი. პოლიტიკური სიმპატია ანტიპატიები იყოს გამოწვეული პარტიის, პარტის პროგრამით და ა.შ.“ გუგული მაღრაძე, პოლიტიკოსი/.

ამგვარად, პარტიები განაგრძობენ „სხვა“ სფეროებიდან ადამიანების შემოკრებას, სანამ შიდაორგანიზაციულად არ გაძლიერდებიან და ამ გზით არ გახდებიან ერთმანეთის კონკურტები. მანამდე კი საზოგადოებას მოუწევს პოლიტიკაში „გადაბარგებული“ პოპულარული ადამიანების მხრიდან იმედგაცრუების ატანა. კვლევა ადასტურებს, რომ ძირითად შემთხვევაში „ცნობილი სახეები“ პოლიტიკაში ვერ ამართლებენ საზოგადოების მოლოდინებს, თუმცა, რესპოდენტები გამონაკლისად კახა კალაძეს ასახელებენ და აცხადებენ, რომ გარკვეულწილად პოლიტიკას ალღო აუღო.

“ქართულ ოცნებაში“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დაანონსეს, რომ კოალიციის საარჩევნო სიაში სპორტსმენები, რეჟისორები და მსახიობები სავარაუდოდ აღარ იქნებოდნენ და აქცენტი იურისტებსა და ეკონომისტებზე გაკეთდებოდა. ერთი მხრივ ამ განცხადების გაკეთების საფუძველი ის იყო, რომ პარტიას უკვე ჰქონდა ცნობადობაც და რეიტინგიც, ამიტომ მისთვის აღარ იყო მნიშნელოვანი ცნობილი სახეების გამოყენება. მეორე მხრივ კი, პარტიას ცუდი გამოცდილება ჰქონდა სპორტსმენებისა და მსახიობებისთვის საპარლამენტო მანდატის მინიჭების კუთხით. მაგ: მსახიობმა სოსო ჯაჭვლიანმა ოპონენტისთვის ნათქვამი შეურაცხმყოფელი სიტყვებით დაამახსოვრა თავი საზოგადოებას,[36] გარდა ამისა, მან ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხთან მიმართებით უცოდინრობაც გამოამჟღავნა და მედიის ცხარე კრიტიკის საგანი გახდა.[37] /*“2016 წელს ნაკლები რაოდენობის ცნობილისახე გამოვიყენეთ იმიტომ რომ პარტიას უკვე ჰქონდა რეიტინგი“. გუგული მაღრაძე, პოლიტიკოსი/.*

[36] http://www.myvideo.ge/v/2207815 (ნანახია 20.06.2017)
[37] http://www.interpressnews.ge/ge/politika/339801-soso-jatcvliani-me-qibiardzeq-verasodes-ver-viqnebi-erthguli-meughle-var.html?ar=A (ნანახია 20.062017)

§3.5 „ცნობილი სახეები“ საარჩევნო კამპანიაში დამოუკიდებელი საქართველოს გზაზე

საქართველოს დამოუკიდებლობის დასაწყისში, ქვეყანაში არ არსებობდა პოლიტიკური ელიტა, რაც გახდა მიზეზი პოპულარული ადამიანების მხრიდან პოლიტიკაში ჩართულობის. ეს ადამიანები საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი „ცნობილი სახეები“ იყვნენ. მაშინ ჩამოყალიბებული პოლიტიკური მოძრაობის სათავეში იდგა ცნობილი დისიდენტი, მწერალი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, რომლის მიმართაც საზოგადოება ნდობით იყო განმსჭვალული. მის რეიტინგსა და საზოგადოების მხრიდან კეთილგანწყობას ხელს ისიც უწყობდა, რომ ის იყო ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟი. მისი არჩევნებში გამარჯვების საკითხში დიდი წვლილი შეიტანეს პოპულარულმა ადამიანებმა _ მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე, გურამ პეტრიაშვილი, ლია ელიავა, ოთარ კობერიძე, ლატავრა ფოჩიანი, ელდარ შენგელაია, მურმან ლებანიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, ჯანსუღ ჩარკვიანი და სხვები აქტიურად იყვნენ ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ცნობილი სახეების პარტიულ სიებში შეყვანა და მათი აქტივობა წინასაარჩევნოდ, იყო ერთადერთი PR ტექნოლოგია, ვინაიდან 1990-1991 წლების არჩევნები ნამდვილად არ იყო გამორჩეული პოლიტიკური რეკლამებით (ჭუმბურიძე, 2016).

საარჩევნო მარკეტინგის _ რეკლამების, მათ შორის კლიპების შექმნა მე-20 საუკუნის მიწურულს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების პერიოდიდან დაიწყო. მაგ: 1999 წელს „მოქალაქეთა კავშირის“ მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა სარეკლამო კლიპი “გიხაროდენ”, რომელშიც ქართველი პოპულარული მომღერლები ოპტიმისტური სიმღერით მოუწოდებდნენ ამომრჩეველს არჩევანი „მოქალაქეთა კავშირზე“ გაეკეთებინათ. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით ედპ–ს შემთხვევაში, რომლის მხარდასაჭერად შექმნილ საარჩევნო კლიპებში მომღერალი „უცნობი“ მონაწილეობდა. კლიპი ეფექტური არ აღმოჩნდა, ამის მიზეზად კი დასახელდა ის, რომ კლიპი იყო რიგითი მოქალაქეებისთვის გაუგებარი შინაარსის და მხოლოდ ელიტაზე იყო გათვლილი (ჭუმბურიძე, 2016).

საარჩევნო კამპანია პოპულარული სახეების განსაკუთრებული სიჭარბით გამოირჩეოდა 2003 წელს, ესეც სწორედ ის პერიოდი იყო, როდესაც ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი სუფევდა. საზოგადოებას პოლიტიკოსების ნდობა დაკარგული ჰქონდა, ამიტომ პოპულარული ადამიანების ჩართვა პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთადერთი ოპტიმალური გადაწყვეტილება იყო ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. მაგ: ჭადრაკში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა საკუთარი პოლიტიკური მომავალი "ახალ მემარჯვენეებს" დაუკავშირა, „მემარჯვენეებს" მუდმივ მხარდაჭერას უცხადებდა მომღერალი „უცნობი", რომელიც პარტიის მაშინდელი ლიდერებიდან ერთ-ერთის ლევან გაჩეჩილაძის ძმაა. თუმცა, „მემარჯვენეების" მხრიდან შევარდნაძისთვის გამოცხადებულმა სოლიდარობამ და გაყალბებული არჩევნების აღიარებამ მათი რეიტინგის ვარდნა გამოიწვია (ჭუმბურიძე, 2016). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამარჯვებისთვის ბრძოლაში მხოლოდ ცნობილი სახის ფაქტორი არ არის გადამწყვეტი, თუმცა თუ ამ ფაქტორთან სწორი სამოქმედო გეგმის თანარსებობის შემთხვევაში მიზნის მიღწევა გარანტირებულია.

„მემარჯვენეების" გარდა ცნობილი სახეები მრავლად იყვნენ სააკაშვილის პარტიაშიც. ევერესტის პირველი ქართველი დამპყრობი გია თორთლაძე და "დინამოს" ექსფორვარდი ვლადიმერ გუცაევი მიხეილ სააკაშვილს უცხადებდნენ მხარდაჭერას და ნაციონალური პარტიის სიებშიც მოხვდნენ, "ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო კამპანიაში აქტიურად მონაწილეობდნენ შოუ ბიზნესის წარმომადგენლები. მისი სახე გახდა და საპარლამენტო მანდატიც მოიპოვა მომღერალმა გოგა ხაჩიძემ. პარტიას აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდნენ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც (ჭუმბურიძე, 2016).

„ლეიბორისტების" მთავარი სახე კი იყო ცნობილი რეჟისორი და მწერალი გოდერძი ჩოხელი, რომელიც პარტიული სიაში მესამე ნომერს იკავებდა. ჩოხელს გაცხდებული ჰქონდა თავის მიზანი პოლიტიკაში მოსვლასთან დაკავშირებით. მას პარლამენტარის სტატუსის გამოყენება ქართული კინოს აღორძინებისთვის სურდა. პარტიის წევრი იყო კიდევ ერთი ცნობილი მსახიობი, გერმანიაში მოღვაწე რეზო ჩხიკვიშვილი, რომელიც პოლიტიკაში მოსვლის მიზეზად საქართველოსა და გერმანიას

შორის ურთიერთობის გამყარებას ასახელებდა. პარტიის მხარდამჭერი იყო და მისი სახელით სენაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად მოგვევლინა ცნობილი მომღერალი ეთერ კაკულია. თუცა, „ვარდების რევოლუციისგან“ განდგომამ და გაყალბებული არჩევნების აღიარებამ „ლეიბორისტების“ წარუმატებლობა განაპირობა. უკვე მოგვიანებით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს, პარტიამ დედაქალაქის მერობის კანდიდატად მსახიობი ასმათ ტყაბლაძე წარადგინა, თუმცა გამარჯვებას ვერც მანდილოსანმა არტისტმა მიაღწია (ჭუმბურიძე, 2016).

“ბურჯანაძე-დემოკრატების” სიაში მეოთხე ნომერს იკავებდა ელდარ შენგელაია, რომელსაც 1995 წლიდან მოყოლებული საპატიო ადგილი ეკავა პარლამენტში და სხვადასხვა პოლიტიკური ძალის ცნობილ სახედ მოიაზრებოდა. პარტიისთვის ამღერდა ნანი ბრეგვაძის ოჯახი და თემურ თათარაშვილიც, რამაც პარტიას სოლიდური იმიჯი შეუქმნა. გარდა ამისა, სარეკლამო კლიპში მხატვარი გია ბუღაძე მოუწოდებდა ერს “დახატეთ სამშობლო”. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა “აღორძინების” “პოპულარილი სახე” – დათო ხუჯაძე, რომელიც სიის ათეულში იმყოფებოდა და მაჟორიტარად ვაკეში იყო წარდგენილი. მისი კანდიდატურა გათვლილი იყო ახალგაზრდა ელექტორატის მოსაზიდად. თუმცა, ხუჯაძის მსმენელთა რიგებს ძირითადად თინეიჯერები შეადგენდნენ, რომელთაც ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდათ, უფროს თაობას კი აღორძინება სულაც არ მოსწონდა, ამიტომ ხუჯაძის საარჩევნო კამპანიაში ჩართვას არც პარტიისთვის და არც პირადად მისთვის სიკეთე არ მოუტანია. ის მანამდე ზურაბ ჟვანიას უჭერდა მხარს, 2003 წლის არჩევნებში ასლან აბაშიძის გვერდითაც იდგა (ჭუმბურიძე, 2016).

საკითხი აქტუალურია ამ მომენტისთვისაც. საქართველო თვითმმართველობის არჩევნების მოლოდინშია და უნდა ითქვას, რომ წინ პოლიტიკურად ცხელი ზაფხული გველის. გარკვეული პარტიიების მხრიდან დედაქალაქის მერობის კანდიდატების ვინაობა უკვე დასახელებულია. მმართველი გუნდისა და ერთ-ერთი ძლიერი ოპოზიციური პარტიის მხრიდან კენჭს „ცნობილი სახეები“ იყრიან. „ქართული ოცნება“ _ ყოფილი ფეხბურთელი კახი კალაძე[38], რომელიც ამჟამად ენერგეტიკის მინისტრის

[38] http://accent.com.ge/ge/news/details/35140-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83

პოსტს იკავებს და „ნაციონალური მოძრაობა“ _ 25 წლიანი წარმატებული კარიერის მქონე ჟურანალისტი ზაალ უდუმაშვილი[39]. ხაზგასასმელია ის, რომ კალაძე უკვე 5 წელია პოლიტიკაშია და შესაძლოა საზოგადოებას მის მიმართ ნდობა შემცირებული ჰქონდეს, ხოლო უდუმაშვილს არავითარი პოლიტიკური წარსული არ ჰქონია და არაა გამორიცხული აღიქმებოდეს, როგორც „სუფთა“ და სასურველი კანდიდატი. ჯერ უცნობია, წლევანდელი თვითმმართველობის არჩევნები მხოლოდ ამ ორი „ცნობილი სახით“ შემოიფარგლება თუ სხვა პარტიებიც პოპულარული სახეების გამოყენებით იბრძოლებენ. ფაქტი ერთია, რომ ეს მარკეტინგული მოდელი თანამედროვე მსოფლიოში წლებთან ერთად სულ უფრო მეტად გამოყენებადი ხდება.

%A1%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98 (წანახია 21.06.2017)

[39]http://primetime.ge/news/63303-%E1%83%96%E1%83%90%E1%83%90%E1%83%9A-%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98 (წანახია 21.06.2017)

დასკვნა

საარჩევნო კამპანიაში პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველთა კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით, პიარ ტექნოლოგიების არაერთ მეთოდს მიმართავენ, თუნდაც ის გარკვეულ წესებს არღვევდეს. საქართველოს მაგალითზე უნდა ითქვას, რომ ერთ-ერთი ყველაზე აპრობირებული მეთოდი პარტიის რეიტინგის მოსაპოვებლად, კამპანიაში „ცნობილი სახეების“ გამოყენებაა, ანუ ადამიანების, რომელთაც სახელი სხვა რომელიმე სფეროში მოიხვეჭეს და საზოგადოების პატივისცემა დაიმსახურეს. ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, არაპოლიტიკოსი პოპულარული ადამიანებიდან, საარჩევნო აქტივობებში და ზოგადად პოლიტიკაში, ძირითადად ჩართულები არიან სპორტისა და შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, თუმცა პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში ჩაბმის შემთხვევები ყოფილა ბიზნესმენთა მხრიდანაც.

„ცნობილი სახეების“ უპირატესობა პოლიტიკოსებთან მიმართებაში ისაა, რომ საზოგადოების თვალში ნდობა გააჩნიათ, რაც არამხოლოდ საკუთარი პროფესიული წარმატების დამსახურებაა, არამედ განპირობებულია იმითაც, რომ მათ პოლიტიკურ საქმიანობასთან შეხება არასდროს ჰქონიათ. რატომ? _პასუხი მარტივია, პოლიტიკა, მსოფლიოში გავრცელებული კლიშეს თანახმად, ბინძურ საქმიანობასთან ასოცირდება. საქართველოში კი შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დარგის მიმართ უნდობლობა განსაკუთრებით დიდია, ჩვენ მუდმივად ვხედავთ და გვესმის საზოგადოების უკმაყოფილება პოლიტიკოსების მხრიდან იმედგაცრუებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, არაპოლიტიკოსი პოპულარული ადამიანი ამომრჩეველზე ზემოქმედების ერთ-ერთი შეუდარებელი მეთოდია. მითუმეტეს, როცა საქმე ახალ პოლიტიკურ სუბიექტს ეხება, რომლის წინაშეც მთავარი გამოწვევა ცნობადობის მოპოვება და რეიტინგის ამაღლებაა, ამის შეძენა კი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით შესაძლებელია „ცნობილი სახისგან“. ვგულისხმობ იმას, რომ ძირითად შემთხვევებში, „ცნობილი სახისთვის“ არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ პარტიის მიერ გარკვეულ შეთავაზებებს აქვს ადგილი.

თანამედროვე მსოფლიოს გამოცდილება ცხადყოფს, რომ ძირითად შემთხვევებში „ცნობილი სახეები“ მხოლოდ საარჩევნო კამპანიაში გამოიყენებიან. ისინი დადგენილი ვადების განმავლობაში საკუთარი პროფესიული საქმიანობის პარალელურად აკეთებენ

პოლიტიკურ განცხადებებს, კამპანიის დასრულების შემდეგ კი საკუთარ რუტინას უბრუნდებიან. ეს ნიშნავს იმას, რომ უცხოური საზოგადოება, მაგალითად ამერიკელები აქცენტს აკეთებს პროფესიონალ პოლიტიკოსებზე და მათთვის არ არიან მოთხოვნადები არაპოლიტიკოსი „პოპულარული სახეები“, ეს ყველაფერი კი მეტყველებს იმაზე, რომ დასავლური ელექტორატი მეტად განვითარებული და პოლიტიკურად განათლებულია. რაც შეეხება საქართველოს, კვლევამ დაგვიდასტურა, რომ ჩვენი ამომრჩეველი ზოგადი თუ პოლიტიკური განათლების ნაკლებობას განიცდის, მათთვის არ არის გადამწყვეტი იდეოლოგია და არჩევანის გაკეთება პირად ნაცნობაბასა თუ პიროვნებისგან გამოწვეულ ემოციებზეა დამყარებული.

კვლევამ კიდევ ერთი პრობლემა გამოკვეთა _ სუსტი პარტიული ინსტიტუციონალიზაცია. პარტიებს არ აქვთ განსაზღვრული თავიანთი იდეოლოგია და მისი წევრებისთვის აღნიშნული საქმიანობა გარკვეულწილად, ბიზნესია. ხაზგასასმელია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს გამოცდილებიდან გამომიდნარე, პარტიული სისტემა ქვეყანაში ძნელად ვითარდება, ამის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევი მიზეზი კი ექსპერტების განცხადებით საბჭოური წარსულია.

ჩვენი საკვლევი ობიექტი იყო ახალი პოლიტიკური პარტიები, რომელთაც ცნობადობის ამაღლების მიზნით საარჩევნო კამპანიაში „ცნობილი სახეები“ ჩართეს, საკვლევი პერიოდი კი მოიცავს 2012-2016 წლებს. ინტერვიუებიდან განსაკუთრებით საინტერესო იყო მმართველი პარტიის, „ქართული ოცნების“ წევრის გუგული მაღრაძის პასუხი კითხვაზე: რატომ აღარ გამოიყენა პარტიამ, მისთვის მეორე საპარლამენტო არჩევნებში იმ რაოდენობით ცნობილი სახე, რამდენიც პირველ ჯერზე? _ პასუხად რესპოდენტმა ცალსახად განაცხადა, რომ პარტიას ხელისუფლებაში მოსვლიდან 4 წლის შემდეგ უკვე მაღალი რეიტინგი, ნდობა და ცნობადობა ჰქონდა, შესაბამისად აღარ საჭიროებდა „გაპიარების“ მიზნით კამპანიაში პოპულარულ ადამიანებს. ეს სიტყვები ამართლებს ჩემი კვლევის ჰიპოთეზას, რომ „ცნობილ სახეებს“ ახალი პოლიტიკური პარტიები რეიტინგის ამაღლების მიზნით იყენებენ.

კვლევა მოიცავს იმ ახალი პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო რეიტინგებს, რომელთაც კამპანიაში „ცნობილი სახეები“ გამოიყენეს. რეიტინგები კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ პოპულაროული ადამიანები პარტიებს რეიტინგის

ამაღლებაში ეხმარებიან, თუმცა ჩვენ ცალსახად ვერ ვიტყვით, რომ არჩევნებში ხმათა უმრავლესობის მიღება მხოლოდ ამ მეთოდს ემყარება. თუ პარტიას არ აქვს სტრატეგიული გეგმა, არ აქვს განსაზღვრული მოქმედების კურსი, ეხება ეს შიდა თუ გარე პოლიტიკას, თუ პარტიის ლიდერი ვინმესგან მართულია ან უბრალოდ არ აქვს მოტივაცია, „ცნობილი სახის“ ფაქტორი იქნება უშედეგო. სწორედ ამაზე მეტყველებს აღნიშნული კვლევა _ ბიძინა ივანიშვილის, ირმა ინაშვილისა და პაატა ბურჭულაძის მაგალითები ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ არჩევნებში გამარჯვებისთვის საჭიროა ყველა დეტალის სწორად განსაზღვრა და გათვალისწინება, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი სწორედ ცნობილი სახეების გამოყენება.

მაშასადამე, აღნიშნულმა კვლევამ არამოხლოდ მოგვცა პასუხი საარჩევნო კამპანიაში „ცნობილი სახის“ როლსა და მნიშვნელობაზე, არამედ შეგვიფასა ახალი პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირების ხარისხი ქვეყანაში და გამოკვეთა არაერთი პრობლემა. კვლევა მოიცავს ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს წლებს და სწორედ ამ წლების ეპოქაში „დაბადებული“ პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის პროფესიონალიზაციის ხარისხის, ასევე ელექტორატის ცნობიერების დონის ანალიზის დადგენას ემსახურება. აღნიშნული ნაშრომის გაცნობის შემთხვევაში, მკითხველს საშუალება ექნება მასში ინფორმაცია ამოიკითხოს არამხოლოდ ცნობილი სახის უპირატეოსობების შესახებ, არამედ გაიგოს თუ რა პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას თანამედროვე საქართველო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გიუნაშვილი, გ. (28.10.2016). საინფორმაციო სააგენტო ნეტგაზეთი. *FBI ჰილარი კლინტონს „იმეილების საქმის“ გამოძიებას განაახლებს.* მოძიებული 18.06.2017 http://netgazeti.ge/news/151126/

2. გლენ ტ. კამერონი და დენის ლ. უილკოქსი. (2011). *საზოგადოებასთან ურთიერთობა: სტრატეგია და ტაქტიკა.* თბილისი, დიოგენე.

3. გონგლაძე, თ. (2016.11.08). ვებ-გვერდი 1tv.ge. *სტივ უანდერი: ტრამპისათვის ხმის მიცემა იგივეა, რაც მე ავტომობილის მართვა მთხოვოთ.* მოძიებული 18.06.2017 http://1tv.ge/ge/news/view/140834.html

4. მაცაბერიძე, მ. საავტორო უფლება ეკუთვნის ფონდს „ღია საზოგადოება-საქართველო“. (2003). *პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები.* თბილისი, მეცნიერება.

5. მაცაბერიძე, მ. (2014). *საარჩევნო კამპანია: თეორიები, მეთოდები, ტექნოლოგიები, პრაქტიკა.* ლექცია, პოლიტიკური მარკეტინგი და საარჩევნო კამპანია. თსუ, თბილისი

6. მაცაბერიძე, მ. (2015). *პოლიტიკის მედიატიზაცია.* ლექცია, პოლიტიკური მარკეტინგი და საარჩევნო კამპანია, თსუ, თბილისი

7. მაცაბერიძე, მ. (2015). *პოლიტიკური კომუნიკაცია: პოლიტიკური კამპანია.* ლექცია, პოლიტიკური მარკეტინგი და საარჩევნო კამპანია. თსუ, თბილისი

8. მელიქიძე, გ. (2016). *საარჩევნო კამპანიის ამერიკანიზაცია საქართველოში.* თბილისი, ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი.

9. ნერგაძე, ნ. (10.10.2016). საინფორმაციო სააგენტო რადიო თავისუფლება. *ტრამპის და კლინტონის მეორე დებატები განსაკუთრებით მწვავე გამოდგა.* მოძიებული 18.06.2017 https://www.radiotavisupleba.ge/a/klintonisa-da-trampis-debatebi/28042668.html

10. სქოლტბახი, ა. პ. და ნოდია, გ. (რედ.). (2006). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები.* თბილისი, მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

11. ქოქოშვილი, დ. (10.10.2016). საინფორმაციო სააგენტო netgazeti.ge. *ბურჭულაძის ბლოკი პარლამენტში ვერ შედის, თუმცა საბიუჯეტო დაფინანსებას მიიღებს - წინასწარი შედეგები.* მოძიებული 07.06.2017 http://netgazeti.ge/news/147052/

12. ჭუმბურიძე, ი. (2016). *პოპულარული სახეები საარჩევნო კამპანიაში (1990-2012 წლები).* სამეცნიერო ნაშრომი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი

13. Agyepong, L. *(2016). UNDERSTANDING THE CONCEPT OF CELEBRITY CAPITAL THROUGH AN EMPIRICAL STUDY OF THE ROLE OF CELEBRITY POLITICAL ENDORSEMENTS IN 2008 AND 2012 GHANA ELECTION CAMPAIGNS.* A Thesis in partial fulfilment for the Degree of DOCTOR OF PHILOSOPHY, UNIVERSITY OF LEICESTER, UK.

14. Hunter, E. J. Burgers, J. H. and Davidsson, P. (2009). Celebrity capital as a strategic asset: Implications for new venture strategies. In G. T. Lumpkin and J. A. Katz (Eds.), Entrepreneurial Strategic Content (Advances in Entrepreneurship, Firm Emergence and Growth, Vol. 11, pp. 137-160). Bingley: Emerald

15. Robert S. Weiss.. (1994), *Learning from Strangers. The Art and Method of Qualitative Interview Studies*. NewYork, Free Press.

16. Smillie, D. (2004). Activism is entertainers' new role. *Christian Science Monitor,* Vol. 90, B1.

17. van Krieken, R. (2012). Celebrity Society. London: Routledge

18. *საარჩევნო კამპანიის მენეჯმენტი.* (2006). გამოცემა მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ფარგლებში. თბილისი, GeoArt Ltd.

19. საინფორმაციო სააგენტო სპუტნიკი-საქართველო. (26.10.2016). *აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები: თარიღი, რეიტინგები და მხარდამჭერები.* მოძიებული 18.06.2017 https://sputnik-georgia.com/reviews/20161026/233622704/aSS-saprezidento-arCevnebi-TariRi-reitingebi-mxardamWerebi.html

20. საინფორმაციო სააგენტო სპუტნიკი-საქართველო. (07.10.2016). *გამოკითხვა: ტრამპი კლინტონს უსწრებს.* მოძიებული 18.06.2017 https://sputnik-georgia.com/world/20161007/233413826/gamokitkhva-trampi-klintons-uswrebs.html

21. საინფორმაციო სააგენტო პრესა. ჯი. (05.01.2016). *არჩევნები 2016 აშშ-ში - ვინ გახდება პრეზიდენტი?* . მოძიებული 18.06.2017 http://www.presa.ge/new/?m=votes&AID=41118

22. ონლაინ-ენციკლოპედია ვიკიპედია. (გვერდი ბოლოს დარედაქტირდა 2017 წლის 7 ივნისს). *დონალდ ტრამპი.* მოძიებულია 18.06.2017 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93_%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%98

23. საინფორმაციო სააგენტო სპუტნიკი-საქართველო. (09.10.2016). *არჩევნებამდე ერთი თვით ადრე აშშ-ში ტრამპის შეცვლა უნდათ.* მოძიებული 18.06.2017 https://sputnik-georgia.com/world/20161009/233448872/archevnebamde-erti-tvit-adre-ashsh-shi-trampis-shecvla-udat.html

24. საინფორმაციო სააგენტო accent.com.ge. (2017.01.11). *CNN: რუსეთი ტრამპის წინააღმდეგ კომპრომატებს ფლობს.* მოძიებული 18.06.2017 http://accent.com.ge/ge/news/details/27932-CNN-%E2%80%9E%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98-

25. საინფორმაციო სააგენტო პრემიუმი. (05.10.2015). *კლინტონის ომი- ჰილარი კლინტონი მეუღლეს სცემდა?.* მოძიებული 18.06.2017 http://premiumi.ge/?p=4194

26. საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსი. (27.09.2016). *ნიუ-იორკში ჰილარი კლინტონის და დონალდ ტრამპის პირველი პირდაპირი დებატები გაიმართა.* მოძიებული 18.06.2017 http://www.interpressnews.ge/ge/msoflio/399091-niu-iorkshi-hilari-klintonis-da-donald-trampis-pirveli-pirdapiri-debatebi-gaimartha.html?ar=A

27. ვებ-გვერდი 1tv.ge. (2016.11.08). *კლინტონი VS ტრამპი - პრეზიდენტობის კანდიდატების ცნობილი მხარდამჭერები".* მოძიებული 18.06.2017 http://1tv.ge/ge/news/view/140846.html

28. ონლაინ-ენციკლოპედია ვიკიპედია. (გვერდი ბოლოს დარედაქტირდა - 30.01.2017). *რონალდ რეიგანი.* მოძიებული 18.06.2017 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%93_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98

29. ონლაინ-ენციკლოპედია „ვიკიპედია". (გვერდი ბოლოს დარედაქტირდა - 21.05.2017). *არნოლდ შვარცენეგერი.* მოძიებული 18.06.2017 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%93_%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98

30. საიტი sportx. (04.01.2014). *არნოლდ შვარცენეგერი/Arnold Schwarzenegger - მოკლე ბიოგრაფია.* მოძიებული 18.06.2017 http://sportx.ge/portfolio/bicycle-movie/

31. საინფორმაციო სააგენტო რეპორტიორი. (14.07.2017). *ქართული ოცნების საარჩევნო კამპანია.* მოძიებული 20.062017 http://reportiori.ge/old/aww.ge/sputnik-georgia.com?menuid=66&id=6719

32. ვიდეოპორტალი myvideo. (13.09.2012). *მოსახლეობას ქართული ოცნების მხარდამჭერი მსახიობები შეხვდნენ.* მოძიებული 20.062017 http://www.myvideo.ge/v/1808903

33. ვებ-გვერდი ამბები.ge. 02.08.2012. *ვალერი მელაძე „ქართული ოცნების" მხარდამჭერი?!.* მოძიებული 20.06.2017 http://www.ambebi.ge/politika/58404-valeri-meladze-qqarthuli-ocnebisq-mkhardamtceria.html?add=1%3Fq%3D%2Fpolitika%2F58404-valeri-meladze-qqarthuli-ocnebisq-mkhardamtceria.html%3Fadd%3D1%3Fq%3D%2Fpolitika%2F58404-valeri-meladze-qqarthuli-ocnebisq-mkhardamtceria.html%3Fadd%3D1%3Fq%3D%2Fpolitika%2F58404-valeri-meladze-qqarthuli-ocnebisq-mkhardamtceria.html%3Fadd%3D1

34. ონლაინ-ენციკლოპედია ვიკიპედია. გვერდი ბოლოს დარედაქტირდა - 18.12.2015. *საქართველოს საპარლამენტო არჩევნები (2012).* მოძიებული 20.06.2017 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%9D_%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_(2012)#.E1.83.A8.E1.83.94.E1.83.93.E1.83.94.E1.83.92.E1.83.94.E1.83.91.E1.83.98

35. ვებ-გვერდი ambebi.ge. (28.05.2016). *ვინ არიან პაატა ბურჭულაძის გუნდის ახალი სახეები.* მოძიებული 20.062017 http://www.ambebi.ge/politika/165301-vin-arian-paata-burtculadzis-gundis-akhali-sakheebi.html

36. ვებ-გვერდი FactCheck.ge (13.07.2017). *საჯარო გამოკითხვა ერთად - პარტიების წინასაარჩევნო რეიტინგები.* მოძიებული 07.07.2017 http://factcheck.ge/article/qhvela-gamokithkhva-erthad-partiebis-tsinasaarchevno-reitingebi/

37. საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსი. (18.08.2016). პაატა ბურჭულაძის პარტია და ვაშაძე-ჯაფარიძე-კაციტაძის ბლოკი გაერთიანდა. მოძიებული 20.062017

http://www.interpressnews.ge/ge/paata-burtculadze-sakhelmtsifo-khalkhisthvis/393104-paata-burtculadzis-partia-da-vashadze-jafaridze-kacitadzis-bloki-gaerthianda.html?ar=A

38. საინფორმაციო სააგენტო newposts. (2016.09.14). ინტერნეტში ნიკა გვარამიას და პაატა ბურჭულაძის საუბრის ფარული ჩანაწერი გავრცელდა. მოძიებული 20.06.2017 http://www.newposts.ge/?l=G&id=119017-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90,%20%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%AD%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94,%20%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98

39. ონლაინ-ენციკლოპედია ვიკიპედია. (ბოლოს დარედაქტირდა - 15.10.2016). *საქართველოს პატრიოტთა ალიანსი.* მოძიებული 20.062017 https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98

40. საინფორმაციო სააგენტო dalma news. (04.06.2016). *NDI-ის პოლიტიკური რეიტინგი - ვინ იბრძოლებს ხმების 60 პროცენტისთვის?.* მოძიებული 20.06.2017 http://dlmn.info/ge/ndi-is-politikuri-reitingi-vin-ibrzolebs-xmebis-60-procentistvis/

41. ვებ-გვერდი 1tv.ge. (2015.03.25). *როგორია პოლიტიკური პარტიების რეიტინგები „აი-არ-აი-ს“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით.* მოძიებული 20.06.2017 http://1tv.ge/ge/news/view/92049.html

42. ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის ვებ-გვერდი. (06.09.2012). *ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება, პარტიული სია.* მოძიებული 20.06.2017ვ http://cesko.ge/res/old/other/11/11134.pdf

43. ვიდეოპორტალი myvideo. (13.12.2013). *სოსო ჯაჭვლიანი შე ჩმორო.* მოძიებული 20.06.2017 http://www.myvideo.ge/v/2207815

44. საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსი. (22.07.2015). *სოსო ჯაჭვლიანი - მე „იბიარდზე“ ვერასოდეს ვერ ვიქნები, ერთგული მეუღლე ვარ.* მოძიებული 20.062017 http://www.interpressnews.ge/ge/politika/339801-soso-jatcvliani-me-qibiardzeq-verasodes-ver-viqnebi-erthguli-meughle-var.html?ar=A

45. ვებ-გვერდი accent.com.ge. (2017.06.07). *კალაძე მერად: უძლეველი კანდიდატი, თუ მმართველ გუნდში საკადრო კრიზისის შედეგი?.* მოძიებული 21.06.2017 http://accent.com.ge/ge/news/details/35140-

46. ვებ-გვერდი prime time. (06.06.2017). ზაალ უდუმაშვილი „ნაციონალების“ შეთავაზებას დათანხმდა - მერობის კანდიდატი. მოძიებული 21.06.2017 http://primetime.ge/news/63303-%E1%83%96%E1%83%90%E1%83%90%E1%83%9A-%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98

რესპოდენტთა სია:

1. ვალერიან გორგილაძე_პოლიტიკის ექსპერტი
2. გია ნოდია_პოლიტიკის ექსპერტი
3. რამაზ საყვარელიძე_პოლიტიკის ექსპერტი
4. გუგული მაღრაძე_პარტია “ქართული ოცნების“ წარმომადგენლი
5. ნიკა მაჭუტაძე_“მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ წარმომადგენელი
6. მერაბ მეტრეველი_ჟურნალისტი, რომელიც ჩართული იყო საარჩევნო კამპანიაში
7. ნათია ტატურაშვილი_ელექტორატი, 25 წლის
8. ნუგზარ მჭედლიშვილი_ელექტორატი, 59 წლის
9. გიორგი გიგანი_ელექტორატი, 30 წლის

დანართი 1

რესპოდენტთა კითხვარი მათი სტატუსის გათვალისწინებით

კითხვარი: (ექსპერტები)

1. რა მეთოდები უნდა გამოიყენოს ახალმა პოლიტიკურმა პარტიამ რომ ამომრჩევლის თვალში ცნობადობა და ნდობა მოიპოვოს?
2. საარჩევნო კამპანიაში „ცნობილი სახეების“ მონაწილეობის არაერთი შემთხვევა გვახსოვს, რა მიზნით გამოიყენებიან ისინი და რატომ არის ის შეუცვლელი მეთოდი?
3. რა უპირატესობებს და ნაკლოვანებებს ფლობენ „ცნობილი სახეები“ პოლიტიკოსებთან მიმართებაში?
4. რაში ეხმარებათ საარჩევნო სუბიექტებს „ცნობილი სახეების“ მხარდაჭერა?
5. რას აძლევს თავად „ცნობილ სახეებს“ ახალი პარტიების მხარდაჭერა?
6. რამდენად აისახება შედეგებზე „ცნობილი სახეების მხარდაჭერა?“ და რა კატეგორიის ელექტორატზე ახდენს გავლენას?
7. ქართული რეალობიდან შეგვიძლია თუ არა იმის თქმა, რომ „ცნობილი სახეების“ გარეშე ახალი პოლიტიკური პარტია არჩევნებში გამარჯვებას ვერ შეძლებს?
8. მიანიშნებს თუ არა სუსტ პარტიულ ინსტიტუციონალიზაციაზე ის ფაქტი, რომ ახალი პარტიები „ცნობილი სახეების“ დახმარების გარეშე რეიტინგს ვერ იმაღლებენ?
9. ქართული რეალობიდან გამომდინარე, როგორ შეაფასებთ პოლიტიკაში სხვა სფეროდან „პორტირებული“ „ცნობილი სახეების“ მუშაობას?
10. პირადად თქვენ, მიესალმებით თუ არა „ცნობილი სახეების“ ჩართულობას საარჩევნო კამპანიაში და რატომ?

კითხვარი: („ცნობილი სახეები“)

1. არჩევნებში მონაწილეობის შესახებ შეთავაზება პოლიტიკური პარტიისგან მიიღეთ თუ თავად გაგიჩნდათ ამის სურვილი?
2. რატომ დათანხმდით/მიიღეთ გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობის?
3. როგორ ფიქრობთ, რატომ სჭირდება თქვენი დახმარება ახალ პოლიტიკურ პარტიებს? რა უპირატესობებს ფლობთ?

4. თქვენი ჩართულობით რამდენად შეძელით ახალი პოლიტიკური პარტიის დახმარება? რამდენად მოახდინეთ გავლენა ამომრჩეველზე?

5. არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ მიიღეთ თუ არა რაიმე შეთავაზება პოლიტიკური პარტიისგან?

6. თქვენ პოლიტიკაში სხვა სფეროდან მოხვედით, ხომ არ გაგიჭირდათ პოლიტიკური მოღვაწეობა, იქიდან გამომდინარე რომ ეს თქვენი პროფესია არ იყო?

კითხვარი: (პოლიტიკოსები)

1. როგორ ფიქრობთ რა ფაქტორები დაგეხმარათ არჩევნებში გამარჯვებაში/ბარიერის გადალახვაში?

2. რატომ გადაწყვიტეთ „ცნობილი სახეების“ ჩართვა წინასაარჩევნო კამპანიაში და რამდენად გაამართლა ამ მეთოდმა არჩევნებში?

3. რა უპირატესობებს ფლობენ ისინი თქვენთან შედარებით?

4. რომ არა „ცნობილი სახე“, როგორ ფიქრობთ შეძლებდით არჩევნებში ამ შედეგის მიღებას?

5. მომავალ არჩევნებში გამოიყენებთ თუ არა „ცნობილ სახეებს“ საარჩევნო კამპანიაში და რა რაოდენობით?

6. როგორ შეაფასებთ „ცნობილი სახეების“ პოლიტიკურ საქმიანობას?

კითხვარი: (ელექტორატი)

1. რის მიხედვით უცხადებთ ნდობას ახალ პოლიტიკურ პარტიებს არჩევნებში? ამ კუთხით, მოქმედებს თუ არა თქვენზე „ცნობილი სახის ფაქტორი“? თუ გაგიკეთებიათ არჩევანი იმ პარტიის სასარგებლოდ, რომელსაც „ცნობილი სახე“ უჭერდა მხარს?

2. თუ შეგიძლიათ, გვითხრით თქვენს ირგვლივ მყოფი ადამიანები რას ფიქრობენ იგივე საკითხზე?

3. როგორ ფიქრობთ რატომ მიმართავენ პარტიები „ცნობილი სახეების“ საარჩევნო კამპანიაში ჩართვის მეთოდს? რა უპირატესობებს ფლობენ „ცნობილი სახეები“ პოლიტიკოსებთან მიმართებაში?

4. არსებული რეალობიდან გამომდინარე, რა შეგიძლიათ თქვათ, გამაართლეს თუ არა პოლიტიკაში მოსულმა „ცნობილმა სახეებმა“ საზოგადოების მოლოდინები?

5. რამდენად მიესალმებით „ცნობილი სახეების“ ჩართულობას საარჩევნო კამპანიაში? პოლიტიკაში „მოსვლას“?

დანართი 2

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები:



დანართი 3

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი

ოქმი

თბილისი 2016 წლის 16 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 70-ე მუხლის, 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 125-ე მუხლის პირველი, მე-2, 18^2 და მე-19 პუნქტების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 23 ოქტომბრის „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი"-სა და „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმი"-ს შესაბამისად, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2016 წლის 16 ნოემბრის სხდომაზე შეაჯამა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგები და დაადგინა:

1. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა: **3 513 884**

5. საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა:

№	პარტიის (ბლოკის) დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	%	მიღებული მანდატების რაოდენობა
1	„პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის"	60 681	3.45%	
2	პროგრესულ-დემოკრატიული მოძრაობა („თქვენგან, თქვენთვის, თქვენთან ერთად!")	1 010	0.06%	
3	„ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა"	62 166	3.53%	
4	„ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი"	2 182	0.12%	
5	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	477 053	27.11%	27
6	„უსუფაშვილი - რესპუბლიკელები"	27 264	1.55%	
7	„თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის"	2 805	0.16%	
8	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია"	88 097	5.01%	6
10	„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია"	55 208	3.14%	
11	„სახალხო ხელისუფლება"	810	0.05%	
12	„საქართველოს კომუნისტური პარტია - სტალინელები" (ივანე წიკლაური)	1 757	0.10%	
14	„დავით თევზაძე - საქართველოს მშვიდობისათვის"	3 824	0.22%	
15	„მშრომელთა სოციალისტური პარტია"	662	0.04%	
16	„საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია"	1 467	0.08%	
17	„საქართველო"	1 548	0.09%	
18	„ქართული იდეა"	2 916	0.17%	
19	„თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო"	13 788	0.78%	
22	მერაბ კოსტავას საზოგადოება	966	0.05%	
23	„ჩვენები - სახალხო პარტია"	1 595	0.09%	
25	„კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე - მემარცხენე ალიანსი"	699	0.04%	
26	ეროვნული ფორუმი	12 763	0.73%	
27	„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები"	81 464	4.63%	
28	„ზვიადის გზა - უფლის სახელით"	1 467	0.08%	
30	„ჩვენი საქართველო" (ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბი)	802	0.05%	
41	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"	856 638	48.68%	44

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tea Tabeshadze

The Celebrities in the Election Campaign of 2012-2016

The Science of Politics

Master's thesis is executed to gain Master's degree in Political Science

Heads:

Professor, Malkhaz Matsaberidze

Doctoral, Irine Chumburidze

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გვანცა აბაშიძე

უმაღლესი განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა საქართველოში

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

კურსის ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი: თამარ ქარაია

თბილისი

2017 წელი

სარჩევი

ანოტაცია 3

შესავალი 6

თავი1.კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა 26

თავი 2. უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების გზა საქართველოში ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის კუთხით 29

2.1. საბჭოთა განათლების სისტემა 29

2.2. 90-იანი წლების პოლიტიკა 30

2.3. ,,ვარდების რევოლუციის" შემდეგ. 32

თავი 3. კვოტირების სისტემა და 1+4 პროგრამის განხორციელება. 35

თავი4.მონაცემთა ინტერპრეტაცია 51

4.1. პროგრამაში ჩართული კომპეტენტური პირები. 51

4.2. ლექტორები და პედაგოგები 53

4.3. სტუდენტები. 56

დასკვნა: 60

გამოყენებული ლიტერატურა: 64

უმაღლესი განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა საქართველოში

ანოტაცია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა საკმაოდ აქტუალური გახდა. 90-იანი წლების კონფლიქტებს დიდწილად ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობების პრობლემები განაპირობებდა. ერთის მხრივ, ეს ,,ჩრდილოელი მეზობლის" პოლიტიკა იყო, რომელიც ,,დაშალე და იბატონეს" პრინციპით მართავდა და უდგებოდა ყველა სსრკ-ს სახელმწიფოში წარმოქმნილ წინაღმდეგობას ამ პოლიტიკით, მეორეს მხრივ კი ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის საკითხი ყოველთვის იყო პრობლემური. საქართველო იყო და არის მრავალეთნიკური სახელმწიფო. ამიტომ დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაცია ერთ სამოქალაქო საზოგადოებაში ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყნისთვის. თემა აქტუალურია, რადგან საქართველო ამ პრობლემის წინაშე ახლა უფრო დგას ვიდრე წარსულში, საბჭოთა კავშირის დროს. ეს კი იმით აიხსნება, რომ მაშინ ინტეგრაციის საკითხი არ იყო პრობლემატური, რადგან დემოკრატიულ სახელმწიფოზე არავინ სააუბრობდა, არავის ჰქონდა პრეტენზია და კომუნისტური იდეოლოგია აკავშირებდა სხვადასხვა ერებს ერთმანეთთან.სსრკ-ს დაშლის შემდგომ იწყება რეალურად ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემები.

მოცემული ნაშრომი ეხება ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემას საქართველოში. კვლევის მიზანია განისაზღროს როგორ ხდება განათლების რეფორმების გამოყენებით ეროვნული უმცირესობათა ინტეგრირება სამოქალაქო საზოგადოებაში. კერძოდ კი, კვლევის მიზანია გავიგოთ რამდენად უწყობს ხელს 1+4 პროგრამა ამ პროცესს საქართველოში. როგორი შედეგები აქვს ამ კუთხით მოცემულ პროგრამას. დავადგინოთ რა ხარვეზები აქვს ამ პროგრამას და რა ფაქტორები იწვევს ამ ხარვეზებს. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა მეთოდების ტრიანგულაცია. კერძოდ, თვისებრივი კვლევისტექნიკა სიღმისეული ინტერვიუს სახით და

რაოდენობრივი მეთოდები მცირე კითხვარის სახით.(რომლითაც დადგინდა თუ რატომ ჩააბარეს ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებმა ამ პროგრამით.)

კვლევის პროცესში გაანალიზდა იმსტუდენტების დამოკიდებულებები, რომლებმაც ამ პროგრამით ჩააბარეს უმაღლეს დაწესებულებებში. ასევევე ჩატარდა ინტევიურება კონკრეტულად ამ პროგრამაში ჩართული კომპეტენტური პირებისა.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრაცია, განათლება, რეფორმები, კონფლიქტები, ეფექტურობა, ენა.

Higher education reform and national minorities' integration problem in Georgia

Annotation

After the dismissial of the Soviet Union the national minority integration problem became quiet urgent. The conflicts in the 90's mainly were caused by the realationship problems with national minorities. On the other hand, it was a politic of the ,,Northern neighbor" which was governed by the principle of ,,divide and govern" and that was for political reasons in all The Union state resistance, on the other hand the national minority integration issue was always problematical. Georgia was and is a multinational state. The national minority integration in one civil society is a very important challenge on a democratic way. The issue is actual, because Georgia nowdays faces the problem than in the past during The Soviet Union. That is the reason why the integration issue was not problematical, because no one mentioned democratic state, no one had a claim and communist ideology connected different nations to each other. After The Soviet Unions's dismissial starts national integration problem.

The given thesis is about national minority integration problems in Georgia. The research aim is to identify the use of educational reform towards national minority integration in civil society. Mainly, the research aim is to understand 1+4 program accomplice to this process in Georgia, what are the results of the program in the point of fact. To establish the program omissions and the causes of these omissions. The research was carried out with triangulation of methods. So the qaulitetive techniques were used during the research processwithmainly detailed interview and alsothe quantitative methods using by tiny questionnaire which gave the reasons why the national minority representatives have been passed by this program. During the research were analysed the attitude of those students who passed the exams at high educational institutions to this program. Competence people ivolved in this program were also interviewed.

The key words: Integration, Education, Reforms, Conflicts, Effeciency, Language.

შესავალი

საქართველო მულტიეთნიკური სახელმწიფოა. საბჭოთა კავშირის დაშლისას მოსახლეობის დაახლოებით 30%-ს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენდნენ. ძირითადი პრობლემა რაც დღეს დგას, არის ეთნიკური უმცირესობების არასაკმარისი სოციალურ-პოლიტიკური ინტეგრაცია და ასევე დემოკრატიულიინსტიტუტებში მათი მონაწილეობის დაბალი დონე.(ნოდია&სქოლტბახი, 2006. გვ:76). ყველაზე მთავარი სირთულე ქართული ენის არასათანადო ცოდნაა, რომელიც ერთადერთი სახელმწიფო ენაა ქვეყანაში.ამ საკითხს საბჭოთა პერიოდში რუსეთი აგვარებდა ძალადობრივი პოლიტიკით, რომელიც ახერხებდა ერთა შეკავშირებას, მაგრამ როგორც კი დაიშალა ეს ერთობა, მაშინვე დაიწყო რიგი კონფლიქტები. ეს არა მარტო საქართველოს ეხება, არამედ სხვა სოციალური ბანაკის ქვეყნებსაც. (მაგალითად იუგოსლავიაც კმარა.) საქართველოსთვის ეს საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან დემოკრატიაზე გადასვლა მოიცავს სამოქალაქო ერთობის ჩამოყალიბებასაც, რომელიც ინტეგრაციის გარეშე ვერ იარსებებს და ამასთანავე ეს პროცესი უნდა განხორციელდეს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ღირებულებების საშუალებით და არა ძალადობრივი ხერხებით. გასულ ათწლეულში მოვლენები ისე განვითარდა, რომ ამ კონფლიქტებმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საფრთხის ქვეშ დააყენა და რეალურად დღესაც ამ საფრთხის წინაშე ვდგავართ.

საქართველო, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავისი გეოგრაფიული და პოლიტიკური წარსულის გამო, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდება. საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა, სადაც ეთნიკური უმცირესობათა უმეტესობას აზერბაიჯანელი და სომეხი ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენენ. 2002 წელს ქვეყნის 4.37 მილიონი მცხოვრებიდან საქართველოში 284 761-მდე ეთნიკურად აზერბაიჯანელი ცხოვრობს, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 6.5%-ია. რაც შეეხება სომხებს, ისინი 248 929 ადამიანით ქვეყნის მთელი მოსახლეობის 5.7%-ს შეადგენენ. (ზურაბიშვილი, 2011. გვ:3.) აზერბაიჯანელები საქართველოს რამდენიმე რეგიონში, ძირითადად, კომპაქტურად არიან დასახლებულნი. მათი უმრავლესობა ქვემო ქართლშია განსახლებული. ისინი

დღეისათვის ქვემო ქართლის მთელი მოსახლეობის 45%-ს შეადგენენ. რაც შეეხება მეორე დიდ ეთნიკურ უმცირესობას, დღეისათვის სომხები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ახალქალაქის (57 516 სული, 94.3%), ნინოწმინდისა (32 857 სული, 96%) და წალკის რაიონებში (11 484 სული, 55%). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ეროვნულ უმცირესობებს გაუჭირდათ დამოუკიდებელი საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრირება ქართული ენის არცოდნის გამო, რომელიც გახდა ერთადერთი სახელმწიფო ენა. 2002 წლის მონაცემებით, ქართულ ენაზე გამართულად საუბრობენ, ძირითადად, დედაქალაქსა და შერეული მოსახლეობის მქონე რეგიონებში მცხოვრები უმცირესობები, ხოლო შორეულ მონოეთნიკურ რეგიონებში ქართულის ფლობის დონე ძალიან დაბალია. უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის მიერ 2008 წლის მაისში ჩატარებული კვლევის შედეგად, რომლის დროსაც სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რვა მუნიციპალიტეტიდან 1699 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი გამოიკითხა, დადგინდა, რომ მხოლოდ ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში (სადაც ეთნიკური ქართველების რაოდენობა მეტია), 10%-ზე მეტი ეროვნული უმცირესობა საუბრობს სრულყოფილად ქართულ ენაზე. 2009 წლის ჯონათ უილთის მოხსენების მიხედვით, ახალციხეში ქართული მხოლოდ 6, 7 პროცენტმა არ იცის, ახალქალაქში – 47,2%, ნინოწმინდაში – 28,2%. ახალციხეში – ესმის, საუბრობს და წერს გამართულად მხოლოდ 23%, ახალქალაქში – 5%.(ზურაბაშვილი, 2011. გვ:3.)

უახლოესი ისტორიის მანძილზე ეთნიკური უმცირესობების მიმართ ქართული სახელმწიფოს დამოკიდებულება განსხვავდებოდა სხვადასხვა პოლიტიკური მმართველობის შესაბამისად. საბჭოთა პერიოდში სამოქალაქო ინტეგრაცია დიდ პრობლემად არ ითვლებოდა, რადგან საბჭოთა მოქალაქენი იყვნენ ერთი საერთო სახელმწიფოს ქვეშ გაერთიანებულნი და რუსული ენა ითვლებოდა ოფიციალურ ენად და შესაბამისად ეს უკანასკნელი იყო ქართველი და არაქართველი მოქალაქეების დასაკავშირებელი რგოლი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი ეთნიკური უმცირესობების მიმართ გაჩნდა სტერეოტიპული დამოკიდებულება, რასაც პოლიტიკური ხასიათის კონფლიქტამდე და ერებს შორის დაძაბულობამდე მივყავართ. ქართული ენის არასრულყოფილად ცოდნის გამო კი ეთნიკური უმცირესობების

ინტეგრაციის პრობლემა ჩნდება. რაც დაკავშირებულია სხვა მრავალ მოწყვლად საკითხთან. (ნოდია&სქოლტბახი, 2006. გვ: 78-80.) მათ შორის:

- *უმცირესობის წარმომადგენელი მოქალაქეების ურთიერთობა სახელმწიფოსთან*-უმცირესობებს უჭირთ სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა, რადგან ოფიციალური სამუშაო ენა ქართულია. ამიტომ მათ სჭირდებათ ამისთვის თარჯიმანი, რაც სხვა პრაქტიკულ სირთულეებს უკავშირდება. ეს გარემოება კი ხელს უშლის უმცირესობებს თავის სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძონ.
- *ურთიერთობა მოქალაქეთა შორის*-ეთნიკურ უმცირესობათა შორის საკომუნიკაციო ენად ისევ რუსული გამოიყენება, მაგრამ ქართველ მოსახლეობაში რუსული ენის გამოყენების არეალი ძალიან შემცირებულია. ამ მიზეზის გამო უმცირესობებს უჭირთ ქართულ მოსახლეობასთან კონტაქტის დამყარება.
- *ინფორმაციის შეზღუდულობა*-მედია ქართულ ენაზე მაუწყებლობს, ამიტომ უმცირესობები ძირითადად რუსული არხების ყურებით შემოიფარგლებიან. ამ არხებიდან კი წამოსული ინფორმაცია დეზინფორმაციულია. მართალია 2005 წლიდან საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაანაახლა უმცირესობათა ენებზე გადაცემები, მაგრამ ეროვნული უმცირესობები ცუდად არიან ინფორმირებულნი საქართველოს კანონმდებლობის შესახებ .(იმ ქვეყნის კანონმდებლობა არ იციან, რომლის მოქალაქეებიც არიან.).
- *ხელისუფლების ორგანოებში მონაწილება*-მმართველ ორგანოებში ეთნიკური უმცირესობები თითქმის არ არიან წარმოდგენილნი. მაგალითად, ვარდების რევოლუციის შემდგომ არც ერთ სომეხ და არც ერთ აზერბაიჯანელს არ ჰქონია მინისტრის პოსტი დაკავებული. იმ მხარეშიც კი სადაც ისინი უმრავლესობას წარმოადგენენ, ყოველთვის არიან უწყებების ხელმძღვანელის მოადგილეები და არა ხელმღვანელები. მხოლოდ ჯავახეთის რაიონის ადგილობრივი ადმინისტრაცია თითქმის ეთნიკურად

სომეხია, რადგან აქ მათი წილი მოსახლეობაში 95%-ია. თუმცა ისინი მუშაობენ სომხურ და რუსულ ენებზე, ქართულის არცოდნის გამო.

- *პოლიტიკური მონაწილეობის დაბალი დონე*-უმცირესობები არჩევნებზე აქტიურობით არ გამოირჩევიან. ისინი ცდილობენ ქართულ საზოგადოებაში დაპირისპირებებიდან თავი შორს დაიჭირონ. ამასთანავე ისინი ძირითადად მხარს უჭერენ მმართველ პარტიას და ამით ცდილობენ საკუთარი მოქალაქეობრივი ვალის მოხდას.

ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, რომ ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის დონე საზოგადოებაში ძალიან დაბალია. ამ გარემოებას კი ძირითადად განაპირობებს ქართული ენის არასრულყოფილად ცოდნა ან საერთოდ არცოდნა ეროვნულ უმცირესობებში. საქრთველოში ეთნიკური უმცირეოსებების ინტეგრაციის პრობლემა უმრავლესობის მხრიდან ნეგატიური განწყობების და უმცირესობათა მხრიდან თვითიზოლაციის კომპონენტებს შეიცავს. მარგინალიზირებული ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემა ვარდების რევოლუციის შემდგომ სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა. ამიტომ 2004 წლიდან მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება ეთნიკური უმციესობების მიმართ და დაიგეგმა პროექტები მათი ინტეგრაციისათვის. თუმცა პრობლემას წარმოადგენს ის, რომ უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულელბებში არაქართულენოვანი სკოლებიდან ძალიან მცირე რაოდენობის სტუდენტი ირიცხება, განსაკუთრებით კი ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღების შემდგომ, რომელიც სავალდებულო გახდა 2004 წლიდან და ემსახურებოდა ამ სისტემაში განათლების თანასწორობის აღდგენასა და კორუფციის აღმოფხვრას, თუმცა ეს ერთიანი ეროვნული გამოცდები დისკრიმნაციული აღმოჩნდა ეთნიკური უმცირესობებისათვის, რაც ქართული ენის არცოდნის პრობლემასთან იყო დაკავშირებული. 2005 წლიდან ყოველი წინა წლის ხარვეზების გაანალიზებით, სახელმწიფომ ნელ-ნელა დაიწყო სხვადასხვა შეღავათების დაწესება ეროვნული უმცირესობებისათვის ეროვნულ გამოცდებზე. თუმცა აქტიურობისა და უნივერსიტეტებში ჩარიცხვის დონე მაინც ძალიან დაბალი იყო. 2010 წლიდან კი შემოდის კვოტირების სისტემა, რომლის აუცილებელი პირობას წარმოადგენს ქართული ენის ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის გავლას. ეს რეფორმა 1+4 -ის

სახელითაა ცნობილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობები აბარებენ უნარების გამიცდას საკუთარ მშობლიურ ენაზე და ქართული ენისერთწლიანი მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ გადადიან ბაკალავრის საფეხურზე.

კვლევის ***საკითხს*** წარმოადგენს უმაღლეს განათლების პროგრამები რამდენად უწყობს ხელს საქართველოში ეთნიკური უმცირესობათა ინტეგრაციას. აუცილებელია იმის განსაზღვრა რამდენად უზრუნველოფს 1+4 პროგრამა უმცირესობათა ინტეგრაციას, რა დადებითი და უაროფითი მხარეები აქვს ამ პროგრამას. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მოქალაქეს აქვს განათლების უფლება, ხოლო სტუდენტს კი აქვს უფლება მიიღოს ხარისხიანი უმაღლესი განათლება მათ შორის, რა თქმა უნდა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებსაც, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან. პრობლემა ძირითადად წარმოიქმნება ქართული ენის არცოდნის გამო, რადგან კანონში ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ პირდაპირ არის აღნიშნული, რომ სწავლება უმაღლეს დაწესებულებებში მიმდინარეობს ქართულ ენაზე. პრობლემა იქმნება იმდენად, რამდენადაც საშუალო განათლების პროცესში ქართული ენის სწავლება არ არის სავალდებულო. ხოლო უმაღლესში კი 2013 წლიდან განხორციელებული ცვლილებების თანახმად: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლაა უცილებელი ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი,სომხურენოვანი,აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ.(ზურაბიშვილი, 2011. გვ: 5-8.)

მართალია განხორციელებული ცვლილებების შედეგად ეთნიკურ უმცირესობებს შეუძლიათ უმაღლესი განათლების მიღება, მაგრამ ქართული ენის კურსები არასაკმარისია ენის საფუძვლიანად დაუფლებისთვის, რის შედეგადაც სტუდენტის აკადემიური მოსწრების ხარისხის დონე ეცემა ენის ბარიერის არსებობის გამო. ამიტომ უმაღლესი განათლების პროგრამაში ცვლილებები არ არის საკმარისი ამ პრობლემის საფუძვლიანად მოგვარებისთვის. შესაბამისად ეთნიკური უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა კვლავ დგას სახელმწიფოს წინაშე.

პრობლემის ***აქტუალურობას*** განაპირობებსის რომ საქართველო დგას დემოკრატიის აღმშენებლობის გზაზე, რისთვისაც აუცილებელია ეთნიკური

უმცირესობათა სრული ინტეგრაცია საზოგადოებაში, რაც სამწუხაროდ კარგად არ არის განხორციელებული. წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ,,უმაღლესი განათლების კანონში“ შეტანილი ცვლილებები, რის შედეგადაც ეთნიკურ უმცირესობებს მიენიჭათ უფლება გამარტივებული წესით ეროვნული გამოცდების ჩაბარება, თუმცა სწავლების პირველ წელს ქართულენოვანი კურსის გავლა სავალდებულო გახდა. ეს არის ე.წ. ,,1+4”პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ყოველწლიურად 100 სომხურენოვანი და 100 აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტი ფინანსდება. კანონით განსაზღვრულია ოსურ და აფხაზურენოვანი ტესტების ჩაბარებაც, თუმცა დღემდე ამ პროგრამით აფხაზურენოვანი ტესტი მხოლოდ ორმა აბიტურიენტმა ჩააბარა, ოსურენოვანი ტესტი კი ჯერაც არ შემუშავებულა. ,,განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის“ მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობის ფარგლებში, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე სტუდენტთა ჩარიცხვისათვის აცხადებს ადგილებს ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღებ სტუდენტთა საერთო რიცხვის 5-5%-ის ოდენობით, ხოლო ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტებისთვის – 1-1%-ის ოდენობით .(ბოჭორიშვილი, 2015.) თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრაცია მაინც ნელა მიმდინარეობს, რადგან ეს კურსი არ არის საკმარისი ენის სრული დაუფლებისათვის და მაშინ, როდესაც სწავლა მიმდინარეობს მეცნიერულ ენაზე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს უჭირთ საგნის ჩაბარება და წარმოიშვება ხოლმე მთელი რიგირ პრობლემები. ეს მთლიანობაში ცუდად აისახება ქვეყანაში ამ პირების ინტეგრაციის ხარისხზე, რადგან ამ ქვეყანაში სწავლა სირთულეებთან ასოცირდება ისინი გადადიან სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე და იქ იღებენ განათლებას.(მაგალითად რუსეთში) უკან დაბრუნებულების ინტეგრაცია კი თითქმის შეუძლებელია, რაც დამატებით პრობლემებს წარმოშობს ქვეყნისათვის.

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების თემაზე ჩატარებულია საკმაოდ ბევრი კვლევა. ძირითადად განხილულია ენობრივი პრობლემები და მიმოხილულია მთლიანად საქართველოში განხორციელებული განათლების რეფორმა ეროვნული გამოცდების კუთხით, მაგრამ კონკრეტულად ,,1+4” პროგრამის ეფექტურობა არ არის

გამოკვლეული, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ამ ეტაპზე რეფორმის საბოლოო სახე, მაინც არ არის სიღმისეულად შესწავლილი პროგრამის ეფექტურობა, ამიტომ ვფიქრობ აუცილებელია ამ კუთხით კვლევის განხორციელება.

სახელმწიფოს წინაშე დგას საკმაოდ დიდი პრობლემა, რომელმაც შეიძლება ტერიტორიულ მთლიანობასაც შეუქმნას საფრთხე, რადგან ეთნიკური უმცირესობები საქართველოს მოქალაქეებად ვერ გრძნობენ თავს, შეზღუდულები არიან საკუთარი უფლებების განხორციელებაში. (ამ შემთხვევაში სტუდენტის უფლებას ვგულისხმობ მიიღოს ხარისხიანი განათლება) ამიტომ აუცილებელია გააზრება რამდენად უწყობს ხელს უმაღლესი განათლების პროგრამები საქართველოში ეთნიკური უმცირესობათა ინტეგრაციას? ან რა დადებითი და უაროფითი შედეგები შეიძლება მოიტანოს ამ პროგრამებმა? ხომ არ არის საჭირო მთლიანად განათლების - არა მარტო უმაღლესის, არამედ საშუალო საფეხურის რეფორმაც? პრობლემა სიღმისეულად არის შესასწავლი და მოსაგვარებელი, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სახელმწიფოს დემოკრატიული მშენებლობის გზაზე.

კვლევის ***მიზანია*** განისაზღვროს რამდენად უწყობს ხელს ,,1+4" პროგრამა ეთნიკური უმცირესობათა ინტეგრაციას ხელს საქართველოში. როგორი შედეგები აქვს ამ კუთხით მოცემულ პროგრამას. დავადგინოთ რა ხარვეზები აქვს ამ პროგრამას და რა ფაქტორები იწვევს ამ ხარვეზებს.

ამოცანები:

- მიმოვიხილოთ ,,კანონი უმაღლესი განათლების შესახებ" განვსაზღვოთ, როგორ მოქმედებს ,,1+4" პროგრამა ეთნიკური უმცირესობათა ინტეგრაციაზე, ასევე სხვა დოკუმენტები, რომლითაც რეგულირდება ,,1+4" პროგრამა;
- დავადგინოთ, რამდენმა ჩააბარა ამ პროგრამით და რამდენმა სტუდენტმა დაამთავრა ამ პროგრამით უმაღლესი სასწავლებელი;

კვლევის ***კითხვას*** წარმოადგენს : რამდენად ახდენს გავლენას 1+4 უმაღლესი განათლების პროგრამა ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის დონეზე საქართველოში?

კვლევის მიზნიდან გამომდინარე აუცილებელია განვსაზღვოთ რა დამოკიდებულებაშია ქართული ენის ცოდნის დონე ინტეგრაციასთან, ამიტომ კვლევის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ყალიბდება:

მუშა ჰიპოთეზა:

რაც უფრო დაბალია ქართული ენის ცოდნის დონე ,,1+4" პროგრამით ეროვნულ გამოცდებზე გასული ეროვნული უმცირესობებში პროგრამის დაწყებამდე და შემდეგ, მით უფრო დაბალია ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის დონე ქვეყანაში.

კვლევაში *დამოუკიდებელი* ცვლადია სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ცვლილების შედეგად უმაღლესი განათლების შესახებ კანონში მიღებული ე.წ. ,,1+4" პროგრამით ჩარიცხული სტუდენტთა ქართული ენის ცოდნის დონე, *დამოკიდებული* ცვლადია ეთნიკური უმცირესობათა ინტეგრაციის დონე საქართველოში, *ანტიცედენტური* ცვლადია საშუალო განათლების საფეხურზე ქართული ენის არასრულყოფილად სწავლება, *შუალედური* ცვლადია ხანგრძლივობა ქართული ენის კურსების, რომელიც შეიძლება არ იყოს საკმარისი ენის სრულყოფილად ცოდნისათვის.

დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების ***ოპერაციონალიზაციისას*** აუცილებელია განისაზღვროს თავად რა არის ***ინტეგრაცია***, როგორც დამოკიდებული ცვლადი და როგორ ,,დაითვლება" ის. ინტეგრაცია, როგორც აღინიშნა ვებსტერის ლექსიკონში ტერმინი ,,ინტეგრაცია" განმარტებულია, ორი სახით. პირველი მნიშვნელობით, ეს არის პროცესი თანასწორობის დამკვიდრებისა საზოგადოებაში განსხვავებულ ჯგუფებს შორის, ხოლო მეორე მნიშვნელობით ეს არის მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ათანაბრებს საზოგადოებაში განსხვავებულ ჯგუფებსა და ინდივიდებს. (ვებსტერის ლექსიკონი 2017.06) ინტეგრაცია შეიძლება იყოს ასიმილაციური, ინდივიდუალისტურიინტეგრაცია, კოსმოპოლიტანიზმი და მულტიკულტურალიზმი. ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის დონე საზოგადოებაში შეიძლება დავადგინოთ 1+4 პროგრამის დამთავრების შემდგომ რამდენად მოხერხდა მათი დასაქმება.რადგან ინტეგრაცია მოიცავს თავის თავში ასევე საკუთარი მოქალაქეთა განცდის უზრუნველყოფას, რომ ის საზოგადოების სრულყოფილი წევრია. ამიტომ სიღრმისეული ინტერვიუს დროს რესპოდენტთან

კითხვის საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ რამდენად ინტეგრირებულია ის ამ კუთხით საზოგადოებაში. ***დამოუკიდებელი*** ცვლადის, როგორც ქართული ენის ცოდნის დონე 1+4 პროგრამის დაწყებამდე და მისი გავლის შემდეგ, თავისუფლად შეგვიძლია დავადგინოთ: ა) რესპოდენთთან ინტერვიუს დროს მისი მეტყველებიდან გამომდინარე; ბ) კითხვარის შევსების დროს წერის დონიდან გამომდინარე; გ) კითხვარში არის შეკითხვა, რომელიც ითვალისწინებს ქართული ენის ცოდნის დონის დადგენას ამ პროგრამის წინა და შემდგომი პერიოდების განმავლობაში. ცვლადის გაზომვა მოხდება სიღრმისეული ინტერვიუსა და კითხვარის საფუძველზე და არა სხვა ინსტრუმენტების საშულებით.

კვლევაში გამოყენებულია მეთოდების ტრიანგულაცია. კერძოდ, ***თვისებრივი კვლევის*** მეთოდების ტექნიკა, სიღმისეული ინტერვიუს სახით, რადგან განისაზღვრა იმ ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების დამოკიდებულებები უმაღლესი განათლების პროგრამის მიმართ, რომლებიც 1+4 პროგრამით ჩაირიცხნენ უნივერსიტეტებში. დადგინდა რამდენად კარგად ეუფლებიან ისინი ქართულ ენას ან არის თუ არა მათთვის საკმარისი ეს კურსი? რა დადებითი შედეგები აქვს მათთვის ამ პროგრამას და რა ხარვეზებს გამოყოფენ ისინი, რა პრობლემებს აწყდებიან და ა.შ. ამისთვის ჩატარდა სიღმისეული ინტერვიუ,გამოიკითხა 10 სტუდენტი, ოთხი 1+4 პროგრამაში უშუალოდ ჩართული კომპეტენტური პირი, 6 ქართული ენის ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის პედაგოგი და 2 ლექტორი, რომელთაც შეხება ჰქონდათ ამ კურსის დამთავრების შემდეგ 1+4 პროგრამით ჩარიცხულ სტუდენტებთან, რადგან სხვაგვარად დამოკიდებულებებს ვერ განისაზღვრებოდა. ეს დამოკიდებულებები ვერ დაიყვანებოდა რიცხვებზე, ამიტომ აქ რაოდენობრივ კვლევის მეთოდებიარ იქნა გამოყენებული ასევე კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდიკა მცირე კითხვარის სახით. გამოიკითხა 10 სტუდენტი , კერძოდ: 3 ქართული ენის მოსამზადებელი კურსის სტუდენტია, 2 მაღალკურსელი, 2 დამამათვრებელი კურსის სტუდენტი, ხოლო 2-მა უკვე დაამთავრა სწავლა 1+4 პროგრამის საშუალებით. კითხვარის საშუალებითდადგინდა რატომ ჩააბარეს ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლებმა ამ პროგრამით ეროვნული გამოცდები.

კვლევის საკვლევი ობიექტის გამოსაყოფად განისაზღვრა ***გენერალური ერთობლიობა.*** კვლევაში გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენენ ის ეთნიკური უმცირესობის სტუდენტები, რომლებიც ამ პროგრამით ჩაირიცხნენ უნივერსიტეტებში და იღებენ უმაღლეს განათლებას. გენერალური ერთობლიობიდან გამოიყო არაალბათური კვოტური ***შერჩევის*** წესით ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდები, რომლებიც ამ პროგრამით ჩაირიცხნენ უნივერსიტეტებში, კერძოდ:

- ვინც გადის ამ ეტაპზე ქართული ენის ერთწლიან სასწავლო კურს სპეციალურ სასწავლებელში;
- ვინც სწავლობს მაღალ კურსებზე ამ პროგრამით;
- ვინც ჩააბარა ამ პროგრამით და უკვე დაამთავრა სწავლა;

ასევე სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა ამ პროგრამაში უშუალოდ ჩართულ კომპეტენტურ პირებთან, რომლებსაც შეხება აქვთ კონკრეტულად ამ პროგრამის განხორციელებასთან, კერძოდ:

- მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან ქართული ენის ერთწლიან კურს;
- ლექტორები, რომელთაც შეხება აქვთ ამ პროგრამით ჩაბარებულ ეთნიკური უმცირესობის სტუდენტებთან;
- პროგრამის განმხორციელებლები;
- კოორდინატორები;

კვლევის ლიმიტი:

კვლევის პროცესში არ იქნება გამოკვლეული კონკრეტულად 1+4 პროგრამის დასრულების შემდგომ რამდენი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი იქნა დასაქმებული. ძირითადად, ეს განისაზღვრება გამოკითხული რესპოდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე.

1+4 პროგრამის ეფექტურობის დადგენა საკმაოდ რთული და კომპლექსურია, რადგან მას აქვს ნეგატიური და დადებითი მხარეები, რომლებიც შედარებითი და შეფარდებითია. ამიტომ კონკრეტულად დონის განსაზღვრა შეუძლებელი იქნება.

კვლევა არ ემსახურება მთლიანად ინტეგრაციის დონის განსაზღვრას, რადგან ის მრავალმხრივია და სხვადასხვა ასპექტს მოიცავს. აქ ყურადღება იქნება გამახვილებული კონკრეტულად ერთ მექანიზმზე-განათლებაზე და ისიც უმაღლესი განათლების კონკრეტულ რეფორმაზე. კვლევის დროს არ იქნება განხილული საქართველოს მთლიან განათლების სისტემაში განხორციელებული გარდაქმნები.

კვლევაში დამოუკიდებელი ცვლადია ქართული ენის ცოდნის დონე, მაგრამ კვლევა არ ხორციელდება ლინგვისტური კუთხით. ასევე არ იქნება გამოკვლეული ქართული ენის გაუმჯობესების ხარისხის მაჩვენებლები წლების განმავლობაში. კვლევა დამოკიდებული იქნება კონკრეტული რესპოდენტებთან ინტერვიუებზე.

კვლევის თეორიული ჩარჩოა სამქალაქო და ეთნიკურ ნაციონალიზმს შორის განსხვავების დანახვა. თუმცა კვლევის დროს არ იქნება კონკრეტულად გამოკვლეული რა სახის ინტეგრაციასთან გვაქვს საქმე საქართველოში.

ლიტერატურის მიმოხილვა- თეორიული ჩარჩო:

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საკითხი მრავალი ქვეყნის დღის წესრიგში დგას. დემოკრატიული მშენებლობის გზაზე ქვეყნისათვის საჭიროა ერთიანი სამოქალაქო საზოგადოება, რომლის ჩამოყალიბებაც ეთნიკური უმცირესობათა სრული ინტეგრაციის გარეშე ვერ მოხერხდება. ხშირად უმცირესობათა წარმატებული ინტეგრაციის ერთ-ერთი მექანიზმია განათლების პროგრამების შემუშავება. ხარისხიანი განათლების მიღების უფლება ქვეყნის ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს. განათლებამ კი უნდა უზრუნველყოს ენობრივი ბარიერი უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, ეს უნდა იყოს საზოგადოების ამ ორი ნაწილის დამაკავშირებელი რგოლი. მსოფლიოში მრავალ ქვეყანას აქვს შემუშავებული ასეთი განათლების პროგრამები, რომლებიც ემსახურება უმცირესობათა ინტეგრაციას. საქართველოც არ წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს, თუმცა ბოლონიის პროცესის კონცეფციაში, რომლის წევრი საქართველოცაა, ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ აუცილებელია ეროვნული კულტურის შენარჩუნებაც. ეს არის მათი შემოთავაზება. ბოლონიის წევრმა ქვეყანამ ეს პროცესი

უნდა მიიღოს ნაციონალური კულტურის და ტრადიციების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას დიდი პრობლემა, რადგან ეთნიკური უმცირესობები ითვლებიან ქვეყნის მოქალაქეებად, მაგარამ მოწყვეტილნი არიან საზოგადოებისგან. ამიტომ ამ ჯგუფების ინტეგრაცია მოითხოვს კონკრეტული პროგრამის შექმნას განათლების სფეროშიც, სადაც რა თქმა უნდა შენარჩუნებული უნდა იყოს ეროვნული მახასიათებლებიც.

უმცირესობათა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შეღავათიანი სისტემა არაერთ სახელმწიფოში მოქმედებს. გოლდმანის მიერ ჩამოყალიბებულია საშეღავათო პოლიტიკის 4 ტიპი: წარსულზე ორიენტირებული, მომავალზე ორიენტირებული, ძლიერი უკუდისკრიმინაცია და სუსტი უკუდისკრიმინაცია. წარსულზე ორიენტირებული ტიპი აღარებს უმცირესობათა წარსულში დისკრიმინაციის არსებობას და სთავაზობს შეღავათიან საგამოცდო სისტემას, რათა ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრას წარსული შეცდომები. მომავალზე ორიენტირებული ტიპი ერთი მხრივ, აღიარებს წარსულ დისკრიმინაციას, თუმცა, მეორე მხრივ, ამბობს, რომ მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია როგორც უმცირესობებისთვის, ასევე უმრავლესობისთვის და სწორედ მრავალფეროვნების შესაქმნელად, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ხელს უწყობს უმცირესობათა წარმომადგენლების შეღავათიან პირობებში ჩარიცხვას.სუსტი უკუდისკრიმინაცია პრივილეგიას ანიჭებს უმცირესობის წარმომადგენელ იმ კანდიდატებს, რომლებსაც ისეთივე კვალიფიკაცია აქვთ, როგორიც უმრავლესობის კანდიდატებს. ძლიერი უკუდისკრიმინაციის პირობებში, უმცირესობის აბიტურიენტს ენიჭება უპირატესობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისი კვალიფიკაცია ნაკლებია უმრავლესობის ჯგუფის აბიტურიენტის კვალიფიკაციაზე.(Goldman 1975).

ვებსტერის ლექსიკონში ტერმინი ,,ინტეგრაცია“ განმარტებულია, ორი სახით. პირველი მნიშვნელობით, ეს არის პროცესი თანასწორობის დამკვიდრებისა საზოგადოებაში განსხვავებულ ჯგუფებს შორის, ხოლო მეორე მნიშვნელობით ეს არის მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ათანაბრებს საზოგადოებაში განსხვავებულ ჯგუფებსა და ინდივიდებს. (ვებსტერის ლექსიკონი, 2017. Dorcus.M& Shaffer.G.) ხოლო სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონში ეს ტერმინნი ამ სახით განიმარტება: ,,სახელმწიფოთა გაერთიანების პროცესი პოლიტიკური თანამეგობრობის

შექმნის მიზნით. ე.ი. ნებაყოფლობითი პროცესია და კონსესუსს ემყარება. მას ახასიათებს ისეთი გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურებისა და პოლიტიკური პროცესების არსებობა, რომლებიც თავიანთი ხასიათით უფრო ზეეროვნულია, ვიდრე სახელმწიფოთაშორის.პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია უსაფრთხოების, თანამეგობრობისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არსებობა. ტრადიციული (ევროპული) სქემით ეს საფეხურებია საბაჟო კავშირის, საერთო ბაზრის, საერთო პოლიტიკური სტრუქტურებისა და იდენტურობის შექმნა. როგორც წესი, რეგიონალიზმის საფუძველზე ვითარდება. დღევანდელ მსოფლიოში რეგიონული-ის ყველაზე წარმატებული მაგალითი ევროპის კავშირია. (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი.(2004)

გამოიყოფა ინტეგრაციის მოდელები: ასიმილაცია, ინდივიდუალისტური ინტეგრაცია, კოსმოპოლიტანიზმი და მულტიკულტურალიზმი. თუმცა თითოეული მათგანი დაფუძნებულია ლიბერალურ ღირებულებებზე, როგორიცაა, თანასწორობა, შემწყნარებლობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა. (T. Modood 2014).

1964 წელს გამოცემულ ნაშრომში ერნესტ გელნერმა წამოჭრა საკამათო თეზისი, რომლის თანახმად, საზოგადოებრივი წესრიგი მხოლოდ მაშინ ითვლება ლეგიტიმურად, როცა ის პასუხობს ნაციონალიზმისა და დოვლათის მოთხოვნებს. წიგნში ,,ერები და ნაციონალიზმი,“გელნერი ავითარებს თეორიას, რომლის მიხედვითაც, ნაციონალიზმი უპირველესად პოლიტიკური პრინციპია, რომელიც პოლიტიკური და ეროვნული ერთეულების თანხმობასა და ჰარმონიას ეყრდნობა და რომელმაც, სოციოლოგიური თვალსაზრისით, თანამედროვეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ნაშრომში გელნერი აღნიშნავს:,,არსობრივად, ერები, ისევე როგორც სახელმწიფოები არ არსებობდნენ ყოველთვის...“ ის გამოყოფს სამ ფუნდამენტურ ეტაპს კაცობრიობის არსებობაში:პრეაგრარული, აგრარული და ინდუსტრიული. ის აღნიშნავს, რომ ერების წარმოშობა მეორე ეტაპიდან მესამეზე გადასვლით დაიწყო. (გელნერი2003). ნაშრომშიავტორი განიხილავს ერების მნიშვნელობას, მათი ფორმირების ისტორიულ პროცესს და ეროვნულ ურთიერთობებს საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.გელნერის აზრით, ნაციონალიზმმა სოციოლოგიურად განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვეობაში შეიძინა.

ადრეულ პერიოდში მმართველებს არ ამოძრავებდათ მართულთა კულტურული ერთგვაროვნების თავს მოხვევის სურვილი. მაგრამ თანამედროვე ეპოქაში სამუშაო მექანიკური გახდა. იმისათვის რომ მართო მანქანა, საჭიროა ისწავლო მისი მართვა. არსებობს არაპიროვნული, კონტექსტისგან თავისუფალი კომუნიკაციისა და კულტურული სტანდარტიზაციის მაღალი ხარისხის მოთხოვნილება. მეტიც, ინდუსტრიულ საზოგადოებას ამყარებს ის გარემოება, რომ არსებობს მუდმივი ზრდა – დასაქმების ტიპები იცვლება და საჭიროა ახალი უნარების ათვისება. ზოგადი დასაქმების ტრენინგები წინ უსწრებს სპეციალიზებულ დასაქმების ტრენინგებს. ტერიტორიულ დონეზე ჩნდება კონკურენცია მიმდებარე აუზის ქვეყნების მოსახვეჭად. იმისათვის რომ შენარჩუნდეს რესურსების ფლობა და პროგრესი სახელმწიფო და კულტურა შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან. შესაბამისად, ნაციონალიზმი აუცილებელია.მისი აზრით, პოლიტიკისგან ეკონომიკის გამოყოფით სამოქალაქო საზოგადოებ აგანსხვავდება ტრადიციონალისტური საზოგადოებისგან. სწორედ ამ განსხვავების ახსნა წარმოადგენს ჩვენი კვლევის *თეორიულ ჩარჩოს.* თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებას ახასიათებს მინიმუმ სამღერძიანი სტრატიფიკაცია – ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული(სოციალური). მტკიცდება კლასიკური ტრიადა: ტრანს ნაციონალური კაპიტალიზმის ეკონომიკა, ნეოლიბერალიზმის პოსტმოდერნული იდეოლოგია და დემოკრატიის არჩევითი სისტემა. სამოქალაქო სა ზოგადოების ცნების საკვანძო მომენტია მოდულური ადამიანი, რომელიც ადვილად ერთვება მუდმივმოქმედ ინსტიტუტებსა და ასოციაციებში. შედის დროებით კავშირებში და სურვილის შემთხვევაში ტოვებს მათ. გელნერი თვლის, რომ სამოქალაქო საზოგადოების არსი ეფექტური და მოქნილი კავშირების ფორმირებაში მდგომარეობს. გელნერის მოდულური ადამიანი პასუხობს ,,ახალი ადამიანის“ იდეას რომელიც ფრანგ განმაგანმანათლებლებმა შემოიღეს. მოდულობაში იგულისხმება სოციალური მობილობის მოთხოვნა და საზოგადოებრივი კავშირების სრულყოფა. მოდულური ადამიანი ინდივიდუალისტია და ამავე დროს შეუძლია გაერთიანდეს კავშირებში და გამოვიდეს სახელმწიფოს წინააღმდეგ. მოდულური ადამიანი ნაციონალისტიცაა. თავდაპირველად ნაციონალისტური და სამოქალაქო მოსაზრებები გვერდიგვერდ არსებობენ, მაგრამ შემდგომ მათი გზები იყოფა. ნაციონალიზმთან დაკავშირებული

ძირითადი პრობლემები, რომლებიც მოდის ,,ერთი კულტურა-ერთი სახელმწიფოდან“ განსაკუთრებით აშკარაა აღმოსავლეთ ევროპაში. ადამიანის მოდულური მოწყობა მჭიდროდაა დაკავშირებული ინდუსტრიულ განვითარებაზე ორიენტირებულ საზოგადოებასთან და მას ორი ასპექტი აქვს: პირველ რიგში ის ბადებს სამოქალაქო საზოგადოების არსებობის შესაძლებლობას. სისტემას, რომელიც პლურალისტურ პოლიტიკურ ასოციაციებსა და ეკონომიკურ ინსტიტუტებს ათანაბრებს და არ იმონებს ადამიანს. მეორე, ის ზრდის ეთნიკური იდენტობის მნიშვნელობას. რამდენადაც ადამიანი უკვე აღარ არის სამუდამოდ მიჯაჭვული მოცემულ სოციალურ ნიშას და კულტურის გარკვეულ სფეროსთან არის ასოცირებული. (სამოქალაქო განათლება, 2013.11.)

ენტონი სმითი კი განსხვავებულად ხედავს ერების წარმოშობის საკითხს და ყურადღებას ამახვილებს ექსკლუზიურ ნიშნებზე. ის აღნიშნავს, რომ უპირატეს როლს ერების ფორმირებაში თამაშობს ეთნიკური ნიშნები და ,,ერები ჩამოყალიბდნენ მათი წინამორბედი ეთნიკური ერთობების ან ეთნოსების საფუძველზე,“ მისი თქმით, როდესაც ეთნოსიმბოლოების საფუძველზე ხდება ერის ჩამოყალიბება, სწორედ მაშინ ,,ხდება ერების და მათი ახალი ეროვნული სახელმწიფოების, საჯარო კულტურის, სიმბოლური კოდებისა და სისტემის, მრავალი კანონისა და ჩვეულების ჩამოყალიბება.“ (Smith, 2009)

აუცილებელია სამოქალაქო და ეთნიკური ნაციონალიზმის ერთმანეთისაგან გამიჯვნა და განსხვავების დანახვა. ნაციონალიმზს ორ სახედ ყოფს მკვლევარი იელის უნივერსიტეტიდან -ტარას კუზიო. ის აღნიშნავს რომ არსებობს დასავლეთის ,,კარგი“ სამოქალაო ნაციონალიზმი და აღმოსავლეთის ,,ცუდი“ ეთნიკური ნაციონალიზმი. (Kuzio1998.) სამოქალაქო ნაციონალიზმი ეფუძნება გაგებას, რომ მოქალაქე ირჩევს კონკრეტულ ქვეყანაში ცხოვრებას, ხოლო ეთნიკური ნაციონალიზმის მიხედვით, ადამიანი უნდა ეკუთვნოდეს ნაციას, იმ ერს, რომელთანაც აკავშირებს საერთო სისხლი, ისტორია, ფესვები. სამოქალაქო ნაციონალიზმი არა ასეთ ფაქტორებზე აკეთებს აქცენტს, არამედ სამოქალაქო წესრიგსა და კანონებზე, სადაც ინდივიდები დაკავშირებულნი არიან კანინითა და ღირებულებებით და გრძნობენ თავს ერთი ქვეყნის მოქალაქეებად. აქ ერი არ არის დაფუძნებული საერთო წარმომავლობასა და

სისხლზე, არამედ ერთიანი სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებზე. სამოქალაქო ნაციონალიზმი უპირისპირდება ეთნიკურ ნაციონალიზმს, სადაც ერის წარმომადგენელია მხოლოდ იმავე ნაციის, რასის მქონე ინდივიდი. ეს არის ე.წ. ექსკლუზიური ნიშნებსა(საერთო წარმომავლობა, ისტორია, ერთი სისხლი და სხვა) და ინკლუზიურ ნიშნებს(სამოქალაქო ღირებულებები და პრინციპები) განსხვავება. (ჰეივუდი 2004. გვ:186)

ერნესტ რენანი სამოქალაქო ნაციონალიზმს განსაზღვრავს, როგორც ,,ყოველდღიურ პლებიცისტს" ხალხის ნებას განსაზღვროს და მოისურვოს ერთად ცხოვრება.(Renan1882.). ეთნიკური ნაციონალიზმი კი არ უშვებს სხვა ეთნოსის ხალხს საკუთარ ნაციაში. ეს კონცეფცია ეწინააღმდეგება განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის თავის ერში ინტეგრაციას.

ცოდნის როლზე, რომელიც ინტერგრაციაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს არაერთი მკვლევარი მიუთითებს. მაგალითად, ეთნიკური უმცირესობათა პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის. ეს საკითხი გლბალური მაშტაბით იზრდება დღევანდელ დროში. ავტორს განხილული აქვს ჩინეთში განათლების პროგრამა, თუ როგორ არის ეს სისტემა მოწყობილი და როგორ უწყობს ხელს ჩინეთში ეთნიკური უმცორესობათა ინტეგრაციას.(Chen 1978).

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკაში განათლების როლზე მიუთითებენ სხვა მკვლევარებიც. განათლება არის ადამიანური კაპიტალის გამომხატველი, მომავალში წარმატების საწინდარია. თუმცა ზოგიერთი კვლევა მიუთითებს ასევე სხვა ცვლადებზეც, რომელითაცც პიროვნულ კაპიტალი მხოლოდ განათლებით არ განისაზღრება. ესენია პიროვნული უნარ-ჩვევები, ეთნიკური გარემო, სადაც უმცორესობები ყალიბდებიან და სკოლის განათლება. ეს კარგად არის ცნობილი ე.წ. ,,ბავშვის ხარისხის მოდელის" სახელით. ბავშვის გონებრივ პოტენციალზე გავლენას ახდენს ოჯახის სიდიდე, მშობლების შესაძლებლობები. თუმცა მკვლევართა მიერ აქცენტი კეთდება ეთნიკურ გარემოზე, სადაც მშობლები აყალიბებენ ბავშვებს. ანუ ყურადღება მახვილდება ე.წ. ,,ეთნიკურ კაპიტალზე" (ბორჯა 1992).

ზოგიერთი მკვლევარი კი ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციას არა ,,ეთნიკურ კაპიტალს“ უკავშირებს, არამედ განათლებაზე. ჩისვიკი აღნიშნავს, რომ განათლების დონეზეა დამოკიდებული ეთნიკური უმცირესობათა დონე საზოგადოებაში. სკოლის განათლების მაღალი დონე ახდენს გავლენას ეთნიკური ჯგუფის უფრო მაღალ დონეზე და მის რეპრეზენტაციის უნარზე საზოგადოებაში. (Chiswick 1966.) ტორონტოს მაგალითზე რეზა ჰასმატს გამოკვლეული აქვს განათლების პროგრამების საშულებით ეთნიკური უმცირესობათა ინტეგრაციის დონე, რომელიც იწვევს ამ ხალხის თვითრეალიზაციას საზოგადოებაში. მათი სტატუსის ამაღლებასა და საბოოლოო ჯამში საზოგადოებრივი კაპიტალის უფრო ამაღლებას. (Hathmat 2012).

საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა. სსრკ-ს დაშლის შემდგომ ინტეგრაციის დონე ერთა შორის ძალიან დაბალია. ქართულად გამართულად მხოლოდ დიდ ქალაქებში მცხოვრები უმცირესობები ლაპარაკობენ, ხოლო შორეულ მონოეთნიკურ რეგიონებში ქართულის ფლობის დონე ძალიან დაბალია. უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის მიერ 2008 წლის მაისში ჩატარებული კვლევის შედეგად, რომლის დროსაც სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რვა მუნიციპალიტეტიდან 1699 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი გამოიკითხა, დადგინდა, რომ მხოლოდ ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში (სადაც ეთნიკური ქართველების რაოდენობა მეტია), 10%-ზე მეტი ეროვნული უმცირესობა საუბრობს სრულყოფილად ქართულ ენაზე. 2009 წლის ჯონათ უილთის მოხსენების მიხედვით, ახალციხეში ქართული მხოლოდ 6, 7 პროცენტმა არ იცის, ახალქალაქში – 47,2%, ნინოწმინდაში – 28,2%. ახალციხეში – ესმის, საუბრობს და წერს გამართულად მხოლოდ 23%, ახალქალაქში – 5%, ნინოწმინდაში – 3%. (ზურაბაშვილი, 2011. გვ: 3-5)

საქართველოში განხორციელებული კვლევები ხშირად ეფუძნება არსებულ პრობლემას, განხილულია ენობრივი ბარიერი, განათლების სისტემის ხარვეზები. მაგალითად, გამოკვლეულია ბილინგვური განათლების ხარისხი ეთნიკურ უმცირესობებში. კვლევის მიზანი იყო მიმდინარე ბილინგვური პროგრამების ეფექტურობის შედარება სუბმერსიულ განათლებასთან, რომლის განხორციელების ტენდენციაც საქართველოში მატულობს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ არაქართულენოვან მოსწავლეთა ენობრივი კომპეტენციები ქართულ ენაში დაბალია -

ოთხი ენობრივი უნარის მიხედვით (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა) არაქართულენოვანი მოსწავლეების შეფასება თითოეული სკოლის მასწავლებლების მხრიდან განსხვავებულია. ზოგადად აღინიშნება ყველაზე მეტი სირთულე წერისა და კითხვის კომპონენტებში, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. აღსანიშნავია, რომ სირთულეები ერთი მხრივ განპირობებულია ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემებით, ხოლო მეორე მხრივ კი, წინარე ცოდნისა (მშობლიურ ენაზე წიგნიერების) და ტრანსფერული უნარების არასაკმარისი განვითარებით (გორგაძე, 2012). კვლევამ აჩვენა, რომ, მიუხედავად სახელმწიფო ენის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებისას აღმოჩენილი პრობლემებისა, ბილინგვური პროგრამების ფარგლებში, მოსწავლეების ენობრივი კომპეტენციები და აკადემიური მიღწევები ქართულ ენაში შედარებით მაღალია, ვიდრე სუბმერსიის პროგრამის მოსწავლეების მიღწევები. (ჯაჯანიძე, 2012)

,,სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ 2011 წელს გაკეთებულ ანალიზში აღნიშნულია, რომ ეროვნული უმცირესობებისათვის ადეკვატური საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეთავაზება ქვეყანაში მიმდინარე ზოგადსაგანმანათლებლო რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია, თუმცა იკვეთება მთელი რიგი პრობლემები რაც ხელს უშლის ამ სფეროში მნიშვნელოვანი წინსვლის განხორციელებას. ეროვნული უმცირესობების მიერ განათლების მიღება პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო ენის სწავლებას, ამ კუთხით ამჟამად მიმდინარე ცვლილებები არასაკმარისია, რაც გამოიხატება იმაში, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული ენის ფლობის ხარისხი ეროვნულ უმცირესობებში მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა, რაც დაკავშირებულია როგორც არასრულყოფილი სახელმძღვანელოების არსებობით, ასევე მეტწილად არაკვალიფიციური პედაგოგიური შემადგენლობის ფაქტორით. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები პოზიტიურად აფასებენ ბილინგუალური განათლების სისტემის დანერგვას, თუმცა ეს მოდელს ჯერ კიდევ პოლოტური ხასიათი აქვს და მასიურად არ არის დანერგილი. (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი 2011).

2016 წლის 8 ნოემბერს, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა, საქართველოს გაეროს ასოციაციისა და USAID-ის

,,ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, გამართა კვლევის პრეზენტაცია - „ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობა.“ კვლევის მთავარი მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ როგორ აფასებენ ქართულ ენაში მომზადების ერთწლიან პროგრამას თავად სტუდენტები, როგორია მათი აღქმა და დამოკიდებულება ამ პროგრამის მიმართ. ცენტრმა 280 სტუდენტი გამოკითხა. პრეზენტაციაზე ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და კვლევის ავტორებმა ყველა დაინტერესებულ და ჩართულ მხარეს კვლევის შედეგებთან ერთად წარუდგინეს რეკომენდაციები პროგრამის/პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში განხორციელებული ეთნიკური უმცირესობებისთვის მისაღებ გამოცდებზე კვოტირების სისტემის საფუძველზე შემუშავებული ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის შესახებ სტუდენტთა აღქმებისა და დამოკიდებულებების შეფასებას. კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი ასპექტები: 1. ქართული ენის პროგრამის ნებისმიერი ასპექტი სტუდენტების მიერ მაღალი ქულით ფასდება. ეს ტენდენცია იკვეთებ მაშინაც კი, თუ კონკრეტული უნივერისტეტის პროგრამის ფარგლებში შესაფასებელი ასპექტი არ ხორციელდება ან სუსტად, განვითარების პირველ ეტაპზე იმყოფება. 2. ენის პროგრამის ნებისმიერი ასპექტის ზოგადი შეფასებისას, სტუდენტების საერთო შეფასება უფრო მაღალია, ვიდრე კონკრეტული ასპექტების შეფასებათა საშუალო მაჩვენებელი. 3. ყველაზე მაღალი შეფასება პედაგოგთა რელევანტურობისა და კვალიფიციურობის შეფასებისას ფიქსირდება. 4. ერთი და იმავე ასპექტის ან ასპექტთან დაკავშირებული დებულებების შეფასების შემთხვევაში, შეიძლება არსებობდეს მცირედი განსხვავება შეფასებებში დებულების ფორმულირებიდან გამომდინარე.(გიორგაძე&ტაბატაძე 2016. გვ:20-22).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი ეთნიკური უმცირესობების მიმართ გაჩნდა სტერეოტიპული დამოკიდებულება, რასაც პოლიტიკური ხასიათის კონფლიქტამდე და ერებს შორის დაძაბულობამდე მივყავართ, ამიტომ 2004 წლიდან მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება ეთნიკური უმციესობების მიმართ და დაიგეგმა პროექტები მათი ინტეგრაციისათვის. განსაკუთრებით კი ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღების შემდგომ, რომელიც სავალდებულო გახდა 2004 წლიდან და

ემსახურებოდა ამ სისტემაში განთლების თანასწორობის აღდგენასა და კორუფციის აღმოფხვრას, თუმცა ეს ერთიანი ეროვნული გამოცდები დისკრიმნაციული აღმოჩნდა ეთნიკური უმცირესობებისათვის, რაც ქართული ენის არასაკმარისი ცოდნით არის გამოწვეული. ეს ცოდნა დამოკიდებულია სკოლის პერიოდში ქართული ენის სწავლების ხარისხზე და შემდგომ უკვე ერთწლიანი კურსზე. თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ თუკი სკოლის განათლებამ არ შექმნა საფუძველი ეროვნული უმცირესობებისათვის ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელება ძალიან ძნელია და ხშირია შემთხვევები, რომ ისინი უმაღლეს განათლებას სრულად ვერ ეუფლებიან.სკოლებში კი ქართული ენის სწავლების მხრივ სავალალო მდგომარეობაა. მართალია ბოლო წლებში მოხდა მასწავლებელთა გადამზადება, მაგრამ ხარისხი ენის სწავლისა მაინც დაბალია.

თავი1.კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს უზენაესი კანონი-კონსტიტუცია აღიარებს თანასწორობის პრiნციპს ინდივიდთა შორის. კონსტიტუციით დაცულია და აღიარებულია ადამიანთა ძირითადი უფლებანი და თავისფლებანი, დაუშვებელია ადამიანთა განსხვავება ასაკის, სქესის, რასის, კანის და სხვა ნიშნით. ეს არის პირდაპირი დისკრიმინაცია, რასაც დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპები არსებითად ეწინააღმდეგება. კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით, ყველას აქვს განათლების მიღების უფლება, ამასთანავე სახელმწიფო უზრუნველყოფს და აფინანსებს სკოლის განათლებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრები უმცირესობების ენებზე სწავლების და ასევე, სახელმწიფო ენის სწავლების საკითხებში დღემდე იქმნება გარკვეული სირთულეები. (აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა,2013. გვ:3.)

უმაღლესი განათლების სისტემაში სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავს პარლამენტი და მთავრობა, რომელსაც შემგდომ აღასრულებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ამასთანავე, სამინისტრო გამოსცემს რეგულირებისა და პოლიტიკის აღსრულების ცალკეულ წესებს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის.(ნარმანია, უთარიღო, შესავალი.)

საქართველოში საგანმანათლებლო სისტემას არეგულირებს სამი კანონი: 1) ,,საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ,“ 2) ,,საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ და 3),,საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.“ ,,საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული მშობლიური არ არის, შეუძლიათ განათლება სრულიად მიიღონ მშობლიურ ენაზე, მაგრამ პარალელურად ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა ამ სასწავლო დაწესებულებებში. (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, გვ:6). ხოლო ,,საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ“,რომელიც 2014 წელს იქნა მიღებული,43-ე მუხლის თანახმად, აღნიშნულია, რომ ყველა სტუდენტს აქვს უფლება მიიღოს

ხარისხიანი განათლება. (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 43. გვ:29.) აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი ძირითადი ცვლილება, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ საფუძვლად დაედო განათლების სიტემის რეფომას, გულისხმობდა ინტეგრაციის ხელშეწყობას საერთაშორისო სივრცეში. ბევრი ცვლილება განპირობებული იყო საერთაშორისო პროცესებით, რომელსაც ბოლო წლებში შეუერთდა საქართველო. ამასთანავე 2005 წლიდან საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს, ამის შემდგომ საქართვლოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ატარებენ რეფორმებს, რათა შესრულდეს ის ძირითადი ამოცანები, რომელთაც ბოლონიის პროცესი ითვალისწინებს. აღნიშნული ამოცანების რეალიზაციას ემსახურებოდა უმაღლესი განათლების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოდერნიზაცია და დამატებითი რეგულაციების მიღება.(აბუაშვილი, 2014. გვ:6.) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლონიის პროცესში ჩართულობა მოითხოვს ეროვნული უმცირესობათა ჩართულობას და მათთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას. ასევე უმცირესობათა ჯგუფების წარმატებულ ინტეგრაციას სზოგადოებაში, თუმცა ამასთანავე დაცული და გათვალისწინებული უნდა იყოს მათი ეროვნულ-კულტურული ღირებულებები.

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია დაცულია ეროვნული უმცირესობებისათვის განათლების უფლება, მაგრამ კანონი ზოგადია და არ მოიცავს კონკრეტულად როგორ უნდა იყოს დაცული ეს უფლებები. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია საშუალო განათლების სისტემაში სავალდებულოა ქართული ენის სწავლება, მშობლიურ ენასთან ერთად, მაგრამ აქ საჭიროა სახელმწიფოს მხრდან უფრო მეტი ყურადღება და ინიციატივის გამოჩენა, რათა დაიხვეწოს სკოლის განათლება. მასწავლებელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება აუცილებელია ქართულ ენაში, ამასთანავე სკოლებში დღემდე არსებობს საბჭოთა სისტემისთვის დამახასიათებელი სასწავლო პროცესები. ამიტომ აუცილებელია ამ პროცესების მოდერნიზება და მორგება ერონული უმცირესობათა მოთხოვნებზე. ერთის მხრივს, შეიძლება ვილაპარაკოთ, პირუკუ დისკრიმინაციაზე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ ეს არის რეალურად საფუძვლი შემდგომში ამ ჯგუფების წარმატებული ინტეგრაციისა საზოგადოებაში,

მაშინ მივხვდებით რომ აუცილებელია სასწავლო პროცესების გამართვა ამ კუთხით სახელმწიფოს მხრიდან. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ საერთაშორისო დონორებისა და სზოგადოების მხრიდან უფრო მეტი ინიციატივა მოდის, ვიდრე საქართველს მთავრობის მხრიდან, ამიტომ ბევრი ცვლილება და პროექტი, რომელიც განხორციელდა ბოლო წლებში ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციისთვის, ძირითადად საერთაშორისო სივრციდან მოდის და შემდგომში ერთვება სახელმწიფო და უმაღლესი დაწესებულებები. რაც არასახარბიელო მაჩვენებელია, იმ ქვეყნისათვის, რომელიც დემორატიული აღმშენებლობის გზაზეა.

თავი 2. უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების გზა საქართველოში ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის კუთხით.

2.1. საბჭოთა განათლების სისტემა

საბჭოთა კავშირში ყველა სახლმწიფოს ერთი განათლების სისტემა იყო. მაკავშირებელ ენას წარმოადგენდა რუსული, ამიტომ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის კუთხით პრობლემა არ იყო. მშობლიური ენის, ამ შემთხვევაში ქართული ენის ცოდნა არ იყო სავალდებული და დღესაც არ არის ეთნიკური უმცირესობებისათვის. მოქალაქეები ითვლებოდნენ სსრკ-ს წევრებად და არა კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეებად. საბჭოთა კავშირის განათლების სისტემა განათლების კლასიკური მოდელი იყო, რომელიც გერმანიიდან და ისრაელიდან გამოიტანეს. ის მთლიანად კლასიკურ პედაგოგიკას ეყრდნობოდა. სისტემას ლაივმოტივად კომუნისტური იდეოლოგია გასდევდა. ადამიანის აღზრდა კომუნისტური იდეოლოგიით მიმდინარეობდა. საბჭოთა პერიოდში რუსული ერთადერთი ოფიციალური ადმინისტრაციული ენა და ე. წ. ,,ლინგუა ფრანკა" იყო . 1950-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში ეროვნული უმცირესობებისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებათა მეშვეობით მათი მშობლიური ენების გამოყენებისა და შენარჩუნებისათვის ხელსაყრელი პირობები იყო შექმნილი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქართული ენის ცოდნა ეროვნული უმცირესობებისათვის არ იყო სავალდებულო და არც პრიორიტეტს წარმოადგენდა, რადგან რუსული ენა იყო გამაერთიანებელი რგოლი სხვადასხვა ქვეყნის ხალხისთვის. მითუმეტესს, რომ რუსული ენის სწავლა საშუალო სკოლებში სავალდებულო იყო და ასევე ზოგადი დაწყებითი, და საშუალო განათლება უმცირესობათა ენებზეც იყო ხელმისაწვდომი. საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რომელიც ასევე იყო საქართველოს, როგორც სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფოს ოფიციალური ენა, თუმცა სსრკ-ის ზემოთხსენებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობაში რუსულენოვანი სექტორებიც ფუნქციონირებდა. რის გამოც, საბჭოთა

კავშირის დაშლისას ეროვნული უმცირესობების ძირითადი ნაწილი ქართულს ძალიან დაბალ დონეზე თუკი საერთოდ ფლობდა. განსაკუთრებით ეს ეხებოდა მათ, ვინც ცხოვრობდნენ ეროვნულ უმცირესობათა მიერ მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. უნდა აღინიშნოს, რომ ერთის მხრივ აქ დაცული იყო კულტურული, ეთნიკური თვითმყოფადობა, მაგრამ მეორეს მხრივ, ასეთმა მიდგომამ ეთნიკური ნიშნით დაქსასულობასაც შეუწყო ხელი. განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, სადაც ეთნიკურ საფუძველზე დაძაბულობას წარსულშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი. (მეხუზლა&როშე, 2009. გვ:5-9)

2.2. 90-იანი წლების პოლიტიკა

1989 წლიდან (9 აპრილი), საქართველომ უკვე დაიწყო ფიქრი განათლების სისტემის ახლებურ მოწყობაზე, რომ საკუთრივ განესაზღვრა თავისი ქვეყნის მოქალაქის მომავალი. 1991 წლიდან საბჭოთა კავშირი ვეღარ ერეოდა ჩვენი ქვეყნის მოწყობაში. 1995 წლიდან საქართველოში შემოვიდა დონორი ორგანიზაციები და ყველაზე დიდი და სერიოზული, 60-მილიონიანი ტრანზი განახორციელ მსოფლიო ბანკმა. ამ თანხის ფარგლებში შეიქმნა რამდენიმე პროექტი, მათშორის, პროექტი - "ილია ჭავჭავაძე" , რომელიც რამდენიმე კომპონენტისგან შედგებოდა. ეს კომპონენტები თავიდან ბოლომდე ფარავდა განათლების საკითხებს. ნელ-ნელა დაიწყო გადასვლა საბჭოთა სივრციდან საერთაშორისო სივრცეზე. (შერგილაშვილი, 2014.)

დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა ლიდერებმა, გამსახურდიამ და შევარდნაძემ, ეროვნულ უმცირესობათა წინაშე არსებული პრობლემები მეტწილად უგულვებელყვეს. გამსახურდიას მმართველობა უკავშირდება საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას და შესაბამისად მისი პრეზიდენტობის ხანა ხშირად ეთნოცენტრული ხასიათითაც კი გამოირჩეოდა, რომლის შედეგიც ეროვნული უმცირესობებისათვის არახელსაყრელი და დისკრიმინაციული პოლიტიკა იყო. პრეზიდენტის საინაგურაციო სიტყვაში ზვიად გამსახურდია აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო მშენებლობა უნდა დამყარებოდა არამარტო საერთაშორისო სამართლის

პრინციპებს, არამედ ქართულ ტრადიციებსაც, ხოლო ეროვნული უმცირესობათა უფლბები დაცული იყო და მათ განვითარების „ფართო“ კულტურული არეალი გააჩნდათ. (მაცაბერიძე, 2017. გვ:55-56.) ეს პერიოდი მხოლოდ 6თვე გაგრძელდა და ძნელი სათქმელია ეროვნული უმცორესობათა ინტეგრაციის კუთხით რა პოლიტიკა გატარდებოდა. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ეთნოცენტრული პოლიტიკა არ ტარდებოდა, მაგრამ ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშესაწყობად და ამ პრობლემისაგან განუყოფელი ენობრივი ბარიერის გადასალახავად მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ იდგმებოდა. შევარდნაძემაც გაუსვა ხაზი პრეზიდენტის სიტყვის დრო, რომ ეროვნული უმცირესობათა დაცვა აუცილებელია და ამ მხრივ პრეზიდენტის პროგრამაში ასახულია სამოქმედო გეგმა, მაგრამ ამ საკითხის მოსაგვარებლად საჭირო სტრატეგია ან პოლიტიკა ამ პერიოდში არ შემუშავებულა. ერთადერთი მცდელობა ეროვნულ უმცირესობათა შესახებ კანონმდებლობის შექმნისა იყო 1996 წელს ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ კანონის მიღების მცდელობით გამოიხატა,რომელიც წარუმატებლობით დასრულდა. (მაცაბერიძე,2017. გვ:56-57.) თუ გავითვალისწინებთ, იმასაც რომ განათლების კუთხით სრული განუკითხაობა სუფევდა 90-იან წლებში, არ უნდა გაგვიკვირდეს რომ ეროვნული უმცირესობები მეტწილად მარგინალიზებულნი იყვნენ ქართული საზოგადოებისაგან და ქართული ენის სწავლებას მათთვის სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. უმაღლესში მოწყობა-ჩაბარება იყო დამოკიდებული პატრონაჟის სისტემაზე, განათლების სფერო იყო მთლიანად კორუმპირებული და კულისებში წყდებოდა ვინ რამდენს გადაიხდიდა და შესაბამისად ჩააბარებდა თუ არა, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ დღეს სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე ეროვნულ უმცირესობათა ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. მაგალითად: სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხები ახალქალაქის რაიონის მოსახლეობის 94%-ს, ნინოწმინდის რაიონის მოსახლეობის 95%-სა და ახალციხის რაიონის 34%-სშეადგენენ. ქვემო ქართლი ეთნიკური აზერბაიჯანელების მრავალრიცხოვანი მოსახლეობით გამოირჩევა, რომლებიც მარნეულის რაიონის მოსახლეობის 83%-ს, ბოლნისის - 66%-სა და დმანისის რაიონის მოსახლეობის 67%-ს შეადგენენ. 2002 წლის მონაცემებით კი აქედან სამცხე-ჯავახეთის სომხური

მოსახლეობის მხოლოდ 24,6 %-მა, ხოლო აზერბაიჯანელების 16.9%-მა იცის ქართული ენა. (მეხუზლა&როშე, 2009. გვ:8-10.)

2.3. ,,ვარდების რევოლუციის" შემდეგ.

2003-2004 წლიდან იწყება ,,საშეღავათო პოლიტიკის" გატარება. იხვეწება განათლების რეფორმები და ასევე ამ სფეროში მთელი კანონების მიღება ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის კუთხით. 2005 წლამდე მისაღები გამოცდების ადმინისტრირებას მთლიანად უმაღლესი სასწავლებლები ახორციელებდნენ. 2005 წლიდან შემუშავდა უნარ-ჩვევების ტესტირებაზე დაფძნებული ერთიანი გამოცდების ახალი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავდა ყველა აბიტურიენტისათვის თანაბარი პირობების შექმნას ერთიან ეროვნულ გამოცდებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ყველა აბიტურიენტი ვალდებული გახდა ჩაებარებინა აუცილებლად სამი ტესტი: ქართულ ენაში, ზოგად უნარებსა და უცხო ენაში. რეფორმა საკმაოდ ნეგატიური აღმოჩნდა ეთნიკური უმცირესობებისათვის. მაგალითად, 2005 წელს ახალქალაქიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მხოლოდ 2 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ნინოწმინდიდან - 1 დამარნეულიდან -17.(გიორგაძე&ტაბატაძე, 2016. გვ:7.)

2005 წელს ეროვნულ გამოცდებში ეროვნულ უმცირესობებს ქართული ენისა და ლიტერატურის შესაბამისად გამარტივებული ვარიანტის ჩაბარება უწევდათ, რის შედეგადაც ისინი აკრედიტებული უნივერსიტეტების რუსულენოვან სექტორებზე ირიცხებოდნენ. ხოლოაბიტურიენტებს, რომელთაც ქართულენოვან სექტორზე სურდათ სწავლა, ვალდებულნი იყვნენ ქართული ენისა და ლიტერატურის უფრო რთული გამოცდის ჩაებარებინათ. გარდა ამისა, იმ აბიტურიენტებს, რომლებიც გამარტივებულ ტესტს აბარებდნენ, ეეგ-ს უცხოური ენის გამოცდის ჩაბარებისას რუსულის არჩევის უფლება არ ჰქონდათ. რომ 2005 წელს მარნეულის რაიონის 1,01273 აზერბაიჯანულენოვანი სკოლადამთავრებულიდან მხოლოდ ჩვიდმეტი ჩაირიცხა, უმაღლეს სასწავლებლებში. ხოლო ჯავახეთიდან დაახლოებით 80-მა აბიტურიენტმა შეიტანა განაცხადი, რომელთაგანაც გამოცდები წარმატებით ახალქალაქის რაიონიდან

მხოლოდ ორმა და ნინოწმინდის რაიონიდან ერთმა ჩააბარეს. (მეხუზლა&როშე, 2009, გვ: 51)

2006 წელს ეეგ-ში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა, რის შედეგადაც გამოცდების ჩაბარება ეროვნულ უმცირესობებს რუსულ ენაზე შეეძლოთ. ამასთანავე ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტები გაცილებით გამარტივებული სახის იყო უმცირესობებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა რომელ სექტორზე აბარებდნენ. გარდა ამისა გაიხსნა აბიტურიენტთა მოსამზადებელი სპეციალური კურსები ე.წ. ,,ენის სახლები“ ეუთოს დაფინანსებით ეროვნული უმცირესობებისთვის, მთლიანობაში ამან ყველაფერმა ხელი შეუწყო ჩაბარებული სტუდენტთა რაოდენობის გაზრდას. კერძოდ, 2006 წელს ქვემო ქართლიდან 25-მა აზერბაიჯანელმა აბიტურიენტმა შეძლო ეეგ-ს ჩაბარება, ხოლო ჯავახეთიდან 31 აბიტურიენტი აღმოჩნდა წარმატებული. უმრავლესობას მოსამზადებელი კურსები ჰქონდათ გავლილი.

2007 წელს ცვლილბები არ განხორციელებულა, თუმცა შემცირდა ჩაბარების მსურველთა რაოდენობა, ისევე როგორც ჩარიცხული სტუდენტა რაოდენობაც.რაც ძირითადად განპირობებული იყო ახალქალაქში თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალისთვის აკრედიტაციისგაუქმებით. შესაბამისად, საჭირო გახდა საშეღავათო პოლიტიკის უფრო ეფექტური მექანიზმების ამუშავება .2008 წელს ფსიგოლოგების რეკომენდაციის საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ეროვნული უმცირესობებს ზოგადი უნარების ტესტის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ჩაბარების უფლება მისცა. 2008 წელს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულთა საერთო რაოდენობის დიდ ნაწილს ეროვნული უმცირესობები შეადგენდნენ, რაც ზოგადი რეფორმით იყო გამოწვეული. ქართულ სკოლებში სავალდებულო გახდა 12 კლასი, ამიტომ იმ წელს ქართველ აბიტურიენტებს წარმოადგენდნენ წინაწელს ჩაჭრილი აბიტურიენტები და არა სკოლადამთავრებულები. შესაბამისად კონკურენცია ძალიან დაბალი იყო. ამასთანავე აქტიურად გაგრძელდა ეეგ-სათვის მოსამზადებელი პროგრამების განხორციელება, რომელსაც უკვე არა ეუთო, არამედ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აფინანსებდა. (გიორგაძე&ტაბატაძე, 2016. გვ:10-15.) 2008 წლის მონაცემებითაც მდგომარეობა არც ისე

სახარბიელო იყო, რაც განპირობებული იყო მეტწილად ქართული ენის არასაკმარისი ცოდნით, ვიდრე გამოცდების სისტემის დისკრიმინაციულობის ფაქტორით.

თავი 3. კვოტირების სისტემა და 1+4 პროგრამის განხორციელება.

2009 წლის 19 ნოემბერის ცვლილებებით შემოდიის ,,კვოტირების სისტემა.“ მიღებული ცვლილებების შესაბამისად, აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან აბიტურიენტებზე გამოიყო უმაღლეს სასწავლებლებში 5% ადგილებისა, ხოლო აფხაზურენოვანსა და ოსურენოვანი სტუდენტებისათვის კი 1%. კვოტირების სისტემა განისაზღვრა როგორც დროებითი პოლიტიკა და ითვალისწინებდა 2010-2019 წლების პერიოდს. ამასთანავე უნივერსიტეტი იღებდა სტუდენტს, რომელსაც ჩაბარებული აქვს მშობლიურ ენაზე ზოგადი უნარების ტესტები და ასევე გავლილი აქვს ქართული ენის მოსამზადებელი ერთწლიანი პროგრამა, რომელიც 60 კრედიტიანია და ამასთანავე სავალდებულოა. ამ პროგრამის აკრედიტაცია მოხდა 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებამდე. ზოგირთ უნივერსიტეტში აკრედიტაცია უნდა მომხდარიყო 2016 წელს, თუმცა ამ ვადამ შემდგომ გადაიწია. (გიორგაძე&ტაბატაძე, 2016. გვ:19-20.) მართალია, საქართველოს მთავრობა 2004 წლიდან მუდმივად ხვეწავდა ამ კუთხით არსებულ კანონსა და რეფორმებს. უნდა აღინიშნოს, რომ კვოტირების სისტემის შემოღების შემდეგ გამოყოფილი ადგილების მხოლოდ 19, 1% არის დაკავებული ეროვნული უმცირესობათა მიერ. კერძოდ:

ცხრილი1: 2010-2015 წლებში კვოტირებისას გამოყოფილი ადგილებისა და დაკავებული ადგილების მონაცემები:

წელი	გამოყოფილი ადგილების რაოდენობა	ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა	ათვისებული ადგილების პროცენტული მაჩვენებელი
2010	2602	301	11,56%
2011	2100	431	20,52%
2012	2242	584	26,04%
2013	3900	928	23,79%
2014	4500	698	15,5%

2015	4200	800	19.04%
სულ	19544	3742	19,1%

ცხრილიდან როგორც ვხედავთ, 2010-2015 წლებში გამოყოფილი ადგილების რაოდენობა წლების მატებასთან ერთად იმატებს, ისევე როგორც ჩარიცხულ სტუდენტების რაოდენობა, თუმცა ისიც უნდა ავღნიშნოთ რომ ეს მხოლოდ 19,1%-ია რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არამარტო ქართული ენის არასათანადოდ ცოდნის პრობლემა წამოიწევს ამ შემთხვევაში წინ, არამედ ზოგადად უნარების ტესტების ჩაბარების პრობლემაც, რადგან აზერბაიჯანელ და სომხურენობან სტუდენტებს ზოგადი უნარების ჩაბარება მშობლიურ ენაზე შეუძლიათ, თუმცა მაინც 2010-2015 წლებში სულ რეგისტრირებული 6278 სტუდენტიდან გამოცდაზე გავიდა 5435 სტუდენტი, და მხოლოდ 30, 72%-მა ჩააბარა ეეგ. ამიტომ უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ კვოტირების სისტემის შემოღების შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მაჩვებელზე გავლენას ახდენს არა იმდენად ქართული ენის ცოდნა, არამედ ზოგად უნარების ცოდნის დონე. პრობლემები იწყება უკვე ქართული ენის მოსამზადებელი კურსის გავლასა და შემდგომში კრედიტების დაგროვებაში.

თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომმ 2010 წლიდან ჩარიცხულთა რაოდენობა კვოტირების სისტებით მკვეთრად გაიზარდა, ქვემოთ მოყვანილია ცხრილი 2010-2013 წლებში გამოყოფილი კვოტების და ათვისებული კვოტების რაოდენობის შესახებ. საიდანაც კარგად ჩანს, რომ მართალია ამ წლების განმავლობაში ჩარიცხულთა რაოდენობა იზრდება მაგრამ მათი რაოდენობა ბევრად დაბალია ვიდრე გამოყოფილი კვოტების რაოდენობა. კერძოდ: (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი,2009-2014. გვ:41-45.)

ცხრილი#2: 2010-2013 წლებში გამოყოფილი კვორების და ჩარიცხულთა რაოდენობა.

წელი	კვოტირების ადგილების რაოდენობა	ჩარიცხულთა რაოდენობა	ათვისებული კვოტების პროცენტული

			მაჩვებელი
2010	2602	301	11,56%
2011	2100	431	20,52%
2012	2242	584	26,04%
2013	3900	928	23,79%

საინტერესოა ასევე როგორ გაიზარდა სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტთა რიცხვი . ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს 2010-2013 წლებში არსებულ სტატისტიკას:

ცხრილი#3

სომხურენოვანი სტუდენტები				აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტები		
წელი	რეგისტრაცია	გავიდა გამოცაზე	გადალახა ზღვარი	რეგისტრაცია	გავიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი
2010	253	188	137	335	303	194
2011	254	216	172	320	301	222
2012	290	262	207	579	541	407
2013	271	249	191	1189	1083	737
სულ	1068	915	707	2423	2228	1560

მოცემული ცხრილიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის "საშეღავათო პოლიტიკის" ეფექტურობაზე და ანალიზის საშუალებას იძლევა. 2010 წლიდან მკვეთრად გაიზარდა აზერბაიჯანულენოვან დარეგისტრირებულთა და ჩარიცხულთა რაოდენობა და 2013 წელს ეს მაჩვენებელი 3.5-ჯერ მეტი იყო (დარეგისტრირებულთა რაოდენობა 2010 წელს შეადგენდა 335-ს, ხოლო 2013 წელს უკვე – 1189 აბიტურიენტს, ხოლო ჩარიცხულთა რაოდენობა 2010 წელს შეადგენდა 194-ს, ხოლო 2013 წელს – 737-ს).

რაც შეეხება სომხურენოვან აბიტურიენტების რაოდენობას, ამ მხრივ, ფაქტობრივად, პროგრესი არ შეიმჩნევა (2010 წელს დარეგისტრირდა 253, 2013 წელს – 271). სომხურენოვანი აბიტურიენტების რიცხვის არაზრდადობა დამატებითი ღონისძიებების აუცილებლობაზე მიუთითებს ამ მიზნობრივ ჯგუფთან მიმართებაში.(შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი,2009-2014. გვ:41-45.)

ქართული ენის მოსამზადებელი კურსი ეხმარება აბიტურიენტებს ქართული ენის სწავლაში, რომელიც აუცილებელია შემდგომში უმაღლეს დაწესებულებებში სწავლის გასაგრძელებლად, რადგან სწავლა ქართულ ენაზე არის სავალდებულო ეროვნული უმცირესობებისათვისაც. ამიტომ ქართული ენის სათანადო ცოდნა მათთვის არსებითია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის მოსამზადებელად ერთწლიანი კურსი საკმარისი არ არის, რადგან აქ ჩარიცხული სტუდენტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ქართულის ცოდნის დონის მიხედვით. მართალია აქ ხდება რანჟირება პირველ ეტაპზე მაგრამ უმაღლეს დაწესებულებებში სწავლისათვის ენის დონე საკმაოდ დაბალია რაც შემდგომში უშლის ხელს ამ სტუდენტებს სწავლის გაგრძელებასა და ბოლომდე მიყვანაში. ზოგადად საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც ეროვნული უმცირეობათა ჯგუფები საკმაოდ გასათვალისწინებელი რაოდენობისაა. ქვემოთ მოყვანილია საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მიერ 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები:

ცხრილი4: 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები:

საქართველოს მოსახლეობა	რაოდენობა(ათასი კაცი)	პროცენტული მაჩვენებელი
სულ	**3713.8**	**100**
ქართველი	3224,6	86,8
აზერბაიჯანელი	233,0	6,3
სომეხი	168.1	4,5
რუსი	26,5	0,7
ოსი	14,4	0,4

იეზიდი	12,2	0,3
უკრაინელი	6,0	0,2
ქისტი	5,7	0,2
ბერძენი	5,5	0,1
ასირიელი	2,4	0,1
სხვაუარი პასუხზე	0,6	0,0
მითითებული არ არის	0,5	0,0

როგორც ვხედავთ საქართველოს მოსახლეობის 13,2% ეთნიკირად არაქართველია, თუმცა აქ ქართული ენის ცოდნის დონე ძალიან დაბალია. უნდა აღინიშნოს აქვე, რომ მართალია ქართულ ენაზე სწავლება უმაღლეს საფეხურზე სავალდებულოა, მაგრამ დაწყებით სკოლებში სწავლება ეროვნულ უმცირესობებს მშობლიურ ენაზე შეუძლიათ. თუმცა სავალდებულოა არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის და ასევე სხვა საგნების სწავლება. არსებობს ქართულ სკოლებში სხვადასხვა სექტორები და ასევე არაქართულენოვანი სკოლებიც. თუმცა მათი რაოდენობა 2006-2008 წლებში შემცირდა 456-დან 408-მდე.(მუხუზლა&როშე, 2009. გვ:9.) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წლიდან განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სკოლებში ქართულისენის სწავლება ინტენსიურად მიმდინარეობს. მაგრამ 2014 წლის საყოველთაო გამოკითხვის მიხედვით, ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის 74% და სომეხი მოსახლეობის 51.3% საერთოდ ვერ ანარასრულყოფილად ფლობს სახელმწიფო ენას, ხოლო მოსახლეობის15.9%-ის ენობრივი სიტუაციის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.(გიორგაძე&ტაბატაძე,2016. გვ:17-18)აქვე ისიც ხაზგასასმელია, რომ მართალია სკოლებში არსებული სიტუაცია ნელ-ნელა უმჯობესდება არსებული რეფორმების საშუალებით, მაგრამ უმაღლესს დაწესებულებებში სწავლება ამ წინა ორ ეტაპთან შედარების ძალიან რთულია. არსებობს ტენდეცია იმისა, რომ აბარებს შედარებით ბევრი აბიტურიენტი და ამთავრებს ძალიან ცოტა. მაგალითად შემდეგ

ცხრილიდან კარგად ჩანს 2010წლისმონაცემებით რამდენმა სტუდენტმა ჩააბარა და რამდენმა დაამთავრა ან რამდენმა მიატოვა სწავლა ფაკულტეტების მიხედვით. ასევე ხშირია შიდა მობილობის მაჩვენებლები.

ცხრილი5: 2010 წელს საბაკალავრო საფეხურის დასრულების მაჩვენებელი კვოტირების სისტემის მიხედვით.

ფაკულტეტი/ჩაბარების წელი	2011	დამატებითი სემესტრი	მიტოვება	მობილობით დატოვება	დამთავრება	შიდა მობილობა	გარე მობილობა	ამჟამად აქტიური სტუდენტი	აქტიური	
მათემატიკა და ზუსტი მეცნიერებები	13	2	1	6	0	4	2	1	3	
ჰუმანიტარული	35	8	9	9	9	3	7	8	12	
სოციალურ დაპოლიტიკური მეცნიერებები	4	1	3		1		1	2	2	
ეკონომიკური დაბიზნეს ადმინისტრაცია	50	9	6	13	1	7	1	6	6	
იურიდიული	19	1	5	3	2	4	0	5	5	
სამედიცინო	20	3		3	0	2	1		9	
ტურიზმი	2	1		1	0	1	4		1	

სულ	143	25	24	35	13	21	16	22	38

ცხრილი საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ თუ რამდნეად ხშირია მიტოვების ტენდეცია, 143 სტუდენტიდან სწავლა მიატოვა 24-მა, დაამთავრა მხოლოდ 13-მა დანარჩენი კი მობილობით გადავიდა სხვადასხვა ფაკულტეტებზე. მობილობის მაჩვენებელი კარგია იმის გასააზრებლად თუ რომელი ფაკულტეტია უფრო მოწყვლადი, ამ მხრივ ყველაზდე რთული სიტუაციაა ბიზნეს და ეკონომიკის ფაკულტეტზე ,შემდეგ მოდის იურიდიული და სამედიცინო ფაკულტეტები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2010 წლის ცვლილებების შედეგად სავალდებულო გახდა ქართული ენის მოსამზადებელი ერთწლიანი კურსის გავლა, საინტერესოა, რა ვითარებაა ამ პროგრამის გავლის დროს რამდენი სტუდენტი ჩაირიცხა, რომელ უნივერსიტეტებში და რამდემა დაამთავრა. ზოგადად ძალიან დიდი განსხვავებაა ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობასა და იმ სტუდენტებს შორის, რომლებმაც დაამთავრეს უნივერსიტეტი. როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს. ხშირია ფაკულტეტების ცვლილება , შიდა და გარე მობილობა. ასევე ხშირია ქართული ენის კურსის გავლისას ენობრივი ბარიერის შექმნა. ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის სახით, რომელიც გვანახებს რამდენად ეფექტურია ერთწლიანი კურსის გავლა სტუდენტებისათვის: (საქართველოს განათლებისა და ეცნიერების სამინისტრო საჯარო ინფორმაცია)

ცხრილი6: 2010-2016 წლებში ჩარიცხული სტუდენტების სტატისტიკა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები	ჩარიცხულები
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1717

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	607
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	648
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	11
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	280
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	5
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	55
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	25
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	2
საქართველოს უნივერსიტეტი	4
თბილისის აპოლონ ქუტათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	4
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი	4
შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	1
თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი	2
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	1
საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი	20
სასწავლო უნივერსიტეტი გეომდი	17
ევროპის უნივერსიტეტი	15
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	15
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	260
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია	6
სულ	3699

პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებიდან ბაკალავრიატის საფეხური დაამთავრა 151 სტუდენტმა, აქედან 15 ჩაირიცხა მაგისტრატურის საფეხურზე. მონაცემებიდან იკვეთება ერთი გარემოება თბილისის უნივერსიტეტებში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ქალაქგარეთ უნივერსიტეტებში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2010-2016 წლებში ჩარიცხულთა რაოდენობა ბევრად აღემატება უნივერსიტეტდამთავრებულ სტუდენტთა რაოდენობაზე. 3699 სტუდენტიდან მხოლოდ 151მა დაამთავრა. ეს მაჩვენებელი შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით. თუმცა პროგრამაზე ჩარიცხვა ნიშნავს იმას რომ ენის მოსამზადებელი კურსი უნდა გაიაროს სტუდენტმა და გავლის შემდეგ გადავიდეს სწავლის მეორე ეტაპზე. ეს გადასვლა კი როგორც მონაცემებიდან ჩანს ძნელია მიუხედავად ერთწლიანი მომზადებისა. ამიტომ ხშირად ქართული ენის მოსამზადებელი კურსი საკმარისი არ არის ხოლმე ეროვნული უმცირესობებისათვის ენის ასათვისებლად. ამისთვის საჭიროა დამატებიათ კიდევ სხვადასხვა აქტივობებისა და პროგრამების გატარება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ენობრივი პრობლემას ,,კულტურული გარემო“ ხდის, რადგან უპირველესად ეთნიკური ჯგუფები კომპაქტურად არიან დასახლებულები და ქართველ მოსახლეობასთან კონტაქტი მცირეა, ასევე სკოლებში ქართული ენის სწავლების ხარისხი დაბალია, რადგან მასწავლებლები საკმარისად არ არიან მომზადებულები ქართულ ენაში. 2004-2006 წლებში პროგრამის ..მომავალი იწყება დღეს“ ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ქვემო ქართლში 27 და სამცხე-ჯავახეთში 13 ქართული ენის მასწავლებელი გაგზავნა, რომელთაც მიიღეს მაღალი ანაზღაურება,ეს პედაგოგები ასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას და ისტორიას და ამასთანავე ადგილობრივ მასწავლებლებს ტრენინგს უტარებდნენ. მართალია, გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა საშუალო დონეზე იცის ქართული ან უფრო ცუდად, მაგრამ ნელ-ნელა მასწავლებელთა გადამზადების პროგრამები იხვეწებოდა და იხვწება დღესაც. ასევე გასათვალისწინებელია ადგილობრივთა დამკიდებულება ქალაქიდან ჩასული მასწავლებლების მიმართ, რომელთაც ,,მისიონერებს“ უწოდებდნენ.(მეხუზლა&როშე,2009.გვ:12-16.) ამიტომ საჭიროა არამარტო ტექნიკური კურთხით საკითხის მოგვარება, არამედ აუცილებელია ეროვნულ

უმცირესობებში კულტურულ-მოქალაქეობრივი გარდაქმნა. დამოკიდებულებებისა და ღირებულებების შეცვლა. საჭიროა ეთნიკურმა ჯგუფება საქართველოს მოქალაქეებად იგრძნონ თავი და არა მარგინალურ ჯგუფებად.

ყოველწლიურად ,,1+4'' პროგრამის ფარგლებში 100 სომხურენოვანი და 100 აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტი ფინანსდება. კანონი განსაზღვრავს ოსურ და აფხაზურენოვანი ტესტების ჩაბარებაც, თუმცა დღემდე ამ პროგრამით აფხაზურენოვანი ტესტი მხოლოდ ორმა აბიტურიენტმა ჩააბარა, ოსურენოვანი ტესტი კი ჯერაც არ შემუშავებულა. ამასთანავე ქართული ენის მოსამზადებელი კურსი ხშირ შემთხვევაში არასაკმარისია. მართალია ეს დამოკიდებულია სკოლის დამთავრების შემდგომ რა დონეზე იცის აბიტურიენტმა ქართული, მაგრამ ისიც უნდ აგავითვალისწინოთ, რომ ძირითადად ქართული ენა A1 ან A2 დონეზე იციან ეროვნულმა უმცირესობებმა, უფორ მაღალი დონის მიღწევა კი ძალიან ძნელია ერთ წელში. იკვეთება იმის ტენდეცია, რომ დაახლოებით 100 დან მხოლოდ ნახევარი თუ აბარებს, ხოლოდ დანარჩენი ვინც ვერ აბარებს ან სწვალას არ ასრულებს ან თავიდან აგრძელებს ამ ერთწლიან კურსს. ისევე როგორც ხშირია შემთხვევები, როდესაც ხვდება სტუდენტი რომ ვერ დაძლევს ენის კურსს და სწავლას შუაში წყვეტს. ძალიან ხშირია ისიც, რომ ვინც ძლევს ერთწლიან კურსს შემდგომ დოეზე გადასასავლელად მაინც ვერ ფლობს სათანადოდ ენას და შემდგომში უკვე კრედიტრების დაგრვებაში ექმნებათ ბარიერები და ამიტომ ან ვერ ამთვარებენ უნივერსიტეტს, ან დიდი ხანი უწევთ სწავლა. (მეხუზლა&როშე,2009.გვ:54-56) ამას ემატება ფინანსური ფაქტორიც, რადგან კანონი არ ითვალისწინებს სახელმწიფო დაფინანსება ,,1+4" პროგრამით ჩარიცხული სტუდენტებისათვის. სოციალური პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ყოველწლიურად მხოლოდ 15 აზერბაიჯანელი და 15 სომხუენოვანი სტუდენტი. (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2009-2014, გვ:17-19.) ამ მიზეზით თითქმის უმრავლესობა ტოვებს უნივერსიტეტს, მიდის ან მშობლიურ ქვეყანაში და რუსეთში ან თურქეთში სწავლის დასამთავრებლად, აქ ჩამოდიან აბსოლუტურდ სხვანაირად მოაზროვნე ადამიანები, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობის შეგრძნება ძალიან მცირედ აქვთ. ამიტომ ამ მიზეზით ეცემა ინტეგრაციის დონე ეროვნული უმცირესობებისა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს 2014 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქართული ენის ერთწლიანი კურსის გავლისას იქმნება გარკვეული პრობლემები უნივერსიტეტებში, კერძოდ:(შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2009-2014, გვ:47.)

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ჩარიცხულ სტუდენტთა 53% სწავლობს, ხდება ეთნიკური ნიშნით დაჯგუფება და იქმნება კომუნიკაციის პრობლემები სტუდენტებს შორის, სომხური და აზებაიჯანული ჯგუფების გაერთიანება მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც ენობრივი(რადგან იქნებოდა მთლიანად ქართულენოვანი გარემო კომუნიკაცია მოხდებოდა ქართულად, რაც დღესდღეობით სომხურად ან აზერბაიჯანულად ხდება),ისე სამოქალაქო ცნობიერების თვალსაზრისით ორივე ეთნიკური ჯგუფისთვის ინტერკულტურალიზმისა და ტოლერანტობის განსავითარებლად;
- ერთწლიანი პროგრამა არ არის საკმარისი ზოგიერთი სტუდენტისთვის. ერთი წლის სწავლების შემდეგ ისინი არ არიან მზად, სწავლა გააგრძელონ ბაკალავრიატში. ამასთან, სტუდენტებს, რომლებიც კარგად ფლობდნენ ენას, ერთწლიანი პროგრამის ფარგლებში დამატებითი კომპეტენცია არ შეუძენიათ. სტუდენტების განცხადებით, მათ,ფაქტობრივად, ერთი წელი მთლიანად დაკარგეს ამ პროგრამაზე და მაინც მოუმზადებლები აღმოჩნდენენ საბაკალავრო პროგრამებისთვის;
- უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს მხარდაჭერის ცენტრი სტუდენტებისათვის. მხარდაჭერის ცენტრის გარეშე პრობლემები ექმნებათ ერთწლიანი პროგრამის დასაწყისში სტუდენტებს სოციალური ადაპტაციის, ხოლო საბაკალავრო საფეხურზე, აკადემიური ინტეგრაციის თვალსაზრისით. ყველაზე პრობლემურია სწავლების პირველისემესტრი. პირველი სემესტრი პრობლემურია ორგანიზაციული და კურსების არჩევის თვალსაზრისითაც;
- თბილისის სკოლების კურსდამთავრებულებს განსხვავებული მდგომარეობა აქვთ. ისინი ფლობენ სახელმწიფო ენას და ერთწლიანი პროგრამა მათთვის პრაქტიკულად უშედეგოა, ისინი სწავლობენ იმავე პროგრამით, რა პროგრამითაც აბიტურიენტები, რომლებიც საერთოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას. ამ

ჯგუფებში ხშირად სასწავლო დრო ტყუილად იკარგება და ლექტორმა არ იცის,რა აკეთოს, რადგან სილაბუსით განსაზღვრულ მასალას და ენის ცოდნის დონეს სტუდენტები უკვე ფლობენ. ენობრივი კომპეტენციის შეფასების სისტემა უნდა შემუშავდეს და ენის სერტიფიკატი რეალურად უნდა ასახავდეს სტუდენტის ცოდნას, რამდენად შეძლებს ის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლას. მნიშვნელოვანია ასეთი შეფასების სისტემის შექმნა;

- არ არსებობს ენობრივი შეფასები სსისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა იმ ენობრივი კომპეტენციის დადგენას, რაც საჭიროა ბაკალავრიატში სწავლებისთვის. ამ კომპეტენციის დადგენის შემთხვევაში ერთწლიანი პროგრამის აბიტურიენტების შეფასება იქნებოდა ვალიდური და დადებითი შეფასების შემთხვევაში მათ ენობრივი პრობლემები ნაკლებად ექნებოდათ საბაკალავრო საფეხურზე;
- სტუდენტებს არ აქვთ საინტეგრაციო გარემო. არ ხდება კომუნიკაცია ქართველ სტუდენტებთან, მათი სამოქალაქო ცნობიერება და სამოქალაქო ინტეგრაცია ნაკლებია, ისინი იზოლირებული არიან კონკრეტულ შენობაში. ყოველგვარი ინტერაქციის გარეშე; დამატებითი კლასგარეშე ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობდა მათ ინტეგრაციას, მათთვის ხელმიუწვდომელია.

ასევე საინტერესოა განვიხილოთ რა ვითარებაა რეალურად უნივერსიტეტებში და 2014 წლიდან დღემდე თუ მოხერხდა ამ პრობლემებს ნაწილობრივ გამოსწორება. ამ მხრივ ასევე საჭიროა წარმოვადგინოთ სახელმწიფო უნივერსიტეტების სასწავლო კურიკულუმი ერთწლიანი პროგრამის ფარგლებში.(ბოჭორიშვილი,2015.) უნდა აღინიშნოს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბევრად უფრო ანიჭებს უპირატესობას ჩართულობასა და ინტეგრაციის საკითხებს, ვიდრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ინტერვიუებში კარგად გამოიკვეთა ეს ტენდეცია. სტუდენტები ჩივიან ამ საკითხზე და აღნიშნავენ, რომ ილიას სახელწიფო უნივერსიტეტში თანამედროვე მეთოდოლოგიაა დანერგილი. სასწავლო კურიკულუმს თუ გადავხედავთ, თითქმის ორივე უნივერსიტეტის ერთწლიანი პროგრამა ისახავს მიზნად ქართული ენის სრულყოფილად სწავლებას სტუდენტებისათვის, მაგრამ სიტუაცია ბევრად განსხვავებულია.

ცხრილი #25 - თსუ ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის კურსების ჩამონათვალი

პროგრამისათვის სავალდებულო კურსები - 60 კრედიტი (ECTS)										
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	საკონტაქტო საათები სემესტრში		დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			შუალედური/დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	სწავლების სემესტრი	
			ლექცია	სემინარი ჯგუფი / პრაქტიკუმი	პრაქტიკუმებისათვის მოსამზადება	შუალედური გამოცდის/ გამოცდების მოსამზადება	დასკვნითი გამოცდისთვის მომზადება		შემოდგომა	გაზაფხული
1	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ა. ლაპარაკი; ბ. მოსმენა; გ. კითხვა; დ. წერა) – 1	20		240	200	24	27	9	✓	
2	ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ა. ლაპარაკი; ბ. მოსმენა; გ. კითხვა; დ. წერა) – 2	15		180	150	17	21	7		✓
3	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-1	5		45	60	8	9	3	✓	✓
4	ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა-2	5		45	60	8	9	3	✓	✓
5	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები	5		45	60	8	9	3	✓	✓
6	ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები	5		45	60	8	9	3	✓	✓
7	ქართული ენის ორთოეპია და მართლწერა	5		60	45	8	9	3		✓

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული ოფიციალური საჯარო ინფორმაცია

ცხრილი #26 - ილიაუნის ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის კურსების ჩამონათვალი

№	კურსები	სტატუსი (სავ., სავ./ არჩ., არჩ.)	კრედიტები	საკონტ. საათები	სემესტრები	
					შემ.	გაზ.
GSL_101	ქართული ენის ინტეგრირებული კურსი 1 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	12	180	X	
GSL-102	ქართული ენის ინტეგრირებული კურსი 2 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	12	180		X
GSL-103	ენა და კულტურათშორისი დიალოგი (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	6	32	X	
GSL-104	მედიაკურსი 1 (ქართული, როგორც მეორე ენა)	სავ.	6	32	X	

2017 წლის სამოქლაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ საჭიროა ინტეგრაციის გაღრმავებისთვის სახელმწიფო პროგრამების დაწყება და უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება.(სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამინისტრო,2017. გვ:5-7.) ილიას უნივერსიტეტში არსებობს დამხმარე ინტეგრაციის ცენტრი, რომელსაც ჰყავს თავისი კოორდინატორი და ჩართულია აქტიურად ამ სახელმწიფო პროგრამებში ,,1+4“ პროგრამის სტუდენტებთან ერთად. ამ მხრივ ეს უნივერსიტეტი მოწინავეა საქართველოში. აქვე პირველად იქნა შემოღებული ტუტორიუმის სისტემა, რაც იმას ნიშნავს რომ უფროსკურსელი ქართველი სტუდენტები კურირებენ მოსამზადებელი კურსის ეროვნულ უმცირესობებს და ეხმარებიან პრობლემების გადაწყვეტაში. ასევე აქ ინტეგრაციის დონე ბევრად მაღალია აზერბაიჯანელ და სომეხ სტუდენტებს შორის, რადგან იგეგმება სხვადასხვ აქტივობები, მაგალითად: სიტუაციური თამაშები და უწევთ გასვლა უნივერსიტეტდიან ამ სტუდენტებს. ასეთი ,,თამაშის“ ტიპის მეთოდებით ძლიერდება ინტეგრაცია საზოგადოებასა და ეროვნულ უმცორესობებს შორის. ტუტორიუმის სისტემას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოგვიანებით 2016 წელს შეუერთდა და აქ ჯერ-ჯერობით ეხლა იხვეწება ეს მეთოდი. 2013 წელს გაეროს ასოციაციის დაფინანსებით ილიას უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა ,,ახალგაზრდული ცეტრი,“ რომელიც პირდაპირ ემსახურება ეროვნული უმცირესობათა ინტეგრირებას საზოგადოებაში. აქ ძირითადად მუშაობა მიდის არაფორმალური განათლების კუთხით და გარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა, ცენტრის კარი ღიაა ყველა ,,1+4“ პროგრამით ჩარიცხული ეთნიკური უმცირესობებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილიას უნივერსიტეტი ჩართული იყო შარშან 2016 წელს სახელმწიფოს მიერ წამოწყებულ პროექტში, სადაც უკვე კურსდამთვარებული ეროვნული უმცრესობის სტუდენტები, რომლებმაც კარად იცოდნენ ქართული ენა წარგზავნილნი იყვნენ საკუთარ სოფლებში ,,ენის დესპანებად“ რათა ესწავლებინათ თანასოფლელებისათვის ქართული ენა. საინტერესოა ასევე რომ 2014 წლის განმავლობაში მომზადდა საინფორმაციო მასალები ეთნიკური უმცირესობების ენებზე(სომხური,აზერბაიჯანული,აფხაზური,ოსური)და გავრცელდა.ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა

არაქართულენოვან სტუდენტებთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა,,1+4“ პროგრამის ბენეფიციარ სტუდენტებისთვის გამოაცხადა ესეების კონკურსი თემაზე,,ევროინტეგრაცია და მე“. კონკურსი ითვალისწინებდა ახალგაზრდების მოსაზრებების და მიდგომების წარმოჩენას საქართველოს ევროპულ არჩევანთან მიმართებაში. საკონკურსო კომისიამ გამოავლინა 3 საუკეთესო ნაშრომის ავტორი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ, ხოლო საუკეთესო სტატიები დაიბეჭდა გაზეთებში,,ვრასტანი“და,,გურჯისტანი.“ (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის კაბინეტი, 2012-2013. გვ:26-27.) ამ წლების განმავლობაში კონცეფციის ფარგლებში პროექტებისა და პროგრამების განსახორციელებლად სახელმწიფო მინისტრის აპარატს ბოლო 2 წლის განმავლობაში მხარს უჭერდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო(USAID), საქართველოსგაერო-სასოციაცია(UNAG) 2016 წელს საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროსა და გაეროს ასოციაციის(UNAG) ერთობლივი პროექტი დაიწო, რომლის ფარგლებში დაიწყო სახელმწიფო სტაჟირება სახელწიფო ორგანოებში, თვითმმართველობებში ეროვნული უმცირესობებისათვის, კონკრეტლად კი,,1+4” პროგრამით ჩარიცხული მე-3 მე-4 კურსის სტუდენტებისათვის. დასაქმებისაუცილებლობას პროექტი არ ითვალისწინებს, რადგან არ მოხდეს პირუკუ დისკრიმინაცია ქართველი სტუდენტებისა. ,,თუმცა პროგრამის კურსდამთავრებულები აქტიურად არიან ჩართულნი სახელმწიფო სტაჟირების პროგრამაში. ამ პერიოდშიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტში აღნიშული პროგრამის 3 კურსდამთავრებული გადის სტაჟირებას,-“ აღნიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსმა მაია შუხოშვილმა.პროექტი მიზნად ისახავს ამ სტუდენტებისთვის ინტეგრაციის გაღმავებასა და ხელის შეწყობას. პროექტში ჩართულნი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას უნივერსიტეტი, რომელთა ინიციატივით და კონკურსს საფუძველზე უნივერსიტეტებიდან წარგზავნილნი არიან ,,1+4” პროგრამით ჩარიცხული ეროვნული უმცირესობები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს ეთნიკური უმცირესობების სხვადასხვა აქტივობაში ჩართვის მიზნით. ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა დარგობრივი კურსების პარალელურად ახორციელებს სახელმწიფო ენის სწავლებას. მაია შუხოშვილის თქმით, პროგრამით სწავლება ხორციელდება სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა (ახალქალაქი, ნინოწმინდა, ბოლნისი, მარნეული, დმანისი, გარდაბანი, წალკა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი სოფელი ლამბალო, ახმეტა და ლაგოდეხი) და მობილურ ჯგუფებში, რაც გულისხმობს სწავლებას ცენტრებს გარეთ. სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

თავი4.მონაცემთა ინტერპრეტაცია

4.1. პროგრამაში ჩართული კომპეტენტური პირები.

კვლევის პროცესში სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა უშუალოდ ,,1+4" პროგრამაში ჩართულ კომპეტენტურ პირებთან. მათ შორის: ქართული ენის ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის კოორდინატორებთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსთან და ,,თბილისის ახალგაზრდული ცენტრის" კოორდინატორთან. აქ გამოიკვეთა ეროვნული უმცირესობების მხრდან მაღალი ,,მოტივაცია" იყვნენ ჩართულნი და ინტეგრირებულნი საზოგადოებაში. თუმცა იკვეთება ,,კურსის არასაკმარისობა," რადგან ქართული ენის B2 დონეზე დაუფლება ძალიან ძნელია ეროვნული უმცირესობებისათვის და მათ სწავლის შემდგომ უწევთ ისევ ენის დახვეწა. ,,თუ ვერ გადალახეს ეს კურსი მათ მოუწევთ დამატებითი სემესტრის გავლა,-'' აღნიშნა ,,თბილისის ახალგაზრდული ცენტრის" კოორდინატორმა. აქვე გამოიყოფა ინტეგრაციის პრობლემა, ერთ- ერთი კოორდინატორი აღნიშნავს, რომ ეროვნულ უმცირესობებს ჯერ ადაპტაცია უჭირთ უცხო გარემოში და ამას ემატება ქართული ენის არცოდნა. ჩნდება ,,კომპლექსი," რადგან არ იციან ქართული საკმარისად. ,,ქართველი სტუდენტი იკითხავს მაინც, ამათ კი კომპლექსი აქვთ," აღნიშნა ინტერვიუს პროცესში ერთ-ერთმა მოსამზადებელი კურსის კოორდინატორმა. როგორც ვიცით პოლიციის აკადემიამ ეხლა შემოიღო ერთწლიანი მოსამზადებელი კურსი. აქ ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა ძალიან ბევრია, მაგრამ მისაღები სტუდენტთა რაოდენობა კი ძალიან მცირე. ამიტომ ძირითადად პოლიციის აკადემიას არა აქვს ინტეგრაციის პრობლემა, რადგან აქ ჩარიცხული ეროვნული უმცირესობები ძალიან მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილნი. ინტერვიუს პროცესში გამოკითხულთა უმრავლესობა აღიარებს ,,1+4" პროგრამის წარმატებას. ,,1+4 პროგრამა რეალურად ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრირებას უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში,-'' აღნიშნა უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსმა მაია შუხოშვილმა. ამ პროგრამით განვითარების საშუალება ეროვნულ უმცირესობებს რეალურად აქვთ,

თუმცა აღინიშნება ასევე საკმაოდ ბევრი პრობლემა, რაშიც უკვე ,,სახელმწიფო ვალდებულება“ იკვეთება აღმოფხვარს ეს პრობლემები. აქ იკვეთება 1+4 პროგრამის ხარვეზების დადგენისა და განვითარების საჭიროებაც. დადებითად ფასდება ასევე2016 წელს ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენელი კურსდამტავრებული სტუდენტების წარგზავნა თავიანთ სოფლებში მასწავლებლებად. ასეთი დაახლოებით 26 სტუდენტი იქნა გაგზავნილი. ,,დაბერების ტენდეცია“ სკოლებში დამახასიათებელია, ამიტო კარგად ფასდება კადრთა გადახალისების პროცესი. ამასთანავე ხაზი გაესვა ,,სკოლის განათლების დახვეწას.“ ,,საქმე საფძველშივეა დასახვეწი და რაც შეგვიძლია ვაკეთებთ ამ პროგრამის ფარგლებში,-''აღნიშნა ქართული ენის ერთწლიანი მოსამზადებელი კურსის ერთ -ერთმა კოორდინატორმა. ამასთანავე გამოიყოფა ნეგატიური განწყობები არამარტო ქართველი სტუდენტების მხრიდან, არამედ საზოგადოების მხრიდანაც. მაგალითად, ტუტორიუმის სისტემის შემოღებისას ,,ვერ ხვდებოდნენ რაში სჭირდებოდათ ეს“ აღნიშნა ,,ახალგაზრდული ცენტრის“კოორდინატორმა. მაგრამ ნელ-ნელა შეინიშნება მოხალისეობის განვითარება ქართველ სტუდენტებში. თუმცა საზოგადოების დამოკიდებულებები ცოტა არ იყოს არასახარბიელოა ამ კუთხით.

1+4 პროგრამაში უშუალოდ ჩართული პირების ინტერვიურებისას გამოიყო შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

- მოტივაცია- ეროვნული უმცირესობათა წარმომადგენლების მოტივაცია ჩართულნი იყვნენ საზოგადოებაში;
- კურსის არასაკმარისობა-ხშირ შემთხვევაში უწევთ დამატებითი სემესტრის გავლა ქართული ენის უკეთ ასათვისებლად;
- უცხო გარემო-ჯერ საჭიროა შეგუება საუნივერსიტეტო სივრცესთან და შემდეგ ინტეგრაცია, რაც ეროვნულ უმცირესობებს ძალიან უჭირთ ;
- კომპლექსი-ეროვნული უმცირესობების უმრავლესობას აქვთ ქართული ენის არასათანადო ცოდნის გამო კომპლექსი და ამიტომ უჭირთ კონტაქტის დამყარება ლექტორებთან და ქართველ სტუდენტებთან;
- დახმარებისთვის მზაობა-სახელმწიფო და პროგრამაში ჩართული პირები ყოველთვის მზად არიან და მიესალმებიან ეროვნული უმცირესობებისათვის დახმარების გაწევას;

- მოხალისეობის დანერგვა-ტუტორიუმის სისტემამ ქართველ სტუდენტებში გააჩინა მოხალისეობის პრაქტიკა, რითაც აბსოლუტურად უსასყიდლოდ ეხმარებიან არაქართულენოვან სტუდენტებს;
- განვითარების საშუალება-1+4 პროგრამა დადებითად ფასდება ეროვნული უმცირესობებისათვის ინტეგრირებისა და განვითარების კუთხით;
- სახელმწიფოს ვალდებულება-სახელმწიფოს მოვალეობაა ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციას სხვადსხვა საგნმანათლებლო პროგრამებით;
- საშუალო განათლების დახვეწა- გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ ყურადღება უნდა მიაქციოს საშუალო საფეხურზე განათლებას და რომ ქართული ენის სწავლება საფუძველშივე უნდა გამოსორწრდეს;
- დაბერების ტენდეცია-საუბარია იმაზე, რომ სკოლებში აუცილებელია ახალგაზრდა კადრებით გადახალისება;
- კანონით თანასწორობა-გამოკითხულთა უმრავლესობა ხაზს უსვამს სტაჟირების პროგრამაში კანონის თანასწორობის გათვალისწინებას, რომ არ მოხდეს პირუკუ დისკრიმინაცია ქართველი სტუდენტებისა;
- კონკურენციის აუცილებლობა- სტაჟირება ემსახურება ეროვნული უმცირეოსებების უფრო კონკურენტულუნარიანდ ჩამოყალიბებას, შესამისად მათი დასაქმება მოხდება არა ვიღაცის ,,კეთილი ნებით“ არამედ მათი კვალიფიკაციის შესაბამისად;

4.2. ლექტორები და პედაგოგები.

კველის პროცესში ჩატარდა უშუალოდ იმ ლექტორებთან და პედაგოგებთან ინტერვიუ, რომლებსაც შეხება აქვთ 1+4 პროგრამით ჩარიცხულ სტუდენტებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის მოსამზადებელი კურსის პედაგოგები ძირითადად ახალგაზრა თაობას წარმოადგენენ. ეს გარემოება ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სტუდენტებს არ გაუჭირდეთ კომუნიკაცია პედაგოგებთან. კველის პროცესში გამოკითხული იქნა 6 პედაგოგი სამი სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. მოწინავე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდგომ, ქართული ენის მოსამზადებელი კურსის პოლიციის აკადემიის პედაგოგებთანაც იქნა სიღმისეული ინტერვიუ ჩატარებული. საერთო რაც არის და უმეტესობა რასაც უსვამს ხაზს არის ,,დახმარებისთვის მზაობა." მართალია უნივერსიტეტებს აქვთ გაწერილი კონკრეტულად რა ხერხებით უნდა აითვისონ ერონულმა უმცირესობებმა ქართული, მაგრამ ამასთანავე პედაგოგები აღნიშნავენ, რომ დამატებითი საათების ჩატარებაზეც არ იქნება პრობლემა. ილიას უნივერსიტეტის ერთ-ერთი პედაგოგი აღნიშნავს: ,,ქართული ენის ცოდნის დონით ძალიან განსვავებული სეგმენტები მოდის ბავშვების, მაგრამ ჩვენი ვალია დავეხმაროთ თითოეულს ხარვეზების აღმოფხვრაში, ქართული ენის ათვისებაში." გამოკითხულთა უმრავლესობა იმასაც აღნიშნავს, რომ სტუდენტება თითქმის ან არ იციან ქართული ან A1 დონეს ძლივს ფლობენ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია პოლიიის აკადემიამ დაამატა ეს კურსი, მაგრამ აქ იკვეთება ,,წინასწარგანსაზღვრულობა." ე.ი. აქ ის სტუდენტები აბარებენ, რომელთაც უკვე წინასწარ იციან რა პროფესიის უნდა გამოვიდნენ, ერთ-ერთი პოლიციის აკადემიის პედაგოგი აღნიშნავს: ,,აქ ის ბავშვები აბარებენ, რომელთაც წინასწარ აქვთ განსაზღვრული რომ პოლიციურ სისტემაში უნდათ მუშაობა..."

კვლევაში ასევე იკვეთება ტენდეცია, იმისა, რომ პედაგოგები ერთხმად მიესალმებიან მოდერნულ მეთოდების დანერგვას სწავლის პროცესში. ,,ჯავახიშვილში ცოტა არ იყოს მოძველებული მეთოდებია, ეს ჩემი ბევრი სტუდენტისგან გამიგია, რაც ძალიან სამმწუხაროა..." აღნიშნავს თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტის ერთ- ერთი პედაგოგი. გამოკითხულთა უმრავლესობა ძირითად პრობლემად არა ენის ათვისებას არამედ ინტეგრაციის პრობლემას გამოყოფენ. წინა წლებშიგამოიყოფოდა ,,დამოკიდებულების პრობლემა," ქართველი სტუდენტების მხრიდან ადგილი ჰქონდა ნეგატიურ განწყობებს, თუმცა დროთა განმავლობაში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა. პედაგოგების უმრავლესობა საუბრობს იმაზე, რომ დღეს ახალგაზრდა თაობა უფორ კეთილგანწყობილია ეროვნული უმცირესობების მიმართ, ვიდრე წინა თაობა. თუმცა საუნივერსიტეტო სივრცის გარეთ, ეროვნულმა უმცირესობებმა უკვე თავად უნდა მოახერხონ ინტეგრაცია და კომუნიკაცია. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი

მიესალმება ტუტორიუმის სისტემის დანერგვას (ე.ი. ქართველი მაღალკლასელები ეხმარებიან ეროვნულ უმცირესობებს) იკვეთება ,,მოქალაქეობრივი თვითშეგნების“ დანერგვა არამარტო არაქართველ, არამედ ქართველ სტუდენტებშიც, ,,დახმარებისთვის ხელის გაწვდომა არაა სავალდებულო, მაგრამ ესაა მოქალაქის თვითშეგნება დაეხმაროს მეორე მოქალაქეს საზოგადოებაში ინტეგრაციაში.“ ხაზს უსვამს საუბრისას ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ლექტორი. და ამატებს, რომ ამ უნივერსიტეტში ძალიან ეგობრული განწყობა არის, სტუდენტებს შორის,ასევე ლექტორებსა და სტუდენტებს შორისაც.აღინიშნება, რომ საჭიროა სახელწიფომ დასაწყისივე უზრუნველყოს ქართული ენის საფუძვლიანი სწავლება. ,,ერთწლიანიკურსის არასაკმარისობაზე“ კეთდება ასევე აქცენტი. ,,ბევრი სტუდენტი მოდის და რომ ხვდება ვერ დაამთავრებს მიდის უკან , შუა გზაში ატოვებს სწვალას...“ აღნიშნავს ერთ-ერთი გამოკითხული.

საინტერესოა ასვე ქართული ენის კურსდამთავრებულ სტუდენტთა შორის ქართული ენის ცოდნის დონის განსაზღვრა. ამიტომ კვლევის პროცესში განხორციელდა ლექტორებთან სიღრმისეული ინტერვიუების ჩაწერა. მართალია მათ არ იცოდნენ დასაწყისში ეროვნული უმცირესობათა სტუდენტების ქართული ენის ცოდნის დონე, თუმცა საერთო აზრი ისაა, რომ ეს ჯგუფები ახერხებენ ენის მეტნაკლებად დაუფლებას და კრედიტების აღებას ბაკალავრიატის საფეხურზე. თუმცა აქ ,,დროის ფაქტორი“ გამოიყოფა, რაზეც საუბრობენ ლექტორები. ,,ბევრი სტუდნეტი ძალიან გვიან ამთავრებს უნივერსიტეტს, ან საერთოდ ვერ ამთავრებს.“ ამბობს ერთ-ერთი გამოკითხული. ასევე ,,სახელმწიფოს ვალდებულებას“ ესმევა ხაზი. ლექტორები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოა ვალდებული ეროვნულ უმცირესობებს ინტეგრაციაში შეუწყონ ხელი. ,,უნივერსიტეტი ვალდებულია დაეხმაროს სახელმწიფოს ამ პროცესის განხორციელებაში...“ აღნიშნავს ერთ-ერთი ლექტორი.

მოკლედ რომ დავახასიათოთ, სიღმისეული ინტერვიუების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მახასიათებლები:

- *მოვალეობის გააზრება*- გამოკითხულთა უმრავლესობას გააზრებული აქვს საკუთარი მოვალეობა, დაეხმარონ, ასწავლოს ეროვნულ უმცირესობებს ქართული ენა უკეთ;
- *სახელმწიფოს ვალდებულება*- ლექტორები ხაზს უსვამენ, რომ უმცირესობების ინტეგრაციას სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი, ხოლო უნივერსიტეტი კი უნდა დაეხმაროს ამ პროცესის განხორციელებაში მთავრობას;
- *დროის ფაქტორი*- გამოკითხულთა უმრავლესობა ხაზს უსვამს დროის ფაქტორის პრობლემას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთი სტუდენტს რჩება საგნები და განუსაზღვრელი დროით სწავლობს, ან ხვდება რომ ვერ დაეუფლება საგნებს ან მოსამზადებელ ენის კურსდა შუა გზაში ატოვებს სწავლას;
- *მოქალაქეობრივი თვითშეგნების დანერგვა*- იკვეთება იმის ტენდეცია, რომ არამარტო ეროვნულ უმცირეოსბებში, არამედ ქართველ სტუდენტებშიც ნელ-ნელა იცლება უკეთესობისკენ მოქალაქეობრივი თვითშეგნება;
- *დახმარებისთვის მზაობა*- გამოკითხულთა უმრავლესობა ყოველთვის მზადაა დაეხმაროს სტუდენტს ენის უკეთ ათვისებაში;
- *დამოკიდებულების პრობლემა*- წინა წლებთან შედარებით ქართველ სტუდენტებში ნეგატიური დამოკიდებულება ეროვნუოლ უმცირესობების მიმართ მცირდება, ყალიბდება მეგობრული ურთიერთობები, მაგრამ ეს ტენდეცია მეტნაკლებად მაინც შეინიშნება;

4.3. სტუდენტები.

კვლევის პროცესში გამოკითხული იქნა 10 სტუდენტი, რომელთაგან 3ქართული ენის მოსამზადებელი კურსის სტუდენტია, 2 მაღალკურსელი, 2 დამამათვრებელი კურსის სტუდენტი, ხოლო 2-მა უკვე დაამთავრა სწავლა 1+4 პროგრამის საშუალებით. კვლევის პროცესში განხორციელდა ასევე სიღრმისეულ ინტერვიუსთან ერთად მცირე კითხვარით გამოკითხვა სტუდენტების, რომლითაც განისაზღვრა რატომ ჩააბარეს ამ პროგრამის ეროვნულმა უმცირესობებმა. გამოკითხულთა უმრავლესობის(10-დან 7ის) პასუხი იყო, რომ ძალიან უნდოდათ უმაღლესში სწვალა და ამის საშუალება ძლივს

მიეცათ. სამმა სტუდენტმა კი უპასუხა, რომ ქართული ენის უკეთ შესასწავლად ჩააბარეს ამ პროგრამით. ასევე გამოკითხულთა უმრავლესობამ 1+4 პროგრამის შესახებ მეგობრებისგან და ახლობლებისგან გაიგეს, ტუმცა იყო 1 სტუდენტი, რომელიც პირველი წლის ნაკადიდან იყო და აღნიშნა, რომ ამ პროგრამის შესახებ ტელევიზიიდან შეიტყო.

საინტერესოა სტუდენტთა დამოკიდებულებების განსაზღვრა 1+4 პროგრამის მიმართ. უმრავლესობა მიესალმება ასეთი პროგრამების განხრციელებას სახელმწიფოს მხრიდან, რადგან ,,ინტეგრაციისთვის მზადყოფნა“ ათივე სტუდენტთან გამოიკვეთა. იკვეთება ასევე ..მოქალაქეობრივი თვითშეგნების“ განვითარების ტენდეცია. კერძოდ, ის სტუდენტები, რომლევბის გადიან მოსამზადებელ კურს, ჯერ ორიენტირებულნი არიან რომ დაამთავრონ სწავლა და ძირითადად კითხვებს ამ კუთხით სცემდნენ პასუხს. თუმცა ის სტუდენტები, რომლებიც უკვე ბაკალავრიატის საფეხურზე არიან, ან დამთავრებული აქვთ სწავლა, აღნიშნავენ, რომ ისინი საქართველოს მოქალქეები არიან და მიესალმებიან 1+4 პროგრამის განხორციელებას სახელმწფოს მხრიდან. ,,მე ვიფიწრე ღმერთმა გადმომხედა-მეთქი, სამჯერ ჩავიჭერი გამოცდებზე და 1+4 პროგრამით, სააკაშვილის ინიციატივით, მოვხვდი უნივერსიტეტში. ჩემს სამშობლოს განათლებული უფრო გამოვადგები....“ აღნიშნავს უკვე კურსდამთავრებული ერთ-ერთი სტუდენტი. ,,საქართველოს მოქალაქე ვარ, მიყვარს ჩემი ქვეყანა, მერე რა რომ სხვა ეთნოსის ვარ...“ აღნიშნავს მეორე. ასევე გამოიყოფა ,,ინტეგრაციის მოთხოვნილება“ ეროვნულ უმცირეობებში. ისინი ხაზს უსვამენ, რომ თუ სახელმწიფომ არ მისცა უფლება ისწავლონ, მაშინ ეს ბავშვები მიდიან თურქეთსი, ან რუსეთში(ვისაც ამის ფული აქვთ) და იქიდან ჩამოდიან ,,ღმერთმა იცის როგორი შეგნებით,“ აღნიშნა ერთ-ერთმა. აქვე ,,ფინანსური პრობლემა“ გამოიყოფა. ბევრს არ აქვს სწავლის გადასახადი, ეს სტუდენტები ჩამოდიან სხადასხვა რაიონებიდან ,,კარგი იქნებოდა უნივერსიტეტს საერთო საცხოვრებლებზე ეზრუნა“ ანიშნავს ერთ-ერთი სტუდენტი.

საინტერესოა ასევე სწავლის დამთავრების შემდგომ როგორ არიან ინტეგრირებულნი ეროვნული უმცირესობები, ან სწავლის პროცესში თუ ექცევა ამ პროცესს ყურადღება. ,,მე ჯავახიშვიში მოვხვდი და აქ ვისწავლე, ძალიან მიყვარს ჩემი უნივერსიტეტო, მაგრამ ილიაში უფრო კარგი სიტუაციაა,“ აღნიშნავს ერთ-ერთი

მაღალკურსელი. ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა 10-დან 6 აღნიშნავს, რომ კარგი იქნება სახელმწიფოს მათ დასაქებაზეც ეზრუნა. ,,ზოგი ამთავრებს და მიდის საკუტარ სოფელში, ამით მთავრდება ყველაფერი...“ აღნიშნა ინტერვიუს დროს ერთ-ერთმა სტუდენტმა. ასევე ზოგიერთის თქმით პრობლემა მარტო ერთ მხარეს არ დგას , იკვეთება ე.წ. ,,მონდომება,“ რომლითაც იმას უსვამენ ხაზს, რომ მარტო სახელმწიფო ვერაფრს გააკეთებს, თუ სტუდენტი ტავად არ მოინდმებს გახდეს სრულფასოვანი წევრი საზოგადოებისა. ამისთვის კი მთავარია მონდომება და შრომა. სწავლა დღე და ღამე. ერთ-ერთი კურსდამთვარებული სტუდენტი იხსენებს, როგორ ეხმარებოდნენ ქართველი სტუდენტები, როგორ ათენებდნენ მისთვის კონსპექტების წერაში ღაეებს. ,,მართალია ზოგიერთი ცუდად მიყურებდა, იმიტომ რომ აზერბაიჯანელი ვარ, მაგრამ არიან ისინიც ვისაც ძალიან ვუყვარვარ, ვინც ღამეებს ათენებდა ჩემს დახმარებაში...“

საინტერესოა ასევე თუ არიან დასაქმებულნი ეს სტუდენტები. გამოკითხული 10-დან მხოლოდ 2-ია ასეთი, ერთი მაღალკურსელია, ერთსაც დამთავრებული აქვს უნივერსიტეტი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს დასაქმება მოხდა ნაცნობთა ,,კეთილი ნებით“ და არა კვალიფიკაციის მიხედვით, უცხო გარემოში, უცხო ხალხთან. ე.ი. მათ არ მოუწიათ მისვლა ასეთ სიტუაციაში და უბრალოდ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამისად სამსახურის დაწყება. ,,აქ ბევრი ფიქრობს აზერია, ამას ვინ უნდა მისცეს სამსახური, მე ჩემი მეგობარი დამეხმარა და ჩემი მონდომებაც.“ აღნიშნა ერთმა სტუდენტმა.

კვლევისას წარმოებული მცირე კითხვარით გამოკითხვისას, დადგინდა რატომ ჩააბარეს სტუდენტებმა ამ პროგრამით. 10-დან 6-მა ანუ 50%-ზე მეტმა უპასუხა, რომ წინა წლებში ვერ მოახერხეს ჩაბარება და გადალახვა ერთიანი ეროვნული გამოცდებისა, იქამდე სანამ ,,1+4“ პროგრამა არ შემოვიდა. ნახევარზე მეტი სტუდენტი უნივერსიტეტში მოხვედრილია მეორე ან მესამე მცდელობის შედეგად. ხოლო 4-მა სტუდენტმა უპასუხა, რომ ქართული ენის უკეთ სასწავლებლად ჩააბარეს ამ პროგრამით. ასევე კვლევის პროცესში გამოიკვეთა ის ტენდეცია, რომ სტუდენტებს წერა უფრო უჭირთ ქართულად, ვიდრე მეტყველება. ეს გამოიკვეთა 10-დან 9 სტუდენტიდან. მხოლოდ ერთი ფლობდა ქართულ ენას სრულყოფილად და ესეც გამოწვეული იყო, იმით რომ გავლილი ქონდა საშუალო განათლების საფეხური ქართულ სკოლაში.

მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ სტუდენტთა გამოკითხვისას გამოიკვეთა შემდეგი მახასიათებლები:

- *ენობრივი პრობლემები*- ბაკალავრიატის საფეხურზეც სტუდენტებს ექმენბათ ენობრივი ბარიერი, რაც კედიტების მოპოვებაში ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორია;
- *ფინანსური პრობლემები*-წინა პრობლემა განაპირობებს სწავლის უსაზღვროდ გაგრძელებას, რის გამოც იქმნება ფინანსური პრობლემები და ასეთი სტუდენტები ვეღარ ამთავრებენ სწავლას;
- *ინტეგრაციის მოთხოვნილება*- გამოკითხულთა უმრავლესობა მიესალმება სახელწიფოს მიერ განხორციელებულ 1+4 პროგრამას და საჭიროდ თვლიან დამატებით ასეთი რეფორმების გატარებას. ასევე მიუთითებენ რომ კარგი იქნება თუ სახელმწიფო დაასაქმებს მათ;
- *მოქალაქეობრივი თვითშეგნების განვითარება*-მაღალკურსელ და კურსამთავრებულ სტუდენტებში მოქალაქეობრივი თვითშეგნება უფორ განვიტარებულიამ ვიდრე ქართული ენის მოსამზადებელი კურსის სტუდენტებში. მაგალიტად ისინი საუბრისას ხაზს უსვამენ რომ უყვარს საქართველო, მათი სამშობლო და არიან საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები;
- *მონდომება*- სტუდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ საჭიროა მათი მხრიდან მონდომეა და დამტკიცება იმისა, რო ისინიც საქართველოს მოქალაქეებია რიან;
- *ქართველ სტუდენტთა კეთილგანწყობა*-იკვეთება ასევე ქართველი სტუდენტების მხრიდან მეგობრული დამოკიდებულება ეროვნული უმცირეოსბების მიმართ;
- *,,კეთილი ნებით" დასაქმების ტენდეცია*-გამოკითხულთა ძალიან მცირე ნაწილია დასაქმებული და ისიც ნაცნობთა მხრიდან, რაც ინტეგრაციის კუთხით არასახარბიელო მაჩვენებელია;

დასკვნა:

დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად საზოგადოებაში უმცირესობათა ინტეგრაცია ითვლება. თუ ეს პროცესი დემოკრატიული ღირებულებების დაცვით არ მოხდა, სამოქალაქო საზოგადოების არსებობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო სწორედ ამ გზაზე დგას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყანა მულტიეთნიკური სახელმწიფოა. შესაბამისად ეროვნული უმცირესობათა ინტეგრირება აუცილებელია და ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგეს დეოკრატიული სახელწიფოს ჩამოყალიბების პროცესში.

ინტეგრაციის კუთხით ძირითადი ცვლილებები ქვეყანაში ,,ვარდების რევოლუციის“ შემეგ იწყება. განსაკუთრებით ყურადღება ეთმობა ეროვნული უმცირესობათა ინტეგრირებას განათლების საშუალებით. ეს ის მექანიზმია, რომელიც მომავალზეა გათვლილი და ნელ-ნელა უნდა მოხდეს საზოგადოების შევსება-განახლება განათლების საშუალებით სამოქალაქო თვითშეგნებით ,,აღჭურვილი“ ეროვნული უმცირესობებით. 2005 წლიდან მიმდინარეობდა განათლების სისტემაში მთელი რიგი ცვლილებების განხორციელება ამ კუთხით, რამაც საბოლოოდ სახელმწიფო ,,1+4“ პროგრამამდე მიიყვანა. 2009 წლის ცვლილებებით შემოდის ,,კვოტირების სისტემა,“ რომელიც მოთხოვს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების ტესტის მშობლიურ ენაზე ჩაბარებას ეროვნული უმცირესობებისათვის, თუმცა ამავე ცვლილებებით ქართულ ენაში მოსამზადებელი ერთწლიანი კურსის გავლა ამ პროგრამით ჩარიცხული ყველასტუდენტისთვის სავალდებულო ხდება.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავადა დაგვედგინა რამდენად უწყობს ხელს 1+4 პროგრამა ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციას საქართველოში და რა ხავეზები გამოიყოფა ამ კუთხით. შესაბამისად არსებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე უნდა შემოწმებულიყო კველვის პროცესში გამოყოფილი ჰიპოთეზა, რომელიც ცდილობდა აეხსნა რამდენად განაპირობებდა ქართული ენის ცოდნის დონე ეროვნულ უმცირესობებში შემდგომში მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

კველვის ჰიპოთეზა: რაც უფრო დაბალია ქართული ენის ცოდნის დონე ,,1+4“ პროგრამით ეროვნულ გამოცდებზე გასული ეროვნული უმცირესობებში პროგრამის დაწყებამდე და შემდეგ, მით უფრო დაბალია ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციის დონე ქვეყანაში.

კვლევის პროცესში გაანალიზებული იქნა ქართული ენის ცოდნი პრობლემა ეროვნულ უმცირესობებში. სიღმისეული ინტერვიურების პროცესში, რომელიც ეროვნული უმცორესობების სტუდენტებთან ჩატარდა გამოიკვეთა საშუალო განათლების საფეხურზე ენის სწავლების პრობლემები არაკვალიფიცირებული მასწავლებლების მიერ და შემდგომში უმაღლესი განათლების საფეხურზე უკვე ამ მიზეზით პრობლემების შექმნა. ასევე რაოდენობრივი მეთოდების-კითხვარის საფუძველზე გამოკითხული სტუდენტების პასუხებიდან დადგინდა თუ რატომ ჩააბარეს ამ პროგრამით სტუდნტებმა. ,,1+4“ პროგრამა დადებითად ფასდება არამარტო ეროვნული უმცირესობების მხრიდან, (ეს არის სახელმწიფოს მხრიდან ,,შანსი“) არამედ უშუალოდ ამ პროგრამაში ჩართული კომპეტეტნტური პირებისგანაც. თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს ქართული ენის ათვისების პრობლემას და ერთწლიანი კურსის არასაკმარისობას. პროგრამა ძალიან კარგია და წინ გადადგმული ნაბიჯია სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ არსებობს ძალიან ბევრი ხარვეზი, რაც უნდ აგა მოსწორდეს. განსაკუთრებით კი პრობლემატურია ქართული ენის ათვისება და დახვეწა. ამიტომ ეს პირდაპირ კორელაციაში მოდის ეროვნული უმცირესობათა ინტეგრაციასთან. თუკი ვერ მოხერხდა ერთი წლის ვადაში ენის დაუფლება, ხშირია ტენდეცია სწავლის მიტოვებისა, ან სხვადასხვა ფაკულტეტებზე მობილობისა, ან დამატებითი სემესტრის აღებისა, რაც ასოცირდება უსასრულოდ სწავლებათან. ამიტომ ინტეგრაცია ამ კუთხით მცირდება. ხაზი ესმევა ან სკოლის პერიოდში ქართული ენის სწავლების ხარისხის ამაღლებასა და დახვეწას, ან უმაღლესში ერთწლიანი კურსის გაზრდას. კვლევის პროცესში გამოიყო შემდეგი ძირითადიფაქტრები:

- ✓ ინტეგრაციის კუთხით სახელმწიფოს მიერ ,,1+4“ პროგრამის შემოღება წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა გამოიყოფა ხარვეზები,რომელთა აღმოფხვრაც აუცილებელია;

- ✓ ენობრივი პრობლემა ისევ აქტუალურია 2010 წლიდან დღემდე, რაც იმასაც მიუთითებს იმას, რომ საშუალო განათლების სისტემაში ცვლილებები ძალიან ნელა მიმდინარეობს;
- ✓ სასკოლო განათლება საფუძველია უმაღლესი განათლების საფეხურის. აქ ქართული ენის სწავლების ხარისხი პირრდაპირ გავლენას ახდენს უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნული უმცირესობათა აკადემიურ მოსწრებაზე;
- ✓ ჩარიცხული სტუდენტთა უმრავლესობას მშობლიურ ენაზე აქვს სკოლა დამთავრებული, წარმატებას ინტეგრაციის კუთხით ძირითადად ის სტუდენტები აღწევენ, რომელთაც ქართული სკოლა აქვთ გავლილი რამოდენიმე წელიწადი მაინც. ასეთ სტუდენტებიც კი ხვდებიან ხშირად უმაღლესში სწავლისას პრობლემებს ინტეგრაციის კუთხით, ასევე ქართული ენით სწვალების კუთხით;
- ✓ ფინანსური ფაქტორი დიდ როლს თამაშობს. ის სტუდენტები, რომლებსაც უწევთ დამატებითი სემესტრების გავლა ხშირ შემთხვევაში ვერ იხდიან გადასახადს და ტოვებენ უნივერსიტეტს, ბრუნდებიან საკუთად სოფლებში და შესაბამისად მათი ინტეგრირება ვეღარ ხდება. ის სტუდენტები, რომლებიც ვერ ფლობენ ქართულს სათანადო დონეზე და აქვთ ფინანსები მიდიან უცხო ქვეყანაში(რუსეთი, თურქეთი) და იქიდან საერთოდ სხვა შეგნებით ბრუნდებიან. საქარველოს მოქალაქეებად უკვე ფორმალურად თვლიან თავს და რა თქმა უნდა მათინ ინტეგრაცია უფრო ძნელდება;
- ✓ სახელმწიფოს მხრიდან ,,1+4“ პროგრამის ფარგლებში მიდმინარეობს მთელი რიგი პროგრამების დანერგვა, რაც დამატებით ხელს უწყობს ინტეგრირების პროცესს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დონორებისა და საზოგადოების მხრიდან უფრო ბევრი ინიციატივა და ზეწოლა მოდის ამ კუთხით, ვიდრე თავადა სახელმწიფოს მხრიდან;
- ✓ შეინიშნება განსხვავება უნივერსიტეტების ჩართულობის მხრივ ასეთ პროგრამებში და შესაბამისად, ეროვნული უმცირესობები იმყოფებიან განსხვავებულ სიტუაციაში. ეს დამოკიდებულია ვინ რომელ უნირესიტეტში სწავლობს და გადის ქართულ ენაში მოსამზადებელ ერთწლიან კურსს;

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრაციის კუთხით აუცილებელი იყო განგვესაზღვრა როგორ იყვნენ სტუდენტები სწავლის დამთავების შემდგომ ინტეგრირებულნი საზოგადოებაში. მაგალითად, მათი დასაქმების კუთხით რა მდგომარეობაა. ამ მხრივ სახელმწიფო მხრიდან ჯერ ეხლა 2016-2017 წლებში გადაიდგა ნაბიჯები სტაჟირების პროგრამის დაწყებით, როელიც ეროვნულ უმცირესობათა კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება. ხშირ შემთხვევაში კი იკვეთება ტენდეცია იმისა, რომ სწავლის დამთავრების შემდგომ ეროვნულ უმცირესობებს მაინც უჭირთ ინტეგრაცია, რადგან საუნივერსიტეტო სივრცის გარეთ საზოგადოების მხრიდან აყდებიან ნეგატიუტ დამოკიდებულებებს, მართალია ეს არ გულისხმობს აგრესიის გამოვლინებას, მაგრამ აღნიშნული ფაქტორი ერთ-ერთი ხელისშემშლელია ეროვნული უმცირესობებისათვის ინტეგრაციის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბოჭორიშვილი (2015). *,,1+4 პროგრამის ხარვეზები სახელმწიფო პროგრამაში,"* (მიღებულია ინფორმაცია12.12.2016) http://studinfo.edu.aris.ge/2015/04/20/14-studentebisatvis-da-xarvezebi-saxelmwifo-programashi/)

გიორგაძე. ნ & ტაბატაძე. შ. (2016). ,, ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამის ეფექტურობის კვლევა," თბილისი: ,,სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისო ურთიერთობების ცენტრი."

გელნერი. ე.(2003). ,,*ერები და ნაციონალიზმი,"* (მთარგმნ.: ნინო ცინცაძე ; რედ: ივანე შატბერაშვილი) . თბილისი: გამომცემლობა ,,ნეკერი."

მეხუზლა. ს & როშე. ე,(2009). ,,განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში," ფლენსბურგი: ,,უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი."

მაცაბერიძე. მ, (2017). ,,პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში," თბილისი.

ნოდია&სქოლბახტი(2006). ,,*საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი: პოლიტიკური პარტიები: მიღწევები, გამოწვევები და პერსპექტივები,"* თბილისი: ,,მშვიდობიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი."

ვებსტერის ლექსიკონი, Dorcus.M&Shaffer.G. (2017). (ინფორმაცია მიღებულია 13.11.2016) https://www.merriam-webster.com/dictionary/integration

ზურაბიშვილი. თ. (2011). ,,საჯარო პოლიტიკური პრობლემა: ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონე დაბალია,“ (მიღებულია ინფორმაცია 30.02.2017) https://workunholic.wordpress.com/2011/07/14/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94/

შერგილაშვილი.თ. (2014). *,,რა გზა განვლო საქართველოს განათლების სისტემამ საბჭოთა კავშირიდან დღემდე,“* თბილისი: *,,გურიანიუსი.“* (ინფორმაცია მიღებულია 30.03.2017)http://gurianews.com/_/left_wide/22363_74_ka/ra_gza_ganvlo_saqarTvelos_ganaTlebis_sistemam_sabWoTa_kavSiridan_dRemde.html

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ,,შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და 2009-2014 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების დოკუმენტი“

სმითი. ე(2009). ,,*ნაციონალური იდენტობა,“* თბილისი: გამომცემლობა ,,ლოგოს პრესი.“

,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმა“ (ინფორმაცია მიღებულია 03.06.2017) http://smr.gov.ge/Uploads/Action_Pla_74390baa.pdf

,,შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მიერ 2 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიში,“ (ინფორმაცია მიღებულია 03.06.2017 http://smr.gov.ge/Uploads/2fac64.pdf)

საქართველოს საკანმომდებლო მაცნე, ,,კანონი უმაღლესი განათლების შესახებ,“ (ინფორმაცია მიღებული 11.11.2016 https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830%23)

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი (2004). სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი.

ჯაჯანიძე(2012). ,, ბილინგვური პროგრამები და სუბმერსიული განათლება ეთნიკური უმცირესობებისათვის საქართველოში,“ თბილისი: სამოქალაქო საზოგადოების ბიბლიოთეკა. (ინფორმაცია მიღებულია 21.12.2016 http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0period--00-1----0-10-0---0---0direct-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL4.1&d=HASH1601bad35d60559b50968a.3)

ჰეივუდი. ე(2004), ,,*პოლიტიკური იდეოლოგიები,“* (რედ. ბერაია.ლ& სარაძე.ზ), გამომცემლობა ,,ლოგო პრესსი.“

Becker. G. & Chiswik.B.(1966). ,,*Education and distribution of Earnings,” ,,The American economic review,”* Published by American economic associasion.

Borja De Mozota. (1992). ,,*Theoretical model for the future design education and research,” ,,Design management journal.”*

DebatePolitics.,,what is the difference between civic nacionalism and ethnic nacionalism? Why could it be a problem?“ (23.10.2012. 03:01 pm)
(ინფორმაცია მიღებულია 02.12.2016)
http://www.debatepolitics.com/general-political-discussion/140310-difference-between-nationalism-and-ethnic-nationalism.html

Chen. Y, (1972), ,,*Muslim Uyghur students In a Chiinese boarding school,"* The UK: Rowman&Littlefield publishers.

Goldman. A (1975). ,,*Reparations of individuals or groups?"*

Goldman A(1976). *,,Affirmative action,"* Philosophy & public affairs, published by Winter.

Hasmath. R, (2012), *,,The Ethnic Penalty: Immigration, Education and the Labour Market,"* New York: Ashgate publishing.

Kuzio T. (1998). *,,Ukraine State and national building,"* London: Published by Routledge.

Modood T. (2014.) *,,Is there a crisis of postsecularism in Western Europe?" In Transformations of Religion and the Public sphere: Postsecular politics*. (Edited by R.Braidotti&B.Blagaard.)

Renan. E. (1882) *,,What is a nation?,"*(translated by Thom.M.) New York: Published by Routledge.

დანართი#1

Ivane Javakhishvili State University

Social and Political Science Faculty

Gvantsa Abashidze

Higher Education Reform and National Minorities' Integration problem in Georgia

Political Science course

The Master of work is implemented for obtaining the Master's Degree of Political Science

The course instructor: Assistant-Professor Tamar Karaia

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაგისტრანტი თეიმურაზ წიქარიშვილი

სოციალური კაპიტალის როლი ქართული ეკონომიკის განვითარებაში 2003-2012

პოლიტიკის მეცნიერება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი სალომე დუნდუა

თბილისი 2017

ანოტაცია

სოციალური კაპიტალი საკმაოდ აქტუალური თემაა ძალიან ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში.ვინაიდან სოციალური კაპიტალი თავის თავში მოიცავს ნდობაზე,კულტურულ და რელიგიურ ფაქტორებზე დამყარებულ ირთიერთობებს,როგორც ჯგუფებს,ისე ინდივიდებს შორის.გამომდინარე აქედან ჩემს თემას კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას მატებს ზემოთ ხსენებული კომპონენტების მიმართვა ეკონომიკური განვითარებისაკენ.განსაკუთრებით ნდობა, რომელიც არის უმთავრესი ნებისმიერი საქმიანობის დროს,მათ შორის ეკონომიკური საქმიანობისას.მიუხედავად იმისა,რომ სოციალურ კაპიტალზე საკმაოდ ბევრი ნაშრომია შესრულლებული სხვადასხვა ავტორების მიერ,ჩემი კვლევის სიახლეს წარმოადგენს ისეთი კომბინაცია, როგორიცაა სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკას შორის კავშირ-ურთიერთობის დადგენა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სოციალური კაპიტალის მნიშვნელობის ჩვენება ქართულ ეკონომიკაში. წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს,სოციალური კაპიტალის როლის განსაზღვრას ქართული ეკონომიკის განვითარებაში და ამ ფონზე სოციალური კაპიტალის გაზომვას ხარისხობრივად,თუ რა როლს ასრულებს სოციალური კაპიტალი ეკონომიკური თვალსაზრისით. კვლევა ეფუძნება მითითებულ თემაზე არსებული სამეცნიერო ნაშრომების ანალიტიკურ შესწავლას და ასევე დამატებით თვისობრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდის, სტრუქტურირებული ინტერვიუს საშუალებით საზოგადოების სხვადასხვა წევრების,მათ შორის ექსპერტების გამოკითვას.თემაში განხილულია ყველა ის ძირითადი საკითხი,რომელიც იძლევა სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკურ პარამეტრებს შორის კავშირ-ურთიერთობის დადგენის შესაძლებლობას.

Abstract

Social capital is a matter of concern in many countries and Georgia is not an exception. Social capital includes the interactions between groups and individuals based on trust, cultural and religious factors, considering the interrelation of these components with Economic development, the presented topic is more relevant. In this case trust is an essential as it has a fundamental importance in business and economic activities. Despite the fact that there are a lot of work on social capital accomplished by various authors, the innovative aspect of performed research is a combination of establishing connections and interaction between social capital and economy.

However, the aim of the work is to show the importance of social capitalin the Georgian economy. The role of social capital in the development of the Georgian economy and the quality measurement of social capital in this context will be examined, so that the work reveals the role of social capital in terms of economic aspects. The research is based on the sources listed below, the main used methods include analytical studies of gained data such as scientific studies, research papers as well as additional qualitative research method- structured interviews with various members of the community, including experts and the relevant stakeholders. The work includes all the major issues, which reveals the interaction between social capital and economic parameters.

სარჩევი

შესავალი.....5

სოციალური კაპიტალის თეორიული ასპექტები.....7

თავი 1 სოციალური კაპიტალის ზოგადი მიმოხილვა და მსოფლიო გამოცდილება.....23

თავი 1.1 დასავლური გაერთიანების შექმნის საფუძველი.....27

თავი 1.2 დასავლური გაერთიანების გავლენა ეკონომიკაზე.....29

თავი 2 სოციალური კაპიტალი საქართველოში და ეკონომიკური მოდერნიზაცია 30

თავი 2.1 სოციალური კაპიტალი და საქართველოს ეკონომიკა.....34

თავი 2.2 სოციალური კაპიტალის როლი,საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.....35

თავი 2.3 საქართველოში არსებული სოციალური კაპიტალის მდგომარეობა.....36

თავი 3 სოციალური მედია და სოციალური კაპიტალი.....42

თავი 3.1 სოციალური ქსელების ეკონომიკური მნიშვნელობა.....45

დასკვნა.....47

გამოყენებული ლიტერატურა.....

შესავალი

მიუხედავად იმისა,რომ თავად ტერმინი „სოციალური კაპიტალი“ თითქმის საუკუნეა გამოიყენება და საკმაოდ დიდი ისტორია გააჩნია,სოციალური კაპიტალი თავის განვითარებას, პოულობს (Hani-fan-ის1916 წლის ნაშრომში ,,The Rular School Community Center”) რაზეც საუბრობს პატნემი.სადაც ავტორის მიხედვით,სოციალური კაპიტალი ის ქონებაა,რაც ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაზე მეტად ფასობს.კერძოდ: კეთილი ნება, მეგობრობა, თანადგომა და მოცემული სოციალური ერთეულის წევრ ადამიანებსა და ოჯახებს შორის სოციალური ურთიერთობა.(პატნემი 2000, გვ 109). მიუხედავად იმისა,რომ ტერმინი ,,სოციალური კაპიტალი თითქმის საუკუნეა გამოიყენება სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებში თუ სტატიებში,შეიძლება ითქვას,რომ მან განვითარების საკმაოდ რთული გზა განვლო იმისთვის,რომ თავი დაემკვიდრებინა ფართო საზოგადოებაში. გამომდინარე აქედან,აკადემიურ წრეებში სოციალური კაპიტალის არსებობის,მიზნებისა და ფასეულობების გარშემო ფართო დისკუსიები პოპულარული გახდა მე-20-ე საუკუნის 90-იან წლებში.ამ პერიოდის დებატებში ცენტრალურია საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების ფორმები და ნდობა.რაც განხილულია ახალ საზოგადოებრივ რესურსად.ამასთან,პატნემის თქმით,საზოგადოებრივი რესურსი უნდა იყოს დემოკრატიული და იდგეს ეკონომიკური განვითარების გარანტად (პატნემი 2000,გვ.112). სოციალური კაპიტალი დღესდღეობით ძალიან ბევრ ქყვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც,საკმაოდ პრიორიტეტულ საკითხად განიხილება, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში,სადაც სოციალური კაპიტალის განვითარების ტენდენცია საკმაოდ შესუსტებულია,რის ერთერთ მიზეზსაც წარმოადგენს სწორედ კომუნისტური წარსულის მქონე ქვეყნებში არსებული ეკონომიკური სტაგნაცია . http://www.tabula.ge/ge/story/57623-saqartvelos-socialuri-kapitalit-gharibi-sazogadoeba სხვადასხვა ავტორების მიერ ჩატარებული კვლევებიდან და ინტერნეტ წყაროებიდან კარგად ჩანს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.გამონაკლისს სამწუხაროდ არც საქართველო წარმოადგენს.

ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მძიმეა ეკონომიკური მდგომარეობა,ვინაიდან,ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ განვითარებად სახელმწიფოდ აღიქმება საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. გამომდინარე იქედან,რომ სოციალური კაპიტალი გულისხმობს ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობებს, ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის და რაც მთავარია,კულტურული ფასეულობების გათვალისწინებით,ზრდის ეკონომიკური სარგებლის ეფექტიანობას. გამომდინარე აქედან,მოქმედი ხელისუფლების შესაბამისი უწყებები ვალდებულნი არიან აიღონ სრული პასუხისმგებლობა სოციალური კაპიტალის განვითარების ხელშესაწყობად. განსაკუთრებით ეკონომიკური თვალსაზრისით.თუმცა იმ ფონზე,როდესაც ქვეყანაში მძიმეა ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა, სამწუხაროდ სახელმწიფო უწყებები ცდილობენ შეიმუშაონ ერთგვარი ლავირების პოლიტიკა, რაც მიზნად ისახავს მოკლევადიანი ტაქტიკური ნაბიჯებით ეკონომიკური სიდუხჭირის გადაფარვას და არ ცდილობენ სტრატეგიული გეგმების დასახვას ამ მიმართულებით.

ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენს სწორედ სოციალური კაპიტალის როლის ჩვენება ეკონომიკური აღმავლობის პროცესში,თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური კაპიტალი ეკონომიკური განვითარებისათვის.ჩემი აზრით,ქვეყნები,რომლებიც პრიორიტეტულ მიზნად ისახავენ სოციალური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობას,გაცილებით წარმატებულნი არიან ეკონომიკურად,ვიდრე ისეთი ქვეყნები,რომლებისთვისაც სოციალური კაპიტალი ნაკლებ პრიორიტეტულია.ამის თქმის შესაძლებლობას მაძლევს, სწორედ სხვადასხვა ავტორების მიერ არგუმენტირებული მსჯელობა სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკურ მდგომარეობას შორის, რომლებიც საუბრობენ სოციალური კაპიტალის ღირებულებაზე ეკონომიკური აღმავლობის კუთხით. რომელსაც დეტალურად ქვემოთ აღვწერ.

აღნიშნული თემა ავარჩიე სწორედ იმიტომ რომ,საკმაოდ მნიშვნელოვანია სოციალური კაპიტალის წინა პლანზე წამოწევა და მისი მნიშვნელობის ჩვენება ეკონომიკური თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა,რომ სოციალურ კაპიტალზე ძალიან ბევრი ნაშრომია შესრულებული სხვადასხვა ავტორების მიერ,ჩემი კვლევის სიახლეს წარმოადგენს ის,რომ ვსაუბრობ სოციალური კაპიტალის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე,რომელიც იძლევა ნათელ სურათს იმისა,თუ რა როლს ასრულებს სოციალური კაპიტალი ეკონომიკის განვითარებაში.

http://www.tabula.ge/ge/story/57623-saqartvelos-socialuri-kapitalit-gharibi-sazogadoeba

კვლევის მიზანი

მიუხედავად იმისა,რომ სოციალურ კაპიტალზე საკმაოდ ბევრი ნაშრომია შესრულებული სხვა-დასხვა ავტორების მიერ და ყველა ნაშრომში გამოკვეთილია ისეთი მნიშვნელოვანი ელემენ-ტები, როგორიცაა:კულტურული ფასეულობები და ნდობის მნიშვნელობა,როგორც ინდივი-დებს,ისე ჯგუფებს შორის.ნაკლებად გვხვდება სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკას შორის კომბინირებული მიდგომა,იმის შესახებ,თუ რა როლი აქვს სოციალურ კაპიტალს ეკონომიკაში. გამომდინარე აქედან,ჩემი კვლევის მიზანია,სოციალური კაპიტალის როლის განსაზღვრა ქართულ ეკონომიკაში და იმის დადგენა თუ რა როლს ასრულებს სოციალური კაპიტალი ეკონომიკური თვალსაზრისით, რამდენად მაღალი ან დაბალია სოციალური კაპიტალის ხარისხი ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით.
კვლევის მიზანს წარმოადგენს კავშირ-ურთიერთობის დადგენა სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკას შორის.კვლევის მიზნიდან გამომდინარეობს ამოცანები,რომელიც მეხმარება კვლევის პროცესში საბოლოო მიზნამდე მისვლაშსი,ჩემი კვლევის მიზანს კი როგორც ზემოთ ვახსენე წარმოადგენს სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკას შორის კავშირ-ურთიერთობის დადგენა.

კვლევის ამოცანები

კვლევის ამოცანების ჩამოყალიბება და მისი სწორი ფორმულირება საკმაოდ მნიშვნელოვანია კვლევის მიზნამდე მისვლაში.გამომდინარე აქედან,ჩემი კვლევა მიზნად ისახავს,ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების დასმას,როგორიცაა:

1.სახელმწიფო ინსტიტუტების და მმართველი პოლიტიკური ელიტების დამოკიდებულების განსაზღვრა,აღნიშნული საკითხისადმი.თუ რამდენად არიან ჩართულნი შესაბამისი უწყებები სოციალური კაპიტალის განვითარების პროცესში და სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკას შორის კავშირ-ურთიერთობის დადგენის ხელშეწყობაში.

ასევე იმის დადგენა,მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები ცდილობენ თუ არა,სოციალურ კაპიტალზე საუბრის დროს, ლავირებას.რაც გვაჩვენებს მათ დამოკიდებულებას სოციალრური კაპიტალისადმი.

2.არანაკლებ მნიშვნელოვანია,ექსპერტების და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა შეფასება აღნიშნული საკითხისადმი.რომლებიც პირდაპირ ან ირიბად არიან ჩართულნი ისეთი საკითხების გადაწყვეტაში,როგორიცაა: ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარება და ხელშეწყობა.ან უბრალოდ სურთ მსგავსი საკითხების გადაწყვეტა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.

3.მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების აზრი ამ საკითხის მიმართ,თუ როგორია მათი დამოკიდებულება ამ ყველაფრისადმი და სად ხედავენ ისინი გამოსავალს,რომ ქვეყანა უფრო განვითარდეს ეკონომიკურად.ვფიქრობ,ეს უბრალოდ მათი ნება არუნდა იყოს,არამედ ვალდებულება იმისა,რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სამოქალაქო სექტორმა მოძებნოს ბერკეტები,რათა ხელი შეუწყონ ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებას.

4.როდესაც საუბარი გვაქვს სოციალურ კაპიტალზე და მის როლზე ეკონომიკაში, მნიშვნელოვანია ეკონომიკური რესურსების სწორი განაწილება,იმისთვის,რომ მოხდეს რესურსების მაქსიმალური გამოყენება ეკონომიკის განვითარებისათვის და არ დარჩეს აუთვისებელი რესურსები, რომელსაც შეუძლია ეკონომიკური სარგებლიანობის მოტანა.გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია რესურსების განაწილების გზების ჩვენება,რომელიც მიმართულია ეკონომიკის გაძლიერებისაკენ.

5.და ბოლოს,ჩემი კვლევის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკას შორის კავშირ-ურთიერთობის დადგენა,თუ როგორი დამოკიდებულებაა სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკას შორის.

საკვლევი კითხვა-სოციალური კაპიტალის ხარისხი რამდენად განსაზღვრავს ქვეყანაში ეკონომიკურ მდგომარეობას?

ჰიპოთეზა-რაც უფრო მაღალია სოციალური კაპიტალის ხარისხი,მით უფრო ძლიერია ქვეყანა ეკონომიკურად.

ჰიპოთეზა გამოიკვეთა საკვლევი კითხვიდან.სოციალური კაპიტალის ხარისხი პირდაპირ-პროპორციულია ეკონომიკური განვითარებისა.ვგულისხმობ იმას,რომ სოციალური კაპიტალის ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრას ქვეყანაში ეკონომიკურ მდგომარეობას.საქართველო და ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ იმყოფება განვითარების სტადიაზე.გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ქვეყნისათვის.ეკონომიკის განვითა-რება ხელს უწყობს ქვეყანაში ყველა სხვა დანარჩენი ინსტიტუტების განვითარებას.ისეთი ინს-ტიტუტებისა,როგორიცაა: ჯანდაცვა,თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება და ა.შ.

ჩემი ჰიპოთეზაც სწორედ იმაზე დაყრდნობით ჩამოვაყალიბე,რომ სოციალური კაპიტალის მაღალი ხარისხი იწვევს ეკონომიკის განვითარებას და პირიქით,თუ ქვეყანაში სოციალური კაპიტალი არაა განვითარებული,რთულია სტრატეგიული ეკონომიკური ნაბიჯების გადად-გმა.ვინაიდან სოციალური კაპიტალის უმთავრესი ფუნქციაა ნდობაზე დაფუძნებული ჯგუფე-ბის არსებობა,რომლებიც ქმნიან ძლიერ სახელმწიფო ინსტიტუტებს.თუ ქვეყანაში ნდობის ხა-რისხი სუსტია,ამ შემთხვევაში ხდება მყიფე ეკონომიკური მდგომარეობის ჩამოყალიბება. საქართველოს მაგალითზე,როდესაც მთავრობა ზრუნავს ეკონომიკის გაძლიერებას მხოლოდ მოზიდული ინვესტიციების ხარჯზე,ჩემი აზრით არასწორი მიდგომაა. რადგან ამ შემთხვევაში სამწუხაროდ არ ხდება კულტურული ფაქტორების გათვალისწინება და ამათანავე ასუსტებს ქვეყანაში სოციალური კაპიტალის ხარისხს.შესაბამისად ამ გზით აფერხებს სოციალური კაპი-ტალის გზით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას,რაც გულისხმობს კულტურული ფაქტო-რების გათვალისწინებას.

ჰიპოთეზიდან იკვეთება ორი მნიშვნელოვანი ცვლადი,ესენია:

დამოუკიდებელი ცვლადი: სოციალური კაპიტალის მაღალი ხარისხი.

დამოკიდებული ცვლადი: ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობა.

თეორიული ჩარჩო

არსებობს მრავალი თეორიული მოდელი სოციალური კაპიტალისა.თუმცა მე გამოვყოფ ერთ-ერთ თეორიულ მოდელს,რომელიც კარგად პასუხობს,ჩემი თემისთვის დამახასიათებელ კით-ხვებს.ეს თეორიული მოდელი შემუშავებულია ვებერისეული იდეალური ტიპების საფუძველ-ზე, სადაც გამოყოფილია ჩემი თემისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტები.ისეთი კომპონენტები, როგორიცაა:ეკონომიკური რესრურსების რაციონალური განაწილება.ეს თეორიული მოდელი თავის მხრივ იშლება რამდენიმე ერთეულად. ესენია: რესურსები,კოოპერირების მოდელები და განწყობის იდეალური ტიპები.

ა) რესურსები

რესურსების ტიპოლოგიას კარგად განმარტავს ელინორ ოსტრომი.ოსტრომის მიხედვით,რე - სურსების განაწილება შესაძლებელია სამი ტიპის მიხედვით: კერძო, სახელმწიფო და საერთო. (ოსტრომი 2007,გვ.35) კერძო ტიპის რესურსები არის ისეთი რესურსები,რომლებიც მოიცავს კერძო საკუთრებას,ინდივიდუალურ მოგებას,იმ სოციალურ თუ პოლიტიკურ გავლენას, რო-მელსაც ცალკეული ინდივიდი ფლობს.კერძო რესურსების ყველაზე მარტივი ფორმაა კერძო საკუთრება. რესურსების განაწილების დროს გამოიყოფა ასევე ჯგუფური რესურსები,ამ ტიპის რესურსებით სარგებლობა მხოლოდ მოცემული ჯგუფის წევრებს შეუძლიათ.ჯგუფური რესურ-სებით სარგებლობის უფლება არ აქვთ ჯგუფის არაწევრებს.აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ჯგუ-ფური რესურსები ამოწურვადია.(ოსლონი 1971).

კიდევ ერთ-ერთი ტიპი რესურსებისა ეს არის საერთო ტიპის რესურსები.ეს ისეთი რესურსე-ბია,რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასთვის. საერთო ტიპის რესურსები ჯგუფური რესურსებისგან განსხვავებით ამოწურვადი არაა.ის ან ყველასთვის არსებობს,ან საერთოდ არა-ვისთვის არ არსებობს.საერთო ტიპის რესურსების მაგალითია: ეკლესია, გზა,რომლითაც ყვე-ლას შეუძლია სარგებლობა.

საერთო სიკეთის შექმნაზე ან შენარჩუნებაზე მიმართულია ინდივიდები,რომლებიც ასევე საჭიროებენ ერთობლივ შეთანხმებას,იმ ინდივიდუალური რესურსების აგრეგირების თაობაზე, რომელიც საერთო სიკეთის შექმნაზეა ორიენტირებული.რაც დამახასიათებელია სოციალური კაპიტალისათვის.

რესურსების განაწილების დროს,მნიშვნელოვანია განწყობები:ვებერის მიერ ჩამოყალიბებული რესურსის თითოეული ტიპისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური განწყობა,რომელიც ნდობის კატეგორიას მიეკუთვნება. ვებერის მიხედვით,სამივე ტიპის რესურსებისათვის და ზოგადად სოციალური კაპიტალისათვის დამახასიათებელია ერთი საერთო ნიშანი,რასაც ნდობა ჰქვია.

სელიგმანის მიხედვით,ნდობის განსხვავებული ტიპები,განსხვავებულ სოციალურ ტრადიციებს უკავშირდება.(სელიგმანი 1997) გარდა ამისა,ნდობა სიტუაციურია.ინდივიდები შესაძლოა კარგად კოოპერირებდნენ ერთ ვითარებაში,მაგრამ იჩენდნენ ერთმანეთის მიმართ უნდობლობას მეორე ვითარებაში.(ჰარდინი 2004) ნდობა თავის მხრივ იყოფა რამდენიმე ქვეტიპად:

ა) ნდობა-რწმენა იმისა,რომ ადამიანთა უმრავლესობა ერთგულია სხვების წინაშე აღებული ვალდებულებებისა,აადვილებს ინტერპერსონალურ ურთიერთობებს, რომლებიც მიმართულია კერძო ინეტერესების დაკმაყოფილებაზე.

ბ) სოლიდარობა-რწმენა,რომ ადამიანთა შორის თანამშრომლობა არ არის ნოლოვან ჯამოვანი. საჭიროა საერთო სიკეთეების წარმოქმნის პროცესში.

გ) ლოიალობა-რწმენა,რომ ადამიანთა უმრავლესობა ჩემნაირია და ამის გამო ჩვენ ერთმანეთს კარგად ვუგებთ.ეს ქმნის ჯგუფური ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. გამომდინარე ზემოთ ხსენებული რესურსის ტიპებიდან და ნდობის ტიპებიდან,შესაძლებელია ციკლური კავშირის დანახვა სოციალური კაპიტალის შემადგენელ ელემენტებს შორის.



მოცემული მოდელის მიხედვით,სოციალური კაპიტალი წარმოადგენს საზოგადოების უნარს, დაამყაროს ციკლური კავშირი კერძო,ჯგუფურ და საერთო რესურსებს შორის.იმდაგვარად,რომ ისინი რეზონირებდნენ ერთმანეთთან.ამ გზით სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს სტრუქ-ტურულად დიფერენცირებული საზოგადოების შიგნით სხვადასხვა ტიპის რესურსების გადა-დინებას,გაცვლას და გადანაწილებას. ამ ტიპის თეორიული მოდელის გამოყენება ხელს უწყობს საერთო საქმისათვის ხელშეწყობას.მაგალითად: სოფელში მისასვლელი გზის მშენებლობისა-თვის საერთო ძალების გაერთიანება. ადამიანური და მატერიალური რესურსების კოორდინი-რებული მართვა. ასევე ახალი ეკლესიის აშენება,რომელიც არის საზოგადოების სიკეთის შედეგი და რომლითაც ყველა ადგილობროვ მაცხოვრებელს შეუძლია სარგებლობა.

რესურსების სწორად განაწილება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ეკონომიკაზე სააუბრისას.გამომდინარე აქედან,თეორიული მოდელის ეს ტიპი,რომელიც შემუშავებულია ვებერისეული იდეალური ტიპების საფუძველზე,კარგად პასუხობს ჩემი თემისთვის დამახასიათებელ კითხვებს.
http://cssge.ge/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98/

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა მეთოდოლოგიის შერჩევას.ჩემს ნაშრომში ვიკვლევ იმას,თუ რა როლი გააჩნია სოციალურ კაპიტალს საქართველოში, რამდენად კავშირშია სოციალური კაპიტალი და ეკონომიკური მდგომარეობა ერთმანეთთან და როგორ მოქმედებს სოციალური კაპიტალის ხარისხი ეკონომიკის განვითარებაზე ან პირიქით.გარდა ამისა, წარმოვაჩენ,თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ექსპერტებს და საზოგადოების წევრებს ამ საკითხისადმი და რამდენად დაინტერესებულია სახელმწიფო უწყებებები არსებული საკითხით.

ნაშრომში ვიყენებ შემდეგ მეთოდებს:

კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია.

კვლევის ერთ-ერთი მეთოდი არის,მეორადი წყაროების ანალიზი.ჩემს თემაში ვიყენებ, როგორც ქართულენოვან,ისე ინგლისურენოვან წყაროებს.კერძოდ ვიყენებ: სოციალური კაპიტალის კუთხით გამოცემულ ნაშრომებს,გზამკვლევებს,სტატიებს და სხვა.ასევე ვიყენებ სხვადასხვა თეორიულ მასალას სოციალური კაპიტალის განვითარების შესახებ.

ჩემი შერჩევა

კვლევაში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდის ერთ-ერთი სახეობა.არაალბათური ტიპის მიზნობრივი შერჩევა.მიზნობრივ შერჩევას ვიყენებ,იმიტომ რომ ჩემი კვლევა ორიენტირებულია სიღრმისეულ ანალიზზე.რაც გულისხმობს სიღრმისეული ინტერვიუების ჩაწერას საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან.

კვლევის ობიექტები იქნებიან: ექსპერტები პოლიტიკის მეცნიერების დარგში და საზოგადოების ის წევრები,რომლებიც აკმაყოფილებენ დემოგრაფიულ მოთხოვნებს და არიან 45 წლიდან ზემოთ.

დემოგრაფიული მოთხოვნილებები დაკავშირებულია იმ საკითხთან,რომ მე მაინტერესებს საზოგადოების იმ ფენის წარმომადგენელთა აზრი, რომლებიც მომსწრენი არიან კომუნისტური მმართველობის ფორმებისა.ეს ადამიანები შერჩეულნი არიან სწორედ იმ პრინციპზე დაყრდნობით,რომ კომუნისტური მმართველობის დროს მრავალი ავტორის,მათ შორის ფრენსის ფუკუიამას მტკიცებით,საქართველოს სოციალური კაპიტალის კუთხით დაუტოვა მძიმე მემკვიდრეობა,რომელიც დღემდე ხელს უშლის ქვეყანას სოციალური კაპიტალის განვითარებაში. გარდა ამისა,თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენება ჩემს კვლევაში მაძლევს შესაძლებლობას დეტალურად გავეცნო ჩემი რესპოდენტების მოსაზრებებს,რის საშუალებასაც არ იძლევა რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება.რომელიც დაკავშირებულია ძირითადად სტატისტიკურ მონაცემებთან.სიღრმისეული ინტერვიუები ჩემს რესპოდენტებთან მაძლევს ანალიზის გაკეთების და მათი აზრის მკაფიოდ ფორმულირების შესაძლებლობას. მათი პასუხების მეშვეობით შედარებით მარტივად დავაკავშირებ სოციალური კაპიტალის როლს, ეკონომიკურ განვითარებასთან.

კვლევის ლიმიტი

კვლევის დროს არსებობს 2 ძირითადი ფაქტორი,რომელთაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, შეიძლება ითქვას გადამწყვეტიც კი,იმისთვის,რომ კვლევა გამოვიდეს სრულფასოვანი და ამისათვის საჭიროა არსებობდეს რესურსების ისეთი ტიპები, რომლებიც გვეხმარება კვლევის დროს. ვგულისხმობ იმას,რომ მნიშვნელოვანია მასალების არსებობა.პირველ რიგში,იმიტომ რომ ნაშრომი იყოს გამართული და არ დარჩეს მკითხველისათვის კითხვის ნიშნები. ასევე ნაშრომი უნდა იყოს ლაკონური და მკითხველისთვის საინტერესო ინფორმაციის მატარებელი.გამომდინარე აქედან,მე გამოვიყენე ყველა ჩემს ხელთ არსებული რესურსი,მათ შორის, სხვადასხვა ავორების მიერ გამოცემული სტატიები და კრებულები და სხვა.არსებულ თემაზე, მოვიძიე ინტერნეტში განთავსებული ინფორმაცია, სხვადასხვა საიტების მეშვეობით. წავიკითხე სხვადასხვა ავტორების მიერ მოცემული ლიტერატურა ქართულ და უცხოურ ენაზე, გავეცანი სხვა ქვეყნის მაგალითებს,განსაკუთრებით გამოვყოფდი პატნემის მიერ მოცემულ იტალიის მაგალითს, რომელიც საუბრობს სოციალური კაპიტალის შესახებ. მიუხედავად არსებული ინფორმაციისა, მაინც არსებობს უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი,რომელიც არ იძლევა სრული ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას,ეს ჩემი აზრით, განპირობებულია გამომდინარე იქედან,რომ ჩემი თემა მსგავსი კომბინაციით რაც გულისხმობს სოციალური კაპიტალის როლს ეკონომიკის განვითარებაში,არაა ბევრი ადამიანის მიერ ნაკვლევი და შესაბამისად გარკვეულწილად ჩნდება ინფორმაციის მოპოვების შემაფარხებელი ფაქტორები. გარდა ამისა,საკითხს კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი,რომ საზოგადოების დიდი ნაწილი და მათ შორის მთავრობის წარმომადგენლები, გარკვეულწილად იმყოფებიან ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში მსგავსი საკითხების მიმართ. რაც გულისხმობს,ინტერესთა შეურიგებლობის ფონზე საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის კონფლიქტური მდგომარეობის წარმოშობას და ხელს უშლის სრული ინფორმაციის მოპოვებასა და მათი აზრის გაგებას კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში. ვფიქრობ,კარგი იქნებოდა რომ არსებობდეს უფრო მეტი ინფორმაციული რესურსი, რაც მომცემდა კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას კვლევის ფარგლებში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ლიტერატურის მიმოხილვას,რაც გულისხმობს სხვადასხვა ავტორების მიერ მოცემული ინფორმაციის გადახედვას არსებულ საკითხთან მიმართებაში.მისი დადებითი და ნაკლოვანი მხარეების გაანალიზებას და იმ ძირითადი ელემენტების გამოყოფას,რომელიც დამეხმარა კვლევის დროს.

ნაშრომში ვიყენებ როგორც ქართულენოვან,ისე ინგლისურენოვან წყაროებს.კვლევის პროცესში გავეცანი ძალიან ბევრ მასალას სოციალური კაპიტალის შესახებ,რომელიც არის შესრულებული სხვადასხვა ავტორების მიერ.ასვევე კვლევის პროცესში დიდად დამეხმარა მეორადი წყაროების ანალიზი.კერძოდ:სტატიები,დოკუმენტები და მოხსენებები აღნიშნულ თემაზე.განსაკუთრებით გამოვყოფ რამდენიმე ძირითად ნაშრომს,რომელიც დამეხმარა ძირითადი მიზნისა და ამოცანების ჩამოყალიბებაში.

ფრენსის ფუკუიამა თავის ნაშრომში "სოციალური კაპიტალი სამოქალაქო საზოგადოება და განვითარება"*22, No 2001 "* აღნიშნავს,რომ სოციალური კაპიტალი არის მყისიერი ფორმალური ნორმა,რომელიც ოპერირებს ცალკეულ პირებს შორის,რომლის თანახმადაც ეკონომიკურ სფეროში ამცირებს მოლაპარაკების ღირებულებებს, ე.წ კარტერულ გარიგებებს,რასაც ვერ ვიტყვით იგივე პოლიტიკურ სფეროში არსებულ სიტუაციაზე სოციალური კაპიტალი ხელს უწყობს ასოციაციების გაერთიანებების გაძლიერებას,რომელიც არის სასარგებლო შეზღუდული რესურსების მქონე სახელმწიფოებისა და თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

პატნემი სოციალურ კაპიტალს შემდეგნაირად განსაზღვრავს: ავტორის თქმით, მაშინ,როდესაც ფიზიკური კაპიტალი აღნიშნავს ფიზიკურ ობიექტებს, ადამიანური კაპიტალი აღნიშნავს ინდივიდის საკუთრებას,გამომდინარე აქედან, სოციალური კაპიტალი უშუალოდ ინდივიდებს შორის კავშირს აღნიშნავს.რობერტ პატნემი სოციალურ კაპიტალსა და „სამოქალაქო სათნოებას" შორის პარალელებს ავლებს და ამტკიცებს,რომ სოციალურ კაპიტალსა და „სამოქალაქო სათნოებას შორის" არ არსებობს განსხვავება. (პატნემი,როგორ ვამუშაოთ დემოკრატია,1994 გვ.226).

ფრენსის ფუკუიამა თავის ნაშრომში "სოციალური კაპიტალი სამოქალაქო საზოგადოება და განვითარება"(*22, No 2001,გვ.7) "*აღნიშნავს სოციალური კაპიტალის როლს ეკონომიკაში, ავტორის თქმით,სოციალური კაპიტალის როლი მნიშვნელოვანია ეკონომიკური რეფორმებისათვის, რომლის საწინააღმდეგო მნიშვნელობასაც პოულობს სოციალური კაპიტალი ეკონომიკურ პოლიტიკასა და ეკონომიკურ ინსტიტუტებში,იმიტომ რომ სოციალურ კაპიტალს არ ძალუძს თავისუფლად შექმნას განსაზღვრული ფორმის მქონე საზოგადოებრივი პოლიტიკა.

რობერტ ლი.თავის ნაშრომში Bonding, Bridging and Linking: (British Journal of Social Work, 2010) ხაზს უსვამს სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას,როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი და შემაკავშირებელი სიმბოლო,რომელიც ოპერირებს საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს შორის, რომლის მაგალითად ავტორს მოჰყავს დასავლეთ ევროპის ქვეყნები,სადაც ძალიან ბევრი მაგალითია სოციალური კაპიტალის გაერთიანების, რომლის საპირისპირო განვითარება გვხდება აშშ-ში კონკრეტულად მოყვანილია ახალი ორლეანის მაგალითი საილუტრაციოდ, სადაც სოციალური კაპიტალის გაერთიანების ნაკლები პრეცედენტია,ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში,რომელიც იძლევა გარკვეულ წარმოდგენას ზოგადად სოციალური კაპიტალის ფართო სპექტრის შესახებ.

Sumantra Ghoshal- თავის ნაშრომში "Social Capital and Value Creation: The Role of Intrafirm Networks" (Aug., 1998) საუბრობს სოციალური კაპიტალის ფასეულობებისა და ღირებულებების შემსუბუქების ფორმებსა და კომპონენტებზე,ავტორი გვთავაზობს 3 იდენტიფიცირებულ განსხვავებას სოციალური კაპიტალისა:

1. სტრუქტურული ფორმა,რომლის დროსაც სოციალური კაპიტალი არის უფრო ისეთი ხასიათის, სადაც მიმდინარეობს სოციალური კაპიტალის კოორდინირებული მოქმედება, საუბარია სოციალური კაპიტალის გამაერთიანებელ ფორმზებზე, რომელიც საზოგადოებას კრავს ერთ მუშტად და მათი საქმიანობა მიმართულია ერთი კონკრეტული საერთო მიზნისაკენ.

2. მეორე ეს არის ნათესაური კავშირის მქონე ფორმა სოციალური კაპიტალისა ,რომელიც აბსოლიტურად გულისხმობს მმართველობის ისეთი ფორმების განვითარებისათვის ხელშეწყობას, რომელიც დაკავშირებულია შემაკავაბელი სოციალური კაპიტალის ფორმასთან და გზას

უკეტავს სოციალური კაპიტალის ისეთ ფორმას, როგორიცაა გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალი.

3. და ბოლო მესამე სახე სოციალური კაპიტალისა ეს არის შემეცნებითი. რომლითაც ავტორი ცდილობს იმის ხაზგასმას,რომ სოციალური კაპიტალის ორივე ზემოთ ხსენებული ფორმისაგან განსხვავებით,სოციალური კაპიტალის მესამე ფორმა გულისხმობს უფრო მეტად დამოუკიდებელ აზროვნებას და საზოგადოების წევრებისათვის თავისუფალი არჩევანის მინიჭების უფლებას.

პატნემი თავის ნაშრომში “Bowling Alone: America's Declining Social Capital"Journal of Democracy, January (1995) ხაზს უსვამს ახალგაზრდების დამოკიდებულებას სოციალური კაპიტალისადმი.

რომელიც ამბობს,რომ სტუდენტების უმრავლესობას დემოკრატიულ ქვეყნებში აქვთ აქცენტი გადატანილი.

ბარტი თავის ნაშრომში-THE NETWORK STRUCTURE OF SOCIAL CAPITAL (November 1999) საუბრობს, სოციალური ქსელის მნიშვნელობაზე სოციალურ კაპიტალში,რომელიც ამბობს,რომ სოციალური კაპიტალის შედეგები იქნება გაცილებით უკეთესი თუ აქცენტები გაკეთდება სოციალური ქსელის მექანიზმზე.

რობერტ პატნემი თავის ნაშრომში (“Bowling Alone: America's Declining Social Capital"Journal of Democracy,January 1995,) სოციალური კაპიტალის განვითარებას ხედავს ახალგაზრდა მომავალ თაობაში, რომელთაც გააჩნიათ თავისუფალი აზროვნება და განთავისუფლებულები არიან კომუნისტური წარსულისაგან.

ფრენსის ფუკუიამა თავის ნაშრომში,(სოციალური კაპიტალი გვ.116) ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სოციალური კაპიტალი არის მჭიდრო კავშირში ეკონომიკის განვითარებასთან. ავტორის თქმით, სოციალური კაპიტალი ასრულებს ცენტრალურ ფუნქციას ეკონომიკის განვითარებაში. ფუკუიამა აკავშირებს ეკონომიკურ საქმიანობას სოციალურ კაპიტალთან და პირიქით.

ფრენსის ფუკუიმა ერთ-ერთ სტატიაში,სახელწოდებით არშემდგარი სახელმწიფოები, (რედაქტორი ნუკრი მიხანაშვილი,თბილისი 2013.20.12) ხაზს უსვამს სოციალური კაპიტალის როლს, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებაში.

ფუკუიამას აზრით,ნებისმიერი ცვლილების განხორციელება და მისი ეფექტიანი დანერგვა, ფუნქციონირება,დამოკიდებულია საზოგადოების წევრებს შორის ჩამოყალიბებულ თანამშრომლობის კულტურაზე, ნდობაზე,შეთანხმებაზე,მათ ლიბერალურ ფასეულობებზე.ავტორის მტკიცებით,ასე ყალიბდება მტკიცე სოციალური კავშირები,ქცევის ნორმები და პარტნიორობის განცდა,რაც ქმნის მყარ საზოგადოებრივ წესრიგს,აძლიერებს ინტეგრაციას და სოლიდარობას, რაც ხელს უწყობს ქმედუნარიანი და ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას. ფუკუიამას აზრით, სოციალური კაპიტალის დაგროვება განაპირობებს, ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბების და კეთილდღეობის მაღალი ნდობის მიღწევის შესაძლებლობას.

ლიტერატურის მიმოხილვისას,ძალიან დამეხმარა რობერტ პატნემის წიგნი სახელ წოდებით, როგორ ვამუშაოთ დემოკრატია (იტალიის მაგალითი Princeton university Ppess 1993).

ერნანდო დე სოტო თავის წიგნში,“კაპიტალის მისტერია“ (The Mysteri of Capital) ასაბუთებს, რომ განვითარებადი ქვეყნები დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავდებიან არა ეკონომიკური რესურსების სიმწირით, არამედ იმით,რომ დანარჩენი სამყაროს უუნარობა აწარმოოს კაპიტალი,არის ძირითადი დაბრკოლება,რომელიც ხელს უშლის მას, ნახოს სარგებელი კაპიტალიზმისაგან.(დე სოტო, 2000,გვ.5).

რობერტ პატნემი თავის ნაშრომში,როგორ ვამუშაოთ დემოკრატია (იტალიის მაგალითი,პატნემი 1994,გვ.219) მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო ერთობის ცნებებს. ავტორის თქმით,სოციალური კაპიტალი წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების სახეობას,სადაც მოქალაქეთა სოციალური ჩართულობა მიმართულია საზოგადოების პოლიტიკური რესურსების ზრდაზე.პატნემის აზრით,სოციალური კაპიტალის ნაკლებობა დაკავშირებულია კლიენტელისტურ კორუფციასა და ინდივიდუალურ მოგებაზე, ორიენტირებული აქტივობის სიჭარბესა და საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნის უუნარობაზე. (პატნემი 1994).

ამერიკელი მეცნიერი James Coleman-აღწერს სოციალური კაპიტალის,როგორც ნდობაზე დაფუძნებულ დომინანტ ურთიერთობებსა და კოლექტიური ქმედების ფენომენს. Coleman-ის მიხედვით, სოციალურ კაპიტალს განაპირობებს მისი ფუნქცია.

იგი არა ერთი სუბიექტი,არამედ სხვადასხვა მრავალფეროვანი სუბიექტებია,რომელთაც გააჩ-ნიათ ორი საერთო მახასიათებელი: ყველანი შეიცავენ სოციალური სტრუქტურის გარკვეულ ელემენტებს და სტრუქტური შიგნით ხელს უწყობენ აქტორების (ადამიანთა ჯგუფის გარკვე-ულ ქმედებას. (Coleman 1990,გვ.116).

ფრენსის ფუკუიამა თავის ნაშრომში „სოციალური კაპიტალი“ (ფუკუიამა 1999) ამბობს,რომ სოციალური კაპიტალის,როგორც სტაბილური ლიბერალური დემოკრატიის აუცილებელი პირობა მნიშვნელოვანია თანამდეროვე ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ფუკუიამას აზ რით, “სოციალური კაპიტალის ზრდა ჩვეულებრივ აღიქმება,მომავალი თაობის ეკონომიკურ რეფორმად.თუმცა ეკონომიკური პოლიტიკის ან ინსტიტუტებისაგან განსხვავე-ბით,სოციალური კაპიტალის შექმნა ან დახვეწა საჯარო პოლიტიკის ძალისხმევით საკმაოდ რთულია.(ფუკუიამა 1999) .

ოპერაციონალიზაცია

ჩემი ნაშრომის ჰიპოთეზა არის: რაც უფრო მაღალია სოციალური კაპიტალის ხარისხი,მით უფრო ძლიერია ქვეყანა ეკონომიკურად. შესაბამისად აქედან გამომდინარეობს ორი ცვლადი. ესენია: დამოუკიდებელი ცვლადი: სოციალური კაპიტალის მაღალი ხარისხი. და დამოკიდებუ-ლი ცვლადი:ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობა.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია,გამოიკვლიოს თუ რამდენად დიდია სოციალური კაპიტალის როლი ეკონომიკს განვითარებაში.არსებული თემის ირგვლივ გავეცანი სხვადასხვა ავტორების მიერ შესრულებულ სტატიებსა და თეორიებს,რაც ძალიან დამეხმარა ოპერაციონალიზაციის პროცესში.

თეორიებთან ერთად ,პრაქტიკაშიც კი სოციალური კაპიტალი გამოიყენება ეკონომიკური სიმდიდრის ერთ-ერთ მახასიათებლად. თავად მსოფლიო ბანკიც კი მსოფლიო ღირებულებათა კვლევის დრო იყენებს სოციალური კაპიტალის სხვადასხვა მახასიათებელს,რომელთაც უკავშირებს ეკონომიკურ მდგომარეობას (Hamilton, 2006). ოპერაციონალიზაციისას გაზომვის პროცესში დამეხმარა სამი ძირითადი მახასიათებელი სოციალური კაპიტალისა:

ა) კავშირები ბ) ნდობა) გ) სამოქალაქო მდგომარეობა (civism) რომელიც ხასიათდება რაციონალური და ემოციური ზეგავლენით.

კავშირები ხასიათდება,ერთი მხრივ მოხალისეობრივი საქმიანობების დროს ურთიერთობებით,ხოლო მეორეს მხრივ,ოჯახური სამეგობრო და სხვა სახის სოციალიზაციით. პირველი მათგანი გულისხმობს,რომელიმე ორგანიზაციის წევრობას,მოხალისეობრივი საქმიანობის დროს.და იშვიათად იკვლევს ინდივიდუალურ აქტიურობას.მეორე მათგანი კი დაინტერესებულია იმით,თუ ინდვივიდების ყოველდღიურ საქმიანობაში დროის რა წილია განსაზღვრული ახლობლებთან ურთიერთობისთვის.

ნდობაც შესაძლებელია ორ განზომილებად გავყოთ.ერთ-ერთი იქნება ნდობა ჰორიზონტალურად,ანუ ნდობა თავად საზოგადოების წევრებს შორის,ხოლო მეორე სახის ნდობა არის ვერტიკალური,რომელიც საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური თუ სხვა ინსტიტუტებისადმი დამოკიდებულებებს განსაზღვრავს.სამოქალაქო მდგომარეობა(civism) გამოიხატება ორ ასპექტში.

პირველი ეს არის საზოგადოების ეთიკურ-მორალური განწყობების შეფასება კონკრეტული ფენომენების მიმართ,ხოლო მეორეა პოლიტიკური აქტიურობა,რომელშიც იგულისხმება თავად აქტიურობა. (არჩევნებში მონაწილეობა,პარტიული საქმიანობა და სხვა.)ისევე როგორც სამეგობრო წრეში კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხზე მსჯელობა.

ზემოთ მოყვანილი საზომი ერთეულების გარდა,ეკონომისტები ცდილობენ დაუმატონ დემოგრაფიული მახასიათებლები.კერძოდ:განათლების დონე,სამსახურის ადგილმდებარეობა,ტიპი და ინტენსივობა.ასევე ოჯახური მდგომარეობა.ეს დამატებები საშუალებას იძლევა სხვადასხვა წინაპირობითა და სოციალური მდგომარეობით ავხსნათ ინდივიდის კავშირები.ნდობა და სამოქალაქო მდგომარეობა.რომელიც ეხმარება მას სოციალური კაპიტალის საზოგადოებაში ინვესტირებასა და შემდგომ გამოყენებაში. http://cela.ge/ge/system/files/conference_papers._tk.pdf.

გარდა ამისა,ოპერაციონალიზაციის პროცესში დამეხმარა კავკასიის კვლევითი რესურს ცენტ-რის მიერ ჩატარებული კვლევა 2011 წლის ზაფხულში. (CRRC).კვლევა ჩატარებული იქნა 2011 წლის 26 ივლისიდან 11 აგვისტომდე პერიოდში,2509 ინტერვიუს ჩატარების გზით.კვლევა დაფუძნებულია საქართველოში საზოგადოებრივი კაპიტალის საკითხებთან დაკავშირებით, CRRC-ის წინარე ნამუშევარზე.სადაც საუბარია სოციალურ კაპიტალზე.

სოციალური კაპიტალის შესახებ წინარე კვლევებიდან ჩანს,რომ მაშინ,როდესაც საქართველოს მოქალაქეებში ერთის მხრივ მაღალია ,,შემაკავებელი" სოციალური კაპიტალის დონე,რომელიც გულისხმობს მჭიდრო კავშირსა და ახლო ურთიერთობებს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შო-რის,საკმაოდ დაბალ დონეზეა განვითარებულის ისეთი „ურთიერთობითი" სოციალური კაპი-ტალი,რომელიც ხელს უწყობს ნდობის გაცილებით ფართო ქსელების ჩამოყალიბებას. ისეთებს, როგორიცაა:კლუბები ან პროფესიული საზოგადოებები.სოციალური კაპიტალის ასეთ ფორმა-ციაში არსებობა,რაც გულისხმობს შემაკავებელ სოციალურ კაპიტალს,ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას.

მიუხედავად სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო საზოგადოების საკითხებთან დაკავში-რებით განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობისა,ჯერ კიდევ ბუნდოვანია ის,თუ რას ფიქრობენ საქართველოს მოქალაქეები,აქტიური და ჩართული მოქალაქის სტატუსით საზოგა-დოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე.მოხალისეობისა და სამოქალაქო ჩართულობის გზით, ეკონომიკურად ძლიერი და ერთიანი საზოგადოების შენებაზე.
http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed-projects/Volunteerism_Report_GEO.pdf.

თავი 1 სოციალური კაპიტალის ზოგადი მომოხილვა და მსოფლიო გამოცდილება

ეკონომიკური თვალსაზრისით,სოციალური კაპიტალი ძალიან ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში,საკმაოდ მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილება.ასევე მნიშვნელოვანია სოციალური კაპიტალის როლი ჯგუფებს შორის კავშირების დამყარების თვალსაზრისით. მანამ სანამ უშუალოდ საქართველოს მაგალითზე განვიხილავ სოციალურ კაპიტალს და მის როლს ქართული ეკონომიკის განვითარებაში,მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით მსოფლიო გამოცდილების გაზიარება.

სოციალური კაპიტალის მრავალ განსაზღვრებას,სამი უმთავრესი ფაქტორი აერთიანებს: პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის,რომ სოციალური კაპიტალი იგება: ნორმებზე, ჩვევებსა და ნდობაზე.რომელიც საზოგადოებაში აყალიბებს მნიშვნელოვან ქსელებს და ასევე ხელს უწყობენ ახალი ქსელების შექმნას.

სოციალური კაპიტალის ორი ძირითადი განსხვავებული ფორმა არსებობს:

1.გამაერთიანებელი (bridging) სოციალური კაპიტალი,რომელიც აკავშირებს ინდივიდებს არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის ან ახლო სოციალური გარემოს მქონე წრის წარმომადგენლებთან, არამედ მათთვის უცნობ საზოგადოების წევრებთანაც კი.

2.და შემაკავებელი (bonding) სოციალური კაპიტალი,რომლის დროსაც იქმნება ნათესაური კავშირები.

3. მესამე ფაქტორი გამოიხატება საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ასოციაციების შექმნაში, რადგან მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად ადამინათა გაერთიანებას სჭირდება გარკვეული ინსტიტუციონალიზება,რომ იმოქმედოს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად და მოკლევადიანი პრობლემის გადაწყვეტაზე არ იყოს ფოკუსირებული. (ფრენსის ფუკუიამა ნაშრომში ნდობა.გვ.98)

რობერტ ლი. თავის ნაშრომში Bonding, Bridging and Linking: (British Journal of Social Work) 2010 ხაზს უსვამს სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას,როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი და შემაკავშირებელი სომბოლო,რომელიც ოპერირებს საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს შორის,რომლის მაგალითად ავტორს მოჰყავს დასავლეთ ევროპის ქვეყნები,სადაც ძალიან ბევრი მაგალითია სოციალური კაპიტალის გაერთიანების, რომლის საპირისპირო განვითარება გვხდება აშშ-ში.კონკრეტულად მოყვანილია ახალი ორლეანის მაგალითი საილუტრაციოდ. სადაც სოციალური კაპიტალის გაერთიანების ნაკლები პრეცედენტია,ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომელიც იძლევა გარკვეულ წარმოდგენას ზოგადად სოციალური კაპიტალის ფართო სპექტრის შესახებ. თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნები ორიენტირებული არიან სოციალური კაპიტალის ისეთ ფორმებზე,რომელიც გულისხმობს გაერთიანებას ერთი საერთო მიზნის მისაღწევად, სრულიად განსვავებული სურათი გვხვდება აშშ-ს მაგალითზე.

კიდევ ერთი მეცნიერი Sumantra Ghoshal თავის ნაშრომში “Social Capital and Value Creation: The Role of Intrafirm Networks“ (Aug., 1998 გვ 3.) საუბრობს,რომ ტერმინი სოციალური კაპიტალი იყო ორიგინალური საშუალება ნათესავური კავშირების ასაღწერად,სადაც უპირატესობა ენიჭებოდა ნათესაური კავშირების გამოყენებას,აქ საუბარია ე.წ (“ოჯახურ-ნათესაურ მმართველობის ფორმაზე“),რომელიც ხელს უწყობს სოციალური ორგანიზაციების ჩრდილქვეშ დაყენებას და უპირატესობას ანიჭებს ნათესაური კავშირების წინა პლანზე წამოწევას.

Sumantra Ghoshal- თავის ნაშრომში “Social Capital and Value Creation: The Role of Intrafirm Networks“ (Aug., 1998) საუბრობს სოციალური კაპიტალის ფასეულობებისა და ღირებულებების შემსუბუქების ფორმებსა და კომპონენტებზე.ავტორი გვთავაზობს 3 იდენტიფიცირებულ განსხვავებას სოციალური კაპიტალის ფორმებისა:

1) სტრუქტურული ფორმა,რომლის დროსაც სოციალური კაპიტალი არის უფრო ისეთი ხასიათის,სადაც მიმდინარეობს სოციალური კაპიტალის კოორდინირებული მოქმედება,საუბარია სოციალური კაპიტალის გამაერთიანებელ ფორმზებზე, რომელიც საზოგადოებას კრავს ერთ მუშტად და მათი საქმიანობა მიმართულია ერთი კონკრეტული საერთო მიზნისაკენ.

2) მეორე ეს არის ნათესაური კავშირის მქონე ფორმა სოციალური კაპიტალისა , რომელიც აბსოლიტურად გულისხმობს მმართველობის ისეთი ფორმების განვითარებისათვის ხელ-შეწყობას, რომელიც დაკავშირებულია შემაკავაბელი სოციალური კაპიტალის ფორმასთან. რომელი ფორმაც გზას უკეტავს სოციალური კაპიტალის ისეთ ფორმას, როგორიცაა გამაერ-თიანებელი სოციალური კაპიტალი.

3) და ბოლო მესამე სახე სოციალური კაპიტალისა ეს არის შემეცნებითი. რომლითაც ავტორი ცდილობს იმის ხაზგასმას,რომ სოციალური კაპიტალის ორივე ზემოთ ხსენებული ფორმისაგან განსხვავებით,სოციალური კაპიტალის მესამე ფორმა გულისხმობს უფრო მეტად დამოუკიდე-ბელ აზროვნებას და საზოგადოების წევრებისათვის თავისუფალი არჩევანის მინიჭების უფლებას.

ფრენსის ფუკუიამა თავის ნაშრომში,(ნდობა,საზოგადოებრივი ღირსება და კეთილდღეობის შექმნა.გვ.116)- ხაზს უსვამს იმ ფაქტს,რომ სოციალური კაპიტალი არის მჭიდრო კავშირში ეკო-ნომიკის განვითარებასთან. ავტორის თქმით, სოციალური კაპიტალი ასრულებს ცენტრალურ ფუნქციას ეკონომიკის განვითარებაში. ფუკუიამა აკავშირებს ეკონომიკურ საქმიანობას სოცია-ლურ კაპიტალთან და პირიქით. ავტორის თქმით,ისტორიული კეისის გახსნისათვის,რაც გუ-ლისხმობს პრაგმატული დღის წესრიგის განსაზღვრას,მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ლეგალური და ინსტიტუციონალური ქმედებები.

ის ურთიერთქმედებაშია პოლიტიკურ კორუფციასა და კულტურულ ცვლილებებს შორის. ასევე, როგორც ავტორი ამტკიცებს,მნიშვნელოვანია რელიგიის როლი სოციალური კაპიტალის განვითარებისა და ხელშეწყობისათვის. ამის ფონზე პირველ რიგში საჭიროა იმისი დადგენა,თუ რატომ არის სოციალური კაპიტალის განვითარების საკითხი წინა პლანზე წამოწეული. ეკონომისტების უმრავლესობა იზიარებს იმ პოზიციას,რომ მნიშვნელოვანია სოციალური კაპი-ტალის განვითარება, ეკონომიკური მომგებიანობის ამაღლების ხელშეწყობისათვის. ეკონომის-ტების ნაწილი მიიჩნევს, რომ კულტურული ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს სოციალური კაპიტალის განვითარებაზე. ასევე ფუკუიამას აზრით, მნიშვნელოვანია ფიზიკური და ადამია-ნური ფაქტორების წინა პლანზე წამოწევა,რომელიც შესაძლებელია იყოს პროდუქტიული.

ან სულაც ნეგატიური გარე ფაქტორების თვალსაზრისით. (ფრენსის ფუკუიამა ფიზიკური რესურსების შევსება,ან სულაც შეცვლა შესაძლებელია ისეთი რესურსების გამოყენებით, როგორიცაა საწარმოო ფაქტორები. მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორების გამოყენებაც,როგორიცაა ელექტორალური ფუნქციები და მმართველობის ფორმის არჩევა,რაც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყანაში ლეგიტიმაციის ხარისხს.

როგორც ავტორი ამტკიცებს,საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში დემოკრატიის ხარისხი გაცილებით დაბალია,ვიდრე საპარლამენტო მმართველობის დროს. (ფუკუიამა 1999 ნდობა, საზოგადოებრივი ღირსება და კეთილდღეობის შექმნა.გვ.109).

რობერტ პატნემის თქმით,ათას წელზე მეტია,ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი ცხოვრების კოლექტიურმა წესმა იტალიის ნაკლებ სამოქალაქო რეგიონებში,ავტორი სვამს კითხვას და თავადვე ცდილობს პასუხის გაცემას,თუ რატომ ხდება ასე. მისი თქმით,მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს სიღატაკეში ურჩევნიათ ცხოვრება,ასეთი სავალალო მდგომარეობა ნაწილობროვ შეიძლება გარედან თავს მოხვეული მმართველობით აიხსნას.

მართალია პატნემი აქ საუბრობს იტალიის მაგალითზე,მაგრამ ჩემთვის საინტერესოა ამ წიგნში სწორედ ის გარემოება,რომ ერთი-ერთში ავლებს პარალელებს საქართველოში არსებულ სოციალურ კაპიტალსა და იტალიაში არსებულ სოციალურ კაპიტალს შორის. მოსახლეობის უმრავლესობას საქართველოშიც იტალიის მსგავსად ურჩევნია იცხოვროს სიღარიბეში,ვიდრე ხელი შეუწყონ სოციალური კაპიტალის განვითარებას.

სწორედ ეს ძირითადი მსგავსება დავინახე ამ წიგნში საქართველოსა და იტალიას შორის,რაც იძლევა ერთვაგი შედარებით ანალიზის შესაძლებლობას, ამ ორ ქვეყანას შორის. (პატნემი 1994 გვ.199).

ამერიკელი მეცნიერი James Coleman-აღწერს სოციალური კაპიტალის,როგორც ნდობაზე დაფუძნებულ დომინანტ ურთიერთობებსა და კოლექტიური ქმედების ფენომენს. Coleman-ის მიხედვით, სოციალურ კაპიტალს განაპირობებს მისი ფუნქცია, იგი არა ერთი სუბიექტი,არამედ სხვადასხვა მრავალფეროვანი სუბიექტებია, რომელთაც გააჩნიათ ორი საერთო მახასიათებელი:

ყველანი შეიცავენ სოციალური სტრუქტურის გარკვეულ ელემენტებს. და სტრუქტურის შიგნით ხელს უწყობენ აქტორების (ადამიანთა ჯგუფის გარკვეულ ქმედებას. (Coleman 1990,გვ.116)

თანამედროვე სამყაროში,სოციალური კაპიტალის კონცეფციის პოპულარობას რობერტ პატნემი უკავშირებს იტალიური სამოქალაქო კულტურის აღმწერი წიგნის გამოცემას,სახელწოდებით „როგორ ვამუშაოთ დემოკრატია“ იტალიის მაგალითი (პატნემი 1994,გვ.221) პატნემის აზრით, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს სოციალური ორგანიზაციის თვისებებს,როგორიცაა ნდობა, ნორმები და ქსელები,რომლებსაც შეუძლიათ გამოასწორონ საზოგადოების ეფექტურობა კოორდინირებული ქმედების ხელშეწყობით.

ერნანდო დე სოტო თავის წიგნში,“კაპიტალის მისტერია“ (The Mysteri of Capital) ასაბუთებს, რომ განვითარებადი ქვეყნები დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავდებიან არა ეკონომიკური რესურსების სიმწირით, არამედ იმით,რომ დანარჩენი სამყაროს უუნარობა აწარმოოს კაპიტალი,არის ძირითადი დაბრკოლება,რომელიც ხელს უშლის მას, ნახოს სარგებელი კაპიტალიზმისაგან.(დე სოტო, 2000,გვ.5)

დე სოტოს მოსაზრებიდან გამომდინარე,შეგვიძლია ვივარაუდოთ,რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც დაბალია სოციალური კაპიტალის განვითარების ხარისხი, შესაძლებელია არსებობდეს საკმაოდ მდიდარი სოციალური ცხოვრება,მაგრამ ამ ცხოვრებას არ გააჩნია პოლიტიკური და ეკონომიკური რეპრეზენტაცია ინსტიტუციურ სივრცეში.სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,ის არ არის კაპიტალი.(დე სოტო 2000, გვ.16).

თავი 1.1 დასავლური გაერთიანებების შექმნის საფუძველი

დასავლეთში გავრცელებული სოციალური კაპიტალი გაუცნობიერებლად,თუ გაცნობიერებულად საბაზრო ეკონომიკის სისტემის ელემენტარულ პრინციპზეა დაფუძნებული.რომლის მიხედვითაც,ინვესტირება მომგებიან საქმიანობაში ზრდის მოგებას.სოციალურ კაპიტალში ინვესტირებას,მკვლევრები განიხილავენ,როგორც საზოგადოებრივ ქსელებსა და ასოციაციებში წევრობას.

რომლის მიხედვითაც,ინვესტირება არის,არა თავად წევრობა,არამედ წევრობის დროს კომუნიკაციის პროცესი.როდესაც,უხეშად რომ ვთქვათ,ინდივიდები ეცნობიან „საჭირო“ ადამიანებს. უახლოვდებიან მათ და საჭირო მომენტში შეეძლებათ მათთვის დახმარების თხოვნა. ხოლო საერთო ძალებით და სხვა დამატებითი საშუალებებით,ის პრობლემა,რომელიც მანამდე ინდივიდს დამოუკიდებლად უნდა გადაეჭრა,ახლა მას ორგანიზაციის სხვა წევრები ეხმარებიან მოგვარებაში. გაერთიანებებში წევრობას სოციალური კაპიტალის მკვლევრები ეკონომიკისა და სოციალური ფსიქოლოგიის მეშვეობით ხსნიან. როდესაც ინდივიდი ხდება ამა თუ იმ გაერთიანების წევრი, ხდება რამდენიმე მნიშვნელოვანი გარდატეხა. უმთავრესი გარდატეხა დისტანციის შემცირებაა ინდივიდსა და ჯგუფს შორის, ხოლო დისტანციის შემცირება აქრობს გაუცხოების მომენტს, რაც ინფორმაციის გაცვლას უწყობს ხელს. ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე ინდივიდიც და ჯგუფიც სარგებელს იღებენ კონკრეტულ საკითხზე დამატებითი ცნობის მოპოვების შედეგად. ამასთან ერთად, დისტანციის შემცირება ზრდის ინდივიდსა და ჯგუფს შორის ნდობის მაჩვენებელსა და თანამშრომლობის სურვილს. აღნიშნული მომენტი აშკარაა როგორც ფორმალურ გაერთიანებებში, ასევე არაფორმალურ, სამეგობრო წრეებშიც. თუმცა, ფაქტია, რომ იმ დროისა და ფინანსური სახსრების დახარჯვის ფონზე, რაც საჭირო გახდა გაერთიანებაში გასაწევრიანებლად. ინდივიდმა მიიღო სოციალური, მორალური და გრძელვადიან პერსპექტივაში, ფინანსური მხარდაჭერაც, რამაც გაზარდა მისი შესაძლებლობები.

დასავლეთის განვითარებულ დემოკრატიებში პოლიტიკური და სამოქალაქო სოციალიზაცია ცხოვრების ყველა საფეხურზე და თითქმის ყველა სოციალურ ჯგუფში ხდება. ერთ-ერთი ასეთი ადგილი კი მოქალაქეთა გაერთიანებებია. გაერთიანებების საქმიანობებში ჩართულობის ან მათი ოფიციალური/არაოფიციალური შეხვედრებისას, მონაწილეები საუბრობენ შეუზღუდავი რაოდენობისა და სფეროს საკითხებზე, რაც ხელს უწყობს მათ შორის ინფორმაციის გაცვლას, საკითხებისადმი მიდგომის ჩამოყალიბება-დახვეწას და საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ქმედებების განსაზღვრას. http://cela.ge/ge/system/files/conference_papers._tk.pdf.

თავი 1.2 დასავლური გაერთიანებების გავლენა ეკონომიკაზე

დასავლურ სახელმწიფოებში სხვადასხვა სახის გაერთიანებებს პირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ წევრთა ეკონომიურ მდგომარეობაზე. აქ იგულისხმება,სოციალური კაპიტალის ხელშეწყობა,ეკონომიკის განვითარებაში.სადაც ნათლად იკვეთება სოციალური კაპიტალის როლი და მნიშვნელობა,ეკონომიკის განვითარების კუთხით. ასეთი გაერთიანებები ყველაზე ხშირად არიან პენსიონერთა, პროფესიულ კავშირთა და სხვა სახის მატერიალური ბაზის საკითხებზე შექმნილი ასოციაციები, რომელთაც უდიდესი სიტყვა ეთქმით მათს სფეროზე პოლიტიკის შემუშავების დროს. **ეკონომიკურ მახასიათებლებზე გავლენას სოციალური კაპიტალის ორი ასპექტი ახდენს:ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და თანამშრომლობა.**

ევროპაში ღირებულებათა კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ინფორმაციის მიღების არაფორმალური გზები დამოკიდებულია ჰორიზონტალურ ნდობაზე,რაც გულისხმობს ნაკლებ ნდობას ერთმანეთისადმი. ხოლო იქ, სადაც მეტია ნდობა ერთმანეთისადმი, მაღალია თანასწორი და სპონტანური ეკონომიკური ურთიერთობებიც (Inglehart, 2000). ამავე კვლევების საშუალებით დადგინდა, რომ იქ სადაც ერთმანეთისადმი ნდობა მაღალია, დაახლოებით იმავე პროცენტულ მაჩვენებელს წარმოადგენს ინდივიდთა, მინიმუმ, მოხალისეობრივ ასოციაციებში გაწევრიანება. რთულია იმის მტკიცება, რომ ასოციაციებში გაწევრიანება ნდობის შედეგია, თუ ნდობა არის გაერთიანებებში წევრობის შედეგი.

ევროპაში ჩატარებული სხვა კვლევის შედეგად აშკარად გამოიკვეთა კორელაცია სოციალური კაპიტალის 2 მოხმარების ინტენსივობის ზრდასა და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას შორის. ეკონომიკურ მაჩვენებლებში მკვლევარებმა გამოიყენეს მთლიანი შიდა პროდუქტი თითოეულ ადამიანზე.

სოციალური ქსელების წევრების ყოველ 1%-იან ზრდაზე, მშპ თითოეულ ადამიანზე იზრდებოდა 0,002%-ით, ხოლო სოციალური კაპიტალის მოქმედებით ადამიანური კაპიტალის მოხმარების ყოველ 1%-ზე, მშპ იზრდებოდა 0,02%-ით (Neira)

ორივე შემთხვევაში, სოციალური კაპიტალის საზომად გამოიყენეს სხვადასხვა სოციალური ქსელის წევრობა და საკუთარი თავის რწმენა.

GUISÁN, Modelos de capital humano y crecimiento económico: efecto inversión y otros efectos indirectos, 2002).

მეორე საკითხია, თუ როგორ ხდება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი კომპონენტის, გაერთიანებებში ჩართულობის საშუალებით. უმთავრესი აქ ორი მომენტია: ერთი ის, რომ წევრთა რაოდენობა განსაზღვრავს ასოციაციის სიძლიერეს, ხოლო მეორეა, ის რომ სწორედ სიძლიერიდან გამომდინარე, მას აქვს პრეტენზია გავლენა მოახდინოს პოლიტიკის შემუშავების პროცესზე. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოშიც. სოციალური კაპიტალის გაძლიერება ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. http://cela.ge/ge/system/files/conference_papers._tk.pdf

თავი 2 სოციალური კაპიტალი საქართველოში და ეკონომიკური მოდერნიზაცია

გამომდინარე იქედან,რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ განვითარებადი ქვეყნების სიაში ირიცხება, სოციალური კაპიტალიც შეიძლება ითქვას,რომ განვითარების გზაზე დგას.მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ კაპიტალზე ძალიან ბევრი ნაშრომია შესრულებული სხვადასხვა ავტორების მიერ,ჩემი კვლევის სიახლეს წარმოადგენს სოციალური კაპიტალის როლის განსაზღვრა ქართულ ეკონომიკაში და ამ ფონზე კავშირ-ურთიერთობის დადგენა სოციალურ კაპიტალსა და ეკონომიკას შორის. მიუხედავად იმისა,რომ სოციალური კაპიტალის არსებობა ათობით წელს ითვის, საქართველოში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კვლავ რჩება პრობლემად კომუნისტური წარსულის გამოცდილება,რაზეც კარგად საუბრობს ფრენსის ფუკუიამა თავის ერთ-ერთ ნაშრომში.(ფუკუიამა 1999, გვ. 95)
http://www.imf.org/external/pubs/ft/seminar/1999/reforms/fukuyama.htm#I.

საქართველოში დაბალი სოციალური კაპიტალის უმთავრესი მიზეზი, რა თქმა უნდა, კომუნისტური წარსულია. ანუ დრო, როცა ადამიანებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ აწევრიანებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებში.ამის თქმის უფლებას მაძლევს კვლევები,რომელიც ჩატარებულია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ,არსებული საკითხის კუთხით.განსაკუთრებით ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებიდან გამოვყოფ CRRC.

ხოლო დღეს, როცა ორგანიზაციებში გაწევრიანების ვალდებულება აღარ არსებობს, მოქალაქეებს ორგანიზაციებში და უცხო ადამიანებთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზების სურვილი აღარ აქვთ.

ავტორის აზრით,კომუნისტური წარსული უდიდეს გავლენას ახდენს,არა მხოლოდ საქართველოს, არამედ პოსტკომუნისტური და ბალტიისპირეთის ქვეყნების სოციალურ კაპიტალზე. როგორც კვლევების მიხედვით დგინდება, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში სოციალური კაპიტალის განვითარების თვალსაზრისით,ყველაზე დაბალი მაჩვენებელია,ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში. CRRC ის მიერ ჩატარებულის კვლევის მიხედვით, ასოციაციებსა თუ სხვადასხვა სახის ორგანიზაციაში საქართველოს მოსახლეობის 1%-ზე ნაკლები არის გაწევრიანებული. ამ მაჩვენებლით გარდამავალ ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილს იკავებს.რაც რათქმაუნდა, ცუდად აისახება სოციალური კაპიტალის განვითარებაზე. http://www.crrccenters.org/caucasusbarometer.

CRRC-ის კვლევის მიხედვით, „საქართველოში შემაკავებელი სოციალური კაპიტალის ნდობა და თანამშრომლობა ნათესაური ჯგუფის შიგნით მაღალი მაჩვენებელია. ქართველები ერთმანეთის მიმართ სოლიდარულები არიან. საქართველოს ცნობილი სტუმართმოყვარეობა საქართველოს ღიაობის კიდევ ერთი მაჩვენებელია.

თუმცა, როცა საჭიროა გარკვეული ჯგუფის ფორმალიზება მაგალითად, მეზობლებს ან ფერმერებს შორის, ჩნდება გარკვეული პრობლემა“, აღნიშნულია კავკასიის კვლევითი რესურსების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, „სოციალური კაპიტალი საქართველოში“.

CRRC-ის კვლევების მიხედვით, საქართველოში ძირითადად შემაკავებელი სოციალური კაპიტალია, ანუ ქართველებს აქვთ კავშირები საკუთარ ნათესავებთან თუ მეზობლებთან. ხოლო უცხოებთან სისტემური თანამშრომლობისგან თავს იკავებენ, რაც იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველოში გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის ნაკლებობაა.

გამომდინარე აქედან, ქვეყანაში,სადაც დაბალია ნდობის მაჩვენებელი,როგორც ჯგუფების,ისე ეკონომიკური ინსტიტუტების მიმართ,საკმაოდ რთულად და ნელა ვითარდება ეკონომიკა.

http://www.economist.com/blogs/easternapproaches/2011/04/social_capital_georgia.

http://nasrashvili.blogspot.com/2011/05blog-post.html.

ჩემი კვლევა მიზმად ისახავს სოციალური კაპიტალის როლის განსაზღვრას ქართული ეკონომიკის განვითარებაში.უნდა აღინიშნოს,რომ საქართველოში ბევრია ჯერ კიდევ გასაკეთებელი, რომ სოციალური კაპიტალი განვითარდეს და შემდეგ ხელი შეუწყოს სხვა ინსტიტუტების განვითარებას.მათ შორის ეკონომიკური ინსტიტუტის.სახელმწიფოს მსგავსად,სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი ძალიან გულგრილი დამოკიდებულებით გამოირჩევა სოციალური კაპიტალისადმი.რაც ძალიან ცუდად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.თუნდაც გამომდინარე იმ ფაქტორიდან რომ საქართველო ჯერ კიდევ განვითარებადი ქვეყნების სიაში იმყოფება,მნიშვნელოვანია სოციალური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა. იმ ფაქტს,რომ საქართველოში საკმაოდ რთული მდგომარეობაა სოციალური კაპიტალის კუთხით ადასტურებს მრავალი სოციალური კვლევა. კავკასიის კვლევითი რესურსცენტრის კვლევებიდან კარგად ჩანს სოციალური კაპიტალის მდგომარეობა,არცთუისე სახარბიელოა.აქ ძირითადად ხაზგასმულია სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა ეკონომიკური თვალსაზრისით.

საქართველოში, საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ხშირად სახელმწიფოს შეჰყურებენ,ინიციატივის აღების ნაცვლად.ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს წარმოდგენა „მამა სახელმწიფოზე", რომლისგანაც „ზრუნვას" მოელიან. ინდივიდუალური თუ საერთო მიზნების მისაღწევად, შედარებით მოზრდილი ჯგუფები, იშვიათად ახერხებენ ორგანიზებას.

მსოფლიო ღირებულებათა კვლევის მონაცემებით, სხვადასხვა ასოციაციებსა თუ ფორმალიზებულ სამოქალაქო აქტივობებში, საქართველოს მოქალაქეების 5%-ზე ნაკლები მონაწილეობს. http://www.crrccenters.org/caucasusbarometer.

ამ მხრივ, საქართველო გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობასაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ამგვარ ნებაყოფლობით და სპონტანურ თანამშრომლობას, რომლის ფარგლებშიც ინდივიდები დროებით, ან გრძელვადიან პერსპექტივაში ერთიანდებიან მიზნების მისაღწევად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფოს დემოკრატიული ფუნქციონირების მისაღწევად და შესანარჩუნებლად,ასევე გრძელვადიანი ეკონომიკური წარმატების უზრუნველსაყოფად. http://www.tabula.ge/ge/story/57623-saqartvelos-socialuri-kapitalit-gharibi-sazogadoeba

მოძიებულია (09.07.2017)

ხშირად,საქართველოსა და მსგავს ქვეყნებზე საუბრისას, სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას ავიწროებენ და სამოქალაქო საზოგადოების სიძლიერის საჭიროებაზე აკეთებენ აქცენტს, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია. თუმცა, სოციალური კაპიტალი მეტია, ვიდრე ხელისუფლების მაკონტროლებელი და დამაბალანსებელი სამოქალაქო საზოგადოება. სოციალური კაპიტალი ამ უკანასკნელის არსებობისა და გასაძლიერებლადაა საჭირო.

„საქართველოში სოციალური კაპიტალის მდგომარეობას დიდწილად განსაზღვრვს, ქვეყნის ისტორიულ, კულტურული მახასითებლები. ის უფრო ვიწრო და ლოკალურია.შესაბამისად უფრო მეტია ნდობა შიდა ჯგუფებს შორის და ნაკლებას უშვებს მასში სხვების ჩართვას.

სოციალური კაპიტალის ერთ-ერთი უმთავრესი ზეგავლენის მომხდენი ფაქტორია,საზოგადოების კონსოლიდირებულობა,მისი ღიაობა და მზაობა პარტნიორობისათვის“. (რესპოდენტი, თამარ ქარაია.12.07.2017)

„ეკონომიკური განვითარება მოითხოვს,ადამიანთა შორის,თანამშრომლობის მაღალ დონეს. თუ ადამიანთა შორის გაუცხოება არის ძალიან მაღალი,ამ შემთხვევაში არ ხდება საზოგადოების კონსოლიდაცია და მხოლოდ ვიწრო ელიტური წრის წარმომადგენლები ახდენენ,ეკონომიკური რესურსების ბატონ-პატრონობას.საზოგადოების დიდი ნაწილი კი,მხოლოდ მსახურია ელიტური წრეების.ამ შემთხვევაში,ეკონომიკური რესურსები საზოგადოებაში ვერ ნაწილდება მეტ-ნაკლები თანასწორობით და ეს წარმოშობს ასიმეტრიულ ურთიერთობას,საზოგადოებასა და ელიტებს შორის.რაც ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას და აფერხებს დემოკრატიზაციის პროცესს.ხოლო,თუ მაღალია სოციალური ნდობა საზოგადოების წევრებს შორის,ასეთ შემთხვევაში, ეკონომიკის განვითარება გაცილებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს“.(რესპოდენტი ზვიად აბაშიძე, 10.07.17)

„თუ საზოგადოებაში განვითარებულია სოციალური ურთიერთობები,რომელიც დამყარებულია ნდობაზე,ეს ხელს უწყობს:დემოკრატიის განვითარებას,სტაბილურობას საზოგადოებაში და ეკონომიკურ აღმავლობას.საქართველო არის გარდამავალი სახელმწიფო.ის აღარაა ავტორიტარული,თუმცა არც მომწიფებული დემოკრატიული ქვეყანა,ისეთი,როგორიცაა:დასავლეთ ევროპული,ან ჩრდილო-ამერიკული ქვეყნები.

შესაბამისად,სოციალური კაპიტალიც საქართვე-ლოში არის გარდამავალი საზოგადოების კაპიტალი.სოციალური კაპიტალის განვითარებას, შესაძლებელია ხელი შეუშალოს:კორუფციამ,ტრანსნაციონალურმა დანაშაულმა და ნეპოტიზმმა. თუ კავშირები სოციალურ ჯგუფებს შორის,განვითარებულია და ეს ურთიერთობები ნდო-ბაზეა დამყარებული,ამ შემთხვევაში ეკონომიკა უფრო სწრაფად ვითარდება და რაც მთავარია სწორად“. (რესპოდენტი ალექსანდრე კუხიანიძე,10.07.17)

თავი 2.1 სოციალური კაპიტალი და საქართველოს ეკონომიკა

ქართულ ეკონომიკასა და სოციალურ კაპიტალს შორის კორელაციაზე კვლევები არ ჩატარე-ბულა, თუმცა, სოციალური კვლევის ზოგიერთი ასპექტი (ნდობა, მოხალისეობრივ საქმიანო-ბებში ჩართულობა და სხვა) გამოკვლეულია და მდგომარეობა ყველაზე უფრო ცუდია მთელ პოსტ-საბჭოთა სივრცეში. საქართველოში ყველაზე ცუდი შედეგი აღმოჩნდა საკუთარი შესაძ-ლებლობებისა და საკუთარი თავის სახელმწიფოსთან მიმართების კვლევისას, როდესაც მოქალაქეთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეკონომიკური საქმიანობების უმრავლესობა სახელმ-წიფომ უნდა იკისროს. ეს თითქოს პარადოქსულად არ ეთანხმება საქართველოს.

მოქალაქეთა ნდობას სახელმწიფოს მიმართ, რომელიც ძალიან დაბალია. ასევე დაბალია ნდობა ერთმანეთის, სხვადასხვა გაერთიანებებისა პარტიების მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმის გაანალიზება, თუ რატომ არის მოქალაქეთა კეთილდღეობა ძალიან დაბალი. რასაკვირველია, გავლენას ეკონომიკაზე მხოლოდ სოციალუ-რი კაპიტალის ნაკლებობა არ ახდენს და ეს ისტორიული პროცესებითაცაა განპირობებული, თუმცა, უდავოა ისიც, რომ ერთმანეთისადმი ნდობის დაბალი მაჩვენებელი, მოხალისეობრივი საქმიანობების ნაკლებობა და კერძო ინიციატივები აფერხებს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას და ეს მაშინ, როდესაც საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ მსოფლიოში მე-15 ადგილზეა (ბიზნესის კეთების სიადვილე 2015, 2015). ამასთან ერთად, საქართველოში აშკარად შეინიშნება ემოციური და ხშირად არარაციონალისტური კულტურა, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკურ ქცევებზე.რაც თავის მხრივ,მიუთითებს სოციალური კაპიტალის დაბალ მაჩვენებელზე.

გამომდინარე იქედან,რომ თანამშრომლობის დროს უფრო მეტად ენიჭება უპირატესობა ნათესაური კავშირების ქვეშ მყოფ ადამიანებს და მსგავს ფაქტორებს,ეს ფაქტი მნიშვნელოვნად უშლის ხელს პროფესიონალი კადრების დასაქმებას და ამ გზით ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას.

http://cela.ge/ge/system/files/conference_papers._tk.pdf

თავი 2.2 სოციალური კაპიტალის როლი,საქართველოს სოფლის,მეურნეობის განვითარებაში

სოფლის მეურნეობის განვითარება ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი ეკონომიკური აღმავლობისა.მითუმეტეს თუ ეს ხდება სოციალური კაპიტალის ფონზე.სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა გახდეს ხელისუფლების უმთავრესი საზრუნავი,რადგან ხელი შეეწყოს გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიების შემუშავებას.თუ რომელი პოლიტიკა იმუშავებს უკეთესად, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, სოციალურ კაპიტალის გათვალისწინების ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების შიდა პოტენციალს, რათა შენარჩუნებულ იქნეს საზოგადოების წევრების თანამშრომლური ურთიერთობა.

ASCN ის პროექტი ,,სოციალური კაპიტალის როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში საქართველოში,მიზნად ისახავს,სოციალური კაპიტალის როლის განსაზღვრას სოფლის განვითარებას და ამ გზის ეკონომიკის გაძლიერებას.

ASCN-ის კვლევით თანამშრომლობა შესაძლოა არსებობდეს თანასწორ მხარეებს შორის ,,კაპიტალად“ ჩამოყალიბების გარეშე ანუ სოციალური ძალის გარეშე, რომელიც შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს ბაზარზე ან პოლიტიკურად გავლენიანი იყოს.აღნიშნული მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ ქვიშის საათს, სადაც სოფლის მკვიდრნი არიან ქვედა ნაწილში, ხოლო ეკონომიკური და პოლიტიკური რესურსები ზედა ნაწილში.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მაცხოვრებლები არაოფიციალურად თანამშრომლობენ ქვედა დონეზე, მათ არა აქვთ ძალა, აღნიშნული თანამშრომლობა კაპიტალად გადააქციონ, რომელიც მათ დამატე-ბით რესურსს მოუტანს. სოფლის საზოგადოებასა და სისტემას შორის არსებული ვიწრო გასასვლელი ხელს უშლის სოფლის შემდგომ განვითარებას.

http://www.ascn.ch/en/Publications/ASCN-Brochures/mainColumnParagraphs/00/download_website.pdf

თავი 2.3 საქართველოში არსებული სოციალური კაპიტალის მდგომარეობა

CRRC-ის კვლევის მიხედვით, საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებ-ლად და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ხშირად სახელმწიფოს შეჰყურებენ. ინიციატივის აღების ნაცვლად, ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს წარმოდგენა „მამა სახელ-მწიფოზე", რომლისგანაც „ზრუნვას" მოელიან. ინდივიდუალური თუ საერთო მიზნების მისაღწევად, შედარებით მოზრდილი ჯგუფები, იშვიათად ახერხებენ ორგანიზებას. გამომდინარე აქედან,ვფიქრობ, ასეთ პირობებში საკმაოდ რთულია საზოგადოების კონსოლიდირება და მათი მიმართვა საერთო მიზნისაკენ.შესაბამისად ქვეყანაში იქმნება საკმაოდ რთული მდგომარეობა სოციალური კაპიტალის კუთხით.რომლის პირობებშიც რთულია ეკონომიკური აღმავლობის ხელშეწყობა.

მსოფლიო ღირებულებათა კვლევის მონაცემებით, სხვადასხვა ასოციაციებსა თუ ფორმალი-ზებულ სამოქალაქო აქტივობებში, საქართველოს მოქალაქეების 5%-ზე ნაკლები მონაწილეობს. ამ მხრივ, საქართველო გარდამავალი ქვეყნების უმრავლესობასაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება. ამგვარ ნებაყოფლობით და სპონტანურ თანამშრომლობას, რომლის ფარგლებშიც ინდივიდები დროებით, ან გრძელვადიანი პერიოდით ერთიანდებიან საერთო მიზნების მისაღწევად, უდი-დესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სახელმწიფოს დემოკრატიული ფუნქციონირების მისაღწე-ვად და შესანარჩუნებლად, ასევე გრძელვადიანი ეკონომიკური წარმატების უზრუნველსაყო-ფად.

სწორედ სოციალური კაპიტალის სახელით მოიხსენიებენ იმ არაფორმალურ ნორმებს, ღირებულებებს, ნდობასა თუ ჩვევებს, რაც საზოგადოებას კრავს და თანამშრომლობის უნარს უვითარებს. ეს საქართველოს მსგავსი გარდამავალი დემოკრატიებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. იქ, სადაც საზოგადოების წევრები ნებაყოფლობით თანამშრომლობენ მიზნების მისაღწევად, როგორც წესი, უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობაა. ვიდრე ისეთ პირობებში, სადაც ეს ხდება მათი სურვილის გარეშე. http://www.tabula.ge/ge/story/57623-saqartvelos-socialuri-kapitalit-gharibi-sazogadoeba (11.07.2017)

ხშირად, საქართველოსა და მსგავს ქვეყნებზე საუბრისას, სოციალური კაპიტალის მნიშვნელობას ავიწროებენ და სამოქალაქო საზოგადოების სიძლიერის საჭიროებაზე აკეთებენ აქცენტს, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია. თუმცა, სოციალური კაპიტალი მეტია, ვიდრე ხელისუფლების მაკონტროლებელი და დამაბალანსებელი სამოქალაქო საზოგადოება. სოციალური კაპიტალი ამ უკანასკნელის არსებობისა და გასაძლიერებლადაა საჭირო.

ნდობა ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი,ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების დროს.განსაკუთრებით ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად. ფრენსის ფუკუიამა წიგნში „ნდობა: საზოგადოებრივი ღირსება და კეთილდღეობის შექმნა” ორი ტიპის საზოგადოებას განასხვავებს:

1.იქ, სადაც ურთიერთნდობის რადიუსი მაღალი ან დაბალია. ნდობის დაბალი რადიუსის მქონე ქვეყნების მაგალითად ჩინეთსა და იტალიას ასახელებს. სადაც,ძლიერი ოჯახურ-ნათესაური კავშირებია,რომელი კავშირებიც ხელს უშლის შედარებით დიდი, კერძო ეკონომიკური ორგანიზაციების შექმნას და „უცხო” ადამიანების ნდობას.

2. და მეორე ნდობის ფართო რადიუსის მქონე ქვეყანად,იაპონია მოჰყავს.სხვა სარგებელთან ერთად, ეკონომიკური ურთიერთობების უფრო იოლად დაწყებისა და ნაკლებ ფასად მართვა-მოწესრიგების საშუალებას იძლევა სწორედ ისეთი ქვეყნები,სადაც ნდობის მაღალი მაჩვენებელია. (ფუკუიამა 1999)

ქყვეყანაში არსებული მდგომარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,საქართველო იმყოფება გარდამავალ სტადიაზე,სადაც ნდობა,შეიძლება ითქვას საშუალო დონეზე დგას.თუმცა, CRRC-ის მიერ ჩატარებული კვლევებიდან,კარგად ჩანს, თუ როგორ აფასებენ ექსპერტები ამ ყველაფერს.ფუკუიამა საქართველოს აფასებს,როგორც ნდობის დაბალი რადიუსის მქონე ქვეყანას.რაც გულისხმობს,ეკონომიკური საქმიანობის დაწყებისათვის შედარებით რთული გზის გავლას, ვიდრე ეს ხდება ისეთ ქვეყნებში,სადაც ნდობის მაღალი რადიუსია, ხელისუფლების და საზოგადების მიმართ.ამ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს საერთაშორისო ორგანიზაციები.

CRRC-ის მიერ ჩატარებული კვლევიდან კარგად ჩანს ის სოციალური ფონი, როგორიც ქვეყანაშია შექმნილი. CRRC-ის 2009 წლის კვლევის მიხედვით, მოსახლეობის თითქმის ნახევარი თვლის, რომ ოჯახური და სამეგობრო კავშირები, დასაქმებისას უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე განათლება და უნარები.ამავდროულად, უჭირთ ვიწრო ჯგუფებს (სამეგობრო, საახლობლო) შორის ხიდების გადება და საერთო პრობლემების გადასაჭრელად თანამშრომლობა.

CRRC-ის კვლევის მიხედვით, ნდობა საზოგადოების წევრების მიმართ დაბალია. მსოფლიო ღირებულებათა კვლევის 2008 წლის მონაცემებით, საქართველოს მოქალაქეების მხოლოდ 18% თვლის, რომ ადამიანების უმეტესობა სანდოა. ამ მაჩვენებლით ქვეყანა მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლური დემოკრატიების უმრესობას. იგივე მაჩვენებელი, მაგალითად, მოლდოვაში 66%-ია, უკრაინასა და რუმინეთში – 58-60%. კავკასიის ბარომეტრის 2007 წლის მონაცემებით კი, საქართველოს მოსახლეობის 15% ფატალისტურადაა განწყობილი და თვლის, რომ საკუთარ მდგომარეობას საერთოდ ვერ აკონტროლებს.რასაკვირველია,ეს ყველაფერი ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას.http://www.crrccenters.org/caucasusbarometer. (12.07.2017.)

სოციალური კაპიტალის მკვლევარი რობერტ პატნემი სოციალური კაპიტალის მნიშვნელოვან საზომად კლუბების, გასართობი, რეკრეაციული, თუ სხვა მსგავსი სახის ორგანიზაციების წევრობას მიიჩნევს. (პატნემი 1994) ავტორის თქმით,სოციალური კაპიტალი იქ უფრო წარმოიშობა, სადაც შედარებით უცნობი ადამიანები დროს ერთად ატარებენ.

როგორც კავკასიის ბარომეტრის 2007 წლის კვლევამ აჩვენა საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 0.7% დაესწრო წინა 6 თვეში შეკრებას რამე კლუბსა თუ ასოციაციაში:

სპორტული, რეკრეაციული, ხელოვნების, საგანმანათლებლო, თუ სხვა.კლუბებში ჩართულობა საქართველოში 2%-ს არ აღემატება, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება დემოკრატიულ ქვეყნებს. და ასევე აფერხებენ ეკონომიკურ განვითარებას. დასავლური დემოკრატიებისგან განსხვავებით, თვალსაჩინოდ დაბალია პროფკავშირების წევრობის დონეც. ბუნებრივია, ნდობის დაბალი რადიუსი, ერთგვარი ნათესაური კავშირების გაძლიერება და თანამშრომლობის ჩვევების სისუსტე, პრობლემებს ქმნის ეკონომიკური თვალსაზრისით. CRRC-ის კვლევის მიხედვით, სოციალური კაპიტალის შესახებ, საერთაშორისო დონორებმა მსგავსი თანამშრომლობის ხელშეწყობა, უმეტესწილად, უშედეგოდ სცადეს.

CRRC-ის კვლევების მიხედვით,თანამშრომლობის ჩვევების სისუსტე ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზეც მოქმედებს. სიძლიერით არც სამოქალაქო საზოგადოება,ანუ არასამთავრობო ორგანიზაციები გამოირჩევიან.ქვეყანაში 10 ათასამდე დარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციაა,თუმცა მათი მეასედიც კი არ ფუნქციონირებს.http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/198138/1/Dissertacia.pdf

ჩემი აზრით,მსგავსი ორგანიზაციების არსებობას მხოლოდ ეკონომიკური ზიანის მოტანა შეუ-ძლიათ ქვეყნისათვის და სხვა მეტი არაფერი.ვინაიდან,არასამთავრობო ორგანიზაციების მთა-ვარი მისია უნდა იყოს არა ხარჯის გაზრდა ქვეყნისათვის,არამედ რეალურად საქმის კეთება.

CIVICUS Civil Society Index-ის მიხედვით, სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციები ვიწრო ნიშნებს იკავებენ და ერთმანეთთან იშვიათად თანამშრომლობენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ ნდობა ძალიან დაბალია. CIVICUS Civil Society Index-2011 წლის მონაცემების მიხედვით, არამსამთავრობო ორ-განიზაციების მიმართ ნდობა მხოლოდ 18 %-ს შეადგენს.რაც ბუნებრივია,ნეგატიურად აისახე-ბა,როგორც ქვეყნის შიგნით,ისე მის საგარეო იმიჯზეც.

საქართველოში მოქალაქეთა ფასეულობებსა და საჭიროებებს არიან მოწყვეტილი პოლიტიკუ-რი პარტიებიც.მათი უმრავლესობა საზოგადოების დიდი ჯგუფების ინტერესებს ან ფრაგმენ-ტულად, ან სრულებით ვერ წარმოადგენენ.

აქაც აღსანიშნავია მოქალაქეთა დაბალი მონაწილეობა. პარტიებში, ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 1%-ია გაწევრიანებული. CSI-ის მონაცე-მების მიხედვით, პოლიტიკური პარტიის წევრებისა და მოსახლეობის რაოდენობის კლებას გვიჩვენებს. რომელიც 2006 წელს 5%-ს აღემატებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ თავად პარტიები, რომლებსაც გამოკვეთილი პოლიტიკური პლატფორმა იშვიათად აქვთ, წევრებსა და მოხალისეებს არჩევნების წინ, ან აქციებისას უკეთებენ მობილიზებას.ძიება კი უპირველესად ნათესავებსა და მეგობრებში ხდება. სოციალური კაპიტალის მნიშვნელობა აქ იკვეთება,იმ ფაქტორიდან გამომდინარე,რომ აქცენტი გადატანილია არა ნათესაური ქსელების გამოყენებაზე და ამ გზით საქმის გაკეთებაზე,არამედ პროფესიაონალი კადრების მიმართვაზე ეკონომიკურ საქმიანობაში.

მსგავსი მიდგომები,ვგულისხმობ,ნათესაური კავშირების გამოყენებას და ამ გზით კაპიტალის მშენებლობას.დამახასიათებელია ნდობის დაბალი რადიუსის მქონე ქვეყნებისავის. რაც ხელს უშლის საზოგადოებაში,ერთმანეთისათვის უცნობი წევრების კონსოლიდაციას.რომლის არ არსებობის შემთხვევაში ვერ გაძლიერდება ეკონომიკური მდგომარეობა.

მოქალაქეთა დაბალ ჩართულობას მიმდინარე ცვლილებებში ხანდახან უკიდურესობებამდე მივყავართ. ეს ქუჩის აქციებსა და მსგავს რადიკალურ მოქმედებებში კარგად შეიმჩნევა. პასიური და არაინფორმირებული მოქალაქეების ნაწილი, შორეული დამკვირვებლები არიან. ამის გამო ხშირად ადეკვატურადაც ვერ აფასებენ მიმდინარე პროცესებს და, იმედგაცრუების შემთხვევაში, პროტესტის უკიდურეს გზებს ირჩევენ. უკანასკნელ წლებში ამის არაერთი მაგა-ლითი ვიხილეთ. მათთვის გამოსავალს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება და მონა-წილეობა კი არ წარმოადგენს, არამედ იმათი სხვებით ჩანაცვლება, ვინც მათი საჭიროებები „ზემოდან" უნდა დააკმაყოფილოს.

თავის მხრივ,თუ სახელმწიფოში და საზოგადოებაში,არ იქნება დელეგირებული უფლებები,ეს გამოიწვევს მონოპოლიზაციას,მათ შორის ეკონომიკური რესურსების მონოპოლიზებას, რამდე-ნიმე სუბიექტის ხელში,რაც ხელს უშლის საქართველოში ჯგუფებს შორის ხიდის გადებას და სოციალური კაპიტალის გაძლიერებას.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/198138/1/Dissertacia.pdf

ალბათ ყველას დაებადება კითხვა,თუ რა უშლის ხელს საქართველოში ჯგუფებს შორის ხიდების გადებასა და სოციალური კაპიტალის გაძლიერებას. ამაზე ბევრი მკვლევარი აკეთებს დასკვნას,რომელთა შორისაა ფრენსის ფუკუიამა,რომელიც საუბრობს თავის ერთ-ერთ ნაშრომში

სახელწოდებით „ნდობა“ (ფუკუიამა 1999) ავტორის თქმით,ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს წარსულის გამოცდილება. ფუკუიამას თქმით,პოსტსაბჭოტა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც,სოციალური კაპიტალის დამაბალი მაჩვენებელი დაკავშირებულია, ისეთ ფაქტორებთან,როდესაც ადამიანებს თავისივე ნებასურვილის საწინააღმდეგოდ აწევრიანებდნენ სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში.ეს იყო დრო,როცა მათ ნაცვლად სახელმწიფო იღებდა გადაწყვეტილებებს.მსგავს ქვეყნებში,ადამიანებს ერთმანეთის მიმართ ნდობა გაუქრათ, რომლის შედეგებს დღემდე ვიმკით. ამ ყველაფერსს თან სდევს,არასტაბილური ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება.რამაც ხელი შეუწყო საზოგადოებაში,აპათიისა და ნიჰილიზმის ზრდას.

ფუკუიამას აზრით,მოქალაქეთა ძალისხმევის გარდა,სოციალური კაპიტალი შეიძლება გააძლიეროს გლობალიზაციის ფაქტორმა.ავტორის თქმით,გლობალიზაცია ახალ ჩვევებსა და პრაქტიკებს ქმნის,რომელიც სულ უფრო მეტ ადამიანს აკავშირებს ერთმანეთთან.

პატნემის თქმით, სოციალური კაპიტალის ფორმირებაზე გავლენას ახდენს კომუნიკაციის საშუალებების განვითარებაც.რომლის მაგალითად პატნემი ტელევიზიას ასახელებს. ავტორის თქმით,სოციალური ქსელების განვითარებამ გამოიწვია საზოგადოების წევრების დაშორება ერთმანეთთან,რაც ხელს უშლის სოციალური კაპიტალის გაძლიერებას. თუმცა კველევების მიხედვით,სოციალური კაპიტალის განვითარებას ხელს არ უშლის ტექნოლოგიების განვითარება.პირიქით,საზოგადოების დიდი ნაწილი სოციალურ ქსელებს იყენებს სწორედ სოციალური კავშირების გაძლიერებსათვის.რაც საბოლოო ჯამში იწვევს სოციალური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობას.

CRRC-ის კვლევის მიხედვით ჩანს ეკლესიის როლი,სოციალური კაპიტალის გაძლიერების ხელშეწყობაში.სოციალური კაპიტალის ფორმირებასა და გაძლიერებაში, რელიგიას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. უფრო კონკრეტულად რელიგიური ორგანიზაციების წევრობასა და რელიგიურ მსახურებაში მონაწილეობას.

ღია მმართველობა საქართველო-ს კვლევის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 90%-ზე მეტი რელიგიურია, მათგან 80%-ზე მეტი კი მართლმადიდებელი.

თუმცა, როგორც ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა,რელიგიურ მსახურებებს კვირაში 1-ზე მეტჯერ მოსახლეობის მხოლოდ 5,9% ესწრება, ხოლო ერთხელ 11,5%. კვლევამ საბოლოოდ აჩვენა, რომ რელიგიურად მოსახლეობის 5-12% ცხოვრობს, ეკლესიასა და რელიგიას კი უფრო ტრადიციული დატვირთვა აქვს, ვიდრე რეალურად მოქმედი და გავლენიანი საზოგადოებრივი ინსტიტუტის.

სოციალური კაპიტალის გასაძლიერებლად ქვეყნის მმართველებსაც საკუთარი ბერკეტები აქვთ. მნიშვნელოვანია, საკუთრების უფლებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნ-ველყოფა, რათა ადამიანებმა ხელსაყრელ გარემოში მოახერხონ თანამშრომლობა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მისი გავლენა განათლების სფეროში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ამ თვალსაზრისით, კერძო ინიციატივებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაა.

განსაკუთრებით ისეთ სფეროებში,როგორიცაა: ეკონომიკა, განათლება და ჯანდაცვა. რაც უფრო ნაკლები იქნება სახელმწიფოს როლი ამ სფეროებში, ინდივიდები საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებას, ცენტრის ჩარევის გარეშე, მათ ექნებათ მეტი საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და მყარი სოციალური კაპიტალის მშენებლობისა.

http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed projects/Volunteerism_Report_GEO.pdf.

თავი 3 სოციალური მედია და სოციალური კაპიტალი

სოციალური მედიის მკვლევარნი მიიჩნევენ, რომ სოციალურ ქსელებს სოციალური ცხოვრე-ბისა და ურთიერთობების შეცვლის პოტენციალი აქვთ როგორც ინტერპერსონალურ, ისე საზო-გადოებრივ დონეზე.რაც დაკავშირებულია სოციალურ კაიტალთან.სოციალური ქსელები,ხელს უწყობს ჯგუფების დაახლოებას ერთმანეთთან,ასევე ინდივიდების გაერთიანებას ჯგუფად,რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის განვითარებას.(Ellison, Lampe, Steinfield, 2009, გვ. 6).

შესაბამისად, ახალი მედია და მასში არსებული სოციალური ქსელები საუკეთესო საშუალებაა სოციალური კაპიტალის შექმნისა და შენარჩუნებისთვის. სოციალურ მეცნიერებაში სოციალურ კაპიტალს, ძირითადად, ორ ტიპად ყოფენ: მაკავშირებელი (bridging) და კავშირების გამამყარებელი (bonding) (Putnam, 2000). პირველი ფორმა გულისხმობს, ,,სუსტ კავშირებს" რაც ხელს უშლის საზოგადოების კონსოლიდაციას.რომლის საპირისპირო ვითარება გვხვდება სოციალური კაპიტალის მეორე ფორმის დროს.რაც გულისხმობს,გამაერთიანებელ სოციალურ კაპიტალს. უკვე ჩატარებული კვლევებიდან და ჩემს მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, საქართველოში სოციალური კაპიტალის შემაკავებელი ფორმაა,რაც არ იძლევა გამაერთიანებელი სოციალური კაპიტალის გაძლიერების შესაძლებლობას.

სოციალური კაპიტალის და სოციალური ქსელების როლზე საუბრობს (Ellison, 2008, გვ. 221). რომლის მიხედვითაც სოციალური ქსელების განვითარება ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის განვითარებას.

ექსპერტები,რომლებიც სოციალური მედიის გზით სოციალური კაპიტალის შექმნის შესაძლებლობაზე საუბრობენ,სოციალური კაპიტალის სხვადახვა ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას:ზოგიერთი მათგანი,მაგალითად,ბურდიე საუბრობს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ კაპიტალზე.

ვერტიკალური და ჰორიზონტალური კაპიტალი, ფიგურალურად, იმ შეხედულებებს მოიაზრებს, რომელთა თანახმად, სოციალური მედიით შექმნილი სოციალური კაპიტალის საშუალებით, შესაძლებელია სოციალური იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მოხვედრა.

ფორმალურად და არაფორმალურ კაპიტალზე საუბრისას, შეგვიძლია გამოვყოთ ორი ძირითადი მიმართულება: პირველი ეს არის კავშირები, რომლებიც ყალიბდება სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის, ანდა მომხმარებელსა და ორგანიზაციებს შორის. მაგალითად , ბიოლის ფონდი, ASCN ან რომელიმე სხვა ფონდი, რომელიც საკუთარ სიახლეებს აშუქებს ფეისბუქის მეშვეობით. გარდა ამისა, ფეისბუქს აქვს ფუნქცია, რომ შექმნას გარკვეული არაფორმალური გაერთიანებები თუ ჯგუფები, სადაც საერთო შეხედულებების მქონე ადამიანები მოიყრიან თავს. რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის განვითარებას.

სოციალური კაპიტალის თვალსაზრისით, აღსანიშნავია პიროვნულ ემოციური ურთიერთობებიც. ექსპერტების უმრავლესობა ღიად აფიქსირებენ იმ პოზიციას,რომ სოციალური ქსელები მნიშვნელოვანია სოციალური კაპიტალის განვითარების თვალსაზრისით.

ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები,რომელთა მასების მობილიზაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს სოციალური ქსელები,რაც ხელს უწყობს გარკვეული ჯგუფების გაერთიანებას და ამ გზით საერთო მიზნებისაკენ სწრაფვას.სოციალური ქსელების გამოყენება,სოციალური კაპიტალის განვითარებისათვის,ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.გამომდინარე იქედან,რომ ასეთ დროს მინიმალური ეკონომიკური დანახარჯებით ხდება მასების მობილიზება. აღსანიშნავია ის ფაქტიც,რომ სოციალურ მედიაში მეგობრის ფუნქცია უფრო ადვილად ლავირებადია, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში, იმ მიზეზის გამო, რომ სოციალურ მედიაში შეგიძლია მარტივად გამოხატო შენი გრძნობები თუ შეხედულებები; გარდა ამისა, შეგიძლია მარტივად აირიდო თავიდან კონფლიქტები.რაც ადამიანებს ეხმარება რეალური სოციალური კაპიტალის ფორმირებაში.

გარდა იმისა,რომ სოციალური ქსელები ხელს უწყობს,სოციალური კაპიტალის მშენებლობას, ასევე მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს,უკვე არსებული კავშირების შენარჩუნებაში.

https://ge.boell.org/ka/2017/05/05/socialuri-kselebi-samxret-kavkasiashi-arapormalur-praktikata-pormebi-da-punkciebi

სიმბოლური კაპიტალის მნიშვნელობა. ფრანგი სოციოლოგი და ფილოსოფოსი პიერ ბურდიე, ძალაუფლების მნიშვნელოვან წყაროს უკავშირებს ,,სიმბოლურ კაპიტალს''. ბურდიეს მიხედვით, სიმბოლური კაპიტალის ფუნდამენტური გაგება იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის იმგვარი სოციალური პოზიცია რა დროსაც ადამიანების მიმართ გამოხატულია ძალიან დიდი ყურადღება სხვისი მხრიდან (რაც ადამიანებში იწვევს გარკვეულ პრესტიჟს, პატივისცემას, 'ნდობას' და ა.შ.) უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის სოციალური აქტორის რესურსი,რომელიც მთლიანად ეფუძნება პრესტიჟსა და აღიარებას. ბურდიე , ზოგადად საშუალო ფენის ინტელექტუალებს უკავშირებს ასეთი სიმბოლური კაპიტალის ფლობას.

სიმბოლური კაპიტალის მნიშვნელობას, ბურდიე ხაზს უსვამს სოციალური კაპიტალის განვითარების თვალსაზრისით.

http://european.ge/liberali-inteleqtualebi-da-simboluri-kapitali-socialuri-gaucxoeba-saqartveloshi/

თავი 3.1 სოციალური ქსელების ეკონომიკური მნიშვნელობა

კომუნისტურ ხანაში ქსელების მთავარი ფუნქცია ეკონომიკური ფუნქცია იყო. დღესდღეობით დეფიციტური საქონლისა თუ პროდუქციის შოვნა ან მომსახურების მიღება უკვე ნაკლებად პრობლემატურია.სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ფინანსური კრიზისით შეძრულმა ეკონომიკურ-მა სისტემებმა, გვიანი 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, თანდათანობითი გაჯანსაღება და-იწყო. მათი ადგილობრივი ეკონომიკა ნაბიჯ-ნაბიჯ გადავიდა საბაზრო ეკონომიკაზე, რამაც საქონლისა და მომსახურების დეფიციტი შეამცირა.ამ ცვლილებების მიღმა, საქართველოც არ დარჩენილა. სახელმწიფო კომუნიზმის შემდგომ, ფუფუნების საქონელი და მანამდე დეფიცი-ტური პროდუქტები უცებ საბაზრო ფასად გახდა ხელმისაწვდომი. გამომდინარე აქედან არა-ფორმალურმა ქსელებმა მათი „შოვნის ფუნქცია“ დაკარგა. დეფიციტური ეკონომიკა ნელ-ნელა საბაზრო ეკონომიკად ჩამოყალიბდა, სადაც, პირიქით, ფული იქცა დეფიციტურ რესურსად. https://www.radiotavisupleba.ge/a/blogi-giorgi-tskhadaia-socialuri-qselebi/27513213.html (13.07.17)

ქსელთა ეკონომიკურმა ფუნქციამ დეფიციტური საქონლის შოვნიდან ფინანსური წყაროების მოპოვების შესაძლებლობაზე გადაინაცვლა. როგორც მთელ კავკასიაში ჩატარებული კვლევე-ბი ადასტურებს,[19] არაფორმალურმა ქსელებმა მთელ პოსტკომუნისტურ ხანაში გამოვლინე-ბა ჰპოვა. სამსახურის შოვნის, საკრედიტო დაფინანსების მოპოვებისა და რაც შეიძლება სანდო პირებისგან ფულის სესხების საქმეში. დღესდღეობით, საბაზრო მონაწილეს პირველ რიგში ის აინტერესებს, რომ კარგად ანაზღაურებადი და დაწინაურების პერსპექტივის მქონე სამსახური ჰქონდეს და ფული მარტივად იშოვოს.რასაც ადასტურებს ზემოთ ხსენებული კვლევები.

ამ ფონზე კი, პრაქტიკულად არ არსებობს სახელმწიფო სოციალური დაზღვევა, ხოლო ნაკლე-ბად სანდო საფინანსო დაწესებულებების გავლით წარმოებული სოციალური დაზღვევის პირობებში უმუშევრობის დონე კატასტროფულად იზრდება, არაფორმალურ ქსელებს ინსტი-ტუციური დეფიციტის რამდენადმე შევსება მაინც შეუძლიათ საკუთარი წევრებისთვის ყველა-ზე სასურველი რესურსებისკენ მიმავალი გზის გახსნით: კერძოდ კი, სამუშაო ადგილებისა და კრედიტების თვალსაზრისით. ამგვარად, არაფორმალურმა ქსელებმა ფუნქცია არათუ არ დაკა-რგა, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანიც კი გახდა.

ვინაიდან მოსახლეობის დიდი ნაწილი სიღარიბეში ცხოვრობს, კარგი სამსახური კი იშვიათობაა, სოციალური ქსელები ადამიანებს ეხმარებათ სამსახურის მოძებნაში და ამ გზით თვითრეალიზების გამარტივებაში. სამწუხაროდ,ისეთ ქვეყნებში,სადაც ძირითადად შემაკავებელი სოციალური კაპიტალი არსებობს,ასეთ პირობებში ადამიანებს უხდებათ გავლენიანი კავშირების გამოყენების გზით დასაქმება.რაც თავის მხრივ ხელს უშლის სოციალური კაპიტალის განვითარებას.

არსებული ფაქტორი არაფორმალურ ქსელთა ეკონომიკურ ფუნქციებსა და პოლიტიკურ საქმიანობას ერთმანეთს უკავშირებს. გამომდინარე იქედან რომ საქართველოში ბიზნესსა და პოლიტიკას შორის მკაცრი ზღვარი არ არსებობს, ეკონომიკური სარგებლიანობის მოპოვება პირველ რიგში განისაზღვრება პოლიტიკოსებისკენ მიმავალი გზის პოვნის უნარით.რაც გულისხმობს,ნაცნობობის,ან გავლენიანი კავშირების გამოყენების გზით ბიზნესის კეთებას და ეკონომიკური კიკეთეების მოპოვებას.

ძალაუფლების მქონე ელიტასთან კავშირების ქონა სამსახურებზე და ფინანსურ რესურსებზე წარმატებული ნადირობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ვისაც ასეთი გავლენიანი კონტაქტები არ გააჩნია და ძალაუფლების მქონე ელიტის „მაღალი ხარისხის“ მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდება. ასეთი ადამიანები მხოლოდ იმ საზოგადო საქონლით უნდა დაკმაყოფილდეს, რომელსაც მას საკუთარი სანათესაო და სამეგობრო სთავაზობს.

არაფორმალური ქსელების სოციალური ფუნქციები ოჯახის, მეგობრებისა და სოციალური საქმეების ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობით იქმნება.არაფორმალური ქსელების როლი დიდია, სოციალური ღონისძიებების მოწყობისას. არაფორმალურ გჯუფებს და ორგანიზაციებს საქართველოში ძირითადად, კერძო საზოგადოებრივი თავშეყრის დატვირთვა აქვს.სადაც ნაკლებად ხდება სხვადასხვა პრობლემატური თუ აქტუალური საკითხების განხილვა.ზოგადად საქართველოში მცხოვრებთ, ურჩევნიათ სხვადასხვა არაფორმალურ ჯგუფებთან იქონიონ კავშირი, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოებრივ შეკრებებში მიიღოს მონაწილეობა. თანამედროვე საზოგადოებაშიც,საბჭოთა პერიოდის მსგავსად,ქსელები სოციალური კაპიტალის დაგროვების ყველაზე უფრო პოპულარული საშუალებაა.[21]

არაფორმალური ქსელების სოციალური ფუნქციები, პირველ რიგში, ამ კავშირების პოლიტიკასა და ეკონომიკაში არსებულ გავლენას უკავშირდება. პოლიტიკაში ისინი წმინდა პროფესიულ კავშირებს სოციალურ ელფერს ძალაუფლების მქონე ელიტის წევრები კი, ქსელების კულტივირების მიზნით, თავიანთი რანგის პიროვნებებთან ცოცხალ ურთიერთობებს სხვადასხვა ოჯახური შეკრების მეშვეობით ინარჩუნებენ. სოციალური ურთიერთობები უფრო საქმიანი ორიენტაციის მქონე პოლიტიკურ ქსელებში, ნდობის ფაქტორს აძლიერებს და ის სანაცნობო-სამეგობრო ქსელის დონეზე აჰყავს. ამის მსგავსად არაფორმალური ქსელები ეკონომიკაშიც ნდობის გაძლიერებასა და ადამიანური ურთიერთობების გაღრმავებაზეა ორიენტირებული.. ამრიგად, ქსელის წევრებს შორის არსებული კარგად ჩამოყალიბებული სოციალური ერთობა იმას იწვევს, რომ წევრები ერთმანეთს მუდმივად დახმარებას უწევენ და ერთმანეთთან ისეთ სანდო ურთიერთობაში შედიან, რომლებშიც ფულს ხშირ შემთხვევაში მნიშვნელობა აღარ აქვს.

https://courses.students.ubc.ca/cs/main?dept=BIOL&pname=subjarea&req=1&tname=subjareas

დასკვნა

დასკვნის სახით,სოციალური კაპიტალის შესახებ საქართველოში,შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა,იმის შესახებ,თუ როგორია სოციალური კაპიტალის ფონი.იმის გათვალისწინებით,რომ საქართველო არის გარდამავალი სახელმწიფო, და ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის მდგრადი დემოკრატიული ინსტიტუტები.შესაბამისად,სოციალური კაპიტალიც საქართველოში არის გარდამავალი საზოგადოების კაპიტალი.მნიშვნელოვანია ამ კუთხით,შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და ამ გზით სოციალური კაპიტალის განვითარებისათვის ხელშeწყობა.

ქვეყანაში ისევ არსებობს კომუნისტური წარსულის ნიშნები,რაც საზოგადოების დი ნაწილს ხელს უშლის,გარკვეული ტიპის ჯგუფებთან კავშირში.ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზა საკამოდ რთული და ხანგრძლივი აღმოჩნა.შესაბამისად,სოციალური კაპიტალიც,სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად განიცდის ევოლუციას. სოციალური კაპიტალის ხარისსხი დიდწილად,დამოკიდებულია სახელმწიფო მმართველობის ფორმაზე.რათქმაუნდა ავტორიტარული მმართველობის პირობებში სოციალური კაპიტალის განვითარება წარმოუდგენლად რთულია.იმისთვის,რომ სოციალური კაპიტალი განვითარდეს,აუცილებელია მდგრადი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა,დემოკრატიულ ჩარჩოებში. გამომდინარე იქედან,რომ საქართველო არაა ავტორიარული სახელმწიფო და შედარებით მზარდია დემოკრატიული პროცესები, ქვეყანას შესწევს უნარი,რომ სწრაფი ტემპებით მოხდეს სოციალური კაპიტალის მშენებლობა,რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას.მნიშვნელოვანია სოციალური კაპიტალის ხელშეწყობა ეკონომიკის განვითარების თვლსაზრისით.ქვეყანაში არსებული სახელმწიფო მმართველობის ფორმებიდან და შექმნილი ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე,შესაძლებელია ითქვას,რომ დღესდღეობით საქართველოში არსებობს, უმეტესწილად შემაკავებელი სოციალური კაპიტალი,ვიდრე გამაერთიანებელი.ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ქვეყანა მყარად არ დგას დემოკრატიული განვითარების გზაზე და საჭიროა კიდევ უფრო მეტი მუშაობა ამ მიმართულებით.

ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში,არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება სოციალური კაპიტალის განვითარების კუთხით. მიუხედავად ამისა, თუ შედარებას მოვახდენთ სოციალური განვითარების თვალსაზრისით ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან,იგივე სომხეთი,აზერბაიჯანი,რუსეთი და უკრაინა.საქართველოში სოციალური კაპიტალის მდგომარეობა ამ ქვეყნებთან შედარებით,საკმაოდ მაღალია.რისი თქმის შესაძლებლობასაც მაძლევს,ის კვლევები,რომლეციც ჩატარებულია ამ მიმართულებით და ასევე,ის ინტერვიუები, რომლებიც ჩავწერე სოციალურ კაპიტალზე მომუშავე კომპეტენტურ პიროვნებებთან.

  პერსპექტივაში,თუ საქართველოში განვითარდება მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები,ეს გამოიწვევს სოციალური კაპიტალის ზრდას,რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://cela.ge/ge/system/files/conference_papers._tk.pdf.
2. http://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed-projects/Volunteerism_Report_GEO.pdf.
3. GUISÁN, Modelos de capital humano y crecimiento económico: efecto inversión y otros efectos indirectos, 2002).
4. http://www.imf.org/external/pubs/ft/seminar/1999/reforms/fukuyama.htm#I.
5. http://www.crrccenters.org/caucasusbarometer.
6. http://www.economist.com/blogs/easternapproaches/2011/04/social_capital_georgia.
7. http://nasrashvili.blogspot.com/2011/05blog-post.html.
8. http://www.ascn.ch/en/Publications/ASCN-
9. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/198138/1/Dissertacia.pdf
10. https://ge.boell.org/ka/2017/05/05/socialuri-kselebi-samxret-kavkasiashi-arapormalur-praktikata-pormebi-da-punkciebi
11. https://www.radiotavisupleba.ge/a/blogi-giorgi-tskhadaia-socialuri-qselebi/27513213.html
12. http://european.ge/liberali-inteleqtualebi-da-simboluri-kapitali-socialuri-gaucxoeba-saqartveloshi/
13. https://courses.students.ubc.ca/cs/main?dept=BIOL&pname=subjarea&req=1&tname=subjareas
14. http://www.tabula.ge/ge/story/57623-saqartvelos-socialuri-kapitalit-gharibi-sazogadoeba

15. Adam, F. and Rončević B. (2003). 'Social capital: recent debates and research trends'. *Social Science Information*, 42 (2), 155-183.

16. http://www.ascn.ch/en/Events/Annual-Conference-2015.html

17. Robert D.Putnam, Making Democracy Work, Civic Traditions in Modern Italy, Princeton University Press, 1994

18. http://cssge.ge/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98/

19. კუხიანიძე,ა (2017.10.07) ინტერვიუ,სოციალური კაპიტალის თემაზე.(თ,წიქარიშვილი, Interviewer)

20. აბაშიძე,ზ (2017.10.07) ინტერვიუ,სოციალური კაპიტალის თემაზე.(თ,წიქარიშვილი, Interviewer)

21. ქარაია,თ (2017.12.07) ინტერვიუ,სოციალური კაპიტალის თემაზე.(თ,წიქარიშვილი, Interviewer)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MA Candidate Teimuraz Tsikarishvili

The Role of Social Capital in the Development of Georgian Economy

2003-2012

Political Sciences

Thesis is to gain MA Degree in Political Sciences

Supervisor Salome Dondua

Tbilisi 2017

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გოგი ლატარია

მოქალაქეთა ნდობა პოლიციის მიმართ საქართველოში

(2003-2016 წლები)

პოლიტიკური მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე

თანახელმძღვანელი: მიხეილ სადაღაშვილი

თბილისი, 2017

ანოტაცია

თემა ეხება მოქალაქეთა ნდობას პოლიციის მიმართ საქართველოში. სახელმწოფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინტსტიტუტი არის პოლიცია, რომლის ძირითადი ფუნქციები არის დანაშაულის თავიდან აცილება, დანაშაულის გამოვლენა, საზოგადოების უსაფრთხოება და მართლწესრიგის დაცვა. ასევე, მნიშვნელოვანია თუ როგორი ნდობა გააჩნიათ მოქალქეებს პოლიციის მიმართ, როგორ აფასებს მოსახლეობა მათ საქმიანობას.

პირველი თავი შეეხება ნდობის და პოლიციის არსს. რა არის პოლიცია , რატომ არის მისი, როგორც ინსტიტუტის საქმიანობა მნიშვნელოვანი. აგრეთვე, განხილულია ნდობის მნიშვნელობა და მის ირგვლივ არსებული თეორიული მიდგომები. მიმოვიხილავ ევროპაში არსებულ კვლევებს, თუ რომელ სახელმწიფოებში არის ყველაზე მაღალი ნდობა პოლიციის მიმართ. აგრეთვე, თუ რა როლი ენიჭება საქართველოში პოლიციას და რა გზა განვლო მან.

მეორე თავში აღწერილია საქართველოში რეგისტრირებული და გამოძიებული დანაშაულების სტატისტიკა და ამ პერიოდში როგორი იყო ნდობის მაჩვენებელი პოლიციისადმი.

ბოლო, მესამე თავში მოცემულია ადგლობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და რეკომენდაციები. აგრეთვე, ჩატარებული სიღმისეული ინტერვიუს ანალიზი.

Annotation

The topic concerns citizen's trust towards police in Georgia. One of the important instances of the state is the police, whose main functions are the prevent crime, identify the crime, protect public and protect the law. It is also important to know what kind of trust the population have about police to understand how they value their activities.

The first chapter deals with the confidance and the essence of the police. What is the police, why is it important as the institutions's work? Also, the important of trust and the theoretical approaches around it are discussed. Let me review the researches in Europe in which states the highest confidence in the police. Also, what role is given in the police in Georgia and what way the Georgia and what way Georgian police have gone through.

The secons chapter descriebes te statistics of registered and investigated offenses in Georgia and what was the confidance rate of the police in this period.

In the last the third chapter provides reports and recommendations of local and international organizations. Also, analyzed in-depth interview.

Author: Gogi Lataria

Title: Citizens' trust towards police in Georgia (2003-2016)

სარჩევი

შესავალი..... 5

თავი I ნდობა და პოლიცია..... 14

1.1 ნდობის ცნება 14

1.2 პოლიციის არსი..... 18

1.3 საერთაშორისო გამოცდილება 22

1.4 ქართული გამოცდილება..... 23

თავი II საქართველოში გამოძიებული საქმეების და პოლიციის მიმართ ნდობის სტატისტიკა წლების მიხედვით 32

2.1 გამოძიებული საქმეები 2013 წლამდე..... 32

2.2 ნდობის მაჩვენებელი 2013 წალმდე 33

2.3 გამოძიებული საქმეები 2013 წლიდან 35

2.4 მოქალაქეთა ნდობა 2013 წლიდან..... 39

თავი III. ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება..... 41

3.1 ევროკავშირის რეკომენდაციები შეფასებები..... 41

3.2 საქართველოში მოქმედი ადგილობრიბვი და საერთაშორისო ორგანიზაციების..... 42

3.3 სიღრმისეული ინტერვიუ (ანალიზი) 48

დასკვნა 50

ბიბლიოგრაფია..... 53

დანართი:.....59**Error! Bookmark not defined.**

შესავალი

საქართველო განვითარების პროცესში მყოფი სახელმწიფოა, რომლის დამოუკიდებლობა 26 წელიწადს ითვლის. აღსანიშნავია მისი პოსტსაბჭოთა წარსული და ტოტალიტარული რეჟიმის გამოცდილება, რაც ძალიან დიდი დაბრკოლებაა დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისათვის. დამოკრტიული განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ძლიერი და დამოუკიდებელი ინსტიტუტების არსებობა, რადგან თავდაპირველად, ახალგაზრდა და გამოუცდელ, დემოკრატიის მშენებლობის პროცესში მყოფი სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელია პოლიტიკური კრიზისები და თუ ინსიტიტუტები არ არის ძლიერი შესაძლოა ჩამოიშალოს სახალემწიფო, ხოლო ძლიერი ინსტიტუტები ასეთი პროცესების დროს ინარჩუნებს ქვეყნას, როგორც ერთიან ორგანიზმს. ძლიერი პოლიტიკური ინსტიტუტი თავისი ბუნებით არის ქვეყნის შიდა სტაბილურობის გარანტი, რომელსაც შეუძლია ავტომატურ რეჟიმში დაარეგულიროს მიმდინარე პრცესები და თავიდან აიცილოს რომელიმე ერთი კონკრეტული პიროვნების მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად მიღებული უარყოფითი შედეგები.

ინსტიტუტების გამართულად საქმიანობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია თუ როგორი ნდობა აქვთ მოქალაქეებს მათ მიმართ. ნაშრომი ეხება პოლიციის მიმართ მოქალაქეების ნდობას საქართველოში, რადგან ეს ინსტიტუტი არის ყველაზე თვალშისაცემი საზოგადოებისათვის. აგრეთვე, პოლიცია არის ის ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში მოქალაქეთა დაცულობას და უსაფრთხოებას.

პირველ თავში განხილული იქნება ნდობასთან დაკავშირებით არსებული თეორიული მიდგომების ანალიზი, რადგან კარგად იყოს გააზრებული თუ რა არის ნდობა ინსტიტუტების მიმართ და რას გულისხმობს ნდობის ცნება. აგრეთვე, თუ რა არის პოლიცია, რატომ არის აცულიბელი მისი არსებობა, რამ წარმოშვა მისი როგორც ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობა. ასევე, კავშირების დადგენა ნდობის და პოლიციის, როგორც ინსტიტუტის, გამართულად მუშაობას შორის. ამ კუთხით იქნება

გამოყენებული ევროპული ქვეყნების გამოცდილება თუ როგორ აფასებენ და უყურებენ იქ ამ საკითხს, მაგალითად მოყვანილი იქნება ჩატარებული კვლევები.

შემდეგ თავში იქნება მოყვანილი საქართველოში არსებული კვლევითი ორგანიზაციების კვლევები მოქალაქეების ნდობასთან დაკავშირებით პოლიციის მიმართ და განხილული იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგისტრირებული და გამოძიებული საქმეების სტატისტიკა.

ბოლო, მესამე თავი მოიცავს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებს მოცემულ თემასთან დაკავშირებით და აგრეთვე განხილული იქნება ჩემს მიერ ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუს შედეგები.

თემის აქტუალურობა

პოლიცია არის სახელმწიფოსათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი. მისი მოვალეობა არ არის მხოლოდ დანაშაულის გახსნა და დამნაშავეების გამოვლენა, არამედ დანაშაულის და უწერიგობის პრევენცია. ამისათვის მნიშვნელოვანია პოლიცია ყოველდღიურ კავშირში იყოს საზოგადოებასთან, იცნობდეს მის პრობლემატიკას, ის არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მოქალაქეთა მიმართვაზე რეაგირებით, არამედ უნდა იყოს ჩართული საზოგადოებრის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მოქალაქეებისათვის პოლიცია უნდა იყოს მათი საზოგადოების ჩვეულებრივი წევრი და მათთან კავშირი და თამანშრომლობა იყოს მარტივად შესაძლებელი. ამით პოლიციის საქმიანობა უფრო გამჭვირვალეა და იქმნება კარგი განწყობა მის მიმართ. ეს ფაქტორები მოქალაქეებში იწვევს ნდობის მაჩვენებლის მატებას.

საქართველოში პოლიცია ასოცირდებოდა ყველაზე კორუმპირებულ დანაშაულებრივ ორგანოსთან, რადგან კანონის დამცველნი თავად არღვევდნენ მას. პოლიციელები, ყველა გამოკითხვის მიხედვით საქართველოში ყველაზე კორუმპირებულ საჯარო მოხელეებად სახელდებოდნენ. საზოგადოებას ნდობა მათ მიმართ არ გააჩნდათ. 2003 წლის შემდგომ გატარებული რეფორმების შედეგად,

როდესაც მოხდა პოლიციელთა გაუმჯობესებული ტექნოლოგიით აღჭურვა, ხელფასის მომატება, კორუმპირებული კადრების განთავისუფლება შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ამ ორგანომ მოქალაქეებთან დაიწყო დაახლოება, საზოგადოების მხრიდან მათ მიმართ ნდობა გაჩნდა. სწორედ, მოქალაქეებში ნდობა პოლიციის მიმართ არის სამაგისტრო ნაშრომის თემა.

კვლევის მიზანი

აღნიშნული კვლევის მიზანია საქართველოში პოლიციის მიმართ მოქალაქეების მხრიდან ნდობის მაჩვენებლის აღწერა და მასში გამოკვეთილი ცვლადების როლის დადგენა. თუ რა როლი ენიჭიება პოლიციის გამჭვირვალობას, ოპერატიულობას და რამდენად მოქმედებენ ეს ფაქტორები ნდობის მაჩვენებელზე. აგრეთვე, გამოუძიებელი საქმეების გამოძიება და გადახედვა, რამდენად არის კავშირში ნდობის მაჩვენებელის მატებაზე მოქალაქეებში.

ამოცანები

არსებული მიზნებიდან გამომდინარე გვაქვს შემდეგი ამოცანები:

1. პოლიციის მიმართ ნდობის ცნებისა და პოლიციის არსის განმარტება.
2. ქართული პოლიციის გამჭვირვალობისა და ოპერატიულობის კავშირის დადგენა ნდობასთან მიმართებაში.
3. წლების მიხედვით რეგისტრირებული და გამოძიებული დანაშაულების ანალიზი.

თეორიული ჩარჩო

სამაგისტრო ნაშრომში გტამოყენებული არის შესრულების თეორია (Performance theory), რომელიც ნდობას და უნდობლობას განიხილავს ინსტიტუტების მიერ თავიანთი საქმიანაობის შესრულების შესაბამისად. ის ხაზს უსვამს მოქალაქეთა მოლოდინს თუ როგორ შეასრულებენ უწყებები თავიანთ საქმინობას. ამ თეორიის მთავარი მოცემულობა ის არის, რომ ის სახელმწიფო ინსტიტუტები, რომლებიც კარგად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, იმსახურებენ მოქალაქეთა მაღალ ნდობას, ხოლო

ინსტიტუტები, რომლებიც თავიანთი საქმინობით არიან არაეფექტურები, დაბალი ნდობით გამოირჩევიან მოქალაქეებში. თეორიის განმავითარებლები ნიუტონი და ნორისი გამოყოფენ თეორიის სამ როლს, ესენია: პირველი - გამოკითხვები, როდესაც რესპოდენტები სწორად არიან შერჩეულები და კითხვარი არის შედგენილი იმისათვის, რომ გაირკვეს თუ როგორი ნდობა გააჩნიათ ინსტიტუტების მიმართ მოქალაქეებს. მეორე როლი - თუ რა შედეგი მოჰყვება ამას თავად ინსტიტუტებისათვის, რომ თავად გამოასწორონ შენიშვნები და მიიღონ საზოგადოებისაგან უფრო მეტი პატივისცემა. მესამე - რაც შეგვიძლია გავიგოთ, ეს არის თვითონ მოქლაქეებში რა გავლენას ახდენს ინსტიტუტების საქმიანობა. მაგალითად, ყველა მოქლაქე თანაბრად დაზარალდა თუ არა მათი საქმიანობით, აგრეთვე, შეგვიძლია გავიგოთ საზოგადოების რომელი ნაწილი დაზარალდა ყველაზე მეტად. მოქალაქეებს ამ გამოცდილების საფუძველზე ექმნებათ შეხედულებები ინსტიტუტების მუშაობის შესახებ და ამით უყალიბდებათ ნდობა და უნდობლობა მათ მიმართ. [1]

საკვლევი კითხვები

1. რა როლი ენიჭება პოლიციის გამჭვირვალობას და ოპერატიულობას, და რამდენად მოქმედებენ ეს ფაქტორები მოსახლეობის ნდობის მაჩვენებლებზე?
2. გამოუძიებელი საქმეების გამოძიება და გადახედვა რამდენად უწყობს ხელს პოლიციის მიმართ ნდობის ამაღლებას მოქალაქეებში?

ჰიპოთეზა

საქართველოში მოქალაქეთა ნდობა პოლიციის მიმართ ძირითადად დამოკიდებულია მის ოპერატიულობაზე, გამჭვირვალობაზე და გამოუძიებელი საქმეების გადახედვასა და გამოძიებაზე.

[1] Newton, K. and Norris, P. (1999). *The Institutional Performance Model.* Confidence in Public Institutions: Faith, Culture or Performance. Harvard University, John F. Kennedy School of Government, p. 7. ვებგვერდი: https://www.hks.harvard.edu/fs/pnorris/Acrobat/NEWTON.PDF (მოძიებულია: 05.08.2017)

ცვლადები

ნაშრომის დამოუკიდებელი ცვლადებია **ოპერატიულობა**, რამდენად სწრაფად რეაგირებს პოლიცია მომხდარ დანაშაულზე, რაც მიუთითებს პოლიციის მუშაობის ეფექტურობაზე. **გამჭვირვალობა**, რაც გულისხმობს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხს, როგორ იწარმოება სტატისტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროში. აგრეთვე საკადრო საკითხები გადაწყვეტა როგორ ხდება, რამდენად არის მოწერიგებული წახალისებისა და განთავისუფლების პროცედურები. საზოგადოებასთან ურთიერთობების მხრივ რამდენად აქტიურია პოლიცა.

ასევე, დამოუკიდებელი ცვლადია **გამოუძიებელი საქმეების გადახედვა და გამოძიება**, რადგან არსებობს ისეთი დანაშაულები, რომლებზეც მოქალაქეებს არ აქვთ პასუხი და როდესაც მსგავსი საქმეები არსებობს, ეს იწვევს საზოგადოებაში უკმაყოფილებას და უნდობლობას.

ნაშრომის დამოკიდებული ცვლადი არის **მოქალაქეთა ნდობა**, რომელიც იცვლება ზემოთ ნახსენები ცვლადებზე რეაგირების შედეგად.

მეთოდოლოგია

ნაშრომში მეთოდოლოგიად გამოყენებული არის თვისებრივი კვლევა, რადგან ის იძლევა საშუალებას ზუსტად იქნას მოძიებული თემასთან დაკავშირებული ინფორმაცია. შევისწავლე მოცემულ თემაზე არსებული წყაროების, ძირითადად შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკები, აგრეთვე, იმ კვლევითი ინსტიტუტების მონაცემები, რომლებიც მუშაობდნენ ინსტიტუტების მიმართ მოქალქაეების ნდობაზე - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი, (NDI), კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).აგრეთვე, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები და რეკომენდაციები. ამ მონაცემების დამუშავებით შესაძლებელია მოახდინო საკითხის ანალიზი.

შესწავლილია, ნდობასთან დაკავშირებით, თეორიული საკითხები, თუ რა არის ნდობა და მოქალაქეების მხრიდან, ნდობის არსებობა რატომ არის აუცილებელი პოლიციის მიმართ. მის მიმართ ნდობა რა ფაქტორებს ემყარება. ასევე, თეორიული

მასალების დამუშავება მომცემს საშუალებას აკადემიური კუთხით გავიაზრო საკითხი და გავიგო საკითხის მეცნიერული მიდგომები.

თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ხერხია სიღრმისეული ინტერვიუ. რესპოდენტები იქნებიან წინასწარ განსაზღრულნი, ვინც კომპეტენტურია მოცემულ საკითხში. ეს დაგვეხმარება უფრო ფართოდ და სიღრმისეულად გავიაზროთ მოცემული პრობლემა და გამოვიტანოთ დასკვნები.

შერჩევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია, **კვოტური, არა ალბათური შერჩევა,** რომ კვლევა არ იყოს მიკერძოებული და კონკრეტულად ერთ ჯგუფზე მორგებული. შერჩეულია წინასწარ განსაზღვრული

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობის დაწყებისას პირველ რიგში აუცილებელი იყო გაგვეგო ნდობის არსი, თუ რას წარმოდგენს ზოგადად ნდობა და როგორი შეხედულებები არსებობს მის მიმართ მეცნიერებაში. შესწავლის ობიექტი არის პოლიტიკური ნდობა, რომელიც გულისხმობს ნდობას ინსტიტუტების მიმართ, მათ შორის პოლიციის მიმართ ნდობასაც. პირველი ნაშრომი, რომლითაც იქმნება მოცემულ თემაში პოლიტიკური ნდობის არსი, არის კენეტ ნიუტონის ნაშრომი „ნდობა, სოციალური კაპიტალი, სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია (Trust, Social Capital, Civil Society, and Democracy). ნიუტონი ერთმანეთისგან ანსხვავებს სოცილაურ ნდობას და პოლიტიკურ ნდობას, მისი მოცემულობით პოლიტიკური ნდობა არის მჭიდრო კავშირი პოლიტიკურ ლიდერებსა და ინსტიტუტებს შორის. იმავე საკითხს ეხება ჯონ დანი ნაშრომში „ნდობა და პოლიტიკური წარმომადგენლობა“ (Trust and Political Agency), სადაც ნათლად არის აღწერილი თუ როგორ ყალიბდება პოლიტიკური ნდობა. ის არის თეორიტიკოსი და მისი ნაშრომი ნათლად გვიჩვენებს თეორიულ მიდგომებს ნდობის მიმართ. ნდობის სამეცნიერო კვლევა დაკავშირებული არის გერმანელ სოციოლოგთან გეორგ ზიმელთან, რომელსაც ნდობასთან დაკავშირებით აქვს თავისი თეორიული მიდგომები ჩამოყალიბებული. მის გასაგებად და გასააზრებლად მნიშვნელოვანია გვიდო მოლერინგის ნაშრომი „ნდობის ბუნება: გეორგ ზიმელის თეორიიდან გამომდინარე მოლოდინი, ინტერპრეტაცია და შეჩერება“ (The Nature of Trust: From Georg

Simmel to a Theory of Expectation, Ineterpretation and Suspenson). აგრეთვე, ადამიანებისათის, რომ მათ გააჩნდეთ ნდობა ვინმეს ან რაიმეს მიმართ დაკავშირებული არის რისკებთან, თუ როგორი იქნება საბოლოო შედეგი. ამ საკითხზე აქვთ ერთობლივი ნაშრომი ალფონსო დემიკოს, მარგარეტ კონვეის და სანდრა ბაუმან დემიკოს - „პოლიტიკური ნდობისა და უნდობლობის ნიმუშები: სამი მომენტი დემოკრატიული მოქალაქეების ცხოვრებაში“ (Patterns of Political Trust and Mistrust: Three Moments in the Lives of Democratic Citizens). უილიამ მიშლერის ნაშრომი „ რა არის პოლიტიკური ნდობის წარმოშობა“ (What are the origines of political trust? Testing Institutional and Comparative Political Studies.), სადაც აღწერილია ინსტიტუციური მშენებლობა და ნდობის როლი ამ სფეროში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფო აშენებს ინსტიტუტებს. ძალიან გვეხმარება ნდობის პოლიტიკურ ცხოვრებაში გააზრებაში და მისი მნიშვნელობის გაგებაში ესზეტერ ბაკონის ნაშრომი „Not Trust or Not to Trust?“ მას მოჰყავს უნგრეთის მაგლითი ინსტიტუტების მიმართ ნდობის შესახებ.

ინტიტუტების მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას ძალიან დიდი როლი აქვს პოსტ-სოციალისტურ სახელმწიფოებში და ამ კუთხით ნდობის დანახვა მნიშვნელოვანია წარმოდგენილი ნაშრომისათის. აღსანიშნავია თეოდორა გაიდიტეს ნაშრომი „ნდობა განვითარებულ პოსტ-კომუნისტურ სახელმწიფოებში“ (Trust in mature and post-communist democracies), სადაც აღწერილი არის ნდობის მნიშვნელობა, მის მიმართ თეორიული მიდგომები და შემდეგ განხილულია ის რთული ვითარება რაც განვლეს პოსტ-კომუნისტურმა სახელმწიფოებმა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია უილიამ მიშლერის და რიჩარდ როუზის ერთობლივი ნაშრომი „ნდობა, უნდობლობა და სკეპტიცისმი: სამოქალაქო და პოლიტიკური ინსტიტუტების ევოლუცია პოსტ-კომუნისტურ საზოგადოებებში“ (Trust, Distrust and skepticism: Popular Evolutions of Civil and Political Institutions in Post-Communist Societies), ნაშრომში შესწავლილია ცხრა პოსტ-კომუნისტური ევროპული სახელმწიფო, თუ რომელ ინსტიტუტებს ენდობიან იქ ყველაზე მეტად, მათ შორის პოლიციაც და აღწერილია ნდობისა და უნდობლობის მიზეზები, თუ რატომ აქვთ სკეპტრიკური დამოკიდებულება მოაქალაქქბს ინსტიტუტების მიმართ.

პოლიციის არსის შესასწავლად მნიშვნელოვანია გავიგოთ მისი მნიშვნელობა, თუ როგორ განიმარტება ის, ამისთვის გამოყენებულია ოქსფორდის ონლაინ ლექსიკონი. აგრეთვე, პოლიციის წარმოშობის მისი მნიშვნელობის და როგორც ინსტიტუტის გააზრებაში დიდი როლი ითამაშა Police: History - Encyclopedia.com -მა, სადაც არის პოლიციის წარმოშობის ისტორია აღწერილი. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ჯიმ დელუნგის ნაშრომი „ არის თუ არა თანამედროვე პოლიციის კულტურა ამერიკული პოლიციის ისტორიის შედეგი? (Is the Contemporary Police Culture a Result of the History of American Policing).

პოლიციის არსის გაგებაში მნიშვნელოვანია ლევან იზორიას და მარინა ლებანიძის ნაშრომი „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია“, სადაც სიღრმისეულად არის ნაჩვენები განსხვავებები ტრადიციულ, მოძველებელ, ბიუროკრატიული ტიპის პოლიციასა და საზოგადოებაზე ორიენტირებულ პოლიციას შორის. პოლიციის როლი საზოგადოებრივ ჩართულობაში, რომ პოლიციელი ყოველთვის უნდა იყოს მოსახლეობასთან, რადგან ის არის თავად საზოგადოების ნაწილი. ნაშრომში დეტალურად არის ასახული საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის არსი, მისი მიზანი და მისი საქმოქმედო არეალები. 2003 წლის შემდგომ ქართულ პოლიციაში გატერებული რეფორმების გააზრებაში, პოლიციის და დემოკრატიის ურთიერქმედების გაგებაში მნიშვნელოვანია მიხეილ სადაღიშვილის სამაგისტრო ნაშრომი „პოლიციის რეფორმები და დემოკრატიის მშნებლობა საქართველოში“.

ნაშრომში გამოყენებულია საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის ანგარიში, სადაც ასახულია 2015 წლის ზაფხულის შემდგომ გატარებული რეფორმების ანალიზი, როდესაც შინაგან საქმეთა სამინიტროს გამოეყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ანგარიშში შეფასებული არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი, სამინისტროს მიერ სტატისტიკის წარმოების, მონაცემთა ბაზების შედგენის მეთოდები და ფორმები, ასევე სამინისტროში მოქმედი საკადრო პოლიტიკა. ანგარიში გვეხმარება ზუსტად დავადგინოთ შინაგან

საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობა და რა პრაბლემები არსებობს უწყებაში ამ მიმართულებით.

სტატისტიკური მონაცემების დამუშავებაში გამოყენებული არის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) www.ndi.org / georgia-polls კვლევები, მათი ანალიზი და ანგარიშები. აგრეთვე, თუ როგორ აფასებდნენ მოქალაქეები ინსტიტუტების მუშაობას. გამოყენებულია საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) www.iri.org / country / georgia ყოველწლიური კვლევები, სადაც ნათლად ჩანს მოქალაქეთა პროცენტული შეფასება პოლიციის მიმართ და მისი ადგილი სხვა ინსტიტუტებს შორის. აღსანიშნავია კავკასიის ბარომეტრი caucasusbarometer.org , სადაც არის კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მონაცემთა ონლაინ ანალიზი და წლების მიხედვით არის შესაძლებელი მონაცემთა ბაზის არჩევა და მოქალაქეთა ნდობის სტატისტიკის ნახვა. რეგისტრირებული და გამოძიებული დანაშაულის სტატისტიკის სანახავად გამოყენებულია police.ge / useful-information / statistics.

თავი I

ნდობა და პოლიცია

1.1 ნდობის ცნება

ნდობა განიხილება ორი სახის. პირველი გულისხმობს სოციალურ ნდობას - ადამიანთა შორის თანამშრომლობას და ის არის სოციალური კაპიტალთან ასოცირებული. ხოლო, მეორე - ჩვენი კვლევის საგანი არის პოლიტიკური ნდობა, რაც გააჩნიათ მოქალაქეებს პოლიტიკური ლიდერების, ინსტიტუტების თუ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ. პოლიტიკური ნდობა, არის გარე ან ობიქტური პირობების გამოხატულება. ეს არ არის „ნდობით აღჭურვილი პიროვნების" ძირთადი თვისება, არამედ ეს არის პოლიტიკური სამყაროს შეფასება. დაბალი ნდობა ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკოსები ან ინსტიტუტები, ან ორივე, ცუდად ფუნქციონირებს [2].

ნდობა, როგორც ტერმინი, აკადემიურ ლიტერატურაში თავისი მნიშვნელობით არის ძალიან აბსტრაქტული და ბუნდოვანი ცნება. მაგრამ ჩამოყალიბდა მის მიმართ მეცნიერული მიდგომები, თეორიული ჩარჩოები და ამით შემუშავდა მისი კონცეპტუალური განვითარება. შესაძლებელია ნდობის მიმართ გამოვიყენოთ შემდეგი სახის ტიპოლოგია და მოხდეს მისი იდენტიფიცირება: ნდობა, როგორც თანდაყოლილი ან მემკვიდრეობითი (კულტურული) ნიშანი, რომელიც ჩამოყალიბდა ადრეული სოციალიზაციის წინააღმდეგ და ის არის რაციონალური პასუხი რომ შეეცნოთ ნორმატიული წესების კომპლექტი.[3] აგრეთვე, ნდობის, როგორც ტერმინის გამოყენება შესაძლოა აღნიშნავდეს სოლიდარობას, საიმედოობას და რწმენას, მაგრამ პიროვნული ნდობა შესაძლოა ჩამოყალიბდეს ცალკე ტერმინად და ამ ტიპის ნდობა ხშირად აღინიშნება, როგორც სოციალური ნდობა, პოლიტიკური ნდობა, ინსტიტუციონალური

---

[2] Newton, K. (2001), *Trust, Social Capital, Civil Society, and Democracy,* International Political Science Review (2001), Vol 22, No. 2, 201–214 p. 205

[3] Gaidytė, T. (2013). *Trust in mature and postcommunist.* sociopedia.isa , 2. VU University Amsterdam, The Netherlands . p.2

ნდობა და სისტემის მიმართ ნდობა.[4] ასევე, ნდობა შეიძლება იყოს გამოწვეული ახლო ნაცნობობით ან მჭიდრო სოციალური სიახლოვით. როგორი ნდობაც გაგაჩნია ოჯახის წევრის მიმართ, შესაძლოა იგივენაირად ენდობოდე ხელისუფალს ან რაიმე საყვარელ სიმბოლოს. ნდობის არსი, როგორც გრძნობის, არის კეთილსინდისიერების მოლოდინი იმისგან ვისაც ენდობი[5]

ნდობა არის განწყობა იმის მიმართ, რაც ჩანს, რასაც ვხედავთ, ემოციები მის მიმართ, შემდეგ ამის თვითაღქმა და იდეალებისა და ღირებულებების გატარება სოციალურ ურთიერთობებში. ეს არის ერთ ადამიანში მრავალი ინტერპრეტაციის გატარება. ეს მიდგომა ნდობას უყურებს, როგორც თითოეული ადამიანის გარადაუალ ბუნებრივ თვისებას, რომელიც გამომდინარეობს საზოგადოებაში სხვა ადამიანების მიმართ ურთიერთქმედებით და ურთიერთდამოკიდებულებით. საზოგადოებაში ჩვენ თვითონ ვქმნით საკუთარ თავს და ადამიანებთან კომუნიკაცია და ურთიერთქმედება ნდობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ანუ ჩვენ ვერ გადავრჩებით და თავს ვერ დავიმკვიდრებთ საზოგადოებაში მინიმალური ნდობის არსებობის გარეშე. როგორც ცნობილი გერმანელი სოციოლოგი გეორგ ზიმმელი ამბობს, ნდობა ხელს უწყობს ქცევებს და ქმედებებს, რადგან ის ორგანიზებას უკეთებს ჩვენს ჩვევებს და კულტურულ ნორმებს, რასაც შევეჩვიეთ.[6] ზიმმელის იდეების საფუძველზე ნდობასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა თეორიული და კონცეპტუალური მიდგომები და მეცნიერებმა დაიწყეს ამ საკითხზე მუშაობა, ხოლო საბოლოოდ მან ჰპოვა განვითარება. ზიმმელის მიდგომასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა მიდგომა, რომელიც შედგება სამი ელემენტისგან: პირველი - მოლოდინი, სახლემწიფოებრიობა არის ნდობის შედეგად მიღწეული და მის მიმართ თუ არის ნდობა ის არის სასურველი, ხოლო თუ არ არის ნდობა-არასაურველია. მეორე - იდეების ინტერპრეტაცია, რომ სამყარო ეფუძნება

[4]Bakonyi, E (2011) . *Trust Towards Democratic Institutions in Central and Eastern Europe after the Regime Change in 1989-1990 – with a Special Focus on Hungary*. Institute of Sociology and Social Policy, Corvinus University Budapest, p.20

[5] Dunn, John (2008), *Trust and Political Agency,* Trust: Making and Breaking Cooperative Relations, From the Collections in The Bodlein Library University of Oxford. p.74

[6] Gaidytė, T. (2013). *Trust in mature and postcommunist*. sociopedia.isa , 2. VU University Amsterdam, The Netherlands . p. 3

ადამიანთა შორის ნდობას. მესამე - ინტერპრეტაციიდან მოლოდინის რეჟიმში გადასვლა (ფსიქოლოგიური ნახტომი).[7]

არის შემდეგი სახის მიდგომა, რომ ნდობა უფრო არის რაციონალური არჩევანი და ეს რაციონალურობა მოტივირებული არის მაქსიმალური სარგებლით. ნდობის გაწევა არის იგივე მომავლისთვის განკუთვნილი ფსონი სხვების გაურკვეველი ქმედების და ის ყოველთვის ასოცირდება რისკთან. თუ ნდობას განვსაზღვრავთ როგორც ფსონს, ჩვენ ვიღაცისგან ველოდებით კონკრეტულ შედეგს, რომლის წინასწარ პროგნოზირება არ შეგვიძლია და ამ დროს ნდობა არ არის არსდროს პირველი ქმედება ინდივიდისგან, ის არის საპასუხო ნაბიჯი. რაციონალური მიდგომის დროს ვაპირებთ გარისკვას, აქედან გამოდინარე პირი უნდა იყოს საიმედო, ამ შემთხვევაში ნდობის გაწევა გაირისკება. ფსონის დადება არის ორმხრივი სარგებლის მოლოდინი. ეს სიტუაცია ჰგავს თამაშების თეორიას, კონკრეტულად, პატიმრის დილემას. ერთი აქტორი გამოიწვევს მეორეს და ეცდება მოიპოვოს მისი ნდობა, რადგან ეს უკანსაკნელი დაინტერსდეს შემდგომ თანამშრომლობაზე და საბოლოოდ ორივესათვის სასურველი შედეგით დამთავრდეს. როგორც პატნემი ამბობს ეს არის: „მოკლევადიანი ალტრუიზმის საფუძველზე გრძელვადიანი ანგარება“.[8] ამ მიდგომით ნდობა არის პრობლემური, რადგან ზუსტად არ ვიცით, როგორ შეიძლება სხვა ადამიანმა იმოქმედოს, ან არ გვაქვს სრული გარანტიები მათი მოტივების შესახებ, ვისაც ვენდობით. გადაწყვეტილების მიღება სხვაზე დაყრდნობით ყოველთვის საფრთხეს წარმოადგენს, რადგან მან შესაძლოა ეს გამოიყენეოს თავისი უპირატესობისათვის. როგორც რაციონალური არჩევანის თეორიტიკოსები ამბობენ ამ შემთხევაში ცდუნების დეფექტი ხალხს ხელს უშლის თანამშრომლობაში. ნდობა აჩვენებს ჩვენს საიმედოობას, ხოლო უნდობლობა განპირობებულია შიშით.[9]

---

[7] Möllering, G. (2001), *The Nature of Trust: From Georg Simmel to a Theory of Expectation, Ineterpretation and Suspenson,* Sociology Vol. 35. No.2. pp. 403-420. Printed in the United Kingdom. p. 418

[8] Gaidytė, T. (2013). *Trust in mature and postcommunist*. sociopedia.isa , 2. VU University Amsterdam, The Netherlands . p. 4

[9] Damico A. J. , Conway M.M., Damico S.S., (2000) *Patterns of Political Trust and Mistrust: Three Moments in the Lives of Democratic Citizens* . The University of Chicago Press is collaborating with JSTOR to digitize, preserve and extend access to Polity. p.4

სხვადასხვა ავტორები ნდობას პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ განიხილავაენ ორ ეტაპად, როდესაც ინსტიტუტები იქმნება საზოგადოების წიაღში, ანუ ქვემოდან ზემოთ და საზოგადოებისთვის მნიშვნელობა არა აქვს თუ რომელი პარტია იქნება ხელისუფლებაში, ინსტიტუტი არის არაპოლიტიკური და მის მიმართ არსებობს მოქლაქეების მხრიდან კონტროლი. ხოლო მეორეა, როდესაც მშენებლობა ინსტიტუტების იწყება ზემოდან ქვემოთ, სახელმწიფო რეფორმის მიხედვით და ამ პროცესში მოქალაქეებს დიდი წვლილი არ მიუძღვით. პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში ახალი ინსტიტუტების მიმართ ნდობა არის დაბალი. ეს გამოწვეულია მისი ავტორიტარული წარსულიდან გამომდინარე. კულტურული თეორიის მიხედვით, ასეთი გამოცდილება ქვეყანაში არის ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაბალი მაჩვენებელი [10]. მოქალაქეთა მხრიდან ნდობა შესაძლოა იყოს პოლიტიკური სისტემის და მისი ორგანიზაციების ან ცალკეული თანამდებობის პირების მიმართ. პირველი მათგანი პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ ნდობა, მაგალითად პოლიცია, ეს არის ნდობის მაკრო დონე, რაც გულისხმობს ორგანიზაციულ ნდობას. ხოლო, მეორე არის ნდობა მიკრო დონეზე, როდესაც ნდობის ობიქტები არიან პოლიტიკური ლიდერები და ეს მოიცავს ინდივიდიუალურ ნდობას. ამ შემთხვევაში შესაძლოა საერთოდ არ ენდობოდეს სისტემას მოქალაქე, მაგრამ ცალკეული პოლიტიკოსის მიმართ გაუჩნდეს ნდობის განცდა. [11]

ბერგერმა შემოგვთავაზა ინსტიტუტების შემდეგნაირი განვითარება, როდესაც ერთ-ერთი ტიპის ინსტიტუციური განვითარების სტრუქტურა გულისხმობს ევოლუციას მისი განვითარების დაბლიდან მაღლა. მის ქცევა შეგვიძლია განვიხილოთ რეკურენტულდ, შებრუნებითი ხასიათის მქონედ, როდესაც ინსტიტუტი წარმოადგენს მტკიცე ერთობას, როგორც ერთ მტკიცე ნივთიერებას. მისი საქმიანობა იხვეწება დღითიდღე და შედეგი არის მიღწევადი ყოველდღიური რუტინით განმსჭვალული, რისი მთავარი მოტივაცია არის ვალდებულები და ღირებულებები. ეტაპობრივად ხდება

[10] Mishler, W. (2001). *What are the origines of political trust*? Testing Institutional and. Comparative Political Studies,. p. 41

[11] Blind, P. K. (2006). *Building Tust in Government in the Twenty-First Century.* Review of Literature and Emerging Issues , 7th Global Forum on Reinventing Government Building Trust in Government 26-29 June 2007, Vienna, Austria . p.4

სტრუქტურებში და დაწესებულებებში ძველის ახლით ჩანაცვლება. თავის მხრივ, ინსტიტუტები იმეორებს და თავის დაღს აღბეჭდავს ქცევებზე. ამ პროცესებში ინდივიდუალური აგენტების ქცევა აგრერირდება განმორებით და აკუმულატიურ პროცესებში, ამიტომაც მათი ქცევა ქმნიან ახალ ნიმუშებს. აქედან გამომდინარე მათი არსებობის გარეშე შეუძლებელია სტრუქტურის ჩამოყალიბება და ის დროდადარო ითვისებს ახალ ქცევებს[12].

1.2 პოლიციის არსი

ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით პოლიცია არის სახელმწიფოს სამოქალაქო ძალა, რომელიც პასუხისმგებელია თავიდან აიცილოს და გამოავლინოს დანაშაული და შეინარჩუნოს საზოგადოებრივი წესრიგი.[13] ცივილიზაციის ისტორიის მანძილზე საზოგადოებამ მისი წევრების და საკუთრების დაცვა მოითხოვა. ადრეულ ცივილიზაციებში დაცვას უზრუნველყოფდნენ ოჯახის წევრები. რიჩარდ ლუნდმანი ვარაუდობს, რომ პოლიციამ გაირა განვითარების სამი ეტაპი. პირველ ეტაპზე, საქმე გვაქვს არაფორმალურ დაცვასთან, როდესაც საზოგადოების ყველა წევრი თანაბრად იტოვებს წესრიგის დაცვის პასუხისმგებლობას. მეორე ეტაპზე საქმე გვაქვს გარდამავალ პოლიციასთან, როდესაც საზოგადოების კონკრეტულ წევრებს არაოფიცილაურად ენიჭებათ პოლიციური ფუნქციები. მესამე ეტაპი უკვე არსებული თანამედროვე პოლიცია.[14] გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრი (Home Secretary) 1828-1830 წლებში იყო სერ რობერტ პილი (შემდეგ 1834-1835, 1841-1846 წლებში პრემიერ-მინისტრი, ტორების პარტიიდან). ის ითვლება თამანედროვე პოლიციის შექმნელად. ის არის 1829 წლის მუნიციპალური პოლიციის აქტის ავტორი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ლონდონის მინუციპალური პოლიცია. პილისეული პოლიციის ცხრა პრინციპი საფუძველად უდევს ყველა თანამედროვე დასავლურ სამართლადამცავ სისტემას:

1. პოლიციის ძირითადი მისია არის დანაშაულის და უწესრიგობის აღკვეთა.

---

[12] Neuman, M. (2012). *The Image of the Institution*. Journal of the American Planning Association, p.140

[13] English Oxford Living Dictationaries. ვებგვერდი: https://en.oxforddictionaries.com/definition/police (მოძიებულია:02.07.2017)

[14] Police: History. Encyclopedia.com. ვებგვერდი: http://www.encyclopedia.com/law/legal-and-political-magazines/police-history (მოძიებულია: 02.07.2017)

2. პოლიციის უნარი შეასრულოს თავისი მოვალეობა დამოკიდებულია მისი ქმედებების საჯარო მოწონებაზე.
3. პოლიციამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მზადყოფნა კანონის ნებაყოფლობით დაცვაში, რათა ჰქონდეს საზოგადოების პატივისვემა
4. საზოგადოების თანამშრომლობის ხარისხი პროპორციულია ძალის გამოყენებასთან.
5. პოლიცია პასუხისმგებელი და დამცველია საზოგადოების კეთილდღეობის, მაგრამ არა შემსურელებელი მათი დაკვეთის, არამედ თანმივდევრულად და მიუკერძოებლად აღასრულებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას.
6. პოლიცია მხოლოდ მაშინ იყენებს ძალას, როდესაც რჩევა და გაფრთხილება არ არის საკმარისი წესრიგის აღსადგენად და კანონის დასაცავად.
7. პოლიციამ ნებისმიერ დროს უნდა შეინარჩუნოს ურთიერთობა საზოგადოებასთან, რადგან ეს კავშირი იქცევა ისტორიულ ტრადიციად, როდესაც საზოგადოება თავად პოლიციაა და პოლიცია კი- საზოგადოება. პოლიციელები არიან საზოგადოების წევრები, რომლებიც სრულფასოვან ყურადღებას უთმობენ სამსახურებრივ მოვალეობას, რაც შედის მოქალაქეთა კეთილდღეობის და არსებობის ინტერესში.
8. პოლიციამ მკაცრად უნდა განახორციელოს მისი მოვალეობები, მაგრამ არასდროს მიითვისოს სასამართლო ხელისუფლების უფლებამისილებები.
9. პოლიციის ეფექტურობის მაჩვენებელია დანაშაულის და უწესრიგობის არ არსებობა და არა მისი ქმედებების თვალსაჩინოება.[15]

პირველი პოლიციური ორგანიზაცია შეიქმნა ძველ ეგვიპტეში დაახლოებით 3000 წელს ძვ.წ-ით. იმპერია დაყოფილი იყო 42 ადმინისტრაციად და თითოეულში ფარაონმა დანიშნა თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ სამართალსა და უსაფრთხოებაზე. ეს თანამდებობა დაახლოებით პოლიციის უფროსის მსგავსი იყო. ძველი საბერძნეთის ქალაქ სახელმწიფოებში პოლიციის მოვალეობას ასრულებდნენ მაგისტრატები, მათი მოვალეობა იყო ქალაქის მოვლა-პატრონობა. სამართალდამცავები

[15] DeLung J (2016). Is the Contemporary Police Culture a Result of the History of American Policing. ვებგვერდი:https://www.linkedin.com/pulse/contemporary-police-culture-result-history-american-jim-delung-phd (მოძიებულია: 05.07.2016)

იდგენენ სასამართლოებთან, ციხეებთან და სხვა მსგავსი შეკრების ადგილებში. ძვ.წ-ით 7 წელს იმპერატორმა აუგუსტუსმა შექმნა პოლიციური ტიპის ორგანიზაცია. ქალაქი რომი დაყო 14 ერთეულად და თითოელში იყვენენ პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ქალაქში ხანძრისგან დაცვაზე და აგრეთვე ადმინისტრაციულ წესრიგზე. ბიზანტიის იმპერიამ ძირითადად შეინარჩუნა რომაული ინსტიტუტები, ხოლო მთავარი პოლიციურ ორგანოს წარმოადგენდა კოიასტორი, რომლის მოვალეობა იყო უცხოელი მოქალაქეების მეთვალყურეობა.[16]

ნაშრომში გამოიყოფა პოლიციის ორი ტიპი: ტრადიციული პოლიცია და საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია (სოფ). ტრადიციული პოლიცია მკაცრი ცენტრალიზებულობით გამოირჩევა, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი საქმიანობა ხორციელდება ერთი ან რამდენიმე მსხვილი განყოფილების მიერ, გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ იერარქიის სათავეში მყოფ ხელმძღვანელებს აქვთ. ოპერატიულ დონეზე მყოფი პოლიციის თანამშრომლები გადაწყვეტილების მიღების პროცესს ფაქტობრივად არიან ჩამოშორებულნი. დანაშაულის შემთხვევაში მისი მოქმედება არის რეაქტიული. ის ეყრდნობა სპეციალიზებულ დანაყოფებს, ახდენს მხარეების იზოლირებას და საზოგადოების ჩართულობა ნაკლებია.[17] ორგანიზაცია არის დახურული და რაიმე ინფორმაციის მიღება შეუძლებელია. საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია თავისი ბუნებით არის დეცენტარლიზებული. ოპერატიულ, ძირითად საქმინობას ახორციელებენ პოლიციის განყოფილებები. ადგილზე მომუშავე პოლიციის თანამშრომელს აქვს შესაბამისი გადაწყვეტილების თავისუფლად მიღების უფლება. პოლიციის დაწესებულება გამჭვირვალეა, საჯარო ინფორმაცია კი - საზოგადოებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი.[18]

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია ფოკუსირებული არის პრობლემების მოგვარებაზე. ოფიცრები დიდ დროს ატარებენ მოქალაქეებთან და

---

[16]Ancient policing. *The History of Policing In The West.* ვებგვერდი: https://www.britannica.com/topic/police/The-history-of-policing-in-the-West .(მოძიებულია: 05.07.2017)

[17] Traditioanal vs. Community policing Service Models. ვებგვერდი: https://quizlet.com/68374367/traditional-vs-community-policing-service-models-flash-cards/ (მოძიებულია: 08.07.2017)

[18]იზორია, ლ. და ლებანიძე, მ. (2005) *საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია.* თბილისი. გვ. 3, ვებგვერდი: http://www.alpe.ge/files/publications/file___8sqqr9y3n52gg.pdf (მოძიებულია: 28.06/2017)

ადგილზე ეხმარებიან დანაშაულის და უწესრიგობის მოგვარებაში. როდესაც პოლიციელბემა კარგად იციან საზოგადოების პრობლემები მათ შეუძლიათ დაეხმარონ მათ მოგვარებაშიც.[19] საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის საბაზისო ადგილი, სადაც ახორციელებს ის სამსახურს, არის უბანი. პოლიციის სამსახური ყოველთვის შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უბნის პრობლემატიკასთან. გამოიყოფა ოთხი ფორმა უბანში მომუშავე პოლიციელის სამსახურეობრივი ეფექტურობისათის : 1) ადგილის (უბნის) პროფილის შემუშავება 2) სასარგებლო კონტაქტების და ეფექტური ურთიერთობის დამყარება. 3) ადგილობრივი საზოგადოების მობილიზება დანაშაულის შემცირების ღონისძიებებში მონაწილეობისათვის . 4) ერთობლივი პრობლემების მოგვარების პროაქტიული ღონისძიებების შემუშავება.[20]

ტრადიციული პოლიციისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ რეაგირებს დანაშაულზე და შემდგომ ატარებს ღონისძიებებს, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია ყოველღიურად ურთიერთობს საზოგადოებასთან და ის არამარტო პასუხისმგებელია დანაშაულის გამოძიების, არამედ ზრუნავს იმაზე, რომ დანაშაული არ მოხდეს.

ტრადიციული პოლიციისგან განსხვავებით საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია მიზნად არ ისახავას საზოგადოებაში მისი არსებობის გასაიდუმლოებას. მისი თანამშრომლები უბანში არ გადაადგილდებიან ავტომობილებით, არამედ ისინი დადიან ფეხით. ის აჩვენებს საზოგადოებას, რომ არის მისი დამცველი და არ აკონტროლებს მას, რომ ის უბრალოდ არის დამხმარე ადგილობრივი საზოგადოების პრობლემების გადაჭრაში. შესაძლოა პოლიცია დანაშაულის თავიდან აცილების გარდა დაეხმაროს ისეთ სფეროებში ადგილობრივ მოქლაქეებს, როგორიცაა სოციალური პრობლემები, განათლება, პარკების მოწყობა და სხვა მსგავსი საჭიროებები.[21]

---

[19] Community oriented police. ვებგვერდი: https://www.sandiego.gov/police/about/community (მოძიებულია: 05.07.2017)

[20] იზორია, ლ. და ლებანიძე, მ. (2005) *საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია.* თბილისი. გვ. 3 , http://www.alpe.ge/files/publications/file___8sqqr9y3n52gg.pdf თბილისი. გვ. 32(მოძიებულია: 28.06/2017)

[21] Marx, Gray T (1995) . *Police and Democracy.* Slightly longer version of an article in The Encyclopedia of Democracy ვებგვერდი: http://web.mit.edu/gtmarx/www/poldem.html (მოძიებულია: 09.07.2017)

1.3 საერთაშორისო გამოცდილება

აღსანიშნავია უილიამ მიშლერის და რიჩარდ როუზის კვლევები პოსტ-კომუნისტურ საზოგადოებებში ინსტიტუტების მიმართ ნდობის შესახებ, რომელიც მოიცავს ცხრა სახელმწიფოს: 1) ბულგარეთი - 2.9; 2) ჩეხეთი - 3.9; 3) სლოვაკეთი - 3.7; 4) უნგრეთი - 4.2; 5) პოლონეთი - 4.1; 6) რუმინეთი - 3.8 ; 7) სლოვენია - 4.0 ; 8) ბელარუსი - 3.2; 9) უკრაინა - 2.8. ამ კვლევაში არის შვიდ წერტილიანი სკალა და მაქსიმუმია შვიდი. გამოყენებული არის ახალი დემოკრატიების ბარომეტრის (New Democracies Barometer) 1994 წლის მონაცემები.[22] ამ კვლევით ჩანს, რომ ყველაზე მაღალი ნდობის მაჩვენებლი არის უნგრეთში და ყველაზე დაბალი უკრაინაში. იგივე მეთოდოლოგიით 2001 წელს ჩაატარა კვლევა ახლამა ევრობარომეტრმა (New Europe Barometer) უკვე 10 სახელმწიფოში : 1) ჩეხეთი - 4.1; 2) სლოვიაკეთი - 3.2; 3) უნგრეთი - 3.7; 4) პოლონეთი - 3.9; 5) სლოვენია - 3.8; 6) ბულგარეთი - 3.6; 7) რუმინეთი - 3.3 ; 8) ესტონეთი - 3.3 ; 9) ლატვია- 3.5; 10) ლიტვა - 3.5 . ამ კვლევაში მაღალი მაჩვენებელი აქვს ჩეხეთს, ხოლო ყველაზე დაბალი რუმინეთს და ესტონეთს. ხოლო, ზოგადად, პოლიცია არის მესამე ადგილზე, ნდობის კუთხით, პარტიებისა და სასამართლოს შემდეგ. [23]

ევროპის სახელმწიფოებს შორის ფინეთი გამოირჩევა პოლიციის მიმართ ყველაზე მაღალი ნდობის მაჩვენებლით - 94%, შემდეგ კი დანია - 91%. ისეთი დიდი სახელმწიფოები როგორიცაა: საფრანგეთი - 81 %; გაერთიანებული სამეფო - 79 %; გერმანია - 79 %; იტალია - 65 %; პოლონეთი - 50%; ესპანეთი - 68 %; ნიდერლანდები - 79 %; ბელგია - 77 %. რაც შეეხება ყოფილ საბჭოთა კავშირის წევრ სახელმწიფოებს:

[22] Mishler, W and Richard, R (1997). *Trust, Distrust and Skepticism: Popular Evalutions of civil and Political Institutions in Post-Comunist Sicieries.* The Journal of Politics, Vol. 59, No. 2 pp. 418-451(წყარო: JSTOR, downloaded 22 May 2017 11:06:17)

[23] Linde, J and Ekman J (2005) . *Public Support for Political Institutions in the New EU Member States* . Paper to be presented at the ECPR Joint Sessions, Workshop 9: The Performance of Democracy in Central Eastern Europe, Granada 14–19 April, 2005 . pp.5 ვებგვერდი: https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/3a0c86f6-d665-4df9-b7a7-650f8299c607.pdf

ესტონეთი - 80 % ; ლატვია - 60 % ; ლიტვა - 69 % ; უკრაინა - 44 % ; ბელარუსია - 24.6%; [24] მოლდოვა - 30 % .[25]

1.4 ქართული გამოცდილება

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში პოლიციის წარსული უკავშირდება მის, როგორც რეპრესიული ორგანიზაციის როლს, რომლის მთავარ ფუნქციასაც წარმოადგენდა არადემოკრატიული რეჟიმის დაცვა.[26] სწორედ, ასეთი გამოცდილების მქონე სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია, თუ როგორი ნდობა გააჩნიათ მოქალაქეებს პოლიციისადმი, რათა წარსული გამოცდილება იქნას დაძლეული და პოლიცია იყოს ხალხის სამსახურში. საქართველოში პოლიციელები, განსაკუთრებით, საგზაო ინსპექტორები, ყველა გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე კორუმპირებულ საჯარო მოხელეებად სახელდებოდნენ. 2000 წელს GORBI-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მძღოლებს ათი კონტაქტიდან შვიდ შემთხვევაში ქრთამის გადახდას სთხოვდენენ. კომპანიების განცხადებით კი, საგზაო პოლიცია ასიდან ოცდათერთმეტ შემთხვევაში სძალავდა ქართამს, ამის შესაძლებლობა თუ ჰქონდა. იგივე კვლევის თანახმად საჯარო მოხელეები, კომპანიები და ოჯახები საგზაო პოლიციელებს ასახელებდნენ ყველაზე ნაკლები პატიოსნებისა და სინდისიერების მქონე საჯარო მოხელედ.[27] მსგავსი ვითარების გამო მოქალაქეებში პოლიციის მიმართ ნდობა საერთოდ არ არსებობდა.

საქართველოს პოლიცია არის სამინისტროს სისტემაში შემავალი, აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების

---

[24] *Public's Trust in the Police in Europe*. Eurobarometer: European Commission's Standard Eurobarometer, Sping 2016, Page T36. ვებგვერდი: https://www.reddit.com/r/europe/comments/4wb283/infographic_publics_trust_in_the_police_in_europe/ (მოძიებულია: 05.07.2017)

[25] The citizens of moldova don't trust the Poice . 2016 . https://en.crimemoldova.com/news/politics/the-citizens-of-moldova-don-t-trust-the-police/ (მოძიებულია: 05.07.2017)

[26] იზორია, ლ. და ლებანიძე, მ. (2005) *საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია*. თბილისი. გვ. 3 , http://www.alpe.ge/files/publications/file___8sqqr9y3n52gg.pdf (მოძიებულია: 28.06/2017)

[27] კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში. საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა. ვებგვერდი: http://siteresources.worldbank.org/INTGEORGIA/Resources/Georgia_Book_Georgian.pdf (მოძიებულია:28.05.2017)

ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.[28] საქართველოში პოლიციის საქმიანობა ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1) **ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი** - 1. პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, გაუმართლებელ ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს. 2. საპოლიციო ღონისძიების განხორციელებისას დაუშვებელია წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.
2) **კანონიერების პრინციპი** - 1. პოლიციელის მიერ განხორციელებული საპოლიციო ღონისძიება უნდა გამომდინარეობდეს კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებიდან. 2. კანონის უზენაესობის პრინციპის თანახმად, პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. 3. კანონისმიერი დათქმის პრინციპის თანახმად, საპოლიციო ღონისძიების განხორციელება, რომელიც იწვევს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას, დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე.
3) **დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპი** - პოლიცია ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, ასაკისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა მახასიათებლებისა.
4) **თანაზომიერების პრინციპი** - 1. საპოლიციო ღონისძიება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. შერჩეული საპოლიციო ღონისძიება უნდა იყოს

[28] საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ 28/10/2013
http://police.ge/files/sajaro_informacia/policiis%20shesaxeb.pdf (მოძიებულია: 28.05.2013

გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული. 2. პოლიციელის მიერ შერჩეული საპოლიციო ღონისძიება არის გამოსადეგი, თუ ის შესაძლებელს ხდის ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. 3. პოლიციელის მიერ შერჩეული გამოსადეგი საპოლიციო ღონისძიება არის აუცილებელი, თუ ვერ იქნება გამოყენებული სხვა საშუალება, რომელიც ლეგიტიმური მიზნის მიღწევისას უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა როგორც ღონისძიების ადრესატს, ისე სხვა პირს. 4. პოლიციელის მიერ განხორციელებული აუცილებელი საპოლიციო ღონისძიება არის პროპორციული, თუ კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთისათვის მიყენებული ზიანი არ აღემატება იმ სიკეთეს, რომლის დასაცავადაც ის განხორციელდა. 5. პოლიციის სამართლებრივი ქმედება უნდა შეწყდეს, თუ ამ ქმედების მიზანი მიღწეულია ან აშკარაა, რომ მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

5) **დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი** - 1. პოლიცია თავისი ფუნქციების შესასრულებლად მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ფარგლებში. 2. პოლიციელი უფლებამოსილია გადაწყვიტოს, განახორციელოს თუ არა საპოლიციო ღონისძიება. 3. პოლიციელს მინიჭებული აქვს თავისუფლება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად. 4. საფრთხის აღკვეთისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიების არსებობისას საკმარისია ერთ-ერთის გამოყენება.

6) **პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი** - პოლიციელი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს უპარტიობის პრინციპის დაცვით. პოლიციელს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენოს რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის პარტიული ინტერესებისათვის.

7) **პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპი** - 1. პოლიცია ვალდებულია თავისი საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიაწოდოს სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ პირებს. 2. პოლიცია

ვალდებულია საზოგადოებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სწრაფად მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, იმგვარად, რომ არ გაახმაუროს სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, პერსონალური მონაცემები და გამოძიების მასალები, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. 3. პოლიციამ პერსონალური მონაცემები უნდა დაამუშაოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. [29]

პოლიციის საქმიანობის გამჭირვალობისათვის აუცილებელია მას ჰქონდეს მჭიდრო კავშირი საზოგადოებასთან, რაც მნიშვნელოვანი არის მოქალაქეთა ნდობის ჩამოსაყალიბებლად. საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსში აღწერილი არის პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის შემდეგი სახის პუნქტები:

1) პოლიციელის საქმიანობა მოიცავს არა მხოლოდ დანაშაულის პრევენციასა და გახსნას, არამედ საზოგადოებისთვის დახმარების აღმოჩენასაც, მათ შორის, არასამუშაო საათებშიც.
2) პოლიციელი საქმიანობის განხორციელებისას და საზოგადოების წევრებთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მათ განსხვავებულ ტრადიციებს, ადათებსა და ცხოვრების წესის თავისებურებებს.
3) პოლიციელი, მისი თანამდებობის ან წოდების მიუხედავად ვალდებულია, საზოგადოების წევრებთან ურთიერთობაში იყოს ტაქტიანი, თავაზიანი და კეთილგანწყობილი. მოქალაქისადმი წაყენებული მოთხოვნები თუ შენიშვნები გამოთქვას მშვიდი, ზრდილობიანი და დამაჯერებელი ფორმით. პოლიციელმა უნდა მისცეს მოქალაქეს საშუალება გამოთქვას საკუთარი მოსაზრება. პოლიციელისგან დაუშვებელია ქედმაღლური მიმართვა, მუქარა, ირონია, ჟარგონის გამოყენება და ფამილარული ტონით საუბარი. ყველა სიტუაციაში და ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობისას, როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო დროს, აუცილებელია ქცევის ეთიკური ნორმების დაცვა.

[29] საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ 28/10/2013 ვებგვერდი: http://police.ge/files/sajaro_informacia/policiis%20shesaxeb.pdf

4) პოლიციელი უნდა იყოს კორექტული და საზოგადოების წევრების მიმართ არ უნდა გამოიჩინოს უხეშობა, ძალადობა, თავი უნდა შეიკავოს შეურაცხმყოფელი ქცევებისაგან და პროვოკაციის მიუხედავად შეინარჩუნოს ობიექტური დამოკიდებულება. ზემოთ აღნიშნული სტანდარტები პოლიციელმა უნდა დაიცვას მიუხედავად მისი ქცევის ადრესატის სოციალური მდგომარეობისა და ფიზიკური კონდიციისა (ალკოჰოლური თუ ნარკოტიკული თრობა).
5) სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, მოქალაქესთან ურთიერთობის დროს პოლიციელს ეკრძალება: სიგარეტის მოწევა, საღეჭი რეზინის ღეჭვა, მობილურზე საუბარი, მანქანიდან საუბარი, მზის სათვალეების ტარება და მოუწესრიგებელ მდგომარეობაში ყოფნა.
6) პოლიციელის მიერ, ობიექტურ გარემოებათა გამო, მოქალაქისთვის ქმედითი დახმარების გაწევის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ უკანასკნელს უნდა განემარტოს პოლიციელის დაუხმარებლობის მიზეზი.
7) პოლიციელი, სხვა უნარებთან ერთად, უნდა ფლობდეს დარწმუნების, მოლაპარაკების, შუამავლობის უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელია კრიტიკულ სიტუაციებში ძალის გამოყენების შემთხვევების მინიმუმამდე დასაყვანად. [30]

მთავრობის 2008-2011 წლის ძირითად მონაცემებში და მიმართულებებში შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალო დონიანი მიმართულებები არის :

1) საზოდადოებრივი წესრიგის და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა.
2) სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა.
3) პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადება.
4) ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა
5) მომსახურეთა სოციალური დაცვა

[30] საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი. თბილისი, 2013 . ვებგვერდი : http://police.ge/files/pdf/policiis%20kodeqsi/Georgian%20Police%20Code%20of%20Ethics%20Georgian%20final.pdf

6) განასაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო კორესპოდენციების დანიშნულებისამებრ ოპერატიული მიტანა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგები:

1) სამართალდარღვევების შემცირება, მოაქლაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა
2) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება
3) სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, ქვეყნის საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემცირება
4) ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის აღკვეთა
5) დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტებისა და ეროვნული საგანძურის დაცვის გაუმჯობესება
6) განსაკუთრებული მნიშვნელობის, სრულიად საიდუმლო და საიდუმლო კორესპოდენციების დანიშნულებისამებრ ოპერატიულად და უსფრთხოდ მიტანა

შედეგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმები:

1) საზოგადოების წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დონე (საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტების შემცირება, უსაფრთხოების მაჩვენებლების და ა.შ)
2) სახელმწიფო საზღვარზე დაფიქსირებული სამართალდარღვევის შემთხვევათა აღმოჩენის, შემცირებისა და აღმოფხვრის მაჩვენებლები.
3) პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების ზრდის ტემპი
4) დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების და ეროვნული საგანძურის დაცვის დონე.

5) დანახარჯები მოსამსახურეთათვის დაწესებულ სოციალურ გარანტიებზე.[31]

საქართველოს მთავრობის 2011-2014 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების მიხედვით შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი პრიორიტეტებია :

1) საზოგადოებრივი წერიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის ამაღლება

   მოსალოდნელი შედეგებია:

   - საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დონის ამაღლება
   - სამინისტროს ობიექტებისა და განსაკუთრებულ მნიშვნელოვან პირთა დაცვის გაუმჯობესება.
   - საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება და შედეგების ლიკვიდაცია.
   - ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შემცირება
   - უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო და სხვა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის დროულად გამოვლენა და თავიდან აცილება.
   - სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირება და პრევენცია
   - სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიების გაუმჯობესება.

2) სახელმწიფო საზღვრის დაცვის უსაფრთხოების გაძლიერება.

   მოსალოდნელი შედეგებია:

   - სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა .
   - სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, საზღვაო ზონასა და საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემცირება.

[31] ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2008-2011 წლებისათვის. საქართველოს მთავრობა. თბილისი, 2007 . ვებგვერდი: http://www.parliament.ge/files/budget-off/bdd-2008-2011.pdf (მოძიებულია: 02.07.2017

- ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების შესაძლებლობების გაუმჯობესება.
- საზღვაო სივრცეში სამაშველო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობების გაუმჯობესება.
- ნარკოტიკული საშუალებების, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა.
- კონტრაბანდული საქონლის იმპორტისა და ექპორტის მინიმუმადე შემცირება .

3) პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მომზადების დონის ამაღლება.

მოსალოდნელი შედეგი:

სამართალდამცავი ორგანოების და მანდატურის სამსახურის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

4) ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობის დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება.

მოსალოდნელიშედეგი:

დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიეტების, ეროვნული საგანძურისა და მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოება.

5) მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- სამინისტროს თანამშრომელთა ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირება.

- თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხი.[32]

[32] ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის. საქართველოს მთავრობა. თბილისი, 2010 ვებგვერდი: file:///C:/Users/AAR/Desktop/Downloads/bdd%2011-14%20mTavrobassaiti%20(1).pdf

თავი II

საქართველოში გამოძიებული საქმეების და პოლიციის მიმართ ნდობის სტატისტიკა წლების მიხედვით

2.1 გამოძიებული საქმეები 2013 წლამდე

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე შესაძლებელი არის ნახვა თუ რამდენი დანაშაული აღირიცხა და იქნა გამოძიებული 2005 წლიდან 2016 წლამდე.

2005 წელს აღირიცხა 43,266 დანაშაული და გაიხსნა 36,9%, ანუ 15,975. 2006 წლის 12 თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დანაშაულის რაოდენობა გაიზარდა 19,017-ით და გაიხსნა 2,232 დანაშაულით მეტი.[33]

2006 წელს სულ რეგისტრირებული იყო 62,283 დანაშაულის ფაქტი, აქედან გაიხსნა 18,207, რამაც შეადგინა 29,2%.

2007 წელს საქართელოში სულ რეგისტრირებული იყო 54,746 დანაშაული, აქედან 37,9% იქნა გახსნილი, ანუ 20,746.

2008 წელს სულ რეგისტრირებული იყო 44,644 დანაშაული, აქედან გახსნილია 46,9%, ანუ 20,934.[34]

2009 წელს სულ რეგისტრირებული იყო 35,949 დანაშაული, აქედან გახსნილია 49,12%, ანუ 17,6459.

2010 წელს სულ რეგისტრირებული იყო 34,739 დანაშაული, აქედან გახსნილია 49,22%, ანუ 17,101.

---

[33] 2006 წლის 12 თვეში რეგისტრირებულ დანშაულთა სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი. ვებგვერდი: http://police.ge/ge/useful-information/statistics/statistics1?page=16 (მოძიებულია: 01/07.2017)

[34] რეგისტრირებული დანაშაულის სატატისტიკა 2007 და 2008 წლების თორმეტივე თვე. ვებგვერდი: http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi_new/geo/danashaulis%20statistika/2008-2009_saqart.dan/respfull.jpg (მოძიებულია: 01/07.2017)

2011 წელს სულ რეგისტრირებული იყო 32,262 დანაშაული, აქედან გახსნილია 44,72%, ანუ 14,435.

2012 წელს სულ რეგისტრირებული იყო 38,741 დანაშაული, აქედან გახსნილია 25,53%, ანუ 9,891.[35]

წელი	რეგისტრირებული დანაშაული	გახსნილი
2005	43,266	15,975
2006	62,283	18,207
2007	54,746	20,934
2008	44,644	20,934
2009	35,949	17,659
2010	34,739	17,101
2011	32,262	14,435
2012	38,741	9,891

2.2 ნდობის მაჩვენებელი 2013 წალმდე

კავკასიის კვლევითი რესურსცენტრი (CRRC) -ის კვლევის თანახმად 2008 წელს გამოკითხულთა 53% ენდობოდა პოლიციას; 2009 წელს-51%, ხოლო, 2010 წელს კი

[35] სადაღაშვილი, მ (2014). *პოლიციის რეფორმები და დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში.* სამაგისტრო ნშრომი. გვ. 70

65%.[36] 2011 წელს პოლიციის მიმართ ნდობის მაჩვენებელი იყო 67%.[37] 2012 წლის მონაცემებით ნდობა იყო 50 %.[38]

აგრეთვე, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის გამოკითხვების თანახმად ყოველ წელიწადს პოლიციის საქმიანობას მოქალაქეები შემდეგნაირად აფასებენ:

2007 წლის 31 აგვისტო-10 სექტემბრის კვლევებით პოლიცია ეკლესიის, არმიის, მედიის შემდეგ არის მეოთხე ადგილზე და გამოკითხულების 65 % დადებითად აფასებს მას.[39]

2008 წლის 23 სექტემბერ-1 ოქტომბრის კვლევებით პოლიცია უკვე მესამე ადგილზეა ეკლესიის და არმიის შემდგომ და 84 % მის მუშაობას დადებითად აფასებს. [40]

2009 წლის 21 თებერვალი-3 მარტის კვლევების მიხედვით პოლიცია ეკლესიის და არმიის შემდეგ კვლავ მესამე ადგილზეა და მის მუშაობას გამოკითხულთა 69% აფასებს დადებითად.[41]

2010 წლის 4-13 მარტის კვლევების თანახმად პოლიცია 81%-ით მესამე ადგილზეა ეკლესიის და არმიის შემდეგ.[42] იმავე წელს 27 სექტემბრის-7ოქტომრის კვლევების

---

[36] Gzirishvili, T (2015). *Who trusts the police in Georgia?* Caucasus Research Resource Centers. ვებგვერდი: http://crrc-caucasus.blogspot.com/2015/06/who-trusts-police-in-georgia.html (მოძიებულია: 02.07.201)

[37] კავკასიის ბარომეტრი 2011 საქართველო . TRUPOLI: Trust-Police(%), ვებგვერდი: http://caucasusbarometer.org/ge/cb2011ge/TRUPOLI/ (მოძიებულია: 06.07.2017)

[38] კავკასიის ბარომეტრი 2012 საქართველო. TRUPOLI: Trust-Police(%), ვებგვერდი : http://caucasusbarometer.org/ge/cb2012ge/TRUPOLI/ (მოძიებულია: 06.07.2017)

[39] Georgian National Voter Study August 31 - September 10, 2007 . ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2007%20November%208%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20August%2031-September%2010,%202007.pdf (მოძიებულია: 03.07.2017)

[40] Georgian National Study, September 23 – October 1, 2008 , ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2008%20November%2021%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20September%2023-October%201,%202008(1).pdf (მოძიებულია:03.07.2017)

[41] Georgian National Survey, February 21 – March 3, 2009. ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2009%20April%201%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20February%2021-March%203,%202009(1).pdf (მოძიებულია: 03.07.2017)

[42] Georgian National Study, March 4 – 13, 2010 . ვებგვერდი: ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2010%20May%203%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20March%204-13,%202010.pdf (მოძიებულია:03.07.2017)

თანახმად გამოკითხულთა 84% აფასებს დადებითად და კვლავ მესამე ადგილზეა იგივე ინსტიტუტების შემდეგ.[43]

2011 წლის 24 აპრილი-4 მაისის კვლევებით პოლიცია არის მეორე ადგილზე ეკელსიის შემდეგ და მის მუშაობას დადებითად აფასებს გამოკითხულთა 88 %.[44] იმავე წლის 27 ოქტომბერ-11 ნოემბრის გამოკითხვებით პოლიცია მე-3 ადგილზე გადმოდის და უკვე 87 % აფასებს მის მუშაობას დადებითად, მას ეკლესია და არმია უსწრებს.[45]

2012 წლის 9-12 ნოემბრის საზოგადოებრივი აზრის კვლევებით, რომელიც ჩაატარა საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა, შეკითხვა იყო - როგორ აღწერდით თქვენს ნდობას ინსტიტუტების მიმართ?, პოლიცია იყო მესამე ადგილზე ეკლესიის და არმიის შემდეგ და გამოკითხულთა 84 % სასურველად უთითებს ნდობას.[46] ამავე წელს 26 ივნისი-4ივლისის ჩატარებული კვლევებით პოლიცია კვლავ მესამე ადგილზე იყო 88% მიიჩნევს მას სანდოდ.[47]

2.3 გამოძიებული საქმეები 2013 წლიდან

საქრთველოში 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ განხორციელდა მასშტაბური ამნისტია. 2012 წლის 21 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო ამნისტიის შესახებ

[43] Georgian National Survey, September 27 – October 7, 2010 . ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2010%20December%203%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20September%2027-October%207,%202010.pdf (მოძიებულია: 03.07.2017)
[44] Georgian National Study , April 26 – May 4, 2011, ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2011%20June%2028%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20April%2026-May%204,%202011(1).pdf (მოძიებულია: 03.07.2017)
[45] Georgian National Study, October 27 – November 11, 2011 . ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2012%20January%205%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion%2C%20October%2027-November%2011%2C%202011.pdf (მოძიებულია: 03.07.2017)
[46] Georgian National Study, November 9 – 21, 2012. 2013 თებერვალი. ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2013_February_8_Survey_of_Georgian_Public_Opinion_November_9_21_2012.pdf (ნანახია: 30/06/2017. 04:56)
[47] Georgian National Study, June 26 – July 4, 2012, ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2012%20August%2020%20Survey%20Georgian%20Public%20Opinion%2C%20June%2026-July%204%2C%202012.pdf (ნანახია: 30/06/2017. 04:56)

კანონი, რომელიც სხვადასხვა დოზით ყველა პატიმარს შეეხო[48]. ოფიციალური მონაცემებით, ამნისტირებულ პატიმართა გამოშვება სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან 2013 წლის იანვრის ბოლოდან დაიწყო. შსს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მედიასთან შეხვედრიასას აღნიშნა, რომ ამნისტიის შდეგად სულ 8 ათასამდე პატიმარი განთავისუფლდა[49]. 2013 წლის 19 აგვისტოს პრეზიდენტის ცხრა წლიანი მმართველობის პერიოდში გატარდა ყველაზე მასშტაბური შეწყალება რომლის მიხედვითაც 18 000 ათასამდე მოქალაქეს პირობითი მსჯავრი და ნასამართლეობა მოეხსნა[50]. ამის შედეგად, საზოგადოებაში არსებობდა მოლოდინი, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება გაუარესდებოდა, შესაბამისად ამ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა საზოგადოებრივი ინტერესი დანაშაულის სტატისტიკის მიმართ[51].

2013 წლის 10 აპრილს შსს-ს საინფორმაციო - ანალიტიკურმა დეპარტამენტმა რეგისტრირებული დანაშაულის ერთიანი კვარტალური ანგარიში და ახალი მეთოდოლოგია წარადგინა, რომელსაც სამინისტრო იყენებს 2013 წლის იანვრიდან. დანაშაულის სტატისტიკის მეთოდოლოგია თანამედროვე, ევროპული სტანდარტების მიხედვით შემუშავებული მოდელია, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ევროპული ქვეყნები იყენებენ [52]. ამასთან თვისებრივად თავიდან გადამუშავდა მეთოდოლოგია და გაანგარიშების პრინციპი. რეგისტრირებული დანაშაული - აღსარიცხი ერთეული: დანაშაული/სსკ-ის მუხლი - აღირიცხება დანაშაულთა საერთო რაოდენობა, რომლებზეც დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით და შევიდა ცვლილებები საანგარიშო პერიოდში, გამოძიების დაწყებიდან შემდგომი განვითარების მიხედვით. რადგანაც სისხლის სამართლის საქმე გამოძიების დაწყებიდან საქმის საბოლოო დასრულებამდე განიცდის სხვადასხვა პროცესუალურ

[48] ამნისტიის შესახებ კანონი მიღებულია. ვებგვერდი: http://www.civil.ge/geo/article.php?id=26372 (28.06.2017 . 17:07)

[49] ოფიციალური სტატისტიკით დანაშაული გაიზარდა ვეგვერდი: http://netgazeti.ge/law/20282/ (მოძიებულია: 28/06/2017, 16:06)

[50] პრეზიდენტის შეწყალების სამართლებრივი ასპექტები ვებგვერდი: ვებგვერდი: http://www.barristers.ge/public/uploads/docs/Daskvna_-_Prezidentis_Sheckalebis_Uplebamosileba.pdf (მოძიებულია: 28/06/2017, 17:17)

[51] 2016 წლის დანაშაულის სტატისტიკა და მისი ხელმისაწვდომობა ვებგვერდი: https://idfi.ge/ge/2016_crime_statistics_and_access_to_information (მოძიებულია: 208/06/2017, 16:10)

[52] ახალი მეთოდოლოგიის პრეზენტაცია, რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა და კვარტალური ამგარიში. 14/04/2013 .ვებგვერდი: http://police.ge/ge/akhali-metodologiis-prezentatsia-registrirebuli-danashaulis-statistika-da-kvartaluri-angarishi/104 (წანახია: 28/06/2017. 18:24)

ცვლილებებს, ამიტომ მეტი თვალსაჩინოებისა და რეალურ მონაცემთა გადმოცემის მიზნით, დეტალურად ხდება სისხლის სამართლის საქმის ყველა სტატუსის აღრიცხვა და პროგრამულ უზრუნველყოფაში გათვალისწინება, რაც აისახება ახალ კონსოლიდირებულ სტატისტიკურ ფორმაში. ნებისმიერი ისეთი საფუძვლით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დანაშაულს არ გამორიცხავს (პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, განრიდება, მედიაცია, ქმედითი მონანიება, ბრალის არარსებობა...), მიმდინარე კონსოლიდირებული სტატისტიკური ანგარიშისათვის უკვე წარმოადგენს სააღრიცხვო ობიექტს. გარემოება, რომელიც წარმოადგენს დათვლის ახალი მეთოდოლოგიის უპირატესობას - როდესაც საქმის გამოძიების პროცესში გამოვლინდება სხვა დანაშაული, რომელზეც არ მოხდება ცალკე გამოძიების დაწყება და არსებულ სისხლის სამართლის საქმეში იქნება გახსნილი (დაიწყება დევნა), ელექტრონული სისტემისთვის უკვე წარმოადგენს სააღრიცხვო ობიექტს შესაბამისი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მუხლის მიხედვით და როგორც რეგისტრირებული დანაშაული, ფაქტი, აისახება სტატისტიკურ ფორმაში. ყოველთვიური სტატისტიკა ასახავს კონკრეტული თვის საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებულ დანაშაულს, კუმულატიური სტატისტიკა წარმოადგენს კონკრეტული პერიოდის (2 თვის, 3 თვის და ა.შ.) ბოლოსთვის არსებული რეგისტრირებული დანაშაულის მონაცემებს. კუმულატიური სტატისტიკის დათვლა-დაანგარიშება არ შეიძლება ცალკეული თვეების მონაცემთა არითმეტიკული დაჯამების სახით, ვინაიდან, სტატისტიკის რთული ბუნებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით, მიმდინარე თვეში რეგისტრირებული დანაშაული მომდევნო თვეებში შესაძლებელია გადაკვალიფიცირდეს სხვა დანაშაულზე, შეწყდეს ერთი რაიონული საგამოძიებო დანაყოფის მიერ დაწყებული სისხლის სამართლის საქმე გადაეცეს სხვა რაიონულ საგამოძიებო დანაყოფს და ა.შ., რაც აისახება მომდევნო თვეების სტატისტიკურ ანგარიშში, ხოლო მიმდინარე თვის სტატისტიკა რჩება უცვლელად. 2012 წლამდე დანაშაულის რეგისტრაცია ხორციელდებოდა დანაშაულის აღრიცხვის ბარათების მეშვეობით, ხოლო 2012 წლიდან სატესტო რეჟიმში ამოქმედდა იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინირებით შექმნილი ერთიანი ელექტრონული

სისხლის სამართალწარმოების სტატისტიკური მოდული, რომელიც დღეისათვის უკვე სრულფასოვნად ფუნქციონირებს. მისი მეშვეობით ხდება რეგისტრირებული დანაშაულის დათვლა/გაანგარიშება მთელი საქართველოს მასშტაბით [53].

ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებით იქნა დათვლილი 2013 წლის იანვარი-მარტის რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულები, რომლის მიხედვითაც სულ იყო რეგისტრირებული იანვარსა და მარტში 11,708 დანაშაული და აქედან გახსნილია 32,7%, ანუ 3,837 [54]. მთელი წლის განმავლობაში სულ რეგისტრირებული იქნა 28,970 დანაშაული, აქედან გახსნილია 59,85%, ანუ 17,339.[55]

2014 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა იყო 36,526, აქედან გახსნილია 60,7%, ანუ 22,171.

2015 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა იყო 35,096, აქედან გახსნილია 60,34%, ანუ 21,176[56].

2016 წელს საქართველოში რეგისტრირებული დანაშაული იყო 35,997 ხოლო აქედან 57,4% , ანუ 20,661 არის გახსნილი.[57]

წელი	რეგისტრირებული დანაშაული	გახსნილი
2013	28,970	17,339
2014	36,526	22,171
2015	35,096	21,176
2016	35,997	20,661

[53] რეგისტრირებული დანაშაული საქართველოში 2012 –2014 წ.წ. 2015 წ. იანვარ - ივნისი

[54] საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა და კვარტალური ანგარიში(იანვარი-მარტი,2012-2013.) police.ge ვებგვერდი: http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi_new/geo/danashaulis%20statistika/2013/Crime_Statistics_Registered_in_Georgia_January-March-GEO%282%29.pdf (მოძიებულია: 29/06/2017.16:05)

[55] სადაღაშვილი, მ (2014). *პოლიციის რეფორმები და დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში.* სამაგისტრო ნაშრომი. გვ. 70

[56] რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა ,police.ge .

[57] რეგისტრირებული დანაშაული 2016, შინაგან საქმეთა სამინისტრო. 2017

2.4 მოქალაქეთა ნდობა 2013 წლიდან

„საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო“ 2015 წლის გაზაფხულზე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ფარგლებში ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა ინსტიტუტის მიმართ მოქლაქეთა ნდობის საკითხით დაინტერსდა. გამოკითხვის თანახმად, ათი ინსტიტუტიდან ექვსის შემთხვევაში ნდობის შემცირების ტენდენცია შეინიშნება. ამათგან ყველზე მეტად, 2013 წელთან შედარებით, 2015 წელს მოქალაქეთა ნდობა პოლიციის მიმართ დაეცა. 2013 წელს გამოკითხულთა 53% ამბობდა, რომ სრულად 19% ან ნაწილობრივ 34 % ენდობოდა პოლიციას, 2015 წელს ეს მაჩვენებელი 16% არის შემცირებული. კერძოდ, 2015 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად რესპოდენტების 37% ამბობს, რომ სრულად 12% ან ნაწილობრივ 25% ენდობა პოლიციას. ამავე დროს, 2015 წელს 12%-დან 19%-მდეა გაზრდილი მოქალაქეთა რაოდენობა, ვინც პოლიციას უფრო არ ენდობა, ვიდრე ენდობა 10% ან საერთოდ არ ენდობა 9%. 2013 წელს ანალოგიური მჩვენებელი შესაბამისად 7% და 5% იყო[58].

მოსახლეობის ნდობის დონეს მთავრობის და სხვა ინსტიტიტუტების მიმართ ბევრი ფაქტორი განაპირობებს და ამ ფაქტორების გავლენით დროთა განმავლობაში შესაძლოა ნდობა შეიცვალოს. CRRC- საქართველოს მიერ და 2011-2015 წლებში ჩატარებული კავკასიის ბარომეტრი და NDI-ის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგზე დაყრდნობით CRRC-ის ბლოგში აღწერილია ბოლო წლებში ნდობის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საქართველოში პოლიციის მიმართ ნდობა შემცირდა 2011 წელი 67%, 2012 წელი - 50%, 2013 წელი-58%, 2015 წელი- 45 %. პროცენტულ რაოდენობაში გაერთიანებული არის პასუხის ვარიანტები: „სრულად ვენდობი“ და უფრო ვენდობი“[59].

საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტის (IRI) 2013 წლის 18-27 თებერვლის გამოკითხვებით თუ როგორი იყო მოქალაქეთა აზრი ინსტიტუტების

[58] საერთაშორისო გამჭირვალობა. პოლიციის მიმართ ნდობა შემცირდა, პრეზიდენტის მიმართ- გაიზარდა ვებგვერდი: http://www.transparency.ge/blog/politsiisadmi-ndoba-shemtsirda-prezidentis-mimart-gaizarda?page=5 (ნანახია:30.06.2017. 02:42)

[59] CRRC - საქართველოს ბლოგი. ვებგვერდი: http://blog.crrc.ge/2016/06/blog-post.html (მოძიებულია: 28.06.2017. 16:48)

საქმიანობაზე, 86 %-ით პოლიცია არის მესამე ადგილზე.[60] იმავე წელს 17 მაისი-2 ივნისის გამოკითხვებით ანალოგიურ შეკითხვაზე დადებითად აფასებს 88%.[61]

2014 წლის თებერვლის გამოკითხვებით პოლიცია არის მეოთხე ადგილზე 82%-ით, ეკლესიის, არმიის და მედიის შემდეგ.[62]

2015 წლის 3-28 თებერვლის საზოგადოებრივი აზრის კვლევებით, რომელიც ჩაატარა საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა, სადაც მოქალაქეებს ეკითხებიან, როგორია მათი მოსაზრება თითოეული ჩამოთვლილი ინსტიტუტის მიმართ, პოლიცია მეოთხე ადგილზეა ეკლესიის, არმიის და მედიის შემდგომ. 65 % სასურველად აფასებს მათ საქმინაობა[63].

2016 წლის მარტი-აპრილის საზოგადოებრივი აზრის კვლევებით, რომელიც ჩაატარა საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა პოლიცია არის მეხუთე ადგილზე საქრთველოს მართლმადიდებლური ეკლესიის, არმიის, ქართული მედიის და განათლების სისტემის შემდგომ და მათ მუშაობას დადებითად აფასებს 50 % [64].

2017 წლის 22 თებერვალი - 8 მარტის საზოგადოებრივი აზრის კვლევებით, რომელიც ჩაატარა საერთაშორისო რესპუბლიკურმა ინსტიტუტმა, პოლიცია არის მეოთხე ადგილზე, კვლავ, ეკლესიის არმიის და მედიის შემდეგ და მათი მუშაობას სასურველად აფასებს 59 % [65]

---

[60] Georgian National Study, February 18 – 27, 2013, ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2013_May_16_Survey_of_Georgian_Public_Opinion_February_18-27_2013.pdf (მოძიებულია: 01/07.2017)

[61] Georgian National Study, May 17 – June 2, 2013, ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2013_August_6_Survey_of_Georgian_Public_Opinion_May_17_June_2_2013.pdf (მოძიებულია: 01/07.2017)

[62] International Republican Institute(IRI) poll Results on Georgia released. ვებგვერდი: http://agenda.ge/news/11621/eng (მოძიებულია: 01/07.2017)

[63] Public Opinion Survey Residents of Georgia. February 3-28, 2015 ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/iri_georgia_public_2015_final_0.pdf (მოძიებულია: 30.06.2017. 02:54)

[64] Public Opinion Survey Residents of Georgia. March – April 2016, ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/georgia_2016.pdf (მოძიებულია 30.06.2017. 02:20)

[65] Survey of Public Opinion in Georgia February 22 – March 8, 2017 ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation_georgia_2017.03-general.pdf (მოძიებულია: 30.06.2017. 03:01)

თავი III

ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება

3.1 ევროკავშირის რეკომენდაციები შეფასებები

პოლიციის მიმართ ნდობას განაპირობებს ის, თუ რა შეფასებები ექნებათ საერთაშორისო გავლენიან ორგანიზაციებს, რომლებიც აკვირდებიან საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, თუ როგორ ტარდება რეფორმები, რომლებიც მათი რეკომენდაციის გაწევის შედეგად არის მიღებული, რამდენად სრულდება ის ანგარიშვალედბულებები, რაც აიღო საქართველომ ევრო-ატლანტიკური სტრუქტურების წინაშე.

საქართველოსა და ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) მიღებულ იქნა 2006 წლის 14 ნოემბერს. სამოქმედო გეგმა თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას უწყობს ხელს. სამოქმედო გეგმაში დასახულია ქართული მხარისთვის სამოქმედო პრიორიტეტები, მათ შორის რეკომენდაციები, რაც უნდა გაითვალისწინოს ქართულმა მხარემ. აღსანიშნავია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ევროპოლს შორის გაფორმებული სტარტეგიული შეთანხმება, რომლითაც ქართული სამართალდამცავი ორგანო გახდა ევროპული ოჯახის წევრი.[66]

2014 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმისა და ასოცირების წესრიგის განხორციელებაში ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასების გათვალისწინებით, ევროკავშირი საქართველოს გარკვეუეული რეკომენდაციებით მიმართავს:

[66] საქართველოსა და ევროპოლს შორის ოპერატიული და სტარტეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა . 04.04.2017 შინაგან საქმეთ სამინისტროს ვებ გვერდი: http://police.ge/ge/saqartvelosa-da-evropols-shoris-operatuli-da-strategiuli-tanamshromlobis-shesakheb-shetankhmeba-gaformda/10530 (მოძიებულია 10.07.2017)

1. უზრუნველყოს, რომ სისხლის სამართლებრივი გამოძიება და დევნა წარიმართოს გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად, იყოს პოლიტიკური მოტივაციისგან თავისუფალი, და ითვალისწინებდეს ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციებს ამ თვალსაზრისით.

2. გაზარდოს სამართალდამცველი სტრუქტურების ანგარიშვალდებულების და მათზე დემოკრატიული ზედამხედველობის ხარისხი; დანერგოს დავების განხილვის დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმი და გამოიძიოს ქონების უფლების დარღვევასთან, წამებასა და ცუდად მოპყრობასთან, ასევე საპროცესო გარიგებების სისტემის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივრები; გამოიძიოს სამართალდარღვევები – განსაკუთრებით სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევები – და განახორციელოს რეფორმები, ასევე აწარმოოს პენიტენციური სისტემის ეფექტიანი მონიტორინგი.[67]

თომას ჰამარბერგის, საქართველოში საკონსტიტუციო და იურიდიული რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩევლის, რეკომენდაციების თანახმად 2013 წლის, 2007 წლის ნოემბერში, 2009 წლის გაზაფხულზე და 2011 წლის მაისში, დემონსტრაციების დარბევის დროს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ძალის ზედმეტად გამოყენების შესახებ ეფექტური გამოძიების არარსებობა ხელს უწყობს დაუსჯელობის განცდას. ამიტომაც, აუცილებელია ინციდენტების გამოძიება და დამნაშავეების სამართლებრივი დევნა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებას წარსულის მძიმე ეპიზოდების გააზრებაში. [68]

---

[67] ევროკავშირის რეკომენდაციები საქართველოს. 25.03.2015. ვებგვერდი: http://netgazeti.ge/news/39619/ (მოძიებულია: 10.07.2017)

[68] Hammarberg, T (2013). *Georgia in Transition* . Report on the human rights dimension: background, steps taken and remaining challenges . ვებგვერდი: http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/human_rights_2012/20130920_report_en.pdf (მოძიებულია: 07.07.2017)

3.2 საქართველოში მოქმედი ადგილობრიბვი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასება

პოლიციის ძირითადი ფუნქციები არის საზოგადოების უსაფრთხოება და მართლწესრიგის დაცვა. აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად სამართალდამცავ უწყებებს აქვთ ფართო უფლებამოსილებები და აქედან გამომდინარე, ჩნდება მათი არასათანადოდ გამოყენების რისკი. იმისთის, რომ საზოგადოებაში არსებობდეს ნდობა სამართლადამცავი ორგანოების მიმართ. პოლიცია მუდმივად უნდა მიმართავდეს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის, კანონის უზენაესობისა და პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპების დაცვის დემონსტრირებას და ღია იყოს მის მოქმედებებზე ზედამხედველობისათვის.[69]

საქართველოში საზოგადოებრივი პოლიციის შესახებ ანგარიში და რეკომენდაციები წარმოადგინა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო). ანგარიშის მიხედვით, საზოგადოებასთან ურთიერთობით პოლიცია გაიუმჯობესებს ნდობას მოქალაქეების მხრიდან, რაც ხელს უწყობს ქვეყანაში უსაფრთხოების დონის მატებას. რეკომედნაციების თანახმად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი პოლიციის შემდეგი სახის სამოქმედო გეგმები: მოსახლეობაში ამაღლდეს სამართლებრივი კულტურის დონე; არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენცია; გაუმჯობესდეს მედიასთან ურთიერთობა და ხშირი კომუნიკაცია; ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულების მიმართ ბრძოლის გამკაცრება; მოქალაქეებსა და პოლიციელებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება. ტრეინინგები და სწავლებები უნდა გაძლიერდეს პოლიციელებში; პოლიციამ უნდა გააძლიეროს PR და რაც შეიძლება გამჭვირვალე იყოს მედიისათვის. პოლიციამ უნდა აწარმოოს სტატისტიკა რეგიონების მიხედვით და ამ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ასახოს ქვეყნის მასშტაბით არსებული რეალური სურათი. შექმნას სტრატეგიული ორგანო, რომელიც კოორდინაციას გაუწევს შესაბამის პროექტებს და ინიციატივებს.

სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციის გასაუმჯობესებლად უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები: მოქალაქეებში უნდა შიცვალოს მენტალიტეტი, რომ მათ

[69] *შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის ხარისხი.* საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

დანაშაულზე თვალი არ დახუჭონ. ძალიან სუსტია მოწმის დაცვის მექანიზმები და ესეც უნდა გაუმჯობესდეს; დანაშაულთან კავშირშია უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, რაც ასევე არის დანაშაულის გამომწვევი. ქუჩაში მცხოვრები ბავშვების საკითხის გადაწყვეტა. [70]

2014 წლის აპრილში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“, „საქართველოს დემოკრტაიულმა ინიციატივამ“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა'' და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ წარმოადგინეს ერთობლივი ანგარიში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინიტროს 2012 წლის მუშაობის შესახებ, სადაც წარმოდგენილია 21 ფაქტი, რომლებიც სავარაუდოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერაა ჩადენილი და არცერთი შსს-ს თამანშრომელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული[71].

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) 2010-2015 წლების შემაჯამებელ ანგარიშში, რომელიც ეხება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საქრთველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ განსაკუთრებული შენიშვნები არის თამამდებობის პირთა პრემიების და დანამატების გაცემის ინორმაციაზე.[72]

საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) ჩაატარა კვლევა, რომელიც არის ანალიზი 2015 წლის ზაფხულში განხორციელებული რეფორმის, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. ანგარიშის მიზანი იყო ამ რეფორმის შემდგომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის

---

[70] Institution- and Capacity Building of Community Policing in Georgia . International Adviser on Community Policing OSCE Mission to Georgia . გ.ვ. 14, ვებგვერდი: http://www.osce.org/georgia-closed/30112?download=true (მოძიებულია: 10.07.2017)

[71] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობა 2012 წლის არჩევნების შემდეგ. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ერთობლივი ანგარიში. 2014 წელი. გ.ვ. 32 ვებგვერდი: http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/shinagan%20saqmeta%20saministros%20mushaobis%20shepaseba%202012%20tslis%20archevnebis%20shemdeg.pdf (მოძიებულია 10.07.2017)

[72] საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში. 2010-2015 წლების შემაჯამებელი ანგარიში. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. ვებგვერდი: https://docs.google.com/viewerng/viewer?url=https://idfi.ge/public/upload/IDFI/IDFI/OpenData-GEO-16.12.2015.pdf (მოძიებულია 10.07.2017) .

ხარისხის განსაზღვრა, გამჭვირვალობის შემაფერხებელი კონკრეტული მიზეზების აღწერა, საქართველოს საპოლიციო სისტემაში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურისა და სისტემის ანალიზი. კვლევის ფარგლებში დამუშავდა შემდეგი საკითხები:

1) საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი - შსს პასუხობს საჯარო ინფორმაციიც მოთხოვნით შესულ განცხადებებს, მაგრამ პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის მიღება დადგენილ ვადებში. ასევე, ფიქსირდება ინფორმაციის არასრულად გაცემის შემთხვევებიც. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა იზღუდება გარკვეული კატეგორიის ინფორმაციის გასაიდუმლოებით, სათანადო დასაბუთების გარეშე და სამინისტრო სრულყოფილად არ ასრულებს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებას.

რეკომენდაცია:

- კანონით დადგენილ ვადებში და სრულყოფილად გასცეს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია; ასევე, სამინისტრომ მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოს სამინისტროს შესახებ მნიშვნელოვანი სტატისტიკური და საკონტაქტო ინფორმაციის სისტემატიზაცია, რათა დროულად იქნას შესაძლებელი საჯარო ინფორმაციის გაცემა და სამინისტროს ეფექტიანი ადმინისტრირება.
- ხელმისაწვდომი გახდეს დეპარტამენტების გასაიდუმლოებული დებულებები და სტრუქტურული ერთეულების საშტატო რიცხოვნობა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დოკუმენტები შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მისაკუთვნებელ ინფორმაციას, მოხდეს მხოლოდ ამ ნაწილის დასაიდუმლოება და საჯარო ინფორმაციის გაცემა ამ ნაწილის გამოცალკევებით.
- საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით სამინისტრომ ჩაატაროს სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება და მიღებული გადაწყვეტილება დაასაბუთოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე

- სამინისტრომ სრულად და დროულად გამოაქვეყნოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაცია ვებგვერდზე და უზრუნველყოს ელ. მიმართვის ფორმის გამართულად მუშაობა. ასევე, თავისი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში, დამატებით, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

2) შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სტატისტიკის წარმოების მეთოდები - სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება არ ეფუძნება სისტემატიზებული პროცედურების ერთობლიობას და სტატისტიკასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტითა და მემორანდუმით არის მოწესრიგებული. პრობლემურია ისიც, რომ სტატისტიკურ-ანალიტიკური კვლევები ქაოტურად წარმოებს და ბუნდოვანია, რა მიზნებსა თუ საჭიროებებს მიემართება. ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის არსისა და მახასიათებლების აღქმისათვის სოციოლოგიურ გამოკითხვებს და ასევე სენსიტიურ საკითხებზე ჩაშლილ სტატისტიკას.

რეკომენდაცია:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების პროცედურების, ვადებისა და პასუხისმგებელი ორგანოების ნათლად გაწერა ერთიანი კონსოლიდირებული დოკუმენტით;
- შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს 2010 წლის უწყებათაშორისი მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის მიზნებისათვის ყოველთვიურად მიაწოდოს მემორანდუმით განსაზღვრული ინფორმაცია;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ქვეყნდებოდეს სტატისტიკური ინფორმაცია;
- იმ სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება და საჯაროდ გავრცელება, რომელშიც ასახული იქნება პოლიციის წინააღმდეგ წარდგენილი განცხადებების/საჩივრების შესახებ მონაცემები; ამათგან პოლიციის მხრიდან უკანონო ქმედების

დადასტურების საშუალო პროპორციული მაჩვენებელი და დაკისრებული სახდელების/ სასჯელების შესახებ ინფორმაცია;

- საზოგადოებრივი გამოკითხვებისა და კვლევების პერიოდულად წარმოება და მიღებული ინფორმაციის დამუშავება;
- სენსიტიურ საკითხებზე დეტალური სტატისტიკის წარმოება
- ინტერაქტიული სტატისტიკისა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკის მომზადება და მათი საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3) სხვადასხვა მონაცემთა ბაზის შედგენის ფორმები და მართვის საკითხები - პერსონალურ მონაცემთა დაცვა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავადვე უზრუნველყოს სამინისტროს მიერ შეგროვებული და შენახული მონაცემთა ბაზების სათანადოდ დაცვა და თანამშრომლების მხრიდან მონაცემების არასათანადოდ, არამიზნობრივად გამოყენების აღკვეთა.

რეკომენდაცია:

- ნათლად და მკაცრად განისაზღვროს მონაცემთა შენახვის ვადის გასვლის შემდგომ დაარქივების პროცედურები, საფუძვლები და ვადები;
- დარეგულირდეს მონაცემთა შენახვის განსაზღვრული ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, შესაბამისი საფუძვლების მითითებით;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებულ მონაცემებზე სხვა უწყებების წვდომის საკითხი, მათ შორის, უწყებების ჩამონათვალი, ძირითადი პრინციპები და პროცედურები, განისაზღვროს ერთიანი სამართლებრივი აქტით;
- განხორციელდეს მატერიალური არქივების დიჯიტალიზაცია;

4) საკადრო საკითხები - საკადრო საკითხების მარეგულირებელი დებულებები ბუნდოვანია და გაწერილია კანონქვემდებარე აქტებში. ამავდროულად, შეზღუდულია პოლიციის საქმიანობაზე გარე კონტროლის მექანიზმები, მინისტრი კი საკადრო

საკითხებზე გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღების ფართო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი.

რეკომენდაცია:

- საკადრო საკითხების, კერძოდ, სამსახურში მიღების, თანამდებობრივი გადაადგილების, წახალისებისა და გათავისუფლების პროცედურების კანონის დონეზე ნათლად მოწესრიგება;
- პოლიციელთა ინდივიდუალური შეფასების სისტემის დანერგვა;
- კოლეგიური ორგანოს შექმნა, რომელიც საკადრო საკითხებზე გადაწყვეტილებებს მიიღებს, პროფესიული კრიტერიუმების გათვალისწინებით;
- გენერალური ინსპექციისთვის მეტი ოპერაციული და ინსტიტუციური დამოუკიდებლობის მინიჭება. დისციპლინური სამართალწარმოების ნათელი პროცედურების გაწერა და ამ პროცესში როგორც პოლიციელის, ისე დაზარალებული პირის დაცვის ადეკვატური ინსტრუმენტებით აღჭურვა;
- გენერალური ინსპექციის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და პერიოდულად საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება ორგანოს მიერ განხორციელებულ რეაგირებებზე.[73]

3.3 სიღრმისეული ინტერვიუ (ანალიზი)

კვლევის ფარგლებში, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ჩატარდა რამდენიმე სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევამ აჩვენა, რომ პოლიციის, როგორც ინსტიტუტის, მიმართ არსებობს ნაწილობრივი ნდობა. ერთმანეთისგან გაიმიჯნა საპატრულო პოლიცია და კრიმინალური პოლიცია. საპატრულო პოლიციის შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ ის არის საპოლიციო სტრუქტურებს შორის ყველაზე გამჭვირვალე, რადგან მას ყოველდღიური შეხება აქვს მოსახლეობასთან და მისი საქმიანობა ყველასათვის თვალსაჩინოა. აგრეთვე, ხაზგასასმელია მისი პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა და მოქალაქეებთან ურთიერთობის სტანდარტები. კრიმინალური

[73] *შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის ხარისხი.* საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

პოლიციის მიმართ კი არის განსხვავებული სურათი, მოქალაქეებში მათ მიმართ ნდობა შედარებით დაბალია. აღინიშნა, რომ დღეს საქართველოში პოლიციის სახე არის პატრული, და როდესაც საუბრობენ პოლიციის გამჭვირვალობასა და პროფესიონალიზმზე, საუბარი არის მასზე.

რაც შეეხება პოლიციის გამჭვირალობას, გამოიყო ორი სახის გამჭვირვალობა - საქმიანობასთან დაკავშირებული და ინსტიტუციური. ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით იყო შენიშვნები, რომ უცნობია გარკვეულ თანამშრომელთა ნაწილი რომელ დეპარტამენტში და განყოფილებაში მუშაობს. აღსანიშნავია სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობა, რაც გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ ზოგადად პოლიციის მუშაობის დონე. მხოლოდ ყოველწლიური სტატისტიკის გამოქვეყნებით არ უნდა შემოიფარგლოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, არამედ ყოველთვიურად უნდა აწარმოებდეს ჩადენილი დანაშაულის აღრიცხვას, აგრეთვე უნდა ატარებდეს სოცილაურ გამოკითხვებს და იკვლევდეს დანაშაულის მიზეზებს. ასევე, მნიშვნელოვანია პოლიციის თვითრეაგირება, რამდენად ახერხებს ის გამოავლინოს შიდა დანაშაული. პოლიციის ურთიერთობა საზოგადოებასთან უნდა იყოს უფრო სიღრმისეული, პოლიცია მეტად უნდა ჩაერთოს მოქალაქეთა ცხოვრებაში. მინიშვნელოვანია მედიასთან ურეთიერთობა, რადგან მოქლაქეთა უმრავლესობა ტელევიზიის საშუალებით ადევნებს თავლს საინფორმაციო სიახლეებს.

მნიშვნელოვანია პოლიციის ოპერატიულობაც, რადგან ის ხაზს უსვამს მისი მუშაობის ეფექტურობას, რამდენად ახერხებს პოლიცია დანაშაულის პრევენციას. მხოლოდ დანაშაულზე რეაგირება არ არის პოლიციის დანიშნულება, არამედ მისი თავიდან აცილებაც. აღსანიშნავია, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო უსაფრთხოების კამპანია, რომელიც წინ გადადგმული ნაბიჯია უსაფრთხოებისათვის. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ეს არის მხოლოდ მცირედი და პოლიციას სჭირდება უფრო მეტი მუშობა, რათა ქვეყანაში იყოს უსაფრთხო გარემო. ამისთვის აუცილებელია საზოგადოებასთან უფრო მეტი ურთიერთობა - შეხვედრები, სამართლებრივი ხასიათის ტრეინინგები, რათა მოქალაქეებს გაუჩნდეთ ნდობა პოლიციის მიმართ.

დასკვნა

2003 წლის ვარდების რევოლუციამდე შეუძლებელია ვისაუბროთ მოქალქეების ნდობაზე პოლიციის მიმართ. საქართველო გამოირჩეოდა კორუფციით, პოლიტიკოსებისა და კრიმინალების ურთიერთობების მაღალი დონით. იმ პერიოდში წესრიგის დამყარება იყო ძალზე რთული. ხოლო პოლიციის და ზოგადად, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობაზე საუბარიც წარმოუდგენელი იყო. ვარდების რევოლუციის შემდგომ გატარებულმა ღონისძიებებმა, კერძოდ, როდესაც პოლიციამ დაიწყო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კორუმპირებული კადრების განთავისუფლება, პოლიციის მიმართ ნდობაზე საუბარი უკვე შესაძლებელი გახდა. ასევე, აღსანიშნავია რეფორმები, რომელიც მოტივირებულია ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად და ამით ძლიერდება საპოლიციო სტრუქტურები. ვიღებთ მეორე უკიდურესობას - ნდობას განაპირობებს მორჩილება და არა თავისუფალი აზრის გამოხატულება. პოლიციის საქმიანობა ყოველთვის შეიცავს რისკს დაირღვეს ადამიანის უფლებები, ამიტომაც მისი საქმიანობა დამყარებული უნდა იყოს მოქალქეებთან თანამშრომლობაზე და თანხმობაზე. ამისთვის აუცილებელია პოლიციის საქმიანობა იყოს გაჭვირვალე და შესაძლებელი გახდეს მათი მოქმედებების შეფასება, ეს საბოლოოდ უზრუნველყოფს ისეთი პოლიციის შექმნას, რომელიც არ იქნება არც დესპოტური და არც უუნარო. 2012 წელის ოქტომბერში მთავრობის ცვლილების შემდგომ, რისი მთავარი მიზანი იყო „პოლიციური რეჟიმის“ დასრულება, არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნებით კვლავ არსებობს უმრავი პრობლემა ამ ინსტიტუტის მუშაობის შესახებ.

კვლევის ფარგლებში მოძიებულმა ინფორმაციამ მოგვცა საშუალება გაგვეკეთებინა შემდეგი სახის დასკვნები:

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებისა და რეკომენდაციების და ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების მიხედვით გამოიკვეთა, რომ მოქალქეების ნდობას პოლიციის მიმართ განაპირობებს მათი საქმიანობის გამჭვირვალობა, რაც გამოიხატება საპოლიციო სისტემაში არსებული

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობით. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დროულად უნდა გამოაქვეყნოს მის ხელთ არსებული მასალები, აწარმოოს სატისტიკა ყოველთვიურად, რომ მოქალაქეებმა მიიღონ ინფორმაცია. აგრეთვე, ინფორმაციის მოწოდების დროს განიმარტოს თუ რატომ არის რაიმე მასალა გასაიდუმლებული, რათა არ გაჩნდეს შეკითხვები და ამან არ გამოიწვიოს უნდობლობა. პოლიციის გამჭვირვალობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი არის შიდა საკადრო ცვლილებების ღიაობა, თუ რატომ ანთავისუფლებენ ან აწინაურებენ თამანშრომლებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე შიდა დარღვევებზე რეაგირება, პოლიციელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე გამოძიების დროული წარმოება და საზოგადოებისათვის ახსნა-განმარტების მიცემა. პოლიცია ახლოს უნდა იყოს საზოგადოებასთან, ის უნდა იყოს მისი წევრი და არ ტოვებდეს დამკვირვებლის შთაბეჭდილებას. ამისათვის აუცილებელია თავად პოლიციამ იზრუნოს, რომ საზოგადოებაში ამაღლდეს სამართლებრივი კულტურის დონე, მან უნდა აწარმოოს შეხვედრები საზოგადობასთან, ჩაატაროს გაცნობითი ხასიათის ტრეინინგები და გახდეს მისი სრული წევრი. გარდა დანაშაულის გამოძიებისა მოსახლეობას დაეხმაროს სხვა პრობლემების მოგვარებაშიც. წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, როდესაც პოლიცია იყო ჩაკეტილი სტრუქტურა და ის ასოცირდებოდა მთავრობის ხელში არსებულ სადამსჯელო იარაღად, მის გამჭვირვალობაზე საუბარი წარმოუდგენელი იყო და მისი შიდა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობდა. სწორედ იმ დროიდან შეგვიძლია მის მიმართ ნდობის მცირედით გაჩენაზე საუბარი როდესაც პოლიცია გადაიარაღდა, გახდა მოწესრიგებული, კარგი მანქანებითა და უნიფორმებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია პატრულის მაგალითი.

პოლიციის მიმართ ნდობის ასამაღლებლად მნიშვნელოვანია ოპერატიულად მუშაობა, რათა შევაფასოთ მისი საქმინობის ეფექტურობა. ამისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა და აგრეთვე გამოძიებული საქმეების პროცენტულობა. პოლიციის დანიშნულება არ არის მხოლოდ მომხდარ დანაშაულზე რეაგირება, არამედ პრევენცია. სწორედ ეს მიუთითებს მის ოპერტიულობაზე. პოლიციამ უნდა განახორციელოს შესაბამისი ქმედებები, რომ დანაშაული თავიდან იქნას აცილებული.

საზოგადოების ნდობა პოლიციის მიმართ დამოკიდებულია ისეთი საქმეების გამოძიებაზე, რომლებიც საზოგადოებაში განხილვის თემაა და ბადებს უამარავ შეკითხვას. აგრეთვე, საქმეები, რომელთა გამოიძიების შედეგი საზოგადოებაში იწვევს ეჭვს. აღსანიშნავია საქმეები, რომლებსაც აქვთ პოლიტიკური ელფერი და მიიჩნევიან პოლიტიკურად მოტივირებულად. მგავსი საკითხები მოქალქეებში ბადებს უნდობლობას.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზა გამართლდა, საქართველოში მოქალაქეთა ნდობა პოლიციის მიმართ ძირითადად დამოკიდებულია მის ოპერატიულობაზე, გამჭვირვალობაზე და გამოუძიებელი საქმეების გადახედვასა და გამოძიებაზე.

ბიბლიოგრაფია

civil.ge . ამნისტიის შესახებ კანონი მიღებულია

ახალი მეთოდოლოგიის პრეზენტაცია, რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა და კვარტალური ამგარიში. 14/04/2013 .ვებგვერდი: http://police.ge/ge/akhali-metodologiis-prezentatsia-registrirebuli-danashaulis-statistika-da-kvartaluri-angarishi/104

(მოძიებული: 28/06/2017. 18:24)

ევროკავშირის რეკომენდაციები საქართველოს. 25.03.2015. ვებგვერდი: http://netgazeti.ge/news/39619/ (მოძიებულია: 10.07.2017)

კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში. საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა. ვებგვერდი: http://siteresources.worldbank.org/INTGEORGIA/Resources/Georgia_Book_Georgian.pdf (მოძიებულია:28.05.2017)

2006 წლის 12 თვეში რეგისტრირებულ დანშაულთა სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი. ვებგვერდი: http://police.ge/ge/useful-information/statistics/statistics1?page=16 (მოძიებულია: 01/07.2017)

2016 წლის დანაშაულის სტატისტიკა და მისი ხელმისაწვდომობა ვებგვერდი: https://idfi.ge/ge/2016_crime_statistics_and_access_to_information (მოძიებულია: 208/06/2017, 16:10)

პრეზიდენტის შეწყალების სამართლებრივი ასპექტები ვებგვერდი: ვებგვერდი: http://www.barristers.ge/public/uploads/docs/Daskvna_-_Prezidentis_Sheckalebis_Uplebamosileba.pdf (მოძიებულია: 28/06/2017, 17:17)

რეგისტრირებული დანაშაულის სატატისტიკა 2007 და 2008 წლების თორმეტივე თვე.http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi_new/geo/danashaulis%20statistika/2008-2009_saqart.dan/respfull.jpg (მოძიებულია: 01/07.2017)

საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ 28/10/2013 ვებგვერდი: http://police.ge/files/sajaro_informacia/policiis%20shesaxeb.pdf

საქართველოში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა და კვარტალური ანგარიში(იანვარი-მარტი,2012-2013.) police.ge ვებგვერდი:

http://police.ge/files/pdf/statistika%20da%20kvlevebi_new/geo/danashaulis%20statistika/2013/Crime_Statistics_Registered_in_Georgia_January-March-GEO%282%29.pdf

საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი. თბილისი, 2013 . ვებგვერდი : http://police.ge/files/pdf/policiis%20kodeqsi/Georgian%20Police%20Code%20of%20Ethics%20Georgian%20final.pdf

საერთაშორისო გამჭირვალობა. პოლიციის მიმართ ნდობა შემცირდა, პრეზიდენტის მიმართ- გაიზარდა ვებგვერდი: http://www.transparency.ge/blog/politsiisadmi-ndoba-shemtsirda-prezidentis-mimart-gaizarda?page=5 (ნანახია:30.06.2017. 02:42)

სადაღაშვილი, მ (2014). *პოლიციის რეფორმები და დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში.* სამაგისტრო ნშრომი. გვ. 70

ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2008-2011 წლებისათვის. საქართველოს მთავრობა. თბილისი, 2007 . ვებგვერდი: http://www.parliament.ge/files/budget-off/bdd-2008-2011.pdf (მოძიებულია: 02.07.2017)

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობა 2012 წლის არჩევნების შემდეგ. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ერთობლივი ანგარიში. 2014 წელი. გ.ვ. 32 ვებგვერდი:http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/shinagan%20saqmeta%20saministros%20mushaobis%20shepaseba%202012%20tslis%20archevnebis%20shemdeg.pdf (მოძიებულია 10.07.2017

ოფიციალური სტატისტიკით დანაშაული გაიზარდა ვეგვერდი: http://netgazeti.ge/law/20282/ (მოძიებულია: 28/06/2017, 16:06)

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის ხარისხი. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო და ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC).

საქართველოსა და ევროპოლს შორის ოპერატიული და სტარტეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა . 04.04.2017 შინაგან საქმეთ სამინისტროს ვებ გვერდი: http://police.ge/ge/saqartvelosa-da-evropols-shoris-operatuli-da-strategiuli-tanamshromlobis-shesakheb-shetankhmeba-gaformda/10530 (მოძიებულია 10.07.2017)

English Oxford Living Dictationaries. ვებგვერდი: https://en.oxforddictionaries.com/definition/police

CRRC - საქართველოს ბლოგი. ვებგვერდი: http://blog.crrc.ge/2016/06/blog-post.html (მოძიებულია: 28.06.2017. 16:48)

Ancient policing. *The History of Policing In The West.* ვებგვერდი: https://www.britannica.com/topic/police/The-history-of-policing-in-the-West .(მოძიებულია: 05.07.2017)

Bakonyi, E (2011) . *Trust Towards Democratic Institutions in Central and Eastern Europe after the Regime Change in 1989-1990 – with a Special Focus on Hungary*. Institute of Sociology and Social Policy, Corvinus University Budapest, p.20

Blind, P. K. (2006). *Building Tust in Government in the Twenty-First Century.* Review of Literature and Emerging Issues , 7th Global Forum on Reinventing Government Building Trust in Government 26-29 June 2007, Vienna, Austria . p.4

Community oriented police. ვებგვერდი: https://www.sandiego.gov/police/about/community (მოძიებულია: 05.07.2017)

Damico A. J. , Conway M.M., Damico S.S., (2000) *Patterns of Political Trust and Mistrust: Three Moments in the Lives of Democratic Citizens* . The University of Chicago Press is collaborating with JSTOR to digitize, preserve and extend access to Polity. p.4

DeLung J (2016). Is the Contemporary Police Culture a Result of the History of American Policing. ვებგვერდი:https://www.linkedin.com/pulse/contemporary-police-culture-result-history-american-jim-delung-phd (მოძიებულია: 05.07.2016)

Dunn, John (2008), *Trust and Political Agency,* Trust: Making and Breaking Cooperative Relations, From the Collections in The Bodlein Library University of Oxford. p.74

English Oxford Living Dictationaries. ვებგვერდი: https://en.oxforddictionaries.com/definition/police (მოძიებულია:02.07.2017)

Gaidytė, T. (2013). *Trust in mature and postcommunist*. sociopedia.isa , 2. VU University Amsterdam, The Netherlands . p.2

Gzirishvili, T (2015). *Who trusts the police in Georgia?* Caucasus Research Resource Centers. ვებგვერდი: http://crrc-caucasus.blogspot.com/2015/06/who-trusts-police-in-georgia.html (მოძიებულია: 02.07.201)

Marx, Gray T (1995) . *Police and Democracy.* Slightly longer version of an article in The Encyclopedia of Democracy ვებგვერდი: http://web.mit.edu/gtmarx/www/poldem.html (მოძიებულია: 09.07.2017)

Möllering, G. (2001), *The Nature of Trust: From Georg Simmel to a Theory of Expectation, Ineterpretation and Suspenson,* Sociology Vol. 35. No.2. pp. 403-420. Printed in the United Kingdom. p. 418

Mishler, W. (2001). *What are the origines of political trust*? Testing Institutional and. Comparative Political Studies,. p. 41

Neuman, M. (2012). *The Image of the Institution*. Journal of the American Planning Association, p.140

Newton, K. (2001), *Trust, Social Capital, Civil Society, and Democracy,* International Political Science Review (2001), Vol 22, No. 2, 201–214 p. 205

Newton, K. and Norris, P. (1999). *The Institutional Performance Model.* Confidence in Public Institutions: Faith, Culture or Performance. Harvard University, John F. Kennedy School of Government, p. 7. ვებგვერდი: https://www.hks.harvard.edu/fs/pnorris/Acrobat/NEWTON.PDF (მოძიებულია: 05.08.2017)

Hammarberg, T (2013). *Georgia in Transition* . Report on the human rights dimension: background, steps taken and remaining challenges . ვებგვერდი: http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/human_rights_2012/20130920_report_en.pdf (მოძიებულია: 07.07.2017)

Linde, J and Ekman J (2005) . *Public Support for Political Institutions in the New EU Member States* . Paper to be presented at the ECPR Joint Sessions, Workshop 9: The Performance of Democracy in Central Eastern Europe, Granada 14–19 April, 2005 . pp.5 ვებგვერდი: https://ecpr.eu/Filestore/PaperProposal/3a0c86f6-d665-4df9-b7a7-650f8299c607.pdf

Police: History. Encyclopedia.com. ვებგვერდი: http://www.encyclopedia.com/law/legal-and-political-magazines/police-history (მოძიებულია: 02.07.2017)

Public Opinion Survey Residents of Georgia. March – April 2016, ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/georgia_2016.pdf (მოძიებულია 30.06.2017. 02:20)

Public's Trust in the Police in Europe. Eurobarometer: European Commission's Standard Eurobarometer, Sping 2016, Page T36. ვებგვერდი: https://www.reddit.com/r/europe/comments/4wb283/infographic_publics_trust_in_the_police_in_europe/ (მოძიებულია: 05.07.2017)

Georgian National Voter Study August 31 - September 10, 2007 . ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2007%20November%208%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20August%2031-September%2010,%202007.pdf (მოძიებულია: 03.07.2017)

Georgian National Study, September 23 – October 1, 2008 , ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2008%20November%2021%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20September%2023-October%201,%202008(1).pdf (მოძიებულია:03.07.2017)

Georgian National Survey, February 21 – March 3, 2009. ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2009%20April%201%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20February%2021-March%203,%202009(1).pdf (მოძიებულია: 03.07.2017)

Georgian National Study, March 4 – 13, 2010 . ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2010%20May%203%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20March%204-13,%202010.pdf (მოძიებულია:03.07.2017)

Georgian National Survey, September 27 – October 7, 2010 . ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2010%20December%203%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20September%2027-October%207,%202010.pdf (მოძიებულია: 03.07.2017)

Georgian National Study , April 26 – May 4, 2011, ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2011%20June%2028%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20April%2026-May%204,%202011(1).pdf (მოძიებულია: 03.07.2017)

Georgian National Study, October 27 – November 11, 2011 . ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2012%20January%205%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion%2C%20October%2027-November%2011%2C%202011.pdf (მოძიებულია: 03.07.2017)

Georgian National Study, November 9 – 21, 2012. 2013 თებერვალი. ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2013_February_8_Survey_of_Georgian_Public_Opinion_November_9_21_2012.pdf (ნანახია: 30/06/2017. 04:56)

Georgian National Study, June 26 – July 4, 2012, ვებგვერდი: http://www.iri.org/sites/default/files/2012%20August%2020%20Survey%20Georgian%20Public%20Opinion%2C%20June%2026-July%204%2C%202012.pdf (ნანახია: 30/06/2017. 04:56)

The citizens of moldova don't trust the Poice . 2016 . https://en.crimemoldova.com/news/politics/the-citizens-of-moldova-don-t-trust-the-police/ (მოძიებულია: 05.07.2017)

დანართი:

სადსკუსიო გეგმა

მოქალაქეთა ნდობა პოლიციის მიმართ საქართველოში

1. თქვენი აზრით მოქალაქეთა ნდობას პოლიციის მიმართ რა ფაქტორები განაპირობებს?

2. თქვენ რამდენად ენდობით ახლანდელ პოლიციას და კმაყოფილი ხართ თუ არა დღევანდელი პოლიციის მუშაობით?

3. თქვენი აზრით საქართველოში პოლიციის საქმიანობა რამდენად გამჭვირვალეა?

4. როგორ შეაფასებდით პოლიციელთა ოპერატიულობას , რამდენად სწრაფად ხდება რეაგირება მომხდარ დანაშაულებზე?

5. ისეთი გახმაურებული საქმეები თუ გახსენდებათ, რომლის გამოძიებაც თავიდან დაიწყო და წარმატებით დასრულდა ?

6. თქვენი დაკვირვებით ამ ბოლო დროს კრიმინალის დონემ მოიმიტა თუ არა ? და რატომ?

7. თქვენი აზრით რა ძირითადი პრობლემებია დღეს ქართულ პოლიციაში და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ პრობლემების გადასჭრელად?

რესპოდენტთა სია:

სალომე დუნდუა, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ზვიად აბაშიძე, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

კოტე ჩოკორაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი

გურამ იმნაძე, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრის პროექტების კოორდინატორი

შოთა უტიაშვილი, რონდელის ფონდის უფროს მკვლევარი

Iv.Javakhishvili Tbilisi State University

Gogi Lataria

Citizens' trust towards police in Georgia

2003-2016

The Course Instructor: Professor Alexandre Kukhianidze

Mikheil Sadagashvili

Tbilisi, 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლია ქერდიკაშვილი

საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა, პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამების თვისებრივი ანალიზი(2012-2016 წლები)

პოლიტიკის მეცნიერება

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების

მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

თანახელმძღვანელი გიორგი მელიქიძე

თბილისი

2017

ანოტაცია

დღესდღეობით მსოფლიოში პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ ეკოლოგიური საკითხების განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეს პრობლემა საკმაოდ აქტუალურია, სათანადო ყურადღება მაინც არ ეთმობა, იმ მცდარი მიზეზის გამო, რომ ქვეყანაში მეტად პრიორიტეტული პრობლემები არსებობს.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა. რა პრობლემები იყო წლების წინ ამ საკითხთან დაკავშირებით და რა მდგომარეობაა ახლა. არიან თუ არა დაინტერესებულნი პოლიტიკური პარტიები ამ საკითხის აქტუალიზებით. სხვადასხვა მკვლევრების ნაშრომების განხილვით, ამ საკითხზე მომუშავე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთანსიღრმისეული ინტერვიუებით შევეცადე ნათლად გადმომეცა თუ რა მდგომარეობაა დღეისათვის საქართველოში ეკოლოგიური თვალსაზრისით.

სიღრმისეული ინტერვიუები არის საშუალება, რომ უშუალოდ იმ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების და ექსპერტების აზრი მოვისმინოთ, რომლებიც მუშაობენ აღნიშნულ თემაზე. გავიგოთ რა არის დაგეგმილი და რა ღონისძიებები ტარდება პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

როგორც კვლევისას გამოიკვეთა, საქართველოში ეკოლოგიური პრობლემების მიუხედავად, ეს საკითხი სათანადოდ არ არის წინ წამოწეული. ქვეყანაში არსებული მგომარეობა საგანგაშოა. გამოიკვეთა ყველაზე უფრო რთულად მოსაგვარებელი პრობლემები, ესაა: ატმოსფერული ჰაერის დაცვა, ხე-ტყის ჩეხვის პრობლემა, მტკნარი წყლების დაბინძურება. ასევე ყველაზე სამწუხარო რაც არის, ესაა მოსახლეობის არაინფორმირებულობა აღნიშნული საკითხის მნიშვნელობაზე. რამდენად აუცილებელია ჯანსაღ გარემოში ცხოვრება ჩვენი და ჩვენი შვილებისთვის.

სამწუხაროდ, საქართველოს რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, პოლიტიკოსები წინასაარჩევნო კამპანიის დროს ყურადღებას

ამახვილებენ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: უმუშევრობა, პენსიების ზრდა და ა.შ. ასეთი მძიმე გასაჭირის მქონე ერმა, ძნელია იფიქროს გარემოს დაცვაზე და მის შენარჩუნებაზე. მაგრამ, საბედნიეროდ, მაინც იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები პარტიებისგანაც და სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფებისგანაც. ასევე ოპოზიციური პარტიების აქტიურობა გვაძლევის იმის შესაძლებლობას, რომ მმართველი პარტია არ მოდუნდეს და აწარმოოს სხვადასხვა ღონიძიებები, რაც ჩვენი ჯანსაღი გარემოსთვის იქნება კარგი.

Annotation

Nowadays, the world's political parties pay great attention to consider ecological issues . Although this problem is quite relevant in Georgia, proper attention isn't paid to the wrong reason, that there are more priority problems in the country.

The goal of this master's thesis is to explore the ecological policy of Georgia.

What problems were several years ago on this issue and what the situation is now.Are political parties interested in actualizing this issue ?By reviewing the works of various researchers, with the representatives of political parties and experts working on this issue, I tried to make it clear what the situation in Georgia in environmental terms is.

In-depth interviews are able to directly hear the opinion of experts and representatives of political parties, who are working on this topic.Let's find out what is planned and what measures are taken to solve the problems.

As the study revealed, despite the ecological problems in Georgia, this issue is not properly promoted. The current situation in the country is alarming. The most difficult problems are identified: the protection of atmospheric air, the problem of timber forest, pollution of fresh water. What's most sad ting is that the population is not aware of the importance of this issue. How necessary it is to live in a healthy environment for our children and families.

Unfortunately, the difficult economic situation, the politicians during the election campaign focusing on the other, no less important issues, such as unemployment, pensions, etc., People with such severe tribulation can hardly think about environmental protection and maintenance. Fortunately, it is still planned to take various measures from parties and from various activist groups. The activities of the opposition parties also provide us with the possibility that the ruling party will not relax and conduct various activities that will be good for our healthy environment.

სარჩევი

ანოტაცია.....1

Annotation……....3

შესავალი.....5

თავი I თეორიული საფუძვლები 9

1.1 თეორიული ჩარჩო 9

1.2 ლიტერატურის მიმოხილვა.....12

თავი II კვლევის მეთოდები 21

2.1 მეთოდოლოგია 21

2.2 ოპერაციონალიზაცია 29

თავი III პარტიული პროგრამების მიმოხილვა.....32

თავი IV კვლევის შედეგები 38

4.1 ქართული ოცნება 38

4.2 მწვანეთა ფრაქცია 44

4.3 ნაციონალური მოძრაობა 51

4.4 ლეიბორისტული პარტია.....59

4.5 ბურჯანაძე და დემოკრატები 63

4.6 მწვანე მუშტი.....68

4.7 მწვანე ალტერნატივა.....71

4.8 პარტიზანი მებაღეები.....72

დასკვნები და რეკომენდაციები 73

გამოყენებული ლიტერატურა 76

დანართი.....78

შესავალი

გარემოს დაცვის საკითხი 21-ე საუკუნეში უფრო და უფრო აქტუალური ხდება წამყვანი ქვეყნებისათვის და მაშასადამე მთელი მსოფლიოსთვისაც. ეს განაპირობა იმან, რომ იგრძნობა გლობალური დათბობის შედეგები და გარკვეული რესურსების ნაკლებობა, რისმა შემცირებამაც შეიძლება წარმოუდგენელი ზიანი მიაყენოს მსოფლიო ეკონომიკას. საქართველოშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საკმაოდ აქტუალურია გარემოს დაცვაზე ზრუნვა და ვფიქრობ, დღითიდღე უფრო და უფრო წინ იწევა ეს საკითხი. მივესალმები იმ ფაქტს, რომ ნაგვის დაყრაზე დაწესდა ჯარიმა, ეს ერთადერთი გზაა, რომ ქალაქი დავიცვათ დაბინძურებისგან.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მხრივ საკმაოდ რთულად გვაქვს საქმე, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში რამდენიმე პარტიამ წინასაარჩევნო პროგრამებში შეიტანა გარემოსდაცვითი საკითხები, რაც ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტურობისთვის. ქვეყანაში საჭიროა აქტიური ეკოლოგიური პოლიტიკის გატარება. რაც იმის გარანტი იქნება, რომ საზოგადოება მეტად ინფორმირებული შეიქმნება მსგავსი საკითხებით და უფრო მეტად დაინახავს თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხი.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან, სამრეწველო და ენერგეტიკული ობიექტებიდან წარმოებული გაფრქვევების შედეგად ბინძურდება. ამათგან მთავარი ურბანული დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი, რომელიც ყველაზე დიდ ზიანს აყენებს გარემოს.

პირველი გარემოსდაცვითი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა დამოუკიდებლობის პირობებში და საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა (2000 წ.) ითვალისწინებდა ღონისძიებების განხორციელებას 2000–2004 წლების პერიოდისთვის. ამ დოკუმენტში ურბანულ დასახლებებში ატმოსფერული

ჰაერის დაბინძურება ერთ–ერთ პრიორიტეტულ გარემოსდაცვით პრობლემად განიხილებოდა და ამ პრობლემასთან დაკავშირებით, პროგრამა ითვალისწინებდა ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა:

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის, განსაკუთრებით–ელექტროტრანსპორტის, ხვედრითი წილის ზრდა და მისი მუშაობის გაუმჯობესება;
- სატრანპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვის კონტროლის სისტემის გაუმჯობესება;
- საწვავის ხარისხის კონტროლის გაძლიერება;
- ახალი ნორმების დაწესება სატრანსპორტო საწვავის ხარისხზე და საგზაო სატრანსპორტო საშუალებებიდან მავნე გამონაბოლქვებზე;

ხოლო გრძელვადიან პერიოდში ამ ნორმების ჰარმონიზაცია ევროკავშირის ნორმებთან და სტანდარტებთან :

- საავტომობილო მოძრაობის მოწესრიგება დაოპტიმიზაცია, მოძრაობის წესების დაცვა, სადგომების რაციონალური მოწყობა.

საქართველოს იმდროინდელ მთავრობაში სათანადო პოლიტიკური ნების არარსებობის, ფინანსური რესურსების სიმცირის დასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო გარემოს დაცვის პირველი ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების უმრავლესობა 2000–2004 წლებში რეალურად არ განხორციელებულა. შემდგომ პერიოდში კი 2012 წლამდე ვერ მოხერხდა გარემოს დაცვის მეორე ეროვნული პროგრამის მიღება საქართველოს მთავრობის მიერ. ამ პროგრამის მიღება მხოლოდ 2012 წლის იანვარში გახდა შესაძლებელი და ითვალისწინებს ღონისძიებების განხორციელებას 2012–2016 წლებში. ჰაერის ხარისხთან დაკავშირებით პროგრამის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის უსაფრთხო ჰაერის ხარისხის უზრუნველყოფა. ამისთვის კი საჭიროა გარკვეული მიზნების განხორციელება, იმისთვის რომ სასურველი შედეგი იქნას მიღწეული:

1. მონიტორინგის არსებული ქსელის სრულყოფა და მისი ეტაპობრივი ავტომატიზაცია, რაც შესაძლებელს გახდის ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობას და მასზე ზემოქმედების ძირითადი ფაქტორების შეფასებას;

2. სამრეწველო გაფრქვევების შემცირება, საწარმოთათვის ახალი, მოწინავე, ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის და გარემოზე ზემოქმედების ნებართვით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების კონტროლის უზრუნველყოფის გზით;

3. საავტომობილო გაფრქვევების ეტაპობრივი შემცირება სათანადო მექანიზმების განხორციელებითსაერთაშორისო პრაქტიკის კონტროლის უზრუნველყოფის გზით.

ზემოთ აღნიშნულიდანჩანს, რომესპრობლემაძალიანაქტუალურიასაქართველოში, განსაკუთრებითისეთქალაქებში, სადაცდიდი რაოდენობით სატრანსპორტო საშუალებამოძრაობს.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მთავარ თემას წარმოადგენს საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა, რამდენად ამახვილებენ ყურადღებას საქართველოში პოლიტიკური პარტიები ამ საკითხზე და შეტანილი აქვთ თუ არა „მწვანე“ საკითხები წინასაარჩევნო პროგრამებში.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ანგარიშის თანახმად, ყოველწლიურად ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული მიზეზების გამო, მსოფლიოს მასშტაბით 6,5 მილიონი ადამიანი იღუპება. 2012 წლის მონაცემებით, ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი საქართველოში დაფიქსირდა. ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად, შესაბამისი ზომების მიღებაა საჭირო.

საერთაშორისო კონვენციებისა და ნორმატიული აქტების გარდა უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც განსაზღვრავს (მუხლი 37) ქვეყნის ყველა მოქალაქის უფლებას ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობით და ამავე დროს, აკისრებს ვალდებულებას დაიცვას იგი.

ნაშრომი ეყრდნობა მაიკლ კრაფტისა და ნორმან ვიგის თეორიას. (Environmental Values and Public Policy) რაც უფრო მეტად მიექცევა ყურადღება მთავრობის მხრიდან ეკოლოგიურ პრობლემებს, მით უფრო გაიზრდება ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკის ეფექტურობა. კრაფტი და ვიგი განიხილავენ პუნქტებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვით ღონისძიებებთან.

მიზნები:

ჩემი მიზანია, გამოვიკვლიოსაქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა. ეკოპოლიტიკასთან დაკავშირებული რა პრობლემები იყოწლების წინ და რა ღონისძიებები ტარდება მთავრობის მხრიდან ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. რა პროგრამებს გეგმავენ პარტიები წინასაარჩევნო პერიოდში ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად. განხორციელდა თუ არა ისეთი ცვლილებები, რამაც დადებითად იმოქმედა ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიაზე.

ამოცანები:

იმ პროგრამების მოძიება, რომელზეც მუშაობენ პარტიები გარემოს დაცვის კუთხით, პრობლემების შესახებ მსჯელობა და ამ თემით დაინტერესებულ მკვლევართა შეხედულებების გაანალიზება.

საკვლევი კითხვა:

საკვლევი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: განაპირობებს თუ არა ოპოზიციური პარტიების მიერ წინასაარჩევნო პროგრამებში ჩართული ეკოლოგიური საკითხები ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკის ეფექტურობას?

ჰიპოთეზა:

რაც უფრო აქტიურად განიხილება ეკოლოგიური საკითხები წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციური პარტიების მიერ, მით უფრო ეფექტურია ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკა. ჰიპოთეზიდან გამომდინარე შეგვიძლია განვსაზღვროთ ცვლადები:

დამოუკიდებელი ცვლადი- წინასაარჩევნო პერიოდში ოპოზიციური პარტიების მიერ ეკოლოგიური საკითხების განხილვა.

დამოკიდებული ცვლადი- ეკოლოგიური პოლიტიკის ეფექტურობა.

კვლევის მეთოდი:ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი: სიღრმისეული ინტერვიუები, გამოვიყენე თოვლის გუნდის მეთოდი, რესპოდენტმა გადამამისამართა თავის კოლეგასთან, რამაც საკმაოდ საინტერესო გახადა ჩემი კვლევა. მოვისმინე, უშუალოდ, პოლიტიკური პარტიების წევრებისგან აზრი, იმ პირებისგან, რომლებიც ჩართულნი არიან გარემოდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვაში. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ეკოლოგიურ პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა მეცნიერთა ნამუშევრები.

I.თეორიული საფუძვლები

1.1 თეორიული ჩარჩო

რაც შეეხება თეორიულ მიდგომას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსურს გამოვიკვლიო საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა, მოვიძიო ყველა ის პროგრამა, რომელზეც მუშაობენ პარტიები გარემოს დაცვის კუთხით და ასევე ვიმსჯელო ამ ყველაფერთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ.

მინდა ავღნიშნო, რომ ეს თემა მარტო საქართველოსთვის არ წარმოადგენს პრობლემურ საკითხს. შეგვიძლია ვისაუბროთ ნორმან ვიგისა და მაიკლ კრაფტის მიერ შემოთავაზებულ 13 პუნქტის შესახებ გარემოსდაცვით ღონისძიებებზე (Vig and Kraft, 2000.pp:77-97). მაიკლ კრაფტისა და ნორმან ვიგის აზრით, გარემოსდაცვითი ღირებულებები უპირატესია ამერიკულ კულტურაში, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ხშირად ხდებოდა კონფლიქტი აშშ–ს კონგრესში და შტატების

საკანონმდებლო ხელისუფლებაში. იმართებოდა დებატები იმაზე, თუ რომელი ასპექტია უფრო მნიშვნელოვანი და მთავარი ყურადსაღები გარემოსდაცვით მოძრაობაში.

ნორმან ვიგმა და მაიკლ კრაფტმა ჩამოაყალიბეს 13 მთავარი პუნქტი, შემდგომში მოხდა ამ პუნქტების განვითარება. გთავაზობთ ამ პუნქტებიდან იმ ორს, რომელიც ახლოსაა ჩემს ჰიპოტეზასთან:

1. ეკოლოგიური სირთულეები პოლიტიკაში წინ არის წამოწეული.
2. კავშირი ადამიანურ ცხოვრების ხარისხსა და ჯანმრთელობას შორის, რაც მოიცავს დიეტას, სავარჯიშოებს ადამიანის ჯანსაღი ცხოვრებისთვის.

რაც უფრო მეტად მიექცევა ყურადღება მთავრობის მრიდან ეკოლოგიურ პრობლემებს, მით უფრო გაიზრდება ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკის ეფექტურობა.

მაიკლ კრაფტის და ნორმან ვიგის 13 პუნქტი გადაიხედა და ყველაზე მნიშვნელოვანი 3 ძირითადი ასპექტი ჩამოყალიბდა, რომელიც ვფიქრობ, მართლაც უმთავრესია ეკოლოგიური პოლიტიკის გატარების დროს:

1. მრავალფეროვნების დაცვა, ეკოლოგიური სისტემებისა და უდაბნოების;
2. ადამინის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა;
3. იმ მოდელების დაფუძნება და გამოქვეყნება, რომლებიც არის მდგრადი.

პირველი პუნქტი შეეხება იმას, რომ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი ხე–მცენარე დავრგოთ ჩვენს გარშემო. ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ჯანმრთელი გარემო შემოვიფარგლოთ ჩვენს გარშემო.

მეორე, ასევე უმთავრესი არის ჯანმრთელობა, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჯანსაღ გარემოში ვცხოვრობთ. თანამედროვე ცხოვრებაში საკმაოდ დაუცველები ვართ ქიმიური ნივთიერებებისგან. ამიტომ საჭიროა ჩვენ მაინც შევუწყოთ ხელი საკუთარ თავს, იმისთვის რომ ვიცხოვროთ ჯანმრთელად, თუნდაც ჯანსაღი საკვებით და რეჟიმით ცხოვრებით.

მესამე, ბოლო ხანებში ნაკლებად ექცევა ყურადღება გარემოს დაცვას და მდგრად განვითარებას, მაგრამ შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი ესაა, რადგან ეკოლოგიაზე და ჯანმრთელობაზე მეტად გულისხმობს ინდუსტრიული საზოგადოების პირდაპირ ტრანსფორმაციას.

ეკოლოგია და გარემოსდაცვითი პოლიტიკა დაკავშირებულია ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობასთან. საკმარის არეალს აძლევს არაეკოლოგიურ და არაბუნებრივთან დაკავშირებულ პრინციპებს.

კვლევაში ნათლად ჩანს, რომ ადამიანებმა უნდა გავითავისოთ, რომ ბუნება არის ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი და ვისწავლოთ მისი მოვლა და გაფრთხილება, ნაცვლად იმისა, რომ ვიყოთ ზემოქმედნი მასზე.

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ შედგეს ბუნების და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულება. ყველანაირი მეთოდებით, ინფორმაციული იქნება ეს თუ აქტივისტური. გამომდინარე იქიდან, რომ ამ თემაზე მომუშავე ავტორები ძირითადად ყურადღებას ამახვილებენ გარემოსა და ადამიანის ურთიერთობებზე. აქვს თუ არა ადამიანებს გააზრებული სუფთა და ჯანსაღი გარემოს აუცილებლობა, რადგან ეს არის უმნიშვნელოვანესი ჩვენი მომავლისთვის. ზოგადად, როგორც კვლევაში ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აღარ მოხდეს ადამიანის და ბუნების ერთმანეთისგან გამიჯვნა, უნდა გავიაზროთ, რომ ბუნება ისევე გვჭირდება საარსებოდ როგორც წყალი, საკვები და ა.შ.

1.2 ლიტერატურის მიმოხილვა

ამ თავში განვიხილავ ექსპერტების მიერ გამოკვლეულ იმ საკითხებს, რომელზეც ვწერ ნაშრომს. პირველ რიგში, მინდა ავღნიშნო, რომ ეს თემა მარტო საქართველოსთვის არ წარმოადგენს პრობლემურ საკითხს. შეგვიძლია ვისაუბროთ, ნორმან ვიგისა და მაიკლ კრაფტის მიერ შემოთავაზებულ 13 პუნქტის შესახებ გარემოსდაცვით ღონისძიებებზე (Vig and Kraft eds, 2000. pp:77-97)

ნორმან ვიგმა და მაიკლ კრაფტმა ჩამოაყალიბეს 13 მთავარი პუნქტი, შემდგომში მოხდა ამ პუნქტების განვითარება. გთავაზობთ ამ პუნქტებიდან იმ ორს, რომელიც ახლოსაა ჩემს ჰიპოტეზასთან:

3. ეკოლოგიური სირთულეები პოლიტიკაში წინ არის წამოწეული.
4. კავშირი ადამიანურ ცხოვრების ხარისხსა და ჯანმრთელობას შორის, რაც მოიცავს დიეტას, სავარჯიშოებს ადამიანის ჯანსაღი ცხოვრებისთვის.

რაც უფრო მეტად მიექცევა ყურადღება მთავრობის მრიდან ეკოლოგიურ პრობლემებს, მით უფრო გაიზრდება ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკის ეფექტურობა.

მაიკლ კრაფტის და ნორმან ვიგის 13 პუნქტი გადაიხედა და ყველაზე მნიშვნელოვანი 3 ძირითადი ასპექტი ჩამოყალიბდა, რომელიც ვფიქრობ, მართლაც უმთავრესია ეკოლოგიური პოლიტიკის გატარების დროს:

4. მრავალფეროვნების დაცვა, ეკოლოგიური სისტემებისა და უდაბნოების;
5. ადამინის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა;
6. იმ მოდელების დაფუძნება და გამოქვეყნება, რომლებიც არის მდგრადი.

პირველი პუნქტი შეეხება იმას, რომ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი ხე–მცენარე დავრგოთ ჩვენს გარშემო. ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ჯანმრთელი გარემო შემოვიფარგლოთ ჩვენს გარშემო.

მეორე, ასევე უმთავრესი არის ჯანმრთელობა, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჯანსაღ გარემოში ვცხოვრობთ. თანამედროვე ცხოვრებაში საკმაოდ დაუცველები ვართ ქიმიური ნივთიერებებისგან. ამიტომ საჭიროა ჩვენ მაინც შევუწყოთ

ხელი საკუთარ თავს, იმისთვის რომ ვიცხოვროთ ჯანმრთელად, თუნდაც ჯანსაღი საკვებით და რეჟიმით ცხოვრებით.

მესამე, ბოლო ხანებში ნაკლებად ექცევა ყურადღება გარემოს დაცვას და მდგრად განვითარებას, მაგრამ შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი ესაა, რადგან ეკოლოგიაზე და ჯანმრთელობაზე მეტად გულისხმობს ინდუსტრიული საზოგადოების პირდაპირ ტრანსფორმაციას.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია მაქვს ჯონ ბარის კვლევა „მწვანე ეკოლოგიური თეორია“, (Barry, 2014 pg: 1-12)

რომლის მიხედვითაც ეკოლოგია ან მწვანე პოლიტიკური თეორია არის უახლესი პოლიტიკურ აზროვნებაში. პირველ რიგში, საყურადღებოა ის საკითხები, რომლებიც ძალიან ძველიაპოლიტიკაში და ფილოსოფიურ კვლევებში-როგორიც არის ურთიერთობა ადამიანურსა და არაადამიანურ მსოფლიოს შორის, ცხოველთა სტატუსი და ა. შ. მეორეს მხრივ, ასევე ხასიათდება წამყვანი სპეციფიური მნიშვნელოვანი საკითხებით, როგორიც არის კლიმატის ცვლილების ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა, რესურსის ზედმეტი მოხმარება. ძალიან ფართოა პოლიტიკის სკოლის აზროვნება, რომელიც მოიცავს მრავალფეროვან ინტერესებს, ასევე მოიცავს სხვადასხვა ქვე-პუნქტებს მწვანე აზროვნებაში და კომბინირებულია ნორმატიულ და ემპირიულ მეცნიერულ ელემენტებთან გამორჩეული მანერით, იმისთვის, რომ გამხდარიყო გამორჩეული სხვა დანარჩენი პოლიტიკური იდეოლოგიებისგან.

ძალიან ბევრი საკითხებია გამოყენებული იმისთვის, რომ აღწერო მწვანე პოლიტიკური თეორია, ის მერყეობს ეკოლოგიასა და გარემოს დაცვას შორის. ეს არის ან ეკოლოგიურ-პოლიტიკური თეორია ან გარემოს დაცვითი-პოლიტიკური თეორია. (Barry and Dobson, 2003). ორივე, ეკოლოგია და გარემოსდაცვა სანამ მივა იმ დონემდე, რომ იყოს ერთი, ორი განსხვავებული თვისების მქონე მწვანე თეორიის-სახელდობრ, ის ორიენტირებულია ორივე, მატერიალურ/მეტაბოლისტურ განზომილებასთან, ადამიანურ და არაადამიანურ ურთიერთობებზე, როგორც არაჰუმანური მსოფლიოს ეთიკურ და პოლიტიკურ სტატუსზე. შესაძლოა მისი უფრო ვიწრო გაგება: აქ

იგულისხმება, რომ ეკოლოგია ან გარემოსდაცვითი პოლიტიკური თეორია დაკავშირებულია ბუნების და ადამიანის ურთიერთობებზე. საშუალებას აძლევს საკმარის არეალს არაეკოლოგიურ და არაბუნებრივთან დაკავშირებულ პრინციპებს. ეს კონკრეტულად არის შემთხვევა მწვანე პოლიტიკური თეორიის ინტრა ადამიანური განზომილების გასაგებად და შესაფსებლად.

ხშირად განასხვავებენ ლიტერატურაში გარემოს დაცვასა და ეკოლოგიას. გარემოს დაცვის მითითებისას წარმოგვიდგება ერთადერთი საკითხი მწვანე პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ მასთან. მაგალითად: დაბინძურება და რესურსის მართვა. და ეკოლოგია მთლიანად მიჩნეულია პოლიტიკურ იდეოლოგიად, თავისი არა-გარემოსდაცვითი ინტერესებით.

მწვანე პოლიტიკური თეორია გამოიყენება, როგორც შესაბამისი ტერმინი სანამ ეკოლოგია გადაიტანება განსაზღვრულ, შესაბამის აზრზე, რომ მწვანე პოლიტიკა არის ფართოდ დაკავშირებული ადამიანურ და არაადამიანურ ურთიერთობებთან. ამიტომ ეს ნაწილი მოიცავს მწვანე პოლიტიკურ თეორიას, ნაცვლად ეკოლოგიის, როგორც მეტად მიკერძოებულ და შემცველ კატეგორიად მწვანე პოლიტიკისა, რომელიც აღიარებს უნიკალურობას და ყურადღებას ბუნებაზე.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ დამარცხდეს ადამიანისა და ბუნების გამიჯვნა და ადამიანის ილუზია იმაზე, რომ არის ბუნებაზე ზემდგომი. მწვანე პოლიტიკური თეორია შეიძლება დავინახოთ, როგორც მცდელობა იმისა, რომ ვასწავლოთ ადამიანებს, რომ დედამიწაზე არიან დამოკიდებულნი. ეკოლოგიის მეცნიერება მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმის დამტკიცებაში, რომ ადამიანი ცხოველის ერთ-ერთი სახეობაა. გადამწყვეტია მწვანე პოლიტიკის მნიშვნელობა, ის გვიჩვენებს თუ რას მოიცავს „გამწვანება“. მეორე ამასთან დაკავშირებული პუნქტი არის ის, რომ მწვანე სოციალური თეორია კულტურის და ბუნების გახლეჩვის საზღვარი იწყება ადამიანების ხედვაზე დაფუძნებული ანალიზით.

მესამე საკითხი, რომელსაც მწვანე პოლიტიკური თეორია მოიცავს არის გზა, რომელშიც სოციალური გარემოსდაცვითი ურთიერთობა არ არის მნიშვნელოვანი

ადამიანურ საზოგადოებაში. სოციალური თეორია არ არსებობს საზოგადოებრივი თეორიის გარეშე და ადამიანური საზოგადოების ბუნებრივი კონტექსტი და განზომილება არის ცენტრალური ასპექტი თეორიის. იგი ყურადღებას ამახვილებს ადამიანური საზოგადოების ბუნებრივ წარმოშობაზე და მწვანე, შესაბამისად არის, მატერიალისტური, განსხვავებული და გაცილებით ფუნდამენტური, სრულიად განსხვავებულად, ვიდრე ეს მარქსის თეორიაშია. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, მწვანე პოლიტიკური თეორია თავის თავს მიაკუთვნებს გარე და შიდა ბუნებრივ კონდიციებს ადამიანისა და სოციალური ცხოვრების, მაშინ როცა „მატერიალური ბაზა“ მარქსის თეორიაში არის, ძირითადად, ეკონომიკური და არა ბუნებრვი. შესაბამისად მეტაბოლიზმის მწვანე გაგება მოიცავს ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესს. რაც უფრო მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ბუნებრივი ბიომრავალფერონება, რესურსები და ენერგია და წინაპირობაა ყველა ადმიანის ეკონომიკური აქტივობის. ეკონომიკა, როგორც ჩანს, არის განსაკუთრებული ინტერესი. მწვანე პერსპექტივიდან გამომდინარე, იქიდან, რომ ის არის ცენტრი მატერიალური მეტაბოლიზმის ადამინსა და არა-ადამიანს შორის და როგორც ჩანს, მთავარი ასპექტი მწვანე პოლიტიკის თოერიისა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ გვესმის ჩვენ ეკონომიკა და ეკონომია.

მეოთხე საკითხი, მწვანე თეორიის შესახებ არის მორალური საჭიროება, ჩვენი ურთიერთბა ბუნებრივ გარემოსთან, რაც ქმნის მწვანე მორალურ თეორიას.

პირველი ტალღა მწვანე პოლიტიკური თეორიის იყო თავდაპირველად განხილული განმასხვავებელი ეკოლოგიის, როგორც იდეოლოგიის და მწვანე პოლიტიკური თეორიის, როგორც განმასხვავებელი მიდგომა პოლიტიკასთან.

მეორე ტალღა, ეკოლოგიურ აზროვნებაში იყო დახასიათება და დებატებით დაკავშირება მწვანე პოლიტიკური თეორიისა და სხვა სკოლებს შორის როგორიც არის ლიბერალიზმი, ფემინიზმი, სოციალიზმი, ისევე როგორც ფოკუსირება სხვადასხვა პოლიტიკურ აზროვნებაში, როგორიცაა დემოკრატია და ა. შ.

რაც შეიძლებ ითქვას „მესამე თაობად“ მწვანე პოლიტიკურ აზროვნებაში არის ცხადი და აშკარად ინტედისციპლინარული და გამოყენებულია მწვანე ეკონომიური იდეები.

მწვანე პოლიტიკური თეორია შეიძლება გაგებული იქნას, როგორც გამოყენებითი პოლიტიკური თეორია, ის აზიარებს თავის სახასიათო ნიშანს სხვა იდეოლოგიებთან, ყველასთან, რომლებიც ცდილობენ, რომ განასხვაონ და შეცვალონ მსოფლიო ან საზოგადოება თავიანთი საკუთარი პოლიტიკური პრინციპების გამოყენებით. მთავარი ამოცანა პოლიტიკური თეორიის მეთოდის არის ის, რომ გააანალიზო სხვადასხვა ძირითადი პოლიტიკური ან ეთიკური პრინციპები-დემოკრატია, მოქალაქეობრიობა და ა.შ. მაგალითად: გაგება იმისა, თუ რა მომდინარეობს მათგან, გვაძლევს ემპირიულ რეალობას სიტუაციისა, რომლის წინაშეც დღეს დგას კაცობრიობა ან კონკრეტული ადამიანთა საზოგადოება. ეს არის ის, რომ გამოიკვლიო თუ რამდენად კარგად დაფუძნდა საჯარო პოლიტიკა ხმარებაში.

გარემოსდაცვთი მმართველობის გაუმჯობესება მრავალ სხვადასხვა მიმართულებას მოიცავს, როგორიცაა: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ევროპულ სტანდარტებზე მორგებული სისტემის დანერგვა, გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის ზრდა, გარემოსდაცვითიგანათლება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და საერთაშორისო გარემოსდაცვით ინიციატივებში მონაწილეობა, მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ საერთაშორისო სტანდარტებთან ეტაპობრივი ჰარმონიზება.

გარემოს დაბინძურების გლობალური პროცესი დღეს სამართლიანად იპყრობს კაცობრიობის ყურადღებას და განსაკუთრებული სიმძაფრით აყენებს საკითხს დიდი ქალაქებისა და მრეწველობის მსხვილი ცენტრების ატმოსფეროს სანიტარული მდგომარეობის შესახებ. ტექნიკური პროგრესის შესაბამისად მავნე ნივთიერებათა

გაფრქვევების რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება და ცალკეულ კომპონენტთა კონცენტრაციები ბევრად აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემის გადასაწყვეტად ქვეყნები ადგილობრივ, ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე ატარებენ კომპლექსურ ღონისძიებებს ადმინისტრაციული თუ საბაზრო მექანიზმების გამოყენებით. მათ შორის გარემოს ხარისხობრივი და ემისიების მკაცრი ნორმების დაწესებით, ეფექტური საკანონმდებლო სისტემების შექმნით.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს აუცილებელია მიღებულ იქნას სათანადო ზომები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნეზე მოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. გარემოსდაცვითი სამართლებრივი ბაზა მოიცავს, როგორც საქართველოს კანონებს და კანონქვემდებარე აქტებს, ასევე საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებს.

ნაშრომში გამოყენებული მაქვს ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მიერ ჩატარებული კვლევა: „გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ინსტიტუციური მოწყობის და რეგულირების მექანიზმების ხარვეზების ანალიზი.“ ამ კვლევაში იკვეთება ერთ–ერთი ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, რომელიც ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთანაა დაკავშირებული.

ევროგაერთიანების ქვეყნების მე-6 გარემოს დაცვის სამოქმედო პროგრამა 2001-2010 “გარემო 2010: ჩვენიმომავალი, ჩვენი არჩევანი”ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას ერთ-ერთ პრიორიტეტულ პრობლემად განიხილავს და მიზანად ისახავს “ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას იმ დონემდე, რომ არ არსებობდეს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება და დაუშვებლად მაღალი რისკი ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის”. ამ მიზნის მისაღწევად ევროგაერთიანებამ 2005 წელს დაამტკიცა ჰაერის დაბინძურების თემატური სტრატეგია და დაიწყო “სუფთა ჰაერი ევროპისათვის” პროგრამის განხორციელება. ეს პროგრამა ისახავს კონკრეტულ მიზნებს 2020 წლისთვის ჰაერის ხარისხის გასაუმჯობესებლად და განსაზღვრავს, თუ რა ღონისძიებები უნდა

განხორციელდეს მათ მისაღწევად. ევროგაერთიანების სტრატეგია ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში, ძირითადად, ორიენტირებულია შედეგზე.

ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ უამრვი ღონისძიება ტარდება იმისთვის, რომ ატმოსფერული ჰაერის სიჯანსაღეზე ვიზრუნოთ მაინც ძალიან ბევრი დამაბრკოლებელი ფაქტორია, მაგალითად უხარისხო საწვავი, რომელიც საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. უხარისხო საწვავი ორმაგად საზიანოა ჰაერისთვის. სწორედ ამისთვისაა საჭირო მოსახლეობის ინფორმირებულობა და ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების უზრუნველყოფა.

კვლევაში მოცემულია საქართველოს მდგომარეობაც. 1999 წელს მიღებული კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ.“ეს კანონი განსაზღვრავს იმ მარეგულირებელ და მართვის მექანიზმებს, რომლებიც უნდა გამოიყენებოდეს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით ქვეყანაში. კანონის მიხედვით (2012 წლის რედაქციით), ეს მექანიზმები მოიცავს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ნორმებს, სტაციონარული, მოძრავი და დისპერსიული წყაროებიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის სახელმწიფო რეგულირებას, საწვავის ხარისხის ნორმებს, ჰაერის ხარისხის მონიტორინგს, და ა.შ.

ისევე როგორც ევროგაერთიანების ქვეყნებისთვის, საქართველოსთვისაც ეკოლოგიური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია ატმოსფერულ ჰაერზე ზრუნვა, რადგან როგორც ვხედავთ, ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული მასზე.

საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ ითვალისწინებს რიგი გარემოსდაცვითი მექანიზმების გამოყენებას, ჰაერის ხარისხის მართვის მიზნით. ამ მექანიზმებიდან ზოგიერთი მოქმედებს პრაქტიკაში, ზოგიერთი მათგანი კვლავაც აუმოქმედებელი რჩება შესაბამისი კანონმდებლობის ან კანონქვემდებარე აქტების მიუღებლობის, ასევე ქვეყანაში სათანადო ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური შესაძლებლობების არარსებობის გამო. ზოგიერთი ე.წ. გარემოსდაცვითი ინსტრუმენტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება მოწინავე ქვეყნებში, საქართველოში არც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული და არც პრაქტიკაში გამოიყენება.

როგორც ვხედავთ, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა იმაზე მუშაობა, რომ ატმოსფერული ჰაერის სისუფთავე და სიჯანსაღე შეგვენარჩუნებინა. ეკოლოგია არ

მოიცავს მხოლოდ ატმოსფერული ჰაერის დაცვას, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არის უმნიშვნელოვანესი, რის შემდეგაც მოდის სხვა ყველაფერი.

1996 წელს, გერმანიაში შეიქმნა ჰაინრიხ ბიოლის ფონდი (ჰბფ). ამ ფონდის მიზანია თითოეული მოქალაქის სოციალური ჩართულობა და საზოგადოების ეკოლოგიური ტრანსფორმაცია. როგორც **მწვანე იდეების სააგენტო,** საზოგადოების ყურადღება მიპყრობილი აქვთ ისეთი თემებით, როგორებიცაა რესურსების დაზოგვაზე დაფუძნებული მობილობით და ეკოლოგიური ურბანული განვითარებით.

ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, როგორც გლობალური მწვანე ქსელის ნაწილი, თანამშრომლობს საერთაშორისო გაერთიანებებთან. მათი მიზანია, გააძლიერონ ალიანსები, რომლებიც ატომური ენერგეტიკის წინააღმდეგ გამოდიან და განახლებად ენერგოწყაროებს უჭერენ მხარს. ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით ცდილობენ არასწორი პროცესების და მცდარი მიმართულებების თავიდან არიდებას. (იქნება ეს გეოინჟინერია, მეცხოველეობის ფაბრიკები, გენური ინჟინერია, დიდი კაშხლები თუ სხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები) მათი ამოცანაა: განვითარების ალტერნატიული გზების მხარდაჭერა.

ეკოლოგია, ყველაფერთან ერთად, სამართლიანობის ფუნდამენტურ საკითსაც უკავშირდება: აქ საქმე გვაქვს მომავალი თაობების საარსებო შანსებთან, ანუ თაობათა შორის სამართლიანობასთან. ინდუსტრიული საზოგადოების ტრანსფორმირებას აქვს შიდა სოციალური სამართლიანობის განზომილება: რა დინამიკით ვითარდება ენერგომატარებლების ფასები და მობილურობასთან დაკავშირებული ხარჯები? ვისი ინტერესები არ არის გათვალისწინებული ტრანსფორმაციის სცენარებში? მწვავდება თუ არა ამის გამო უთანასწორობა? ამავდროულად ლაპარაკია ასევე სამართლიან ბალანსზე, ერთისმხრივ, ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ ჩრდილოეთ ევროპასა და ამერიკას - რომლებზეც მოხმარებული ბუნებრივი რესურსების და, შესაბამისად ემისიების ლომის წილი მოდიოდა და, მეორემხრივ, ეგრეთწოდებულ გარდამავალი ეკონომიკის და განვითარებად ქვეყნებს შორის, რომლებზეც ეკოლოგიური კრიზისის ნეგატიური შედეგები ყველაზე მტკივნეულად აისახება.

საქართველოში მიმდინარე ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ გარემოზე. დღეს, საქართველოს ხელისუფლება მისდევს იმ მოძველებულ, დრომოჭმულ პოლიტიკას, რომლის მიხედვით ჯერ უნდა მოხდეს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და სივრცეების მასობრივი ათვისება, დაგროვდეს საკმარისი დოვლათი განვითარებისთვის, ხოლო შემდგომ დაიწყოს გარემოს მოვლაზე ფიქრი. „განვითარების“ ამგვარი სქემა ჩვეულებრივ დამახასიათებელია მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის, ხოლო ურყევი ფაქტი რომ გარემოს დეგრადაციით მიღებული შემოსავალი მის აღდგენას არ ჰყოფნის, როგორც წესი, ქართულ რეალობაში იგნორირებულია.

საქართველოს რამდენიმე ქალაქი (თბილისი, ჭიათურა, ტყიბული, საგარეჯო), დაბა (კაზრეთი) და რეგიონი (აჭარა, სვანეთი) დღითიდღე უახლოვდება ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარს. ის გახშირებული ბუნებრივი სტიქიები (მაგალითად 2015 წლის 13 ივნისის მოვლენები) თუ ეპიდემიები, რომელიც პერიოდულად ატყდება თავს ქვეყანას, პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი მოსახლეობის მიმართ გატარებულ უპასუხისმგებლო პოლიტიკასთან, რომელსაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპების პრიორიტეტიზაცია და საზოგადოებრივი ქონების პრივატიზაცია ერთვის თან. მთავარი კითხვა, რომელიც ამ კონტექსტში ისმის, არის ის თუ როგორ უნდა დაიცვას ბალანსი, ისეთმა დაბალშემოსავლიანმა ქვეყნამ როგორიც საქართველოა, ეკონომიკურ წინსვლასა და გარემოს დაცვას შორის?

პირველ რიგში, საჭიროა ქვეყანაში შემუშავდეს რეკომენდაციები, იმ პრობლემების გაანალიზებით, რომლებიც უკავშირდება ეკოლოგიური პოლიტიკის გატარებას და გარემოს დაცვით პრობლემებს, გარემოს დაცვის შესახებ საქართველოში არსებული კანონმდებლობის და მისი აღმასრულებელი ინსტიტუტების არასრულყოფილებასა და სისუსტეს.

როგორც ვიცით, დღესდღეობით, დიდი რაოდენობით ხეების მოჭრა ხდება მშენებლობების ხარჯზე. ჩემი აზრით, ეს ყოვლად დაუშვებელია, რადგან თითოეული ხის არსებობას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჩვენი და ჩვენი შვილების ჯანსაღი ცხოვრებისთვის. იმის მაგივრად, რომ მთავრობამ სწორი პოლიტიკა გაატაროს და ხეების

ჩეხვა აიკრძალოს, პირიქით მცენარეები მრავალსართულიანი კორპუსების მშენებლობას ეწირება. ვფიქრობ, ეს არასწორი პოლიტიკის გატარებაა მთავრობის მხრიდან. ერთი საქმის გაკეთებით მეორე არ უნდა გააფუჭო.

ზემოთ განხილული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელზეც საუბრობენ მკვლევრები ესაა ჰაერის დაბინძურება და ტყეების განადგურება, რომელიც ყველაზე დიდ ზიანს აყენებს გარემოს.

II. კვლევის მეთოდი

2.1. მეთოდოლოგია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩემი ნაშრომის მიზანია გამოვიკვლიო თუ რა პრობლემებია საქართველოში ეკოლოგიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით. აკეთებენ თუ არა აქცენტს წინასაარჩევნო კამპანიების დროს პარტიები გარემოს დაცვის საკითხებზე. რა ღონისძიებები ტარდება ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად მთავრობის მხრიდან. ჩემი მიზანია, საფუვლიანად გამოვიკვლიო ყველა ის მიზეზი, რაც იწვევს ეკოლოგიურ პრობლემებს. ასევე გავიგებ რომელ პარტიას რა დანაპირები აქვს, რომელს უფრო ვრცელი და ამომწურავი პროგრამა აქვს. შეიცვალა თუ არა 2012 წლიდან 2016 წლამდე რამე? და რამდენად დიდი როლი აქვს საქართველოში გარემოს დაცვის საკითხებზე მუშაობას.

რაც შეეხება კვლევის მეთოდს, ვფიქრობ თვისებრივი კვლევის მეთოდი უფრო მეტ საშუალებას მომცემს იმისა, რომ ძირეულად გამოვიკვლიო ჩემთვის საინტერესო თემა. ვფიქრობ, სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარებაც საკმაოდ ინფორმაციული იქნება ჩემი ნაშრომისთვის. ამ ინტერვიუების მეშვეობით გავიგებ, თუ რა დამოკიდებულება აქვთ რიგით მოქალაქეებს საქართველოს ეკოლოგიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით და არა მარტო მათ, ასევე იმ პირებს, რომლებიც კომპეტენტურნი არიან და უშუალოდ მუშაობენ ამ თემებზე, მაგალითად პოლიტიკურ პარტიაში მყოფ ექსპერტებს გარემოს დაცვის საკითხებში.ეს მეთოდები უზრუნველყოფს იმას, რომ კვევისას მათი ნათქვამი, არა მხოლოდ, როგორც აზრები ისე მივიღოთ, არამედ მათ აქვთ საშუალება, რომ ახსნან საკუთარი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ და გამოთქვან საკუთარი პოზიცია და ისაუბრონ იმაზე, თუ რამ განაპირობა ამ კონკრეტული აზრის ჩამოყალიბება. სიღრმისეული ინტერვიუები მომცემს იმის საშუალებას, რომ გარკვეულწილად შეჯამება გავაკეთო ინტერვიუებში მოპოვებული ინფორმაციისა და ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაციის საშუალებით. ვეცდები ჩემი მხრიდანაც შევიტანო მცირე წვლილი აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით.

პირადად მე, სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარე წინასწარ შედგენილი კითხვების და მათი თანმიმდევრობის წერილობითი მონახაზის საფუძველზე. ვიყავი მოწინავე პოლიტიკური პარტიების იმ წევრებთან, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან გარემოს დაცვის საკითხებზე ზრუნვაში. ვესაუბრე მწვანეთა ფრაქციის თავჯდომარეს გია გაჩეჩილაძეს, ასევე ექსპერტებს, რომლებიც არიან „მწვანე“ ორგანიზაციის წევრები. ჩატარებულმა ინტერვიუებმა, გარკვეულწილად, ჩამომიყალიბა აზრი ამა თუ იმ საკითხებზე, თუ რა მდგომარეობაა დღესდღეობით საქართველოში. რა საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას პოლიტიკური პარტიები ყველაზე მეტად საქართველოში გარემოს დაცვის კუთხით. რა ითვლება ყველაზე რთულად მოსაგვარებელ პრობლემად და აკეთებენ თუ არა რამეს, რომ აღმოფხვრან არსებული პრობლემები.

ამ მეთოდებით შესაძლებელი გახდება შევისწავლოთ საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა და პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები გავაანალიზოთ.

დავიწყოთ იქიდან, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს თითოეულმა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა გაამახვილოს ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ეკოლოგია, გარემოს დაცვა. ვფიქრობ, მხოლოდ ყურადღების გამახვილება არ იქნება საკმარისი, სერიოზული მუშაობაა საჭირო, იმისთვის, რომ ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებულმა დანაპირებმა შედეგი გამოიღოს. ჩემი აზრით, ეკოლოგიური პოლიტიკა მაშინ იქნება ეფექტური, როცა მთავრობის მხრიდან მოხდება ისეთი ღონისძიებების მიღება, რომლებიც მიმართული იქნება უშუალოდ გარემოს დაცვისკენ, ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენებისკენ და ა.შ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელობაში ეს ყველაფერი გადასულია უკანა პლანზე, რადგან მოსახლეობის ნაწილი არის უკიდურესი გაჭირვების ზღვარზე, ამიტომ ხალხისთვის ეკოლოგიაზე ზრუნვის მაგივრად სხვა რამ არის მნიშვნელოვანი: მაგალითად: სამუშაო ადგილები, პენსიის მომატება.... ეს, რა თქმა უნდა, განსახორციელებელია, მაგრამ არც ეკოლოგიის უკანა პალანზე გადაწევაა მართებული, იმიტომ რომ თუ ის გარემო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, არ იქნება დაცული და მუდმივად კონტროლის ქვეშ (დაბინძურების, ხეების ჩეხვის კუთხით) მაშინ არც სხვა ღირებულებებს აღარ ექნება არსებითი მნიშვნელობა. ეს ყველამ უნდა გავითავისოთ.

როგორც ვიცით, ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების აღკვეთისა და შემცირების ერთ-ერთსაშუალებას დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან გაფრქვევების სახელმწიფო კონტროლიწარმოადგენს, რომლის ძირითადი ფუნქციაა კანონით დადგენილი ნორმების აღსრულებისუზრუნველყოფა. ამ მიზნით მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებენ სახელმწიფო ინსტიტუტები, რომელთაცაქვთ კანონით მინიჭებული უფლება და გააჩნიათ სათანადო ცოდნა და ტექნიკური აღჭურვილობა, რათაშეძლონ მიიღონ ინფორმაცია და შეამოწმონ, რამდენად იცავს ესა თუ ის საწარმო გარემოსდაცვითკანონმდებლობას, ან კანონით გათვალისწინებულ სტანდარტებს, წესებს და ა.შ.

“ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით, სტაციონარული წყაროებიდან ჰაერის დაბინძურების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას

ახორციელებს გარემოს დაცვის სამინისტრო (მუხლი 41, პუნქტი 2). თუმცა, რეალურად ამ სამინისტროს ადამიანური რესურსები, ტექნიკური საშუალებები და საკანონმდებლო საფუძვლები, ატმოსფერულ ჰაერში საწარმოებიდან გაფრქვევების კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, შეზღუდულია.

სამწუხაროა, რომ საქართველოში, არ გვაქვს შესაბამისი რესურსი, იმისა, რომ საფუძვლიანად მივხედოთ ამ ძალზე აქტუალურ პრობლემას.

ჯერ კიდევ 2003 წელს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა "ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების შემოწმების გრაფიკის შედგენის წესი", რომლის მიხედვითაც, ყოველწლიურად, მინისტრის ბრძანებით უნდა შედგენილიყო შემოწმების გრაფიკი. ამასთან ერთად, სამინისტროს შესაბამის სამსახურებს უფლება ენიჭებოდათ დამტკიცებული გრაფიკის გარეშე შეემოწმებინათ საწარმოო ობიექტები, თუ მიღებული იყო შეტყობინება მავნე ნივთიერებათა ავარიული გაფრქვევის შესახებ ან მიღებული იყო მოქალაქეთა წერილობითი შეტყობინება ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ. ზემოთ აღნიშნულმა წესმა ვერ იმუშავა, რადგან ის წინააღმდეგობაში მოვიდა 2001 წელს მიღებულ კანონთან "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ", რომლის მიხედვით, მოსამართლის ბრძანების გარეშე მეწარმის საქმიანობის შემოწმება, მათ შორის, გარემოსდაცვით მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შემოწმება, შეუძლებელი გახადა. მოსამართლე ბრძანებას, მეწარმის საქმიანობის შემოწმების შესახებ, გასცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაკონტროლებელი ორგანო მას წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვით მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის შესახებ. ამ წინააღმდეგობის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების შემოწმების გრაფიკის შედგენის წესი გაუქმდა 2007 წელს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოში ურბანულ ტერიტორიებზე ატმოსფერული ჰაერის მთავარ დამაბინძურებელს ავტოსატრანსპორტო საშუალებები წარმოადგენენ. ამის მიუხედავად, საქართველოს კანონმდებლობით ყველაზე მეტად დაურეგულირებელ სფეროს ბოლო წლების განმავლობაში სწორედ მოძრავი

წყაროებიდან გაფრქვევები წარმოადგენს. საქართველოს კანონი„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ ითვალისწინებს ორ განსხვავებულ მიდგომას ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გაფრქვევების შეზღუდვის მიზნით:

1. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ნორმების დადგენას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის და ამ ნორმების შესრულების სახელმწიფო კონტროლს;
2. საავტომობილო საწვავის ხარისხის ნორმების დადგენას.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონის 49-ე მუხლის მიხედვით, ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის ნორმები უნდა დგინდებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით. ამ ნორმებს, საქართველოს გარემოს დაცვის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან შეთანხმებით, უნდა ამტკიცებდეს საქრთველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის სააგენტო ბრძანებით“ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების თაობაზე”. ატმოსფერული ჰაერის დაცვის კანონი კრძალავს ისეთი ბენზინისა და დიზელის საწვავის საქართველოში იმპორტს, წარმოებას და მოხმარებას, რომლის ხარისხიც ამ ნორმატიული აქტით დადგენილ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს. კანონის თავდაპირველი რედაქციით (1999 წ.). ამ ნორმატიული აქტის მიღება გათვალისწინებული იყო 2000 წლის 1 იანვრამდე. 2007 წელს კანონში შესული ცვლილებების შედეგად, ნორმატიული აქტის მიღება გადავადდა 2011 წლის 1 ივლისამდე. ეს ნორმატიული აქტი დღემდე არ არის ამოქმედებული.

საწვავის ხარისხთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედებს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის #124 დადგენილება **საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ**, რომელშიც 7-ჯერ იქნა ცვლილებები შეტანილი 2005-2011 წლებში. ამ ცვლილებების მიხედვით, თითქმის ყოველ წელს ხდებოდა ბენზინის შედარებით მაღალი სტანდარტის ამოქმედების გადავადება. მაგალითად, დადგენილების თავდაპირველი ვერსიით ბენზინში მაქსიმალური ტყვიაშემცველობა უნდა

შემცირებულიყო 0.013 გ/ლ-დან0.005 გ/ლ-მდე 2006 წლის 1 იანვრიდან. თუმცა, დადგენილებაში შესული ცვლილებების მიხედვით ამნორმის მიღწევა მხოლოდ 2012 წლიდან არის გათვალისწინებული. უნდა აღინიშნოს, რომ ევროგაერთიანების ქვეყნებში უკვე დიდი ხანია დაუშვებელია ტყვიის შემცველობა საავტომობილო ბენზინში 0.005 გ/ლ აღემატებოდეს. ამჟამად მოქმედი დადგენილების მიხედვით (ბოლო ცვლილება 2011წლის დეკემბერში შევიდა) განისაზღვრება საავტომობილო ბენზინში ტყვიის, ბენზოლის, არომატული ნახშირწყალბადების და გოგირდის შემცველობის ნორმები 2012 წლამდე, 2012-2014 წლებში და 2014 წლის შემგომ პერიოდისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საწვავის ხარისხი ასე უნდა კონტროლდებოდეს, საქართველოში მაინც ხერხდება უხარისხო საწვავის შემოტანა, ან ხარისხიან საწვავთან უხარისხოს შერევა, წონის გაზრდის მიზნით. ეს ყველაფერი აისახება სწორედ ატმოსფერულ ჰაერზე და იმ მაჩვენებლებზე, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

თუ საწვავის ხარისხთან დაკავშირებით მოქმედებს მარეგულირებელი ნორმატიული აქტი, უფრო რთულია მდგომარეობა ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან მავნე ნივთიერებების ემისიების ნორმების დადგენის თვალსაზრისით. როგორც ადრე აღინიშნა, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით, 2000 წლის 1 იანვრამდე უნდა მიღებულიყო შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანება“ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი სატრანსპორტო და სხვა მოძრავ-მექანიკური საშუალებების სახეობათა ჩამონათვალისა და ამ საშუალებებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის (გამონაბოლქვის) ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ” ინსტრუქციის თაობაზე”;
- გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება “სატრანსპორტო და სხვა მოძრავ-მექანიკური საშუალებებიდან გაფრქვევის (გამონაბოლქვის) პერიოდული შემოწმების წესის შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.
  - 2003 წლის 1 ივლისამდე უნდა მიღებულიყო საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანება: “საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი

ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გაფრქვევის (გამონაბოლქვის) კონტროლის წესის შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

სამწუხაროდ, ჩამოთვლილი ნორმატიული აქტებიდან, ჯერჯერობით არცერთი არ არის განხორციელებული. შეიძლება ითქვას, რომ მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან, რომლებიც საავტომობილო პარკის 90% ზე მეტს შეადგენს, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეგულირება საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში არ ხორციელდებოდა და არც ამჟამად ხორციელდება.

საქართველოში, კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ახორციელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს. კანონმდებლობის მიხედვით, სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მონიტორინგს უნდა ახორციელებდნენ საწარმოების მფლობელი კომპანიები, ანუ მეწარმე სუბიექტები თავად უნდა აწარმოებდნენ გაფრქვევების გაზომვას, აღრიცხვას და ანგარიშების მიწოდებას გარემოს დაცვის სამინისტროსათვის. სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევების თვითმონიტორინგისა და ანგარიშგების წარმოების წესი და დოკუმენტაციის ფორმა განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს გარემოს დაცვის მინისტრი. რადგან საქართველოს საწარმოების უმეტესობას არ გააჩნია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების გამზომი მოწყობილობები, ისინი, ძირითადად, გაფრქვევების რაოდენობას აფასებენ გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული გაანგარიშების მეთოდიკის გამოყენებით.

საწარმოებიდან მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით გარემოს დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამმართველო ყოველწლიურად აწარმოებს ინფორმაციას საწარმოების, რეგიონებისა დაქალაქების მიხედვით ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის შესახებ.

ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან გამოდინარე, ვფიქრობ, თითოეულმა მოქალაქემ უნდა იზრუნოს საქართველოს ეკოლოგიაზე. პირველ რიგში, მთავრობის მხრიდან უნდა მოხდეს დაგეგმვა და ჩამოყალიბება იმ გარემოსდაცვითი ღონისძიებების, რაც სწორი პოლიტიკის გატარების გარანტიც იქნება.

დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ 2000 წლიდან დაიწყო (პირველი გარემოსდაცვითი ეროვნული პროგრამა) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა ფინანსური რესურსების და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო გარემოს დაცვითი პირველი ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების უმრავლესობა რეალურად არ განხორციელებულა და მათი რეალიზაცია დღესაც აქტუალურია.

შემდეგ მიღებულ იქნა გარემოსდაცვითი მეორე ეროვნული პროგრამა 2012 წელს, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელებულიყო პირველ ეროვნულ პროგრამაში განუხორციელებელი ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა: საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მათ შორის ელექტროტრანსპორტის განვითარება დასატრანსპორტონაკადების მართვის ოპტიმიზაცია. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომმხოლოდ ამ ღონისძიებებმა მოგვცეს სასურველი შედეგი თუკი არ მოხდება ქვეყანაში არსებულისაავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების საშუალო ასაკის შემცირება, საავტომობილო საწვავისხარისხის შემდგომი გაუმჯობესება, მკაცრი ნორმების დაწესება სატრანსპორტო საშუალებებიდან მავნეგამონაბოლქვებზე და ამ ნორმების პრაქტიკაში განხორციელება, რაც არ არის გათვალისწინებული გარემოსდაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნულ პროგრამაში.

როგორც ვხედავთ, საკამოდ ვრცელი პროგრამაა წარმოდგენილი და არც ისე ცუდადაა გამოკვეთილი ჩვენი პრობლემები. რა არის საჭირო იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის გარემოს სიჯანსაღე? ჩემი აზრით, ეს ყველაფერი დამოკიდებულია მთავრობის სწორი პოლიტიკის განხორციელებაზე. იმ პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც არის ხელისუფლების სათავეში, მოწინავე პრობლემად უნდა აქციოს ეს საკითხი, როგორიც არის გარემოს დაცვა და იტრიალოს მის გარშემო, რადგან გამომდინარე იქიდან, რომ ეკოლოგიაზე ზრუნვას სჭირდება ძალიან დიდი სახსრები, ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, ვერ სწვდება. ამიტომ, საჭიროა ეტაპობრივად, ნელ-ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ სიარული. არა მარტო მთავრობის მხრიდან, ასევე ჩვენი, რიგითი მოქალაქეების ვალია გარემოს დაცვაზე ზრუნვა.

2.2 ოპერაციონალიზაცია

ეს ის ეტაპია, როცა მივდივართ თემის კონკრეტიზაციისკენ, თუ რა გზით მივდივართ კვლევისკენ, რას ვიკვლევთ, რა მეთოდებია გამოყენებული და ა. შ. საჭიროა კონკრეტული ინდიკატორების შერჩევა სწორედ ჩვენი ჰიპოთეზიდან, ცვლადებიდან და იმ კითხვარიდან გამომდინარე, რისი მიხედვითაც ვაწარმოვე კვლევა.

პირველ რიგში, გარემოს დაცვის როლთან დაკავშირებით საქართველოში შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარემოს დაცვითი დაგეგმვის სისტემის დანერგვის მცდელობა ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოდან იწყება. გაცნობიერებულ იქნა რა გარემოსდაცვითი პრობლემების კომპლექსური ხასიათი, ასევე ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვისა თუ სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებებში გარემოსდაცვითი საკითხების ასახვის საჭიროება, 1996 წელს მიღებულ იქნა კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. ეს კანონი ითვალისწინებს ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგიის მომზადებას და ამ პროცესში წამყვან როლს გარემოს დაცვის სამინისტროს აკისრებს. გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირება საქართველოში მრავალი საერთაშორისო ვალდებულებითაც ხდება. იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს მიახლოება განვითარებულ საერთაშორისო საზოგადოებასთან, საქართველო ცდილობს დანერგოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული გარემოსდაცვითი მიდგომები და რეგულაციები, სადაც ეს შესაძლებელია. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. ამის მიუხედავად, ვერ ხერხდება ყველა საერთაშორისო ვალდებულების სრულყოფილად განხორციელება.

ევროკავშირი-საქართველოს სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ მიზნებს სახავს. სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2006 წლის ნოემბერში ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის მიერ

და მისი განხორციელება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოსათვის ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებში ინტეგრაციის თვალსაზრისით.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ასოცირებულ შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთ საკითხს გარემოს დაცვის სფერო წარმოადგენს. ხელშეკრულება ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს გარემოსდაცვის სფეროში, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს არამარტო ადამიანისა და ეკოსისტემებისათვის შესაბამისი გარემო პირობების უზრუნველყოფას, არამედ გარემოსდაცვითი მმართველობისა და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების გაუმჯობესებას.

როგორც ვხედავთ, ასე თუ ისე მაინც უკავია გარკვეული როლი გარემო დაცვას საქართველოში, მოყოლებული 90–იანი წლებიდან. ვერ ვიტყვით, რომ პირველ პლანზეა წამოწეული, მაგრამ წინასაარჩევნო პარტიებში გარემოსდაცვითი საკითხების შეტანა და მისი აქტიური განხილვა არის საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი.

მეორე ინდიკატორი, რითიც შეიძლება გავზომოთ ჩვენი ჰიპოთეზა ესაა: აქტიურობის დონე, ანუ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ახორციელებენ წინასაარჩევნო კამპანიებს რამდენად აქტიურები არიან საქართველოში. არინ თუ არა ჩართულნი არასაარჩევნო პერიოდში ისეთივე აქტიურნი? მაგალითად: ოპოზიციური პარტიების სიძლიერე და აქტიურობაც არის იმის გარანტი, რომ ხელისუფლებაში მყოფნი არ მოდუნდნენ და არ შეამცირონ ღონისძიებების დაგეგმვა. ასე, რომ, ოპოზიციურ პარტიებს ძალიან დიდი როლი ენიჭებათ, მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად კარგად უწევენ კონკურენციას მმართველ გუნდს. გარდა ამისა, აქტიურობა მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში არაა საკმარისი. გარემოს დაცვა არის საკმაოდ რთული სფერო, რომელიც მუდმივად უნდა იყოს აქტიურად განხილული პოლიტიკური პარტიების მიერ და ეს არ უნდა იყოს ფორმალობა, უნდა იყოს შესრულებადი.

მესამე ინდიკატორად შეიძლება მივიჩნიოთ გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტურობა. ამისთვის ყველა ადამიანმა უნდა იზრუნოს. პოლიტიკური პარტიების

მხრიდან საჭიროა სწორი დაგეგმვა, იმ ღონისძიებებისა, რომლებიც უშუალოდ ორიენტირებულია ხალხის ცნობიერების ასამაღლებლად. თუ არ იქნა ამ საკითხების გაშუქება მედიის მხრიდან სასურველ შედეგს ძნელად თუ მივაღწევთ. ადამიანებმა გონებით უნდა შეიმეცნონ, რომ ეკოლოგიაზე ზრუნვით ისევ ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალს ვაწყობთ და ვგეგმავთ. ასევე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა და შემდეგ მისი სისრულეში მოყვანა დაკავშირებულია დიდი რაოდენობით სახსრებზე, რაც ისეთი მცირე ბიუჯეტიანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა ცოტა ძნელია, მითუმეტეს ამასთან ერთად სხვა ბევრი პრობლემაა გადასაჭრელი. ამიტომ, პოლიტიკური პარტიების მხრიდან საჭიროა სწორად შერჩეული რეკლამა, აქტივობა, იმისთვის, რომ ეფექტური გარემოსდაცვითი პოლიტიკა იქნას გატარებული.

ჩემი ჰიპოთეზა იზომება შემდეგი ინდიკატორებით:

- გარემოს დაცვის როლი საქართველოში
- აქტიურობის დონე
- გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტურობა

ზემოაღნიშნული ინდიკატორები დამეხმარება ცვლადების გაზომვაში, რაც ხელს შეუწყობს სამაგისტრო ნაშრომს მიზნის მიღწევაში.

III. პარტიული პროგრამების მიმოხილვა

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, პოლიტიკურ პარტიათა დიდ ნაწილს ქართული საზოგადოებისთვის არ შეუთავაზებია სრულფასოვანი პოლიტიკური პროგრამა - დოკუმენტი, რომელიც საზოგადოებას შესაძლებლობას მისცემდა შეექმნა წარმოდგენა ამა თუ იმ პარტიის პრიორიტეტებზე.

პოლიტიკურ პარტიათა პროგრამების თუ ინტერვიუების ანალიზმა გვაჩვენა, რომ გარემოს დაცვასა და მდგარდ განვითარებას პოლიტიკურ პარტიათა უმეტესობა ჯერ კიდევ არ მოიაზრებს ისეთივე მნიშვნელოვან სექტორად როგორიცაა ეკონომიკა და სოციალური სფერო. ამასთან, ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პარტიათა იმ ნაწილსაც კი, რომელსაც გარემოს დაცვა საერთოდ არ ჰქონდა მოხსენიებული თავის პროგრამებში, გარკვეულწილად ფლობს ინფორმაციას ქვეყანაში არსებულ გარემოსდაცვით გამოწვევებზე და პრინციპში, დაგეგმილი აქვს გარკვეული ღონისძიებები ამ მიმართულებით.

პოლიტიკური პარტია-„ახალი მემარჯვენეები“

ახალი მემარჯვენეების პროგრამაში „შეძლებული ოჯახი სოფლად და ქალაქად“ გარემოს დაცვა ხაზგასმულად ცალკე თავად არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა მესამე თავში საგარეო პოლიტიკა - პოლიტიკა რომელსაც ენდობიან მსოფლიოში, ჩამოყალიბებულია ენერგეტიკული და ეკო-უსაფრთხოების პრიორიეტეტები. აგრეთვე, ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების, ბუნებრივი კატასტროფებისა და მათ მიერ გამოწვეული რისკების მართვის გაუმჯობესების ღონისძიებები, სადაც ზოგადად არის გაწერილი პრიორიეტეტული მიმართულებები გარემოს დაცვის კუთხით. თუმცა, სექტორებში, სადაც ენერგეტიკული მიმართულებაც არის, ეს მიდგომები ნაკლებად არის გაშლილი და ძირითადი ყურადღება სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაზე გადადის.

სოფლის მეურნეობის ნაწილში, გარემოსდაცვითი კუთხით საინტერესო საკითხებს შორის, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მხრიდან შხამ-ქიმიკატების

ხელმისაწვდომობასა და კონტროლის საკითხებს. პროგრამის თანახმად, „შხამ-ქიმიკატებსა და პესტიციდებზე ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია ხარისხის კონტროლი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვადაგასული ან უხარისხო საშუალებების ქვეყანაში შემოტანა. ამ მიზნით სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს ხარისხის კონტროლი და განახორციელოს შხამ-ქიმიკატების და პესტიციდების იმპორტიორი და დისტრიბუტორი კომპანიების პროდუქციის სერთიფიცირება“. ამღონისძიებების გატარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად უნდა გამოიყოს დაახლოებით 13.2 მილიონი ლარი. რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, თუმცა ამავდროულად არაფერი არ არის ნათქვამი მაგალითად, ორგანული სოფლისმეურნეობის განვითარებაზე, რასაც რეალურად სჭირდება მხარდაჭერა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

2012 წელს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ წარმოადგინა საარჩევნო პროგრამა „მეტი სარგებელი ხალხს“, რომელშიც სიტყვა გარემოს დაცვა, ისევე როგორც სიტყვები, ენერგეტიკა და ტრანსპორტი საერთოდ არ მოიძებნა. თუმცა, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის მიერ მართულ ინტერნეტ პორტალზე www.partiebi.ge, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კითხვაზე - გთხოვთ, გაგვაცნოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისკენ, შემდგენაირად გასცა პასუხი - უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ჩვენთვის. საქართველოს ბუნებრივ გარემოს, ბიომრავალფეროვნებისა და ქვეყნის მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადგება დავუთმოთ ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

უფრო ჯანმრთელი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისათვის მიზნად ვისახავთ: დავნერგოთ ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემები; უზრუნველვყოთ საქართველოს უნიკალური ეკოსისტემების, სახეობათა მრავალფეროვნების და

გენეტიკური რესურსების დაცვა და რეაბილიტაცია; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფა; ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკოსისტემებზე შესაძლო ზიანის დაე კონომიკური ზარალის მინიმუმამდე დაყვანა; საქართველოს მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა კლიმატის ცვლიების მიმართ საადაპტაციო ღონისძიებების გატარების გზით და სათბურის გაზების ემისიების შემცირება; ტყის რესურსების დაცვა; ქვეყნის ტერიტორიის რადიოაქტიური და სხვა მავნე ნარჩენებისაგან გაწმენდის სამუშაოების ჩატარება; შავი ზღვის დაბინძურების პრევენცია და სხვა.

სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აქტიურად მიმდინარეობს ინერტული მასალის გატანა, რაც გარემოს დიდ ზიანს აყენებს. ჩვენ საერთაშორისო საზოგადოების დახმარებით გამოვიყენებთ ყველა საშუალებას იმისათვის, რომ, შევაჩეროთ საოკუპაციო რეჟიმი და არ დავუშვათ შავი ზღვის სანაპიროს ეკოლოგიური კატასტროფა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩვენი მხრიდან ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორებიცაა წყალდიდობა, ზვავი, მეწყერი, მიწისძვრა, ასევე სამრეწველო ავარიების პრევენციას, რომელიც გარემოს უქმნის საფრთხეს. შემუშავებული იქნება ისეთი პრევენციული ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფენ ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებას.“

ერთ-ერთ ინტერვიუში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატმა, ყოფილი გარემოს დაცვის მინისტრმა, ბატონმა გოგა ხაჩიძემ განაცხადა შემდეგი: „2012 წელს მთავრობამ დაამტკიცა გარემოს განვითარების დაცვის სტრატეგიული გეგმა, 4 წლიანი პროგრამა - „ნეაპი“, რომელიც არის მაღალი ლეგიტიმაციის დოკუმენტი. მასში არის დეტალურად გაწერილი, თუ რა პრობლემებია გარემოს დაცვის კუთხით ჩვენს ქვეყანაში, რა პრიორიტეტებებია, ოთხწლიანი - 2012-16 წლების კონკრეტული სტრატეგიაა, ბიუჯეტით. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ განიხილა ეს დოკუმენტი და აღიარებს, როგორც ჩვენი ქვეყნის გარემოს დაცვის სფეროში მთავარ დოკუმენტს.

„ბიძინა ივანიშვილი-კოალიცია ქართული ოცნება“

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო ბლოკს „ბიძინა ივანიშვილი - კოალიცია ქართული ოცნება“ ყველაზე ფართოდ ჰქონდა გაშლილი გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების გეგმა.

კოალიცია აღიარებს, რომ ქვეყნის განვითარება უნდა ეფუძნებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპს, ხოლო გარემოს დაცვის სფეროს „პრიორიტეტულ მიმართულებად აცხადებს და მიაჩნია, რომ სახელმწიფოს მიერ ამ დარგისათვის გაღებული ფინანსური რესურსები არის არა დანახარჯი, არამედ ინვესტიცია, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ასევე ქვეყნის ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას“. აგრეთვე, კოალიცია პირველი რიგის ამოცანად ისახავს ქართული გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემუშავებას, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის გარემოსდაცვით სტანდარტებსა და სამართლებრივ ნორმატიულ ბაზას, უზრუნველყოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ეტაპობრივ შესრულება.

საარჩევნო პროგრამაში წარმოდგენილი პრიორიტეტების შესრულების ერთ-ერთ გზად მოიაზრება გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქციური და ადამინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება, პირველ რიგში ე.წ. ჰორიზონტალური კანონმდებლობის შემუშავებით. მათ შორის მოიაზრება გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე სისტემის შემუშავება (სივრცითი დაგეგმვა, სტრტეგიული შეფასება, გარემოზე ზემოქმედების შეფასება) და ამავდროულად, გარემოს მდგომარეობის მონოტორინგის თანამედროვე სისტემის შექმნა.

ქართული ოცნების პროგრამაში ხაზგასმულია აგრეთვე მთელი რიგი პრიორიტეტული სფეროები, მათ შორის დაბინიძურების შემცირება (ჰაერის, წყლის, ნიადაგის), ბუნებრი ვიკატასტროფების პროგნოზირება და პრევენციული ღონისძიებები, ნარჩენების, მათ შორის, საშიში ნარჩენების მართვა. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის საკანონმდებლო ინიციატივებთან ერთად, პარტიამნიშვნელოვნადკვლევებისადაკომპლექსურიღონისძიებებისგატარებას,

მათ შორის დაცული ტერიტორიების გაფართოებას და გაზრდას მოიაზრებს. აღსანიშნავია, ისიც, რომ პარტია პრიროტეტად აღიარებს ტყეების გარემოსდაცვითი და რეკრეაციული ფუნქციის შენარჩუნებას. შესაბამისად ის დებს პირობას, რომ შეზღუდავს მერქნული რესურსების მოპოვებას და ტყით სარგებლობის თანამედროვე მეთოდების დანერგვას შეუწყობს ხელს.

გარემოს დაცვის ღონისძიებების გასატარებლად კოალიცია გეგმავს გარემოს დაცვას ბიუჯეტის 4% დაუთმოს, რაც საკმაოდ პოზიტიური სიგნალია. განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა უკანასკნელი წლების განმავლობაში ეს მაჩვენებელი 2008 წლიდან სულ უფრო და უფრო იკლებდადა 1% არ აღემატებოდა. (მაგ, 2012 წლის ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გარემოს დაცვაზე ამ წელს 11,4% ნაკლები დაიხარჯა ვიდრე წინა წელს).

ქრისტიან-დემოკრატები

ქრისტიან-დემოკრატების“ მიერ წარმოდგენილი „ათ პუნქტიანი სახელმწიფო ბიუჯეტის“ დოკუმენტი არ წარმოადგენს პროგრამულ დოკუმენტს. ამ დოკუმენტის, აგრეთვე „ქრისტიან- დემოკრატიული პარტიის“ სხვადასხვა ინტერვიუებიდან ნათელი გახდა, რომ გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება არ წარმოადგენს პარტიისთვის ინტერესს.

ზოგადად, ინტერვიუებიდან გამომდინარე, ქრისტიან-დემოკრატების მიდგომა გარემოს დაცვისადმი, გამოიხატება ბუნებრივი რესურსების ათვისებაში სოციალური სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. თუმცა, ამავდროულად გასაკვირია, რომ ქდმ-ს თვის სოციალური სამართლიანობა არ მოიცავს სუფთა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებას და აგრეთვე მომავალი თაობების ინტერესებს.

ლეიბორისტული პარტია

„ლეიბორისტული პარტიის“ იდეოლოგიურ ლიდერთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მართვა, ენერგეტიკა და ა.შ. პარტიის თვალსაზრისით, სრულად სახელმწიფოს პრეროგატივაა.

მართალია, გარემოს დაცვის არაბუნებრივი რესურსების მოხმარების სექტორში პარტიას მკვეთრად ჩამოყალიბებული პროგრამა არ გააჩნია, მაგრამ თავისი პლატფორმიდან გამომდინარე, საკმაოდ საინტერესო პოზიციებსაც გვთავაზობს. მაგ. „ლეიბორისტული პარტიის“ მიერ შემოთავაზებული პრინციპი: „უნდა მოვაწესრიგოთ საკანონმდებლო ბაზა ისე, რომ ისეთი ბუნებრივი წიაღისეული, როგორიცა აოქრო, მარგანეცი, ქვანახშირი, იყოს ხალხისა და სახელმწიფოს ექსკლუზიური განკარგვის უფლების სფერო, რათა თითოეულ ჩვენ თანამოქალაქეს, ბუნებრივი წიაღისეულისაგან მიღებული სიკეთე თანაბრად გადაუნაწილდეს“. შესაძლებელია, არ დავეთანხმოთ „ლეიბორისტულ პარტიას“, რომ რესურსების მოხმარება სახელმწიფოს ექსკლუზიური განკარგვის სფერო უნდა იყოს, თუმცა ის, რომ „ბუნებრივი წიაღისეულისაგან მიღებული სიკეთე თანაბრად“ უნდა გადანაწილდეს, საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართალში უკანასკნელ წლებში ინტენსიურად განიხილება.

ასევე, მწვანეთა პარტია, რომელიც ორიენტირებული იყო სწორედ ჯანმრთელი გარემოს შექმნაზე. საქართველოს მწვანეთა პარტია მიზნად ისახავს ისეთი საზოგადოების შექმნას, “რომელშიც ყოველი ადამიანი უზრუნველყოფილი იქნება ჯანსაღი, სუფთა და უსაფრთხო გარემოთი, რომელიც ჰარმონიულად შეუხამებს ურთიერთს ამჟამინდელი და მომავალი თაობების ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. საზოგადოება, რომელიც ორიოდ ათწლეულში არ ამოწურავს საუკუნეებისთვის განკუთვნილ რესურსებს, რომელშიც ადამიანი კი არ იარსებებს სახელმწიფოსთვის, არამედ სახელმწიფო – ადამიანისათვის, სადაც ყოველ მოქალაქეს ექნება საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება; საზოგადოება, რომლისთვისაც თითოეული ადამიანის სიცოცხლე უდიდესი ფასეულობა იქნება”.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ პროგრამებზე, რომლებიც წარმოგვიდგინეს პარტიებმა 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდში. ყველაზე ვრცელი და ამომწურავი პროგრამა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჰქონდა

საარჩევნო ბლოკს „ბიძინა ივანიშვილი-კოალიცია ქართული ოცნება“, ყველაზე ნაკლები ნაციონალურ მოძრაობას.

ზემოთ მითითებულია ყველა პარტიის პროგრამა გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და უვნებელ გარემოში ცხოვრებაზე.

IV. კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად გამოიყო ის ძირითადი საკითხები, რაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება და მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის კუთხით. პირველი, ეს არის ატმოსფერული ჰაერის დაცვა დაბინძურებისგან, მეორე, უნდა შეწყდეს ჯანსაღი ხეების ჩეხვა და იმ ტერიტორიების მშენებლობებად გადაქცევა. ასევე, გამკაცრდეს კანონი უხარისხო საწვავის შემოტანაზე. როგორც ვხედავთ, ყველაფერი მაინც მთავრობის სწორი პოლიტიკის გატარებისკენ მიდის. რაც მთავარია, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ლიდერმა პარტიამ არ უნდა დაივიწყოს დანაპირები და განახორციელოს.

პოლიტიკური პარტიები

4.1 „ქართული ოცნება“

ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და წინ წამოიწია, მითუმეტეს რომ ევროკავშირის დირექტივების უმეტესი ნაწილი არის სწორედ გარემოს დაცვითი. სამწუხაროდ, 90-იან წლებში გარემოს ძალიან დიდი ზიანი მიადგა, ეკონომიკური აქტიურობის გამო, ხშირ შემთხვევაში თვალის დახუჭვა ხდებოდა გარემოზე მიყენებული ზიანის გამო და, როგორც წესი, სამწუხაროდ დღესაც ასეა გარემოს დაცვის სამინისტრო ერთ-ერთი

აუტსაიდერია ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიხედვით. მაგრამ დღეს უკვე საზოგადოება, პოლიტიკოსები და ყველა, ვისაც ხელეწიფება ქვეყნის მართვა აცნობიერებენ იმას, რომ, ეს არის, ისეთი ზარალი, რომლის ანაზღაურებაც, ხშირ შემთხვევაში არ ხდება, ან ჭირდება ძალიან დიდი დრო. საბედნიეროდ, საქართველოს ტერიტორიის 40 პროცენტი დაფარულია და ეს გარკვეული შეღავათის მომცემია. ტყის მასაც საკმაოდ დიდია საქართველოში, თუმცა მერქნის გამოყენება, თუნდაც სახლის გასათბოდად ამისი ალტერნატივა, რა თქმა უნდა არის ბუნებრივი გაზის შეყვანა ყველა იმ წერტილში, სადაც ამის აუცილებლობაა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ზამთრის პერიოდში ბუნებრივი გაზით გათბობა, საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა სოფლის მოსახლეობისთვის, ამიტომ სახელმწიფომ ტყეკაფის გამოყოფის მიმართულებით და ხე-ტყის დამზადების მიმართულებითაც, რა თქმა უნდა, გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას, რომ განსაკუთრებით ასაკოვან ადამიანებს არ შეექმნათ საკუთარი ძალებით ხე-ტყის მოპოვების უფლება. მაღალმთიანი რაიონებისთვის სხვა სტანდარტები დაწესდა, რაოდენობა ტემპერატურის მიხედვით უფრო მეტია, ამიტომ ნელ-ნელა დაწყებულია ისეთი კანონმდებლობის ძალაში შესვლა, რომელიც შესაბამისობაში მოდის ევროპულთან დქა პრაქტიკულად ყველა მიმართულებით მოიცავს გარემოს დაცვით ღონისძიებების გატარებას, კანონმდებლობის მიღების შემდეგ. გარემოს დაცვის სამინისტრო ძალიან აქტიურია, ძალიან ბევრი საინტერესო კანონი შემოდის. მალე ტყის კოდექსის დამტკიცდება, იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასება. 2018 წლიდან დაგეგმილია ავტომობილების ტექნიკური დათვალიერების აღდგენა, ანუ ყველა ის წყარო, რომლითაც ხდება გარემოს დაბინძურება და რაც შემდეგ, პირველ რიგში, ადამინანის ორგანიზმში ხვდება. ეს არის: ჰაერი, წყალი, სხვადასხვა მავნე გამოსხივება და ასე შემდეგ. დაბინძურების წყაროები, მაგალითად ჰაერის, პირველ რიგში, ეს არის ავტომობილები, მათი შიდა წვის ძრავა და სპეციალური კატალიზატორის და მაყუჩის სისტემა გაუმართავია. ფაბრიკა-ქარხნები, მათ მიმართ არ იყო მოთხოვნები 90-იან წლებში, მაგრამ ახლა შეიცვალა მდგომარეობა და მაქსიმალურად სუფთა უნდა იყოს გამონაბოლქვი. არის წყლის მიმართულებით, მდინარეებში სხვადასხვა საწარმოს მიერ ჩადენილი წყლები, ასევე გაფილტრული უნდა იყოს. ნიადაგში სხვადასხვა მავნე

ნივთიერებების მოხვედრა და ასე შემდეგ. ძალიან კომპლექსურია და სამწუხაროდ ძვირადღირებულია გარემოსდაცვითი ღონისძიებები. საჭიროა, ბიუჯეტიდან მეტი სახსრების გამოყოფა ამ მიმართულებით და ასევე მეტი აქტიურობა.

მედიაში გაშუქება ხდება გარემოზე მიყენებული ზარალის შემდეგ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში, როდესაც უკვე არსებობს ზარალი, არსებობს მოჭრილი ხე, რა თქმა უნდა საჭიროა ამის გამოაშკარავება, როცა კანონგარეშე ქმედებები ხდება. თუმცა პრევენციაც ძალიან მნიშვნელოვანია, ამ მხრივ, გარემოს დაცვის სპეციალურ დეპარტამენტს, რომელიც ზედამხედველობით ფუნქციებს ითავსებს უნდა ჰქონდეს მაქსიმალური ხელშეწყობა, დაწყებული ტექნიკით, რომელიც მას ჭირდება იმისთვის, რომ ზედამხედველობა განახორციელოს, დამთავრებული ადამიანური რესურსით. ამიტომ, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია სწორი კანონების მიღება, მაგრამ მათი დაცვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან, სხვა შემთხვევაში, კანონი დარჩება ჰაერში. ამიტომ, ამ მიმართულებითაც კონტროლი და საზოგადოების ჩართულობაა საჭირო. კიდევ ერთი კომპონენტი, რომელიც აუცილებლად წინა ხაზზეა წამოსაწევი, ეს არის საზოგადოების ინფორმირებულობა და კამპანიის ჩატარება, რომ მან ზუსტად იცოდეს, რამდენად მნიშვნელოვანია თითოეულ მოჭრილ ხაზე მიყენებული ზარალი, რამდენად მნიშვნელოვანია ჯანსაღ გარემოში ცხოვრება. სწორედ ამიტომ, ეს საინფორმაციო კამპანია, დასახვეწია და წინ არის წამოსაწევი.

„მწვანეები“ საკმაოდ აქტიურები არიან, უბრალოდ საჭიროა, რომ საზოგადოებას სწორად მიეწოდოს თითოეული მოვლენა და არ იყოს ამაში პოლიტიკის ნაწილი. სამწუხაროდ, ხშირად, სხვადასხვა ისტორია იფუთება ისე, რომ საზოგადოებას, რა თქმა უნდა, პროტესტი უჩნდება. მაგალითად: ბოლოს შემოსული კანონი მწვანე ნარგავების შესახებ, რომელიც დეველოპერული კომპანიის მიერ იყო ინიცირებული და დაიწყო არასწორი კამპანია მწვანეების მხრიდან, თითქოს „ქართული ოცნება“ აპირებს, რომ მწვანე შუქი აუნთოს ნარგავების ჭრას, ეს არარეალურია. ეს საფრთხე მაშინვე ნათელი იყო, ამიტომ სწორედ, არასამთავრობო ორგანიზაციების და მწვანეების ჩართულობით მოხერხდა გამართული კანონის მიღება და მაქსიმალურად, დაცული იქნება მომავალში

ის, რომ ჯანმრთელი ხეები არ მოიჭრას და ასეთ შემთხვევაში საკომპენსაციოდ დარგვები მოხდეს. ამიტომ აქტიურები არიან, მაგრამ , ხშირ შემთხვევაში, თუკი პოლიტიკურად მოტივირებულები არიან, ან წაქეზებულნი, არასწორი შეფუთვა ხდება ამა თუ იმ პრობლემის. ისე, ყველა ვარიანტში, საჭიროა მათი აქტიურობა, იმისთვის, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება იყოს ფხიზლად და დარღვევების შემთხვევაში მათი მინიშნება მნიშვნელოვანია.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოკითხვის დროს, აღმოჩნდა, რომ პრობლემები არის მსგავსიც და განსხვავებულიც. თბილისის ზოგიერთ უბანში, სადაც შედარებით შეძლებული მოსახლეობა ცხოვრობს, მათი სათხოვარი სწორედ გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებით შემოიფარგლება . სურთ მეტი სიმწვანე, მეტი სათამაშო მოედანი და ა. შ. სხვაგან, ისეთი პრობლემებია, როგორიც არის მაგ: საძირკვლის გამაგრება, და ა.შ. და იქ რა თქმა უნდა, მოსახლეობა გაგებით ეკიდება, რომ იმ ბიუჯეტით, რომელიც თბილისს და საქართველოს აქვს ყველაფრის საშუალებას არ იძლევა.

90-იან წლებში, ეკონომიკური პრობლემებიდან გამომდინარე, გაიჩეხა ხე-ტყე. სამწუხაროდ, მაშინ ერთადერთი გათბობის საშუალება იყო შეშა. ეს ძალიან დაეტყო გარემოს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას. მაგალითად: ქარსაცავი ზოლების გაჩეხვა, რამაც ძალიან მძიმე პრობლემის წინაშე დააყენა სოფლის მეურნეობის მუშაკები. ქარი საშინლად ფიტავს მიწას და ახლად დათესილი მარცვლეული საერთოდ მიაქვს ქარს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ქარსაცავები. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ვერ მოახერხა ამის დაცვა გამომდინარე ყველა იმ პრობლემიდან, რომელიც არსებობს. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა და ამ მიმართულებით უკეთესობა არის და არის, უფრო მეტია საჭირო. არის მოპოვებითი კარიერები, ეს ნიშნავს, რომ როდესაც ლიცენზია გაიცემა მოპოვებაზე, წესით, ლიცენზიანტმა სასარგებლო წიაღის ზედა ფენა, ეგრეთ წოდებული ჰუმუსი უნდა მოხსნას და დაასაწყობოს, შემდეგ უნდა გამართოს საქმის წარმოება, რაც არის ნიადაგის მოპოვება და მისი გადამუშავება სხვადასხვა წიაღისეულის მოპოვების

მიზნით. ეს შეიძლება იყოს: სამშენებლო, ძვირფასი, ან მარგანეცი და ა. შ. და დასრულების შემდეგ , სასარგებლო ფენა, რაც დასაწყობდა უკან უნდა დაბრუნდეს. ამ მიმართულებითაც წლების განმავლობაში ისეთი ზარალი მიადგა ბუნებას, რომ ეხლა ამის აღდგენა, როცა არ არსებობს დასაწყობებული მიწა ძალიან რთულია. მაგრამ უკეთესობა არის იმისკენ, რომ კანონმდებლობა იხვეწება და უფრო სიმკაცრეა ამ მიმართულებით. დღესდღეობით ისეთი მასშტაბებით აღარ ხდება ასეთი ზარალის მიყენება. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ მიიღო ვანდალური კანონი , როდესაც მატერიალური ანაზღაურებით ყველაფრის გადაფარვა იყო შესაძლებელი, ბუნებაზე მიყენებული ზარალის. არის შემთხვევები, როდესაც, ვერავითარი მატერიალური თანხით ვერ ანაზღაურდება ის, რაც შეიძლება ბუნებას დამართოს ადამიანმა, ამიტომ დღესდღეობით ამ მიმართულებით სიმკაცრეა.

მწვანე საფარი, რომელიც პრაქტიკულად ჟანგბადის წყაროა. გარდა იმისა, რომ ხის უკანონო ჭრა ხდებოდა წლების განმავლობაში, იყო სტიქიური უბედურებები, ტყის ხანძრები, მაგალითად ბორჯომის ხანძარი, ომის დროს 2008 წელს და ა. შ. გარემოს დაცვის სამინისტრომ შექმნა საკუთარი სანერგე მეურნეობა, რომელიც ითვალისწინებს ტყის ჯიშების გამოყვანას , იქ არაა აქცენტი დეკორატიულზე და რა თქმა უნდა ახორციელებს საკომპენსაციო რგვებს, იმ ტერიტორიებზე, რომლებიც დაზიანებულია აღნიშნული მიზეზების გამო. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ტყის აღდგენის მიმართულებით, ეს არის გადაუდებელი საქმიანობა. წინასაარჩევნო კამპანიაში დაანონსებული იყო „მილიონი ხე“ ამას, რა თქმა უნდა, ბევრი ქილიკობს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ზომის ნერგს აქვს თავისი ფასი. გამწვანება მოხდა თბილისის სხვადასხვა ტერიტორიაზე, მაგალითად თბილისის ზღვის ტერიტორიაზე დაახლოებით 1500 ნერგი დაირგო, ფიჭვიდან დაწყებული, მუხით და კოპიტით დამთავრებული. დედროლოგიურ პარკში განხორციელდა, დაახლოებით 300 000 ნერგის დარგვა. პრეტენზიები გამოითქვა თბილისის მერთან იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ხდება მსგავსი აქციები მხოლოდ თბილისის გარშემო და არა ცენტრალურ ნაწილებშიც? რაზეც ნარმანიამ განაცხადა, რომ: პრაქტიკულად, თბილისის მიწების 95 პროცენტი მას უკვე პრივატიზირებული დახვდა და სხვის ტერიტორიაზე, რა თქმა

უნდა, ნერგვების დარგვის განხორციელება არ არის მარტივი. ამის მიუხედავად, უნდა გამოინახოს ადგილები თბილისში, აღსანიშნავია, ახალი გზის ორივე მხარეს განხორციელებული რგვები და ა. შ. ეს რაც შეეხება მწვანე საფარს. გარდა ამისა, ჰუმუსის აღდგენის პროცესი ძალიან რთულია, რადგან ასწლეულები ჭირდება ნეშომპალის ფენის წარმოქმნას და სადღაც ამოღება და დაზარალებულ ადგილზე მიტანა, პრაქტიკულად იგივეა, ერთი საქმის გაკეთებით, მეორე გააფუჭო. ამიტომ ამ მიმართულებითაც ბევრი სირთულეა. კიდევ ერთი წყარო ჰაერის დაბინძურების არის მტვერი. მტვერს აქვს ორი მთავარი წყარო. ერთი არის მშენებლობები და ამ მიმართულებით პარლამენტში იქნება განხილული სამშენებლო კოდექსი უახლოეს მომავალში და მიღებული იქნება მკაცრი რეგულაციები, რომ სამშენებლო კომპანიებმა სხვადასხვა მშენებლობების დროს რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაყენონ ბუნებას და მეორე არის ბუნებრივი მტვერი, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, რომ თბილისის გარშემო საკმაოდ კლდოვანი, ნაშალი მიწაა და ნებისმიერი ქარის დროს, ეს მასები ადის ჰაერში და შემდეგ ილექება უკვე სხვადასხვა მიმართულებით. ამის აღმოსაფხვრელადაც საჭიროა გამწვანება. რაც შეიძლება ნაკლები მიწის ზედაპირი უნდა იყოს ბალახის გარეშე, ესეც სერიოზულ თანხებთან არის დაკავშირებული. ანუ ყველა შემთხვევაში გარემოს დაცვითი ღონისძიებები მიდის საკმაოდ დიდ თანხებთან. ძალიან კარგი ინიციატივაა ის, რომ კასპცემენტში ასმილიონიანი ინვესტიცია ხორციელდება, ეს იყო ერთ-ერთი ძალიან ცხელი კერა, რომელიც აბინძურებდა გარემოს და ავტო პარკიდან დაწყებული ტექნოლოგიით დამთავრებული ეს კომპანია, ჰაიდელბერგ-ცემენტი გადააიარაღებს და ერთხელ და სამუდამოდ იქაური მოსახლეობა ამოისუნთქებს. ეს არის იმ პრობლემების ჩამონათვალი, რა მიმართულებითაც საჭიროა აქტიურობა და კიდევ ერთი, მაქსიმალური კონტროლი ფაბრიკა-ქარხნების და სხვადასხვა საწარმოების, რომელთა გადამუშავებული წყალი, ჰაერი ხვდება ბუნებაში. ამ მიმართულებით ზომების წინასწარ მიღებაა საჭირო, რათა აღმოიფხვრას ეს პრობლემა. დაზიანებულის აღდგენა არის ორმაგი დანახარჯი. თუ გამოვრიცხავთ ადამიანის გენეტიკას, დანარჩენი მისი ჯანმრთელობა მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, როგორ ჰაერს სუნთქავს, როგორ წყალს სვამს და საკვებს რამდენად ჯანსაღს მიიღებს. ანუ აქედან შემოდის

სხვადასხვა მავნე ნივთიერებები, რომლებიც შემდეგ დაავადებას იწვევს და ეს ყველაფერი არის ძალიან კომპლექსური. ხელისუფლება, როგორც გაწვდება სახსრების მიხედვით, ამის ფარგლებში იქნება განხორციელებული.

პოლიტიკოსი ორიენტირებული უნდა იყოს ამომრჩეველზე და იქიდან წარმოქმნილ პრობლემებზე. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში არ არის სახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა ძალიან ბევრი ადამიანი არის გაჭირვების ზღვრზე . ამ პრობლემებიდან გამომდინარე, როდესაც ადამიანს სხვა რამ აწუხებს, მისთვის, რა თქმა უნდა, გარემოს დაცვა, მეორეხარისხოვანია. ეს შეეტყო ქვეყანასაც, როდესაც 90-იან წლებში მთავარი იყო ხალხის დასაქმება და გარემოსდაცვითი ვალდებულებებით, მაინცდამაინც არ ტვირთავდნენ იმ ადამიანებს, ვინც ხალხს ასაქმებდა . დღესდღეობით, რაც ქვეყანა წელში იმართება, ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვს გარემოს დაცვით პრობლემებს და წინასაარჩევნოდაც ამ მიმართულებით უამრავი საკითხი იქნა დასმული.

4.2. „ მწვანეთა ფრაქცია“

გარემოს დაცვა უმნიშვნელოვანესი საკითხია გლობალურად ყველა ცივილიზებული ქვეყნისთვისაც, ეს გამოიხატება იმაში, რომ გლობალური დათბობის პროცესი მიდის დედამიწაზე. 2015 წელს ჩატარდა პარიზის სამიტი, სადაც თითქმის მთელი მსოფლიო შეთანხმდა იმაზე, რომ დედამიწას ელოდება ეკოლოგიური კატასტროფა, ამიტომ საჭირო პრობლემების გადაწყვეტა. ეს პრობლემები შემდეგში მდგომარეობს: არაორგანული საწვავის შედეგად, სხვა მიზეზების გამო ატმოსფეროში გროვდება C2 და სხვა ეგრეთ წოდებული სათბური გაზი, რომლის შედეგადაც ხდება ატმოსფეროში ტემპერატურის ზრდა. ამან შეიძლება გამოიწვიოს საშინელი კატასტროფული პროცესები, დაწყებული შიმშილიდან დამთავრებული ოკეანეების და

ზღვების დონეების აწევით, რითიც საფრთხე ემუქრებათ ასეთ ტერიტორიაზე დასახლებულ მოსახლეობას. გარდა ამისა გააქტიურებულია ეკოლოგიური კატასტროფები, როგორიც არის: ღვარცოფები, წყალდიდობები, მეწყერები, ქარიშხლები და ა. შ. ბუნებრივია, რომ უზარმაზარი ეკონომიკურ ზარალს აყენებს სახელმწიფოებს. ასე, რომ პრობლემები სერიოზულია და ეს საქართველოშიც ძალიან მძიმედ აისახება. ამის კვლევებიც არსებობს, როგორ გააქტიურდა საქართველოში სხვადასხვა ტიპის კატასტროფები, როგორ აიწია საშუალო ტემპერატურამ. დასავლეთ საქართველოში დაახლოებით 0,3 გრადუსით ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 0,6 გრადუსით. გააქტიურებულია გვალვები, რაც პირდაპირ ეკონომიკას ურტყავს, სოფლის მეურნეობას პრობლემებს უქმნის. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ქარიშხლების სიჩქარის ინტენსივობა გაიზარდა 5–ჯერ, რაც უდიდეს ეკონომიკურ ზიანს აყენებს მოსახლეობას. გააქტიურებულია 6–7 ბალიანი ღელვები შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ბუნებრივია, რომ ცალკე გარემოს დაცვა აღარ განიხილება პოლიტიკის გარეშე და ყველა სახელმწიფო ცდილობს, რომ ეკოლოგიური პოლიტიკა იყოს მისი შემადგენელი ნაწილი. 1995 წლის კონსტიტუციაში (37–ე მუხლი) პირდაპირ წერია, რომ ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს უვნებელ გარემოში და სახელმწიფო ვალდებულია შეინარჩუნოს გარემო და ეკოლოგიური მდგომარეობა. ეს უკვე კონსტიტუციურ დონეზე არის გადაწყვეტილი და ამიტომ უშუალოდ დაკავშირებულია შემდეგ ქმედებებთან, რომელსაც პოლიტიკური ხელმძღვანელობა ახორციელებს. ეს გამოიხატება კანონმდებლობის შემუშავებაში და აქედან გამომდინარე, საჭიროა ისეთი კანონების მიღება, რომელიც, საერთაშორისო პრობლემების მოგვარებასაც ხელს შეუწყობს და პარალელურად საქართველოში გადაწყვეტავს ძალიან სერიოზულ პრობლემებს. უშუალოდ ეკოლოგიური პოლიტიკის ძალიან საინტერესო ინდიკატორები არის თვითონ ხელისუფლებაში, ვინ მოდის, რა ტიპის ხელისუფლება მოდის, რომელი მიმართულების...მაგალითად: ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა ასეთი პოლიტიკა: არ აინტერესებდათ გარემოს დაცვის საკითხები და ძალიან საინტერესო ფაქტები იყო ამასთან დაკავშირებით. სულ დაანგრიეს ის კანონები, რომლებიც წინა ხელისუფლებაში, შევარდნაძის დროს იყო შექმნილი, პარალელურად გააიოლეს ბუნებრივ რესურსებთან

წვდომა. ამავე დროს უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს, 2011 წელს შეიტანეს ცვლილება გარემოს დაცვის კანონში და შეიტანეს თავი: შეთანხმება გარემოს დაცვის სფეროში და ჩაწერეს, რომ: ყველას აქვს უფლება, რომ წინასწარ გადახდილი თანხის შემთხვევაში ნებისმიერი ქმედება განახორციელოს ბუნებასთან დაკავშირებული, დაცულ ტერიტორიებზე, წითელ წიგნში შეტანილ სახეობებთან დაკავშირებით, არავითარი სასჯელი ამასთან დაკავშირებით არ იყო დაწესებული. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ამას მიაყოლეს მეორე ცვლილება რომ თუ ხელშეკრულება დაიდებოდა და ვიღაც წინასწარ გადაიხდიდა თანხას, არც ერთ მაკონტროლებელ სამსახურს არ ჰქონდა უფლება შეემოწმებინა ეს. „მწვანეთა პარტიამ“ ეს ცვლილება გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში და საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ჩანაწერი, როგორც არაადამიანიური და ადამიანის უფლებების შემლახავი. უშუალოდ პოლიტიკურ სისტემასთან არის დაკავშირებული ეს ყველაფერი. 2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ , პირველი რაც გაკეთდა დანგრეული გარემოს დაცვის სამინისტრო, რომელსაც არანაირი ფუნქციები აღარ ჰქონდა, მთლიანად აღდგა და დაუბრუნდა ფუნქციები, მაკონტროლებელი რესურსები. გარდა ამისა, უშუალოდ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული ქვეყნის ბირთვული უსაფრთხოების საკითხები, რომელიც მარტო საქართველოს უსაფრთხოებასთან არ არის დაკავშირებული, ეს არის გლობალური უსაფრთხოების საკითხები, ამიტომ მიღებული იქნა კანონი ბირთვული უსაფრთხოების შესახებ, რომელიც მთლიანად არეგულირებს საქართველოში ბირთვული მასალების, ბირთვული რადიაქტიული ნარჩენების მოძრაობას. საქართველოში აიკრძალა ბირთვული ნარჩენების შემოტანა, მისი განთავსება, ტრანზიტი და ასე შემდეგ, რაც სერიოზული პოლიტიკური საკითხია, რადგან უამრავი ქვეყანაა დაინტერესებული, ტერორისტული ჯგუფები ბირთვული ნარჩენების ხელში ჩაგდებით, რადგან აქედან მზადდება, როგორც ბირთვული იარაღი, ასევე ე. წ. ჭუჭყიანი ბომბები და ა. შ. ეს საკითხი, ფაქტობრივად, როგორც იქნა მოგვარდა. გარდა ამისა, საქართველში აიკრძალა გენმოდიფიცირებული პროდუქციის შემოტანა, განთავსება და შეიქმნა ახალი აგრარული პოლიტიკა და აიკრძალა სოფლის მეურნეობაში გენმოდიფიცირებული პროდუქციის მოყვანა. ამან სხვა ბიძგი მისცა საქართველოს

აგრარულ სექტორს და ნელ–ნელა იმედია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა გადავა ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მოყვანაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი რაც ამ პარლამეტის პერიოდში გაკეთდა, ეს არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსი, ამ კოდექსის მიხედვით, ყველაფერი მნიშვნელოვანი, მშენებლობა თუ სხვა რამ, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების წინასწარ შეფასებას, სახელმწიფო განვითარების პროგრამებიც კი. ანუ წინასწარ უნდა შეფასდეს მისი გარემოს დაცვითი ღირებულება და მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განხორციელება. თუ გარემოს დაცვის სამინისტრომ, ამ შეფასების შემდეგ არ გასცა ნებართვა საქმინობაზე, ის საქმიანობა ვერ განხორციელდება, ის პროგრამა ვერ დამტკიცდება. ასე, რომ ესაა ძირითადი პოლიტიკური დოკუმენტი ქვეყნისათვის. ასევე უნდა შემოვიდეს ახალი ტყის კოდექსი, წყლის ახალი კანონი. პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ევროკავშირიში გაწევრიანებისთვის, იმიტომ რომ ასოცირების შეთანხმების მიხედვით, მას აქვს თავისი გეგმა, ამ გეგმის მიხედვით, თითქმის 50 პროცენტზე მეტი მოთხოვნები არის სწორედ გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებული. ამიტომ თუ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული არ შესრულდა, ევროკავშირში გაწევრიანება ვერ მოხერხდება. გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც საქართველოში ხორციელდება, პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებთან.

ძალიან სამწუხარო ამბავია, შეიძლება ითქვას, რომ ტრაგიკული მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით საქართველოში, იმიტომ რომ ქართული მედია არ არის დაინტერესებული გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებით. ამიტომ საზოგადოების დიდი ნაწილი საქმის კურსში არ არის ამ საკითხებზე. ყველაფერი რაც კეთდება ეხლა და წლების განმავლობაში კეთდებოდა, არის ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული და რა თქმა უნდა პოლიტიკასთან კავშირში. ადამიანებმა არ იციან სინამდვილეში რა ხდება, მათი ცნობიერება, ეკოლოგიური თვალსაზრისით, ძალიან დაბალია. მაგალითად: საზოგადოებამ არ იცის, რომ მიღებულია კოდექსი ნარჩენების შესახებ, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, აგრეთვე ასოცირების ხელშეკრულებასთანაა დაკავშირებული, რომლის მიხედვითად საქართველოში

დაწყებულია პროცესი ნარჩენებისა და ნაგავსაყრელების მოწესრიგების. ამას სჭირდება ძალიან დიდი თანხები, ამიტომ ევროკავშირი გვემარება გრანტებით. საზოგადოების ცნობიერება თუ არ იქნება შესაბამისი, რა კანონიც არ უნდა გატარდეს, რაც არ უნდა დიდი ფული დაიხარჯოს აზრი არ ექნება. ადამიანებმა თუ არ გაითავისეს, რომ მანქანიდან ნაგავი არ უნდა გადმოყარონ, მე–10 სართულიდან ჩამოყრილი ნარჩენებით არ უნდა დაანაგვიანონ საარსებო გარემო, ბუნებრივია ძალიან ძნელი იქნება ამ პრობლემებთან ბრძოლა.

მწვანეებს აქვთ გარკვეული მიზნები და ამოცანები. იქიდან გამომდინარე, რომ მედია არ არის დაინტერესებული ეკოლოგიური პრობლემებით, ბუნებრივია მწვანეების გაშუქებაც ნაკლებად ხდება. რა თქმა უნდა, სერიოზული პრობლემებია, იმიტომ რომ პარტიას ჭირდება განვითარება, დაფინანსება, ოფისები, რაც ამ ეტაპზე აუხდენელი ოცნებაა, თუმცა თვითმართველობის არჩევნების შემდეგ საკითხავია რა იქნება.

ძირითადი საკითხი „მწვანეებისთვის“ არის ყოველთვის ეკოლოგიური საკითხები.

დავიწყოთ გლობალური დათბობის შედეგებიდან. საერთოდ საქართველო მთიანი ქვეყანაა, 2/3 არის მთებით დაფარული და აქედან გამომდინარე ძალიან მოწყვლადია სხვადასხვა პრობლემების მიმართ. საქართველოში არის 26 000 მდინარე თავისი ხეობებით, სადაც სისტემატიურად ვითარდება სხვადასხვა ეკოლოგიური პრობლემები, ასე ვთქვათ, მეწყერების, ღვარცოფების სახით. სამიათასამდე დასახლებული პუნქტი საქართველოში არის რისკის ზონაში, სადაც ცხოვრობს 400 000 ოჯახი. რამდენად სახიფთოა , ამიტომ ბუნებრივია, რომ ამაზე ზრუნვა, პირველ რიგში, ნიშნავს სიცოცხლეზე ზრუნვას. კომუნისტების პერიოდიდან საქართველოში არის 50 000 მდე ეკომიგრანტი. უმეტესი ნაწილი აქედან არის მეწყერების გამო აყრილი და გადასახლებული სხვადასხვა ტერიტორიაზე. ეს პროცესები უფრო და უფრო აქტიურდება, რადგან გლობალური დათბობა ისეთ პრობლემებს ქმნის, რომ ეს პროცესები უფრო მძლავრი ხდება და ძალიან დიდი ყურადღების მიქცევა უნდა. პირველ რიგში, საჭიროა ტყეების შენარჩუნება. ტყეებს გააჩნია თავის დაცვითი ფუნქცია. ტყე არ არის დეკორაცია, ფერდობებზეა განლაგებული ჩვენი ტყეების 97

პროცენტი. მათი პირველი დანიშნულება არის ეკოლოგიური დაცვითი ფუნქცია. ისინი იცავენ მეწყერებისგან, წყალდიდობებისგან საქართველოს ტეროტორიას. რაც უფრო ნაკლებია ტყის საფარი, მით უფრო აქტიური ხდება ეს პროცესი, ამიტომ პირველი ამოცანა არის ტყეების შენარჩუნება. ტყეების შენარჩუნება სახელმწიფო პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. ამისთვის ადამიანებს უნდა მიეცეს ალტერნატიული საწვავი, იმიტომ რომ უდუდესი ნაწილი, საქართველოს ტყეებისა ნადგურდება სწორედ შეშის გამო. ამიტომ მიდის საქართველოს ტერიტორიების გაზიფიცირება. დაახლოებით 70 პროცენტამდე და მეტიც უკვე გაზიფიცირებულია და ამან ცოტა შეაჩერა ეს პროცესი, თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. არსებობს ე. წ. „ადაპტაციის პროგრამები“ და მისი მიზანია ის, რომ გაითვალისწინო მომავალი და წინასწარ გააკეთო გათვლა. ეს არის ძალიან ძვირადღირებული საქმე, საქართველოს ბიუჯეტი ამას ვერ გაწვდება, იმიტომ რომ ეს პრობლემები ბევრ ადგილასაა. პარიზის სამიტმა შექმნა ასმილიარდიანი „მწვანე ფონდი“ განვითარებადი სახელმწიფოებისთვის, იმისთვის, რომ დაეხმაროს. კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა კავკასიონის მყინვარების ფართობების შემცირება. ესეც ტემპერატურის ზრდასთანაა დაკავშირებული. ძალიან სერიოზულ პრობლემას შექმნის მომავალში წლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში და ზაფხულის პერიოდში, ძირითადად მდინარეები იკვებებიან კავკასიონის ნადნობი წყლით და ეს რომ შემცირდება, სოფლის მეურნეობას დიდი პრობლემები შეექმნება წყლის დეფიციტის გამო. გარდა ამისა ლოკალური პრობლემებია, ეს დაკავშირებულია სხვადასხვა საბადოების ექსპლუატაციასთან, სხვადასხვა სამრეწველო ობიექტებთან. ეს არის დაუძლეველი პრობლემა ჯერ კიდევ კომუნისტების პერიოდიდან. ერთ–ერთი არის ჭიათურის და ზესტაფონის მარგანეცის წარმოება და მეორე ბოლნისის სპილენძისა და ოქროს წარმოება, რომელიც ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, ამას საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილება ჭირდება. ძნელი გადასაწყვეტია, იმიტომ, რომ ეს ორი წარმოება უზრუნველყოფს საქართველოდან ექსპორტის უდიდეს ნაწილს. ამიტომ ეტაპობრივად ხდება პრობლემების მოგვარება, თუმცა როგორ დასრულდება საკითხავია. მარტო ჭიათურის მარგანეცს 350 000 000 ლარის ჯარიმა აქვს გარემოს დაბინძურების გამო, რომელსაც ვერ იხდის. გარდა ამისა,

სერიოზული პრობლემები იყო რადიაციულ დაბინძურებასთან დაკავშირებით. საქართველო ერთ–ერთი დაზარალებული ქვეყანაა ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ 2500 კილომეტრითაა დაშორებული საქართველოდან ჩერნობილის ატომური სადგური. როდესაც იქ აფეთქება მოხდა შავი ზღვიდან შევიდა თურქეთში, თურქეთიდან შემოვიდა საქართველოში ისეთი შავი ზღვის სანაპირო ზოლში 1986 წლის პირველ მაისს ატმოსფეროში რადიაციული ფონი აწეული იყო 500 000–ჯერ, რამაც უზარმაზარი ზიანი მიაყენა ადამიანის ჯანმრთელობას. აი მაგალითად, მაშინ წამოვიდა ჩიყვის ეპიდემია, ფარისებური ჯირკვლის სიმსივნეები. ეს პროცესი დღესაც არ არის დამთავრებული, იმიტომ რომ რადიაციას აქვს ასეთი უცნაური თვისება, რომ ის გრძელდება 30 წლის მანძილზე.

ძირითადი მიმართულება მაინც უნდა იყოს შესაბამისი მკაცრი კანონმდებლობა. ერთ–ერთი მნიშვნელოვანი კანონი მაინც გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსია, რომელმაც წინასწარ უნდა მოახდინოს პროფილაქტიკა მომავალი ეკოლოგიური პრობლემების თავიდან ასაცილებლად. ანუ ყველაფერი დაექვემდებარება წინასწარ გარემოს დაცვით შეფასებას, ისე არაფერი არ გაკეთდება ამ ქვეყანაში. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და მეორე არის, რა თქმა უნდა, აღსრულების საკითხი, სამინისტრო თავისი სტრუქტურებით, რაც ფორმირების პროცესშია, იმიტომ რომ დიდ სახსრებთანაა დაკავშირებული. კადრების პრობლემაც არსებობს გარემოს დაცვის სფეროში. ეს არის რთული და დაკავშირებულია კომპლექსურ ცოდნასთან, ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ამიტომ კარგი იქნება უმაღლეს სასწავლებლებში ეს მიმართულება უფრო განვითარდეს.

წინასაარჩევნო პერიოდის დროს, საზოგადოება უფრო მობილიზებულია და ეს გამოიყენება არა მარტო პიარისთვის, არამედ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლადაც. ამიტომ არის საშუალება, რომ ეს პერიოდი გამოყენებულ იქნას ამ მიმართულებით.

4.3 „ნაციონალური მოძრაობა“

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტუალური გახდა გარემოსდაცვითი საკითხები და მოსახლეობამ დაიწყო საუბარი ისეთ გამოწვევებზე, როგორიცაა ატმოსფერული ჰაერი, ნარჩენები, წყალი, კლიმატის ცვლილება და ა.შ., გარემოს დაცვა დღეს მაინც ეკონომიკისა და სოციალური კეთილდღეობისგან განცალკევებულ მიმართულებად ითვლება. უფრო მეტიც, გარემო ხშირად აღქმულია როგორც ეკონომიკის ტვირთი და ეკონომიკური განვითარების ხელშემშლელი ფაქტორი. დადებითი სიახლე არის ის, რომ ქვეყანა აქტიურად არის ჩართული გარემოსდაცვითი გამოწვევებისაკენ მიმართულ საერთაშორისო ძალისხმევაში, ასევე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად ბევრი ისეთი რეგულაცია წესდება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გარემოსადმი მიყენებულ ზიანს. თუმცა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტურად აღსრულებისთვის მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი კოორდინაცია და დაგეგმვის პროცესში გარემოსდაცვითი საკითხების მაქსიმალურად გათვალისწინება, რაც სამწუხაროდ იშვიათად ხდება საქართველოში. შესაბამისად, ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებებში, გარემოს დაცვა მეორეხარისხოვანია. ქვეყანაში ძალიან მცირე რაოდენობის საგანმანათლებლო პროგრამა არსებობს როგორც ზოგადი განათლების, ისე უმაღლესი განათლების დონეზე, და, შესაბამისად, ახალგაზრდების ინტერესიც დაბალია გარემოსდაცვითი მიმართულებებისადმი.

იმისთვის, რომ საქართველომ ფეხი აუწყოს მიმდინარე საერთაშორისო პროცესებს, აუცილებელია ქვეყნის შიგნით სხვადასხვა უწყების გაერთიანება და ჩამოყალიბდეს ისეთი დამოკიდებულება, რომ გარემოს დაცვა მხოლოდ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვალდებულება არაა, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით დიდი როლი სწორედ ამ სამინისტროს აკისრია და აუცილებელია მისი გააქტიურება.

მასმედიის როლი უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში, თუმცა, ქართულ სატელევიზიო სივრცეში, ბეჭდურ მედიასა და რადიოში ძალიან მცირე დრო ეთმობა გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქებას. პირველ რიგში, ეს იმითარის განპირობებული, რომ ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებად გარემოს დაცვა არ ითვლება და, შესაბამისად, არსებობს ამის მცდარი მოსაზრება და ეს საკითხები ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად საინტერესოა. მეორე მხრივ, მასმედიის წარმომადგენლების კვალიფიკაცია ამ მიმართულებით საკმაოდ დაბალია. მცირე რაოდენობის სატელევიზიო პროგრამა თუ არსებობს, რომელიც ემსახურება მოსახლეობის ცნობიერების გაზრდას, ასეთი პროგრამები კი ძირითადად ახალგაზრდებისკენაა მიზანმიმართული. ძალიან მცირე რაოდენობის სარეკლამო რგოლი გადის სატელევიზიო სივრცეში გარემოსდაცვით საკითხებზე და ზედაპირულად შუქდება ინფორმაცია ახალი ინიციატივებისა თუ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ.

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულნი გარემოსდაცვით სფეროში მიმდინარე პროცესებში. ისინი მუდმივად იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ახორციელებენ კონტროლსა და მონიტორინგს, თუ რამდენად ეფექტურად ასრულებს სახელმწიფო დაკისრებულ მოვალეობას ამ მიმართულებით. ასევე დიდია ამ ორგანიზაციების როლი საზოგადოების ცნობიერების გაზრდისკენ მიმართულ ქმედებებში.

წინასაარჩევნო პროგრამებში ძალიან მცირედ ან საერთოდ არ მახვილდება ყურადღება ეკოლოგიურ საკითხებზე. ეკოლოგიური საკითხები არცაა შეტანილი საარჩევნო პროგრამაში, ისევ და ისევ იმ მცდარი მოსაზრების გამო, რომ გარემო ნაკლებად პრიორიტეტული და საინტერესოა საზოგადოებისთვის. წინასაარჩევნო გამოსვლების დროს, სხვადასხვა პოლიტიკური პარტია ყურადღებას ამახვილებს ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა ეკონომიკა, ჯანდაცვა, დასაქმება, განათლება და ა.შ. თუმცა, ავიწყდებათ ის მნიშვნელოვანი კავშირი, რომლითაც გარემო და თითოეული ეს მიმართულება ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მაგალითად, ჯანსაღი გარემო

პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ჯანმრთელობასთან, ხოლო ეკონომიკის ისე დაგეგმვა, სადაც მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნება გარემო, ქვეყნის მდგრადი განვითარების საწინდარია.

ყველაზე მტკივნეული გარემოსდაცვითი პრობლემები საქართველოში მოიცავს ატმოსფერული ჰაერისა და წყლის დაბინძურებას, ნარჩენებისა და ნაგავსაყრელების არასწორ მართვას და ბიომრავალფეროვნებისა და ტყის რესურსების მკვეთრად შემცირებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის აღმოფხვრის ეფექტური მექანიზმია შესაბამისი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია მათი ეფექტური განხორციელება. სამწუხაროდ, დღეს არსებული კანონმდებლობა წყლის, ჰაერის ან ტყის რესურსების მიმართულებით მოძველებულია და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

აღსანიშნავია, რომ ატმოსფერული ჰაერის მიმართულებით საქართველოში ყველგან ერთნაირი მდგომარეობაა, ჰაერის დაბინძურების ხარისხი განსაკუთრებით მატულობს დიდ და ინდუსტრიულად განვითარებულ ქალაქებში. ძირითადად კი ჰაერის დაბინძურება გამოწვეულია ავტომობილების გამონაბოლქვით. განსაკუთრებით, სავალალოა ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა თბილისში, მაშინ როცა ავტომობილების რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება და არ არსებობს ტექნიკური დათვალიერების მექანიზმი.

რაც შეეხება წყლის რესურსებს, სამრეწველო, საყოფაცხოვრებო თუ სასოფლო-სამეურნეო ქმედებების შედეგად და ასევე სამთო-მოპოვებითი საქმიანობის შედეგად საქართველოს მდინარეების დაბინძურების ხარისხი საკმაოდ მაღალია. მაშინ როცა მოსახლეობის მხოლოდ 31% არის უზრუნველყოფილი შესაბამისი საკანალიზაციო სისტემით და მხოლოდ სამი ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობა არსებობს, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შედეგი მოაქვს მდინარეებზე შესაბამისი დამუშავების გარეშე ჩამდინარე წყლებს. ამასთან, საწარმოების ძალიან მცირე რაოდენობას თუ გააჩნია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ჩამდინარე წყლის გამწმენდი სისტემა, ხშირ შემთხვევაში კი საწარმოები საერთოდ არ არიან აღჭურვილნიმსგავსი

დანადგარებით. წყლის რესურსების მიმართულებით არსებულ გამოწვევებში. ასევე უნდა აღინიშნოს შავი ზღვის დაბინძურებაც, რომლის ძირითადი წყარო ისევ და ისევ დაუმუშავებელი ჩამდინარე წყალია და ასევე მყარი ნარჩენი, რომელიც გემიდან ან სანაპირო ზოლიდან ხვდება ზღვაში. ეს ყოველივე კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც ადამიანის სიცოცხლეს, ისე ზღვაში არსებულ ეკოსისტემას.

გამომდინარე იქედან, რომ ადამიანების დამოკიდებულება ტყის რესურსებზე საკმაოდ მაღალია, უმოწყალოდ მიმდინარეობს ხე-ტყის გაკაფვა, ხოლო რაც შეეხება ბიომრავალფეროვნებას, ბუნებრივი ჰაბიტატების დეგრადაცია და ფრაგმენტაცია მცენარეთა და ცხოველთა სახეობების პოპულაციების შემცირების მთავარი მიზეზია. უკანასკნელ წლებში ენერგეტიკის (მაგ., ჰიდროელექტროსადგურები), სოფლის მეურნეობის (მაგ., ჭარბი ძოვება) და ინფრასტრუქტურის (მაგ., გზები) დარგების განვითარებამ ხელი შეუწყო ბუნებრივ ჰაბიტატებზე ზეწოლას. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება მიღებული სათანადო და დროული ზომები, აღნიშნულ დარგებს შეუძლიათ გამოწვიონ ბუნებრივი ჰაბიტატების დაბინძურებაც (მაგ., პესტიციდებითა და სასუქებით).

რაც შეეხება ნარჩენებს, არ არსებობს სათანადო ინფრასტრუქტურა ნარჩენების შეგროვებისას, ტრანსპორტირებისას და დამუშავებისას, ან ნარჩენების მართვის ნებისმიერ სხვა ეტაპზე. აუცილებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით ნარჩენების შეგროვების ქსელის განვითარება და ახალი ნაგავსაყრელების მოწყობა სახიფათო, არასახიფათო და ინერტული ნარჩენებისთვის ევროკავშირის მოთხოვნათა შესაბამისად.

კლიმატის ცვლილება, როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ისე საქართველოსთისაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. კლიმატის ცვლილება ყველაზე მეტად ემუქრება მყინვარწვერებს, რომლებიც საქართველოს მდინარეების მთავარ მკვებავ წყაროს წარმოადგენენ. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მათი დნობა კი მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის მდინარეებს და შეამცირებს წყლის დონეს მათში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა ზემოაღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. ნარჩენების მიმართულებით გატარებულია მნიშნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, მაგალითად, დამტკიცებულია ნარჩენების მართვის კოდექსი, რომელიც ემყარება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებას და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. ასევე, მიღებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტები - ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (2016-2030) და სამოქმედო გეგმა (2016-2020), რომლებიც ქმნიან მყარ საფუძველს ნარჩენების მართვის სისტემის ეტაპობრივი ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის.

წყლის რესურსების სფეროში, გამომდინარე იქედან, რომ არსებული კანონი წყლის შესახებ ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ მექანიზმებს წყლის რესურსების მართვისთვის, მაგალითად არ მოიცავს მიწისქვეშა წყლებს, შემუშავებულია ახალი კანონი პროექტზე "წყლის რესურსების მართვის შესახებ", რომელიც მოიცავს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ყველა ასპექტს. ასევე, დაწყებულია მდინარეების სააუზო მართვის გეგმების შემუშავების პროცესი. ამ დროისთვის დასრულებულია ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის სააუზო მართვის პილოტური გეგმის (2016 წელი) პროექტის მომზადება, რომელიც სავარაუდოდ დამტკიცდება „წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონის მიღების შემდგომ.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა წყლისა და ჰაერის მონიტორინგის ქსელი, რაც უზრუნველყოფს სანდო მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვებას საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. 2016 წელს, სატრანსპორტო სექტორიდან გაფრქვევების მოცულობების შემცირების მიზნით, განხორციელდა რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება. კერძოდ, 2017 წელს ბენზინის ხარისხის ეროვნული ნორმა ევრო 5 სტანდარტს გაუტოლდა, 2019 წლამდე იგეგმება დიზელის საწვავის ხარისხის სტანდარტის ეტაპობრივი გაუმჯობესება ევრო 4 სტანდარტამდე (50 მგ/კგ). უფრო სუფთა ავტომობილების იმპორტის გასაზრდელად საქართველომ შემოიღო ეკონომიკური წახალისების მექანიზმები და ამჟამად, საქართველოში

ელექტრომობილების იმპორტი გათავისუფლებულია აქციზისა და იმპორტის გადასახადებისაგან.

ბიომრავალფეროვნების სათანადოდ დაფასების, კონსერვაციის, აღდგენისა და მდგრადი გამოყენების, ეკოსისტემური პროცესებისა და სერვისების და ჯანსაღი გარემოს შენარჩუნების უზრუნველყოფის მიზნით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. მაგალითად, გაფართოვდა დაცული ტერიტორიების ქსელი, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია სახეობებისა და მათი ჰაბიტატების დაცვის უზრუნველსაყოფად. ბიომრავალფეროვნების სფეროში ეროვნული პოლიტიკის ძირითად განმსაზღვრავდოკუმენტს „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებებათა გეგმა“ (NBSAP) წარმოადგენს, რომლის მიზანია ბიომრავალფეროვნების ფასეულობების შენარჩუნება, ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობისა და სარგებლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება, ბიომრავალფეროვნების ასპექტების ინტეგრირება სხვადასხვა სექტორში და ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის გაუმჯობესება და საფრთხეების შერბილება. ამჟამად შემუშავებულია კონონის პროექტი ნადირობისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ.

ტყის სექტორში მიმდინარეობს მუშაობაკანონპროექტზე „ტყისკოდექსი“, რომელიცშესაბამისობაშიიქნებასაერთაშორისოვალდებულებებთან, გლობალურდა ეროვნულგამოწვევებთანდასაჭირობებთან.
საქართველოსტყეებისდაცვისადამდგრადიგამოყენებისწინაპირობისშესაქმნელად.
„ტყისკოდექსმა”
უნდაუზრუნველყოსახალიანგანახლებულისისტემებისადამექანიზმების შექმნა, რომლებიცეროვნულისატყეოკონცეფციისსაფუძველზეგანხორციელდება. ამასთან, კიდევ ერთი დადებითი სიახლეა ის, რომ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ძალიან მალე დაიწყება ეროვნული ინვენტარიზაცია ტყის, რაც პირველად განხორციელდება ისტორიაში.

ბუნებრივი საფრთხეების მიმართულებით მნიშნელოვანი მზაობაა საქართველოში,

დამონტაჟებულია წინასწარი გაფრთხილების სისტემები, რათა შესაბამისი და დროული რეაგირება მოხდეს რომელიმე ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში.

კლიმატის ცვლილების კუთხით, აღსანიშნავი ფაქტია ის, რომ 7 ივნისს საქართველო შეუერთდა პარიზის შეთანხმებას, რომლის ეფექტური და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით საქართველოს მზად აქვს „ეროვნულად განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ქვეყნის ხედვა სათბურის გაზების გაფრქვევების შემცირებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის მიმართულებით. კერძოდ, საქართველო გეგმავს, რომ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორიდან 2030 წლამდე ეტაპობრივად შეამციროს სათბურის გაზების გაფრქვევა 15-25%-ით.

გარემოსდაცვითი განათლების კუთხითაც მნიშვნელოვანი ინიციატივები განხორციელდა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა შეიმუშავა სახელმძღვანელო სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა გარემოსდაცვითი კომპონენტი. სახელმძღვანელო მალესაქართველოს ყველა ბაღში გავრცელდება და მისი წყალობით, ბავშვები ადრეული ასაკიდანვე შეძლებენ გარემოს აღქმას და ჩამოუყალიბდებათ გარკვეული ქცევები და დამოკიდებულებები. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ცენტრმა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან ერთად, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით დაიწყო გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა, რომლის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გარემოსდაცვითი მმართველობისა და პოლიტიკის სფეროში, რომლებიც წარმატებით იმუშავებენ როგორც საჯარო, ასევე კერძო, თუ საზოგადოებრივ სექტორში. გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით ერთ მნიშვნელოვანი დოკუმენტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომლის შემუშავების პროცესიც ამჟამად მიმდინარეობს - “განათლება მდგრადი განვითარებისთვის: საქართველოს ეროვნული სტრატეგია 2018-2022 წლებისთვის”. დოკუმენტის მიზანია ადამიანების საჭირო ცოდნით და უნარ-ჩვევებით აღჭურვა მდგრადი განვითარებისთვის, რაც მათ უფრო კომპეტენტურს გახდის ჯანსაღი და

პროდუქტიული ცხოვრების წარსამართად ბუნებასთან ჰარმონიაში. დოკუმენტის დამტკიცების შემდგომ, მდგრადი განვითარების კომპონენტები ინტეგრირებული იქნება სწავლების ყველა დონეზე, როგორც საგანმანათლებლო ისე სამეცნიერო მიმართულებებზე და პროფესიული სასწავლებლებში. ყოველივე ამის მიზანი კი არის ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყოს ქვეყნის მდგრად განვითარებას.

ბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური გარემოსდაცვითი მმართველობისთვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო საფუძველის შექმნა, თუმცა ეს ყველაფერი მხოლოდ ფურცელზე არ უნდა იყოს დატანილი და აუცილებელია ამ ყველაფრის შესრულება.

ცალკეული კომპონენტების განხილვა არ არის მიზანშეწონილი, რადგან თითოეული დარგი გადაჯაჭვულია ერთმანეთზე და ერთი კონკრეტული მიმართულების მოგვარება დანარჩენი დაკავშირებული დარგების გარეშე შეუძლებელია. კონპლექსური ერთიანი მიდგომაა საჭირო გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად და ამისთვის ადამიანის გარემოსდაცვითი ცნობიერება, განათლება და უნარჩვევები მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

წინასაარჩევნო პროგრამებში საკითხების შეტანა დამოკიდებულია საზოგადოების მოთხოვნილებათა პრიორიტეტულობაზე. მაგალითად, თუ პოლიტიკური პარტიები თავიანთ საარჩევნო პროგრამებში შეიტანენ გარემოსდაცვით საკითხებს, ნიშნავს რომ ამ საკითხების მიმართ საზოგადოების ინტერესი გაიზარდა და მათთვის ეს მიმართულებები მნიშვნელოვანია. საზოგადოების ინტერესისა და ცნობიერების გაზრდა კი სწორედ ეფექტური გარემოსდაცვითი პოლიტიკის შედეგი შეიძლება იყოს.

4.4. „ლეიბორისტული პარტია“

გარემოს დაცვაზე ზრუნვას უდიდესი როლი აქვს. ადამიანი გარემოს და ბიოსფეროს განუყოფელი ნაწილია და ეს ყველაფერი კი ურთიერთკავშირშია. ადამიანები, როგროც წესი, ძალიან უდიერად ექცევიან გარემოს. დანაგვიანების გარდა ნადგურდება ეკოლოგია. ხეების მასიური ჭრა მიდის იმის გამო, რომ ვიღაცამ დიდი ფული იშოვოს, მაგის გამო რა მოხდება ხვალ? წყალი, რომელიც დღეს ძალიან საამაყოა საქართველოსთვის, როგორც მინერალური, ისე სასმელი, მტკნარი რომელმაც შეიძლება, ქვეყნის ეკონომიკას დიდი თანხა მოუტანოს, სწორედ ეს ნადგურდება. წინა ხელისუფლებაც, იმის წინა ხელისუფლებაც, დღევანდელი ხელისუფლებაც, რაღაცა ერთეული მაფიოზული კლანები, დანარჩენები არიან მათი შემადგენელი ნაწილები, საერთოდ არ ფიქრობენ. ხვალ აღარც წყალი იქნება, აღარც ჟანგბადი, მშენებლობები რომ მიმდინარეობს თბილისში და მთელი ხეები იჩეხება ერთი კაცის თუ რამდენიმე კაცის ამიბიციების და ფულის შოვნის გამო და სასუნთქი ჰაერი აღარაა. ხალხის გარკვეული ნაწილი კი ვფიქრობს, მაგრამ ხელმიუწვდომელია უბრალო მოქალაქეებისთვის, რომ შეჩერდეს დღევანდელი სიტუაცია. ყველაფერი ურთიერთკავშირშია და აუცილებლად გასაფრთხილებელია. თუმცა ეს მოწოდებები რჩება უპასუხოდ, იმიტომ, რომ აქ იშოვება დიდი რაოდენობით ფული და ის ვინც დიდ ფულს შოულობს, სულ არ ენაღვლება რა ხდება ეკოლოგიური თვალსაზრისით და რა იქნება მომავალი. პოლიტიკა, ეკონომიკა და ეკოლოგია ძალიან არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული და სანამ არ მოვა ისეთი ხელისუფლება, რომელიც იზრუნებს იმაზე, რომ თავისი ხალხი ცხოვრობდეს ჯანსაღ გარემოში, იზრუნებს თავისი შვილების მომავალზე, რომ ელემენტარული სასუნთქი ჰაერი იყოს და წყალი იყოს დასალევი მანამდე არაფერი შეიცვლება. აი სწორედ ეხლა, ხეები რომ დააქვთ აქეთ-იქით და მთლიანად, ფასვებიანად ნადგურდება. ჰუმუსის პატრა ფენის შექმნას სჭირდება საუკუნეები. ასე, რომ ნადგურდება ბუნება დაიწყება მეწყერები, მთლიანად მოიშლება ეკოსისტემა. ამაზე ერთეული ადამიანები კი ფიქრობენ, მაგრამ რა? არ ხელეწიფებათ რამის შეცვლა, ამიტომ იქნებ როდესმე მოვიდეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც ხალხზეც იფიქრებს, ეკოლოგიაზეც იფიქრებს, ეკონომიკაზეც და ყველაზე მთავარი რაც არის მომავალზე იზრუნებს.

გაშუქება ალბათ ხდება, მაგრამ მაშინ, როცა უშუალოდ კატასტროფა ხდება. აი მაგალითად: გაიჩეხა სადღაც ხეები, მშენებლობის გამო და ხალხი გამოვიდა და მაშინ გაშუქდა, მაგრამ ის, კი არა რომ პერმამენტულად მიდის ხეების ჩეხვა და არა მხოლოდ შერჩევითი ჭრა, რომელიც აუცილებლად უნდა მოხდეს, არამედ მასიური ჭრა და ამას ეწირება ძალიან ჯანმრთელი და საღი ხეები და ეს ეწირება ვიღაცის ფინანსურ ინტერესებს ამის გაშუქება ნაკლებად ხდება. ჩვეულებრივ ამბად აღიქმება ეს ყოველივე, იმიტომ, რომ ჟურნალისტიკა, ძირითადად, სკანდალებზეა ორიენტირებული და ეს უკვე ჩვეულებრივ ამბად აღიქმევა. თუმცა, გაშუქებამაც უკვე აზრი დაკარგა. ხდება ისე, რომ არანაირი რეაგირება არაა ამასთან დაკავშირებით. შედეგი არ აქვს საერთოდ და ამიტომაც აზრს კარგავს ეს ყველაფერი, რადგან ისევ მივდივართ პოლიტიკამდე.

მწვანეთა პარტია სერთოდ აღარ ჩანს. არსებობდა გია გაჩეჩილაძის „მწვანეთა პარტია“ ოპოზიციაში, რომელიც ძალიან აქტიური იყო და სკანდალურ მასალებს იძლეოდა. რაც გია გაჩეჩილაძე გახდა ფრაქციის ხელმძღვანელი და მოვიდა ხელისუფლებაში, ის არის ხელისუფლების გუნდრულის მკმეველი. უფრო მეტად გართულდა ეს მდგომარეობა, უფრო მეტად იჭრება და იჩეხება ტყეები, კვარციტმა ჩარეცხა და გააუბედურა მთელი გარემო, ჭიათურაში და ზესტაფონში რა ხდება კარგადაა ცნობილი, მაგრამ „მწვანეთა მოძრაობა“ არსად ჩანს. მეორე მოძრაობა ნატა ფერაძის ხელმძღვანელობით: „პარტიზანი მებაღეები“ ისინი შედარებით აქტიურობენ. კიდევ კარგი რამდენიმე კაცი მაინც არის შემორჩენილი საქართველოში და უცებ „ხანძარზე“ მაინც მიდიან, მაგრამ შედეგი ფაქტობრივად, არც აქ არ არის არანაირი.

ზოგადად, ეს გამოკვეთილად წინასაარჩევნო პერიოდში არ ხდება ხოლმე . ლეიბორისტული პარტია ცნობილია იმით, რომ ოდითგანვე წინააღმდეგი იყო ტყეების, მდინარეების, მდინარის პირების, წიაღისულის გაყიდვით, რამდენადაც ეს არის სტრატეგიული ქონება და ეს უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფოს, მაგრამ უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფოს იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება არ იქნება კორუმპირებული. პარტია, პერმამენტულდ მუშაობს ამ საკითხზე, რომ არ შეიძლება ხელაღებით ბუნებრივი სიმდიდრეები გასხვისდეს. არ შეიძლება წიაღისეულის გაყიდვა

ამას უნდა მართავდეს სახელმწიფო და იქიდან მიღებული შემოსავალიც უნდა შემოდიოდეს სახელმწიფოში. აღარაფერი ითქმის გაუბედურებულ, სანაგვეებად ქცეულ ფერდობებზე, თუ მდინარის პირებზე. სხვათა შორის, ახალგაზრდები, წინა საარჩევნო პერიოდში დაემთხვა რატომღაც, იყვნენ ბორჯომში და დაასუფთავეს გარემო. ასევე პარტიის სურვილია, ბორჯომში, ომის დროს გადმწვარი ტერიტორიების გამწვანება, ნერგების დარგვა. ეს ყველაფერი არ უკავშირდება მაინცდამაინც წინასაარჩევნო პერიოდს. მუდამ კეთდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც იცავს ბუნებას ბოროტი ადამიანების ხელყოფისგან. ადამიანები საკუთარი ხელით ანადგურებენ იმას, რასაც ვერაფერი ვერ შეცვლის.

დღეს, განსაკუთრებით თბილისში არის ჟანგბადის ნაკლებობა. უამრავი ჭრა მიმდინარეობს მშენებლობების გამო, უკანონო თუ კანონიერი. როგორ შეიძლება 40 ხე მოიჭრას ვაკის, საბურთალოს გზაზე? ცოტა ხანში ლამაზი თბილისის ნაცვლად დარჩება ქვის ქალაქი, სადაც პრაქტიკულად სუნთქვა შეუძლებელი იქნება. მდიდარი ამა ქვეყნისანი კი გაასწრებენ აქაურობას და სხვაგან იცხოვრებენ, მაგრამ უბრალო ადამიანებმა რა უნდა ქნან? რითი უნდა იცხოვროს მომავალმა თაობამ? ეს სერიოზული საფრთხე უკვე არის. თუ რეგიონებში გადავინაცვლებთ, იქაც მიდის პერმანენტული ჭრები, შერჩევითი კი არა, ხელაღებითი ჭრები. იქ უკვე სხვა საფრთხეებთან არის საქმე. არის მეწყერების საშიშროება, მდინარეების დაშრობის და .შ. მინერალური წყლებით, რომლიც საამაყოა დღეს, ბორჯომი, ლიკანი, მათი მინერალები, გარკვეულწილად ხეებიდანაც ხომ მომდინარეობს, ესეც რა თქა უნდა ნელ-ნელა დაშრება, თუ ამ ტემპით გაგრძელდება. ასევე მოთხრილი ხეები, რომლის ადგილას რჩება ათობით კვადრატული მეტრი მიწის ღრმულები, რომელთა ამოვსებასაც საუკუნეები ჭირდება. ცოტა ხანში გამოჩნდება, იმ ადგილეში როგორი მეწყერები დაიწყება და რამდენად შეიცვლება ეკოსისტემა. დღეს და ხვალ არა, ეს გამოჩნდება წლების მერე. ჰუმუსის ფენა იყიდება, ყოფილა ასეთი ბიზნესი. საუკუნეები რომ ქმნი ჰუმუსს, ამ მიწას ჭრი და გაგაქვს, აქ კი რჩება რა? არაფერი. ამდენად, ეკოლოგია დაკავშირებულია ეკონომიკასთან, ეკონომიკა კიდევ პოლიტიკასთან.

დიდი აქციების ჩატარებას და გამოსვლას აბსოლუტურად არ აქვს აზრი. თბილისში ხეების მოჭრასთან დაკავშირებული აქციები კი განხორციელდა ლეიბორისტული პარტიის მიერ ვაკის პარკიდან დაწყებული ყოფილ ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან რომ შენდებოდა რაღაც, იქ დამთავრებული. ბათუმში, ქობულეთშიც საკმაოდ დიდი აქციები, ადგილობრივი მოსახლეობაც გამოვიდა, მაგრამ რა? გასაკეთებელი მაინც გაკეთდა, მაინც მოიჭრა და მაინც აშენდა. მაგრამ ოპოზიციის ვალდებულება ეს არის, დაანახოს ხალხს რა ხდება და ილაპარაკოს აღნიშნულ პრობლემებზე. მაგრამ შედეგი? შედეგი სამწუხაროდ ისევ არაა.

ისეთ მადლიან მიწაზე ცხოვრება, როგორიც საქართველოა, ჭკვიან და გონიერ ხალხს პრობლემა არ უნდა ჰქონდეს ეკოლოგიური კუთხით. ყველაფერია მთაც, ბარიც, მდინარე, ზღვა, მაგრამ პრობლემური არის ხელისუფლება. პრობლემურია კორუფცია და მაფიოზური დაჯგუფებები, რომლებიც ანადგურებენ ქვეყანას. იშოვება ძალიან დიდი ფული. როდესაც წიაღისეულის თხრისას ოქროს მადანს იღებ და იმ ნარეცხს უშვებ პირდაპირ მდინარეში, მაშავერა მთლიანადაა დაბინურებული და ხალხს ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, ონკოლოგიური დაავადებების საფრთხეა. როცა ჭიათურაში იღებ ქვა-ნახშირს და ხალხს სახლის საძირკველს უშლი, ეს ყველაფერი ერთად არის პრობლემა. დღეს შეიძლება არ იგრძნობა, მაგრამ მალე გამოჩნდება და როცა საფრთხე წინ წამოიწევა და მომავალ თაობას დაემუქრება, ეს იქნება კატასტროფული და რთული საშველი. ანუ პრობლემა არის ის ხალხი, ვინც პოლიტიკას განსაზღვრვს, მათ შორის ეკოლოგიურ პოლიტიკას.

ლეიბორისტული პარტია ყოველთვის ცდილობს იმას, რომ წინასაარჩევნო პროგრამებში ჩაწეროს გარემოს დაცვითი საკითხები: არ უნდა გაიყიდოს, მითუმეტეს ბუნებრივ რესურსებს რაც შეეხება, მართლა ძალიან მნიშნელოვანია და არ უნდა გაიყიდოს. და ვისაც ნაყიდი აქვს ისიც უნდა დაბრუნდეს წესიერი ხელისუფლების ხელში. დანარჩენი : არ მოიჭრას, არ განადგურდეს, ჯერ ერთი მოსახლეობას არც აინტერესებს რა გიწერია შენ წინასაარჩევნო პროგრამაში ამ კუთხით, არ აქცევენ ყურადღებას, იმიტომ, რომ დღეს მნიშვნელოვანია ის რაც გაჭირვებულ ხალხს

აინტერესებს: ტარიფების შემცირება, პენსიის მომატება, ხელფასების მომატება, დღესდღეობით ესაა მნიშვნელოვანი. რაც შეეხება ეკოლოგიის საკითხები ნაკლებად მნიშვნელოვანია მათთვის ამდენად ძირითადად რაც იწერება ხოლმე ესაა: არ უნდა გაიყიდოს, არ უნდა გაიჩეხოს ხეები დანარჩენი წვრილმანები უინტერესოა საზოგადოებისთვის, რადგან მისი უმეტესი ნაწილი უკიდურესად გაჭირვებულია და მათთვის პრიორიტეტულია სხვა საკითხები.

4.5. „ბურჯანაძე და დემოკრატიული მოძრაობა“

საქართველო, მისი რელიეფიდან, კლიმატური ზონების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე საკმაოდ მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორების შემცველი ქვეყანაა. მაგალითად ღვარცოფები, რომელიც კლიმატის ცვლილების ფონზე ძალიან სერიოზულ გამოწვევად რჩება ქვეყნისთვის, დაახლოებით 5000 ღვარცოფული კერაა საქართველოში. ძალიან სერიოზული პრობლემაა ატმოსფერული ჰაერის დაცვის კუთხით, რადგან ამ მიმართულებით კანონმდებლობაში ძალიან სერიოზული რეგულაციებია მისაღები. რაც მთავარია, ასამოქმედებელია ის გარდამავალი დებულება, რომლის ფარგლებშიც ტყვიაშემცველი ბენზინის და საწვავის საბითუმო-საცალო ქსელიდან ამოღება ვერ იქნა შესაძლებელი, ამის პოლიტიკური ნება არ არსებობს. ძალიან სერიოზული პრობლემაა აგრარულ სფეროში, ფაქტობრივად არ არსებობს აკადემიური მიდგომები, ნორმატიული ბაზა იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს აგრარულ სფეროში დასაქმებული გლეხების, მეურნეების, აგრარულ ბლოკებში დასაქმებული პირების ინფორმირება, მათი განგრძობადი განათლება. შესაბამისად არაორგანული სასუქების გამოყენება სტიქიურ ხასიათს ატარებს. ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ მიზანს ამართლებს, რომ სასოფლო-სამეურნეო დახმარება , მაგ: ორი ტომარა გვარჯილის ჩუქებით თითოეულ გლეხზე, რომელიც შეიძლება შხამად ექცეს ნიადაგს და შესაბამისად მასზე მომყვანი მოსავლის

პატრონს პოლიტიკოსები, სახელისუფლებო ძალის წარმომადგენლები არაფრად აგდებენ. საქართველო დადგა ისეთი უპრეცენდენტო ფაქტების წინაშე, რომლის მაგალითი მსოფლიოში არ მოიძებნება.. ის რომ ქვეყნის პოლიტიკური დედაქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ ყველაზე უფრო პრესტიჟულ ზონაში, მოვარდნილი ღვარცოფის გამო სახლი წაიღო მდინარე ვერემ და სახლის სახურავზე მდგომი ადამიანი ორი საათის განმავლობაში ითხოვდა შველას და სახელმწიფო უძლური იყო, რომ მისთვის დახმარება აღმოეჩინა, მგონი ეს საკმარისზე მეტი არგუმენტია იმისთვის, რომ რამდენიმე ასპექტით გამახვილდეს ყურადღება. დევდორაკის ტრაგედია უკვე მესამედ განმეორდა საქართველოში, ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ასევე მდინარე დურუჯის ხეობაში მიმდინარე პროცესები. როგორც ბუნებრივი ღვარცოფ-სადინარის ადრე მიღებული გამოცდილებით ცნობილია,რომ არაერთგზის ყოფილა ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონის დატბორვის ფაქტები, რამაც 50-იან წლებში ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მსგავსი ტიპის ღვარცოფ სადინარების და ნაპირ-სამაგრი სამუშაოების შესრულება ეს არ არის ახირებული იდეა, ეს არის ადამიანის ყველაზე უფრო მაღალი ღირებულების, მისი სიცოცხლის დაცვისა და უსაფრთხოების პრევენციის საკითხი, რასთან დაკავშირებითაც, სერიოზული ჩავარდნაა. მიწებთან დაკავშირებითაც სახეზეა აგროტერორიზმი, როდესაც მიწის დამუშავების, მისი კულტივაციის, ხვნის, ტესვის პროცესები დაკავშირებულია აგროქიმიის გამოყენებასთან, არავითარ ნორმატიულ კანონქმედებარე აქტებით გაწერილი არ არის. ატმოსფერულიჰაერი, მხოლოდ დედაქალაქში რეგისტრირებულია 630 000 ავტოსატრანსპორტო საშუალება. ყოველდღიურად დედაქალაქში გადაადგილდება 800-დან 900 000 ავტომანქანამდე. ასევე ტექნიკური დათვალიერების ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის ჩართვაზე, რაც პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. აქედან გამომდინარე, მატებაა სიმსივნური დაავადებებისა. როგორც ჩანს, ეს არის ურთიერთშეუქცევადი, ჯაჭვური პროცესი, რომელიც საბოლოო ჯამში გამოუსწორებელ ზიანს აყენებსსაზოგადოებას, სახელმწიფოს და მის ინტერესს. საბოლოო ჯამში, ეს არის პოლიტიკოსების გადასაწყვეტი თემა და ყველაზე მეტი ჩავარდნა სწორედ გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებულ მსჯელობებშია,

იმიტომ რომ, ფაქტობრივად, შუქდება მუდმივად, საარჩევნო თემატიკა, სხვადასხვა სოციალური საკითხები, იშვიათადაა სერიოზულიდებატები გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ან საკომიტეტო მოსმენები., ან სასესიო მოსმენები. კარტახენას ოქმით აღიარებულია გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტის მარკირება. შარშანწინ პარლამენტმა მიიღო „გენმოდიფიცირებული ცოცხალი ორგანიზმების ტრანზიტისა და მისი საქართველოში შემოყვანის დაუშვებლობის აქტი“, მაგრამ საზოგადოებამ ჩათვალა, რომ ეს დაკავშირებულია სასურსათო პროდუქციის მარკირებასთან, სინამდვილეში აბსოლუტურად ორი განსხვავებული საკითხია და დღემდე არაა მავალდებულებელი ნორმა, რომლითაც მოსახლეობა გაარჩევს ერთმანეთისგან არაგენმოდიფიცირებულს გენმოდიფიცირებულისაგან, რომელიც თავის მხრივ, გამოუსწორებელ ზიანს აყენებს და ეს საკითხი ბოლომდე არ არის შესწავლილი. ასევე საკვები დანამატები ბავშვთა კვებაში, ასევე ISO სტანდარტს მიღმა დამზადებული პლასტმასის პროდუქცია ბავშვებისთვის. თამბაქოს და ალკოჰოლური სასმელების ნაწარმი, ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში ადამიანის ეკოლოგიასთანაა დაკავშირებული და სამწუხაროდ დღემდე არ რეგულირდება ეს სფერო.

ალბათ დაბალი კულტურის ბრალია, ასევე გარემოსდაცვით სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების ნაკლები აქტივობის შედეგია. ქვეყანაში ფუნქციონირებს რეგიონალური მნიშვნელობის „გარემოსდაცვითი კავკასიური ფონდი“, ასევე „გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი“, არის ეკოლოგიური პროდუქტების ტექნოლოგიაზე მოყვანაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანა“, ეს ორგანიზაციები წლების განმავლობაში საკმაოდ უხვად ფინანსდებიან დონორი ორგანიზაციების მხრიდან და რომლებიც გარემოს დაცვითი განათლების ამაღლების კუთხით აწარმოებენ აქტივობებს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს არ არის საკმარისი, სანამ პოლიტიკურ დონეზე არ გააქტიურდება. ამ ქვეყანაში, გარემოს დაცვა და მასთან დაკავშირებული პრობლემები ხელწამოსაკრავ საკითხადაამიჩნეული, არადა ეს არის ურთულესი სფერო, მითუმეტეს, როგორც ავღნიშნე კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ზიანი მთელ დედამიწაზე ყოველდღიურად მატულობს და საქართველოც არაა გამონაკლისი ამ ციკლში. საჭიროა მეტი გააქტიურება ყველა მიმართულებით,

საჭიროა ზოგადსაგანმაანათლებლო სკოლებში გარკვეული დისციპლინაც, არა მხოლოდ სოციალური ექსპერიმენტების სახით, რასაც დღეს აწარმოებენ არამედ, კონკრეტულად, გარემოსდაცვითი განათლების სფერო.

ზურაბ ჯვანიას სიცოცლეში ძალიან აქტიური იყო მწვანეთა პარტია. ეს იყო რეალურად შემდგარი, დასავლური ტიპის სტრუქტურიზებული, შიდაკონკურენციაზე აგებული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც შეძლო, რომ ისეთი კადრების სამჭედლო გამხდარიყო, რომ შემდგომი ხელისუფლება, მათ შორის სრულიად განსხვავებული იდეოლოგიის მატარებელი და სრულიად რადიკალურად დაპირისპირებული წინა ხელისუფლებებთან დაეკომპლექტებინა და დღემდე მოყვება სწორედ ზურაბ ჟვანიას კადრები ქართულ პოლიტიკას, სხვა საკითხია ვინ რა პატივისცემითა და ნდობით არის განმსჭვალული მათ მიმართ, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი დარჩნენ პოლიტიკაში. სამწუხაროდ დღევანდელი „მწვანეთა პარტიის“ აქტივობა მხოლოდ ერთი კაცის აქტივობაზეა დამყარებული, მას საერთოდ არ გააჩნია არავითარი აქტივობები, მწვანეთა პარტია დღეს მხოლოდ ფორმალურად არის წარმოდგენილი ქართულ პოლიტიკაში.

ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომლითაც2014 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროსგატარებული დემოკრატების მიერ, ეს იყო ეკოლოგიური საკითხები. ერთ-ერთი პრობლემა არის ნაგავსაყრელების მოწესრიგების საკითხი, ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური განვითარების სამინისტროში არსებობდა მთელი დეპარტამენტი, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედებდა 49 ნაგავსაყრელი და არც ერთი მათგანი არ იყო ევროპული სტანდარტის. რაც იმას გულისხმობს, რომ მყარი ნარჩენების დიფერენცირებული მართვა უნდა წარმოებდეს მინიმუმ სამი მიმართულებით, რომ რეზინის ნაწარმი, ცელულოზა და სხვა მყარი ნარჩენები ერთმანეთისაგან გამოცალკევდეს და მოხდეს მათი გადამუშავება, ასევე ორგანული ნარჩენებისაგან გამოყოფილი აირისა და დიზელის საწვავის მისაღებად ჩართული უნდა იყოს შესაბამისი ტექნოლოგიები. ამისთვის არსებობენ დაინტერესებული საინვესტიციო კომპანიები, რომლებიც ცდილობენ შემოვიდნენ ისეთ დიდ მეგაპოლისებში, სადაც

ყოველდღიური ნაგვის გატანის საერთო მოცულობა არ არის 8000 ტომაზე ნაკლები. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი ყველა ამ პარამეტრს აკმაყოფილებს დღემდე ამ მცირე მიწიან, მთაგორიან ქვეყანაში, რომელიც საკურორტო ზონაა და რომლის უმთავრესი პრობლემა არის ნაგავი. ასევე, გრუნტის წყლების დაცვის ერთ-ერთი მთავარი პრევენციაა სწორედ ის, რომ მეგაპოლისებს, საქართველოში სამი ძირითადი დიდი ქალაქია: თბილისში არის ალექსეევის დასახლების მიმართულებით, ქუთაისში გეგუთის მიმართულებით, ბათუმში ადლის მიმართულებით. სამივე მოუწესრიგებელია და ზაფხულის სეზონზე იქმნება ძალიან სერიოზული პრობლემა. ასევე ჰექტრობით განადგურებულიმიწები, რომელიც ხმარდება ნაგავსაყრელების შემდეგი კონსერვაციისა და ექსპლოატაციის პირობის დაცვას. მეორე საკითხი უკავშირდებოდა ატმოსფერული ჰაერის დაცვას და ამ მიზნით ეროვნულ დონეზე ელექტროქიმიის ინსტიტუტის გამოყენებით ადგილობრივი კატალიზატორების წარმოება, რაც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. და მესამე-ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონის გარდამავალი დებულება, რომელიც ჯერ კიდევ 2011 წლიდან მოითხოვს, რომ ევროპული სტანდარტის საწვავი იქნას შემოტანილი ქსელში და არა ტყვიის შემცველი.

ყველაზე რთულად მოსაგვარებელი პრობლემები: 1. ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკანონმდებლო ღონისძიებათა პაკეტი. 2. მყარი ნარჩენების დიფერენცირებული მართვის საკითხი. 3. მტკნარი წყლების აუზების დაცვა დაბინძურებისგან და ეს არის ძირითადად, არტეზიული წყლების დაცვის გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარება. 4.გარემოს დაცვის კანონში შესატანი იმგვარი ცვლილებები, რომელიც არ მისცემს უფლებას ინვესტორს, რომ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ბუნებას, როგორი მნიშვნელოვანი საინვესტიციო პაკეტიც არ უნდა იყოს. 5. სასოფლო-სამეურნეო მიწების ჰუმუსური ფენის დაცვა მავნე ზემოქმედებისგან და არაორგანული სასუქებისგან, რომელიც ასევე ყამირია დღევანდელისაკანონმდებლო სივრცისთვის.

სამწუხაროდ გარემოსდაცვითი თვითშეგნების არ ქონა პირდაპირპროპორციულ კავშირშია იმ პარტიების მიმართ დამოკიდებულებასთან, რომლებიც ერთის მხრივ, დეკლარირებენ ამას თავიანთ საარჩევნო პლატფორმაში, მაგრამ მეორეს მხრივ, რომ

მოდიან ხელისუფლებაში ამას არ ახორციელებენ და ამის ინპლემენტაცია არ ხდება საკანონმდებლო დონეზე. საზოგადოების მხრიდან, ამ მიმართულებით, პროტესტი გამოხატული რაიმე აქციით რაიმე პერფორმანსით, რაიმე არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციით არ ხდება. ძალიან სამწუხაროა, რომ გარემოსდაცვითი განათლების დონე და კულტურასაზოგადოებაში საგრძნობლად დაბალია.

4.6. ორგანიზაცია „მწვანე მუშტი“

გარემოს დაცვაზე ზრუნვას ძალიან დიდი როლი აქვს რიტორიკის დონეზე, იმიტომ რომ არც პოლიტიკაში და არც საზოგადოებრივ დისკუსიებში ადამიანები გარემოს საწინააღმდეგოდ არაფერს არ ამბობენ. არავინ არ ამბობს, რომ ტყე უნდა გაიჩეხოს, წყალი უნდა დაბინძურდეს, ტყვია უნდა ისუნთქონ ბავშვებმა და ასე შემდეგ... მაგრამ სამწუხაროდ, ეს თეორიულ დონეზე გამოთქმული მოსაზრებები პრაქტიკულ ცხოვრებაში არ ვლინდება და რჩება მსჯელობის დონეზე. გარემოს დაცვას ძალიან დიდი როლი აქვს ვერბალურად, მაგრამ საქმეში მეორეხარისხოვანი ხდება ხოლმე.

მედია ძალიან აქტიურად აშუქებს გარემოს დაცვის საკითხებს და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის არა მედიას, არამედ სხვადასხვა აქტივისტურ ჯგუფებს, რომლებიც ცდილობენ სხვადასხვა თემების აქტუალიზებას. მაგალითად: შეგვიძლია გავიხსენოთ ცნობილი საყდრისის მოვლენები, მედია, ძირითადად, დაინტერესებული იყო იმით, რომ საყდრისში აფეთქებდნენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, მაგრამ იგივე „მწვანე მუშტმა“ და სხვა ორგანიზაციებმა მედიას დაანახა, რომ იქ კონკრეტული საწარმო, ამ შემთხვევაში RMG GOLD-ის საქმიანობა იწვევდა არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის განადგურებას, არამედ მუშებსაც უმძიმეს სოციალურ–ეკონომიკურ პირობებში აგდებდა და მეორე მხრივ, ციანიდით აბინძურებდა მდინარეს და ადგილობრივ გარემოს. ასე, რომ მედია არ იყო ამ თემით დაინტერესებული,

აქტივისტური ჯგუფების დამსახურებაა ამ საკითხების წინ წამოწევა და მედიის დაინტერესება. ჭიათურის შემთხვევაშიც ძირითადად შუქდება მუშათა მძიმე მდგომარეობა, მაგრამ არა ის, რომ ეს საწარმო გარდა მუშათა ექსპლუატაციისა ეწევა ჰაერისა და წყლის მტვრით დაბინძურებას. ეს თემაც აქტივისტური ჯგუფების წინ წამოწეულია. ასე, რომ მედიისთვის გარემოსდაცვითი საკითხები მნიშვნელოვანი ხდება იმ შემთხვევაში, თუ ვინმე გაამახვილებს ამაზე ყურადღებას. თავისით დაინტერესება ძალიან იშვიათად ხდება. რაც შეეხება თბილისს, ის რეგიონებისგან განსხვავდება და მედია ყოველთვის აშუქებს ხეების გაჩეხვის და პარკების განადგურების თემებს.

მწვანეები აქტიურები არ იყვნენ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში. 90–იანი წლების შემდეგ, როდესაც ბატონი ჟვანია გადაბარგდა მოქალაქეთა კავშირში, მას შემდეგ იყო ძალიან დიდი წყვეტა მწვანეთა მოძრაობაში. 2013 წლიდან უკვე აქტიურად გამოჩნდნენ აქტივისტური მწვანე ჯგუფები. ზოგიერთი ჯგუფი არის მხოლოდ ქალაქის პრობლემებზე ორიენტირებული. მაგ: პარტიზანი მეგაღეები ფიქრობენ იმაზე, რომ თბილისში დაიცვან პარკები, მწვანე სივრცეები. რაც შეეხება „მწვანე მუშტს“, ის ცდილობს, რომ ორი მიმართულებით იყოს აქტიური, ერთი მხრივ, მუშათა უფლებების დაცვით და მეორე მხრივ, საქართველოს რეგიონებში გარემოსდაცვითი პრობლემების დაცვით. ასე, რომ 2013 წლიდან, მეტნკლებად, აქტიური მწვანეთა მოძრაობები. მაგრამ ისეთ საზოგადოებაში, სადაც ხალხი საარსებო მინიმუმისთვის იბრძვის, ძალიან ძნელია ხალხის ფიქრება ბუნებაზე, გარემოზე და ა. შ.

ორგნიზცია „მწვანე მუშტი“ არის სამოქალაქო აქტივიზმით დაკავებული. ცდილობს აქცენტი გააკეთოს საპროტესტო დემონსტრაციებზე, ისეთ სივრცეებში, სადაც არსებობს გარემოს დაცვითი და მუშათა უფლებების დარღვევის პრობლემები. საპირველ მაისო დემონსტრაციები კაზრეთში, ჭიათურაში, ასევე რესპოდენტი აცხადებს, რომ ორგანიზაცია ცდილობს მუშათა და გარემოს დაგარემოსდაცვითი პრობლემების გაერთიანებას. გარდა ამისა, მეორე მიმართულება ამ ორგანიზაციისა არის საზოგადოებრივი საგანმანათლებლო პროექტები, რომლებიც ძირითადად, არის გარემოსდაცვითი შინაარსის და საზოგადოებას თუ სტუდენტებს მოუწოდებს ამ

პრობლემებზე ყურადღების გამახვილებას. კიდევ ერთი მიმართულება, ეს არის კონკრეტული თეორიული ლიტერატურის შექმნა. 2016 წელს ორგანიზაციის წევრებმა შეადგინეს წიგნი „მწვანე ანთოლოგია, პოლიტიკა და ეკონომიკა მწვანეების თვალთახედვით“, რომელიც ჰაინრიხ ბიოლის ფონდის მიერ იქნა დაფინანსებული. ეს მოიცავს მწვანეობის შესახებ პოლიტიკური ტექსტების თარგმნას.

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ყველაზე რთული პრობლემა არის გიგანტური ჰიდროელექტრო სადგურების მშენბლობის საკითხი, იმიტომ, რომ ეს არის დაკავშირებული საქართველოს რეგიონებთან, იმიტომ, რომ გიგანტური ჰიდროელექტრო სადგურები არ შენდება მხოლოდ სვანეთში, ეს პროცესი არის დაწყებული აჭარაში, აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში, ხევში, ხევსურეთში... საქართველოში არის 150–მდე გიგანტური ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა გეგმაში. ეს იწვევს ასობით ჰექტარი ტყის წყლის ქვეშ მოქცევას, უამრავი სოფლის ჩაძირვას, იქ მცხოვრები ხალხის მიგრაციას. ძირითადად, მშენებლობები მიმდინარეობს მაღალმთიან რეგიონებში, სადაც მოსახლეობა ისედაც მწირია და მიგრაციული პრობლემები კიდევ უფრო ძლიერდება. რაც მთავარია, ამ გიგანტური ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის უკან დგას უდიდესი ბიზნეს ინტერესი, ეს საკითხები დაკავშირებულია მილიარდობით დოლარის ინვესტიციასთან და შესაბასმისად, მოგების მოლოდინიც დიდია.

გარემოსდაცვითი საკითხები პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამებში, ძირითადად, გვხვდება ლოზუნგების, პოსტულატების დონეზე. არის, ფაქტობრივად, პოლიტიკური თვალსაზრისით გაუმართავი წინადადებები, დაუსაბუთებელი. ფაქტობრივად, ეს ლოზუნგები არის შემდეგი შინაარსის: გარემოს დაცვა მნიშვნელოვანია, ჟანგბადი საჭიროა, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელება, რა საკანონმდებლო ინიციატივებით არის შესაძლებელი ამ ჯანსაღი სივრცის უზრუნველყოფა, რა პოლიტიკური სტრატეგიები შეიძლება არსებობდეს დიდი ინვესტორების მისამართით, რომლებიც აზიანებენ გარემოს. არცერთი პოლიტიკური პარტიის პროგრამაში ეს დებულებები არ

ჩანს. შესაბამისად, პარტიულ პროგრამებში შეტანილი გარემოსდაცვითი დებულებები, რეალურ და პრაქტიკულ პოლიტიკაზე სერიოზულ გავლენას, ჯერჯერობით, ვერ ახდენენ.

4.7. ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“

მწვანე აქტივიზმზე თუ ვსაუბრობთ, ეს არის სამოქალაქო საზოგადოებაში ზოგი პარტიებს მოიაზრებს, ზოგიც ფორმალურად არსებულ ორგანიზაციებს, ზოგი მოქალაქეთა აქტივობას... რესპოდენტი „მწვანენეებში“ მოიაზრებს პარტიებსაც, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რეგისტრირებულს, არარეგისტრირებულს, მაგალითად: როგორიცაა „მწვანე მუშტი“, ცალკე მოქალაქეების აქტივობას და ა.შ. რესპოდენტი მიიჩნევს, რომ მწვანე აქტივიზმი დღესდღეობით უფრო გაძლიერებულოია, ვიდრე ეს იყო ათი წლის წინ, რადგან პრობლემებიც უფრო მეტად წარმოჩინდა, დაბინძურებული ჰაერი, გაჩეხილი ტყეები და ა.შ. ზოგადად ცნობიერებაც უფრო მეტია მოსახლეობაში თუ რა შედეგებს იწვევს მოსახლეობაში გარემოსთან დაკავშირებული პრობლემა და ამიტომ აქტივიზმიც უფრო გაძლიერდა. უფრო მეტი ადამიანია ჩართული, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დონეზე, მაგრამ აქტიურობის მხრივ უფრო მეტი კეთდება.

გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება ხდება, ძირითადად ინტერნეტ-მედიის საშუალებით. ძალიან აქტიურია „აჭარის ტელევიზია“ . ამ საკითხების გაგება შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: ზოგს გარემოს დაცვა ესმის მარტო ნარჩენის არ დაგდებაში, ან ხის არ მოჭრაში, სინამდვილეში გარემოს დაცვა ბევრად უფრო ფართო სფეროა, ბევრ რამეს მოიცავს. აჭარის ტელევიზია ძალიან ბევრ დროს უთმობს გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების საკითხებს, როგორც ზოგადად ისე კონკრეტული პრობლემური

პროექტების ფარგლებში. რაც შეეხება ინტერნეტ მედიას: ნეტ-გაზეთი, on.ge, ლიბერალი... ეს ვებ. გვედები შედარებით აქტიურნი არიან.

მწვანე ალტერნატივა არის გარემოსდაცვითი ორგანიზაცია (Advocacy Group) რომელსაც აქვს თავისი პრიორიტეტები, ეს ყველაფერი აღწერილია ჩვენს ვებ. გვერდზე.

თუ ათი წლის წინ, წინასაარჩევნო პროგრამებში საერთოდ არ იყო განხილული „მწვანე“ საკითხები, დღესდღეობით, ძირითად პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ, პრაქტიკულად ყველას, აქვს „მწვანე“ საკითხები ასახული თავიანთ პროგრამებში. პრობლემა არის იმაში, რომ ეს საკითხები, ხშირად, არ არის ინტეგრირებული სხვა სფეროებთან, როგორიცა: ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა. მეორე, გამარჯვების შემდეგ, აღარ ხდება დაპირებების ასრულება. ძალიან დიდი ბრძოლა არის საჭირო, იმისთვის, რომ დანაპირები შესრულდეს.

4.8. ორგანიზაცია „პარტიზანი მებაღეები“

საქართველოში გარემოს დაცვა არარსებობს. არც ერთი უწყება არ ასრულებს თავის მოვალეობას ამ სფეროში, რის გამოც გარემო სულ უფრო და უფრო მძიმე მდგომარეობაშია. სასიკეთო ძვრა მხოლოდ სამოქალაქო სექტორშია, მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი და აქტიური საკითხი ხდება, რაც, ადრე თუ გვიან, აიძულებს მთავრობას ადეკვატურად იმოქმედოს.

მედია ასე თუ ისე აშუქებს გარემოს დაცვით პრობლემებს, თუმცა სპეციალიზებულად ამ სფეროში მოღვაწე ჟურნალისტების ნაკლებობა გაშუქების

ხარისხზე აისახება უარყოფითად. ერთეული ჟურნალისტები აკეთებენ გამართულ სიუჟეტებს.

"მწვანეები" - პარტია მკვდარია, ფაქტობრივად. რამდენიმე სამოქალაქო მოძრაობა, ასეთ უ ისე, ცდილობს თემა არ ჩავარდეს.

პრობლემა უამრავია, ყველაფერი პრობლემაა, კანონმდებლობიდან დაწყებული, აღსრულებით დასრულებული. მწვანე საფარი და სარეკრეაციო ზონები ნადგურდება ქალაქებში და ქალაქგარეთ, ტყეებში.

ღონისძიებების ჩამონათვალი მრავალფეროვანია: სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებაზე მიდის აქტიური მუშაობა, ასევე შეხვედრები იგეგმება მთავრობაში გარემოზე პასუხისმგებელ უწყებებთან.

ძალიან მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი საკითხების ჩართვა წინასაარჩევნო პროგრამებში, არანაკლებ მნიშვნელოვანი შემდეგ დაპირებების სწორად და კვალიფიციურად წარმოება.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩემი კვლევის საკითხით დაინტერესების მიზეზი პირველ რიგში ის იყო, რომ ამ სფეროში ვმუშაობ და ყოველდღიურად მიწევს ქვეყანაში არსებული პრობლემების ხილვა. მეორე, ვთვლი, რომ გარემოს დაცვა არის საკმაოდ რთული სფერო, რომელზეც გაკვრით მახვილდება ყურადღება საქართველოში პოლიტიკური პარტიების მიერ, რაც უარყოფითად აისახება ჩვენზეც და გარემოზეც. ვფიქრობ, საინტერესო იყო იმ პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან საუბარი და ინტერვიუები, რომლებიც ჩართულნი არიან ამ საკითხზე მუშაობაში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ წინასაარჩევნო პროგრამებში კი მახვილდება ყურადღება ეკოლოგიურ საკითხებზე, მაგრამ ძალიან ნაკლებად თუ ხორციელდება. ზოგიერთი პარტიის პროგრამაში საერთოდ არაა შეტანილი ეს საკითხები, იმ მცდარი მოსაზრების გამო, რომ გარემო ნაკლებად პრიორიტეტული და საინტერესოა საზოგადოებისთვის. წინასაარჩევნო აქტივობების დროს პოლიტიკური პარტიების ძირითადი საყურადღებო სფეროა: ეკონომიკა, ჯანდაცვა, დასაქმება და ა.შ. თუმცა ნაკლებად ფიქრობენ იმაზე, რომ თითოეული ეს მიმართულება ერთმანეთან კავშირშია. ჯანსაღი გარემო პირდაპირაა დაკავშირებული მოსახლეობის ჯანმრთელობასთან. სამწუხაროდ, დღესდღეობით, არ გვაქვს ის მდგომარეობა ქვეყანაში, რომ ხალხმა ეს გაითავისოს და მივდივართ იმ დონემდე, რომ პირველ რიგში, ყოფითი, ცხოვრებისეულიპრობლემები მოგვარდეს. სწორედ, ამიტომაა მძიმე ვითარება ეკოლოგიური თვალსაზრისით ქვეყანაში, რადგან ყოველთვის მეორეხარისხოვანია გარემოს დაცვაზე ზრუნვა.

კვლევისას დადასტურდა ნაშრომის ჰიპოთეზა: ოპოზიციური პარტიების მიერ ეკოლოგიური საკითხების აქტიურად განხილვა განაპირობებს ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკის ეფექტურობას, რადგან ოპოზიციური პარტიების და ასევე აქტივისტური ჯგუფების დაგეგმილი ღონისძიებები არ აძლევს მმართველ პარტიას მოდუნების საშუალებას.

აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები: პირველ რიგში, ვფიქრობ, მთავარია ხალხის იმ აზრამდე მიყვანა, რომ გარემოს დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ეკონომიკა, ჯანდაცვა, დასაქმება... იმისთვის რომ მომავალი შევიქმნათ ყველა ასპექტი გასათვალისწინებელი და ყურადსაღებია, რადგან ყველა ზემოთ აღნიშნული ურთიერთკავშირშია. ვფიქრობ, სწორედ პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იმუშაონ ხალხზე და მათ უნდა მოახდინონ საზოგადოების ინფორმირებულობა მასზედ, რომ გარემოს დაცვის საკითხი იმ ზემოთ ნახსენებ პრიორიტეტულ სფეროებს გაუტოლდეს. ძალიან მცირე რაოდენობის საგანმანათლებლო პროგრამა არსებობს

როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი განათლების დონეზე და შესაბამისად, ინტერესის დონეც დაბალია გარემოსდაცვითი მიმართულებებისადმი.

გარდა ინფორმირებულობისა, საზოგადოებას სჭირდება მითითება, მაგალითად: ჩემი აზრით, პოლიტიკურმა პარტიებმა წინასაარჩევნო პროგრამებში აუცილებლად უნდა შეიტანონ „მწვანე“ საკითხები ვრცლად. ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ მხოლოდ შეტანა არაა საკმარისი განხორციელებაც არ უნდა დაივიწყონ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

ასევე, მედიის როლი არის უმნიშვნელოვანესი. ვფიქრობ, საჭიროა, უფრო მეტი სატელევიზიო გადაცემა და თუნდაც სარეკლამო რგოლები გარემოსდაცვით საკითხებზე.

როგორც ნაშრომში გამოჩნდა, უდიდესი პრობლემა არის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. ეს გამოწვეულია ავტომანქანების სიმრავლით და მათი გაუმართაობით. პირველ რიგში, მთავრობამ უნდა მიიღოს კანონი იმასთან დაკავშირებით, რომ აიკრძალოს გაუმართავი ავტომანქანებით გადაადგილება. ამ ყველაფერმა შეიძლება სრულიად ვერ გამოასწოროს დღევანდელი მდგომარეობა, მაგრამ შემცირდეს მაინც.

ასევე, საჭიროა გამკაცრდეს კანონი მდინარეებში სხვადასხვა საწარმოს მიერ ჩადენილ წყლებზე. აუცილებლად უნდა აიკრძალოს წყლის გაფილტვრის გარეშე მდინარეში ჩადინება.

რაც შეეხება ხე-ტყის ჩეხვას, ამ მხრივ კანონი გამკაცრებულია და ისჯება მსგავსი ქმედება, მაგრამ ვფიქრობ, რეგიონებში უფრო მეტად ხორციელდება ეს ყველაფერი. რაც შეეხება თბილისს, აქ შედარებით მძიმე სურათია. იჭრება ხეები მშენებლობების ხარჯზე, ჩემი აზრით, ხელისუფლებამ უნდა ჩაატაროს კამპანია თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეულ მოჭრილ ხეზე მიყენებული ზარალი და რამდენად აუცილებელია ჯანსაღ გარემოში ცხოვრება.

საბედნიეროდ, აქტივისტური ჯგუფები ცდილობენ არ მოადუნონ ყურადღება და პარტიებს მისცენ ბიძგი, რომ არ შეჩერდნენ და მუდმივად აკეთონ გარემოსდაცვითი

ღონისძიებები. ასევე მათი გამოსვლები და საპროტესტო აქციები გათვლილია საზოგადოებაზე და ხალხის ცნობიერების ამაღლებაზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკური პარტიების კამპანიებს უდიდესი როლი აქვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Barry, J (2014) Green Political Theory. In V. Geoghegan, R. Wilford(Eds), Political Ideologies: An introduction (pg: 1-12)
2. Environmental Performance Reviwes. Georgia. Third Reviwe. Pg. 53-58
3. Global Green Politics. Chapter-1. Pg: 15-25
4. Mohammad Tanzimuddin Khan. 2013. Theoretical Frameworks In Political Ecology and Participatory Nature/Forest Conservation: The Necessity For a Heterodox Approach And The Critical Moment. Pg: 461-468
5. Paul Elliot Little. 2007. Political Ecology As Ethnography: A Theoretical and methodological guide.
6. Robert C Paehlke, 2000. Environmental Values and Public Policy. Pg: 77-97.
7. Thematic Strategy on Air Pollution. Commission of the European Communities, Brussels. 2005.
8. ვანო აბრამაშვილი, 2015 წელი. პოლიტიკის დოკუმენტი: გარემოს დაცვა საქართველოს განვითარებისთვის.

9. მწვანე ალტერნატივა, 2012 წელი. გარემოსდაცვითი პოლიტიკის, ინსტიტუციური მოწყობის და რეგულირების მექანიზმების ხარვეზების ანალიზი. გვ: 3–17.

10. მწვანე ალტერნატივა. 2013. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა. გვ.5

11. მწვანე ალტერნატივა, 2012. ატმოსფერული ჰაერის დაცვა საქართველოში: ინსტიტუციური მოწყობა და რეგულირების ინსტრუმენტები. გვ: 2–6.

12. მწვანე ალტერნატივა, 2013. საქართველოს კანონმდებლობის „გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების და აღმოფხვრისთვის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ," ევროპარლამენტის და საბჭოს 2004/35/EC დირექტივასთან შესაბამისობის შეფასება. გვ:17-20

13. მწვანე ალტერნატივა, 2014. საქართველოში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით არსებული და პროგნოზირებადი რისკები.

14. მწვანე ალტერნატივა, 2016. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების შესრულების ეფექტურობის შეფასება. გვ:6-23

15.საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ". საქართველოს საკანონმდებლო მაცნე N30, 1999წელი.

16. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. „2015 წლის ანგარიში". გვ: 6-26.

17. ქეთევან კორძახია, 2012 წელი. საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის შესწავლა და მისი დაბინძურებისაგან დაცვის ზოგიერთი მეთოდი. გვ: 18-19.

18. გარემოს დაცვა პოლიტიკაში, 2012 წელი.
http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/1158/

19.ბარბარა უნმურიგ, 2015 წელი. ჰაინრიხ ბიოლის ფონდის გლობალური ეკოლოგიური საქმიანობა.
https://ge.boell.org/ka/2015/09/15/hainrih-biolis-pondis-globaluri-ekologiuri-sakmianoba.

20. გარემოსდაცვითი პოლიტიკა, 2017 წელი.
http://eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.aspx

დანართი

სიღრმისეული ინტერვიუს სადისკუსიო გეგმა:

კითხვები

ბლოკი I

1. რამდენად დიდი როლი აქვს საქართველოში გარემოს დაცვაზე ზრუნვას? და რაში გამოიხატება?
2. რამდენად აქტიურად ხდება ამ საკითხების გაშუქება?
3. რამდენად აქტიურები არიან საქართველოში „მწვანეები“?

ბლოკი II

1.რა დროს უთმობთ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ეკოლოგიური საკითხების განხილვას?

2.რა ზოგადი მდგომარეობაა საქართველოში? რა პრობლემები გხვდებათ?

3.რა ღონისძიებებს ატარებთ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით?

4.რა ღონისძიებებს ატარებს თქვენი ორგანიზაცია პრობლემების აღმოფხვრის მიზნით?

5.რა საკითხი მიიჩნევა საქართველოში ყველაზე რთულად მოსაგვარებლად გარემოს დაცვის კუთხით?

6.რამდენად განსაზღვრავს წინასაარჩევნო პროგრამებში გარემოსდაცვითი საკითხების ჩართვა გარემოსდაცვითი პოლიტიკის ეფექტურობას?

ინტერვიუები ჩაწერილია პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან და ასევე ექსპერტებთან.

„ქართული ოცნება“-ზაზა ხუციშვილი (05.06.2017)

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-აკაკი ბობოხიძე (17.06.2017)

„ლეიბორისტული პარტია“-ნინო მეტრეველი (08.06.2017)

„მწვანეთა ფრაქცია“-გია გაჩეჩილაძე (05.06.2017)

„ბურჯანაძე და დემოკრატები“-დიმიტრი ლორთქიფანიძე (21.06.2017)

„მწვანე მუშტი“-ლევან ლორთქიფანიძე (08.07.2017)

„მწვანე ალტერნატივა“-ქეთევან გუჯარაიძე (10.07.2017)

„პარტიზანი მებაღეები“-ნატა ფერაძე (10.07.2017)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lia Kerdikashvili

Georgian Ecological Policy, Qualitative Analysis Of Political Parties pre-election programs (2012-2014)

Political Science

The Master's Thesis is drawn up to obtain Master's Degree in Political Science

Head of Master's Thesis: MalkhazMatsaberidze

Full professor of social and Political Science faculty

Co-head of Master's Thesis: Giorgi Melikidze

Doctor of Political Science

Tbilisi

2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

გიორგი ფუტკარაძე

პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიის ფორმირება საქართველოში (ქართული ოცნების მაგალითზე)

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ მაცაბერიძე
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის სრული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი
თანახელმძღვანელი: ლია თეთრაძე
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების
დოქტორანტი და მოწვეული სპეციალისტი

თბილისი, 2017

ანოტაცია

აღნიშნული ნაშრომი ეცდება დაადგინოს კავშირი პოლიტიკურ პარტიასა და ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას შორის. გაანალიზოს ის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, რომელიც გავლენას ახდენს პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, როგორიცაა სიღრმისეული ინტერვიუ და შედარებითი ანალიზის მეთოდი. ინტერვიუები ჩავიწერე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებთან რომლებიც გაწევრიანებული იყვნენ 2012 წელს კოალიციაში. ასევე შედარებულ იქნა (2012-2016) წლებში კოალიციის და პარტიის მიერ საპარლამენტო არჩევნების წინ წარმოდგენილი საარჩევნო პროგრამები.

კვლევაში გამოიყოფა: დამოუკიდებელი ცვლადი - სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დამოკიდებული ცვლადი - პარტიის იდეოლოგია. კვლევაში დადასტურებულია ჰიპოთეზა, რომ რაც უფრო დაბალია ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მით უფრო სუსტი და არამდგრადი იდეოლოგიით გამოირჩევიან პარტიები.

საკვანძო სიტყვები: პარტიის იდეოლოგია, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, არამდგრადობა, სისუსტე, გავლენა.

Annotation

This work will try to find connection between the political party and socio-economic situation in the country, to analyze the main socio-economic issues which affect the ideology formation of the political party.

In the study there is used the qualitative research methods, such as in-depth interviews and method of comparative analysis. I interviewed representatives of political party who were members of the coalition in 2012. Also, compared to the 2012-2016 elections, the coalition and the party's election programs presented before the parliamentary elections.

In the study will eject: Independent variable - socio-economic condition and dependent variable - party ideology. The study confirms the hypothesis that if the socio-economic situation in the country is low, parties have weak and unstable ideology.

Keywords: party ideology, socio-economic condition, instability, weakness, influence.

The work is done to gain Master's degree in Political Science

Author: Giorgi putkaradze

Title: Formation of political parties ideology in Georgia on Georgian Dream example

პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიის ფორმირება საქართველოში (ქართული ოცნების მაგალითზე)

სარჩევი

შესავალი.....6

თემის აქტუალურობა.....8

კვლევის მიზნები და ამოცანები.....10

თავი I: კვლევის დიზაინი.....12

1.1 საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა.....12

1.2 მეთოდოლოგია.....13

ოპერაციონალიზაცია.....13

1.3 თეორიული ჩარჩო.....17

თავი II: ლიტერატურის მიმოხილვა.....19

2.1 ლიტერატურის მიმიხილვა.....19

ახალი პოლიტიკური პარტიები.....19

პოლიტიკური პარტიები დასავლეთ ევროპაში.....22

პოლიტიკური პარტიები აღმოსავლეთ ევროპაში.....23

სამხრეთ ევროპის პოლიტიკური პარტიები.....26

პოლიტიკური პარტიები აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში.....26

პოლიტიკური პარტიები საქართველოში.....27

თავი: III კვლევის შედეგები.....31

3.1 „ქართული ოცნების“ გზა საზოგადოებრივი მოძრაობიდან პოლიტიკურ პარტიამდე.....31

3.2 ქართული ოცნება კოალიციაში.....36

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემო.....36

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ.....39

2012 წლის საპარლამენრო არჩევნების წინ ქართული ოცნების მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო პროგრამის ანალიზი.....41

კოალიციაში მყოფ პოლიტიკურ პარტიათა შეფასება.....46

3.3 მპგ ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო დამოუკუდებელი სუბიექტი.....49

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემო.....50

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ.....53

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მპგ ,,ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს“ წინასაარჩევნო პროგრამის ანალიზი.....57

დასკვნა.....65

გამოყენებული ლიტერატურა.....69

დანართი.....73

შესავალი

საზოგადოების ინტერესმა უფრო მეტად ჩართულიყვნენ ქვეყნის მმართველობით საკითხებსა და მთავრობის ფორმირებაში საჭიროება მოიტანა იმისა რომ შექმნილიყო გარკვეული ინტერესების გამაერთიანებელი ძალა, რომელიც გამოხატავდა შემდგომში საზოგადოების მიზნებს. ,,საზოგადოებაში მრავალფეროვანი ინტერესების არსებობის კანონიერების აღიარებამ განაპირობა პოლიტიკური ინტერესების ანუ პარტიების კანონიერების აღიარებაც, რომლებიც მოწოდებული არიან ეს ინტერესები წარმოადგინონ ხელისუფლების სისტემაში.“[1]

თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე მნიშვნელოვან როლს პოლიტიკური პარტიები ასრულებენ. რაც უფრო მძლავრი და მტკიცე იდეოლოგიით გამოირჩევიან პარტიები მით უფრო მტკიცეა სახელმწიფო და მით უფრო ძლიერდება მისი დემოკრატიულობის ხარისხი. მერყევი პოლიტიკური პარტიები თავიანთი სუსტი და არამდგრადი იდეოლოგიით არ აძლევენ განვითარების საშუალებას სახელმწიფოს. ,,მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკური პარტია თანამედროვე პოლიტიკის მთავარი ღერძია და დემოკრატიის იარაღი თუ ტირანიის და ჩაგვრის წყარო _ სულ ერთია ის მაინც აუცილებელი რგოლია სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.“[2] პოლიტიკური პარტიები უნდა იქცნენ მტკიცე იარაღად, რომელიც საბოლოო ჯამში მიიყვანს სახელმწიფოს დემოკრატიამდე. და მაინც რა არის პოლიტიკური პარტიის მთავარი ამოცანა? პოლიტიკური პარტიის არსებობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება ან თავიანთი ხედვების და ინტერესების პოპულარიზებაა. საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე პოლიტიკური პარტია არის: ,,საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი დამოუკიდებელი და რეგისტრირებული გაერთიანება. პარტია, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კონსტიტუციური სამართლებრივი ნაწილი, არჩევნების

[1] მაცაბერიძე, მ. (2003). *არჩევნები და საზოგადოება.* თბილისი, გვ. 41
[2] ჰეივუდი, ე. (2008). *პოლიტიკა.* თბილისი, გვ.345

მეშვეობით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში.“[3]

პოლიტიკური პარტიისთვის მთავარ მამოძრავებელ ძალას იდეოლოგია წარმოადგენს. სწორედ იდეოლოგიის გარშემო ხდება მოქალაქეთა ინტერესების თავმოყრა და კონცენტრირება, რამაც შემდგომში შესაძლებელია პოლიტიკური პარტიის სახე მიიღოს. რაც უფრო ძლიერია იდეოლოგიურად პოლიტიკური პარტია მით უფრო დიდხანს შეუძლია მას არსებობა.

პოლიტიკური პარტიები თავიანთი იდეოლოგიის მიხედვით შეგვიძლია დავყოთ: მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტული იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკურ პარტიებად. თითოეულ ამ იდეოლოგიას გააჩნია თავისი შეხედულება და მრწამსი არა მხოლოდ პოლიტიკურ არამედ სოციალურ-ეკონომიკურ და სხვა სფეროებში. გარდა იდეოლოგიისა პოლიტიკური პარტიები შეგვიძლია დავყოთ ასევე ოთხ კატეგორიად, ესენია:

- საარჩევნო პარტიები - პარტია რომლელიც იქმნება კონკრეტული არჩევნების წინ, გარკვეული იდეის გარშემო გაერთიანებული კოალიციური საზოგადოების მიერ, ამგვარი პარტიები არამდგრადობით გამოირჩევიან, რადგან არ გააჩნიათ მყარი იდეოლოგიური საფუძველი.

- მუდმივადმოქმედი - პარტიები, რომელიც ადამიანთა რესურსიდან გამომდინარე ინარჩუნებენ რეიტინგს პოპულისტური კამპანიებისა და ელექტორატზე ზემოქმედების შედეგად.

- ლიდერ(ებ)ის პარტიები - პარტიები, რომელიც მორგებულია კონკრეტულ პიროვნებებზე, ლიდერებზე და მათი პიროვნული ავტორიტეტი, ქარიზმა, ორატორული უნარი და საზოგადოებრვი ადგილი განსაზღვრავს პარტიის რეიტინგს, ამგვარი ლიდერები გამოირჩევიან პოპულისტური მყისიერი არათანმიმდევრული მიდგომებით ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი.

---

[3] საქ. პარლამენტი, (1997 წლის 31 ოქტომბერი). *საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ.* თბილისი, მუხ. 1 და 2

- იდეოლოგიების პარტიები - ამგვარი პოლიტიკური პარტიები გამოირჩევიან სიმტკიცით, მათ გააჩნიათ იდეოლოგიური ფუნდამენტი, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა კონკრეტული პიროვნებები ან პოპულისტური ნაბიჯები, არამედ წინასწარ გაწერილი, გეგმაზომიერი იდეოლოგიური ხედვა. მათი საარჩევნო კამპანიები გამოირჩევა სტაბილური საარჩევნო პროგრამით. პარტიული პროგრამა შესაძლებელია იცვლებოდეს მიმდინარე ამოცანების გადასაწყვეტად, მიმდინარე რეჟიმში - მაგრამ იდეოლოგია რჩება მუდმივი.

როგორც ავღნიშნეთ პოლიტიკური პარტიის არსებობის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებაა. ძალაუფლების მოპოვება კი დემოკრატიული ღირებულებების და ფასეულობების დაცვით უნდა მოხდეს, მხოლოდ და მხოლოდ არჩევნებში გამარჯვების გზით მოპოვებული ძალაუფლება შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად.

პოლიტიკური პარტიები კი ამომრჩევლის მხარდაჭერის მოსაპოვებლად ქმნიან წინასაარჩევნო პროგრამებს, სადაც ნათლად არის წარმოდგენილი თავიანთი ხედვა და მისწრაფებები. პოლიტიკურ პარტიებს უდიდესი ადგილი უჭირავს თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში ხოლო თავის მხრივ პოლიტიკური პარტიები ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მთავარ საშუალებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ საარჩევნო პროგრამებს და ამ პროგრამებში წარმოდგენილ მთავარ პრინციპებს, სამოქმედო გეგმებს, რომლის განხორციელებასაც ჰპირდება პოლიტიკური სუბიექტი საზოგადოებას მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. სწორედ, რომ წინასაარჩევნო პროგრამაში აისახება პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიური ხაზი და ისიც თუ რამდენად ცდილობს დაიცვას იგი. თუმცა დღეს უკვე იდეოლოგიური თვალსაზრისით ვითარება საკმაოდ შეიცვალა.

თემის აქტუალურობა _ საქართველო პირველ ნაბიჯებს დგამს დემოკრატიული ღირებულებების და ფასეულობების განვითარების თვალსაზრისით. საქართველომ განიცადა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა შემდგომში ქართულ პოლიტიკაზე. პოლიტიკური ცხოვრებისა, რომელიც (1918-1921)

წლებში დაიწყო და ჩვენდა სამწუხაროდ საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის გამო შეწყდა. თითქმის არასრული 70-წელი ჩვენს ქვეყანაში იყო ერთპარტიული სისტემა, რომელმაც ყველანაირი საფუძველი გამოაცალა სხვა პოლიტიკური გაერთიანებების არსებობას. შეჩერდა ჩვენში პოლიტიკური ცხოვრების რითმი და შესაბამისად შეფერხდა პოლიტიკური ცხოვრება. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა აღადგინა თუმცა ძალზედ რთული პოლიტიკური სიტუაცია შეექმნა, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაში. სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ომი, ეკონომიკური კოლაფსი, კორუფცია ეს იმ ფაქტორთა მოკლე ჩამონათვალია, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამ და ბევრი სხვა ფაქტორების გამო ჩვენში პოლიტიკურმა სპექტრმა ძალზედ რთულად დაიწყო განვითარება. საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზე გამოჩნდნენ მედროვე პოლიტიკური პარტიები, საარჩევნი პარტიები, ლიდერზე ორიენტირებული პარტიები. პარტიები, რომელნიც ერთიანდებოდნენ ერთი კონკრეტული პირის გარშემო ან კიდევ წინასაარჩევნოდ ხოლო არჩევნების შემდეგ ისინი იშლებოდნენ და ხშირ შემთხვევაში ქრებოდნენ კიდეც ქართული პოლიტიკური ასპარეზიდან. სამწუხაროდ დღესაც კი ვერ ახერხებენ ჩვენი პოლიტიკური პარტიები მიაღწიონ და გაატარონ დემოკრატიული ღირებულებები და პრინციპები. ,,ქართული პოლიტიკური პარტიები, წესით, დემოკრატიული ღირებულებების სერიოზული კომუნიკატორები უნდა იყვნენ, მაგრამ ჯერჯერობით, ისინი ვერ ახერხებენ გასაგები ალტერნატივების შექმნას.“[4]

"თავისი ბუნებით, ადამიანი პოლიტიკური ცხოველია", - ამბობს ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე. პოლიტიკას კი ადამიანები უმეტეს შემთხვევაში პარტიის საშუალებით ახორციელებენ. საინტერესოა თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი საქართველოში, როგორი იდეოლოგიით ხასიათდება პოლიტიკური პარტია, რომელიც მართავს დღეს ჩვენს ქვეყანას.

თემა ასევე აქტუალურია გამომდინარე იქედან, რომ 90-იანი წლებიდან დღემდე ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილება ხდებოდა გადატრიელების, ამბოხების და რევოლუციის გზით. რამაც გარკვეული დაღი დაასვა ქვეყანაში დემოკრატიული

[4] ჯონსი, ს. (2013). *საქართველო - პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი, გვ. 12.

ღირებულებებისა და ფასეულობების გამტკიცებას, ხელი შეუშალა ჩვენში პოლიტიკური ცხოვრების სტაბილურობას. თუმცა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლების ცვლილება მოხდა არა ძალისმიერი მეთოდებით არამედ არჩევნების გზით.

2012 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა ქართულ პოლიტიკაში, რევოლუციის და ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით დამხობის ნაცვლად ხელისუფლების ცვლილება მოხდა არჩევნების გზით, რაც დემოკრატიის თვალსაზრისით წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. ხელისუფლების სათავეში მოვიდა ახალი პოლიტიკური ძალა, რომელმაც დროის მოკლე მონაკვეთში შეძლო საზოგადოების ნდობის მოპოვება და შემდგომში არჩევნებში გამარჯვება. საინტერესოა თუ რა გზა განვლო ,,ქართულმა ოცნებამ“ იდეოლოგიური თვალსაზრისით და როგორ მოხდა მისი იდეოლოგიის ჩამოყალიბება.

კვლევის მიზნები და ამოცანები _ ჩემი მიზანია მოკრძალებული წვლილი შევიტანო ქართული პოლიტიკური პარტიების, მათი იდეოლოგიური შეხედულებების და ფასეულობების შესწავლის საქმეში. საქართველომ უკვე საუკუნის მეოთხედი განვლო, როგორც დამოუკიდებელმა და სუვერენულმა სახელმწიფომ, მიუხედავად გარკვეული სახის პრობლემებისა ჩვენ მაინც შევძელით მიგვეღწია და პირველ ნაბიჯები გადაგვედგა დემოკრატიის თვალსაზრისით. 2012 წელს საქარველოში ახალი პოლიტიკური ეტაპი დაიწყო, ხელისუფლება შეიცვალა არჩევნების გზით. საინტერესოა თუ როგორი პოლიტიკური ძალა მოვიდა ხელისუფლებაში, რომელმაც შეძლო არა მხოლოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება არამედ შემდგომ 2016 წლის არჩევნებშიც შეძლო შეენარჩუნებინა მმართველი პოლიტიკური პარტიის სტატუსი. მპგ ,,ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველომ“ საინტერესო გზა განვლო როგორც პოლიტიკურმა პარტიამ. საინტერესო იქნება თუ მას განვიხილავთ და შევაფასებთ იდეოლოგიურ ჭრილში. როგორ ყალიბდება პარტიის იდეოლოგია? რა ფაქტორები ახდენს გავლენას პარტიის იდეოლოგიური ვექტორის ჩამოყალიბებაზე? აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ რამეთუ საკმაოდ საინტერესოდ განვითარდა ,,ქართული ოცნების“ გზა და პოლიტიკური ვექტორი.

საპარლამენტო არჩევნებზე იმიტომ ვაკეთებ აქცენტს, რომ სწორედ საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკური პარტიის მიერ წარმოდგენილ წინასაარჩევნო პროგრამაში კარგად ჩანს და ნათლად შეგვიძლია ამოვიკითხოთ მის მიერ გატარებული იდეოლოგიური ხაზი, და ასევე ისიც თუ რამენად იცავს პოლიტიკური პარტია თავის იდეოლოგიურ შეხედულებებს.

თავი I: კვლევის დიზაინი

1.1 საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა

ჩემი მიზანია გავიგო თუ როგორ განვითარდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ იდეოლოგიურად და რა ფაქტორი ახდენდა გავლენას პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

რა გავლენა იქონია ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ქართული ოცნების იდეოლოგიის ჩამოყალიბებასა და ფორმირებაზე?

რაც შეეხება ჰიპოთეზას. საკვლევი კითხვიდან გამომდინარე ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: რაც უფრო დაბალია ქვეყანაში სოცილაურ-ეკონომიკური მდგომარეობა მით უფრო სუსტი და არამდგრადი იდეოლოგიით გამოირჩევიან პარტიები.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზიდან გამომდინარე გამოიკვეთა დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები.

დამოუკიდებელი ცვლადი: სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

დამოკიდებული ცვლადი: პოლიტიკური პარტიის იდეოლოგია.

1.2 მეთოდოლოგია

იმისათვის, რომ ნაშრომი სრულყოფილად ჩაითვალოს აუცილებელია მასში ასახული მიზნის კვლევა. პოლიტიკის მეცნიერება თავისი შეხედულებების და ჰიპოთეზების გადამოწმებისთვის იყენებს სოციალური კვლევის მეთოდებს, რომელთაც ჩვეულებრივ, ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებად. იმისათვის, რომ მოვახდინო ჩემს მიერ დასახული მიზნის შესრულება მიზანშეწონილად მიმაჩნია მის საკვლევად გამოვიყენო თვისებრივი კვლევის მეთოდი. თვისებრივი კვლევის მეთოდი საშუალებას მომცემს უკეთ გავაანალიზო ,,ქართული ოცნების" იდეოლოგიური ვექტორი. გარდა ამისა არსებობს ასევე მეორე გარემოება თუ რატომ უნდა იქნეს ჩატარებული კვლევა თვისებრივი კვლევის მეთოდით: ვინაიდან საკითხი მოითხოვს ისეთი სახის შესწავლას რომლის გაზომვა არ შეიძლება რიცხვებითა და პროცენტებით აუცილებელია თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენება. ჩემი მიზანია ავხსნა თუ რა გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პარტიის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე? ამ კითხვაზე პასუხი კი თვისებრიკი კვლევის მეთოდებით უნდა ვეძიოთ.

ნაშრომი ძირითადად დაეყრდნობა წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზს და ასევე მეორადი წყაროების ანალიზს. შედარებითი მეთოდის მეშვეობით ერთმანეთს შევადარებთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარმოდგენილ პარტიის წინასაარჩევნო პროგრამას და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარმოდგენილ წინასაარჩევნო პროგრამას ერთმანეთს. კვლევის მეთოდოლოგიაში ასევე გამოვიყენებთ ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებს პოლიტიკურ პარტიების (იმ პოლიტიკური პარტიების რომელნიც გაერთიანებული იყვნენ კოალიციაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში: ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, ეროვნული ფორუმი, კონსერვატიული პარტია და მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს) წარმომადგენლებთან.

ოპერაციონალიზაცია _ ჩემი მიზანია განვმარტო თუ რა იგულისხმება სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და პარტიების იდეოლოგიაში. ვიპოვოთ აღნიშნული

ცნებების საზომი ინდიკატორები, რომელთა დაყრდნობით შესაძლებელი იქნება ამ ცნებების განსაზღვრა.

სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნება შემდეგი ინდიკატორები: ,,საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020"[5] - საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტი რომლის საშუალებითაც საქართველოს მთავრობა გეგმავს გაზომის ქვეყანაში არსებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და შემდგომ დასახოს სამომავლო გეგმები. მათ სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაზომვა მოახდინეს შემდეგი ინდიკატორებზე დაყრდნობით: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ჯინის კოეფიციენტი, ინფლაცია, უმუშევრობა, გადასახადები, ექსპორტი, მიმდინარე ანგარიში (წილი მშპ-ში, %), სახელმწიფო ვალის მიმართება მშპ-სთან (%). აღნიშნული მონაცემების მოძიება შესაძლებელია საქაერთველის სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდის საშუალებით. გარდა ამისა მინდა გამოვიყენო ასევე კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის(CTC) ნაშრომში[6] გამოყენებული ინდიკატორები. ავტორები აღნიშნულ ნაშრომში გამოყოფენ სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის და არსებული გარემოს შეფასების ინდიკატორებს -,,იმისათვის, რომ „სოციალურ-ეკონომიკური გარემო"-ს კონცეფციით ოპერირება შესაძლებელი ყოფილიყო, შეირჩა რვა ინდიკატორი. ეს ის საშუალებებია, რომლის მეშვეობითაც სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი პოტენციურად გავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოებაზე: 1) სიღარიბე; 2) სამოქალაქო ომი; 3) მწვავე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები; 4) მწვავე ეკონომიკური კრიზისი; 5) მწვავე სოციალური კრიზისი; 6) მწვავე სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა; 7) გაუნათლებლობა; 8) საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სიმცირე. ეს გახლავთ ის ინდიკატორები რომელთა საშუალებით

[5]საქართველოს მთავრობა. (2013). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020* https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf

[6] კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის(CTC). (2005). *საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---6-------0-1l--10-ka-50---20-preferences---10-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.20&d=HASHc4c73bb066d937c3a6f909.8.2.3*

შესაძლებელია გავზომოთ ქვეყანაში არსებული ცოდიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

გამომდინარე აქედან გამოიკვეთა შემდეგი ინდიკატორები:

1. მშპ ერთ სულ მოსახლეზე[7]
2. ჯინის კოეფიციენტი
3. უმუშევრობა[8]
4. ინფლაცია[9]

მართალია აქ წარმოდგენილი ყველა ინდიკატორი იძლევა ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სურათს თუმცა ჩემს მიერ წარმოდგენილ ინდიკატორებშია გაერთიანებული ისინი. მაგალითად არ გვჭირდება ისეთი ინდიკატორის გამოყენება როგორიცაა, ადგილი მსოფლიოში: - ქვეყანაში წარმოებული მეპ(მთლიანი ეროვნული პროდუქტი)-ის რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე, რამეთუ ჩვენი მიზანია გავიგოთ ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და არა მისი ადგილი მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზისით.

პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიის გასაზომად ჩემს მიერ შერჩეულ იქნა შემდეგი ინდიკატორები: ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ეუთო/დიაუო) ინიციატივით „ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტისა“ და „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის კვლევითმა ჯგუფმა“ ჩაატარა ინტერაქციული კვლევა, რომლის შედეგებიც აისახა შემდგომ წიგნში ,,საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი“[10] აღნიშნული ნაშრომში გამოკვეთილია იმ ინდიკატორთა ჩამონათვალი, რომელიც გამოიყენეს ავტორებმა რათა უფრო ნათლად და მკაფიოდ გამოეკვეთა ჩვენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ პარტიათა იდეოლოგია. როგორც ავტორი აღნიშნავს უნდა მოვახდინოთ თავდაპირველად იმის განსაზღვრა თუ როგორია პარტიათა დამოკიდებულება ორი ძირითადი საკითხისადმი, ესენია:

[7] მენქიუ, გ. (2007). *ეკონომიკის პრინციპები.* თბილისი, გვ. 488
[8] მენქიუ, გ. (2007). *ეკონომიკის პრინციპები.* თბილისი, გვ. 583
[9] მენქიუ, გ. (2007). *ეკონომიკის პრინციპები.* თბილისი, გვ. 629
[10] ალვარო პინტო სქოლტბახი და გია ნოდია. (2006). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი.*

1. კულტურული ღირებულებების მიმართ
2. ეკონომიკური საკითხების მიმართ.

შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენს პარტიების დამოკიდებულების განსაზღვრა და გამოვლენა-ადამიანის უფლებებისა და ინდივიდუალური თავისუფლებათა მიმართ და ბოლოს საქართველოში პარტიული სისტემის პოლარიზაციის დონე.

1.3 თეორიული ჩარჩო

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ ჩემს მიერ გამოყენებული იქნება ენტონ დაუნსის ,,რაციონალური არჩევანის თეორია.“ აღნიშნული თეორია პოლიტიკაში შემოვიდა ეკონომიკის სფეროდან და მალევე დამკვიდრდა კიდეც. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარიდან აქტიურად დაიწყო რაციონალური არჩევანის თეორიის გამოყენება პოლიტიკური პროცესის ანალიზისას. რაციონალური არჩევანის თეორიამ წინა პლანზე წამოსწია ადამიანი. ,,რაციონალური არჩევანის თეორიამ პოლიტიკურ კვლევებში წინა პლანზე წამოსწია მოქმედი ადამიანი, თავისი ინტერესებითა და მოთხოვნილებებით. პოლიტიკის სფეროში ამ თეორიის ამოსავალი პრინციპი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ხელისუფლებისა და პოლიტიკის სფეროში ადამიანი ისევე რაციონალურად იქცევა, როგორც ეკონომიკის სფეროში.[11]

რაციონალური არჩევანის თეორია მოიცავს თავის თავში პოლიტიკოსის რაციონალურ ქცევას. როგორც წესი პოლიტიკოსი ამ შემთხვევაში წარმოდგენილია როგორც ,,მეწარმე“, რომელიც სთავაზობს პროდუქციას მომხმარებელს. ,,საზოგადოებრივი კეთილდღეობის თაობაზე ამომრჩეველთა მჯობინებანი არათუ არ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ რაციონალური უცოდინრობის დაღსაც ატარებს და იშვიათად არის მკაფიო ჩამოყალიბებული. პოლიტიკოსები, რომლებიც სთავაზობენ გადაწყვეტილებათა ,,პაკეტებს“ საზოგადოებრივი კეთილდღეობის თაობაზე, შეიძლება შევადაროთ მეწარმეებს, რომლებიც მომხმარებლებს კერძო კეთილდღეობას სთავაზობენ. წარმატებისათვის პოლიტიკოსებიც და მეწარმეებიც კონიუნქტურაზე არიან ორიენტირებული.“[12]

1950-იან წლების დასაწყისიდან აანალიზებენ არა მარტო ამომრჩევლის რაციონალურ ქცევას, არამედ პოლიტიკური პარტიების ქცევას. ცნობილი რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსი ,,ე.დაუნსი თვლიდა, რომ პარტიების ქცევა და კონკურენციის სტილი განისაზღვრება ამომრჩევლის ქცევით.“[13]

სწორედ ამომრჩეველი კარნახობს პოლიტიკურ პარტიებს იმოქმედოს და განსაზღვროს თავისი იდეოლოგიური ვექტორი და ასევე წარუდგინოს წინასაარჩევნოდ

---

[11] მაცაბერიძე, მ. (2003). *პოლიტიკური მარკეტინგის საფძვლები.* თბილისი, გვ. 75
[12] მაცაბერიძე, მ. (2003). *პოლიტიკური მარკეტინგის საფძვლები.* თბილისი, გვ. 84
[13] მაცაბერიძე, მ. (2003). *პოლიტიკური მარკეტინგის საფძვლები.* თბილისი, გვ. 86

პროგრამა ამომრჩეველს. ,,სწორედ ამიტომ პარტიის იდეოლოგია ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ამომრჩეველისთვის ,,მოკლე გზამკვლევად" გამოდგეს. თუ განვალაგებთ პარტიებს სწორი ხაზის გასწვრივ, რომლის ბოლოშიც გაკეთებული აღნიშვნები ,,მემარცხენეები" - ,,მემარჯვენეები", მაშინ მათი ქცევა პირდაპირ იქნება დამოკიდებული ამ სწორ ხაზზე ამომრჩეველთა განლაგებაზე."[14]

ე. დაუნსის ,,რაციონალური არჩევანის თეორია" მიესადაგება პოლიტიკური პარტიის და პოლიტიკოსის ქცევას და ზუსტად განსაზღვრავს მას. შეგვიძლია თამად ავღნიშნოთ, რომ პოლიტიკური პარტია ხშირ შემთხვევაში იქცევა რაციონალურად თავისი მიზნის მისაღწევად იყენებს ყველა შესაძლებლობას და ამომრჩეველს სთავაზობს სწორედ იმას, რაც მას სხვა კანდიდატებთან შედარებით მომგებიან პოზიციაში დააყენებს. საქართველოს მაგალითზე კი ასეთი ფაქტები უამრავია, როდესაც პოლიტიკური პარტიები არჩევნებში აქცენტს მეტი ხმების მიღებაზე აკეთებენ ხოლო სხვა იდეოლოგიური საკითხები უკანა პლანზე რჩება. ,,დაუნსის განმარტებით, პარტია ამომრჩეველთა ხმების მისაღები ინსტრუმენტია. ეს დებულება გადმოცემულია ფორმულით - პარტიები პოლიტიკას უფრო ისე აყალიბებენ, რომ გაიმარჯვონ არჩევნებში და არა იმისთვის იგებენ არჩევნებს, რომ ჩამოაყალიბონ პოლიტიკა."[15]

ასევე საინტერესოა ფენომენი, რომელზეც საუბრობს ე.დაუნსი. როგორც ის აღნიშნავს ხშირია ,,ამომრჩევლის რაციონალური უცოდინრობის ფენომენი" რაც არა ეკონომიკის სფეროში არამედ პოლიტიკის სფეროში ვლინდება. ეკონომიკაში ადამიანი ყოველთვის რაციონალურად იქცევა, მაგრამ პოლიტიკაში ხშირად ვხვდებით ისეთ შემთხვევებს როდესაც ინდივიდი არ იქცევა რაციონალურად, ხშირად ამომრჩეველი არ ეცნობა წინასაარჩევნო პროგრამებს და ასე შემდეგ.

[14] მაცაბერიძე, მ. (2003). *პოლიტიკური მარკეტინგის საფძვლები.* თბილისი, გვ. 86
[15] იქვე

თავი II: ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 ლიტერატურის მიმოხილვა

იმისათვის, რომ უკეთ მოვახდინოთ ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის განხილვა და ანალიზი აუცილებელია გავეცნოთ მსოფლიოში არსებულ თეორიებს, მიდგომებს და შეხედულებებს პოლიტიკურ პარტიებთან(პარტიასთან) დაკავშირებით. ამ მხრივ მართლაც რომ უამრავი პოლიტიკურ-სამეცნიერო ხასიათის სტატია, ნაშრომი თუ წიგნი არსებობს. მინდა ლიტერატურის მიმოხილვისას ნათლად და მკაფიოთ გამოვკვეთო ის ძირითადი მახასიათებლები რაც ახასიათებთ ახლად შექმნილ პოლიტიკურ პარტიას და რა ძირითადი ტენდენციები იკვეთება პარტიის იდეოლოგიის მხრივ.

ახალი პოლიტიკური პარტიები _ თანამედროვე პოლიტიკური პარტიები როგორც ჰეივუდი აღნიშნავს ოტო კირხაიმერისეულ (1966) განურჩევლად შემკრებთა კატეგორიას განეკუთნება. ასეთი ტიპის პოლიტიკური პარტიები მარტივად თმობენ იდეოლოგიურ პრინციპებს _ რაც შეიძლება მეტი ამომრჩევლის გულის მოსაგებად.[16]

როგორც რიჩარდ გიუნტერი(Gunther,R) აღნიშნავს ტელევიზის, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების, ტექნიკა-ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად განვითარდნენ პარტიებიც. პოლიტიკური პარტიები ჩაერთვნენ სხვადასხვა საკითხებსა და მოვლენებში მათი არეალი გაფართოვდა. არსებული ტიპოლოგია კი ვეღარ პასუხობდა ხალ გამოწვევებს. არ შეიძლება უარყოფა არსებული ტრადიციული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური პარტიების თუმცა აღსანიშნავია, რომ ის იდეოლოგიური ჩარჩოები რაც არსებობდა უკვე მოძველებულია და საჭიროებს ე.წ. ხვრელების ამოვსებას. პოლიტიკური პარტიები შეიძლება იყოს: ელექტორატზე და მასებზე დაფუძნებული პარტია, პროგრამული ორიენტაციის პარტია და აშ. გარდა ამისა პოლიტიკური პარტიები ასევე უნდა განვიხილოთ როგორც ელიტაზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიები, (ელიტარული პოლიტიკური პარტიები) ასეთ პარტიებს ახასიათებთ: ჩაკეტილობა, პოლიტიკური გაერთიანებები მტკიცეა და ხშირ შემთხვევაში ლოკალურია. მასებზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტიები (ისინი თავის თავში

[16] ჰეივუდი, ე. (2008). *პოლიტიკა*. თბილისი, გვ.349

აერთიენებენ ისეთ მასებს როგორიცაა, რელიგიური, ნაციონალური თუ სოციალური მიზნისთვის შექმნილი პოლიტიკური პარტიები) ხშირ შემთხვევაში ისინი არამყარი იდეოლოგიის მატარებელნი არიან. ეთნიკურ ჯგუფებზე დაფუძნებული პოლიტიკური პარტიები, ასეთი ტიპის პოლიტიკური პარტიები არ შეესაბამება დემოკრატიის პრინციპებს რამეთუ ისინი ხშირ შემთხვევაში ერთი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის ინტერესების დამცველად გვევლინებიან ხოლო სხვა დანარჩენი ჯგუფების ინტერესები მათთვის მეორეხარისხოვანია. ამომრჩეველზე (ელექტორატზე) დაფუძნებული პოლიტიკური პარტიები, ასეთი სახის პოლიტიკური პარტიები ორიენტირებულნი არიან ლიდერზე და პერსონებზე მათი იდეოლოგია არ არის მყარი, ისინი ხშირად პროგრამებზე აკეთებენ აქცენტს და უკანა პლანზე რჩება იდეოლოგიური საკითხები და ბოლოს მერყევი პოლიტიკური პარტიები, აღნიშნულში გაერთიანებულია ის პოლიტიკური პარტიები რომელთაც ახასიათებთ არამყარი იდეოლოგიური კავშირი.[17]

პოლიტიკური პარტიები ხელისუფლებისთვის ბრძოლაში იყენებენ ყველა შესაძლო გზას და საშუალებას, რათა შეძლონ ძალაუფლების მოპოვება. როგორც რობერტ ჰარმელი და ჯოშ რობერტსონი აღნიშნავენ ახლად შექმნილი პოლიტიკური პარტიები თავიანთ იდეოლოგიურ ორიენტაციას ირჩევენ ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე. ასე რომ სავსებით შესაძლებელია ქვეყანაში ჭარბად იყოს წარმოდგენილი ერთი რომელიმე პოლიტიკური ორიენტაციის მატარებელი პარტიები.[18] ასევე კვლევაში განხილული აქვთ პარტიათა ცვალებადობის და აქტიურობის მაჩვენებელი, სადაც ნათლად ჩანს რომ უკანასკნელ წლებში პარტიების რიცხვი იზრდება სხვადასხვა ქვეყნებში მას მაგალითად მოჰყავს ევროპის ქვეყნები. ისინი ცდილობენ ახსნას თუ რა არის ამ ყველაფერის გამომწვევი მიზეზი, რატომ იზრდება პარტიების რიცხვი. ავტორები გამოყოფენ რამდენიმე ფაქტორს ესენია: ფედერალიზმი, საარჩევნო ხელმისაწვდომობა, არსებული პარტიების სისუსტე, საარჩევნო სისტემა და სხვ. თუმცა ნაკლენად საუბრობენ იმ ძირითად აქცენტებზე რამაც გავლენა მოახდინა პარტიათა ასეთი სიმრავლე ეს არის მეორე მსოფლიო ომი და მას შემდეგ განვითარებული მოვლენები ასევე აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის რღვევა, ჩემი აზრით ამ ფაქტორებმა უდიდესი როლი ითამაშა ევროპაში პარტიების რიცხვის ზრდაში.

[17] Gunther,R. and Diamond, L. (2003). *SPECIES OF POLITICAL PARTIES A New Typology* London

[18] Robert Harmel and John D. Robertson. (1985). *Formation and Success of New Parties: A Cross-National Analysis*

პოლიტიკურ პარტიებს შეექმნათ გარკვეული სახის კრიზისი. როგორც პიერო იგნაზი (Piero Ignazi) აღნიშნავს ძველი პოლიტიკური პარტიები ვეღარ უძლებენ ახალ პოლიტიკურ, სოციალურ თუ სხვა სახის გამოწვევებს. როგორც მემარჯვენე ასევე მემარცხენე ორიენტაციის პარტიებს შეექმნათ გარკვეული სახის კრიზისი, რომელიც ახლად შექმნილ პოლიტიკურ პარტიებმა სათავისოდ გამოიყენეს და ამის ხარჯზე ცდილობენ ახალი პოლიტიკური პარტიები ადგილი დაიმკვიდრონ ქვეყნის, როგორც საკანონმდებლო ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში.[19] ამ მოვლენებს შემდეგნაირად ხსნის: გაჩნდა ახალი სოციალ-ეკონომიკური მოთხოვნები, განვითარდა საზოგადოება და შესაბამისად მათ გაუჩნდათ ახალი ინტერესები და შეხედულებები, თანდათან აქტიური ხდება მსოფლიო გლობალიზაციის პრობლემები და გლობალური მოვლენები საზოგადოებისთვის. როგორც ავტორი აღნიშნავს მალევე ძველ პოლიტიკურ პარტიებს ჩაანაცვლებს ახალი პოლიტიკური პარტიები რადგან სწორედ ისინი ცდილობენ თავიანთი იდეოლოგია მოარგონ ახალ გამოწვევებს და უპასუხონ პარტიების წინაშე არსებულ გამოწვევებს. თუმცა ნაკლებად საუბრობს ავტორი თავის სტატიაში რა იგულისხმება პარტიის წინაშე არსებულ კრიზისში.

ახლად შექმნილი პოლიტიკური პარტიები მიმართავენ სხვადასხვა ხერხებს და საშუალებებს რათა შეძლონ მოვიდნენ ხელისუფლებაში და ადგილი დაიმკვიდრონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც პაულ ლუკარდიე (Paul Lucardie) აღნიშნავს ახალი პოლიტიკური პარტიები მიმართავენ შემდეგ ელემენტებს რათა შეძლონ ადგილის დამკვიდრება პოლიტიკურ სივრცეში ესენია: ახალი იდეოლოგიების საშუალებით შესთავაზონ თავი ელექტორატს, რესურსები: ფული, პარტიის წევრები და სხვა რესურსების მედია საშუალებები იქნება თუ სხვა მათი დახმარებით თავის დამკვიდრება და მესამე ეს არის დაყრდნობა პოლიტიკურ შესაძლებლობათა სტრუქტურასა და სოციალ-ეკონომიკურ, კულტურულ პრინციპებზე.[20] ავტორი თითოეულ ამ კომპონენტს განიხილავს თავის სტატიაში თუმცა არ საუბრობს იმ ძირითად ბარიერებსა და დაბრკოლებებზე, რომელიც შეიძლება შეექმნას პოლიტიკურ პარტიებს.

---

[19] Ignazi, P. (1996). *THE CRISIS OF PARTIES AND THE RISE OF NEW POLITICAL PARTIES, London. Thousand Oaks. New*

[20] Lucardie, P. (2000). *PROPHETS, PURIFIERS AND PROLOCUTORS*

პოლიტიკური პარტიები დასავლეთ ევროპაში _ სტივენ ვოლინეთზი(Wolinetz, Steven) აღნიშნავს, რომ დღეს დასავლეთ ევროპაში გაჩნდნენ ახალი პოლიტიკური პარტიები, რომელთაც შეგვიძლია თამამად ვუწოდოთ ელექტორატზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტიები (ანუ ამომრჩეველზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტიები). ასეთ პოლიტიკურ გაერთიანებებს ახასიათებთ ზედაპირული ორგანიზაცია და ბუნდოვანი იდეოლოგია. მათი მიზანია მოიზიდონ საარჩევნო ხმები. ელექტორატზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტიები ყურადღებას ამახვილებენ სამი მიმართულებით ყოვლისმომცველობაზე, პერსონებსა და პროგრამებზე.[21] ავტორი ამახვილებს ყურადღებას ასევე იმაზე, რომ პარტიები ირჩევენ სოციალური ინტერესების ფართო სპექტრს. ოპორტონისტული პარტიები- ანუ პრინციპულობას მოკლებული პოლიტიკური პარტიები, ცდილობენ მაქსიმალურად დააკმაყოფილონ ელექტორატის მოთხოვნები რათა მოვიდნენ ხელისუფლებაში. ისინი აქტიურად იყენებენ თანამედროვე საშუალებებს განსაკუთრებით კი მედიას რათა გავლენა მოახდინონ საზოგადოებაზე.

აღნიშნულიდან მინდა ყურადღება გავამახვილო სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობაზე. როგორც ავტორი აღნიშნავს ახალშექმნილი პოლიტიკური პარტიები არ გამოირჩეიან მყარი იდეოლოგიით და მათ იდეოლოგიაზე გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ფაქტორთან ერთად სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ავტორის აზრით ახლად შექმნილ პოლიკურ პარტიებს უჭირთ დაიცვან იდეოლოგიური საფუძვლები.

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპაში დიდი ხანია დამკვიდრდა პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური პარტიები ასე თუ ისე იცავენ ძირეულ იდეოლოგიურ საფუძვლებს მაინც გაჩნდა გარკვეული სახის პრობლემები. როგორც ვონ ბაიმი (Beyme, Klaus von) აღნიშნავს მართალია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში პარტიები გამოირჩევიან მყარი იდეოლოგიური საფუძვლით, მაგრამ ახლად შექმნილი/ახალი პოლიტიკური პარტიები ამავე კრიტერიუმით ნაკლებად გამოირჩევიან ისინი ელექტორატზე არიან ორიენტირებული.[22] გარდა დასავლური დემოკრატიის ქვენებისა

[21] Wolinetz, Steven (1991) *'Party System Change: The Catch-all Thesis Revisited', West European Politics*

[22] Beyme, Klaus von (1985). *Political Parties in Western Democracies*. Aldershot:Gower

ავტორი განიხილავს იმ ქვენებსაც სადაც ცდილობენ ან აქვთ მცდელობა გატარდეს დასავლური დემოკრატია. ავტორის აზრით, თანამედროვე პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც არ გააჩნიათ კავშირი ძველ ტრადიციულ პოლიტიკურ პარტიებთან, ტავიანთ იდეოლოგიასა და პროგრამას აყალიბებენ მსგავსი ჩვევებიდან გამომდინარე. მსგავის ტიპის პოლიტიკური პარტიების საერთო მახასიათებელს არამყარი იდეოლოგია წარმოადგენს.

ავტორის აზრით პარტიების იდეოლოგიის და პროგრამის შემუშავებისას უდიდესი როლი ენიჭება და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა და ამომრჩეველთა მოთხოვნები. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება რომ ავტორი თვალნათლივ არ გვიჩვენებს თუ რამ წარმოშვა ესეთი ტიპის პარტიები და რა არის მათი წარმოშობის ძირითადი მიზეზი.

როგორც რობერტ ტომსონი აღნიშნავს პარტიები მაქსიმალურად ცდილობენ განახორციელონ და შეასრულონ საარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული სოციალ-ეკონომიკური დაპირებები მოტივაციის თეორიიდან გამომდინარე, რომელიც თავის თავში მოიცავს ერთის მხრივ მმართველი პარტიის მხრიდან შეინარჩუნოს პოზიციები და კიდევ ერთხელ იქნას არჩეული ელექტორატის მიერ, ხოლო მეორეს მხრივ ოპოზიციის მხრიდან მოიაზრება არჩევნებში გამარჯვება და ხელისუფლების მოპოვება.[23] ავტორი შეეცადა აღნიშნული პროცესის გასაანალიზებლად მიმოეხილა პარტიათა წინასაარჩევნო დაპირებები და საარჩევნო პროგრამები. სახელისუფლებო პარტიების მოტივაციას ის, რომ რაც უფრო კარგად შეასრულებენ წინასაარჩევნო დაპირებებს უფრო დიდხანს დარჩებიან ხელისუფლებაში ხოლო ოპოზიციური პარტიები გამოდიან იმ თვალსაზრისით რომ მათ უნდათ მოვიდნენ ხელისუფლებაში და ამის მისაღწევად სთავაზობენ ელექტორატს მათთვის სასურველ პროგრამას. პლიტიკური პარტიებისთვის იდეოლოგიაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი ელექტორატის ინტერესების გათვალისწინება გახდა.

პოლიტიკური პარტიები აღმოსავლეთ ევროპაში _ მას შემდეგ რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით კი პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში ჩატარდა პირველი თავისუფალ შეჯიბრებით პრინციპზე დამყარებული არჩევნები, პარტიებს შეექმნათ

[23] Thomson, R. (2001). *The programme to policy linkage: The fulfilment of election pledges on socio-economic policy in the Netherlands, 1986–1998*

მნიშვნელოვანი პრობლემები. მათ არ ჰქონდათ კავშირი ტრადიციულ ძველ პოლიტიკურ პარტიებთან (კომუნისტური პარტიის ერთპარტიულმა სისტემამ სერიოზული როლი ითამაშა ამ მხრივ. გაწყდა კავშირი ძველ ტრადიციულ პარტიებსა და ახალ თანამედროვე პოლიტიკურ პარტიებს შორის). ახლად შექმნილი პოლიტიკური პარტიები გამოირჩეოდნენ მერყეობით.[24] სტატიაში ცდილობენ ახსნან თუ რატომ გამოირჩევიან პარტიები ასეთი მერყეობით. უპირველესი მიზეზი ეს არის შიდა დინამიკა პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესები, აქ იგულისხმება პარტიის შიგნით მიმდინარე ბრძოლა ადგილის დასამკვიდრებლად და ასევე პარტიის შიგნით მიმდინარე გადაადგილებები. მეორე მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ ის, რომ თვითონ ელექტორატი არჩევნებიდან არჩევნებამდე გამოირჩევა არასტაბილურობით რაც აისახება თვით პოლიტიკურ პარტიებზე. მესამე ფაქტორად დასახელებულია ისევ პარტიების შიდა ბუნება, როგორც სტატიის ავტორები აღნიშნავენ პარტიები ხშირად იყოფიან, ერთიანდებიან (ერთი პარტია უერთდება მეორეს და ასე შემდეგ) იმისთვის რომ დაიმკვიდრონ ადგილი წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოში.

საინტერესოა ის გარემოება, რომ აღმოსავლეთ ევროპის განსაკუთრებით კი პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში პოლიტიკურ პარტიებმა სხვაგვარად დაიწყო განვითარება. რიჩარდ როუსი და ნელი მიუ(Richard Rose and Neil Mu) საუბრობენ ახალ ევროპულ ქვეყნების დემოკრატიაზე (იგულისხმება პოსტ-კომუნისტური ქვეყნები) მათ საარჩევნო სისტემაზე, ელექტორატსა და პარტიებზე. როგორც ავტორები აღნიშნავენ ამ ქვეყნების უმეტესობამ აირჩია ანგლო-ამერიკული მიდგომა, შესაბამისად როგორც მმართველობის სისტემა ასევე საარჩევნო სისტემა ძირითადად ამ მოტივზე იქნა დაფუძნებული. თუმცა მათ მალევე შეექმნათ პრობლემები ვინაიდან სისტემა რომელსაც ანგლო-ამერიკული მოდელი სთავაზობდა იქცა ავტორიტარულ მმართველობად რადგან განსხვავებით ამერიკული დემოკრატიისგან ამ ქვეყნებში ჯერ დემოკრატიას ფეხი კარგად არ მოუკიდებია ამიტომ ერთპიროვნული მმართველობითი სისტემამ დიდი ვერაფერი მოუტანა ამ ქვეყნებს.[25] ასევე სტატიაში საუბარია პარტიებსა და მათ იდეოლოგიაზე, როგორც ავტორები აღნიშნავენ დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით სადაც პარტიები

[24] **European Journal of Political Research,** *How Unstable? Volatility and the Genuinely New Parties in Eastern Europe,"* 44(1): 391-412, 2005

[25] Richard Rose and Neil Mu. (2003). *ELECTIONS AND PARTIES IN NEW EUROPEAN DEMOCRACIES,* Washington

ზუსტად ასახავენ ელექტორატის მოთხოვნებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ეს ასე არ არის ამის ძირითად ნაკლს კი ისინი დემოკრატიის დაბალ დონეს და პარტიული ინსტიტუტების ჩამოუყალიბლებობაზე მიუთითებენ. ასევე ავტორთა აზრით ეს ქვეყნები განიცდიან კომუნისტური ელიტის დამახასიათებელ ელემენტების არსებობას პარტიულ ელიტებში. გარდა ამისა ავტორები უდიდეს ყურადღებას უთმობენ იმ ფაქტს რომ ასეთ ქვეყნებში პარტიები არ გამოირჩევიან ინსტიტუციური სიმყარით, ისინი ხშირად იქმნებიან და ქრებიან მათ არ აქვთ მყარი იდეოლოგიური საფუძველი. ელექტორატი კი არამდგრადია და მერყევი, ხშირ შემთხვევაში არ აქვთ ჩამოყალიბებული მტკიცე პოზიცია და ისინი ისეთივე მერყევნი არიან, როგორც პოლიტიკური პარტიები. ერთმა კონკრეტულმა პარტიამ შეიძლება ერთ არჩევნებში მიიღოს კოლოსალურად მაღალი მხარდაჭერა ამომრჩეველთა მხრიდან ხოლო შემდგომ არჩევნებში მას შეექმნას საშიშროება იმისა, რომ არათუ შევიდეს პარლამენტში არამედ შესაძლოა ვერც კი მოხვდეს იქ.

ტარას კუზიო (Taras Kuzio,2010) უკრაინისადმი მიძღვნილ სტატიაში (*Populism in Ukraine in a Comparative European Context)* საუბრობს პოპულიზმზე (პოპულიზმი უკრაინისთვის ისევე როგორც საქართველოსთვის თანმდევი პროცესია ამიტომ აუცილებელია მიმოვიხილოთ ამ კუთხით არსებული გამოცდილება). ავტორმა გამოყო ის ძირითადი ელემენტები რაზეც აკეთებენ აქცენტს პარტიები უკრაინაში ესენია: ქარიზმატული ლიდერი, კრიზისული სიტუაციები, ანტი-ელიტური დამოკიდებულება, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკა.[26] როგორც უკრაინა ასევე საქართველო წარმოადგენს პოსტ-საბჭოთა ქვეყანას, ასე რომ უკრაინისთვის დამახასიათებელი ბევრი ნიშანი საგულისხმო და გასათვალისწინებელია ჩვენი ქვეყნისთვის. ავტორის მიერ დასახელებული ყველა ის ფაქტორი რაზეც აკეთებენ აქცენტს პოლიტიკური პარტიები დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნისთვისაც. თუ ჩვენ გადავავლებთ თვალს ჩვენს უახლოეს ისტორიას ამის მაგალითს ნათლად დავინახავთ. კრიტიკის სახით შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ის არ საუბრობს ამ ყველაფრის გამომწვევ ფაქტორებზე უბრალოდ საუბრობს მათზე და არ წარმოგვიჩენს ნათლად იმ ძირითად ფაქტორებს, რომელიც გავლენას ახდენს

[26] Kuzio, T. (2010). *Populism in Ukraine in a Comparative European Context*

პარტიების ასეთ ხასიათსა და ქცევაზე. ის არ სცემს პასუხს კითხვაზე თუ რატომ იქცევიან უკრაინაში პარტიები ასე?

სამხრეთ ევროპის პოლიტიკური პარტიები _ რაც შეეხება სამხრეთ ევროპის ქვეყნებს, როგორც რიჩარდ გიუნტერი (Richard Gunther) ახასიათებს სამხრეთ ევროპის პოლიტიკური პარტიები არასტაბილურნი არიან რასაც განაპირობებს შემდეგი ფაქტორები: სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ისტორიული. ელექტორატზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტიებმა მაშინ იწყეს აყვავება როდესაც მედია საშუალებებმა მოიცვა მთლიანად პოლიტიკური გარემო და დაიწყო მედიის აქტიური გამოყენება პოლიტიკაში, ასეთი პოლიტიკური პარტიები იზიდავენ მასებს.[27] ავტორს განხილული აქვს: იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის და საბერძნეთის პოლიტიკური პარტიები მას შემდეგ რაც აღსდგა ამ ქვეყნებში დემოკრატიული მმართველობა თუმცა დემოკრატიასთან ერთად გაჩნდნენ ზემოთხსენებული პოლიტიკური პარტიები. რაც შეეხება ელექტორატს. ელექტორატი გამოირჩევა არასტაბილურობით ისინი არაპროგნოზირებადი არიან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით შედარებით სტაბილური ელექტორატის რიცხვი გაიზარდა. შეიძლება თამამად ითქვას რომ პარტიების არამყარი იდეოლოგია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანას არამედ ევროპის მრავალ ქვეყანას აწუხებს და ეს გამოწვეულია ძირითად შემთხვევაში იმით, რომ პოლიტიკური პარტიები იბრძვიან ძალაუფლების მოსაპოვებლად და ამას ყველანაირი ხერხის გამოყენებით ცდილობენ.

პოლიტიკური პარტიები აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში: ბოლო 40 წლის განმავლობაში აფრიკის კონტინენტზე დომინირებდნენ ნაციონალისტური ხასიათის პოლიტიკური პარტიები. თავდაპირველად ისინი გაჩნდნენ, როგორც განმანთავისუფლებელი მოძრაობები ხოლო შემდგომში იქცნენ ნაციონალისტური შეხედულების მქონე პოლიტიკურ პარტიებად. აფრიკის უმეტეს ქვეყნებში მმართველობის სადავეები სწორედ ასეთი ტიპის პოლიტიკურმა პარტიებმა თუ საზოგადოებრივმა ლიდერებმა ჩაიგდეს ხელში, რომელთაც ძალადობის ავტოკრატიული თუ სხვა არადემოკრატიული საშუალებების ხარჯზე ძალაუფლება დიდხანს შეინარჩუნეს. თუმცა დღეს ეს პარტიები განიცდიან კრიზისს. პოლიტიკურ

[27] Gunther,R. (2005). *Parties and Electoral Behavior in Southern Europe : Comparative Politics, Ph.D. Programs in Political Science*, City University of New York

ასპარეზზე გამოჩდნენ ახალი პარტიები რომელთაც წინა პლანზე გამოიტანეს სოციალ-ეკონომიკური პრობლემები და აღნიშნულ საკითხზე აკეთებენ აქცენტს.[28] საინტერესოა აღნიშნული სტატია იმ თვალსაზრისით, რომ საკმაოდ კარგად გვიჩვენებს თუ როგორ ცვლიან პარტიები ერთმანეთს თუმცა ნაკლოვანება გამოიხატება იმაში რომ სტატია მოიკოჭლებს და თითქმის ავტორი ნაკლებად საუბრობს იმ ფაქტორებზე რის გამოც წინა პლანზე წამოიწია სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკა.

დასავლეთ აფრიკაში ქვეყნებში ერთპარტიული სისტემის შექმნა განპიროებული იყო არსებული პოლიტიკური ვითარებით. დამოუკიდებლობისკენ სწრაფვამ შექმნა მასებზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტიები, რომელთაც შემდგომში ძალაუფლება ჩაიგდეს ხელთ და შექმნეს ერთგვარი ერთპარტიული პოლიტიკური სისტემა, ასეთ პარტიებში იზრდება ლიდერის როლი.[29] პოლიტიკური პარტიების ლიდერები კი ხშირ შემთხვევაში ერთპიროვნულ მმართველებად გვევლინებიან. ეს ყველაფერი კი ხელს უშლის ასეთი ქვეყნების დემოკრატიულ ღირებულებებსა და ფასეულობებზე გადასვლას.

რალპი (RALPH, R) თავის სტატიაში საუბრობს, მასებზე ორიენტირებულ პარტიებზე. მას შემდეგ რაც გაიანამ (სახელმწიფო სამ. ამერიკაში ოფიციალურად გაიანას კოოპერატიული რესპუბლიკა) მოიპოვა დამოუკიდებლობა გაჩნდნენ ლიდერზე და მასებზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტიები.[30] ასეთი პოლიტიკური პარტიების წარმოშობის მიზეზად კი ავტორი ისევ და ისევ როგორც ზემოთ აღინიშნა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა წარმოადგენს, რასაც თან დაერთო სოციალური უთანასწორობა. გაჩნდა უამრავი ასეთი ტიპის პოლიტიკური პარტია ხშირ შემთხვევაში კი ისინი ბრძოლას იწყებდნენ ერთპიროვნული მმართველობისთვის რაც უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე.

პოლიტიკური პარტიები საქართველოში _ მნიშვნელოვანი ასევე განვიხილოთ ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ინიციატივით „ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტისა“ და „მშვიდობის, დემოკრატიისა და

[28] Suttner, R. (2005). *Transformation of political parties in Africa today*
[29] Schachter, R. (1961). *Single-Party Systems in West Africa*
[30] RALPH, R. (1974). *THE RISE OF THE FIRST MASS-BASED MULTI-RACIAL PARTY IN GUYANA*

განვითარების კავკასიური ინსტიტუტის კვლევითი ჯგუფის, მიერ განხორციელებული კვლევა, რომელიც შემდგომში გამოიცა წიგნის სახით ,,საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი" აღნიშნულ კვლევაში განხილულია საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება, რა თქმა უნდა, კვლევაში განხილული აქვთ საქართველოში არსებული პლიტიკური პარტიების ქცევა და დამოკიდებულება არჩევნებისადმი და ასევე პარტიული საკითხები.

ქართული პოლიტიკური სისტემა დაბალი პოლარიზაციის დონით ხასიათდება, ყოველ შემთხვევაში, პარტიებს შორის ფორმალური იდეოლოგიური განსხვავებულობის თვალსაზრისით. მეტ-ნაკლებად ძლიერი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა თავს მემარჯვენე-ცენტრისტული იდეოლოგიის მატარებლად მიიჩნევს და მხოლოდ საქართველოს ლეიბორისტული პარტია აღიქვამს თავს მემარცხენე პოლიტიკურ ძალად. ამასთან, მემარჯვენე-ცენტრისტთა მოთხოვნები ხშირად არ განსხვავდება მემარცხენე პარტიების მოთხოვნებისგან და მათ შორის თანამშრომლობას იდეოლოგიური განსხვავებულობა არ უშლის ხელს. სინამდვილეში, პარტიების ხედვებსა და სოციალურ იდენტობაში ძალიან ბევრი საერთო ელემენტია. უფრო მეტიც, იდეოლოგიურად განსხვავებულ პარტიებს შორის წარმატებული ტაქტიკური თანამშრომლობის არაერთი პრეცედენტი არსებობს. საინტერესოა, რომ თავად ლიდერებიც კი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პარტიებს შორის არსებულ იდეოლოგიურ განსხვავებებს.[31]

რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ სამწუხაროდ პოლიტიკური პარტიები, რომელნიც საქართველოში ფუნქციონირებენ არ აქვთ ძლიერი იდეოლოგიური საფუძველი. ასევე კვლევაში აღნიშნულია რომ პარტიული ინსტიტუციონალური დონე დაბალია ხოლო ამომრჩეველი აქცენტს ძლიერ ლიდერზე აკეთებს. ისეთ ქვეყნებში როგორიც საქართველოა ხშირია ალიანსების შექმნა/დაშლა, ,,პარტიათა შორისი თანამშრომლობა საარჩევნო ბლოკების, საპარლამენტო ფრაქციების და კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ტაქტიკური ალიანსების შექმნაში გამოიხატება."[32] ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები არა ამომრჩევლის ან საზოგადოების ინტერესების გამტარებლად გვევლინება არამედ კონკრეტული ჯგუფების, ნათქვამია კვლევაში.

[31] ალვარო პინტო სქოლტბახი და გია ნოდია. (2006). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი.*
[32] ალვარო პინტო სქოლტბახი და გია ნოდია. (2006). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი.*

სამწუხაროდ, საქართველოში პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალიზაციის პროცესი ძალზედ ნელა მიმდინარეობს, ,,ამ ყველაფრის საფუძველია ფართოდ მიღებული მოსაზრება, რომ საქართველო ჯერაც მყარად რჩება 'ქარიზმატული' პოლიტიკის ფარგლებში, როცა პოლიტიკური ლიდერის პიროვნული თვისებები პირველხარისხოვანია, ხოლო იდეოლოგია და პოლიტიკური პროგრამა – მეორეხარისხოვანი."[33] როგორც კვლევაშია აღნიშნული _ იმის მაგივრად, რომ პოლიტიკური პროგრამის ჩამოყალიბებაზე სისტემატურად იმუშაონ, პარტიები ამ მხრივ მხოლოდ წინასაარჩევნოდ აქტიურდებიან. ამრიგად, პოლიტიკური კონცეფციების საფუძვლიანი დამუშავების (და საარჩევნოდ, გადამუშავების და დეტალიზების) ნაცვლად, არსებობს წინასაარჩევნო, ნაჩქარევი პოლიტიკური განცხადების ტენდენცია. ასეთი არათანამიმდევრული მიდგომა აზიანებს როგორც შიდაპარტიულ მდგრად განვითარებას პოლიტიკის შემუშავების მხრივ, ასევე პოლიტიკურ ხედვებზე დაფუძნებული საჯარო დისკურსის განვითარებას ქვეყანაში – დღესდღეობით დებატების სხვადასხვა იდეების ირგვლივ წინასაარჩევნო კამპანიის კაკოფონიაში იკარგება.[34] მეორე ხარისხოვანი ხდება თანდათან იდეოლოგიური შეხედულებები და წინა პლანზე ლიდერი ჩნება, რაც ხელს უშლის შემდგომში პარტიის განვითარებასა და იდეოლოგიის ჩამოყალიბება-გამტკიცებას.

სამწუხაროდ, საქართველოსთვის დამახასიათებელია მოკლევადიანი პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა და ფუნქციონირება. კვლევის თანახმად _ ბოლოდროინდელი საარჩევნო ბრძოლის ერთ–ერთი მახასიათებელი იყო მყისიერი ტაქტიკური გადაწყვეტილებები ალიანსების შექმნისა და „გაერთიანების" თაობაზე. მოკლევადიანი ალიანსების ჩამოყალიბების ასეთი ტენდენცია ხელს უშლის ისეთი მდგრადი მოძრაობის განვითარებას, რომელიც კონკრეტული სოციალური ტიპის ამომრჩეველს გაიჩენს. ამავდროულად, ის არის ხელისშემშლელი ფაქტორი მდგრადი და

[33] დამბარი, უ და სვანიძე, მ. (2012) *პოლიტიკის ფორმირების პროცესები საქართველოს პოლიტიკური და არასამთავრობო სექტორში* გვ:4

[34] დამბარი, უ. და სვანიძე, მ. (2012) *პოლიტიკის ფორმირების პროცესები საქართველოს პოლიტიკური და არასამთავრობო სექტორში* გვ:11

გრძელვადიანი იდეოლოგიური პლატფორმის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც შემდგომში პოლიტიკური დოკუმენტების შემუშავებაში აისახებოდა.[35]

შეგვიძლია ცალსახად ავღნიშნით, რომ პოლიტიკური პარტიები რომელთაც არ გააჩნიათ მყარი ისტორიული კავშირი ძველ პოლიტიკურ პარტიებთან ან კიდევ ყალიბდებიან დემოკრატიისკენ მიმავალ ახლად შექმნილ სახელმწიფოებში რთული ამოცანების წინაშე დგებიან. მართალია მათი უმეტესობა ერგება არსებულ რეალობას, მაგრამ იდეოლოგიური თვალსაზრისით ისინი ვერ გამოირჩევიან, როგორც მყარი იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური პარტიები, ასევე მათ ხშირად ექმნებათ საფრთხე დაშლის და გაქრობის პოლიტიკური სივრციდან. თანამედროვე პოლიტიკური პარტიები აქცენტს აკეთებენ არჩევნებსა და მასებზე, მათთვის თანდათან მეორე ხარისხოვანი ხდება იდეოლოგია.

[35] დამბარი, უ. და სვანიძე, მ. (2012) *პოლიტიკის ფორმირების პროცესები საქართველოს პოლიტიკური და არასამთავრობო სექტორში* გვ:33

თავი III: კვლევის შედეგები

3.1 „ქართული ოცნების“ გზა საზოგადოებრივი მოძრაობიდან პოლიტიკურ პარტიამდე

ქართული ოცნება, თავდაპირველად ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკური მოძრაობა. 2011 წლის 11 დეკემბერს გაიმართა ,,ქართული ოცნების“ პრეზენტაცია, სადაც ბიძინა ივანიშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: ,,საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ იქმნება როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი ძალა, რათა განხორციელდეს საზოგადოების კონტროლი და გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებზე.“[36] ამავე გამოსვლაში ბიძინა ივანიშვილმა გააკრიტიკა ნაციონალური მოძრაობის მიერ განხორციელებული თითქმის ყველა რეფორმა და ქმედება, რომელმაც მისი თქმით ქართველი ხალხი საბოლოო გაღატაკებამდე მიიყვანა. ,,რეფორმებმა, რომლებზეც ხელისუფლება გამუდმებით საუბრობს, დიდი ხანია ხალხზე ჩატარებული ცინიკური ექსპერიმენტის ხასიათი მიიღო. რეფორმებით მართლდება უმუშევრობა, სოციალური სიდუხჭირე, ჩამორჩენა განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში, ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობაში, სავალალო მდგომარეობა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში.“[37] ხოლო შემდგომ ისაუბრა საზოგადოებრივ მოძრაობაზე, რომელსაც მალევე მიეცემოდა პარტიული სახე.

როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, მთავარი მიზანი პოლიტიკურ ასპარეზზე რეალური ოპოზიციის შექმნაა, რომელიც დაუპირისპირდება მმართველ ძალას და მის ტოტალიტარულ რეჟიმს. დღეიდან ჩვენი მიზანია: ისეთი სახელმწიფოს აშენება, სადაც თითოეული მოქალაქისა და მთელი ქვეყნის კეთილდღეობის წარმატების საწინდარი იქნება პატიოსნება, ღირსება და პროფესიონალიზმი. ჩვენი აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების ნდობის მოპოვება და ქვეყნის გამთლიანება. ჩვენი მოქალაქეების დასაქმება და ღირსეული შემოსავლის უზრუნველყოფა. დასავლური დემოკრატიის ღირებულებათა დანერგვა, ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია და არა ევროპისაკენ სვლის იმიტაცია. სამართლიანობის დამკვიდრება და ჩვენს თანამემამულეებში იმედისა და რწმენის გაძლიერება. ჩვენი მიზანია საქართველოს

---

[36] სივილ ჯორჯია(civil.ge), *ივანიშვილის სიტყვა "ქართული ოცნების" დამფუძნებელ შეკრებაზე – სრული ტექსტი* http://www.civil.ge/geo/article.php?id=24910&search= 19.05.2017

[37] იქვე

გამარჯვება და არა ვინმეს დამარცხება. ჩვენ არ ვაპირებთ ახალი ისტორიის დაწერას 2012 წლიდან. ჩვენი ვალია აღვადგინოთ კავშირი წარსულსა და მომავალს შორის და ამ ჯაჭვში შევინარჩუნოთ საქმენიც და ადამიანებიც, რომლებმაც ამ წლებში მოახერხეს და ემსახურებოდნენ არა ხელისუფლებას, არამედ ქართულ სახელმწიფოს. ჩვენ ერთად უნდა ვაშენოთ მომავლის საქართველო. ჩვენი მიზნების აღსრულება არ არის უბრალოდ ჩვენი არჩევანი, ეს ჩვენი უზენაესი მოვალეობაა. ერთად ავაშენოთ თავისუფალი, ღირსეული მოქალაქეებით დასახლებული, ყველასათვის საოცნებო საქართველო![38] საზოგადოებრივმა მოძრაობამ მალევე კოალიციური სახე მიიღო.

კოალიცია ,,ქართული ოცნების" დამფუძნებელი დეკლარაცია მიღებულ იქნა 2012 წლის 21 თებერვალს. აღნიშნულ დეკლარაციაში მითითებულია რომ საქართველოს გადარჩენისა და თანამედროვე სახელმწიფოდ დამკვიდრებისთვის აუცილებელია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართველი ხალხის გამარჯვება პოლიტიკურად და მორალურად გაკოტრებულ მმართველ რეჟიმზე, რომელიც დღეს მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის იბრძვის. სწორედ ამ გამარჯვების უზრუნველსაყოფად შეიქმნა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება". კოალიცია აერთიანებს იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც გაერთიანებული არიან თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე და გამოხატავენ საზოგადოების უმრავლესობის მიზნებს.

რადიო თავისუფლების ვებ-გვერდზე (radiotavisupleba.ge) 2012 წლის 12 თებერვალს გამოქვეყნდა სტატია ასეთი სათაურით: **პოლიტიკური კოალიცია ,,ქართული ოცნება" დაფუძნებულია.** როგორც აღშნულ სტატიაში ვკითხულობთ კოალიციის პრეზენტაციაზე პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დასვა კითხვა, რომელსაც თავად უპასუხა: **მაინც რა არის ის, რაც კოალიცია "ქართულ ოცნებაში" გაწევრიანებულ პოლიტიკურ პარტიებს აერთიანებს და რის გაკეთებასაც ერთად გეგმავენ?** "ხელისუფლებაში მოსული "ქართული ოცნება" დაასრულებს ავტორიტარულ მმართველობას და პოლიტიკურ მესიანიზმს საქართველოში; განავითარებს ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ ინსტიტუტებს; დაამკვიდრებს სახელმწიფო ორგანოთა დაბალანსებულ და გაწონასწორებულ მოდელს,

[38] სივილ ჯორჯია(civil.ge), *ივანიშვილის სიტყვა "ქართული ოცნების" დამფუძნებელ შეკრებაზე – სრული ტექსტი* http://www.civil.ge/geo/article.php?id=24910&search= 16.052017

რეალურ თვითმმართველობასა და მრავალპარტიულ პოლიტიკურ სისტემას; უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას, რეგიონალური პოზიციების გამყარებას, რისთვისაც გააღრმავებს ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციას, მონაწილეობას მიიღებს რეგიონალური მასშტაბის ეკონომიკურ და სამშვიდობო პროცესებში; დაიწყებს და შეუქცევადს გახდის ქვეყნის გამთლიანების პროცესს, რისთვისაც მოძებნის დიალოგის გზებს აფხაზებსა და ოსებთან და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით მიაღწევს კონკრეტულ შედეგებს რუსეთთან მოლაპარაკებებში."

ხოლო შემდგომში კოალიციაში შემავალი სხვადასხვა პარტიის ლიდერებმა დააფიქსირეს თავიანთი აზრი კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით. **"ამ პოლიტიკურ ძალას ყველაზე უკეთ ესმის რა არის დღეს ქვეყნის მთავარი პრობლემა და როგორ უნდა გადაჭრას ის"**, - ასე დაიწყო კოალიციის პრეზენტაციაზე გამოსვლა "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ და მიზნების ჩამონათვალი განავრცო: საქართველოდან გადახვეწილი მოქალაქეების დაბრუნება და მათთვის სამუშაო ადგილების შექმნა, სოფლის მეურნეობის განვითარება, სამართლიანი ბიზნესგარემო და მონოპოლიების განადგურება. კოალიციის კიდევ ერთი დამფუძნებლის, რესპუბლიკელთა ლიდერის დავით უსუფაშვილის თქმით კი, ქვეყანაში ამ ძალის მოსვლასთან უნდა ასოცირდებოდეს საარჩევნო დემოკრატიის დამკვიდრება ქვეყანაში: **"ჩვენ უნდა დავამკვიდროთ ეს ტრადიცია, რომ ყოველ ორ თუ ოთხ წელიწადში ერთხელ ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს, ვინ დარჩეს ხელისუფლებაში, ვინ წავიდეს და ვინ რა დოზით იყოს წარმოდგენილი თვითმმართველობის თუ ცენტრალური მართვის ორგანოებში."** "ეროვნული ფორუმის" ლიდერმა კახა შარტავამ კი აქცენტები საერთაშორისო არენაზე საქართველოს როლსა და ფუნქციაზე დასვა: **"საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო როლი და ფუნქცია არის მისი მთლიანობის გარანტი და საქართველოში მცხოვრები მოქალაქეების შესაძლებლობათა რეალიზების სათანადო არეალის შექმნის გარანტი. ევროკავშირი, ნატო - ეს არ არის მხოლოდ ორგანიზაციები, რომელთა წევრობისთვის უნდა იბრძოლოს ქვეყანამ; ეს არის სივრცეები, რომელთა ათვისების პროცესში უნდა მოძებნოს საქართველომ მისთვის კუთვნილი როლი და ფუნქცია საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, ის შეთავაზება ამ სივრცეებისადმი, რომელიც იქნება ჩვენი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარანტი**

და საქართველო უნდა იყოს არა საჯილდაო ქვა, არამედ მრგვალი მაგიდა იმ პრობლემების მოგვარებისა, რომელთა მოგვარებითაც დაინტერესებულია ჩვენი სამეზობლო თუ ჩვენი პარტნიორები ევროკავშირსა და აშშ-ში.“[39]

2012 წლის თებერვალში ბიძინა ივანიშვილმა პარტიის საინიციატივო ჯგუფი დაასახელა და გააფორმა კოალიცია რესპუბლიკურ პარტიასთან, თავისუფალ დემოკრატებთან, ეროვნულ ფორუმთან ერთად. ,,კოალიციას საკუთარ რესურსებს მოახმარენ ასევე ”კონსერვატიული” და ”ხალხის” პარტიები, რომელთაც ”ქართულ ოცნებაში” ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილი წარმოადგენენ.“[40] აპრილში, კოალიციას ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ შეუერთდა. კოალიციის მიერ მიღებულ იქნა სადამფუძნებლო დეკლარაცია როლემიც 12 პუნქტისაგან შედგება.

დეკლარაციას ხელს აწერენ:

- ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო, ბიძინა ივანიშვილი.
- საქართველოს რესპუბლიკური პარტია, დავით უსუფაშვილი.
- თავისუფალი დემოკრატები, ირაკლი ალასანია.
- ეროვნული ფორუმი, კახა შარტავა.
- კონსერვატიული პარტია, ზვიად ძიძიგური.
- მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, გოგი თოფაძე.

რაც შეეხება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“, ოფიციალურად დაფუძნდა ცოტა მოგვიანებით, კერძოდ კი, 2012 წლის 21 აპრილს, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა ბიძინა ივანიშვილს არ აძლევდა საშუალებას იმისას, რომ ის ყოფილიყო პარტიის თავმჯდომარე, როგორც ინტერნეტ-გამოცემა ,,სივილ ჯორჯია“(civil.ge) იუწყება - ,,ამის გამო პარტიამ დროებით თავმჯდომარედ ადვოკატი მანანა კობახიძე აირჩია, რომელიც ორგანიზაცია კონსტიტუცია 42-ე მუხლის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორია“. ამავე სტატიაში ვკითხულობთ - ,,დეკემბერში ივანიშვილმა საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ დააფუძნა, რომელიც ფორმალურად პარტია არ არის, თუმცა მილიარდერი პოლიტიკოსის პოლიტიკური საქმიანობის პლატფორმას წარმოადგენს;

[39] რადიო თავისუფლება(radiotavisupleba.ge). ავტ. ეკა ქევანიშვილი (თებერვალი 21, 2012). *პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნება" დაფუძნებულია* https://www.radiotavisupleba.ge/a/24491157.html 17.05.2017

[40] იქვე

თებერვალში ივანიშვილმა ოპოზიციური კოალიცია ჩამოაყალიბა, რომლის შემადგენლობაშიც რესპუბლიკური პარტია, ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატები და ეროვნული ფორუმი შევიდნენ, ხოლო აპრილში მას მრეწველთა პარტიაც შეუერთდა. ივანიშვილის კოალიცია ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ბლოკის სახით გეგმავს მონაწილეობას.“[41] საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ დარეგისტრირებულ იქნა 2012 წლის 7 მაისის №7-რ ბრძანებით.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ დამფუძნებელი წესდების პრეამბულაშივე აღნიშულია, რომ პარტიის იდეოლოგია ემყარება დემოკრატიულ ღირებულებებს, ადამიანის უფლებებს, სოციალურ სოლიდარობასა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. 2016 წლის 14 მაისის ყრილობის საფუძველზე მპგ ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველომ“ შეიტანა გარკვეული სახის ცვლილებები წესდებაში კერძოდ, როგორც დამფუძნებელ (2012) წლის ასევე 2013 წელს მიღებულ წესდებებში არ იყო დაფიქსირებული მკაფიოდ პარტიის იდეოლოგიური ხაზი ხოლო 2016 წლის წესდებაში (რომელიც დღეს მოქმედებს) დაფიქსირებულია, რომ ,,პარტია არის მემარცხენე ცენტრისტული გაერთიანება, რომლის მიზანია მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში მონაწილეობა“. მართალია მანამდე არსებულ წესდებების ანალიზის შედეგად შეგვეძლო გვევარაუდა პარტიის მემარცხენე ცენტრისტული ორიენტაციის შესახებ, მაგრამ 2016 წლის წესდებაში იდეოლოგიური ხაზი პარტიამ მკვეთრად დააფიქსირა. მპგ ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიერ მიღებულ ყველა წესდებაში ხაზგასმით აღნიშნულია თავიანთი საგარეო ორიენტაცია და სწრაფვა: ,,შეუქცევადი გახადოს საქართველოს მოსახლეობის ნების განხორციელება - ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია“, ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სხვ.

[41] სივილ ჯორჯია(http://civil.ge). (21 აპრ.'12). *ივანიშვილის პოლიტიკური პარტია დაფუძნდა* http://civil.ge/geo/article.php?id=25372&search= 16.05.2017

3.2 ქართული ოცნება კოალიციაში

2012 წლის 1 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს მერვე მოწვევის საპარლამენტო არჩევნები. ეს არჩევნები გამორჩეულია იმით რომ ხელისუფლების ცვლილება მოხდა არა ძალადობის გზით, არამედ არჩევნების შედეგად. არჩევნებში სახელისუფლებო პარტიის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ კოალიცია ,,ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნი გარემო _ 2012 წლის საპარამენტო არჩევნებში ერთიან ნაციონალურ მოძრაობის გამარჯვება ცხადი იყო მანამ სანამ არ გამოჩნდა მილიარდელი ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ძლიერი ოპოზიციური ფრთა შექმნა კოალიციის სახით. კოალიციაში გაწევრიანდნენ („საქართველოს რესპუბლიკური პარტია"_დავით უსუფაშვილი, „თავისუფალი დემოკრატები"_ირაკლი ალასანია, „ეროვნული ფორუმი" _ კახაბერ შარტავა, კონსერვატიული პარტია_ზვიად ძიძიგური, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს"_გოგი თოფაძე და საკუთრივ ქართული ოცნება) ეს გახლდათ იმდროისთვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ოპოზიციური ძალა, რომელსაც შესწევდა უნარი გაეწია წინააღმდეგობა მართველი გუნდისთვის.

2011 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც ბიძინა ივანიშვილი აქტიურად გამოჩნდა ქართულ პოლიტიკაში მმართველი გუნდი ყველანაირად ცდილობდა გარკვეული სახის ბარიერები შეექმნათ მისთვის. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის ანგარიშში წერია _ 2011 წლის დეკემბრის ბოლოს ცვლილებები შევიდა, ასევე, საქართველოს კანონში ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. ახალი კანონით განისაზღვრა ე.წ. ,,პარტიასთან კავშირში მყოფი" ფიზიკურ და იურიდიული პირების ცნება. აღნიშნულ პირებზე იგივე რეგულაციები ვრჩელდება, რაც პოლიტიკური გაერთიანებებისთვის არის დადგენილი მათი ქონებისა და ფინანსების ფორმირებასთან დაკავშირებით. მაგალითად, ,,დაკავშირებულ პირებს" უფლება არ აქვთ, შემოსავალი მიიღონ სამეწარმეო საქმიანობიდან, სხვა სახის საქმიანობით მირებული შემოსავალი არ უნდა არემატებოდეს 60 000 ლარს წელიწადში; ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან არ

აქვთ კრედიტის აღების უფლება, მათი ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა და სხვა.[42]

პრობლემა შეექმნა კოალიციის ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობასთან დაკავშირებით ჯერ მან დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ,,საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა ამ პუნქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.“[43] ბიძინა ივანიშვილმა 2004 წელს მიიღო საქართველოს მოქალაქეობა ხოლო 2010 წელს მან ასევე მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობაც შესაბამისად მას შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა, თუმცა მოგვიანებით როდესაც განცხადების საფუძველზე მოითხოვა საქართველოს მოქალაქეობის აღდგება გაურკვეველი მიზეზთა გამო უარი ეთქვა საქართველოს მოქალაქეობაზე. ასევე დააკავეს რამდენიმე ,,ქართული ოცნების“ აქტივისტები და დააჯარიმეს ,,ქართუ ბანკი.“

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ანგარიში წერია, რომ _ წინასაარჩევნო პერიოდის დარღვევების ხასიათი და დინამიკა საარჩევნო პროცესების გააქტიურების პარალელურად იცვლებოდა. მონიტორინგის დასაწყისში, აპრილ-მაისის თვეებში, ყველაზე მეტად სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ფაქტები ფიქსირდებოდა. მოგვიანებით არჩევნების მოახლოებასთან ერთად, იმატა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, პოლიტიკურ ნიადაგზე განხორციელებული ძალადობის, ფიზიკური დაპირისპირებისა და პოლიტიკური ნიშნით ადმინისტრაციული სანქციების/პატიმრობის გამოყენების შემთხვევებმა. წინასაარჩევნო ხასიათის სამართალდარღვევის ფაქტები საქართველოს

[42] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოცოაცოა. (2012). *წინასაარჩევნო პროცესის მონიტორინგი 2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისთვის.* თბილისი, გვ. 4
[43] საქართველოს კონსტიტუცია, *მუხლი 12*

თითქმის ყველა რეგიონში დაფიქსირდა. ,,სამართლიანმა არჩევნებმა“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიშებში ასობით მსგავს შემთხვევას მოუყარეს თავი.[44]

წინასაარჩევნო პერიოდში მედია საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. ტელევიზიის, პრესის, რადიოსა თუ ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელი იყო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღება. ,,პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ საქართველოს მოქალაქები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას, თანაბრად ქონოდათ წვდომა ყველა მედია საშუალებაზე, განსაკუთრებით კი ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ მედიაზე. აღნიშნული პრობლემა ძირითადად მომდინარეობდა იქედან, რომ საკაბელო მაუწყებლების უმრავლესობა უარს აცხადებდა საკუთარი მომსახურების არეალში ჩაერთო ის მაუწყებლები, რომელთა საშუალებითაც ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ინფორმაციის მოსმენა იყო შესაძლებელი.“[45]

ნილ მაკფარლეინი[46] თავის ბლოგში აღნიშნავს რომ _ პირველ რიგში, წინასწარმა გამოკითხვებმა ცხადყო, რომ შეშფოთებამ ეკონომიკურ საკითხებზე (უმუშევრობა, სიღარიბე) გადაწონა ხელისუფლების დისკურსი რუსეთის წინააღმდეგ აღდგომისა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შესახებ, ასევე მათი გამოფიტული განცხადებები შავი ზღვისპირეთში ნიცასა და სინგაპურის მშენებლობის შესახებ. ყოველდღიურმა ტანჯვამ, მძიმე შრომამ და არასტაბილურობამ, რომელსაც ბევრი ქართველი შეეჯახა, მთლიანად დაჩრდილა პომპეზური დაპირებები დიადი მომავლის შესახებ. დანაშაულის მიმართ ქვეყნის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა და დაპატიმრებული ხალხის უხვი რაოდენობა იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს ნათესავები ციხეში ჰყავდა, რომელთათვისაც ვერდიქტი უზომოდ დისფუნქციურ და მიკერძოებულ სასამართლო სისტემას გამოჰქონდა. ფართოდ გავრცელებული აღქმა იმისა, რომ დაპატიმრება იყო საშუალება ბიზნესით დაკავებული

[44] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). (2013). *2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში.* გვ.5

[45] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). (2013). *2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში.* გვ.35

[46] ნილ მაკფარლეინი არის საერთაშორისო ურთოერობების ლესტერ ბ. პირსონის სახელობის პროფესორი და მკვლევარი წმ. ანას კოლეჯში, ოქსფორდი. ის არის ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონული დინამიკის სპეციალისტი

ხალხისგან დიდი თანხის გამოძალვისთვის სახელმწიფო საგანძურის შესავსებად, სულაც არ უწყობდა ხელს ხელისუფლების იმიჯის პოპულარიზაციას.[47]

არჩევნების მოახლოებასთან ერთად იმატა პოლიტიკურმა დაძაბულობამ, ამას თან დაერთო სკანდალური ციხის კადრები. სწორედ ციხის კადრებმა მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა არჩევნებზე და მოქალაქეთა უდიდესი პროტესტი გამოიწვია. ,,არჩევნებამდე დაახლოებით 10 დღით ადრე, ოპოზიციურ მედიასა და ინტერნეტში სასჯელაღსრულების სისტემაში გავრცელებული სისტემატური ცემის და გაუპატიურების კადრები გამოჩნდა. ამ ვიდეოებმა დაადასტურა ის, რასაც ბევრი ეჭვობდა სასჯელაღსრულების სისტემაში ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ. ეს ყველაფერი, კულტურულ კონტექსტში, უზომოდ შეურაცხმყოფელი იყო."[48] არჩევნებში საბოლოო გამარჯვება კოალიცია ,,ქართულმა ოცნებამ" მოიპოვა.

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ _ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით _ 2012 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2011 წელთან შედარებით მცირედით, 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15.0 პროცენტი შეადგინა. 2012 წელს 2011 წელთან მიმართებაში მოსახლეობის აქტიურობის დონე გაიზარდა 1.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო დასაქმების დონე გაიზარდა 1.4 პროცენტული პუნქტით. უნდა აღინიშნოს, რომ აქტიურობისა და დასაქმების დონეები გაზრდილია როგორც სოფლის, ასევე ქალაქის ტიპის დასახლებებში.[49] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემები არ ასახავს საზოგადოების აზრს უმუშევრობასთან დაკავშირებით უფრო მეტიც, საზოგადოების დიდი ნაწილი თავს უმუშევრად (დაუსაქმებლად) მიიჩნევდა.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ ცხადყო დასაქმების მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისათვის. 2011 წლის სექტემბერში გამოვლენილი შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 62%-ს „სამუშაო" ქვეყნის ნომერ პირველ პრობლემად მიაჩნია, ხოლო 72%-ს ნომერ პირველ ადგილობრივ

[47] სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. (2012). http://css.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5&info_id=577 16.06.2017

[48] იქვე

[49] სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *დასაქმება და უმუშევრობა 2012 წელი (წლიური). http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba%20da%20umuSevroba%202012_pres-relizi.pdf 08.06.2017)*

პრობლემად. გარდა ამისა, კითხვაზე, შეიცვალა თუ არა ამ მიმართულებით მდგომარეობა საქართველოში, 33%-მა უპასუხა, რომ მდგომარეობა გაუარესდა, ხოლო 40%-ს მიაჩნია, რომ ამ კუთხით მდგომარეობა საერთოდ არ შეცვლილა. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ უმუშევრობა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი პრობლემაა. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ გამოკითხულთა 50%-ს მიაჩნია, რომ მდგომარეობა გაუარესდა საზოგადოებაში სიღარიბის დონის თვალსაზრისითაც. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევაზე დაყრდნობით, რესპოდენტთა 31% ან უმუშევარია ან სამუშაოს მაძიებელი, 5% არ ეძებს სამუშაოს, ხოლო 30% არააქტიურ სამუშაო ძალას წარმოადგენს, რომელიც მოიცავს სტუდენტებს, პენსიონერებს, და ა.შ.[50]

2012 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა დაზუსტებული მონაცემებით, მიმდინარე ფასებში 26 167,3 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 7,5 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით 6,2 პროცენტით, ხოლო დეფლატორის _ 1,2 პროცენტით განისაზღვრა. მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში უდიდესი წილი უკავია მრეწველობის (16,7 პროცენტი) და ვაჭრობის (16,7 პროცენტი) სექტორებს. შემდეგ პოზიციებს იკავებენ: სახელმწიფო მმართველობა (11,2 პროცენტი), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,6 პროცენტი), სოფლის მეურნეობა (8,6 პროცენტი), მშენებლობა (7,8 პროცენტი), ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (6,1 პროცენტი).[51]

2004 წლიდან 2008 წლამდე საშუალო წლიური ეკონომიკური ზრდა 6,8%-ს შეადგენდა. ეს ზრდა დროებით შეჩერდა მხოლოდ 2008 წლის შუა პერიოდში, როდესაც ქვეყანას რუსეთთან კომფლიქტი და გლობალური ეკონომიკური კრიზისი დაატყდა თავს. ორმაგი შოკის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკა სწრაფად აღდგა და 2010-2011 წლებში ზრდის მაჩვენებელი თითქმის კრიზისამდე დონეს დაუბრუნდა. მიუხედავად ამისა, სიღარიბე კვლავაც პრობლემად რჩება. შეფასების მიხედვით, უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი 10%-ია, ხოლო ნაკლებად კონსერვატიული აზრის გამოყენების შემთხვევაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოსახლეობის 45% ცხოვრობს. სიღარიბის

[50]EPRC (2011) დასაქმების და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში https://www.osgf.ge/files/publications/2011/EPRC_Georgian_Economic_Outlook_II,_Nov_2011_GEO.pdf

[51] სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2012 წელს (დაზუსტებული). http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/pres-relizi_2012_GEO.pdf 09.06.2017*

მაჩვენებელი განსხვავებულია სხვადასხვა რეგიონსა და მოსახლეობის ჯგუფში. შემოსავლების უთანაბრობა მაღალია; შეფასების მიხედვით 2011 წელს Gini-ს კოეფიციენტი იყო 0.42.[52] მიუხედავად გარკვეული სახის ეკონომიკური ზრდისა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაინც რჩებოდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, რაც უდიდეს გავლენას ახდენს ახლადწარმოქმნილი პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიაზე.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ქართული ოცნების მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნი პროგრამის ანალიზი _ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიციამ წარმოადგინა თავისი საარჩევნო პროგრამა, რომელშიც წარმოდგენილი იყო კოალიციის მიზნები და ამოცანები, რომელთა შესრულებაც სურდათ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. საინტერესოა ის გარემოება თუ რამდენად იყო წარმოდგენილი კოალიციაში შემავალი სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების იდეოლოგია და მათი ხედვა. როგორც პარტიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს პირად ინტერვიუებში მათი ხედვა ასე თუ ისე გათვალისწინებულ იქნა კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამაში. კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლის თქმით _ ,,2012 წლის პროგრამაში წარმოდგენილი იყო ჩვენი პარტიის შეხედულებები ადამიანის უფლებების, საპარლამენტო მმართველობის და ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებში.“ ხოლო რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა რომ _ ,,ბევრი რამ იყო წარმოდგენილი მათ შორის საკონსტიტუციო ცვლილებებზე, საარჩევნო კოდექსზე, ადამიანის უფლებების ნაწილში. რესპუბლიკური პარტია იყო ერთ-ერთი წამყვანი პარტია ვინც შექმნა 2012 წელის კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამა.“ სხვა პარტიის წარმომადგენლებს კი უჭირთ კონკრეტულად დაასახელონ თუ რა საკითხები იქნა გათვალისწინებული 2012 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს პარტიის წარმომადგენლის თქმით _ ,,საქართველოში არსებული მდგომარეობა 2012 წელს (უმუშევრობა, კრიმინალი, სოციალური სიდუხჭირე და სხვ.) განაპირობა ის რომ იდეოლოგია ყოფილიყო სოციალისტური მიმართულების.“ როგორც მპგ ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს წარმომადგენელმა განაცხადა _ ,,ბიძინა ივანიშვილის ფაქტორმა დიდი როლი შეასრულა პარტიის იდეოლოგიის

[52] გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში. (2013) *ეკონომიკური სა სოციალური მოწყვლადობა საქართველოში* გვ.11

შემუშავებაში, როგორც პარტიის ლიდერმა“. კოალიცია ქართულმა ოცნებამ იმოქმედა ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე და თავის პროგრამაში ასახა ის საკითხები, რომელიც აწუხებდა ამომრჩეველს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საარჩევნო ბლოკი ,,ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ მიერ წარმოადგენილ იქნა საარჩევნო პროგრამა, სადაც ნათლად ასახულია ის საკითხები რომლის გათვალისწინება და შესრულება სურდა იმჟამინდელ ოპოზიციურ ძალას ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. კოალიცია ,,ქართული ოცნება“ ამომრჩეველს სთავაზობდა: ძირეულ რეფორმას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში. კონცეფციის თანახმად, რომელიც კოალიციის მიერ იქნა წარმოდგენილი ეს სამი ხელისუფლების წყარო იქნებოდა სრულიად გამიჯნული ინსტიტუციონალური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ისინი ვერ ჩაერეოდნენ ერთმანეთის საქმიანობაში. ასევე მნიშვნელოვანია სხვა სახის რეფორმები ესენია: სახალხო დამცველის (ომბუთსმენი) აპარატის რეფორმა, თვითმართველობის რეფორმა და უფლებების გაზრდა ე.წ. ექსკლუზიური უფლებამოსილების გადაცემა ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივ თვითმართველობაზე, თვითმართველობის ბიუჯეტის გაზრდა და ახალი საბიუჯეტო სისტემის შემოღება, ქონების განკარგვის და პრივატიზების უფლებების გადაცემა და სხვა საკითხები. შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირეული რეფორმა, პოლიციის დეპოლიტიზირება. საჯარო სამსახურის რეფორმა და სხვ. რეფორმები თითქმის ყველა სფეროში უნდა განხორციელებულიყო, ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობდა ქვეყანაში დემოკრატიის გამყარებას, ადამიანის უფლებების გაზრდას, სამართლიანობის პრინციპის დაცვასა და ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას.

საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით კოალიცია სთავაზობს ამომრჩეველს მოლაპარაკებისა და დიპლომატიური ურთიერთობების გზით მოგვარებას სხვადასხვა საკითხებით განსაკუთრებით კი კომფლიქტური რეგიონების საკითხებთან მიმართებაში (იგულისხმება აფხაზეთის და სამაჩაბლოს კომფლიქტური რეგიონები) რუსეთთან მოლაპარაკებების წარმართვა რომლის მთავარი მიზანი იქნება კომფლიქტის დეესკალაცია და მოგვარების გზების ძიება. რაც შეეხება საგარეო კურსს, როგორც პროგრამაშია აღნიშნული: ,,საქართველოს საგარეო ურთიერთობების კურსი უნდა

განისაზღვრებოდეს საქართველოს საშინაო ინტერესებიდან გამომდინარე. მთავარი ამოცანაა საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა. საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ მიერ გაკეთებული პოლიტიკური არჩევანი - ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია ეფუძნება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის ეფექტიანად გამოყენების მიზანს.“ პროგრამის თანახმად საქართველოს მთავარ სტრატეგიულ მოკავშირე ისევ დარჩებოდა ამერიკის შეერთებული შტატები, ასევე მნიშვნელოვანია კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების სტრატეგია. აქ იგულისხმება სამეზობლო პოლიტიკის გაზრდა განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან და ასევე მათთან კულტურული თანამშრომლობის გაღრმავება. რეგიონში საქართველოს როგორც მთავარი მოთამაშის ადგილის დამკვიდრება. მნიშვნელოვანი კომპონენტია ასევე ისიც რომ ამ ყველაფრის შესრულებას უმეტესწილად კოალიცია დემოკრატიული ღირებულებების გაზრდის გზით აპირებს: ,,ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის წარმატების ძირითადი წინაპირობაა დემოკრატიული ღირებულებების უპირობო დანერგვა, ინსტიტუციური დემოკრატიის შექმნა, როდესაც გადაწყვეტილებები მიიღება საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე და არა ცალკეული პირების ნების შესაბამისად.“

პროგრამაში კოალიცია საუბრობს გარემოს დაცვით საკითხებზე და მიაჩნია, რომ ამ მხრივ უნდა გატარდეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები. კერძოდ, ეს ეხება ბუნებრივი რესურსების სწორად და ეფექტურად გამოყენებას, ევროგაერთიანების მოთხოვნების შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის შემუშავება, ნაგავსაყრელების მშენებლობა და მუნიციპალური ნარჩენების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ე.წ. „სანიტარიული პოლიგონის“ მოწყობა, სატყეო ფონდის, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია რეაბილიტაცია, გამკაცრება კანონის გარემოს დაცვით საკითხებთან მიმართებაში.

პროგრამაში ასევე გაწერილია თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხები, კომფლიქტების მოგვარების, მისი მშვიდობიანად გადაწყვეტის გზების ძიება და საბოლოო ჯამში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდის მიზნით კოალიცია გეგმავს თავდაცვის სისტემის

რეაბილიტაციას, ჯარისკაცთათვის ღირსეული პირობების შექმნას. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოდერნიზება და მისი პოტენციურ სარეზერვო სისტემად გარდაქმნა. ნატოსთან ინტეგრაცია და სტრატეგიულ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობის გაღრმავება ეს ის ძირითადი გზავნილებია რაც ამ საკითხებთან მიმართებაში იქნა წარმოდგენილი კოალიციის მიერ.

სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს საკმაოდ ვრცელი ადგილი უჭირავს აღნიშნულ წინასაარჩევნო პროგრამაში და ის თავის თავში შინაარსობრივად რამდენიმე ასპექტს მოიცავს. პროგრამაში ნათლად და მკაფიოდ იქნა დაფიქსირებული ის, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები მოიცავს საარჩევნო ბლოკის „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ კონცეპტუალურ ხედვას ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, მათი მოგვარების გზებისა და შემდგომი განვითარების თაობაზე. ,,ჩვენი ხედვა ეფუძნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებსა და ღირებულებებს. ამასთან, იგი ითვალისწინებს სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაზრდას, უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრას როგორც სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს მიზნებს“.

კოალიციის მიერ შემოთავაზებული სოციალურ-ეკონომიკური პაკეტი გულისხმობს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დანერგვას, სახელმწიფოს როლის გაზრდას სისტემური ტრანსფორმაციის პროცესში, ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის ჩანაცვლება, სახელმწიფომ უზრუნველყოს სამართლიანი, თავისუფალი და კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, ბაზრის გათავისუფლება ხელოვნური მონოპოლიისაგან, ხელშეწყობა თანამედროვე და მოქნილი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში, გადასახადების მიზნობრივი ხარჯვა, შემოსავლების განაწილება და ოჯახური კეთილდღეობის მიღწევა, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაზრდა, ჯანდაცვის სისტემის რეფორმა, საყოველთაო დაზღვევის ამოქმედება და მედიკამენტებზე ფასების რეგულირება, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ფულადი დახმარების სისტემა, საპენსიო რეფორმა, ტარიფების შემცირება, დასაქმება და მეტი სამუშაო ადგილის შექმნა და სხვ.

როგორც პროგრამაშია აღნიშნული: ,,მოქმედი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრობლემა გახდა ის, რომ სახელმწიფომ „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ ეგიდით უარი განაცხადა საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებულ ისეთ ორგანულ ფუნქციებზე, როგორიცაა:

- ჯანსაღი და კონკურენტული ბიზნესგარემოს შექმნა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.“

2012 წელს კოალიციის მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო პროგრამის ძირითადი ნაწილი სწორედ რომ სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარებას, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ავტორიტალური მმართველობის შეცვლაზეა ორიენტირებული. მიუხედავად აღნიშნული პროგრამისა უნდა აღინიშნოს, რომ კოალიციის ლიდერი გახლდათ ბიძინა ივანიშვილი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოებაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებამ არამხოლოდ აღნიშნულ პროგრამაზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება არამედ ბიძინა ივანიშვლის ავტორიტეტიდან გამომდინარეც. მპგ ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს წარმომადგენელის განაცხადებით _ ,,კოალიციის იდეოლოგიურ ხედვას მე მაგალითად ცენრტისტულს დავარქმევდი. გარკვეული სოციალური პრობლემების აქტუალიზაცია და ასევე ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ერთმანეთთან თანაარსებობს.“

ქართული ოცნების წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას ვაწყდებით პოპულიზმის ნიშნებს. პოპულიზმს არავითარი კავშირი არ აქვს იდეოლოგიასთან და შეიძლება ითქვას, პოპულიზმი იდეოლოგიის მთავარი მტერია. წინასაარჩევნო დაპირებები, რომლის ძირითადი გამხმოვანებლები იყვნენ ქართული ოცნების წარმომადგენლები პირდაპირ პირდებოდნენ ამომრჩეველს იაფი ფულს, გადასახადების განახევრებას, დენის ტარიფის 17 თეთრიდან 7-8 თეთრზე დაყვანას, რეგიონში მინიმუმ ათასი ქარხანას, გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტებს, ხუთი მილიონი თითოეულ სოფელს, ბიძინა ივანისვილის ფულის პირდაპირ ინვესტირებას სოფლის მეურნეობასა და ქვეყნის ბიუჯეტში და სხვ. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ამომრჩევლის ქცევაზე და არჩევნების შედეგებზე. თუმცა იდეოლოგიური

თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ რომ ასეთი ტიპის განცხადებებს არავითარი კავშირი არ აქვს მემარცხენე იდეოლოგიასთან.

ქვემოთ, ცხრილის სახით წარმოდგენილ იქნა კოალიცია ,,ქართული ოცნების“ იდეოლოგია. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ წარმოდგენილ წინასაარჩევნო პროგრამის ანალიზი შედეგზე დაყრდნობით.

ცხრილი №1: კოალიცია ქართული ოცნება _ იდეოლოგია:

№	მემარცხენე	ცენტრისტული	მემარჯვენე
განათლება		✓	
დასაქმება	✓		
სოფლის მეურნეობა		✓	
ჯანდაცვა	✓		
მიკროეკონომიკური საკითხები		✓	
სოციალური უზრუნველყოფა		✓	
ეკონომიკური პოლიტიკა			✓
საშინაო პოლიტიკა			✓
ეკოლოგიური პოლიტიკა	✓		
თავდაცვა და უსაფრთხოება		✓	

კოალიციაში მყოფ პოლიტიკურ პარტიათა შეფასება _ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნება წარმოდგენილი იყო კოალიციის სახით. კოალიციაში გაწევრიანებული იყო რამდენიმე იდეოლოგიურად განსხვავებული შეხედულების პოლიტიკური პარტია, რომელთაც არათუ არ აქვთ იდეოლოგიური თანაკვეთა

ერთმანეთთან არამედ პირიქით, მკვეთრადაც კი უპირისპირდებიან ერთმანეთს გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში. როგორც კოალიციაში მყოფი ეროვნული ფორუმის წარმომადგენელი აღნიშნავს _ ,,2012 წელს, როდესაც კოალიცია შეიქმნა, საქმე არ იყო იდეოლოგიაზე და იდეოლოგიურ განსხვავებაზე, ბევრად უფრო მაღალა იდგა სახელმწიფოებრივი მდგომარეობა და განვითარების მომავალი ბედი. მთავარი იყო ამ რეჟიმის გაუნებელყოფა და არა იდეოლოგია.“ მპგ ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს წარმომადგენლის განცხადებით _ ,,2012 წელს მთავარი იყო არსებული პოლიტიკური მდგომარეობა და არ იყო წინასწარ განსაზღვრული პარტიის იდეოლოგია.“ ამავეს იმეორებენ სხვა კოალიციაში მყოფი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს პარტიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ _ ,,იქ იყვნენ მემარჯვენეები, ცენტრისტები, მემარცხენეები თუ სხვა. ეს იყო სიმბოლო ქვეყნის გაერთიანების მმართველი რეჟიმის მიმართ.“ ,,რეჟიმის დამარცხება“, ,,სისტემასთან ბრძოლა“, ,,მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა“ ეს ის ძირითადი მიზეზებია რის გამოც მოხდა კოალიციაში პარტიების გაწევრიანება. რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლის თქმით _ ,,ბიძინა ივანიშვილის როლი იყო გადამწყვეტი თუმცა ამ ყველაფერს ხელი შეუწყო იმან, რომ კრიტიკული მასა მოსახლეობისა ხედავდა პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის აუცილებლობას.“ ამავეს აღნიშნავს ეროვნული ფორუმის წარმომადგენელი: ,,ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა სტრატეგიულად სწორი ნაბიჯი იყო მან შეძლო საქართველოში დაქსაქსული ელექტორატის და პოლიტიკური პარტიების მობილიზება.“

2012 წლის საპარლამეტო არჩევნებში კოალიცია ,,ქართული ოცნება“ მოქმედებდა არა როგორც მკვეთრად ჩამოყალიბებული იდეოლოგიური გაერთიანება არამედ ის პირდაპირ ორიენტირებული იყო ძლიერ ლიდერსა და ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ და სოცალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კოალიციამ ეფექტურად გამოიყენა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და შეძლო ხელისუფლების მოპოვება. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ კოალიციის წევრებს ძალზედ გაუჭირდათ ერთად მუშაობა, რამეთუ არსებობდა მათ შორის საკმაოდ დიდი იდეოლოგიური წინააღმდეგობები, ამას თან დაერთო უპირობო ლიდერის წასვლა პოლიტიკიდან.

თუ გადავხედავთ კოალიციაში მყოფი პარტიების იდეოლოგიებს და პრიორიტეტებს მათში აშკარა განსხვავებებს დავინახავთ. კოალიციაში მემარჯვენე ორიენტაციის „ეროვნული ფორუმის“ ჰიბრიდი მემარჯვენე-ცენტრისტულ „რესპუბლიკელებთან“, ან ანტიდასავლური „მრეწველების“ შეჯვარება ევროატლანტიკური და ნეოლიბერალური ორიენტაციის „თავისუფალ დემოკრატებთან“ და ყველა ამათი ურთიერთქმედება საკუთრივ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველო“-სთან საკმაოდ არამდგრად იდეოლოგიურ გარემოს ქმნის. ეს იდეოლოგიური განსხვავებები ლოგიკურია, რომ სამუშაო პროცესში კოალიციის წევრებს შორის გარკვეულ უთანხმოებებს აჩენს. საქმე იმაშია, რომ კოალიცია შეიქმნა ერთგვარი „ნეგატიური“ მიზნით, რომელიც სააკაშვილის და მისი პარტიის ხელისუფლებიდან ჩამოცილებას ემსახურებოდა და გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფოს სამართავად მსგავსი მიზნით შექმნილი გაერთიანებები სარგებლის მომტანი ვერ იქნება. მიუხედავად გულუხვი დაპირებებისა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აშკარა გახდა, რომ მათ არ გააჩნდათ რაიმე ერთიანი, ეფექტური სამოქმედო გეგმა, რომლითაც ისინი შეძლებდნენ ქვეყნის ნორმალურად მართვას. როგორც წესი, პარტიისა თუ კოლიციის შექმნა იმ იდეოლიგიისა და მიზნების ერთობილიობის გარშემო ხდება, რომლის გატარებასაც ეს პოლიტიკური ძალა აპირებს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. თუმცა „ქართული ოცნების“ შემთხვევაში საქმე სულ სხვაგვარადაა. რჩება შთაბეჭდილება, რომ კოალიცია და მის ცენტრში მოქცეული პარტია თავისი დამფუძნებლის და მისი გარემოცვის ვიწროკორპორატიულ ინტერესებზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე ელექტორატზე ორიენტირებული ეფექტიანი პოლიტიკის გატარებაზე.[53]

[53]რადიო თავისუფლება. გიორგი ბედენაშვილი (12.05.2015)*„ქართულ ოცნებაში“ არსებული რა პრობლემები იწვევს მმართველი კოალიციის არაეფექტურობას?*
https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-giorgi-bedenashvili-kartuli-otsneba/27011758.html 01.07.2017

3.3 მპგ ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო დამოუკიდებელი სუბიექტი

2012 წლისგან განსხვავებით მპგ ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში წარმოდგენილი იყო, როგორც მმართველი პარტია, ამასთან ერთად ის არ არის გაერთიანებული არცერთ საარჩევნო ბლოკსა და კოალიციაში. 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩვნებამდე კოალიცია ერთმანეთის მიყოლებით დატოვეს ,,ეროვნულმა ფორუმმა“, ,,საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ“ მანამდე კი კოალიციას გამოეთიშნენ ,,თავისუფალი დემოკრატები“. კოალიცია ,,ქართული ოცნება“ საბოლოო ჯამში დაიშალა. მრეწველებმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ცალკე პოლიტიკურ სუბიექტად მიიღეს მონაწილეობა, ხოლო კონსერვატორებმა ინტეგრირდნენ მპგ ,,ქართული ოცნება _ დემოკრატიულ საქართველოში“ და არჩევნებში მასთან ერთად მიიღეს მონაწილეობა. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც რომ ბიძინა ივანიშვილი, როგორც კოალიციის ლიდერი და მთავარი როლის შემსრულებელი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაში უკვე მპგ ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ გამოეთიშა სამართლებრივი თვალსაზრისით. ის არ წარმოადგენს პოლიტიკურ პარტიას და არც არჩევნებში ღებულობს მონაწილეობას, როგორც პარტიის წევრი და ლიდერი თუმცა მისი გავლენა მაინც იგრძნობა. ბიძინა ივანიშვილი აკეთებდა განცხადებებს, რომელიც პირდაპირ მიმართული იყო მპგ ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მხარდასაჭერად რაც, რა თქმა უნდა, ცხადყოფდა მის დამოკიდებულებას და პოზიციას. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის გავლენა მაინც იგრძნობა რამეთუ საზოგადოებაში დღემდე ის ასოცირდება აღნიშნული პარტიის ლიდერად მიუხედავად იმისა, რომ ის არ ყოფილა საპარლამენტო არჩევნებში პარტიის სიის წევრი.

იდეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოება, რომ პარტიის მიერ ბოლო 2016 წელს მიღებულ წესდებაში განისაზღვრა პარტიის იდეოლოგიური ხედვა და ის წარმოადგენს მემარცხენე ცენტრისტულ ძალას, თუმცა ჩვენ ვხედავთ ქართულ ოცნებასთან ერთად კონსერვატიულ პარტიას, რომელიც მათი თქმით მემარჯვენე ცენტრისტული მიმართულებისაა გარდა ამისა ასევე მპგ ქართული ოცნება _

დემოკრატიული საქართველოს პარტიულ სიაში ინტეგრირდნენ ,,მწვანეები“ და ,,სოციალ-დემოკრატები“ ისევე როგორც 2012 წელს.[54]

როგორც კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა ინტერვიუში _ ,,ჩვენ ერთად ვახერხებთ თანაარსებობას მემარცხენე ცენტრისტული და მემარჯვენე ცენტრისტული“ მან ასევე დასძინა, რომ _ ,,და დღესაც ქართული ოცნების დეკლარირებული ფასეულობები, რაც აქვთ ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს და ვცდილობთ, რომ მის განხორციელებაში დავეხმაროთ.“ ხოლო მპგ ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს წარმომადგენლის განცხადებით _ ,,კონსერვატიული პარტია ეს არის ჩვენი უმცროსი პარტნიორი. ხშირ შემთხვევაში რაღაც გარკვეული პარტიული ხედვები არის განსხვავებული, მაგრამ თანამედროვე პოლიტიკაში იმდენად დაახლოვდა იდეოლოგიები თანამედროვე კონსერვატორთა და ცენტრიზმს შორის თუნდაც სოციალ-დემოკრატიას შორის რომ გარკვეული სახის გადაკვეთა არის.“

ასევე როგორც მპგ ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს წარმომადგენლმა განაცხადა _ ,,როდესაც ხელისუფლებაში მოდიხარ მასინ გაქვს იდეალისტური დამოკიდებულებები თუმცა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შენ გარკვეული ჩარჩოები გიწესდება, ასე ვთქვათ შეზღუდვები, რომელსაც არსებული სიტუაცია რასაც ღია პოლიტიკას ეძახიან, რომელიც გაიძულებს, რომ ვთქვათ ისე იდეალისტურად ვერ იმოქმედებ და შესაბამისად მოქმედებ. ცდილობ, რომ არსებულ სიტუაციას შეუსაბამო შენი ხედვები და გარკვეული კორექტირებები მოახდინო.“

აქ იგულისხმა ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მართლაც, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ წარმოდგენილი ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამა მთლიანად ორიენტირებულია სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემო _ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები გამორჩეულია იმ თვალსაზრისით რომ 2015 წელს მოხდა ცვლილება საარჩევნო კანონმდებლობაში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების საზღვრის ცვლილება და მაჟორიტარული მანდატის საარჩევნო ბარიერის 30-დან 50 პროცენტამდე გაზრდა იყო. ასევე 2016 წელს

[54] საქართველოს საარჩევნო ადმონისტრაცია (ცესკო)https://partylists.cec.gov.ge/uploads/52/41.pdf 14.07.2017

წინასაარჩევნო გარემო პოლიტიკური და სამართლებრივი თვალსაზრისით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით საკმაოდ გაუმჯობესებული იყო.

დელეგაციის შეფასებით, წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნების პროცესის სანდოობისთვის საჭირო კომპონენტები უმეტესწილად არსებობდა. ყველა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის, პოლიტიკური პარტიის (გარდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისა), დიპლომატიური და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომელთაც დელეგაცია შეხვდა, აღნიშნეს, რომ წინასაარჩევნო გარემო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით გაუმჯობესებულია. ეს შეფასება მუდმივად მეორდებოდა, რაც საარჩევნო პროცესების მიმართ გაზრდილია ნდობის მაჩვენებელი.[55]

თუმცა, მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა რამდენიმე ინციდენტი, როგორც სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების შუალედურ დასკვნაში ვკითხულობთ _ საარჩევნო კამპანიის გააქტიურებასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ოპოზიციური პარტიების წევრებისა და აქტივისტების მიმართ განხორციელებული ზეწოლა - მუქარის შემთხვევები. ანგარიშში მოყვანილ სამ ფაქტთან დაკავშირებით იკვეთება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ჩადენილი სავარაუდო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებიც კამპანიისთვის ხელის შეშლასთან ერთად გამოვლინდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ოფისების დაზიანების შემთხვევებიც, რაც საფრთხის შემცველია თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოსთვის. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა სააგიტაციო მასალის დაზიანების შემთხვევები, რასაც კამპანიის მიმდინარეობის ადრეულ ეტაპზე ადგილი არ ქონია. ორგანიზაციის დაკვირვებით, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა-მუქარის 11, ფიზიკური დაპირისპირების 2, ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის 1, არაუფლებამოსილი პირის მიერ აგიტაციაში მონაწილეობის 5, ადმინისტრაციული

[55] National Democratic Institute (NDI). (2016). *NDI-ის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ანგარიში 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე.* თბილისი, გვ. 7

რესურსის გამოყენების 4, წინასაარჩევნო კამპანიისთვის ხელის შეშლის 7, სააგიტაციო მასალების დაზიანების 5 ფაქტი.[56]

მიუხედავად მცირე ინციდენტებისა წინასაარცევნო გარემი დადებითად შეფასდა. წინა საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით ადგილი არ ქონდა რაიმე სახის სამართლებრივი და ხელოვნური ბარიერების შექმნას მართველი პოლიტიკური ძალის მიერ. ასევე ცესკომ დანერგა ახალი ტექნოლოგია ამომრჩევლის სიებთან დაკავშირებით. ამომრჩეველს უკვე საშუალება მიეცა სახლიდან გაუსვლელად ელექტრონულად სპეციალური საიტის საშუალებით გადაემოწმებინა საკუთარი თავი საარჩევნო სიაში, თუ სად აძლევდა ხმას, რომელ უბანზე და ასე შემდეგ. ეს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ამომრჩევლის სიების დაზუსტების თვალსაზრისით.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიშში აღნიშნულია _ არჩევნები ისეთ გარემოში იმართება, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე მოსახლეობის იმედგაცრუება პოლიტიკური ელიტის მიმართ. არჩევნების კონტექსტზე ასევე ზემოქმედებს 2014 წლის ივნისში გაფორმებული ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და მიმდინარე დისკუსიები საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. ამასთანავე საარჩევნო ატმოსფეროზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური დაძაბულობა ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის, 2016 წლის მაისში რიგგარეშე ადგილობრივი არჩევნების დროს კორცხელში მომხდარი ძალადობრივი დაპირისპირების ჩათვლით.[57]

საკმაოდ სკანდალური იყო უკანონო მოსმენებისა და ფარული ჩანაწერების საქმე, რომელმაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. ასევე არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია მმართველ და ოპოზიციურ ძალებს შორის. NDI-ის დასკვნაში ვკითხულობთ _ გასულ წელს და კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში პოლიტიკოსებზე, მედიის წარმომადგენლებსა და სხვა საჯარო ფიგურებზე უკანონოდ მოპოვებულმა ჩანაწერებმა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ კლიმატს ზიანი

[56] სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). (2016). *2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგის III შუალედური ანგარიში* გვ.1

[57] ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. (2016). *შუალედური ანგარიში 30 აგვისტო – 19 სექტემბერი, 2016წ.* გვ.4

მიაყენა. მაკომპრომატირებელი ფარული ჩანაწერების ინტერნეტში გავრცელებამ კანდიდატებისთვის, განსაკუთრებით კი - ქალი კანდიდატებისთვის, მტრული გარემო შექმნა. ოპოზიციის დისკრედიტაციის მიზნით, ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა ოპოზიციის ლიდერებსა და მხარდამჭერებს შორის სავარაუდოდ მომხდარი საუბრების არაერთი ჩანაწერის გავრცელებას, რომელთა ავთენტურობა ეჭვს იწვევს. საკანონმდებლო ჯგუფებმა მოუწოდეს ხელისუფლებას, გამოიძიოს ეს შემთხვევები და უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილება მიიღოს.[58]

არჩევნებში საკმაოდ დიდ როლს მედიასაშუალებები თამაშობენ. სწორედ მასმედია წარმოადგენს ხიდს პოლიტიკურ პარტიებს, კანდიდატებსა და ამომრჩეველს შორის. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიებს ხელი მიუწვდებოდათ სხვადასხვა მედია საშუალებებზე, მაინც იყო გარკვეული სახის პრობლემები კერძოდ კი რუსთავი 2-ის საკუთრების გარშემო წარმოებული სამართლებრივი დავა, რომელიც ბევრს პოლიტიკური ნიშნით დაწყებულ საქმედ მიაჩნდა.

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ _ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით _ 2015 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2014 წელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.0 პროცენტი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 12 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. 2015 წელს ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 67.8% შეადგინა. წინა წელთან შედარებით მოსახლეობის აქტიურობის დონე გაიზარდა 1.3%, ხოლო დასაქმების დონე - 1.4%. წინა წელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე გაიზარდა 2.3%, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.8%. წინა წელთან შედარებით აქტიურობის დონე ქალაქის ტიპის დასახლებებში გაზრდილია 2.4%, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში - 0.5 პროცენტული პუნქტით.[59] თუმცა

---

[58] National Democratic Institute. (2016). *NDI-ის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ანგარიში 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე.* გვ. 11

[59] სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *დასაქმება და უმუშევრობა 2015 წელი (წლიური).* http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/dasaqmeba-umushevroba%202015%20pres-relizi.pdf 07.06.2017

საზოგადოების აზრი ამ საკითხთან მიმართებაში სავსებით განსხვავდება ,,ცხადია, ვინც მეთოდოლოგიის შესახებ და იმის შესახებაც იცის, რომ საქართველოს სტატისტიკის სამსახური ყველა ადამიანს, ვისაც სოფლად მიწის ნაკვეთი აქვს, დასაქმებულად თვლის, მისთვის ეს შედეგები მოულოდნელი არ იქნება. თუმცა, თუ მოსახლეობის მიერ დასაქმების რეალურ აღქმას დავაკვირდებით, მაგალითად, NDI-ის მარტი-აპრილის კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხვაში 67 %-მა სამუშაო ადგილები, 43 %-მა ინფლაცია და მზარდი ფასები, ხოლო 37 %-მა სიღარიბე დაასახელა მთავარ პრობლემად. ანუ მოსახლეობის 2/3 ქვეყნის მთავარ პრობლემად სწორედ უმუშევრობას მიიჩნევს."[60]

2015 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა დაზუსტებული მონაცემებით, მიმდინარე ფასებში 31 755,6 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 8,9 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წელთან შედარებით 2,9 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დეფლატორი გაიზარდა 5,9 პროცენტით. მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში უდიდესი წილი უკავია მრეწველობის (16,8 პროცენტი) და ვაჭრობის (16,7 პროცენტი) სექტორებს. შემდეგ პოზიციებს იკავებენ: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,5 პროცენტი), სახელმწიფო მმართველობა (9,3 პროცენტი), სოფლის მეურნეობა (9,1 პროცენტი), მშენებლობა (7,9 პროცენტი), ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (6,0 პროცენტი).[61] თუმცა ეს მაჩვენებელი ბევრად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების მონაცემებს და შეგვიძლია ცალსახად ავღნიშნოთ, რომ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს.

რაც შეეხება ინფლაციას _ ,,2015 წლის ნოემბერში 2014 წლის ნოემბერთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 6,3 პროცენტი შეადგინა."[62]

2016 წლის 11 აპრლს NDI-იმ გამოაქვეყნა კვლევა რომლის თანახმად _ მოქალაქეებს განსაკუთრებით აწუხებთ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა. მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკა კარგ მდგომარეობაშია.

---

[60] ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი(EPRC) https://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=1398&lang=geo 17.06.2017

[61] სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2015 წელს (დაზუსტებული).* http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/GDP_pres-relizi_2015_GEO.pdf 07.06.2017

[62] სტატისტიკის ეროვნული სამსახური, *ინფლაცია საქართველოში, 2015 წლის ნოემბერი* *http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/price/CPI%20Press%20Release_11%202015_Geo.pdf* 20.06.2017

მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხები სამუშაო ადგილები (57 პროცენტი), ფასების ზრდა/ინფლაცია (35 პროცენტი) და სიღარიბეა (30 პროცენტი). მართალია, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს მხარდამჭერები შედარებით უფრო დადებითად აფასებენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა მთლიანობაში მოსახლეობის უმეტესობა (81 პროცენტი) ამ პრობლემების გამო პასუხისმგებლობას ამჟამინდელ ხელისუფლებას აკისრებს, რასაც მოსდევს წინა ხელისუფლების პასუხისმგებლობა (59 პროცენტი) და გლობალური ეკონომიკური გამოწვევები (53 პროცენტი). პარტია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს მხარდამჭერების უმეტესობაც ეკონომიკური პრობლემების გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მოქმედი ხელისუფლების შეცდომებს ასახელებს.[63]

ასევე მნიშვნელოვანია ეროვნულმა დემოკრატიის ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული კვლეის ანალიზი. კვლევა ეყრდნობა სამ საზოგადოებრივ გამოკითხვას, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ 12 თვის მანძილზე ჩატარდა: ნოემბერი 2015, მარტი 2016, ივნისი 2016. ამ გამოკითხვებმა, რომლებიც ეროვნულმა დემოკრატიის ინსტიტუტმა (NDI) ჩაატარა, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ კვლევებზე წვდომა ძალიან მარტივია. სამივე გამოკითხვაში მკაფიოდ ჩანს, რომ ქართველი ხალხის პრიორიტეტი ეკონომიკური და სოციალური საკითხებია. მათ მოსდევს თემები, როგორებიცაა: ტერიტორიული მთლიანობა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და თავდაცვა და სხვა საკითხები, რომლებიც მმართველობას, დემოკრატიას, სამართალსა და ადამიანის უფლებებს უკავშირდება.[64]

ცხრილი №2: საზოგადოებრივი აზრი და პრიორიტეტები:

#	ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხი	გამოკითხვის თარიღი			საშ
		ნოემბერი 2015	მარტი 2016	ივნისი 2016	

[63] NDI-ის კვლევა: მოსახლეობა უკმაყოფილოა ქვეყნის კურსით და ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკით; ევროკავშირის და ნატოს მხარდაჭერა კვლავაც მაღალია https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202016%20poll_public%20Issues_Geo%20Press%20Release_VF.pdf 6.07.2017

[64] კახიშვილი, ლ. (2017) *პარტიული პოლიტიკა საქართველოში და დემოკრატიის კონსოლიდაციის პერსპექტივები, არის თუ არა დემოკრატია შესაძლებელი სტაბილური პოლიტიკური პარტიების გარეშე?* თბილისი

1	*ეკონომიკური საკთხები: დასაქმება,სიღარიბე, ფასები/ინფლაცია,*				
1.	*სამუშაო ადგილები*	57%	57%	56%	57%
1.	*სიღარიბე*	29%	30%	29%	29%
1.	*მზარდი ფასები/ინფლაცია*	26%	35%	26%	29%
1.	*ხელფასები*	17%	18%	16%	17%
2	*სოციალური საკითხები: პენსია, ჯანდაცვა, განათლება*				
2.	*პენსია*	28%	26%	25%	26%
2.	*ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა*	20%	18%	20%	19%
2.	*ჯანმრთელობა*	12%	13%	17%	14%
3	*ტერიტორიული მთლიანობა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა*				
3.	*ტერიტორიული მთლიანობა*	29%	23%	28%	27%
3.	*რუსეთთან ურთიერთობა*	10%	12%	12%	11%
3.	*ნატოში გაწევრიანება*	5%	6%	6%	6%
3.	*ევროკავშირში გაწევრიანება*	4%	3%	5%	4%
4	*პოსტმატერიალისტური ღირებულებები: დემოკრატია, სამართლიანობა, ადამიანის უფლებები*				
4.	*სამართლიანი არჩევნები*	9%	6%	9%	8%
4.	*სამართლიანობის აღდგენა*	9%	9%	9%	9%
4.	*ადამიანის უფლებები*	13%	11%	8%	11%
4.	*სიტყვის თავისუფლება*	9%	5%	5%	6%
4.	*სასამართლო სისტემა*	4%	2%	4%	3%

შენიშვნა: ცხრილი აღებულია კახიშვილი, ლ. (2017) პარტიული პოლიტიკა საქართველოში და დემოკრატიის კონსოლიდაციის პერსპექტივები, არის თუ არა დემოკრატია შესაძლებელი სტაბილური პოლიტიკური პარტიების გარეშე? თბილისი

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის წინა პლანზე გადაინაცვლა სოციალურ-ეკონომიკურმა საკითხებმა, ხოლო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და შესაბამისად მასთან ერთად სხვა საკითხებიც საკითხი უკანა პლანზე აღმოჩნდა.

საზოგადოების აზრის კვლევა ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკურ საკითხთან მიმართებაში მნიშვნელოვან გზავნილს წარმოადგენს პოლიტიკური პარტიებისთვის. ხშირ შემთხვევაში კი პოლიტიკურ პარტიების დიდი ნაწილი სწორედ, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ქმნის თავის წინასაარჩევნო პროგრამას. კითხვაზე თუ რამდენად ახდენს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიაზე? მპგ. „ქართული ოცნება_დემოკრატიული საქართველო"-ს წარმომადგენლმა განაცხადა, რომ _,,ალბათ პირდაპირი გავლენა არის. ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა იდეოლოგია."

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მპგ ,,ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" წინასაარჩევნო პროგრამის ანალიზი _ მპგ. ,,ქართული - ოცნება დემოკრატიული საქართველო" 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მთავარ პრიორიტეტებად: დემოკრატიული განვითარება, ეკონომიკური განვითარება, სოციალური განვითარება და საგარეო ურთიერთობები უსაფრთხოება და თავდაცვაა. ასევე ის სთავაზობს ამომრჩეველს ე.წ. ,,მთავრობის ოთხ პუნქტიან გეგმას", რომლის მთავარი გზავნილია სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება საქართველოში. წინასიტყვაობაში ნათლად არის დაფიქსირებული, რომ მპგ ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" მთავარი მიღწევა არის ადამიანის უფლებების დაცვა, ძირეული რეფორმების გატარება სახელმწიფოში დემოკრატიული ინსტიტუტების აღმშენებლობის გზაზე, ხოლო მთავარი აქცენტები ისევ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება და დემოკრატიული ფასეულობების ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვაა.

მპგ ,, ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო" პროგრამაში აფასებს მათი მმართველობის 4 წლიან შედეგს და მიღწევებს შემდეგ კი სამომავლო მიზნებსა და გეგმებზე საუბრობს. ,,ქართული ოცნება" საკმაოდ მნიშვნელოვან გზავნილს უგზავნის ამომრჩეველს ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ. როგორც პროგრამაშია აღნიშნული ყველაფერი ეს მიმართული იქნება ევროპული ფასეულობების და ღირებულებების დასანერგად ასევე სამოქალაქო საზოგადოების განვითარების და სახელმწიფოს მიერ

მოქალაქეთა უფლებების დაცვის მიზნით. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ ამ ყველაფერს სჭირდება გარკვეული სახის ფინანსები რათა მოხდეს სხვადასხვა პროექტების განხორციელება სამწუხაროდ ამის შესახებ პროგრამაში ძალზედ ცოტა ინფორმაცია არსებობს. ძირითადი აქცენტი მაინც გადატანილია არა სამომავლო გეგმებსა და მიზნებზე, არამედ უკვე მიღწეულ წარმატებებზე, რაც ჩემი აზრით კარგად არ გამოხატავს და არ გამოკვეთს პარტიის სამომავლო გეგმებს.

საგარეო ურთიერთობები, უსაფრთხოება და თავდაცვა - ამ მხრივ ,,ქართული ოცნება“ სთავაზობს ამომრჩეველს მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას მეზობელ სახელმწიფოებთან. როგორც პროგრამაშია აღნიშნული შენარჩუნდება ქართული ოცნების მიერ არჩეული კურსი რაც ითვალისწინებს ევროინტეგრაციას, ნატოსთან თანაშრომლობის გაძლიერებასა და საბოლოო ჯამში გაწევრიანების პოლიტიკას. საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის აშშ-თან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებას. საერთაშორისო დიპლომატიის გაძლიერებას, არაღიარებითი პოლიტიკის გაძლიერებას და საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიის შემუშავებას ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ, დიპლომატური გზების მაქსიმალურ გამოყენებას. გააგრძელებს ძალისხმევას ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ასევე გალსა და ერგნეთში ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის შედეგიანი მუშაობის უზრუნველყოფისათვის. პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქვეყნებთან ურთიერთობის გაგრძელება და გაღრმავება, სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის გაგრძელება. რაც შეეხება თავდაცვას - გაძლიერდება და გაუმჯობესდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, შეჯერდება ქვეყნის რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფცია, მოხდება სამხედრო მოსამსახურეთა ნატოს სტანდარტებზე აღჭურვა და სხვ. ჩემი აზრით, პროგრამაში ნათლად არ არის წარმოდგენილი თუ როგორ და რა გზებით გეგმავს ქართული ოცნება ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებას.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მპგ ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ისევ და ისევ სოციალურ-ეკონომიკურ პაკეტზე აკეთებს აქცენტს. პარტიის მთავარი გზავნილის ძირითადი შინაარსი ასე გამოიყურება:

მაკროეკონომიკური სტაბილურობა, დასაქმება, ბიზნესგარემო, ეკონომიკური რეფორმები, კაპიტალის ბაზრის რეფორმა, საპენსიო რეფორმა, მიწის რეფორმა, საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის განვითარება, ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული სხვა ეკონომიკური რეფორმები, სივრცითი მოწყობა, თავისუფალი საგარეო სავაჭრო ურთიერთობები, ინფრასტრუქტურული განვითარება, დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ტურიზმი, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, გარემოს დაცვა. რაც შეეხება სოციალურ პაკეტს, მასში მოიაზრება ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობის პოლიტიკა.

მპგ ,, ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური პროგრამა სავსებით რეალისტურია და განხორციელებად, შეგვიძლია თამამად ავღნიშნოთ, რომ მასში დაფიქსირებული ხედვები შეესაბამება მემარცხენე ორიენტაციის მქონე პარტიის იდეოლოგიას თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს წარმოდგენილი სოციალურ-ეკონომიკურ პაკეტი არ არის სრულყოფილი. განსაკუთრებით კი არ არის წარმოდგენილი იმ გზების ძიება, რომელიც დასახულ მიზნის მიღწევაში დაეხმარება პოლიტიკურ პარტიას. ექსპერტთა აზრით - ,,მეტისმეტად ოპტიმისტურადაა წარმოდგენილი გაუნაწილებელი მოგების გადასახადის გაუქმების შესაძლო შედეგები. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ნოვაციის ძალაში შესვლის შემდეგ, 2017 წელს დაჩქარდება ეკონომიკური ზრდა, მაგრამ დასადგენია გაგრძელდება თუ არა ეს ეფექტი მომავალში. ასევე მიგვაჩნია, რომ ეს ინიციატივა სამუშაო ადგილების შექმნის გარანტიას ვერ იძლევა. გამართლებულია საპენსიო სფეროს რეფორმა, რომელიც ბიუჯეტს დიდ ფისკალურ წნეხს მოაცილებს, თუმცაღა ამ რეფორმის მასშტაბი შეიძლება იმან შეზღუდოს, რომ დასაქმებულთა შორის კვლავაც დაბალი რჩება ფორმალურად დასაქმებულთა წილი, რომელთაგან თითქმის ნახევარი სახელმწიფო სექტორში მუშაობს.“[65] ასევე ექსპერტები აღნიშნავენ, რომ _ ,,დასაქმების ზრდის შემოთავაზებული სამიზნეები არარეალისტურია. ჯამურად,

[65] საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში. (2012). *პოლიტიკური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები და მათი ექსპერტული შეფასება.* http://www.econpolicyfact.ge/ka/election/4/party/koalitsia-kartuli-otsneba/policy_brief/makroekonomikuri-sakitkhebi 02.06.2017

ქართული ოცნების წინასაარჩევნო დოკუმენტის მიხედვით მომდევნო 4 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებით 200 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნაა ნავარაუდევი. თუ წარსულ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, როცა დასაქმების ზრდა უმნიშვნელო იყო, ასეთი ზრდის მიღწევა შეუძლებლად მიგვაჩნია."[66]

სოციალური უზრუნველყოფა - სოციალური პაკეტის მთავარი გზავნილი სწორედ აღნიშნულ ნაწილშია მოთავსებული. როგორც პროგრამაშია აღნიშნული 2012 წლიდან გაიზარდა სოციალური დაცვის პროგრამის მოცულობა და დაფინანსება. გაიზარდა ასევე ყველა კატეგორიის პენსია. გაიზარდა სოციალური დახმარების დაფინანსება და ბიუჯეტი. გაუმჯობესდა სოციალური სახლების მდგომარეობა. გაუჯობესდა დევნილთა პირობები, ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართი 5 000-ზე მეტმა დევნილმა ოჯახმა მიიღო. გაუმჯობესდა დემოგრაფიული მდგომარეობა და გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, რეპრესიული ნარკოპოლიტიკა ჩანაცვლდა სახელმწიფოს დაბალანსებული ნარკოპოლიტიკით, დაიწყო პოლიტიკის შემუშავება აზარტულ თამაშებზე არასრულწლოვანთა ხელმისაწვდომობის შემცირების მიზნით, დაიხვეწა სოციალური დაცვის სისტემა, დაინარგა დაგროვებადი საპენსიო სისტემის ახალი მოდელი და სხვ.

2016 წლიდან ქართული ოცნება აქტიურად აპირებს დევნილთა პოლიტიკის გააქტიურებას და მათთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემას. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გაძლიერდება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების როლი; სახელმწიფო წაახალისებს მრავალშვილიანობას; მომზადდება სოციალური პაკეტი მრავალშვილიანი მშობლისთვის; გაძლიერდება საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვადასხვა სოციალური პროგრამები დემოგრაფიული მდგომარეობის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. მოხდება სასჯელის ლიბერალიზაცია და გაძლიერდება ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. სახელმწიფო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიმუშავებს რეგულაციებს აზარტული თამაშების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის კუთხით, განსაკუთრებით

[66] საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში. (2012). *პოლიტიკური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები და მათი ექსპერტული შეფასება.* http://www.econpolicyfact.ge/ka/election/4/party/koalitsia-kartuli-otsneba/policy_brief/dasakmeba 03.06.2017

არასრულწლოვნებთან და დამოკიდებულ პირებთან მიმართებაში. ხელისუფლება განახორციელებს ქმედით დასაქმების პოლიტიკას. ექსპერთთა აზრით _ ,,ამ ღონისძიებებიდან უმნიშვნელოვანესია დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლის ინიციატივაა. სამწუხაროდ, დეტალურად გადმოცემული არ არის ამ მიმართლებით უახლოეს პერიოდში გადასადგმელ ღონისძიებეთა მოკლე ნუსხა და ძირითადი ეტაპები, თუმცა ზოგადად, ეს რეფორმა უთუოდ შეამსუბუქებს ბიუჯეტის ფისკალურ ტვირთს.“[67]

ჯანდაცვა - პროგრამის თანახმად 2012 წლიდან ,,ქართულმა ოცნებამ“ გააძლიერა ჯანდაცვის სფეროს დაფინანსება. თითქმის 2,5 ჯერ გაიზარდა დაფინანსება, 2013 წლიდან ამოქმედა საყოველთაო დაზღვევის სისტემა. საქართველოს თითოეული მოქალაქე უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების პაკეტით, მსოფლიო მასშტაბით, საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, სადაც ხორციელდება უპრეცედენტო C-ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა, 2014 წელს შეიქმნა საქართველოს სოლიდარობის ფონდი, რომელმაც სიმსივნით დაავადებული 270-ზე მეტი ბავშვისა და 22 წლამდე ასაკის ახალგაზრდის მკურნალობა დააფინანსა, აქტიურად მიმდინარეობს ბრძოლა ძუძუს კიბოს წინააღმდეგ, სახელმწიფო ხელს უწყობს ფარმაცევტულ სექტორში და კერძო სადაზღვევო ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და სხვ.

2016 წლიდან კი ქართული ოცნება ამომრჩეველს პირდება, რომ შენარჩუნდება და კიდევ უფრო დაიხვეწება საყოველთაო დაზღვევის სისტემა. ასევე დაიხვეწება პირველადი ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების მუშაობა, გაიზრდება ჯანდაცვის სპეციალიზებული მიმართულებების პროგრამული დაფინანსება, მედიკამენტები იქნება კიდევ უფრო ხელმისაწვდომი, ჯანდაცვის ხარისხის ასამაღლებლად მოხდება სამედიცინო განათლების რეფორმა. ექსპერტთა შეფასებით - იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლით მოხდა ჯანდაცვის პოლიტიკის პარადიგმის რადიკალური ცვლილება და

[67] საჯარო პოლიტიკის,ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში. (2012). *პოლიტიკური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები და მათი ექსპერტული შეფასება.* http://www.econpolicyfact.ge/ka/election/4/party/koalitsia-kartuli-otsneba/policy_brief/sotsialuri-uzrunelqopa 01.06.2017

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შემოღება, რაც ძალიან სერიოზული ნაბიჯია, რომლის შედეგების შეფასება საჭიროა ყოველგვარი მიკერძოებისა და იდეოლოგიური სტერეოტიპების გამორიცხვით. ჯანდაცვის მიმართულებით, ქართულ ოცნებას განზრახული აქვს შეინარჩუნოს და გააფართოვოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის არეალი. დოკუმენტში იკვეთება, რომ ავტორებს მეტ-ნაკლებად გაცნობიერებული აქვთ, რომ ასეთი ტიპის სისტემის შენახვა დიდ ხარჯებს უკავშირდება და დროთა განმავლობაში მოსახლეობის თანდათანობითი დაბერების ფონზე, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური ზრდის ტემპები სასურველზე დაბალი აღმოჩნდება, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემამ შესაძლოა ძალზე სერიოზული პრობლემები შეუქმნას სახელმწიფო ბიუჯეტს. სამწუხაროდ, დოკუმენტში ცოტაა ლაპარაკი იმაზე, თუ კონკრეტულად რა გზებით გახდება შესაძლებელი ასეთი პრობლემის თავიდან აცილება. სკეპტიკურად ვუყურებთ ინიციატივას სტრატეგიული მედიკამენტების სახელმწიფოს მიერ კონსოლიდირებულად შესყიდვისა და შემდეგ ბაზარზე სრულფასოვანი კონკურენციის დაცვის უზრუნველყოფის გზით მისი კერძო სექტორის მეშვეობით რეალიზაციის შესახებ.[68]

განათლება - ,,ქართული ოცნების“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს განათლება წარმოადგენს. როგორც პროგრამაშია აღნიშნული, 2012 წელს რადიკალურად შეიცვალა განათლების სისტემა და არსებული მართვის ავტორიტარული პრაქტიკა ჩაანაცვლა მართვის დემოკრატიულმა პრაქტიკამ. გაიზარდა დაფინანსება, სისტემური ცვლილებები განხორციელდა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემაში, რეფორმები გატარდა ზოგადი განათლების სფეროში, მოხდა პედაგოგთა გადამზადება და მათმა როცხვმა 38 ათასს გადააჭარბა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პროფესიული და უმარლესი განათლების სისტემაში (2012 წელთან შედარებით, უმაღლესი განათლების დაფინანსება 41%-ით გაიზარდა). მომდევნო 4 წლის განმავლობაში, განხორციელდება სისტემური ცვლილებები, რათა განათლებისა და მეცნიერების სისტემა გახდეს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მყარი საფუძველი. უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი

[68] საჯარო პოლიტიკის,ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში. (2012). *პოლიტიკური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები და მათი ექსპერტული შეფასება.* http://www.econpolicyfact.ge/ka/election/4/party/koalitsia-kartuli-otsneba/policy_brief/djandatsva 05.06.2017

განათლება. 2016 წლიდან ადრეული და სკოლამდელი განათლება კვლავ დარჩება უფასო, ამოქმედდება აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტი, გაგრძელდება ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება, სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით, შეიქმნება ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამები და სახელმძღვანელოები, სკოლებში გაძლიერდება ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლება და სახელოვნებო მიმართულებები, კიდევ უფრო დაიხვეწება ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა, დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარების პარალელურად, სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისა და კერძო სექტორის გაძლიერების მიზნით, ასევე პრიორიტეტი იქნება სამეწარმეო განათლება. ამოქმედდება პროექტი ,,ისწავლე საქართველოში" უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით, მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების და კვლევების დაფინანსება და სხვ. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ - ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამის განათლების სექციაში დიდი ადგილი ეთმობა ამ პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან გატარებულ ღონისძიებებს, რომელთა ჩამონათვალი ძალიან ვრცელია და დასაბუთებულია სტატისტიკური ინფორმაციით, რომელიც ეხება საბიუჯეტო ასიგნებების ზრდას, ინფრასტრუქტურულ, მეთოდოლოგიურ პროექტებსა და სხვა. რაც შეეხება განათლების სისტემაში ქართული ოცნების სტრატეგიულ ხედვას ვისურვებდით, რომ იგი მეტი თანმიმდევრულობით ყოფილიყო წარმოდგენილი. ჩვენი აზრით, მკაფიოდ გაცხადებული უნდა იყოს ის, თუ როგორი ტიპის განათლების სისტემა უნდა ჰქონდეს საქართველოს და როგორ შეიძლება მისი მიღება. უმაღლეს სასწავლებლებთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, საჭიროა სტანდარტების გამკაცრება.[69]

ქართული ოცნება ქვეყანას ოთხი წლის განმავლობაში მართავდა, რაც გარკვეულწილად აღბეჭდილია პარტიის წინასაარჩევნო პროგრამაში. პარტიის პროგრამაში მოკლედაა მიმოხილული ის შედეგები, რომელიც პარტიის წარმომადგენელთა აზრით მიღწეულ იქნა მათი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში სხვადასხვა სფეროში. მომდევნო ოთხი წლის მიზნები და ამოცანები გადმოცემულია

[69] საჯარო პოლიტიკის,ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში. (2012). *პოლიტიკური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები და მათი ექსპერტული შეფასება.* http://www.econpolicyfact.ge/ka/election/4/party/koalitsia-kartuli-otsneba/policy_brief/ganatleba 04.06.2017

ზოგადი სახით და არ არის დაკონკრეტებული. ისინი ერთგულებას აცხადებენ ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლების დაცვისათვის, ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების და ღირებულებების გატარებისათვის, ეკონომიკის გაძლიერებისა და გაჯანსაღებისათვის, მაგრამ არ ჩანს კონკრტეტული სამოქმედო გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება ასახული ის თითოეული ნაბიჯი, რომელიც განხორციელდება პოლიტიკური პარტიის მიერ. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ კარგი იქნებოდა თუ მპგ. ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ აქცენტს გააკეთებდა არა 2012 წლამდე არსებულ ვითარებასა და მას შემდეგ განვითარებულ სხვადასხვა პროგრამებსა თუ პროექტებზე არამედ ისაუბრებდა სამომავლო მიზნებსა და ამოცანებზე.

ქვემოთ, ცხრილის სახით წარმოდგენილ იქნა მპგ ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს იდეოლოგია. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ წარმოდგენილ წინასაარჩევნო პროგრამის ანალიზი შედეგზე დაყრდნობით.

ცხრილი №3: მპგ ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს იდეოლოგია:

№	მემარცხენე	ცენრტისტული	მემარჯვენე
განათლება		✓	
დასაქმება		✓	
სოფლის მეურნეობა	✓		
მაკროეკონომიკური საკითხები		✓	
ჯანდაცვა		✓	
სოციალური უზრუნველყოფა	✓		
ეკონომიკური პოლიტიკა			✓
თავდაცვა და უდაფრთხოება		✓	

დასკვნა

ენდრიუ ჰეივუდის მიხედვით იდეოლოგიის არსი ასე ჟღერს: იდეოლოგია იდეათა მწყობრი სისტემაა, რომელიც საფუძველს უქმნის ორგანიზაციულ პოლიტიკურ ქმედებას, სულერთია რა მიზანს ემსახურება ის. ამდენად იდეოლოგია გვთავაზობს 1: არსებული წყობის შეფასებას. 2: სასურველი მომავლის მოდელს და 3_ გეგმას თუ როგორ შეიძლება და უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ცვლილება - ანუ როგორ მივიდეთ პირველიდან მეორემდე.

კვლევამ ცხადყო რომ კოალიცია ,,ქართული ოცნება“ არ წარმოადგენს მტკიცე იდეოლოგიური გაერთიანების მქონე პოლიტიკურ ბლოკს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნება წარმოდგენილი იყო კოალიციის სახით, სადაც გაწევრიანებული იყო სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე პარტია. გარდა ამისა, როგორც პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს პირად ინტერვიუებში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა იდეოლოგიას. წინა პლანზე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა და მასთან ერთად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება იყო. ასევე ამავე არჩევნებში უდიდესი როლი ითამაში კოალიციის ერთპიროვნულმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა კოალიციის გამარჯვებაში. რაც შეეხება წინასაარჩევნო პროგრამას _ პროგრამაში სოციალურ-ეკონომიკური საკითხების წინა პლანზე წამოწევას კოალიციაში მყოფი პარტიები ქვეყანაში არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ხსნიან და ნაკლებად უკავშირებენ იდეოლოგიურ ხედვებს. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ წინასაარჩევნო დაპირებისას კოალიციის წევრები არ შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ კოალიციის პროგრამით და აკეთებდნენ გარკვეული სახის პოპულისტურ განცხადებებს, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს რაიმე იდეოლოგიურ შეხედულებად. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ კოალიცია ქართული ოცნების მიერ წარმოდგენილ საარჩევნო პროგრამაში წარმოდგენილია, როგორც მემარცხენე ასევე ცენტრისტული და მემარჯვენე იდეოლოგიის შეხედულებები, რაც თავისთავად აიხსნება კოალიციის იდეოლოგიური სიჭრელით. რაც შეეხება მპგ „ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო“-ს, რთულია ვისაუბროთ აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანების იდეოლოგიურ ხედვაზე 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების

მიხედვით, რადგან ამ პერიოდში გამოკვეთილად არ ჩანს პარტიის იდეოლოგიური ხაზი და არც წესდებაში იქნა დაფიქსირებული თავდაპირველად თავიანთი იდეოლოგური ვექტორი. მიუხედავად ამ ყველაფრისა, პოლიტიკური პარტიის ღირებულებები გვაძლევს მეტნაკლებად იმის თქმის საშუალებას, რომ პარტია მემარცხენე ცენტრისტული იდეოლოგიური შეხედულებისაა. თუმცა ცალსახად შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ შემდგომში დიდი გავლენა მოახდინა აღნიშნული პოლიტიკური პარტიის იდეოლოგიის განსაზღვრაზე. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ წარმოდგენილი კოალიცია ,,ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამა ორიენტირებულია სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკაზე, ეს შეიძლება აიხსნას საზოგადოების მოთხოვნილებიდან გამომდინარე და არა კოალიციის იდეოლოგიიდან გამომდინარე. როგორც მპგ ,,ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო“-ს წარმომადგენელმა ინტერვიუში განაცხადა _ „ბიძინა ივანიშვილმა უდიდესი როლი შეასრულა პარტიის იდეოლოგიის ფორმირებაში, ხოლო ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წარმომადგენელის თქმით _ ,,ბიძინა ივანიშვილი მეწარმე, ბიზნესმენი, ქველმოქმედი სუფთა მემარჯვენე ორიენტაციის პიროვნებაა.“ შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოალიცია ,,ქართული ოცნება“ არ იყო მტკიცე იდეოლოგიურ საფუძველზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური გაერთიანება.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე კოალიცია დაიშალა და მპგ „ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო“-ს გამოეცალა ის პოლიტიკური პარტიები, რომელთაც სხვადასხვა იდეოლოგიური ხედვა ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის წინასაარჩევნო პროგრამასთან შედარებით 2016 წლის წინასაარჩევნო პროგრამაში გამოიკვეთა პარტიის ძირითადი იდეოლოგიური მიმართულება და ასევე პარტიის წესდებაში დაფიქსირებულ იქნა მემარცხენე-ცენტრისტული იდეოლოგია, მაინც არსებობს გარკვეული სახის კითხვის ნიშნები, რომელიც უკავშირდება თუნდაც კონსერვატიულ პარტიასთან ინტეგრირებას. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ როდესაც პოლიტიკური პარტია გვევლინება მმართველ პოლიტიკურ ძალად, თავისდაუნებურად, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებებიდან გამომდინარე მისი იდეოლოგიური ხედვა

მემარცხენეობისკენ იხრება. როგორც კვლევა ადასტურებს საზოგადოების მთავარი მოთხოვნა 2016 წელს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაა, შესაბამისად ქართული ოცნების, როგორც მმართველი გუნდის პრეროგატივად იქცა აღნიშნული პრობლემების მოგვარების გზების ძიება. თუმცა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ წარმოდგენილი წინასაარჩევნო პროგრამაში არსებობს გარკვეული სახის ხარვეზები, რომელიც მიუთითებს მპგ ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს იდეოლოგიურ არამდგრადობაზე.

პოლიტიკური პარტიის პროგრამა არ არის ბოლომდე დახვეწილი დოკუმენტი, პარტიის პოლიტიკური ხედვა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით არ არის თანმიმდევრულად ნაჩვენები, ასევე ყურადღება ექცევა არა სამომავლო გეგმებსა და ამოცანებს, არამედ უკვე არსებულ 4 წლიანი მმართველობის პერიოდში მიღწეულ შედეგებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მტკიცე იდეოლოგიური კავშირი მემარცხენე-ცენტრისტულ იდეოლოგიასთან არ გააჩნია მპგ ,,ქართული ოცნება _ დემოკრატიულ საქართველო“-ს.

თუ ერთმანეთს შევადარებთ (2012-2016) წლებში წარმოდგენილ წინასაარჩევნო პროგრამებს დავინახავთ, რომ სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში შეიცვალა პარტიის პოლიტიკა და შესაბამისად იდეოლოგიური ხედვა. 2012 წელს დასაქმების საკითხთან მიმართებაში კოალიცია მემარცხენე იდეოლოგიისკენ გადაიხარა ხოლო 2016 წელს ცენტრისტულით შეიცვალა. ანალოგიურად მოხდა ჯანდაცვის პოლიტიკასთან მიმართებაში. ასევე 2012 წელს სოციალური უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა პარტიის ცენტრისტულ ხედვას 2016 წელს კი ეს საკითხები მემარცხენე იდეოლოგიურ ჭრილში იქნა განხილული. ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში პარტიის იდეოლოგიური პოლიტიკა უცვლელი დარჩა და განისაზღვრა მემარჯვენე იდეოლოგიით ანალოგიურად თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხები უცვლელი დარჩა და პარტია ახორციელებს ცენტრისტულ იდეოლოგიას. ასევე 2012 წელს კოალიციამ დააფიქსირა თავისი იდეოლოგიური ხედვა გარემოს დაცვით საკითხში და აღნიშნა რომ პარტია ამ მიმართულებით გაატარებდა მემარცხენე იდეოლოგიურ პოლიტიკას. 2016 წელს კი აღნიშნული საკითხი არ განხილულა და არ მიიჩნევა პარტიის იდეოლოგიურ პრიორიტეტად.

მპგ ,,ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო“ შენების გზაზეა როგორც პოლიტიკური პარტია, ამიტომ ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანია განისაზღვროს პარტიის იდეოლოგიური ხედვა რამეთუ სწორედ იდეოლოგია მიიჩნევა იმ ძირეულ საყრდენად რომელზეც შესაძლებელია შემდგომში პოლიტიკური პარტიის მდგრადობის შენარჩუნება.

აქედან გამომდინარე ჩემი კვლევის ჰიპოთეზა _ რაც უფრო დაბალია ქვეყანაში სოცილაურ-ეკონომიკური მდგომარეობა მით უფრო სუსტი და არამდგრადი იდეოლოგიით გამოირჩევიან პარტიები დამტკიცდა და შეიძლება ითქვას რომ კვლევა წარმატებული აღმოჩნდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ალვარო პინტო სქოლტბახი და გია ნოდია. (2006). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი.* თბილისი

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში. (2013) *ეკონომიკური და სოციალური მოწყვლადობა საქართველოში.* საქართველო გამომცემლობა ,,სეზანი“

დამბარი, უ. და სვანიძე, მ. (2012) *პოლიტიკის ფორმირების პროცესები საქართველოს პოლიტიკური და არასამთავრობო სექტორში.* NIMD

მაცაბერიძე, მ. (2003). *არჩევნები და საზოგადოება.* თბილისი, მეცნიერება

მაცაბერიძე, მ. (2003). *პოლიტიკური მარკეტინგის საფუძვლები.* თბილისი, მეცნიერება

მენქიუ, გ. (2007). *ეკონომიკის პრინციპები.* თბილისი, დიოგენე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოცოაცია. (2012). *წინასაარჩევნო პროცესის მონიტორინგი 2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისთვის.* თბილისი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). (2013). *2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის საბოლოო ანგარიში.* თბილისი.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED). (2016). *2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგის III შუალედური ანგარიში.* თბილისი

საქ. პარლამენტი, (1997 წლის 31 ოქტომბერი). *საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ.* თბილისი,საკანონმდებლო მაცნე.

კახიშვილი, ლ. (2017) *პარტიული პოლიტიკა საქართველოში და დემოკრატიის კონსოლიდაციის პერსპექტივები, არის თუ არა დემოკრატია შესაძლებელი სტაბილური პოლიტიკური პარტიების გარეშე?* თბილისი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ჯონსი, ს. (2013). *საქართველო- პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ.* თბილისი, სოციალური მეცნიერების ცენტრი

ჰეივუდი, ე. (2008). *პოლიტიკა.* თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტი მესამე გამოცემა, საქართველოს მაცნე

National Democratic Institute (2016). *NDI-ის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის ანგარიში 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე.* თბილისი

European Journal of Political Research, *How Unstable? Volatility and the Genuinely New Parties in Eastern Europe,"* 44(1): 391-412, 2005

Robert Harmel and John D. Robertson. (1985). *Formation and Success of New Parties: A Cross-National Analysis*

Beyme, Klaus von, (1985). *Political Parties in Western Democracies.* Aldershot: Gower

Ignazi, P. (1996). *THE CRISIS OF PARTIES AND THE RISE OF NEW POLITICAL PARTIES, London. Thousand Oaks. New*

Lucardie, P. (2000). *PROPHETS, PURIFIERS AND PROLOCUTORS*

Suttner, R. (2005). *Transformation of political parties in Africa today*

Schachter, R. (1961). *Single-Party Systems in West Africa*

Wolinetz, Steven (1991) *'Party System Change: The Catch-all Thesis Revisited', West European Politics 14: 113–28*

RALPH, R. (1974). *THE RISE OF THE FIRST MASS-BASED MULTI-RACIAL PARTY IN GUYANA*

Kuzio, T. (2010). *Populism in Ukraine in a Comparative European Context*

Thomson, R. (2001). *The programme to policy linkage: The fulfilment of election pledges on socio-economic policy in the Netherlands, 1986–1998*

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი. (2016). *შუალედური ანგარიში 30 აგვისტო – 19 სექტემბერი, 2016წ.* http://www.osce.org/ka/odihr/elections/267501?download=true 03.06.2017

რადიო თავისუფლება. ავტ. გიორგი ბედენაშვილი (12.05.2015)*„ქართულ ოცნებაში“ არსებული რა პრობლემები იწვევს მმართველი კოალიციის არაეფექტურობას?*https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-giorgi-bedenashvili-kartuli-otsneba/27011758.html 01.07.2017

რადიო თავისუფლება(radiotavisupleba.ge). ავტ. ეკა ქევანიშვილი (თებერვალი 21, 2012). *პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნება" დაფუძნებულია* https://www.radiotavisupleba.ge/a/24491157.html 17.05.2017

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი(IRI) http://www.iri.org/

სამოქალაქო განათლების ლექსიკონი

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=6 30.01.2017

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია (ცესკო)http://cesko.ge/

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. http://www.geostat.ge/

საქართველოს მთავრობა. (2013). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განვითარების სტრატეგია 2020, https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf 30.01.2017*

საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში. (2012). *პოლიტიკური პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები და მათი ექსპერტული შეფასება.* http://www.econpolicyfact.ge/ka/election/4 25.05.2017

სივილ ჯორჯია(http://civil.ge). (21 აპრ.'12). *ივანიშვილის პოლიტიკური პარტია დაფუძნდა* http://civil.ge/geo/article.php?id=25372&search 16.05.2017

სივილ ჯორჯია(civil.ge), (11 დეკ. 2011). *ივანიშვილის სიტყვა "ქართული ოცნების" დამფუძნებელ შეკრებაზე – სრული ტექსტი.* თბილისი http://www.civil.ge/geo/article.php?id=24910&search 19.05.2017

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. http://css.ge/?lang_id=GEO 16.06.2017

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) https://www.eprc.ge/

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის(CTC). (2005). *საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შეფასება, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---6-------0-11--10-ka-50---20-preferences---10-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.20&d=HASHc4c73bb066d937c3a6f909.8.2.3* 29.01.2017

დანართი 1

რესპოდენტთა სია:

1. ,,ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო“ - დიმიტრი ცქიტიშვილი (საქართველოს პარლამენტის წევრი, ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს პარტიული სიით. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი - კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე)
2. ,,ეროვნული ფორუმი“ - სოსო ვახტანგაშვილი (პარტიის პოლიტიკური მდივანი)
3. ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ - ზურაბ ტყემალაძე (პარტიის თავმჯდომარე და დამფუძნებელი)
4. ,,საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ - ხათუნა სამნიძე (პარტიის თავმჯდომარე)
5. ,,საქართველოს კონსერვატიული პარტია“ - თეიმურაზ წურწუმია (პარტიის აღმასრულებელი მდივანი)

დანართი 2

სიღრმისეული ინტერვიუს გზანკვლევი

ზოგადი ინფორმაცია: სახელი/გვარი პარტიის დასახელება, თანამდებობა.

1. გთხოვთ გვესაუბროთ ამომრჩევლის პარტიებისადმი დამოკიდებულების თავისებურებებზე?

2. რამდენად სტაბილური ელექტორატი ყავთ საქართველოში პოლიტიკურ პარტიებს?

3. რამდენად სტაბილურნი არიან პარტიები დღეს საქათველოში? და თუ არ არის რა არის ამის გამომწვევი ძირითადი მიზეზი?

4. თქვენი აზრით, რამდენად ახდენს გავლენას ლიდერის ფაქტორი წინასაარჩევნო კამპანიასა და არჩევნების შედეგებზე?

5. როგორ ფიქრობთ, საქართველოში ამომრჩეველი რას უფრო აქცევს ყურადღებას, პარტიის წინასაარჩევნო პროგრამას, იდეოლოგიას თუ ვინ არის მისი ლიდერი/მის ლიდერს?

6. თქვენი აზრით, რამდენად იქონია გავლენა /რა გავლენა იქონია ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტმა და მის მიმართ საზოგადოების ნდობამ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე? თქვენი აზრით, კიდევ რა ფაქტორებმა იმოქმედა არჩევნების შედეგებზე?

7. რას ფიქრობთ პარტიების იდეოლოგიურ მდგრადობაზე?

8. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოქმედებს ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა პარტიების იდეოლოგიური ვექტორის განსაზღვარაზე/ფორმირებაზე?

9. რას ფიქრობთ ქვეყანაში არსებულ სოციალურ- ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის ურთიერთმიმართებაზე პარტიების იდეოლოგიურ ორიენტაციასა და წინასაარჩევნო პროგრამასთან?

10. რის გამო უხდებათ საქართველოში პარტიებს იდეოლოგიური ხაზიდან გადახვევა?

11. რამდენად ითვალისწინებენ პარტიები სხვა პარტიებთან გაწევრიანებისას (საარჩევნო ბლოკებში ან კოალიციაში) იდეოლოგიურ მხარეს?

12. რა გახდა კოალიციაში თქვენი პოლიტიკური პარტიის გაწევრიანების საფუძველი? ეს იყო იდეოლოგიური თანხვედრა სხვა პოლიტიკურ პარტიებთან რომელთაც გაწევრიანდნენ კოალიციაში თუ სხვა რამ?

13. იყო თუ არა რაიმე შემაფერხებელი გარემოებები თქვენი კოალიციაში გაწევრიანებისას?

14. წინასაარჩევნო კამპანიის დროს რამდენად ცდილობთ იმოქმედოთ მხოლოდ იდეოლოგიურ ჩარჩოებით?

15. რამდენად იყო წარმოდგენილი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კოალიცია ქართული ოცნების წინასაარჩევნო პროგრამაში თქვენი იდეოლოგიური ვექტორი? და თუ იყო ხომ ვერ მეტყვით რაში გამოიხატა ის?

16. როგორ ფიქრობთ, საქართველოში რა უფრო მნიშვნელოვანია პარტიებისთვის დაიცვან თავიანთი იდეოლოგია თუ ყოვლისმომცველი პოლიტიკით მოახდინონ რაც შეიძლება მეტი ამომრჩევლის გულისმოგება?

17. როგორ ფიქრობთ, რამდენად ახდენ გავლენას ელექტორალური განწყობები პარტიის იდეოლოგიური პლატფორმის ფორმირებაზე?

18. იდეოლოგიური თვალსაზრისით რამდენად განიცადა თქვენმა პარტიამ ტრანსფორმაცია? თუ განიცადა რა ფაქტორებმა იმოქმედა იდეოლოგიურ ტრანსფორმაციაზე?

19. რას ფიქრობთ ქართული ოცნების იდეოლოგიურ მდგრადობაზე? ინარჩუნებს პირველადი იდეოლოგიური პლატფორმის საწყისებს თუ განიცადა ტრანსფორმაცია? თუ კი რა მხრივ?

20. ზოგადად, რას ფიქრობთ საქართველოში პარტიებში დღეს არსებულ მდგომარეობაზე იდეოლოგიური თვალსაზრისით/კუთხით?

კითხვარი რომელიც შედგენილ იქნა მპგ ,,ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს“ წარმომადგენლისათვის:

1. გვესაუბრეთ თვენი პარტიის იდეოლოგიის შესახებ?

2. თქვენი აზრით დღეს პოლიტიკური პარტიები რამდენად მოქმედებენ იდეოლოგიური ჩარჩოებით?

3. რამდენად მოახდინა გავლენა თქვენი პარტიის იდეოლოგიის ჩამოყალიბებისას ბიძინა ივანიშვილის ფაქტორმა?

4. რამდენად მოახდინა გავლენა ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობა ქართული ოცნების იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში?
5. რამდენად გამოკვეთილი იყო თქვენი იდეოლოგიური ვექტორი კოალიციაში?
6. რამდენად მყარი იყო კოალიცია იდეოლოგიური თვალსაზრისით?
7. რამდენად განიცადა კოალიციის დაშლის შემდეგ თქვენმა პოლიტიკურმა პარტიამ ტრანსფორმაცია?
8. რამდენად მოქმედებდით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროგრამის შედგენისას იდეოლოგიური ჩარჩოებით?
9. რამდენად ახდენს გავლენას ხელისუფლებაში ყოფნა პარტიის იდეოლოგიაზე?
10. რამდენად მოქმედებდით 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პროგრამის შედგენისას იდეოლოგიური ჩარჩოებით?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Giorgi putkaradze

Formation of political parties ideology in Georgia on Georgian Dream example

The Facultry of Social and Political Sciences

The Policy Science

The work is done to gain Master's degree in Political Science

The supervisor: Malkhaz Matsaberidze

The co-supervisor: Lia Tetradze

Tbilisi, 2017